ალექსი ოჩიაური

ქართული ხალხური დღეობების კალენდარი

ხევსურეთი II

(ბუდე-ხევსურეთი, შატილ-მიღმახევი)

თბილისი
2005

უაკ(UDC)398·3(=9·463·1)(059)
ო917

ქართული ხალხური კალენდარული დღეობების შესახებ წიგნში წარმოდგენილი მასალა გასული საუკუნის 30-40-იან წლებში ალ. ოჩიაურის მიერ არის შეკრებილი. იგი დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის არქივში. ამ მასალის პირველი ნაწილი 1988 წელს გამოქვეყნდა, რომელშიც მხოლოდ არხოტის თემის დღეობები შევიდა. ამჟამად იბეჭდება პირაქეთ ხევსურეთისა და შატილ-მიღმახევის დღეობათა კალენდარი, რომელიც უკვე დაბეჭდილის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს. ალ. ოჩიაურის მასალა გამოირჩევა სიზუსტითა და მრავალმხრივობით. მსგავსი ინფორმაციის მიღება დღეს უკვე სრულიად შეუძლებელია, რაც აძლიერებს წიგნის მნიშვნელობას ქართველთა სულიერი კულტურის შესწავლის საქმეში.

სურათი გარეკანზე: ჯვარის თას-განძი.

რედაქტორი — თ. ოჩიაური

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ნ. მინდაძე, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი ჟ. ერიაშვილი

გამომცემელი — ა. მესხი

დიზაინ-პროექტის ავტორი — გ. გრიგოლაშვილი

გამომცემლობა "ენა და კულტურა", ჭავჭავაძის გამზ. 45

ტირაჟი 200

ISBN 99940 - 0 -209 -0

რედაქტორისგან

წინამდებარე წიგნში დაბეჭდილია ალ. ოჩიაურის მიერ XX ს-ის 30-40-იან წლებში ფშავ-ხევსურეთში შეკრებილი მასალების ნაწილი ხალხური დღესასწაულების შესახებ. ამ მასალებიდან 1988 წელს გამოქვეყნდა ხევსურულ დღეობათა კალენდარი, რომელშიც მხოლოდ არხოტის თემის დღესასწაულები შევიდა. ამჟამად წარმოდგენილი ნაშრომი, რომელიც უკვე დაბეჭდილი მასალების გაგრძელებაა, მთლიანად პირაქეთ ხევსურეთისა და შატილ-მიღმახევის დღეობებს ეთმობა.

ვ. ბარდაველიძე, რომელიც თაოსნობდა ეთნოგრაფიული მასალების შემკრებლობას, მკვლევარის უპირველეს ვალდებულებად თვლიდა დღეობათა შესახებ ამომწურავი ცნობების ფიქსაციას მთელი თავისი ნიუანსებით და დეტალების დადგენას, ვინაიდან ერთ რაიონში, თემში, სოფელში, უბანსა თუ გვარში დაკარგული ან ამოვარდნილი წესი, შეიძლება სხვაგან იყოს შემონახული. მხოლოდ ამგვარად შეკრებილი მასალის საფუძველზე მიაჩნდა მას შესაძლებლად ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდრის სისრულით აღდგენა (ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, 1939 წ. გვ.VII). ამ მოთხოვნილების საფუძველზეა შეკრებილი ალ. ოჩიაურის მიერ მასალები წლიურ დღეობათა ციკლზე. ერთგვარ დღესასწაულთა აღწერა ხევსურეთის ყოველი ხეობის ძირითად სათემო თუ სასოფლო სალოცავებში კარგად ავლენს იმ მთლიანობასაც და ლოკალურ თავისებურებასაც, რომელიც ამ კუთხის დღესასწაულებს ახასიათებს.

როგორც ალ. ოჩიაური შენიშნავს, მისთვის მოუთხოვიათ მასალის ხევსურულ დიალექტზე ჩაწერა. ამიტომ წიგნში თხრობა ძირითადად ხევსურულ კილოზე მიმდინარეობს.

წიგნის გამოცემას საკუთარი ინიციატივით, სრულიად უანგაროდ ხელი მოჰკიდა სამშობლოს კულტურული მემკვიდრეობის ქომაგმა ქ-ნმა ანა მესხმა, რომელმაც მასალებს მზის შუქი აჩვენა. ამ წიგნით დასრულდა ხევსურულ ხალხურ დღეობათა კალენდრის შესახებ ალ. ოჩიაურის მასალების პუბლიკაცია. იგი ცნობებს მიაწვდის ქართველთა სულიერი კულტურის მკვლევარებს, მოსაზღვრე დისციპლინებში მოღვაწე მეცნიერებს, დაინტერესებულ მკითხველ საზოგადოებას. ყველა მათგანის სახელით მინდა მადლობა მოვახსენო ქ-ნ ანას, რომლის ძალისხმევა რომ არა, ამ წიგნს გამოცემა არ ეწერა. მადლობა მინდა მოვახსენო აგრეთვე ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატს, გიორგი გრიგოლაშვილს წიგნის დიზაინ-პროექტის შექმნასა და დასაბეჭდად აუცილებელ ტექნიკურ სამუშაოებში დახმარებისათვის.

ბუდე-ხევსურეთი

სანების ჯვარი და მისი დღეობები [1]

სანების ჯვარი, როგორც ნათქვამია, ილოცება სხვადასხვა ადგილებზე. მხოლოდ მთავარი მისი სამლოცველო არის მაღალ მთაზე, რომელსაც ეწოდება ცროლი. სანება ილოცება სახელწოდებით – "მფრინაო ანგელოზო, ბატონო სანებავ ცროლის წვერისაო". ის ყოფილ მინდორში ერთი სოფლის ახლოს, ისე რომ მინდორში მდგარასა, ხალხს ძალიან სწამებიე, ბარის კაცებს ძალიან წმიდად ულოცავისა-დ ყოფილ იქ. ჯვარჩი მისვლა გაწმიდებამდინ არ იქნებოდ, როსაც ჯვარჩი მისვლა ეგულ, დღეობა იქნებოდ მაახლოებული, ერთი თვით წმინდად ეჭირ თავი. არ გაივლიდეს რიოშიანში ("რიოშიანი"- ადგილი, სადაც დადიან ქალები სამრელოში ყოფნის დროს), არ შეიძლებოდ ქალის სიახლოვე და თუ ასეთ რამ მოხვდებოდ, მაშინ ჯვარჩი აღარ მივიდოდ კაცი. თუ ჯვარჩი მივიდოდ, სანაწყევრო იყვ, ძალიან ცუდად წაუვიდოდ საქმე. ჯერ თითო-ოროლამ დაიწყ უწმინდურმ ჯვარჩი სიარული-დ მემრ ყველამ ერთუცს მიხენა-დ აღარას ვინ ერიდებოდა, არც რიოშსა-დ არც დიაცთან ყოფას. არც კი გაიბანებოდესა-დ აისეთეებ დაიწყებდეს ჯვარჩი სიარულს. რაჭელგანდად ჭელევდეს. ბოლოს, სანება იქამდინ გაწყრ, რო აიყარ მინდორჩიითა, წამავიდ მთაჩი სიწმინდის გულისად, სოფელს არც აქ მიეკარა-დ მაღალს მთაზე ცროლს დაარსდ, ჭმელთ შუაჩი (ხევსურებს აქვთ წარმოდგენა და სწამთ, ვითომც ცროლი რაკი მაღალი ადგილია, არის ხმელეთის საშუალო, ანუ შუა ადგილი. ასე იტყვიან: "წმინდა სანება მფრინავი ანგელოზი დაარსებულია ჭმელთა შუა ადგილზე ცროლის წვერ").

სანება მფრინავ ანგელოზ რომ ცროლის წვერ დაარსდ, იმ დროს ჭადუს ცხოვრობდა ჩარგლიდან მოსული ქერა. ქერა ყოფილ ჩარგალელ კაცი-დ უკენჭადუ მოსწონებიოს საცხოვრებლად. იმ დროს ჭადუს არვინ ცხოვრობდ.

ქერამ გაიგ სანების დაარსება იმით, რომ ღამისთაოდ ცროლის წვერი განათდის, რაპ-რაპ დარჩის. ჯერ კი ვერ გაბედ ქერამა-დ ბოლოს თქო: წაოლაო-დ გავიგებავ, იქ რა ანათებსავ. წავიდა-დ ნახ, რომ ტრედის სახით იჯდ მაღალ მთაზედ მფრინავ ანგელოზი-დ თვალთ არ იყრიდ. ქერას გონ ახჭდივა-დ. გონთ რო მოსულ, იქ აღარა იბადებოდაო-დ მუჭლმაყრილ ვიჯედივ იმ ადგილზედავ, სადაც მფრინავ ანგელოზი ვნახევ. მეორე დღე რო გათენებულასა-დ აუგავ იქ კოშკი. მემრ დარბასი-დ საქვაბეიც მოუთხოვავა-დ ისიც აუშენებავ ქერას. ამის შემდეგ გაჩენილ იქ დღეობაი. ქერასაც დაშჩენივ შვილები. ადგილ ბევრი ყოფილასა-დ კაც ქვე არ ხყონივ ჭადუს. იმით მაუყვანავ ქერას ზესიძე რკინაული. რკინაული ძირად ჭევსურ ყოფილ, გვარად არაბული. ზესიძე ჭევსურებმ არ იცოდესა-დ ის რაკი მშაველ იყვ, იმით მაიყვან ზესიძედ. გათესლდ რკინაული. წმიდამ სანებამ რკინაული ყმად გაიჭადა-დ რაკი სანების ყმად გაჭდეს, გამრავლდეს ძალიან.

[1] სანების ჯვარის ამბავი სხვა ხადუელებთან ერთად უფრო დაწვრილებით მიამბო ხახონ ქერაულმა, 60 წლისამ, სოფ. უკანხადუში მცხოვრებმა.

რკინაულები კიდევ დაიყენეს მამებად. არიან შემდეგ ქვეგვარები: 1. ატაბურანი, 2. მანგიანი, 3.სისკარანი, 4. მწარიანი და 5. გოგოთურანი. ამათაც, როგორც ყმებმ, გაიჩინეს საკნაკ-სათეს მამულები, ხოდაბურები საჯვაროდ, დაიწყეს ულავით ჭვნაი-დ ჩვეულებრივად დასტურობაი-დ ჭელოსნობაი.

აკვსება

დასტურ დგების წილით. ა კ ვ ს ე ბ ა – დილას სოფელი შაიყრება ჯვარში. გამოიტანენ ერთ ჩხუტს ლუდს და დაზდგმენ ყველა ჯვარებისად ჩვეულებრივ სადიდებელს. ხუცესი, როგორც ნათქვამი არის სადიდებელთ წესზე, ამ წესით ადიდებს ყველა ხთიშვილებს. სადიდებელთ რო შასმენ, მადლს გადაიკდიანა-დ მასჭრიან წილებს. ყველა იღებს თავ-თავის წილს და ნიშნავს ისე, რომ მეორე მსგავსი არ იყოს (წილი იჭრება ან ნედლი წვრილი ხისაგან ან ბალახის ღეროსაგან ერთი ზომისა), ჩაიყრება ქუდში და ამოაქვს ერთ-ერთ კაცს თითოობით. ვისიც წილი ამოვა,მას ერგება დასტურობა. დასტური დგება აკვსებას,მხოლოდ ლუდს ადუღებს და ჯვარში შედის გიორგობას. ძველნ დასტურნ უკენობას (ბოლოს) ენკენიას მივლენ. გიორგობას ახალ დასტურნ მიდიანა-დ ძველ დასტურნი, როგორც არხოტის ჯვარში,აქაც იმავ წესით სამეკვლეოს ადუღებენ,მეკვლეთან რაიც ლუდ დაიხარჯების ერთს ღამეს. დილას კი წავლენ შინა-დ ახალნ დასტურნ რჩებიან წელიწადში.

აქ დიასახლის არ იციან. საჯვაროებს აცხობენ დასტურის სახლში უფრო ხნიერი, წმიდა დიაცები. ღამის-სამთელო იციან ერთ ხავიწიან ქადა, ზედ, სამ ტოშოლა (არხოტში ეძახიან ხმიადებს, პირაქეთში ტოშოლებს). ტოშოლაებზე დაიდგმის სამი თასი, ერთი სახუცო კოჭობი, ორ ბარძიმი, დადგმულს თასებში ჩაასხამენ ვერცხლის აზარფეშაით ლუდს,დააკვრენ სახუცო კოჭობზე სამ ფეკს სანთელსა-დ,დანარჩენ ორ თასზე თითო ფეკ სანთელს. ხუცესი დადგებისა-დ ადიდებს ჯვართ, შემდეგნაირად:

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა: შენა სამთავროდ, შენა გასამარჯოდ მაიკმარი, წმიდაო სანებავ, მფრინაო ბატონო, თეთრო ანგელოზო, ეს გადიდებულ ჭიქა–ბარძიმი, ნათელ-ბნელი, ნათელ-ღამე. გეძახსს შენ მეხვეწური, დასტურ-ბუჯირი გეხვეწების ჭელოსან–გამძღობარი, შენ საყმო-საგლეხო. შენ დავლათ დააკმარი, სახელიან ზღვენი, სანთელ აიტანი, ხთის კარზე მაიკმარი შენის მახვეწურის საყმოს საშველად, სახოიშნოდ, სამწყალობნოდ მაიკმარი, ღმერთი შენს ბატონობას გაუმარჯვებს.

ხუცობა ანუ პირისქარი: დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა, მზესა, მზისმყოლთ ანგელოზთა. დიდება დიდს კვირაესა, ანგელოზთ მეუფროსეს, ხთის მაღლის მოკარვეს. დიდება-დ გამარჯვება შენდა სამებავ, მფრინაო ანგელოზო ცროლის წევრისაო. გეძახს, გეხვეწების დასტურ-ბუჯირი, საყმო-საგლეხო, -შენ დავლათ დააკმარი, მეწაღმართე ანგელოზ დაუყენი, მებალინჯე ჩამახკსენი, მეწაღმართე დაუყენი. სახელიან აიტანე, ხთის კარზე მაიკმარი. ნურას მახკერძებ მარცხსა, ბირკოლს. კაცისა საქონის მაკლეს უშველე-დ უმეშველი ავის დღისად, ლაღის მტრისად, სენისა-სასჯელისად, საზიანო საქმისად. თუ სად რა გამავიდოდას ხთის კარით გამაშობილი ხთის იასაული, ჭორციელთ ბეგრევდას, ყალანს იღებდას

კვირაეს სარდლობდას, უზიანოდ გაისტუმრიდი, სენი-სასჯელ მაარიდიდი. შენ მაგათ თავისად ჯალაფობისად, საყმოსად-საგლეხოსად, მაგათ ყუდრო ჯალაფობისად, ორფეჭ-ოთხფეჭისად, კაცისად, საქონისად, ქუდოსან-მანდილოსნისად, ნამაშვრალ-ნამუშაევლისად, მეშველი მწყალობნელი მხოიშნებელიმც იქნები, ხთისაგანამც გაგემარჯვების შენის გამჩენისგან.

კურთხევა

დღეს ღირსა ჭსნილობა, ჯვარის კურთხეულობა, კურთხეულიმც არის უფალი ღმერთისა, აწ და მარადით უკუნით უკუნისამდე. სამებაო წმიდაო შაგვიწყალენ ჩვენ, შაგვიწყალან ჩვენ სამება წმინდამა, გვაცხონენ და გვაკურთხე-განგოლო ურჯულოებაო. ავედრია სული ჩვენი მამასა მაწყალესა, მამაო და ღმერთო ჩვენო, რომენი ხარ ცათაჩია, მახვედ ქვეყანათაჩია, მოგვიშვი და მაგვიტიე პური ჩვენი არსობილთა, რაც უფალმა მოგვიტანა. ნუ შაგვასხამ განსაცდელსა. შავსწირავ ღმერთსა მსხვერპლითა, ქებითა მიხუცულობით შენითა. ნათქვამი შენ გააცხადე. ხატო, ხატო მეუფეო, შენ გიჭსენე ჩვენ, გადიდებთ დღეს ჩვენისა რჯულისასა.

თვალნი მაღალნი, მაღლა არიან მაღლისა ხთისანი, ხოლო კაცთა სიმაღლისა დაბალთაგან ამაღლებულა. რა ჟამთა მოვეწიენით მცხრომალეთა მდინარეთა, ღმერთო, რა ჟამნი გვიხსენი მცხრომალენი, მდინარენი, თვალნი ჩვენნი მცემარნი ფეხნი ბორკილებისაკე. მორე მოვიდოდა ადგილსა ამას იასე კეზორე ფელიკესა იკითხებადა, სათნო მოვიდა ყოველნი ჩვენს წინაშე მაცხოვარი რაი-თუ იცნა უფალო პეტრე მოწამეა ხთისა. არსილნი შაშინებულან, გალილიასა ეტყვიან, ძეთა რაღა თქვიან ჩვენისა კაცისათა. პეტრეს უთხრეს: ეგე ვინ გგონიათ თქვენთა ანუ ვითა ნუ იმერელია, თავიც იხსნა, ჩვენც გვაცხოვრნა. განგულო, განგულო ურჯულოებაო, გავედრია სული ჩვენი, მამასა მოწყალესა, რომენი ხარ ცათაჩია, მილთა იყავ ცათაჩია, აგრივ ხოყანათაჩია. მაგვიშვი და მაგვიტიე პური ჩვენი არსობილთა, რაც უფალმა მაგვიტია, ნუ შაგვასხამ განსაცდელსა. შავსწირა ღმერთსა მსხვერპლი მოხუცულობით. ჩვენითა ნათქვამი შენ გააცხადე, ხატო. ხატო, გვიხსენენ ჩვენ. გადიდებთ დღესა მას ჩვენისა რჯულისასა. ხოლო სიმაღლე დაბალთაგან ამაღლებულა, ხოლო ჟამი რა მასწევიან კაცთა ყოველთა მცხრომალენი. მდინარენი, ღმერთო, რა ჟამი გვიხსენენ თვალნი ჩვენნი მცრემალენი. ფეხნი ბირკოლებისაგან მორემოვიდოდა ადგილსა ამას. ისო კეზერე ფილიკესა იკითხებდა. სარწუნია მოვიდოდა, ბძანებდა, მოითხოვდა, სიტყვა ხთისა, ხმა უფლისა. ღმერთო ერთიშორისაო, უაფლო ნები ჩვენისაო, მოგვე ყოველი კეთილი, ზღუდენი ავაშენენით იერუსალიმისანი იაკობ, ხოლო პირველი, არსილნი შაშინებულან, არსილნი შაკვირებულან, გალილიასა ეტყვიან: "ძეთა რაღა თქვიან ჩვენთა კაცისათა, პეტრესა უთხრეს ეგე ვინ გონია. რასა მსვრიან ღმერთსა სისხლითა მამავლილობელსა, სარწუნია მავიდოდა, ბრძანებდა მაითხოვდა, სიტყვა ხთისა, ხმა უფლისა მავისმინენ სამქე უკეთურნი. მავისმინენ ჭეშმარიტად უკეთურის გონებითა. შენზე მასხვეპარია, ჩვენზე საკურთხეველია, ღმერთო, ღმერთო ერის შორისაო, უფალო ნების ჩვენისაო,

მაგვეც კეთილი ყოველი, ზღუდენი ავაშენენით იერუმსალეთისანი. იერუმსალე, შენა ხარ ხილო იაკობ პირველი. ვარქინა ღმერთსა შევსწირენ სამნი სიტყვანი ხთისანი. ანგარიასა მთავარ-გარე შამამვლელსა ჯვარსა ამას წმინდასა. ღმერთო ისაკ და იაკობილთა მამაო მაკლებულო რომენმა შაღმოსე ცანი ღურბლითა, მიწანი მაწვანილითა, გადახკარ, გადაამხადე წვიმა ხოყანათაზე, შენია დღე- და ღამე, შენ დაამკვირე ბნელი-ნათელი. შენ და გიარას ყოველმა ერმა. უფალო აკურთხე თესლი ესი, უფალო აკურთხე მარილი ესი, სკა-სკანალეი წყალი ორდანე, ღვინო შამასცვალე. ბაღდა დაუარე საქონსა, ბაღდა დახკლ არა შჭამე, დასთხიე სისხლი მისა კურთხევა იყო კრავისა, შენდა ღირსია. მაროტი გამოვიდა, აკურთხა სახითა სარხიელითა, სახლითა ხთისითა სარხილისითა გამოვიდა და აკურთხა იგივე. შენა სამთავრო გასამარჯოდ მაიჴმარი, დიდო მფრინაო ანგელოზო, ბატონო სამებავ ცროლის წვერისაო, შენ უშველი შენს საყმოსა საგლეხოს, დასწერი ჯვარი".

მოხსენება, ხუცობა და კურთხევა სამივე ერთიმეორის ნაწილი არის და როსაც ეს გათავდების, წინ-წინ ხუცეს დაამწყალობნებს: "სწყალობდას სანების დავლათი თავის საყმოსა-საგლეხოს. საწაღმართოდ მაუარას, მშვიდობით შაინახას, ხალიზ მისცას, ბალინჯ მააშორას, დასტურ-ბუჯირს მაგცასთ წყალობა, ჴელოსან-მორიგეს, დიდხანს გაგიყოლნასთ, შაუცოდრად, შაუწყენრად შაგინახნასთ". ხუცესი რომ ამწყალობნებს, მთელ ხალხ აჰყვებისა-დ ყველა თავ-თავის ჴმაზედ ყვირის ეესეთასავ წყალობას. წყალობა რო გათავდების, დასტურ აიღებს სახუცო კოჭობს, მისცემს გამძღოს (ხუცესს ჰქვიან გამძღო პირაქეთ ხევსურეთში), ორს დანარჩენს თასს დასტურებ დაიჭერენ. ხუცეს კიდევ შაუსახელებს თასებსა-დ იტყვის: "ამ წინა თასზე, ჭიქა-ბარძიმზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, მფრინაო ანგელოზო, ბატონო სამებავ ცროლის წვერისაო. შენა სამთავრო, შენა გასამარჯოდ მაიჴმარი ეს ჭიქა-ბარძიმი, სანთელ-სადიდებელი, შენ შენ მეხვეწურთად ქერაულ - რკინაულისად სყმოსად, საგლეხოსად საშველო-სამწყალობნოდ. ხთის კარზე მაიჴმარი, ღმერთი შენს ძალსა დიდებას მაუმატებს". მეორე სადიდებელზე აჩვენებს ხელით და იტყვის: "ამ ჭიქა-ბარძიმზედა, სანთელ-სადიდებელზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, თეთრო სანებავ ცროლის წვერისაო.[1] შენა სამთავრო, შენა გასამარჯოდ მაიჴმარი ეს სადიდებელი ჭიქა-ბარზიმი, სანთელ-სადიდებელი, შენთ მეხვეწურთად, სანების ყმათ საშველო-სახოიშნო, სამწყალობნელოდ ხთის კარზე შაიტანი, ღმერთი შენს ძალსა, დიდებას მაუმატებს". მესამე სადიდებელზე აჩვენებს და იტყვის: "ამ ჭიქა-ბარზიმზედა-დ სანთელ-სადიდებელზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა კვირაევ მადლიან-ძალიანო. შენა სამთავროდ, შენა გასამარჯოდ მაიჴმარი ეს ჭიქა-ბარძიმი, სადიდებელი, სანთელი. შენ სანების ყმათად საშველად, სამწყალობნოდ მაიჴმარი, ღმერთი შენს ძალსა დიდებას მაუმატებს". ამ სიტყვებს რომ გაათავებს, ყველანი თასებს მაღლა ასწევენ და იტყვიან: "ისმინე, გაიგონეთ, ბატონო ბედნიერებო, თქვენ უშველეთ თქვენს მეხვეწურებს". აქ კიდევ ცოტაად ეტყვიან წყალობას:

---

[1] *თეთრი სანება ცროლის წვერისა არის მფრინაეი ანგელოზი, ცროლის წვერისის მოძმე. მას აგრეთვე ეტყვის სხვა მოძმეებიც: საჯანგეს ბატონი სანება და გმირი სანება ბატონი.*

“სწყალობდას ქერაულ-რკინაულს საყმოსა, საგლეხოს, მშვიდობით შაინახნას”. მემრ ცოტა ხან შეჩერდებიან თასიანებ თასებით ჭელჩი, ფეჭზე დგანა-დ სხვებ ყველან მუხლით დასხდებიან, თითო მუხლზე. თასიანები თითოობით იტყვიან: “ჯვართ დიდებაი, მეხვეწურთ წყალობაი”. მაიყუდებენ თასებსა, ცოცოტას შასმენ. ტუჩთ რო მაიშორებენ თასებს,ყველა რასამ იტყვის ლუდზე რაჭელ ვის მაეწონ. ამ საუბარჩი ერთ ვინ ადგებისა-დ აიღებს იქ ნაყუდებთ ფანდურთ ჭელჩი (ფანდური დღეობის დასაწყისშივე მოტანილია ჭირის პატრონისაგან და იქ არის დღეობის დამთავრებამდინ), დაუკრავს თავხჭმელად სამღერლადა იმღერებს ჭმამაღლად:

დიდის ბატონის გამძღონო, ჭკვა დიდი მაგეჭელებათ.
დიდი ას თქვენი ბატონი, ცის გიდელ-გიდელ დადგება.
ვისაც მეძალეს გაიგებს, მეძალეს გამასთელევდა

და სხვა ამისთანა საგმირო ლექსებს იმღერებენ კიდევა-დ თასიანებიც მღერით უპასუხებენ.

ამ მღერაში გამასცლიან თასებსაც. გაივლიან ვინაც მუჭლზე ისხდეს, ფანდურს ქვე დახყუდებენა-დ მუჭლზედავ დასხდებიან. თასიანებ იტყვიან: “შავსვი თქვენის გამარჯვებისა, დაგეხარასთ მტერი (დახრის თასს). ქვემც გწყალობსთ ნაჭსენებთ ანგელოზთ დავლათი. აბრძანდით, გამაიცვალეთ მუჭლები”. ამ ბრძოლაში წინ-წინ მაინც თასებს ჩამაართმენა-დ ეტყვიან: “მტერს ჩამახყარეთ იარაღი, თქვენ ჭელი-ჭმალ ერეოდას”. ადგებიან მუჭლზე ნასხდომებიცა-დ ეტყვიან: “გაამასთ მუჭლი, ალალი ქნას ღმერთმ”. “ღმერთმა თქვენ კა გვაამას” – იქნება პასუხი. დასხდებიან ყველანი. მარტო დასტურ დადგების ფეჭზე,დაასხმევს ლუდს გამძღოს ჩხუტშია-დ, დაუდგამს ხალხს წინა, ეტყვის: “ლუდი წინა, ვაუებო” – “მამტან ბედნიერი, მაგვიხვე მშვიდობით, მშვიდობით თქვენ მასვლა”. ადგებიან ფეჭზე ყველანი-დ იქავ დასხდებიან. დასტურ ამახკრავს ლუდსა-დ ყველას ჩამაურიგებს (პირაქეთ ხევსურეთში სმის დროს მეტი იციან მუხლით დაჯდომა და ფეჭზე დოგმა, ვიდრე პირიქითლებმა, რასაც თაოზას და ნამუსს უწოდებენ. დასცინიან პირიქითლებს – “სასმელს ისე ჩქარა დალევენ, რომ თაოზას არ დააყოლებენო”. პირიქითლები პირაქეოელ ხევსურებს კიდევ ამდენი “თაო'ხის” გულისათვის დასცინიან: “ხევსურს უთქვამს – სასმელ ისრ უნდა შასვას, რომ ამაღლების ღამე ერთს თასში გაუთენდასო”. მართლაც, პირაქეთელი ხევსური თასს ძალიან დიდხანს იჭერს ხელში და მიაჩნია უფრო სიდინჯედ და პატიოსნებად. პირიქეთლების სასმლის ჩქარა დალევას კი აწერენ მათ სიტუტუცეს, ამავე დროს სულდაუჭერლობას და სასმლისმოყვარეობას.

ყველან დაიჭერენ თასებს ჭელჩია-დ, საუბრობენ დინჯად. მემრ თითოობით დაილოცებიან: “გამარჯვება ბატონ სანებასა-დ, იმის წყალობა გქონდასთ სანების ყმათ, საწალმართო მაგიარასთ, მშვიდობით 'მაგინახნასთ, ბევრ დღეობა გალოცვეიგასთ მშვიდობისა, კარგად ყოფისა. ნუვის ოვალ-გულ მაგრიოსთ, წელ მშვიდობისა დაგიყენასთ, მეწალმართე ანგელო'ხ დაგაყოლასთ. ჯვარიონთ მაგცასთ წყალობა: დასტურ-ბუჯირს, ჭელოსან-გამძღობარს. დიდხანს გაგიყოლნასთ, კლოვ უკეთი გულით მაგკერძასთ”. თასის დალოცვას რო გაათავებენ, კიდევ ცალკე დაულოცავენ იმ კაცს,

ვინაც თას მიაწვადა-დ ეტყვიან: (მაგ. ივანე) "ივანეე, შენეული მაქვ ე თასი, შენობაი ქნას ბატონ სანებამ, ჩემთან თას ნუ მაგიშალასა-დ მტერსთან ჭმალი-დ გამარჯვება". მაიგონებს თასის მომცემის ერთ-ერთ მკვდარსა-დ ეტყვის სახელს: (მაგ. აბიკა) "შაუნდნას შენს ძმას აბიკას ე თას, მააჭმარას", თან დაღერის თასშიით ცოტას ლუდს. "შენ მადლად მაგცას, იმის საიქიონი დაგიმადლნას, კაით მაგიგონას" – ეტყვის თასის მიმცემი ვის მკვდრისადაც თასიანმ თას დალოცა. ესრ გაიმართების სმაი-დ ყველა ერთმანეცს ასმევსა-დ ულოცავს.

ჯერ ჭკვიანად სმენა-დ მემრ აქოთდებიან (ახმაურდებიან). დაეყუდებიან ყველან ფეჭზედა-დ ყველას თას ჩააქვ საწდეში, ამააქვ ლუდი, აძალადებენ ერთმანეთს. სმა რო მასწყინდების, ერთუცს დასმენა-დ გადმაზდგამენ ტაბლას: ზედ ღამისამთელოი ძეს, ხუცეს ამააგებს დანას – დაიჭერს ჭელჩი, იტყვის: "ღმერთო, გაუმარჯვი ბატონს სანებასა, ბატონო სანებაო, შენ სწყალობდი შენთ ყმათ, დასტურ-ბუჯირს, ჭელოსან-გამძღობარს, კეთილის მკაზმავს. დაადე წაღმ, შენი წყალობით შაინახენი". ამ სიტყვებით დაჭრის ღამისამთელო ქადას. გამძღო ერთ გვერდზედ გაშჭრისა-დ გასწირავს შიგ დანას. მემრ დასტურ აიღებსა-დ დაშჭრის ნაწვრეთებად. თუ ბევრ ხალხი ას, ჭელჩი ჩამაურიგებენ თითოს ნაწვრეთს, თუ ცოტა ხალხი ას, დასხდებიან, ტაბლას დაუდგმენ. ერთ კი მაინც ფეჭზე დადგების ახალგაზდა დასტური, თუ ორ-სამნ არ დადგეს ფეჭზედ. ყველას ააღებინებენ პურს. მახჭლეჩენ წვერსა-დ იტყვიან: "ღმერთო, გაუმარჯვი ბატონს სანებასა. ბატონო სანებაო, შენ უშველი შენთ ყმათ, დასტურ-ბუჯირთ, ჭელოსან-გამძღობართ, დაადეგ წაღმ, შენი წყალობით შაინახენი". ამ სიტყვების თქმით ყველან დაიწყებენ ჭამას. ფეჭზე მდგომს ლუდ უდგას საწდეში, ამახკრავსა-დ ყველას დაუდგამს კარახანაებს. პურს ჭამენ ჯერა, რომ გაათავებენ პურის ჭამას, თითოობით აიღებენ კარახანას, დაილოცვენ როგორც ვთქვით აიმავ წესითა-დ დაიწყებენ წყნარ-წყნარად სმას. ამ დროს ზედამდეგ აიღებს ფანდურს, დაუკრავს თავხმელა სამღერლად, იმღერებსა, სხვებიც ახყვებიან, თუ ვინ ზედამდეგი სტანავ. იმღერებს ყველა ერთ ჭმაზე, ყვირიან რაიც 'შაუძლავ საგმირო სიმღერებს, ხოლო ჭმა კი ეწყობის ერთუცს:

თქვენ ჩვენად რამ ჩამაგყარნათ, არწივნო ქუშნო მთისანო,

სასტუმრიელოდ ლამაზნო, მასპინძლად შუქნო მზისანო და სხვ.

მეფანდურე უკრავს ფანდურს. თასიანები მიიტანენ თასებს, თავის ჭელით მახყუდებენა-დ ასმევენ. ვისაც ასმევენ ისენ იტყვიან მოკლე დალოცვას: – "დიდხანამც იმღერ კაი გულით, ნასვამ გაამას, შენის გამარჯვებისა".

ასეთი წესებით ბოლოს კარახანაის პატრონ გამასცლის თასსა-დ იტყვის "დაურჩით ერთუცს, შავსვი თქვენის გამარჯვებისა, ქვემც გწყალობსთ წმიდის სანების დავლათი". ამის საუბარჩი ზედამდეგებ გაივლიანა-დ ცალი მუჭლით დასხდებიან, ჩამახყრიან თასებს იმავ წესით, როგორც ზეთი ჩავსწერეთ. თასებს რო ჩამაჭყრიანა-დ მუჭლზეით რო ადგებიან, ეტყვიან: "ღმერთმა გაამასთ", – "თქვენ კა მაამას, თავ მტრისა მაგცასთ, მუჭლებ შაგარჩინასთ", იქნების პასუხი. მემრ ცოტა ხანს იქნების სმაი-დ წავლწამოვლენ შინი-შინ. გამძღოი-დჭელოსან კი იქ დარჩებიანა-დ ბეღელჩი დაიძინებენ, სხვა ხალხი კი მასთხოვს მადლს:

‘ხთისაგან გაგემარჯოს, შენის გამჩენისაგან, წმიდაო სანებაო. შენ მიშველე, შენ ბედი-დავლათ დამაჭმარი, თუ-რას გაწყენ, დალოცვილო, პირის ქარითა, ფეჭის ნალითა, შენ მაპატივი, ყმა შაუწყენ არ იქნებისა-დ ბატონ შაუნდობარი. “მარცხი ბირკოლ მამაშორე-დ მეწაღმართე ანგელოზ დამაყოლი, ღმერთი შენს ბატონობას გაუმარჯვებს, შენის სახელის ჭირიმ”, ემოხვევის – აკოცებს ან მიწათ, ან ქვათ. მხოლოდ ჯვარიონთ ეტყვის: “ჯვარ გეწერასთ ჯვარსაც, კაცსაც, ჯვარიონთ, ჯვარის გამძღოთაც. მაპატიეთ, თუ რა ვის გაწყინეთ, გზა დამილოცეთა-დ მეწაღმართე ანგელოზ გამომაყოლეთ”. – “მშვიდობით, ჭელ მაგიმართასთ ღმერთმა-დ წყალობა გამაგაყოლასთ წმიდა სანებამ, წყალობა წაიღით წმიდის სანებისა”. და აესრ გამაემშვიდობებიან ერთიმეორეს წამსვლელები იქ დამდგომებს. არხოტში ეძახიან ღამისთევას საღამოს ლოცვას. როგორც აღწერილია, ერთი ქადა იციან ღამისამთელო, დილაზე კი სამი ქადა ცხრა ხმიად-საკვირაოთი. აქ ეძახიან წუხრის ჟამსაწირს და დილის ჟამსაწირს. იციან ორჯერვე თითო ქადა სამ-სამი ტოშოლათი. დილას იციან ჟამსაწირი, ან ყველ-ხაჭოიანი და საღამოს კი ხავიწიანი.

დილას დასტურ მალედ მივ ჯვარჩი, ჭელოსანი-დ გამძღო იქავ წონ. მივ დასტური-დ დააგზებს ცეცხლს, ხანდახან არაყ უდგას ჯვარჩია, თუ არ უდგას, სოფელჩი იშოებსა-დ მიიტანს. მიუვ ლოგინჩი გამძღოთა-დ შაასმევს არაყს. გამძღონ ადგებიან, დასტურ ჭელ-პირს დააბანიებს. გამძღონი ჟამისწირვამდინ მარტო არაყს შასმენ, არც ლუდს შასმენა-დ არცრას ჭამენ. დასტურები დასწმედენ, დაასუფთავებენ დარბასს, დარბასის კარს, მემრ წავლენა-დ მიატანენ ჟამ-საწირს, სოფელჩიითაც მაიყვანენ სასოფლო საკლავს (არხოტში ქვია სარიგო, რადგან სოფელი კლავს რიგით. სახელი სარიგო პირაქეთში არ არის.) ჟამისწირვა დაიწყების ჩვეულებრივად: დაეწყობის ქადა, ტოშოლაები და დაიდგმის ზედ სამ თასი, ერთ სახუცოი-დ ორი სხო. ხუცეს რო ჟამისწირვას შაუდგების, მკადრე, იგივე მედროშაე, გავ აუჩქამდომი, მივ ზარსთან, მაიყრის მუჭლსა-დ იტყვის: “დიდო ზარის მცაო-მფარაო ანგელოზო, შენ გეეედრები ულირს ჭორციელი, შენ მიშველი, მაპატივი, რასაც შაგაწყენ. პირის ქარითა, ფეჭის ნალითა, თუ ჩემი უცოდ-უმეცრებით. ნუ შამიცოდებ, დალოცვილო, შენ ზარ-საზარეთ შამალაჭვისად. მეწაღმართე ანგელოზ დამაყენი”. ამ ლოცვას ამბობს მუხლზე მჯდომი. მემრ ადგების, მივ ზარსთან, დაიწერს პირჯვარსა-დ დარეკს ზარს ნელნელად, ერთი ათ-ხუთმეტის წუთის განმავლობაში, მემრ დაიწერს პირჯვარსა, იტყვის: “დიდება-დ გამარჯვება შენდა, ზარის მცაო, მფარაო ანგელოზო”. ამას სამჯერ გაიმეორებს, თითოჯერ შამახკრავს ზარსა-დ დაიწერს პირჯვარს; ბოლოს პირჯვარის წერით წამავ უკუღმ, რო წამასვლაში ზარს ზურგს არ შააქცევს; დარბასის კარს რო მოუახლოვდების, მაშინ მაბრუნდების პირწაღმა-დ შავ დარბასში. ხუცეს იქავ ხუცობს ამ დროს. მეზარე ანუ მკადრე დარბასში რო შავ, წყნარად იტყვის: “წყალობა მაგიტანეთ წმიდის სანებისა, წყალობა”! – იქ მყოფებიც წყნარადავ უპასუხებენ: “შენ იყოს მწყალობელ, შენის თავისა”. ხუცეს რო ხუცობას გაათავებს, გაუდგების ჟამისწირვის კურთხევას. ხუცობაი-დ მაჭსენება ჩვეულებრივი ას, კურთხევა კი სხვანაირია-დ აქ მავიყვანთ:

“სახელითა ხთისითა სარხილისითა თავსა დაგადგეს ყოელითა დაყოელებითა, სიტყვათა დამრავლებითა, წმინდა არსებულო, არსები ამაღლებულო. წმიდად იყო საკითხავი, ვინაა საკითხავი? პავლეია საკითხავი, აბრელი ოხითა მრავლითა, ბევრითა ბევრეულითა. მაში მავიდა უფალი გუნდითა ბევრითა ბევრეულითა, ათასითა გუნდითა, ათასითა ანგელოზებითა. მწარე ახსნა სულნი ჩვენნი, აუტივნა ტილონი ან ხილო ამ შტოლოებაო სარწმუნოებაო. შატყუილებითა გველისითა, შაცდენითა ეშმაკებისითა, არა დედაკაცისითა, არა მამაკაცისითა რა არსითა ბაგოზელისითა. ღმერთო ხთობაო. გალობაო, მზეი მამარწყვილებულა, ეგია ჯოჯოხეთი ურძეო ურღვეველი, დიდია ზღუდება ჩვენი. ცასა მტრედი გადმანახდა, სიხარულისა მაითხოვდა. ჩვენო ძმანო სიონისანო, მტკიცენო, მტკიცედ იყვენით, საქმესა ჩვენსა აღმატობდით, განაცუდა შრომა იყო რომენი, იწვა ეძინა ჩვენისა ოხისა კვირაისითა. ადგეს, წავიდეს, მაახსენეს ხთის მოწაფეთა ანგელოზთა-ადე, განიღვიძე! ადგა, განიღვიძა დილიხნია ფრია დაძღვეს, ეგენ უფრო საყიდელნია ცათაჩია-თქო უფალმა. ყოველმა ერმა სიტყვა უფლისა მამისა ძისა ჩვენ ჯვარისა ჩვენისა წმინდისა, მაშინ შასწყალდეს უფალსა ობოლნი, გახსნა, გაიღნა ბარძიმნი, წაწმიდნა სულნი. პირველა სანთელია წმიდათავე. მეორე სანთელი გიკურთხას მამამა ძემა ჯვარმა წმიდამა მესამე სანთელი თესლის მაკურთხეველი გიკურთხას მამამა ძემა ჯვარმა წმიდამა ადამდე. მეოთხე სანთელი სამოთხის მანათობელი გიკურთხას მამამა ძემა ჯვარმა წმიდამა ადამდე. მეხუთე სანთელი ბართოლაკია მარგალიტისა მთოველი, გიკურთხას მამამა ძემა ჯვარმა წმიდამა ადამდე. მეექვსე სანთელი ექვსნი ძენია მთხრობელნი, მგალობელნია, ღადღადობენ და ბრძანობენ – გიკურთხას მამამა ძემა ჯვარმა წმიდამა ადამდე. მეშვიდე სანთელი, სანთელი შაუშტერელი, ზღუდე აქვ შაურღვეველი, პატრუკი შაურყეველი, გიკურთხას მამამა, ძემა, ჯვარმა წმიდამა ადამდე.” მერვე სანთელი გაბრიელი, გიკურთხას მამამა, ძემა ჯვარმა წმიდამა ადამდე. მეცხრე სანთელი: ივანე ნათლისმცემელი გიკურთხასა მამამა, ძემა ჯვარმა წმიდამა ადამდე. მეათე სანთელი თესლისა მაკურთხეველი გიკურთხას მამამა ძემა ჯვარმა წმიდამა ადამდე. არამც კი არა შაგვეძლას გვიწყალენ, მამაო, ძეო, ჯვარო წმიდაო, სანთელო სამარეტისაო, ბეჭედო უკვდავებისაო. დასრულდა წირვა ჟამისა, ამაღლდა ჯვარი დიდებისა და ძალი ჯვარისა, უფალი დიდებისა”.

ჟამის წირვის კურთხება რომ დამთავრდება, ხუცესი იტყვის და სხვებიც აჰყვებიან: “სწყალობდას წმინდა სანება სანების ყმათა, საწაღმართოდ მაუარას, ხალიზ მისცას, კაცსა, კას დროს უმატას, მტერზედა, ნადირზე გაუმარჯვასა, თქვენ გწყალობდასთ დასტურ-ბუჯირთ, ჭელოსან-გამძღობართა, საწაღმართოდ მაგიარასთ, მშვიდობიო შაგინახნასთა, დასტურს დასტურობა ნუ შაგანანასთ, ხუცესს ენაპირ გიკურთხასა, ჭელოსან დიდხან გაგიყოლას. ყურით მაყურებელს გწყალობდას სანების კარის მლოცავს”.

ეს ყველა რო გათავდების, როგორც ღამის თევის წესია, ყველა იმ წესით სრულდების.

მაიყვანენ სოფელჩიითაც სასოფლო საკლავს. სასოფლო სკლავი მაუდის რიგით. ყველა დღეობაჩი იკვლისა-დ სოფელჩი წყემსობის ჯერიკით მადის; რომენსაც ვის დღეობაჩი შავხვდების, იმ დღეობაჩი მაიყონს. ხუცესი მააჭსენებს, იხუცებსა-დ კლავს. ხუცობა არის ჩვეულებრივი. კურთხება კი განსხვავდება:

“დღეს რჯულსა ქრისტიანთასა ხსნილობაია ჯვარისა და ქრისტესა კურთხეულობა, კურთხეულთა სია ღმერთი უფალი სამარატია უკუნისამდე, წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძალითაო სამებაო წმიდაო, შაგვიწყალენ ჩვენ ყოველნი, ჩვენნი ურჯულოებანი. შაგვიწყალნა სამებამა წმიდამა ჩვენ ყოველნი, ჩვენა ურჯულოებანი. გამგულა და გავტრია კაცთაგან ხორციელთა. სულნი ჩვენნი ღმერთსა მამასა შაავედრენით. მამაო და ძეო, რომენი ხარ ცათაჩია, ეგრე ხოყანათაჩია, პური ჩვენი პირობილთა მაგვიშვი და მაგვიტიე, რაც უფალმა დაგვიწესა, რაც უფალმა მაგვიტანა. ნუ შაგვასხამ განსაცდელსა. შავსწირავ ღმერთსა მსხვერპლთა საკლავისა კრავისათა, ხატო, შენი მიხუცულობითა, ხატო ნათქვამი შენზე იყო ყოველი ქება, ხატო, შენ გაგვიხსნენ, ჩვენ გადიდებთ. თვალნი მისნი ყოველთა მხედავნი, თვალნი მაღლა არიან, მაღლისა ხთისანი, ხოლო კაცთა რაჟამი მასწევია კაცნი ცხრომელთა არიან დიჩინნი, ამპარტავანნი, უტნი, უმეცარნი, ფეხნი ბირკოლებისაკენ. სატნო მავიდა წინასა ყოველსა სიე ცხოველსა ჯვარსა, რატო ვერ იცნა დედამა თავი წმიდა, თავი პეტრია ხთისა მოწაფე. არსივნი შაშინებულან, არსივნი შაკვირებულან კანას. კანეს, გალილიას და ეტყვიან: მორე-მორე მოდიოდა ადგილსა ამას იესო ქრისტე, ფილიპე ვერსა კითხულობდა ჩვენდა,რაღა თქვიან დედაკაცისად. პეტერსა წმიდასა უთხრეს: ეგე ვინ გონია პეტრე. ნუ იმერია მერევნელია. მაგან ქრისტესა თქვა, თავიც იხსნა, ჩვენც გვაცხოვრნა, ჩვენც გვაკურთხნა. ამაზედ ავაშენენით ეკლესიანი ხთისანი, ეკლესიაო ხთისაო, შენი უკვდავი სიტყვაო, უკვდავი დედა ხთისა მარიემისა. რატო გამოჩინდებოდა, ვითართა კაცთა შორით ექცეოდა, კაცნი ეწმუნეობით არიან სავსენი. წმიდაო გამგე, გაამაცხადე, თუ რამე იყვა ბნელეშია. ხორცნი უფლისანი, სისხლნი მაცხოვრისანი ღაღადებენ. ჩვენ წინაწინ ახლისა რჯულია, სამსახურია დავდეითავ. სიგძით მახენე, იწამე ღმერთი, მამაო ჩვენო, ყოფილო ჯერ ხთისა მხოლო შობილო, მამისა გამაშობილო. მამისა კი აგრე ბძანებდა: რომენმა შაღმოსენ ცანი ღურბლითა, ხოყანანი მწვანვილითა, რომენმა გადანამზადენ წვიმა ხოყანათაზედა, თესლია შენია, ჩვენო მაცხოვრებაო. დღეს შენ დაამკვისე, ნათელიც შენ დაამკვისე, ბნელიც შენ დაამკვისე. შენ კი არა ერმა, უფალმა. უფალო, აკურთხე თესლი ესე, უფალო, აკურთხე მარილი ესე. სიორდანე ღვინო გარდასცვალე წყაროთაგან მდინარეთა, ბაღდად დახკალ არა შჭამე, დასთხიე სისხლი მისი ვითა არცა მხალი იყვა მიერ ქველისა მოქმედი. მოწყალეო, კურთხეულობა მაგვანიჭე მას დღესა რჯულისასა, დღეს რჯულსა ხსნილობაია, ჯვარსა კურთხეულობა. ხსნილ კურთხეულია ჯვარი და სისხლი შენი შაიწირე, წმიდაო მამაო, ძეო, ჯვარო წმიდაო, დასწერე ჯვარი მაყენებულსა, მაჭსენებულსა ამას ზღვენსა შენ სადიდებლად. შენ გადიდას, შენ გაგიმარჯვას სამებაო წმიდაო”.

კურთხევის და ხუცობის დროს ხუცესს ხელჩი უჭერავ ხანჯარი ან დრძელ გალესულ დანა (ამას ხუცის დანას ეძახიან). ხუცობას რო გაათავსებსა-დ კურთხევასაც, დანას საკლავს დააღირებს კისერჩია-დ შაუსახელებს კიდევ: შენ გადიდას, შენ გაგიმარჯოს ღმერთმა სანებავ, მფრინაო ანგელოზო, შენა სამთავროდ, შენა გასამარჯოდ მაიჭმარი ე სამსახური, მაყენებული, მაჭსენებული. შენდ ჭადუელთ შენთ ყმათ, სოფლის რიგ არ დაუყრავისა-დ შენ შენს წყალობას ნუ დააკლებ, უშველ, დალოცვილო. შველა შაგიძლავ, ღმერთმა ნუ წაგართვას ძალი-შაძლება, დაეჭმარი ველთაცა, შინაც, შენის სახელის ჭირიმი. ხთის

კარსე მაიკმარი შენი ყმათა საშველად, სამწყალობნელოდ, ღმერთ შენს ბატონობას გაუმარჯვებს.

შესახელება რო გათავდების, დასტური საკლავს ოთხთავ ფეჭთ დასტაცებსა-დ ცალს მუჭლზე შამაიგდებს, ცალით მუჭლით მიწაზე ზის, პირთავისკენ დაიჭერს, ხუცესი საკლავს ყელს გამაშჭრის.

საკლავის დაკლვის წესი პირიქითს და პირაქეთ ხევსურეთში სხვადასხვანაირია. პირიქით ხევსურეთში, მაგალითად, არხოტში, საკლავს დასტური დაიჭერს ისე, რომ დასტურიც პირაღმოსავლეთისაკენ ზის მუხლით და საკლავსაც მუხლზე ისე დაიდებს, რომ მას თავი მარჯვენა ხელისაკენ აქვს, გული და მუცელი – აღმოსავლეთისკენ, ზურგი საკლავის დამჭერისკენ. ხუცესი საკლავის დამჭერს დაუდგება მარჯვენა მხარეს. საკლავს წვერით გაუყრის ყელში დანას ან ხანჯალს და შიგნიდან გარეთ გასჭრის. პირაქეთ ხევსურეთში კი დასტური საკლავს იჭერს ცალ მუხლზე ზურგით აღმოსავლეთისაკენ და საკლავს გარედან ამოუსვამს ყელში ხანჯარს და გარედან შიგისაკენ გამოჭრის, ყელგამაჭრილს საკლავს მიიტანსა-დ გადააგდებს სუფთა ადგილზე, თუ გვერდალი ას, თავით დაბლა, რო რაც შაიძლების მეტ სისხლი გამაუვიდას. ხევსურებ ამბობენ, რო საკლავსავ რაც მეტ სისხლ გამაუვავ, ჭორციე უფრო გემნიერი ასავ. საკლავს რომ გადააგდებს, დასტურ მაბრუნდებისა თავის ადგილზე დადგების. ჭელოსანი ანუ ხუცესი იტყვის: "გწყალობდასთ ყმათ (აყვება ხალხიც), საწაღმართო მაგიარასთ, მშვიდობით შაგინახნასთ, ხალიზ მაგცასთ, ბალინჯ მაგარიდასთ, ზამთრობა მშვიდობისა გადაგაყრივასთ, მესასოფლოეს გწყალობდასთ სანების დავლათ, ნუ შაგანანასთ სასოფლო სარიგოს არდაყრა, კლოვ უკეთი გუილით მაგკერძასთ. თქვენ მაგცასთ წყალობა დასტურ- ბუჯირს, ჭელოსან გამძღობარს, ნუ შაგანანასთ მსახურობა, კლოვ უკეთი გულთ მაგკერძასთ. ხუცესს ენა - პირი გიკურთხას, შაუცოდვრად, შაუწყენრად შაგინახნას." დამწყალობნება რო გათავდების, დასტურ-მსახურნი დარბასში შავლენ, მესასოფლოეი-დ სხვა თუ ვინ ას მასული, დარბასის კარში მარჩებიან. ხუცესი იქაც დაასხამს ლუდსა-დ გარეთ გამასატანადაც დაუსხამს საწდეში. გაიმართების სმა, ხანდიხან იცინიან თიკნის დაკვლა სადობილოდ.

ცოტა ხან რო გავ, სამხრობის დროს სოფელში ერთმანეთს გააგებიებენ – წავიდათავ, ჯარ დავსხდათავ ჯვარჩიავ. წაე ყველა კაცები, მიელენ, ჩოქს მაუხრიან, მადლს მასთხოვენა-დ დასხდებიან დარბაზის გვერდზე. წაღლალვენ მელუდესა-დ გამაიტანენ ლუდს,მაგრამ თუ ან სასოფლო არ ას მაყვანილი ან სხო ჯურუმ რაი სოფელზე-შუღლზე, ან ჭირნახულის დალევაზე და ან ჯარზე თუ ვინ დგას ჯვარის გამძღოთ წინააღმდეგ,მაშინ შაიძლების ლუდ არ დაუსხან. ან სრუაც შაიძლების მანამ ის არ შასრულდების, სრუაც რიგ აღარ უყენან ჯვარს. ან კიდევ დღეობის ბოლოსაც იციან დროშათ გარმაყუდება. დროშათ სამკვიდროს აღარ წაიყვანენ, ვისაც რა ღმართებს ჯვარის წესების მიხედვით იმის სამრისხეელოდა-დ ეს ქოოდ სანაწყევროი ას. აქეა თუ არაი აქვ, მაინც იშოვისა, შაასრულებს ვალდებულებას, საკლავია თუ სხვა რაი. მემრ შაასრულებენ ჯვარიონნიც თავის წესს. დაუსხამენ, ლუღსა-დ გამოიტანენ მელუდენი, ზედამდეგები მაიტანენ სპილენძის თასებს, წინწინ მელუდეთავ შააძლეენ (ლუდის მომტანებს), დარბასშიით გამაუტანენ ლუდს განსაკუთრებული სპილენძის თასით, ამ თასს მელუდეთ საინაი ხქვიან.

მელუდენი, დაილოცებიან: "გამარჯვება წმიდას სანებასა, იმის წყალობა გქონდასთ ყმათ ქერაულ-რკინაულთ, საწაღმართო მაგიარასთ, მშვიდობით შაგინახნასთ. კაცსა კას-დროს გიმატასთ, სარჩოსა-სარგებელს. ბევრ დრეობა მშვიდობისა მაგგვარასთ, კარგა ყოფისა. აქა მბძანებელს, ჩვენში წეულს, მწყვდეულს, ბატონის წმიდის სანების კარის მლოცავს". ვინც თასი მისცა, კერძოდ იმას დაულოცვენა-დ ეტყვიან: (სახელი) "შენეული მქონდ, შენობაი ქნას წმიდის სანების დავლათმ. ჩემთან თას ნუ მაგიშალასთა, მტერსთან ჴმალი-დ გამარჯვება".

შასმენ ლუდსა-დ გაიმართების ჯარის წესით სმა. ვისაც თასს მოიუტანენ, სადაც რა ვის გასახედავი ჯერ იმას მაიშორებენ (გასახედავი ნიშნავს იმას, რომ მოსისხლეები ერთიმეორეს პატივს აძლევენ – თუ ვისმე მოკლული ჰყავს ერთიმეორე, მოკლულის გვარის კაცებში ერთ-ერთ უფროს კაცს გაუგზავნის პატივად, ე.ი მოკლულის გვარის კაცს პატივს მიუტანენ მკვლელის გვარის კაცები. მანამდე თვითონ არ დალევენ). პატივად თასს რო მიუტანენ (სხვა კაცის ხელით გაუგზავნიან), ის იტყვის: "მე არას უხედავ თასს, არც პატივს, ეს ჩემის სირცხვილის თასი ას, ეგ კი ამ თასით თავის -თავს დააყენებს, თავის-თავს სცემს პატივს". მემრ ვისაც თასს მისცემს, ისი უფროს კაცს ვის ეტყვის: "ადეგ, ე თასს სიტყვა უთხარი". უფროს კაც ადგებისა-დ იტყვის: "ღმერთო, დიდება შენდა, ღმერთო, მადლი შენდა, ღმერთო, გაუმარჯვი წმიდას სანებასა; სანებაო, შენ წყალობა მიეც (დაუშვათ, ბრალდებულია წიქა, ხოლო დაზარალებული ბათირა) წიქასა ბათირას ერთუცის მოდავეთ. რაც არ ჩამაღვარდნივ, ავს ნუღარას ჩამაუგდებ, შუ გაუარი, წაღმ მაუარი, შენ წყალობა დააყოლი. ღმერთო, ნუ იქ ბათირაის საქმეს ისრ, რომ საცა გაოსა-გამაოს კაცთ სანახაე კაც არ იყოს, კაცნ არ ხედევდან, საპატიო არ მიუდიოდას. ღმერთო წმინდაო სანებაო, ნუც წიქაის საქმეს იქ ისრ, რო ხალხჩი გასულმ გასაგო არ გაიგას, საპატიოს პატივ არ დაზდოს. სანებაო, შენ სადიდებელი ას ეს თასი, შენის დიდებითა, ჩემის სიტყვის მაჴსენებით, ხთის წესითა, მღდლის წესით, იერუმსალეთის ნათლით, ქრისტეს გარიგებით, ზედამრჩოების დღეგძელობით, სააქაოს ნათქვამ თუ საიქიოს მიდიოდას, წესი სამართალ იყოს, სულს შანდობა მიუდიოდას, ეს თასი სულსამც წიქაის მამისას აბიკაისას მაეჴმარების" (თასი ილოცება თასის მიმტანის ე.ი ბრალდებულის მიცვალებულისათვის), - "შაუნდნას, ღმერთმ მააჴმარას" – ამბობენ ყველანი. ვისაც თას უჭერავ, ადგებისა-დ იმ თასს უფროს კაცს მისცემს, რომენმაც დალოც. ისიც გამაართომსა-დ დაილოცების კიდევ: "გამარჯვება წმიდას სანებასა, იმის წყალობა გქონდასთ, ერთუცის მოდავეთ, საწაღმართო მაგიარასთ, შუ გაგიარასთ, რაც ავ ჩამაგივარდათ, ნუღარა ავ ჩამაგიგდასთ, შაუნდნას ღმერთმ (შეიძლება შანდობა ვინმემ დაიძახა. მაშინ ის თასი შანდობის მთქმელს ეკუთვნის, მეორე თასს კი აუვსებენ დამლოცავს. მაგალითად თუ ვინმემ წამოიძახა: "შანდობა ხუცესსაო", იმას დაალევინებენ დალოცვილ თასს). მემრ დამლოცავს ეტყვიან: "აბა გადასვი,ვინაც ლოცავ,იმან კოცნაე". იმ თასს დააცლევენა-დ მეორეს თასს მიუტანენ კიდევ იმასაე, ვისაც წინა თას ეჭირ პატივად მიტანილი. შასმით დამლოცავმ შასვა, იმას ქვე არა ერგ, ვისადაც მიტანილ იყვ. მეორეს თასს რო მიუტანენ, ამას ხქვიან: "სასმელ თასი". ადგების ის კაცი, ვისაც პატივი-დ თასი ხქონდ მიტანილი-დ ადღეგძელებს ბრალდებულს. ბრალდებულ მუჴლზე ზისა-დ ხანდიხან ხათრით ეტყვის: "მადლობელი ორ, ღმერთმა გაცოცხლას". სასმელს რო შასომს, ეტყვის:

"აი გადღეგაჭელას ღმერთმა, შავსე შენის გამარჯვებისა. ადეგ, მუჭლზეით, ადეგ. [illegible] ბარალდებულსთან, ააყენებს მუჭლზეითა, მისცემს თასს. ის არ დაჯდების, [illegible] დალოცავს. მანამდენ თასის მიმცემი ე.ი. დაზარალებული არ დაჯდების. ის რო დაჯდების, მემრ ბრალდებული ადღეგძელებს:

"ბათირავ, ღმერთმა გადღეგძელას. კას თავსა კას ოშკაცობას ნუ მაგშალას. მე მადლობელი ორ, რო ხალხში გამასვლისა, თვალთ ატანის ნებას მაძლევ. მე მხეზე არ უნდა დავიდოდ, მაგრამ შენის კაცობით მაქვ სიცოცხლისაი, კარჩი გამასვლის ნებაი, ღმერთმა ნუ მამაშორას შენ თვალ-გული, უშენოდ ღმერთმ ერთ მტკაველ მიწა ნუ გამავლიოს. მანამდინ გადღეგძელას, მანამდინ ცას ნამ მაზდისა დედამიწას მწვანილი. ძალ ხთისა გეწეოდას, შუქ მზისა. ხალხნო, თქვენ თავიც უდღეგძელას ბათირას, თქვენ თავიც ნუ გამაართოს, კაის თქმადა, კაის გონებად ნუ დაგლივნასთ".

მკვდრისად დალოცვას ადვილად არ გაღბედავს, რაკი არ უნდ, რო მკვდრებ მააგონას. რო დაილოცავს, ფეკზე ნადგომ შასომს, მემრ მადლს გადაიკდის: "შავსე შენის გამარჯვებისა. მადლობელი ორ, ჭირ დაველი შენი". მემრ სხო ვინ გამაართომს თასს ჭელჩიითა-დ ეტყვის: "ღმერთმა გაამას". ბრალდებული ჯარის ბოლოში, სრუ მუჭლით ზის, მანამდინ თავის მესისხლეს ე.ი. მაკლულის ნათესავს, მოგვარეს იქ ხედავს.

მამკლავები ჯარზე სრუ ხათრით არიან, მუჭლით სხენ, ვერც იმღერებენა-დ ვერც ითამაშებენ. დაუკვრენ ფანდურსა-დ გაიმართების ჯარის წესით საგმირო სიმრერების მღერა. სიმღერის დროს უფროსებ თასიანები სხავ ახალგაზდაები კი მუჭლით ჯარის ბოლოსკენ. მემრ ერთ ვინ ადგების ფეკზედა, შამღერნებს მამღერალს. მამღერალი მუჭლზე კი ზისა, ფანდურს უკრავს. მეორე მამღერალი იმის დაკვრას ააყოლებს მოკლე საგმირო სიმღერებს; თან თავის ლუდიან თასს მახყუდებს ლაშთა-დ შაასმევს. შასმამდე ეტყვის: "ნასვამ გაამას, შენის გამარჯვებისა". სიმღერას რო გაათავებს, მეორე მამღერალ ეტყვის: "მაიმწყურიელე, შასვი, ყელ ამაგიშრებოდ". შასომს ლუდს, აუვსებს იქავ თასს; წაიყონს თავის ალაგჩი, მისცემს თასსა-დ ეტყვის: "ჯვარ დაგიწერას ღმერთმ" - "ჯვარის წყალობა გქონდას", უპასუხებს ისიც. პირველ მამღერალ იქავ მუჭლით დაჯდებისა, სადაც გაწყვიტა სიმღერე, იქით იმღერებს. სიმღერეს რო გაათავებს, იტყვის: "აი თქვენის გამარჯვებისა" (ზემოთ არხოტის რელიგიის აღწერის დროს ნათქვამია ჭირის პატრონისაგან დღეობის დასაწყისს ჯვარჩი მისვლისა და ფანდურის გატეხის წესებზე. აქაც პირაქეთ ხევსურეთში, როგორც არხოტში, ისეთივე წესით სრულდება ყველაფერი).

როსაც დაითვრებიან, ახალგაზრდებში შუღლიც ხშირად ხვდების. ერთ ცოტას საქმეზე მეეშარებიან ერთუცსა, დადგების ფარ-ჭმლის ჯღრიალი, ხანდიხან ორ გვარ დაერივის ერთუცსა-დ ძვირად ვინ დარჩების, რო ნაჭრევიან არ იყოს. სიკვდილით კი ძვირად ვინ კვდების, მაგრა არ სცემენ იარაღით. ჭელი აქვ დაჩვეული, წყნარად დახკვრენ. სირცხვილიც ას მაგრად დაკვრა: დაშინდაო, შიშით დახკრავ მაგრადავ, იტყვიან. ამაობაში დაღამდებისა, გაიყრების ჯარი. უფროსები ურჩევენ ახალგაზდებს, რო ჯართ უკენობამდე (ჯარის ბოლომდე) არ უნდა იჯდასავ, უკენობასავ თავუკვირებ (უთავმოყვარო) ხალხ დარჩებისაო-დ შუღლი-დ უსიამოვნება მაშინ ხვდებისავ.

მეზღვნეებ მადიანა-დ იპოცების ზღვნები (ზღვნის დაკვლის წესები არხოტის ჯვარის დღეობებში არის დაწერილი, მხოლოდ აქ არის ცოტა განსხვავება. მაგალითად, ვისაც ვაჟ არ ხყავ, ცოლ-ქმარნ წავლენ საზღვნელად, ერთდ ღირეულს საკლავს წაიყვანენ ან ცხვარს, უფრო ჭედილას. მიევლენ, მიიტანენ სანთელსაც, სასმელსაცა-დ ადიდებენ ჯვართ. ხალხი ბლომად მაიყრის თავს იმათ დასამწყალობნებლად. დიაც შორს დაჯდების მუჭლისკვერზე) სადაც დიაცებისად გამწესულია მისვლა, იმაზე უფრო ახლოს ას მისასვლელი ბედის მეხვეწურისაი. კაცი კი, სადაც საკლავი იკვლის, იქ ან დადგებისა ან მუჭლისკვერზე დაჯდების. მასთხოენ მადლს, შაეხვეწებიან წმიდა სანებას: "წმიდაო ბატონო სანებაო, შენ გვიშველე, შაგვიბრალენი. შაგიძლავ, დალოცვილო, უბედოს გაბედიანებაი-დ მაგვეც ერთი ვაჟი შენად სადიდებლად, შენთა ყმათა მასამატებლად, აგრემც ღმერთი შენს ძალსა შაძლებას მაუმატებს". დასტური დაიჭერს საკლავს, ხუცესი დადგების მარჯვენას გვერდზედა-დ იძახებს: "დიდებად გამარჯვება შენდა, წმიდაო სანებავ ცროლის წვერისაო, ბატონო მფრინაო ანგელოზო. შენა სამთავროდ, შენად გასამარჯოდ მაიჭმარე ე მაყენებული პირისაბანი, შენის მეხვეწურისად (დაუშვათ: უნცრუა) უნცრუაისად კაც-დიაცთად საშველო-სამწყალობნოდ მაიჭმარი. დალოცვილო წმიდაო სანებაო, შამაგხვეწნინა-დ შამაუთხოვავ უბედურთ ბედი. შაგიძლავ, შენ ბედი-დავლათ დააჭმარი, მიეც წული შენდ სასახელოდა, შენის კარისა კამალაის სალოცავად, შენთ ყმათაში გასარევად. ისმინე, გაიგონი. ღმერთი შენს ბატომობას გაუმარჯვებს, ძალსა შაძლებას მაგიმატებს". ამას მააყოლებს ხუცობას:

"ა-ა - ა-ა, დიდება ღმერთსა. მადლი ღმერთსა, დიდება მზესა მზის მყოლთ ანგელოზთ, დიდება დიდსა-დ მადლიან ძალიანს, დიდს კვირაეს, ხთის მაღლის მოკარვეს. დიდება-დ გამარჯვება შენდა, მფრინაო ანგელოზო, ბატონო თეთრო ანგელოზო, სანებავ ცროლის წვერისაო. უბედურთად ბედის მიმცემო, დაცემულთ აღმდგინებელო. ღმერთმა გადიდას ამ სამსახურზე, მაყენებულზე პირისაბანზე, ღმერთმა გაძრიელას, ღმერთმა მაგცას: ცამდინ სიმაღლე, ზღვამდინ სიმაგრე, შველვა, რგება, ხოიშნობა შენის მეხვეწურისად უნცრუაისად კაც-დიაცთად, მაგათ თავისად, ჯალაფობისად, კაცისად, საქონისად. გეძახან შენ მეხვეწურნი, გეხვეწებიან, შაიხვეწენი, ბედს გთხოვენ, ბედი ბოლო მიეცი. მე შენდ შამამიხვეწებიან, შენ შენს გამჩენს მორიგეს დამრიგეს ღმერთს შაახვეწენ. წინპირა კაცის მეხვეწურნი კაცსა კას დროს მაუმატი, ბედსა ბოლოს მაუმატი, შენს ძალსა დიდებას მაემატების. სხო რა ხთიშვილ უწყრებოდას, უმრუდდებოდას, მადლ დაუთხოიდი, სხვასთან უშუიდი, თაოდ უშველიდი, თაოდ პირწალმა გულწალმ დაუბრუნდიდი. სახელიან ზღვენი სანთელი აიტანიიდი, ხთის იასაულნ გამავიდოდან ხთისაგან გამაშობილნ, ჭორციელთ ბეგრევდან, კვირაეს სარდლობდან, ყალანს იღებდან, შენ მეხვეწურთ ყუდროს ნუ მახკერძებ. ეკერძებოდას ნებით აჭდიკიდი, ნების ბეგარ გაატანიკიდი, სხო ყუდრო – შარა გაასწავლიდი, იხვევნიდ-იხვეწნედი ავის დღისად, ლაღის მტრისად, საზიანოს საქმისად. ჩემგნივ რაც დიდებათა, ჭსენებათ გაკლდებოდას, სანებავ ბატონო ცროლის წვერისაო, შენს წყალობას მაუმატიდი, შენის მეხვეწურისად უნცრუაისად კაც-დიაცთად, ბედის მეხვეწურთად, მაგათ თავისად, ჯალაფობისად, კაცისად, ქუდოსან-მანდილოსანთად, ყურთად მსმენისად. შველდითა სწყალობდით, სცევდითა ხფარევდით. გამარჯვება თქვენდა თქვენის გამჩინარის ხთისად".

ხუცობას ზედ მოემბის კურთხევა. კურთხევის დამთავრების შემდეგ დაამწყალობნებენ: "გწყალობდასთ კაც-დიაცთ უნცრუავ, ბედის მეხვეწურთ ბედ მაგცასთ, ნაძახინარ გაგიგონასთ, ნურა შაგანანასთ, სიხარულა გაგიჭადასთ ჭსენება-დიდება, წულითა საწულით შამაგიხვეწნასთ, შაუძლავ დალოცვილს ბედი-დავლათ დაგაჭმარასთ. თქვენის გულისა გიყვასთ". მემრ მიბრუნდების, ჭელოსანი მანდილოსანს დაამწყალობნებსა-დ იქ მყოფებ ყველა ერთხმად ამწყალობნებენ ჭმამაღლა: "გწყალობდას, მანდილოსანო, წულითა-საწულით შამაგიხვეწას, გიშველას წმიდის სანების დავლათმ, შენის გულისა გიყვას, კაცის მეხვეწური ხარა, კაცსა კას დროს მაგიმატასთ დალოცვილმ, ძე მაგცასთ". იწერს პირჯვარს მანდილოსანი, მუხლზე ზის,"თქვენს თავს სწყალობდასავ",- ამბობს. ამას მახყვების სამეზღვნეო ლუდი, პატივისცემა მეზღვნისად. მანდილოსანსაც გაუტანენ ლუდსა-დ შაასმევენ, მანდილოსან დაიწერს პირჯვარს, მასთხოვს მადლსა-დ გაემართების შინისკე. ჯვარიონნი, იქ ნამყოფ ხალხ ადგებიან ფეჭზედა დაამწყალობნებენ: "წყალობა წაიღი, მანდილოსანო, წმიდის სანებისა, წაღმ გამაგყოს წმიდის სანების დავლათი, კლოვ უკეთი გულით გიმსახურას, წულითა-საწულით შამაგიხვეწას".

მეზღვნის ტაბლასა და სამეზღვნეო ლუდზე ნათქვამი ას არხოტის ჯვარის დღეობების აღწერილობაში და აქაც ხდება იმავე წესით.

მეორე დღე გათენდების გიორგობაი. ესეთისავ წესებით სრულდების ყველა, რაც აქ ნათქვამი ას, განსაკუთრებით ახალ წეს არაი ას. მესამეს დღეს კიდევ მაოს სოფელიცა-დ ჯვარსაც ყველა რიგ უდგას, ღამის-თევა, ჟამისწირვაი-დ სხვაი. სოფლის ჯარ დასხდების, ლუდს გამაიტანენ ნარჩომ-ნურჩომსა-დ გაიმართების ჩვეულებრივად სმაი. რო დაღამდების, ჯვარიონნი კიდევ მაიტანენ ერთს დიდს ქადას, რომენსაც ხქვიან გამასამალო. გამასამალოს იხუცებს ხუცესი როგორც ღამისამთელოს. დასტურებიც ყველანი იქ ესწრობიან გამასამალოს ხუცობაში. გამასამალოს რო იხუცებენ, როგორც ღამისამთელოზე ას ნათქვამი სადიდებელთ შასმის წესი, ამ სადიდებელთაც აისრ შასმენ. გამასამალოს დაშჭრიან იმთვენ ნაჭრევად, რამთვენიც ესწრობის იმის ხუცობასა, ყველას ჩამაურიგებენ თითოს ნაწვრეთს. "არ მინდავ" - ჯვარის ნახორზე ის არ ითქმის, არ ვარგავ იციან, ჯვარ გაწყრებისავ, რო ჩემს ქეზიკის წილს იწუნებსავ. არც დაბრუნებაი ვარგა-დ არც მათხოვა ან უკანონოდ სახლში წაღება, არც მარტოსგან შაჭმა. ინაბარს უდებსავ, იციანა-დ უარესს იზამსავ, ველარ მაშლისავ (ქეზიკის წილს ეძახიან ქადის ნაჭერს. აგრეთვე სხვა რამე რიტუალურ პურის ნაწილს).

გამასამალოს რო იხუცებს, დაამწყალობნებენ საყმოსა, საგლეხოს, ერთიმეორეს, სადიდებელთ წესსაც ყველას მაიშორებენა-დ დასხდებიან, ამ დროს შანახული აქვ საუკეთესო არაყი, ლუდი,კა ჭორცი.

დასხდებიან, ჯვარიონნი-დ ძალიან კაი დროს გაატარებენ, ამას ეძახიან საკუთარ დღეობას. სმენ, ჭამენ, საუბრობენ. ზოგებ ნახორს, ჭორცსა-დ ტყავებს ანაწილებენ, ჭორცი დასტურ-ჭელოსნებს ყველას უსწორდების სწორ-სწორად, ტყავებიც, ნახორიც. თუ ჩხანჩხი ხყავ, ერთს საკლავს ჩხანჩხსაც მისცემენ. დიასახლისს, რომენმაც ქადებ გამააცხვ, ლუდს გაუგზავნიან ცოტა ქვაბით სადიასახლისოს. ბოლოს მასთხოვენ მადლსა-დ წამავლენ დასტურები, ეტყვიან ჭელოსანს ანუ ხუცესს: "ჯვარ გეწერასთ ჯვარსაცა კაცსაც". ხუცეს ეტყვის: "ჯვარის წყალობა გქონდასთ, ჭელ მაგიმართასთ,

წყალობა წაიღით წმიდის სანებასა, წაღმ გამაგყოსთ წმიდის სანების დავლათი, მეწაღმართე ანგელოზ გამაგაყოლასთ". ბოლოს, ჭელოსანიც გამაიჭიპჭავს კარს (გამოიკეტავს), მასთხოეს მადლსა-დ წამავ; "დიდო წმიდაო სანებაო, - ნურაით შამისაწყონდებ, ნურაის ინაბარს ჩამიდებ, გამამაყოლი მეწაღმართე ანგელოზი დღისაი ღამის მცავადა მფარავად, შენის სახელის ჭირიმი". ზემოთ გამოგვრჩა დროშის გამოყვანის წესი, რომენიც შემდეგ დღეობაში იქნება მოყვანილი. სანების დროშა გამოყავთ შემდეგ დღეობებში: 1. გიორგობას, 2. ქრისტეს წელწადს, 3. აჭვსებას, 4. ამაღლებას, 5. ათენგენას. გამახყავ მკადრეს.

ქრისტე

საქრისტო ქვაბებიც დასტურებისაგან დაეყრების ჩვეულებრივად ერთი კვირით წინ, დღეობამდინ. დასტურნ ადუღებენ ჯვარის ქერისაგან გაკეთებული ფორის ფქვილის ლუდს (ლუდის დუღების წესი აღწერილია არხოტის ჯვარის დღეობებში). თუ ორ ჩხუტ წყალ ჩაასხეს ქვაბში, ერთს ჩხუტს ფქვილს ასწყვენა-დ ჩახყრიან. კაის ლუდის გაკეთება თუ უნდ, რამთვენიც ფქვილ ჩაიყრების, იმთვენ სვე უნდა დააყარასა-დ. რამთვენიც ფქვილ აწყეს, დუღილის შემდეგ იმთვენ ჩხუტ ლუდ უნდა დადგას, მაშინ გამადის კა ლუდი. თუ საგულდაგულოდ არ აკეთებენ ლუდს, მაშინ სვესაც აკლებენა, არც ჩაადუღებენ ბევრს. თხელ ლუდს დააყენებენ. კოდსაც კი გააჩნავ, ზოგს კოდში კა გამადის ლუდი-დ ზოგში არ. აისრავ მესაფუვრეიც სხვადასხვაი – ზოგს შაუძლავ, იცის კაის ლუდის გაკეთება, ზოგ კას სისწვენსაც ვერ აფუვლებს რიგზედა, დაღლევს (გააფუჭებს) ლუდს, ან თბილს შახყრის ძალიან, ან გრილსა-დ არ იფუვლებს რიგზედა, დაილივის, დამუავდებისაც. თუ ძალიან გრილად შაიყარ ზამთრის, სრუ არ იფუვლებსა-დ ისიც მირღო დარჩების, არ დაიხოშების. ვინაც კა მესაფუვრეი ას, იმან იცის ზამთრის რამთვნად დაგრილებულ ლუდ უნდა აფუვლას, ან ზაფხულის რამთვენ სითბოს აიტანს. ხანდიხან ხის კოდშიით სპილენძის ქვაბში გადაიტანენ, რო კოდში თხლეს მაშორდას. სპილენძის ქვაბში დაიწმიდების, თხლეს ძირჩი დაისომსა-დ წმიდა ლუდ დარჩების. ხანდიხან ნაცრის დაყრაიც იციან, თუ დაფერულ არ ას ლუდი, ნაცარი მახკრეფს, ფქვილის ნაწილ თუ ას არეულ ლუდშია-დ, სრუ ძირს წაიღებს. დარჩების წმიდა ლუდი. თუ ზამთარი ასა-დ ლუდ მასულ არ ას ე.ი. მაფუვლებული სიციეისაგან, მაშინ ჭიჭს მახჭდიან, ამაიღებენ ლუდს დიდ ქვაბჩი, გაამწვავებენა-დ ჩაასხამენ კოდჩი, მააკვრენ პირზე მაგრადა, ერთ ღამეს მაიფუვლებსა-დ მივ ლუდი თავის ალაგზე.

ქრისტე-მარხვას ჯვარივნებ ყველანი იჭერენ. წუხრ მიელენ ჯვარჩი ყველა დასტურ-გამძღონი, მიიტანენ სამარხოს ღმისამთელოს – კარტოხაიანი იქნებისა თუ მხლიან რაიანი. კარგად რო დაღამდების, დაზდებენ ღამისსამთელოს ტაბლაზე. ხუცესი დაასხამს ლუდს საწდეში. ღამისამთელოზე სამ თასი დგას ცალეები. დასტურ აიღებს ყერცხლის აზარფეშასა-დ აავსებს სადიდებლებს საწდეშიით. ადგებიან ყველან ფეჭზე, მაიჭდიან ქუდებსა-დ იტყვიან: "დიდება-დ გამარჯვება შენდა, დიდო წმიდაო სანებაო! ღმერთმა ნუ წაგართოს ძალი-დ 'მაძლება". ყველან დასხდებიან. ცალს მუჭლზედ პირ იქისკე, სადაც სანთლები-დ ღამისამთელოი ას

კარიგებული. აკოცებენ მიწას. მემრ ადგებიან ფეჭზედა, ხუცეს დაიწყებს ხუცობას ჩვეულებრივად. ჭელოსან ანუ მკადრე იმის ხუცობაჩი გამავ. მივ საზარესთან დიდის ხვეწნითა-დ მადლის თხოვით, დარეკს ზარს. სამჯერ შამახკრავს ნელ-ნელადა-დ მერმ ეფცრო ჩქარ-ჩქარა დაიწყებს რეკას. რეკს კარგა ხანსა-დ იმ დროს შავ დარბასში, რო ხუცეს იქავ ხუცობს. შასულ წყალობას ეტყვისა-დ დადგების ხუცესის გვერდით. ხუცესიც გაათავებს ხუცობას, დაამწყალობნებს ყმათ, მემრ ყველან წყალობას ეტყვიან ჩვეულებრივად: "გწყალობდას ყმათ სანების ჯვარი, თქვენის გულისა გიყოსთ, ხალიზ მაგცასთ, ბალინჯ მაგარიდასთ, წელ მშვიდობისაი-დ ღალიან, ბარაქიან, წელიან, საწულიან დაგიყენასთ". დამწყალობნებას რო გაათავებენ, მააყოლებენ სადიდებელთ ყველა წესებს, როგორც გიორგობის დღეობაში ას ნათქვამი.

მემრ დასხდებიანა-დ დაიწყებენ სმას. აქ მარტო ჯვარის გამძღონი-დ დასტურნი არიან. იქნება კი სოფლელიც ვინ შაემწყვდიოს ან ჭირისპატრონი ან სხო, იმასაც პატივს სცემენ.

ღამისთევიდგე მაუტანენ ფაფას ერბო დასხმულს ან ბაკნითად, ან ქვაბით. ქრისტეს წუხრას წესი ას, ვინაც მარხვას იჭერს, ყველა ფაფით გასტეხს მარხვას. აისრავ ჯვაროინნიც. ფაფას დასდგმენ ცეცხლთ ახლოს ტაბლაზე. ადგების ხუცესი, აილებს კოზს, ამახკრავს ერბოს, დაასხამს ცეცხლზედა იტყვის - "დიდება ღმერთსა, დიდებად გამარჯვება შენდა, მფრინაო ანგელოზო, ბატონო თეთრო სანებავ ცროლის წვერისაო. შენ უშველ, დალოცვილო, შენთ ყმათ შენ ჭელოსან-გამძღობართა-დ დასტურ-ბუჯირთ. ბევრ წელწად-ქრისტე მაღგვარ, დალოცვილო, მშვიდობისა, კარგად ყოფისა, ბევრ მარხო მშვიდობით გააყვანი, უმარცხოდ, უზიანოდ ამყოფენ შენ ყმან, დალოცვილო, შამაძახილ გაუგონე, ნუ ვის შაგვისაწყინდები, შენის სახელის ჭირიმე".

ერბოს სამჯერ დაასხამს ცეცხლზე და აპრიალდების ერბო. იმას აქცევენ ყურადღებას,ძალიან აპრიალდებისა თუ არ. თუ ძალიან აპრიალდ,ის კა ლიშანი ას, კა წელ დადგების. ის რო ერბოს დაასხამს, სხვებიც დაიწერენ პირჯვარსა-დ ეტყვიან: "უსმინე, გაუგონი, დალოცვილო წმიდაო ანგელოზო, სანებავ ცროლის წვერისაო". ეს რო მათავდების, დასხდებიან, დაიდგამენ ფაფიანს ქვაბი იქნებისა თუ ბაკანი, ყველას თავთავის კოზ უდგას შიგ, ამაატანენა-დ გასტეხენ მარხვას. თან ზედამდეგები ლუდს არიგებენა-დ ასმევენ ყველას. ბოლოს, როსაც ღამისთევა ყველა თავის წესებით შასრულდების,დასტურები დააგებენ ლოგინს ჯვარის გამძღოთად,ფეჭების წაყრას შაეცდებიან დასტურები გამძღოთად, მაგრამ ისენი ადვილად არ წააყრევენ ფეჭზე ჯღნებსა-დ ყველა თაოდ წაიყრის. აგრეთვე წაიყრის (გაიხდის) ჩოჭასაც, ხევსურული პერანგით ჩაწვების ბალახით სავსე ფარდაგ დაგებულ ტახტჩი. დასტურები მიიტანენა-დ დახურვენ გუდანურს. თითოს არაყს შაასმევენ – საძილპირეს ეძახანა, გამაემშვიდობებიან, გამაიხურვენ კარებსა-დ წავლენ მადლის მათხოვით: "დალოცვილო წმიდაო სანებაო, გვიშველე, მეწაღმართე ანგელოზი გამაგვაყოლი".

შაიძლების ერთ დასტური იქაც დარჩას, იქ დაიძინას, არა-და დილას მალედ წავ ჯვარჩი. ჭელოსან-გამძღობარნი იქავ წონ. მივ დასტური, მიიტანს ჭურჭლით საღილაოს არაყს (საღილაო არაყი შენახულია ძალიან ცხარე და იმას დილ-ღილას დაალევინებენ ჯვარის გამძღოთ), ჯერ ხუცესსა-დ მემრ ჭელოსანს შაასმევს თითო-ორიოლ ყანწს, მემრ დააბანიებს ჭელ-პირს ყველას. ჭელოსანი ან გამძღო დაასხმენ ლუდს. თაოდ ისენ ეამწირვამდენ არ სმენ ლუდს,არაყს რაიც არა,მაგრამ

დასტურები-დ შამამწყვდეულ ხალხ შასმენ. ამას მახყვების ყველა ჩვეულებრივ წესები. მავლენ მეზღვნეები, მესასოფლეი-დ იპოცების ზღვნები: სასოფლო ცალკესა-დ, სხვა უბრალო საკლავები ცალკე. სამად იყოფის. ჯერ თითოობით მააჭსენებენ. ერთად იხუცებენა-დ აკურთხებენ უბედოების საკლავებს, წყალობასაც ერთად ეტყვიან ყველა მეხვეწურებს. მეორედ იპოცების სხვა მიზეზით მასხმულებ საკლავები, ამეებსაც ცალცალკე აჭსენებენ, ხუცობა-კურთხევა კი ერთად აქვის. სასოფლო ანუ სარიგო ერთ იკვლის ერთს დღესა-დ სრუ ცალკე იხუცების, ცალკე დაიკვლის. მხოლოდ გაძღოლით ყველა მეზღვნეებს ერთად გაუძღვებიან. ჯარი დასხდება ჩვეულებრივ.

დასტურ-გამძღობრები წუხრ იქავ ჩვეულებრივად უთევენ ღამეს. ყველას იმ წესით იქმენ, რაიც ნათქვამი ას წინა ღამისთევებში. დილას იქავ დასტურ მაუვლის სხვათ ჯვაროინთ, არაყს მიუტანს, ჭელ-პირს დააბანიებსად გაუდგებიან დღეობას. სოფელ ამ დღესაც სომს კიდევ ლუდს. დიაცებ კი ლუდს თვალითაც ვერ ღნახავენ, შასასმელად ვინ მიუტანს იმათ. ეს დღეიც რო დაღამდების, წუხრ იქავ მაიტანენ გამასამალოსა-დ შაასრულებენ ყველა წესს ჩვეულებრივად. გამასამალოს რო იხუცებენ, გაიმართების ჯვარიონთ საკუთარ დღეობაი. ამ დღეობასაც გადაიყრიანა მასთხოენ ჯვარს მადლსა-დ წაელ-წამავლენ.

თუ რა გასანაწილებ დარჩ, დილას მავლენ იქავ. გაანაწილებენ წესის მიხედვით. ამ დღიდგე დაიწყების საწელწდო ქვაბების დუღილი.

წელწადი

მეწელწდე დასტურები დაიწყებენ ქვაბების დუღილს წელშუის კვირაეს (წელშუის კვირაე ჰქვიან ქრისტეს დღეობის შემდეგ ერთი კვირა რომ არის წელწდამდინ). ერთ ქვაბი ქრისტე მარხვასავ დუღს სამეკვლეო, ამ ქვაბს ადუღებენ ძველნ დასტურნი. როგორც არხოტ იციან, იმავ წესით აქაც გაუძღვებიან წელწად ღამესაც, მემრ ახალნ დასტურნ ასრულებენ ყველა წესს. განძის მიტანა, შეშისა, დარბასის დასუფთაევა-დალაგება ეს ყველა ახალთ დასტურთ ევალების, ძველნ დასტურნი მარტო მზაზე მივლენა-დ უთევენ ღამეს. ქრისტიდგე მააყოლებენა-დ ახალნ დასტურნ ადუღილებენ ლუდებს. ყველაის დღეებისად იციან რამთვენ უნდა ადუღან. ეს უფრო გამძღოთ იციანა-დ ისენ არიგებენ დასტურებს. ლუდ წელიწადში სამოც ჩხუტზე მეტი დუღს. გამძღო ჭელოსანნი ქრისტემდე ერთი კვირაით წინ არიან ჯვარჩი მისულნი; იქ არიან სრუ. დასტურნ რო სისწვენს ადუღებენა დაგრილდების, ერთ-ერთ გამძღო "მესაფუვრე" გაამთელებს საფუარს, ჩაასხამს კოდჩი რამთვნადაც საჭიროი, იმთვნად დაგრილებულს სისწვენსა-დ მისცემს საფუარს. კოდს პირზე გადახურავს ფარდაგს, მაახვევს პირზე მაგრა საბელსა დაუჭასრაკებს, მაიჭდის ქუდს, დაიწერს პირჯვარსა-დ იტყვის: "ღმერთო, კოდ-საფუერის გამჩენო, შენ გაუმარჯვი წმიდას სანებას. წმიდაო სანებაო შენ დასწერ ჯვარი ამ კოდსა-დ საფუარს, მააჭდინი შენის საკადრის სადიდებელი, შენ მცველ ანგელოზს დაუყენი". ეესრ დამზადდების საწელწდო ექესის დღის საკმაო ლუდი. კოდები საჯვაროი აქვ, ჩალა წინავ აქვ მიტანილი ჯვარის ყანებზე მასულის ქერისგან, რომენსაც დასტურებ ლეწვენ (დიაც კალოსთან ახლოსაც ვერ გაივლის). ღალა

ლუდად კეთდების, წმიდად უნდა იყოს შანახული. სისწენის შაყრაში მესაფუვრე სრუ იბანების. ვითაიც (რამდენიც) კოდ ექნების შასაყრელი, იმთვენჯერ გაიბანებისა-დ მემრ შახყრის ლუდს. ქვაბების დულილჩი დასტურებს მიაქვ ცოცოტა არაყი,საძმობის ჭორცი, სალუდის ქვაბების ძირჩი ქაქეშჩი შასწვენ (საძმობის ხორცი – კასრში დამარილებული ხორცი საზამთროდ – ქაქეში ჰქვიან ნაღვერდალს. აგრეთვე ღადრუმიც ჰქვიან). ქვაბს რიგ-რიგობით უდგებიან, დღესა ღამეს სრუ ცეცხლ უგზავ, სრუ დულს. რევა მარტო ტკბილთ დულილჩი უნდ, რო ძირზე არ მიიკრას.

წელშუის კვირაე გაივლის ეესრ სადუღროით. ახლა სოფლის ხალხიც ემზადების საწელწდოდ, ქალები რთვენ ახალ ტალავარს თავისადაცა-დ თავის ჯალაფთადაც. წელწად დილას ყველა ცდილობს რო ჯალაფთ ახალ ტალავარ ჩააცვას, ძველით არვინ გაიყვანას ხალხჩი, რაიც სირცხვილადაც მიაჩნავ. კაცებ ამზადებენ საქონის საჭმელს, შეშას, დღოებაში არა გათავდასა, არ დაღონდას, აისრავ ამზადებენ საარაყეებს.

წელიწადის წინა დღეებში ერთ კვირაეს საკმაოს შეშასაც დაშჭრიანა დააწყობენ, რო დღეობაში არ დაღონდან, არ დასჭირდას შეშის ჭრა-მზადება. წელწად წინა დღეს, მეკვლეში წამავალი საწუხროდ ყველა გაიბანებისად, გამაიცვლის ახალ ტალავარს (მეკვლე თითო ოჯახიდან თითო იციან, უფრო ახალგაზრდები). საწუხრად სოფელ შაიყრების, საკლავებს დაამზადებსა-დ მივლენ მეკვლენ ჯვარჩი. საკლავები ბეგარჩი ხყავ ასხმულები (აყვანილები). დასტურ ინახავს. ბეგარს იღებენ საბალახე მთებისას. საბალახე მთები სანების ჯვარს პირაქათაც უჭერავა-დ ტანიეიც იმისად ას შაწირული (ტანიის ამბავი აწერილია არხოტის ამბებში ქისტების და არხოტივნების ბრძოლასა და ხადუელებისაგან ტანიის მითვისების შესახებ).

ამ მთაში გადმაუდიოდ ცხვარი მეჭეეებს, ფშავლებსა-დ გუდამაყრელებს. აქით იღებდეს ბეგარსა-დ საბალახეს ცხვრებს. ეს ცხვრებ კი ინახებოდ წელწდისადა-დ სამამკლოსად. შვიდს ცხვარ-ჭედილას კლევდეს წელწადში, შვიდს სამამკლოში. მეშვიდე თხა იკვლოდ სადობილოდ, წელწადში კი შვიდივ ჭედილა იკლოდ. მეკვლენ რო მიქუჩდებოდეს, სამს არჩეულს საკლავს მიიყვანდეს, შაჭდებოდესა-დ ერთბაშად მასთხოვდეს მადლს: "აშენდით ჯვარიონნო, აშენდით, წაღმამც წაგიოთ დღეი დღეობა, დაშვენდით, მაგვიხვეით მშვიდობით, მშვიდობით თქვენ მასვლა, წყალობა წმიდის სანებისა, წაღმ მაგეგებასთ სანების დავლათი". ხუცესი ადგების, ამააგებს ან ხუცის გრძელ დანას ან ხანჯარს, დაიჭერს მარცხენა ხელჩი, დაიწერს პირჯვარსა, მააჭსენებს: "ხთისაგან გაგემარჯოს, სახელ დაგელოცოს, მფრინაო ანგელოზო ბატონო სანებავ ცროლის წვერისაო. შამაძახილზე ნუ შამისაწყინდებ დალოცვილო, უტნი, უმეცარნი ორთ ჭორციელნი, ყმა შაუწყენ არ იქნებისა, ბატონ შაუნდობარი. შენად სამთავროდ, 'შენად გასამარჯოდ მაიჭმარი ეს მაყენებული, მაჭსენებულ სამსახურები, პირის საბანები. შენ ამ მეკვლეთად ჭადუელთად საშველოდ, სახოიშნოდ, სამწყალობნელოდ მაიჭმარი. გეხვეწებიან მეკვლენი, შენნ პატიმარნი (პატიმარი იმიტომ ჰქვიან რომ – მეკვლე ღამეს მეკვლეს არსად არა აქვს წასვლის უფლება, შუაღამის შემდეგ კვალს იჭერენ და გარეთ გასვლაც კი ეკრძალებათ). გევედრებიან, - შაიხვეწენი, ბედნიერ წელი კვალ გამაუცვალი, შენით წყალობით შაინახენი, წელ მშვიდობისა, კარგა ყოფისა დაუყენი. შენდ რიგ არ დაუყრავის შენთ მეკვლეთ, შენთ პატიმართა, - შენს წყალობას ნუ დააკლებ. გეძახან, გეხვეწებიან, - მე შენდ შამამიხვეწებიან,

შენ შენს გამჩენს, მორიგეს, დამრიგეს ღმერთს შაახვეწენ, აგრემც გაემარჯვების შენს სახელსა, შენს ბატონობას.'' შემდეგ მოაყოლებს ხუცობას, ხოლო ხუცობის შემდეგ კურთხევას და შასახელებას:

''შენა სამთავრო გასამარჯოდ მაიჴმარი ეს სამსახურ პირის საბანი წმიდაო სანებაო. შენ მეხვეწურთად, მეკვლეთად შენთ პატიმართად, საშველად, სახოიშნოდ, სამწყალობნოდ მაიჴმარი ეს სამსახურ პირის საბანები, შენ მიეც წყალობა შენთ მეხვეწურთ დალოცვილო, ბედნიერ წელი-კვალი გამოუცვალი ახლის წლის გამაცვლაზე. შენდ სამსახურ არ დაუყრავისა-დ შენს წყალობას ნუ დააკლებ, ხთისკარზე მაიჴმარი ეს სამსახურები, ღმერთი შენს ძალსა დიდებას მაუმატებს. ხალიზ მიეც შენთ პატიმართა, კლოვ უკეთესი გულით შაიხვეწენ დღესინდელს დღეს. წულს უმატი, დალოცვილო, ნუც სარჩოსა სარგებელს დააკლებ შენთ ყმათ ყუდროჩი, ღმერთი შენს ბატონობას გაუმარჯვებს''. შასახელებას რო დაამთავრებს. დასტურები თითოობით დაიჭერენ საკლავსა-დ ხუცესი ყელს გამაშჭრის. დაკლულ საკლავებს დასტურები ერთად დააწყობენ. ხუცესი გასწმედს სისხლიან დანასა, იტყვის: ''გწყალობდასთ დალოცვილი, ბევრ ბედნიერ წელი, კვალ გამაგიცვალასთ; წელ მშვიდობისა დაგიყენბასთ: წულიან, პურიან, სახელ-სარგებლიანი. ჯვარიოინთ მაგცასთ წყალობა დასტურ-ბუჯირს, ჴელოსან-გამძღობარს. დასტურს დასტურობა ნუ შაგანანას, ჴელოსან დიდხან გაგიყოლას, ხუცესს ენა-პირ გიკურთხას. ყურით მაყურებელსა, სანების კარის მლოცავს მაგცასთ წყალობა''. ჴელოსანს ახყვების მთელ ხალხი, ამ დამწყალობნებას ყველა თავთავისად ყვირის ხმა-მაღლა.

დამწყალობნება რო გათავდების, ხუცესი საკლავის სისხლს ყველა მეკვლეებს წაუსომს შუბლზე ჯვარად. გამაიტანენ ერთ საწდეს ლუდსა ხუცესი შაუსახელებს კოშით ლუდს (ზედ სანთელ იქნების დაკრული): ''შენა სამთავრო,შენა გასამარჯოდ მაიჴმარი, წმიდაო სანებაო ეს ზედაშ-სადიდებელი, სანთელი. შენ მეწელწდეთად, მეკვლე-პატიმართად, მაგათ თავისად, ჯალაფობისად საშველოდ, სახოიშნოდ, სამწყალობნოდ მაიჴმარი, ხთის კარზე შაიტანი, ღმერთ შენს ბატონობას გაუმარჯვებს''. ეს შასახელება რო მოთავდების, ჯერ ხუცესი, მემრ ყველანი მოკლე წყალობას კიდევ იტყვიან: ''გწყალობდასთ მეკვლეთ, საწაღმართოდ მაგიარასთ, თქვენის გულისა გიყვასთ''. მემრ ხუცესი იტყვის: ''ჯვართ დიდება, მეხვეწურთ წყალობა''. შასომს ცოტას ლუდს,მემრ ჴელოსანს,დასტურთ გადაულოცავს. ესენიც ცოცოტას შასმენა-დ დაიწყებენ ლუდის შაფასებას. საწდეშიითაც ამახკერენ ლუდსა-დ ყველას ჩამაურიგებენ. არაესაც გამაიტანენა-დ თითო მაღალას ყველას ჩამოურიგებენ (მაღალა: ვერცხლის ჭიქა საარაყე), ყველა დაილოცავს, შასომს; მემრ მასთხოენ მადლსა, წავლენ 'შინ. შინ ყველას დახვდების დამზადებულ ტაბლა: კეცეულები, არაყი. პურს ჭამენ, სასმელს შასმენ, თურა ჩასაცმელ-მასამზადებ აკლავ, მაემზადებიანა-დ წავლენ ჯვარჩი. წაიღებენ თან თიითო სეფეს (ხორცის ან ყველის გულიანი პატარა ქადა), ქუდზე თითო ღერ სანთელს – ამას ხქვიან წულის სანთელი (რამდენი კაციც არის ოჯახში, იმდენ ღერ სანთელს წაიღებენ), მიიტანენ ჯვარჩია-დ ჩააბარებენ დასტურებს. დასტურებს ფიცრები აქვ წინავ დამზადებული, იმაზე აწყობენ სეფესაცა, სანთელსაც. შეშაიც მზას ას დაწყობილი დასტურებისაგან (არხოტის ჯვარში 'შეშა თვითონ მიაქვთ მეკვლეებს, სანების ჯვარ'ში კი დასტურები ამზადებენ).

დაკლულ საკლავებს ძველნ დასტურნი დაატყავებენ, ჭორცს ასო-ასოს ჩახყრიან ჭარჩამავალჩია. შაუგზებენ ცეცხლს. ტყავებიც ძველთ დასტურთ შჩების მეკვლეთ საკლავებისები. მეკვლენი მიიტანენ ჩხუტით ლუდსა,გაიმართების სმა,მღერა, ლექსობა, თამაშობა. წინ-წინას ჩხუტს შასმენ ჯვართ სადიდებლად, მეორეს მაიტანენა-დ მკვდრებისად დაღლოცვენ. მეორე ჩხუტს რო მაიტანენ, შაუთვლიან ეროს უფროს კაცს – ადეგიო, დალოცევ. ააყენებენ, მისცემენ ჭელჩი თასს. სხვებსაც მისცემენ თასებს. თასიანები ადგებიან ფეჭზედ. უფროს კაცი დაიწყებს ჩხუტის დალოცვას:

"ღმერთო, დიდება შენდა, ღმერთო, მადლი შენდა. ღმერთო, უშველი ჭადუელთ – სანების ჯვარის პატიმართ მეკვლეთ, ბევრ წელწად ქრისტე მაღგვარი მშვიდობისა, კარგად ყოფისა. წმიდაო სანებაო, შენ სადიდებელი ასა, შენის დიდებითა, ჩემის სიტყბის მაჭსენებით, ხთის წესითა, მღდლის წესით, იერუმსალეთის ნათლით, ქრისტეს გარიგებით, სააქოს ნათქვამ თუ საიქოს მიდიოდას, წესი მართებულ იყოს, სულს შანდობა მიუდიოდას, ეეს ჩხუტიცა-დ ეს ავსებულ თასებიც სულსამც წინათ მეკვლეთას მაეჭმარების, რომენთაც ან მავესწვრენითა-დ აღარ არიან, ან გაგვიგონიან სოფლის გამასადეგებ მართლები, მაგრები ყოფილანა, დღეს ცოცხლებ აღარ არიან. სულის მადლიცა, წმინდის სანების ძალიც ეხლანდელ მეკვლეთ შეეწიოსა, წელ მშვიდობისა დაუყენას".

"შაუნდნას ღმერთმა, მააჭმარას", - იქნების ხალხის ხმა ერთბაშად ყველაისი.

ჩამაურიგებენ ყველას, შაასმევენა-დ ათქმევენ შანდობას. მემრ რაიც ვის შაუძლავ, სმენა-დ მხიარულობენ. ამ დრომდენ ჭორციც იდუღებსა, დასტურები დააგებენ ტაბლას. პურები საჯვარო ფქვილისაგან დასტურების გამამცხვარი ას, ტაბლას იმაზე დააგებენ, სასანთლეებს გვერდზე – ცერად ერთუცზე დააწყობენა-დ დააკერენ ზედ მეკვლეთ მიტანილს სანთლებს, დაზდგმენ ზედ თასებს, თითოს თასსა-დ თითოს სანთელს ყველა მეკვლე დაიჭერს ჭელჩი. ხუცესი-დ სხვა ჯვარიენებ დადგებიან მწკრივზე. მკადრე ანუ მეზარე წავა, დარეკს ზარს ნელ-ნელად. ის რო ზარს დარეკს, ხუცესიც შაუდგების ყველა ხევსურეთის ხთიშვილთ გადიდებას:

"ღმერთმა ადიდას შენ ძალი, შაძლება, მფრინაო თეთრო ანგელოზო, ბატონო სანებავ ცროლის წვერისაო. შენა სამთავრო, შენა გასამარჯოდ მაიჭმარი ეს ჭიქა-ბარზიმი, სადიდებელი. შენთ მეხვეწურთად, ჭადუელთ მეკვლეთად, შენთ პატიმართად საშველოდ, სახოიშნო-სამწყალობნოდ მაიჭმარი, ხთის კარზე შაიტანი, შენს ძალსა, დიდებას მაემატების (რამდენსაც ხთიშვილს ადიდებს, ახსენებს, იმდენ თასზე მიუთითებს მარჯვენა ხელით).

ამ ჭიქა-ბარზიმზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, საჯანგეს უნჯის ანგელოზო, გმირო სანებაო. შენა სამთავრო, შენა გასამარჯოდ მაიჭმარი ეს ჭიქა-ბარზიმი, სადიდებელი. შენ სანების მეკვლეთად საშველოდ, სახოიშნოდ, სამწყალობნოდ ხთის კარზე შაიტანი, მეკვლეთ შენ წყალობა დააჭმარი, ბედნიერ წელი, კვალ დაუყენი (ყოველი სადიდებლის დაბოლოებაზე მეკვლეები ერთხმად იტყვიან პირჯვრისწერით: ისმინე, გაიგონი, ღმერთი შენს ბატონობას გაუმარჯვებს).

მაგ ჭიქა-ბარზიმზე სადიდებელზე და სეფე-სანთელზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, კვირაევ კარავიანო, მადლიან-ძალიანო. შენა სამთავრო, შენა გასამარჯოდ მაიჭმარი ეს სადიდებელი, ჭიქა-ბარზიმი, შენ სანების მეკვლეთად, საშველად, სახოიშნოდ, სამწყალობნოდ ხთის კარზე შაიტანი, მეხვეწურთ მეკვლეთ წელ მშვიდობისა დაუყენი.

ამ ჭიქა-ბარზიმზედა, სადიდებელზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, დიდო სახმოოო გუდანის ჯვარო, შენა სამთავრო, გასამარჯოდ მაიკმარი ე სადიდებელი, ჭიქა-ბარზიმ, სეფე-სანთელი, შენთ მეხვეწურთ, სანების მეკვლეთ, ჴადუელთ საშველო-სახოიშნოდ, სამწყალობნოდ მაიკმარი ეს სეფე-სანთელი, ჭიქა-ბარზიმ სადიდებელი, ხთის კარზე შაიტანი, შენიმც ძალიან-მადლიან სახელ დაილოცების.

მაგ ჭიქა-ბარზიმზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, დიდო ხახმატის ჯვარო, გიორგივ ნაღორშვენიერო. შენა სამთავრო, შენა გასამარჯო მაიკმარი ეს გარიგებულ ჭიქა-ბარზიმი, სადიდებელი, სეფე-სანთელი, შენ სანების მეკვლეთად, ჴადუელთად, საშველოდ, სახოიშნოდ, სამწყალობნოდ ხთის კარზე შაიტანი, ძალი-შაძლებაი გაქვ, რმერთმა ნუ წაგართვას, მეხვეწურთ წელ მშვიდობისა დაუყენი.

მაგ ჭიქა-ბარზიმზე, სეფე-სანთელზედა, სადიდებელზე შენ გადიდას ღმერთმა, ხელო სამძიმარო, მაგის მოდე-მომკრენო: ყელ-ღილიანნო, ოქროს პერანგიანნო, ჴმელზე ჴმის გამტეხნო, რჯულიან-ურჯულოთ სალოცავნო, ქაჯავეთის გამტეხნო, დიდოეთის გამბეგრავნო. მარიგისაგან მალოცვილი გაქვთ ცისკიდურჩი შამაძახილის გაგონებაი, გაჭირებულის დაკმარებაი. თქვენა სამთავროდ, თქვენა გასამარჯოდ მაიკმარეთ ეს ჭიქა-ბარზიმი, სეფე-სანთელ-სადიდებელი, თქვენ სანების პატიმარ მეკვლეთად საშველოდ, სახოიშნოდ, სამწყალობნოდ ხთის კარზე შაიტანეთ. შაგიძლავთ, დალოცვილნო, თქვენ ძალი, შაძლება დააკმარეთ თქვენთ მეხვეწურთ, წელი მშვიდობისაი, სახელ-სარგებნიან დაუყენეთ, ნურას მარცხსა ბირკოლს მახკერძებთ სანების მეკვლეთ ყმათ ყუდროში.

მაგ ჭიქა-ბარზიმზედა სადიდებელზე შენ გადიდას, გაგიმარჯვას ღმერთმა, გმირო კოპალავ ლახტიანო. შენა სამთავროდ,შენა გასამარჯოდ მაიკმარი ეს სეფე-სანთელ-სადიდებელი, ჭიქა-ბარზიმი. შენ მეხვეწურთად სანების ტახტის ყმათად საშველად, სახოიშნოდ, სამწყალობნოდ ხთის კარზე შაიტანი, ღმეროი შენს ძალსა-შაძლებას მაუმატებს.

მაგ ჭიქა-ბარზიმზედა სადიდებელ სეფე-სანთელზე შენ გადიდას ღმერთმა, პირქუშო ცეცხლის ალიანო, ცეცხლის მაორაკიანო. ღმერთმა გადიდას, გაძრიელას. შენა სამთავრო-გასამარჯოდ მაიკმარი ე გარიგებულ ჭიქა-ბარზიმი, სადიდებელი, სეფე-სანთელი. შენთ მეხვეწურთად, სანების მეკვლეთად საშველოდ, სახოიშნოდ, სამწყალობნოდ ხთისკარზე შაიტანი, ღმერთი შენს ძალსა შაძლებას მაუმატებს, შენის სახელის ჭირიმ.

ამ ჭიქა-ბარზიმზედა, სადიდებელ სეფე-სანთელზე შენ გადიდას გაგიმარჯოს ღმერთმა დიდგორ ვეშაგო გიორგიო, შენა სამთავროდ, შენა გასამარჯოდ მაიკმარი ეს სადიდებელი, სეფე-სანთელი, ჭიქა-ბარზიმი, შენთ მეხვეწურთად, სანების მეკვლეთად, ჴადუელთად, მაგათ თავისად, ჯალაფობისად, საშველოდ, სახოიშნოდ სამწყალობნოდ მაიკმარი, ღმერთმა ნუ წაგართოს ძალი შაძლება, ბედნიერ წელი კვალ გამაუცველი შენთ მეხვეწურთ, დალოცვილო. დიდი ხარ, ძალი შაძლება ხთისაგან გაქვ მალოცვილი.

მაგ ჭიქა-ბარზიმზე შენ გადიდას გაგიმარჯოს ღმერთმა იაკსარ სვეტად ჩამასულო, დეე-დედაბერთად მეომარო, ხთისაგან მკარ-აკსნილო, აბუდელაურ სიმურჩი ნატეკვევარო. შენა სამთავროდ, შენა გასამარჯოდ მაიკმარი ეს სადიდებელ ჭიქა-ბარზიმი – სეფე-სანთელი, შენ მეხვეწურთად, სანების მეკვლეთად პატიმართად, საშველოდ, სამწყალობნოდ ხთის კარზე შაიტანი, დიდო ძალიან-მადლიანო.

ამ ჭიქა-ბარზიმზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, მიქიელ მთავარო ანგელოზო, არხოტის ჭევის სალოცავო. შენა სამთავრო, შენა გასამარჯოდ მაიჭმარი ე გარიგებულ ჭიქა-ბარზიმი, სადიდებელი, სეფე-სანთელი, შენ მეხვეწურთად, სანების მეკვლეთ საშველოდ, სახოიშნოდ, სამწყალობნოდ მაიჭმარი, ღმერთი შენს მატონობასა ძალა-სახელს გაუმარჯვებს.

ამ ჭიქა-ბარზიმზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, ღალანგურ წმიდაო გიორგიო, შენა სამთავროდ მაიჭმარი ეს გარიგებულ ჭიქა-ბარზიმი, სადიდებელი, შენა გასამარჯოდ მაიჭმარი, შენ ჭადუელთად სამეშველოდ, სახოიშნოდ სამწყალობნელოდ მაიჭმარი, ხთისკარზე შაიტანი, შენთ ზღვენთა დიდებათ მაემატების.

ამ ჭიქა-ბარზიმზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, ჯაჭველო ჭმელის გორისაო, შენა სამთავრო, გასამარჯოდ მაიჭმარი ეს გარიგებულ ჭიქა-ბარზიმი, სადიდებელი, შენ სანების მეკვლეთად, პატიმართად საშველოდ, სახოიშნოდ, სამწყალობნელოდ ხთის კარზე შაიტანი, ღმერთი შენს გამარჯვებას ძალსა, დიდებას მაუმატებს.

ამ ჭიქა-ბარზიმზე შენ გადიდას გაგიმარჯოს ღმერთმა, ღუბისთავ სვეტის ანგელოზო, შენა სამთავროდ, შენა ჯასამარჯოდ მაიჭმარი ეს ჭიქა-ბარზიმი, სადიდებელი, შენ მეხვეწურთად, სანების მეკვლეთად საშველოდ, სახოიშნოდ, სამწყალობნოდ მაიჭმარი, ხთის კარზე შაიტანი, ღმერთმა მაგიმატას ძალსა შეძლებას.

ამ ჭიქა-ბარზიმზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, თეთრო გიორგივ მინდორის ჯვარო, ალავერდით გამაბძანებელო, ხთისაგან გაქვის მალოცვილი ცა-ღურბელთ ჭელობაი. შენ დაეჭმარი შენ ყმათ, ეს ჭიქა-ბარზიმი სადიდებელი, სეფე-სანთელი, შენა სადიდებლად ხთის კარზე შაიტანი, ღმერთი შენს ბატონობას გაუმარჯვებს.

ამ ჭიქა-ბარზიმზე შენ გადიდას გაგიმარჯოს ღმერთმა, ზარ-სარეკელზე მდგომო მავალო ანგელოზო. შენა სამთავროდ, შენა გასამარჯოდ მაიჭმარი ე-გარიგებულ ჭიქა-ბარზიმი, სადიდებელი, სეფე-სანთელი. შენ მეხვეწურთად მეკვლეთად, სანების ყმათად, საშველად, სახოიშნოდ, სამწყალობნელოდ მაიჭმარი.

ამ ჭიქა-ბარზიმზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა ჭერო-ბელელზე მდგომო ანგელოზო, მცავი, მფარავი ხარ სანების ჭერო-ბელელთაი, შენ დაეჭმარი სანების მეკვლეთ, ჭერო-ბელელო დალაჭვისად ნუ შაუსაწყინდები, სადიდებელი, ჭიქა-ბარზიმი, სეფე-სანთელი შენთ მეხვეწურთ სანების მეკვლეთ სამწყალობნოდ ხთის კარზე მაიჭმარი.

ამ ჭიქა-ბარზიმზედა, სადიდებელზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, მებორაყეო ანგელოზო, ხთისაგან გაქვის მალოცვილი ბორაყისად ყოლაი, ღმერთმა ნუ წაგართვას თავის მალოცვილობაი, შენა სამთავრო-გასამარჯოდ მაიჭმარი ეს ჭიქა-ბარზიმ-სადიდებელი, სეფე-სანთელი. შენ მეხვეწუროად, სანების ყმათად, საშველოდ, სახოიშნოდ, სამწყალობნოდ ხთის კარზე მაიჭმარი, შენს ძალსა, დიდებას მაემატების, გამარჯვებას შენსა შენის გამჩენის ხთისას.

ამ ჭიქა–ბარზიმზედა სადიდებელზე, სეფე-სანთელზე თქვენ გადიდნასთ, გაგიმარჯოსთ ღმერთმა, სანების ლაშქარნო. ხთისაგანა-დ წმიდის სანებისაგან გაქვისთ მალოცვილი შენთა სანებისა მეხვეწურთა შველა, თქვენა სამთავროდ, თქვენ გასამარჯოდ მაიჭმარი ეს ჭიქა-ბარზიმი, სადიდებელი, საფე-სანთელი თქვენ სანების მეკვლეთად, პატიმართად, ჭადუელთად საშველად, სახოიშნოდ, სამწყალობნოდ მაიჭმარეთ, ხთის კარზე შაიტანეთ.”

ამის შემდეგ ხუცესი სადიდებელთ მთლიანად ერთად მააჴსენებს: "თქვენა სამთავროდ, თქვენა გასამარჯოდ მაიჴმარეთ, ნაჴსენებნო ანგელოზნო, ნაჴსენებნო ხთის ნასახნო, ეჰმაჴსენებულ სეფე-სანთელი, სადიდებელი, თქვენ სანების მეკვლეთად პატიმართად საშველოდ, სახოიშნოდ ხთის კარზე შეიტანეთ, უშველეთ, დალოცვილნო, უმეშველეთ, ბედი, დაგლათ დააჴმარეთ, ახლის წლის გამაცვლაზე ბედნიერი, ღალიან-ბარაქიან წელი კვალ დაუყენეთ, ღმერთი თქვენს ძალსა, დიდებასა, თქვენ ბატონობას გაუმარჯვებს".

ამას ზედ მოემბების ხუცობა და კურთხევა. ხუცობაც და კურთხევაც ჩვეულებრივი არის. მხოლოდ შიგ იქნება ჩართული მეკვლეთ დამწყალობნება და ახალი წელის გამოცვლა. კურთხევას რომ მოათავებენ, ყველანი ერთხმად ამწყალობნებენ: "გწყალობდასთ, მეკვლენო, წმიდის სანების ძალა, საწაღმართოდ მაგიარასთ, მშვიდობით შაგინახნასთ, ბედნიერ წელი კვალ დაგიყენასთ, წულიანი, პურიანი, ღალიან-ბარაქიანი, სახელ-სარგებლიანი. ჯვარიონთ მაგცასთ წყალობა, დასტურ-ბუჯირს, ჴელოსან-გამძღობარს, სოფელჩი კაის მთქმელსა, კაის მგონეს მისცას წყალობა, მართალსა, მაგარს, სოფლის პირის გამმაგრებელს.

გაუწყრას სოფლის გამტეხ მეღალატეს წმიდის სანების დაგლათი, ავჴელ აე ენა კაცს, სოფელჩიით ამბის სხვაკან გამტანს. მიზდიოს შვილით შვილამდე, ქალის შვილამდე, ნუ გამაიყვანას იმის სახლჩიით ნუც ქუდიანი, ნუც მანდლიანი. მტრის ჴელით დაიღვარას მედალატის სისხლი (ამ სიტყვაზე სადიდებლიდან ყველანი ცოცოტათი დაღვრიან ლუდს),მტრის ტყვიამ გაუარას გულმრუდის კაცის გულს. წყაროსთან მისულს წყარონიმც დაუშრებიან,ნადირთად მიპარებულს,ნადირნიმც დაექცევიან. ამინ, წმიდაო სანებაო, გაიგონი შენთ მეკვლეთ შამაძახილი." ამ სიტყვების შემდეგ ყველანი გაჩუმდებიან და ისევ ხუცესი იტყვის: "გაუგონ, დალოცვილო წმიდაო სანებაო, მეკვლეთ შამაძახილი! ღმერთმა გაუმარჯოს შენს ძალსა შაძლებას. – "ჯვართ დიდებაი, მეხვეწურთ წყალობა" – იტყვიან ყველანი, მაიყუდებენ თასებს პირზედა, ცოცოტას შასმენ. ჩამაიგდებენ სასაუბროს, ფეჴზე დგან, ჴელჩი თასებ უჭერავა-დ აისრ საუბრობენ. თან სმენ ნელ-ნელა. კარგა ხანს დგან ფეჴზედ, ბოლოს გამასცლიან თასებსა, იტყვიან: "შავსვ თქვენის გამარჯვებისა, თქვენმც გწყალობსთ სანების დაგლათი".

თასებს მააგროვებენ; ვერცხლის თასებს თავის ალაგზე მიაბძანებენ, სხვა თასებს სპილენძისებს საწდესთან დაზდგმენ ერთად. ჯვარიონნი ცოტახან დასხდებიან მეკვლესთან,იხუმრებენ,იცინებენ,თან ცოცოტას ლუდსაც შასმენ,მერმ წაგლენ დარბასჩი. მეკვლენ თავისად რჩებიან. დაუდგმენ ძველნ დასტურნ ტაბლას, დასტურს გარდა ყველას დასხმენა, გაატეხიებენ პურს. ტაბლაზე დაწყობილი ას პური, სეფეს ნაჭრები, ჴორცი ბევრი, დიდიდ წილობად დანაწილებული. დასტურებ აიღებენ პურს, ყველა მეკვლესთან ჴელჩი გაუტეხენა-დ იტყვიან: "ღმერთო, გაუმარჯვ წმიდას სანებასა! წმიდაო სანებაო, შენ უშველ შენთ მეკვლეთ, დაადე წაღმ, შენი წყალობით შაინახენ, ბევრ წელწად-ქრისტე მაღგვარი მშვიდობისა, კარგა ყოფისა". ჭამის დროს ზედამდეგები ჩვეულებრივად ყველას დაუდგმენ ტაბლაზე ლუდით სავსე თასებს. თუ თასებ არ ხკმარობს, მაშინ ორთაც დაუდგმენ ეროს თასს (თასს, რომენიც პურის ჭამაში ტაბლაზე დაიდგმება, ჰქვია კარახანა). კარახანა თუ ორ კაცს საერთოდ უდგას, ერომანეცს შახპატიჯებენ. რომენიც უფროსი, ჯერ მაინც იმას მისცემენ. კარახანას

რო აიტანენ, დაილოცებიან: "გამარჯვება წმიდას სანებას. იმის წყალობა გქონდასთ ჭადუელი წმიდის სანების მეკვლეთ. საწალმართოდ მაგიარასთ, მშვიდობით შაგინახნასთ, ბევრ წელწად-ქრისტე მაგგვარასთ მშვიდობისა, კარგა ყოფისა, ერთუცის სიცოცხლისა. ხთისაგანამც დაილოცებით". ამ სიტყვებს ფეკზე ნადგომ ამბობსა-დ მაიყუდებს თასს. ზედამდეგებ აიღებენ ფანდურსა-დ შაღმღერნებენ ფეკზე სამღერალს საგმირო ძველს სიმღერეებს. თასიანებიც შამღერნებით უპასუხებენა-დ გძელდების ეს ამბავი თასების გამაცლამდენ. ბოლოს ტაბლაზე ნასხდომებ ადგებიანა, ზედამდეგებს ეტყვიან: "ჭელ-ფეკ მტერზე მაგაკმარასთ შორიელზე". ისენიც ეტყვიან: "მტერიმც ნუ მაგერევისთ, ღმერთმა გაამასთ, რაიც ვინ იამეთ". მემრ ზედამდეგებსაც დასხმენ ტაბლაზე პურის საჭმელად. ტაბლას შააახლებენა-დ ყველა წესს შაასრულებენ, რაც ტაბლაზე იციან. მემრ პურ-ჭამიდგე გადაზდგმენ ტაბლასა-დ დასხდებიან; სხენ მთელს ღამეს, არც იძინებენ. თუ ვის მეეძინა, დაწვ, არც იმას დააძინებენ, ან ბურნითს შაუყრიან ცხვირჩია-დ გამააღვიძებენ, ან სხვას რას უეშმაკებენ. შუაღამე რო გადავ, ხუცეს შამავ, ეტყვის, რო კვალის დაჭერის დროი ასავ,ეეხლა კვალ დაიჭირეთავ. ცოტას ლუდს შასომს, ცოტახან დაჯდების მეკვლეთანა, გავ. მემრ დაიჭერენ კვალსა-დ აღარვინ გავ კარჩი შამათენებამდინა-დ ჯვარიონთაგან ზარის დარეკამდინ.

როსაც ჯვარჩი წელწად-ღამეს ესეთ წესები სრულდების, მაშინ სოფელჩიაც ას თავისებურ სამზადისი წელწად-დღისად.

მეკვლენ რო ჯვარჩი წავლენ, რაც სოფელჩი ხალხი რჩების, ეესებ ერთუცს ხპატიჯობენ შინ არაყის სასმელად (არხოტში მეკვლეთ ნარჩომი ხალხი ერთგან იყრება ჭერხოში,მოიტანენ ჯვარიდან ლუდს და სვამენ მთელი ღამის განმავლობაში. აქ კი პირაქეთ ანუ ბუდე ხევსურეთში მეკვლეთ ნარჩომ ხალხს წელწად-ღამეს ლუდი არ ეძლევა).

დიასახლისები დილამდინ ყველაფერს გამაახცობენ, რაც ამ ღამის შემდეგ წელწადჩი დაშჭირდების, მაგ. ბედისკვერაები, სამეკვლაოები-დ სხვაი. დიასახლის დახკიდებს ზედგანს. მაზელს ცომსა-დ აცხობს, რამთვენიც კაცი, იმთვენს ჭმიადს, ამას ხქვიან ბედისკვერა. ყველა ხმიადებს დააჭრელებსა-დ დაღლიშნავს, რომენს რომენ ოჯახის წევრისად აცხობს. ყურადღებასაც აქცევენ, რომნის ბედისკვერა გამაცხობის დროს გასივდების (ე.ი. ფუნთუშა გახდება), ის კაად დაცდილი აქვ. იმის მამავალ ცხოვრება კა იქნების. ვისაიც არ გასივდების, იმის საქმეივ ცუდად ასავ იტყვიან. ჭმიადებს ოჯახის წევრების სახელზედაც აცხობენა-დ თუ წელწდიდგე ბედისკვერას სად უნდ წაღება, ან ზალი ხყავ ნათხოვი, ან ქალ გათხოვილი, წესის მიხედვით იქ არაყი-დ ბედისკვერა უნდა წაიღანა, იმასაც დასწავლით აცხობენ. ბედისკვერაების ცხობაში კი არ ას უმძრახი დიასახლისი, სამეკვლაოს კეთებას რომ დაიწყებს, მემრ კი იმის გამაცხობამდე უმძრახად დაჯდების, ხმას არ ამაიღებს. სამეკვლაოს გააკეთებს იმთვნის ცომისას, რო გამამცხვარს დაახლოებით ერთ ჩარექ გამავ. ზედ დასწერს ჯვარს ჭელით ისრ, რო სამეკვლაოს ზედაპირი ოთხად იქნების გაყოფილი. დიასახლისი სამეკვლაოს ოთხსავ ნაწილს დაღლიშნავს, დაისწავლის, რომენ გვერდი რაისედ ას დალიშნული. ერთ გვერდი დაილიშნების კაცისად, მეორე ცხვრისად, მესამე საქონისად, მეოთხე ნამუშავლისად, ე.ი. ჭირნახულისად. დიასახლისი დიდ ყურადღებას აქცევს იმას, თუ რომენ გვერდ

აიწევს მაღლა. მემრ რომენიც გვერდ მაღლა აიწევს, დიასახლისი იჯახის წევრებსაც ეტყვის. რო გამაცხვების, მემრ დიასახლისსაც ნება ექნების საუბრისა (მახსოვს, დედაჩემი თურმე სამეკვლეოს აცხობდა და ჩემს მრავალ შეკითხვაზე პასუხს არ მაძლევდა. ძალიან ვღონდებოდი, რატომ არის გაჯავრებული, რომ ხმას არავის გვცემსო). სამეკვლაო რო გამაცხვების, ოჯახშიაც კვალს დაიჭერენ, კარჩი არავინ გავ, მანამ მეკვლენ არ მავლენ. რო თენებას დაიწყებს, მაუდგების დიასახლისიც სადილის საგულის მზადებას, ჩაშჭრის საპარსველით ჭორცს (საპარსველი: დუქარდი), შიბუს (ღანძილის მაგვარი ბალახი, რომლისგანაც მწნილს აკეთებენ. ხმარობენ ხინკლის და ქადისკვერის გულში გასარევად), გაურევს სატანს, კალტს, ქონსა-დ გაღრევს ერთუცში ერთს ბაკანჩი, დააკეთებენ ქადისკვრებს. ამაობაში გათენდების კიდეც. თენებას რო დაიწყებს, მეკვლენიც ელოდებიან ზარის ჭმას. ჯვარიონნ ადგებიან, წუხრავ მიტანილს ჟამ-საწირს დაამზადებენ ტაბლაზე, კოდს გახჭსნიან ახალს, იმასაც სანთელს დააკვრენ, ეროს ლუდიან ვერცხლის თასს დაზდგმენ,იმასაც სანთელს დააკვრენ,ხუცეს ადგებისა-დ იხუცებს კოდის გაჭსნას:

"შენა სამთავრო, შენა გასამარჯოდ მაიჭმარი, გარიგებულ ჭიქა-ბარზიმი, კოდ-საფუარი, დიდო წმიდაო სანებაო. შენ ჭადუელთად, შენთ მეკვლეთად, მაგათ ჭელოსან-გამძღობართად, დასტურ-ბუჯირთად. შენ დავლათ დააჭმარი, სახელიან აიტანი ჭიქა-ბარძიმი, შენ მეხვეწურთ სანთელი. დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა, მზესა, მზის მყოლთ ანგელოზთ, დიდს კვირაეს, აგნელოზთ მეუფროსეს. ბატონო მფრინაო თეთრო ანგელოზო, სანებავ ცროლის წვერისაო, გეხვეწებიან ჭადუელნი, შენ მეკვლენ-პატიმარნი, შენ დავლათ დააჭმარი, მოწაღმართე ანგელოზ დაუყენი, სახელიან აიტანი, შენა სამთავროდ მაიჭმარი. მაბალინჯე ჩამახჭსენ. მეწაღმართე დაუყენი. სამსახურ ხთის კარზე მაიჭმარი. ნურას მახკერძებ მარცხსა ბირკოლს, კაცისა საქონის მაკლეს. უშველე,უმეშვლე,ავის დღისად, ლაღის მტრისად,სენისა სარჯლისად, საზიანო საქმისად. თუ სად-რა გამავიდოდას ხთის კარით გამაშობილ ხთის იასაული, ჭორციელთ ბეგრევდას, ყალანს იღებდას, კვირაეს სარდლობდას, უზიანოდ გაისტუმრიდი, სენი-საზჯელ მაარიდიდი, შენ მეკველეთ თავისად, მაგათ ყუდრო-ჯალაფობისად, ორფეჭ-ოთხფეჭისად, კაცისა, ქუდოსან-მანდილოსნისად, ნამაშვრალ-ნამუშევლისად მეშველი, მწყალობნელი, მლხენელი, მხოიშნებელიმც ხარ. ისმინე, გაიგონ, ბატონო ბედნიერო".

ხუცობა რო გათავდების, დაამწყალობნებენ: "სწყალობდას მეკვლეთ, საწაღმართო მაუარას, მარცხი, ბორკილ მააშორას, მეწიღმართე ანგელოზ დაუყენას, ბედნიერ წელი კვალ გამაუცვალას".

მემრ დასტურებ აიღებენ თასს-დ ხუცესს მისცემენ. ის კიდეე დაილოცების: "გამარჯეება წმიდას სანებასა-დ იმის წყალობა გქონდასთ ჯვარიონთაც, მეკვლეთაც, საწაღმართო მაგიარასთ, მშვიდობით შაგინახნასთ, ბედნიერ წელი კვალ გამაგიცვალასთ".

ამ დალოცვიდგე კიდე შაუსახელებს თასს: "შენა სამთავრო მაიჭმარი, სანებაო წმიდაო, ეს ჭიქა-ბარზიმი, სადიდებელი, ხთის კარზე შაიტანი, მაგითამც დიდი ხარ". ასწევს მაღლა თასს. მემრ იტყვის: "ჯვართ დიდებაი, მეხვეწურთ წყალობაი". გაშინჯავს ლუდის გემოსა-დ სხვებსაც მიაწვდის თასს. სხვებიც ცოცოტად

დაილოცებიანა-დ შასმენ ცოცოტას. ბოლოს ხუცეს გამასცლის თასსა-დ იტყვის: "შაესვ თქვენის გამარჯვებისა, გწყალობდასთ წმიდის სანების დავლათი". დასტურებ თასს ჩამახერიანა-დ ეტყვიან: "გაამას ღმერთმ". —"თქვენ კა მაამას"-ის უპასუხებს. მემრ გამაიტანენ ლუდს,დაზდგმენ საწდითა-დ გააწყობენ ჩვეულებრივად ჟამსაწირს. სამს ლუდიანს თასს დაზდგმენ ხავიწიანს ქადაზე. სამ-სამს ფეჭს სანთელს,ერთუცზე გახვეულებს დააკერენ. ხუცეს დადგებისა, დაიწყებს ხუცობას, მკადრე გამავა, დაღრეკს ზარს. სწორად ის დრო უნდა იყოს ბინდბანდ, რო კარგად არ იქნების გათენებულ. ზარის ჭმას რო გაიგონებენ, აიშლებიან მეკვლენი, გამავლენ, მოვლენ წყაროსთან, დაიბანს ყველა ჭელ-პირს, მემრ ერთბაშად მივლენ დარბასის კარში, მაიჭდიან ქუდებს, მაისრიან ჩოქსა-დ მასთხოენ მადლს. იტყვიან: "აშენდით ჯვარიონნო, აშენდით, წადმამც წაგოისთ ღღეი ღღეობა". ჯვარიონნი გამოეგებებიანა-დ ეტყვიან: "დაშვენდით, მაგკიხვეით მშვიდობით, მშვიდობით თქვენ მასვლა. წყალობა წმიდის სანებისა, წალმ მაგეგებასთ სამების დავლათი". თან მაულოცვენ ახალს წელს: "ბევრსამც ახალწელს ილოცავთ წულიანს, პურიანს, სახელ-სარგებლიანს. რგებისას, გახარებისას, გალოცვიებსთ წმიდა სანებაიცა ღმერთიც". მეკვლენიც უპასუხებენ: "აგრევ თქვენ რგებისას, გახარებისას, მედნიერ წელი-კვალ გამაგიცვალასთ სანებამა ღმერთმ,რგებისა,გახარებისა,ერთუცის სიცოცხლისა". ამ ლოცვას რო დაამთავრებენ, ყველა გადახკოცნის ერთუცს. ამ დილას მესისხლე მტრებიც კი მეგობრულად არიან ერთმანეთსთან, ხმასაც სცემენ ერთუცსა, არც იშუღლებენ ადვილად, თუ სიმთვრალე არ ას გადაჭარბებული. უფრო სანების ჯვარს არ მაუდის შუღლი, სხვა ჯვარებჩი კი ხშირად შუღლიც იციან. აქ კი სანება ძალიან მაგრად იჭერს თავის ყმათა-დ არც შურ-მაქნეობაი ას სანების ყმათაჩი.

ერთმანეთს რო გადახკოცნიანა, მაულოცვენ, დასხდების ხალხი. ამ დილას მაიტანენ ლუდსა-დ არაყს ახალ დასტურნი. ძველ დასტურნ მეკვლეთან დარჩებიანა-დ ახალ დასტურნ უვლიან ახლა ხალხს. არაყი აქვ საუკეთესო შანახული დასტურებს მეკვლე დილისად. ცდილობენ რომ მეკვლენი ძალიან დააოვრნანა, იმათ დათრობით თავ ისახელან, ლუდშიაც კი არაყს აპარებენ. ერთბაშად ისით სმა იქნების, რომ აქოთდების ყველა. უჭერენ დასტურები ულვაშსა, ასხამენ ძალით პირში ცხარე არაყს. ცეცხლი ას დაგზებული შუაშია, აყრიან მთელ-მთელ შეშის კონებს, რო უფრო დასცხას ხალხსა, დაითვრნან. სიციეში ხალხ არ ითვრების. მემრ დაამბენ ბოძზე სამხვეწროდ მასულ საკლავებს. (დილას საკლავების მიყვანას და მეკვლეთ მიერ დამწყალობნებას დიდ მნიშვნელობას აძლევენ. ვითომ რასაც მეკვლენი სთხოვენ სალოცავს, უეჭველად გაიგონებს და შეასრულებს მათ თხოვნას. ამიტომ თუ ვისმე ან ჯარში ჰყავდა ვინმე, ან ავადმყოფი და სხვა, მათ სამხვეწროდ მოიყვანდნენ მეკვლე-დილას საკლავს). როსაც ბლომად მოგროვდების, დასტურებ წააყენებენ სასაკლავესთან საკლავებს. თან ბეგარასაც მოიყვანენ ოთხს ცხვარსა-დ ხუცესი ერთბაშად მააჭსენებს. ჯერ კი უბედოებისაგან ბედის მთხოვნელების საკლავებს (ასეთი საკლავები აქ ძალიან ბევრი მოდის) ცალკ-ცალკე მოაჭსენებს, ერთად იხუცებსა-დ დასჭრის ყელებს. მემრ იჭოცების ბეგარი სანების ყმათ სამწყალობნელოდ. მესამე რიგში მააჭსენებს სხვადასხვა სამხვეწროებს. როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ ხუცობა და კურთხევა ჩვეულებრივია. საკლავებს რო დახჭოცენ, წყალობას ეტყვიან ერთბაშად ყველა მეხვეწურებს:

“გწყალობდასთ მეხვეწურებს, საწაღმართოდ მაგიარასთ, მშვიდობით შაგინახნასთ, წულითა, საწულით შამაგახვეწნასთ. ბედნიერ წელი კვალ გამაგიცვალასთ, რასაც თქვენ გულ გამაელის, ის წყალობა გიბოძასთ დალოცვილმ წმიდა სანებამ’. ეს დამწყალობნებაიც რო გათავდების,დასხდებიან კიდევა,სმენ ლუდ-არაყს. მემრ ადგებიან, დაამბენ ფერეჯისასა, წამავლენ სოფლისკე ფერეჯისაის მღერით. ფერეჯისა იციან იმავ წესით, როგორც არხოტ. გადემბიან ჭელებით ერთუცსა-დ გაკეთდების წრე, ერთი იქნების სიმღერის თავი, მეორე – იმის პირდაპირ მყოფი გაიმეორებს იმის სიტყვებს. ბანს ერთ მჭარე ერთს ეუბნების, მეორე მეორე მჭარეს. ერთ მჭარე რო იმღერებს, მეორე ჩუმად ას. პირველ დაწყებაზე სიმღერის თავი იძახებს ფერეჯულს (ასე ეძახიან ამ სიმღერას):

– არალე, არალივ, დალალე – იმეორებს მეორე გუნდიც.
– არალო, თქვენი ჭირიმე – იმეორებენ ამასაც.
– არალე, ლექსი გვითხარო – მეორე გუნდი უპასუხებს:
– არალე, ლექსი გვითხარო – და პირველი მომღერალი იწყებს:
– აიმა მთათა გადმოჭდა,ვეფხვ – ლომთა ნატოტარიო (გამეორება)
  შადგეს საწვიმრად ღურბელნი, შიგ ჩადგა ნაგუბარიო!
  საკრეფლად შამაშჩვევიყვა, ეგ ბაგრატიონთ ქალიო.
  მაგას სხვა შამაშჩვევიყვა, ერთი ურჯულო მყრალიო.
  ქალმა დაწირნა მანდელნი, დასწყივნა თავის ძმანიო:
– სათათროდ როს კლოვ გაჭდილა, ბაგრატიონთა ქალიო და ა.შ.

ან სხვა ამის ფერ ძველებურ საგმირო სიმღერებ იციან. ფერეჯისაით გაემართებიან სოფლისკე, თან მიხყვებიან დასტურები. ასმეკენ ძალად არაყს (ეს ყველაფერი სრულდება არხოტულის წესით, ცოტა განსხვავებულად, ძირითადად კი სანების ჯვარის დღეობები და არხოტის ჯვარის დღეობები ძალიან წააგავს ერთიმეორეს); სოფელს რო მიუახლოვდებიან, ფერხისა დაიშლებისა-დ წაე-წამავლენ თავის სახლებ'ში, ყველა მივ თავის კარშია-დ უცდის, მანამ დრო არ მავ სხვების კარზე მისვლისაიც. ერთბაშად ყველან შავლენ შინ. მეკვლე რო შინ ფეჭს შასდგამს, მაიჭდის ქ'უდსა, იტყვის: “შამავდგ ფეჭი, გწყალობდასთ ღმერთი. ჩემიმც კვალ კაზე დაგიჯდებისთ: წულიან, პურიან, სახელ-სარგებლიანი. დალოცვილო წმიდაო სანებაო, 'შენ გეკედრები, გეხვეწები, ახლის წლის გამაცვლა'ზე ბედნიერ წელ დაგვიყენი, ნუ ვის თვალსა, გულს მაგვრევ. გვიშველი კაცსა-დ საქონსაც”.

ამ ლოცვით მივა ის სამყოფოს კარამდინ (ხევსურის სახლი ორ ნაწილად იყოფა. ერთ მხარე'ზე ძროხებს აყენებენ და ამას საძროხე ჰქვია, მეორეზედ თაოდ ცხოვრობენ და სამყოფო ჰქვიან. შინ მიმავალი კაცი ჯერ გაიკლის საძროხეზე, მერე უბრალო კარები აქვს ხისგანა გაკეთებული, რომ ძროხები სამყოფო'ზე არ გავიდეს, ამას ჰქვიან “ნაწვლის კარნი” და აქედან არის სამყოფოზე გადასასვლელი). ნაწვლის კართან მეეგებების ერთ-ერთი ოჯახის წევრი სამეკვლაოს, გამაართომსა-დ სამჯერ გააგორებს. სამეჯერავ მაუტანს სამეკვლაოს მიმგებეი. გაგორებაში სრუ ჯვართ ეხვეწების: “დალოცვილნო, თქვენ გვიშველეთ და ჩვენ საქმე კარგად წაიყვანეთ”. იქით მაბრუნდებისა-დ თუ ცხვრებ რაი ხყავ საცხვრეში, იმეებსაც შაუგორებენ სამეკვლაოს. სამეკვლაოს მკითხაობას ძალიან ყურადღებას აქცევენ, უფრო დიაცები. თუ პირქვ ერთჯერ მაეიდა, წაღმ ორჯელ, მაშინ არა

ულდ. მაინც კაი სჭარბობს. თუ სრუ წადმ მავიდ, ხო ძალიან გამხიარულდების ბაღლ ოჯახი. თუ შეტად უკუღმ მავიდ, მაშინ მგელევიარესავით დარჩებიან ყველანი.

საჭკვლაოს ბორებანი ერთ-ერთ ოჯახის წევრ წყალზე წავ, წელწადს დილას ახლის წყლის მასატანლად. თუ ხვად ცხენი ხყავ, იმასაც წაიყონსა-დ წყალს შაასმეკს. კაი ასავ იციან, წელწად დილას მალე წყლის შასმეკაივ ცხენისადავ, რბილანი მარცხსა, ბირკოლს აშორებსავ. წყალზე წამავალ წაიღებს ქერს, სვილს, ერბოსა სატნის ნაწილს, ჩალას, თივას – ყველას ერთუცში გახვეულს. შიგ ნაკშირიც ას შახვეული. წყალზე რო მიიტანს, მეწყლე იმ ნიჭს წყალში ჩააგდებს (ნიჭი ჰქვია პურს და სხვა რამეებს ერთად შეკრულს) და იტყვის: "წყალო, ნიჭი მოგიტანე, ბედი გამამაყოლეო, წულიან, პურიან, სახელ სარგებლიანი; რგებისა, გახარებისა, ჯალაფთა, მაკეთის გახარებისა; ბედნიერ წელი, კვალ გამაგვიცვალ, დალოცვილო ღმერთო, წმიდაო სანებაო". ამახკრეფს წყალს და წამაიღებს ცოტაით საწყლით. ცხენიც შასომს წყალსა-დ შინ რო მავ, იქ მკვდრისად დალოცვილს ქერს დაახვედრებენ თოფრაითა, იმას აჭმევენ. ქერი დაილოცების იმისად, თუ ეს ცხენ ვისად ას დაკურთხეული. თუ ეს ცხენ დაკურთხეულ არ ას, მაშინ ვისადაც ექჩერების, იმისად დაღლოცვენ. ცხენის რბოლებაიც იციან, თუ დიდ თოვლ არ ას, ან ყინულ არ ას ძალიან. ერთ ახალგაზრდა შაჯდებისა-დ არბოლებს. ქალებ კიდეე იტირებენ, თუ ვის გულ შასტკივ, კაცებიც, იმ ცხენის რბოლაზე, რომენიც კაი ახალგაზრდა მკვდრისად ას დაკურთხებული.

ეს ყველა რო მათავდების, მაიკრიფებიან ჯალაფნი. მაიტანს დიასახლისი ტაბლას ქადისკვერებით, ერბო იქნების ჯამებით ზედ დადგმული, თხილი. არაყს მაიტანს ჭურჭლებითა, დაუდგამს ტაბლას გვერდით, დიასახლის ან თაოდ დაიჭერს არაყიან ყანწს, ან სახლის უფროსს მისცემსა-დ შანდობას ეტყვიან (არხოტში ასეთი შანდობის თქმა უფრო ქალებს ევალებათ. ბუდე ხევსურეთში კი კაცები უფრო ხშირად სდებენ სახელს): "ღმერთო, დიდება შენდა, ღმერთო, მადლი შენდა, ღმერთო, სულიც შენ გებარებისა, კაციც შენ გეხვეწების. ღმერთო და წმიდაო სანებაო, ბევრ წელწად ქრისტე მაგვგვარი მშვიდობისა, კარგად ყოფისა; ნურას მარცხსა ზიანს მაგვარგენ, ბედნიერ წელი-კვალ დაგვიყენი. ხთისაი, კვირაის სადიდებელი ას ეს ზედაშეიცა-დ ეს ტაბლაიც, ხთისა, კვირაისა, წმიდის სანების დიდებით, ჩემის სიტყვის მაკსენებით, ხთის წესითა, მღდლის წესით, იერუმსალეთის ნათლით, ქრისტეს გარიგებით. სადაც თქვენ ხართ, ჩემნო დედამთილ-მამამთილნო (დაუშვათ, რომ ქალი სდებს სახელს), ჩემნო დედ-მამანო, თქვენ მაკეთეობაი ას, თქვენ მისულა-მასულაი ას, თქვენ დიდი-წვრილი, თქვენ ანდაბი ას, თქვენიმც საკმარი ას, თქვენიმც საგძალი ას, ე ტაბლაიც, ჭურჭლებიც, ავსებულ ყანწიც, წყალი-დ საპოხიც, ეს სალაღებიც (თხილი ან სხვა რამე ასეთი) თქვენიმც საიაღოი, ცოტა დიდად, რიოშ წმიდად, ფერუქცევლად, წაუქცევლად. ეემ სითბოთა, სინათით, კარიმც მღეი გაქვთ, საკვამიმც სინათლიანი. თუ ვინ მაგბიროოდასთ, მაგბრუნევდასთ, შანდობას გამაგელოდდასთა, ჩვენ ვგონობდათ, ცოდვილ-საბარალო, ოკრის სულ-მკვდარ იყოსა, სიძე-ცოლეული იყოსა, დისწულ-დედიძმა იყოსა, დობილ-ძმობილი, თქვენითამც ნებით მანდაურის წესითა სამართლიათამც გასცემთ, ძალითამც ნუ ვინ გამაგეკიდებისთ. შაგინდნასთ ღმერთმ, ქრისტიანობის გამჩენმ, ჩვენ ბარაქა დაგვიტანეთ ნაოყლარსაცა, ნამაშვრალსაც, ჯვარ დაგვიწერთ კაცსაცა, საქონსაც".

- "შაუნდნას ღმერთმ, მააკმარას", - იტყვიან სხვებიც. მემრ კიდევ დაილოცების: "დაგლოცნასთ ღმერთმ, ჯალაფნო, ყველანივ გადღეგრძელნასთ, მშვიდობით გამყოფნასთ, ბევრ ეს დრო მშვიდობისა, კარგა ყოფისა მაგგვარასთ, ნუვის თვალიგულ მაგრიეასთ. შაუნდნას, ვისადაც დაილოც ეს სასმელი, ტაბლა, როგორც ჩვენ გაგვიქჩერებავ, იმათამც მაეკმარების".

შასომს ყანწსა, იტყვის: "აი, დაგლოცნასთ ღმერთმა, იმათ კი შაუნდნას". წამაასხამსა-დ ყველას შაასმევს; დაილოცებიან, მემრ შამაეხვევიან ტაბლასა, პურსაც ჭამენ.

მეკვლე კი თეთრად განათენები ასა-დ დაიძინებს. სხვებ არაყს ჩაისხმენ მინაებჩია-დ (ბოთლებში). ჭირისპატრონების კარჩი წავლენ. ჭირისპატრონად ის ითელების, ვისაც მაუკვდ ვინა, ჯერ წელ არ გასთავებივას სიკვდილისა. ჭირისპატრონების კარჩი მთელ სოფელი მივ, დიდი, ცოტა. დააგზებენ ყველკან ცეცხლს. მინეებს თითოობით დაღლოცვენ, ყანწს მისცემენ ან უფროს კაცს, ან უფროს დიაცს შანდობის სათქმელად. იტყვის დამლოცავი სხვა დალოცვის წესთან ცოტა განსხვაეებით:

"ღმერთო დალოცვილო, უშველი (სახელები მომკითხველის და მოკითხულის) ერთსხვის გამკითხავებს, ბევრ წელწად – ქრისტე მაღგვარი მშვიდობისა, კარგა ყოფისა. ხთისა, კვირაის სადიდებელი ასა, ხთისა კვირაის დიდებით, ჩემის სიტყვის მაკსენებით, სააქაოს ნათქვამ თუ საიქიოს მიდიოდას, წეს სამართალ იყოს, სულს შანდობა ერგებოდას. ეს ყანწიც ეს ბოთლიც სულსამც (სახელი) მაეკმარების. შაუნდნას ღმერთმ, ქრისტიანობის გამჩინარმ. ამათ მარკე ნულარა მისცას, კლოვ ლხინის მამკითხავ უდინას". - "შაუნდნას ღმერთმ" – სხვებიც იტყვიან.

გაიმართების სმაი-დ ქოთ-საუბარი. ჯერ სმენ ცალკ-ცალკესა, მემრ დასტურნიც მავლენ, ერთს საწდეს ლუდს მაიტანენ უფრო ახალის ჭირის პატრონის კარჩი, ყველას იქ აწევენა, მთელ სოფელ იქ მაიყრის თავს. დააგზებენ ძალიან დიდს ცეცხლს, მაიტანენ ფანდურსა, თუ აქვ სოფელში ბუზიკანტს (ბუზიკანტი: პატარა გარმონი) დაუკვრენ სათამაშოდ. წინ-წინ ჭირისპატრონ ითამაშებს. მღერითაც ჯერ ის იმღერებს. მემრ ყველას ნებაი აქვ. ზოგს ძალით გადმააკდენს ჭირისპატრონი სათამაშოდ, ზოგს ქვე შაღმღერნებს, ვისაც ატყობს, რო იმის ხათრით არ მხიარულობს. გაიმართების სმაი-დ დიდი მხიარულობა. ქალ-ვაჟებ ლუჭყიკეტაობენ (ლუწი და კენტი). თხილი აქვ ყველას საწელწდოდ შანახული, ყველას უსხავ წელწად დილას ან პარკში ან საფუკარში (ხევსურს ჯიბე არაფერზე უკერია, რომ შოგ ჩაიყაროს რამე). ამაიღებენა-დ ერთუცს ეუბნებიან: ლუჭყი თუ კეტი. თუ გამაიცნობს, იმას დაშჩების ის თხილი-დ, თუ ვერ გამაიცნ, მაშინ იმას უნდა მისცას იმთეენ თხილი. ლუჭყი-კეტაობაში ეშმაკობაიც იციან: თითების შუაჩი დამალვა ცოცოტების თხილებისა. შანახული აქვ კიდევ ტყუპარჭიკები (ტყუპარჭიკნი: ორი თხილი ბუნებრივად ერთი მეორეზე მიკრული). ამ ტყუპარჭიკთ ჩაუყრიან ერთუცს ჩუმად თხილჩი. ხანდახან სამი არის ერთურთზე მიკრული (ასეთი თხილი იცის ხევსურეთში უფრო ბარ ადგილებში), თუ სამი ას ერთუცს გაკრული, ამის ჩაგდებაზე ეტყვიან: "ჩაგიყარენ ტყუპარჭიკნი სამოცისა თხილისანი, თუ სამოც თხილი არ მომეც, სამოცისა ჭირისანი". ამ სიტყვებზე ასტყდების სიცილის ქოთი. რა მეტ გზაი აქვ, თავის თხილიც რო არ ხქონდას, სხვაკნით უნდა ისესხანა მისცან. აქ ქეიფობას ბოლო მაუვ. კაცები ჯვარჩი წავლენ, ხუმრობას რას მაიგონებენ, ან ფერეკისას დაამბენა აისრ მივლენ, ქალებ

კი შინ წავლენ. ხალხ რო ჯვარჩი მივ, მაიჭდიან ქუდებსა-დ შაეხვეწებიან სანების ჯვარს: "დიდება-დ გამარჯვება შენდა, დიდო სანებაო, შენ გამწესულობა შაგვისრულებავის, შენს კარზე მეთამაშე შამავმჭდარიორთ შენ მეხვეწურადა, შენ ნურაით შაგვისაწყინდები შენის კარ-კამალაის დალაჭვისად. შანაწყინარი, შანაცოდვარი ზღვნითა-სანთლით გვაჭდი, კაცით ნურას გადაგვაჭდევ". თითოს მუჭლზე დაჯდებიანა-დ მიწას აკოცებენ. მემრ ყველან ადგებიან, პირჯვრის წერით დარბასის კარში მივლენა-დ შაზძახნებენ ჯვარიონთ; "აშენდით, ჯვარიონნო, ჯვარიცა, კაციც. წაღმამც წაგიოსთ დღეი-დღეობაი", - "დაშვენდით, მაგვიხვეით მშვიდობით, მეთამაშეო, მასულო, მშვიდობით შენ მასვლა, წყალობა წმიდის სანებისა, წაღმ მაგეგებასთ სანების დავლათი. გამწაღმართებნი ანგელოზნ დაგახვედრნასთ", - იქნების პასუხი.

მივლენა-დ უფროსობის მიხედვით დასხდებიან კუთხის ქვებისაგან დაკეთებულ დასასხდომებზე (სკამებზე). ხუმრობენ, იცინიან, საუბრობენ დღესინდელს დღეობაზე. მემრ გამაიტანენ ლუდსა-დ გაიმართების სმაი. სხვა ხალხ დასხდებისა-დ ორი ან სამი ახალგაზრდა დადგების ფეჭზედა,არიგებენ ლუდს. მაიგონებენ ზოგს მკვდარსა, ზოგს ცოცხალს. სმის დროს აქ მხირულობა იციან მარტო ფანდურზე, ბუზიკანტის მატანა ჯვარჩი არ უწესობს. ფანდურიც ძველებურ, დიდი იციან, ცოტას ჩონგურს იქ არ მიიტანენ, ესივ საქალ-ვაჟაო ფანდური ასავ, ჯარზე სამღერლად ეს ფანდურ არ ვარგავ. აქ იმღერებენ, ილექსებენ (სხვადასხვა კილო არის; მღერა ჰქვია ძველ საგმირო სიმღერების დამღერებას ხმა-მაღლა და გაგრძელებული კილოთი, ლექსობა კი მოკლე და დაბალი ხმით სრულდება და სატრფიალო ლექსებით. ასე მღერიან უფრო ქალების მოტრფიალე ახალგაზრდები). ამ დროს აქ მარტო ლუდს სმენ,საჭმელ ხო არ იციანა-დ არც არაყი აქვ. აქავ ზოგს ზღვნებ მაუდისა-დ იჭოცების საკლავები, ზოგს საწირ მიაქვ ჯვარჩი. ამას ყველას თავის წესი აქვ,თითოს რვლის ჩხუტას მიუტანენ ლუდით სავსესა-დ ისეებიც მადლობას გადაუჭდიანა-დ ასმევენ ხალხს თავის გამატანილ ლუდს. ეს წესებ რო ყველა შასრულდების, ადგების მეთამაშეი-დ ყველა ერთბაშად მასთხოვს მადლს ჯვართა-დ ჯვარიონთ ეტყვიან: "ჯვარ გეწერასთ ჯვარსაცა, ჯვარის გამძღოთაც, გვაპატიეთ რაიც-ვის ჩვენი უმეცრებით გაწყინეთ". "ჭელ მაგიმართასთ ღმერთმ, წყალობა წიდით სანებისა, მეწაღმართე ანგელოზ გამაგაყოლასთ წმიდის სანების დავლათმ" – ესრ გამაემშვიდობებიანა-დ წავლ-წამავლენ თავ-თავის შინ. წუხრ შაიყრების ჯარი კიდევ ერთ-ერთს ჭერხოჩი. წაღლალვენ მელუდესა-დ მაიტანენ ლუდს. ლუდს მაიტანენ ერთ-ერთ უფრო დიდ ჭერხოჩი (ჭერხო ნათხოვი აქვს ჭირის პატრონს წინათვე და დალაგებული, ხეები დაწყობილი ხალხის დასასხდომად, ეს ყველაფერი ჭირის პატრონის მოვალეობას შეადგენს). ჭირის პატრონს თუ რიგიანი ჭერხო აქვს, მის ჭერხოში დასხდება ჯარი. ახალ-უხალი გააგებიებს სოფელში უფროსებსაცა-დ უნცროსებსაც,რო ამადაამ ჭრხოში ლუდი მავიტანეთაო-დ ჯარ დასხედითავ. კაცები ყველან წავლენა-დ მიიტანენ თითო მჭარს შეშას. ჭერხოჩი დააგზებენ დიდს ცეცხლს ყვერფ-კერაჩია, თუ ყვერფ-კერა არ ას, შუა ჭერხოჩი (ყვერფ-კერა ბოსელში იციან და ზოგიერთები ჭერხოშიც აკეთებენ, მხოლოდ ისეთ ღრმას არა, როგორც ბოსელში). ცეცხლის მირგვლივ ხეები, შეშის ნახეთქებია შამაჯარებული. ზედ უფროს ხალხი სხავ. უნცროსებ კი უფრო კართაკე დასხდებიან თითოს მუჭლზე. ზოგ უნცროსები ფეჭზე დადგებიანა-დ ლუდს არიგებენ. ზოგ

ხნიერ ხალხი ას ჯარზედ. დატანჭირიანებულობის გამო ლუდს თუ არ გაამწვავ, გრილს ვერ სომს. ესეთებისად ყმაწვილებს წინავ დამზადებულები აქვ ქვის მირგვალ გურჩები (ბურთის ფორმის მომცრო ქვა), ჩაყრიან ცეცხლჩია. გამწვავების შემდეგ გამაიტანენ ნედლს არყის ხისგან დაკეთებულ არცისკანაებითა-დ (არცისკანა: მაშა) ჩაუყრიან უფროსებს ლუდიანებს თასებჩი. მწვავ ქვა გაათბობს ლუდს.

დაილოცებიან: "გამარჯვება წმიდას სანებასა, იმის წყალობა გქონდასთ ჭადუელთ; საწაღმართოდ მაგიარასთ, მშვიდობით შაგინახნასთ, ბევრ წელწად-ქრისტე მაგგვარასთ მშვიდობისა, კარგად ყოფისა, რგებისა, გახარებისა, ერთუცის სიცოცხლისა, თასიანებს ჭელთა გაამასთ, მემუჭლეებს მუჭლებ შაგარჩინასთ. მჟჯელებ გადღეგრძელნასთ, ჟჯილობა ნუ დაგიკარგასთ, უნცროსობისა-დ უფროსობა მაგარგიანასთ. ნუ ვის თვალ-გულ მაგრივასთ". (მჟჯელები: ვინც ირჯებიან და აცხელებენ გურჩებით ლუდს. თასიანები: ვისაც თასები უჭირავს. მემუხლეები: ვინც მუხლებზე სხედან). ვისაც მაცემული ხქონდ თასი, მემრ იმას დაულოცავს: "დაგლოცას ღმერთმ, ჩემთან თას ნუ მაგიშალასთ, მტერსთან ჭმალი, გამარჯვება. შაუნდნას შენს მესახელეს კი, მააჭმარას ეს თასი (ხევსურეთში ორ სახელს არქმევენ: სულის სახელს და ნათლობის სახელს. სულის სახელს დაარქმევენ უფრო სულით მკითხავის საშუალებით. ის იტყვის რომ ესა და ეს მკვდარი ამბობს – ამ ბავშვს ჩემი სახელი დაარქვით, მე ვზიავარ მის აკვანთან და ვიდრე ჩემს სახელს არ დაარქმევენ, ის ბავშვი ტირილს არ მოიშლისო. დაარქმევენ იმ სულის სახელს და დარწმუნებული არიან ბავშვი დაჭკვიანდება. ამიტომ ილოცება მესახელისათვის, მესახელეს დიდ პატივსაც სცემენ. მესახელე ჰქვია იმ სულს, ვისიც სახელი ჰქვიან ამა თუ იმ ადამიანს. ხევსურს მეორე სახელი მონათვლის დროს მღვდლისაგან ერქმეოდა. ხშირი არის შემთხვევა, რომ აღარც ახსოვთ, რა სახელი დაარქვა მღვდელმა)". "შენ მადლა მაგცას ღმერთმ, იმის საიქიონ დაგიმადლნას" - ეტყვის თასის მიმტანი.

ყველა ამ სახით ილოცავს თასსა-დ სომს. ახალგაზრდაები დიდხანს არ დაიჭერენ თასებს ჭელჩი. უფროსების ხათრით. მუჭლზეით ადგებიან, ვისაც თასს მიუტანენ,ან ფეჭზე ნადგომებ შასმენ ლუდს,ან ბოლოსკე ცოტახან დაჯდებიან, აიქ შასმენ, რო უფროსებთან ახლოს არ იყვნან. უფროსებს კი უჭერავ თასები, სხენ დიდხან, ნელ-ნელად სმენ. ბუდე ხევსურეთში ჩვეულებად აქვთ: როგორც თასს დიდხანს დაიჭერენ, იმდენად თავდაჭერილობას ნიშნავს. ასეთ კაცს მეტ პატივს სცემენ, კაკურაზ კაცს, ან სულდაჭერილს ეძახიან. ხევსურები ამბობენ: "ამაღლების ღამე კაცს ერთს თასჩი უნდა გაუთენდნას". (რადგან ამაღლება გაზაფხულზეა და მა'შინ მოკლე ღამეებია).

სმის დროს ქალების ამბავს სრუ არ ასტეხენ ჯარზე. აქ საუბრობენ მტერობაზე, შუღლზე, შარიგებაზე, რჯულზე, ვინ ვის მტერი იყვა-დ, როგორ გათავდ ბოლოს საქმე, როგორ ირჯულეს, ვინ იყვნეს რჯულის კაცები. რჯულის კაცებმ როგორ გაარჩიეს საქმე, ხო არვისკე ხქონდ გადახრა და სხვ.

ამ საუბარჩი მაიგონებენ ძველს სიმღერებს. მაითხოვენ ყანდურს ერთ-ერთს კაცს. მისცემენა-დ ამღერებენ. ისეთ სიმღერას 'შაარჩევს, რო აქ ვინ იყოს იმ გვარისა, ვისაც გვარის სიმღერეს იმღერს, რო ასიამოვნას ამ გვარის კაცებს. ანდა შაიძლების ჭევსურთ ლა'შქრობაზედაც იმღეროს. საგმირო სიმღერას მღერიან ძალიან ხმა მაღლა

და გაგრძელებულის კილოთი. სატრფიალოს მოკლე კილო აქვს და უფრო მშვიდის ხმით ლექსობენ. საგმირო სიმღერის მღერას მღერა ჰქვია, სატრფიალოსას – ლექსობა. საგმიროს ჯარზე მღერიან, სატრფიალოს ახალ-უხალში. საგმირო სიმღერები თუ ბევრი იცის, ასეთ კაცს აფასებენ – ბევრი სიმღერები და ანდრეზები იცისო. ამაობაში გავ დროიდ წავალ-წამავალენ თავ-თავის შინ. უფროს კაცებს ახალგაზრდები გახყვებიან შინამდინ.

კუმეტი დღე

კუმეტ დილა რომ გათენდების, ამდგრები მაიკითხვენ ერთუცს, აწევენ ვინაცვის უნდა-დ სცემენ რაითაც შაუძლავ პატივს. სოფელჩი რო თავებს მაირჩენენ, ახლა ფიქრობენ ჯვარჩი წასვლაზე. მაგრამ ჯერ აცლიან ჭირის პატრონს. ჭირის პატრონი გაასხამს შამფურზე მწვადებს, დაიჭერს ერთს ბოთლას არაყს ჭელჩია-დ წავ ჯვარჩი, ჯვარიონთან. ჯვარჩი ჯვართ მადლს მასთხოვსა-დ ჯვარიონთ აშენებას ეტყვის. ჯვარიონნი მაეგებებიანა-დ როგორც ჭირის პატრონს, დიდით პატივისცემით ექცევიან. იმღერებენ, ულექსებენა-დ ცდილობენ რო ჭირის პატრონმ რაით გაირთასა-დ მემრ ჯვარიონნი ერთ ჩხუტს ლუდს წამაიღებენ, გამახყვებიან ჭირისპატრინსა მოვლენ იმის ბანზედ: მასპინძელ დააგზებს დიდს ცეცხლს, ხუცესი შანდობას ეტყვის ჭირისპატრონის არაყსაც-დ თავის მატანილს ლუდსაც. შანდობის თქმა ჩვეულებრივად სრულდების.

ამ დღეს სოფელჩი ყველა დიასახლისებ გამააცხობენ კეცეულებს, შანახული აქვ ყველას კა არაყი თითო მინაი. სამ-სამს კეცეულს ერბოიანსა-დ თითო მინას არაყს ყველა მიიტანს ჭირისპატრონის ბანზედ. ყველა მიდის სოფელჩიით, აქ წევა არ იციან. ჭირის პატრონ ამ დროს განსაკუთრებით დიდ ცეცხლს დააგზებსა-დ სოფლის მატანილ ტაბლებს ყველას ცეცხლთ პირჩი დაზდგმენ, ყველას მინაჩიით წამასხმენ არაყსა-დ დაიჭერენ ჭელჩი ყანწებს. ადგების ერთ-ერთ უფროს კაცი, შაიძლების დიაციცად, ამ ცეცხლსაცად სასმელ-საჭმელსაც ყველას დაღლოცვენ ანდაბისად.

დალოცვას რო გაათავებენ, კეცეულებს დაშჭრიან, დაუდგმენ ხალხსა-დ აჭმევენ. ხალხი არა ბევრად ჭამსა დ ყმაწვიილებს დაურიგებენ. რაიც გადაშჩების კი, შინ წაღებაიც იციან. მემრ ყველა ასხამს არაყს თავ-თავის მინებჩიით, სხვებს ლუდ ამააქვა-დ არიგებენ. იმაართების დიდი სმა. ჭირიც დასცილდების აქაე. იმართების თამაშობა ცეცხლის სიმირგვლივ. სხავ ხალხი,ზოგ ლუჭყი- კეტაობს, ზოგი თამაშობს, ზოგი იმღერსა-დ ას მთელ დღეს ლხინი. აქ ლხინი რომ მასწყინდების, დაამბენ ყერჭისას-დ ყერჭისაის მღერით კაცები ჯვარში წაელენ, დიაცებ კი შინ.

სიმღერეს ერთ კაცი იძახსა-დ იმას თავის მჭარეზე მდგომ ხალხ აძლევს ბანს, მეორე მჭარეზე მეორე სიმღერის თავი იმეორებს პირველი სიმღერის თავის ნამღერალს სიტყვებსა-დ თავის გუნდ ეუბნების ბანს. ასეთი მღერით ფერჭისა მივ დარბასის კარჩია-დ დაიშლების. მაიჭდიან ყველან ქუდებსა-დ აკოცებენ მიწას, მასთხოვენ მადლს წმიდას სანებას: "წმიდაო სანებაო, ნუ შაგვისაწყინდები შენის კარისა კამალაის დალაჭვისად. გვაპატივი, რასაც გაწყენთ პირის ქარითა, ფეჭის ნალითა, უტნი ორთ, უმეცარნი ორთ. ყმა შაუწყენ არ იქნებისა, ბატონ შაუნდობარი, შაგვინდევ, ალალოცვილო, ზღენითა, სანთლით გადაგვაჭდი". მადლის მათხოვას რო გაათავებენ,

ყველან იძახებენ: "აშენდით, ჯვარიონნო! წაღმამც წაგივათ დღეი დღეობა". "დაშვენდით, მაგეიხვეით მშვიდობით, მშვიდობით თქვენ მასვლა", – მაეგებებიან ჯვარიონნი. (ჩხუბის შემთხვევები ხშირია დღეობებში, ხშირად გვარი გვარს წაეჩხუბება და მრავალი ხალხი იჭრება ხმალ-ხანჯლებით. ზოგიერთ სალოცავებში ჩხუბი სასტიკად აკრძალულია, მაგრამ აქ თუ რამე აწყენინეს ერთიმეორეს, აქედან რომ წავლენ, სოფელში მოუშარებენ და ხდება დიდი ჩხუბი. ხევსურეთში დღეობებში გართობას უფრო ნაკლებად შეხვდებით, ვიდრე ჩხუბს. დასჭრიან ერთიმეორეს მსუბუქად და არა სასიკვდილოდ. თუ მოხდა და მძიმედ ვინმე დაიჭრა, დამჭრელს გაკიცხავენ - შეშინდა და იმიტომ ვერ გაიგო, იარაღი როგორ უნდა ეხმარაო).

ამ დროს ჯვარიონნიც გამაიტანენ ერთ ჩხუტს ლუდსა-დ სურაით არაყს. ჯერ არაყს ჩამოურიგებენ,მემრ ლუდს,ასმევენ ძალდატანებით. ამ სმაში ასტყდების კაც-შუაკაცი-დ თუ სოფელში ვინ იშუღლ, ორთავ აქ მაიყვანენა-დ შაარიგებენ. აქ აუცილებლიე უნდა შერიგდნენ. განსაკუთრებით სანების ჯვარჩი ჩხუბი სასტიკად აკრძალულია და ხევსურების წარმოდგენით, საბოლოოდ განადგურდება აქ ჩხუბის ამტეხის შთამომავლობა. შარიგების დრის შუაკაცებ აუტეხენ საუბარს, რომენიც მაშუღლარ აქ იქნების მასული, უფრო ხნიერ კაცები ეტყვიან (დაუშვათ პირველი მაჩხუბარი ან მაჩხუბრების გვარის უფროსი ხახონი, მეორე მანგია): "ხახონო, წმიდის სანების კარჩი ორთა, დაილოცას მაგის ძალაი, მაგას დიდ ძალი-დ შაძლებაი აქვ, დალოცვილ სანება თხა - მგელთ ერთად აძოებს. უთხარ ამაგ უნცროსებსა, რო ნუც ჯვარს სცოდვდებიანა-დ ნუც ძმობაშია, ქალ-ზალში იწბილებენ პირს (შარიგებას უფროსებს სთხოვენ გვარში და უმცრისები მათ სიტყვას ვერ გადაუხვევენ). მახჭდ სიმთვრალით თქვენ შუღლი, არას ხქონდ თავ-ბოლო სიმთვრალის მეტს, ღმერთმა დასწყიოს ეს სასმელი. ყველას უფერს ეს ჩადის, თორემ რადარ თიბა-მკაში ეშუღლობთ ფხიზლები. ჰო და ამ სასმელჩი შუღლის გულისად კაცი საკვირელთ არ უნდა გამავიდას. შუღლიც წესი ასა-დ შარიგებაიც. თუ რა ვის შჭირს, იმას პატივ დავზდვათ, ყველას თავის წეს მიზდევს, ეე ნაჭრევებიც წაჭდების, ამაგეებისად აქიმს უნდ დაყენებაი". შუაკაცებ რო დადგებიან, ახლა მაშუღლარ ხახონ ეტყვის: "არა იყვ ჩვენ ბრალი, არც ჩემი-დ არჩ ჩემის გვარიშვილობისა, ეს მაგათ გონობისაი, მაგათ სილაღისაი. სალაღ-სანებივროდ გვიჭდიან შუღლად, კაცს კაცად აღარ აგდებენ, აღარას კადრულობენ, აღარას ვისას ყურობენ, უფროს არ იციანა-დ უნცროსი. ეე ჩემთ ჭაღრიანთ ყბათაღ შამახენეთა! მე ახალგაზდა შუღლად როგორ უნდა მიჭდიდასა-დ იარაღს მიქნევდას; ძაღლ არ დახყეფნებს ჩემ დროთას იარაღ გაწირულს კაცს. ნეტავინ ულევდი რას; სოფელჩი კაის მეტს ავს ჩემს ვერასეინ მაიგონებს, სირცხვილ მაინც არ ასა ეემ დროთა კაც ეესრ გამჭადეს (ამას ეტყვის, თუ ის ამ შემთხვევაში დაჭრილია, ან ღაჯიათი არის ნაცემი და დასისხლიანებული). რად გვინდ შარიგება, იყოს მაგათ ჭკვისაი-დ ვიქნებით ეესრ მტრად, იარაღის მასაქნევლად, ჭელს არც მე მახლებსა-დ როსაც დავსწორდებით, ამაში შავღრიგდებით (დასწორება – როცა შევხვდები და სამაგიეროს გადავუხდი, ე.ი. დავჭრი, მაშინ 'შევრიგდებიო)".

"სუ, თუ გწყალობს სანების ჯვარ, ხახონო! შენ უფროს კაც მაგას ამბობა, უნცროსებს რაიღ ებრალების; ნიადე იშუღლებენ, როსაც უფროს მაგას ამბობს, შენ დარიგება გეხედნების, კა თქმაიდ კა ქნა, რაი საკვირელ მამჭდარი. ქვე არ

გინახავა შუღლი, ნაჭრევი. ხამ ხო არ ხარ, ან ერთისაიდ ან მეორისა? წედანაც გითხარით, კაც საკვირელთ არ უნდა გამავიდას. აჰა, ე პატივ ქვე დაიჭირე, ჭელ ქვე მაგვეცი". ხახონი ჯერ კიდევ უარზედ დადგებისა-დ ბოლოს ერთ-ერთ შუაკაცს ჭელს მისცემს, შუაკაც დაიჭერს ხახონის ჭელს, იტყვის: "ღმერთო, უშველი ხახონს, წმიდაო სანებაო, შენ წყალობა მიეც ხახონსა, მაგის გვარს. წმიდაო სანებაო, შუ გაუარე, წაღმ მაუარე, რაიც ავ ჩამაუვარდ, ნულარას ავს ჩამაუგდებ. მარცხი ბირკოლი მააშორი, დაინდვენ, დალოცვილო, ერთუცის მედაეენი, როგორც დაინდობენ შენს კარჩი ჩვენდ მაცემულს სიტყვასა-დ დადებულს პირობას, როგორც დაინდობენ ერთმანეთს, ისრ დაინდვენ, დალოცვილო. უშველე, უმეშელი, ავ კაზე შაუცვალე, მეწაღმართე ანგელოზ, დააყოლი. გიშველასთ, ხახონო, სანების დავლათმ, გწყალობდასთ, შუ გაგიარასთ, წაღმ მაგიარასთ. რაც ჩამაგივარდათ, სხო ავ ნულარა ჩამაგიგდასთ, მეწაღმართე ანგელოზ დაგაყენასთ". "თქვენ იყოს მწყალობელი" – პასუხობს ხახონი. ხახონის გვარის ახალგაზდრებმა თუ რამე შერიგების წინააღმდეგ თქვეს, ხახონი არ აუბნებს, გაუჯავრდებისა-დ დააჩუმებს: "სანების კარჩი ორთ, - ეტყვის, - ჯვარსაც ხათრ უნდა შაუნახათა-დ კაცსაც".

მემრ ამაიღებენ შუაკაცებ ან ერთ აბაზ ფულს, ან ნამგლის ნატეხს, ან სხვას რას ცოატის ღირებულებისას, მისცემენ ხახონსა-დ ეტყვიან: "შენ პატივი ას. ეს წამაგვატანივ მანგიამ. ვნანობავ, ამბობს, არ უნდა მამჭდარიყვავ ჩვენ შუღლიო, ნამეტნაოდ ხახონის ნაჭრევიანობაიო-დ რაკი მახჭდაო, რაიღ ვქნაევ, თავს ქვე ვერ მავიკლავაო – წინ უდგეორავ. თეთრ ოქროთ აულესავავო-დ აისრ მავარჩენავ". ხახონ აიღებს პატივს, თუ ცოტა რაი შჭირს, მაგრამ თუ სასაკლავე ადგილზე შჭირს, მაშინ – ჭმელ პატივს არ აიღებს, მაშინ უნდ საკლავ-პატივი (ხმელი პატივი ჰქვია უსაკლაო პატივს), სასაკლავე ადგილები არის: პირისახე, ხელი, თუ მოსალოდნელია ამ ნაჭრევისგან გაუხმარება. მუხლის თავჩი თუ საწელეს უნდ გაჭსნაი, აისრ დახვევა, იმას საუნამუსოეი ხქვიანა-დ იმასაც საკლავ-პატივ უნდ. ერთი საკლავი-დ პატივად ან აბაზი-დ ან სხვა რკინეულ რაი. ამათ რო შაიჯერებენ შარიგებაზედ, ახლა სოფელში წავლენ შუაკაცები-დ მეორე მხჭარეს ეხვეწებიან შარიგებას, ერთ მჭარე რაც გინდა მუქარას ითხოვებდას, შუაკაცებ მეორეს მჭარეს მაინც ატყუებენ, რო ნანობენავ თქვენთან ნაშუღლრებივ, ნეტაინავ მაგათან არ გვეშუღლაო, სრუ დავჭოცილიყვენითავ. ასეთი საუბრით შუაკაცებ მეორეს მხარესაც გულს მაულბობენა-დ შარიგებაზე ჭელს ჩამაართმენ, პატივდასადებს პატივს დასდებენა-დ წამაიყვანენ მანგიაის გვარის კაცთაც ჯვარჩი. ჯვარჩი რო მავლენ, ჯვართ მადლს მოსთხოვენ: "გვაპატივეთ, დალოცვილნო, შანაწყინარი – შანაცოდვარი, სოფლის აქოთებაი. შენს კარზე ჩვენზე ლოლოქარი ზღვნითა, სანთლით გადაგვაჭდიეთ".

ჯვარიონნი გამაიტანენ ერთ საწდე ლუდს,ხუცესს ერთს თასს მისცემენ ჭელჩია-დ ხუცესი იტყვის: "ღმერთო, დიდება შენდა, ღმერთო, მადლი შენდა, ღმერთო, გაუმარჯუ წმიდას სანებასა, წმიდაო სანებაო, უშველი ამ ორ გვარს (დაასახელებენ მიჩხუბარ გვარებს); დალოცვილო წმიდაო სანებაო, ჩამაუვარდ სამდურავი ამ ორს გვარსად, რაც არ ჩამაღეარდნივ, ნულარას ავს ჩამაუგდებ, შუ გაუარე, წაღმ მაუარე, შენი წყალობით შაინახენი, დაინდვენ, დალოცვილო, როგორც ერთმანეთს დაინდობენ.

წმიდაო სანებაო, შენ სადიდებელი ასა-დ შენის დიდებითა, ჩემის სიტყვის მაჴსენებით, სააქაოს ნათქვამ თუ საიქიოს მიდიოდას, წესი მართებულ იყოს, სულს შანდობა მიუდიოდას, ხთის წესითა, მღდლის წესითა, იერუმსალეთის ნათლით, ქრისტეს გარიგებით, ზედამრჩოების დღეგძელობითა-დ კარგა ყოფით, ეს თასიცა-დ ავსებულ ჩხუტიც სულთამც ამ ორს გვარს რაიც წელს დააკლდ, იმათამც მაეჴმარების".

მაშუღლარებს ერთუცისად მიატანიებენ თასებს. ვინაც უფრო საქმის დამლევი, იმას მისცემენა, ეტყვიან: მიუტან ე-თას, შენ ხარ წინ-წინ საქმის დამლევი. ისიც გამაართომს თასსა-დ მიუტანს: "აჰა თასი, არ მინდოდ, რო მე და შენ ეს საქმე მაგვსლიყვა, მამჴდარს საქმეს აღარა ეშველების, მაპატივი, რაიც გაწყინე. წინ გიდგეორ, ჩემს დალეულს საქმეს მე ვერცად წაუოლ, თეთრი ოქროთ აგილესავ (დანაშაულს ბაჯაღლო ოქროთ გადაგიხდიო)". ვისაც თასს მიუტანს, ის თასს გამაართომსა-დ ეტყვის: "აბა, მე რა გაპატიე, ღმერთ გაპატიეებს. მაგრამ მე არ გიხედევდი (არ მოველოდებოდი შენგან) ჩემს ეესრ გაჴდას". "ნუღარ ამბობთავ, რაიც იყვავ-იყვავ", - გაუჯავრდებიან შუაკაცები-დ გააჩუმებენ. მემრ დაილოცავს თასსა-დ ადღეგრძელებს თასის მიმტანს: "გადღეგრძელას, გაცოცხლას, გეწეოდას სანებაიცა-დ მაღალ ღმერთიც. კას თავსა კაი ვაჟობას ნუ მაგშალას, თუ შენ დღეგრძელობა არ მინდოდას, ღმერთმა ნუ ვინ მიდღეგძელას. მანამ გადღედძელას, მანამ ცას ნამ მაზდის, მიწას მწვანილი. ძალ ხთის, გეწეოდას, შუქ მზისა. მე, მართალი, შენგან არ მეგონ თუ ეესრ გამჴდიდი. რა უყოთ, კაი ვაჟი ხარა, ჩემს მტერსაც ეეგრ უსამ, მე თუ ძალა ვინ დამატან".

"მადლობელი ორ, ღმერთმა შენ თავ მიდღეგძელას" – ეტყვის თასის მიმტანი, - "შაუნდნას შენს მესახელეს კი, ეს თასი იმისამც ნებას იქნების. შენ მადლა მაგცას, იმის საიქიონ დაგიმადლნას, იმის მასვლამდინ ეაცოცხლას". უფრო მტკიცე რო იქნეს შარიგება, შუაკაცები მაიგონებენ ნაშუღლართ ძმობილებას. შუაკაცი აავსებს თასს ლუდით ან არაყით,დააყენებს გვერდის-გვერდ ნაშუღლართ,მისცემს თასს უფრო უფროსს. შუაკაცი ჩასთლის ვერცხლს წვრილ-წვრილად სასმლიან თასშია-დ იტყვის: "ღმერთო, გაუმარჯვი წმიდას სანებას, წმიდაო სანებაო, შენ სწყალობდი ამ ძმათ, საძმობილო (სახელები ორივესი), მაუგონებავა, მაუნდომებავ ძმობაი, ძმობილობაი. აძმენ, წმიდაო სანებაო, აძმობილენ. წმიდაო სანებავ ცროლის წვერისაო, სახმთოო გუდანის ჯვარო, კვირაევ ძალიან-მადლიანო, დიდო ჴაჴმატის ჯვარო გიორგივ ნაღორ-შვენიერო, ხელო სამძიმარო, ქაჯავეთის გამტეხო, დიდოეთის გამბეგრაო, ღალანგურ წმიდაო გიორგიო, კარატის ჯვარო, დიდო არხოტის ჯვარო, დიდგორ ვეშაგო გიორგიო, თქვენ უშველეთ თქვენ მეხვეწურთ ძმათა, ძმობილთ! თქვენ ბედი, დაელათ მააჴმარეთ, დაინდვენით, როგორც ერთუცს დაინდობენ. მიუცავ ფიცი სასმლითა, წმიდით ვერცხლით ერთუცისად ძმობაზედა, დაამტკიცები დაფიცულობა. ნურაით შაიცოდვებთ,დალოცვილნო ჴევსურეთის სალოცავებო". ამ ლოცვას რომ გააოთავებს, ყველანი დაამწყალობნებენ: "გწყალობდასთ ძმათა, ძმობილთ, საწაღმართოდ მაგიარასთ ნაჴსენებ ანგელოზთ დაცლათი, ნურაით შაგიცოდვნასთ, ხალიზ მაგცასთ ძმობაშია, მეგობრობაში". ამის შემდეგ სამ-სამჯერ შაასმეეენ ცოცოტა ვერცხლიან სასმელს ერთუცს. მემრ ერთხან კიდე ააცსებენა დასცლიან თასს. მესამეს იმას შასმევენ, ვინაც აძმობილა, გადახკოცნიან ერთუცსა-დ გაჴდებიან როგორც ძმანი.

კუმეტს დღეს ჯვარჩი დიდ მხიარულობა, სმა თამაშიბაი-დ მასხარაობა იციან. საკლავები წელწად'ში მაუდისა-დ სრუ დღისთაოდ (ყოველ დღე), ხვოცენ მეზღვნეები. დაღამდების კუმეტი-დ. დასხდების იქავ ჯარი, გაიმართების ქურდობა. ქურდობას დაიწყებენ დასტურები. თითო სახლ თითოჯერ უნდა გატყდას. დასტურები უფრო იმას ცდილობენ,რო არაყ მაიპარენ. სახლში არაყს არ დაღმალვენ. ისით ადგილზე დაზდგმენ, კიდევაც რო ქურდებ მარჯვედ შახვდან. არც კარს დახკეტვენ, ჯერ ჯვართ ხათრით, რო სანების ჯვარის დასტურთად ქურდობაში ჭელის შაშლი არ ვარგ, მეორე ისი, რო სირცხვილი ქურდებისად კარის დაკედვაი-დ დამალვა არაყისა. ქურდებმ თუ არაყ ვერ მაჭელეს, სხვას რამეს მაიპარავენ; ჭორცი, ტალავარი, იარაღი. ჭორცს მწვადად გააკეთებენ ჯვარჩია-დ ვისაც მახპარეს, იმასაც ჯვარჩი აწევენ. იმას არაყის დახარჯვის დროს სცემენ პატიეს. ტალავარი, ქონი, იარაღი, სხო თუ რა მაიპარეს კი,იმას საჭსარ უნდ. მანამდენ პატრონ ვერ დაიბრუნებს, მანამ არაყიანს მინას არ მიიტანს. ამას ხქვიან საჭსარი.

ქურდებს ყარაულობენ ოჯახებშია-დ ცდილობენ, რო დაიჭირონ. ვაი იმათ დღეს, რო არაყით იმათ დღეს აყრიან. ასმევენ ძალდატანებით, დასმენ ცეცხლთ პირში, დააგზებენ დიდს ცეცხლსა-დ აცხომლებენ, თუ არაყ არ შასვ. თუ შასვა, ცოტაად გამაუნელებენ. მთელ ღამეს აწვალებენ, მეზობლებსაც გააგებიებენა-დ მაიყვანენ იმის "საწვალებლად". მემრ ჯვარჩი გააგებიებენ, რო თქვენებ დასტურებივ აქ არიანავ დაჭერილებივ. ჯვარიონნიც წამაიღებენ საჭსარს – ერთს საწდეს ლუდს. გაათავისუფლებენ დასტურებს. მხოლოდ ჭელცალეს არ გაუშვებენ. აუცმენ გძელს შამფურზე მწვადსა, სათავეში სატანს (ყველას) ჩამაცმენ, გაუდებენ მჭარზედ, ერთს არაყიანს მინას მისცემენა, გაუტევენ აისითას ჯვარჩი. მათ იქაც დასმენ ცეცხლთპირში, შაუგზებენ დიდს ცეცხლს, ხან საბლით ჭერჩი ჩამახკიდებენ, შაუკვრენ ჭელებსაცა, ფეჭებსაც, ხან ბოძზე დააკვრენ, ვერც იმას იგებენ, რო ეს კაციე ძალიან იტანჯებისავ. მანამ საჭსარ არ მაუვ, იმის წვალებით ერთობიან. გაჯავრდომა სირცხვილ ას, არ გაჯავრდების, ხოლოთ შაიძლების, რო შაეხვეწასა, წვალება შაუმზუბუქან. სოფილის ჯარზე კი სრულდების სხვა ყველა ჩვეულებრივ წესები. კაცებ როსაც ამ ამბავში არიან, ამ დროს დიაცებ თავთავის შინ არიან. ზძინავ. დიაცებ თუ დღისით მეთამაშეს ჩახყვებიან,მაშინ გამაუტანენ ლუდს,თორემ სრუ შინ არიანა, დღეობაჩი ვერ ღებულობენ მონაწილეობას. ამ ამბვებით გათენდების კუმეტი ღამეიცა, დილას დგების წ ი ნ ა შ უ ა დ ღ ე.

წინა შუადღე

წინა შუადღეს დილას სოფელჩი ერთუცს აწევენ – წამეედივ, თავ მაირჩინევ. ას სოფელში ბიდენ-მადენაი-დ ქეიფობაი. ქალებ ყველა ამზადებს კეცეულებს ჯვარჩი წასაღებად, გამააცხობენ სამ-სამს კარგს გულიანს კეცეულს, ჩააწყობენ ბაკანში, ჩაადებენ ბევრს ერბოსა-დ. კვამლის კეცეულს მიიტანენ ჯვარჩი, ამას ხქვიან საპატიო. დიაცებ რო საპატიოს მიიტანენ, კაცებიც მივლენ ჯვარჩია-დ ჯვარიონნ ლუდს გამაუტანენ, კეცეულებს დარბასში შაიტანენა-დ დაზდგმენ ბაკნებით. მანამ ყველა არ მავ (კეცეულებს თითოს მინას არაყსაც მიაყოლებენ).

დიაცები დასხდებიან ჯვართანით კარგა შორს, დასტურებ დააგზებენ დიდს ცეცხლსა-დ გაუტანენ ლუდს,დააყენებენ ერთს ზედამდეგსა,გაიმართების სმაი. ქალებმ თასის დალოცვა თავისებურად იციან: "დაგლოცნასთ ღმერთმ ყველა, გადღეგძელნასთ, მშვიდობით გამყოფნასთ, გწყალობდასთ, რაისაც სადიდებელი ას, თვალ-გულ ნუვისა მაგრივასთ. ჭირს ესომ თქვენს ყველაისას".

როსაც კეცეულებ ყველა მავ,ხუცეს დაასხამს ერთს ჩხუტს ლუდს,დაზდგმენ საპატიოებთან, დააკვრენ სანთელსა, დაილოცების ჭადუელთ ანდაბისად. ხუცეს აავსებს ერთს თასს, დაზდგამს ჩხუტსთან (ჩხუტი საპატიოებთან ბაკნების შუაჩი დგას), დაღლოცავს: "ღმერთო, დიდება შენდა, ღმერთო, მადლი შენდა, ღმერთო, უშველი ჭადუელთ, ბევრ წელწად ქრისტე მაღგვარი მშვიდობისა, კარგად ყოფისა; ღმერთო, გაუმარჯვი წმიდას სანებასა; წმიდაო სანებაო, შენ სწყალობდი შენთ ყმათ, მიეც მშვიდობა, ნუ დაღლევ სულთ საგონებლადა, შენ სადიდებად. წმიდაო სანებაო შენის დიდებითა, ჩემის სიტყვის მაჭსენებით, შენის მიცემით, სააქაოს ნათქვამ თუ საიქიოს მიდიოდას, წესი სამართალ იყოს, ხთის წესითა, მღდლის წესით, იერუმსალეთის ნათლით, ქრისტის გარიგებით ეს დადგმულებ საპატიოებიც, ავსილ ჩხუტი-დ თასი, სანთელიც, სულთამც ჭადუელთ ანდაბისა, იმათ ძველთა, ახალთ, დიდსა, წვრილსამც მაეხჭმარების. ჭადუელნი კარგა ამყოფნას, სულის საგონებლადა, ჯვართ სადიდებლად ნუ დალივნას". "შაუნდნას ღმერთმ", - იტყვიან ყველანი. ჯერ დამლოცავ შასომს ამ თასსა-დ მემრ აემავ თასით ჩამაურიგებენ ყველას თითოს თასს ანდაბის შასანდობრად.

ყველა დაილოცებისა-დ შასანდობარს სულუქცევრად გადასმენ. აქ რო სმას მაათავებენ, დაშჭრიან კეცეულებსა, დაუდგმენ ჯვარიონთ ტაბლას, მემრ რაიც დარჩების, გაიტანენად დედროვანს დაუდგმენ, ბაკნებით დაზდგმენ, გამაიტანენ ჩხუტით ლუდსა-დ ანდაბის შაშანდობარს ქალებსაც ჩამაურიგებენ. ქალები მაიტანენ ბუზიკანტს, ან ფანდურს, ახალგაზრდა ვაჟებიც აქ მავლენა, გაიმართების თამაშობა. წუხრამდე ქეიფობენ აქ. უგზავ (უნთია) დიდ ცეცხლი,თან ლუდ-არაყს სმენა არც სიცივესა თოვლს ეპოებიან. რო მასწყინდების, მასთხოენ ჯვართ მადლსა,წავლენ სოფელჩია-დ გაიმართების სახლებჩი ქეიფობა. ეესრ დაღამდების წინა შუადღეი. თუ შუღლ მახჭდ, შარიგებამდენ ჯვარჩი რიგს მარჯვედ აღარ აყენებენ, ეტყვიან რო ჯერ ჯურუმ მავიდასავ, რო ჯვარჩი შუღლ გაჭადესაო-დ მემრ ვიქთავ ყველაის ანგარიშსავ. ამ ღამესაც ჩვეულებრივად ჩაატარებენ სოფლის ჯარზე ლუდის სმითა-დ მღერით. დილას შაუდგებიან უკენა-შუადღის წესებს.

უკანა შუადღე

უკანას შუადღეს ჯვარჩი ჩვეულებრივი წესით სრულდების ყველაფერი. ღამისამთელო-ყამისაწირ ხო ყველა დღეებში ერთნაირად მააქვ, ერთნაირად ხუცობენ, კურთხევაიცა-დ სხვაიც სუყველაი ჩვეულებრივი ას, მხოლოდ სოფელჩი ას სხვა დღეებთანით სხვანაირ წესი. დიასახლისები ყველა გამააცხობს რაც შაუძლაე კას კეცეულებს. ყინული ერბოთ გახპოხენა-დ დაზდებენ სახელს. ამაებს აქამდენ ხო კეცეულებ ექვივენ, რო ტაბლაზე დააწყობენ, სახელსადები ხქვიან. დაუდგმენ

ტაბლას გვერდი თუნგით წყალს, მინაით არაყს, წყალს კრუშკაით დაზდგმენ ტაბლაზე ერბოიანის ჯამის გვერდი, ყნაწს არაყით სავსეს ჭელჩი დაიჭერენა-დ დაზდებს დიასახლისი სახელს. სახელისდებაი ჩვეულებრივი ას, ხოლო ცოცოტა გარჩევაი ას:

"ღმერთო, დიდება შენდა, ღმერთო, მადლი შენდა, ღმერთო, ცაიც შენი ასა-დ ხოყანაიც, სულიც შენ გებარებისა-დ კაციც შენ გესვეწების. შენგან გაჩენილი ას წელწად, ქრისტეი-დ წინაშუადღეი-დ უკენა შუადღეი. ღმერთო, შენ მიგიცავისა-დ დაგიმწესებავის კაცოაზე უკენა შუადღეი სულის მასაგონებლადა-დ შენად სადიდებლად. ღმერთო, შენ უშველი ბეჩავთ ამ ჩვენთ ჯალაფთ, ბევრ დღეობა მშვიდობისა, რგება-გახარებისა ალოცვი; ღმერთო, შენი დიდებითა, ჩემი სიტყვის მაჭსენებით, სადაც თქვენ ხართ, ჩემნო დედამთილ-მამამთილნო (ასე იტყვის ხნიერი დიასახლისი, ვისაც დედამთილ-მამამთილი და დედა-მამა ცოცხლები აღარა ჰყავს), ჩემნო დედ-მამანო, ბაბო-ბერდედანო, თქვენებ შვილები ას, შვილიშვილები. თქვენსამც წინ ას, თქვენსამც ნებას, თქვენიმც საიაღოი ას ეს დადგმულ ტაბლაიც, წყალიც, საპოხიც, ავსილ ეს ყანწი-მინაიც, ეემ სითბოთა, სინათით. ჭელსამც გახკრავთ, კალთასამც გაიხვევთ, თქვენიმც საგძალი, თქვენიმც საჭმარი. ცოტა დიდად, რიოშ წმიდად, კარიმც მღე დაგხვდებისთ, საკვამ აჭდილი, ნუმცარა დაგაღონებსთ. თუ ვინ მაგყვებიდასთ, მაგბიროოდასთ, ჩვენ ვერ ვგონობდათ, თქვენ გაღონებდასთ უფროს სულმკვდარ იყოსა, დობილ-ძმობილ იყოსა, სიძე-ცოლეული, მამდევარ-მაკიდული, ადგილს, წყალს ვინ მახყვებოდასა, სახლ-კარს ვინ მახყვებოდასა, თქვენითამც ნებით დაიწევთ ტაბლაზე, თქვენითამც ნებით მისცემთა, გასცემთ. ძალითამც ნუვინ გამაგეკიდებისთ, მანდაურის წესითა სამართლითამც გაისტუმრებთ. იაღშია სწორ-ამხანიგშიამც ზდგეხართ (იაღში დოგმა – ცხონებულ, ბედნიერ ხალხთან ყოფნა საიქიოში), ნუმცარა დაგაღონებსთ, ყმაწვილებსამც ადუმებთა-დ ალაღებთ. შაგინდნასთ ღმერთმ, ქრისტიანობის გამჩენმ. ჩვენს ბეჩაობას ჯვარ დაგვიწერეთ, ოფლსა, ნამაშვრალს ბარაქა დაგვიტანეთ, ბევრ დღეობა სულისაიცა, ჯვარისაიც მშვიდობისა გვალოცვიეთ". "შაუნდნას ღმერთმ" – იტყვიან ყველანი. მემრ დასხდებიან, დასჭრიან კაცეულებს, ცალკე დიაცებ დაიდგმენ ტაბლასა, ცალკე კაცები. უფრო ჭშირად ის იციან, რო კაცებ რო ჭამენ პურს, ნარჩომ ტაბლას დიაცებს გადაუდგმენ.

სახელდადებამდენ სამს კეცეულს ბაკანჩი ჩაზდებენ, ზედ ყინულს ერბოს დაადებენ (ყინული ერბო - გაუდნობელი). ჯალაფნ რო პურს ჭამენ, ყველანივ ადგებიანა, წავლენ ერთ-ერთ სახლისკაცის სახლში, წაიღებენ თან ბაკნით ამ კეცეულებს, ერთ მინას არაყს (სახლს წინავ ამაირჩევენ) მივლენ ყველა სახლის კაცები. ამ წესით ერთს სახლში ქერაულებ ცალკე შაიყრებიან, მანგიან ცალკე, გოგოთურან ცალკესა-დ ზაილენ ცალკე. შაიყრების ყველა თავთავის გვარ ერთად, წაღლალვენ ჯვარჩი ყველას გვარჩიით მელუდეს (ლუდის მომტანს). ჩაუსხმენ ყველა გვარის მელუდეებს ლუდს. მელუდეები თავთავის ლუდშიით ასმევენ ერთუცს, ლოცვენ თავ-თავის მკვდრებისადა-დ ძალა პირზე მიყუდებით აცლევენ თასებს. ყველა თავთავის გვარში მიიტანენ ლუდს. აქ მატანიდგეს ლუდს აღარ ამახკვრენ, მანამ არ დაილოცების. კეცეულებიან ბაკნებს დაზდგმენ ჯარას (ჯარას-მწკრივზე),დაუდგმენ ლუდიან საწდესა-დ არაყიანებს მინაებს,დაასხმენ არაყსაც

ყანწებშია-დ დაურიგებენ ხალხს, ლუდსაც მისცემენ თასით, რომენიც გვარში უფროსი ას. ადგების უფროს კაცი, დაილოცების. მაგალითად, ქერაულების უფროსი:

"ქერაულებო, დაგლოცნასთ ღმერთმ, გადღეგძელნასთ, მშვიდობით გამყოფნასთ, ბევრ წელწად-ქრისტეი, წინაშუადღეი, უკანაშუადღე მაგგვარასთ ღმერთმაცა-დ წმიდა სანებამაც მშვიდობისა, კარგად ყოფისა, რგებისა, გახარებისა, ერთუცის სიცოცხლისა. ნუ გამალიოს ჩვენს გვარში მართალი, მაგარი, თოფისა, ჴმლის ამტანი, მტერსთან იარაღთა შორს წამტანი, სახელისაი-დ ველის წილის მამტანი. ნუვის თვალ-გულ მაგრივასთ, თქვენი ამჯობინას თქვენის მტრისას. ნუ გამალიოს ჩვენს გვარში როგორც ქუდიანი, ისრაე მანდლიან, ხათრიან-ნამუსიანი. ეს თასებიცა, ყანწებიც, დადგმულ ტაბლაიცა, სასმელიც, როგორც ჩვენს ჴელთ ას, ჩვენ გვექჩერების, ხთის წესითა, ღდლის წესით, იერუმსალეთის ნათლით, ქრისტეს გარიგებით, სულეთის ღმეროის გარიგებით, - სულთამც წინათ ქერაულთას, იმათ დიდ-წვრილისას, იმათ ანდაბსამც მაეჴმარების. ცოცხალთ, ზედამრჩოთ მშვიდობაი, მადლ-ბარაქა დაგიტანასთ, რაც მაგკერძებივასთ, ავ ნუღარა მაგკერძასთ". - "შაუნდნას ღმერთმა, მააჴმარას ქრისტიანობის გამჩენმ, ზედამრჩოებს მადლი, ბარაქა დაუტანას", - იტყვიან ყველანი, ვისაც უჭერავ თას-ყანწები, ჯერ იმათ დააცლევენ სულუქცევრადა, მემრ ყველას ჩამაურიგებენ – დიდსა, ცოტას, დიაცსა, ყმაწვილს, ყველას სულუქცევრად დააცლევენ. მემრ რო შასანდობარს ჩამაავლევენ კი თავთავის ჭკვაზე ამბობენ სადღეგძელოსაცა, სმითაც თავ-თავის ჭკვაზე სმენ.

სმენ, მხირულობენ, მაიტანენ ფანდურს, დაუკვრენა, ითამაშებენ. მემრ წაღლალვენ ყმაწვილებსა-დ სხვათ გვარშიით აწევენ, ვინაც უნდ. ბოლოს ყველა გვარებს მასწყინდება ცალ-ცალკე ქეიფობაი-დ გამავლენ კარში. მაიგონებენ რას მასხარაობას, ან გაიტაცებენ ვის დასტურები სახუმროდ, ან ბერაკას მართვენ. სოფლელები გახფუჭვენ (გამურავენ) კაცს, შაამბენ ვაცის ყბათ, რქათაც დაუკეოებენ, შაამბენ კუდს რაისასა, გახყვების ხალხი, ის დაიწყებს მასხარაობას, ხან თამაშობას დაიწყებს. ჯვართანამდინ დიაცებიც ჩახყვებიანა-დ ჯვართ რო მიუახლოვდებიან, მაეგებებიან ჯვარიონნიც. ქალებს თავის მისასვლელ მიჯნაი აქვ ჯვართ სიახლოვესა-დ იმ ალაგზე დასხდებიან. კაცებ კი მიიყვანენ ბერაკას ჯვარჩია-დ მივლენ, მასთხოენ მადლს ჯვართ. ცეცხლს დასტურებ დააგზებენ; მივ ბერაკაი, ეშმაკობს: ხან ცეცხლზე გადახტ-გადმახტების, ხან დასტურ-ჴელოსნებს მიღმართებს საჩიგავად რქებით, ბოლოს ჯვარიონნი გამაიტანენ ლუდს, დაზდგმენ საწდით. ხალხიც დასხდებისა, ბერაკასაც მააშორებენ საბერაკაო ჩასაცმელ-დასახურავებს, დააბანიებენ გაფუჭვილს ჴელპირსა-დ ისიც ხალხჩი დაჯდებისა-დ გაიმართების კიდევ ლუდის სმაი. ამ დროს დიაცებსაც გაუტანენ საწდით ლუდსა, ახლა აქ გაიმართების მხიარულობაი, თამაშობა, ახალგაზდაებიც უფრო აქისკე მიიწევენ.

ჯვარჩი ყველა ისრ სრულდების, რაჴელაც ნათქვამი ას დღეობის წესში (ღამისთევა, ჟამის წირვაი-დ ყველა წესები მეზღვნის თანმატანებ). იმხირულებს ქალ-ვაჟები, ბოლოს მასთხოვენ ჯვართ მადლსა-დ წავლენ სოფელში, ვისაც ვისთან სწადიან, ატარებენ დროს.

ჯვარჩი წასვლა შაიძლების ფერჴისაით; დაამბენ კაცებ ფერჴისას, გაემართებიან მღერით, უკენ ქალ-ზალ მიხყვების თავის ადგილამდინ. იმღერენ სხვასხვა გვარის სიმღერეებს – ორ გუნდად, როგორც ფერჴისაის წესი ას. ჯერ

ერთ გუნდ იმღერებსა-დ მემრ მეორეი, მებანეებიც თავთავისაი ხყავ. მაგალითად, ქერაულებს უმღერებენ:

გორშელმ წამაედ, ზურაბო, იცნენ ქერაულნ ყმანიო,
მაშინ მახვიდი, ზურაბო, უნცრუას ერტყას ჭმალიო.
უნცროსსა ქიჩბარაულთას არ აუტანავ ფარიო.
ზენუბნით ჩამაემართნეს ქიჩბარაულნი ძმანიო,
კვათეს ჩაყარეს ლაშქარი,ჭოცეს ზურაბის ჯარიო.

* * *

ტუტილის კიდურთ ნისლი დგას, არილს გაიგდებს მზისასა,
შიგ ნასხდომ ჭადუელები ფერს დაიდებენ მგლისასა,
ელიან გათენებასა, დილას გამასვლას ცხვრისასა,
პურსა არ ჭამენ უპორცოდ, არჩევენ ვაც-ვერძისასა.

ესეთ სიმღერეებს მღერობენ ფერჭისაშია-დ თან ჭელიჭელ გამბულებ მიდიან ჯვართაკე. ჯვარჩი რომ მიელენ, ფერჭისა დაიშლების.

ერთმანეთს რომ წყალობას ეტყვიან, ფერჭისა იქავ დაემბისა-დ; იმღერენ, მანამ ჯვარიონნი ან ლუდს არ გამაიტანენ,ან არაყს. ჯვარიონნი ჩამაურიგებენ მღერაში ფერჭისას. სასმელს რო ბოლოს გამაიყვანენ, დაიშლებიან, დასხდებიან დარბასის კარში,აქ ლუდს გამაუტანენა-დ იმართების სმაი.

წუხრ იქავ იმართების. სოფლის ჯარს მიაქვ ლუდი ჯვარჩიითა, სმენ. ამ ჯარზეით ქურდებიც მიდიან ჯვარში, მაიპარვენ ლუდს, ან საკლავსა, მაუტანენ ჯარს. მაპარვაში ჯვარში ერთ-ვინ ჭელს შაუწყობს დასტური ან ჭელოსანი, თორე იქით უკაცოდ ვერასვინ მოიპარავს. აისრავ სოფელჩი გრძელდების ქურდობა დასტურებისგან. თუ ქურდები დაიჭირეს, ჭშირად იციან სოფლის ჯარზე მიყვანა საწვალებლად; სოფლის ჯარი დასტურს ძალიან აწვალებს, მანამ საჭსარს არ მაუტანენ ჯვარჩიით. ჯვარში ჯვარიონნიც მალე დაიჭსნიან, წააღებიებენ მეორე დასტურს ან ჩხანჩხს ერთს საწდე ლუდს. ესრ გძელდების უკენა შადღის დღეი. მეორე დღეს ოენდების გამცხადება (გამცხადებაზე მე ხევსურეთში ვიკითხე და კარგად ვერავინ მითხრა, რაზე არის წარმოშობილი, ან ეს სიტყვა რას ნიშნავს).

გამცხადება

გამცხადებას ახალი წესი აღარაი ას, მარტო სადიდებელთ დადება იციან ყველა ხთიშვილთად ამ დღეს. რამთვენიც ხთიშვილის სახელ იცის ხუცესმ, იმთვენ თასს დაზდგმენა-დ ზედ თითოს ფეჭს სანთელს დააკვრენ. ხუცესი მახყვებისა-დ ყველა სადიდებელზე თითოობით აჭსენებს ხთიშვილებს; სადიდებელთ დადგმის დროს სოფელჩიით მაიყვანენ უფროს კაცებს, რომნებიც ეჭმარებიან სადიდებელთ დადგმაჩი. ბოლოს მკვდრებისადაც ილოცების. უფროსებ მაიგონებენა-დ დაღლოცვენ. საუბარი ჩამავარდების სოფლის საჭირბოროტო საქმეებზედაც უფროსებ საუბრობენ ამაზედაც – არჩევენ რჯულის თავს ძველსა და ახალს. საუბრობენ, რა იყე რჯულში წინავ, ან ეხლა რა წესი ას, რაად შაიცვალ ძველ წესი, ვინ იყე თავ-წვერი ძველის რჯულის შაცვლისა, ან ვინ რა გაარჯულ ახალი,

როგორ გაღრიგდეს ან ის მტრები ან სხვა, ამაში შააქვ შასწორებები. ბოლოს იტყვიან იმაზე, რომენი რჯულიც არ მეეწონების, რო ამ რჯულსავ ჭადუს ნუ მავიტანთავ, ყველა გამთხილდითავ, რო ეგეთ რჯულივ ჭადუს არ ვინ გააკეთასავ.

ბოლოს დაამწყალობნებენ: სოფელჩი მართალს, მაგარს, ხალხის გულისად თავდადებულს, ჭელ-ენა დაჭერილსა-დ სოფლის პირის გამმაგრებელს. დაარისხებენ: მოღალატეს, სოფლის გამტეხს, ჭელ-ენა დაუჭერს, სოფლის საიდუმლოების სხვაკან გამტანს, ცუდის ენის მიმტან-მამტანს, სოფლის პირის მშლელს. ამეებსაც რო მაათავებენ, მავ სოფლის მეთამაშეიც (სადიდებელთ დადგმა დილით ძალიან ადრე იწყება).

სოფლის მეთამაშეს თავის წესით მიეგებებიან, ჯვარს დაამწყალობნებენა-დ ლუდს გამაუტანენ. მეთამაშესაც ჩამაურიგებენ მართალ-მაგარისა-დ სოფლის პირის გამმაგრებლის სამწყალობნოს, მეღალატისად ორ-ენა კაცის სამრისხველოს. ყველა ჩამაირიგებს ასეთს თასსა, ცოცოტას ყველა დაღვრის. უფრო დარისხების დროს დაღვრიან ლუდსა, იტყვიან: "ეესრ დაიღვარას მტრის ჭელით მეღალატის სისხლი! მიზდიოს წმიდამ სანებამ შვილით-შვილამდინ, ქალის შვილამდინ. ნუ გამაიყვანას იმის სახლშიით ნუც ქუდიანი-დ ნუც მანდლიანი. წყაროსთან მაწყურებულს წყარონიმც დაუშრებიან, ნადირთად მიპარებულს ნადირნიმც დაექცევიან. ჭიდზე შამჭდარს ჭიდიმც გაუტყდების, ალაღებულს წყალში ძალნაქნარ ცხენიმც წაექცევის". ასეთის რისხებით ბოლოს გამავ თასი. მემრ დასხდებიანა-დ გაიმართების ჩვეულებრივი სმაი. დიაცებიც, რომნებიც მეთამაშეს შახვდების თავის ნაკვეთამდე, მავლენა-დ იქ დასხდებიან. გაუტანენ იქაცა-დ ჩამაავლევენ სადღეგძელოს სოფელ'ში ნამუსიან ვაშკაცებისას. მემრ დაუკვრენ ქალები ბუზიკანტსა, იმართების მხიარულობა, თამაშობა.

ჭევსურეთ ის კაცი ას საქები, ვინაც ყველა გვარების სიმღერე იცისა-დ შაუძლავ იმღერას, სადაც სტუმრად ას, იქაურ სიმღერეი. უფროსები ავალდებულებენ უნცროსებს, რო რაც შაიძლების ძველ სიმღერეებ ისწავლან კუთხე-კუთხისა, ყველა მჭარისა. სიმღერე ჭევსურეთ სამი-ოთხ ნაირ ას, ერთი ჯარ'ზე ფანდურზე სამღერალი საგმიროები. მეორე ფეხზე სამღერალი, ისიც საგმიროი ასა-დ, უფრო ფეჭზე შაღმღერნებენ ამა თუ იმ გვარის სიმღერეს. მესამე გარმუნზედაც იმღერენა-დ. ფანდურზედაც ქალ-ვაჟებ ახალ-უხალჩი (სასწორფროი-გალექსება-გაშაირება, სალდათობა, შუღლი, საყოფაცხოვლებო). სადაც უფროს ხალხი ას, ან ჯარი სხავ სმაზედ, იქ ქალ-ვაჟურ სიმღერეს არ იმღერებენ; ამას არც მღერა ხქვიან. ამას ხქვიან ლექსობა. მღერა მარტო ფანდურზე მღერას ხქვიან. ფეჭზე შამღერნება უფანდუროდაც იციან. ამას თავჭმელად მღერა ხქვიან. კიდევ თიბაჩიაც იმღერებენ. თიბაჩი სამღერლები უფრო ნატირლებზეით ას გადმატანილი. ამას ცელის ტარზე მღერაც ხქვიან, გვირინიცა-დ მთიბლურად მღერაიც. რაიც ძალი ღონეი აქვ, ჭმამაღლა ყვირის მთიბლურად თიბაჩი მარტო კაცი, რო ერთს მთაზეით მეორე'ზე გაიგონებს კაცი. უფრო ჭმით ნატირლებს იმღერენ მთიბლურად, თავჭმელად. მღერა'მიაც ჭმამაღლად ყვირიან; ჯერ ერთ იძახებსა, მემრ სხვებიც აიმავ ჭმაზე აყვირდებიან, იმეორებენ წინას სიტყვებს. უფრო მოკლ-მოკლედ შჭრიან მას მთიბლურსთან შადარებით. მთიბლურს ძალიან გძელ კილოი აქვა-დ ბოლოს უფრო უგძელებენ. ფანდურზე რაჭელაც იმღერენ, ნათქვამი ას. კილო ამასაც გძელი აქვ. ლექსობა სხვადასხვანაირად იციან. პირაქეთელები – ბუდის ჭევსურები ძალიან

ყვირიანა-დ გაგძელებულს კილოზედაც ლექსობენ,პირიქითლებ უფრო დაბალს და მშვიდს ხმაზე ლექსობენ. სოფლის ჯარის წესი ბევრკან ას ნათქვამი-დ აიმავ წესით სრულდების ყველაი. ამ ნაირად გავ ეს გამცხადება დღეი-დ იმის დაღამებაიც.

წყალთკურთხევა

მეორეს დილას გათენდების წყალთკურთხევა დღე (წყალთკურთხევაზე ჭევსურებმა სხვადასხვანაირად მითხრეს; ზოგმა თქვა: ამ დღეს ღმერთმა წყალი ორდანე აკურთხაო. ზოგმა: მანამდინ წყალი უწმინდური ყოფილა და ამ დღეს წყალი უკურთხებია ივანე ნათლიმცემელს და ამიტომ რაც უნდა უწმინდური რამ ეგდოს წყალში, ის გაწმიდავდება, მისი დალევა შეიძლებაო (წყალი უწმინდურად ითვლება, თუ შიგ სამრელოში ნაცვამი გაირეცხებოდა). ზოგმა კი მითხრა: ივანემ იესო ქრისტე მონათლა ამ დღეს და იმიტომ ჰქვიან წყალკურთხევაო. ეს უფრო ისეთ ადგილებში და სოფლებში თქვეს, სადაც წინათ ეკლესიები და მღვდლები ახლო ჰყავდათ და ალბათ მათგან ჰქონდათ გაგონილი). თუ რა ვის აქვს სასმელი, ან საჭმელი, ამ დღისად ამზადებენ. დღეობის ბოლო დღეი ასა, ამ დღეს უფრო ეშურებიან, რო კაი დრო გაატარან. დილას ერთუცს აწევენ თავ–თავის შინ. აკეთებენ ყველკან რაც შაუძლავ კას სადილს (ხინკალს, კეცეულს, ფაფაც იციან), უდგას ყველას არაყი. ზოგი ახალს საარაყეს გამასწურავს. იმართების ქეიფობაი-დ ლხინ-მხიარულებაი. ბოლოს სოფელი ერთს ბანზედ შაიყრების, მიიტანენ არაყს, ფანდურს, გარმუნსა-დ ღმართვენ ლხინს. მემრ ხუმრობა-მასხარაობით წავლენ მეთამაშედ ჯვარჩი. ხან შუღლის, ან ომის წესით წავლენ ჯვარიონთაკე. ისენიც აისრავ მაეგებებიან, რაჭელაც სოფლელნ მიდიან. ასტყდების. თუ აქვ, თოფების სრევა, თუ არა ფარ-ჭმალის ჯღარ-ჯღური, ვითამ ომობენ, ას ერთ დიდ ყვირილი, იარაღის ჭმაი. ბოლოს დაიშლების შუღლი, დაჭოცილებს დააცოცხლებენ. დააყენებენ აქიმებს, აქიმებ გაშინჯვენ ვითამ დაჭოცილებსა-დ გამაუწერენ წამლებს. ამას ერთ ყანწ მაარჩენსავ, ამას ლუდივ. ჯვარიონნი ლუდს მაიტანენ, სოფლელებ არაყსა, ასმევენ წაქცეულებს, ზოგი დაიწყებს ხუმრობას: - საიქიო გავიცადევო. – უამბობს ხალხს საიქიოს ამბებს და აცინებს. ბოლოს წავლენ დარბასის კარჩია-დ აქ სმენ კიდევ ლუდს. დიაცებსაც თავისად გაუტანენ ლუდს.

ბოლოს ადგებიან ყველანი, მაიყრიან მუჭლსა-დ შაეხვეწებიან ჯვართ, რო გვაპატიეთავ, რაიც ჩვენი უმეცრებით გაწყინეთავ – ზღვნითა, სანთლით გადაგვაჭდიეთავ. წამავლენ შინ. ჯვარიონნიც დაამწყალობნებენ. დასტურ-ჭელოსნები თავის საქმეს გაუდგებიან. მედროშაე დროშას ააბძანებს. აქ ხუცესი ერთი თასით ჯვართ გაადიდებსა-დ ამას ყველან შასმენ ამ თასშიით ლუდს. მემრ დროშათ დარბასში შააბძანებს და ჩამახჭსნის ჭელისაჭოცებსა, ჯვარ-ბურთვებს, ტაგრუცში ჩასსამსა-დ ამას მკადრე წაიღებს შინ (მკადრე და მედროშაეე აქ ერთი და იგივეა). დასტურ-ჭელოსნები ჭორცსა-დ ნახორს სწორად გახყოფენ, ტყავებსაც. მეზღვნესად ჰურისჭმევა მაშინ იციან, როსაც დახკვლენ საკლავსა-დ მემრ აღარ უნდ ძახება. ბოლოს ერთს ქადას მაიტანენ, ზედ ჭმიად-საკვირაოებ აწყვავ. ხუცესი ამასაც იხუცებს ჩვეულებრივად, შაახვეწებს ჯვარიენებსა, იმათ ოჯახის წევრებს. ამას

ხქვიან "გამასამალო" და წავლენ ჯვარიონნიც სახლებში. ამით დამთავრდ წელწადი.

წელწდიდგეს გაიმართების ბედისკვერაობა, ამაზე არხოტის დღეობების აღწერილობაში ნათქვამი ას, აქაც ისრ იციან. ბედისკვერას ჯალაფთ წელწადშიავ აჭმევს დიასახლისი. ზედ ერბოს დაუდებსა, ყველა ოჯახის წევრებს დაურიგებს. თუ სოფელში ვინ ხყავ ქმრის ძმა-ძმისწულები, იმეებს ეროს მინას არაყსაც მიუყოლებენ ბედისკვერაზე, ნათლიასაც. ყველაზე მეტის არაყის წატანა იციან ზლისად, როსაც ნათხოვი ხყავა-დ მამისსახლშიავ ქვე ას. თუ ახლოს ას, მალედავ წავლენ ორ-სამნი ოჯახშიით, სახლისკაცსაც ვის გაიყოლებენ. ქალს ან ვაჟს. წაუტანენ არაყს, ხავიწიანს ქადასა-დ ბედისკვერას. თუ შორს ას ან პირიქით ნათხოვი ზალი, რო ზამთრის გზა არ ას სასიარულო, მაშინ ბედისკვერას ინახავენ, ისრ, რო არამ შაჭამას გაზაფხულამდინ; გაზაფხულ როსაც გზა გამავ, მაშინ წაუტანენ ზალს, დასაც, თუ შორად ას ქმართას წასული. შორად ბევრ არაყ უნდა წაუტანან. თუ მთა გზა გამავიდა-დ ბედისკვერა მალედ არ მიუტანეს, ქალის პატრონები ქალს გააყრიან – დროზე არ მაგვიყვაო, არ მაგვტანავ ბედისკვერაივ, ალბათ არ სწადიანავ ჩვენთან მაკეთობაივ. ქალის გაყრას მაკეთეობის დალეეაი ხქვიან. წინწინ რო ქალს ითხოვენ, მაშინ იციან მიტანა ლიშან-სამთხოვროსაი. ლიშანი იქნების ერთ აბაზ ვერცხლის ფული, შაიძლების მანათამდინაც იყოს. სამთხოვრო კი ორი, ან სამ მკლავ სამბილოი (ესე იგი, ფართალი, უბრალო ჩითი რამე. ზომავდნენ მკლავით. ხევსურეთში მკლავით გაზომვა ზოგიერთ ადგილებში კიდევ არის დარჩენილი. მოქსოვილი შალის ვარაუდს ქალები მკლავით დაზომვით იგებენ. ჩოხა გამოვა თუ პერანგი, ეს ქალებმა მკლავის ზომით იციან). სამბილოსა-დ ფულს გამაიტანენა-დ ვაჟის მაკეთეს ვის მიუტანენ, რო იქნება ჩვენთან მაკეთეობა აღარ უნდაო-დ იმით არ მავიდესავ. ამას ხქვიან მაკეთეობის დალეეა, ლიშან-სამთხოვროს გამატანა ან გადმაყრა, თავისის გამატანა. ამ ამბავს კიდევ შჭირდების კაც-შუაკაცი, ხვეწნაი-დ მაკეთეობის იქავ გაკეთება. თუ მაინც აღარ გაარიგეს საქმე, ხანდიხან ქალის გატაცებამდინაც მიდიან (ქალის გატაცების წესები ბევრკან ას ნაუბარი-დ ჩაწერილი). გატაცებიდგესაც ბევრ დავიდარაბა გაემბის: ქალის მაყვანა მამის სახლში, მაკეთეობის იქავ გასარიგებლად კაც-შუაკაცი, საკლავი, სასმელი. ხან აღარც კი იციან ქალის ჯალაფთ გულის მაქცევაი-დ გარიგებაი. რო ამთვენ ხათაბალა არ გაებას, ჭშირად ას შამთხვევა, რო ზამთრის ჩაისხმენ არაყს ქინთში, აიკიდებენ სასაგძლესა-დ მაღალს, თოვლიანს არხოტის მთასაც კიდევ გადაივლიან მაკეთეობის არ დალეეისად, დაფასების გულისად. თუ მაკეთეს ზამთრისა-დ უფერს ამინდში ბედისკვერა მიუტანეს, ამით ამაყობს, რო აი მე ამთვენად დამაფასესავ, რო იანვარჩიავ ბედისკვერა მამიტანესავ. ყოფილას შამთხვევა, რო ბედისკვერაის წამტანი ზვავსაც მაუკლავის გზაზედ. ზოგ ჭკვიან მაკეთე იმას ეტყვის მაკეთეს: მთა-გზის გამასვლამდინავ არ წამახვიდავ, მე შენ მასვლა არაად მინდავ უდროოს დროსავ. არცარას ბედენად მამიმატებსავ კაცობასაოდ, არც დამიკლებსავ. შენ კი იქნება გზაზე დაზიანდავ.

ბედისკვერა რაც გინდა გამჭმარი იყოს, ან დაბიბკებული, მაინც იმან უნდა შაჭამოს, ვისადაც გამამცხვარ იყვ. თუ მაგალითად ზალმ არ შაჭამ ბედისკვერა, მაშინ იტყვიან, რო ჩვენს გამამცხვარს ბედისკვერასავ არცკი გადახენავ, ალბათ

ქალივ ქმარს სწუნობსაო-დ იმაად არ შაჭამავ. თუ ზამთრის გზა ჭელს არ უშლისა-დ სოფელში მისავალ-მასავალი ას, მაკეთეების სოფლების სიახლოის გამოთ, მა'შინ ცდილობენ, რო წელწდის ბოლო დღეებჩიავ მიიტანან ბედისკვერა. ის ქოოდ ძალიან დიდს დაფასებას ლიშნავს მაკეთისას. ამ დროს მასულს მაკეთეს უფრო დიდის პატივისცემით მაექცევიანა-დ უფრო დააფასებენ იმის მასვლას.

როგორც ზლის ბედისკვერას აჩქარებენ, აისრავ გათხოვილის ქალის ბედისკვერასაც აჩქარებენ ჯალაფნი-დ ძმები: ის არეინ თქოს, რო ქალივ მაწყენილიო-დ გადაგდებული ხყავავ, აღარც კი მაიგონესაო-დ ბედისკვერაივ დროზე არ მიუტანესავ. თუ ძმები ხყვან გათხოვილ ქალს, ისეებ ძალიან ააჩქარებენ ბედისკვერასა-დ მალე წაუტანენ. ძმებისად სირცხვილი ას დის მაწყენაი. ბედისკვერაობაი ას წელწადსთან დაკავშირებული-დ წელწდიდგეს წინწინა დღეობა მაოს აღება.

აღება

აღება მადის დიდ მარხვის დადგომის ერთი კვირაით წინ, შაბათს დღეს. სააღებოდ დასტურები ადუღებენ რვა ჩხუტამდინ ლუდს,ხუცესი შახყრის. პარასკევს წუხრას შაიყრებიან დასტურ-ჭელოსნები ჯვარჩია-დ მიიტანენ თას-განძსაც. დაღრეცხენ თასებს, დაზდგმენ ჯარას ფიცარზე. მაიტანენ ღამისამთელოსაც (ღამისამთელო და ჟამთსაწირი აქ სოფელში ცხვება, დასტურის სახლში). დაზდგმენ ტაბლასა-დ დაზდებენ ზედ ღამისამთელოს. ხუცესი, დასტურები ამ დროს ყველან აქ არიან მასულები. ხუცესი კოდსთან მივ,მაშჭიჭავს,ამახკრავს ეროს თასს ლუდსა-დ დაზდგამს კოდის გვერდი. ლუდიან თასს დააკრავს სანთელსა-დ ჯერ მააჭსენებს, რაჭელაც სხვაკანაც ას ნათქვამი.

ამ წუხრას აქ მარტო ჯვარიონნი არიან, თუ სტუმარ ნართაულ ვინ შახვდების, თორემ სოფლელებს კი წუხრ ლუდ არვის მიუდის. ჭირის პატრონ მიოს ყველას დღეობაჩი ფანდურის გასატეხლად. ჯვარჩი წუხრაე მიიტანს ფანდურს, დაუკრავსა-დ იმღერებს, რო იმის მემრ ყველას შაუძლავ მღერა-თამაშობა (ეს წესები დაწვრილებით არის არხოტის აღწერილობაში და იმის მზგავსად სრულდება ყველაფერი). ჭირის პატრონი რჩების ღამისთევაზედაც. თუ ახალს სულზე თმა-წვერი აქვ გამაშობილი ჯვარიონთ, მა'შინ სამართებლებსაც მიიტანს ჭირისპატრონი-დ თმა-წვერს დააყრევს (პირის გაპარსვას და თმის გადაღებას ჰქვია თმა-წვერის დაყრევა). სხო აღებას არეინ მივ ღამით.

აღების ღამეს წესი ას, რომ ყველამ უნდა ცეცხლზედ შამახკიდას ქვაბი ჭორცის სადუღებლად. ამ წუხრისად ყველას აქვ შანახული ჭორცი, ჭერჩი შაკიდებული-დ შაკვამლებული (ლეშს ხევსურები ამარილებენ და ისე ინახავენ, ძვლებს ჭერ'ში დაჭკიდებენ "ასაყარზე" და ისე გააშრობენ).

აესრ შახვდებიან აღებას ღამესა-დ მეორეს დილას გათენდების აღება დღე. გააკეთებს ყველა თავთავის ოჯახჩი სადილს. სახელ-სადებობა დღეი ასა-დ ყველამ უნდა დაზდოს სახელი მკვდართად. ამით ყველა დააცხობს კეცეულებსა-დ დაზდგმენ სახელ-სადებ ტაბლას. ჯვარჩი სრულდების ყველა წესები, როგორ სხვა დღეობაში,

ხოლოთ დროშან არ გამადიან აღებას. სარიგოს რო მიიყვანენა-დ დაიკვლის, მემრ გამავ ერთ დასტური-დ იძახებს: "სოფელო,მაგდიოდასთ: მეედით, ლუდ მაიკალით" (მაიკალით: მოიკითხეთ, მიიღეთ), ჯვარის რიგ ნაყენები ას, სარიგოიც დაკლული (სარიგოზე არხოტის ჯვარის აღწერილობაში ყველაფერი ნათქვამია. ზოგ სოფლებში ეძახიან სასოფლოს და ზოგში სარიგოს. უფრო კი პირიქითში ჰქვიან სარიგო, ხოლო პირაქათ'ში სასოფლო. მას ყოველ დღეობაში კლავენ და ვიდრე ეს საკლავი არ დაიკვლება,არ ასრულებენ დღეობის წესრიგს და არც ლუდს აძლევენ სოფელს). აღებას ჯარი სოფელ'ში ჭერხოში სხდებისა-დ დალიშნულს ჭერხო'ში მაიყრიან თავს. მაიტანენ ლუდსა-დ გაიმართების ჯარის წესრიგი.

ამავ დღეს იციან მკვდართადაც საწდეების ლოცვაი. მემრავ მკვდართად მარხვდებისაო-დ აღარა მიუდისავ. ეეხლადავ უნდა დაილოცასავ იმთვენივ, რო დიდმარხვაში საკმაო იქნასავ. სოფელჩი კიდევ ახლის სულის პატრონებს საარაყეები აქვ გამაწურვილი-დ აწევენ დიაცებს, გაიშლების ტალავარი-დ ტირიან დიაცები. დიაცების ტირილი სამნაირი ას: ერთ ჴმით ტირილი, მეორე ძახილით, მესამე დათვლით.

ტალავართ რო გაშლიან, შარვლის გარდა ყველა ტალავარი ას დაწყობილი, იარაღიც რაიც კი ხქონდ. ზოგს ტალავარს სიკვდილიდგესაც მართვენა-დ ჩაზდებენ ტალავარჩი აისრავ ყანწს, მინას – მართვენ მძივ-ღილით, ნაჭრელაით, საფუჴრებს, თაოებს, ვისაც რა ექჩერების, ქალ-ზალი-დ მაკეთე ამზადებენ, მიიტანენა-დ ჩაზდებენ ტალავარჩი, თან არაყით სავეს მინაებიც დგას. ტალავარ ფარდაგზედ ას დაწყობილი, ზედ ნაბადი აქვ დაფარებული-დ დაწყობილი ტახტში მაღლად. იქ სწყვავ სიკვდილიდგე წელგათავებამდინ. მემრ აიღებენ თავის წესით (ეს წესი აღწერილი იქნება სათანადო ადგილზე), ტახტში ტალავარს ფარდაგით ასწეევენა-დ გამაიტანენ კარში (რამდენი მოკეთე თუ უმოკეთეო დედაკაცი მივა სოფელ'ში, სადაც ტალავარი აწყვია. იქ მიელენ გაშლიან ტალავართ, გარეშემო შემოუსხდებიან და დაიწყებენ ტირილს. ამ ამბავს ჰქვიან ტალავართ გაშლა. მოსულ დედაკაცებს მასპინძელი მიჰყვება სოფლიდან ჭირისპატრონის სახლ'ში, თუ აქვთ მიიტანენ თან ერთ ბოთლ არაყს. ეს წესი სოფელ'ში მოსულისათვის საეალდებულოა), ან ბანზედა-დ ან ეზო'ში გაშლიან ტალავარს, აქავ ას სხვა მკვდრის ტალავარშიით მატანილი პერანგი, ან ბაჭიჭები, ან იარაღ-რაი, რო დიაცებმ ნახანა-დ ტირილჩი ის მკვდარიც მაიგონან, შაატირან. ტალავარს რო გაშლიან, წინწინ თავისები-დ მაკეთეები დაიწყებენ ძახილით ტირილს. ყველანი იძახიან თავთავის სიტყვებს ბოლოს ხმის გაგძელებით. ზოგი ტალავარს იღებს ჴელჩი, ჴმამაღლად იძახს, ტირის, ჩახედავს იმის იარაღსა-დ ტალავარს. მაკეთეები ყველა იძახს. ასეთს ტირილს "ძახილი" ხქვიან. უმაკეთეო ვინაც ას, ძახილით ტირილი არ იციან. რასაც ვინ უფრო ისითს სიტყვებს მაიგონებს, რაიც ამ მკვდარს სიცოცხლეში ჩაუდენავ კაი-დ საქები, იმ სიტყვებს იძახან. ძახილით ტირილ'ში კაც ვერას გაარჩევს, ცხრა-ათამდე დიაცი ყველა ჴმამაღლად ტირისა-დ იძახს თავის სიტყვებს. ვთქვათ, რო დაი ტირის ძმაზედ, ისი იძახებს ესეთ სიტყვებს:

ძმაო, გენაცვალოს თავის დაი – ძმაოო! . . . (ხმის გაგრძელება)
აღარ ხარ დასაცილები, ძმაო! . . .
დასააზრებლად ვერ გქჩერობდითა, . . . ძმაო! . . .

მიწაჩი რაჭლადაღ გიგონათა, . . . ძმაო! . . .

შენს მჭარ-ბეჭს ენაცვალოს შენ დაი, . . . ძმაო! . . . და ასე შემდეგ.

თუ დედის ძმის ქალი ტირის, იძახებს:

გენაცვალოს შენი ნათულაი, მამიდაის შვილო (ნათულა: ქალის სახელია), ქვე დავიჯერეთა შენ სიკვდილი? . . . მამიდაისშვილო! . . . დედულთ ქვე - აღარ მაგვიხოლა? . . . მამიდაისშვილო და ა.შ.

ზალ თუ ტირის ქმრის ძმაზედ, ან ქმრეულზედ, ეესრ იტირებს:

შენიმც ზალ გენაცვალებისა, . . . ვაჟავ ჩემო . . . (ვაჟას იმიტომ ამბობს, რომ მაზლის სახელს არ იტყვის რძალი).

სად წახვედ, სად დაგვეკარგე, . . . ვაჟავ ჩემო . . .

უშენოდ რაიღ მზე დაგვთბებისა, . . . ვაჟავ ჩემო! . . .

მტერიც ბიჯს წამასდგამსა, . . . ვაჟავ ჩემო! . . . და სხვ.

ძახილით ტირილში რო დაიღლებიან დიაცები, მასწყინდების, დაჩუმდებიან. ერთუცს ბურნითს მასთხოვენა, მასწევენ. დაიწყებენ საუბარს. აქ არიან ამ დროს ხმით მატირალებიც (ხმით მატირალი: როცა კარგი ვინმე მოუკვდება, ზოგიერთი დედაკაცი აიტეხს ტირილს, ვითომც პირველად სული ატირებს ასე, რომ ამ ქვეყნისა აღარფერი ესმის, და ისე იძახის სულების მაგიერ. ტირილში მოიგონებს ყველა იმ მკვდრებს, რომლების პატრონებიც აქ არიან. მათ მკვდრებს ახსენებს ქება-დიდებით, რაზედაც დედაკაცები ქვითინით მისცემენ ბანს, ბოლოს ეს ქალი გახდება 'ხმით მატირალი" და ყველა მიცვალებულზე ტირის ხმით).

ხმით მატირალებს თითოობით ეტყვიანი დიაცები: ჭმით იტირეო-დ ისეებიც აიღებენ ან ხანჯარს ტალავარჩიით, ან ჭმალსა-დ დაიწყებენ ჭმით ტირილს. ჭმით მატირალი რო ერთს სიტყვას იძახებს, სხვებ დიაცებ ჩუმად არიანა-დ რო დააბოლოებს სიტყვას, მა'შინ ქვითინით მისცემენ ბანს ყველანი:

გენაცვალოს შენი ელენაიო!

თორპილს თოფისგან გაალულსაო!

მაშიე შაგიტყვა მამიდამაო,

გკითხე ამბავი, არ მიამბეო,

ფერი და ფერი გეცვლებოდაო . . . და ა.შ.

ძახილი, ხმით ტირილი, უხმოდ ქვითინი მასწყინდების დიაცებსა-დ დაჩუმდებიან. მაიტანს ერთი წყალსა-დ ნატირალს, ცრემლიანს თორპილს დააბანიებს ყველას. მემრ აიღებენ ტალავარს, წაიღებენა-დ დააწყობენ იქავ ტახტზე. იქ რაიც არაყიანებ მინაებ იდგ, იმეებს შასმენა-დ ახალს არაყს ჩაასხმენ. ჭირისპატრონი მაიტანს არაყსა-დ მკვდრების შასანდობარს ყველას ჩამაურიგებენ ერთი ყანწით. აქამდენ თუ ტიროდეს, ეხლა ტირილისგან დაღალულები ხუმრობენა-დ იცინიან. ამ დღეს ზოგ ჭირისპატრონ დაამზადებს პურს რას, ან კეცეულებს, ან ჭორცს ადუღებსა-დ იმით გაუძღვების მატირალთ, არაყს ხო ყველა გამასწურავს ამ დღისად. მემრ მავლენ დასტურები-დ მაიტანენ ლუდს იმ ჭირის პატრონის კარჩი,რომენსაც უფრო ბოლოს დროს ხყავ ვინ მამკვდარი. ლუდს დაუყენებენ ზედამდეგს,ამახკრავს თასითა-დ მისცემს ეროს ვის უფროს დიაცს, ან კაცს. ის ადგებისა-დ დალოცავს იმ მკვდრებისად, ვინაც წელს ამ სოფელს დააკლდეს. დალოცვა ჩვეულებრივი ას. გაიმართების ლუდის სმაი. ამ ლუდის სმასაც რო მოათავებენ, დიაცებ წავლენ-წამოვლენ შინი-შინ.

კაცებს კი ჯარ უსხავა-დ სმენ ლუდს ერთ-ერთ ჭერხოში. ლუდი ყველას დღეობაში იციან, თუ რამთვენ მიუდის სოფელს. თუ ჯარზე ბევრი ას ლუდი, დიაცებსაც წაუტანენ ცალკე სახლში. სხვა ყველა წესებიც ჩვეულებრივად სრულდების.

ბოლოს თხას დახკვლენ გამასამალოდ. დასტურები გაატყავებენა-დ საკუთრად კიდევ დროს გაატარებენ ლუდით და მწვადებით. ბოლოს გამასამალოსაც იხუცებინა-დ გამაილოცვენ. გამალოცვის დრის ნახორს დასტურ-ჭელოსნები გაიყოფენ, საკლავების ტყავ-ჭორცსაც. ჭმიად-საკვირაო კი საკუთრად ხუცესს შჩების. უკენობას ჯერ დასტურებ მოსთხოვენ ჯვარს მადლსა-დ წავლენ. ხუცეს რო იმათ დაამწყალობნებს, თაოდაც მადლს მასთხოვსა-დ წამავ. წამასვლის დროს ჯვარიონნ ეტყვიან: "ჯვარ გეწერასთ ჯვარსაცა-დ კაცსაც, გვაპატიეთ, რაიც გაწყინეთ, ჯვარის წყალობა გქონდასთ, წყალობა წაიღით წმიდის სანებისა, წაღმ გამაგყოსთ წმიდის სანების დავლათი, მეწაღმართე ანგელოზ გამაგაყოლასთ".

მარხო –შამაე

მარხო-შამაეს იწყობენ აღების დღიდგესავ. მთელ ეს კვირაე მიდენ-მადენისაი-დ ქეიფობისაი აქვ ჭევსურებს. ამ კვირაეს ყველივრის კვირაეს ეძახან. ჭევსურებ მარხვას კი არ იჭერენ, მაგრამ მარხო-შამაეს კი ქეიფობით შახვდებიან. ბოლოს, ყველივრის შაბათს ძალიან დიდ მიდენ-მოდენაი-დ სმა იციან. ამ დღეს ჭირის პატრონები აწევენ ხალხსა-დ ილოცების მკვდართად. მკვდართად დალოცვა იციან როგორც სასმლისა, ისრავ ტაბლისაი. დიაცებს ტაბლასაც დაუდგმენა-დ სასმელსაც ასმევენ, კაცებ ცალკე ქეიფობენ. ამ დღეს იშლების ტალავარიცა-დ ტირიან დიაცები.

წუხრ ყველა თავ-თავის შინ დაამზადებს ოჭშამს, იციან ისიც, რო ერთად შაიყრებიან მეზობლები, გვარები, ქეიფობენ, სმენ მთელს ღამეს. ვაჭშამს რო დაამზადებენ, გაადნობენ ერბოს, დაზდგმენ ტაბლაზედ. სახლის უფროს კაცი მაიჭდის ქუდს, ამახკრავს ერბოს კოზით, ჩაასხამს ცეცხლშია-დ იტყვის: "ღმერთო დალოცვილო, ჭსნილ-მარხვის გამჩენო, გეევედრები, გეხვეწები, უშველი ჩემს ბეჩაობასა, ჩემს ხიზანს, ბევრ მარხოშამაე მაგვგვარ მშვიდობისა, კარგა ყოფისა, ნურაით დაგვამწუხრებ, ავს ნურას დაგვაღირებ. დალოცვილო წმიდაო სანებაი, შენ ყმანი ორთა-დ შენს საყმოშიით ნუ ამაგვაჭობ". ამ სიტყვებით ჩაასხამს ცეცხლში ერბოს სამჯერა-დ იმეორებს კიდევ ასეთ ლოცვას. რო გაათავებს, სახელსადებიან ტაბლა ცალკე დგასა-დ მკვდრებისად დიასახლის დაზდებს სახელს. სახელს უფრო დიასახლისი ზდებს. თუ დიასახლისი ხნიერ არ ას, ახალგაზდებ სახელს არ დაზდებენ, მაშინ სახლის უფროს კაციც დაზდებს სახელს. ესრ დააბოლოებენ ამ ღამეს. კვირაე დაღამებას მარხვას შამაიყვანენად მეორეს დღეს თენდების ურწყის ორშაბათი.

ურწყის ორშაბათი

ურწყის ორშაბათს ყველანი უქმობენ კაცი-დიაცი, საქმეს არვინ არ აკეთებს. ურწყნი არიან ნახევრად ეშმაკები, ნახევრად ანგელოზები, ესენი ხყვან ხთიშვილთ ამბის მიმტან-მამტანად, იმათ შაუძლავ ვნებაიცა-დ რგებაიც. ისენი ეშმაკად გადაქცეულან იმით, რო ღმერთს დაუწყევლიანა-დ ანგელოზთ თხოვით ანგელოზებსავ ემსახურებიან. ისენი დიაცის სახით არიან, დადიან სოფელ-სოფლად, კრეფენ ხალხის ნაუბარსა-დ მიაქვ ანგელოზთან, რასაც ვინ ამბობს, ან ვინაც რას ფიქრობს. ისენ დადიან უფრო ღამითა-დ ყურიადობენ, როგორც სხო მეყურიადენი. მალოცვილი აქვ ვნებაი-დ თავისით კი არ შაუძლავ, თუ ხთის ნასახნ არ დაავალებენ. ისენ ცნობებს იმით კრეფენ, რო ხთისნასახთ რო ხალხის ცუდ ამბავ მიუტანან, მაშინ ხთის ნაბადებნი ნებას მისცემენ კაცთ დაუჯისას, რაიც იმათ უხარის. იმათ მარტო ერთ დღეი აქვ თავისად მიცემული დიდმარხვის წინა ორშაბათი – ურწყის ორშაბათი. ამ დღეს ვინაც არ იუქმებს, ან ველთ ვინ წავას, ისენიც მზას არიან, რო ავნან. იმითაც ას, რო ამ დღეს არცვინ სამგზავროს წაოსა-დ არც სხვას რას ვინ საქმობს. დიაცყმაწვილ ხო სოფელს არ გასცილდების შიშით, რო ურწყნ გაგვლაჭვენაო-დ დავიჭელთებითავ (დაჭელთვა-გაგიჟება). ეს დღე ხელუძრავ უქმად აქვ.

ურწყის ორშაბათს სხვა წეს არა იციან, გარდა უქმობისა.

თაგვ-ჩიტთ უქმი

თაგვ-ჩიტთ უქმი მადის მარხვის წინას შაბათს დღეს. თაგვ-ჩიტთ უქმსაც ძალიან ინახვენ იმით, რო თუ ეს უქმ არ შაინახავ, თაგვებიო-დ ჩიტებივ ჭირნახულს აზარალებენავ. ჩიტებივ ყანებს გაუნადგურებენაო-დ თაგვებივ რასაც გაეწევიანავ, ყველას დაშჭრიანავ, ტალავარსაო-დ სხვასავ. იციან, რო თუ არ დაიჭირავ უქმივ, მძინარასავ თმასაც კიდე მახკვნეტსავ. ამით ჭელუძრავად ინახვენ ამ უქმს. ამ დღეს ყველა აჭალებს ბიჭონს (ბიჭონი - ბატიბუტი), ვისაც სიმინდი აქვ, სიმინდის ბიჭონს აჭალებენ, ვისაც არა, ის სვილისას. ჭამენ იმას. თუ ბიჭონ არ დააჭალავ, უქმის პატივის არცემაიავ ისიო-დ მაშინაც ჩაშჭრისავ თაგვივ, რასაც გაეწევისავ.

სულთაკრეფა

სულთაკრეფა მადის დიდმარხვის მეორე შაბათს. სულის დღეები სხვა დროსაც იკვიან, მაგრამ სულთაკრეფა საკუთარ სულის დღეობაი ას. ამ დღეს ყველა ამზადებს სამარხო სახელ-სადებს. ადუღებენ დოხანს, თუ აქვ სიმინდისას, თუ არა სვილისას (დოხანი – წანდილი; სვილი – ჭვავი),დააცხობენ ჭმიადებსა-დ ლაოშ-მარტუღელაებს. დააჭრელებენ სხვადასხვანაირად. ბევრს დააცხობენა-დ სხვადასხვა მკვდრებისად ცალ-ცალკე დაზდებენსახელს, დაამზადებენ ტაბლებს, დააწყობენ ზედ პურებს, დახყრიან ტაბლაზე ცოტას დანაყილს მარილს, ჩაასხმენ დოხანს ჯამებჩიად

დაზდგმენ ტაბლაზე (ჩაზდგმენ შიგ ქიტურაებს); დაზდგმენ ტაბლასთან არაყიანებს ჭურჭლებს, დაასხმენ ყანწსა-დ მისცემენ ჴელჩი უფრო დიასახლისს, თუ არადა ოჯახის უფროსსა-დ დაზდებს სახელს ჯერ ამ ოჯახის უფროს-უნცროსისად, მემრ ანდაბისად, მემრ უპატრონო – სულ მკვდრისად. მემრ ცალ-ცალკე თუ ვინ განსაკუთრებით აჴსონსა-დ პატივსაცემ მკვდარი ხყავ. ყველა ეს ტაბლებ ცალ-ცალკე დგასა-დ ცალ-ცალკე ლოცვენ: ჯერ ერთს,მემრ მეორესა-დ მემრ კიდე სხვებს. უარაყოდ სულთაკრეფას აქ ძალიან ძვირად ვინ დარჩების. სახელის დებას რო მაშჩებიან, ჯალაფნი შასმენ არაყს, ლოცვენ მკვდრებისად. ჭამენ დოხანს. დოხანს უფრო ყმაწვილები-დ დიაცები ჭამენ, კაცებმ კი არაბევრად იციან დოხნის ჭამა. არაყის სასმელად აწევენ მეზობლებსაც. ჯვარჩიაც ჯვარიონთ ლუდ უდგას – სოფელჩიაც ჭირის პატრონებს ყველას უდგას ლუდი. ჯვარში ღამისთევაიც იციან მკვდართად დალოცვით. ჟამის წირვის დროსაც მკვდართადავ ილოცვების. კოდს რო გახჴსნიან, მაშინ სულის კურთხეეით აკურთხებენ.

კოდის კურთხება სულისად

კოდსთან დაზდგმენ სამარხო ტაბლას ლაოშ-ჴმიადებით,დახყრიან მარილს,დაზდგმენ ერთს თასს ლუდსა-დ, დააკვრენ ერთ ფეკ სანთელსა-დ სულის ხუცეს ეტყვის შანდობას:

"ღმერთო, დიდება შენდა, ღმერთო, მადლი შენდა, ღმერთო, გაუმარჯვი წმიდას სანებასა, წმიდაო სანებაო, შენ უშველი შენთ ყმათ ქერაულ-რკინაულთ, შენი წყალობით შაინახენი-დ ბევრა მარხო-სულთაკრეფა მაღგვარ მშვიდობისა, კარგად ყოფისა, ნუ დაღლევ ჴადუელთ ნუც შენად სადიდებლად, ნუც სულის საგონებლად. წმიდაო სანებაო, შენ სადიდებელი ასა, შენი დიდებითა, ჩემის სიტყვის მაჴსენებით სააქაოს ნათქვამ თუ საიქიოს მიდიოდას, წესი მართებულ იყოს, სულწმიდათ შანდობა მიუდიოდას, ხთის წესითა, მღდლის წესით, იერუმსალეთის ნათლით, ქრისტეს გარიგებით, სულეთის ღმერთის გარიგებით. ეს დადგმულ კოდიცა, ავსებულ თასიცა-დ ტაბლა-სანთელიც სულთამც ჴადუელთ ანდაბისას მაეჴმარების, იმათ ძველთა ახალთ, დიდთა წერილთ, იმათამც საიაღლი ას, ეროადამც არიან, სხვათამც ნურაით მიღნატრიან".

სულისკურთხევა, რომენიც ემბის ამ დალოცვას ზედ: "სულთა გვიწყალნას, გვიწყალნეს ჩვენ დიდისა წყალობითა. მრავალი მოწყალეობითა. ვრა დღე ვახარე, ვრა დღე წერილითა, ვრა დღესა ვახარწევრი წერილ იყვა, რომენმა შახკაფენ ჯოჯოხეთი, სულნი ნათლად გამაასხენ, შაასხენ წრიაღსა რომენსა აბრამისასა, სულთ ამბოკარო, სულთა მაყარო დიაკონო, წორო პირველო, იორდანე გარდმანახტებოდა ნათელი, ნაკურთვეველსა კურთხეულიმც ხარ შენ, უფალო მამათაო ჩვენთაო, ქებულო და დიდებულო, დიდებით ამაღლებულო. ჩვენ ანგელოზთ შავსწირავთ სალს გალობასა, შენ უთხარ იერუმსალეთისაო. იერუმსალეთს შენ იყავ, ნატრულო სტეფანო, სანატრელო ხთისაო გვირგვინ დამოსვილო, ქრისტეს დაწამებულო, რომენთა მუცელთა ქალწულისათა შახკაფენ ცანი, ხოყანანი ქრისტე პატიოსანი. ნება იყო, უფალო, არც ძალი, ჴსნილობა განისვენება, ვისადაც ტაბლა ეგების, კოდ იდგმის, სულწმინდა მაიჴსენების. სულსამც თქვენს ჴადუელთ ანდაბისას მაეჴმარების დადგმულ კოდი, ტაბლაი-დ ანთებულ სანთელი თქვენსამც სულს ანათებს, ანათლიერებს, ცოდვასამც გჴდისთ, მსჯელსა მჯავრესამც გარიდებსთ, საძიმარსამც გიზუბუქებსთ. წინ

მაგებებეულს, უკენ მაწეულს, სიკვდილის დღეს დამწყვდეულს, ენით ნათქვამს, ჭელით ნაქნარს, ყურით განაგონარს, თვალით ნანახს, შენისამც ცოდვის მჭდელი, ცოდვისამც მადლა მქმნელი, შაგინდნასთ, გარგასთ ღმერთმ მრავალთა მოწყალემ".

"შაუნდნას ღმერთმა, მააჭმარას, ქრისტიანობის გამჩინარმ", - იტყვიან ყველანი. სულის ხუცესი აიღებს თასსა-დ ცოტას კიდეე დაილოცების: "შაუნდნას, მააჭმარას, ვისადაც ილოცების ეს კოდი, ტაბლაი-დ სასმელი – ჭადუელთ ანდაბისად. ზედამრჩოები ჭადუელნი კი ღმერთმა კარგად ამყოფნას, მარჭე ნულარა ვის დააღირას, ნუ დალივნას ხთისა, კვირაისა, წმიდის სანების სადიდებლადა-დ სულის საგონებლად. ძალ ხთისა ეწეოდას ჭადუელთ, შუქ მზისაი-დ მადლ სულთაი. მკვდართ შანდობა, თქვენ დღეგრძელობა" – იტყვისა-დ. გადაიწურავს თასს სულუქცევრად. მემრ ანდაბის შასანდობარს ყველას ჩამაურიგებენ. ყველა დაილოცავსა-დ შასმენ სულუქცევრად. მემრ დასხდებიან ჯვარიონნი, საკუთრად დაიდგმენ საწდესა-დ დაიწყებენ სმას.

სოფელჩი ამ დროს ჭირის პატრონებს აქვ დამზადებული ლუდი-დ ტაბლა ყველას, ხოლოთ სამარხო. მაიყვანენ სულის ხუცესს, სულის ხუცესი აკურთხებს კოდს იმავ წესით, ხოლოთ იმ მკვდრის სულს მაიჭსენებს, ვისაც გულისად ას დამზადებული. სხვად კი კურთხევაიც ასეთივ იქნებისა-დ სხო შანდობის თქმაიც. ყველა ჭირის პატრონები თითოობით აწევენ ხალხს, მიიყვანენ კაცებს, ცალ-ცალკე დასხმენა-დ მიუტანენ სასმელს ლუდ-არაყს. დიაცებ კი თავის წესით გაშლიან ტალავარსა-დ დაიწყებენ ტირილს. მემრ მააყოლებენ ჭმით ტირილს ჩვეულებრივ:

ამბობენ ბაცალიგველებიო:
გაურჯულები დავდვათ რჯულიო,
ზარადის გორად დავდგათ ტახტიო,
შიგად კუკუა ჩავაწვინათო,
გვერდით დაუბათ წითლა ცხენიო,
კაც-შუაკაცში წასავლადაო!
ჭევსურთ დედანო, რასვინ ამბობთო?
არ მიზდის ადიაის ძმასაო.
სახლ დაშჩა ნაფარ-ნუფარებიო.
კილდისთავ ჭერნი ულპებიანო!

ჭმით მატირლები თითოობით იტირებენა-დ დგას ერთი ხრიანწელი. ტირილს რო გაათავებენ, დაიბანენ ჭელპირს. ამ დროს ზედამდეგები მაშივ გაშლიან ფიცრებს, ფარდაგებსა-დ დასხმენ დიაცებს. დაუდგმენ ტაბლას სამარხოს, პურს, მარილსა-დ ჯამებით დოხანს. მაუტანენ ლუდ-არაყსაც. აქ ზედამდეგადაც დიაცებ დაადგებიანა-დ ასმევენ სასმელს ძალდატანებით. როსაც ერთ ჭირისპატრონსთან მათავდების ასეთ სმა-ჭამაი-დ რიგი, მემრ მეორე ჭირისპატრონ აწევს ხალხს, იქც ეესეთაი წესითავ შაასრულებენ ყველას.

დიაცებ რო ყველკან გავლენ ტირილის ბოლოს, მემრ ჯვარჩიითაც მაუტანენ ლუდს, უფრო ახლის ჭირის პატრონის სახლჩია-დ ყველა იქ შაიყრების. ამ დღეს დიაცებს ისეთ სმაი აქვ, რო ვინ დარჩების რო სიმთვრალე არ შეეტყვას.

ყმაწვილები დილასავ გაიტანენა-დ დააყენებენ ვაცებს, მიიტანს ყველა თავის მშვილდისარსა-დ აჭლიან ისრებს ერთს ალაგზეით. ექნების წინავ ნათქვამი, რამოვენ-რამთვენ უნდა ესრიონ, ოროლი, ან სამსამი. ვაცს გამააცხობს ის, ვისაც

ყმაწვილი ხყავ მამკვდარი, დაზდებს სახელს. ვაცზე დააყენებს ჯილდოდ ან საფუჭრებს მძივით გაკეთებულს, ან თათებს, შაიძლების კოჭეების ღარადულანიც დააყენნას (ცხვრის კოჭები ძაფით ასხმული ერთიმეორეზე). ვინაც აიღებს, იმას შჩების დაყენებული. ყმაწვილებს კოჭებ კი ურჩევ ყველას, რაკი ჭშირად თამაშობენ იმეებით.

იციან კიდევ საზომის ვაცი. ვისაც ვაჟი ხყავ ყმაწვილი სამ წლამდინ, ზოგი ხუთ წლამდინაც, აცხობს იმ ყმაწვილის ზომის ვაცსა-დ იმას აყენებს. საზომის ვაცი იმით ხქვიან, რო ყმაწვილის ზომისაი ას. საზომის ვაცს უფრო ის აცხობს, ვისაც სამანატურო ვაჟი ხყავ (სამანატურო: ვისაც ვაჟიშვილი არ ჰყაყდა, ენატრებოდა და ახლა შეეძინა). ზოგ კი სხოიც აცხობს. ისრებს სამ-სამ თბეი აქვ დაკრული წებოთ. მშვილდი იციან ან დგნალისა, ან შოთხისა, არყისასაც კი აკეთებენ. ისარ უფრო ეკლისა იციან, რო ზუბუქი ასა, სწორი. აქ რო გაათავებენ ვაცობას, მემრ სახლშიით გამააქვ, დაზდგმენ ყველანი, აჭლიან ისრებს, ვინაც რას დახკრავს, იმას შჩების. ყმაწვილებ მთელ დღეს ეესრ თამაშობენ. კაცებ კიდე სათოფეებს გაიტანენ, დააყენებენა-დ თოფებს აჭლიან. სათოფეი ას დიდ პურის კვერი, თხელი, ზედ ორის ჭელის სიმტყვო სამბილო (ფართალი) გადაეკვრის, რო შორით კაად ჩინდას. ამ დროს ჭევსურეთ დიდიდებ ნაქარები ას თოვლისები-დ ამ თოვლში დააყენებენ სათოფეებს. სათოფეს აცხობენ ძველსა და ახალის მკვდრის შასანდობრად ორისადავ, თუ ვის ახალგაზდაი ხყავ მამკვდარი, თოფის მაყვარული, იმისად გამააცხობენ, შანდობას ეტყვიან ან ჯღნებს (ხევსურული ფეხსაცმელი, ბანდული) ან თათებს, საფუჭრებს, ან თამაქოსა ან მარილს. შანდობა ნათქვამს გაიტანენ, კვერი დაყენებულია-დ თოფს აჭლიან წილის ყრით (კენჭით). თუ დახკრ, მაშინ რაიც იმაზედ იდგ, იმას მისცემენა-დ სათოფის კვერიც იმას შჩების. მესულთაკრეფე დასტურები ხყავ, ისეებ აძლეევენ გულს ყველას. ბოლოს თოვლჩი ტყვიასაც ისეებ დასთხრიან, არ ფუჭდების თოვლ'ში, მთელიე რჩების. სათოფეებს ჯერ წილით აჭლიანა-დ მემრ რახან ისით სათოფეებ მარჩას, რო ზედ კა არა დგას, მაშინ კი ვისაც რაჭელ უნდ, უწილოდ აჭლიან.

ეს ამბავიც რო გათავდების,ხალხ ჯვარჩი წავ (კაცები), ლუდ სულთაკრეფას ჯვარჩი ისმის. სოფელჩი მარტო დიაცების წილად მააქვ. კაცებ ჯვარჩი რო მივლენ, ჩვეულებრივ მიესალმებიან, მადლს მასთხოენა-დ მაეგებებიან ჯვარიონნიც, გამაიტანენ საწდეს ლუდიანსა-დ აქაც წინა საწდე ანდაბისად ილოცების,მემრ კი ნება აქვ ვისაც უნდ, იმისად დაღლოცავს. სულთაკრეფას მღერა არ იციან, თუ მთერალ ვინ იმღერებს, თუ არა, რაკი სულის დღეობაი, არვინ იმღერებს.

ამ წესებით მთავრდების სულთაკრეფაიც. ჭევსურებ კი ამბობენ რო სულთაკრეფას დღეს დალოცვილივ მკვდართავ ყველა ნათლად მიუდისავ. ამით ეშურებიან რო ამ დღეს მკვდართად ბევრ რა დალოცან.

მარხოშუობა

მარხოშუობა იმით ხქვიან რო ამ დღეს მარხვანი შაშუელდებიან, მარხოშუობა ხვდების ოთხშაბათს დღეს, ამდღესაც ყველა აცხობს სამარხო სახელსადებებს. ლუდს არვინ ადუღებს, ხოლოთ არაყს კი გამასწურვენ. ჭირისპატრონები ტალავართ გაშლიანა დედროვანს გაუძღვებიან სამარხო ტაბლითა-დ არაყით. მარხოშუობას

ჭელუძრახ უქმი ას. რასაც მარხოშუობას გააკეთებსავ, იციან, ორად უსწორდებისავ, ნახევარივ ეშმათ მიაქვაო-დ ნახევარივ თაოდ შჩებისავ. შვილებიანმ დიაცმ თურა იმუშავა შვილნ უსწორდებიავ იციან. მაგალითად, თუ ოთხ შვილი ხყავ, ორ მაუკვდებისაო-დ, ორ ცოცხალ დაშჩებისავ. ფირჩხილ რო მაიჭრასავ მარხოშუობასავ, ფრჩხილიც ორად გაყრილ გამაუვავ. ამით არცრას არ აკეთებენ ამ დღეს. ტირილ სატირელი ყველა-ი სრულდების. კაცები კი უბრალოდ ფეხვნობენ, არა საქმე-ი აქვ. სხვა ამას საკუთარ წეს არა-ი. ამის შემდეგ მავ მ გ ე ლ თ უ ქ მ ი.

მგელთ უქმი

მგელთ უქმს ბიჭვნით ხედებიან, როგორც თაგვ-ჩიტთ უქმს. დააჭალებენ ბიჭონსა-დ ჭამენ ყმაწვილები. სხვა ყმაწვილებსაც დაიპატიჯებენ. მგლისად პირის შაკვრა ესრ იციან: საპარსველთ შახკვრენ ბაწრით, ნაჭრითა-დ იტყვიან: "მგელო, ჩემის საქონისკე წამასულსამც შაგეკვრის პირი-დ უვნებლადამც გადაგირჩებიან". მემრ მგელი ვეღარ შაშჭამს პირის შამკრავის საქონს. ვინც არ იუქმებს, იმის საქონს სრუ დაუჭოცენა-დ აზარალებენ. იმით ამ უქმსაც ჭელუძრავად უქმობენ.

დიდ ხუთშაბათს დასტურთ ლუდი აქვ დამზადებული სოფლისად. რაკი მარხოი-ას, ამ დღეს საკლავ არ იკვლის, ჟამსაწირი, ღამისამთელო კი ჯვარჩი აისრ იციან, რაჭელაც სხვა დროს. ლუდს სმენ მარტო კაცები ჯვარჩი, სოფელჩი დიდხუთშაბათს ლუდ არ მიდის. თუ სოფელში ახალზალი ას მაყვანილი,იმისად კი იციან ახალ-უხლებმ ლუდის წაღება საწდით. დიდს საწდეს კი არ მისცემენ. ახალგაზრდები გაღმართავენ მხიარულობას, ხნიერ ხალხ კი აქ რვინ მივას, იმით რო ზალი ხნიერ ხალხ სადაც იქნების, იქ არ მავა-დ ახალ-უხალს მხიარულობაჩი ჭელ ეშლების.

ეს დღე რო დაღამდების, კუდიან წუხრაი ასა, იმას თავისი წესი აქვ.

კუდიანწუხრა

.კუდიანწუხრას ემზადებიან ყმაწვილები-დ ოჯახებიც კი. ყველა მიიტანს ეკლებსა-დ ჩააშჭობენ თავის სახლის საკვმებში, კერების თაეებზე და ყველგან მის მიდამოებში. ეს იმით, რო ეშმაკებს ეშინიან ეკლისგან.

კუდიანებმ გამაღვიძლვა იციან კაცისა; ღვიძლს ამააცლიან, შაშჭამენ. გამაღვიძლულ კაცს ასტკივდების ღვიძლი-დ მაკვდების. ამ კუდიანების დასაშინებლად ჭევსურები სხვადასხვა ხერხებს ხმარობენ. ეკლის მატანა, ცეცხლის დაგზება, ცეცხლიანის ისრების რეკაი-დ თოფების ჭლაი. ამეებისაგან ეშმაკებსა-დ კუდიანებს ეშინიანა-დ ახლოს ვეღარ მაუდგებიან. დაამზადებენ ყველა იჯახში ფიჩხის კონას, მააგროვებენ ცალკე ფიჩხსა-დ სხვა-სხვა ჯოყარს, დააგროვებენ თავ-თავის სახლის წინ. ყმაწვილებ ეკლის ისრებს ან ოკებს დაამზადებენ ბევრს (ოკი:უყთეო, დაუწებავი ისარი). რო დაღამდების, წაუკიდებენ ცეცხლს აგროვილ ნა'ფომპალასა-დ ხტებიან ზედ ყმაწვილები, კაცები-დ ახალგაზდაებიც. ცეცხლჩი

ძირებით ჩასხმენ ოკებსა-დ როსაც ცეცხლ წაეკიდების, გაღრეკენ ცეცხლიანს (გაღრეკენ: მშვილდით გაისვრიან), თან სიტყვას გააყოლებენ: "კუდიანებო, თავისა შასვითა, შაჭამეთ. ჩვენიმც ნურა მიგაქვისთ". მემრ წაუკიდებენ ცეცხლს ფიჩხის კონებს, გააგორებენ ცეცხლიანსა-დ თან იძახან: "ეეგრამც იწვებით ჩვენ მავნე კუდიანები, როგორც ეს ფიჩხის კონა იწვების". თუ დადგ, მიზდევს უკენ კაცი, წიხლავსა-დ მიაგორებს ყვირილით. ბოლოს მაზდებენ ცეცხლს დიდიდ ნიგუზს, აკდებიან ბანზედ, ამაღებულ ხანჯრითა-დ ამ ნიგუზით სამჯერ შამაუვლიან მირგვლივ ბანსად იძახებენ: "კუდიანებო, თავისა შასვითა, შაჭმეთ". ამ ძახილზე ნიგუზს შორს გაისრევენ (ნიგუზი: მუგუზალი). ამ წესების შესრულების შემდეგ, კუდიანებ აქ ვეღარას გაკდებიან, მაისმენ რასამ, იქცევიან ციცადა-დ ერთს წამს აჩხოტის მინდორჩი დაიბადებიან. ამ ღამეს ყველა კუდიანებ აჩხოტის მინდორჩი იყრიან თავს (აჩხოტის მინდორი არის ყაზბეგის ახლოს), იქ საუბრობენ თავის საქმეებზე, თუ ვის რა ავნან, ვის სად უნდა დაუხვდანა-დ, როგორ ვინ მაკლან. ვაი იმასავ, იციან, ვინაც იმ ღამესავ აჩხოტის მინდორჩი გაივლისავ, მაშივ გამაღვიძვლენავ კუდიანებივ. კუდიანებზე ბევრ რაიმ ამბავი ხალხში; ვინ გამაღვიძლეს, ვის რა ავნესა-დ სხვა. ერთ კუდიან გატეხილა (ხალხის წარმოდგენით, კუდიანი დედაკაცები და კაცებიც ბევრნი არიან. თუ კუდიანი გამოტყდება და იტყვის – კუდიანი ვარო, მაშინ მოშორდება მას კუდიანური ძალა და იქცევა ჩვეულებრივ ადამიანდ. მაგრამ კუდიანები თავის კუდიანობას მალავენ და ძნელია მისი გამოტეხა, თუ გატყდა, მერე ილაპარაკებენ ყველაფერს, რასაც შვრებოდნენ კუდიანობის დროს). მერე იმას ყველა უუბნავ, რას ჩადიოდეს კუდიანები. იმან თქვისავ: ჩვენავ კუდიანებმა მიმავალს კაცს ამავარიდიდითავ ღვიძლიო-დ შაეჭამიდითავ. ჯერ კი ვერა გაიგისავ კაცმავ ღვიძლის ამაცლაივ, მემრ ერთბაშად ეტკივნისაო-დ არცრა ხან დალივისავ, მაკვდისავ.

ერთხანავ ერთ კაც გვინდოდავ ზვაისად წაგვეღებივავ, ვიცოდითავ მთაზედ რომენს გზაზე გაივლიდავ. მოვიტანეთაო-დ საზვაოს ნაქარ'ზედავ ბალახებ დავაშჭვითავ, რო ბალახიან ეგონოსავ, გამაივლისაო-დ ზვავ გაუტეხათავ. ის კაცივ დავლათიან ყოფილიყვაო, რო მავიდავ, თოვლს დაუწყავ არგნით შინჯვაივ. არგან თოვლში შორს წავიდავ, ბალახ ზედ იყვავ თოვლზედავ. გაუკვირდავ ამ კაცსაო, თქოვ: "დიდება შენდა ღმერთო, ეს თოვლ ღირმაი ასა, ეს ბალახ რაჭელად ას, რო ზეთი-ზეთი ას". ღმერთ რო აკსენავ, ხთის ძალით იქუხნავ ამ თოვლმაო-დ გატყდა ზვავივ, კაც მშრალზე დარჩავ. მაშინ რო არგნით არ გაეშინჯაო-დ ღმერთ არ ეკსენავ, მახკლევდავ ზვავივ, მაგრამ იღბლით გვაჯობნავ, გადაშჩავ.

ჭევსურებმ შავ ციცა თუ ნახეს, ულიშნო, დაიჭერანა-დ პირისახეს გაკურებული რკინით გძლა-გძლად დაუწვენ. ამას ხქვიან დაშანთვა. ციცას იმით დაშანთვენ, რო ამბობენ კუდიანებივ შავის ციცაის აღით დადიანავ; პირისახე რო დაეწვებისავ, მემრავ რო კაცადავ იქცეესავ ან დიაცადავ, აი დაშანთულივ თორპილზე დააჩნდებისაო-დ ყველა გაიგებსავ, რო ის ყოფილავ კუდიანივ. მემრ მეტ გზა აღარ ექნებისა-დ გატეხა უნდავ.

ერთმ ღილღველმ თქვის, რო ერთხანავ ბანზე ვიწვეიო-დ ღავილითავ შავ ციცა წამავიდავ ჩემკესავ. თავითავ ღობანზა მეღვავ, მაკიბრუნეო-დ ჩახმახით დაეხკარივ თავჩიავ. დიაცივით დაიკივლაო-დ გადაითარავ ბანზეითავ. მეორეს დღეს ჩემის მეზობლის დიაც გამავიდავ თავდახვეულივო-დ გამატყდავ, ის ყოფილიყვავ.

მემრ თქვის იმ დიაცმ თუ: გამასაღვიძლავად წამლალესავ იმ კაცსთანავ, გამიგაო-დ დობანწა დამკრავ თავჩიავ. თუ არ გაეგავ, ამავარიდებდივ, ღვიძლს ამხანიგებს წაუტანდიო-დ ის ქვე მაკვდებოდავ.

თუ ეჭვ ვისაზედ ეპარების, რო ისივ კუდიანი ასავ, გადეეკიდებიან, რო უნდა გამატეხან. თუ საპარსველივ წვერით მიაწვადავ, იციან, ისივ ჭელს ვერ მიაწვდისავ წვერ იმისკე ნაჭერს საპარსველსაო-დ გატყდებისავ, იძახებსავ, რო გავტეხილორავ, კუდიანი ორავ.

კიდევ იციან: გაატიტლებენ ძალით, ჩასმენ წყალში. წყალში ჩამჯდარს გამაუჩინდების თითის ოდენ კუდი, სხოდ ქვე არ ინახვის კუდიანის კუდი, თუ წყალში არ ჩასვ.

კუდიანი თავის შვილსაც გამაღვიძლავსა-დ. მშობელსაც. ჭევსურებ ერთუცს ეტყვიან: დამანებევ თავივ, რა კუდიანივით გადამეკიდევ. კუდიანიავ გამაგღვიძლავსავ, კუდიანიავ, ღმერთმა დასწყევლასავ, ყველას მაინელებსავ. თუ ან შვილები, ან ძმებ ვის დაეხოცა-დ თაოდ მარტო დარჩ, იმაზე იტყვიან: კუდიანიავ, ყველა მაინელაო-დ ამაიჭამავ, ღმერთმა დასწყევლასავ. კუდიანებივ დიაცებ უფრო ბევრი ასაო-დ მავნებელიც უფრო ასავ კუდიან დიაცივ. მასასმელ წამალ რაიმ აქვავ კუდიანებსავ, მაისმენაო-დ ციცაად იქცევიანავ, მემრ მაისმენაო-დ იქავ კაცად იქცევიანავ.

კუდიან-ღამეი-დ მეორე კუდიან დღე მალოცვილი ას კუდიანებისად, ისენ ზეპირ გამასულნი არიანა-დ. არცრას ხთიშვილნ უშლიან; სხვა დროს კი ხთიშვილნ არ აძლევენ სიარულის ნებას.

სმიანობა კუდიანწუხრას

კუდიანწუხრას მესმინაედ დაჯდომა იციან, თუ ისრ მაიქც, როგორც წესი ასა, არ დაიძრ, მაშინ კუდიანების ნაუბარს სრუ გაიგონებს. ისეები იამბობენ მთელის ხალხის ამბავს, ვის რა იღბალი აქვ, ვინ რაით დაზიანდების, ვინ როს მაკვდებისა-დ რაჭლით სიკვდილით, ვის რამთვენ სიცოცხლეი აქვ კიდევ. ერთ ჩვენებურ მჯდარ წინავ მესმინაედ, მიამბი ხახონმა. რო დამჯდარ, შამაუხაზავ ტარის წვერით თავის მირგვლივ, მემრ ნაჭშირით მაუხაზავა-დ ნაჭშირებიც გადაუყრავ თავის მირგვლივ, ტარებ კიდევ წვერ გარესკე დაუსხამ თავის მირგვლივ. რო დაღამდავ, მავიდესავ ეშმაკებიო-დ კუდიანებივ. ჩემზე თქვესავ, რო რაი ღგდავავ, ეგ კუნძიაევ? აიღითავ უთხრესავო-დ გადააგდითავ მანდითავ. მე კი ვერ ვხედევდიო-დ, ნაუბარ მამდიოდისავ. მავიდესავ ჩემს გადასაგდებადაო-დ მახაზულს ვერ გარმასცილდესავ. მე არ დავიძარივ. თუ დავძრულიყავივ, იმათაც ის უნდოდავ: დამწყევლიდესაო-დ შვილ-ბოლოთ ამავსწყდებოდივ. მემრ გამიჩინესავ ტილივ, რო ბურკვ-ბურკვად ჩამადიოდისავო-დ შაჭმას მიპირობდინავ, ესეც გავზძალივ. წავიდესავ მემრაო-დ ჩემს პირდაპირ ქვას დაუწყესავ გორებაივ, მახაზულის იქი-აქათი გადიოდავ ქვაიო-დ ვერც ის მამიდგავ მახაზულის შიგათიავ. მემრავ ცეცხლიან ნიგუზებს დამიწყესავ ჭლაივ. ისიც მახაზულის შიგათი ვერ გადმადიოდავ. ბოლოს თქვესავ, რო მაგარ კაციავ, არ გაგვცემსაო-დ მახყვესავ, ყველა იამბესავ, რაიც მახჭდებოდავ ქვეყანაზედავ. ყველა ვუყურევ. სრუ ვიცივ, ვის რა მაუვავ, ვინ როს მოკვდებისავ, მაგრამ საუბრის ნება არ აქვ, რაიც იმეებისგან გაიგონ იმისაი, თუ იამბავ, იციან, სანაწყევრო-ი ასავ, საბოლოოდ სრუ ამაწყვეტას ლიშნაესავ.

ერთხან ერთ დიაც გატეხილას, იმას ორ ძმა მახკდომიოს წინავა-დ მემრ ერთაბაშად უძახებავ, რო ხალხნო, გავტეხილორავ, კუდიანი ორავ. რო გატყდავ, მემრ იამბისავ, რო ჩემ ძმებივ ორივ მე გამამაღვიძვლივესავ. მესამის ძმის გამაღვიძვლას მავალებდესაო-დ ვეღარ ვქენივ, გატეხა ვარჩიევ. მემრ ის დიაცი სრუ თუ ტიროდის თავის გამაღვიძლულს ძმებსა-დ აღარც თაოდ უცხოვრებავ დიდხანს – მამკვდარას გულისგან. ბანს რო შამაუვლიან ხანჯრითა, ცეცხლით, მარცხენას ჭელჩი ცეცხლს დაიჭერენა-დ მარჯვენაჩი ხანჯარს, მემრ ხანჯარს ქვე ჩააგებენ, ნიგუზს გაისრეევენ შორსა-დ, თან იძახებენ: 'კუდიანნო, მაილახერენით, თავისა შასვითა, შაჭამეთ, ჩემსამც ნურას წაიღებთ".

აკვსება

აკვსება ჭადუს სამს დღეს იციან: კვირაეს, ორშაბათს და სამშაბათს. სააკვსოებოებ ლუდები როგორც სხვა დღეობებჩი, ეხლაც აისრ ას დამზადებული.

შაბათს დაღამებაზედ მკადრე გაიბანების სამს წყლის თვალზე მაინც, თუ მეტად არ. მაიყვანს, დახკლავს საწუხროს სანათლავსა-დ განათვლიდგეს ააბომს დროშას. დროშაის ტარები ბევრი აქვა-დ სამს შაარჩევს. დროშათ ამბის დროს ჭმას არ იღებს, ამაიღებს ტაგრუცშიით ჭელისაკოცებს, ერთი პირით დროშაის ტარის წვერს ჩამაახვევსა-დ ჩამააცომს ზედ ვერცხლის ბურთვს, ზედ კიდევ ჯვარს ვერცხლისას, მხოლოთ ჯვარის ბოლოში შაამბენ ზარს. ზარი ას შარჩეულ, რო ჭმა შორად მიდიოდას. მემრ შაამბენ ჭელისაკოცებს ცოტა შორ-შორად. ჭელისაკოცებად ბაღდადი უფრო იციან, ნამეტნაოდ კაის ჯვარის დროშაისად. კაის ჯვარის გამძღოებისად სახელი ას, თუ დროშა კარგად შამკული აქვ. უფრო სალაშქროსა-დ მგზავრს დროშას ხკასმვენ ძალიან კარგად. ერთს დროშას ჯვარს გაუკეთებს ვერცხლისას, ზარსაც იმას შააბომსა-დ ორს ჭელისაკოცებს, ვერცხლის ბურთვებსა-დ შუბებს გაუკეთებს. შუბები ძველები აქვ, რასაც წინავ ომჩი იყენებდეს.

მკადრე რო დროშათ ააბომს, დაყუდებული დროშათან მაიყრის მუჭლს, მიწას აკოცებსა-დ იტყვის: "დალოცვილო წმიდაო, სანებაო, ნუ შამისაწყინდები შენის ბორაყ-დროშაისად ჭელის კადრებაზე, ჭორციელი ორ, უტი, უმეცარი, ბევრს რასამ შაგაწყენ უმეცრებითა, მაპატივი, დალოცვილო. ყმა შაუწყენ არ იქნებისა, ბატონ შაუნდობარი". ამ სიტყვებით ადგების მკადრეი, აიღებს ჭელჩი სამსავ დროშას ერთად. სხვა იქ მყოფები მაშივ მუჭლზე დასხდებიანა-დ იტყვიან: "დიდება ძალსა შენსა, დიდო წმიდაო სანებაო, შენ უშველ შენთ ყმათ". მკადრე შამაუვლის სიმირგვლივ დარბასს დროშაის წკრიალით, გამავ კარში-დ მუჭლზეით ადგებიან, გამახყვებიან სხვა ჯვარიონნიც. დარბასის კარს შამაუვლის კიდევ სამჯერ მირგვლივ დროშაის წკარუნითა-დ მიაბრძანებს დროშათ თავის ადგილზე. იქ დროშათ დასაბძანებ კოშკი ას გაკეთებული. ხუცესი გამაიტანს კოშით ლუდს, მივა, დადგების დროშათ ახლოსა, იტყვის (ლუდიან კოშზე სანთელია დაკრული): "დიდება ძალსა შაძლებას შენსა, წმიდაო სანებაო! შენ უშველი შენს საყმოსა, საგლეხოს. შენ ნუ მაიწყენ, ნუ მაიძულებ შენთ მეხვეწურთ ყუდროჩი ნუც კაცსა, ნუც იმის საქონ-ნაქონს. ველთ ვინ გავიდას შენთ მეხვეწურთ ყურდოჩი,

შენს ბედსა, დავლათს ეძახდას, - შენ ბედი, დავლათ დააჭმარიდი, შორს მყოფ ახლოს დაუხვდიდი, შენ კაბის კალთა ჩაუფარიდი. სხვა ხთიშვილი თუ რა უკულმართობდას, უწყრებოდას შენთ ყმათაზე, შენ უშუიდი, სხვასთან უშველიდი, სახელიან ზღვენი, სანთელ აიტანიდი. თუ რა მარცხი, ბირკოლ ეხედვებოდას შენთ ყმათ, შენის დროშა-ბორაყის ძალით ააცილიდი, ზიანს ნუ რას ვის მიაყენებ, შენის სახელის ჭირიშ'. ამ სიტყვებით სანთლიან კოშს მაღლად ასწევს. ყველან პირჯვარს დაიწერანა, გაიმეორებენ: "დიდება ძალსა შენსა, წმიდაო სანებაო". მემრ ხუცეს იტყვის: 'წმიდას სანებას დიდება, მეხვეწურთ წყალობა". შასომს ლუდს. მემრ გადასცემს მკადრესა-დ ის დაილოცების: "გამარჯვება წმიდას სანებასა, იმის წყალობა ხქონდას ყმათ, მშვიდობით ამყოფნას, ბევრ აკვსება, ამაღლება მშვიდობისა ალოცვივას, ხალიზ მისცას, ბალინჯ აშორას. თქვენ დაგლოცნას დასტურნიც, გამძღონიც, ნურაით შაგიცოდვნასთ დალოცვილმ, მეწაღმართე ანგელოზ დაგაყოლასთ".

ამ სიტყვებით ისიც შასომს ამავ კოშჩიით ლუდსა-დ ახლა სხვებს გადაულოცავს. კოშს რო ყველა ჩამაირიგებს, ბოლოს ხუცესსავ მისცემენ. ის გამასცლისა-დ გადაიჯდის მადლს: "შავსვ თქვენის გამარჯვებისა, გწყალობდასთ სანების დავლათი". გამაართმენ კოშსა, ეტყვიან: "გაამას ღმერთმ, ალალი ქნას". მემრ შავლენ ჯვარიონნი დარბასშია-დ დასხდებიან. კოდი წინავ ას გაჭსნილი. ცოცოტას ლუდ-არაყს კიდევ შასმენა-დ მავ ღამისამთელოიც. ღამისამთელოზე სხვა დღეობებში რაჭელაც ნათქვამი ას, იმავ წესით სრულდების. ჭირისპატრონი სამართებელსა, ფანდურს მაიტანს, თმა-წვერს მახპარსავს იმის მკვდრის საგლეველა-დ თმა-წვერ გამაშობილ ჯვარივნებს. ჯვარჩი თმა-წვერიანობას არ იჭდენს ჯვარი-დ იმით ბეჯითად უნდა დაიყრიონ თმა-წვერი. მემრ ჭირის პატრონი დადგების მუჭლითა იმღერებს ფანდურზე საგმიროს ან უფრო ხევსურთ გმირ კაცების სიკვდილის სიმღერას. მღერაში მალ-მალედ ეტყვიან: "აი ღმერთმა ნუღარაით დაგაწუხრას, დიდხანამც იმღერ". ხანდიხან თავის თასშიით ლუდსაც შაასმევენ,შაღმღერნებენ კიდეც იქავ ჭირის სიმღერეს. იმის მღერის დროს ის დაუკრავს ფანდურსა-დ სხო შაღმღერნებს, თან ლუდს ასმევს:

ზეცით მავიდა არწივი, ბოლომ მაიღა წივილი,
მარჭე ას, მარჯვე ნუ გგონავთ, უწყრულოდ გულის ტკივილი.

* * *

თაფლია თვალთა ტკივილი, შვილთა დაჭოცა შაქარი,
მშვილდი ას ძმისა სიკვდილი, მასაზინებლად მაგარი.

ჭირის პატრონი რო მღერას მაათავებს, ადგების ფეჭზე ფანდურს გამაართმენა-დ ეტყვიან: "ღმერთმა ნუღარაით დაგაწუხრას. შენ გულ კაითამც გაიკურნების". მასახათარავ აღარავის ექნების, ყველას შაუძლავ მღერაიცა-დ თამაშობაიც. აკვსებას წუხრას სოფელჩი არა მიდის, არც ჯარი სხდების, მარტო თაოდ ვის აწევენ ჯვარიონნი-დ ან ეეგრ ვინ შაემწყვდევის. ბოლოს ყველა წავ-წამავა, ჯვარიონნი იქ დაიძინებენ.

მეორეს დილას მაიტანენ ჟამისსაწირსა-დ სწირავენ ჟამს ჩვეულებრივად. ჟამისწირვის წესი ყველა რო შასრულდების, მაიყვანენ სოფელჩიით სარიგოსაც. ხუცესი დახკლავს სარიგოს ანუ სასოფლოს. გააკეთებენ მწვადებს, აჭმევენ პურს გამძღოთ, თაოდაც ჭამენ დასტურები. მავ სოფელჩიითაც ხალხი, ზოგი ზღვენს

მაიყონს, ზოგი სანათლავს (ზღვენი: შესაწურავი საკლავი, რომელსაც ავადმყოფობაზე ურჩევენ მკითხავები, ან თვითონ შეპირდება ხატს: თუ ამა და ამ გაჭირვებიდან დამიჭსნი, ერთს საკლავს მოგგვრიო. თუ ვაჟიშვილი არა ჰყავს, ვაჟი მომეციო და საკლავს მოგგვრიო, ამას ჰქვიან ზღვენი. სანათლავი ჰქვიან იმას, რომ ყველა მამაკაცი მოვალეა წელიწადში ერთხელ გაინათლოს. მიიყვანენ ხატში საკლავს, რომელსაც დაკლავს ხუცესი საკლავის პატრონის ანგელოზისათვის. მერე მოითხუპნის სისხლით ხელებს და გულზე და შუბლზე გაუკეთებს თითით ჯვარს. ამას ჰქვიან განათვლა. ხევსურები ამბობენ, რომ ყველა კაცს ჰყავს საკუთარი მფარველი ანგელოზი და იმისათვის კლავენ საკლავს. წელიწადში ერთხელ დაკვლის ვალდებული ხომ ყველა კაცი არის, ზოგი კი ბევრსაც კლავს. მაგალითად, ჯვარის-ჭელკაცი, მოსამსახურე ჯვარში – ყველა დღეობაში კლავს სანათლავს. სანათლავი იციან ცოლის მომშობიარების ერთი თვის შემდეგაც და სხვა).

სანათლავს ვინაც დახკლავს, მარტო თავს გასწირავს ჯვარჩი საკლავისას. ზღვენს ვინაც დახკლავს კი, ზღვენი სრუ ჯვარჩი რჩების. მეზღვნეს ტაბლას უდგმენ ჯვარჩი მარტო ერთხანა-დ ტყავიც ჯვარიონთ შჩების. კიდევ მახყავ მისამბარეო ზღვნები. მიაბარებენ ყმაწვილებს ჯვარჩი ახალ გაჩენილს, ავად ნამყოფს, უფრის სულწამაყრილსა-დ სხვა (უფრის სულწამაყრილი ხქვიან იმას, რომ ყმეწვილი დაიზარების, შაშინდების, დაიწყებს ერთბაშად შაშინებასა-დ ტირილს: ამას დაბრალებენ ეშმაკებს: ვითამ ეშმაკებმ დაიჭირეს. ეშმაკები ყმაწვილს ემტერებიანა-დ თუ ჯვარნ არ შველენ, მაიტარიცებენ, გახჭდიან აოდ, ან დახჭელთვენა ან მახკვლენ. ასეთსაც ჯვარჩი მიაბარებენ).

ხუცესი იტყვის: დალოცვილო წმიდაო სანებაო, შენ გებარებოდესავ, შენ მიიბარევ. შენ მააშორევ მავნ - მაცილივ. შენ დააყენევ მშვიდობის გზაზედავ, ულხინეო-დ მაარჩინევ. ზღვნები ბევრს მიზეზზედ რაზედამ მიხყავა-დ ხუცესი ყველას თავთავის ანგარიშს აძლევს. ზოგს დროშათ სანათლავ მიხყავ, ზოგ ჯვარ-ჯვარისკრისაი, რაიც ვის შათქმული-აქვ მეზღვნეებს.

ჯვარიონნი მეზღვნესა-დ ზღვნებს ყველას თავის წესრიგს მისცემენად მავ სოფლის ხალხიც. სოფელს ცოტას სასმელს აქ გამაუტანენა შაასმევენ. მემრ მისცემენ ლუდს საწდეებითა-დ სოფელ წავ. ბარის სანებას (ბარის სანებაი ხქვიან სოფელსთანით ერთის ვერსის მოშორებით აგებულს კოშკს, მიდიან აჭვსებას – დღესა-დ აქით ილოცვენ სანებას.) სოფელ მივ, მიიტანს სასმელს, საკლავს. მავლენ ატაბითად, წინჭადუთაც მესადიდებულოეები. მააქვ თითო ქადაი-დ თითო მინა არაყიც. მიაბძანებენ დროშასაცა და დააბძანებენ თავის დალიშნულ ალაგზე. მემრ დასტურები წამააყენებენ აქ მაყვანილ სასოფლო საკლავს, ხუცესი იხუცებს, რაჭელაც ნათქვამი ას ხუცობის წესი. საკლაეს რო დახკლავს, შაახვეწებს სანების საყმო-საგლეხოს, ეძახს ბარის სანების სახელით. დაკლულის სისხლს ჩააყენებენ ცოტას თასშია-დ გადაასხმენ დროშასა-დ კოშკს. მემრ დააწყობენ მატანილ ქადებს, დაზდგმენ სადიდებელს, დააკვრენ სანთელსა-დ ხუცესი კიდევ შაუდგების სადიდებელთ მაჭსენებასა-დ ხუცობა-კურთხებას: "დიდება ძალსა შენსა, დიდო სანებავ, მფრინავო ანგელოზო. დიდი ხარ, დიდ შაგიძლავ, შენსამც სახელსა, ძალს მაემატების. შენ უშველი შენთ მეხვეწურთ, თემსა, სოფელს. მესადიდებულოეთ, შენ ძალი, სახელ დააჭმარი წინჭადუელთა-დ ატაბიონთ. (ატაბიონთ სადიდებელი

იმით მააქვ, რო ჭადუელთ ჯვარის ტყეებში გადმადის იმათ საქონი-დ კენეტს ტყეს. იმის სახვეწრად მააქვ სანთელ-სადიდებელ, რო, რასაც ზარალს იმათ საქონ აყენებს სანების ჯვარის ტყეს, სანების ჯვარმ ეს აპატიოსა-დ არ გაუწყრას), შენთან მაუტანავ სამანანულო (ე.ი. ნანობენ დანაშაულს, ენანებათ), სანთელ-სადიდებელი-დ შენ აპატივი, შანაცოდვარი კაცითაცა-დ საქონითაც. არ იქნების, დალოცვილო, ყმა შაუწყნი-დ ბატონ შაუნდობარი. დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა. დიდება-დ გამარჯვება შენდა, დიდო სანებაო, დიდება დღეს დღესინდელსა, დიდება ძალს ხთისას, ძალს კვირაისას ხთის მაღლის მოკარვეს. დიდება-დ გამარჯვება შენდა, სანებავ მფრინაო ანგელოზო. ღმერთმა გადიდას ამ გარიგებულ სეფე-სანთელზედა, სადიდებელზე, დიდო სანებავ მფრინაო ანგელოზო, ღმერთმა მაგცას ცამდინ სიმაღლე, ზღვამდინ სიმაგრეი, შველვა, რგება, დაჭმარება, ხოიშნობა შენის მეხვეწურისად. გეძახან შენ მეხვეწურნი მესადიდებულოენი, გეხვეწებიან, შაიხვეწენი. რასაც მჭარზედა, გულზე გიძახებდან, იმ მჭარ, იმ გულზე გაუგონიდი, რასაც წყალობას გეთხოებოდან, შენს გამჩენს მორიგეს ღმერთს დაუთხოიდი" და სხვა.

ხუცობის წესი ჩვეულებრივია, ხოლოთ ახსენებს მესადიდებულოებსა-დ ახვეწებს იმათ. ამ ხუცობასაც მაემბის კუთხევაი-დ, ბოლოს, სადიდებლის მოკლე გადიდებაი. ეს წესებიც ყველა რო მოთავდების,დაიწყებენ სადიდებლის სმას. ლუდი აქვ მატანილი ჯვარჩიითა-დ იმას სმენ. სასოფლო საკლავ რო დაიკვლების, იმის ჭორცს მთლიანად ადუღებენ, მემრ დააწილებენა-დ დაუდგემენ ტაბლას ყველა იქ მყოფებს მესადიდებულოებსაცა-დ სოფელსაც. მესადიდებულოე ქალ-ზალი ასა-დ ძალიან დიდს პატივს სცემენ ჯვარიონნიც, სოფელიც მასულებს. რაიც კა სასმელ-საჭმელი აქვ, იმათ ხკერძებენ.

გაიმართების ლხინი,თამაშობა. თამაშობა იციან მარტო კაცებმ,აქ ქალები ძვირად თამაშობენ. უმღერენ ერთუცს საქებ სიმღერებს, დაამბენ ფერჭისასა-დ სტუმრების პატივსაცემად უმღერენ.

ეს ლხინი,მხიარულება რო მოთავდების,"ჭელ-მაგიმართასთავ" – ჯვარიონნ ეტყვიანა-დ წამავლენ შინ წინჭადუელ-ატაბიონნი. ჭადუვლებიც ცოტახან კიდევ დარჩებიან იქ. მემრ დროშას ააბძანებს მკადრეი-დ წამავ, მთელ ხალხს წინ გამოუძღვების. მავლენ ჯვარჩი, იქ ცოტახანს კიდევა-დ წავლენ-წამოვლენ შინი-შინ. ამით დამთავრდების აჭვსება დღე. მაგრამ აქ აჭვსება სამს დღეს გრძელდების, ორშაბათ დილას მივლენ ყველანი ჯვარჩი კაცები-დ დაიწყებენ სმას. მემრ გახყრიან წილს სადასტუროებზედ.

ჭადუს ჯვარის მამულები დალიშნულები აქვ, რომენ რომენს დღეობაში უნდა გამაიყენან. ე.ი. რომნის ქერი რომენს დღეობაში უნდა დაიხარჯას. აქ ძირითად დასტურ იციან სამი, რომნებიც უვლიან, დახფარვენ ხოდაბურს, მამკილს ააგებენ, მიტანენ, გაღლეწვენ, გაანიავებენა-დ ჩახყრიან პურს მშრალ ბუნაგჩი. ძირითად დასტურნი მარტო სამს დღეობას იქმენ: წელიწადს, ათენგენასა-დ სამამკლოს. დანარჩენ მამულებზე აჭვსების ორშაბათს ყრიან წილს. ყველან თავისად ნამრგალს მამულს მოხჭვენენა-დ მემრ ყველას თაოდ გააკეთებენ, გაღლეწვენ პურს, თაოდ შაინახვენ. ამ მამულის პურის ლუდს დაამზადებს ის კაცი დალიშნულ დღეობაში, ვისაც მაჭნული ხქონდ ეს მამული. ესეთეები მამულები ბევრი ას ჭადუსა-დ ყველას ერგების ყველა დაამუშავებსა-დ იქამს თავ-თავის დღეობას. სვესაც თაოდ მიიტანსა-დ ქერსაც.

სანებაში სამ დასტურნი მუდმივი ხყავ, დანარჩენი სოფელში თითო დღეობა ყველას ხვდების წელში ერთხან, ზოგთ ორთ შახვდების დღეობა, ზოგს ერთს,

ზოგს სამსაცა-დ ის დასტურობას იქამს მარტო ერთს დღეობაში, ვინაც სადასტუროებ მაჭნ. დანარჩენი ძირითად საქმეები სამს მუდმივს დასტურს ღბარავ. წილისყრა, სმაი-დ ქეიფობა ყველა მოთავდებისა-დ წავ-წამავ ხალხი თავ-თავის შინ.

შამშაბათს ას ძენგლობაი (ძენგლი: სალოცავის წესების გარეშე თუ რამე ჩაიდინა, მაგალითად, ჯვარში კაცი მოკლა, ან დაჭრა, ან შეიძლება მწუხარე ავადმყოფის პატრონმაც დაიდვას რამე ძენგლად. ძენგლად დადება ჰქვიან იმას, რომ: ერ-ერთ დღეობაში დანიშნავენ დღეს და ამ დროს მიიყვანენ საკლავს ყოველწლიურად. ადუღებენ ლუდს ან არაყს და გადაიხდიან დღეობას, რასაც შეპირდებიან ხატს, დანიშნულ დღეს ვალდებული არიან შეასრულონ. ძენგლი გადადის შვილზედაც და შვილიშვილზედაც. ბოლოს შეიძლება გვარსაც დარჩეს. ძენგლი არის თავის თავზე მიღებული ვალდებულება).

ძენგლი ას ერთიანად ჭადუელთ დანადები შუღლზედ; წინავ ჭადუს შვიდ მამა ყოფილას. ერთხან საჯანგეს უშუღლავის შვიდსავ მამას, დაღრევიონ ერთუცსა-დ ბევრიც დაჭრილას. დაჭდილას ეს ნაჭრევიან ხალხ მარჭედ, რო კინაღა დაჭოცილან. მემრ მკითხავს უთქომ, რო ძენგლი დაიდევითავ, აჭვსების სამშაბათს საჯანგეობას დღესავ შვიდმავ მამამ თითო საკლავ მიიყვანეთაო-დ თითო ქადა მიიტანეთავ ხავიწიანავ. ერთ ქვაბ ლუდ დაიდევითავ სადუღებლადაო-დ ნება მიეცემისავ ყველასავ. იმ დღიდგეს დაიდვეს ძენგლიდ – შვილიშვილის შვილიც ასრულებდ ამას. ახლაც იციან. წინავ რაკი შვიდ მამაი იყვ, შვიდ საკლავი-დ შვიდ ქადა მიდიოდა, ეეხლად რამთვენიც მამაი ას (მამა – ე.ი. ქვეგვარი), იმთვენ ადგილზე იდების ბინაი (საჯანგე – ადგილის სახელია და აქ ილოცავენ სანება უნჯის ანგელოზობით. სოფლიდან სამი კილომეტრის დაშორებით. ხალხის წარმოდგენით აქაური სალოცავი გველის სახით არის). მააქვ ლუდი-დ თავთავისად არაყი. დახკვლენ მამ-მამად თიითო საკლავსა-დ გაიმართების სმა-ჭამა.

საკლავებს ხუცეს სრუ ერთბაშად დახჭოცს, რაიც ძენგლისები ას. ერთად იხუცებს, მააჭსენებსა-დ აკურთხებს:

"ღმერომა ადიდას შენი ძალი, შენ შაძლება, საჯანგეს ბატონო უნჯის ანგელოზო! დიდი ხარ, დიდის შაძლებისაი ხარა-დ შენდ ნაქადები-დ დანადებ არ დაუყრავ ჭადუელთა-დ შენს წყალობას ნუ დააკლებ. შენს ველის დღეობას შენს კარსა, კამალას შამახვეწნიონ – შაიხვეწენი-დ უშველი. ეს სამსახურები, პირის საბანებ ხთის კარზე შენა გასამარჯოდ, სამთავროდ მაიჭმარი, შენ მეძენგლეთად ჭადუელთად, მაგათ თაეისად, ჯალაყობისად" და სხვა.

საკლავები მწკრივზე დგანან და თითო საკლავი თითო კაცს ცალ მუხლზე დაჯდომით უჭირავს. საკლავებს დაატყვებენ თავ-თავისას, ქვაბებ მიტანილი აქვა-დ შეშა. დააგებენ ტაბლას, აწევენ ერთუცს. ბოლოს, ყველან ერთად მიეკლენა-დ ას მთელს დღეს ლხინ-თამაშობა. ქადებს დაშჭრის ხუცესი,ნახევარს ტაბლაზე დააგებენ, ნახევარს კი პატრონებ წაიღებენ. დაჭრამდინ ხუცეს ქადებსაც იხუცებს. ჩვეულებრივად მხიარულობენ, წყნარად. ხოლოთ, ამ ჯვარჩი ხმამაღლად საუბარსაც არ იკდენს უნჯის ანგელოზი. თუ ვინ მაღლა რაზე აქოთდ, მაშიე მაამიზეზებს, ან ცხვარს მიაყვანინებსა-დ ან კურეტს. შორს რო იყვას, ვერცკი უძახებენ ერთუცს. დაღამდების ეს სამშაბათი დღეიცა-დ დაიშლების ხალხი. ამით თავდების აჭვსება.

ამაღლება

ამაღლება სანების ჯვარჩი ოთხ დღე იციან. ლუდსაც დასტურები ოთხის დღის საკმაოს დაამზადებენ. ამაღლებას კოდების მასახე

სიმირგვლივ თავის სოფლის მიწა-წყალს. ერთს მთაზე ამასაჭედისკე გუროვლების მთაი მაუჯდების, ჩრდილოეთისკე არხოტივნების მთა, ტანიის ღელე დასავლეთისკე, ე.ი. მზის ჩასახედისკე, წინჭადუელთ ადგილი-დ სამხრეთისკე ატაბიონთ ადგილი. ზოგჯერ შამაუვლიან ერთს დღესა, ზოგჯერ მეორეს დღეს წავლენ, სადაც დააკლდების. მჭარზე დროშა უძეს მკადრესა-დ ცხენზე შაჯდების. უკენ დასტურ მიზდევს ცხენით, მიაქვ თან სასმელი, საჭმელი-დ გზა-გზათ, სადაც ისვენებენ, სმენ ლუდსა-დ არაყს. ცროლს რო შაჭდებიან, იქ ჯვართ ადიდებენ, სანთელსაც აანთებენ. აქ კარგადაც დაისვენებენ, ჭამენ პურს, იმით, რო სანების ჯვარის მთავარ სადღეობო აქ ას. იქით კიდევ გამაუვლიან მთებსა-დ დაბრუნდებიან. როსაც გაიგებენ სოფელჩი, რო ჯვარიონნ მიდიანავ (დროშის ზარის ხმას გაიგონებენ), კაცი, დიაცი, დიდი, ცოტა,სუ ყველა მიეგებების,მიაქვ არაყი,ჯვარჩიით ლუდს გაუტანენა-დ სოფლის შორს შახვდებიან. ჯვარიონნ რო ახლოს მავლენ, ჩამაიღებს დროშას მჭარზეით მკადრეი, დახყუდებს, იქ კოშკი ას გაკეთებული იმასთანად, ყველა მისულები ქუდს მაიჭდიანა-დ მუჭლმაყრით ხკოცნიან მიწას. თან ეხვეწებიან სანებას მგზავრ ანგელოზს, რო სოფელ ჭადუ დაიცვას ყველა გაჭირებისგან, მტრისგან, ზვავისგან, წყლისგან. "მაგვიხვეით მშვიდობით, გამარჯვება ბატონ-ყმათ, ჭელიმც მაგემართებისთ" – ეტყვიან ყველანი. "მშვიდობით გნახენითა, კარგად. წყალობა მაგიტანეთ მგზავრის ანგელოზისა, წყალობა. წაღმ მაგეგებასთ მგზავრის სანების დავლათი. თავის ძალითა, შაძლებით უვლის თავის ყმათ მიწა-წყალსა-დ თავის ძალ დაგაჭმარასთ დალოცვილმ. დაიცვას თავის ყმათ მიწა-წყალი მტრისგანაც, ნადირისგანაც, მავნებელ მიწრიელ-ქვეცრიელთაგანაც, მაკლებ-მაზარალებელ ცა-ღურბელთაგანა-დ მთა-ლემადეთგანაც. გწყალობდასთ სამების მლოცავსა-დ წმიდით გულით მამგებეთ". "თქვენ იყოს მწყალობელ" – ეტყვიან ყველანი-დ მივლენ ახლო. ქალებ ცოტა შორს იქნებიან. ყველა დაასხამს თავის არაყსა-დ ცდილობს ჯვარიონთ შაასმიოს. ქალებ შორით უგზავნიან თავის ყანწებსა-დ სთხოვენ გამაცლას. თან უმღერენ საქებ სიმღერებს მთა-წვერთ სიარულზე. ქალებიც ლექსობენ,უფრო ისეთ ლექსებს,რომნებიც ჭადუელთ გამარჯვებას ეხებისა,სანების ჯვარიც დამჭმარედ იგულისხმების ჭადუელთ გამარჯვებაჩი, რომ ახალგაზდებ უფრო გამხნევდანა-დ უფრო კარგად მაუარან თავის ადგილ-წყალსა-დ სოფელს.

ჯვარიონთად მიგებებ'ულ ხალხი რაიც კი შაუძლავ, ყველანაირ მხირ'ულებას გადახყრის: მღერა, ლექსობა, თამაშობა. რო მასწყინდების, ჯერ ჯვარიონთ გამაისტუმრებენ ჯვართაკე, მემრ თაოდ წამავლენ სოფლისკე მადლის თხოვით.

დროშას მარტოს არ დასწირვენ, ერთ კაც სრუ დროშათან იძინებს, ეშინიან, რო უცხო კაც არცაით-ვინ მავიდასა,დროშა არ მაიპარას,მაგალითად,ქისტი, ლეკი, ან სხვა ასეთ ვინ. ან დასტურ დაწვების დროშათანა ან მკადრე.

ამაღლება იციან ხუთშაბათსა-დ პარასკევს. პარასკევს მაუვლენ ატაბით კვირაის დროშაით ატაბიონ ჯვარიონნი (ატაბე სოფელია, სადაც კვირაეს ილოცავენ). ატაბით იმით მავლენ ჯვარიონნ, რო კვირაეს აქ ჭადუს მამული აქვა-დ ამ მამულის ნაღალურის ლუდს ამ დღისად ამზადებენ. ცალკე კი კოდს დაზდგმენ. ატაბით კვირაის ჯვარიონნ რო მავლენ, ეს კოდ მა'შინ გაიჭსნებისა-დ სცემენ ჯვარიონთ დიდს პატივს. ერთს დღეს იქ დაალევინებენ (დააღამებინებენ); მაიყონს სოფლი ერთს საკლავსა, კვირაის დროშასთან დახკლავს, ჭორცს ადუღებენა-დ ატაბიენებს

გაუმასპინძლდებიან. მაიტანენ სოფელჩიით სადიდებლად არაყებს, ლუდ ხო ჯვარში უდგასა-დ ას ერთ ბძოლაი,სანების ჯვარიონნი აძალადებენ ლუდ-არაყს,ის უნდ, რო დაათვრნან კვირაის ჯვარიონნი. უმღერენ იმათ მამა-პაპათ სიმღერებს. მავ სოფელჩიით მესადიდებლოე. ახლა ისეებ გაუმართვენ ლხინ-თამაშობას,აძალადებენ სასმელს. ყველა რო მოთავდების, ჯვარივნები ერთუცს გადახკოცნიან, ატაბიონნი კვირაის დროშას ააბძანებენ, აქ მაიტანენ სახუცოს თასსა-დ ატაბის ხუცესი მააკსენებს კვირაისად:

"დიდება ღმერთსა, დიდება-დ გამარჯვება შენდა, დიდო კვირაევ ხთის მაღლის მოკარვეო, რჯულიან – ურჯულოთ სალოცაო. ღმერთმა გადიდას ამ ჭიქა-ბარზიმზე, ღმერთმა გაძლიერას, შენად სამთავროდა, შენა გასამარჯოდ მაიკმარი, ხთის კარზე შაიტანი, შენ ჭადუელ-ატაბიონთად, ერთუცის მემიჯნე-მეთემეთად, საშველად, სახოიშნოდ სამწყალობნოდ ხთის კარზე შაიტანი. დიდო კვირაევ ხთის მაღლის მოკარვეო. ჭადუელთ შენდ რიგ არ დაუყრავეისა-დ შენ შენს წყალობას ნუ დააკლებ, უშველი ამ ორს თემს, უშველი, ერთუცსთან დანდობაი, ძმობა მიეც. ამ ორის სოფლის შუაში მესამის ცუდს ენას ნუ შამაუშობ, დალოცვილო! გეძახან, გეხვეწებიან – შაიხვეწენ. მე შენდ შამამიხვეწებიან – შენ შენს გამჩენს მორიგეს, დამრიგეს ღმერთს შაახვეწენ, ღმერთ შენს ბატონობას გაუმარჯვებს. დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა, დიდება დიდს კვირაეს, ხთის მაღლის მოკარვეს. ღმერთმა გადიდას, დიდო კვირაეო, ღმერთმა გაძლიერას, ღმერთმა მაგცას ცამდე სიმაღლე, ზღვამდენ სიმაგრე, შველვა, რგება, ხოიშნობა შენ მეხვეწურთად ჭადუელ-ატაბიონთად". . .

ამ წესით გრძელდების ჩვეულებრივ ხუცობაი. ხუცობას რო გაათავებს, ხუცესი ცოტას შასომსა-დ ჩამაურიგებს ყველას ამ თასშიით. ყველა დაილოცებისა-დ ცოცოტას ყველა შასომს. მადლს ხუცესივ გადაიჭდისა, კიდევ გამაემშვიდობებიანა-დ წავლენ ატაბიონნი თავის დროშაით.

ამაღლების მომდევნო შაბათ რო გათენდების, კიდევ მაიყრის სოფელი ჯვარჩი თავს, ამ დღეს ძაიკათ აქე ძენგლი (ძაიკანი: ერთ-ერთი ქვეგვარი ხადუში) შანაცოდვარზე. მხოლოდ რა შანაცოდვარი, არ ვიცი. ძენგლად კი ზძეს ამ დღესა-დ ადუღებენ ლუდს,მიიყვანენ საკლავს. ლუდსაც სოფელს ასმეევენა-დ საკლავის ჭორცსაც სოფელს მისცემენ. სოფელი ადუღებს ჭორცსა-დ დაიდგამს ტაბლას. ამ დღეს სრუ ძაიკათ ხარჯი ასა-დ სოფელიც თასს ძაიკათ სამწყალობნოდ სვამს. ხუცეს-ჭელოსნებიც ძაიკათავ ამწყალობნებენ: შენდ ძენგლი, დანადებ არ დაუყრავავ, წმიდაო დიდო სანებაო, შენს წყალობას ნუ გააცუდებ, შენ წყალობა დააჭმარევ, ამას და სხვა ასეთებს იტყვიან. ერთი სიტყვით ეს დღე სრუ ძაიკათ ეკუთვნის. დაღამდების ამ წესებში ეს დღეიც. სოფელ შინ წავა-დ ჯვარიონნ იქ რჩებიან.

გამასამალოს ქადას იხუცებენ,გაასწორებენ ნახორსა-დ წავ-წამავლენ, ლუდ თუ დარჩ, წამასწურვენა-დ ქვაბებით საქობეში გამაიტანენ. მეორეს დილას ვინაც შახვდების, იმას ასმეევენ. ამ წესებით თავდების ამაღლება.

ათენგენა

ამაღლებიდგეს მეშვიდეს კვირაეს მადის ათენგენა. ათენგენა მთელ ჭევსურეთის სალოცავებში მთავარ დღეობად ითელების. ამ დღეობაში ყველა კუთხეზეით მადის გადასახლებულ ხალხი სალოცავად. სხვა ჯვარებთან ერთად, აქაც დიდ დღეობა იციან. ათენგენის მთავარ დღეს ახედვებენ შაბათს დღეს. ამ დღეს დიდ დღეობაი ას სოფლის გვერდზე, მემრ მიდის დროშა სოფლის თავზე, იქ ერთ კოშკი დგასა-დ იქ მიხყავ დროშა. იქ ერთს სასოფლო საკლავს მიიყვანენა-დ დახკვლენ, მიდის კვამლის სეფეი-დ სადიდებელი (სეფე – ქადა, სადიდებელი – ერთი ბოთლი არაყი). ხუცესი ჯერ სასოფლოს დახკლავს, შაახვეწებს სოფელს, მემრ სეფეებს დააწყობენა-დ დააკვრენ სანთლებს, არაყიანებს მინაებსაც დაზდგმენა-დ იხუცებს კიდევ ხუცესი. ამწყალობნებს სეფეების მამტან მესადიდებულოეებს. სადიდებელს-დ სეფეს ქალებ მიიტანენ, კაცებ თავისთავად მივლენ დღეობაში. ყველა ხუცობებ რო მათავდების, იმართების სმა ძალიან მაგარი. საკლავ რო დაკლეს, აქ არ ადუღებენ, ჯვარჩი მიდისა-დ ჯვარიონთ შჩების. იმართების ლხინი,მღერა, ლექსობა,თამაშობა. აქ ჭადულების გარდა სხვა მეზღვნე ხალხიც ესწრებისა-დ. წუხრამდე აქ არიან. წუხრ მასთხოვს ხალხი მადლსა-დ. წამავ შინ. ააბძანებს დროშას მკადრეი-დ ჯვარიონნიც. წავლენ ჯვარჩი ყველანი. კვირაე რო გათენდების, ერთ კოშკი სოფლის გაჭეითი უდგასა-დ ახლა იქ წააბძანებენ დროშას. ერთ სასოფლო საკლავ იქ იკვლის, აქითაც ჯვარჩი მიდის. შაიძლების რო აქ სხვა ზღვნებიც დაიჭოცოსა-დ ყველა ჯვარჩი მიდის, იქ ჭორცს არ ადუღილებენ, ხოლოთ მიდის აქაც კომლის სეფე სადიდებელი. იმართების სამაი-დ ლხინი. სადიდებელი იქავ ჭსენდების მესადიდებულოეს სამწყალობნელოდ. ამწყალობნებენ დასტურ-ჭელოსნებიცა-დ სხვა ხალხიც. დღეობა წუხრამდინ გრძელდების. წუხრ გამაემშვიდობებიან ჯვარიონთ, ჯვარს მადლს მასთხოვს ყველა მუჭლის მაყრითა-დ სთხოვს, რაც აწყინ, იმის პატივებას: "დალოცვილო წმიდაო სანებაო (იტყვის ყველა) დიდება-დ გამარჯვება შენდა, შენ გეევედრები, გეხვეწები. შენ ყმაი, შენ ნაცარ-მტვერი ორ, ნურაით შამისაწყენდები, ნურაის ინაბარს ჩამიდებ. თუ რას შაგაწყენ ჩემის სიუტით ან უმეცრებით, პირის ქარით, ან ფეჭის ნალით – შენ მაპატივი, ჭორციელი ორ, უმეცარი. ყმა შაუწყენი-დ ბატონ შაუნდობარ არ იქნების, შენის სახელის ჭირიმი". ამ სიტყვებით აკოცებს მიწასა, ადგებისა, წაე შინ. ჯვარიონთ კი ეტყვის: "ჯვარ გეწერასთ, ჯვარსაცა-დ კაცსაც". "ჯვარის წყალობა გქონდასთ, წყალობა გამაგაყოლასთა-დ მეწადმართე ანგელოზი, წმიდამ სანებამ". მემრ ჯვარიონნიც მოსთხოვენ მადლს იმ ადგილის სალოცავსა-დ წამავლენ თავის დროშაით სანების მთავარ დარბასჩი. აქ საკუთარ დღეობაი აქვ, ღამისთევა, ჟამისწირეა. აქ მეზღვნეებიც იქნებიანა-დ ეს ყველა ჩვეულებრივად მიმდინარეობს. კვირაეს დაღამება-დ ჯვარივნებ კიდევ მაიკითხავენ უფროს-უფროს ხალხსა-დ საუბრობენ სასოყლო საქმეებზე. ადგენენ აქ, სოფელი რაში როგორ უნდა მაიქცან, მეორე სოფლებსთან სამძღვრებ რაჭელ უნდა შაინახან, ან სოფლის საერთო მტერს რაჭელ მაექცნანა-დ ან მაკეთეს. საუბრობენ, თან სმენ. მემრ გამემშვიდობებიან უფროსებ კაცებ, მასთხოვენ ჯვარს მადლსა, წავლენ სახლებში. ორშაბათს დღეობა აღარ ას. თუ მეზღვნე ვინ მავ, ჯვარიონნ კი ჯვარჩი არიან, რიგს უყენებენ.

სამშაბათ დილა რო გათენდების, სოფელს დიდ სამზადისი აქვ ცროლს წასავლად. ცროლი სრუ მაღალს მთაზე ას შიტუ-ტანიის გადასავლების შუაზე. წინავ აქ ყოფილ სრუ დღეობები, ზამთრის რო ძნელ ყოფილ იქ სიარული, მემრ ბარჩი გაუმწესებავ ზამთრის სადღეობოები. მთაში მარტო ერთხან დღეობობენ ათენგენას. ამ დღეს ბარშიითაც მიდიან წასულ ხევსურები-დ მთაშიითაც ყველა მავ. ცროლის სალოცავს ეყმობიან კალოთანელნიც, რომენნცი სრუ ბარჩი არიან გადასულნი, იქით დადიან, ქალ-დისწულიც დადის იმათაი. დილას ყველა მაამზადებს თითო საკლავს, უსაკლაოდ იქ არვინ წავ. დაამზადებენ შინით არაყს, ქადას, დახკაზმვენ ცხენებსა-დ ახკიდებენ ხურჯინებს. საკლავებს კი ერთუცში გაღრეევენა-დ ახალგაზდეები დაღლალავენ. ჯვარიონნიც მაემზადებიან, ჩაუსხმენ ლუდს სოფლელებს თულუხებში, თულუხებს გადახკიდებენ ჯორებსა-დ წავლენ. ახალგაზდეები წაიღებენ ლუდს. ლუდი მიდის ექვს თულუხი-დ თუ ბევრ ხალხი-ას, რასაც წაიღებენ. ააბძანებენ დროშასა-დ წავლენ ჯვარიონნიც. გახყვების თან სოფლის ხალხიც კაცი-დ დიაცი, ვინც მეზღვნეი ას. აქ ბევრი ბედის მთხოვრებიც მიდიან ზღვნით, თუ სრუ არ ხყავ შვილი, ან მარტო ქალები ხყავა-დ ვაუ არ ხყავ. ესენი წაიყვანენ ღირეულ საკლავს, წაიღებენ სასმელს. გზა-გზად ხალხი ისვენებს, საგზაო არაყი ყველას აქვ თავისად. თან იმღერენ, ლხინობენ, თამაშობენა-დ მიდიან ასეთი ყოფაქცევით. მთაზე რო შაჭდებიან ცროლს, სადღეობოსთან. მაიყრის ყველა მუჭლსა-დ შაეხვეწების: "დალოცვილო სანებავ ცროლის წვერისაო, შენ გვიშველი. შამავჭეით შენს კარზედ შენად სამსახურადა-დ შენა სადიდებლად. შენ გვიშველა-დ ბევრჯელ მშვიდობით ამაგვიყვანენი, შენის სახელის ჭირიმი. შაგიძლავა-დ შაგვისრული თხოვაი, ღმერთ შენს ძალსა დიდებას მაუმატებს".

მემრ ადგებიან მუჭლზეით. როსაც ჯვარიონნი თავის ალაგზე დაბინავდებიან, დროშასაც დააბძანებენ. ეტყვიან ჯვარიონთ: "აშენდით ჯვარიონნო, ჯვარიცა-დ კაციც, წაღმამც წაგივათ ღღეიდ ღღეობა". "დაშვენდით, მაგვიხვეით მშვიდობით, მშვიდობით თქვენ მასვლა. წაღმ მაგეგებასთ სანება ცროლის წვერისა, გიშველასთ დალოცვილმ, კლოვ უკეთი გულით შამაგაჭდინნასთ თავის კარზე" – იტყვიან ჯვარიონნი. ყველა თავ-თავისად დაზდებს ბინას ვინაც თავისაი, ან ერთ ოჯახ ცალკე, ან ერთ ჯგუფ ცალკე. ჯვარიონნი შაუდგებიან ღამისთევა-ჟამისწირვას. ამ ღამისთევა-ჟამისწირვაზე ახვეწებენ საყმოსა-საგლეხოს. საყმო-საგლეხო იმით ეხვეწების, ვითამ ყმან ხო მადიანა-დ სხვა გლეხებიც მადიან აქ სახვეწრად. ღამისთევა-ჟამისწირვას რო გაათავებენ, დაისვენებენ ჯვარიონნი, ლუდსაც შასმენა-დ სოფლისაც ცოტას შაასმევენ. ზოგს მასულსაც აქვ სასმელი, სეფე სანთელიც, საკლავიც მაყვანილი ხყავ. ნაქადები აქვ სხვადასხვა მიზეზით. ამეების ღამისთევასა-დ ჟამისწირვასაც ამათ შახვეწებითა დამწყალობნებით შაასრულებენ ჯვარიონნი.

დახკვლენ სასოფლო საკლავს (სასოფლო საკლავი ანუ სარიგო). სასოფლო საკლავის დაკვლიდგეს ორ რიგად იჭოცების საკლავი, ერთი, უბედოების საკლავები ბედის მთხოვრებისაი-დ მეორე სხვა-სხვა მიზეზით მაყვანილებ საკლავები. წინწინ წამააყენებენ ბედის მეხვეწურთ საკლავეებს ყველას ერთად, ხუცესი თითოობით მააჭსენებსა-დ მემრ ხუცობით ყველას ერთად იხუცებსა-დ აკურთხებს. მაჭსენებაში ვისაიც საკლავი ას, იმას მააჭსენებს ე.ი. იმის სახელს შაახვეწებს ჯვართა-დ, ხუცობაში კი ერთად ამბობს ყველა მეხვეწურებს, მაგალითად წაყენებული ას

ათი ბედის მეხვწურის საკლავი, ხუცესი ჯერ ერთს მააჯსენებს ვთქვათ გიორგის საკლავს:

"ღმერთმა ადიდას შენ ძალი, შენ სახელი, დიდო სანებავ ცროლის წვერისაო. შენა სამთავრო, შენა გასამარჯოდ მაიჯმარი ეს შამაჯდენილი შენს კარზედ შენი სამსახურ-პირის საბანი. შენ შენის მეხვეწურისად გიორგისადა-დ მაგის დიაცისად ელენაისად, ბედის მთხოვართად, სამწყალობნოდ, საშველოდ, სახოიშნოდ მაიჯმარი. შამამჯდარან შენს კარზე, დალოცვილო, კაცდიაცნი, შამაუძახნებავ შენის სახელისადა-დ შამაგხვეწნიონ, შაიხვეწენი. მე შენდ შამამიხვეწებიან. ბედს გოხოვენ, ბედ მიეც, დალოცვილო, შაგიძლავ, დიდ შაგიძლავ, უბედურთად ბედის მიმცემი ხარ, აოდ მყოფთად მამრჩენი ხარ, გაჭირებულთად დამშველეი-დ დამჯმარე-ი. შენთ მეხვეწურთ შენს კარზე შამაჯდომას ნუ შაანანებ, კლოვ წულითა საწულით შამაიხვეწენ, დალოცვილო, სამსახურ სახელიან აიტანი". მემრ გაუდგების ხუცობას ყველა საკლავებისას ერთად:

"ა, დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა, დიდება დღეს დღევანდელსა, ძალას ხთისას, ძალას კვირაისას. დიდებად გამარჯვება შენდა, დიდო სანებავ ცროლის წვერისაო, გაგაძრიელას ამ შამაჯდენილ, შენს კარზედ მაყენებულ სამსახურებზე, ღმერთმა მაგცას: ცამდე სიმაღლე, ზღვამდე სიმაგრე, შველა, რგება, ხოიშნობა შენთ მეხვეწურთად, ბედის მთხოვართად, ამ სამსახურის მამყვანთად. ბედს გთხოვენ, ბედს მაუმატი. გეძახან, გეხვეწებიან შენ მეხვეწურნი, შაიხვეწნიდი, რასაც მჯარზედა, გულზე გიძახებდან, იმ მჯარ, იმ გულზე გაუგონიდი. რასაც წყალობას გეთხოებოდან, გამჩენს ღმერთს დაუთხოიდი. წინ პირა კაცისა ბედ-ბოლოს მეხვეწურნი კაცსა კას დროს ბედსა, ბოლოს მაუმატიდი, წულითა საწულთ შამაიხვეწნიდი. იხვივნიდ შენ მეხვეწურნი, იხვეწნიდი" ...

შემდეგ ხუცობა ისეთივ ას, რაჯელაც სხვა საკლავის დაკვლაში. ხუცობასა, კურთხევას რო გაათავებს, თითო საკლავს თითოობით შაუსახელებსა-დ დახკლავს. დაკლულს გადააგდებენ ბორტვზე, მემრ მეორეს, მესამესა-დ ეესრ გრძელდების.

მაიტანენ ღამისამთელოსა-დ დაზდგმენ რვა თასს, ან ათს. უფრო ხშირად ათს. აავსებენ ლუდითა-დ დაიწყებს ხუცესი მაჯსენებას სხვადასხვა თასზე სხვადასხვა ხთიშვილებისას (ოდი ამ დროს წინასწარ არის გახსნილი ხუცობა-კურთხევით ჩვეულებრივად): "ამ ჭიქა-ბარზიმზე, სადიდებელზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა დიდგორის ვეშაგო ანგელოზი, ბატონი გიორგიო, შენა სამთავრიდ, შენა გასამარჯოდ მაიჯმარი ეს გარიგებული ჭიქა-ბარზიმი-სადიდებელი, შენ საყმოსად, საგლეხოსად, ჩდილისად, მზისპირისად, საშველოდ, სახოიშნოდ, სამწყალობნოდ ხთის კარზე შაიტანი, ღმერთი შენს ბატონობას გაუმარჯვებს. მეორე ჭიქა-ბარზიმზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, გიორგი ჯუთა ეაკეს მშეენიერი. შენა სამთავრიდ, შენა გასამარჯოდ მაიჯმარი ე გარიგებული ჭიქა-ბარზიმი-სადიდებელი, შენ დიდგორს ვეშაგის ანგელოზის გიორგის საყმო-საგლეხოსად, ჩდილ-მზისპირისად საშველოდ, სახოიშნოდ, სამწყალობნოდ ხთის კარზე შაიტანი. მესამე ჭიქა-ბარზიმზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა კვირაეე კარავიანი ანგელოზთ მეუფრესეი. შენა სამთავრიდ, გასამარჯოდ მაიჯმარი ეს სადიდებელიდ გარიგებულ ჭიქა-ბარზიმი, შენთ მეხვეწურთად, დიდგორის ვეშაგის გიორგის საყმო-საგლეხოსად, ჩდილ-მზისპირისად საშველოდ, სახოიშნოდ, სამწყალობნოდ ხთის კარზე შაიტანი. მეოთხე ჭიქა-ბარზიმზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა ზარ-სარეკელზე მდგომი ანგელოზი. შენა სამთავრიდ-გასამარჯო მაიჯმარი" და შემდეგ სიტყვები, რაიც ზეთას მახსენებებში სწერავ. "მეხუთე ჭიქა-ბარზიმზედა,

სადიდებელზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა ჭერო-ბეღელზე მდგომო ანგელოზო (და შემდეგი ჩვეულებრივი სიტყვები). მეექვსე ჭიქა-ბარზიმზე, სადიდებელზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, ალვისტნისა-დ მყოლო ანგელოზო, შენა სამთავროდ, შენა გასამარჯოდ მაიკმარი ეჭიქა-ბარზიმი-დ სადიდებელი. მეშვიდე ჭიქა-ბარზიმზე თქვენ გადიდნასთ, გაგიმარჯოსთ ღმერთმა მებორაყენო ანგელოზნო, თქვენა სამთავრო, თქვენს გასამარჯოდ მაიკმარეთ...“ (და შემდეგი ჩვეულებრივი სიტყვები).

ხუცობის დროს მთელ ხალხ ფეკზედ დგას. საკლავების ჴოცა რო გათავდების, ჯერ ხუცეს იტყვის წყალობასა-დ მემრ ყველა ხალხ აქოთდების ამავ სიტყვებით: გწყალობდასთ წმიდა სანება მეხვეწურებს, საწაღმართოდ მაგიარასთ, მშვიდობით შაგინახნასთ, გიშველასთ, გიმეშველასთ. კაცისა-დ ბედბოლოს მეხვეწურნი ხართ, კაცსა კას დროს, ბედსა ბოლოს გიმატასთ, სიხარულა გაგიკადასთ, ნუ შაგანანასთ ზღვნობა, ყმობა. კლოვ უკეთ გულით მაგკერძასთ, წულითა საწულით შამაგიხვეწნასთ დალოცვილმ თავის კარზედა კამალაზე. – "თქვენ იყოს მწყალობელი" – ამბობენ ბედის მეხვეწურები, ერთი – მეორესაც ამწყალობნებენ.

აქ რო გაათავებენ დამწყალობნებას, მემრ დიაცებს მაღალი ჴმით უძახებს ხუცესი, სხვებიც, ვინაც აქ ას, აჰყვებიან: "მანდილოსნებო, გწყალობდასთ" და შემდეგ ყველა ის სიტყვები, რაიც აქ ითქვ დამწყალობნებაჩი. დიაცებ იწერენ პირჯვარსა-დ ამბობენ: "თქვენ იყოს მწყალობელი, თქვენს თავს სწყალობდას". ამას ამბობენ ჩუმად თავისად, დიაცს ხო ჯვართ ახლოს ჴმის ამაღლება არ შაუძლავა-დ ნამეტნავად აქ სანების ჯვარჩი. საკლავებ რო დაიკოცების, ყველა ჯვარიონთ შჩების. დასტურებ დაატყავებენ. დიდი ქვაბით დუღს ჴორცი, რო აქ შამამკდარ ხალხს ყველას ტაბლა დაუდგან. ვისიც საკლავებ დაიკოც, მაიტანენ არაყსა-დ წინწინ ხუცესს მიუტანენ, ის ჩვეულებრივად დაამწყალობნებს, წულითა-დ საწულით შამაგიხვეწნასთავ. გწყალობდასთავ სანება ცროლის წვერისაივ. მემრ ჴელოსან-დასტურებსაც წამაუსხმენ არაყს, ამას რო მაშჩებიან, წამააყენებენ სხვა ზღვნებსაც, რომნებიც ბედის გულისად კი არ, სხვა მიზეზით რაით არიან მაყვანილები, ხუცესი იქავ მახყვების თითოობით მაკსენებასა-დ ხუცობით ერთადავ იხუცებს. ერთადავ აკურთხებსა-დ დაამწყალობნებენ. ეს საკლავებიც ჯვარიონთ შჩების, გარდა კურეტისა. კურეტის ტყავ-ხორცი ჯვარიონთა, პატრონს ორად უსწორდების, შუაზე გახყოფენ ტყავსაცა-დ ჴორცსაც. ამოდენ საკლავებს დასტურებ ხო ვერ აუვლენა-დ ახალგაზდებიც ეკმარებიან,მემრ გაიმართების ლუდ-არაყის სმაი, ლხინი,მღერა-თამაშობა.

აქ მთავარ ყმები არიან ჴადუელნი. ცროლს საერთოდ ილოცვენ. კალოთანას სოფელჩიაც იყვ სანების სალოცავი, ჴადუს სოფლის გვერდზედ ას სანების სალოცავ ადგილი, დარბასი, ბეღელი.

კალოთანელნ ქისტების დაკოცის გამო აიყარნეს იქით, ჴადუელნ კი იქავ არიან. კალოთანელთ ჯვარჩი მარტო კოშკები დგას. ათენგენას იქავ მიდიან კალოთანელნი კახეთითა-დ იმათ ქალ-დისწული, მაკეთე-მაკიდულიც. სალოცავად მაუდის მეზღვენეები ბარის სანებაჩაიცა-დ ცროლს ხო ნიადეგ არ დააკლდებიან. ჴევსურებმ დღეობებში შუღლ იციან.

აქ რო ლუდ ამიტანესამსა ხქვიან კულუხი. ეს კულუხი დაიდგმის ჯვარიონთანა-დ. იქით ყველას ბინაზე ეძლევის სასმელად ლუდი კულუხისა, იმით რო კულუხში

ყველას წილი ძეს (კულუხი ჯვარჩი მიმდინარს მეზღვნეს წინ მიუძღვების, უკენ მეზღვნე მიდის, კულუხ წინ უნდა შაჭდასა-დ მემრ ხალხ შაჭდების). ბოლოს ტაბლას დაუდგმენ ხალხს, ზედამდეგები ჩვეულებრივ კარახანაებს ჩამაურიგებენ, ჭამიდგეს უმღერანა-დ შაასრულებენ ყველა წესებს ტაბლისას. ბოლოს აიშლების მეზღვნე, შახკაზმებენ ცხენებს, მაიყრის ყველა მუჭლსა-დ მასთხოვს მადლს: 'დალოცვილო სანებავ ცროლის წვერისაო, ნუ შამისაწყინდები შენს კარ-კამალაში შამაჭდომაზე. მე ჭორციელი უტი, უმეცარი ორ, ბევრს რასამ გაწყენ ჩემი უმეცრებით, შენ ნუ შაუფერებ ჩემს უცოდრობას, დალოცვილო, მეწაღმართე ანგელოზ გამამაყოლი''. ხალხ რო წამავ, მეემზადებიან ჯვარიონნიც. მკადრე ააბძანებს დროშას, სადღეობოს დროშაით შამაუვლისა-დ წამავლენ. ბარჩი რო ჩამავლენ, ყველა ჯვარის კარს გაიეკლის, აქაც მასთხოვენ მადლსა-დ წავლენ შინი-შინ. ამით ათენგენა დამთავრდების.

სამთიბლო
(არხოტულად თიბისთავი)

სამთიბლოს ხყავ ორ დასტური. ჯვარჩიით აიწყევენ ექვს საწყავს ქერს, დააფორებენ, დახფქვენა-დ ადუღებენ ლუდს. ეგ იმათ ნებაი ას, რომენს დღეს დაღლიშვნენ სამთიბლოს დღედ. ეს დღე განსაზღვრულ არ ას. ხოლოთ უფრო კვირაეს დღეს შაახვედრებენ, რო საქმის დღე არ მასცდას. წინას წუხრას გახჭსნიან კოდს. ღამისთევასაც იქმენა-დ დღეობის წესებს ყველას შაასრულებენ. მეორეს დღეს ჯვარში სოფელ მიე, მარტო კაცები. მიიყვანენ ერთს სასოფლო საკლავსა-დ დახკვლენ. ამით ხუცესი შაახვეწებს მარტო ჭადუელთ: "მშვიდობით აღებულ ცელ-ნამგლივ მშვიდობით დაგადებიოსთავ". საკლავი ჯვარიონთ შჩების (არხოტში თიბისთაეში დაკლავენ სამს ან ოთხ საკლავს. ხორცი იქვე იხარშება და სოფელი ჭამს. აქ კი ერთი საკლავი იკვლება და ისიც ჯვარიონთ რჩება. მარტო ლუდს სვამენ, საჭმელი კი არაფერი აქვთ). სოფელი დასხდების საჯაროში, მაიკითხვენ ლუდსა-დ სმენ. სმას რო გაათავებენ, მადლის მათხოვით ბრუნდებიან სახლებში. ჯვარიონნი ინაწილებენ, თუ რა დაშჩა ღამისამთელო-ჟამსაწირისაი, საკლავის ტყავზე ყრიან წილსა-დ წამავლენ ესენიც. ორშაბათს ყველა უნდა წაეიდას, მაგრამ ჭირისპატროებმ ტაბლებ იციან ამ დილასა-დ. ყველას აწევენ თიბის შამშაბათებშია-დ ასმევენ არაყს; ილოცების იმ მკვდრისად, ვისაც ოჯახში არიანა-დ ვისაც გულისად თიბის შამშაბათი დამზადებული ას ჭირისპატრონისაგან. ზოგ ჭირისპატრონი ფაფას ადუღებს, ზოგი კეცეულებს დააცხობსა-დ, უძღვებიან იმით ხალხს. როსაც სასმელს გამაღლევენ, ზოგ კი გაჯგამაე ახლო-მახლო სათიბზე, ზოგი ჭირისპატრონს თუ მთიბელ არეინ დაშჩ, იმას წაეშველების, ზოგს კი სასმელ მაერევეისა-დ ვეღარას იმუშაებს. წეს კი ისი ას, რო თიბის შამშაბათს დღეს ცელი აუცილებლად უნდა გაიტანას მთიაშია-დ ბარში ნამგალი. თიბისთაეის მემრ მადის დღეობა მ ა რ ი ა ნ ო ბ ა.

მარიანობა

მარიანობა იციან ერთ დღეს, მოდის მარიანობის ხუთმეტში. მარიანობასაც დასტურები თავისაი ხყავ. სამარიანობო მამული ასა-დ იმ მამულს, ვინაც მახჭნავს, ის იქამს მარიანობას. ლუდს ადუღებს ჩვეულებრივი წესით. ღამისთევა და ჟამისწირვაც ჩვეულებრივი წესით სრულდების. იკვლის სასოფლო საკლავი-დ ესიც ჯვარიონთ შჩების. ლუდს სომს სოფელი მარტო კაცები,დიაცებს ლუდ არ მიუდის. კაცებ კი დილიდგე წუხრამდენ სმენა-დ იმღერენ საგმირო სიმღერებს.

ჭადუს წინავ მარილის ვეძა ამამდინარ. უდუღილებავის მარილი-დ მთელს რჯულიან-ურჯულოს ბეგარ ზდებივ. თუ მარილს ადუღებიებდესა-დ ან მიხყიდდეს ნადუღარს მარილს, ურჯულო კომლზე თითო ცხვარს იჭდიდა-დ რჯულიანი ერთ კვირაეს დაგროვილს კარაქს იჭდიდ. ამას ექვივნ შაბათის კარაქი. შაბათიდგეს, შაბათამდენ რაიც დაგროვდებოდ, ის კარაქ უნდა ეჭად ყველა კვამლს ჭევსურეთ ჭადუელთ სასარგებლოდ. ჭევსურებს ჭადუელთად ქალიც მარჯვედ უძლევავის, რაკი მარილ აქ ყოფილ. მარილობად მაინც არ დაშჭირდებისავ შორს წასვლაიე. ის მარილი ყოფილას შეღმ ჭორჭისაკეს, იქ ტყე ყოფილა-დ წყალი მარილისა იმ ტყეში ამამდინარას. ეს ყოფილ სანების ჯვარისგანა-დ ამ ალაგს ძალიან სიწმინდე ზდომებივ, აქ არ უნდა გაევლო დიაცსა-დ ნამეტნაოდ მრევლს, ე.ი. სამრელოს ნამყოფს, აქ არ უნდა გაევლო ჭდალს ცხენს, ძაღლს, ერთი სიტყვით, რაიც მირეულად ითვლების. კაცსაც არ უნდა გაველ აქ, თუ ან ცოლ ექნებოდ სამრელოსად, ან სხვაფრივ იქნებოდ უწმიდურად. ამ ვეძას ყარაულ ხყონივ კაცი-დ ხთიშვილთაგანაც ხყონივ საკუთარ ყარაული, რომენიც არ ჩინდ თვალით. ხალხს თანდათან სიარულ დაუწყავ უწმიდურს. ხთიშვილიც თანდათან წახკრთომივ ამ ალაგს. ბოლოს, იქამდინ მისულ საქმე, რო მრევლს დიაცს გაუელავ იქ. სამრელოს ნამყოფს დიაცს რო გაუელავის, დაკარგულ კიდეც ვეძა – მარილის წყალი. ბევრ უწვალებავ ჭადუელთ, რო იქავ ამაჩენილიყვ. სანების ჯვარისად რა საკლავი, რა კურეტ დაუკლავ სამანანულოდ, მაგრამ ვეღარას გაუჭრავ, მაინც აღარ ამაჩენილ.

ბოლოს მკითხავს უთქომ, რო სანების ჯვარიავ გამწყრალივ, რო პატივს აღარ ზდებდესავ. იმ სიშორეზე გადავიყვანეე ისივ, რო ჭადუელნ ვეღარაით ისარგებლებენავ. დათეხ ამაჩენილ, მთელი საურჯულოოს ბოლოს, რო იქ ჭევსურების წასვლა ძალიან ძნელი იქნებოდ. დამრჩალან ჭადუელნ უმარილოდ. მაშინ ას ნათქვამი ლექსი:

ჭადუს გათავდა მარილი, გუდან-ჭორმეშავ ქალიო.

მემრავ რაიც იმას ხყარაულობდავ, ის ანგელოზ დარჩაო-დ ჭადულო სამაკნეოდ იყვავ გამასულივ. ბოლოს, ჭადუელთ ძენგლად დაუდებავ აქ მარიანობას დღეობის ქნაი. ეხლაც იქავ იციან. დახკვლენ ერთს საკლავს იმ ალაგზე, სადაც ვეძა ყოფილას, მიიტანენ ლუდსა-დ ღამისთევა-ჟამისწირვასაც შაასრულებენ, როგორც წესი ას. ხოლოთ აქ რაც სალოცავი ას, ყველა სანების ჯვარის ქვეშევრდომი ასა-დ ან თაოდ იმის ნაწილი. დღეობაში აქ ლხინიც იციან ხოლოთ საგმირო სიმღერებით. მიაქვ კვამლის სეფეი-დ სანთელი. სანთლებს დააკვრენ

სეფეებზე, დააწყობენ ჯარასა-დ ხუცესი ერთბაშად მააჭსენებს მეხვეწურებისად. დაშჭრიან სეფეებს, თითო ნაწვრეთი ჯვარიონთ შჩებისა-დ სხვა პატრონსავ უბრუნდების. წუხრამდენ არიან აქ, დღეობობენა-დ მემრ დაიშლებიან.

მარილ როსაც დუღდ, მაშინ სამარილე ქვაბ გაფუჭეებულასა-დ ჭევსურეთ იმის გაკეთება აღარვის 'მაზძლებივ. არვინ ყოფილ მჭედელი. სანების რჩევით წავიდ კაცი მითხოსა-დ იქით მაიყვან ქვაბის გამკეთე, გვარად ხაიაური, სოფელ არლოს მცხოვრები. მაიტანეს თან იარაღებიცა-დ გააკეთ ქვაბი (სამარილე წყალი, ალაგი, ქვაბი, ყველა ეკუთნოდ სანებას). მისცეს ფასიც, რაიც ეკუთნოდა-დ წავიდ შინისკე. მთაზე მითხოსკე წასავალს გზაში ერთს ალაგს მაჭარელი ხქვიან. მაჭარელ რო ასულას, ახფარებივ თვალებსა-დ დამრჩალ აიმაჩი, ვეღარც აღმ გაუღავ გზაი-დ ვეღარც ჩაღმ. ცხენ ხყონივა, აის ცხენივ ახლოს ბრუნევდავ პატრონსთანავ, შორს არ გასცილებიყვავ. ჭადუელთ რო გაუგავ რო იქ დარჩავ, წასულანა-დ მაუყვანავ, დაუსომ მკითხავი-მარჩიელი-დ სანებას უთქომ მკითხავის პირით: რო გულს თუ ამაირეცხავ, რო აღარ წახოლავ, მაშინ აგიხილებავ თვალთავ. თუ არადა ეგეთა უნდა იყვავ, შენის თვალების იმედ ნუღარ გაქვავ. ჯერ კი ვერ გაუბედავ აქ დარჩომაი-დ მემრ რო სანებას კიდევ უთქომ მკითხავის პირით, რომ მამულსაც მე მივსცემავ, ოღონდ აქ დარჩასავ, მაშინ კი უფიქრებავ, რო ბრმის ყოფასავ ის მირჩევავ, რო თვალახილებულ ვიყვავ, სადაც გინდა ვიყვავ. გაუმართავ გულ აქ დარჩომაზედა-დ თვალებს აშჩენივ. დამდგარას ზაის ჯვართ ახლოს, ჭადუელთ სოფლის გვერდზე. მიუციან სანებასა თავის ხოდაბურნი-დ სახლიც იმაში გაუკეთებიებავ. ეხლადაც იქავ არიან, ხოლოთ ადგილის სახელობით არიან; ადგილს ხქვიან ზაი-დ იმათ ზაიელთ ეძახან. მადიან მამით ჯვარის ჭელკაცად, სრუ ჯვართ ემსახურებიანა-დ ახლოს არიან ჯვართან, ისრ არიან, ვითამ შუამავალნი სანებისა ჭადუელთანი. ჯვარის შიშით ზაიელთ ჭმას ვერაად ვინ გასცემს. თუ ისენ ვინ გააჯავრანა-დ იმათ შამაარისხეს, დარისხებულს ძალიან ცუდად წაუვ საქმეი, - ან ავად გაუჭდებისა-დ ან მაუკვდების ვინ, ან სხვაფრივ მაუვ ზარალი. იმით ზაიელთ ყველა ეფერების. მაგათ მამაში ერთ კაც არ გამაილევის, რო ჯვართ ემსახურას. ხუცესი, მკადრეი-დ სხოდაც, დასტურობა, ჯვარის სამსახური სრუ იმათაი ასა-დ არც ვის რას ხკითხვენ საჯვარო საქმეს. იმათ ეკითხების საჯვარო საშენის შოვნა, სპილენძის ქვაბებისა, შანახვა თას-განძისაიც იმათ ევალების. თუ რა ახალ დადგენილებაი ას რჯულ'ში, აქაც არ შაიძლების, რო ერთ კაცი ზაიელ არ ერივას. ისრ რაც წესი ას, ნიადეგ მაგათ ზეპირად იციან. რჯულ'ში, კაც შუა-კაცში სრუ ეგენი არიან შემრიგებელნი ხალხისაი. ორთაც რო იშუღლან, ზაიელნ თუ ჩაერივნეს კაც-შუაკაცში, ის საქმე მაინც გარჩეულ იქნების. ეხლად ერთ კვამლ ბარჩი ას ჩასული, ბაბოი ჟულაკისშვილი, ერთ კვამლი ბულეჯენ ჭადუს ცხოვრობსა-დ ოქრომჭედლობსავ. შვილებიც ხყავ. ერთ ქვრივ ზალი ხყავ, ძმისწულები. უძღვებიან ყველა თავის მოვალეობას: თვალყურს ადევნებენ ჯვარის ჭირნახულს, საჯვარო ქონებასა-დ მჭედლობაიც მაშიდგეს სრუ მაუდის; ვერცხლი თუ რკინა იმათ გაუკეთებ არაი ას. ამით დამთავრდ დღეობები სანების ჯვარისა.

თქმულებები სანების ჯვარზე

წინავ ცროლს ყოფილ დარბასიცა, საქვაბეიც სანების ჯვარისაი. იქ უდენავ ჭადუელთაცა, კალოთანელთაც ზამთარ-გაზაფხულ სადღეობოდ. იქ წასულს ხალხსავ არც სციოდისავ, არც ზვავ მაუვიდისავ. იქ ტყე არ ასა-დ. ზამთრის შეშა ვერცაით უზიდავა-დ ჭორცივ უცეცხლოდ დუღდისავ დარბასშიავ. საკლავ რო მიგვყვანდისავ, თოვლზედ ისრ გაიარისავ, რო თოვლ არ გაუტყდისავ. იქ წასაყვან საკლავი ხალხს წინ თუ დაუდგისა, თაოდ შაჭდის ცროლს, ზამთრის. სხვაკანავ რო ქარბუქვ იყვისავ, იქავ თბილ იყვისავ, როსაც დღეობა იქნებოდ. იქ ყოფილ გამართული ქვაბი, საქვაბე, დარბასი, სუყველაი. წელწადში მეკვლეთაც იქ უდენავა-დ მანამდენ იქით მეკვლენ არ მავიდოდეს, ხალხ შინ ყოფილას პატიმარი (ყველაზე მაღალი გადასასვლელი არის ცროლი ხევსურეთში, კავკასიონის ქედზე. ამ სიმაღლეზე არის სალოცავი). მეკვლეთ მიხქონივ მარტო სანთელი-დ ღამე იქ უთენებავის. ისეთ თბილად ყოფილასავ ხალხივ, რო მთელს ღამესავ ოფლ გადაზდიოდისავ. ჭელ რო მიგეხლათავ, ქვაიც თბილ იყვისაო-დ მიწაიცავ. მიხქონებივ სეფეები, როგორც მეკვლეთ წესი ასა-დ სეფეებზე დაკრულ სანთლებსავ, თაოდ მეკიდისავ. თუ ვინ ან წმიდად ნამყოფ არ მივიდოდა-დ ან სოფელჩი ნამყოფს ნაღალატარ რა ვისად ექნებოდ, იმის სანთელს არ მეეკიდისავ ცეცხლივ. მთელ მეკვლენ თუ მასთხოვდეს მადლსა-დ შაეხვეწებოდეს: "დალოცვილო წმიდაო სანებაო, აპატივევ, ზღვნითაო-დ სანთლით გადააჭდიევ, ჩვენ ორთავ თავზდებნივ, ერთიანა შენ მეკვლე პატიმარნივ". დამნაშავე უნდა გატეხილიყვა-დ მეკვლეთად ეთქვ თავის შანაცოდვარი. ზოგს კი მეეკიდისავ ცეცხლივ იქავავ სანთელსა-დ ზოგს კი აღარ მაეკიდისავ. სანების ჯვარ რახან მავიდისავ, განათდისავ იქაობაივ, თვალით კი ვერაი ვნახიდითავ, ნახისავ ან მკადრემავ ან ხუცესმაო-დ იმას გამაუცხადისავ თავის ბძანებაივ.

მაშინ ძალიან წამება ყოფილას, ძალიან სიწმიდე. ჯვარის ჭელკაცს არ შეეძლიყვ დიაცის ახლოს გავლა. დიაცის ახლოს კი არა, რასაც გზაზე დიაცებ დადიოდეს, იმ გზაზე გაეკლაიც არ შაეძლიყვ. ხუცეს სრუ ცალკე იყვ ჭერხოჩი, იმის სამყოფოჩი ვერც კაც შავიდოდა-დ ვერც დიაცი. ყველა დღეობაში თითო სანათლავ უნდოდა, ზოგში მეტიც. მემრ ეს წამება თანდათან დაიკარგ, აღარ სწამდ ხალხსა-დ ხთიშვილიც თანთან ახჭდ. აღარც ჭორცმ დაიწყ უცეცხლოდ დუღილი, აღარც სანთლებს ეკიდებოდ ცეცხლი. ხალხსაც სციოდა-დ ქარბუქვისგან ვეღარ დადიოდესა-დ დაანებეს თავი წვერს სიარულს. გაიჩინეს დაბლა სალოცაეი, ხოლოთ გაამწესეს წელში ერთხან დღეობობა მარტო ათენგენას, რაკი მაშინ კა დროი ასა, ყველას შაუძლავ იქ ასვლაი. სხვა დღეობებს აქ იჭდიან სოფლის გვერდზე რო ჯვარნი. იმის მემრ მაიკარგნეს დარბასი, საქვაბეიც ცროლ, რო აღარც ვინ არ იცის, სად იყვნეს, ვერც ვინ მიდიოდ იქ, სადაც ეჭვ იყვა-დ. მაინც ამბობდეს, რო საფარველ დაედვავ, ველარავინ იგებსავ. ერთხან ზვავს კი მაეტანა კარის ფიცარი, ერთ გვერდი ბობოჩიკიანი (ბობოჩიკი: ძველად ხევსურეთში სქელი ფიცრის კარები იცოდნენ. ამოჭრიდნენ ორ ადგილს ორივე ან სამივე ფიცარს, რამდენიც იქნებოდა, გაუყრიდნენ პატარა ხის მკლავებს და გარედან ჩხირებს, ამას ეძახდნენ ბობოჩიკით შეკრულ

კარებს), ფიჭვის ფიცარი იყვ ძალიან სქელი. საით რა მაიტან, ისიც არ იყვ გასაგები. იმ ფიცარს ჯერ კი ინახევდეს ჯვარჩია-დ მემრ კი არ ვიცი, სად წავიდ.

ერთ მენადირეს, გუროელს კანათათ მანგიას დაღამებიყვ ნადირობაჩი. უჩინ ღემე ყოფილიყვა-დ არ სცოდნიყვ, სად იყვ. ეხ ღგონებიყვ, შასულიყვ ღამითა-დ დამდგარიყვ. სიზმარჩი მაშჩვენებიყვ თეთრ ცხენიან კაცი, თაოდაც თეთრი იყვავ, რო თვალთ არ იყრიდავ. მათრაჭ ეჭირავ ჭელჩიაო-დ წამამკრავ მათრაჭის წვერივ-შენ აქ რა გინდოდავ, რაად შამახვედივ აქავ? ამავ ღამეს უნახავ სიზმარში თავის ვერძი ოთხრქაი. უთქომ სიზმარში იმ კაცს, რო ეგ ვერძივ აქ უნდა მაიყვანაო-დ დახკლავ. რო გამაღვიძებივ მანგიას, ისით თბილად ვიწევივ, რო ოფლ გადამდიოდაო-დ გათენებულიყვავ კიდეცავ. ამდგარ მაშივ, მაუთხოვავ მადლი-დ შაუთქომ ის ოთხრქა ვერძი. რო კარგად გასინათლებულ, დაუაზრეო-დ დარბასში სადამ კი ვწეორავ, ყველა იყვავ გაწყობილივ: სკამებივ, საცეცხლურივ, საკიდელივ, ზედგანიც იყვავ, სპილენძის ქვაბი, ტაბლებივ. გაკვირებულ დავრჩივ, აქ სად მავსულორავ. გამასულ იქითა-დ უნახავ მეორე კარნი შასავალნი. შასულა-დ აქ საქვაბე ყოფილ, გამართულ ქვაბ-საკიდელი,დიდ სალუდე ქვაბი,შეშანიც იქავ იყვნესავ ქვაბის ძირჩიავ. ლათბა, ტომარათ კედ-პირსაკრავები ყველა გაწყობილ იყვავ. გამასულ იქითაც. მაუთხოვავ მადლი სანების ჯვარისად: მაპატივევ, რო შენს კარჩია-დ კამალაში შამავარდნილორავ ღამის სიბნელის გამოთავ. ათენგენას ჩემი ოთხრქაით ვერძით აქ შამავჭდებივ. წასულ აქითა-დ ათენგენას მავიდავ მანგიაივ, იცოდიან, ერთივ ოთხრქა ვერძ მაიყვანაო-დ ერთივ სხვა ზღვენ მააყოლავ. მემრ უუბნავ ჯვარის გამძღოთად ყველა, რაიც გადახჭდ თავს, მაგრამ ის კი ვეღარც იმას გაუგავ, რომენჩი იყვ ან დარბასი, ან საქვაბეი. ამბობენ, რო საფარველი ზძესავ ხთიშვილთაგანავ.

ერთხან ყოფილან იქ მეკვლენი-დ იმ ღამეს სხვა გზით მასულას ქისტის ლაშქარი. სოფელში დიაც-ყმაწვილ დაუწიოკებავ. გაუგავ იქ ჯვარის გამძღოთა-დ დაქცეულ ხალხი, ჩამასწევივ მდევაროა-დ ძალიან უსარალებავ ურჯულოი. ვინაც გადაშჩომივ ღილღვლები, იმეებმ თქვიანავ, რო თეთრცხენიან კაც მაუძღვავ წინავ ჭადუელთავ. ჯერ ის გაგვიკვირდავ, რო თოვლჩი რაჭელ დავიდოდავ ცხენივ. მემრ გამაგვერივავ ლაშქარსაო-დ სრუ ცხენის ფეჭით გვანადგურებდავ, თან ჭადუელნივ ჭმლითაო-დ ამაგვიჭოცესავ მთელ ლაშქარივ. მემრ მიეხვდითავ, რო ის თეთრ ცხენიან კაცივ სანების ჯვარ იქნებოდავ. დავიბნიენით კიდეცავ. ზოგებ შახვეწნიონ, რო ნუ გაგვანადგურებაო-დ ზღვნით შამავჭდებითავ შენს კარზედავ. მართლადაც მასულან ათენგენას ზღვნებით გადამრჩალ ქისტები-დ ღილღვლები. ჭადუელთ ცუდ გულ კი ხქონივას, მაგრამ, როგორც სანების ჯვარის მეხვეწურები, მაინც კარგად მიუღიათა-დ დიდ პატივ უცავ. აქ მასულებს უუბნავ ეგ ამბავ, რო თეთრ ცხენიან კაც გვანადგურებდისავ, იმას მარტო ღილღველნ თუ ხედევდიან. ჭადუელთ ქვე არ ეჩვენებოდისა-დ საფარველიან მიუძღვებოდის წინ.

სანების ჯვარს ხყვანდ მკადრე ბაჭუაისძეი. იმის პირით გამააცხად ერთხან, რო წავიდათაო-დ ღილღოთავ ბეგარ ავიღათავ. მაემზადნეს ჯვარიონნი – დასტურები, ხუცესი, მკადრეი-დ წავიდეს ღილღოს. ცროლისას გადაიარეს, ტანიისას ჩაიარეს არხოტის ჭალაი-დ ხამხას მივიდეს სოფელში. ღილღვლებს ჯერ კი გაუკვირდ ამ ხალხის მასვლაი-დ დაუპირეს ცალეების დაბრუნება, რო არ უნდა რა მიეც.

მკადრეს ბაჭუაისძეს მაუვიდ ჭელზედ ტრედის სახით სანების ჯვარი-დ სრუ გაანათ იქაობაი. ეს ღილღველთაც ნახეს. სანების ჯვარმ უბძან ბაჭუაისძეს, რო შინისკე წამასულიყვ. ბაჭუაისძემ ააბძანა დროშაი-დ გაბედ დაბრუნვაი. ღილღველებმ რაკი ჭელზე მოსული ნახეს, ძალიან დაშინდესა-დ მაღგვარეს ერთ ვერძი. ჭადუვლებ დაბრუნდეს, აღარ წავიდესა-დ სადამდინაც ჭმა მისწედ ღილღოს, მაუდიოდ კომლზე თითო ცხვარი ბეგარი, იმის გარდა კიდევ საკლავ ზღვნები სანების ჯვარისად დასაკლავად. იმთვენ მაგროვდ ბეგარ, რო ჯვარიონთ ერთ ფარა გამალალეს. საკლავის ტყავ-ჭორცს ხო რას აუვიდოდეს. რაც ზღვნად დაიჭოც, სრუ იქ გაწირეს. იმის მემრ დაიდვეს ღილღველთ სანების ჯვარის ბეგარი-დ წელში თითოს ცხვარს აძლევდეს კომლზე. წავიდოდეს დროშაით ჯვარიონნი, შამაივლიდეს ღილღოს სოფლებსა-დ ახკრეფდეს ბეგარას. ბეგარი განაწილებულ იყვ, რომენს დღეობაჩი რამთვენ უნდა დაკლულიყვ. საბძანი (სანებას) ხამხას ხქონდ. საბძანში იყვ ფართლით შამოსვილი კიდობანი-დ იქ დაბძანდებოდ სანების ჯვარი.

ხამხას მამულიც ხქონდ სანების ჯვარს. ამას ღიღლღველები ჭნევდესა-დ ნაწილს ჯვარს აძლევდეს. იმ დროს ლუდსაც ადუღილებდეს ღილღვლები, სვემდესაც მაშინ სასმელსა-დ მემრ აუკრძალეს მოლაებმ სასმლის სმაი. იმ მამულს ხან სოფელი ხჭნევდ ხამხას ხოდაბურად,ჭადუელ ჯვარიონთ მასვლისა-დ ლუდს ადუღილებდეს. ხამხას ღილღვლებს თავის დასტურ-ჭელოსნები-დ ხუცესიც ხყვანდეს იმ დროს. იცოდეს დღეობები, ზღვნობა, ხუცობაი, ყველა თავის ენაზე. მემრ ღილღველთ თანთან დაიცილეს. ბოლოს ქოოდ მოსპეს ჯვართად სამსახური, ჯვარნიც მოსპეს, დასტურ-ჭელოსნებიც, ხოლოთ ის მამულ-კი ხამხას სოფლის ბოლოზედ იქავ ასა-დ სანების ხოდაბური ხქვიან.

ერთხან ჭადუელთ ჯვარიონნი ბეგრის ასღებად მივიდეს ხამხას. ღილღვლებმ რაიმ აწყინეს საბძანსთან. გაწყრ სანების ჯვარი, კიდობანჩიით ამახტა, მაღლა დაჯდ. მახკრეს თვალ ღილღვლებმაცა-დ ხალხმაც. ღილღვლებმ რო ნახეს, შაშინდესა-დ მუჭლმაყრით სთხოეს პატივება. მაგრამ სანება ძალიან გამწყრალ იყვა-დ წამავიდ, გამახყვ მკადრეიცა-დ დასტურებიც. ნეთხისკარ რო მავიდეს,იქ ერთი ძალიან ლამაზ ღილღვლის ქალ შახვდ ჯვარიონთ, მკადრე არ იყვ ხნიერ კაცი-დ ამ ქალზე გულში რაიცაღ ცუდ გაიფიქრ. აბა სანება გულთამხილავი ასა-დ გაიგ ეს ამბავი, მკადრესა-დ ჯვარიონთაც თვალშიით გაუქრ. ბევრ მადლი სთხოეს, ბევრ ეხვეწნეს, მაგრამ მაინც გულ არ მაიბრუნა-დ ახლოს აღარ მივიდ იმათთან.

იქით წამასულმ სამი-ოთხკან მაიკიდ კოჭი (კოჭი მოიკიდა: დაჯდა, დაბრძანდა). კალოთანას, სოფლის გვერდზედ დაჯდა-დ იქ მაიკიდ კოჭი. იქით რო წამავიდ, გამძღოთ დალიშნეს ის ალაგი, მემრ კოშკ ააშენეს, დარბას-საქვაბეიც გააჩინესა-დ დაიწყეს ლოცვაი. ყველა დღეობები, რაიც ცროლ იცოდეს, ამის შემდეგ კალოთანასაც დაიწყეს. იქით წამასულმ შიტუს მაიკიდ კოჭი. შიტუს სოფელ არ ას, აქ საზაფხულო სამთოი ას, მაგრამ აქაც ააგეს კოშკი-დ ზაფხულის ათენგენას აქაც მადიან სადღეობოდ კალოთანლები-დ ამღივნები, რაკი იმათ სამთოი ას. იქით წამასულ სანება წინჭადუს დაჯდ, იქაც სალოცავი. მემრ ბარის სანებას და იქაც კოშკ ააშენეს. ბოლოს, გოგოთურათ ბანის კანჭზე დაჯდ. აქაც ილოცვენა-დ აწმიდებენ ამ ბანს; აქ დიაცი არ გაივლის. კიდევ ზაის დაჯდა-დ აქ სამკვიდროს დაარსდ. აშენდ ყველა, რაც ჯვარჩი წესი: ჭერო-ბეღელი, დარბასი, საქვაბე. ყველა

დღეობები აქ გადმაიტანეს, რაიც ცროლს იცოდეს, გარდა ათენგენისა, რომენსაც, ეძახან "ვარდის დღეობას". ვარდის დღეობას იმით, რო იმ დროს ყველა ყვავისა-დ ვარდის ყვავილობის გამო ხქვიან ვარდის დღეობა. ეს დღეობა დარჩ ცროლს, დანარჩენ დღეობები ყველა ჩამაიტანეს ბარში, ზაის.

ერთხან ქისტებ წამასულან სამზირლად. ტანიის ღელეს უნდოდ რო დაელამა, ღამით გაელალ ჭარ-ცხენი ან კაც მაეკლ. ტანიის ღელეში დაიძინესა-დ რო გამაეღვიძ, ყველა დაიბღუნძ, არც ერთს გასავალ აღარ აქვის, ყველან ალაგზე არიან მამრჩლები. გაიგეს ჭადუელებმ, ჯვარმ გააგებივ თავის მკადრეს, რო ტყვეები მყავავ მაჭერილებიო-დ აისეებ ჩამალალეთავ აქავ. წავიდეს ჭადუელნი, მივიდესა-დ ღელღვლები დაუბღუნძავ ჯვარს, ასწიესა-დ აისრ წამაიღეს ყველა სოფელში. თვალებიც ამბულები ხქონდ. მემრ ჭადუვლებმ უთხრეს – რომნებიც პირობას მაგვცემთავ, რო სანების ჯვარის ყმა გახჭდებითაო, სანების ჯვარის ყმათ ღილღოსაც ჭელს შაუწყობთაო-დ ყველკანავ, იმას თვალთაც აგიჩინდებისთაო-დ გაგიშობთავ შინავ, თუ არა და დაგჭოცთავ. ერთს ღილღვლის ქისტს ღაზი ექვივნ. იმან მისც ფიციით პირობა, რო იქავ რო ერთის ღილღვლის ჯავრი გაქვთავ, იმასაც დაგაჭერიებთავ ტყვედაო-დ ერთსავ დიდს ჭარჩამავალ ქვაბსაც მაგიტანთავ, თუ გამიშობთავ. ადგესა-დ გაუშვეს. სხვა ქისტებმ ჭადუელნიცა-დ იმათად დამთმო-შამრიგეიც ძირით ამაიღეს ლანძღვა-გინებას. ჭადუელებმაც ორივ მაკლესა-დ დაღმარხეს. გაშობილმ ქისტმ მეორეს კვირაეს მაუტან ქვაბი (დღესაც იქავ ას ღაზისეულს ეძახიან იმ ქვაბს). მემრ დაიპირ ახალგაზდაები-დ ის ღილღველიც დააჭერივა-დ იმასაც საჭსარ მაატანიეს სანების ჯვარში. ღაზი კი დაეყმ სანების ჯვარსა-დ საკლავებ დაუდიოდ.

საჯანგე სოფლის პირისპირ ასა-დ იქ არყის ტყეი დგას. ამ ტყეში არც კაცს შაუძლავ მისვლაი-დ, არც დიაცს. აქ თუ საქონ რაობაში შავიდ, მანამ თაოდ არ გამავ, იქ მარჩების. ტყეიც გამდიდრებული ას ძალიან. ეს ტყე ეკუთვნის სანების ჯვარსა-დ იმის მცავს ძალიან მაგრად აქვ დაჭერილი.

ერთხან გაიგეს, რო ამ ტყეში ფარეშა ნეთხელის მეთაურობით მზირი ას შასული-დ დამალული. მზირი რაად მასულ იყვ, კაცის მოსაკლავადა თუ საქურდლად, ეს კი არ იცოდეს. გატყდა ჭმა ჭევსურეთ, ყველა სოფლებშიით მავიდ ხალხი. შამაეხვივნეს საჯანგის ტყეს. დასვეს ჩხუბიონი ქადაგი, სახელად მეხატეი-დ იმან იქადაგ, რო სანების ჯვარივ ნებას გაძლევსთავ ტყეში შასელისასავ, შეედითაო-დ გამოიყვანეთავ ღილღვლებივ, დაბღუნძვილები სხავავ საჯანგის ტყეშიავ. გახალიზდეს ჭევსურები-დ ბრიყვად შავიდეს ტყეში. ღილღვლები იქ დაბღუნძვილები კი არ დახვდეს, ორ ჭევსურ თოფით მაკლეს, ერთი ხანჯრით. იმათ გამასაყვანად წიწ-წინ შაყიდეს ჭორმეშიონ ხთისიაი-დ ზეისტეჩოელ ბაჭიჭაური, ერთ ჭადუელ ყოფილა-დ ესენ გაუწყვეტიან სამნივ. მემრ კი ჭევსურები ტყეს აღარ მიენდვნესა-დ შორით თოფებით მაკლეს ორი ქისტი. ფარეშა ნეთხელი (ნეთხა სოფელია და ხევსურები ფარეშას ასე ეძახდნენ – ფარეშა ნეთხელი) იცნობდ სანების ჯვარის ძალასა – შაძლებასა-დ ვერძი შამაუთქვ სამეშვლოდ. სანების ჯვარს საფარველი დაუდვავ ფარეშაისად, ზედ დადიოდიანავ – თქვისავ ფარეშამავ, ჩემზედაო-დ ვერ მხედევდიანავ. მემრ ჭევსურებს ჭიდ შაუკრავ, რო ამაზე ხო გამაივლისაო-დ აქ მავხკლავთავ. ჭიდზე სანების ჯვარს ტყუილად მაუჩეენებავ

ფარეშაი. დაუშლავ ყველას თოფები. თოფებ რო დაცლილ, მანამ გასტენდეს, გავარდნილ ჭიდზე ფარეშაი-დ ჭევდაჭევ წასულ ჭადუელთ ვეღარა დაუკლავ. მემრ ათენგენას ცროლს მასულ ფარეშაი-დ ერთ დიდ ვერძ მაუყვანავ სანების ჯვარისად. რაც უნდა მტერ ყოფილიყვ, ჭადუელნ მტერობას ხო ვერ გაუწევდეს. მიუღავ კარგადა-დ მემრ სრუ დავიდოდისავ ჭადუსაცავ ფარეშაივ. ჭადუელებსაც უდენავ ნეთხას ფარეშასთან.

ფარეშა უბედო ყოფილასა-დ ცოლიც მაუყვანავ ცროლსა-დ შახვეწნიონ-ბედ მაგვეცივ. მემრ ორ შვილ გაშჩენივ: ანდარუყუი-დ ოსი. ანდარუყო გაქურდდა-დ კალოთანელთ მაკლეს, ოსი კი ბარში სადამ გადავიდ.

სხვა ჭევსურეთ, თავმაკლულზე, ზვავისა-დ წყლის მაკლულზე, ყველკან მახყავ კოპალაის დროშა სულის საჭსნელად (სული ამ შემთხვევებში ვითომც ეშმაკებმა დაიჭირეს და კოპალის დროშას რომ მოიყვანენ, იმან უნდა იხსნას ეშმაკების ხელიდან). ჭადუს კი ეს არ უწესობს, აქ კოპალას არ უნდ მაყვანა, სანების ჯვარის ყმა სრუ თავისუფალი ას დევ-კერპთაგანაცა-დ ეშმაკებისგანაც. იმის ახლოს გავლა არ შაუძლავ არც რას არ. ეშმაკს ნება არ აქვ, რო სანების ჯვარის ყმას თუნდა ქალსა-დ თუნდა კაცს, ზიან რა მიაყენას. ამით თავისუფალი სანების ჯვარის ყმები-დ არც კოპალაის დროშას ავლევენ, როგორც სხვა ჭევსურეთ პირიქი-აქათ ყველკან.

თუ სანების ჯვარის ყმას დაეხედვ რაი, ან ეშმაკისგან, ან სხო ბირკოლ რაი, მაშინ დასაჭმარებლად სანებას ცეცხლის გირკალი აქვ; შამაზძახნებსა თავის ყმაი, თუ უყმო ყმაი, მაშივ იქ გაჩინდებისა-დ გაანადგურებს. საითაც უნდა შამასძახნას, სანების ჯვარი ყველკან გაიგებსა-დ დააჭმარებს თავის ცეცხლის გირკალს.

ჟამიანობა

ჭევსურეთს ჟამიანობა სრუ მაედვ პირიქი-აქათს. ჯვარის ჭელ-კაცები ყველკან ხედევდეს ჟამი, დადიოდეს მშვილდისრიანები ვირებით ისრებ დახქონდ. სადაც ვის გაეწეოდეს, ესრევდეს ისარს. სადაც მახვდებოდ, იქ გამაუვიდოდ რაიმა-დ აღარც რას ხანს დაღლევდ, მაკვდებოდ. პირიქი-აქათ ხალხი ნახევარზე მეტი გაწყდ. ჟამთ სხო ხალხ კი ვერ ხედევდ, გარდა ჯვარის ჭელწმიდა კაცებისაი. ესენ კი ყველას ხედევდეს, როგორ ხჭოცდეს ხალხს ჟამნი. მაშინ ჭადუს ვერ მივიდეს, სანებამ არ შამაუშვნ. ერთ ატაბიონ დავიდოდ მაშინ ჟამთან, სახელად თათარი. იმას საფარველ დაზდვესა-დ ყველკან ავლევდეს; ხან ისარს აზიდვიებდეს, ხან ხალხს ასწავლებიებდეს სად ვინ იმალებიდ. ჭადუელთა-დ ატაბიონთ ადგილზე ხქონივ იმ დროს დავაი. ძალიან მტერობა ხქონივ ჩამავარდნილ. თათარს ზდობნივ ჭადუელთ დალევაი-დ იქისკე წამაუსხმიან ჟამნი. უფიქრებავ, რო ჭადუელთავ ერთიანად დავალევიებაო-დ ადგილივ ჩვენ დაგვჩებისავ. მაგრამ სანების ჯვარს თავიც არცაით გადმოუჩენიებავ. წამაუყვანიან დიაჭევის გორისას. აქით უნდა ეჭლივ ისარი, ვინაც ჭადუს კარჩი გამაჩინდებოდა-დ უნდა ეჭოცივ კაცი, დიაცი, დიდი, წვრილი. ჟამთ რო დიაჭევის გორ თავ გადმაუჩენავ, ცეცხლ გაუჩენავა-დ სრუ დაუტყრუშიან. შაისვენიანავ ჟამთაო-დ კიდევ გადეემსადნიანავ ჭადუსა-დ ისრების დასაშენადავ, მაგრამ მაშივ ცეცხლ ეცისავ ზედაო-დ ჩაწვა გაუბედისავ. ბევრ უბძოლავ ჟამთ, მემრ სხვაკნით მაუვლავ,

სხვის გორისასა-დ იქაც ესეთ დღე დაუყენებავ სანებას. ბოლოს თავზე სალუდე ქვაბ ჩამაუცომ ჟამთა-დ აისრ წამასულან ჭადუსაკეს. ჯერ ერთხან უკრავ სანებას ცეცხლის გირკალი, ვერა დაუკლავ, მეორედ, ვერა დაუკლავ, მესამედ ძრიელ ცეცხლ უკრავა-დ მაუგლეჯიებავ თავზეით ე სალუდე ქვაბი. ჯღარ-ჯღურივ ჭალაშიით ამადიოდავ, გაუგორებავა-დ ჭალაში გავარდნილ. დამრჩალან ჟამნ ველი-ველად, დაქცეულანა-დ გადატოლებულან.

რო მაინც არ მაუშვიან სოფლადა-დ მაინც, დამსხდარან გორის იქითია-დ ხანდიხან გადმააჩინიანავ თავებივ. ერთ თავმაძულებულ უპატრონო ბებერ რაიმ ყოფილასა, იმას ზდობნივ სიკვდილი. არცვინ შამნახავი ხყვანივასა-დ არც დამმარხავი. ჯერ კი უცდავ, რო ჟამივ აქაც გაჩინდებისაო-დ მემრ რო გაუგავ – სანებამ არ მაუტივნავ, წასულ იქისკე, სადაც ჟამნი ეცოდინებოდეს. უანახავ ჟამთ სოფელს 'შორად გამაცილებულიდ უსრევავ, დაუკრავ ისარი, იმაშიავ მამკვდარ. სანებას სოფელში აღარ მაუტანიებავ რო, რაად გავიდავ სოფლის გარეთაო-დ მააკვლივავ თავივ. მე ის მინდოდავ, რო ჩემს საყმოშიავ ბეწვიც არ გამრუდებულიყვო-დ მაგან შამარცხვინავ. ჟამთ მემრაც ბევრ უბძოლავ ჭადუსაკე, მაგრამ სანებას მაინც ნება არ მიუცავ.

სხვა ჭირ-ავადობაიც რომ რა გაიშალას სხვაგან, სანება არც იმას მაუტევს ჭადუს, გარდა ხთის ვალისა. ხთის ვალ კი ბედნიერ, წითელა მავა-დ ისიც მშვიდობიანად. ზარალს არცრას ის იზამს ჭადუს, როგორც სხვა სოფლებში. წმიდას სანებას ხყავ მოძმეები: 1. თაკი ას მფრინავი ანგელოზი, თეთრი სანება ცროლის წვერისა, 2. საჯანგეს უნჯის ანგელოზი. ეს გველის აღით ასა-დ ძალიანაც საშიში, თუ გამწყრალი ხყავ კაცს. 3. გმირ ანგელოზი ბატონი სანეაბი, ესი ას ღორის აღითა-დ, იმთვნად საშიშ არ ას. საშიში სამაენეოდ, იმას ხალხის დაჟჯის მეტ არა ევალბის.

ესეთეებივ ხყავ დობილებიც ქალის სახით, ყმაწვილების სახით, ღორის სახით, გველის სახით. ესეები ყველა ბევრ-ბევრი ასა-დ თავ-თავის ჭელობაი ღბარავ ყველას. სანებას ზოგნი მავნედ ხყონა-დ ზოგნი მარგებლად. მავნედ რომენნიც ხყონ, ისენი მავნებლობის მეტს არას უკთებენ; ვისაზედაც უბძანებს სანებაი, იმას გადაეკიდებიანა-დ თუ სანება არ უბძანებს, სრუ გაანადგურებენ კაც-საქონიანად. თუ სანებას მიღმადლესა-დ იმის გულ მაიკერძეს, მაშინ კი სანება დობილთ უბძანებსა-დ მააშორებს. მაშინ სანებასაც საკლავ უნდა მიღგვარანა-დ დობილთაც. ისი რო საკლავებს დახჭოცს, მემრ დობილთ უბძანებს სანებაი, მააშორებს, მარგე დობილთ გაუგზავნისა-დ მაარჩენიებს აოდ მყოფს.

დობილთ თხასაც უკვლენა-დ თიკანსაც. ხოლოთ თავ ხთი'შვილს თხა-თიკანი არ ეკვლის. ან ცხვარი-დ ან ჭბო-კურეტი, ან ჭარი, ღირსეულ საკლავ უნდა დაიკლას. ან შასწირვენ ძვირფასს რას, ან სპილენძის ქვაბს, ჩხუტს, ან ვერცხლის თასს, ან ღრო'შათ სამკაულს რას. მაგ., ბაღდადს, ზარს, ვერცხლის ბურთვსა-დ სხვა. დობილთ კი არც ცხვარ ეკვლის, არც ჭარ-კურეტი, არც მამ'ულ ეწირების, არც სხო სამკაულ რა. მარტო სადობილო იციან, აშალი-დ ან ცოცოტეებ ქადისკვერაები; ზედ სანთელს დაანთებენ. ამას სადობილო ხქვიანა-დ ამით კმაყოფილდებიან დობილნიც.

ადგილის დედა

ამ სოფლის შუაში ას სალოცავი ადგილის დედაი. ადგილის დედას ჭევსურები ყოველთვის ილოცვენ სოფლის შუა ადგილზე, სოფელში, რაც გინდა უწმიდური და ნაგვიანი ადგილი იყოს. ხევსურეთში რომ სოფელზე მიდიხარ, ხშირად შეგხვდება ასეთი შემთხვევა: ადგილობრივი კაცი თუ მიგაცილებს, გეტყვის, "აქათაზედ გამაიარი, ამაგაში ადგილის დედაი ასა-დ არ დავდით ჩვენ". აქ თუ დააკვირდები, მიხვდები, რომ ქვები აწყვია ერთიმეორეზე და რაღაცა მნიშვნელობით არის ისინი დაწყობილი, სხვაფრივ მთელი სოფლის უსუფთაობა რო აქ იყრიდეს თავს, ამას არავინ აქცევს ყურადღებას. ადგილის დედა ჩვეულებრივად სულ ასეთ ადგილზე ილოცება და ყველას თვალი აქვს შეჩვეული ამისათვის. ხევსურეთ ადგილის დედა ყველკან ას, მაგრამ ეს ჩვენ (ჭადუელთ) ადგილის დედა ყველაზედ ავი ას.

ერთ კაცი ყოფილ ძალიან ავი, რო იმის შიშით ჭევსურეთის ჭალაზე ვერვის უვლავ. ამას თუ ებძოდ მთელ ხალხი-დ ვერსა შჩებოდეს. მემრ იმას უთქომ, რო მე რას ვინ გამამჩებისავ, მე რო კიდეც ვინ მამკლასაო-დ მავკვდავ, ჩემდ ისი ჯობავ. მე ხთისაგან მაქვავ მალოცვილი, რო ცოცხალიც თქვენ უფროს უნდა ვიყვაო-დ მკვდარიცავ; რასაც მე ვიტყვივ, აქაც ის უნდა შაასრულათაო-დ რო მავკვდებივ, ეს ადგილიც ჩემს სულს უნდა ჩაღბარდასავ. ეესრ ასავ ხთის ბძანებაივ. ხალხი ემორჩილებოდ იმის სიტყვსა-დ ის კას კი არას ფიქრობდ ხალხზე. იმ კაცს სახელად გუნდარი ექვივნ. მაკვდ ის კაცი. რაიც ვის უფერ მაუვიდის ან დიაც-ყმაწვილითა-დ ან საქონით, ყველას გუნდარის სულს აბრალებდიან. ისი თქვიან, რო კაცს დიდ ანგელოზი ხპატრონობსა, გუნდარის სულს იმთვენ ძალა ვერ ექნებისავ, რო კაცის ანგელოზს მაერიოსავ. რაკი არც დიაც-ყმაწვილს ხპატრონობსავ დიდ ანგელოზიო-დ არც საქონსავ, რასაც გინდა უზამსავ იმაიაე იმის სულივ. საქონის სიკვდილსაც გუნდარის სულს აბრალებდესა-დ დიაც-ყმაწვილის აოდ გაჭდასაც. ბოლოს ხკითხეს მკითხავსა-დ იმან იმიკოხავ, რო გუნდარის სულივ გამიწრვლებული ასაო-დ ის უნდა ილოცავათ ადგილის დედადავ; ადგილის დედობა იმას აქვავ ხთისაგან მალოცვილიო-დ თუ არ ილოცავთავ, კაცსაო, საქონსავ მასვენებას არ მისცემსავ. საქონსა-დ დიაც-ყმაწვილსავ მუსრს გავაელებავ, მკითხავის პირით თქო გუნდარმ, თუ კომლზე სამ სეფე არ გამიწესეთავ, სამ სანთელიო-დ დეკეულის პირველა ჭბო თუ არ დამიკალითაო-დ თიკანივ. იმის აქეთ დაიჯერეს ესი-დ აოდ თუ ყმაწვილ გაჭდ, მაშივ თიკანს დახკელენ იქ, წელში ზოგ თითოჯერა-დ, ზოგი მეტჯერაც, ვისაც რაჭელ აქვ ნაქადაგები, იმთვენჯერ უნთებენ სეფე-სანთელს. თიკანს აოდობაზედ უკვლენ ზოგ მკითხავის თქმითა-დ ზოგი თავის ჭკვით. დეკეულის ჭბოები ყველა იქ იკვლის. წინწინ რასაც ჭბოს გააჩენს დეკეული, მიიყვანენა-დ გუნდარს დაუკვლენ; ადგილის დედობით კი ეძახან მკითხავები-დ ხუცესები. ხ'ეცობაშიაც ესრ მააჭსენებენ: "გუნდარის ციხის მეწვერეო ადგილის დედაო, ჭადუს მიწა-წყლის მცაო, მფარაო". ისეთ ადგილზე კი ას ეს გუნდარის სალოცავ ალაგ, რო გასავალ-გამასავალ არც კი ას ტალახისგან, მაგრამ ადგილის დედაში მაინც ესრ უწესიბს, სისუფთაე არცად არ ას.

მამულები სანების ჯვარს ბევრკან აქვ. ტანიე არხოტის ხეობაჩი სრუ სანების ჯვარისად ას შაწირული (ეს ამბავი არხოტის აღწერილობაში დაწვრილებით არის

ნათქვამი). სხვა საბალახეებიც, სადაც რა-ი აქვ ჭადუსა-დ მემცხვარეების ცხვარი დგების, ესიც სრუ სანების ჯვარს უჭერავ. სოფლის ახლო-მახლო მამულებ რაც ას, ხეები, ისეებიც თაოდ აქვ დაჭერილი. ვისაც ჯვარის ყანის ან ჯვართ ახლოს მამულები ხქონდ, გაუკდებოდ ვინ აოდა-დ მკითხავი მაშიე იმას უმკითხავებდ, რო სანებაიე ამა-დ ამ მამულს ზდებსავ ჭელსაო-დ მანამ მაგას თავს არ დაანებებავ, შენს ავადმყოფსავ ნება არ ექნებისავ. რა მეტ ღონეი ხქონდ! მიიტანდეს მიწას, გადაშლიდეს ჯვარში, იმ მამულზეით ატანილსა-დ ერთს საკლავსაც მიაყოლებდეს კიდევ. თუ ავადმყოფ არ მარჩებოდა-დ გამწარებულ კაცი ჯვართად სამდურავს იტყოდ, - არა მიშველესავ. სხვებ გაუჯავრდებოდესა-დ ეტყოდეს: "ეგ ერთიე ხთის ზღვენ იყოსაო-დ დანარჩენ ჯალაფობა შაახვეწეე ღმერთსავ, გონთ იყავე". ნაქადებს მამულს მაინც შააწირვიებდეს. ამით სანებას ძალიან დიდ მამულებ უჭერავ. ტყეებიც სოფლის პირდაპირ ატაბემდე რაიც ას, სრუ ჯვარისაი ას, ჭადუს სოფლის სამხრეთისაკე. არც ვის მაჭრის ნებაი აქვ. ზოგს ალაგებჩი კი არ ას დასტურებისად ნებადართულ, რო საჯვაროდ მაშჭრანა-დ მაიკმარან. საბალახეში აღებულ ცხვრებს ჭოცდეს წელწადშია-დ სამამკლოში.

დიდგორის ჯვარი და მისი დღეობები [1]
ა ღ ე ბ ა

დიდგორ დგების დასტურები აღებას. სამ დასტური დგების ქმოსტელი-დ სამ როშკიონი. დიდგორის ჯვარის ყმანი არიან ორის სოფლის კაცნი: ქმოსტელნი და როშკიონნი. გვარად ბურდულები-დ წიკლაურები. დასტურები დგებიან სამ-სამი წლით. აქაურებ დასტურებიც წმიდობენ, ისრ ძალიან კი არ, როგორც ზოგს ჯვარში ას. აქ უფრო მკადრე-მაგანძურები წმიდობენ ყველაზე მეტად. დასტურობა რიგით მაუდის, როგორც არხოტ. დასწავლილი აქვ ვინ როს იდგ დასტურად. ვისაზეით იდგა-დ აისრ წყემსობის ჯერიეით, მირგვლივ რიგას მაუდის.

წინავ ხოდაბურის ჭენა იცოდესა ულაეით, როგორც არხოტ, ისრ მახქონდ დასტურებს, ლეწევდესა-დ პურს ინახავდეს. როგორც ვის დაშჭირდებოდ, ისრ ჭმარობდეს პურს, რომენს დღეობაჩი რამთვენიც იყვ საჭიროი. მემრ ეს წესი შასცვალეს; მამულებს ყოფენ დასტურები, სადასტუროები ხქვიან. ამ მამულებზე მაყვანილ პურ შინ მიაქვა-დ რომენ დღეობაში რომენს დასტურსაც მიერგებოდ, ისრ ადუღებდეს ლუდს ჯვარის ყანების ნაღალურისას. სვე კი დასტურებს თაოდ მააქვ, ძაუგშიით, ან კახეთით, ან ჭოპორტ-საგურამოს მჭარეზეით. ღამისამთელო-ჟამსაწირი ცხვების ჯვარის პურისაი-დ აცხობს დასტურის უფრო ხნიერ დიაცი, თუ ას ასეთი ამ სახლში. თუ არა მეზობლის დიაცსაც მაიყვანენ, იმას გამააცხობიებენ. დიაც უნდა იყოს ხნიერ, რო სამრელოს არ დაეიდოდას. თუ მაინც საქმე გაჭირდ, მაშინ გამააცხობს ახალ დიაციც, ხოლოთ სამრელოთ შამასვლისა ოთხ-ხუთ დღე მაინც უნდა ხქონდასა-დ მაშიშ არ უნდა იყოს (მაშიში: რომელსაც მოახლოებული აქვს დედათწესი).

---

[1] აქაური ამბავი დაწერილებით გამოეიკითხე. მიამბო ბერდია ახალას ძე წიკლაურმა, 80 წლისამ, თვითონ დიდმა მორწმუნემ და უფროსმა ხეეისბერმა, ე.ი. ხუცესმა.

აღების ღამეს ჯვარიონნი დასხდებიანა-დ ანგარიშობენ – დასტურები ვინ როს ნადგომ იყვ, ვინ იყვ დროს დასტურად დაყენებისა.

ბოლოს შასთანხმდებიან-ესეებ დავაყენათავ. იმ ღამეს ჯვარიონნ ჯვარჩი ქეიფობენ, სოფელში კი ერთმანეცს აწევენა-დ სმენ არაყს. ქეიფობა მარხოშამაეთადა-დ არაყების მზადება როშკას ძალიან იციან.

დასტურებს რო აირჩევენა-დ დაასახელებენ, დაამწყალობნებენ იქავ ახალ დასტურთ. მეორეს დღეს არცრას არვის არ ეტყვიანა-დ სოფლის ჯარზე დაამწყალობნებენ (ამაზე მერე გვექნება საუბარი).

ა ღ ე ბ ა ს მაამზადებენ ძველებ დასტურები. ახლებს დასტურებს მარტო აირჩევენ. ისენი მანამ არ მახვენენ, პურს არ მაიყვანენ, სვე-შეშას არ მაიმზადებენ, მანამ ჯვარში სამსახურს არ დაიწყებენ. ყველას მაიმარაგებენ გიორგობის დღეობისასა-დ მაშინ მივ ახალ დასტური. ძველნი დასტურნი ლუდს როგორც სხვა ჯვარებში, აისრ ჩვეულებრივად დაამზადებენ. აქ მესაფუვრე სხვა იციან, მაგანძურ სხვა (განძის შემნახავი), ხუცესები სამი-ოთხნიც არიან. ჭელოსნები ორსავ სოფელჩიით სამოცამდინ ას. მესაფუვრე ჯვარისგან ას დაყენებული-დ სრუ დღეობის თაოდ ინათლების თითო საკლავით. მაგანძურიც სრუ დღეობისთაოდ ინათლების თითო საკლავით. მაგანძურ განძთ ვერ ააბძანებსა-დ. მესაფუვრე კოდ-საფუარს ვერ მიხჭელავს გაუნათლავი. მედროშაეობა რიგით მაუდის ჭელოსნებს. გაუნათლავი ვერც მედროშაე ააბძანებს დროშას. დასტურებ ლუდს რო ადუღებენ, მესაფუვრე ამ დროს აქ ას საწმიდრად, დღეში ორჯელ-სამჯერ იბანების (იბანს ტანს წყაროზე სადმე). რახან სისწვენ შასაყრელად მავიდას, მაშინ მესაფუვრე გაინათლების, მაიყონს საკლავს ან ცხვარს, ან ბატკანს, ან ჭბოს, რასაც იშოებს. ხუცესი იხუცებს; ჯერ ას მაჭსენება საკლავისა: "შენა სამთავრო, შენა გასამარჯოდ მაიჭმარი ეს სამსახური, მუჭათ სანათლი (მაგ. აპარეკა) აპარეკაზე მესაფუვრეზე მდგომი მავალო ანგელოზო, დიდგორ ვეშაგო გიორგიო, დღისა-ღამის მცაო მფარაო, საოცრის მყენეო (საოცრის ყენება: მოჩვენება ან სიზმარში ნახვა. წინასწარ გრძნობა, რომელიც ხევსურების წარმოდგენით, საკუთარი მცველი ამგელოზის საშუალებით ხდება. იგი პატრონობს ყველა მამაკაცს, ხელმძღვანელობს ადამიანის ავკარგს. წინათგრძნობა და სიზმრებიც მისგან არის ყველაფერი), შენ მესაფუვრისად აპარეკაისად, მაგის თავისად, ჯალაფობისად, საშველად სამწყალობნოდ ხთის კარზე მაიჭმარი, ღმერთი შენთ ზღვენთა დიდებათ მაუმატებს".

ხუცობა საკლავისა: "დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა, მზესა, მზის მყოლთ ანგელოზთ. დიდება დიდს კვირაეს ანგელოზთ მეუფროსეს. დიდება-დ გამარჯვება შენდა, დიდგორ ვეშაგო ანგელოზო ბატონო გიორგიო. გეძახს, გეხვეწების მესაფუვრე აპარეკაი, შენ დავლათ დააჭმარი, მოწაღმართე ანგელოზ დააყოლი, მებალინჯე შამახჭსენი, მოწაღმართე დაუყენი, სახელიან ზღვენ-სანთელ აიტანი, ეს მუჭათ სანათლი ხთის კარზე მაიჭმარი, ნურას მახკერძებ მარცხსა, ბირკოლს, კაცისა, საქონის მაკლეს. უშველი,უმეშველი ავის დღისად, ლალის მტრისად,სენისად,საჟჯლისად, საზიანოს საქმისად. თუ სად რა გამავიდოდან ხთის კარით გამაშობილნი ხთის იასაულნი, ჭორციელთ ბეგრეევდან, ყალანს იღებდან, კვირაეს სარდლობდან (ე.ი კვირაე თუ ყავდეს სარდლადაო) – უზიანოდ გაისტუმრიდი, სენი, სარჯელი მაარიდიდი. შენ აპარეკაისად, მაგის თავისად, ჯალაფობისად, ყუდრო კარისად, ორფეკ-ოთხფეკისად,

კაცისა-საქონისად, ქუდოსან-მანდილოსნისად, ნამაშვრალ-ნამუშაელისად მეშველი, მწყალობნელი, მხოიშნებელიმც იქნები".

საკლავის კურთხევა: "დღეს ღირსა ხსნილობა, ჯვარსა კურთხეულობა. კურთხეულიმც არის ღმერთი უფალი, აწ და მარადით უკუნით უკუნისამდინ. სამებაო წმიდაო, შაგვიწყალნა ჩვენ სამებამა წმიდამა, გვაცხოვნენ და გვაკურთხენ, განგოლი ურჯულოება ავედრია სული ჩვენი, მამისა მაწყალესა. მამაო და ღმერთო ჩვენო, რომლი ხარ ცათასია, მახვე ხოყანაშია, მაგვიშვი და მაგვიტიე პური ჩვენი არსობილთა, რაც უფალმა მაგვანიჭა. ნუ შაგვასხამ განსაცდელსა. შევსწირავ ღმერთსა მსხვერპლთა ქებითა. მოხუცულობით შენითა ნათქვამი შენ გააცხადე, ოქროს ხატო, მეუფეო, ნათქვამი შენ გააცხადე. შენ გიხსენე, ჩვენ გადიდებთ. დღეს ჩვენისა რჯულის თავსა, თვალნი მაღლა არიან მაღლისა ხთისანი, ხოლო კაცთა სიმაღლესა დაბალთაგან ამაღლებულა, რაჟამთა მოვიწიენთ მცხრომალეთა მდინარეთა. ღმერთო რა ჟამნი გვიხსენი მცხრომალენი, მდინარენი, თვალნი ჩვენნი მცემარნია, ფეჭნი ბორკილებისაკე. მორე მოვიდოდა ადგილისა ამას იასე კეზორე, ფილიპესა იკითხევდა. სათნო იყო ყოველი ჩვენს წინაშე მაცხოვარი,რაი თუ იცნა, უფალო, პეტრე მოწამეა. ხთისა არსილნი შაშინებულან, არსილნი შაკვირებულან, გალილიასა ეტყვიან, ძეთა რათა თქვიან ჩუენთა, კაცისათა. პეტრეს უთხრეს: ეგერ ვინ გონია, ანუ ვითა ნეინ მერელია, თავიც იჭსნა, ჩვენც გვაცხოვნა. განგულო ურჯულოებაო, გავედრია სული ჩვენი, მამასა მაწყალესა, რომენი ხარ ცათაჩია. მილთა იყაკ ცათაჩია, აგრიკ ხოყანათაჩია. სარწუნია მავიდოდა, ბძანებდა, მოითხოვდა, სიტყვა ხთისა ხმა უფლისა, ღმერთო, ერის შორისაო, უფალო ნების ჩვენისაო, მოგვე კეთილი ყოველი. ზღუდენი ავაშენენი, იერუსალიმისანი. იაკობ ხოლო პირველი რაითუ იცნა უფალმა. რასა მსვრიან სისხლითა ღმერთსა მამასა მამაელილებელსა, სიტყვა ხთისა, ხმა უფლისა მავისმინე, საქმე უკეთურნი მავისმინენ ჭეშმარიტად, უკეთურის გონებითა, შენზე მასხვეპარია, ჩვენზე მაკურთხეველი. იერუმსალე შენა ხარ, ხოლო იაკობ პირველი. ვარქინა ღმერთსა შავსირე, ხოლო სამნი სიტყვანი ხთისანი, ანგარიასა ღმერთსა მთავარ გარე შამოველესა, ჯვარსა ამას წმიდასა. ღმერთო, ისაკ და იაკობილთა მამაო მავლებელო, რომენმა შაღმოსენ ცანი ღურბლითა, მიწანი მწვანილითა. გადახუარ, გადაანამზადე წვიმა ხოყანათაზე. შენია დღე და ღამე, შენ დაამკვისე ბნელი, ნათელი შენდამი არას ყოველმა ერმა, უფალო, აკურთხე თესლი ესია, აკურთხე მარილიესია სკა-სკანალე, წყალჩი ორდანე ღვინო შამასცვალე ბაღდადაუარე. საკონსა ამას, ბაღდა დახკალ არა შჭამე, დასთხიე სისხლი მისა. კურთხევა იყვა კრავისა, ცოცხლისა შენდა ღირსია მაროტი გამოვიდა აკურთხა სახითა სარხიელითა, სახელითა ხთისათა სარხიელისითა, გამოვიდა და აკურთხა".

კურთხევა რო გათავდების, ხუცეს იტყვის (შასახელება ჰქვიან ამ თქმას) "შენა სამთავროდ იყოს, შენა გასამარჯოდ იყოს ეს სამსახური-დ მუჭაოსანათლი, შენ აპარეკა'ხე მდგომო, მავალო ანგელოზო, შენ აპარეკაისად, მაგის თავ-ჯალაფობისა ყუდროსად, ხთის კარზე საშველოდ, სახოიშნოდ მაიჭმარი, ღმერთი შენს ძალსა, დიდებას მაუმატებს". დასტურ დაიდებს მარცხენას მუჭლზე საკლავს, ფეჭებ ჭელით უჭერავა-დ ხუცეს დახკლავს საკლავს (არხოტში საკლავს ყელ'ში წვერით გაუყრიან დანას და შიგნიდან გარეთ გამოსჭრიან ყელს. ბუდე ხევსურეთში კი ასე არ კლავენ. პირდაპირ გამოუსვამენ მახვილს ყელ'ში და ისე დაკლავენ).

საკლავს დასტური დასდებს სასაკლავე სიპზეხუცესი კი შუბლზე და გულზე მესაფუვრეს სისხლის ჯვარებს გაუკეთებს. მესაფუვრე თაოდაც ჭელებს მაისერის სისხლში. მემრ დაამწყალობნებენ ჩვეულებრივ: "- გწყალობდასთ, აპარეკავ, დიდგორის ჯვარი, მშვიდობით გამყოფას, ნურაით შაგიცოდვას, ბედი, დაგლათ დაგაკმარას, მეწალმართე ანგელოზ დაგაყოლას" და სხვა. საკლავს აქ გაატყავებენა-დ აქ რჩების ფელკი (ნახევარი) ხორცი, ტყავსა-დ ფელკს კი შინ წააღებიებს. მესაფუვრე შინ აღარ დაოსა-დ თავის სანათლავს არც ატყავებენ. წინავ არც უჭამავ თავის სანათლავის ჴორცი. მესაფუვრე რო გაინათლების, ღირსი გაჴდების სისწენის შაყრისა-დ ფუვლებისა. მიუტანენ დასტურები სისწვენს, საქობეშითთ საკოდესთან, იქით თაოდ შაიტანსა-დ ჩაასხამს კოდში მაშინ, როსაც საჭირო იქნების გაცივების მისედვით. საფუარი წინავ აქვ გამთელებულ ჩამაში. როსაც კოდში სისწვენს ჩაასხამს, ხუმრობით იტყვის ერთს მაშუღლარს ვის ან კაცსა ან დიაცს: ამა-დ ამის გუნებაიმც გამაგყვებისავ. სისწვენს რო ჩაასხამს, ამაიღებს კოშით საფუარსა-დ ჩაუშობს კოდში კოშს დაბლამდინ, აიქ გადააბრუნებს პირქვა-დ ამაიღებს. მემრ გადახურავს ფარდაგს პირიზედ, მააკრავს საბელსა-დ მაუჭახრაკავს, რო ორთქლ არ ამადიოდას. აღებას აქ ისეთ სითბოობა არ იქნების, რომ კოდს ჩალა აღარ დაშჭირდას. დაადებენ ჩალას კოდებს სიმირგვლივ, პირზედაც ჩალას დაადებენ, მაიჴდის ქუდს მესაფუვრეი-დ იტყვის: "ღმერთო და დიდგორის ვეშაგო ბატონო გიორგიო, სადიდებელი ას, შენ დააყოლ მეწალმართე ანგელოზი-დ მააჴდინი შენის საკადრის სადიდებელი". მემრ ხუთ დღემდინ ას თავდანებებული-დ მეხუთეს დღეს ჩახენებს მესაფუვრეი. შაატყობს, რაჴელ უფუვლავ, თბილადა თუ გრილად. თუ თბილად ნაფუარი, შაიძლების რო სპილენძის ქვაბებში გადმაიღას, რო არეულ თხლე დაიხოშას. ან ჩალას მააშორებსა-დ აისრ გასწირავს. თუ გრილად ას ნაფუარი, მაშინ ჭიჭი აქვ მაღლა ამასული-დ დაბრუნვილ აღარ ას. მაშინ ქაფს მახჴდის,ამაიღებს ერთ ჩხუტამდინ ლუდს ჴელქვაბჩია-დ გაათბობს. კარგა რიგიანა-დ რო გამწვავდების, ჩაასხმენ კოდში, მააკვრენ მაგრა კოდს პირზედა-დ მიხურვენ ჩალას. გათბების ეს ლუდი-დ მაიფუვლებს ერთს დღეღამეს. გათბობაიც ზომაზედ უნდ: ის რო ძალიან გაამწავავას, აისითა ჩაასხას, საფუარს დასწოვსა-დ აღარ იფუვლებს, დაილევის ლუდი.

აღებას წუხრას ყველა მივ ჯვარჩი დასტურ-ჴელოსნები, მიიტანენ საწირ-ღამისსამთელოს (აღებას დროშა არ გამადის), დაზდებენ ერთ ღამისამთელოსა-დ დაზდგმენ რვა თასს,ან ათს. უფრო ჴშირად ათს. აავსებენ ლუდითად დაიწყებს ხუცესი მახსენებას სხვა და სხვა თასზე, სხვად დასხვა ხთიშვილებისას (კოდი ამ დროს წინასწარ არის გახსნილი ხუცობა-კურთხევით ჩვეულებრივად): "ამ ჭიქა-ბარზიმზე, სადიდებელზე შენ გადიდას გაგიმარჯოს ღმერთმა დიდგორის ვეშაგო ანგელოზი, ბატონო გიორგიო, შენა სამთავროდ, შენა გასამარჯოდ მაიჴმარი ეს გარიგებული ჭიქა-ბარზიმი-სადიდებელი, შენ საყმო-დ საგლეხოსად, ჩდილისად. მზისპირისად საშველოდ, სახოიშნოდ, სამწყალობნოდ ხთის კარზე შაიტანი, ღმერთი შენს ბატონობას გაუმარჯვებს. მეორე ჭიქა-ბარზიმზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა გიორგი ჯუთა ვაკეს მშვენიერო. შენა სამთავროდ, შენა გასამარჯოდ მაიჴმარი ე გარიგებული ჭიქა-ბარზიმი, სადიდებელი, შენ დიდგორს ვეშაგის ანგელოზის გიორგის საყმო-საგლეხოსად, ჩდილ-მზისპირისად საშველოდ, სახოიშნოდ, სამწყალობნოდ ხთის კარზე შაიტანი. მესამე ჭიქა-ბარზიმზე შენ გადიდას გაგიმარჯოს ღმერთმა კვირაევ კარავიანთ ანგელოზთ მეუფროსეო. შენა

სამთავროდ, გასამარჯოდ მაიჴმარი ეს სადიდებელი-დ გარიგებულ ჭიქა-ბარზიმი, შენთ მეხვეწურად, დიდგორის ვეშაგის გიორგის საყმო-საგლეხოსად, ჩდილ-მზისპირისად საშველოდ, სახოიშნოდ, სამწყალობნოდ ხთის კარზე შაიტანი. მეოთხე ჭიქა-ბარზიმზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა ზარ-სარეკელზე მდგომო ანგელოზო. შენა სამთავრო გასამარჯოდ მაიჴმარი" და შემდეგ სიტყვები, რაიც ზეთას მაჴსენებებში სწერაე. 'მეხუთე ჭიქა-ბარზიმზედა, სადიდებელზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა ჭერო-ბეღელზე მდგომო ანგელოზო" (და შემდეგი ჩვეულებრივი სიტყვები). "მეექვსე ჭიქა-ბარზიმზე, სადიდებელზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, ალვისტნისად მყოლო ანგელოზო, შენა სამთავროდ, შენა გასამარჯოდ მაიჴმარი ე-ჭიქა-ბარზიმიდ სადიდებელი"... 'მეშვიდე ჭიქა-ბარზიმზე თქვენ გადიდნასთ, გაგიმარჯოსთ ღმერთმა მებორაყენო ანგელოზნო, თქვენა სამთავრო, თქვენს გასამარჯოდ მაიჴმარეთ ე-გარიგებულ ჭიქა-ბარზიმი, სადიდებელი. მერვე ჭიქა ბარზიმზე თქვენ გადიდნასთ, გაგიმარჯოსთ ღმერთმა გიორგის ლაშქარნო, გიორგის გორზე მეთამაშენო. თქვენა სამთავრო-გასამარჯოდ მაიჴმარეთ ეს გარიგებული ჭიქა-ბარზიმი, სადიდებელი...

მეცხრე ჭიქა-ბარზიმზედა, სადიდებელზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, ლაღო იაჴსარო, დეე-დედაბერთად მაბძოლ-მეომარო, აბუდელაურ სიმურში ნატყვევარო, ხთისაგან მჴარაჴსნილო, შენა სამთავრო, შენა გასამარჯოდ მაიჴმარი ე სადიდებელი, გარიგებულ ჭიქა-ბარზიმი, შენ მეხვეწურთად და შემდეგი. მეათე ჭიქა-ბარზიმზედა, სადიდებელზე შენ გადიდას ღმერთმა, დიდო ჴაჴმატის ჯვარო გიორგივ ნაღორშვენიერო, ნაღორევს მებურთვალო, ხელო სამძიმარო, იმის მოდე-მომჴრენო, ჴმელთაზე ჴმის გამტეხო, რჯულიან-ურჯულოთ სალოცაო, ქაჯავეთის გამტეხო, დიდოეთის გამბერგაო. მარიგის ხთისაგან მალოცვილი გაქე ცის კიდურში შამაძახილის გაგონებაი, მეხვეწურის 'მახვეწებაი-დ დაჴმარებაი, შენად სამთავროდ, შენად გასამარჯოდ მაიჴმარი ეს ჭიქა-ბარ'ზიმი, სადიდებელი. შენ გიორგის საყმო-საგლეხოსად, ჩდილისად, მზისპირისად, მაგათ თავისად, ჯალაფობისად საშველოდ, სახოიშნოდ, სამწყალობნოდ ხთის კარზე მაიჴმარი.

თქვენა სამთავროდ, სადიდებლად მაიჴმარეთ ეს ჭიქა-ბარ'ზიმი, სადიდებელი, ნაჴსენებნო ანგელოზნო, თქვენთ მეხვეწურთად, გიორგის საყმო-საგლეხოსად საშველად, სახოიშნოდ, სამწყალობნოდ ხთის კარზე შაიტანეთ, ღმერთი თქვენს ბატონობას გაუმარჯვებს. გეძახსთა, გეხვეწებისთ დასტურ-ბუჯირი, ჴელოსან-გამძღობარი, შენ საყმო ჩდილი-მზისპირი! სახელიან აიტანი, ხთის კარზე მაიჴმარი ჭიქა-ბარზიმი, შენ მეხვეწურ სანთელი, დიდგორ ვეშაგო გიორგიო. დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა, დიდება დღეს მშვენიერსა, მზესა-დ მზის მყოლთ ანგელოზთა! დიდება შენს ძალსა, შენს სახელს, დიდგორის ვეშაგო ანგელოზო, ბატონო გიორგიო! დიდება დიდს კვირაეს ანგელოზთ მეუფროსეს. დიდო ბატონო დიდგორ ვეშაგო ანგელოზო, გეძახს, გეხვეწების შენ საყმო, ჩდილი-მზისპირი. შენ დაეღათ დააჴმარი, მოწალმართე ანგელოზ დაუყენი, მაბალინჯე ჩამახჴსენი, სახელიან აიტანე, ხთის კარ'ზე მაიჴმარი, ნურას მარცხსა, ზიან-ბირკოლს მახკერძებ, კაცისას, საქონისას. მაკლეი-დ მავნე მაა'მორი. უშველ,უმეშველი ავის დღისად, ღაღის მტრისად,სენისა სარჯლისა, სა'ზიანოს საქმისად. თუ ხთის კარით ხთის იასაულნი ჴორციელთ დასაბეგრავად, ჴორციელთაზეით ყალნის ასაღებად გამავიდოდან, კვირაეს

სარდლობდან. - შენ მეხვეწ'ურთ ყუდროს მარცხსა-ზიანს ნუ მახკერძებ, უზიანოდ ვაისტ'ეკრიდი შენ საყმოსად, საგლეხოსად. კაცისად, საქონისად, ორფეჭ-ოთხფეჭისად, ნაშჯრალ-ნაჩუშავლისად. მეშველი, მწ'ყალობელნიმც, მლხენელი, მსოიშნებელიმც იქნები.

ამას მაემბის კ'ურთხევა ღამის თევა-ჟამისწ'ირვისა: "სახელითა ხთისითა სარხიელისითა, თავსა დაგადგეს ყოვლითა და ყოვლებითა, სიტ'ყვითა დამრავლებითა. წ'ინდა არსებ'ულო, არსები ამაღლებ'ულო, წ'მიდად იყო საკითხავი, ვინაა საკითხავი პოვლეია საკითხავი. გაბრიელი ოხითა მრავლითა, ბევრითა ბევრეულითა. მაში მავიდა უფალი ათასითა გ'უნდითა, ათასითა ანგელოზებითა, მწ'არე ახსნა სულნი ჩვენნი, ა'უტ'ივნა ტ'ილონი ან ხილო, ან შტ'ოლოებაო. შატ'ყ'ეილებითა გველისითა, შაცდენითა ეშმაკისითა, არა დედაკაცისითა, არა მამაკაცისითა, არა არსითა ბაგოზელისითა, ღმერთო ხთობაო, გალობაო, სარწ'მუნოებაო, მზეი მამარწ'ყევილებ'ულა, ეგია ჯოჯოხეთი ურძეო ურღვეველი. დიდია ზ'ღ'უდება ჩვენი. ცასა მტ'რედი გადმანახდა სიხარ'ულსა მაითხოვდა, ჩვენნო ძმანო სიონისანო, მტ'კიცენო მტ'კიცედ იყ'ენით საქმესა ჩვენსა ღმატ'ებდით. განა ცუდა შრომა იყო, რომენი იწ'ვა. ეძინა ჩვენისა ოხისა კვირაისითა. ადგეს წ'ავიდეს მააჴ'სენეს ხთის მოწ'აფეთა, ანგელოზთა: ადე განიღვიძე. ადგა, განიღვიძა დილისნია ფრია, დაძღვეს ეგენ უფრო, საყიდელნია ცათაჩია, თქო უფალმა ყოველმა ერმა სიტ'ყვა უფლისა, მამისა, ძისა, ჩვენ ჯ'ვარისა ჩვენისა წ'მიდისა. მაშინ შასწ'ყალდეს უფალსა ობოლნი, გახსნა, გაიღნა ბარძიმნი, წ'აწ'მინდა სულნი, პირ'ველა სანთელი წ'მიდათაკეა, მეორე სანთელი გიკ'ურთხას მამამა ძემა ჯ'ვარმა წ'მიდამა. მესამე სანთელი თესლის მაკ'ურთხეველი გიკ'ურთხას მამამა ძემა ჯ'ვარმა წ'მიდამა ადამდე. მეოთხე სანთელი სამოთხის მანათობელი გიკ'ურთხას მამამა ძემა ჯ'ვარმა წ'მიდამა ადამდე. მეხ'უთე სანთელი ბ'ართოლაკია, მარგალიტ'ისა მთოველი, გიკ'ურთხას მამამა ძემა ჯ'ვარმა წ'მიდამა. მეექ'ვსე სანთელი: ექ'ვსნი ძენია – მთხრობ'ელნი, მგალობ'ელნი, ღ'ალ'ადობ'ენ და ბ'ძანობ'ენ, გიკ'ურთხას მამამა ძემა ჯ'ვარმა წ'მიდამა. მეშ'ვიდე სანთელი შაუშ'რეტ'ელი, ზ'ღ'უდე აქ'ვ შაუზ'ღ'ვეველი, პ'ატ'რ'უქ'ი შაურ'ყ'ეველი, გიკ'ურთხას მამამა ძემა ჯ'ვარმა წ'მიდამა. მერ'ვე სანთელი გაბ'რიელ მახ'ა'რობ'ელი, გიკ'ურთხას მამამა ძემა ჯ'ვარმა წ'მიდამა. ადამდე. მეცხ'რ'ე სანთელი: ივ'ანე ნ'ათ'ლ'ისმ'ცემ'ელი, გიკ'ურთხას მამამა ძემა ჯ'ვარმა წ'მიდამა, ადამდე. მეათ'ე სანთელი: პ'ურ ღ'ვინ'ის მაკ'ურთხ'ეველი, გიკ'ურთხას მამამა ძემა ჯ'ვარმა წ'მიდამა ადამდე. არამ'ც კი არა მაგ'ეძ'ლ'ას გვიწ'ყ'ალ'ენ; მამაო ძ'ეო ჯ'ვარო წ'მიდაო, სანთ'ელ'ო სამ'ა'რ'ეტ'ისაო, ბ'ეჭ'ედ'ო უ'კ'ვ'დ'ავ'ებ'ისაო. დ'ასრ'ულ'და წ'ირ'ვა ჟ'ამ'ისა, ამ'ა'ღ'ლ'და ძ'ალ'ი და დ'ი'დ'ებ'ა ჯ'ვ'ა'რ'ეისა მ'ა'ღ'ლ'ისა. უ'ფ'ალ'ი დ'ი'დ'ებ'ისა ქ'უ'ხ'და ცათ'ა ზ'ე'და მ'ქ'უ'ხ'ა'რ'ეთ'ა ოხ'ით'ა. გ'ვ'ი'წ'ყ'ალ'ენ' და' გ'ვ'ა'კ'ურ'თ'ხ'ენ' კ'ურ'თ'ხ'ე'ულ' ა'რ'ს' ს'ა'ხ'ე'ლ'ი' შ'ე'ნ'ი' ა'წ'დ'ა' მ'ა'რ'ა'დ'ის' უ'კ'უ'ნ'ი'ი'თ' უ'კ'უ'ნ'ი'ს'ა'მ'დ'ე".

ამით ღამისთევა გათავდების. აიღებენ თასებს ჭ'ელ'ჩ'ია-დ ეტ'ყ'ვ'ი'ან' წ'ყ'ალ'ობ'ა'ს: "სწ'ყ'ალ'ობ'დ'ა'ს' დ'ი'დ'გ'ო'რ'ი'ს' ჯ'ვ'ა'რ'ი'ს' ს'ა'ყ'მ'ო'ს'ა-დ–ს'ა'გ'ლ'ე'ხ'ო'ს', ჩ'დ'ი'ლ'ს'ა' მ'ზ'ი'ს'პ'ი'რ'ს'[1] დ'ი'დ'გ'ო'რ'ი'ს' ჯ'ვ'ა'რ'ი'ს' დ'ა'ვ'ლ'ა'თ'ი', ს'ა'წ'ა'ღ'მ'ა'რ'თ'ო' მ'ა'უ'ა'რ'ა'ს', მ'შ'ვ'ი'დ'ო'ბ'ი'თ' შ'ა'ი'ნ'ა'ხ'ნ'ა'ს'. უ'შ'ვ'ე'ლ'ა'ს', უ'მ'ე'შ'ვ'ე'ლ'ა'ს', მ'ა'რ'ცხ'ი' ბ'ი'რ'კ'ო'ლ' ა'შ'ო'რ'ა'ს', უ'ზ'ი'ა'ნ'ო'დ' ა'მ'ყ'ო'ფ'ნ'ა'ს', ს'ი'ხ'ა'რ'უ'ლ'ა'დ

[1] ჩ'დ'ი'ლ'ს'ა' მ'ზ'ი'ს'პ'ი'რ'ს' ი'მ'ი'ტ'ო'მ' ა'ხ'ს'ე'ნ'ებ'ენ', რ'ო'მ' დ'ი'დ'გ'ო'რ'ი'ს' ჯ'ვ'ა'რ'ი'ს' ყ'მ'ებ'ა'დ' ს'ო'ფ'ლ'ი'ა'ნ' თ'ა'ვ'ს' ო'რ'ი' ს'ო'ფ'ე'ლ'ი': ქ'მ'ო'ს'ტ'ი' დ'ა' რ'ო'შ'კ'ა'. ს'ო'ფ'ე'ლ'ი' ქ'მ'ო'ს'ტ'ი' მ'დ'ებ'ა'რ'ე'ო'ბ'ს' გ'ო'რ'ი'ს' ჩ'რ'დ'ი'ლ'ო' მ'ხ'ა'რ'ე'ს', ს'ა'დ'ა'ც' ჩ'რ'დ'ი'ლ'ი' ა'რ'ი'ს' დ'ა' ს'ა'მ'თ'ა'რ'შ'ი' მ'ზ'ე' ნ'ა'კ'ლ'ებ'ა'დ' უ'ღ'ებ'ებ'ა'. რ'ო'შ'კ'ა' კ'ი' მ'ზ'ი'ს' გ'უ'ლ'ს'ე'ა', მ'დ'ებ'ა'რ'ე'ო'ბ'ს' მ'თ'ი'ს' ს'ა'მ'ხ'რ'ე'ე'თ' კ'ა'ლ'თ'ა'ზ'ე', პ'ი'რ'მ'ზ'ი'თ'შ'ი'. მ'კ'ი'ო'ხ'ა'ვ'ებ'ი'ს' დ'ა' ხ'უ'ც'ე'ს'ებ'ი'ს' ს'ი'ტ'ყ'ვ'ა' ა'რ'ი'ს' ჩ'დ'ი'ლ'ი' დ'ა' მ'ზ'ი'ს'პ'ი'რ'ი', ი'გ'უ'ლ'ი'ს'ხ'მ'ებ'ა' გ'ი'ო'რ'გ'ი'ს' ყ'მ'ებ'ი' ა'მ' ს'ი'ტ'ყ'ვ'ა'შ'ი'. ს'ა'ყ'მ'ო' ს'ა'გ'ლ'ე'ხ'ო' კ'ი' ნ'ი'შ'ნ'ა'ვ'ს': ი'მ' ხ'ა'ლ'ხ'ს'ა'ც' ვ'ი'ნ'ც' ქ'მ'ო'ს'ტ'ი'დ'ა'ნ' დ'ა' რ'ო'შ'კ'ი'დ'ა'ნ' ს'ა'დ'მ'ე' გ'ა'ღ'ა'ს'ა'ხ'ლ'ებ'უ'ლ'ა', ა'ნ' დ'ა' მ'ა'თ'ი' მ'ო'ნ'ა'თ'ე'ს'ა'ვ'ე'ა' დ'ა' დ'ა'ი'ა'რ'ებ'ა' დ'ი'დ'გ'ო'რ'ი'ს' ჯ'ვ'ა'რ'შ'ი' ს'ა'ლ'ო'ცა'ვ'ა'დ'.

გაუჭადას დალოცვილმ თავის ჭსენებაი დიდებაი. თქვენ მაგცასთ წყალობა: ჯვარიონთ, დასტურ–ბუჯირს, ჭელოსან გამძღობარს, სტუმარს ჩვენში დამწყედულს, ჩოქის მამხრელს, მადლის მამთხოვს, გიორგის კარის მლოცავს, თავის დაელათ დაგაჭმარასთ, ნუვის თვალგულ მაგრივასთ".

დამწყალობნებას რო გაათავებენ, ყველან გაჩუმდებიანა-დ, ხუცესი კიდე შაუსახელებს ყველა თასებს ერთად: "თქვენა სამთავრო, თქვენა გასამარჯოდ მაიჭმარეთ ეს ჭიქა-ბარზიმი, სადიდებელი, ნაჭსენებნო ანგელოზნო. თქვენ თქვენ მეხვეწურთად, გიორგის საყმო-საგლეხოსად, სახოიშნოდ მაიჭმარეთ, ხთის კარზე შაიტანეთ, მაგითამც დიდნი ხართ თქვენის გამჩენის ხთის კარზე". ასწევენ ყველან თასებს მაღლადა-დ იტყვიან: "ისმინეთა გაიგონეთ, მაგითამც დიდნი ხართ თქვენის გამჩენის ხთის კარზედ". – "ჯვართ დიდებაი, მეხვეწურთ წყალობაი", ეტყვიან ყველანი-დ მაიყუდებენ თასებს. ამბობენ ლუდის სიავ–სიკეთეზე. იქ ზოგებ უთასოები დგანანა-დ შაღმღერნებენ ისეებ ერთუცს ერთუცის გვარის სიმღერებს. როშკას წიკლაურები არიან, მაგრამ კიდევ მამ-მამად არიან დაყოფილები (ქვეგვარებად). ესეებიც შაღმღერნებენ ერთმანეთს, აისრიე ქმოსტელ-როშკიენები. მაგალითად, კიბალაურთ შაღრღერებენ:

ყმაწვილსა კიბალაურსა, გული მიუდის ცდაზედა,
საჭეოდ გამაემართა, ოსების მუქარაზედა,
საძელეს გადამავალმა თოფი დაზვერა მკლავზედა,
ჯურჭამ აყეფა ძაღლები, ოსო გამაე კარზედა!
გამავა ყარაჯაის ძე, გამასერნავდა ბანზედა.
თოფი დასცეცხლა ჯურჭამა, ოსი დახყუდა თავზედა.

ქმოსტლებს შამღერნებენ:

ჯორო, ხიზანას ცხვირთეორო, პატრონ გყავ ილეთიანი,
ლაშქარს შაუყრის მშავლებსა, ქმოსტი ძეს საქონიანი.
ქმოსტი არ გაიტეხების, განა კოკა ას წყალიანი... და სხვ.

ფაფარენელებს უმღერენ:

თურმან ორ ფაფარენელი, კითხვა რად გინდათ გვარისა,
გადავწვი ჭორჭი, მაღარო, ჟინვანს ჯავრი მჭირს ორისა:
თიანეთ ჭავჭავაძისა, გაუმაძღარის ღორისა.

ამ მღერაში გამაიცლების თასებიცა-დ, ბოლოს გადაიჭდიან მადლს: "აი, გწყალობდასთ ნაჭსენებთ ანგელოზთ დაელათი, მუჭლები შაგარჩინასთ". ჩამახყრიან თასებსა-დ ეტყვიან: "გაამასთ ღმერთმ", – "თქვენ კა გვაამას, მტერს ჩამახყარეთ იარაღი, ოქვენ ჭელი-ჭმალ ერეოდას". ჩამაიყრიან თასებსად დასხდებიან. მემრ ჩვეულებრივად დაასხმენ ჯვარიონნი ლუდს, დასხდებიანა-დ სმენ. მაგრამ აქ ისეთნ ჯვარიონნ კი არ არიან, როგორც სხვა ჯვარებში. აქ სამოცამდინ მარტო ჭელოსნი ას. ეს ჭელოსნები კიდევ ცალკე ადუღილებენ ლუდსა-დ კიდევ ცალკე კოდ უდგას. ღამისთევას წუხრ ისმის საჭელოსნო ლუდი. საჭელოსნოს თითო კოშს ფქილს მახკრეფს დასტური-დ აისრავ სვეს. ადუღებს ლუდსა-დ მესაფუერე აყუკლებს,როგორც ნათქვამი ას. კოდსაც აისრ გახჭსნის, როგორც სხვა კოდებ იჭსენების. საკლავ ჭელოსნების კოდზედა-დ ჟამისწირვაზე არ იკვლის, ხოლოთ დასხდებიან ჭელოსნები-დ სმენ თავის ლუდს. ამავ ჭელოსნებს მიაქვ თითო სეფეი-დ სანთელი. მაანთებენ

ამასაც ჩვეულებრივის წესით. ხუცობს ხუცესი, აკურთხებსაც, მემრ დაშჭრიან ამ სეფეებს აქ, ჭამენ თაოდ ჭელოსნები. სეფეები ას გულიანები. ზოგს ჭორცის გულ უძეს, ზოგს სატნისა, კალტისა, ზოგი წნილსაც რაისას გაურევს, რაისაც საშუალებაი აქვ – შიბუ, კომოშტო, ღოლოს ტარი (ბალახები არის დაწნილებული). ამ წესით გაივლის ეს ღამეიცა-დ გათენდების აღება დილა. ჭელოსნებს რო სეფეებ მიაქვ, ამეებს "საშამავლო" ხქვიან. ვითამ ჯვარჩი რო შამადიან, მაშინ რაიცაღ საწირ უნდა ხქონდას, თორემ ჯვარჩი ისრ ვერ მივლენ თუ არა მიუტანეს.

ვინაც სოფელჩი ას დამრჩალი, ისეებიც მივლენ ჯვარშია-დ დასხდების ჯარი. სასოფლო საკლაეი უნდა მაიყვანანა-დ დაკლან დილასავ, იმის ტყავ-ჭორცი ჯვარჩი რჩების, ხოლოთ მესასოფლეოს ტაბლას დაუდგმენ ნადუღრის ხორცისას. ჯარ რო დასხდების, მაიკითხვენ ლუდს, მაიტანენ (ეს ლუდი უკვე საჯვაროა, რომელიც სოფელს ეკუთვნის და არა ხელოსნების ლუდი, რომელსაც ღამე სვამდნენ). სმას რო დაიწყებენ, მემრ ჯვარიონნ გამავლენ, გამაიტანენ ლუდით სავეს სახუცო კოჭობს, სხვა თასებსაც ვერცხლისასა-დ მავლენ სოფლის ჯარზე.

მავლენ, ჯარს აშენებას ეტყვიან: "აშენდით მოჯარენო, წაღმამც წაგიოსთ დღეი დღეობა".

ისენიც ფეჭზე ადგომით უპასუხებენ: დაშვენდით, მაგვიხვეი-თ მშვიდობით. მიეგებებიანად დასხმენ ჯვარიონნი დამხვედრს ხალხს. თაოდ ფეჭზე დადგებიანა-დ ხუცესი იტყვის: დიდგორის ჯვარის სადიდებელი ასა-დ დალოცვილო დიდგორ ვეშაგო გიორგიო, შენა სამთავროდ, შენა გასამარჯოდ მაიჭმარ ეს სადიდებელი, შენ სწყალობდი შენ უღელდებულთ ახალ დამდგომთ დასტურთ (იტყვის სახელებს). მშვიდობით დადებულ. უღელ, მშვიდობით გადააჭდი, ნურას შაანანებ, კლოვ უკეთი გულით მახკერძი შენ სამსახურ დასტურ-ბუჯირობაი. – სწყალობდას! – აყვირდებიან ყველანი, - საწაღმართო მაუარას ახალ დამდგომთ დასტურთ, მშვიდობით ამყოფნას, მშვიდობით დადებულ უღელი, მშვიდობით გადააჭდიოს. ვინაც რას უფრო კას მაიგონებს, იძახიან. მემრ დასმენ ჯვარიონთ, მაიტანენ ჯვარიონნი ერთს საწდეს ლუდსა-დ ჩამაავლევენ დასტურთ სამწყალობნოს. ყველა სულუქცევრად გადასომს. დასტურთ სამწყალობნო თასს ჯვარიონთაც შაასმევენ. ხუცესი ადგებისად იტყვის წასულ წელი როგორ წავიდ, ან საჯვარო ჭირნახულები რაჭელ იყვ დამუშავებული. ან როგორ მაიტანეს, გალეწეს. წასულს წელს რა გაკეთდ ცუდად, რა გაკეთდ კარგად. მამავალს წელს ან დასტურმ რა უნდა გააკეთოსა-დ ან ხალხ რაის მევალეი ას, რო ჭელ შაუწყოს დასტურთ ამა თუ იმ საქმის კეთებაში. ამაზე ყველანი ისაუბრებენ, ყველა ეტყვის ერთუცს, ვინ ცხენს უტევდ ჭირნახულებში, ვის საქონი ლევდ ყანა-ძნასა-დ სხვაი. ამ საუბარს რო გაათავებენ, ჯვარიონნი წავლენ ბეღელშია-დ სოფელ თავის ჯარის წესს აგძელებს. სმენ, საუბრობენ, იმღერენ ფანდურზე საგმირო სიმღერეებსა-დ სხვ. დიდგორ შუღლ არ იციან, ძალიან იშვიათად თუ მახჭდას, ჩაერევიან დროშაითა-დ მაშივ გააშველებენ. აქ შუღლს დაღუპვად სთვლიან, ვინაც იშუღლებს იმისად, დიდგორის ჯვარ შუღლს არ იჭდენს. თუ მთვრალმ რა ვინ გაბედ, მაშინ დააჯურუმებენ ან ჭარით, ან კურეტით, რამთვენიმ ჩხუტ-ნაყარ ლუდით (რამდენი საწყავი ფქვილიც ჩაიყრება,იმდენ ნაყარს ეძახიან). დიდგორ ხუთი ას დროშაი, ხუთივ სხვა და სხვა სახელით ას, მაგალითად ერთს ხქვიან წკივარაული, წკივარაული ძალიან ხმიანი ზარით ას. მეორეს ხქვიან მგზავრი

დროშა, მესამეს საჯურუმო დროშაიდ სხო შუბიანები. მგზავრ დროშა დახყავ სოფლებში ღამისთევებზე. წკივარაული ას ადგილობრივ; შუბიანები იყვ ომიანობის დროს სახმარი, რომნებითაც ლაშქარს წინ გაუძღვებოდეს. საჯურუმო დროშას ჭმარობენ თუ დასაჯურუმებად ვინ გაჭდ (ჯურუმი: ჯარიმა). დაჯურუმება უფრო ჯვარჩი შუღლზე იციან. თუ ჯვარში ვინ იშუღლ, ჯვარიონნ გადაუწყვეტენ ჯურუმსა-დ თუ არ შაასრულ, სხვა დროშაებს რო მიაბძანებენ, საჯურუმო დროშას გასწირავენ კარში საჯურუმოს სამრისხველოდ. იქნების იქ, მანამ არ მიიყვანსა-დ არ შაასრულებს ჯურუმს. დროშაის კარში გაწირვა ჭევსურის კაცისად საბოლოო ამაწყვეტაი ას. ამაზე ძალიან გაწყრების დიდგორის ჯვარიც. სხვაკან თუ მახჭდ, სხვა ხთიშვილებიცა-დ, შვილ-შვილი-შვილით სრუ ამასწყვეტენ. ამით დროშას გარეთ თავის სამრისხველოდ არვინ გააწირვიებს. თაოდაც რო არაი ხქონდასა-დ ვერაით მაიშორას ჯურუმი, სახლისკაცები არ გააწირვიებენ დროშას კარში, ისენი მაიშორებენ ჯურუმს (ე.ი. გვარი გადაიხდის იმ ვალდებულებას, რაც მას აკისრია, თუ ვერ შესძლო. გვარი საყვედურს გამოუცხადებს დამნაშავეს და ამის შემდეგ სასტიკად გააფრთხილებს რო ასეთი დანაშაული აღარ ჩაიდინოს, როცა მეტი არ შეუძლია). კურეტი ასა, სადულარია, თუ სხვა რაი, მახკრეფენა-დ აისრ გადაიჭდიან. ჯურუმი დიდგორის ჯვარში ძალიან მძიმედ იციან. მაგალითად იმედათ მამუკამ ჭრა მამუკათ ივანე. ნაწოლს კისერში დაჭკრ ხანჯარი თავის მასაჭრელადა-დ ვერ მაშჭრ კი, იქავ მაარჩინეს. მამუკა მძიმედ დააჯურუმეს ამაზედ. შენავ დიდგორავ კაც დაშჭერიო-დ ბორტვის ნაკვეთებზედავ სისხლ ჩავიდავ. აქ სისხლის ჩასვლას არ იჭდენს დიდგორის ჯვარი (ბორტვის ნაკვეთი ის ალაგი, რაიც ჯვარს თავის გარშემო უჭერავ; აქ არც თიბა შეიძლების, არც ჭენაი, არც დადის ვინ აქ უდღეობოდ, დღეობაშიაც მარტო კაცებ დადიან, ქალებ ვერ გაიელიან. დიდგორის ჯვარს საკმაო დიდ ალაგიც უჭირავ. რაიც დიდგორისჯვარს უჭერავ, იქნების ბარულ ღესეტინა ხუთმეტ ან ოცამდინ) ბორტვის ნაკვეთივ კაცის უწმინდური სისხლით გააუწმიდურავ, მამუკას ამაზე დაავალეს: ხუთის წლის კურეტი ე.ი. ხარი დასაკლავად, ხუთის საწყვის ლუდი დიდგორის ჯვარჩი სადუღებლადა-დ ხუთის წერის მამული დიდგორის ჯვარისად შასაწირავად (წერი ჰქვიან სამოცდასამ ხევსურულ ძნას. ერთს წერს მოდის სამი საწყავი ქერი, ე.ი. სამი ფუთი. ხუთი წერის მამულზე წელიწადში მოვა ხუთმეტი ფუთი ქერი. მამული უნდა შესწიროს კარგი ადგილისა, სადაც კარგი ქერი მოდის). მამუკაის ჯალაფნი კარგად ცხოვრობენა-დ. ამათ დროშა კარში არ გაუწირვიებავ. მაშივ მიიყვანეს ჭარიდ დაკლეს. ლუდ კი მემრ ადუღეს, მამულზეითაც მიიტანეს მიწაი, ერთ საკლავ მიაყოლესა-დ შასწირეს ჯვარს, ხუთის წერისა კი არად ექვსის წერის მამულიც იქნებოდ.

დღეობა იციან, უშუღლარიდ, მშვიდობიანი. მაიტანენ ფანდურს, იმღერენ საგმირო სიმღერეებს, ამხნეებენ ერთუცს გარეთ მტრებისკესა-დ შინაურის ძმობისკეს.

ხანდიხან ფერჭისაის დამბა იციან. ქმოსტელ-როშკივნებისად საერთო ჭევსურეთის ბრძოლის სიმღერეს იმღერებენ, უფრო ისითს სიმღერეს, რომენს ომშიც აქ ნამყოფის ხალხის მამა-პაპანი იღებდეს მონაწილეოასა-დ. ამ ქმოსტ-როშკის მიდამოებში ხჭდებოდ. მაგალითად:

გაგაის ძოძივ გერჩიყვა, საყმო გეჭამა ჭკვითაო,
ყანა გეჭნ, ჭარი გელალა, ჯოხი მაგეჭრა ტყისაო.

.. ჭევსურეთ რად მახვიდოდი, მართული თავის ყმითაო,
გიკვეხნაე საფეხვნოჩია: სავსე მაგიოლთ ტყვითაო,
საძელეს დაგხვდეს ვეშაგნი, დალესულების ჭმლითაო და ა.შ.

ესეთ სიმღერებს რო იმღერებენ, ახლა ამ ხალხის შასანდობარს შასემენ, რომენ ხალხიც ამ სიმღერებში სტანავ მეომრები (ხევსურებს ასეთი ჩვეულება აქვთ: თუ სადმე ძველის მცოდნე ხევსური ეგულებათ, ახალგაზრდები სხვა სოფლებიდანაც მიდიან, ეკითხებიან ძველ ამბებს და იხსომებენ.

ეს ის ახალგაზრდები, რომლებიც მონდომებული არიან იცოდნენ ხევსურეთის ძველი წარსული ცხოვრება, ხევსურულის გამოთქმით ანდრეზი. ხნიერი ხალხიც თავს ვალდებულად თვლის რომ ახალგაზრდებს მოუყვენ ძველი ამბები და ასწავლონ. ავალდებულებენ კიდეც ახალგაზრდებს: "მე სრუ ცოცხალ არ ვიქნები, უნდა დაისწავლას ე-ნაუბარი, გულ უნდა აძლიოს რას ვინ ამბობსა-დ იცოდას ძველი-ახალი ყველაი, ერუ მუჯ არ უნდა იყოსო". ასწავლიან და ვინც ბევრს ისწავლის, ის ხევსურეთში ითვლება მცოდნე, სახელოვან და კარგ კაცად. ხევსურულ რჯულში ისინი ხშირად იღებენ მონაწილეობას და მეტის სახელით და პატივით სარგებლობენ მოსახლეობაში).

აღება დღიდგეს მარხოშამასვლამდენ იციან სოფელში არაყები, ერთუცის წევა, სმაი-დ ქეიფობა, შუღლიც ამ სოფელჩი სასმლოის დროს ჭშირად იციან. თუ ერთუცის ჯავრ ვის შჭირს, სასმელში მაუგონებენ ერთუცს ჯავრსა-დ დარილით შამახკვრენ ღაჯიაით, ის ხანჯარს მაუყოლებს, მეორე იმას მიეშველების, მესამე იმასა-დ მთელ გვარები დაერევიან ერთმანეცსა-დ დგას იარაღის ჯახჯუხი, სისხლიან ნაჭრევიანი ხალხი, ტირილ-წკმუტუნი, მეშვლობა დიაცებისა. ზოგჯერ დილას შამბულ შუღლი, წუხრამდე არ გათავდების, წუხრ შაბმულ დილამდე. მემრ ამას კაც-შუაკაცობაი-დ შარიგებაი შჭირდების (ამ კაც – შუაკაცობის შესახებ ნათქვამია აქავე, უკანსაღუს აღწერილობაში).

მარხო–შამაე

ეს კვირაეიც რო გაივლის, ქეიფობითად დროს ტარებით. მავ მარხო-შამაე დღეიც. მარხო-შამაეს შაბათს იციან ტალავრის გაშლაი-დ ჭმით ტირილი. ტალავარს რო გაშლიან, მავ ერთიანა სოფლის დიაცები-დ ტირიან ჭმითაც, ძახილითაც, დათვლითაც. ჭირის პატრონს თუ რა სასმელ უდგას, სასმელსაც შაასმევენ დიაცებს, თუ არადა ამ დღეს ძღოლა არა იციან, მარტო პურ-სატანს მაუტანენად იმას აჭმევენ. წუხრისად ყველა ამზადებს ოჭშამს: ზოგ ხინკლებს, ზოგი კეცეულებსა-დ, ზოგი ფაფასაც ადუღებს, არაყ ყველას უდგას, თუ ძალიანაოდ ღარიბ არ ას.

მეორეს წუხრას, კვირაეს რო დაღამდების, მარხო-შამაეი ას. მაშინაც ოჭშამს ყველა ამზადებს. ყველა ერთუცს აწევს. ოჭშამს რო დაამზადებენა-დ გადმაზდგმენ ტაბლას, სახლის უფროსი მაიჭდის ქუდს, ამახკრავს გამდნარს ერბოს ერაწშიით, ჩაასხამს ცეცხლშია-დ იტყვის: ღმერთო, დალოცვილო, დიდო დიდგორ ვეშაგო გიორგიო, ჭევსურეთის სალოცავებო, თქვენ გეკედრებითა გეხვეწებით, თქვენ

გამიგონეთ ნაძახები-დ ბევრ მარხო შამაე მშვიდობისა მაგვგვარეთ, თვალ-გულს ნუვისას მამრევთ დალოცვილნო, თქვენ უშველეთ ჩემს ხიზანსა-დ ჩემებს ძმებს. ღმერთო დალოცვილო, საქონის ღალის ნათავარი ას (ერბოს რომ ღერის ცეცხლში, ლაპარაკი იმაზე არის), შენ უშველი ჩვენს ყუდროში კაცსა-დ საქონსაც. მადლი ბარაქა დაგვიტანი ნაქონსაცა-დ საქონსაც, ჯვარი დაგვიწერი, წელ ღალიან ბარაქიან მაგვეც. ამ სიტყვებს რო საუბრობს, თან ცეცხლში ერბოს ასხამსა-დ ადის ერბოს ალი. მემრ თუ ქადისკვრები ას, დასჭრის ნაწვრეთებად, ჩაუდგამს შუაში ან ერბოიანს ჯამსად ან ერაწს (ერაწი პატარა ქვაბი სპილენძისა, ან თუჯისა, რაშიც ადნობენ ერბოს) თუ სტუმრები ხყავ, მასპინძელი ყველას ხელში ჩამაურიგებს თითო ნაწვრეთს. ესენიც მახჭლეჩენ ნაწვრეთს წვერსა-დ დაილოცვენ თითოობით: "ღმერთო უშველი მასპინძელს, მშვიდობით ამყოფი, ბევრ მარხოშამაე მშვიდობისა მაღგვარი, გაახარ დიასახლისიც, ნუ დაულევ სახლისა-დ ჭელის ბარაქას". მასპინძელი ჯერ ფეჭზე დადგებისა-დ დასმენ დიდის ამბვით, დაჯედივ, ჩვენის გულისად რა ფეჭზე ზდგებივ. რო დაჯდების, გადეეკიდებიან ქუდი დაიხურევ, ჩვენის გულისად რა ქუდს იჭდივ. რას ამბობთ, თქვენს დღეგძელობას, სტუმრები ხართ, ვის უკეთესს მაუჭდი ქუდსავ, ეტყვის მასპინძელი, ხანდახან ახალგაზდები ფეჭზე დადგებიან სტუმრის პატივსაცემად. მასპინძელიც აიღებს ნაწვრეთს. მახჭლეჩს წვერს, ჩააწებს ერბოშიად იტყვის: "ღმეროო დალოცვილო, გვიდღეგძელი ეჰ-სტუმრები, ნუ გამაგვართომ ამეების თავს, ნუ მაგვიშლ ამეების მშვიდობით სტუმრობასა-დ მაგვგვარენ ბევრჯელ მშვიდობით".

ღმერთმა გიშველას, ან – ღმერთმა გაცოცხლოს, ან – ღმერთმა გადღეგძელას. პურის ჭამას რო გაათავებენ,დაიჭერენ ჭელჩი უკენობის ლუკმასა-დ იტყვიან: "ღმერთო უშველი ჩვენს მასპინძელს, ამყოფი მშვიდობით, გაახარი დიასახლისიც, ნუ დაულევ სახლისა-დ ჭელის ბარაქას. გაუმარჯვი ფეჭზე მდგომებსაც, ჭელფეკი შაარჩინი".

– "ღმერთმა გაცოცხლას" – ეტყვიან ყველანი. სტუმრები ძალიან ცოტას ჭამენა-დ. მალე ანებებენ თავს. ჭევსურეთ სირცხვილად მიაჩნიავ სასტუმროს ბევრის პურის ჭამაი, იმით დიდ სირცხვილი სტუმრის წინ პურის გაწირვა მასპინძლისაგან. მემრე ქარმიჯის დაძალადება იციან. (სიტყვა "ქარმიჯი" არ ვიცი სადაურია). სტუმრები ჭამას რომ თავს ანებებენ, მასპინძელი აიღებს კეცეულია თუ ხინკალი და ერბოში ჩაყრის. აძალადების სტუმრებს: "ქარმიჯი შაჭამევ", დალოცეე ფეჭზე მდგომებიე, დიასახლისივ,ან სხვას ვის მაიგონებენა-დ ძალით აჭმევენ თითო ლუკმობით. ჭამის დროს სმა არ იციან. ჯერ სასმელს სმენა-დ მემრ საჭმელს მაიტანენ. ხოლოთ ჭამის დროს თითოს კარახანას შაასმევენ სტუმრებსაცა-დ. მასპინძელიც შასომს.

ურწყის ორშაბათი

გათენდების ურწყის ორშაბათი. ურწყის ოშაბათ ჭელუძრავ უქმი ას, ამ დღეს არც კაც რას აკეთებსა-დ არც დიაცი, ყველა უქმად ას. ჭევსურები ამბობენ: ურწყნი დიაცის სახით არიან. ესენ აღარც სრულ ეშმაკებ არიანა-დ აღარც ანგელოზები. ისენ წინავ ანგელოზებ ყოფილან. დაუშავებავ, უწყენავ რაიმ ხთის ნასახთად. ხთის ნასახთ მარიგის ღმერთისად უთქომ, იმას დაუწყეველიან ურწყნი-დ გადმაუყრიან

დაბლა. მემრ იმათ უთხოვაე რო იმთვენ მაინც გვაპატივევ, რო ორ დღე მაგვეცივ ერთი მარხვისაიო-დ ერთ ჭსნილისაივ. მაშინ ღმერთს ერთ მარხვის წინა ორშაბათ მიუცავის იმათადა-დ ერთი მარხვა რო გავ, აჭვსების ორშაბათი. ეს ორ დღე იმათაი ას, ისენ დადიან ყველკან. ყველას ათვალიერებენ. კაცის ანგელოზს კი ისენი ვერ მაერევიანა-დ დიაც-ყმაწვილ რო ჩაიგდან ჭელჩი ველთ გასულ კი, ქვეც დახჭელთვენ. მარიგეს უთქომ იმათად რო, თუ ამ დროს კაცთაზე ცუდს რას ღნახვენ, მაუტანან ამბავი ხთისნასახთა-დ ისენი ნებას მისცემენ რო ვინაც ცუდს ჩადის, იმას ავნან, – ან აოდ გაჭადან, ან დაჭელთან, ან სხო მარცხი-ბირკოლ რა მახკერძან. იმით ამ დღეს ყველა ძალიან მთხილად-ას, არც ცუდს რას ვინ იტყვის, არც ხმამაღლად ვის აშჩქამდებიან, ნამეტნავად დიაც-ყმაწვილი, ურწყის ორშაბათიდგეს მავ მ გ ე ლ თ უ ქ მ ი.

მგელთ უქმი

მგელთ უქმს უქმობენ ჭელუძრავად. მადის დიდმარხვის ერთ კვირაე რო გაივლის სულთაკრეფის წინას შებათს. მგელთ უქმ თუ არ შაინახ, მგელნი ან ცხვარს უზარალებანა-დ ან საქონს. ყველამ უნდა იუქმას. ვინაც არ იუქმებს, ისიც მარიგის ხთისაგან აქვ მგელთ მალოცვილ, რო გაიგანად აზარალან მგელთ უქმის გამტეხი. "ჩვენს სოფელში, - ამბობს ბერდია, - ჩემობას ვინაც ეგ უქმ გატეხ, მაინც არ მ,აშჩ. იმ წელს თუ არ, მეორე წელს მაინც რაით აზარალეს მგელთ". მგლისად პირის შაკვრაიც იციან: საპარსველს დაახვევენ მუშსა-დ იტყვიან: "მგელო პირიმც შაგეკვრის,ჩემს საქონსამც ნუ დააზიანებ". ამას რო იზმენ. მემრ მგელ ლაშართხმულ დარჩებისა-დ, ველარ შაშჭამს იმის საქონს. ამ დღეს ბიჭონს დააჭალებენ თუ იშოეს სიმინდისას, თუ არადა ქერისას ან სვილისას, უფრო კი სვილის ბიჭონს აჭალებენ იმით რო სიმინდი ჭევსურეთ ძვირად ვის აქვ, ქერის ბიჭონ ქვე არ ვარგ. ბიჭონს სახელს დაზდებენ თუ ყაწვილებ ვის ხყავ დაჭოცილები, იმეებისად, ჩაუყრიან ყაწვილებსა-დ ჭამენ მთელ დღეს, მგელს რო პირს შაუკვრენ. ზოგი კი უშლის ამას, რო ცოდოი ასავ მგლისად პირის შაკვრაივ. ვინიცისავ, სად რომენს მგელს შაეკვრისავ პირივ. იქნება რომენიც პირის შამკრავის საქონსთან მავავ, იმას არ შაეკრასავ. ერთერთს მგელს შაეკვრისავ პირიო-დ რომენსავ, ის არავინ იცისავ.

ამით უშლიან მგლისად პირის შაკვრას ერთმანეთს, უფრო უფროს კაცები-დ ჯვარის ჭელკაცები. მგელთ უქმის სწორზე დიდ მარხვის მეორეს შაბათს იციან სულთ აკრეფა.

სულთაკრეფა

როშკას სულთაკრეფას ყველა გამასწურავს არაყს. ჭირის პატრონი, ვისაც მკვდარს სიკვდილიდგეს წელ არ აქვ გათაული-დ სულთაკრეფის რიგ არ უქნავ, ლუდს ადუღებს. ადუღებს შინ. კოდიც თავის ჭერხოში უდგას. შაბათს დილას დააცხობენ სამარხო პურებს – ლაოშებს,ვაცებს, ადუღებს ყველა დოხანს. მემრ

ჭირის პატრონებ შაიყრებიან ერთადა-დ გახყოფენ ხალხს ე.ი. სოფელს იმთვანად, რამთვენიც ჭირის პატრონი ას. ვინაც ვის ერგების, წაღლალვენ მაწევარსა-დ იმ ხალხს აწევენ, კაცი, დიაც ყველა მივ (ხალხის გაყოფა და ისე დაპატიუება მარტო როშკაში არის ჩვეულება, სხვა სოფლებში ისე იციან: ჯერ ერთ ჭირის პატრონთან მივა მთელი სოფელი, მერე სხვასთან და ასე შემდეგ. როშკაში კი სოფლის მცხოვრებთ იმდენ ნაწილად ყოფენ, რამდენიც ჭირის პატრონია და თავის ხვედრ ხალხს დაპატიუებს ყველა. ეს ალბათ ხარჯის ეკონომიის გულისთვის. ჭირის პატრონი კოდსთან გაშლის ფარდაგს, დააწყობს ზედ სამარხო პურებს, მიიტანს დოხნიან ქვაბსად დაზდგამს. მარილს დახყრიან პურებზე,კოდს სანთელს დააკვრენ, ამაიღებენ ერთ საწდე ლუდსა-დ დაზდგმენ ტაბლაზე, არაყსაც მაიტანენ ქინთითა-დ დაზდებენ ტაბლასთან, თულუხით წყალს დაზდგმენ, ყველა სასმელშიით დაასხმენ თასებსა-დ ყანწებში. ყანწებს ხალხ დაიჭერს ჭელჩი, ლუდიანებს თასებს ყველას დაზდგმენ (ყანწებს იმით იჭერენ ხელში რომ არაზე დაიდგმის, ხან კი იციან რო ყანწებსაც პურის კვერებში ჩააშჭობენ ძირებით). წყალსაც წამაასხმენ ან წიწანშია-დ თუ აქვ კრუშკაში, ამასაც დაზდგმენ (წიწანი: სულ პატარა ჯამი) მემრ ყველა ანთებულს სანთელს დააკვრენ, დადგების სულის ხუცესი[1] პირ-ამასახედისკესა-დ გაუდგების სულის ხუცობათ:

"ღმერთო დიდება შენდა, ღმერთო მადლი შენდა, ღმერთო უშველი ამ მასპინძელს (სახელი) ჭირის პატრონს, მარჭეს ნუღარას დააღირებ. აკმა ზარალ ზარალად,მარცხი,ზიან ზიანად. კლოვ ლხინზე შაუცვალი ეს ტაბლაიცა-დ ლხინის მაკეთე-მამკითხავ უდინი დღეს ამას იქით. ღმერთო უშველ ამ მასულ მაწეულ ხალხსაცა-დ მარჭეზე შინაც ლხინ მიეც. სულთა გვიწყალენ, გვაკურთხენ, კურთხევითა მაღლისა ხთისითა, გვიწყალნეს ჩვენ დიდისა წყალობითა, მრავლითა მოწყალებითა ვარა დღე, ვახარე ვარა დღესა ამას სულისასა, უხარწესი ესე წერილი იყვა, რომენმა შახკაფე ჯოჯოხეთი ძალითა და შაძლებითა მყოლის მამისითა ჯვარისა წმიდისითა. სულნი ნათლად გამაასხენ და შაასხენ წრიაღსა რომენსა აბრამისასა, წმიდანო ანგელოზნო, სულთ ამბოკვარნო, სულთა მაყარნო, დიაკონო ქორო პირველო, იორდანეს წყალზე გარდმანახდებოდა ნათელი ნაკურთხეველსა, კურთხეულიმც ხარ შენ უფალო ჩვენთაო ქებულო და დიდებულო მამათაგან ჩვენთა, დიდებაო. დიდები ამაღლებულო ჩვენ ქებით შავსწირავთ ზღვენთა დიდებისათა, შავსწირავთ ანგელოზთა სალსა გალობასა, შენ უთხარ იერუმსალეთისაო. შენ იყავ იერუმსალეთს ნატრიელო. სტეფანო სანატრელო, ხთისაო გვირგვინ დამოსვილო. ქრისტეს დაწამებულო. რომენთა მუცელთა ქალწულისათა შახკაფენ ცანი ანგელოზთანი. ხოყანანი ქრისტე პატიოსანი, ნება იყო უფალო არცა ძალი, ხსნილობა განისვენება იყო ვისადაც სანთელ ენთების, ტაბლა ეგების, სულწმიდა მაიჭსენების, სულსამც შენს მაეჭმარების, დადგმულ ტაბლა, კოდი, სანთელი, დადგმულნი თასნი, ავსებულნ ყანწინი, ჭურჭელი. შენსამც სულს ანათებს, ანათლიერებს, აიაღებს, ცოდვასამც გჭდის, მსჯელსა მჯავრესამც გარიდებს, სამძიმარსამც გიზუბუქებს. ცოდვანიმც შაგენდობიან ენით ნათქვამი, ჭელით ნაქნარი, წინ მაგებებულ, უკენ მაწეული, ყურით განაგონარი. სიკვდილის ღღეს დამწყედეულს თვალით ნახულიდ

[1] სულის ხუცესი სხვა არის. ის არ ხუცობს ამ ამბავზე, რომელიც ჯვარის ხუცესია. სულის ხუცესი ის გახდება, ვინც ისწავლის სულის ხუცობას. ჯვარის ხუცესი კი დგება ჯვარისა და მკითხაველების საშუალებით.

ვერ დამალული. შენისამც ცოდვის მჭდელი, ცოდვისამც მადლად მქმნელი, თუ რა სულმკვდარ გაწუხებდასთ, შანდობას გველოდას, ჩვენ ვერ ვგონობდათ, თქვენითამც ნებით დაიწევთ ტაბლაზე, ძალითამც ნუვინ გამაგეკიდებისთ, ფერუქცევლად ეემ სინათლით თქვენამც ხჭმარობთ. გარგასთ. შაგინდნასთ ღმერთმ მრავალთა მაწყალება. მასპინძელს ბარაქასამც აძლევთ, ავსა მარჭესამც ნულარას მახკერძებთ".

— "შეუნდნას მააჭმარას ღმერთმა ქრისტიანობის გამჩენმ" — იტყვიან ყველანი. აიღებენ თასებსაცა-დ ჩამაურიგებენ ყველას. ყველა თითოობით დაილოცების: "აგაშენასთ ღმერთმ (მასპინძელის სახელი) ბარაქა მაგცასთ, მშვიდობით გამყოფნასთ, მარჭეი-დ ავ ნულარა მაგცასთ, ნულარა დაგაღირასთ, ლხინზე შაგიცვალასთ. ეს ტაბლაიცა-დ მაკეთე-მამკითხავიც. თქვენ ავზედა-დ ურიგოზე ნულარავინ გაგსაჯნასთ-დაგხარჯნასთ, ლხინზე გადინნასთ დღეს ამას იქით მაკეთისასაცა-დ შინაც ლხინ მაგცასთ. შაუნდნას ვისადაც ილოცების კი, მააჭმარას. შასმენ ყველანი კოდსთან თითოს თასს. მემრ მასპინძელ გადმასპატიჯებსა-დ დასხამს ხალხს. წეღან დაგვცილდ: კოდსთან ტალავართაც დააწყობენ გაშლით, ფარდაგზედ. ზედ ერთს ფეჯს სანთელს დააკვრენა-დ ილოცებიან ტაბლასთანა-დ წაიღებენ კარში. იქ ან ბანზე გაშლიანა-დ ან კარში. დაიწყებენ დიაცები ჯერ ძახილით ტირილს, მემრ ჭმით მატირალს ატირებენა-დ ქვითინით აძლევენ ბანს. რო დაიღალებიან, დადუმდებიან მებურნითეები ერთიმეორეს ბურნითს მააწევიებენ (ხევსურეთში ბურნუთის წევა ქალებში ძალიან გავრცელებულია და ზოგიერთი კაცებიც ეწევიან).

მემრ ორ დიაცი იქავ ასწევს ტალავართა-დ მიიტანენ იმ ტახტში, რომენიც ტალავართად ას დათმობილი, ფარდაგით ჩაზდებენ, დააწყობენ ლამაზად, ზედ ნაბადს დახურვენ. მემრ დიაცებს დაუდგმენ ტაბლას სამარხოს, ჭმიად-ლაოშებს, მარილსა-დ დოხანს. დიაცებიც განაწილებული ხყავ ჭირის პატრონებსა-დ წილად ნამრგლები შინ წაყვანილები, მაგრამ ტირილში სადაც ჭმითმატირლებ მეტ შახვდების, მეორეთ ტალავართაზეითაც კაცს მაულალვენა-დ წაიყვანენ ჭმითმატირალს. კაცებს ცალკე დაუდგმენ სამარხო ტაბლასა-დ ასმევენ ლუდ-არაყს. ტირილში კაცებ აქ არასდროს არ ღებულობენ მონაწილეობას. ხმითტირილში კი იციან ზოგებმ კაცებმ ახლოს მისვლაი-დ ყურობენ ნატირალს, ესიც ხნიერებმ იციან. როსაც ჭმითმატირალი ძველებს კეებს ოშკაცებს ვის შაატირებს, მაშინ ცრემლებ ჩამაედინების კაცსაც. ესიც ძვირად ვინ იცის. კაცის ტირილი სირცხვილ ას. ნამეტნავად ახალგაზრდებისა.

ჭირის პატრონებისას სმა რო მოთავდების, ამ დროს გაიტანენ სათოფეებსად, დააყენებენ ისეთისავ წესით რაჭელიც წესი სხვა ხევსურეთ ას (ეს წესები აწერილია არხოტშიც და ხადუშიც). თოფებს ჯერ წილის ყრით აჭლიანად მემრ უწილოდ დაიწყებენ ჭლას. კაცებ როსაც სათოფეებს აჭლიან თოფს, ყმაწვილები ამ დროს ვაცებს დააყენებენად აჭლიან ისრებს. ისრები აქაც ეკლისებ იციანა-დ მშვილდები დგნალისა, ან არყისა, შოთხისა. საბამს დაღგრეხენ კანაფისას რო მაგარ გამავიდას. წინავ ზროიც იცოდეს ისრისად რკინისა, სათოფეებზედა ვაცებზე რაიც დგების, იმას ის იტანს, ვინაც ან ვაცს აიტანსად ან სათოფეს (ეს ყველაფერი ნათქვამია და სრულდება იგეთივე წესით). სათოფეებსთანაც მიაქვ ჭირისპატრონებს სასმელი-დ ასმევენ ხალხს. სხვა ახალ წესი აქ არა იციან. რაიც სხვა ჭევსურეთ, აქაც აისრ ას. სულთაკრეფიდგე მავ მარხოშუობა.

მარხოშუობა

მარხოშუობაი ას მარხვან რო დასაშუელდებიან ოთხშაბათს დღეს. მარხოშუობას ყველა საკსნილოს ამზადებს, უფრო ხინკალს. ამ დღეს მკვდართადაც საკსნილოს ხდებენ სახელს. მარხოშუობას საკსნილოსად დადებულ სახელიე ძალიან მიუდისავ მკვდართავ მადლადავ, - ამბობენ. ზოგი არაყსაც ამზადებს. უფრო ჭირის პატრონები, საკსნილოს ტაბლასა-დ სასმელს ერთად ზდებენ სახელსა ამით უძღვებიან მასულ-მაწეულს ხალხს. ამ დღეს დიაცები ტალავარსაც შლიანა-დ ტირიან. ამეებსაც საკსნილოდ უძღვებიან. მარხოშოუბას აქაც უქმობენ. ამ დღეს გაკეთებულ საქმეიე ორად იყოფისავ, იციან. შვილიანმ რო იმუშავასავ, შვილნიც უსწორდებიანავ, ამითაც ას რო არ მუშაობენ ამ დღეს. ფირჩხილ რო მაიჭრას, ამ დღეს მაჭრილ ფირჩხილიც ორად გაყრილ გამავ. სხვა ახალ წესი არაი-ას მარხოშუობას. ამის მესამეს დღეს შაბათს მავ თაგვ-ჩიტთ უქმი.

თაგვ - ჩიტთ უქმი

თაგვ-ჩიტთ უქმსაც ჭელუძრავად უქმობენ. ეს უქმიე რო გატეხასავ იციან, თაგვებიე სახლშიაო-დ გარეთავ უქმის გამტეხისას რასაც გაეწევიანავ, ყველას დაშჭრიანავ. ქალმ თუ გატეხავ. მძინარსავ თმის ნაჭაპნსაც კი მაშჭრიანავ. ტალავარსაც დაუჭრიანავ, თიკვ-ნჭერსაცავ. ველზე ყანებსაც სრუ გაშჭრიანავ. ჩიტებ კიდევ მამულებზე ყანებს გაგინადგურებენავ ეტყვიან ერთუცს, თუ უქმ ვინ გატეხ. ჩიტებ შაესევიან იმის ყანებსა-დ სრუ გაათავებენ. ამ დღეს ყველა აკალებს ბიჭონსა, ყველა ჭამს. სხვა ახალ წესი არცრა ამას აქვ. ამის შემდეგ მავ კუდიან წუხრა.

კუდიან-წუხრა

კუდიან-წუხრაი ას აკვესების ხუთშაბათს წუხრას. დღისითავ ყმაწვილები ამზადებენ ისრებს, ოკებს, ტოშოლაებს. მააგროებენ ბევრს ნაშომპალას. მაიტანენ ეკალს, დაუშჭობენ სახლს კარებისა-დ საკვმების თავებზე. სადაც საქონის პატივს აგროებენ, იმაზედაც კიდევ ეკალს დააშჭობენ, რო მამულზე რო გაიტანენ, ეშმაკი-დ კუდიანი არ ხყვანდას დაპატრონებული. რო დაღამდების, ყველა თაყთავის კარჩი დაანთებს დიდს ცეცხლს, ხტებიან ახალგაზდაები ცეცხლზე. ყმაწვილები ჩასხმენ ცეცხლში ძირებით ოკებს, ისრევ ტოშოლაებსად ღრეკენ ცეცხლ წაკიდებულებს. თითო გარეკაზე იძახებენ: "გრიაი-გრის კუდიანთა; ჩვენიმც ნურა მიგაქვისთ, თავისა შასვითა შაჭამეთ". ჩვეულებრივად თოფებსაც ისრევენ. მემრ ერთი აიღებს ნიგვზურას ცეცხლიანს, შამაუვლის სახლთ სიმირგვლივ, ერთ ჭელჩი ხანჯარ უჭერაკა-დ, ერთში ცეცხლი. მემრ აკდებისა-დ მაღალბანს შამაუვლევს ცეცხლსა ხანჯარს. მემრ ნიგვზურას ხანჯრით დაუჭდევს, გაისრევსად იძახებს:

“დაიშანთენით კუდიანებო, თავისა შასვითა შაჭამეთ, ჩემიმც ნურა მიგაქვისთ”. კუდიანები აქაც ისრ სწამს, რაჭელც სხო ჭევსურეთ'ში (ამის ირგვლივ დაწერილი არის უკანხადუს კუდიან წუხრის აღწერილობაში). სმინაობა აქაც იციან. მესმინაედ ვინაც დაჯდებისავ, ისივ კუდიანების ძახილს გაიგონებსაო-დ ყველა ეცოდინებისავ ვინ როს მოკვდებისავ, ვის რა მაუვავ. ყველას გაიგონებსაო-დ ხოლოთ საუბრის ნება არ აქვავ, რაიც გაიგონავ ვერვის ეტყვისავ. კუდიან დღეს დიაც-ყმაწვილ შიშით სოფელს ვერ გასცილდების. კუდიანებ მაიტაროცებენაო-დ გამაღვიძლვენავ. კაცებს კი არ ეშინიან. კაცსავ დიდ ანგელოზი ხპატრონობსავ, იციან, ეშმაკიო-დ კუდიანივ მარჯვედ ვერ მიუდგებიანავ ახლოსავ. აჩხოტის მინდორჩიით რო დაბრუნდებიან, თუ ბევრნ შახვდეს კი, კაცისადაც სამთხილოი, დაკლათს მაღრევენა-დ გამაღვიძლვენ, ან სხვას რას ავნებენ. ამ დიდს ხუთშაბათს წერის კვერათ გამაცხობაიც იციან. იმ დღეს იპორნილაებენ უცოლო ვაჟები-დ უქმრო ქალები (პორნილაობა: პურის არ ჭამა). დილიდგე წუხრამდინ არც ჭამენ, არც სმენ. მემრ წუხრ დააცხობენ მარილიან კვერებს სამ-სამს. ორწილ ფქვილში მესამედს მარილს გაურევენა-დ გამააცხობენ. ძილის დროს სამ-სამს შაშჭამს თითოი (ნაცნობ-მეგობარი ქალ-ვაჟები დაპირდებიან ერთიმეორეს პორნილაობას, პირობას დასდებენ რომ ვინც ნახონ სიზმარში, ერთიმეორეს უთხრან. მოიყრიან თავს სამი, ოთხი და მეტიც, ან ორი, მარტოც შეიძლება, რომ არავინ არ იცოდეს სხვამ. ერთად აცხობენ, ერთად ჭამენ). რო დაწვებიან დასაძინებლად, იმ არე-მარეს წყალ არცად არ უნდა იყოს, რო მასწყურდას არ შასოს კაცმ. მასწყურდების ძალიან წყალი-დ სიზმარჩი თუ ნახ რო წყალ ვინ მაუტანა შაასმივ, ისი იმის წერის საქმროი, ან საცოლო. მე გამიგონავ ისეთ საძაგელმ ქალმ შამასმივავ წყალივ სიზმარშიავ, რო შამაშინავ. რო მამგვარესავ ცოლივ, დაუაზრეოდ აის სურათ მამეჩვენავ, რაიღ ვქნაევ, ვთქვიავ, ეს ჯადო ყოფილავ ჩემის წერისაივ. აისრავ ქალისა გამიგონავ რო ისეთ ცუდმ კაცმ შამასმივავ წყალივ რო საშინელ იყვავ. რო წამიყვანესაო-დ ქმარი ვნახავ, შამაშინავ ისით ცუდად მამეჩვენავ.

აჭვსების შაბათი

აჭვსების შაბათს ჭირისპატრონებს აქვ არაყი გამაწურვილი. გამააცხობენ სამარხო ლაშ-ჭმიადებს,ადუღებენ დოხანს, დაზდებენ სამარხო ტაბლას სახელს, უძახებენ სოფლის ღედროვანსა-დ გაშლიან ტალავარს. ჩაუსხმენ ჯამებში დოხანსა-დ, ჩამაურიგებენ ყველას. ასმევენ არაყსაც. მემრ სხვაკან, თუ გასწორებულ არ ხყავ ხალხი, მაგრამ აქ ისით ჩვეულებაი, რო ასწორებენ დიაცებსაცა-დ ვისაც ვისთან წასვლა ერგების. თუ ძალიან გულსამტკივნო მკვდარი, ან დედისერთაი, ან კაის ცხოვრებისა იყვა-დ ძე შვილ არ დაშჩა-დ, იმის წილი სხვათ შჩების,მაშინ ამ დღეს ლუდის დუღებაი-დ ხალხისად კარგად გაძღოლაიც იციან. ეს გააჩნავ იმას, ვის რაჭელ ქონება-ი აქვა-დ ვის რაჭელ რა ექჩერების თავის მკვდრისად. ზოგ კაცი-ას რო თავის ქონებას სრუ მკვდრებისად ლოცვაში ხარჯავს. ეს ისეთ კაცმ იცის, რომენსაც ცოლშვილია, თუ ქმარშვილი

სრუ დაჭოცილი ხყავა-დ, აღარ ვინ დარჩ. ცხენთ რბოლება მკვდრისად ერთხან ას წესი-დ ზოგი სამი-ოთხჯერ არბოლებს ცხენთ – იმის ოფლი ასაო-დ იმას მახჭმარდასავ, იტყვიან. შაბათს კიდევ იციან პორნილაობა, ზოგი წუხრამდენ არ ჭამს პურსა-დ. ამას ხქვიან შაბათის პორნილაობა, ეს ცხოვრებაში უწყობს ჭელს, ცხვარ საქონი-დ სხვა ქონება, ხეირიანად წავ, თუ შაბათს მალე პურ არ ჭამ. ზოგმ ოჯახმ იცის რო ყმაწვილებსაც კიდევ არ აჭმევენ დილას მალედ პურს. თუ მალედ პურ არ ჭამ, მაინც რაით იხეირებს კაცი-დ მაინც, ან მახჭელავს რას, ან სხვას სარგებლოაბას რას ღნახავს.

აჭესებას წუხრას ჯვარიონნი ჩვეულებრივად ემზადებიან. მიიტანენ, დაღრეცხენ თას-განძსა-დ დააწყობენ თავის ადგილზე. ლუდს ჩახენებს მესაფუვრე წინას დღესავა-დ მაუელის რაჭელაც საჭიროი ას. დღისით მივ კოდსთან, აანთებს სანთელს, ჩახენებს ლუდსა-დ მააყრევს რაიც მადგმული აქვ კიდევ ჭიჭი, მემრ მიუტანენ ერთს ცოტას ქადასა-დ ზედ ჭმიადებს, დაზდებენ ფიცარზე, ხუცეს კოდშიით ამახკრავს სახუცო კოჭობით ლუდს,დაზდგამს იმ ფიცარზე, რომენზედაც ქადაი ას კოდის გასახსნელად მატანილი. დააკრავს ერთ ფეჭ სანთელსა-დ შაუდგების ხუცობას კოდის გაჭსნის წესით: "შენა სამთავრო-გასამარჯოდ მაიჭმარი დიდო დიდგორ ვეშაგო გიორგიო ეს კოდ-საფუარი, ჭიქა-ბარზიმ, სადიდებელი; შენ დასტურ-ბუჯირთად, შენის საყმოსად, ჩდილ-მზისპირისად. გეძახს შენ საყმო, ჩდილ-მზისპირი, გეხვეწების, შაიხვეწი, შენ დავლათ დააჭმარი, მე შენდ შამამიხვეწებავ, შენ შენს გამჩენს მორიგეს ღმერთის შაახვეწი"...

ამას მახყვების ხუცობისაი-დ კურთხევის გაგრძელება, როგორაც ნათქვამი ას სხვა დღეობებში კოდის გაჭსნის დროს. ხუცობა-კურთხევას რო გაათავებს ხუცესი, დაამწყალობნებს დასტურ-ბუჯირთა-დ საყმო-საგლეხოს. სხვა იქ მყოფებიც დაამწყალობნებენ, რომნებიც შორიახლოს დგან ქუდმაჭდილები-დ იწერენ პირჯვარს. მემრ შაუსახელებს ხუცესი კიდევ თავის წესის მიხედვით ჭიქა-ბარზიმსა-დ იტყვის: "ჯვართ დიდებაი-დ" ისებიც ცოცოტას შასმენ. მემრ აქ რო ყველა წესებ შასრულდების,გამაიტანენ საწდით ლუდს,დააწყობენ ღამისამთელოს,დაზდგმენ ლუდიანებს თასებს, ან სამს, ან ხუთს, შაიძლების მეტიც დადგანა-დ შაუდგების ხუცესი ხუცობას. ის როსაც ხუცობს, მეზარე გამავად ზარის რეკას დაიწყებს. ზარსთან ძალიან ხათრითა-დ მადლის თხოვით მივ, ან მუჭლისკერით მიგოგდების, მივ ზარსთან მუჭლით ზისა-დ ამბობს: "დიდება ძალსა შენსა მეზარეო ანგელოზო, ნუ შამისწყინდები, ნურაის ინაბარს ჩამიდებ, მაპატივი ჭორციელს, ჩემი უცოდრობით თურას გაწყენ, არ იქნების ბატონ შაუნდობელი-დ ყმა შაუცოდები." მემრ ადგების ფეჭზედ, დიაწერს პირჯვარსა-დ იტყვის: "დიდება ძალსა შენსა მეზარეც ანგელოზო". მახკიდებს ჭელს ზარის ენასა-დ ამ სიტყვების გამეორებით რეკს. ეს რო ზარს რეკს, მაშინ ხუცესი ჩვეულებრივ ხუცობს. ზარის რეკის გათავების დროს, სამჯერ კიდევ ნელ-ნელად დარეკავს ზარს, თითო ზარის დარეკაზე დაიწერს პირჯვარსა-დ იტყვის: "დიდება ძალსა შენსა მეზარეც ანგელოზო, დიდგორის ვეშაგო გიორგიო, შენ უშველი შენს საყმოსა-დ საგლეხოს". გაათავებს ხუცესიც ხუცობას, აიღებენ თასებს, სახუცო თასს ხუცესს მისცემენა-დ სხვა თასებს სხვა დასტურ-ჭელოსნებ დაიჭერენ. ხუცეს კიდევ შაუსახელებს ჩვეულებრივადა-დ ყველან მაღლად ასწევენ თასებს. "მაგითამც დიდნი ხართ თქვენის გამჩენის ხთის კარზე, ჯვართ დიდება

გამგონ-მახვეწურთ წყალობაი". მაიყუდებენ თასებს. თასების სმაში თავჭმელად მღერაც იციან გამძღოთად, ისენ რო თასებს სმენ, სხვებ დგანა-დ უმღერენ ჭმა მაღლად...

თქვენთან მეწადა არწივნო, სმა-ჭამა ლხინი გრძელიო.

რა უდარობა დაგვიდგას, დამაფარნიდიო თბენიო (უდარობა: მტერთან ბრძოლა ამ სიტყვის გადატანითი მნიშვნელობით).

ბოლოს ჩვეულებრივად ჩამახყრიან თასებს ჭელჩიითა-დ ეტყვიან: "გაამასთ ღმერთმ!" – „თქვენ კი გეაამას, თავ მტრისა მაგცასთ, მუჭლებ შაგარჩინასთ მემუჭლეებო". ჯვარიონნი დაასხმენ საწდეში ლუდს, დაზდგმენ დარბასშია-დ დაიწყებენ სმას. ამ წუხრას სოფელში არა მიუდის. სოფელშიით თუ მასულ ვინ იქნების, ან ჭირის პატრონი თმა-წვერის დასაყრევლად იქნების ჯვარიონთან, ან ფანდურის გასატეხლად, იმას კი სცემენ პატივს. ლუდი ამ ღამეს საჭელოსნო ისმის, როგორც აღებას, ყველას დღეობაში ას საჭელოსნო ლუდი. ღამისთევა-ღამეს მუდამ ის ისმის ჭელოსანთაგან. ღამისთევა – ღამეს ჭელოსანნი-დ ჯვარიონნი, სრუ სმითად ფანდურზე მღერით გაავლევენ. სხვა ლხინ-მხირულობა აქ არა იციან, გარდა საგმირო სიმღერების ფანდურზე მღერისა. აჭვსების ღამე გაივლის ისრ რო სოფელში არას ვინ ქეიფობს, ხოლოთ ოჭშამს კი დაამზადებენ, ყველას ოჯახში. სახლის უფროსი, როგორც მარხო-შამასვლაში, გასვლაშიაც აისრავ ჩაასხამს ერბოს ცეცხლში ქუდმაჭდილი, ღმერთისდ თავის სალოცავებისად ხვეწნით, რო ბევრ აჭვსება მშვიდობისა მაგვგვარეთავ. ჯვარივნებმაც, ვინაც წამებული იყე, წინავ მარხვის ჭერა იცოდესა-დ დილამდენ არც გასტეხდეს მარხვას. ეეხლა კი დაიწყეს წუხრავ მარხვის გატეხა. ღამის სამთელო სამარხოივ იციან, ჟამსაწირ საჭსნილო. ჭელოსანნიც სეფეებს სამარხოს მიიტანენა-დ იმ ღამეს იმას ჭამენ.

აჭვსების დილას ჭელოსანთა-დ ჯვარიონთ სოფელშიით არაყს მიუტანენ თავების მოსარჩენად. თითო-ოროლს ყანწს ჩამაურიგებენ, ხოლოთ ლუდს კი არ შასმენ გამძღონი, ვისაც განათვლა უნდ, არც ის შასომს. განათვლა აჭვსებას ბევრმ იცის, ჭელოსანნ ხო სრუ ინათლებიან. მორიგენ კი წელში სამჯერ ინათლებიან: წელიწადში, ამაღლებასა-დ, ათენგენას, ჭელოსნები კი ყველას დღეობაში. მზე რო მაოს, მაუვ ჭელოსნებს სანათლავები. ხუცესი ცალ-ცალკე მააჭსენებს სანაითლავებსა-დ ერთად იხუცებს. შაახვეწებს ერთად ყველა ჭელოსანთ. ხუცობაი-დ კურთხევა ერთნაირად იციან, რაჭელაც აღებას ას ჩაწერილი. კურთხევა რო გათავდების, ხუცესი სანათლავებს თითოობით შაუსახელებსა, დახკლავს. ვისაიც საკლავი, იმას მაუსომს შუბლშია გულზე თითით სისხლს, გაუკეთებს სისხლის ჯვარს. ვინაც გაინათლების, ის ჭელებს თაოდ მიუჭერს საკლავის სისხლს, წინწინ როსაც გამაუვა-დ გადაიბანს სისხლით ჭელს. სანათლავ თუ არ დაკლა, არა გასწმენდს კაცს, სანთლავ აწმიდებს. სანათლავების დაჭოცის ბოლოს რო გავლენ, დაატყავებენ სანათლავებსა-დ ჩაზდგმენ ჭორცს (დადგამენ მოსახარშად). ჭელოსნის სანათლავი ჯვარჩი რჩების, ტყავ სახლში მიდის. თუ ჭელოსან არ ასა-დ ისრ გაინათლ, იმის სანათლავის ტყავი, ფელკი შინ მიდისა-დ ფელკი ჯვარჩი რჩების (საკლავს ხანჯლით შუა ზურგზე გასჭრიან და ნახევარ გვერდს ჰქვიან ფელკი). მაგრამ დიდგორის ჯვარის ყმებში ისეთ ძვირად ვინ ას, რო ჭელოსან არ იყოს. ყველა ჭელოსნად მიდისა-დ ქოოდ თუ ვინ დასცილდების, არვიცი, ჯვართაცა-დ

ღმერთსაც. სანათლავების ჯორცს რო ადუღებენ, ამაიღებენ ფიცრებზე, დააწილებენა-დ დააგებენ ტაბლას, დაზდგმენ თასთ, დააკვრენ სანთლებს, ადგების ხუცესიდ იხუცებს:

"თქვენა სამთავროდ, თქვენად გასამარჯოდ მაიჯმარეთ ეს გარიგებულ სუფრაი-დ სანთელ-სადიდებელი მესუფრენო ანგელოზნო. თქვენ გიორგის ყმათად, საშველო-სახოიშნოდ, სამწყალობნოდ მაიჯმარეთ. გეძახან ჯელოსანნი-დ გიორგის ყმანი, გეხვეწებიან, შაიხვეწენი, მე შენდ შამამიხვეწებიანა-დ შენ შენს გამჩენს მორიგეს ღმერთს შაახვეწენი, ნუ შაანანებ თქვენს ჯსენებას, დიდებას, ღმერთი თქვენს ბატონობას გაუმარჯვებს. დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა, დიდება-დ გამარჯვება თქვენდა მესუფრენო ანგელოზნო, დიდება დიდს კვირაეს, ხთის მაღლის მოკარვეს. ღმერთმა გადიდნასთ ამ გარიგებულ სუფრა – სადიდებელზე, ღმერთმა გაძლიერნასთ, ღმერთმა მაგცასად ცამდინ სიმაღლე, ზღვამდინ სიმაგრე, შველვა, რგება, ხოიშნობა შენთ მეხვეწურთად, ჯელოსანთად, გიორგის ყმათად, ჩდილისად. თქვენდ სუფრის რიგ არ დაუყრავა-დ თქვენ თქვენს წყალობას ნუ დააკლებთ. რასაც მჯარზედა გულზე გიძახებდანთ, იმ მჯარ იმ გულზე გაუგონიდით, რასაც წყალობას გეთხოებოდანთ, იმ მჯარ იმ გულზე გაუგონიდით, რასაც წყალობას გეთხოებოდანთ, გამჩენს მორიგეს ღმერთს დაუთხიდით, მშვიდობის სუფრა დაუდგიდით. სხო ხთის ნაბადებ თუ რა უწყრებოდას, უმრუდდებოდას, მადლ დაუთხოიდით, სხვასთან უშუიდით, თაოდ უშველიდით, სახელიან ზღვენი, სანთელ აიტანიიდით. ველთ გასულნ შამაგძახდანთ, ნაძახნებ გაუგონიდით, შორს მყოფნი ახლოს დაუხვდიდით, თქვენ კაბის კალთა ჩაუფარიდით, მარცხი ბირკოლ მააშორიდით. თურა ხთისაგან გამავიდოდან ჯორციელთ საბეგრავად, ყალნის ასაღებად, თქვენ მეხვეწურთ გიორგის ყმათ ყუდროს ნუ მახკერძებთ, ეკერძებოდას, ნებით აჯდივიდით, ნების ულუფა აატანივიდით, ნების ბეგარ გაატანივიდით, იხვივნიდით, ავის დღისად, იხვეწნიდით ლაღის მტრისად, მარცხ-სარჯლისად, საზიანოს საქმისად.

თუ ჩემგან ჯსენება გაკლდებოდასთ, თქვენ თქვენს წყალობას მაუმატიდით. მესუფრენო ანგელოზნო, თქვენთ მეხვეწურთად გიორგის ყმათად, ჯელოსანთად, მაგათ ყუდრო–ჯალაფობისად, კაცისად, საქონისად, ქუდოსან-მანდილოსანთად მშველელნი, დამჯმარე წაღმა მდეგნიმც ხართ. შველდით, სწყალობდით, სცევდითა-დ ხფარევდით, გამარჯვება თქვენდ მესუფრენო ანგელოზნო-დ თქვენის გამჩენის ხთისად"! ხუცობას ემბის ჩვეულებრივი საკლავის დაკელის კურთხევა (კურთხევა მოყვანილია აღების აღწერილობაში). კურთხევაიც რო გათავდების, დადგმულებს თასებს აიღებენ გამძღონი, ყველა დაამწყალობნებს ჯელოსანთა-დ გიორგის საყმო – საგლეხოს: "გწყალობდასთ ჯელოსანნო-დ გიორგის ყმანო მესუფრეთ ანგელოზთ დავლათი. მშვიდობით შაგინახნასთ, ბედი-დავლათ დაგაჯმარასთ, თვალ-გულ ნუვისა მაგრივასთ, ნუ შაგანანასთ ჯსენება-შაძახილი, სუფრის რიგის ყენება, ბევრ აჯვსება მშვიდობისა, კარგად ყოფისა მაგგვარასთ, ხალის მაგცასთ, ბალინჯ გაშორასთ." დამწყალობნებიდგეს თითო თასს ცალ-ცალკე ყველა დაილოცავს: "გაუმარჯოს მესუფრეთ ანგელოზთა-დ იმის წყალობა მაგცასთ ჯელოსანთ დასტურ-ბუჯირთა-დ გიორგის გამძღობართ, იმის საყმო-საგლეხოს, მშვიდობით შაგინახნასთ. თქვენ მაგცასთ წყალობა ყურით მაყურებლებს, გიორგის კარის მლოცავს." მემრ კიდევ თითოობით შაუსახელებს ხუცესი თასებს. ჩვეულებრივად იტყვიან: "ჯვართ

დიდებაი-დ მეხვეწურთ წყალობაი". დაიწყებს ყველა თავის თასის სმას ნელ-ნელად. ჭელოსნები ზოგნი ცალს მჭულზე დასხდებიან. ზოგნი ფეჭზე დადგებიანა-დ შაღმღერნებენ თაკჭმელად. ახლა თასიანებიც შაღმღერნებენ იმათ, ვინაც თასიანებს უმღერს. იმღერენ ძველს საგმიროს, ან სანადირო სიმღერებს. იმღერენ ძალიან ხმამაღლად სამ-სამ ოთხ-ოთხნი, სრუ ერთს ხმაზედ. ბოლოს გამასცლიან თასებსა-დ ჩამაიყრიან. დასხმენ ზედამდეგები ხალხსა-დ დაუდგმენ ტაბლას. ტაბლაზე დაწყობილი: პური, ჭორცი, მარილი. აიღებენ ჭელჩია-დ მისცემენ ყველას თითოობით პურს, ისენიც დაილოცებიან: "ღმერთო, გაუმარჯვი მესუფრეთ ანგელოზთა, მესუფრენო ანგელოზნო თქვენ სწყალობდით ჭელოსანთ, ჯვარის გამძღოლ დასტურ-ბუჯირთ, დაადეით წაღმ, ოქვენი წყალობით შაინახენით".

მემრ დაიწყებენ ჭამას. ამას მახყვების კარახანაი-დ იმის ყველა წესები, მღერაი-დ სხვაი. ეს ხალხ რო გაათავებს ტაბლის წესებს, მემრ ზედამდეგებსაც დასხმენა-დ აჭმევენ პურს, ესეთაითავ წესით.

გავ დროი-დ მადის ზღვენები, მისამბარეოებიდ სხვაი. ზღვნებს აჭვსებას ბევრ ხალხ-ი ჭოცს, იმით რო მაშინ ბატკნები ას გამასული-დ ადვილად შოულობენ ყველას. მარხოჩი არაბევრად იციან ზღვნობაი. ბევრი ას დაგროვილი ნამკითხავარ-ნაქადები, მიბარება დიდგორის ჯვარში ჭშირად იციან იმით, რო, ის ეშმაკებს ებძვისა-დ იმისად მიბარებულს უფერი ვეღარას უსამს. აბარებენ ქალებს, ყმაწვილებს, ვინაც ან შინდების, ან სიზმარში- რა ეჩვენების. მისაბარებს ერთი საკლავით გაღნათვლენა-დ მეორეს ზღვნად დახკვლენ მისამბარეოდ. ხუცესი იხუცებს: შამაგხვეწნივავ, შამაგბარებივავ, შენს კალთას თავ შამაუფარებავაო-დ შენ კაბის კალთა ჩააფარევ, დაიცი, დაიფარევ მავნეთაგანაო-დ მეწაღმართე, მშველელ ანგელოზ დააყოლევ. ეხვეწების დიდგორ ვეშაგ გიორგის (ვეშაგი: ყარაული, მზვერავი, მეთვალყურე). ხუცესი ხუცობის დაწყობამდენ ამწყალობნებს. დამწყალობნებას ხალხიც ახყვების. ყველანი ამწყალობნებენა-დ სთხოვენ დიდგორის ჯვარს რო უშველას მიბარებულს. მისამბარეოს ტყავ-ჭორცი ჯვარჩი რჩების, ტყავი, ფელკი სანათლავისა-კი პატრონს მიაქვ. მხოლოდ მიბარებულსა-დ იმისად მამყოლ იჯახის წევრს ტაბლას დაუდგმენ ნადუღრის ჭორცისასა-დ პურისას.

ჭელოსნად მიბარება ხჭდების: აჭვსებას, ამაღლებას, ათენგენასა-დ წელწადს. ჭელოსნად მივ ჯვარის მამიზეზით, ან აოდ გაჭდების, ან სხო ხიფართ რა დაეხედვებისა-დ იმაზე მკითხავ ეტყვის: ჭელოსნად თუ არ მიიყვანეთავ, თქვენ საქმე კარგად არ წავავ. მემრ ჯალაფნი მაამზადებენ, აწმიდებენ. იქ აღარ გაივლის, სადაც მესამრელოეებ დადიან. მესამრელოეს აღარ აჩძრახდებიან, სხვას უწმინდურს აღარას მიხჭელვენ. დღეობა რო მაუჯარდების, ორი კვირაით საწმიდარ გავ, ცალკე იცხოვრებს ჭერხოში, რო იმის სამყოფოში არცვინ დიაც არ გაივლის, სრუ დილა-წუხრით იბანების წყაროზე (ტანს იბანს), სამძიმარს საქმეს არას აკეთებს, რო ოფლ არ გამაუვიდას, - ოფლის გამასვლაივ არ ვარგავ იციან, ოფლივ უწმიდურიავ, ჯვარივ არ იჭდენსავ ოფლიანობასავ. ჭელოსნად მისვლის დილას, ცხრას წყლისთვალზე გაიბანების, ცხრაკან მივ წყალზედ. ზოკან უბრალოდ შაისხამს წყალს გულზედად გაბანას დახქვივნებს. გულზე იწიესავ წყალიო-დ მეტ არ უნდავ, იციან. რო ბანაობას მაათავებს, მაოსად შაასმევენ არაყს, გაყინულ კაც აოდ გაჭდების თუ არაყ არ შასვ. ამ დროს მაიყვანენ იმის ჯალაფნი ერთს

სანათლავსა-დ ერთს ზღვენს. ამ ზღვენს ხქვიან: "ზღუბლის სამლაჭაო" ('ზღუბლი არის კარებში, შესავალში დადებული გრძელი ქვა, რაზედაც მოეხურება კარი. ასრულებს კარის ქვედა ჩარჩოს მაგიერობას. იგი საკმაოდ დიდი ქვა არის და სახლში შესვლის დროს ზედ უნდა გადადგას ფეხი კაცმა). ზღურბლის სამლაჭაო იმით ხქვიან რო იმ ბელელში ვერცვინ ვერ შავ, გარდა ჭელოსნისაი-დ წინწინ რო შავ, ზღურბლზე ფეჭს დაზდგამს; ამ ზღურბლის დალაჭვისად მიხყავ ზღვენ, რო მე ზღუბლ დავლაჭეე.

ხუცესი საკლავებს წამააყენებიებს სასაკლაოზედ. ახალ მისულ ჭელოსანიც აქ დადგების. სხო ხალხიც ყველა ფეჭზედ ადგებისა-დ მაიჭდიან ქუდებს. ხუცეს წინ-წინ ზღვენს მააჭსენებსა-დ დახკლავს ჩვეულებრივი ხუცობა-კურთხევით, მემრ სანათლავს. ჭელოსანს ახვეწებს ჭელდებულებით ვითამ ჭელ დაზდვ დიდგორის ჯვარმ თავის სამსახუროდ. აქაც ხუცობა ჩვეულებრივად იციან, ხოლოთ ჩაურთვენ ხუცობაში: "შენს ჭელდებულს შენ სწყალობდივ, სიხარულად გაუჭადეე შენ ჭსენება-დიდებაივ". დანარჩენი აქ ახალ არარა იციან. ახალ მისულს ჭელოსანს ერთ ჩხუტი ლუდი აქვ. საკლავების ტყავებს შინ წაატანიებს. ჭორცს აქ ადუღებსა-დ აქ მყოფ ხალხს ტაბლას დაუდგამს. ამ ლუდს მანამ ხალხს ტაბლას დაუდგმენ, მანამდენ ხუცესი იხუცებს მესუფრეთ ანგელოზთად შასახელებით. ამათ რო აჭსენებს, სადიდებლებსაც აიღებენ ჭელჩი, დაილოცვენ, კიდევ მააჭსენებს ხუცესი-დ შაასრულებენ სუფრის ყველა წესებს კარახანაითა-დ სხო. ხოლოთ თასს ყველა ამ წესით დაილოცავს: 'გაუმარჯოს დიდგორის ჯვარსა-დ იმის წყალობა გქონდას ახალ ჭელოსანს, გიორგის ჭელდებულს (სახელი ხელოსნისა), მშვიდობით გამყოფას, ნუ შაგანანას სამსახურის მაყვანაი-დ, თავის დადება გიორგის სამსახურისად, გიშველას დალოცვილმ დიდგორის ჯვარმ, გიმეშველას, თავის ბედი-დავლათ დაგაჭმარას. სიხარულად გაგიჭადას ჭსენება, დიდება". ამას კიდევ მახყვების ჩვეულებრივი მღერაი-დ მღერით სმაი. მემრ ტაბლაზე დასხდებიანა-დ ტაბლის ყველა წესებს ასრულებენ.

რომენს დღეობაჩიაც მიაბარეს ჭელოსნად, იმის მემრ რო ათენგენა მავ, მაშინ ააბძანებს დროშას. მაგალითად, ჭელოსნად მიბარება იციან აჭვსებას, ამაღლებას, ათენგენას, წელწადს. წელწადში რო მიებარას, მამავალ წელწადში ააბძანებს დროშას, ათენგენას რო მიებარას, მეორეს ათენგენას ააბძანებს, მანამდენ ეეგრ ას. ხოლოთ წმიდობს, ის ყველკან არ გაივლის, სადაც მირეულ ეცოდინების. აჭვსებას სხვა საკუთარ წეს არა-ი აქვ.

ამაღლება

ამაღლება იციან სამს დღეს. ლუდს ადუღებენ ჯვარის პურისას დასტურები. სვე დასტურებისა იხარჯების, საჭელოსნო კიდევ ცალკე დუღს – მაკრეფულის ფქვილისა (ჭელოსნებზე იკრიფების თითო კოშ ფქვილი). ამას ხო ღამით ჭელოსანნი სმენ. ჭელოსანთ მიაქვთ თითო სეფე ჩვეულებრივ, სანათლავები. სანათლავების ჭორცი აქ რჩებისა-დ ტყავებს შინ წააღებიებენ. ღამის სამთეღო მიაქვ დასტურთ, ცალკე საჯვარო ლუდისაი-დ ცალკე ჭელოსანთ ლუდისა. მანამდენ რაც წეს

ას, ის ცალკე ყველა სრულდების ჩვეულებრივად: განძის მატანა (განძს მაიტანს მაგანძური, თუ არ გაინათლ კი ის განძს ვერ მიხველავს), დარეცხა, თავ-თავის ადგილზე დაწყობაი. ლუდს მაშჭიჭავს ხუცესი-დ გახვსნის კოდებს. ხუცობა-კურთხეეით, აისრავ რაჭელაც ამის წინა დღეობებში ას ნათქვამი. ჭელოსანთ მიაქვ თითო სეფეი-დ სანთელი; მაანოებენ აისრავ, რაჭელაც აიღებას ას ნათქვამი შასამავლობის მანთებაზე. ღამისთევა, ზარის რეკა ყველა ჩვეულებრივ ხვდების, დამწყალობნება ჭელოსან-გამძღობართაი-დ დასტურ-ბუჯირთაი, საყმო-საგლეხოსაი. ბოლოს სეფეებს დაშჭრიანა-დ ჭელოსანთ ტაბლას დაუდგემნ. ტაბლა იდგმის თავის მატანილის სეფეებისაი. ხუთი ან ათი პური ცხვების საჯვარო ქერისაი-დ ამასაც ტაბლაზე დააგებენ. უფროს-უფროს ჭელოსნებს დასხმენად მაართმენ ტაბლას, უფრო ახალგაზრდაები ფეკზედ დადგებიანა-დ გაატეხიებენ პურს, მიართმენ კარახანაებსაც. ხანდიხან ორთაც დაუდგმენ ერთს კარახანას, როსაც თასებ არ გამასწვდების ყველას. ორნი, რომენიც წინ გასწირავს პურს, ის აიღებს კარახანასა-დ ადგების, დაილოცების: "გამარჯვება დიდგორის ჯვარსა-დ იმის წყალობა გქონდასთ ჭელოსან-გამძღობართ, მორიგე დასტურ-ბუჯირთ, საყმოსა, საგლეხოს. მშვიდობით შაგინახნასთ, ბევრ ამაღლება მშვიდობისა, კარგად ყოფისა მაგგვარასთ, ერთუც გიცოცხლასთ, ერთუცის დანდობა მაგცასთ. მე გლოცენით, ხთისგანამც დაილოცებით. თქვენ გწყალობდასთ, ფეკზე მდგომებ მშვიდობით გამყოფნასთ, ჭელ-ფეკ მტერზე მაგაკმარასთ, თქვენ ამჯობინას თქვენის მტრისას". დაილოცებისა-დ შასომს. ფეკზე მდგომები ჩამახყრიან თასს, ჭელმეორედ აავსებენა, მისცემენ მეორეს, ვისთანაც ზიარადაც ედგ კარახანა. ამ კარახანას აუცილებლივ მახყვების თავხმელად მღერა ჩვეულებრივად:

ალავერდ ჯაჭვი ეკიდა, წმიდის გიორგის კარზედა,
დამა იცნა და იტირა, თავის ძმის ნაცვამ, ტანზედა:
– ჯაჭვო ორმაგად ნაქსოვო, ნაცვამო ჩემის ძმისაო,
ბევრკან ომებში ნაზიდო პირშიშველაის ყმისაო.

მიქიელისკარ შახკიდეთ ბაღათერაის ფარიო.
მაუვლის ომის წადინი, ხანდიხან დაზძრავს ქარიო.

ჯერ ფეკზე მდგომები იმღერებენ. მემრ თასიანებიც ასეთითავ სიმღერით უპასუხებენ, ასმევენ თავის თასებშიით ლუდს. ბოლოს,რაჭელც სხვა დღეობებში ას ნათქვამი, აისრ ბოლოვდების ამ კარახანების ამბავი. ჩამახყრიან თასებს. ტაბლაზე ვინაც ისხდეს, ისეებ ადგებიანად ეტყვიან ზედამდეგებს: "ჭელ-ფეკ მტერზე მაიკმარეთ შორიელზე, მუკლებ შაგარჩინასთ ღმერთმ".

წამაიყვანენ, დასხმენ ფეკზე მდგომებსაცა-დ მაუტანენ ტაბლას. ვინაც ისხდეს, ახლა ისეებ დადგებიან ფეკზედა-დ კარახანასაც ასმევენ. ბოლოს დამთავრდების ისიც. ჭელოსანნი სრუ რჩებიან დღეობის გათავებამდენ, შინ ვერვინ წავ. ბელელ დიდი ასა, ყველა იქ იძინებს. აქვ თავ-თავის ტყავ-საღამო მიტანილი: ფარდაგი, გუდანერი, ნაბადი.

მეორე დღე თენდების ამაღლება. ამ დღეობაშიაც იკოცების სანათლავი. ზღვენი, მიდის საწირი. სწირავენ ზოგი ვერცხლს, ზოგი თასს, ზოგ რასა-დ ზოგ რას, რაიც ვის ნაქადები აქვა-დ ემეტების ჯვარისად შასაწირავად. ამ შაწირულს

ხუცესი ყველას მააჴსენებს, იხუცებს, საკლავებს ყველას თავთავის წესით დახკლავსა-დ თავთავის ანგარიშს მისცემს, რაჴელაც წინას დღეობაში ას ნათქვამი. ვერცხლის ფულს ან სამკაულს ვინაც შასწირავს, შაწირულს ხუცესი ჴელში დაიჭერსა-დ შაზძახებს ჯვართ, ანუ მააჴსენებს: „დიდებად გამარჯვება შენდა დიდგორ ვეშაგო გიორგიო, შენა სამთავრო, შენა გასამარჯოდ მაიჴმარი ეს თეთრეულ შამაწირული, თეთრეულ'ში გარეული. შენ შენის მეხვეწურისად (სახელი) საშველად, სამწყალობნოდ მაიჴმარი. შამაგძახს შენ მეხვეწური (სახელი), გეხვეწების, შაიხვეწი, ნაძახნები გაუგონი, დაეჴმარ დალოცვილო, ველთაც, შინაც მეწაღმართე დააყოლი, მარცხი ბირკოლ მააშორ დალოცვილო, ველთ გასულ თუ გაჭირებაში მყოფი შენ შამაგძახდას, შენ ძალ დააჴმარი, ნურაით დაამარცხებ, თეთრეულის თეთრეულ'ში გარეევისად, დალოცვილო ნუ შაანანებ, სახელიან აიტანი ღმერთ შენს ბატონობას გაუმარჯვებს". ბოლოს დაამწყალობნებენ ყველანი: "გწყალობდას მეხვეწურს გიორგის დავლათი, ხალიზად მაგცას, ბალინჯი, მარცხ-ბირკოლ გაშორასთ, ნუ შაგანანასთ ვერცხლეულის ვერცხლეულ'ში, თეთრეულის თეთრეულ'ში გარევა".

– "თქვენ იყოს მწყალობელი", იტყვის თეთრეულის შამწირავი. სხვა შასაწირავებიც იციან, მაგალითად, დროშაისად ბაღდადი, სპილენძისა ჩხუტი, სპილენძის თასი. ამასაც ხუცესი ყველას იხუცებსა-დ შამწირავს დაამწყალობნებს. ვერცხლებში უფრო სწირავენ ძველებურს საყურს მასრაის თავს, ძველ მანათიანს, ზოგი ქამრის ბალთაებსაც სწირავს. საფარაგე იცოდეს წინავ ვერცხლისაი-დ იმასაც სწირევდეს. საფარაგე გრძელ-გრძლად იყვ ვერცხლი გაკეთებული, დაფეხული. სწირევდეს კიდევ ყელსადების შიბებს, ყელსადების ჯვარებსად სხვადასხვა სამკაულებს.

ამაღლების დღეს სოფელიც მავა-დ მაიკითხვენ თავის წილს ლუდს. ჯვარიონნიც დაუსხმენ, დასხდების ჯარი-დ სმენ ჯარის წესით. უნცროსები ცალს მუჴლზე სხენ ჯარის ბოლოში, უფროსებს უჭერავ თასები, ქუდები აქვ მაჴდილები, ვინაც თასიანები, ვინაც მუჴლით სხავ, იმეებს ქუდის მაჴდა აღარ უნდ. ჯარზე მატანილი აქვ ფანდურიცა-დ იმღერენ ძველს სიმღერეებს, საგმიროებს.

– აი დიდხანამც იმღერ კაი გულით. გაიგონებს კაცი უფროსების სიტყვებს, ისეებ აცხონას ღმერთმა, შენ გადღეგძელას! – ეტყვიან მომღერალს ნელი ჴმით. მაიყუდებენ თასსა-დ სმენ ცოცოტას. მემრ მამღერალსაც შაღმღერნებენა-დ თავის თას'მიით შაასმევენ ლუდს. ასეთი წესებით ამ მღერა-დღეობასაც ბოლო მაუე, მაწუხრიხანდებისა-დ დაიშლების ჯარი. ამით გავ ამაღლება დღე. ამ ღამეს ჯვარჩი დასტურები კიდევ მიიტანენ ღამისამთელოს, უოევენ ღამესად ყველა რიგს აყენებენ, რაიც ამ ჯვარჩი დღეობის წესი, რაიც სხვა ღამისთეეაში აიწერ. მეორეიდ მესამე ამაღლების დღეებიც ჩვეულებრივად გაიელის ყველა წესების შასრულებით, მესამე დღეს დასტურები მიიტანენ გამასამალო ხავიწიან ქადას. დაზდგმენ ზედ ლუდიანს თასსა-დ იხუცებს ხუცესი, შაახვეწებს დასტურ ბუჯირთ, ჴელოსან-გამძღობართა-დ საყმო-საგლეხოს. ამავ წუხრას წაუტანენ დიასახლისსაც ლუდს თავის წილკერძს. დასტურები აქაც საკუთარს დღეობას იქმენ ჴელოსანთან ერთად, სმენ რაიც სასმელი აქვა-დ ბოლოს გამაილოცვენ, გახყოფენ ყველაზედ სეფის ნაწერეთს, თითოს მისცემენ. ჴელოსნებს მისცემენ ჴორცის წილობებსაც. რაიც დარჩების ნახორი, იმას დასტურ-გამძღობარნი გაიყოფენ. ჯერ ჯვარშიით ჴელოსანნ

მასთხოვენ მადლსა-დ გამაემართებიან, დასტურ გამძღობარნი გამაისტუმრებენ, მემრ თაოდაც მადლს მასთხოენა-დ წამავლენ.

ათენგენა

ათენგენა იციან ხუთ დღეს. ათენგენის ქვაბებს (ლუდს) ადუღებენ მეათენგენე დასტურნი. ათენგენა მთელ ჭევსურეთის სალოცავებში ყველაზე დიდ დღეობად ითცლების. ამას ეძახიან "ვარდის დღეობას", იმით რო მაშინ აყვავებული ას მთაბარი ვარდივით. ამ დღეობაში ყველკნით მიდიან სალოცავად, სადაც ვინ მამა-პაპით წასული ას ჭევსურეთით – ერწოს, კახეთ, ან სხვაკან. დღეობა პირაქათ ჭევსურეთ ექვს'ში, შეიდ'ში იწყობის მკათათვეში. პირიქით ჭევსურეთ მაგალითად არხოტ, მკათათვის ცამეტ'ში ას მთავარ დრეობა. ათენგენა პირაქათაცა-დ პირიქითაც ერთ კვირაემდინ გძელდებისა-დ ესახელებისაც ხთიშვილთ ეს დღეობა. მკითხავებმ ჭშირად იციან ხთიშვილთ ნათქმობით ამა თუ იმ კაცისად გამაცხადება, რო ჩემს ვარდის დღეობას მიწირევ, კურეტ მაიყვანევ, საკლავიო-დ სხვაი. წირვა მკითხვაების ენით ლიშნავს ღამისთევასა, ჟამისწირვას, მკითხავებმ კიდევ იციან თავის მკითხაობაში ვითამ ჯვარ ამბობს: ფიფქნ რო გადავლენაო-დ მწვანილნ ამავლენავ, ჩემს ვარდის დრეობასავ ვარდნიო-დ იანიც აყვავდებიანავ (ფიფქთ გადასვლა: თოვლის გადნობას ნიშნავს, მწვანილთ ამასვლა-გაზაფხულის და ზაფხულის მოსვლას).

დასტურები ამ დღეობისად ორმოცამდე ჩხუტს ლუდს ამზადებენ,რაკი ბევრ მეზღვნე მაუვა-დ ბევრ ხარჯ დაშჭირდების ლუდისა. ამ დღეობაში მემრ სიცხე იცისა-დ ხალხი ბევრს ლუდს სომს. დასტურები ერთი კვირაით წინ შაუდგებიან ქვაბ-სადუღროვას. რიგს ადუღილებენ, რიგი სისწვენი გრილდებისა მესაფუვრე კოდში ასხამსა-დ შახყრის, როსაც იმთვნად დაგრილდების, რამოვნადაც შაიძლების იმის დაგრილება. სისწვენში ხელს რო ჩაიტანს ქვაბში, ძირში თუ სითბო ეტყობის, საზალტეეს მაინც უნდა ხყინევდას (საზალტეე: მაჯა) რო ლუდ ძალიან გრილად არ შაიყარას, დამყავდების, არც ფერი ექნების კაი, თეთრის ფერისა დადგების. რახა საკმაოდ დაგრილდას, მემრ ჩაასხმენ კოდშიად მისცემს საფუარს მესაფუვრეი. პირზე მაკვრა კი სალუდეს კოდს ზამთრისაც უნდა, ზაფხულისაც. გადასაკრავ ფარდაგ უნდა იყოს წმიდა, რო ის დიაცს არ უნდა ღგდებიყოსა-დ ხურვიყოს. ფარდაგ თუ ესრ შანახულ არ ას, ჯვარჩი არ მიიტანისა-დ არც დაეხურების ლ'უდს მირეული. ეს რო ვინ ქნას, გაუწყრების ჯვარი-დ მაამიზეზებს, ან აოდ ვის გახჭდისა-დ ან სხვა ბირკოლს რას მაღგვრის. მესაფუვრე სისწვნის შაყრის დროს გაიბანებისა-დ მემრ შახყრის ლ'უდს. სადუღროვაში დასტურებ შინაც დადიან, მესაფუვრეი-დ გამძღობარ კი სოფელ'ში აღარ დადიან, სრუ ჯვარჩი არიან. სადუღროვა რო გათავდებისა-დ უკენობის ქვაბს ადუღებენ, სწორად ამ წუხრას დგების ათენგენის წინა წუხრაიც. მაგანძურ მაოს, გაინათლებისა-დ მაიტანს განძს. ხელოსნებიც მაშინ დაინათლებიან, როსაც დროშები უნდა ააბძანან. დროშას ააბძანებენ ის ჭელოსნები, რომნებიც ამ წელს მიეგბარნეს, ხელოსნად მივიდეს ჯვარჩი. თუ

ახალ არვინ ას მიმსვლელი, მაშინ ვისაიც რიგი, ის ააბძანებს დროშას, მაგრამ ის ძვირად მახჭდების რო ახალ არ ვინ იყოს მიმსვლელი. ეს იმით რო დიდგორის ჯვარს ბევრნ ყმანი ხყონა-დ ყველა მიდის ჭელოსნად. ამთვენ ბევრნ ჭელოსანნი ჭევსურეთ არც ერთს ხთიშვილს არ ხყონ. ესახელებიან კიდეც თავის ჭელოსანნი, ქადაგობაში მკითხავი ჭშირად იტყვის ვითამ გიორგი ამბობს: მესახელებიან ჩემნ ყმანი-დ ჩემ ჭელდებულნი, მაგრამ მე იმათ აღარაად ვაჩნიორ, მკლავ მკლავს გამისწორესა-დ კისერ კისერს (ე.ი. აღარ მაფასებენო). მემრ მუქარას დასთხოვს თავის ურჩ ჭელოსნებს: თუ ჭკვიანად არ მაიქცევითავ, მიავ აისივ ძალაო-დ შაძლებაო მაქვავ, რაიც ძალიოდ შაძლება წინავ მქონდავ. სრუ გაგანადგურებთავ, თუ წესზე არ იქნებითავ.

ახლა დროშა უნდა ააბანა-დ აქ ხუთ დროშაი-ას ასამბელი. ხუთზე მეტ აღარ მიე ჭელოსანი. ხუთივ თითო დროშას ააბომს. თუ ხუთამდენ არ ას, მაშინ, ერთიც რო იყოს, ის ჭელოსან ააბომს ხუთსავ დროშასა-დ ააბძანებს.

განათლულ ჭელოსან მივ, დაიწერს პირჯვარსა-დ მასთხოვს მადლს ჯვარს, აიღებს ტაგრუცს, ახჭდის თავს, ამაალაგებს ფიცარზედ ჯერებს, შუბებს, ბურთვებს, ბაღდადებსა-დ დახყუდებს დროშაის ტარებს, დაიწერს პირჯვარს. აიღებს ვერცხლის ჯვარს, აკოცებსა-დ დაზდებს იქავა-დ იტყვის: "დიდება ძალსა შენსა დიდგორ ვეშაგო გიორგიო! ნურაით შამიცოდვებ, დალოცვილო, შენ გეხვეწები, შანაცოდვარი, შანაწყინარ შამინდევ, დალოცვილო, მე ჭორციელი ორ, უტი, უმეცარი, ბევრს გაწყენ ჩემით უმეცრებითა-დ შენ ნუ შაუფერებ ჭორციელის უცოდრობას, ყმა უწყენ არ იქნებისა-დ ბატონ შაუნდობარი". აიღებს მემრ დროშაის ტარს, იმასაც ამ სიტყვებით სთხოვს მადლსა-დ ხკოცნის. მემრ შამაახვევს ერთს პირში, რომენიც გამწვეტებული, იმ მჭარეზე, დროშაის ტარზე ბაღდადს, ჩამააცომს, ვერცხლის ბურთვს ზედ, გაუკეთებს ჯვარს დროშაის ტარს, შააბომს ოთხ-ხუთს ბაღდადს დროშაის ტარზედა-დ შააბომს ჯვარის ყუნწსთან ზარს. დაიწერს პირჯვარს, აკოცებს კიდევ დროშას, შეეხვეწების დიდგორის ჯვარს რო ის არაზედ გაუწყრასა-დ მიხყუდებს დროშათად დამზადებულს ალაგებზე. ამ დროს ესი არც უამბობს რას ვისა-დ არც იმას ვინ ესაუბრების. დროშათ ამბაში უნდა გაჩუმებულ იყვას, თავის ალაგზე დაბძანებამდენ. მემრ მეორეს დროშას ააბომს ამავ წესით, ხოლოთ ერთის მეტს ყველას რკინის შუბები აქვის. ესეები ომიანობის დროს საჭმარ დროშაებ იყვ. ხუცესი გამაიტანს ეროს სახუცო თასით ლუდს, ერთს სანთელს, მივ დროშათანად მააჭსენებს დროშა-ბორაყისად მყოლთ ანგელოზთად: ,,ღმერთმა ადიდას თქვენ ძალი, თქვენ სახელი მებორაყენო ანგელოზნო, თქვენა სამთავრო გასამარჯოდ მაიჭმარეთ ეს ჭიქა-ბარძიმი, სადიდებელი. თქვენ ახალ ჭელოსნისად, თქვენ ჭელდებულისად (სახელი) გიორგის ყმათად, ჩირდილ-მზისპირისად, საშველად, სახოიშნოდ, სამწყალობნოდ ხთისკარზე შაიტანეთ. დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა, დიდება დღეს დღესინდელსა, დიდება დიდს კვირაეს ხთის მაღლის მოკარვეს, ანგელოზთ მეუფროსეს, დიდებად გამარჯეება თქვენდა მებორაყენო ანგელოზნო, ღმერთმა გადიდნასთ ამ ჭიქა ბარზიმზე, ღმერთმა გაძლიერნასთ, ღმერთმა მაგცასთ. "დანარჩენ ხუცობაი-დ კურთხეეა ჩვეულებრივ მახყვების, როგორც აღებას ას აწერილი. ხოლოთ კურთხეეაში ჩაერთვის 'მებორაყენ ანგელოზნი'', ახვეწებს ახალ ჭელოსანსა-დ საყმო-საგლეხოს გიორგისას. ხუცობის გათავებიდგეს დაამწყალობნებს ხუცესი ახალ ჭელოსანს, გიორგის საყმოსა-დ საგლეხოს, სხვა იქ

მყოფებიც ახყევებიანა-დ ამწყალობნებენ: გწყალობდასთ ახალ ჭელოსანსა გიორგის საყმო საგლეხოს, ჩდილსა-დ მზისპირს, მებორაყეთ ანგელოზთ დავლათი, საწალმართოდ მაგიარასთ, მსჯელი, მავნე გაშორასთ, სიხარულად გაგიჭადნასთ თავის ჭსენება-დიდებაი". დამწყალობნება რო გათავდების, ხუცესი თასს მაღლა ასწევსა-დ კიდევ იტყვის: "გაგემარჯვასთ მებორაყენო ანგელოზნო, თქვენის გამჩენის ხთისაგან, მაგითამც დიდნი ხართ თქვენის გამჩენის ხთის კარზე," - ამ სიტყვებით თასს 'უფრო მაღლა ასწევს.

-"ისმინე გაიგონეთ, გამარჯვებას თქვენსა, თქვენის გამჩენის ხთისას", - იტყვიან ყველანი პირჯვრის წერით. – ჯვართ დიდებაი-დ მეხვეწურებს წყალობა! იტყვის კიდევ ხუცესი, მაიყუდებს თასს, შასომს ცოტას, მემრ სხვებსაც მისცემს ამავ თას. ისენიც დაამწყალობნებენა-დ შასმენ ცოცოტას. ბოლოს თას იქავ ხუცესს დაუბრუნდების. სიმღერეებს უმღერენ ხუცესს თასის სმაშია-დ ისიც ესეთი სიმღერეებით შაღმღერნებს,ასმევს თავის თასშიით ლუდს. ბოლოს გადაიჭდის მადლს ხუცესი, გადასომსად იტყვის: - "აი შავსვი თქვენის გამარჯვებისა, ქვემცე გწყალობთ მებორაყეთ ანგელოზთ დავლათი." – გაამას ღმერთმ, - ეტყვიან, ჩამაიყარი თასი, ის კიდევ ეუბნების: 'მუჭლით ნასხდომებ აბძანდით, თავს მაჭდილებმ ქუდებ დაიხურეთა-დ მემრ ჩამავიყრი. ისეები ზოგი ცალს მუჭლზე ზის, ზოგს ქუიდ აქე მაჭდილი ფეჭზედ დგას. იბძოლებენ თასიანი-დ მუჭლზე ნასხდომებ, მაგრამ მაინც ისეთი წეს, რო თასს ჩამახყრიან ჯერ. – მტერს ჩამახყარეთ იარაღი, თქვენ ჭელი-დ ჭმალ ერეოდას, მუჭლებ შაგარჩინასთ, თავს მაჭდილებს თავ-მტრისა მაგცასთ, - ეტყვისად მიაწვდის თასს. – ღმერთმა გაამას მუჭლით, ეტყვიან, ვინაც მუჭლზე იჯდა ისეები, ვისაც ქუიდ ხქონდ მაჭდილი, ქუდს დაიხურვენა-დ ეტყვიან: გაამას ქუდით, ალალი ქნას ღმერთმ. ამ დროს მედროშეს ერთია თუ მეტი, დროშაის ტარები მარჯვენას ფეჭზე უყუდავა-დ აძგრიალებენ ნელნელად ზარებს. ბოლოს აიღებენა-დ დახყუდებენ ყველას ერთად თავის ალაგზე, ჯერ მედროშაეებ მაიყრიან მუჭლს, მასთხოენ მადლს დროშათა-დ გამაბრუნდებიან. მემრ ყველა ხალხი პირჯვარს იწერსა-დ ეტყვიან: "წყალობა მაგიტანეთ მებორაყეთ ანგელოზთა, წყალობა"; - "თქვენ იყოს მწყალობელი", - ეტყვიან ყველანი, მიბრუნდებიანა-დ შავლენ ბეღელში. აქ ამ დროს მაჭიჭული ას კოდიც, ხუცესი თავის წესით კოდს გახჭსნის სანთლითა-დ სეფით. აქაც ყველა წესებს შაასრულებენ, რაც აღების დღეობაში იყვ ნათქვამი. კოდს რო გახჭსნის,გამატიანს ლუდსა-დ ღამესაც უთევს. ღამის თევის წესებიც ყველა შასრულდების ჩვეულებრივად. ჭელოსანთ მატანილებ საშამავლო სეფეებიც ჩვეულებრივად მაენთების. ამეების ტაბლა ჭელოსანთ ედგმის. საშამავლო გულიან იციან, გული იქნების ხორცისა, კარტოხაისა, სატან-კალტისაი-დ წნილის ჩაჭრაიც იციან გულად.

ტაბლაზე პურებიც აქვ ცოატი, ჯვარის პურისგან დასტურთგან გამამცხვარი. ჭორციც ას ნადუღარი ჭელოსანთ სანათლავებისა. ჭელოსანნ რო ტაბლაზე დასხდებიან, ახალგაზდეები აქაც ფეჭზე დადგებიან. ფეჭზე დადგომაში ბძოლა იცვიან. ვინაც დამსხდრები, ისეებ ებრძვიან ფეჭზე ნადგომებს, რო დასხეითავ, თქვენაც პერი ჭამეთავ. მემრ ვინაც უფრო უფროსები, იმეებს კი დიდი ბძოლით დასხმენ. ახალ-უხლების დასხდომა კი სირცხვილიასა-დ არც დასხდებიან. დადგებიან ფეჭზედა-დ ასრულებენ იმას, რაიც უნდა აკეთას ზედამდეგმ.

პირველებ რო გაათავებენ ჭამას, კარახანაებსა-დ ამაზე მღერასაც მაშჩებიან, მემრ თავის წესით ფეკზე მდგომებსაც დასხმენ ტაბლაზედ. ბოლოს ამათ პურის ჭამაიც გათავდების.

ამით ბოლოვდების ათენგენის წინა წუხრის ღამისთევა. პურჭამიდგე ზოგ იძინებსა-დ ზოგ ხალხ კი სხვა-სხვა ხუმრობა-გართობას მაიგონებენ. ახალგაზდები ერთუცს ბურნითს უყრიან ცხვირში, ვისაც დაეძინების. ათენგენას შიგათი აღარვინ იძინებს, ყველას ნაბდებ მააქვა-დ გარეთ იძინებენ ბორტკზე ნაბადში გახვეულები. მეორე დღე თენდების ათენგენა დილა.

ათენგენა დილას დიდგორ ძალიან ბევრ ხალხ მავ. ზოგი ზღვენს მაიყვანს, ზოგი სანათლავს, ზოგი მისამბარეოს, ზოგი საწირს მაიტანს, ზოგი აქაური, ზოგი ბარჩიით მასულ ხალხი. ხუცესები აქ სამნი არიანა-დ ერთმანეცს ეცვლებიან ხკოცენ, ახლა მიბარება, საწირების ხუცობაი-დ აუარებელ საქმეები აქვ. თან ბარშიით მასულებს არაყებ მააქვ სადიდებლად, ამას ადიდებენ, ხალხიც, სოფელიც მასული ას. გამაიტანენ ლუდსა-დ სმენ, თან იმღერენ ფანდურზე. ახალგაზრდაები თავისად მხიარულობენ, ისრევენ ქვას საცდელად, დარბიან აღმართზე, ვინ შორამდენ აოდ გაქცეულნი, ვინ უფრო მუკლიანი ას. აქ დედროვანიც ას მასული, ხოლო ჯვართან ძალიან შორს. დიდგორის ჯვარს არ მაუდისა-დ არც იკდენს დიაცების ახლოს მისვლას.

როსაც ზღვნებს დაუწყებენ ფოცას, კაცი-დ დიაცი მაშინ ყველა ფეკზე დგებიან, იწერენ პირჯვარსა-დ ამწყალობნებენ, ვისაც საკლავ იკელის. სანათლავებს ერთბაშად წააყენებენ, ხალხიც წადგების, ვინაც ინათლების. ხუცესი ცალ-ცალკე მააკსენებსა-დ ახვეწებს ცალ-ცალკე თავ-თავის სანათლავზე. მაკსენებას რო გაათავებს, ყველა მესანათლავეებ მუკლზე დასხდებიან, ხუცესი ხუცობს ყველა სანათლავებს ერთად; იძახს: "შენთ მეხვეწურთ სწყალობდივ, მუჭათ სანათლისად, სამსახურის მაყვანისად შენ წყალობა მიეცივ, ღმერთი შენს ბატონობას გუმარჯვებსავ". ბოლოს თითოობით დახკლავსა-დ სცხებს სისხლს სანათლავის პატრონს. ის კაცი სისხლიან ჭელებს ისეთს ალაგში დაიბანს, სადაც კაცის ფეკი არ მიდის. გულზედა-დ შუბლზე კი მანამ თაოდ არ გადასცვდების სისხლი, არ დაიბანენ. მისამბარეოს სისხლს კიდეე ჯვარისკაცს უწევენ, ან თასით გადაასხმენ, ზოგი წიწკის სარცხას ან ყარტისას გააკეთებს სისხლის დასაწინწლებლად, იმით დააწინწლებენ. ზოგს დროშათ სანათლავად მახყავ საკლავი-დ რო დახკვლენ, დროშათ უწევენ სისხლს. ხანდიხან დროშათ თასით მიაღვრიან სისხლსა-დ განათვლა იმას ხქვიან. დროშათ გაღნათვლენ, მკითხავის თქმით, ხანდიხან კურეტითაც. კურეტისა ნახევარ ტყავ-ჭორცი პატრონს მიაქვა-დ ნახევარი ჯვარში რჩების. ჯვარჩი რჩების სანათლავების ჭორციც. თუ უკელოსნოი-დ ან უყმო ყმაი ას, მაშინ ფელკი რჩების სანათლავისაი, ტყავი, ფელკ პატრონს მიაქვ. დანარჩენი ღღეობა მიდის ჩვეულებრივად.

ათენგენა დღე რო დაღამდების, ჭელოსანნი იქავ თავის ლუდს სმენ საკელოსნოს. ტაბლა ეგების ჭორცისაი. ამაობაში ღამდებისა-დ იძინებენ. მედროშაე კი დროშათან ახლოს იძინებს, ყარაულობს დროშათ მაპარეის ში'შით. ადგილობრივი კი არვინ მაიპარავსა-დ აი მასულ ვინ,ან მეკვეე,ან ღილღველი,ან რომ საით ვინ შახვდას,მაიპრვენ (დიდგორით რო ფუოზე მეტ ვერცხლის თას-განძ ვინამ დაიპარ ამ წინას წლებშია-დ ვერც გაიგეს ნამდვილად, თუ ვინ იყვ განძის ქურდი).

გაიელის ასეთი წესით სამ დღე: ღამისთევა, ჟამისწირვა, საკლავების ხორცაი-დ სხვა ყველა ჩვეულებრივად სრულდების. მეოთხე დღე რო გათენდების, ამ დღეს იციან სხვადასხვანაირი გართობები. სხვაკან ჭევსურეთ ჭიდაობა არცად არ ასა-დ აქ კი ჭიდაობაიც იმართების ბორტვზედ. ზოგ ჭიდაობს, ზოგ საცდელ ქვას ისრევს ახალ-უხლები, ზოგი ფანდურს უკრავსა-დ თამაშობენ. მემრ იმართების დოღვი. დიდგორის გორი ჩაღმა გორ ჩამადის, საითაც ცხენებს არბოლებენ. ძალიან ცუდ სარბოლები ას ცხენებისა, ჩაღმაი-დ ბორტვი სასახლეტი. ჯვარიონნი გაღმართვენ დოღვს: წინ მიმავალს ან საკლავს დაუყენებენ,ან ერთს ჩხუტს ლუდს,ან ერთ კოშს, მეორიას ფელკს საკლავისას, მესამიას კიდევ იმაზე ჩამაითა-დ ბოლოს თასი ერგების ლუდიანი. დეემზადების ცხენ-მჭედარი. თითოს ან ყანწს გადასმენ არაყიანსა-დ ან ლუდიანს თასს, რო გულზე მავიდან. ზოგს ცხენიც დაჩვეული ხყავ არაყის სმასა-დ ერთს ყანწს იმასაც გადაასმეყენ. ისრ გულზე მაიყონს ცხენს არაყ რო, სრუ გაცეტდების. დაუკვართვენ ძუას, მაახვევენ მუცელზე სარტყელსა-დ შასხდებიან შიშველ ცხენებზე. ჯერ აღმა ადისა-დ პირაღმ გააქცევენ – ვის ცხენ უფრო მაღლა შაჭდების, ვის ცხენი უფრო მუჭლიანი. წინ-წინ ძალიან გაქცევა არ იციან ცხენებისა, ნელ-ნელა წავლენა-დ ძალიან შორს ადის ზოგი ცხენი, რომნებიც დოღვში დაჩვეულები. სათავეში რო დაქუჩდების ყველა, შასხდებიან ცხენებზედ, ჩაუგდებენ მუცელზე მახვეულ სარტყელში ჭელს. რო ყველან მაემზადებიან, ჯვარჩი შამახკვრენ ერთბაშად ზარსა-დ გამაიშლების პირჩაღმ ცხენები. მაშინ რო ღნახ, იტყვ რო ან აწ უნდა დაგორდასავ ცხენებიო-დ ან აწავ. მჭედრები ისრ წამაგრუზვილები წინისკე, რო თავები ცხენის კისერთან აქვ მიტანილები. ძალიან მარდად გამარბიან. გახედავს ხალხი, ჭყივის, კივის, თან მჭედრებ დახკივიან ცხენებსა-დ დგას ერთ ალიაქოთი. მაღლა მთაზეით დაშობილები ცხენები, ხუთ წუთში გამაიყრებიან მიჯნაზე. მასულებ მჭედრებ ჩამახტებიან ცხენებზეით, მიეგებების ახალგაზდაები, ჩამაართმენ ცხენებსა-დ აელევენ იქი-აქათ რო ოყლ შაშრას. მჭედრები კიდევ შასმენ სასმელსა-დ კიდევ გაიმეორებენ დოღვს. მემრ თითოობით არბოლებენ ისეთებს ცხენებს, რომნებიც ძალიან გიუები არიან. თავში ვერ იჭერენ, ყერც ვინ არბოლებს მარჯვედ ასეთს ცხენს. თავმამწონე მჭედრები ერთუცის მემჯობიას წაიყვანენა-დ გამააქცევენ პირჩაღმ. ზოგ ცხენ ძალიან გიუი ასა-დ ვინაც კა მჭედარი, ისრ შააშინებს ჩაღმაზე ცხენს, რო მასულ კანკალებს, გიუობაიც დაცილებული აქვა-დ თავბედიც. კიდევ იციან რო, ზოგს კაცს ეხალიზების რბოლაი, დაუყენებს ფულს დოღვად, ვისაც საშუალება აქვა-დ არბოლებს კიდევ ცხენს. ეს ყველა ახალუხლებმ იციან, უფროს ხალხ კი თავისად სხავ ჯარზედ, საუბრობენ, სმენ ლუდს, ამბობენ წინას ანდრეზებს, ხევსურების ომებს ერეკლე მეფის დროს,ზურაბის დროს, ლეკებსთანა-დ ქისტებსთან,ვინ იყვ ხევსური ან ფშაველი. უფრო მამაცი მეომარი წინას დროში. მემრ ამბობენ მამკლავ-მამკდრობაზე, რჯულზე, ვინ-ვინ მაკლ, ვინ როგორ შაღრიგდა-დ ვინ როგორ დააბოლოვ საქმე, სად როგორ გარჯულეს (გაარჩიეს) ესი თუ ის საქმე, შუაკაცებმ სწორად გაარჩიესა თუ გადახრა საისკე ხქონდ. ზოგზე იტყვიან, რო იმ კაცებმავ სწორად ვერ გარჯულესავ, გადახრა გააკეოესავ, ურჯულო რჯულ დადვესაო-დ შინ მიუვავ ეგ რჯულივ. მაიგონებენ, ვის რა სახელ უქნავ, სმენ შასანდობარს სახელის მაქმედისას. ჩამავარდების საუბარი სიმღერის მთქმელზე, რაზედაც ნათქვამი ას სიმღერე, ვინაც კარგად იცის მისცემენ ფანდურსა-დ ამღერებენ.

ეესრ გაივლის ათენგენის მეოთხე დღეიც. რაიც შაუძლავ ჭევსურებს, ამ დღეს იციან ყველაზე მეტად დროს ტარება დიდგორ.

სოფელ'ში ლუდი არა მიდის, დიაცები არიან შინ, მარტო. კაცებ ქეიფობენ ჯვარჩი. დიაც თუ მეზღვნე ვინ იქნების, ის მივ იქ, იმეებს გაუტანენა-დ შაასმევენ ლუდს. სახელ-სადებს კეცეულეს კი ამ დღეობაში სრუ დღისთაოდ აცხობენ ოჯახებში, ზდებენ მკვდრებისად სახელს, აწევენ სტუმრებს პურის საჭმელად. თუ არაყ უდგას, დააცხობენ ბევრს კეცეულებსად ამ სოფელში მასულს სტუმრებს ყველას გაუმართვენ ქეიფს. კეცეულების ტაბლასაც დაუდგმენა-დ არაესაც ძალდატანებით ასმევენ.

სოფელში ახალ-უხალმაც იცის ერთად შაყრაი-დ ლხინ-მხიარულობა, დღისითაცა, წუსრაც, დაღამებიდგეს. თუ ზალი ას ახალმაყვანილი, ან იქ შაიყრებიან, ან სტუმარ თუ ვინ ას მასული.

მეოთხე დღე რო დაღამდების, ჯვარიონნი ღამეს უოევენ, ყველა წესებს შაასრულებენ. მეხუთეს დღეს სტუმარი გაემართებისა-დ ჯერ ჯვარჩიით გამაისტუმრებენ, გამააყოლებენ საწდით ლუდს, ასმევენ, თან უმღერენ:

შინ წახოლთ, კანო სტუმარნო, გაიპარებით დილითა,
თან გაიყოლებთ ზერდაგსა, ნაკვებსა თივა-ქერითა.
თქვენ ჩვენად რამ ჩამაგყარნათ, არწივნო ქუშნო მთისანო,
სასტუმროდ საყვარელნი ხართ, მასპინძელად შუქნო მზისანო.

ამ სიმღერაშია-დ სმევაში ისენიც (სტუმრები) შამაღმღერნებენა-დ ასმევენ თავის თასებშიით ლუდს:

მე აქა მასვლა არა ვთქვი, მაძოვა ამ ბალახისა,
აეხლა წასვლა არ მწადის , გაწირვა ამ ქალაქისა.

ბოლოს სტუმრები მასთხოვენ მადლსა-დ გამაემართებიან. "შშვიდობით იყვენით ყველა, ჯვარ გეწერასთ ჯვარსაცა, კაცსაც: ნამუსი, თაოზა ნუ მაგიშალასთ!" "შშვიდობით! ღმერთმა ჭელ მაგიმართასთ, - ეტყვიან ჯვარივნები – წყალობა წაიღით დიდგორის ჯვარისა, მეწაღმართე ანგელოზ გამაგაყოლასთ, კლოვ უკეთი გულით გიმსახურნასთ".

დახკაზმვენ ცხენებსა-დ გაემართებიან. გამახყვების მთელ სოფელი – კაცი დიაცი, დიდი, ცოატი, ზოგს ჭურჭელ მააქვ არაყიანი, ზოგს მინაი-დ გაიმართების სოფლის პირში სმა; ბოლოს კაცი, დიაცი, დიდი, ცოტა – ყველა დახკოცნის ერთუცსა-დ წავლენ სტუმრები. წასვლაში ეტყვიან: "შშვიდობით იყვენით ყველა. მადლიობელნი ორთ პატივისცემისა, დიდ პატივ გვეცით, ნამუსი, თაოზა ღმერთმა ნუ მაგიშალასთ. ჩვენის დახენებისადა, პატივისცემისად, ღმერთმა კაით დაგხენასთა გცასთ პატივი". "ჭელ მაგიმართასთ ღმერთშ', - კაცებ ეტყვიან. დიაცებ კი "ჯვარ გეწერასთ, შშვიდობით გამგზავრნასთ დალოცვილმ, რაისაც სალოცავად მახვედით".

ესრ ბოლოვდების ათენგენა. ჯვარივნები ბოლომდინ არიან ჯვარში, ჭელოსანნიცა-დ დასტურ-გამძღობარნიც. ბოლოს მიიტანენ დასტურნი გამასამალოს ქადას. ხუცესი დასდგამს ქადაზე ლუდიანებს თასებს სამსა-დ ზედ სანთელს დააკრავს. მემრ იხუცებს, ახვეწებს მარტო დასტურ-გამძღობართ ყველა ჯვარჩი მესამსახურეების სადიდებლებს კიდევ შაუსახელებსა-დ შასმენ ლუდს. ბოლოს გაპყოფენ ტაკ-ჭორცსა-დ ნახორს მარტო დასტურ-გამძღობარნი. ჭელოსანთ ეძლევის თითო ნაწერეთი-დ ჭორცის წილობები. ბოლოს მასთხოვენ ჯვარს მადლსა-დ წამაველენ შინ.

თიბისთავი

ათენგენის სწორზე იცოდეს თიბისთავი (ახლა აღარ იციან). თიბისთავის დასტურნი ცალკეს იყენეს. ისენი ადუღებდეს ლუდსა-დ დაზდგემდეს კოდს. თიბისთავს განსაზღვრულ დღე არ ხქონდ; როსაც მაისწრობდეს, მაშინ იქმოდეს დღეობას, ხოლოთ შაბათ-კვირაეთ კი უფრო შაახვედრებდეს, მაშინ იქმოდეს დღეობას, რო უქმ ყოფილიყვა-დ, ხალხ საქმეს არ მამცდარიყვ. თიბისთავის წინას წუხრას დასტურები ჯვარ'ში მიიტანდეს ღამისამთელოს კარგი ფქვილისას თავის ხარჯით. იქ მარტო დასტურ-გამძღობარნი უთევდეს ღამეს. ღამის თევას საკუთარ წეს არაი აქვ,ჩვეულებრივად ჯვარიონნი დასხდებიანა-დ სმენ ლუდს. წუხრ,ღამის თევაზე მღერაიც იციან. მემრ იმართების ჩვეულებრივ წესები, რაიც ამისწინა დღეობაში ას ნათქვემი. თუ თაოდ მაიკითხვენა-დ მაიყვანენ სოფელ'შიით ვის, თორე ისრ ამ წუხრას არვინ მავ ჯვარიონთ უწევლად. შაიძლების ჭირის პატრონ კი მავიდას თმა-წვერის დასაყრევლადა-დ ფანდურის გასატეხად. ამ წესებს რო შაასრულებს, ჯვარიონნი აღარ გაუტევენ შინ, დააბრუნებენა-დ სცემენ იმ ღამეს იქ პატიეს, გაურთვენ რაითაც შაუძლავ, ამბობენ ჭირ-ლხინის წასულ ამბებს, ვის რა მახვდომივასა-დ გაუძლავ. მემრ ზოგს საცინელს ამბვებს მაიგონებენ, რო ჭირის პატრონი გაცინან, დააცილან თავის ჭირი.

მეორე დღე გათენდების თიბისთავი. თიბისთავ'ში იკლოდ სამი საკლავი: ერთი დიდგორის ჯვარისად, მეორე მთავარანგელოზისადა-დ, მესამე კვირაისად. საკლავები იყვ მთის საბალახეში ასხმულები მემცხვარეებ'ში ("საბალახეში ასხმულები" – მთის საბალახო ქირაში აყვანილი ცხვრები). საკლავები იჭოცებოდ ცალ-ცალკე, ჯერ დახკლევდეს დიდგორის ჯვარის ზღვენს, მემრ როშკის გორულის მთავარანგელოზისასა-დ მესამეს კვირაისად. ხუცესი ამწყალობნებსა-დ ახვეწებს მარტო როშკიონთ, რაკი იმათ საკუთარ ხარჯზედ ას ეს თიბის-თავი-დ არა საყმო-საგლეხოს ხარჯზედ. მაგალითად, ქმოსტელთ არა მენაწილეობა არ აქვ ამ თიბისთავ'ში.

საკლავის ხუცობა თიბისთავ'ში: „ღმერთმა ადიდას შენ ძალი, შენ სახელი, დიდო დიდგორ ვეშაგო გიორგიო. შენ უშველი შენთ ყმათ როშკიონთ, შენ დავლათი დააჭმარი, ნაძახნებ გაუგონ, დალოცვილო. შენ ყმათ შენს ჭსენება-დიდებაზედა-დ შამაძახილზე ნუ გაუწყრები. მე შენდ შამამიხვეწებიან შენ ყმანი, დიდო გიორგიო, შენ გამჩენს ღმერთს შაახვეწენი. წელ მშვიდობისა, ღალიან-ბარაქიანი დაუყენი, მშვიდობით ატანილ ცელ-ნამგალი, მშვიდობით დაადები, მარცხი-ბირკოლ მააშორი, სახელიან ზღვენი-სანთელი აიტანი, ღმერთი შენს ბატონობას გაუმარჯვებს".

მეორეზე ახსენებს როშკის-გორ მთავარანგელოზს, როგორც გიორგის, ასეთივ მაჭსენებით მააჭსენებს მთავარანგელოზისად დასაკლავს საკლავსაცა-დ ახვეწებს ყმათ როშკიონთ.

მესამეს საკლავზე აჭსენებს კვირაეს ძალიან-მადლიანს, ხთის მაღლის მოკარეეს, ანგელოზთ მეუფროსეს (როშკაში ასეთის სიტყვეებით ახსენებენ ხუცესები და მკითხავებიც კვირაეს). აქაც შაახვეწებს გიორგის ყმათ, რო

უშველას კვირაემ. მაკსენებას მახყვების ხუცობაი-დ ხუცობას კურთხევაი. როშკას ესეები სრუ ერთიანად სრულდებისა-დ თუ გარჩევა რა იქნ, ის აქ იქების ნათქვამი. დახკოცდეს საკლავებს, დაატყავებდეს. ტყავი დასტურთ შჩების, ჯორცს კი ასო-ასოს ჩახყრიდეს ქობჩია-დ ადუღებდეს. ბოლოს დააყენებდეს ზედამდეგს, ის დაანაწილებდ, დაშჭრიდ ჯორცს, ფიცრებზე დააგებდეს ტაბლას. პური საჯვაროს ქერისაი ცხვებოდ, დასტურნ აცხობდეს, თხელებს სატაბლოე პურებს. ხალხი ჯერ ტაბლის დაგებამდინაც სვემდ ლუდსა-დ ტაბლაზედაც დაიდგმოდ თასები-დ ხუცეს აკსენებდ მესუფრეთ ანგელოზთ. ჯერ მააკსენებდ, მემრ იხუცებდა-დ აკურთხებდ. ეს ყველა ისეთის წესით, როგორც ჭელოსანთ ტაბლა იყვ აწერილი როშკას, აღებაში. მესუფრეთ ანგელოზთაც შაახვეწებს დიდგორის ჯვარის ყმათ შემდეგნაირად:

"დიდება-დ გამარჯვება თქვენდა დიდგორის მესუფრენო ანგელოზნო, თქვენა სამთავროდ, თქვენად გასამარჯოდ მაიკმარეთ ეს გარიგებულ სუფრაი-დ სანთელ-სადიდებელი. თქვენ თქვენ მეხვეწურთად, გიორგის ყმათად, როშკიონთად, საშველოდ, სახოიშნოდ, სამწყალობნოდ მაიკმარეთ, ხთის კარზე შაიტანეთ, ღმერთი თქვენს ბატონობას გაუმარჯვებს! თქვენ, დაელათ დააკმარეთ, მშვიდობით აღებულ ცელ-ნამგალი, მშვიდობით გააწირვიეთ. წელ მშვიდობისა დაუყენეთ, ღმერთ თქვენს ბატონობას გაუმარჯვებს". ამას მახყვების ხუცობაი-დ კურთხევაი. ხუცობა კუროხევას რო მაშჩებიან, აიღებენ სადიდებლებსა-დ სმენ. ამ სმაში თავკმელად შამღერნება აუცილებელი ას. შაღმღერნებენ ერთუცს. თასებს რო დასცლიან, ჩამახყრიანა-დ დასხმენ ზედამდეგები ხალხს ტაბლაზედ. პურის გატეხა ჩვეულებრივად იციან: ორნი დაიჭერენ ერთ პურს, ორიევენ დასწევენ, გასტეხენ და იტყვიან: "ღმერთო, გაუმარჯვი მესუფრეთ ანგელოზთა. მესუფრენო ანგელოზნო, თქვენ წყალობა მიეცით თქვენ მეხვეწურთ გიორგის ყმათ, თქვენი წყალობით შაინახენით".

ამას მახყვების კარახანაები-დ კარახანას თავკმელად მღერა. მემრ ზედამდეგებს დასხმენ, როსაც ეს ხალხ გაათავებს პურის ჭამასა-დ ახლა იმათ უყენებენ ტაბლის წესრიგს. ტაბლას აიღებენ ყველა თავის წეს-ჩვეებით. ტაბლის აღებიდგესაც კიდევ სომსა-დ იმღერს ხალხი. რო მაწუხრიხანდების, წავლენ შინ, წასვლაში მადლს მასთხოვენ დიდგორის ჯვარსა-დ, სთხოვენ პატიებას, თუ რა აწყინეს ან პირის ქარით,ან ფეკის ნალით (პირის ქარი: ლაპარაკი, ფეკის ნალი: ფეხსაცმელი და სიარული ისეთ ადგილას, სადაც არ შეიძლება მისვლა და იქ ნასიარულევი გაიელის ჯვარში. ამას ჰქვია ფეკის ნალით წყენა).

თიბის სამშაბათი

თიბის სამშაბათი როგორც სხვა ჭევსურეთ, აქაც აისრ იციან. ჭირის პატრონი დაამზადებს სასმელს თიბის სამშაბათისად. ჭევსურეთში პირიქითს და პირაქეთს ყველგან იწყებენ თიბას სამშაბათ ღღეს. ამ დღის გარდა არც ერთ ხევსურეთის სოფელში არ გავა არც ერთი კაცი სათიბად (ახლა კი ზოგიერთ სოფელში გადაუხვიეს ამ წესს). სამშაბათობით იწყებს თიბას მთელი

სოფელი ერთ დღეს. სასმელ არაყ იციან, ლუდს ამ დღისად ძალიან ძვირად ვინ ადუღებს. კი არა და თუ, სოფელში ამ წელს არვინ ას მამკვდარი, მაშინ სრუაც არასვინ დაამზადებსა-დ დილას გათენებამდინ მიდის ხალხი სათიბლად. ჭირისპატრონი როსაც გააგზაკვლებს საქმეს, მაშინ წაღლალავს საფელში კაცსა-დ კაცსა, დიაცს ყველას აწევს. ყველან მავლენ, ბევრ წევა ამ დღეს არვის უნდ. დაასხმენ ყანწებსა-დ დაღლოცვენ იმ მკვდრისად, რომენ მკვდრის თიბის სამშაბათიც ას ახლად. რო დაღლოცვენ, დიაცებიც გაშლიან ტალავართა, ტირიან. თუ ახალგაზდაი მამკვდარი, უფრო მეტს ტირის დიაცები:

რაჭელ თიბის შამშაბათი გოქვ, ძმაო,
სხვან სათიბად ემზადებიან, ძმაო,
შენ ცელ უპატრონოი ას, ძმაო . . .
მიწა შენს დასა, ძმაო . . .
შენ სწორებ თიბაში მაიღალებიან, ძმაო,
შენ მჭარბეჭი მიწას უჭერავ, ძმაო . . . და სხვა.

ძახილით ტირილს რო გაათავებენ, ან ტირილშიავ ატირებენ ჭმით მატირალს. ჭმით მატირალ რო იარაღს რას აიღებს ტალავარშიით ჭელშია-დ იძახებს ჭმით, მაშინ ყველანი გაჩუმდებიან. თითო სიტყვას რო დააბოლოებს, ყველა დიაცები აქვითინდებიან – იჰიო ჰიო ჰიო. სამ-სამჯერ ჩაქვითინების მემრ, მექვითინეებ გაჩუმდებიანა-დ ჭმით მატირალი იძახებს:

თქვენი ჭირიმეთ, მატირალნო, იჰიო, ჰიო, ჰიო, (მოქვითინეები)
ჩვენ დროჟამ არ გაკვირებსთაეო, იჰიო, ჰიო, ჰიო,
გაოჭრდა ცელი, საფარცხველიო, იჰიო, ჰიო, ჰიო,
მთანი დაოჭრდეს მზისპირულნიო, იჰიო, ჰიო, ჰიო,
თორმეტის მთიბლის საყოფინნიო, იჰიო, ჰიო, ჰიო,
ლურჯა გაოჭრდა ცხენ-ოჭერიო, იჰიო, ჰიო, ჰიო,
პატრონის ჭელჩი დაუცდელიო, იჰიო, ჰიო, ჰიო,
დაოჭრდა ვერცხლის იარაღიო, იჰიო, ჰიო, ჰიო,
პატრიონის ტანზე ნაშვენებიო, იჰიო, ჰიო, ჰიო და სხვა.

(ეს ნატირალი ჩამაწერინეს როშკაში ერთად თავმოყრილმა ქალებმა და მითხრეს: "თქვენ რო ჭმით ნატირლებს სწერთ, ეს ქვითინ ხო ჭმით ნატირლის ნახევარ გვერდი ას, ეს ქვითინიც ჩასწერი, რო ჭმით ნატირალს შნო მიეცას, ჭმით ტირილი უქვითინოდ ვის გაუგონავო").

იტირილებენ დიაცები, ბოლოს რო დაიღალებიან, აიღებენ ტალავარს. დიაცებსაცა-დ კაცებსაც გაუმასპინძლდებიან არაყითა-დ კეცეულებით. ასმევენ არაყსა, თან ემადრივლებიან: ჩვენის გულისადავ, ჩვენის ჭირის გულისადავ საქმეს სთმობთაო-დ შინ ღბრუნავთავ. ხალხი ეუბნების: მაშ რაისად უსახლიორთ ერთუცს, თუ ერთსხვის ჭირ არ გვაწუხებსა-დ ერთსხვას ჭირ-ლხინის დღეს არ მივხენებთ. ჭირი სრუ ერთის თავზე კი არ ას, ახლა სხვის კარზედაც მიოსა-დ ეს სამადლობლო არ ას, რო ერთსხვას მივხენათ, ერთსხვას დაღონებულ გულ მაუმაგრათ. დღეს თქვენდ მწარე დღეი. ღმერთმა დღეს ამას იქით ლხინ მაგცასთ, დღეს ხალხ სათიბზე მიდისა-დ თქვენ ცელის ამღე გაკლავთ. დღეს თქვენ გულ როგორც სწუხს, ეგრ თქვენის მტრის გული სწუხდას. იმით უნდა მავიდათ, რო

გითხრათ რაი, გულზე მაგიყვანათ, რო ჭირისპატრონი მეტად ჭირს არ აძლევდას თავს. იმაზე ფიქრ კაცს არას აგებს, რაიც მახჭდ, ვინ რა არგ სიკვდილს ბევრი დაღონებითა-დ ბევრი დარდით. გულზე უნდა მავიდას, სხვანიც უნდა მაიგონნას, ვითას რაიმ ვისამ მასვლივ უარესი.

ასეთ საუბარით ანუგეშებენ ჭირისპატრონს. კარგა ხანს იქნებიან აქა-დ მემრ კი წავ ზოგ სათიბზედ. თიბის შამშაბათი ყველა ჭირისპატრონებს აქვ. თუ ბევრნი ჭირისპატრონები, როშკას როგორც იციან, ამ დღესაც დიაცებსა-დ კაცებს გახყოფენა-დ წაიყვანენ ვინაც ვის ერგებისად, იმას გაუძღვებიან.

თიბას რო დაიწყებენ, აქაც იციან ცოცოტა უქმები. მუშაობენ მარტო სამშაბათს, ოთხშაბათსა-დ ხუთშაბათს (წინათ ასე იყო და ახლაკი ორშაბათსაც მუშაობენ). პარასკევს, შაბათს, კვირაესა-დ ორშაბათს ქვე ინახვენ უქმად. თიბად გასვლამდინავ დააყენებენ ამ უქმებს. მკა რო გათავდების, მაშინ გასტეხენ. მარტო თიბა-მკაში ას ეს უქმი, სხვა დროს კვირაის მეტს არას უქმობენ. სამს დღეს მუშაობენ ერთს კვირაეშია-დ ოთხს დღეს მუქთად არიან. მაგრამ ვისაც შაძლებაი აქვ უქმის ნათვლისა, ის კი უქმად არ დაჯდების. ვინაც მცხოვრები, ის წინავ იპირებს უქმის მუშეებს. უქმის მუშა იმას ხქვიან, რო მცხოვრებ კაც ამ უქმებში მუშას რო შახყრის, თხას, ან თიკანს დახკლავსა-დ მუშაობის ნებაი აქვ, ამ დაკვლას უქმის ნათვლაი ხქვიან. უქმის დამნათლავს ვინაც უშველს, ის ნახევარ ფასად შველს; მაინც ხო უქმიავ, - ფიქრობს. მუშაის პატრონიც ამასავ ეუბნების: ის არ ეჯობაევ, რო კაცმავ ნახევარ დღის სამუშაო მაინც აიღასავ. ამ დღეებში ზოგ სრუ მუქთადაც უმუშაობს შაძლებულებს. პარასკევს, შაბათსა-დ ორშაბათს თიკნით ნათვლენ, კვირაეს კი ან თხით ნათლენა-დ ან ცხვრით. ღარიბ ხალხს არ შაუძლავ მუშაის შაყრაი, რადგანაც ჯერ თიკანს ვერ იშოებს, მემრ მუშას ხარჯ უნდ: დილას ფაფა ერბოდასხმული, სადილად ხავიწი, თეთრა (ხავიწი – ერბო და ფქვილი ერთმანეთში მოხარშული; თეთრა – რძე, ერბო და ფქვილი ერთმანეთში არეული და მოხარშული), რომენიც მთაში უნდა მიუტანან მუშას. ახლა საქმეიც ღარიბს ცოტაი აქვა-დ ამ უქმ დღეებს შაძლებულებ სრუ თავის სასარგებლოდ იყენებენ, არც ეროს დღეს არ გააცდენენა-დ სხვას ხალხსაც ამუშავებენ. სთველთ ღარიბს რო ორმოც თივა ედგას, შაძლებულს ასი, ასოც მაინც ექნების. იმათ სოფელში გაკლენაიც აქვ.

თუ ვინ წავიდა, მუშაობა გაბედ ამ დღეებში, შაუყრიან სოფელსა-დ მაიკვეთენ სოფლის პირის დამშლელს. ჯვარჩი დაარისხებენ უქმის გამტეხსა-დ სოფლის პირის დამშლელს. დარისხება ხო ერთიანად ამოწყვეტას ლიშნავს აქ. ისეებ რო ეტყვიან ჯვარიონთ, ვინაც უქმს თავის სასარგებლოდ იყენებს, ჯვარიონნიც იმათ სიტყვას მეტად გაიგონებენ, მანამ სხვისას, რაკი ისეებ ჯვარიონთ მეტს პატივს სცემენ მანამ ღარიბ ხალხი. ამის გულისად ამ უქმების შანახვა ძალიან გამაგრებული. გეჭირდებისავ უქმივ ისენ იბრძვიან, კაცსავ სამგზაეროსაც უნდავ წასვლაივ, მუშასაც უნდავ შაყრაიო-დ ძალაუნებურად ღარიბ ხალხიც უნდა მიემჭრას უქმის შანახვას. სოფელ ამ უქმებს სხვანაირადაც კი იყენებს: თუ სასოფლო საქმეზე ვის ირჩევენ წასალალაეად-სად (თუ იგზავნება სასოფლო საქმეზე), მაშინ იმას დახპირდებიან უქმის მიცემას. იმას გააჩნავ სად-ვინ მივ, სად-ვის მიღლალვენ, რამთვენს დღეს დაგვიანდების წასული-დ ან რა

სარგებლობას მაუტანს სოფელს ამ კაცის წასვლაი. ამის მისედვით გაურიგდებიან, ან ერთს უქმს მისცემენ, ან ორ-სამსაცა-დ მეტსაც.

მემრ ის კაცი, როსაც უნდა უქმ დღეებში, მაშინ იმუშაებს იმთვენს დღეს, რამთვენიც სოფელმ მისცა, დახპირდ. თუმცა მარტო ჯალაფნ იმუშაებენ, თუნდა მუშას შახყრის თუ აქვ მუშიის შაყრის შესაძლებლობა. წასავალ-წამასავლადაც იქავ შაძლებულ ხალხს ეწყობის ჭელი, ისი ას ცხენ-უნაგირით გაწყობილი-დ იქავ იმას შაუოვლიან წასვლასა-დ ისივ სარგებლობს. სოფლის მიცემულს უქმს ნათვლა აღარ უნდ, ე.ი. თიკნისა-დ თხის დაკვლა არ უნდ, აისრ მუშაობენ, ხოლოთ მუშას კი უძღვებიან. თუ სუსტად მცხოვრებს მისცეს, ის მუშაის შაყრას ვერ შაძლებსა-დ მარტო ჯალაფნ იმუშავებენ. რაისად ასავ, რო იკითხ, ეს უქმებივ, პარასკევ ბედნიერ-წითელათად ას ნაპატივარი, შაბათი დიდგორის ჯვარისადა-დ ორშაბათი მთავარანგელოზისად, ეს როშკასა-დ სხვაკან თავ-თავის სალოცავებისად ას ნაპატივარი. აქ როშკას კიდევ ის წესი აქვ, რო პარასკეობით გათიბულს კი ახკრეფენა-დ ასთიბენ. არც მკიან ამ დღეს. სხვა დღეებში ხო სამ დღეს მუშაობენ, ათენგენის სწორის სწორზე, ე.ი. ათენგენის მეორე საქმის დღენი დღენახევარანი მადიან. აქ ამ დღეებში სამშაბათს მუშაობენა-დ ოთხშაბათს შუადღემდინ, მემრ დაუქმებაი ასა-დ მთელ დღეებ უქმად გაივლის. ამ უქმს ზოგი გძელ უქმეებს ეძახან, ზოგი დღენახევარათ. პირაქათ ჭევსურეთის წესით, როგორც იანვარში, ეემ საქმის დღეთაც ორ დღე წელწად-კუმეტის დღეობა ხვდების; ემატების სხვა უქმეებსა-დ იმით გრძელდების უქმები. პირიქით ჭევსურეთ არ იციან გძელებ უქმები. ამ უქმებში ბევრ ჭევსურებ მიდიან სხვაკან სამუშაოდ – შინ ქვე არა მიკეთდებისაო-დ ვიმუშაებ მაინც სად რასავ. მიდიან სამუშაოდ: არხოტ, ჯუთას, ფშავსა-დ სხვა მეზობელ ხალხში. ამ საქმის დღეთ სრუ სხვაკან მუშაობენა-დ მეორე საქმის დღეთ კი ბრუნდებიან შინ.

დიდგორის ჯვარში მარიანობა არ იციან. არც ენკენია იციან დიდგორ.

გიორგობა

გიორგობა იციან ერთ დღეი. გიორგობას მიდიან ახალ დასტურნიც. იმათ თავისად ყველა დამზადებული აქვ, რაიც ერთ წელს კუთვნილ დღეობაში დაშჭირდების. სვეიც, პურიც, საჯეაროდ შენახული აქვ. მიდიანა-დ მიხყავ დასტურთ ერთი საკლავი. მანამ დარბასში არ შავლენ, საკლავს არ დახკვლენ. საკლავს მიიყვანენ გიორგობას წუხრას დღისითავ. ხეცესი-დ გამძღობარნი გამავლენ, წყალობას ეტყვიან მასულ დასტურთ. მემრ წააყენებენ საკლავს სასაკლავეზედ. ერთ დასტურ დაიჭერს საკლავს, გამძღობარი ხუცესი იხუცებს თავის მაჭსენება-კურთხევით: "ღმერთმა ადიდას შენ ძალი-დ შენ სახელი, დიდიგორის ვეშაგო გიორგიო! შენა სამთავროდ, შენად გასამარჯოდ მაიჭმარი ეს მაყენებული, მაჭსენებული პირის საბანი, შენ შენთ ახალ დამდგომთ დასტურ-ბუჯირთ საშველოდ, სახოიშნოდ, სამწყალობნელოდ მაიჭმარი. გეძახან, დალოცვილო, შენ უღელდებულნი დასტურ-ბუჯირნი, გეხვეწებიან, შაიხვეწენი. მე შენდ შამამიხვეწებიან, შენ შენს მორიგეს გამჩენს ღმერთს შაახვეწნიდი, მშვიდობით

დადებულ ულელი, მშვიდობით გადააჭდი, ღმერთი შენს ძალსა-დ შენს სახელს მაუმატებს, არ მაიწყენსა-დ არ მაიძულებს.

დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა...” და შემდეგ ჩვეულებრივი ხუცობა-კურთხევა. ბოლოს დახკლავს ხუცესი საკლავს, იმის სისხლი ჩადგების იქავ დადგმულ სპილენძის თასში. მემრ ამ სისხლს ყველკან დაანაწინწლებენ დარბასში, კარშია-დ ჯვარო მიდამოებში, გზებზედაც კი. საკლავს გაატყავებენა-დ ტყავ-ჭორცი ორივ ჯვარჩი რჩების. მემრ მოიტანენ ღამისამთელოს, კოდი გაჭსნილი აქვ ამ დროს ხუცესს. ლუდ ღამისამთელოსად გამატანილი ასა-დ აქ დგას საწდით. ამახკვრენ ვერცხლის აზარფეშაითა-დ ღამისამთელოზე დადგმულებს თასებს აავსებენ. ლუდით. დააკერენ სამს ფეჭს სანთელსა-დ უთევს ღამეს ხუცესი. ღამისთევის წესები ნათქვამი ას წინა დღეობებში. როშკას ღამისთევასაც რო გაათავებენ, თავის წესებით, მღერითა-დ თასის შაქცევით, თუ ახალგაზდაებ ვინ ას აქ, ისენ კარახანას არიგებენ, მემრ უმღერენ საგმიროებს ჩვეულებრივ:

ბერიკო, შენი ფრანგული იტირებს, გადაიქცევა:
- ვაიმე, ჩემო პატრონო, შენფერად ვერვინ მექცევა,
ვერვინ მიმიტანს ომჩია, მიმიტანს, გამამექცევა.
დაბალამ რამამ შამირტყა, წვერი მიწაზე მეთრევა.
ვეფხვ გავაჯავრე მძინარი, საომრად წამამეტივა.
მე ყუვი უყავ კლდისაკე, ის მალე წამამეწივა.
ომს უჩვეველსა ყმაწვილსა ჭმალი ყუვითა მექნივა.
ჭარი ხარ გულიაურო, ხანიმც გექნების ყვირილად,
სოფლელებს ნუმც მაუკვდები, ქალნიმც ნუ მავლენ ტირილად.

შამამღერნებით გათავდების ამ ღამისამთელოს წესიც. ბოლოს ჩამაიყრიან თასებსა-დ დასხდებიან. ერთ-ორ ახალგაზდრა დადგების ფეჭზედა, შაასმევს ყველას ლუდს. ჭელოსანნი ცალკე არიან,უდგას თავის საჭელოსნო ლუდი-დ სმენ აიმას. აქაც რაიც შაუძლავ ერთობიან, იმღერენ საგმირო სიმღერეებს. გაიყოფიან ჭელოსანნი ხანდიხან ორ გუნდად. ორივ მჭარეს იქნების თითო კა მამღერალი სიმღერისთავი, ერთი იძახებს ძველს სიმღერესა-დ თავის გუნდი ბანს მისცემს, მემრ მეორე გუნდის სიმღერისთავ გაიმეორებსა-დ იმას თავის გუნდ მისცემს ბანს.

ჭელოსანნი რო ასეთის სიმღერების მღერას გაათავებენ, მემრ კიდევ დიდხანს ისაუბრებენ შუღლზე, მაშინდელს მამაცობაზედ.გადავ დროიცა-დ ყველან იძინებენ. გიორგობას სიცივეებ დადგებისა-დ კარში ვეღარავინ დაწვების, ყველან ბეღელში იძინებენ, ე.ი. საჭელოსნოში. დილას ზოგს არაყ მაუვ სოფელშიით, ადგებისა-დ ჭელოსანთაცა-დ გამძღობართაც ყველას შაასმევს ნაწოლებს. დილას სოფელჩიით მადის ზღვენ, თუ რა ვის ხყავ დასაკლავი, ისეები იკვლისა-დ თავის წესით კეთდების ყველა, რაიც წინას დღეობებში ას ნათქვამი. ჟამის წირვაიც რა თქმა უნდ, იმავ წესით იქნების შასრულებული. სხო ამ დღეს არა იციან,მარტო კაცები სმენ ლუდს,სოფელში ლუდ არ მიდის,არც დიაც ვინ მავ აქ, კაცებ კი ჯვარჩი არიანა-დ ქეიფობენ წუხრამდინ, რო დაწუხრიხანდების, იშლების ჯარი. მასთხოვენ მადლს, გამაემშვიდობებიან ჯვარსაცა-დ კაცსაც. მემრ ჭელოსანნიც მასთხოვენ მადლს: დალოცვილო დიდგორ ვეშაგო გიორგიო,

ნურაით შაგვიცოდვებ, ნურაის ინაბარას ჩაგვიდებ, შენ ყმანი-დ შენ მიწამტვერნი ორთ, ბევრს გაწყენთ, გცოდვებთ, ჩვენის უცოდრობითა-დ გვაპატივი. ჩვენ ჭორციელნი ორთ, უმეცარნი, შენ ხთის ნასახი ნუ შაუფერებ ჩვენს უმეცრებას, რო უცოდრობით რაში წავსცდათ, თორე გაგებით კი არ ჩავიდენთ ისეთს, რო დიდს დიდგორის ჯვარს ვაწყინათ". ამ სიტყვებით ყველა მაიყრის მუხლსა-დ, აკოცებს მიწას. მიბრუნდების ხუცესი, გამძღობართა-დ დასტურ-ბუჯირთ ეტყვის: 'ჯვარ გეწერასთ ჯვარსაცა-დ ჯვარის გამძღოთაც, გვაპატივეთ, ეასაც გაწყენთ. ჯვარისად ხთის წყალობაიმც გაქვთ, ჭელ მაგიმართასთ ღმერთმ, წყალობა გამაგაყოლასთ დალოცვილმ. დიდიგორის ჯვარმ, მეწაღმართე ანგელოზ დაგიყენასთ".

ეესრ წავლენ ჭელოსანნი. ღამეს იქავ წმიდად იქნებიან ჭერხოჩი. სადაც ჯალაფნი ხყონ. ჭელოსანი იქ არ მიოს, ვერც დიაცები მივლენ, სადაც იმის სამყოფოი ას. პურსაც იქ მიუტანენ ჭერხოჩი, ცეცხლსაც იქ დააგზებს. მეორეს დღეს კი მივ ჯალაფთანა-დ იქავ თავდაჭერით კი ას. სოფელჩიაც არ გაივლის ისეთ მჭარეზე, სადაც მესამრელოე დიაცებ გაივლიან.

მემრ დასტურ-გამძღობრებიც აყენებენ გამალოცვის წესებსა, იხუცებენ გამასამალოს. ცოტახან კიდე სმენ, თუ რაი აქვ ნარჩომ ლუდი (იციან კი შანახვა ამ დროსად), ბოლოს გაასწორებენ ნახორს, ხორცხ, ტყავს, მასთხოენ ჯვარს მადლს. ჯერ დასტურნ წავლენ, ბოლოს ხუცეს-გამძღობარნიც მადლის მათხოვით წამავლენ შინ. დამთავრდ გიორგობა დღეობა. გიორგობიდგე მავლენ წელწად-ქრისტენი. ჯერ ქრისტე მადის, მემრ წელშუის კვირაე ჩამაივლისა-დ წელწად მავ.

ქრისტე

ქრისტე (შობის დღესასწაული) დიდგორ ერთს დღეს იციან. ქრისტე მარხო რო გავ, ქრისტე წუხრა მაშინ ასა-დ ქრისტე დილა გათენდების მეორე დღე. ქრისტეს წუხრას მაგანძურ მიიტანს ჯვარში განძს (განათვლა წინათვე ხდება მაგანძურისა), დაღრეცხს, მიიტანსა-დ დაზდგამს თავის ალაგზე. მემრ დასტურები მიიტანენ ღამისამთელოსა-დ სანთელს. კოდი ხუცესს წესის მიხედვით წინავ მაჭიჭული-დ გაჭსნილი აქვ. ღამისამთელოს დააწყობენა-დ დაზდგმენ ზედ ლუდიანებს თასებს, აჭსენებენ ჯვართ იმავ წესით, რაჭელაც აღებას. ხუცესი ღამისამთელოს ჯერ მააჭსენებს, იხუცებსა-დ აკურთხებს, ახვეწებს დასტურ-ბუჯირთა-დ ჭელოსან-გამძღობართ, მემრ საყმო-საგლეხოს, ჩდილსა-დ მზისპირს. საშამავლო ჭელოსანთაც აქვ მატანილი-დ ლუდიც სანამკრეფლოსა თავისად ნადუღარი. კოდიც თავისად უდგას. ამ კოდს ყველაზე დიდ ყურადღებას აქცევენ, როგორც საკუთარ ყმათა-დ იმათგან გამასულ ჭელოსანთ ლუდს. ამათ ხათრით მესაფუვრე განსაკუთრებით ცდილობს, რო კა ლუდ გააკეთას. რაჭელსაც დასტურთ ღამისამთელოს, აისრავ ჭელოსანთასაც იხუცებენა-დ იმისას ტაბლას დაიდგმენ სანათლავებიც ჩეეულებრივად დახოცილი ჭყავ, რაჭელც წინას

დღეობებში ას დაწერილი. ხორციც იმეებისაი აქვ ნადუღარი-დ ჭელოსანნი ამის ტაბლას იდგმენ. ჭელოსანთ ტაბლის წესი ყველა ნათქვამი ას დიდგორ აღების დღეობაში.

მეორეს დილას თენდების ქრისტე დილა. ეს ღამე უძილობით აქვ გავლილი-დ თან ქრისტეს ძალიან სიცივეიც იცის. დილას ჭელოსანნი ძალიან დატანჯულნ ადგებიან სიცივით, ნასასმლარობითა-დ უძილობით. სოფელშიით მიუვ დილას არაყები, ზოგს ჭელოსანს ჯალაფნ უგზავნიან არაყს, ზოგს მეგობრები, ახალგაზრდებს სწორფრებიც გამაუგზავნიან, ასმევენ ერთუცსა-დ ამით ირჩენენ ატკივებულ თავებს.

მავ დროი-დ მეზღვნეებიც დაიწყებენ მადენას. ზღვნების დაჭოცას ახალ წეს არა-ი აქვ, იჭოცების აისრ, რაჭელაც წინას დღეობებში ას ნათქვამი. ზღვენი, სანათლავი, მისამბარეო, ას ცალ-ცალკე სახუცო, მასაჭსენები ისრ რო ჩაურთვენ ცოცოტა უცხო სიტყვებს. თან შაახვეწებენ მეხვეწურს თავ-თავის რიგზე. მაგალითად: სანათლავის დაკვლაში იტყვის: "მუჭათ-სანათლავი", ზღვნის დაკვლაში: 'პირისაბანი-დ სამსახური" და სხვ. მემრ დაიწყებს სოფლის ხალხიც მადენას, ვინაც ჭელოსნებ არ არიან, ვისაც შინ სტუმარი ხყავ, ისიც სტუმარს ჯვარში წაიყვანს. აქ განსაკუთრებით სტუმრისად იციან დიდ პატივისცემა. მაექცევიან ძალიან კარგად, მთვრალიც რო იყოსა-დ კიდეც წარამარაობდას, მაინც კარგად ექცევიან. იმას შარშია-დ ბოროტშიაც არვინ ახყვების, ყველას მაუთმენენ, რაიც უნდა იამბას. სტუმარი რო სოფელში ვისთან ას მასული, ამაზე თვალ-გული მასპინძელს უნდა ხქონდას, არ უნდა ვის გააჯავრებიოს. თუ ვინ აჯავრებს, იმის მასპინძელ ამას არ მაითმენსა-დ წინწინ თაოდ შაებძოლების სტუმრის გამჯავრეს. მაგრამ სოფლის ჯარზე რომ მიიყონს, მაშინ ის მთელის სოფლის სტუმრად ითვლების. იმის გულისად მთელ სოფელ ფეჭზე დადგების, თუ იმას რა ვინ აწყინ, უჭრელადა-დ უცემლად არ გაუშობენ. მიუტანენ სტუმარს უფროს კაცები თასებს მალ-მალედ,ეფერებიან,ეხვეწებიანა-დ,ასმევენ ლუდს, მისცემენ თასს, დაუჯდებიან მუჭლითა-დ ძალიან სთხოვენ სასმლის შასმას. ხან თავჭმელად შაღმღერნებენ იმის გვარის საგმირო სიმღერებს. მემრ თასს მისცემენ ლუდით სავსეს ჭელჩი, დასმენ, ერთ უფროს აიღებს ფანდურს ჭელჩია-დ უმღერებს იმათ გვარის საგმირო სიმღერეს. დაღამდების კიდეც ამაობაში, მოსთხოვენ სტუმარიცა-დ მასპინძელიც ჯვართ მადლსა-დ გამაემართებიან შინისკე. ჯვარიონნიც ჩვეულებრივ გამაისტუმრებენ, გამააყოლებენ ლუდს. სოფელში ქრისტეს-დღეს ყველა ამზადებს სახელსადებებს, ზოგი ფაფასაც ადუღებს, სასმელ სოფელში ამ დღეს არ იციან.

წელწადი

მეწელწდე დასტურნი საწელწლოდ მალიდგესავ ემზადებიან. მააქვ სასადუღრე შეშა, ფქვენ წისქვილს ფორებს, საჯეროებსა-დ მიაქვ ჯვარში. ჯვარში საამისოდ კიდობნები აქვ, ჩახყრიან იმაშია-დ ქრისტეს მეორ-მესამეს დღეს

დაიწყებენ სადუღრობას. ახკრეფენ წყალს სალუდეს ქვაბში, ორს წყეს წყალს ჩაასხმენა-დ მესამედს ფქვილს ჩახყრიან, მაგალითად, სამ ჩხუტ ფქვილ რო ჩაყარან, ექვს ჩხუტს წყალს ჩაასხმენ. შაუგზებენ ცეცხლსა-დ ადუღებენ რაჭელაც დაწერილი ას ლუდის დუღების წესი.

ეროს ქვაბს რო ადუღებენ, მესაფუვრე თითოობით შახყრის სისწვენს. უკენა ქვაბში წელწდის წინას დღეს ჩამავ. წელშუის კვირაე კი სრუ სადუღროვაში გაივლის („წელშუის კვირა" ჰქვიან ქრისტეს დღეობიდან ახალწლამდინ რაც დღეები რჩება, იმ დღეებს). წელწდის ერთი კვირით წინ ყველა ჯვარის გამძღო-მორიგეები აქ არიან, საწმიდრადაც წელწდისად სამზადისში ყველა თავ-თავის საქმეს აკეთებს. მესაფუერე აფუილებს, შახყრის სისწვნებს, მაგანძური განძს მაიტანსა-დ დაღრეცხს, დააწყობს თავის ადგილზე. მედროშაე გაინათლების (მაგანძურიც ყოველთვის ინათლება), ააბომს დროშას. როსაც ჯვარიონნი ჯვარში თავის წესებს ასრულებენ, ამავ დროს სოფელშიაც ას საწელწლდო სამზადისი. ყველა მეკომური სწურავს საწელწდოდ არაყს, ამზადებს შეშას, რო წელწადში ადარ დაშჭირდას შეშის ჭეჩა (წელწად-კუმეტთ ჭელუძრავ უქმად ინახვენ). ქალებიც დღე-ღამეს ასწორებენ, არ იძინებენ, რთვენ ერთიანა ოჯახისად ახალ ტალავარს. სახელი ას, ვინაც ახალსა-დ კას ტალავარს ჩააცომს ჯალაფთ. ამ დროს სხვა საოჯახო საქმეებშიით ათავისუფლებენ უფრო ახალგაზრდა ქალებს, ვისაც ტალავრის კერვა-ჭრელება შაუძლავ.

წელწდის წინა დღე რო მაწუხრიხანდების, მეემზადებიან მეკვლენი. მეკვლე თითოს ოჯახშიით თითო იციან, უფრო ახალგაზდები. მეკვლეს გაუთბობენ წყალს. აჭდების ჭერხოჩია-დ, გაიბანების, გამაიცვლის ტალავარს ახალს. გამაუცხობენ ჭელებზე ასასხმელსა-დ აისხამს ჭელებზედ (ჭელებზე ასასხმელი ხქვიან ერთს ქადასა-დ ზედ დადებულს საკვირაოს, ქადა რაგინდის გულიან იყოს, სრუ ერთი, არც ეს ქადა იქნების ძალიან დიდი, საკვირაო ხო იმის მესამედის ოდენ ძლივ იქნების). დიასახლისი ამეებს გაღბანს, გახპოხსა-დ დააწყობს ტაბლაზე. სოფელში ჭელებზე ასასხმელის მაჭსენება ბევრებმ იციან, უფროს კაცებმ. ერთ-ერთს მაიყვანენ მასაჭსენებლად. დააწყობენ ერთუცზე სეფესა-დ საკვირაოს, დააკვრენ ზედ ერთს სანთელსა-დ მააჭსენებს (ქოოდ უბრალო კაც კი ვერ მააჭსენებს, თუ ჭელოსან მაინც არ ას). მაჭსენება სხვას მაჭსენებასავით ას, ხოლოთ ჩაურთვენ: "შენა სამთავრო, შენა გასამარჯო მაიჭმარი (სახელი, ვისაც ჭელზე ასასხმელია. მაგ.გიორგი), გიორგიზე მდგომო, მავალო ანგელოზო, ეს სეფე სანთელი-დ ჭელზე სასხმელი, შენ გიორგისად, მაგის თავისად, ჯალაფობისად საშველოდ, სახოიშნოდ ხთის კარზე შაიტანი" – და შემდეგი მაჭსენების ყველა სიტყვები. ამავ დროს სამ ფეჭ სანთელი ერთუცზე დახვეული ჭელებზე ამსხმელს ანთებულ უჭერავ ჭელში. მაჭსენებაჩი ცოცოტას ხუცობის სიტყვებსაც ჩაურევსა-დ ბოლოს დაამწყალობნებს ჭელებზე ამსხმელს: "გწყალობდას გიორგივ, შენ მცავი მფარავ ანგელოზი, საწალმართოდ მაგიარას, მშვიდობით შაგინახას, ბედი დაგლათ დაგაჭმარას, ნუ ვის თვალ-გულ მაგრივას" – შემდეგ სიტყვები დამწყალობნებისა. მემრ დასხდებიანა-დ დაშჭრიან ჭელებზე ასასხმელსაცა-დ სხვა ქადისკვრებისაც; გამდნარს ერბოს დაზდგამს დიასახლისი, ჭამენ ყველანი პურს.

ჭელზე ასასხმელი აწმიდებს კაცს. ჯერ გაბანა აწმიდებს, მემრ ამაზე უფრო ჭელზე ასასხმელი-დ ყველაზე მეტად სანათლავ აწმიდებს. ამის შემდეგ მეკვლე წავ ჯვარჩი, წაიღებს კიდეე ერთს სეფესა-დ ერთ ფეჭს სანთელს. მეკვლენ ყველან მაგროვდებიან, დახკვლენ ერთს სამეკვლეოს კას ზღვენს. ხუცობა ამის დასაკლავად ჩვეულებრივი ას, ხოლოთ ახვეწებენ მეკვლეთ. სამეკვლეო ზღვნის გარდა კიდეე კვლენ ორს საკლავს: ერთს დიდგორის ჯვარისადა, ერთს კვირაისად. ეს საკლავები რაჭელგანდებ იყოს, არ არჩევენ, ხოლოთ სამეკვლეო საკლავ კი უნდა არჩეულ იყოს – ჭედილა ან ვერძი. საკლავვების დაჭოცაში მეკვლენ მუჭლით დასხდებიან ზოგნი, ზოგებ ფეჭზე დგან, რაჭელაც ვის სწადის. ზღვნებს რო დახჭოცენ, ჯერ ხუცესი იტყვის წყალობასა-დ მემრ ყველანი დაამწყალობნებენ ერთმანეთს. საკლავებს ჩააბარებენ დასტურთ, დასტურებ გაატყავებენა-დ ჭორცს ადუღებენ. მეკვლენ კი ბეღელში შავლენ, დააგზებენ ცეცხლს, გამაიტანენ დარბასშიით ლუდს (სამეკვლეო ლუდი ცალკე კოდში არის),დასხდებიან გარდა სამი-ოთხი ახალგაზდაისა-დ სმენ ლუდს. გამაიგონებენ ათასნაირს ხუმრობას, იცინიან, იმღერენ ხან ფანდურზედ, ხან ფერხისას, ფეჭზე მდგომებ კი არიგებენ ლუდსა-დ ასმევენ ხალხს. სიმღერეს იმღერენ ორ გუნდად, ერთი ას სიმღერის თავი-დ სხვებ ბანს ეუბნებიან, მეორე გუნდის სიმღერის თავი წინაის სიტყვებს იმეორებსა-დ მეორე გუნდი იმას ეუბნების ბანს. ხევსურებს ძალიან უყვარს მეფე ერეკლეს დროს ომის სიმღერეების მღერაი-დ ზურაბ ერისთავთან ომების სიმღერები. ამეებს ძალიან ჭშირად იმღერენ ფერჭისაში. ბოლოს ჭორციც იდუღებს, მანამდინ ტაბლას დააგებენა-დ დაზდგმენ, ჯვარიონიც გამავლენ, გამაიტანენ სადიდებელო (ვერცხლის თასებს), დაზდგმენა-დ დააკვრენ სანთლებს, მაუკიდებენ ცეცხლს სეფეების სანთლებსა-დ იხუცებს ხუცესი (სადიდებელთ წესი დაწერილია არხოტის ჯვარში მეკვლე წუხრის აღწერილობაში და აქაც იგივე მეორდება). სადიდებელთ რო დაზდგმენა-დ ხუცობა გათავდების, ყველას აქვ ჭელჩი სადიდებელ თასი სანთელდაკრული (მეკვლეში სადიდებლებს არხოტის ჯვარში მეკვლენი თავიდანვე ჭელში იჭერენ, აქ კი სადიდებელი თასები სუფრაზე ანუ ფიცარზე არის დალაგებული, სანთლები აქვს დაკრული და ხუცობის მოთავების შემდეგ იღებენ ჭელში). ხუცობა ჩვეულებრივი ას. დაამწყალობნებენ ხუცობიდგეს ერთმანეცს. რაკი ყველას თას უჭერავ, დასცლიან უმღერლად, იმით რო შასამღერნებ აღარვისად ას. სადიდებელთ რო დასცლიან, ჯვარიონნი ცოტახან კიდე იქნებიან აქა-დ გავლენ თავის დარბასში. მეკვლენ კი, როგორც წესი ას, სეფეებს დაშჭრიანა-დ დააწყობენ ფიცარზე. ჭორცს დააწყობენა-დ დაუდგმენ მეკვლეთ ტაბლას. ზოგები ფეჭზე დადგებიან, როგორც წესი ას ზედამდეგებისაი, ისენი კარახანაებს დაუდგმენა-დ უმღერენ კიდეც ფეჭზე (კარახანას წესები სხვა დღეობებში არის ნათქვამი). პურს ვინაც გასწირავს, ყველა იღებს კარახანას ჭელჩია-დ დაილოცების: "გაემარჯვას დიდგორის ჯვარსა-დ იმის წყალობა გქონდასთ მეკვლეთ, ბევრ წელწად-ქრისტე მაგგვარასთ მშვიდობისა, კარგად ყოფისა, რგებისა, გახარებისა და ასე შემდეგ.

კარახანას რო სმას დაუწყებენ, ზედამდეგები შაღმღერნებენ სმის დროს:

შავს კლდესა შავსა ყორანსა თეთრ უნაოობდა მჭარიო,

იმ აბრაშუნის თოკითა ყელს ედვა ოქროს ზარიო,

დაღბერნებს დილის ნიავი, დაუურიალებს ქარიო.

დიდხანს გრძელდების ასეთის სიმღერების მღერაი-დ სმევა ლუდისა ერთუცისად, ბოლოს ოასებს ჩამახყრიან თასიანებსა-დ ყველა ტაბლის წესებს ასრულებენ. პურის ჭამას რო გაათავებენ, ტაბლას აიტანენა-დ სხვაგან დაზდგმენ (არხოტში ტაბლას არ აიღებენ, გათენებამდინ ისე რჩება). მთელს ღამეს გრძელდების ქეიფობაი-დ მღერა-ხუმრობა. თამა'შობა აქ არ იციან. მასკვლავები აქვ დასწავლილი-დ როსაც მაუჯარდების თენება, მემრ დაიჭერენ კვალს, კარჩი აღარვინ გავ. როსაც მაატანს თენება, ხუცეს შამავ, შამაიტანს კალთაით თოვლსა-დ გადააშლის მეკვლეთ, ეეგრ თეთრად დაბერდითავ – ეტყვისა-დ გავ იქავ. ცოატი ხნიდგეს მეზარე გაოსა-დ ზარს დაღრეკს. მეკვლენ რო ზარის ჴმას გაიგონებენ, ყველან გავლენად მივლენ დარბასის კარში, გამავლენ ჯვარიონნიცა-დ მაულოცვენ ახალს წელს - დახკოცნის ყველა ერთმანეთს. ახალწლის მილოცვა ჴევსურეთ ყველკან ერთნაირად იციან (მილოცვა დაწერილია უკანხადუს აღწერილობაში).

დასტურები გამაიტანენ ძალიან ცხარეს არაყსა-დ ძალდატანებით ასმევენ მეკვლეებს, რო დაათვრანა-დ იმათ დათრობით თავ ისახელან. მემრ წილს ყრიან ვის ერგების სოფელში წინ შასვლაი-დ კვალის შატანაი. აქ სმენ ლუდ-არაყსა-დ ბოლოს წავლენ თავ-თავის სოფელში, ქმოსტელნი – ქმოსტს, როშკინნი – როშკას. მეკვლეობა ვისაც ერგ, ისეები წინ წავლენა-დ შავლენ სოფელში. მიხყვების სხო ხალხიცა-დ ყველა თაკთაეის შინ მივ. შინ რო შაელენ, ჩვეულებრივად სამ-სამჯერ გააგორებენ სამეკვლაოს. ყველა წესები ისითი ას, როგორც სხვა ჴევსურეთ. სამეკვლაოს გაგორებიდგეს, სოფელშიით კიდე ვის მაიყვანენ კვალის შესატანად. კვალის შამტანი მაიყოლებს ერთს ჴმიადს, ზედ დაცხებულს ერბოს, ერთს ბოთლს არაყსაცა-დ ზღუბლთ რო გადაჴდების, მაულოცავს: "შამავდგი ფეჴი, გწყალობდასთ ღმერთი; ჩემიმც კვალ კაზე დაგიჯდებისთ: წულიანი, პურიანი, სახელ-სარგებლიანი. ბედნიერ წელი-კვალ გამაგიცვალასთ დიდგორის ჯვარმაცა-დ მაღალ ღმერთმაც, ერთსამც ეეხლად ილოცავდათ, ათიათასს სხვას, რგებისას, გახარებისას, ერთუცის სიცოცხლისას".

მეკვლე რო ამ სიტყვებით ულოცავს, შინითაც მეეგებებიანა-დ ულოცვენ ახალს წელს ესეთაითავ სიტყვებით. დასმენ მეკვლესა-დ დიდს პატივს სცემენ. ბოლოს გაისტუმრებენ, თან გაატანენ ერთ ბოთლ არაყს (ბოთლს ჰქვიან მინა), ერთს ჴმიადს, ზედ დადებულს ერბოს, სატანს. მანამ სოფლელს, ან მეზობელს კვალს არ შაატანიებენ მანამდენ ვერვინ შავ სხვის სახლში. რომ რაად ვინ მასული იყოს, კართანით დაუკაკუნებს (არც ძახებაი ას კვალის შატანამდინ წესი). კვალის შატანა ყოველწლიურად ერთის კაცისაგან იციან თითო ოჯახმ, თუ რა ვის კარგად მაუჴდ წასულ წლებში, მეკვლეს დააბრალებენ – კაი კვალ მაგვიტანავ. მეკვლის გამაცვლა არ იციან ადვილად.

ჴევსურეთ ბევრ შაატანიებს კვალს. ისრ სწამს, რო ძაღლის კვალ უფრო კაი ასავ, პატრონს ძაღლივით ერთგულ არა-ი ხყავავ. თუ კვალივ ისითმ შაუტანავ, რო ორგული ასავ, მა'შინ საქმე კარგად არ წავავ. ძაღლს რო შაატანიებენ კვალს, დიდს პატივს სცემენ, აჭმევენ პურს, ხორცს, კეცეულებსა-დ რაიც კი შაუძლავ ყველას. შაიძლების კვალის შატანიება წელწად-დღეს დაშჩასა-დ

კუმეტს ან სხვა დღეს შაატანიებს კვალს, მანამ სხვა კი ვერვინ შადის კვალშაუტან სახლში. დანარჩენ დღე როგორც სხვა ჭევსურეთ, ისრ იციან (ჭირის პატრონის კარზე მისვლაი,ცეცხლის დაგზებაი, ლუდ-არაყის სმა).

ჯვარჩი სრუ დილა-წუხრ ას ღამისთევა-ჟამისწირვაი,რაიც შაუძლაე ლხინი (როგორც სხვა სოფელში, აქ იმდენი ლხინი არ იციან,მაგ.,როგორც არხოტში და უკანხადუში). ჯვარჩიით სოფელში ლუდი მარტო ჭირის პატრონის კარზე მააქვ, სხოდ არა იციან, დიაცებს აქ არცრა გართობა არ აქვ. თუ სოფელში ერთმანეთს ვინ აწევს,არცრას ბევრს იქ ლხინობენ. მარტო არაყს შასმენა-დ წავლენ. სამეკვლაო, ბედისკვერა, ერთმანეცის მაკითხვა, ყველა ისრ იციან, როგორც სხვა ჭევსურო. რაიც კა სასმელ-საჭმელი-დ ჩასაცმელ-დასახური აქვ, ყველას წელწადში უფრო ხარჯვენა-დ ჭმარობენ. სხო დღეობებზე მეტად. ამ დღეობისად იმარაგებენ უფრო მეტს. წელწადში თუ იოლას რაით გავიდეს, წელწდიდგე ოუნდა სრუ აღარა დაშჩას, არას ინაუღლიან. წელწადი აქ გრძელდების ხუთს დღეს: წელწად დღე, კუმეტ-დღე, წინა შუადღე, უკანა შუადღე და გამცხადება. წყალკურთხევა დღეს აქ დღეობა აღარ იციან, თუ არაყ ვის უდგას, იმაზე კი აწევენ ერთუცს,ან ჯვარჩი თუ ლუდ რაი ას დამრჩალი, იქ ვის აწევენ ჯვარიონნი.

დღეობის წესები ისეთივე არის, როგორც უკანა ხადუში და ამიტომაც არ იწერება. სახელსადედებიც თითქმის ყველას დღეს იციან წელიწადში. კუმეტს კი ფაფას ადუღებენ ოჯახებში ყველანი-დ იმას ზდებენ სახელს. წყალკურთხევას დილას მალედ გავლენ ოჯახებშიით თითო კაცი, ავსებენ საწყლე ჭურჭელს წყლის პირზედა-დ ღვრიან იქავ. რამთვენსაც აავსებენა-დ დაღვრიან, იმთვენს მკვდარს მაიგონებენა-დ იტყვიან: შაუნდნასო (სახელი მკვდრისა). ვინაც კი მაღგონდების, ყველაისად დაღლოცვენა-დ დაღვრიან წყალს. წელწად დილასა-დ წყალკურთხევას დილას ცხენსაც წაიყვანენ ღამიანად წყალზედა, შაასმევენ წყალს. თუ ვის სულის ცხენი ხყავ, იმას უფრო ასმევენ წყალსა, აჭმევენ შანდობა ნათქვამს ქერს თოფრაით. რაიც ჭევსურეთ კაი ცხენები ას, სუყველა სულისად ას დაკურთხეული. ვინაც კა მაკვდების ჭევსურეთ, თუ შინ არ ხყავ, სხვაკნით მაიკითხვენ დასაკურთხვიებს ცხენს, იმას იყიდიან, მისცემენ მეტს ფასს. იმას დააკურთხვიებენ თუ ისით ვინ მაკვდ, რო ქონებაი აქვა-დ ბევრ არვინ დარჩ იმის წილის პატრონი, მაშინ უფრო ცდილობენ კა ცხენ იშოვანა-დ დააკურთხვიებენ. ამისთანა დღისად მრავალ ოჯახებს ხყავ კაი ცხენები. ჭევსური ჭშირად იტყვის: ერთ კაცი ორ, რო მაეკვდ, ჩემ ჯალაფნი ცხენს ვეღარცაით მაიყვანენ, ერთა ცხენა-ი გვყავ, თაოდ მინდ მთელსაცა-დ მკვდარსაც. ამას ეტყვიან უფრო იმას, თუ მაუვიდ ვინ: ცხენ მაგვეცივ დასაკურთხვიებლადავ. მაგრამ ჭშირად ისით ჭირისპატრონ მაუვ სათხოვლად, რო ხათრით ვეღარას ეტყვიან. წაიყვანენ ცხენს, ჭელს გამააბენ მკვდარს, დააკურთხვიებენა-დ მემრ პატრონსავ უბრუნებენ, თან ხუთ-ექვს ძროხასაც მაუყოლებენ. დაკურთხეულს ცხენს აღარცვინ იყიდის. თუ იყიდ ვინ, ნახევარ ფასი ღირს ჭევსურეთ ასეთ ცხენი. რად მინდავ, იტყვის ჭევსური, სხვათად დაკურთხეულ ცხენიე სხვისაიავ, ჩემ ხო არ ასავ, სხვის ცხენ რაად უნდა ვინახავ. მე რო მაეკვდავ, ჩემთ ჯალაფთ საით უნდა იშოვნანავ ცხენივ. აზირ საკუთარ ცხენ შავინახაევ, რო მთელსაც გამამადგასაო-დ მკვდარსაცავ. ჭევსური დაკურთხეულს უნაგირსა-დ მათრაჭსაც არ იყიდის, -

რად მინდავ სხვისად დაკურთხეულივ, ჩემ ხო არ იქნებისავ. თუ კი საკუთარ არ ასავ. რა ხალიზით უნდა შავჯდავ ზედავ. ძალიან იშვიათად იყვ, რო იყიდდ ვინ დაკურთხეულს ცხენს, უფრო იყიდდ ღარიბი, უქონელ, რაკი ისეთ ცხენი ნახევარი ფასში იყიდებოდა-დ ღარიბს ჭელ მიუწვდებოდ. თუ შორს ვინ გახყიდდ ცხენს, რო აქ ამ ცხენს არ იცნობდესა-დ არ იცოდეს დაკურთხეულ იყვა თუ არ, მაშინ ამ კაცს ხალხსთან ერთად პირობას დაუდებდეს: თუ ეს ცხენივ დაკურთხეულ ამაჩინდავ, მაშინ ნახევარ ფას უნდა დამიბრუნავ, შაიძლების, რო სრულს ფასზედაც დაზდებდეს პირობას, რო სრულს ფასს დაუბრუნებდა-დ ცხენზეითაც ჭელს აიღებდ.

წინჭადუელ მიხიელმ გამიხარდი წიკლაურს აჭდივ ერთხან ცხენის ნახევარ ფასი. გამიხარდი იყვ არხოტიონი, მიხიელი პირაქათელ ჭევსური. არ იცოდ, დაკურთხეულ იყვა ცხენ თუ არ. არხვატი-დ წინჭადუ ერთის დღის სავალზე არიან დაშორებულნი, მიხიელს იქაურ რა ეცოდინებოდ. გამიხარდიმ მაიყვან თავის სახლისკაცისად ბაბუჭურთ თათარაისად დაკურთხეულ ცხენი გასაყიდლად. ძალიან კა ცხენ იყვა-დ მაეწონ მიხიელს. ეს ცხენ ჭევსურეთულად ათ ძროხა მაინც ღირდ. გამიხარდიმ ექვს ძროხად მიხყიდ. მიხეილს ამზე ეჭვ შაეპარა-დ დაიწყ კითხული: დაკურთხეულ ხო არ ასავ ეს ცხენივ. ბოლოს გაიგ, რო გამიხარდის მაუტყუებავ, დაკურთხეულ ცხენ მიუყიდავ. დაუბარ მიხიელმ მტერობა: "შენ რო მამატყუევ, გავიგიო-დ იცოდავ, რო მტერი ორავ. მე არ მაგეპარებივ, გზას იარეო-დ სადაც შაგხვდებივ, უჭრელს არ გაგიშობავ, თუ საქონს არ დამიბრუნებავ". გამიხარდიმ შემოუთვალ: "მე შენ არას გიბრუნებავ, იმტერევ, რამთვენიც გინდავ". "აბა, თუ მტერობა გინდავ, სუდარი ზიდევ უბითავ – დაუბერ მიხიელმ – სადაც შაგხვდებივ, მე სანაჭრეევედ არ მაგიქნევავ იარაღსავ, სასიკვდილოდ ვიშულლებავ". ახლა გამიხარდიმ დაუბარ: "აბა, მე ფარჩას ვერცაით ვიშოებავ, შენ ზიდევ სუდარიო-დ სადაც შავიყრებითავ, ან ერთს გამაგვადგებისავ, ან მეორესავ".

გაგძელდ მტერობაი, ბოლოს შაიყარნეს გზაზედ, თითო-ოროლ ხანჯარ დახკრეს ერთუცს. ხალხ შახედა, მალე გაამეშვლნეს. ბოლოს აუდგ შუაში კაც-შუაკაცი-დ რჯული ქნეს. რჯულმ ნაჭრეევებ შიგიში გაღბარ, რაკი ერთნაირად შჭირდ. გამიხარდის დაადვ სამის ძროხის დაბრუნებაი-დ არაყით შინ მისვლა მიხიელსთან (არაყით შინ მისვლა ხევსურეთში ნიშნავს ქედის მოხრას მოპირდაპირის წინაშე და უდრის ხუთის ძროხის გადახდას. რჯულის კაცები ხშირად ორ მოპირდაპირეს შორის დამნაშავეს მიუსჯიან: ან ხუთ ძროხა უნდა მისცეს დაზარალებულს, ან არაყი უნდა მიუტანოს და მიუვიდეს სახლში. ამას ჰქვიან "შინ ხვეწნა". უმრავლესობა ჭევსურებისა ხუთ ძროხას იხდის და კაცთან არაყით არ მივა, ეს არის თავმოყვარეობის საკითხი. სახვეწრად სხვის სახლში არ შავძვრები-დ ორჯერ ხუთს ძროხას გადაეიხდიო – იტყვიან ჭევსურები).

ხევსურეთში იტყვიან: "რჯულის მაჭრილ ჭელ არ გეტკიენებისავ". გამიხარდიმაც რჯულის ნათქვამზე უარ აღარ თქო, რაკი ჭევსურები ამბობენ, რჯულმავ რაც გინდა დაგადოსავ, სირცხვილ არ ასავ. სამ ძროხაიც დაუბრუნა-დ შინაც მიუვიდ არაყით. ეს ერთი ვთქვით მაგალითისად, ოორემ ბევრ ამისთანა მამჭდარ ჭევსურეთ, უნაგირის მიყიდვაზედ, ცხენის მიყიდვაზედ. თუ ისეებ

დაკურთხვეულებ გამაჩინდებიოდ, ძალიან დიდ მტერობა ჩამაუვარდებოდ გამყიდსად მყიდველს, ბევრ ჭრა-ჭრილობაიც ყოფილა-დ რჯულიც ამაზედ.

ზოგი დასაკურთხვიებლადა-დ თაოდ საყონიებლად არ გაიყვანდ ცხენს. ვისაც შჭირდებოდ, ისი ქოოდ იყიდდ ცხენს, თუ ასეთს ხათრს ვინ გაუწევდა-დ მიხყიდდ. ამ დღეს კას ცხენს იმას დააკურთხვიებდეს. თუ შინ იმის მჭედარ-ვინ იქნებოდად რიგიანი, ის იყვანიებდ, ან ძმა, ან შვილი. თუ ამის კარგ მამვლელი-დ მჭედარ არვინ იქნებოდ, მაშინ დაკურთხვევიდგეს მისცემდეს ვის: ან დისწულს, ან დედიძმას, ან სხვას მაკეთეს ვის, ვინაც ამ მიცვალებულსთან სიცოცხლის დროს კარგად იყვ (ე.ი. მეგობარი). ხოლოთ ისითს კაცს აარჩევდეს, ვისაც ცხენ უყვარდა-დ ეხალიზებოდ კა მაელაი-დ მჭედრობაიც თუ შეეძლიყვ. უფრო არჩევდეს დოღვჩი მარბოლს ცხენს, რომენიც წინ დარბოდ. ამაში არც ფასს ზოგევდესა, თითქმის თორმეტ ძროხამდენ აძლევდეს. დოღვში მარბოლის ცხენის დაკურთხვევა იმით უნდოდ, რო, როსაც დოღვნი, მაშინ ტირილ-სატირლოვაი ასა-დ ჭშირად მაიგონებენ ამ ცხენის პატრონს, შაატირებენ ჭმით მატირლებიცა-დ სხვაიც, ვინაც ძახილით ტირის. იმ ცხენს ვინაც უელისა-დ ხყავ, იმის სახელს კი არ აჭსენებენ, აჭსენებენ იმას, ვისადაც დაკურთხვეული ას. მაგალითად, ცხენი დაკურთხვეული ას ჯურჭაისადა-დ შასანახავად მისცეს გიგიას, ის უელისა-დ იმას ხყავ ცხენი. ამის სახელზე კი არვინ იცნობს ამ ცხენს, იმას ხქვიან ჯურჭაის ცხენი. წინ ვის ცხენ მავიდაო-დ-ჯურჭაის ცხენივ, ეს ვის ცხენიაოდ-ჯურჭაის ცხენივ. აქ გიგიას არვინ აჭსენებს. მკვდრის პატრონს ძალიან უნდა, რო სახელოვან ცხენ იშოვას, რო ხალხი იმის სახელს ჭშირად იგონებდას. ამით არც ზოგვენ ფასის გაღებას. ამ ცხენს ვისაც აჩუქებენ, ის ვალდებული ას, რო კარგად ხყურას, აჭმიოს თივა-ქერი-დ არც ნალებ დააკლას. თუ კარგად ვერ უელის, მაშინ შაიძლების, რო ქვეც წაართვანა-დ სხვას მისციან, თუ შინ არვინ ას შამნახავი. ამ ცხენის გაყიდვის უფლება არვის აქვ, ვისაც ჭელჩი ას, მკვდრის პატრონისად დაუკითხავად. გაყიდვა მაინც ძალიან ეზარების. თუ გაიყიდავ, მაშინავ საკუთრად არ ხჭმარდებისავ საიქიოსავ ეს ცხენივ. თუ მაინც განსაკუთრებულ მდგომარეობაი ას, ან დაბერდ ცხენი, ან დაკოჭლდა, ან მოხობი ასა-დ ცუდ საყვანიები, მაშინ ჭირისპატრონ ან გააყიდვიებსა ან გააცვლევს ამ ცხენს. თუ გასცვალ, მეორე ცხენს დააკურთხვიებს, ანაც სხვას ცხენს იყიდის იმის ნაფასურითა-დ იმას დააკურთხვიებს. თუ ასეთ არც ერთი იქნ, მაშინ ცხენის გამყიდმ უნდა იყიდას ხუთის მანათის სალოცავი (ხუთი მანეთი მაშინდელი ანგარი'შით, როცა ხევსურეთში ერთი ძროხა ღირებულა ხუთი მანეთი). სალოცავი იქნების ან ვერცხლის თასი ან რვლის ჩხუტი, უფრო ვერცხლის თასი იციანა-დ ზედ სწერაე, რო შანდობა უთხარით ამა და ამ კაცისადაე. ვერცხლის თასს ან ჯვარჩი მიიტანენა-დ ან შინ იქონიებენ. ამ თასით სადაც ვინ სასმელს შასომს, ჭშირად იგონებენ, ვისაც შასანდობარ აწერაე ზედ.

სალოცავს რო იყიდიან, გამასწურავს მყიდველი ერთს საარაყესა-დ მიიტანს, ვისაიც ცხენი იყვ, იმათას. თასსაცა-დ სასმელსაც ერთად ეტყვიან შანდობას იმისად, ვისადაც დაკურთხვეული იყვ ცხენი. შანდობის თქმა ჩვეულებრივი ას, როგორც სხვა დალოცვა მკვდრისად.

ცხენის დაკურთხვევის წესები ამ საუბარს მახყვა-დ მოკლედ იმაზედაც ვიტყვი. კაც რო მაკვდების, როგორც ვთქვით, თუ შინ არ ხყავ ცხენი, მაშინ სხვაკნითაც იშოებინა-დ იყიდიან (ცხენი შეიძლება ყველას არ დაუკურთხვიონ, უფრო უკურთხვიებენ უშვილოს და კარგი ქონების პატრონს. დედისერთას, ახალგაზდებს თითქმის ყველას, თუ შესაძლებლობა ჰქონდათ. ქალებს ცხენს არ უკურთხვიებდეს, თუ ვინმე გამონაკლისი ამას გაბედავდა, იმასაც სისულელეში ჩამოართმევდენ: ქალს ცხენი რად უნდაო). მაიყვანენ მკვდრის ზედებასავ, გაღბანენ, გასწმედენ, აჭმევენ თივა-ქერსა-დ გაალამაზებენ. მემრ ქალები დაუწვენენ ფაფარს ბევრ ადგილას, დააკერებენ ფაფარზედ საფაფრეს. საფაფრე გაკეთებული ას ფარჩისაგან ცხენის კისრის სოგძეი, ზედ დაკრული აქვ მძივ-ღილები-დ ბოლოზე აბრაშუნის ფესვი აქვ გამასხმული. გააკვრენ ამას ფაფარზედ, - ან ერთს, ან ორ-სამს. ქოჩორიც დაწნულ უნდა ხქონდას ცხენსა-დ იქაც მძივით გაკეთებული საშუბლურ ექნების დაკრული. ერთს მძივიანს ყელსადებს გაუკეთებენა-დ დახკიდებენ მკერდზე. ძუა დაწნული აქვა-დ ბოლოში ნაჭრის ბაწრები აქვ შამბული.

მკვდარს რო გაამზადებენ დასამარხავად, ცხენსაც შახკაზმევდეს (ეს ხდებოდა უფრო ძველად), გამაუკრევდეს ძუასაცა-დ მაიყვანდეს მკვდარსთან, საბლით ჭელზე შააბემდეს (მიცვალებულის მკლავზე მოაბამდენ ცხენს თოკით), ხურჯინს გადახკიდებდეს, ხურჯინჩი სასმელს ჩაზდგემდეს, საგძალს ჩაზდებდეს, მკვდრის ტალავარსა-დ იარაღსაც ახკიდებდეს. დადგებოდ სულის ხუცესი, ჭელში ყანწს დაიჭერდ, უნაგირის ტახტაზე ანთებული სანთელი იქნებოდა დაკრული და მათრაჭიც დაკიდებული. ცხენისა ავშარაის საბელ მკვდრის ჭელზედ იქნებოდ შამბული, აღვირის ტარს მკვდრისა ან დედა დაიჭერდა ან ცოლი, ცხენ რო არ დამთხვარიყვა-დ მკვდარ არ დაეთრიე ჭელით. სულის ხუცესი შაუდგებოდ სულის ხუცობათ: "ღმერთო, დიდება შენდა, ღმერთო, მადლი შენდა, ღმერთო, უშველი (ჭირის პატრონის სახელი), მარჭეს ნუღარას დააღირებ, ავ კაით დააცილი, სადაც შენ ხარ (მიცვალებულის სახელი), შენ სულ მაიჭსენების მანდაურის წესითა-დ სამართლით, შენიმც საჭმარი ას ეს ცხენიც, ეს უნაგირიც, შენამც გეჭმარის, უცხენოიმც ნუ იქნები, ცხენიან სწორ-ამხანაგშიამც ზდგეხარ, ნუმც არაით დაღონდები, რაჭელც შენ ჯალაფთ გაუქჩერებავ შაკაზმულ ცხენიც, ხურჯინ-საგძალიც, შენამც ხჭმარობ".

ამას მახყვების სულის კურთხევა ისეთივე სიტყვებითა-დ წესით, რაჭელაც სხვა დროს იციან. ხუცესი რო სულის კურთხევასაც დაამთავრებს, იტყვის: "შაგინდნას, გაჭმარას ღმერთმა – ქრისტიანობის გამჩენმ". დაასხამს სასმელს ცხენის უნაგირზე, ცხენის ტახტაზედა-დ ამბობს შასანდობარ სიტყვებს. მემრ გამაართომს მათრაჭს, ვისაც ცხენ უჭერავ ისი-დ (დედა იქნება ან ცოლი, ან სხვა მახლობელი ნათესავი) დახკრავს ცხენს კისერზედ ოდნავად, იტყვის: 'რაჭელც ჩვენ გაგვიქჩერებავის ეს ცხენი, შაკაზმულობაიც, საგძალ-სასმელიც, ისრამც შენ მაგიოს, შენამც ხჭმარობ, ცხენიან სწორ-ამხანიგშიამც ზდგეხარ, უცხენოშიამც ნუ იქნები, ნუმცარაით ღონდები-დ სწუხდები". ცხენის დაკურთხევას რო მაათავებენ, საკაცე გამზადებული ას, ასწევენა-დ ტირილით წაიღებენ. ცხენს ჭელჩი ვინ დაიჭერს ერთიდ თან მიაყოლებენ სამარის კარამდინ. რო დაასაფლავებენ, ერთ ვინ შაჯდებისად გააქცგამააქცევს ცხენს იქი-აქათი. ცოტა სასმელ რა ექნების ხურჯინჩია-დ შაასმევს იმას, ვინაც გზაში შახვდების.

მიცვალებულებზე ლექსების გამოთქმაც იციან,იმის ცხენზედ:
წუხელი ვნახე სიზმარი, ტირილ გამადის ჩვენითა,
სულეთში სადამ შავვარდი ჩემის მინინო ცხენითა,
ათამაშებდა ყურეჭსა, ნაკვები თივა-ქერითა.

დაკურთხეულ ცხენი წელწადსად წყალკურთხევა-დილას ღამიანად მიხყავ წყალზე. აჭმევენ ქერსა-დ თუ ყინულ არ ას, ქვეც გააქც-გამააქცევენ. ჭირისპატრონებ კი გახედვენა-დ ტირიან იმის მნახველები.

ჯვარიონნი წელწადშიაც გამაილოცვენ აისრავ, რაჭელც სხვას დღეობაში. ამის შემდეგ გაიმართების ბედისკვერაობაი-დ თითქმის მარხოშამასვლამდე სრუ მიდენ-მადენაი-დ არაყის ზიდვაი ას მაკეთეებში. ამ დღეობებს შუღლიც ბევრ უწერავ ჭევსურეთ, ბევრი შუღლობს ჯერ დღეობაში, მემრ მიდენ-მადენაში. მტრები ხვდებიან ერთუცსა-დ შუღლობენ ფარ-ჭმალით. ზამთრის ჭევსურეთის გზებზე რო გაივლის კაცი, ძალიან ჭშირად შახვდების თოვლზე ნაშუღლარს, გაზერხნილსა-დ სისხლით მასვრილს თოვლს. რო მაგაზაფხულდებისა-დ ხალხ საქმეზე გაიშლების, მა'შინ კი აღარ ას იმთვენ შუღლი. გზებ რო გავ ყველკანა-დ ხნიერ ხალხ შაზძლებს სიარულს, მაშინ იმართების რჯული-დ ზამთრის ნაშუღლარების გარჩევა. ჭევსურეთის გზებზე ბევრკან ღნახევდ კაცი რჯულის კაცებსა-დ მერჯულეებს. ნამეტნავად ერთ აჩემებულ ალაგზე – ოჭერჭევის გორის ბოლოს.

ხალხის რწმენით, დიდგორის ჯვარი როშკისა-დ ქმოსტის სალოცავებში ყველაზე უფროსი ას. ხთისაგან აქვ მალოცვილი ძალი-დ შაძლებაი. დიდგორის ჯვარი დევ-კერპთაც ებძვისა-დ გაჭირების დროს მტერსთანაც შაუძლავ დაჭმარება. თუ ვინ შამასძახნებდ, დიდგორის ჯვარი დაეშველებოდ. წინავ აქ დიდგორის ჯვარ არ ყოფილ. შარვანით მენადირეს გამახყოლივ, მასულისა-დ დიდგორ დამჯდარ. მონადირეს მიუზიდავ ქვები; სადაც ის დაარსებულ უნახავ, იქ კოშკ აუგავ (შარვანი არის ყაზბეგის რაიონში, სოფ. ჯუთის მთაში, სადაც წმიდა გიორგის ილოცავდნენ). იმის აქეთ დაუწყავ აქ ლოცვაი. ეს ალაგი, სადაც დიდგორის ჯვარი ას დაარსებული, ქმოსტელთ შჭერიოსა-დ ჯვარს დაუჭერავ ძალით. ტახტის ყმად ქმოსტელ-როშკიონნი დაუჭერიან. წინ-წინ ეეგრ ილოცევდეს, როსაც რაჭელ-ვის უნდოდ. ბოლოს გაუჩენავ ჯვარის ყანები, დასტურები, ხუცეს-ჭელოსნები. შაუწირავ ხალხს თასები, დროშა, დროშაის მასალა, გაუჩენავ დღეობები, ლუდის დუღილი-დ გაძრიელებულ დიდგორის ჯვარიც.

ზოგ მამულები ჯვარისად ხალხს შაუწირავ, ზოგი თაოდ დაუჭერავ, რაიც იმის საარსოს ახლოს ყოფილ. გვერდზე სოფლის პირდაპირ ტყე დაუჭერავა-დ დიდგორის ჯვარის ტყე დახქვივნებივ. ეს ტყე ქმოსტელთ შჭერიოს. მკითხავების პირით უოქომ დიდგორის ჯვარს, რო ამ ტყესაე თავ დაანებეთავ, თორე სრუ გაგანდგურებთავ. იმათაც ჭელ აულავა-დ შაუწირავ. იმის მემრ ამ ტყეში გაელაიც აღარ შაზძლებივ არც კაცსა-დ არც საქონს.

ხოდაბური ერთი ფაფარენას აქვ. როსაც კიბალაურნი-დ ბერდიშვილნ გაყრილან, მაშინ ერთ უფრო კაის ალაგის ყანა დიდგორის ჯვარისად შაუწირავ, დიდგორის ჯვართანით ამასაჭედისკე ერთი ვერსით დაშორებული. დაახლოებით იქნების სამის დღისა ულლის ჭარით საჭნავი. როშკის სოფლის ბოლოზედ ას კიდევ ერთ ხოდაბური, რომენსაც წინავ ულაეთ ხჭნევდესა-დ მკიდეს. ეს

შაწირული ას მთელის სოფლისგან. აქ წინავ მდგარან ახალანი-დ ისენ რო წასულან, იმათ მამული სოფელს უყიდავა-დ ჯვარისა-დ შაუწირავ. ეხლადაც იქავ "ახალათ ყანანი" ხქვიან. სოფელ როშკას ბოლოშიით ზედ მიადგების ამ ყანათ მძღვარი. დიდგორის ჯვარი ამ ყანათ ორი ვერსის სიშორეზე აქვ, დასავლეთ მჭარეს.

ახალან აქით რო აყრილანა-დ ერწოს საწულან, მამულ ეეგრ დამრჩალ, მემრ იმათ შვილებს ახალათ თოთიაის მეთაურობით მაუთხოვავ მამის მამული. როშკივნებს უთქომ, რო აქ თქვენ აღარაი ასავ. თოთიას უთქომ: მე მაჭსონსავ, რო უფროსებმ თქვიანავ: ჩვენავ როშკას სოფლის ბოლოზე გექონდავ მამულივ, რო ჭვნაშიავ საქედო მაუსვისავ როშკის ქვიტკირსავ. ეს როშკიონთ უფროსმ ბათაკიამაც დაამტკიცა-დ სოფელი ვეღარას გაჭდ, მიცემა მაუნდ სასოფლოდ ნაფასურს. მაშიდგეს უჭერავ დიდგორის ჯვარს აქ ნაჭსენებ მამული. ქმოსტელ როშკიონნ შაბძოლილან კიდევ როშკის პირდაპირ რო ჭანჭახნი, იმათაზედ. დაუფიცავ როშკივნებს, რო ჩვენი ასაო-დ ფიცით დაუჭერავ. მემრ დიდგორის ჯვარისად შაუწირიან ეს ჭანჭახნი. ამ ფიცში ბერდისშვილთაც (სოფელ ამღაში მცხოვრებლებს) მიულავ მონაწილეობა, გურიათაც დაიფიცეს, რო როშკივნისა ყოფილავ ეს ჭანჭახივ. ამ ფიცში გურიათად სოფელს ფაფარენაის ჩდილ მიუცავ. ფაფარენაის ჩდილი წვრილტყიანი ას (გურიანი ერთ-ერთი ქვე გვარია როშკაში მცხოვრები წიკლაურებისა. ცხოვრობენ ამ სოფელში).

დიდგორის ჯვარი არჩენდ დაჭელთულებს, ეშმაკეულებსა-დ აკოჭვიებდეს აქ ასეთებს. დიდგორის ჯვარს დობილნი ხყვანდეს წვრილის ყმაწვილების სახით.

როშკის მთავარანგელოზის დღეობები

როშკის სოფლის თავზე ე.ი. როშკის გორზე ას კიდევ ერთ სალოცავი, რომენსაც ექვივნ მთავარანგელოზი. მთავარანგელოზს ილოცევდეს მარტო როშკიონნი (დიდგორის ჯვარს ილოცავდნენ ქმოსტლები და როშკივნები, როშკის ჯვარს კი მარტო როშკიონნი). აქ დასტურის დაყენება იცოდეს სამამკლო ჯვარის ყანის მკის დროს. ადუღებენ ლუდს და მთელი სოფლის ქალი და კაცი გამოვა სამკლად. დაიკვლება საკლავები და მუშაობენ კოლექტიურად (ამას ერქვა ძველ დროს სამამკლო). სამამკლოში დასტურებს აირჩევდა მთელი სოფელი. სხვაკან თუ ჯვარიონნი აყენებენ დასტურს, აქ სოფელთან ერთად მსჯელობენ ჯვარიონნიც დასტურის დაყენებაზე. აყენებენ მორიგეობით, ვინ როს იყე ნადგომი. აყენებენ ექვს დასტურს ერთი წლით. გახყოფენ დასტურები მამულებსაცა-დ დანიშნულ დღეობას იქმოდ. დანარჩენ პური თაოდ შჩებოდ. მამულები ბევრი ხქონდ მთავარანგელოზს. დასტურების მეტს არვის ხქონდ ნება ჯვარის ყანის მაჭვნისაო-დ სათიბის გათიბისა. სხო კაცი ჯვარის სათიბეშიით ერთს კონასაც ვერ წაიღებდ შინ, გარდა ჯვარის დასტურისა; ხოდაბური ერთი ხქონდ. ამას სოფელ თაოდ ხჭნევდა, მკიდ. მემრ ამასაც ერთ-ერთ დასტურს აბარებდეს. ამ პურისა იქავ სამამკლო ლუდ იდუღებდ ჯვარის ყანის სამკლად.

როგორც ვთქვი, დასტურებს ირჩევდეს სამამკლო დღეს. სხვაკან ჯვარიონნი წუხრაე მუჯელობენ, მაგრამ აქ სოფელ რო მაქუჩდების სამკალად, მაშინ მაიტანდეს ლუდიან ჩხუტს. სამკალში უძახებენ სოფელსა-დ აქ იმართების საუბარი, ვინ როს იდგ დასტურად. ეს კარგად აჭსონს ყველას, ვინ ვისაზეით იდგ, რაკი ცოტა სოფელი ასა-დ მალ-მალედ მადის დასტურობა. თუ ვისაზე სასაუბროდ გაჭდ, რო არა ის დადგასავ დასტურადაო-დ არა ისივ, მაშინ წილს უყრიანა-დ ვისაც ერგების, ის დადგების, ბოლოს, ამახკვრენ საწდეშიით სახუცო კოჭობს, მისცემენ ხუცესსა-დ ის დაამწყალობნებს ახალ დამდგომ დასტურებს. მემრ სხვები კიდეე სხვა თასით ჩამაარიგებენ დასტურთ სამწყალობნოს. თითოობით დაილოცებიანა-დ შასმენ ლუდს ამ სიტყვებით: 'გწყალობდასთ ახალ უღელდებულთ, დასტურ-ბუჯირთ მთავარანგელოზის დაკლათი, საწაღმართოდ მაგიარასთ, მშვიდობით დადებულ უღელ, მშვიდობით გადაგაჭდივასთ. თქვენ მაგცასთ წყალობა ყურით მაყურებლებს, მთავარანგელოზის ხოდაბურზე ოფლის მღვრელ-მუჯელებს, წინ მამავლებს, უკენ წამავლებს. ხალიზ მაგცასთ, ჟჯილობა ნუ დაგიკარგასთ". ზედამდეგები არიგებენ ერთი თასითა-დ ყველას აცლევენ დასტურთ სამწყალობნელ თასს.

ღამისთევა-ჟამისწირვა ამ დროს შასრულდების ჩვეულებრივად. ორს საკლავს მაიყვანდ სოფელი-დ დახკლევდეს ერთს მთავარანგელოზობისადა-დ ერთს დიდგორის ვეშაგი გიორგისად. ეს საკლავები ჩვეულებრივი ხუცობით იკვლის ხუცესისგან. ატყავებენ დასტურები-დ ხორცს სოფლის არჩეულ მეხორცეებ ადუღებენ. ტაბლას დაუდგმენ ყველა ხალხს ჩვეულებრივის წესებით. პური ჯვარის პურისაგან ას დასტურთაგან გამამცხვარი (სატაბლო თხელ პურები). მარილიც დასტურებს მიხქონდ. ტაბლას უდგემდეს მაშინ, როსაც სამკალს მაშჩებოდეს. ყველას ჭელჩი გაუტეხდესა-დ შაუდგებოდეს ჭამას. აქ კარახანა იქნებოდ თავის წესით, ყველას დაუდგმენ თითო ლუდიანს თასს ტაბლაზე (ამის წესები აწერილი არის ზემოთ სხვადასხვა დღეობებში) კარახანაის სმის დროს ზედამდეგებ თავჭმელად შაღმღერნებენ:

ამინარ ჩამავიდოდა ცხენ-ოჭრის ჩამაგდებული,
წამაეგება დედაი – შვილ, რად ხარ დაღონებული?
– მე განთ ღმერთი ორ, დედაო, სრუ მუდამ გამარჯვებული.

* * *

ამინარმა თქო: ჩემზედა რა წუხი დილა თენდება,
ურსიპმ თქო,თავსა მავიკლავ,თუ ბადრი არ გამთელდება.

ეს სიმღერები იმ შემთხვევაში იციან, თუ რომენიმ გვარის სიმღერე არ მაიჭელების. ამ გვარის კაცებს წინავ სასახელო არაი აქვ ჩადენილი-დ არც სიმღერე-ი აქვ. მაშინ რო სხვას ვეღარას უმღერენ, აი ესეთს ძველის გმირების სიმღერეებს უმღერებენ. სუფრასა-დ კარახანებს რო მაათაევებენ, ჩვეულებრივი წესით დიაცებსაც ახლაგაზდა კაცები მიუტანენ სასმელსაცა-დ ტაბლასაც. ისენ ზედამდეგობენ. დიაცებში არც კარახანა იციან, ვინაც პურს დაილოცავსა-დ გასწირავს,მაშინ ამაუკვრენ ლუდსა-დ შაასმევენ. შამღერნება დიაცებისად არ იციან. მხოლოდ ერთ სიმღერეი ას დიასახლის'ზედა-დ თუ ვინ აქ ხნიერ დიაცი, იმას შაღმღერნებენ დიასახლისის სიმღერეს, ამასაც იშვიათად:

შავაქათ დიასახლისი ქუჯათ ნანაის ოდნადა,
ამაგის დამცხვარნ საგძალნი შავწყალ დაფასნეს სამ ცხვრადა.

(ვინ იყო ქუჯათ ნანა, არავინ იცის და ან რატომ დაფასდა მისი გამომცხვარი პური შავწყალს სამ ცხვრად. შავწყალი ორ ადგილას არის: ქისტების და არხოტივნების საზღვარზე სანადირო, ჯიხვებიანი მთა და მეორე ბორბალოს ახლო აქაც სანადირო კლდეებს ჰქვიან შავწყალი. ორივე ადგილას ქისტები, ლეკები და ჭევსურები ერთი-მეორეს დარაჯობდნენ, ეცემოდნენ გამვლელს და ხოცავდნენ).

კაცები, დიაცებ რო ყველა ჭამს პურს, მემრ ყველა წავ შინ. ჯვარიონნი ჩვეულებრივად გამაილოცევდეს ჯვარშიით. გაინაწილებდეს ჭორცს, ნახორსა-დ ტყავებს ხუცესი-დ დასტურები.

სამამკლოში მკა იციან ქალ-ვაჟებმა ყველამ ერთად. ჭევსურეთ რაკი ყანა მაღალ არ იზდების,ნამგლით იშვიათად მკიან ყანასა-დ ზედამდეგებ თან ლუდიან ჩხუტს მიაყოლებენა-დ ასმევენ ლუდს. ზოგებ მკიანად ჭელეულს აწყობენ, ზოგებ ძნას კონვენ. ძნის კონვა უფრო ქალებმ იციან. დასტურებ კიდევ მიხყვებიან, ძნას აქუჩებენა-დ აგებენ წერილეებად. ამით თავდება სამამკვლოს წესები.

როშკის მთავარანგელოზში ენკენია არ იციან.

გიორგობა

გიორგობა იციან ერთ დღეს. დასტურებს საგიორგობო ლუდი დამზადებული აქვ. გიორგობას წუხრას მაგანძური მაიტანს თას-განძს, დარეცხის შემდეგ დაალაგებს თავის ადგილზე. დასტურები მაიტანენ ღამისამთელოს. ღამისამთელოს წესი, როგორც სხვა დღეობებში ას ნათქვამი, აქაც იმავ წესით სრულდების. ღამისთევაზე მარტო ჯვარიენები არიან. აქ ჭელოსნები ან ერთია, ან ორი, როგორც დიდგორ, აქ იმთვენ ბევრ ჭელოსნებ არ იციან. ჯვარის მათხოვითა-დ მკითხავის პირით აქ ერთ-ორ ჭელოსანი ასა, დროშაიც იმათ ღბარავ. ხუცეს ერთი ას აქ.

დასტურ-ჭელოსნების გარდა, თუ ჭირისპატრონ იქნების აქ ღამისთევაში, ან ღამისთევა ვის ექნების ნაქადები-დ საკუთარ ხარჯით კიდევ ვინ უთევს ღამეს, ის შაესწრობის აქ, თორე სხვა არვინ მავ. მეორეს დღეს ჟამს რო სწირავენ, დაიწყებს სოფელიც მადენას. როშკის გორზე საჯარე დაფარულიც ასა-დ თუ კა ამინდი, გარეთიაც იყვ გაკეთებული ჯარის დასასხდომ ადგილი. ჯარ დასხდებისა-დ გამაიტანენ ჯვარჩიით ლუდს,რამოვენიც მაუდის. ჯვარიონნ კი ცალკე არიან დარბასშია-დ ლუდიც იქ უდგას. სოფლის ჯარზე ყველა ჩვეულებრივ ას: სმა, მუჭლით დაჯდომა, თუ ერთუცის მამკლავ-მამკვდარ ვინ ას ხათრით პატიკის მიცემა. მაგალითად, თუ მამკლავი-დ ან იმის გვარისა ვინ-ას, ამავ დროს მამკვდრის ძმა-სახლის კაციც, მაშინ მამკვლავის გვარისა აქ ვერას ვინ გაიხარებდ. მამკვდრის გვარისების ხათრით უნდა მჯდარიყვ ჯარის ბოლოში, ცალ მუჭლზე. მუჭლზეით ის ვერ ადგებოდ, ვერ იმღერებდ, ვერც ითამაშებდ, საცინელს საქმეზე ვერ იცინებდ, ვერ იხუმრებდა-დ მანამ დაზარალებული

პატივს არ მიუტანდ, ვერც სასმელს შასვემდ. წინ-წინ რო თასს მიუტანდეს, ის თასს ჭელს არ მახკიდებდ, ეტყოდ თასის მიმტანს: ეს თას იმას პატივად მიუტანევ ჩემ მაგივრადავ. თაოდ ადგებოდ, შორს გაივლიდ კიდევა-დ იქ დაჯდებოდ მუჭლით. ვისაც დაავალ, ისიც მიუტანდ თასსა-დ ეტყოდ: "ეს თასი ამა-დ ამ კაცმ შენთან პატივად წამამატანივ, არ შასვ მანამდინ, მანამ პატივს არ მიუტანავ". "რად უნდოდ ამის გულისად შენ დაღონება (ეტყვის დაზარალებული). მე მაგას პატივს არას უსედავ (არ მოველოდებიო), ამით თავის თავს სცემს პატივს, თავის თავს დააყენებს, თორე მე ამ თასის მატანით არც არა მამემატებისა-დ არც მამაკლდების. პატივი, კაი კაცობა ნუ მაუშალას ღმერთმ". დაიჭერდ დაზარალებული თასსა-დ ეროს უფროსს-ვის ეტყოდ: "ემ თასსავ შანდობა უთხარივ". უფროს კაც ადგებოდ, ვისაც თას ეჭირ, ისიც ფეჭზე იდგა. დაიწყებდ უფროს კაცი: 'ღმერთო, დიდება შენდა, ღმერთო, მადლი შენდა, ღმერთო, უშველი ერთუცის მოდავეთა-დ ერთუცის პატივის მდებელთ (სახელები პატივის მომტანისა და მიმღებისა. მაგ. დაზარალებულია აბიკა და დამნაშავე გვარიდან უთურგა) აბიკასად უთურგას, რაც ავ ჩამაღვარდნივ, ავს ნულარას ჩამაუგდებ. მთავარო ანგელოზო, შენ სადიდებელი ას, შენ უშველი, შუ გაუარე, წაღმ მაუარი, ღმერთო, ნუ იქამ აბიკაის საქმეს ისრ, რო სადაც გაოსა გამაოს, კაცნ არ ხედევდან, საპატიო არ მიუდიოდას. მთავარო ანგელოზო, ნუც უთურგაის საქმეს იქ ისრ, რო სანახავ არ ნახას, გასაგო არ გაიგას, საპატიოს პატივ არ დაზდოს. მთავარო ანგელოზო, შენის ძილითა-დ ჩემის სიტყვის მაჭსენებით, სააქაოს ნათქვამ თუ საიქიოს მიდიოდას, წესი სამართალ იყოს, სულს შანდობა ერგებოდას, ხთის წესითა, მღდლის წესით, იერუმსალეთის ნათლით, ქრისტეს გარიგებით, ზედამრჩოების დღეგძელობით. ეს თასი როგორც შენს ჭელს ას, აბიკავ, სულსამც უთურგაის მამისას მაეჭმარების". "შაუნდნას ღმერთმ' – იტყვიან ყველანი. (ეს თასი ილოცება იმის მიცვალებულებისათვის, ვინც დამნაშავე გვარიდან არის და პატივი მიუტანა დაზარალებულს. ეს იმ მოსაზრებით, დაზარალებულის გვარის მიცვალებული რომ მოიგონონ). როცა "მამკლავ-მამკვდარნი" ერთად არიან, მაშინ შაიძლების, რო მაკლულის გვარის კაცს მკვდრების მაგონებაზე თავის მესისხლის წინააღმდეგ ცუდ რა მაღგონდას, იარაღ იჭმარასა-დ მაკლას. აი სწორად ამ აზრით ისევ დამნაშავის მკვდართად ეტყვის შანდობას, ვისაც პატიუად მისცეს თასი, აქამდენ იმას ეჭირა-დ ახლა ვინაც დალოც, იმას ეტყვის: "ვინაც ლოცავ, იმან კოცნავ". გადასცემს დამლოცავს თასს. ის კიდევ დაილოცავსა-დ ეტყვის: რაც ავ ჩამაგვარდნივათ, ნულარა ავ ჩამაგიგდასთავ, მშვიდობით გამყოფნასთავ ერთუცის პატივისმდებელნივ. შაუნდნასავ, ვისადაც დაილოც-კი მააჭმარასავ – შასომს ამ თასს. მეორე თასს ამახკერენა-დ მიუტანენ იმასავ, ვისაც წინა თას ეჭირ. ამას სასმელ თასი ხქვიან. დაილოცავს ამ თასს, ადღეგძელებს იმას, ვინაც პატივ მიუტანა-დ შასომს. მემრ ამახკრავს თაოდ თასს, მივა-დ მუჭლზე ნაჯდომს ააყენებს, ვინაც პატივ მაუტანივა-დ ამის ხათრით მუჭლზე ზის, მისცემს თასსა-დ სთხოვს: სკამზე დაჯედივ, მაგრამ ის მაინც არ დაიშლის, თასს რო შასომს, გაივლისა-დ იქავ ცალს მუჭლზე დაჯდების ჭმაამაუღებლად, მანამ იმათ გვარისას ვის ხედავს, ვისაიც ხთრ უნდა ხქონდას.

ბევრკან სხვაკანაც ვოქვით, რო ვისაიც გვარი, ან სოფლელ მაინც ას ამა თუ იმ ჯარზე, იმის სასიამოვნო სიმღერებს იმღერენ.

ყველას ჩვეულებრივი წესების შასრულებით დაღამდების გიორგობა დღეი-დ წავლ-წამავლენ შინი-შინ ჯვართად მადლის მათხოვით. ჯვარიონნი კიდეე გამასამალოს იხუცებენა-დ გამაილოცენ.

ქრისტე

ქრისტე იციან ერთ დღეი. დასტურები ლუდს ერთის დღისად ადუღებენ. შასამავლოს თითოს სეფეს მიიტანენ ჯვარივნები-დ მაანთებენ. დროშან ქრისტეს არ გამადიან, დანარჩენს ყველა წესებს ჩვეულებრივად ასრულებდეს: ღამისთევა-ჟამისწირვა, სოფლის ჯარი, ზღვნების დაჭოცაი-დ სხო, აქ ახალ წეს არაი ას.

ქრისტეს დღეობას რო გამაილოცვენ, მეორეს დღესავ შაუდგებიან ქვაბების დუღილს აქაც,საწელწდოდ. აქაც საქვაბე ცალკეს ას, დარბასი ცალკე. ლუდს საქვაბეში ადუღებენ, დარბასში კოდებს დაზდგმენა-დ აფუვლებენ.

წელწადი

მთავარნგელოზშიაც ხუთს დღეს იციან წელწადი. ყველა წესებს ჩვეულებრივად ასრულებენ. ღამისთევა, ჟამისწირვა. აქ ჯვარიონნი ბევრნ არ არიან, ერთ ხუცეს იყვა-დ ერთი ჭელოსანი, ორ მეწელწდე დასტური. წელწადს ღამეს მეკვლენ რო დიდგორ იქნებიან, უფროს ხალხი ამ ჯვარჩი მიდის, რაკი სოფლის ახლოს არიან ჯვარნი. ახალგაზრდაებ ხო მეკვლეში არიან, ამ ღამეს უფროსები ჯვარიონთან ერთად ქეიფობენ, საუბრობენ – სამტერ-სამოკეთოსა რჯულის საქმეებზე. მეორეს დღეს წელწდის წესები რო იმართების (ეს აწერილი დიდგორის ჯვართან დაკავშირებით), მთავარნგელოზის ჯვარიონნიც მიიღებენ მონაწილეობას. აქ ჭირისპატრონის კარზედაც მიაქვ ლუდი. ხუცეს-ჭელოსანთ გარდა ჯვარივნებიც მივლენ ჭირისპატრონის კარზე. წინავ აქით წელწადსა-დ გამცხადებას დიაცებსაც მიუდიოდ ლუდი. რაკი ეს ჯვარნი სოფლის ახლოს არიან, სოფლის ხალხი-დ მისულ-მასულ სტუმარიც აქ უფრო ბევრ ეყრებოდ. განსაკუთრებულ წეს არც ამ დღეობას რაი აქვ, ყველა იმ წესით სრულდების, როგორც დიდგორ. წელწადის ბოლო დღეებში მარტო სადობილო იციან, რაკი მთავარანგელოზს ყმაწვილების სახით მარჭენ დობილნი ხყვანიონ. რო დობილნ არ გასწყრომიყვნეს დიაც-ყმაწვილს, სადობილოს გამააცხობდესა-დ მააჭსენებდეს, სადობილო იცოდეს თორმეტი პატარ-პატარა გულიან ქადები, საკვირაოს ოდოდნები, სამი ჭმიადი, ერთ ფეჭ სანთელი. მიიტანდეს ბაკნით, იქავ ჯვართ ახლოს არიან დობილნი-დ აქ დაზდგემდეს, ხუცეს აანთებდ სანთელს, დააკრეედ ბაკანზედა-დ მააჭსენებდ მთავარანგელოზის დობილთად: "სამთავროდ, გასამარჯოდ თქვენად მაიჭმარეთ ეს სათამაშო სამსახური, მთავარნგელოზის მოლაშქრენო ანგელოზნო. თქვენ თქვენის გამჩენის ხთის კარზე შაიტანეთ, თქვენის მეხვეწურის საშველად, სახოიშნოდ, სამწყალობნელად. თქვენ ბედი, დავლათ დააჭმარეთ თქვენთ მეხვეწურთ. გეძახანთ, გეხვეწებიანთ (სახელი მეხვეწურისა), შაიხვეწენით, მე

თქვენდ შამამიხვეწებიანა\დ თქვენ. თქვენს გამჩენს მორიგეს ღმერთს შაახვეწენით; შანაცოდვარი, შანაწყინარ შაუნდეეით, დალოცვილო, რასაც გაწყენენთ თავის უმეცრებით, პირის ქარითა, ფეჭის ნალითა. თქვენდ სამსახურ-სათამაშო არ დაუკლავა-დ თქვენს წყალობას ნუ დააკლებთ. ისმინეთა-დ გაიგონეთ, გამარჯვებას თქვენსა-დ თქვენის გამჩენის ხთისას". ამ სიტყვებით დაამთავრებს ხუცესი თავის მაჭსენებას. სადობილო ორ ქადა ხუცესს შჩებისა-დ დანარჩენი პატრონს უბრუნდების. პატრონი აიღებსა-დ დაურიგებს, თუ ყმაწვილებ ვინ ას იქ.

წელწდის ხუთიე დღე გაივლის ჩვეულებრივად ღამისთევა-უამისწირვითა-დ ბოლოს გამაილოცვენ ჯვარიონნი. წელწადში დროშანიც გამადიან. წყალთკურთხევის წინადღეს ე.ი. გამცხადებას დროშათაც ჩამახჭსნიანა-დ მიაბძანებენ თავის ადგილზე. ესრ მთავრდებოდ წელწადი.

აჭვსება

აჭვსებაიც იციან ერთს დღეს, აჭვსებამდინ მარხვაში ყველა წესები აწერილია დიდგორის ჯვარში. საკუთარ წეს აქ არაი აქვ. სოფლის ჯარი, მღერა, ზღვნები, მეზღვნის ტაბლა ყველა თავის წესით ას, რაჭელაც დიდგორ, ისრავ აქ.

ამაღლება

ამაღლებაც ერთს დღეს იციან. ამაღლებას სხო ახალ არაი ას. ამ დღეობაში დროშან არ გამადიან. დანარჩენი ყველა სრულდების; სოფლის ჯარი, მღერა, ფანდურ'ხე თავჭმელად მღერაი-დ ბოლოს გამალოცვა, როგორც სხეა დღეობებში ას ნათქვამი.

ათენგენა

ათენგენაიც იციან მთავრანგელოზში ხუთ დღეს. ყველა წესები ჩვეულებრივი ას, ხოლო ერთ დღეს იციან ქარჩის კალოს დღეობა. ქარჩის კალოობას დიაცები მიიტანდეს თითოს ქადას, ზედ სამს კუბატ-ქადისკვერს დააწყობდეს, თითოს ფეჭს სანთელს მაუკიდებდეს. ყველაის მატანილს ქადებს დააწყობდეს იქავ ბორტვ'ხე მწკრივად (ბორტვი: ბალახიანი ადგილი), მაუკიდებდეს სანთლებსა-დ ხუცესი ერთბაშად იხუცებდ ყველა ქადებს (ამ ქადებს ეძახდეს საწირს. ამ დღეს, რაკი ყველას მახქონდ – კომლის საწირს). ხუცობა-მაჭსენება ჩვეულებრიეი იყვ. მეხვეწურებს ახვეწებდეს მთავარანგელოზს. ხუცობა რო გათავდებოდ, დაამწყალობნებდეს ყველას. ქადების გარდა კიდევ მიხქონდ ჯამით ერბოიც. ბოლოს სამ კუბატ-ქადისკვერი ხუცესს შჩებოდა-დ ქადები პატრონებს. ქადებს აქ ჭრიდესა-დ ჭამდეს ყველანი, ერბოსაც. მაიტანდეს მთავარანგელოზჩიით, ლუდსაც. კაცი, დიაც ყველა აქ მავიდოდა-დ დაიწყებდეს სმას.

ქარჩის კალო იმით ექვივნ, რო წინავ როსამ აქ ჯარ მასულას, არც ის ვის აჭსონს ლეკის ჯარ იქნებოდა, რა იქნებოდ... მხოლოდ ის იციან, რო დიაცყმაწვილ დაუკონავ, მიუყრავ ამაგ მიედანჩია-დ ცხენებით გაუნადგურებავ. კაცებისად თავებ გაუჭრავა-დ, დიაც-ყმაწვილი აქ გაულეწავ. მასიქითადა დაქვივნებული ას ქარჩის კალო. ქარჩის კალო როშკა სოფელსთან ახლოს ასა-დ ჯვარნიც ამასთან დასავლეთ მჭრისკე ახლოს არიან. სწორად ამ დღის მასაგონებლად ას დამრჩალი ქარჩის კალოს დღეობა. აქ როსაც ლუდს სმენ, შანდობას ეუბნებიან ამ კალოზე გალეწილ-დაჭოცილ დიაც-ყმაწვილს. არც მღერა-თამაშობა იციან, მარტო სმენა-დ საუბრობენ როგორც მგვლევიარეები. მთელ დღეს აქ არიან როშკიონთ კაცი, დიაცი. დაღამება რო მააწევს, წავლწამავლენ შინი-შინ.

ბოლოს დროს გამასამალოს იხუცებენა-დ გამავლენ ჯვარიონნიც. ნახორი-დ ტყავ-ჭორცი იყოფის ყველა ჯვარივნებზე.

მარიანობა

მარიანობაიც ერთდ დღეს იციან. დასტურები ამზადებენ ლუდს, მარიანობას-წუხრას ჩვეულებრივად გახჭსნიან კოდს, უთევენ ღამეს.

ჯვარიონთ ამ წუხრას სტუმრებიც ჭშირად ხყავ, წევა იციან სოფლეშიით უფროსის ხალხისა. თან ჭირისპატრონიც ვინ იქნებისა-დ იმართების სმა. მანამდენ ფანდურს ვერვინ დაუკრავს სოფელში, ვერცვინ იმღერებს, მანამ ჭირისპატრონი არ დაუკრავს ფანდურსა-დ არ იმღერებს. ამას ხქვიან: "ფანდურის გატეხა". მიუტანდეს ლუდსა-დ ჭირისპატრონს შაუმღერნებდეს გულზე მასავალს სიმღერეს (მეორე რო 'შემღერნებდა, პირველი მომღერალი მღერას შეაჩერებდა, ფანდურის დაკვრას კი განაგრძობდა. ამ დაკვრაზე უმღერდა მეორე მომღერალი. მეორე მომღერალი რო მღერას გაათავებდა და ლუდსაც დაალევინებდა პირველს, მერე კი იგივე განაგრძობდა თავის სიმღერას).

ამასობაში გადავ დროი-დ წავლ-წამავლენ. მეორე დღე მარიანობა გათენდების. სოფელიც ჟამისწირვის შემდეგ მივა-დ მაიკითხავს თავის წილს ლუდს. სოფელს რაიც მიუდის, ჯვარიონნიც მისცემენ. წაიღებენ სოფლის ჯარზე.

აქავ ჯვართ ახლოს ერთი, სრუ ცოტა, ცხრა-ათის ქვისაგან აგებულ კოშკი ას. ამ კოშკს ხქვიან მარიემწმიდა, ამ მარიემწმიდაში მიხქონდ კეცეულები, კუბატ-ქადისკვრები, თითოს ფეჭს სანთელს მიაყოლებდეს. ქალები, დიაცებ ყველა მიხყვებოდ ამ კეცეულებს, თან თითოს ჯამს ერბოსაც მიაყოლებდესა-დ ვისაც ხქონდ, თითოს მინას არაყსაც. ეს წესიც რაჭელაც ქარჩის-კალოს, აისრ სრულდებოდ. ამ დროს ჯვარშიით ხალხიც მავიდოდა-დ მოიტანდეს საწდით ლუდს, ბევრ თასებს. აავსებდეს თასებს, დაზდგემდეს ყველა ბაკანზე, მაუკიდებდეს სანთლებსა-დ ხუცეს შაუდგებოდ ხუცობას: "დიდება ძალსა შენსა, წმიდაო მარიემ დედაო,ხთისაო. ღმერთმა გიმატას ძალსა შაძლებას, შამაძახილზე ნუ გაგვიწყრები. შენა სამთავრო მაიჭმარი ეს სეფე-სანთელი-დ სადიდებელი. შენა გასამარჯოდ მაიჭმარი, ხთის კარზე შაიტანი, შენ როშკიონთად, შენთ

მეხვეწურთად, საშველად, სახოიშნოდ, სამწყალობნელად მაიჭმარი, შენს ძალსა, დიდებას მაემატების. დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა, დიდება, გამარჯვება შენდა, მარიემო წმიდაო დედაო ხთისაო, ღმერთმა გადიდას ამ სეფე-სანთელ-სადიდებელზე, ღმერთმა გააძლიერას"... და შემდეგ ჩვეულებრივ მიდის ხუცობა.

ბოლოს დაამწყალობნებენ: "გწყალობდასთ მარიემწმიდა როშკიონთ, თქვენს კაცს, საქონს, სთვლის ნამაშვრალს ჯვარ დაგიწერასთ, ბარაქა დაგიტანასთ, მშვიდობას მაგაჭმარასთ, კაცს გიმატასთ, კას დროს, ღონეს, ქონეს" და სხვ. დამწყალობნებიდგეს აიღებს ერთ ახალგაზდაი-დ სადიდებელთ ყველას დაურიგებს. ხუცესი თითოობით ხთიშვილთ შაუსახელებს ამ თასებს, რაჭელაც დიდგორ წინას ღამისთევაში ას ნათქვამი. ყველა ამ წესებს შაასრულებენა-დ დასცლიან თასებს. თასებს ჩაამრთმენა-დ ზედამდეგების მეტი ყველა დასხდების. ზედამდეგებ, რაც მატანილ კეცეულები ას, კუბატ-ქადისკვერებს ააცლიანა-დ ცალკე დააწყობენ, კეცეულებს დასჭრიან, ხალხს ჩამაურიგებენ, ერბოიც აქ აქვა-დ ჭამენ პურს. თან ლუდს ასმევენ ზედამდეგები. პურის ჭამაში მღერაიც იციან თავჭმელად, იმღერენ ზედამდეგები, მემრ იმათაც შაღმღერნებენ. ბოლოს რო ჭამა გათავდების, ზედამდეგებსაც პურს აჭმევენ, გაღმართვენ ყმაწვილების დოღვს. შაუფარდებენ ერთუცს სწორ-სწორ ყმაწვილებს რო ერთიმეორეზე უფროს-უნცროსი არვინ იყოს, აარჩევენ კუბატ-ქადისკვერებსა-დ დააწყობენ, წინაისად უფრო კეებს, მეორესად იმაზე ჩამაით, რამთვენიც ყმაწვილი ას, იმთვენს დააწყობენა-დ. დაულიშვნენ ალაგს ყმაწვილებს, საითაც უნდა გამაიქცნან. წავლენ ყმაწვილები, ერთი დიდი გახყვების თან, მიიყონს იქამდინ, საითაც დაიქცევიან, დააყენებს მწკრივზედ, შამახკრავს ტოშსა-დ ყველან გაიქცევიან ძალზე, რაც ვის შაუძლავ. ყმაწვილებმ იციან წინას რომენ დოღვ უდგასა-დ მასული წინა, წინას დოღვს აიტანს, მეორია მეორეს დოღვსა-დ, ესრ შემდეგ. დოღვსთან კაცი დგასა-დ წესრიგზედ ის არიგებს – არ აშუღლებს ყმაწვილებს. მემრ მეორე წყებას გააქცევენ, მერე მესამეს – რამთვენიც ას ყმაწვილები. კუბატ-ქადისკვერები მაინც ბევრიასა-დ ვისაც რბოლა არ შაუძლავ, იმეებსაც მისცემენ ბოლოს. ლუდსაც ასმევენ ყმაწვილებს. ამოობაში დღეიც გაივლის. წუხრ წავ-წამავლენ თავთავისად.

როშკის მთავარანგელოზში დღეობები ამით მათავდა.

ხსენება სადიდებელთა ღამისთევაზე მთავარანგელოზში

"წინას ბარზიმზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, ბატონო მთავარანგელოზო. შენა სამთავროდ, შენა გასამარჯოდ მაიჭმარი ეს სეფე სანთელი, სადიდებელი, შენ ყმათად, როშკიონთად საშველოდ, სამწყალობნოდ მაიჭმარი, ხთის კარზე შაიტანი, ღმერთი შენს ბატონობას გაუმარჯვებს.

მეორე ჭიქა-ბარზიმზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, დიდგორ ვეშაგო გიორგიო... და შემდეგი ყველა ზემო თქმული.

მესამეს ჭიქა-ბარზიმზე შენ გადიდას ღმერთმა, კვირაევ ძალიანო, ანგელოზთ მეუფროსეო...

მეოთხე ჭიქა-ბარზიმზე შენ გადიდას ღმერთმა, იაჭსარ ხთისაგან მჭარაჭსნილო, დევ-დედაბერთ ნაომარო, აბუდელაურ სიმურში ნატყვევარო...

მეხუთე ჭიქა-ბარზიმზე შენ გადიდას ღმერთმა, ღუბისთავ სვეტის ანგელოზო...

მეექვსე ჭიქა-ბარზიმზე შენ გაგიმარჯოს ღმერთმა, გიორგივ მინდორისაო, ალავერდით გამობრძანებულო...

მეშვიდე ჭიქა-ბარზიმზე შენ გადიდას გაგიმარჯოს ღმერთმა, როშკისგორ სვეტისა მყოლო ანგელოზო და სხვა...

მერვეს ჭიქა-ბარზიმზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, მარიემწმიდაო ბედნიერო ადგილის დედაო...

მეცხრეს ჭიქა-ბარზომზე ოქვენ გადიდნასთ ღმერთმა, მთაეარანგელოზის ლაშქარნო, ქარჩის კალოს მოთამაშენო, მორაზმე მესაათენო...

მეათეს ჭიქა-ბარზიმზე შენ გადიდას ღმერთმა, გიორგი ნაღორშვენიერო, ნაღორევ მაბურთვალო, ხელო სამძიმარო. იმის მოდე-მომჭრენო, ჭმელეთზე ჭმის გამტეხო, რჯულიან ურჯულოთ სალოცაო, ქაჯავეთის გამტეხო, დიდოეთის გამბეგრაო. მარიგის ხთისაგან შამათვლილი გაქვ ცის კიდურშიით შამაძახილის გაგონებაი, მეხვეწურის შახვეწებაი-დ გაჭირვებაში დაჭმარებაი (ამას გახყვების ხუცობა ჩვეულებრივი)".

მთავარნგელოზის მამულები

სადუყაოს მამული ხქვიან, იქავ ჯვართ ახლოს. ეს მამული შასწირეს წიკლაურების გვარში პატარა ქვეგვარი ას კობლენი. ამ კობლეთ პაპას ხეებ უჭრავ ხორნაულთის იქით,სახელად ლიპაის ტყეში. ხეებ უჭრავა-დ უქანებავ ჭალაისკე (სახლის ხეები). ამ დროს არხოტიონ კაც მიმავალ ჭევსურეთით არხოტისკეს (ჩინგლათ კაცი), გამაქანებულ ხე იმას სცემივა-დ იქავ მაუკლავ. გაჭდილ თავ-მეთავეობაი-დ მახყოლიან მასაკლავად კობლეთ. ხან სად მალულან ჭევსურეთის სოფლებშია-დ, ხან სად. ჩინგლანი ყველგან მისულან, ქვეც უთოფავ, მაგრამ შორით უსრევავა-დ ვერ დაუკრავ. მემრ მკითხავს უთქომ, რო მთავარანგელოზსავ მამულ შასწირეო-დ დაგიჭსნისავ იმათ ჭელჩიითავ, თუ არა და ვერ გადაშჩებივ. მემრ ადგესა-დ როშკის სოფლის ახლოს ორის დღის მამულ შასწირეს. ამ მამულს ხქვიან სადუყაოს მამული. ჩინგლანი კიდე მახყვებოდეს, თავისას მაინც არ იშლიდეს. ბოლოს ჩინგალათა ვინამ აოდ გაჭდილ, მთაზე კობლეთ მოსაკლავად მამავალს დიდ ავდარ დასცემივ. დაბრუნვილ შინა-დ რო მისულ, აოდ გაჭდილ, მარჭედ ყოფილა-დ მკითხავს უთქომ, თუ იმათ მიყოლასავ თავ არ დაანებეთაო-დ თოფ არ აიღითავ, ეროს ზარალს ვერ მაშჩებითავ. ჯერ კი არ ამაურეცხავ ჩინგლათ იმის მასაკლავად გული-დ რო საქმე გაშჭირებივ, მემრ კი უთქომ, რო პირშასამყრელო დაამზადანა-დ ჩვენგანავ მოსაკლავად ნულარ ეშინიანავ. ამათაც თაეის წესით დაუმზადებავ პირშასამყრელოი-დ შაყრილან

ერთად, შარიგებულან. თავ კი წელობამდენ ემართ კობლეთ, რიგს უყენებდეს ჩინგლათ. მემრ რო ჭევსურთ ყრილობამ დაადგინ ძველის თავების გათავებაი, კობლეთაც ამით ისარგებლესა-დ გაათავეს ძველ თავი ჩინგლათან (ძველის თავის გათავების წესი ჩემს მიერ არის ცალკე დაწერილი). ესენი შარიგებულანა-დ მამულ-კი დამრჩალ ჯვარისად შაწირულ საჯვაროდ.

ელია წმიდა

ერთ დიდ კლდეი ძეს როშკის სოფელშიით ორის ვერსის დაშორებითა-დ აქ ილოცავენ ელია წმიდას... ელია წმიდა არ იციან საით მასულ, ხოლოთ იმის დღეობა იციან ენკენიის თვეში ერთხან. წავლენ ახალგაზდრაები, წაიყვანენ თიკანსა-დ დახკვლენ. ადუღებენ ჭორცსა-დ იქავ ჭამენ. ელიასავ იცოდიან: ცაღურბელნი ღბარიანაო-დ სეტყვას არ მაიყონსავ, თუ იმასავ დღეობა გადაუჭადეთავ. თუ დღეობა არ გადაუჭადეთავ, აუცილებლად სეტყვა მაოსავ.

დევთ დედა

აქავ, როშკას, ილოცევდეს დევთ დედას. დევთ დედა ჯერ ეშმაკ ყოფელ, კოპალაისგან გაწირული. არცვინ ილოცევედ იმას. მემრ მუშს დაუწყეს ანთება. მემრ სანთელსა-დ, ბოლოს ისრ გახახდ, რო საკლავსაც უკვლევდეს, თორე თიკანს ხო სრუ უკლევდეს. ბოლოს, იქამდენ გაუხახებავ, რო ჭარიც კი დაუკლავ ვისამ, - ოღონდ თავ დამანებევ. იმას, ვინც ჭარ დაუკლ, ცოლი ხყვანივ ავადმყოფი. ვითაჯერაც ქოხში წასულა, შვილ გაშჩენივ, სრუ მახკვდომივ. იმას ისრ ეჩვენებოდ თუ სიზმარში: მავავ დიდ დიაცივ რაიმავ, ნაგაბარნივ ჩოჭვიზძველნი ხქონავ, გძელნივ კბილნივ, რო კბილთავ მიწაზედ მაიარგნებსავ, გძელებივ ფირჩხილები აქვავ. მაოსაო-დ მააბნევსავ საშინელს სულსავ. რო შამავავ, შამამაწვებისავ ზედავო-დ დამბნედსავ. რო გამაეღვიძებოდ, მკვდარს მახჭელვედ შვილსა-დ დაღბრალდებოდ დევთ დედას. ეს არა მარტო იმ დიაცს ეჩვენებოდ. დიაც თუ ქოხში წავიდოდ, დევთ დედას თუ არას მიღმადლებდეს, ყველას მექოხეს ეშინოდა-დ მაეჩვენებოდ. სრუ დევთ დედაზედა იმის გამიწრიელებაზე ხქონდის წინავ დიაცებს საბარი. დიაცები ვერც სამრელოშია-დ ვერც თავის შინ მარტოებ ვერ იძინებდეს – დევთ დედა მაგვეჩვენებისაო-დ დავიჭელთებითავ. დევთ დედაივ, იცოდიან, ვერ მიუდგებისავ ახლოსავ კაცსაო-დ იმის ანგელოზსავ ე.ი. ანადგურებსავ. რაკი დიაცს სრუ არ ხპატრონობსავ ანგელოზიო-დ ყმაწვილსაც ცოტა, უძალო ანგელოზი პატრონობსავ, დევთ დედა მაერეკისა-დ გამაღვიძლავსავ. ხანდიხან თიკანს დახკლევდეს, დაღგლეჯდესა, დევთ დედის კოშკის მირგვლივ ჭელუკუღმ დაისრევდეს. ერთხანავ იცოდიან: ერთ დიაც გაჭდავ აოდაო-დ სიკვდილზე მიიწურავ. სიზმარჩი ეჩვენებოდისავ დამისთაოდავ აისეთ დიაციე, რაჭელიც ხალხს აქვ წარმადგენაი-დ მკითხავებ ამბობენ. სიზმარში რო მაეჩვენისავ, დაიწყისავ ყვირილიე – მიშველეთავ. მამათილი ხყვანდისავ

ჯვარის ჭელკაციო-დ აშინებდისავ დევთ დედასავ. რახან მამათილ მავიდისავ, უჭირველ დარჩისავ. ბოლოს, დიდგორის ჯვარჩი დაუკოჭვიებავა-დ მამათილი სადაც წვებოდ, იმის ახლოს დაუწყავ წოლაი. აღარ გაუვლავ ახლოს დევთ დედას. ქალ რო ქმართას წავიდოდ (ყველა კი არ, ვინაც იმის ახლო-მახლო ცხოვრობდა-დ იმაზე საუბარი ჭშირად ხქონდ ოჯახში), ისეთ დაშინებულნ იყვნეს იმის ჯალაფნიცა-დ თაოდ ისიც, რო წასვლაში დევთ დედას დაღმადლებდეს რას, ქმართას რო არ გახყოლიყვა, იქ აღარა ევნ.

ეგ დევთ დედაივ მარტო არ ასავ, იცოდიან წინათ. ეგენივ ზალ-დედამთილნი არიანავ. ზალივ ხორნაულთას ასაო-დ დედემთილივ როშკასავ. იმათავ ერთ გზაი აქვაო-დ აიმ გზაზე დადიანავ ერთუცისკესავ. მკითხავებმ იცოდესა-დ ეუბნებოდეს ხალხს, რომენს გზაზედაც დადიოდესა-დ მემრ დიაც-ყმაწვილი იმ გზა ახლოს არ მიეკარებოდ. მკითხავებ ეუბნებოდეს ხალხს, რო ისეებივ სრუ დღისთაოდ დადიოდესავ ერთუცსთანავ. თუ იმ მჭარეზე გავლილ დიაც-ყმაწვილს გაიგებდეს ავად გაჭდილს, ხო მკითხავებს მეტ აღარ უნდოდ – მაშივ დევთ დედას დააბრალებდეს. ზალივ, რომენიც ხორნაულთას ასავ, ჭკვიანი ასავ, იცოდიან, არ უყორსავ ვნებაიო-დ ე როშკას რაიც ასავ დედამთილივ, ეგ ძალიან მავნეიავ. ხორნაულთ დევთ დედას არც სცემდეს იმთვენს პატივს, რამთვენსაც როშკიონთას, რაკი იმისგან ეშინოდ.

ეს დევების დედებივ მაშინ დამრჩალავ, იცოდიან, როსაცავ ჭიშეხითავ როშკის გორზე ნამყოფ დევებ ამასწყვიტავ კოპალამავ. ღვარ აუტეხესავ ჭიშეხ მაჭნავსაო-დ ჭარ-კაცის წაღებას აპირობდეს. შამაზძახნავ კოპალასავ. კოპალა მაშივ ჭიშეხ მავარდაო-დ ლახტის ჭლა დაუწყავ როშკის გორზე ნამყოფს დევების მჭედლებსავ. ცეცხლ წაუკიდავო-დ დაბუგნავ ცეცხლშიავ. მაშინავ ის ზალ-დედამთილნივ იქ არ ყოფილანაო-დ გადაშრომიონავ. მემრავ აღარც დაჭოცნავ კოპალამავ, რაკი დიაცებ იყვნესაო-დ ერთად ცხოვრების ნება არ მისცავ, ხოლოთ სიარულის ნება კი მიუცავ ერთად. მას აქეთ არიან დასახლებულნივ, ერთ როშკასაო-დ მეორე ხორნაულთასავ.

ხორნაულთასაც აქვ იმის ადგილზე ქვებით აგებული კაცის ოდენ კოშკი. დიაც-ყმაწვილი ახლოს არ უდგებოდ იმას. როშკასაც ხქონდ კოშკი-დ ამ კოშკსთან კლევდეს საკლავსაც. ხორნაულთას კი არც საკლავს კლევდეს. დევ-დედაბერობით აჭსენებდეს როშკას ხუცობაში.

ბაცალიგოს თემის დღეობები
გადმოცემები პირქუშზე

პირქუ'ში იმით ხქვიან რო, ისი შახედულად ცუდის ახისა ას. წინავ ის ძალიან კაის სახისა ყოფილა-დ ოცდა სამ ქალ ყოფილ, ვისაც ის ხყვარებივ. უთქიმა-დ 'შაუთხოვავ ხთისად, რო ძალიან ბევრს უყვარორაო-დ, ღმერთო, ისეთ რა მიქენივ, რო ამ ქალებმ თავ დამანებანავ. მარიგემ ღმერთმ შათხოვა გაუგონა-დ გააჩინ ყვაილი. ყვაილმ ისრ მაუთოჭნ პირისახეი-დ გააჯუღურ, რო აღარავინ ახლოს არ ეკარებოდ. სხვამ ყველამ თავ დაანება-დ სამმ ქალმ არ დაანებ თავი

ერთ ქალი ელენე ყოფილ, რომენსაც პირქუში უყვარდ. პირქუშმ თქვისავ: რახან ელენა ყვარელ-შიით ჩემკე წამავიდისავ, იმის სამკაულის ჟიჟინივ სამჭედლოში მამიდიოდისავ. პირქუში წინ-წინ კაც ყოფილ, მჭედელი. ის ყოფილ მგელაის შვილი დავითი. ნაწილიან ყოფილ. რახან დაიძინისავ. მჭართ შუაშიით შუქ ამაღვარდისაო-დ გაანათისავ იქაობაივ სხოდაც მანათის ოდნად ხქონდისავ. მჭართ შუაშიავ თეთრ კვერივ. ლამაზიც იმით ყოფილ, რო ნაწილიან ესეთაი ას – ყველაზე ლამაზი. ისით ჭორცნი ხქონ, რო მზესავით შუქთ უშობენ.

პირქუშს უთქომ, რო ახმეტას წავედივ ვენახის მოსაველელადაო-დ რო მავედივ გრდემზე ეწერავ, რო მგელაის-შვილ დავითივ ამა და ამ დღეს უნდა მაკვდასავ. ვიწვალევ, რამთვენჯერამავ გრდემიც ცეცხლში ჩავაგდიო-დ მაინც არ წაიშალავ. მე მინდოდავ, რო ის დაწერილ წაშლილიყვავო-დ არ მავმკვდარიყავივ. მაგრამ მაინც არ იქნავ, როსაც დალიშნულ იყვავ დროივ, სწორად ამ დროს ამამივიდავ სულივ. პირქუშ ისით წმიდა კაც ყოფილ, რო, რო მამკვდარ, ხთის ნასახად გადაქცეულ. მემრ რო სულწმიდად გადაქცეულ, აჭადს (ფშავში ერთ-ერთ სოფელში) მასულასა-დ იქ დაარსებულ. მაშინ ბაცალიგველნიც იქ მდგარანა-დ ძმობა ხქონივ აჭადელთან. პირქუშ რო დაარსებულ, მკითხავ გაუქადაგებავა-დ მაუთხოვიან ყმანი. ბაცალიგველ-აჭადელთ სცოდნიავ, რო პირქუშივ კაცი იყვავ, მჭედელიო-დ იმას რაჭელ დავეყმნათავ, უთქომ. არ დახყმობიონა-დ გამწყალ ძალიან პირქუში, ზოგისად ცეცხლ გაუჩენავ, ზოგ აოდ გაუჭდავა-დ ისრ შაუშინებიან, რო ბოლოს პირქუშის ყმათ ჯარჯ-გირკლიანებს უდენავ (ჯარჯ-გირკალი არის წნელისაგან ჯაჭვის მსგავსად გაკეთებული; ზედ მობმული აქვს წვრილი ხისაგანაევ მოხრილი და ნაპირებზე თოკის აპეურით შესაკრავი რკალი – ძროხის დასაბმელი). გაუკეთებავ აჭად პირქუშის კოშკი, დარბასი-დ საქვაბეი. დაუწყავ ლუდის დუღილი-დ ლოცვა პირქუშისა. პირქუშს ყმან ისით დატეხილნი ხყვანიონ, რო დღეობა რო მავიდისავ, ყველას ხქონდისავ ჯარჯ-გირკალივ დამზადებულივ კაცებსავ, ჯვარჩიაც ჯარჯ-გირკლიანებ მივიდიანაო-დ დღეობა გადაყრადმდინავ სოფელშიაც ჯარჯ-გირკლიანებ დადიოდიანავ, ღამითაც ჯარჯ-გირკლიანებ იძინებდიანავ დღეობაშიავ. თუ ვინ ჯარჯ-გირკალს მაიშორებდ, მაშივ აოდ უჭდავა-დ უმიზეზებავ პირქუშს. ბოლოს, სალოცავ ძლიერ ჯვარად გადაიქცავ უბრალო კაცივ, იცოდიან. ჯვარჩი რახა ჯარზე დასხდიანავ პირქუშის ყმანავ, ჯარჯ-გირკალსავ ჯღარ-ჯღურ გახქონდისავ, როსაც ჯარჯ-გირკალს ჩაისხემდესავ, მაშინავ იარაღიც სრუ დაყარიანავ პირქუშის ყმათავ. ჯარჯ-გირკალივ პირქუშმავ იმით გაუწესავ, რომ წინწინ რო არ დაღმორჩილდესავ, მაშინ დაემუქარავ: დაგიმორჩილებთავ კი არაო-დ საქონივით ჯარჯ-გირკლიანებს გადაენთავ. შაესრულებიებავ კიდეც ყმათად ეს მუქარაი. მა'შინდელ ჯარჯ-გირკალი ნელობამდინ ხქონივ შანახული ხალხს, ბოლო ჯვარჩი მოუტანავა-დ იქით ას დაკარგული. ჯარჯ-გირკალი რო მაუშლავ, მას იქითადა მაუდისავ ქადაგსავ ჯვარივო-დ ატანებივისავ: "მე მა'შინ მქონდავ ძალი-შაძლებაივ, როსაც ყმანივ ჯარჯ-გირკლიანნ დამიდიოდესავ. ეხლადავ მკლავივ მკლავს გამისწორეთაო-დ, კისერი კისერსავ, მაგრამ ასივე პირქუშ კი ორავ! თუ ჩემ ცხრა ფესვიან მათრაჭ დავიბრუნეევო-დ ჩემ უწამებლივ მიწასთან გავასწორევ, მაშინ გაიგებენავ ჩემნ ყმანივ, რო პირქუშსვ. აისივ ძალი-შაძლება ხონივავ. "პირქუში წინწინ იორზე მდგარა, აჭადს იქით მასულა-დ იქაც უდენავ ძველებს

სალოცავად, იქაც ყოფილ იმის ნიში. მემრ ბაცალიგველნი ბაცალიგოს წამასულან, პირქუშიც გამახყოლივ, რაიც თავ ხთიშვილ იყვ, ხოლოთ მოძმე აჭადს დამრჩალ. ერთ მოძმე იორზე ხყავის დამრჩალი-დ ყველა ერონაირი სალოცავი. ხოლო ძალა კი უფრო ბაცალიგოს პირქუშს ხქონივას წინავ, რაკი ის თავი იყვ. პირქუშ ყოფილას დევებსთან მებრძოლი-დ უჭოცავ დევები. მემრ რო მთავარი რაიც იყვ, ის ბაცალიგოს წასულასა-დ აჭადს იმაზე ჩამაით დამრჩალ, იმთვენ შაძლებაი აღარ ხქონივ. იმისად დევებს დაუწყავ ბრძოლაი-დ ჩაგვრაი. ქადაგ რახა დასვიანავ, მაშინ მაატანებივისავ აჭადის პირქუშმავ დევების მუქარაივ: "თქვენავ პირმზორიანნო, მე თუ ძალი-დ შაძლება არ მაქვავ იმთვენივ, რო თქვენ გაგამტვერნათავ, მე გავაგებიებავ ბაცალიგოს ლეკურთაში მდგარს ჩემს მოძმეს პირქუშსა-დ ცეცხლით გადაგაწვევთავ ერთიანადავ".

პირქუში წინწინ რო იორზე მისულას, იქ ზდობნივ დადგომა-დაარსება, სადაც დევები მდგარან. ხთიშვილით უთქომ: "პირქუშივ ქალისპირა-ი ასავ, ეგივ დევებს ვერას ეტყვისავ, იქით ვერ ახყრისავ, ეშინიანავ. მაგრამ კოპალაი-დ თავის ძმობილი წყაროსთავ წმიდა გიორგი დაშველებიანა-დ იმათ დაჭმარებით დევები ამაუწყვეტიანა-დ თაოდ დარსებული იმათ ნამყოფლავში. მემრ გაუგავ ხთიშვილთ, რო კოპალაი-დ წმიდა გიორგი პირქუშს ძმობილები ხყვანდესა-დ გაჭირებაში ისენ უშველდეს. ამის გაგებაზე პირქუშს უფრო პატივ დაზდვეს ხთიშვილთაცა-დ თავის ყმათაც. პირქუშ მჭედელ იყავ-დ წყაროსთაულს წმიდა გიორგის ის უკეთებდ მშვილდ-ისარს, რაკი წყაროსთაულიც მშვილდ-ისრით მეომარი-დ მებძოლ ყოფილ. რაკი კოპალაი-დ წყაროსთავ-წმიდა გიორგის ძმობილები ხყვანადესად დევებს ანადგურებდეს, იმაზე დევებს სამთავ ჯავრი შჭირდა-დ ცდილობდეს, რო ევნ საითრაი იმეებისად. მაგრამ პირქუშს რაიც არ, სხვებს ვერ სწონდეს. პირქუშს იმთვენ ძალა ვერ ხქონივ დევ-კერპთან საბრძოლად, როგორც სხვებსა-დ იმით იმას უფრო იძევდეს თუ მარტოს სად მაიმწყვევდეს. ერთხან ჯიჯეთის ყელჩი დედუფლის წყალთან შახვდ ბევრს დევებსა-დ დაიჭირეს პირქუში. "მიშველეთავ კოპლაო-დ წყაროსთავ წმიდაო გიორგიო" შამაზძახნ თავის ძმობილებს პირქუშმ. იმავ წამს ცეცხლის გირკლებივით გაჩინდეს პირქუშსთან გიორგიი-დ კოპალაი, სრუ ცეცხლში ჩაწვეს, რაიც იქ დევები იყვ. გამაღგლიჯეს პირქუშ ჭელჩითა-დ წამაიყვანეს. პირქუშს რახან შაზძახნან გაჭირებაში, მაშინ იტყვიან: "მიშველ დიდო პირქუშო,ცეცხლის ალიანო, ლეკურთის ვაკეს მებურთვალო"!

წინწინ რო რუს შამასულას, მაშინ იმათ გაუბედავ ჯვარ-ჯვარის კრისად, სრუ ცეცხლი უნდა წაეკიდ, სალუდე ქვაბ უნდა ჩამაეგდა-დ გაეგორ, მაგრამ ვერ ჩამაუგდავ, ქვაბშიითავ ცეცხლი ამავარდისაო-დ გადმაგვეფინისავ ზედავ. ამ ჯარჩი ეროი კახი ყოფილას. ამაუღავ კახსა-დ დაუკრავ ხანჯარი სალუდის ქვაბისად. ის ნახანჯრალი ნელობამდინ ეტყობოდის ქვაბს. ხანჯარ რო დაუკრავ, ახჭდივ გონი კახსა-დ გადაქცეულ. გონთ რო მავედივ, თქვისავ აი კახმავ, რუსებივ პირჯვარს იწერდესაო-დ, ესალმებოდესავ პირქუშსავ. გამაეჩინავ თავის ძალაივ, კინაღარ ცეცხლ გაეჩინავ ჯარისადაო-დ მემრავ ხვეწნა რო დაეწყავ, ცეცხლიც დანელებულიყავ, რუსებივ დიდის თაყონით გამაესალმნესაო-დ წავიდესავ.

კოპალაი-დ წყაროსთაულ გიორგი რო ძმობილები ხყვანიონ, იმათ გამაუჩვევამ პირქუში-დ ძალიან დაუწყავ დევებისადაც ბძოლაი. მტერსთანაც შველდ თავის ყმათ.

ერთ მიგრიაულ მშაველ ყოფილასა-დ ცხვარ ხყონივ. მიმავალ მშაველიც ცხვარში შირაქისკე. გზაში თათრის ყაჩაღებ დასცემიან. შამაუძახნებავ მშაველს პირქუშისად: "დალოცვილო პირქუშო, ნუ მამრეკავ მტერსავ, შენ მიშველეო-დ ერთს ჭედილას მავიყონავ შენ კარზედაო-დ ვარდის დღეობას შამაგწირავავ". პიექუშს შამაძახება გაუგონავა-დ იმ წამს ჩაშველებივ. თათრებივ თოფს უბრუნებდიანავ ფშაველსაო-დ არც ერთს არ გაუვარდავ, მშაველის თოფ კი გადიოდისავ. ზოგ დაუჭოცავ თათრები-დ ზოგებ დაქცულან. მემრ რო ათენგენა მასულ, მაუყვანავ მშაველს ერთ ჭედილა თავის ცხვრის ფარაში არჩეული-დ დაუკლავ პირქუშისად. პირქუშ რო არ ყოფილიყვავ, თქვისავ მშაველმავ, ან მალე არ მამგონებიყვაო-დ არ შამეძახნავ, ეხლად აღარც მე ვიქნებოდიო-დ აღარც ჩემ ცხვრის ფარაივ. იმან დაუკედავ თათრებსავ თიფებიო-დ მე გადამარჩინავ.

ერთი ბაცალიგველ კაც იყვ გიორგი. გუროს ორწყალში დევ შახყრივ. შამაუძახნებავ პირქუშისად. რაკი ის ვერ ებრძოდ დევებს ძალიან, იმავ წამს გაუყოლებავ კოპალაი, ერთად მავიდესავ უუბნავ გიორგის, კოპალაიო-დ პირქუშივ. პირქუში ცეცხლის მათრაჭით შამაეტივავ დევსაოდ დევი იმას არ შეეჭოვავ. კოპალამ ესროლავ ლახტივ, ცეცხლ გშჩინაო-დ დაიწვავ დევივ. დევს რო კოპალამ ლახტ დახკრავ, ისეთი ჭეხა-ქუხილიო-დ დევის ღრიალ დადგავ, რო მთაბარ სრუ დაიძრავ. უგონთ გავსულიყავიო-დ რო გონთ მავედივ, იქ აღარა იბადებოდავ, აღარც დევიო-დ აღარც ხთის ნასახნივ. ავდეგიო-დ წამავედივ. სად დავდიოდივ ის კი არ ვიცოდივ, ისრ ვიყავივ გაუეყილივ, ერთ წელს გიორგი იმის შემდეგ აოდ ყოფილ, მემრ ჯვართად მიუმადლებავ ბევრი-დ მამრჩალ.

პირქუშს ცხვარი ხყოვნივ წინავ ბევრი, წყემსები ხყონიონ, როსაცა აჭადს ყოფილ დარსებული. იმთვენ ცხვარი იყვისავ პირქუშიასაივ, რო სრუ ეჭირისავ აჭადის მთებივ. დევებს პირქუშის ჯავრი სჭირებივა-დ უდუმლივ თავის ნერბებ გაურევავ პირქუშის ცხვარში. სრუ ოთხრქა ჭედილაობა გამასულ დევების ცხვრის ჯიშზედა-დ დაუწყავ პირქუშის ცხვრისად ბძოლაი. ზოგ ცხვარი იმ ოთხრქეებს კლდეთ გადაუყრავ. ზოგ ტბაში ჩაუყრავა-დ ზოგი ალაღებულ წყალში. სრუ გაუწყვეტავ პირქუშის ცხვარი. მას იქითავ აღარ ხყავ ცხვარი პირქუშს. ისით რქები ხქონდისავ დევის ცხვრის ჯიშის ჭედილებსავ, როგორც ნაჭეჩიო-დ რასაც პირქუშის ცხვარს რქა ამახკრისავ, კლდეთ გადაამალისავ.

პირქუში წყრებოდ ზოგიერთ დანაშაულებზედა-დ წვევდა ცეცხლში თავის ყმებს. ამას ჭევსურები დალპობას ეძახდნენ. თუ პირქუშში იშულლებდა ვინ, შულლს უფრო არ იჭდენს, შულლი თავის სამკვიდროში ისრ აკრძალული ხქონდ, რო ჭმამაღლად აძრახდომა არვის შეაძლიყვ. ერთხან უშულლავ ბაცალიგველ ზეისტეჩოვლებს. ბაცალიგველს ბეწინას ზეისტეჩოელ დევათ ფიცხელა უჭრავ დიდ ხუთშაბათ დღეს (ჭრა: ხანჯლით ან ხმლით კაცის დაჭრას ჰქვიან). ისრ მამჭდარ, რო როსაც დაუკრავ, ვერავის გაუგავ ვინ დახკრ, რაკი მაშინ დიდ შულლ ყოფილ გვარებისაი-დ ვინ რა დახკრ ერთუცს, ეს ვეღარავის გაუგავ. გაჭდილ ფირცხელას ნაჭრეეი საარდარაოდა-დ ერთუცისად უბრალებავ. ბოლოს ფიცზე მიმდგარ საქმეი-დ ბეწინას ტყუილად დაუფიცავ. ორ კვირაიდგესავ პირისახე დაუწყრულდაო-დ ჩავარდნილ ლოგინში. გამასვლივ შულლისა-დ ტყუილად დაფიცვის მიზეს. მაგრამ მაინც აღარა შველებივ. პირქუშს ქადაგისად მაუტანებიებავ, რო მე ნავთის წყალ გადავასხივ შანაცოდვარზედაო-დ დავწვივ. ეხლა ვეღარას უშველავ, რაკი მაგის

ჭორცნივ დამწვარნიავ. ჩავარდნილ ლოგინად, ჯერ ჭელ-ფეჭი-დ პირისახე დახლპობივ მემრ ერთიანა ტანი-დ მამკვდარ. ჯვარისაგან დამწვარ თუ დალპებოდა, ის ჩამამავლობაზე არ გადადიოდ. თუ თავისთავად ვინ იყვ ისეთის ჯიშისა კი, დამპლობა ჩამომავლობზედაც გადადიოდა-დ ლპებოდ ყველა. იმით იყვ რო დამპლის ჯიშისას ჭევსურები არც ქალს ითხოვდესა-დ არც ქალს მისცემდეს ასეთის ჯიშის გვარში. ასეთს ჭევსურებ ეძახდას დამპალს, უჯიშოს, დამშმარს, დამჟაულს, სულიანსა-დ სხვა.

უწმინდურ თუ ვინ მივიდოდ პირქუშის საარსებოში, იმაზედაც ძალიან წყრებოდ პირქუში-დ წვევდ დამნაშავეს. უწმიდური ისეთი, ან გაევლოს ისეთის ალაგში, სადაც უწმინდური დიაცები დადიან, ან დიაცი (ცოლი) ხყონიყვ სამრელოს, ან ქოხში ხყონიყვ დიაცი, ან დიაცსთან თუ იყვ ნამყოფი, ასეთას ხქვიან უწმიდური-დ ამაზე წყრებოდ ძალიან პირქუში. ასეთ დამნაშავეს მძიმედ დაუჯიდა, გადაასხემდ ნავთის წყალს (მკითხავების გამოთქმა არის ნავთის წყალის დასხმა). ნავთის წყალ-გადასხმული სრუ დაწყრულდებოდა-დ ჩალპებოდ ლოგინჩი.

ერთი ბავცალიგველ ყოფილას- თინიბექთ შიშიაი. იმას ქვაბების კერვა სცოდნივ. პირქუშში სალუდე ქვაბ დაღლევივა-დ შიშიას დაუკერავ ეს ქვაბი. ქვაბს რო კერევდ, იმ დროს დიაცსთან ყოფილა-დ გაუბანი, ჭელებზე აუსხმელ მისულ ჯვარშია-დ დაუკერავ ქვაბი. ეს ქვაბიც მაშივ დალეულ იქავ. ერთხან ვერ უდუღებავ ლუდი. შიშიაიც ორ-სამი დღიდგეს აოდ გაჭდილ. დასწყრულებივ პირისახე ჭელფეჭი-დ ბოლოს სრუ მაშორებივ ჭორცი ძვალზეით. იმის ჯალაფთაც გადაზდებივასა-დ სუყველა აოდ დაჭდილან. ყველას გადაზდებივ ეს ჯვარისაგან დამწრობაი. ხალხ იმას თუ ამბობდის-დალპესავ, დამპლობაივ გამაშჩინდავ. მემრ მკითხავს უთქომ ემად-ემ შანაცოდვარზე გადმაუსხამავ პირქუშსავ ნავთის წყალივო-დ დაუწვიხართავ. ღლიშნებივ მკითხავის ნათქვამი შიშიას, ბევრ უნანებავ, სამანანულო ზღვენიც დაუკლავ, ქვაბ-კუროიც დაუნაცლავ კურეტით, მაგრამ მაინც არა შველებივ. მაუტანებიებავ მკითხავისად, რო მე პირქუში ორავ, ერთხან გადმადუჟვნილს აღარ ავღლოკავ, ჩაიდინავ ცუდ საქმეიო-დ ვერ ვაპატივებავ, ტყუილად ღონდებინავ. მე ნავთის წყალ გადავასხიო-დ იმასავ მე ვეღარას ვუშველავ, დამწვარს ჭორცთავ მე ვეღარ გავამთელებავ. კლოვ სხვებ გამთხილდებიანაო-დ რიოშიანებ აღარ მაკლენავ ჩემს კარზედავ, რო აღარაად ვინ მაგდებსავ, კლოვ დამაფასებენავ.

ბაცალიგოს სოფლი-დ სოფელ აყნელი ერთუცის მესამძღვრენი არიან. სახლისკაცობაიც ეთქმისა-დ ერთს ჯვარს პირქუშსაც ეყმობიან ყველანი. ერთხან ადგილის თაობაზედ მასვლივ შუღლი აყნელიონთა-დ ბაცალიგველთ. ძალიან მაგრა უშუღლავ. ეს ადგილი ნაწილი პირქუშისა ყოფილას. აყნელივნებ გადახკიდებიონ ბაცალიგველებს, რო მაინც ძალით დავიჭერთავ მაგ ადგილსავ. ბაცალიგველთ უთქომ, რო დაგვანებეთავ თავივ, აყნელიონნო, თორემ პირქუშზე მივაგდებთავ საქმესაო-დ ძალიან ცუდად წაგივათავ საქმეივ. აყნელიონთ შაუთვლავ, რო გაწყრას კი არავ, რო სრუ გაგვწყვიტნასავ პირქუშმავ, ამ ადგილსავ ბაცალიგველთ მაინც არ დაკანებებთავ. ან რა პირქუშის საქმეი ასავ ადგილივ, იმას ვინ ხკითხავსავ. ამ ადგილს კი არაო-დ კიდევ სხვას ადგილსაც წავართომთავ მაგათავ.

აყნელიონთ ჭელმძღვანელობდეს სამნი ძმანი. ისენ ყოფილან ადგილის გამაკიდების მეთავენი. აბა თუ არ მეკითხებისავ, უთქომ პირქუშსა-დ გადაუსხამ

სამთავ ძმათად ნავთის წყალი-დ სამნივ ცოტაიხნიდგეს ლოგინში ჩაყრილან. ჯერ ცხვირ-პირ დახლპობივა-დ მემრ მთელ ჭელ-ფეჭი-დ ტანი დასწყრულებივ. თაოდაც მიხვედრილან, რა შანაცოდვარზედაც დაემართ ეს ამბავი-დ მკითხავებსაც უთქომ. ძალიან ბევრ შაუნანებავ, იმ ადგილისადაც თავ დაუნებებავა-დ საკუთარ ადგილიც ბევრ შაუწირავ პირქუშისად. სოფელსაც კიდევ ერთ მჭარე პირქუშიდას შაუწირავ, თუ იმათ რა ეშველებოდ, მაგრამ იმათ აღარა შველებივ. ზღვნები, ჭარ-კურეტები, მამულისა-დ ვერცხლის შაწირვა, სრუ ჩამაუღალავ მკითხვებიცა-დ არა შვილებივ. სამნივ ძმან დამპალანა-დ იმათ ხიზანსა-ც გადაზდებივ ეს დამპლობა, ანუ გონჯობა. მთელ ხიზანიცა-დ იმათ ჩამამავლობა სრუ დაალპობის ჯიშზე მადიოდ. ზოგ კი იმას ამბოდა, რო ეგივ ჯვარისგან კი არ ასავ, დამპლობის ჯიშ საითამ შაერივავ, მაგრამ ქადაგ-მკითხავნ კი მიზეზს აბრალებდეს ჯვართ.

დამპლობა ორგვარ იყვ: ერთი ძვალად გადადიოდ ისრ, რო ძვალთაც შჩინდებოდ. ესეთ დამაპლობა უფრო სარიდალი იყვ, რაკი ჩამამავლობით იყვ. მეორე იყვ ჯვარისაგან დამწვარი. ისიც კი წყრულდებოდ, მაგრამ ძვალად არ გადადიოდ. რაკი მუდამ არ გადადიოდა ჩამომავლობაზედ, სარიდალ კი იყვ, რო დაწყრულებულიყვ სრუ, მაგრამ იმ ჯიშის ქალ-ვაჟი ძალიან ლამაზ გამადიოდ, თუ ეს დამპლობა არ გამახყვებოდ. მეტისმეტად ლამაზები იყვნეს. როსაც პირისახეს შაეყრებოდ, მაშინ მაიხვევდეს რას სახეზედა-დ აისეთებ გამავიდოდეს; სადაც ხალხ იყვ, იქ არც მივიდოდეს, იმას ეძახდეს გონჯობიანს. ჭევსურეთ ჭშირად ეტყოდეს ერთიმეორეს: რა გონჯობიანიყით კარჩი აღარ დახოლავ, შინ იმალებივ. თუ თავპირი ხქონდ დაბურვილი – რა გონჯობიანივით თავ-პირს იბურავავ, რად არ მაიშორებავ ე დახვეულსავ. ზოგი კი ერიდებოდ ასეთს ძალიან, არც იმის ნაჭელს რასაც ჭელევდ, არც ჭამად რას იმასთან, რასაც ჭელს რაად ახლებდ. ზოგ კი იმას ეტყოდ, რო ესივ შასაყარ არ ასავ, არ შეეყრებისავ სხვისგანაო-დ არც არას ერიდებოდეს. ზოგს კი იმის თქმაიც სცოდნივ, რო დამპლობას უთქომავ, რო ჯიშიანის კაცისკესავ ცხრას მათრაჭის ტარს გავფრინდებივ შასაყრელადავ. ესეთ ჯიშ უფრო პირაქათ, ბუდე ჭევსურეთ ყოფილ გამრავებული. აქაც ზოგს სოფლებშია-დ გვარებში, უფრო ბაცალიგოს მიდამოებში, რაკი აქ ჯვარი (პირქუში) ხყვანივ ისითი, რო ის ასხემდ ნავთის წყალს. ზოგი კი სხვა სოფლებშიაც ყოფილ ასეთი ჭირით ავადმყოფი-დ ესეც უბრალებავ პირქუშისად. ზოკან დედას მიუტანავ ესეთა ჯიში-დ გამრავლებულ იმის ჩამამავლობაზე. მაგრამ გვარში ასეთის ჯიშის ქალს არ მააყვანინებდეს. მთელ გვარ ფეჭზე დადგებოდა-დ დაათხოიებდეს. ვინიცობ თუ ვინ მაიყვანდა-დ არ დაითხოვდ ესეთს ქალს, მაშინ გვარი მაიკვეთდა-დ გააგდებდ ასეთის მამყვანს – ჩვენავ ჩვენ გვარ'ში უჯიშოს ჯიშს არ შამავღრევთავ.

ესეთის ჯიშის მქონეს შუღლშიაც ასაყვედურებდეს: შენ უჯიშოი ხარავ, რო იარაღ მაგიქნიოთავ, ნაჭრევ აღარ გაგეკურნებისავ. ისეთის ჯიშის კაცსავ იცოდიან, ნაჭრევ აღარ გაეკურნისავ, სრუ წყლად მაიქცისაო-დ დარჩისავ გაუკურნავივ. ჯიშიანს კაცსავ ნაჭრევივ სრუ ადვილად გაეკურნისავ, არც გაუმარჭდისაო-დ არაფერივ. საყვედური გადადიოდ ქალ-დისწულზედაც. თუ დედა ან დედისდედა ან პაპისდედაც რო ყოფილიყვ, იმას დაუწყებდეს ყვედღებას, რო თქვენავ ამა-დ-ამ გვარშიით დამპლობა მაგიდისთაო-დ დამპალნი ხართავ.

ძვალად გადასული იყვ ასეთ ჯიში ლიქოკელ გაჯალათაზე. მემრ იქით იმათ ქალ-დისწულზედაც გადასულ. მაგალითად, მეჭარიანი ყოფილან იმათ დისწულები-დ გადასულ იმათაზე. იმათ ყველას ერთნაირად აყვედღებდეს დამპლობას. მარტო დისწულს კი არ, დისწულის შვილებსაცა-დ იმათ შვილებსაც აჩნდებოდა დამპლობა. ჭევსურეთ ხო შუღლივით გავრცელებულ არა იყვ, მაშუღლარ კაცს ყველა აქებდა-დ აადიდებდ. ამით ყველა ცდილობდ, რო სადაც ხალხში მივიდოდ, მეტ შარ-ბოროტ აეტეხა-დ მეტ ეშუღლ. სმა ისრ არ იქნებოდ, რო ორ-სამ პირად მაინც არ ყოფილიყვ შუღლი. ამ შუღლს მაზდეედ საყვედურის ძახილი. წინ-წინ შასაყვედრები ჯიში იყვ. თუ უჯიშო საით იქნებოდ კაცი, მაშივ იმას უძახებდეს: "უჯიშოო, დამპალო, ნიავის საღვერაო (ნიავის საღვერავი: ე.ი. ისეთი დაწყალებული, დამპალნი ხორცნი ხქონ, რო ქარმ რო დაღბერნას, გაღვერავს, თმა-წვერს გააცლის). მე განა შენ ფერნ ჭორცნი მქონავ, რო დამკრავ, გამეკურნებისავ, შენ დამპალი ხარაო-დ აღარ გაგეკურნებისავ". ისეთ შემთხვევაიც ყოფილ წინავ, რომ ზოგს კაცს იარაღს მარჯვედ არ მაუქნევდეს: რომ რა დავხკრათავ, უჯიშოი ასავ, აღარ გაეკურნებისავ, მარჯვედ მაკვდებისაო, თავ დაგვედებისავ. ასეთ კაცებს ჭშირად არიდებდეს იარაღს. დასაკრავიც რო ყოფილ, ბევრს არ დაუკრავ ხანჯარი. ხშირად იტყოდეს რომენსამ გვარზედ: მაგათადავ იარაღ არ ასავ მასაქნევივ, არ ეკურნებისაო-დ იჭოცებიანავ. თუ შუღლად ვინ გახჭდიდ პირქუშის ადგილში სადღეობოში, მაშივ უნდა შეენან, თორემ, თუ გაწყრებოდა-დ ნავთის წყალს გადაასხემდ, მაშინ ტყუილიღა იყვ, ამ კაცს აღარა ეშველებოდ.

მექადაგეებმ ჭშირად იცოდეს პირქუშის სიტყვების ძახილი (ვითომც პირქუში აძახებდა მათ): 'მე პირქუში ორავ, ძალიან-მადლიანივ! დავიბრუნებავ ჩემს ცეცხლის ალიანს, ცხრაფესვიანს მათრაჭსავ, მეძალესაო-დ შამწყენს ჩემის მკლავით გაუსწორდებივ, გავანადგურებავ ჩემს ურჩს ყმებსავ.

მკითხავს სცოდნივ, რო პირქუშივ ღმერთს ესვეწებისავ: "ღმერთო, ნუ ჩამამყრივ ძალსა,შაძლებასავ. ნუ ჩამამართომავ ლეკურთის ცეცხლის ალსავ, ნავთის წყალსავ, ლეკის* ბოლქვთავ, ცხრაფესვიან მათრაჭსავ. ღმერთო, ნუ ჩამამართომაო-დ ნუ ჩამამყრივ ჭარ-მანეშთავ (ჭარ-მანეშნი, მკითხავების სიტყვით, ნიშნავს ხარებს, რომლებიც წინათ ხევსურეთში ბევრ სალოცავებს ჰყავდა, მათ უვლიდნენ დასტურები)". პირქუში იკვეხდა-დ სახელობდ თავის ჭარმანეშთ, ქადაგები ამას ჭშირად იძახდეს. მკითხავები ხალხს იმაშიაც არწმუნებდეს, რო პირქუშსავ ცეცხლის მათრაჭი აქვავ ცხრაფესვიანივ. ცეცხლის ალი აქვაო-ღ ნავთის წყალივ დამნაშავის დასაწვაოდავ. გადაასხამსავ პირქუშივ ნავთის წყალსავ, წამახკრავსავ ცხრაფესვიან ცეცხლის მათრაჭსაო-დ დასწოვსავ კაცსავ, დამწვარნ ჭორცნივ წყრულად გადაიცქევიანაო-დ დალპებიანავ.

პირქუშს ხყვანივ წითელ ცხენი-დ სადაც თვალთ დახკვრევდ, ცხენიც იქ დაიბადებოდ. შამაძახნებაზე წითლით ცხენით სცოდნივ დაშველებაი.

---

* ლეკი არის ეროგვარი მაგარი ხე, დიდი არ იზრდება. სულ წვრილი ტყეა, ფერი აქვს ყვითელი. ხევსურები ზამთარში ამ ხისაგან კოვზებს აკეთებენ, რაკი კარგი ფერ აქვს და მაგარიც არის.

პირქუშის დღეობები

პირქუშში დასტურად ერთი წლით დგებოდ ექვს კაცი: ორი მეწელწდეი-დ ოთხი წვრილ სადასტუროებზე. დასტურს აყენებდეს ქადაგით. წელწადში ქადაგს დასვემდეს (ქადაგი იყო ხშირად ისევე ამ ხატის ხუცესი). ქადაგის დასაჯდომ იყვ დარბასში, უფრო წმიდად დაცულ ადგილი. ქადაგს დასვემდეს, აანთებდეს სანთელსა-დ 'მაზძახნებდეს ჯვართ: "დალოცვილო პირქუშო, შენ გეხვეწებით, ნუ შაგვისაწყინდები შამაძახილზე. ჴორციელნი ორთ, დალოცვილო, უტნი-დ უმეცარნი ორთ. ჩვენს უცოდრობას ნუ შააფერებ, შანაცოდვარი-დ შანაწყინარი გვაპატივი. გეხვეწებით, პირქუშო ცეცხლის ალიანო, რო შენს მეენეს დააზემი (შენს თარჯიმანს ჩვენოვის აოქმევინეო) შენ გულში ნადები – ვინ ას წელს შენის დასტურობისა-დ სამსახურის ღირსი. ჩვენ ვერ შაგვიძლავ გაგება, შენის მეენით შენ გვიბძანე, ჩვენ მზას ორთ შასასრულებლად. თავ ყმად არ გვშურსა-დ საქონ ზღვნად. დასტურობას ვისაც უბძანებ, თავს არ გაუხრის, დიდება შენს ძალასა, შენს საჴელს, პირქუშო ცეცხლის ალიანო".

ამ შაძახნებას რო გაათავებენ, ქადაგი ზის გაჩუმებული. სანთლები ანთებული ასა-დ ხალხიც გაჩუმებული სხავ. ცოატი ხნიდგე ქადაგი დაიწყებდ მთქნარებას, თანდათან მაუჴშირებდ. მემრ თვალთ დაიმწუხევდა-დ გადმეედინებოდ ცრემლი. ბოლოს ჴელის თითებს გაუყრიდ ერთუცშია-დ აისეთაით ორითავ ჴელით დაიწყებდ გულზე ცემასა-დ დაიწყებდ ქადაგობას (ვითამც მასში ჩადგა პირქუში; მან ამქვეყნისა არაფერი იცის, ვერც ხედავს რამეს, ისე ილაპარაკებდა პირქუში ქადაგის ენით). წინასწარ თავის ყმათ მუქარას დასთხოვდ ყვირილით: 'ჰაუ, ჰაუ, ჰაუ! მე ორ პირქუში, მე მაქვ ძალი, შაძლება მალოცვილი მარიგის ხთისგან. თქვენ რო ჩემთ ყმათ აღარაად გაგაჩნიორთ, მკლავ-მკლავს გამისწორეთა-დ კისერ კისერს, მე აისივ ძალი-დ შაძლებაი მაქვ (ამ სიტყვებს რომ ყვიროდა, თან უმატებდა ყველა სიტყვაზე: ჰაუ, ჰაუ-ს), ჩემს ურჩს, უწამებელს ჩემი ცხრაფესვიანი მათრაჴით მიწასთან გავასწორებ". ესეთებს ბევრს რასამ იძახებდ, ბოლოს ქადაგი დაასახელებდ დასტურებს, ვინ მეწელწდე დასტურ იქნებოდა-დ ვინ წვრილ სადასტუროს დასტური. ვისაც დაასახელებდ, იწერდ პირჯვარსა-დ ეხვეწებოდ ხმადაბლა პირქუშს მუჴლმაყრილი: "დალოცვილო პირქუშო ცეცხლის ალიანო, მე შენ ყმაი ორ თავდადებული. მე თავ ყმად არ მშურსა-დ საქონი ზღვნად, მე ღირსიც არ ორ 'შენის სამსახურისაი". ქადაგი ბევრს რასამ მააყოლებდ პირქუში რაზედაც იყვ გაჯავრებული – ჭირნახულების ლევიებაზედ, უქმების ტეხაზე ზაფხულის, ან თუ სხვა უწესობა რაი ხჴდებოდ საჯვარო საქმიანობაში, უწესოდ ვინ იქცეოდ. ბოლოს, ვითამ გამაელვიძ, დაიწერდ პირჯვარს, აახილებდ თვალებსა-დ იტყოდ: "დიდება ძალსა შენსა, დიდო პირქუშო ცეცხლის ალიანო, შენ უშველ დალოცვილო, შენთ ყმათა-დ ნუ შამიცოდვებ შენს მეენეს".

ადგებოდეს ქადაგობის გათავებაზე ყველანი-დ დაიწერდეს პირჯვარს სიტყვებით: "დიდება ძალსა შენსა, პირქუშო ცეცხლის ალიანო, ღმერთმა ნუ წაგართვას ძალი-დ შაძლებაი". ცოტა სიჩუმე ჩამავარდებოდა-დ მემრ დაიწყებდეს საუბარს: "დიდება პირქუშის ძალსავ, ქადაგიე რაჴე შააწუხავ, კინაღა მაკლავ".

ადგებოდეს ყველანი-დ ახალ დასტურებს დაამწყალობნებდეს: "გწყალობდასთ ახალ-დამდგომ პირქუშის დასტურებს პირქუშის დავლათი. საწადმართოდ მაგიარასთ, თავის ნებით დაგდოთ უღელი დალოცვილმა-დ თავისავ ნებით მშვიდობით ააჭდიოს. ნუ შაგანანასთ დასტურობა, მსახურობა. კლოვ უკეთი გულით მაგკერძასთ. თქვენ მაგცასთ წყალობა ყურით მაყურებელს, პირქუშის დავლათმ, ჯვარივნებს, დასტურ-გამძღობართ". ამ დამწყალობნებაში დასტურები პასუხობდეს: "თქვენი იყოს მწყალობელი, თქვენის თავისა, თქვენს თავს სწყალობდას".

დასტურ წელწად'ში ილიშნებოდ დასტურადა-დ მეორეს წლამდინ არას აკეთებდ ჯვარ'ში. გაზაფხულზე კი შაუდგებოდ ჭვნა-თესვას საჯვარო მამულებში, სადასტუროებშია-დ ხოდაბურებში. გაზაფხულამდენ როგორც სხვა სოფლის ხალხი, დასტურებიც თავისუფლად იქნებოდეს. გაზაფხულ აიწყევდეს სათესლე ქერს ძველის დასტურებისგან, რომნებსაც წინას წელს აქვ შანახული გოდრებში. გაიტანდეს სადასტურო მამულებზე საჭვნიელსა-დ ყველა თავ-თავის წილს მახჭნევდა-დ დასთეს-დახფარევდ. როსაც სოფელი ულავით ხოდაბურებს მახჭნევდ, მაშინ ჩვეულებრივად ფარვას შაუდგებოდეს დასტურები. მიიტანდეს თესლს (თესლს ისევ ძველი დასტური მისცემდა, რაგდან მასთან ინახებოდა). მისულები მაჭნავს ხალხს ეტყოდეს: "გაგმარჯვნასთ, გწყალობდასთ წინ მამავალს, უკენ წამავალს, პირქუშის საქმეზე თავდადებულს. თქვენ იყოს მწყალობელი", - ეტყვიან ყველანი. ხუცესიც მაოსა-დ ესეთი სიტყვებით დაამწყალობნებს მაჭნავებს.

დასტურებს მატანილი აქვ სათესლედ დიდ სასაგძლე. ჩახყრიან იმაში ქერს, ხუცესი მაიჭდის ქუდს, დაიწერს პირჯვარს, მაჭნულს მიწას სამჯერ ჭელით ჯვარს გაუკეთებსა-დ იტყვის: "ღმერთო და დიდო პირქუშო, თქვენ გევედღებითა-დ გეხვეწებით, თქვენ მაიყვანეთ კა ყანაი, უშველეთ პირქუშის ხოდაბურის მაჭნავთ ბაცალიგველთ, მიეცით წყალობა წინ მიმავალს, უკენ წამავალს, ხათრიანს, ყამიანს". ამ სიტყვებს რო იტყვის, ქერს გადაშლის სამჯერ ჯვარადა-დ დაიწყებს ქუდმაჭდილი თესვას. სასაგძლე ქერიანი მარცხენას მჭარზე ხკიდავ, მარჯვენა ჭელით ქვე სთესავს. ერთხან რო გაიელისა-დ დასთესავს, გამაიელის მამულზედა-დ დაღლი'შნავს რომენზეით ას დათესილი, ზოკან წიხლით მიწას გაღარავს რო მეორედ გამათესვის დროს ან არ გადააცილას, ან ნაკლებად არ დაშჩას. ეს რო სთესავს, დასტურები შაამბენ ჭარებსა-დ ფარცხს მაუმბენ (უღელს ჭარს), დასმენ ზედ ერთს ყმაწვილსა-დ შაუდგებიან ფარვას. დაწყობილი ბოლოშიით. თანდათან ადმ შახყვებიან. მთესავიც ბოლოშიით მახყვებისა-დ მფარავებიც. ფარვას რო დაიწყებენ, დასტურებიც ღმერთსა-დ პირქუშს აჭსენებენა-დ შაეხვეწებიან. მაჭნავებსა-დ ბეჯით მუ'შებსაც შაახვეწებენ. ფარვას რო გააოავებენ, ხუცესი მიწაზე კიდევ გააკეთებს სამად ჯვარს მარჯვენაით ჭელითა-დ შეეხვეწების პირქუ'შს კაის მასავლის მაყვანას.

ჯვარის ყანის ჭვნაში სოფელი ჭარებს რო დაასვენებს, მაშინ ერთად 'მაიყრებიან. დაიწყებენ სასოფლო საქმეებზე საუბარს, - სად ჭიდი აქვ გასაკეთებელი-დ დადგებიან ერთს პირზე. ან წილის საქონ როს წავიდას, ამაზედაც წილს ყრიან. ბოლოს წამავლენ შინა-დ შაუდგებიან სამზადისს თავის საკუთარის საჭნავისად.

მემრ დასტურები გაეიდოდესა-დ დახჭნევდეს კიდევ სადასტუროებს. თესლი აქაც ძველს დასტურებსთანით მიხქონდ. ჭირნახულებსაც ზაფხულის ახალ

დასტურები ყარაულობდეს. ჯვარის სათიბებსაც დასტურები თიბდეს. სხვას კაცს არ შეეძლიყვ ჯვარის სათიბის გათიბა, ყანის ნაპირ-ყურებისა, ყამირებისა. აქ მოებ კი არ აქვ სათიბები.

ზაფხულ გაივლისა-დ მავ მკაი. სადასტუროებს მახმკიან თავ-თავისად, რაჭელაც გაყოფილი აქვ. ძნასაც თავისად ააგებენ, გაღლეწვენ, ჯვარს არგებენ ნახევარს ღალასა-დ ნახევარ თავისად შჩების. ჩალა-ბზეიც დასტურს შჩება. ჯვარისად მინამრგალს ღალას დასტურები წმიდა ადგილას ინახევდეს ჭერხოში, სადაც დიაცის ფეჭ არ გაივლიდ, ჩახყრიდეს მშრალს ბუნაგშია-დ მშრალად, ნიავიანში ინახავდეს, რო პური ან არ გამთბარიყვ,ან არ დაობებულიყვ,თორემ ლუდ გაფუჭვდებოდა-დ დასტურ სამრისხველოდ გაჭდებოდ. ხოდაბურს ულავით მახმკიდეს. ულავი იცოდეს ჩვეულებრივ (როგორც როშკაში არის სამამკლო აწერილი). სამამკლოში ხალხ რო მკის, დასტურებ აგებენ ძნას, მემრაც კიდევ ერთი ან ორის კვირაიდგეს ძნის დაცვლა იციან. დასტურები ერთს ალაგზეით მეორეზე გადააგებენ ჭელმეორედ, იმით რო დაცვლილ ძნა სხვანაირად ეწყობის, ნიავ გაუვლისა-დ უფრო გაშრების. ერთ ალაგზე ნადგომ ძნამ ხანდახან დაჯეჯილებაიც იცის. ბოლოს დასტურები ხოდაბურის ძნას ერთად მიიტანენ, გაღლეწვენა-დ პურს სრუ საჯვაროდ ჩახყრიან, ჩალასა-დ ბზეს ქვე გაიყოფენ.

როგორც სხვადასხვა ჯვარის დასტურები, აისრავ აქაურებიც ზაფხულს დაამზადებდეს ერთის წლის საკმაოს სვესა-დ შეშას იმ ვარაუდით, რამდვენ დღეობაიც ექნებოდ შახვედრილი-დ რამდენ სვეიც დაშჭირდებოდ. სვეს ან ძაუგშიით გამაიტანდესა-დ ან კახეთით. გააშრობდეს მატანილს სვესაცა-დ ჩახყრიდეს ან გოდორშია-დ ან კიდობანში.

პირქუშში ჭელოსნებიც იქნებოდ სამი-ოთხი-დ ხუცესებიც სამ-ოთხამდე იყვ ხანდიხან. ამეებსაც ჯვარ ამიზეზენდა-დ ჯვარის მათხოვით ვითომ მიდიოდეს. მეზარე ერთ იყვ. იმას ჩააბარებდ ჯვარი ზარ-სარეკელს (ზარ-სარეკელი ზარის სახელი მკითხავების გამოთქმით). შულტას, ანუ ჩხანჩხს დღეობაში დასტურნ აირჩევდეს. დღეობაში ისიც სრუ იქ იყვა-დ ემსახურებოდ საჯვარო საქმეებს. წინწინ ქრისტეს მიდიოდესა-დ ადუღილებდეს ლუდს ახალ დასტურნი,ამით უნდა დაიწერას ეს დღეობა წინწინ.

ქრისტე რო მაახლოვდებოდ, ერთი თვით წინ მეზარე, მედროშაეი-დ. ხუცესი გავიდოდეს საწმიდარ. წინწინ თავის ჭერხოში იყვნეს ორს კვირაეს, ორს კვირაეს კი ჯვარში მივიდიოდესა-დ იქ საწმიდრობდეს. საწმიდროის დროს დღეში თითოჯერ მაინც გაიბანებოდეს წყაროზედ. საქმობით სამძიმოს არას საქმობდეს, ოფლ რო არ გამასვლიყვ. ხუცეს კი მარტო ორი კვირაით იყვ საწმიდარ ჯვარში. საწმიდარ ნამყოფს თუ ოფლ რაად გამაუვიდოდ, უნდა წასულიყვა-დ გაბანილიყვ. კაცის ჭორცოად გამანადნობიავ ოფლიო-დ ჯვართ ეჯავრებისავ ჭორციეკლის სულიე. დასტური არ საწმიდრობდ. ხოლოთ შინ კი წმიდად იყვ, იმ არე-მარეს არ გაივლიდ, სადაც დიაცებ დადიოდეს უწმიდურობის დროს, ბოსელჩი არ ჩაჭდებოდ, ყველაის სახლში ყველა დიაცის ნახელ პურსაც არ ჭამდ, ზოგ დასტურ კი მკვდართად ნალოც პურსაც არ ჭამდ. სხვა ჯვარის გამძღონ კი ნალოცს მაინც არ ჭამდეს, არც ხუცესი-დ არც მეზარე-მედროშაენი. ციესთან ახლო არცვინ არ მივიდოდ ჯვარჩი მოსამსახურე. იმ ბანხედაც არ შაჭდებოდეს,

სადაც ციცი იყვ (ციცი: მიცვალებულის გვამი, მიცვალებული). ციც თუ წინგარდაზე იქნებოდ დასვენებული, მაღალ ბანზეით იტირებდეს (სახლს ორი ბანი აქვს: წინგარდა, ანუ ბოსლის ბანი და მაღალი ბანი ანუ ჭერხოს ბანი. ადამიანი როცა კვდება ხევსურეთში, საჩქაროდ გარეთ გამოიყვანდნენ, რომ სული სახლში არ ამოუვიდესო და დააწვენდნენ წინგარდზე. ეს იცოდნენ პირიქით-პირაქეთ ხევსურეთში ყველგან, მაგრამ არხოტში ერთი ვაჟკაცი რომ გამოიყვანეს ბანზე, მოგონთებულა. რომ გაუგია სასიკვდილოდ გამოუყვანიეარო, უთქვამს: "ჩემი სახლი სიცოცხლით მაინც დამანებეთ და როცა მოვკვდები, მერე გამომიყვანეთ, არა გრცხვენიათ, რო სახლიდან ცოცხალ-მკვდარი გარეთ გადმომაგდეთო". ამის შემდეგ არხვატში აკძალეს მიცვალებულის გარეთ გამოყვანა და დასასაფლავებლად რომ წაასვენებენ, მანამდინ აღარ გამოყავთ გარეთ). ზოგ ჯვარის ჭელკაცი, რომენიც ძალიან წმიდობდ, სრუ არ მივიდოდ იმ სახლის ახლოს, სადაც ციცი იყვ, მანამ დამარხვიდგეს სახლის სანათლავს არ დახკლევდეს (სახლის სანათლავის დაკვლა მიცვალებულის შემდეგ აუცილებლივ იცოდენ. მიცვალებულს სთვლიდნენ არაწმიდად და ასეთს სახლში ვითომ ანგელოზები აღარ დადგებოდნენ. ანგელოზები რომ წავიდოდნენ, მოსალოდნელი იყო ამ სახლს დაპატრონებოდნენ ეშმაკები. ხევსურების რწმენით, მიცვალებულის ირგვლივ ბევრი ეშმაკები იყრიდნენ თავს. ამიტომ იყო, რომ ხევსურებს მიცვალებული აშინებდა, ნამეტნავად ქალებს და ბავშვებს. სადაც მიცვალებული იყო დასვენებული, იმის პირდაპირ მაღალ ბანზე მესმინაედაც კი იცოდენ დაჯდომა. ამაზე აწერილია სათანადო ადგილას. მესმინაედ დაჯდომა იცოდნენ ჩვეულებრივად, როგორც კუდიან წუხრას).

სახლის სანათლავს დახკლევდეს მკვდრის დამარხვის მეორ-მესამეს დღეს, ბატკანს, ჯბოს, ან ცხვარს. სახლის სანათლავის დასაკლავად კი მავიდოდ ხუცესი ბანზედა-დ იხუცებდ. საკლავი იკვლოდ სახლის ანგელოზისად. სახლის ანგელოზს აჯსენებდეს - "მეკეზისწვრეო ანგელოზო" (კეზი ხევსურული სახლის მთავარი ხე, ძალიან სქელი. იდება სახლის სიგრძეზე. შედგმული აქვს ბოძები, ზედ ეწყობა გარდი-გარდმო ხეები. თუ ის გატყდა, სახლი ძირს დაეცემა. ამიტომ ჭევსურები ამ ხეს სახლის ნაწილებში ყველაზე მეტ პატივს სცემენ, ისე აქვთ წარმოდგენილი, ვითომც სახლის მცველი ანგელოზიც იმ ხეზე არის დაბინავებული, ე.ი სახლის მთავარ ადგილას. ბევრი რწმენები ჰქონდათ ამ კეზის ირგვლივ. მაგალითად: ხარს რო დაკლავდენ, ქედიდან ააჭრიდნენ ხორცს, რომელზედაც ხარს უღელი ადგება (ამას ეძახიან საქედოს) და კეზზე შედებდნენ. ერთი იმიტომ, რომ ადამიანისაგან მისი ჭამა არ შეიძლებოდა, არც გადაგდება შეიძლებოდა და რაც მთავარია, ხარის უფრო მადლიანი ნაწილი – ქედი უნდა შეწირულიყო მეკეზისწვრე ანგელოზისათვის. კეზს იმდენად პატივს სცემდენ ჭევსურები, რომ თითქმის წმინდად მიაჩნდათ ოჯახში. თუ დაიხოცნენ და ღარავინ დარჩა, მაშინ ხალხიც და ჭმით მოტირლებიც ასე იტყვიან: "კეზი გატყდა და კერას გაერეკაო" – ვითომც ოჯახი დაინგრაო). სწორად ამით იკლოდ მეკეზისწვრის ანგელოზისად საკლავ, რო ჭევსურებ ფიქრობდეს სახლის მფარველ ანგელოზივ აქ ასავ დაბინავებულივ. ხუცობაში შემდეგნაირად იხუცებდ ხუცესი: 'დიდება ძალსა შენსა, მეკეზისწვრეო ანგელოზო, შენა სამთავროდ, შენა

გასამარჯოდ მაიჭმარი ეს მაყენებული-დ მაჭსენებულ პირისაბანი, სახლის სანათლავი. შენის მეხვეწურისად (სახელი პატრონისა) სამცაოდ, სამწყალობნელოდ მაიჭმარი, შენდ რიგი-დ მაჭსენებულ პირისაბანი, სახლის სანათლავი. შენის მეხვეწურისად (სახლის პატრონისა) სამცაოდ, სამწყალობნელოდ მაიჭმარი, შენდ რიგი-დ წეს არ დაუყრავის, დალოცვილო, შენ წყალობას ნუ დააკლებ, უშველი მაგათ კაცსა-დ საქონსაც, ნუღარას ავს მიხკეძებ, მავნე-მაცილ მააშორ დალოცვულო-დ მეწაღმართე ანგელოზ დაუყენი. ხთის კარზე შაიტანი, აგრემც გაგემარჯეების ხთისაგან შენის გამჩენისგან". ამას მახყვების საკლავის დაკვლის ხუცობა ჩვეულებრივი, ხუცობას კურთხევაი-დ ბოლოს დახკვლენ საკლავს (სახლის სანათლავი იკვლებოდა შიგნით, სახლში). საკლავს რო ხანჯარს გაუგდებდეს ყელში, მაშინ იქავ იდგ ჯამი ან ბაკანი სისხლისად, გააკეთებდეს ყარტისას (ჭვავის ჩალა) ცოტას კონიჩასა-დ აიმით მააწინწკლებდეს სისხლს სახლში, სახლის გარეშამოშია-დ ახლო-მახლო გზებზედაც კი. სისხლს რომ მაასხამდეს, დაამწყალობნებდეს ამ სახლის პატრონისა-დ უსურვებდეს ავის საქმისას კარგით შაცვლას, აღარა ავის დაღირებას (დაღირება – დამართება). ამის შემდეგ სახლს მაშორდებოდ უწმიდურობაი; გათავისუფლდებოდ ეშმაკებისგან. დახპატრონდებოდ იქავ ანგელოზი. მემრ კი ჯვარის ჭელ-კაცებსაც შაეძლიყვ ამ სახლის ბანზედა-დ ჭერხოში მისვლა.

ქრისტე

ქრისტესად ადუღებდეს ახალნ დასტურნი ლუდს. ლუდის დუღება იყვ ჩვეულებრივ წესით. ქრისტეს წინა დღეს ყველა ჯვარიონნი მაიყრიდეს ჯვარში თავსა-დ ყველა აკეთებდ თავის საქმეს. მაიტანდეს დასტურები თას-ვანძს. დაღრეცხდესა-დ დაზდგემდეს თავის ალაგზე, მედროშე გაიბანებოდა-დ, გაინათლებოდ, ააბემდ დროშას. დროშათ ამბა იცოდეს ყველკან ერთნაირად, ხოლოთ აქ ორ დროშა ეკუთვნის ხეცესსა-დ ორი მედროშაეს. თავი დროშა ღბარავ ხუცესს, უფრო ნაკლებ დროშაები მედროშაეს. ხუცესის დროშა მართულ იყვ ძალიან კარგად, ჭელისაჭოცებიც იმას უფრო კეები ხქონდა-დ, ზარიც კარგი ხქონდ. მედროშაის დროშას ყველა ნაკლები ხქონდ ზარიცა-დ ჭელისაჭოცებიც. ზარს ხო ხუცესის დროშაის ზარსთან შადარებით სრუ დაბალ ჭმაი აქვ. დროშათ ყველას მედროშაე ააბომს, თუ ჯვარიონნ სად წავიდეს, ხუცეს თავის დროშას წაიყონსა-დ მედროშაე თავისას. მედროშაე დროშათ რო ააბომს, ჩვეულებრივად მადლის თხოვით გამააბძანებსა-დ საიმისოდ გამზადებულს ადგილზე დააბძანებს. მაიტანენ ლუდიანს კოშსა-დ ხუცესი მააჭსენებს: "გადიდას გაგიმარჯოს ღმერთმა, პიქუშო ცეცხლის ალიანო. შენა სამთავრო-გასამარჯოდ მაიჭმარი ეს სადიდებელი-დ ჭიქა-ბარზიმი, შენ ბაცალიგველთად, შენთ ყმათად საშველოდ, სამწყალობნოდ მაიჭმარი. ღმერთი შენს ბატონობას გაუმარჯვებს". მემრ დაამწყალობნებს პირქუშის ტახტის ყმათაცა-დ ჯვარიენებსაც. სხვებიც წყალობას ეტყვიან: "სწყალობდასავ ტახტის ყმათაო-დ ჯვრიონ-დასტურ-ჭელოსნებსაე, დიდხანს გაგიყოლნასთავ". წყალობის თქმის მემრ შასმენ ამ კოშჩიით ლუდს,

შაღმღერნებენ კიდეც ოავკმელად ჯერ ხუცესსა-დ მემრ ისიც შაღმღერნებს; კიდევ – ვინ უჭერს მკარს მღერაში ხუცესს, ან მედროშავეი-დ ან ერთ-ერთ დასტური.

ვინ იცის კიცვო რემაო, შენის თოქალთოს კეცება,
აისრავ, ჯვარო ხთისშვილო, მაგ შენის გულის კერძება.
ყმაწვილო ბეწინიკაო, დარბაისლობა იცია?
მკარზედ შამაგსხმენ დროშათა, დროშათ ჟერება იცია?
წინ ჩასვლა,უკენ ამასვლა, ლაშქართ სარდლობა იცია?

ასეთ მოკლე-მოკლე სიმღერებს შაღმღერნებენ ერთმანეცსა-დ ბოლოს ამ ცოცოტაის სმით გამასცლიან კოშს, ბოლოს დროს იქავ ხუცეს გამასცლის კოშსა-დ ეტყვის: ქვემც გწყალობსთ პირქუში, შავსვი თქვენის გამარჯვებისა. მემრ, როგორც სხვაკან ნათქვამი ას, იმ წესით ჩამახყრიან თასსა-დ გავლენ ყველანი დარბასში. დარბასში კოდი კი წინავ აქვ გაკსნილი.

შაუდგებიან ღამისამთელოს დაწყობასა-დ ღამისთევას. ღამისთევაში ახალი არაი ას, ყველა ძველებურად სრულდების. ღამისამთელო იცოდეს ხავიწიანი, ორს ჩარექს ერბოს ადუღებდეს ხავიწადა-დ იმას ჩაუდებდეს გულად (ჩარექი: კილო). ჟამსაწირ კი ჭორციანი იციან. ღამისსამთელო ჟამისსაწირი ცხვების დასტურის სახლში, აცხობს ერთ-ერთი ხნერი დიაცი. ღამისამთელოზე დასაწყობლად სამს ტოშოლას გამააცხობენ (ტოშოლა: თხელი პატარ-პატარა პურები, უგულოდ). გაღბანს დიასახლისი, გახპოხსა-დ წაიღებენ ჯვარში. იქ დააწყობენ ტაბლაზე, დაზდგმენ ზედ ლუდიანებს თასებს,დააკვრენ სანთელსა-დ იხუცებს ხუცესი. აქ ხუცობა-კურთხევა განსაკუთრებული წესით სრულდება (ჩამაწერინა გაგა არაბულმა, 75 წლისამ).

მანამ ხუცესი ხუცობას შაუდგების, მეზარე გავა-დ დახკრავს სამჯერ ზარს. მემრ რო ხუცესი პირისქართ დაათავებს, მეზარე კიდევ გავა-დ სამჯერავ შამახკრავს ზარს. სამჯერავ დაიწერს პირჯვარსა-დ იტყვის: "დიდება ძალსა შენსა, პირქუშო ცეცხლის ალიანო, შენ უშველი შენთ ყმათ. მემრ შამავ დარბასშია-დ ხუცესის გვერდით დადგების. ხუცესი კი ხუცობს შაუჩერებლადა-დ ხალხიც ე.ი. ჯვარიენები ფეკზე დგან ქუდმაკდილები-დ იწერენ პირჯვარს. ხუცესი ხუცობს: "შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, პირქუშო ცეცხლის ალიანო, მაკსენებულ სეფე-სანთელზედ, ნათელ-ბნელ'ზედა-დ ნათევ ღამეზე. სამთავროდ-გასამარჯოდ შენდა, სეფე-სანთლისა-დ სადიდებლის მამხსენეთ შენთ ყმათა-დ შენთ დასტურ-მსახურთ ნუ მაიწყენ, ნუ მაიძულებ. შენ დავლათ დააკმარი, უშველი, უმ ეშველი. რასაც მკარზედა, გულზე გიძახებდან, იმ მკარ, იმ გულზე გაუგონიდი; რასაც წყალობას გეთხოებოდან, ის წყალობა უბოძიდი, შენს მორიგეს ღმერთს გამაუთხოიდი, დიდება შენს ძალსა-დ შენს სახელს". ამას მოჰყვება პირისქარი ანუ ხუცობა:

"ა-ა-ა, დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა, დიდება დღეს დღეინდელსა, ძალს ხთისას, ძალს კვირაისას! დიდება რჯულს ქრისტიანოთას, დიდება მზესა, მზის მყოლთ ანგელოზთ!დიდება დიდს კვირაეს – ხთის მაღლის მოკარვეს. დიდება შენდა, პირქუშო, გამარჯვება შენდა ამ სეფესანთელზე, სადიდებელზე, ნათევს ღამეზე. ღმერთმა გადიდას, ღმერთმა გაგიმარჯოს. შენ მეხვეწურთ ნუ მაიწყენ, შენ შენ გამჩენ ღმერთი არ მაგიწყენს, არ მაგიძულებს. შენი დიდი შაძლებით გავედით, გაიყვანეთ თქვენ მეხვეწურნი. ამ სამსახურის მამკსენეთ

შენთ ყმათ ნუ მაიწყენთ, ნუ მაიძულებთ. სცევდითა-დ ხფარევდით, შველდითა-დ სწყალობდით ავის დღისად, ლაღის მტრისად, მწარის სიკვდილისად, საზიანოს საქმისად, სენისად, სარჯლისად, ყოვლისად. თქვენ კაბის კალთა დააფარიდით. თუ რა შაგცოდვან ან უღირსლობით, ან უმეცრობით, ან პირისქარითა, ან ფეკვის ნალითა. ყმა შაუწყენი, ბატონ შაუნდობარ არ იქნების. თუ-რა მეეკერძებოდას საზიანო საქმე, დაგაუგდიდით, მიწრიელ-ქვეცრიელ დაულაგმიდით. გულის ნაგონარ გაუცხადიდით. ზამთრობა მშვიდობით გადააყრივიდით. გაზაფხული, სთველი მშვიდობისა ჩამაუყენიდით, წელ ბედნიერ გამაუცვალიდით. კაცსა კაცრივლობას მალმატიდით, მაგათ ყუდროჩი ღონესა, ქონეს მაუმატიდით, წულსა წულის აკავანს მაუმატიდით, თქვენთ ზღვენთა დიდებას მაემატების, თქვენთ ზღვენთა ულუფათ მაუმატებენ. დღეს მახრილ ჩოქი, მათხოილ მადლი, მაკსენებულ სამსახური, – შენა სამთავრო, შენა გასამარჯოდ, შენა მასაკმაროდ, შენთ ყმათად ბაცალიგველთად, მაგათ ყუდრო-ჯალაფობისად, კაცისა, საქონისად, ორფეკ-ოთხფეკისად. ქუდოსან-მანდილოსნისად, ნამაშვრალ ნამუშაელისად მშველელიდ მხოიშნებელიმც იქნები. ისმინე, გაიგონი, დიდება ძალისად სახელს შენს". ამას მოჰყვება კურთხევა:

"დღეს რჯულსა ჴსნილობაია. ჯვარსა კურთხეულობა, კურთხეულ სია ღმერთია უფალი სამარატია. უკუნისამდე წმიდაო, ღმერთო წმიდაო, სამებაო წმიდაო, შაგვიწყალენ ჩვენ ყოველნი ჩვენნი ურჯულოებანი, შაგვიწყალნა ჩვენ სამებამა წმიდამა ყოველნი. ჩვენა ურჯულოებანი გამგულა და გავედრია სულნი ჩვენნი, ღმერთსა მამასა. მამაო და ძეო რომენი ხარ ცათაჩია, აგრე ხოყანათაჩია, მაგეიშვი და მაგვიტიე პური ჩვენი არსობილთა, რაც უფალმა მაგვიტანა, ნუ შაგვასხამ განსაცდელსა. შავსწირავ ღმერთსა. ხატო შენი მოხუცულობითა, ხატო ნათქვამი შენზე იყო. შენ გვიხსენ, ჩვენ გადიდებთ, თვალნი მაღლა არიან მაღლისა ხთისანი, ხოლო კაცთა რა ჟამი მასწევია, კაცნი მცხრომელიდა არიან. დიჩინნი ამპარტავანნი ფეხნი ბირკოლებისაკენ, სატანო მავიდა ყოველსა წინასა სიე ცხოველსა, რატო ვერ იცნა დედამა. თავი პეტრეა ხთისა მოწამე. არსივნი შაშინებულან, არსივნი შაკვირებულან. გალილიას და ეტყეიან, მორე, მორე მოდიოდა ადგილსა ამას იესო ქრმსტე ფილიპე ფერსა კითხულობდა,ჩვენდა რაღა თქვიან დედაკაცისად? პეტრესა უთხრეს: ეგე ვინ გგონია ნუ იმერია, მერევნელია, თავიც იხსნა, ჩვენც გვაცხოვრნა, იმაზედ ავაშენეთ ეკლესიაო ხთისაო, შენი უკვდავი სიტყვაო, უკვდავი მარიემისია, რატო გამოჩინდებოდა, ვითარცა კაცთა შორით ექცეოდა, კაცნი მერწმუნოებით არიან წმიდანი. გამგეე გამააცხადე თუ რამე იყო ბნელეშია, ხორცნი უფლისანი, სისხლნი მაცხოვრისანი ღაღადებენ და ბძანებენ ჩვენ წინაწინ დავლეითავ ახლისა რჯულია, სამსახურია სიგძით მოხენეთ იწამეთ ღმეროი, მამაო ჩვენო ყოფილო, ჯერ ხთისა ხოლოშობილო, მამისა გამაშობილო. მამისა კი ეგრე ბძანებდა რომენი შაღმოსენ ცანი ღურბელითა, ხოყანანი მწყანიღლითა. რომენმა გადაანამზადე წვიმა ხოყანათაზედა. თესლია შენია ჩვენო მაცხოვარებაო, დღეც შენ დაამყისე ნათელი, ბნელი. შენა კი არა ერმა უფალმა, უფალო აკურთხე მარილი ესე სიორდანე ღვინო გარდასცვალე. ბაღმად დახვალ არა შწამე, დასთხიე სისხლი მისა, ვითარცა მხალი იყვა მიერ, ქველისა მოქმედო, მოწყალე მაგვანიჭემას დღესა რჯულისასა, დღეს რჯულისა ხსნილობაია ჯვარისა კურთხეულობა. ხსნილ-კურთხეულ, ჯვარი და სისხლი შენი შაიწირე.

წმიდათაევ არის სკითხავი, პავლეა საკითხავი, გაბრიელის მამა მე ვიყავი იმათი არსებაო სარწმუნოებაი, დიდთაო, დიდებულთაო. თასნი დგან სრულდებიან მღდელთანი. უფალო საკირელის შაშვენის სანთლითა სიმკვიდღე, გზათა სიგმე და სიმკვიდღე. ორნი ტანითა შიშობენ, კარს გიდგან საუღლისასა, თესლისა მაკურთხეველნი გიკურთხნასთ ჯვარმა და მამამა და ძემა წმიდამა. ადე, ადე ლელუაო, ადგა ძალი ჯვარისა აიმართებოდა ეშმაკია საკვლეველი, ხეა ცხოვრებისა. გადავარდებოდა სადა ხართა მარცხვინანო ანგელოზნო ახლისა უდლისა კარის გაღებულნო. იჭი ჯვარისა უფალმა შაქმნა ქვეყნიერება. შაიმოსა, გაიმყარა, სანთელო სამარატისო, ბეჭედო უკვდავებისა წაგვყარენ ბრალნი მართალთა, ბრალნი მარტოვილთა. მე არ ვიყავი, მე არობილთა – ა-დიდება ღმერთსა მადლი ღმერთსა. შენ გადიდას, შენ გაგიმარჯოს ღმერთმა, პირქუშო ცეცხლის ალიანო, შენ უშველი შენთ ყმათ. მადლი მასათხოვა, მადლი მაუთხოი ბედი დავლათ დააჭმარი".

კურთხევა რო მოთავდების, ჯერ ხუცესი, მემრ ყველა დაამწყალობნებენ პირქუშის ყმათ: გწყალობდასთ პირქუშის ყმათ, ბედი, დავლათ დაგაჭმარასთ, თქვენის გულისა გიყვასთ, ჯვარის გამძღოთ მაგცასთ წყალობა, დასტურს დასტურობა ნუ შაგანანასთ, ჭელოსან დიდხან გაგიყოლას, ხუცესს ენა-პირ გიკურთხას, შაუცოდვრად, შაუწყენლად შაგინახას.

ასეთ სიტყვებს ყველა იძახს ჭმამაღლად, მემრ ერთ-ერთ დასტური თასებს აიღებს, სახუცოს კოჭობს ხუცესს მისცემსა-დ დანარჩენ თასებს დასტურები-დ სხვა ჯვარის გამძღონ დაიჭერენა-დ თითოობით ყველა დაილოცავს: "გამარჯვება პირქუშსა-დ იმის წყალობა გქონდასთ თავჩი ჯვარის გამძღო მორიგეთ, დასტურებს. მემრ წყალობა მისცას დალოცვილმ პირქუშმ თავის ყმათ ბაცალიგველთ, საწალმართოდ მაგიარასთ, ხალიზ მაგცასთ, ბალინჯ მაგაშორასთ, ბევრ წელწად-ქრისტე მშვიდობისა, კარგა ყოფისა მაგვვარასთ, ზამთრობა მშვიდობისა გადაგაყრიოსთ, გაზაფხული, ზაფხული-დ სათველ მშვიდობისა დაგიყენასთ. თქვენ ამჯობინას თქვენის მტრისას სიკეთეი". მემრ კიდევ მოკლედ შაუსახელებს ხუცესი ყველას თასებს ერთად: 'თქვენა სამთავრო-გასამარჯოდ მაიჭმარეთ ეს სადიდებელი, ნაჭსენებნო ანგელოზნო, ხთისკარზე შაიტანეთ, ღმერთმა გაუმარჯოს თქვენს ბატონობას". ყველან ასწევდენ თავის თასს მაღლადა-დ იტყვიან: "ისმინე, გაიგონ გამარჯვებას შენსა, შენის გამჩენის ხთისას, შაიტანი ხთის კარზე შენდა სადიდებლად, მეხვეწურთ სამწყალობნოდ".

'შაუდგებიან ცოცოტას შასმას – თან იგემოებენ ლუდს, ყველა თავთავის აზრს ამბობს, როგორ ლუდი ას. აქ უთასოებიც დგანა-დ შაღმღერნებენ თასიანებს:

წამაევედ ლუდოეთითა, ლუდი ვსვი სადილზედაო,
ბედიანაიმც დაჯდების თქვენთან იმ ნადიმზედაო,
არ გიყორსთ გულდიდობაი, მეტს იქამთ ქადინზედაო,
მტერთა ქარებულ დაღბერნებთ, ჯიხვს მახკლავთ წადინზედაო.

* * *

არწივო ბუბაიშვილო, რას უფრო დაეზავები?
სხვას ყველას დავეზავები, ყორნას არ დავეზავები.
კაი ოშკაც რო მაკვდების, მაგან დასთხარა თვალები.

ლექსში არწივზე "ბუბაიშვილობა" არის ნათქვამი. ეს იმით, რომ წინავ იცოდიან საუბარ – არწივივ დიაცის გაჩენილიავ. ამ დიაცსავ ბუბა ქვივნებულავ,

ერთ არწივ გაშჩენიეაო-დ ერთი ქალივ. ტყუპად დაუჩენიანავ. იქითაედა ხქვიან "ბუბაის შვილი". ჭევსურეთ არწივს ძვირად ვინ იტყოდ, რო ღნახევდეს იტყოდეს: "აიჩავ ბუბაიშვილო!"

მღერას რო გაათავებდეს, როგორც სხვაკან ას ნათქვამი თასის ჩამოყრის წესი, ჩამახყრიდეს თასებსა-დ დასხდებოდეს ჯვარის გამძღონი. ხოლოთ ერთს საწდეს ლუდს კი დაასხემდესა-დ დაიდგემდეს. ერთ-ერთ უნცროს დასტურ დადგებოდ ფეჭზედა-დ ჩამაარიგებდ ლუდს. სტუმრები,როგორც სხვა დღეობებში ას ნათქვამი, ჭირის პატრონი უფრო იქნებოდ, ან სოფელჩიით დახპატიჯებდეს უფროს კაცებს ჯვარიონნი თავის ღამისთევაში. კიდეე მჭედლის დაპატიჯებაიც იცოდეს, რაკი ის ხალხს წვრილმან საქმეს უფასოდ უკეთებდა-დ ეჭმარებოდ, ჯვარიონნი დიდს პატივს სცემდეს, ხალიზს აძლევდეს. დღეობებში დამწყალობნებაიც იცოდეს: სოფელ როსაც ჯვარში იქნებოდ, ხუცესი აიღებდ თასსა-დ იტყოდ: "გაუმარჯოს დიდს პირქუშსა-დ სწყალობდას სოფელში სოფლის დამჭმარეს, ჭელის მარჯვენას, ყველაისად გამასადეგს კაცს მჭედელს (სახელი მჭედლისა). სოფლის დაჭმარებისა და მარჯვენაით დაჭმარებისად მარჯვენა შაარჩინას". ამ სიტყვებზე ყველა ფეჭზე ადგებოდა-დ იტყოდ: "სწყალობდას სოფლისად ჭელის დამჭმარეს პირქუშის დავლათი, მშვიდობით ამყოფას, ბედი-დავლათ დააჭმარას. სოფლისად თავის მარჯვენა არ დაუშურებავა-დ დალოცვილმ პირქუშმ იმის წყალობა ნუ დაიშურას". მემრ სადღეგძელოს ჩამაავლევდეს მთელს ხალხში, რაიც მჭედელს ძალიან ძვირად მიაჩნიყვა-დ ამით წახალიზებული ბევრს რაშიამ ეჭმარებოდ სოფელს. შაიძლების მჭედელიც იყოს ღამისთევას-წუხრას ჯვარში მაყვანილი, სხვას აქ არვის მაიყვანენ. მაიყვანენ კიდეე თუ ჯვარიონთ ვის მაუვიდ სტუმარი, იმას არ გასწირვენ იქ – დასტურისას მავიდა თუ ხუცეს-ჭელოსნისას გაიგებენ, მაშივ კაცს წაღლალვენა-დ მაიყვანენ.

ჯვარიონნი სტუმრებს დიდს პატივს სცემენ. მემრ ღამისამთელოს დასჭრიან, დაუდგმენ ტაბლასა-დ აჭმეევენ დასტურები პურს ყველა იქ მყოფებს. ფეჭზე დგან უფრო ახალგაზდა დასტურები-დ უმღერენ ჩვეულებრივად. სუფრის წესებიც რო ყველა მათავდების, ჯერ სტუმრები-დ მემრ ყველა მასთხოვენ მადლს ჯვართა-დ გამაემართებიან (ხევსურეთში ჯვარში სტუმრებად ითვლებიან უფრო სხვა სოფლიდან მოსულ-შემოსწრებული კაცები, ადგილობრივი მცხოვრებლები ჯვარში სტუმრებად არ ითვლებიან. ისინი ითვლებიან წეეულებად). სტუმრები მაიჭდიან ქუდს, მივლენ დარბასის კართან, მობრუნდებიან პირ დარბასისაკე, მაიყრიან მუჭლს, აკოცებენ ჯერ ზღუბლს (კარების ძირის ჩარჩოს, ან ქვისა იქნება, ან ხისა), მემრ იქი-აქათა ჩარჩოებს კარისასა-დ იტყვიან: "დიდება შენს ძალსა, შენს სახელს, პირქუშო ცეცხლის ალიანო, შენ გეეედრები, გეხვეწები, დალოცვილო, ნუ შამისაწყინდები შენის კარისა, კამალაის დალაჭვისად. მაენე მაცილი მამაშორი, დალოცვილო, მეწადმართე ანგელოზ გამამაყოლი, შენის სახელის ჭირიმ".

ამ სიტყვებით კარებში გავას. პირი დარბასისაკე ექნების და უკუღმა გაე დარბასშიით. დარბასის კარში რო გავიდოდ, გამახყვებოდეს ჯვარიონნიც, სტუმარ იტყოდ: "ჯვარ გეწერასთ ჯვარსაცა-დ კაცსაც, ჯვარის გამძღოთა-დ თქვენ კაცად დამაყენეთ, პატივი მეცით".

“ჯვარის წყალობა გქონდასა-დ ხთისა – ეტყვიან ჯვარიონნი, - ნურას უკაცრავად, რო ვერ მაგივლით, ვერც ნამუსსა-თაოსას გიყენებთ ისრ, რაჭელაც შაგფერდების, მაგრამ ჩვენს უკაცობას ნუ შაუფერებ, აუგს ნუ გაიყოლებ, შენ ამბობ, რო ჩემფერ ბეჩავს კაცს რო დიდად დააყენებთავ, მადლობელი ორავ, შენ სიბეჩავე არაში გეკადრების, შენ კაცთაზე მეტი გაქვ ჯიშიცა-დ ჯილაგიც, არაით თავ გეხრების, მაგრამ ჩვენ ვერ მაგივლით, რაჭელაც შაგფერდებისთ”.

გამააყოლებენ ლუდით სავსეს თასებს,მისცემენ ჭელში,“ჯვარ დაგიწერასთავ ღმერთმავ”, ეტყვიანა-დ დასხდებიან ცალს მუჭლზე. თასიანებ ფეჭზე დგან, ზოგები ჯვარიონებიც ფეჭზე დადგებიანა-დ თავჭმელად უმღერებენ სტუმრებს. სტუმრებიც სიმღერითვე უპასუხებენ. როსაც თასებ დაუნაკლულდების,მაიტანენ ლუდსა, აუვსებენ. ბოლოს სტუმრებ გამასცლიან თასებსა-დ იტყვიან: “ჭირ შავსი თქვენი, მემუჭლეებს მუჭლებ შაგარჩინასთ”, - “გაამასთ ღმერთმ“. წეს ისრ ას, რო თასებ უნდა ჩამაიყარან წინა-დ უნდა თქვან: “შავსვი თქვენის გამარჯვებისა, დაგელიოსთ მუხანათი (მუხანათი: ავი საქმის მენდომე მტერი). თასებს რო ჩამაართმევდეს, მუჭლზე ნასხდომებ ადგებოდესა-დ ეტყოდეს: “გაამასთ მუჭლით”, ქუდ ვისაც ხქონდ მაჭდილი, იმას ეტყოდეს: “გაამასთ ქუდით”, თუ მუჭლითაც იჯდა-დ ქუდიც ხქონდ მაჭდილი, მაშინ იმას ეტყიდეს: “გაამასთ ქუდითა-დ მუჭლითაც” (ხანდიხან მახჭდებოდ) რო მუჭლით ნაჯდომი უქუდო იყვ, თორე საერთო წესით ან მუჭლით უნდა მჯდარიყვა-დ ქუდი ხურვიყვ, ან ქუდ უნდა ხქონიყვ მაჭდილი, ფეჭზე მდგარიყვ მაშინ, თუ სტუმრებს მიაცილებდ. სოფლის ჯარზე კი უთასოები მუჭლით სხენა-დ როსაც თასს მიუტანდეს, მუჭლ'ზეით ააყენებდეს, წამაიყვანდეს, დასვამდეს, თასს მისცემდეს ჭელჩი. რო დაჯდებოდა, თასს დაიჭერდ, ქუდ უნდა მაეჭადა-დ უნდა ეთქვ: “გეთაყვანებით თასიანებს, მტერ მაიყვანეთ ნებას”. ვინაც თას მიუტან, ის ეტყოდ: “ჯვარ დაგიწერას ღმერთმ” - “ჯვარის წყალობა გქონდას”, ეტყოდ თასიანი. ბოლოს გარეთიით კიდევ მასთხოვდეს სტუმრები ჯვართ მადლს, შეეხვეწებოდეს პირქუშს, რო ნურაზე გაგვიწყრებივ, თუ რას ჩვენით უმეცრებით გაწყენთავ. სტუმარს მარტოს არცად გაუშობენ, ჯვარჩიითაც კაცს გამააყოლებენ, რო მასპინძლისას მიიყვანასა-დ მაუარას.

ამნაირად ქრისტე-წუხრა გაივლის. ჯვარიონებს, ჭელოსანთ, ხუცესს თავის ალაგი აქვ საძინებელი. დასტურები ვინაც იქ დარჩების, სადაგანდ დაწვებიან, დასტურები ჯვარჩი საერთოდ იმთვნად ჯვართ არ ემსახურებიან, რამთვნადაც ჯვარის გამძღოთ.

მეორე დღე თენდების ქრისტე-დილა.

ქრისტე-დილას იქავ დასტურები მაუვლიან ჯვარის გამძღოთ, როგორც სხვაგან ას ნაოქვამი. ხუცეს ჟამისწირვამდენ ლუდს არ შასომს. შაიძლების, რო არც მეზარე, მედროშაეებმ შასვან ლუდი. ზოგმ იცის ჯვარის ხათრით არშასმა, თორე საერთო წესით კი, ხუცესის გარდა, არას ვის უშლის შასმას. მზე რო მავ, მაიტანენ სოფელ'შიით ჟამსაწირსაც, რომენიც ერთ-ერთის დასტურის სახლში ცხვების. ჟამსაწირი სამ ქადაი ას ან ჭორცის, ან სატან-კალტის გულიანი. ხავიწიანი მარტო ღამისამთელო იციან, სამი ცოცოტა ტოშოლეები (ტოშოლა პატარა, ძალიან თხელი, უგულო პური).

დააწყობენ ჟამსაწირს ტაბლაზე,დაზდგმენ ზედ სამს ლუდიან თასსა-დ ხუცესი იხუცებს ჩვეულებრივად, როგორც ამავე ღამისთევაზედ ას ჩაწერილი.

ხუცობა-კურთხევას მაზდევს ყველა წვრილმან წესები, რომნებიც ღამისთევაზე ნათქვამი ას. დარბასში რო შინა დღეობა მათავდების, ამ დროს მადის სოფელიც, სოფელი მაითხოვს ლუდს,ჯვარიონნიც ჩაასხმენ საწდეშია-დ მელუდენი ჯარს მაუტანენ: "ლუდი წინა, ვაუებო! მამტან ბედნიერი!" – იქნების პასუხი-დ ადგებიან ფეჭზე. მიიყვანენ მელუდეთა-დ დასმენ, დადგებიან ფეჭზე ახალგაზდები-დ ჩამაარიგებენ ლუდს. თამადობა არც აქ იციან,აქაც ყველა თავ-თავის ჭკვაზე ილოცავს თასს, ვისაც რა მაღგონდების.

ჯვარჩი რო ხყვანდ სტუმარი, იმას სოფლის ჯარზე მაიყვანენა-დ რაითაც შაუძლავ, ყველაით პატივს სცემენ. უმღერებენ ფანდურზე იმის გვარის საგმირო სიმღერეს. ერთ ახალგაზდა ჩამაარიგებსა-დ უფროსებს ყველას თასებს მისცემს ჭელჩი. მაგალითად,სტუმარი ლიქოკელი ას. ახალგაზრდა ეტყვის უფროსებს: "დაიჭირეთ თასები,ესა-დ ეს კაცი ლიქოკელთ სიმღერეს იმღერებსა-დ თასები გქონდასთ ჭელჩი". ყველანი დაიჭერენ თასებსად გაჩუმდებიან. ზედამდეგიც გაივლისა, სხო ახალგაზდეებთან ერთად მუჭლით დაჯდების, მამღერალს მისცემენ ფანდურს, ისიც ჯარის ბოლოში მუჭლით დაჯდებისა-დ იმღერებს ძალიან ჭმამაღლად:

ამბობდა ერისთვიშვილი: გამავედ დავლათიანი,
აკუშო დაუმარჯვებავ, ადგილ ცოტინა ტყიანი,
ამანდ ნუ წახოლ, ზურაბო, ჯვარი ხყავ ღალატიანი,
მარჯვნივ ქუდნისლა უყუდავ, საძახებლად აქვ ტიალი... და ა.შ.

ბოლოს მღერაიც მათავდების. საუბარშია-დ სმაში დაღამდების კიდეც, მასთხოენ ჯვართ მადლისა-დ წავლენ შინ.

სოფლის ჯარზე რო ეს ამბები ხჭდებოდ, მაშინ ჯვარიონნი თავის წესებს ასრულებდეს, სოფლის წალალულს მელუდეს ლუდს აძლევდესა უანგარიშებდეს: ამთვენ ჩხუტ გერგებოდათავ სოფელსავ. ლუდი განსაზღვრული ას სოფელმ რამთვენ უნდა წაიღასა-დ ჯვარიონთ რამთვენიღ უნდა დაშჩას. ეს ყველა წინავ ას გათვალისწინებული-დ იმ ვარაუდით ას ნადუღარი.

სტუმარი-დ მეზღვნე მაუდის ჯვარიონთაც. სტუმარს შაიყვანდეს დარბასშია-დ იქ სცემდეს პატივს. მეზღვნეებ რო მავიდოდესა-დ ზღვნებს მააყენებდეს, ჯვარიონთ აშენებას ეტყოდეს, ჯვარიონნიც წამაიშლებოდეს ფეჭზე. გამავიდოდესა-დ "მაგვიხვეითავ მშვიდობითავ" – მიეგებებოდეს. მემრ დაამწყალობნებდეს ჩვეულებრივად ჯერ მეზღვნეებს კაცებს, ვინაც აქ იყვნეს, ახლა ქალებს დაამწყალობნებდეს: "მანდილოსნებო, გწყალობდასთ პირქუშის დავლათი, საწაღმართოდ მაგიარასთ, ბედი-დავლათ დაგაჭმარასთ, ნუ ვის თვალგულ მაგრივასთ, კლოე უკეთით გულით გიმსახურნასთ". დამწყალობნებაში დიაცები ფეჭზე ადგებოდესა-დ იწერდეს პირჯვარს. მემრ დასტურები ზღვნებს წააყენებდეს სასაკლავესთან. საკლავის დაკვლის წესები სხვაკან ას ნათქვამი-დ აიმავ წესით იკვლის აქაც. დაკვლის შემდეგ დამწყალობნებაიც ჩვეულებრივად ას. ამას მასდევს მეზღვნისად ტაბლას დადგმაი-დ ამ ტაბლის წესები. ესრ ამთავრებენ ქრისტეს დღეს ჯვარიონნი. ბოლოს გამასამალოს იხუცებს ხუცესი-დ გამაილოცვენ. ტყავ-ჭორცსა-დ ნახორს ყველან თანასწორად გაიყოფენ. მასთხოენ ჯვარს მადლსა-დ წამავლენ შინიშინ.

წელწადი

წელწადი პირქუშში იციან ექვს დღეს. ექვსსავ დღეს ლხინ-მხიარულებით ატარებენ. საწელწდო სამზადისს მეწელწდე დასტურნი მალედავ შაუდგებიან. ასწყვენ იმთვენ ქერს, რამთვენიც გადაწყვეტილი-დ დაწესებული საწელწდოდ. ქერს ქვაბში ჩახყრიანა (საარაყე ქვაბში), ჩაუსხმენ წყალს, სამ დღემდინ წყალში ხყრავ. ან კიდე ბალნის ტომარაში ჩახყრიანა-დ ტომარაით ჩასდებენ მდინარეს წყალში. ქერი დალბებოდა-დ მესამეს დღეს გამაიტანდეს წყალშიით. დასწკლეტდეს წყალს, გასწმედდეს ჭერხოში წმიდა ადგილზე ქაზდარას, გაშლიდეს იქ ქერსა-დ დააფარებდეს ზედ ჩალას, დააყრიდეს ზედ ფიცრებს, შეშებს, რო დაემძიმ ჩალაი-დ თბილად ყოფილიყვ დადებულ ფორი (ამას ფორის დადება ერქვა). მესამეს დღეს დაკიაბდებოდ ქერი (დაჯეჯილდებოდა), დასტურები გამაიტანდესა-დ გაშლიდეს ფარდაგებზე მზეზედ გასაშრობად. თუ სიცხეობაი ას, მალე გაჭმების, თუ არადა ერთკვირამდინ ხფენდეს მზეზე. საფქვავ რო გაჭმებოდ, წაიტანდეს წისქვილშია, რასაც სქლადა-დ ქატოიანად დახფქევდეს, იმას ცდილობდეს, რაიც უფრო სქლად დაიფქოდ ის, რაც ტომარათ აღარ დაზდგებოდ ტაბილთ გაწურვის დროს. დაფქულს წაიღებდესა-დ ჩახყრიდეს ჯვარჩი კოდშია-დ კიდობნებში. ეგრავ საჯეროს დახფქევდეს დასტურები, პურისად, ქადებისად საჭირო ფქვილსაც ჯვარის კიდობნებში ჩახყრიდეს. როსაც ამას ყველას დაამზადებდეს თავის სვიანად, მაშინ ქრისტეს მეორეს დღეს შაუდგებოდეს საწელწდო ქვაბების დუღილს. ჯერ შულტას აიყვანდეს სოფელშიით ერთს. შულტა იყვ დასტურების დამჭმარეი. მთელს ქვაბების დუღილში ის დაეჭმარებოდ. დღეობაშიაც ეჭმარებოდ დასტურებს ყველა იმ მომსახურეობაში, რასაც მაითხოვდ საჯვარო წესები. წელშუის კვირაეს სრუ მააყოლებდესა-დ დღე-ღამეში თითო ქვაბს ლუდს ადუღებდეს. წელწადში სრუ დუღდა ექვსის დღისად ორმოცდაცამეტ ჩხუტ ლუდი. ეს განაწილებული იყვ, რომენს დღეს რამთვენ ჩხუტ ლუდ შჭირდებოდ. როსაც ამას ყველას დაამზადებდეს რამთვენ ჩხუტ ლუდი შჭირდებოდ. წელწადის წინას დღეს გახყრიდეს იმ სისწვენს, რომენიც წელწდის ბოლო დღეს, წყალკურთევას უნდა ესვ ხალხს.

საწელწდოდ ყველა ივჯახ ემზადებოდ, ახლით ტალავრით, შეშით, საქონის საჭმელითა-დ კაცის სასმელ-საჭმლით. წელწდის წინას დღეს ყველა ჩვეულებრივი ხუცობა-კურთხევაი. როგორც ღამისთევის ხუცობა-კურთხევაი ას, აქაც იმავ წესით. ბოლოს ხუცესი რო დააბოლოებდ ყველას, მაშინ დაამწყალობნებდ ჯერ ხუცესი-დ მემრ ყველა ერთმანეცს: "გწყალობდასთ, მეკვლენო, დიდ პირქუში ცეცხლის ალიანი, მშვიდობით გამყოფნასთ, კაცსა კას დროს გიმატასთ, წულსა, წულის აკავანს. წელმშვიდობისა დაგიყენასთ. ბედნიერ წელი, კვალ გამაგიცვალასთ. ჯვარიონთ გწყალობდასთ პირქუშის დავლათი, მშვიდობით შაგინახნასთ, ხუცესს ენა-პირ გიკურთხას, ჭელოსანნ დიდხანს გაგიყოლნასთ, დასტურთ დასტურობა ნუ შაგანანასთ".

დამწყალობნების შემდეგ აიღებდეს თასებსა-დ, ყველა დაილოცევდ თაჟ-თავისად: გაემარჯვას დიდს პირქუშსა-დ იმის წყალობა გქონდასთ მეკვლენო, მშვიდობით გამყოფნასთ... და ა.შ.

კიდეე ჩვეულებრივ შაუსახელებდ ხუცესი-დ შასვემდეს წინწინ ამ თასებს. მემრ მააყოლებდეს არაყსა-დ ლუდს. არაყს ამ დილისად წინწანაქარს ინახავდეს. დასტურები დაერეოდესა-დ რაიც შაეძლიყვ ძალად ასმევდეს მეკვლეთ, რაკი იმათ დათრობა სახელად იყვ დასტურებისად. გამაემართებოდეს მეკვლენი საშინაოდ. მადიოდეს, ზგადაგზა იმღერებდეს, ზოგი თოვლს აშლიდ ერთუცს, ზოგი თამაშობდ გზაგზათ, სრუ ესრ ხუმრობით წავიდოდეს. ბოლოს ყველა მივიდოდ თავთავის შინად შააგორებდეს სამეკვლაოებს (სამეკვლაოს წესები ყველა ისე სრულდება, როგორც აწერილია სანების ჯვარში). სამეკვლაოს შეგორების შემდეგ დასხდებოდეს ჯალაფნი პურის საჭმელად. მემრ ჩვეულებრივ წავიდოდეს ჭირისპატრონების კარში. წაიღებდეს თითო მინას არაყს, თუ რავის ხქონდ სალაღებელი ან თხილი, ან ნიგოზ, იმასაც მიიტანდეს ჭირისპატრონის კარჩი, არაყსთან ერთად იმასაც შანდობას ეტყოდესა-დ დაურიგებდეს ყმაწვილებს. გაიმართებოდ სმა. მაიტანდეს ლუდსაც დასტურნი ჯვარშიითა-დ ასმევდეს ხალხს. ცეცხლს ჭირისპატრონის კარჩი დააგზებდესა-დ ხალხ იქ იყვ. ყველა ჭირის პატრონების კარზე მივიდოდესა, ბოლოს კი ვინაც ბოლოს დროს იყვ მამკვდარი, იმათას მაიყრიდ ყველა თავსა-დ ლუდსაც იქ მაიტანდეს. მთელს დღეს ხალხი, აქ იქნებოდ, დიდი, ცოტა, ქალი-კაცი, აქ არვინ დააკლდებოდ. რაჭელც სხვას სოფლებჩი იცოდეს, აქაც აისრ იციან სოფელჩიით მაყვანა მეკვლისაი-დ კვალის შატანიება (კვალის შეტანის წესები აწერილია უკანხადუში, სამებაში წელწდის აღწერილობაში). დღე რო მიიწურებოდ, შაიძლების მეთამაშე ჯვარში წასულიყვ. შაიძლების, სრუაც აღარ წასულიყვნეს ამ დღეს. წეს კი იყვ, რო ჭირის პატრონის კარზეით ქალი-კაცი მეთამაშე უნდა წასულიყვ ჯვარშია-დ ბაცალიგველს მამ-პაპათ სიმღერეს იმღერბდეს ფერჭისაში:

ზენ ბაცალიგოს თოვლსა თოვს, ქვენ ბაცალიგოს შრებისა,
თინიბექაურთ ციხესა მარჯვენა კუთხი სქდებისა,
ზედა ზის შავი ყორანი, ლიბუში გველი ძრებისა,
კვირიკა კურდღელაისძე, გულს უწადინოდ კვდებისა.
კვირიკაე კურდღელაისძევ, ჯიჭვეთ ნუ მიხყვები მთისათა,
ჩაგიტყუებენ ჯიჭვები, კლდეს ჩაგაჭრიან თბისასა,
ჯერე მტერს გაუხარდების, მემრ ჯიხვთა ჭაუხისათა,
გაიგებს მითხოს ქისტები, ბეგარს დაგვყრიან ცხვრისასა.

საგმირო სიმღერების მღერით ფერხისა წავიდოდ ჯვართკესა-დ თან ქალ-ზალი-დ ყმაწვილებ გახყვებოდ. ჯვართ რო მიუახლოვდებოდეს, დიაცები დასხდებოდეს, სადაც იმათ მიჯნა იყვ. იმაზე მეტად ახლოს ვერ მივიდოდეს ჯვართან. კაცებ კი გააგძელებდეს ფერჭისასა-დ მღერით მივიდოდეს ჯვარჩიამდეს. დაიშლებოდ ფერჭისაი, ყველა ქუდებს მაიჭდიდ, შაეხვეწებოდ პირქუშს, რო ნურაზე გაგვიწყრებივ. მემრ დაიხურევდეს ქუდებს, დაემბოდ იქავ ფერჭისაი-დ იმღერდეს მანამ ჯვარიონნი ლუდ-არაყს არ მაიტანდესა-დ ფეჭზე ნადგომებს არ შაასმევდეს. დასტურ ჩადგებოდ ფერჭისაის შუაში, დაიჭერდ ერთს თასს ან ყანწს ჭელ'შია-დ ასმევდ ხალხს. ბოლოს რო სმა მათავდებოდ, სიმღერის თავი იძახებდ:

თუ გინდა კიდეე ვიმღერათ, თუ გინდა მავათავათო.
მცხეთა აივსო კირითა, თქვენი დუშმანი ჭირითა.

ამ სიტყვებზე დაიშლებოდ ფერჭისაი. დასხდებოდ ხალხი. ჯვარიონნი გამაიტანდეს ლუდსა-დ წინ-წინას საწდეს ქალებს, მეორე საწდეს კაცებს მაუტანდესა-დ გაიმართებოდ სმაი. ბოლოს როსაც აქ ყოფაიც მასწყინდებოდ, წავიდოდეს შინ ჯვარისად მადლის მათხოვის შემდეგ. ღამით აქაც იცოდეს სოფლის ჯარის დასხდომაი,ვისაც კი შეეძლიყვ აქაც მივიდოდა-დ სვემდ ლუდს. სოფლის ჯარის საჯარედ ერთ ჭერხოი აქვ წინავ მაკვლეული, ყველა მიიყოლებს თითო იღლიას შეშას, ვინაც ჯარზედ მივა-დ ამით იგზებდეს ღამით ცეცხლთ. დიდხანს ისხდ ხალხი, ბოლოს წავიდ-წამავიდოიდეს (აქ ბევრი რამ არ დაიწერა, რაც სხვა სოფლებში არის აღწერილი და აქაც იმგვარადვე სრულდება).

კუმეტი

მეორეს დღეს კუმეტი გათენდებოდ. კუმეტივ იცოდიან წინათ კაცთ, სამთხილო დღეი ასავ, ამ დღესავ აქავ ბევრ ხიფათ მამჭდარავ. ესივ ისეთი დღეიავ, რო შუღლიც ადვილად ხჭდებისავ, სხვა მაულოდნელ ხიფართიცაო-დ ამითავ ამ დღესავ კაცივ ძალიან მთხილად უნდა იყოსავ. კუმეტ-დილას ყველას ოჯახს ჩვეულებად ხქონდ ფაფის დუღება, თუ ვის სიმინდის ფქვილ ეშოებოდ, სიმინდის ფქვილის ფაფას ადუღებდა-დ თუ სიმინდ არ ხქონდ, ქერის ფაფიც კი იცოდეს. ფაფას ჯერ შინ დაზდებდეს სახელსა-დ ჭამდეს ჯალაფნი, მემრ გვარეულმ (ე.ი. ქვეგვარები, ერთი მამის ხალხი) იცოდეს ერთად, ერთ სახლში ფაფის მიტანაი-დ ილოცებოდ ანდაბისად, გვარის ყველა საერთო მკვდრებისად. დალოცვილ ფაფას ყველა ჭამდ. კაცი-დ დიაცი. აქ ოჯახებშიით თითო მინა არაყის მიტანაიც იცოდეს, ამასაც დაღლოცვდესა-დ სვემდეს ერთად. კუმეტს ამის გულისად დიაცები ფაფობას დღეს ეძახდეს, რაკი აუცილებელი იყვ ფაფის დუღება. რაის ლიშნად იყვ ფაფობა,ის კი არვინ იცის. წინავ ცოტას ფაფას საქონსაც კი შააჭმევდესა-დ რაად, არცვინ ეს იცის. ფაფობა რო გათავდებოდ, ყველა გუდან წავიდოდ, მთელ ბაცალიგოს სოფელი. ამ დღეობას ეძახდეს ბეღლის კრობას. აქ საარაბულო, საჯინჭარაულოი-დ საგოგოჭურო იყრიდ თავს, ხოლოთ კუმეტ-დღე ეკუთვნოდ ბაცალიგველთ. ბაცალიგველნი მივიდოდეს, სხო მეწელწდე ხალხიც იყვ მასულ, მაგრამ დღეობა კი განსაკუთრებით ბაცალიგველთ კუთვნილი იყვ (ბაცალიგოდან გუდანამდინ ერთი პატარა მთა არის გადასასვლელი. იქნება ხუთი კილომეტრი. ბოლოზე არის კიდევ გზა ათ კილომეტრამდე. ზამთარში ზვავებისგან სასიარულოდ საშიშია, მაგრამ მაინც დადიოდნენ ბეღლისკრობას, რადგან წაუსვლელობა გუდანისჯვარის რისხვად მიაჩნდათ და არავინ დადგებოდა წაუსვლელად). ბეღლის კარ რო მივიდოდეს, მთავარ სადღეობო ადგილს ბაცალიგველთ დაუთმობდესა-დ სხვა ხალხ ცალკე იქნებოდ. ბაცალიგველთ მაუდიოდ ცალკე სამ ჩხუტ ლუდი. გამაიტანდეს, ჩაისხემდეს ერთს ქვაბჩია-დ გაიმართებოდ სმაი. მემრ თაოდ იცოდეს წევა თავის ჯარზე, ვინაც უნდოდ. ბაცალიგველნ არაბულები არიანა-დ ამათ გვარისა გუდან სხვა ხალხიც ბევრ დადიოდა, თავის გვარის ხალხის წევა თავის ჯარზე ჭ'მირად იცოდეს.

ბევრჯელ ამ დღეს შუღლიც იქნ გუდან. ბეღლის კარ ეთხან იშუღლეს ჭინჭარაულებმა-დ არაბულებმ. ერთს შუღლში სამოც კაც დაიჭრ ორსავ გვარში. სამოცს ნაჭრევიანში სხვა ყველა გამარჩად, ხთის გაცემულ მარტო ერთ ყოფილიყვა-დ ის მაკვდ - ბაცალიგველ ლაგაზაი. ლაგაზაის თავ დაედვ ჭინჭარაულებს. დამჭრელებმ იუარეს: - ჩემგან არაი სჭირდავ ლაგაზასა. ბოლოს მაინც ორ კაცს დაღბრალდ, იმათ დაიდვეს თავი-დ აყენებდეს რიგს ჭევსურეთის წესით. კაცი სამოც იყვ დაჭრილი-დ ზოგს ცხრა-ათი შჭირდ ნაჭრეი. არვინ მაკვდ გახაიბრებით კი ბევრ გახაიბრდ ჭელ-ფეჭით. ამ შუღლის მტერობამ მემრაც დიდხან გასტან. ვერ იცოდეს, ვის რა ვისგან სჭირდ, რო შარიგების დროს ჭევსურეთულის წესით ეზღ ჭრილობის ნაფასური. უჭდებოდ ხალხს საფიცრად, სამტერავად, ბევრ მტერ კიდევ შახვდ გზაში ერთმანეცსა-დ კიდევ ჭელმეორედ იშუღლეს, ჭრეს ერთუცი. ბოლოს როგორც იქნებოდა, როგორც არ, ზოგმ ფიცი, ზოგმ შუაკაცების ხათრით მააჭდინეს შარიგებაი-დ რჯულიც გუდანავ იმართებოდ. აქავ სხემდეს რჯულის კაცებსა-დ სწყდებოდ დრამაი, საბოლოოდ ერთიმეორესთან შარიგებაიც. ვისაიც სისხლ ჩავიდოდ მიწაზედ, რომენიც ჯვარს ეკუთვნოდ, ჯურუმად თუ კურტ არ, სხო საკლავ მაინც დაშჭირდებოდ გუდანის ჯვარში. ვისგანაც დაიღვარ აქ სისხლი. ვისაიც სისხლ დაიღვარ, ის თაოდ მაიყვანდ საკლავსა-დ დახკლევდ თუ ოდნავ შამააწუხებდ, ხოლოთ რჯული ბოლოს იმის საკლავს დააკისრებდ, ვისგანაც იყვ დაჭრილი-დ სისხლი დაღვრილი.

ბაცალიგველნი კუმეტს კარგა იდღეობებდეს,სვემდეს ლუდს,ღმართავდეს თამაშობას არაგველ ხალხთან ერთად (არაგველი ხალხი მათი გვარისა არიან). დიდხანს ილხინებდეს, ითამაშებდეს, სვემდეს ბეღლისკრით საშინაოდ. აქ კი აუცილებლივ იმღერებდეს საერთოდ ჭევსურთ გმირობის სიმღერეს, სადაც გუდანლებიცა-დ ბაცალიგველებიც ნაჭსენები იქნებოდ.

ასეთს სიმღერებს იმღერენ იმით, რო აქ გუდან ყველა მჭრის ხალხი ას მასული-დ ყველა უნდა იყოს სიმღერეში. ბაცალინგველნ რო სიმღერით გაემართებოდეს, მთელ ხალხ იმათ გახყვებოდ,გააყოლებდეს ლუდს,არაყსა-დ ასმევდეს. ჯვართ რო გასცდებოდეს, მაშინ გუდანით დიაც-ყმეწყილიც გახყვებოდ, გაუტანდეს სასმელს. ბოლოს ბაცალიგველნი მაიჭდიდეს ქუდებს, გადაუჭდიდეს ყველა გამყოლებს მადლობას, გამაემშვიდობებოდეს ერთუცსა-დ წავიდოდეს. გუდან იყრიდ დღეობებში თავს სამ გვარი: არაბული, ჭირჭარაული და გოგოჭური, რადგან მათი პაპები აქედან არიან გაყრილი.

მეორე დილას თენდების წინაშუადღეი. აქ განსაკუთრებულ წესი არაი. ყველა ჩვეულებრივად მიმდინარეობს. დილას იციან სოფელში ერთუცის წევა არაყის სასმელად, კეცეულებსაც დააცხობენა-დ იმით გაუმასპინძლდებიან ნაწევ სტუმარ-მეზობლებს. მემრ მაიყრიან თავსა-დ წავ მეთამაშე ჯვარში. მეთამაშეს თან გახყვების ქალ-ზალიც, მივლენ ჯვართ ახლოს, ვაშკაც ხალხი ჯვარში მივა-დ ქალებს აქ სცემენ პატივს. ლუდს გამაუტანენ საწდითა-დ ასმევენ. აქ თუ ძალიან სიცივეი ას, ახალგაზდაები ლუდიანს საწდეს წაიღებენ სოფელ'ში ერთ-ერთ სახლშია-დ იქ სმენ. იქ მარტო ახალუხალ მივიდოდ, ხალხ კი არ. ახალუხალ გაღმართევდ თამაშობასა-დ ლექსობას, აქ კი ქალებიც ილექსებდეს, თუ უფროს არვინ შაესწრობოდ.

ახალგაზდაები ეურობდეს ამასა-დ სიამოვნების ლიშნად ხანდახან დახკივლებდეს. წინავ ბუზიკანტი არ იცოდესა-დ ლექსობდეს ფანდურზე. მთელს დღეს ახალუხალში ლექსობდეს, თამაშობდეს. დარბაზის კარშიით დაბრუნვილ უფროსი ხალხი პირდაპირ საჯარე ჭერხოში მივიდოდესა-დ გააწყობდეს ჯარის წესრიგს.

უკენა შუადღე

უკენა შუადღეიც ჩვეულებრივი წესით ას, რაჭელაც სხვა დღეებში ას მიდენ-მადენაი. წელწადში აქაც, როგორც უკენჭადუსა-დ არხოტ, აისრავ კუმეტს იწყებოდ ქურდობაი. დასტურები დადიოდეს სოფელშია-დ იპარევდეს რასაც ჭელჩი იგდებდეს. ჯერ უფრო იძევდეს არაყს, თაფლსაც არაყის დასათაფლავად, თხილსაც თუ სად შახვდებოდეს (თხილი ხევსურეთში ტყეში ბევრი იცის და ბევრსაც აგროვებენ,ინახავენ განსაკუთრებით საწელწდოდ),ხორცსაც მაიპარევდეს "საძმობისას" (საძმობის ხორცი:კასრში დამარილებული რბილი ხორცი გაზაფხულამდინ სიცივისაგან ინახება. ზაფხულში ხორცს ინახავენ წისქვილის საღორეში, სადაც ვერც ბუზი შევა და არც თბილი ჰაერი). იარაღსაც, ტანსაცმელსა-დ სხვა ასეთებსაც მაიპარევდეს. იარაღსა-დ ტალავარს სამჭსნელო უნდოდ, მანამ ერთს მინას არაყს არ მიუტანდეს, მანამ აღარ დაუბრუნებდეს. მაიპარევდეს ჭერჩი ნაკიდებს გამჭმარს ჭორცსაც ან ჭარის გვერდს, ან ვაცვერძისას. (ხევსურები შემოდგომაზე დაკლავენ მსუქან ხარს, ან ცხვრებს. გვერდებს ასჭრიან ისე, რომ ბოლოზე ბევრი ლეში გაჰყვება, დაკიდებენ ბოლიან სახლში. ბოლში გამოვა კარგად, ოღონდ უნდა იყოს ძალიან მსუქანი, მჭლეს აქ არ შეკიდებენ. მოაჭრიან ცო-ცოტას და წვრილად დანით ჩათლილს ურევენ კეცეულების, ან ხინკლის გულში. ზოგს ხუთი-ექვსი წლის ძვლები უკიდია ჭერში და სასახელოდ მიაჩნია). მაპარულს გვერდს ჯვარში მიიტანდეს, აწევდეს პატრონსაც. ადუღებდეს, ტაბლას დაზდგემდესა-დ, ვისაიც იყვ გვერდი, იმის მკვდართად დაღლოცევდეს ტაბლასაცა,ერთს საწდეს ლუდსაც. პატრონს ლუდით სცემდეს პატივს. ბოლოს დაუბრუნებდეს იქავ ოჯახშია-დ თუ იყვ იმ ოჯახში, დიაცებს ერთ კოშს ლუდსაც წაუტანდეს. ქურდები ჭერჩი ჩამაკიდებულს ქონსაც იპარევდეს, ჯვარჩი კი არაად გამაიყენებდესა-დ ერთ მინას არაყის მიატანიებდეს სამხსნელოდ (ხევსურებს ქონებიც ასაყარზე ძველისძველი უკიდიათ, ცხრა-ათი და მეტი. რაც მეტი აქვთ, დიდი ხნისა არის და მჭვარტლიანი, მით უფრო სახელია. მსუქანს რომ დაკლავენ რამეს, მას ამოაცლიან რაც ქონი აქვს და შეკრავენ ერთად დაახლოვებით ხუთმეტ-ოც გირვანქას, თან მარილსაც დააყრიან, მუშით შეკრავენ და დაკიდებენ ასაყარზე. ამასაც დანით ჩათლიან ხინკლის ან ქადის გულში). მთელს ღამეებს დადიან დასტურები-დ ქურდობაში თეთრად ათენებენ, დღისითაც ქურდობენ, თუ შინ არვინ იყვ ოჯახში. დღისით შაიპარებოდეს, გამაიქცეოდეს, გამაიდევნებდეს ხალხსა-დ ჯვარჩიამდე მიიყოლებდეს ხუმრობით. ხან გაიტაცებდეს ხნიერ ქალს სოფელჩიით. გაუღგებოდ მთელ სოფელი, ფარ-ჭმლით, ოოფებითად, ხჭდებოდ ბძოლა, იქით

ჯვარიონნი-დ აქით სოფლის ხალხი. (ეს ხუმრობა ისეთივე ჩვეულებრივია, როგორც არხოტში, იქ არის ყველაფერი აწერილი). სოფლის ჯარზეით წავიდოდეს ახალგაზდები, ან ლუდს გამასტაცებდეს ჯვარშიით, ან საკლავსა, სოფლის ჯარს მაუტანდეს. მაგრამ ვაი იმ ქურდს, ვინაც ჯვარიონთ ჭელჩი ჩაუვარდებოდ: დაჭერილს დააბემდეს ცეცხლთ ახლოს, დააგზებდეს დიდს ცეცხლსა-დ აცხომლებდეს, ხან წყალს დაასხამდეს, მანამ სოფელშიით ერთ მინა არაყ არ მაუვიდოდ სამჭსნელოდ. ესეთსავ დღეს დააყენებდეს დასტურებსაც, თუ სოფელში ვინ მაასწრობდა-დ დაიჭერდ ქურდობაში. ხან ბოძზე დააკრევდესა-დ თავზე წყალს დაასხემდეს, ხან ჭერში ჩამახკიდებდესა-დ დაბლა ცეცხლს დააგზებდეს, ასმევდეს ძალით, მანამ ჯვარიონნი არ გაიგებდესა-დ სამხსნელოდ ერთ საწდე ლუდს არ მიუტანდეს. როსაც დაიჭერდეს, კაცის წალალვა იცოდესა-დ გაგებიებაი, რო ესა-დ ეს კაციე დაჭერილიო-დ მახენეთავ. იქითაც მაშიე გაუგზავნიდეს კაცსა-დ საჭსარს.

იცოდეს კიდევ საპატიო. საპატიო ექვივნ იმას, რო ყველა კვამლი გამააცხობდ კეცეულებს, დაადებდ ზედ ბაკანში ჩაწყობილებს ერბოს. საპატიო იქნებოდ ან სამი, ან ხუთი. წაიტანდეს ჯვარში (არხოტში იციან საპატიოს მიტანა მაშინ, როცა ვის დრო ექნება და როგორც ვინ მოისურვებს, აქ კი სცოდნიათ გაალღუმება: სოფელი დაიყოფოდა რამდენიმე ნაწილად და ვისაც ვისთან შეხვდებოდა, დანიშნავდენ დღეებს და დანიშნულ დღეს ჯგუფი მიიტანდა ერთად საპატიოებს და ყველა თითო ბოთლ არჩეულ არაყს, მეორე ჯგუფი – მეორე დღეს და ვისაც როგორ ერგებოდა, ასე შემდეგ). ჯვარში რო მიიტანდეს, ყველა საპატიოები-დ არაყიანებ მინაებ ერთად დაილოცებოდ ყველა მკვდრებისად, ვინც ბაცალიგოს ამ წელს დააკლდ. წინავ ბაცალიგველთ მამა-პაპათად ტაბლას რო დაზდგემდეს, ზოგს იმაზე დაამწკრივებდეს კეცეულებიანს ბაკნებს, ზოგს დაბლა დაზდგემდეს. ხუცესი გამაიტანდ ერთს საწდეს ლუდს, დაზდგემდ საპატიოებსთან, ამახკრეკდეს ლუდს, დაზდგემდეს თასებით, ყანწებში წამაასხემდეს მინეებშიითა-დ იქ მყოფს ხალხს ჩამაურიგებდეს ჭელზე, აანთებდეს სანთლებს, ზოგს ბაკნებს დააკრეკდეს, ზოგს ლუდს. ხუცესს არაყიან, ან ლუდიან თას ეჭირ, ზედ სანთლითა-დ შაუდგებოდ საპატიოების დალოცვას:

"ღმერთო, დიდება შენდა, ღმერთო, მადლი შენდა, ღმერთო, სულიც შენ გებარებისა-დ კაციც შენ გეხვეწების, ღმერთო, გაუმარჯვი პირქუშს ცეცხლის ალიანსა-დ, დიდო პირქუშო, შენ წყალობა მიეცი შენთ ყმათ ბაცალიგველთ. შენი წყალობით 'შაინახენი. პირქუშო ცეცხლის ალიანო! შენ სადიდებელი ასა-დ შენის დიდებითა, ჩემის სიტყვის მაჭსენებით, ზედამრჩოების დღეგძელობით, სადაც თქვენ ხართ, ბაცალიგველთ მამა-პაპანო, თქვენებ შვილები ას, შვილისშვილები ას, თქვენ ანდაბი ას, რანიც წელს ბაცალიგოს დააკლდით, სადაც თქვენ სულის ყოფაი ას, ხთის წესით, მღდლის წესით, იერუმსალეთის ნათლით, ქრისტეს გარიგებით, როგორც ჩვენ ჭელთ ას ეს სუფრაი, სასმელ-სანთელი, ისრამც თქვენ გეჭმარისთ, ცოტა დიდად, რიოშ წმიდად ფერუქცეველად, წაუქცეველად თქვენიმც საჭმარი, თქვენიმც საიაღოი ას. შაგინდნასთ, მაგაჭმარასთ ღმერთმ, ქრისტიანობის გამჩენმ, საპატიოთ მამტანები-დ ზედამრჩოები, ჩემის ჭმის გამგონეები ღმერთმა მშვიდობით ამყოფნას, მარჭე ნურავის მისცას".

“შაუნდნას, მააკმარას ღმერთმ’ – იტყოდეს ყველანი_ აიღებდეს თასებს, ყველა დაილოცებოდ – შანდობას ეტყოდესა-დ თითოს ჩამავლეულს თასს ყველა დასცლიდ. ამასთან არაესაც დააყოლებდეს. ფეკ'ზე ნადგომებ თითოს ჩამავლეულს შასვემდეს. მემრ დასხდებოდ საპატიოს მიმტანებიცა-დ ჯვარიენებიც. დასტურები საპატიოებს დაშჭრიდესა-დ დაუდგემდეს ყველას. ყველა აიღებდ ნაწვრთეს, ჩაიწებდ ერბოშია-დ (იქვე ბაკანში იდგა ერბო) იტყოდ: “ღმერთო, გაუმარჯვი პირქუშსა; პირქუშო, შენ სწყალობდი შენთ ყმათ, საპატიოს მამტანებს დაადეგ წადმ, შენი წყალობით შაინახენ”. ამ სიტყვებით ყველა ჭამდ. თან ლუდსაც მააყოლებდესა-დ ასმევდეს ზედამდეგები. აქ კარახანაის სახით კი არ დაუდგემდეს, პირდაპირ ამაუკრევდესა-დ შაასმევდეს, შუას პურის ჭამაშიაც რო ყოფილიყვ. კარახანაის წეს ხო ისრ ას, რო პურის ჭამაში თავ-თავის კარახანა უდგას წინ. როსაც გაათავებდეს პურის ჭამას, მაშინ იღებდეს კარახანას, დაილოცებდესა-დ შასვემდეს, მემრ მღერა იმართებოდ თავკმელად ფეკზედ. მღერა კი ეხლადაც იმართებოდ, მაგრამ თასებს კი ტაბლაზე არ დგემდეს, პირდაპირ შაასმევდეს, ვისაც მიუტანდეს. შაღმღერნებდეს კიდეცა-დ შაუმღერნებლადაც ასმევდეს ძალად ლაშთად მაყუდებით. მღერაიც სმაში წასახალიზებლად იცოდეს:

რაად გეშინის, შატილო, ყამს რაად იყავ მტრისასა,
ოროლთ დავასხამ ტყვიათა თოფს თეთრაულის ძისასა.
თიკანს არ წავაყვანიებ ამ ჩვენის ქავისკრისასა.
დავხვევდი მეთოფეებსა იმ წვერსა ჭიუხისასა.

სიმღერებს რო იმღერებდეს,თან ლუდს არიგებდეს ზედამდეგები, პურის ჭამა რო გათავდებოდ, ყველა ადგებოდა-დ ზედამდეგებს ეტყოდ: “ჭელ-ფეკ მტერზედ მაგაკმარასთ, ზედამდეგები, შორიელზე”. “მტერიმც ნუ მაგერევისთ”! – იქნებოდ პასუხი. მემრ დასხმენა-დ ზედამდეგებს აჭმევენ პურს. ერთ რიგ ხალხი საპატიოებს ერთხან მიიტანდ, მეორე რიგი მეორეს დღესა-დ ესრ სრულდებოდ ყველა. საპატიო იმით ექვივნ ამ კეცეულების მიტანას, რო, თუ სახლი გაქურდვილ არ იქნებოდ, დასტურთგანა-დ საპატიო წინ მიასწრობდ, მაშინ იმ სახლისად ნაპატივარი იქნებოდ, აღარას მახპარევდეს.

უკანას შუადღესაც დღეობის წესი ჩვეულებრივად გაივლიდ. სოფლის ჯარი ღამით ნელობამდენ დასხდებოდ თავის წესებით.

გამცხადება

გათენდებოდ გამცხადება დღე. გამცხადებას დასტურის ბანზე მივიდოდეს სოფლის დიაცები სუყველა, მიიტანდეს თითოს მინას ნარჩევ არაყს, აქ მაიტანდეს ჯვარჩითი ლუდსაცა-დ მთელ სოფელ აქ მაიყრიდ თავს, გაიმართებოდ სმაი. არაყიანები მინაები დაილოცებოდ მიმტანის მკვდართად, ლუდიან საწდე კი ილოცებოდ ბაცალიგველთ ანდაბისად. ჯერ კი უფროს ხალხი აქ იქნებოდა-დ, მემრ რო ისეებ წაიდოდეს,ახალუხლები მავიდოდეს დასტურის სახლშია-დ. გაღმართავდეს ლხინს, ქალებიც ლექსობდეს ფანდურზედა-დ ახალგაზდა ვაუებიც. ზვავისაგან თუ ვინ დაზიანდებოდ (ასეთი შემთხვევა ხშირია ხევსურეთში), იმაზე ნათქმებს ლექსებსაც ლექსობდეს ახალუხალში, ასეთებ შაიძლებოდ ქალებსაც ელექსათ, ვაუებსაც.

გამცხადებას დღეს ასეთს მხიარულობაში გააცარებდეს ახალუხლები, სახუმარო ლექსებითა-დ მასხარაობით. ხნიერ ხალხ კი ჯერ ჯვარჩი მივიდოდესა-დ მემრ სოფლის საჯარეში წამავიდოდეს. მაიტანდეს ლუდსა-დ გააწყობდეს ჯარის წესს.

ჯვარჩი გამცხადებას დღეს იდგმოდეს სადიდებელნი-დ ჭსენდებოდეს ყველა ხთიშვილნი. სადიდებელთ დადგმისად სოფელშიით აწევდეს უფროს ხალხს (სადიდებელთ დადგმის წესი დაწერილია როშკის დღეობებში). მთავრდებოდა გამცხადება დღეიც. მეორე დღეს გათენდებოდა წყალკურთხევა.

წყალკურთხევა

წყალკურთხევაიც ჩვეულებრივი წესით იცოდეს, რაჭელც სოფლის სხვა ჯვარებში. დილას ყველას ოჯახში გამააცხობდეს სახელსადებებსა-დ დაზდებდეს მკედართად სახელს. სახელის დამდებს წამაუსხემდეს ყანწსა-დ მისცემდეს ჭელჩი, ის დაზდებდ სახელს, რაჭელც წესი ას. სახელს რო დაზდებდ, იმ ყანწს კიდევ დაილოცებდა-დ თაოდ გადასვემდ, მეორეს სხვას წამაუსხემდა-დ მააყოლებდეს, ჯალაფნ იქნებოდესა თუ სტუმარ, ვინ ექნებოდ. ამ დღეს იცოდეს მეთამაშემაც ჯვარში წასვლაი.

წყალკურთხევას ჯარიც დასხდებოდ საუკენობლოდ. ლუდიც ბევრ მიხქონდ ამ დღეს ჯარზედ. ჯარმ დიდად სმაი-დ მღერა იცოდ, რაკი უკენობის დღე იყვ. ამ დღეს იცოდეს ჭევსურეთის ანდრეზების მაგონებაი-დ საუბარი, რა რაზედ მამჭდარ, ვის რა სახელ გაუკეთებავ, ვის მამ-პაპან ყოფილან კანი, ვინ კაის ჩამამავლობისაი-დ ჯიშისაი. ვის გაუწირავ თავი-დ ვის რა კა უქნავ ჭევსურეთისად. ამეებს ყველას იამბობდეს, ამაზე მაიგონებდეს სიმღერებს ძველებსა-დ სთხოვდეს ამ სიმღერეების მცოდნეს კაცსა-დ ამღერებდეს.

წელწადში თითქმის ყველას წუხრას იყრებოდ ახალუხალი. ახალუხალი უფრო სადაც ახალზალი იყვ მაყვანილი, იმ ოჯახში იყრებოდ, მიხქონდ ლუდი, მხიარულობდეს, მთელს ღამეს იქ იყვნესა-დ ბოლოს ახალუხლის წესით ვისაც ვისთან სურდ ქალ-ვაჟი, ყველა ერთად იძინებდ. წყალკურთხევა დღე, როგორც ვთქვით, ამ წესით მთავრდებოდ. ჯვარიონნიც გამალოცვას ამ დღეს შაუდგებოდეს, კოდის ძირებში თუ თხლეზე ლუდ რა დარჩებოდ, წამასწურევდეს რვლის ქვაბებში რო თხლე დაესვ (სპილენძის ქვაბში ლუდი ძალიან დაიწმიდება. თუ შიგ ფქვილის ან სვის ნაშთი რამე არის, ის მაშინვე ძირს დაილექება და რჩება წმიდა ლუდი), კოდებშიით თხლესაც წამაასხემდესა-დ ამას საარაყეში ჩაასხემდეს, კოდებს მაღრეცხდეს გძელით ახალი არყის ცოცხითა-დ, მიწაზე დაზდგემდეს პირქვ. თასგანძსა-დ დრო'მათ თაეთავის ადგილას შაინახევდს. დარბასსა-დ საქვაბეს კარგად დაიგულებდეს. შულტასაც კი წილს დაუდებდეს. რო დაღამდებოდ, მაიყრიდეს ყველა დასტურებ ჯვარში თავს. ხუცეს-ჭელოსანნ კი ჯერ არცად წავიდოდეს, დასტურებ რო მავიდოდეს,წინწანაქარი ექნებოდ დამალული კაის ლუდისა,იმასაც მაიტანდესა-დ დაიწყებდეს ჯვარიონნი სმას, ამას ეძახდეს საკუთარს დღეობას. ამ წუხრას სტუმარ ძალიან ძვირად ვინ დაესწრებოდ, რაკი იცოდეს, რო ეს წუხრა საკუთრად ჯვარიონთ დღეობა იყვ. მთელს ღამეს კინაღ თეთრად გაათენებდეს.

ბოლოს ხუცესი იხუცებდ გამასამალოს. გამასამალო ერთ ქადა იყვ ხავიწიანი. შაახვეწებდ ჯვარიონთა-დ პირქუშს სთხოვდ, რო შენთ გამძღოთაო-დ დასტურთავ ნურაზე გაუწყრებივ. მავნე-მაცილ მააშორეო-დ მეწალმართე ანგელოზ დააყოლევ. გამასამალოს ხუცობაში ლუდიანებს თასებსაც დაზდგემდესა-დ ზედ სანთელს დააკრევდეს. ხუცესი იტყოდ: "დიდება ძალსა შაძლებას შენს, პირქუშო ცეცხლის ალიანო, შენა სამთაერო, შენა გასამარჯოდ მაიჭმარი ეს სეფე-სანთელი სადიდებელი. შენ ჯვარიონთად, ჯვარის გამძღობართადა-დ დასტურთად, საშველოდ, სამწყალობნოდ მაიჭმარი. შენდ გამალოცვის წესი არ დაუყრავ დასტურთა-დ შენს წყალობას ნუ დააკლებ. უშველ, დალოცვილო პირქუშო, შენთ დასტურთა-დ გამძღოთ, შენ ნურაით დაამარცხებ მაგათ ყუდროში ნუც ველთა-დ, ნუც შინ. ველთ წასული მშვიდობით დააბრუნი, თურას შამაგძახდას, ნაძახნებ გაუგონი, გაჭირვებულ თუ შამაგძახდას დაეჭმარი, დალოცვილო, მეხვეწურ შენია-დ შენ შაინახი, შორს მყოფი ახლოს დაუსვდიდი, შენს კაბის კალთაში შაიფარიდი" და ა. შ. მემრ ხუცობასად იმის გაგძელებას მააყოლებდეს ყველა წესით. აქ კურთხევა არ იცოდეს, მარტო მაჭსენებაი-დ პირისქარი (პირისქარს ეძახიან ბუდის ჭევსურები, პირიქითელები—ხუცობას).

პირისქარის მათავებიდგეს ლუდიანებს თასებსაც აიღებდესა-დ კიდევ შაუსახელებდ ხუცესი. თასების გამაცლამდენ მღერაიც იყვ თავჭმელად. უმღერდეს ჯვარიონნი-დ ასმევდეს ლუდს ერთუცს,თან ეტყოდეს: "შასვი, ძლივ სადამ გვეღირს საკუთარ დღეობა". ბოლოს გამასამალოსაც დასჭრიდესა-დ გახყოფდეს. ჯვარსაც მადლს მასთხოვდესა-დ წავიდოდეს. ახალუხლები ხუცესს გახყვებოდეს შინამდენ, რაკი ხუცესები ხშირად ხნიერებიც იყვნესა-დ მაინც ხუცესს მეტს პატივს სცემდეს.

ნახორსა-დ ტყავ-ჭორცს რო ასწორებდეს, მაშინ ის ჩვეულებაი ხქონდ, რო ვერც დაეშურებოდეს რასა-დ ვერცარაზე უარს იტყოდეს, რაიც მიერგებოდ. ორსავ ამბავზე ჯვართაგან ეშინოდ. თუ მეტს მაითხოვდეს, იმაზედაც გაუწყრებოდ პირქუში – მეტს წილს რაად სთხოულობაო-დ სიხარბეში შაზდიხარავ, თუ არ მინდავ-იტყოდ, ამასაც უკადრისობაში ჩამაართვემდა-დ მაამიზეზებდ. თუ აოდ ვინ გაუჭდებოდ, მკითხავები მაშივ ამას უმკითხავებდეს. იმით იცოდეს, რო ნახვრის განაწილების დროს ჭმას არაად ვინ ამაიღებდ. რაიც-ვის ერგებოდ, წაიღებდ (წელწდის წესები, რაც სხვა სოფლის დღეობებში იყო აწერილი, აქ გამოტოვებულია).

ბედისკვერაობა

წელწდიდგეს (როგორც უკანჭადუს არის აწერილი) იწყებოდ ბედისკვერაობა, ერთუცისად მიყოლ-მაყოლა, უფრო ზლისად იცოდეს ბევრის არაყის მიტანა, თუ ზალ ნათხოვი ხყავა-დ მაყვანილ ქვე არ ხყავ. იმას მიუტანდეს ბედისკვერას, ყველაზე ბევრს არაყსა-დ, ხავიწიანს ქადასაც მიუყოლებდეს.

ნათხოვს ზალს მეტს პატივს სცემდეს, ბედისკვერაზე ნაყიდსაც რას მიუყოლებდეს ან ბუზიკანტს, ბეჭედას, ან საყურეს, ზალტეს ან კიდევ შინ

დამზადებულ გაკეთებულ რას. თუ ქმრის ძმა ან ქმრის შინში ხყვანდ, ან სხვა ახლოელ ქმრეული, შინ რას გააკეთებდ ხისას ზლისად მისატანს, ტაგრუცს, ან სახრელს, ან სააბრაშუნეს გალს (სააბრაშუნე გალი იყო პატარა მრგვალი ხისაგან გაკეთებული შვიდგან გადაჭდეული. გადაახვევდენ შვიდის ფერის აბრეშუმს. ამ გალით ტარება ადვილი იყო საქარგავი ძაფისა მწყემსობად, საუქმეობად და სხვა. გალს ერთ მხარეზე ჰქონდა პატარა კოლოფი, რაშიც ინახავდნენ ნემსებს. გალი დაჭრელებული იყო დანის წვერით), ან წიწუს (წიწუ იყო პატარა იარაღი, რომელსაც ხმარობდნენ ყდაზე დაქსელული ქსელის მოქსოვის დროს), ან ქმრისდა რას შაუკერავდა-დ მიუტანდ, მაგალითად ტყავის, აპაურთ დააკეთებდ მძივითა-დ ნაჭრელაით, ან "ქოქას" (ქოქა იყო მძივით და ქარგვით გაკეთებული საყელო, ბოლოზე დაახლოებით ათი სანტიმეტრი ფართალი ჰქონდა შემოკერებული, ქოქას ჰქონდა შესაკრავი ღილებით. ფართალი ჩაშვებული ჰქონდათ სადიაცოს საყელოს შიგნით და ისე გამოდიოდა, თითქოს სადიაცოს შიგნით რაღაცა ეცვა და საყელო მისი იყო). ქოქასაც ნაჭრელაით გააკეთებდესა-დ ზედ სუფთად მძივს დააკრევდეს.

დედამთილ გაუგზავნიდ მატყლს, რო ამ მატყლისგან თავის ტალავარ გაეკეთ (ხევსურეთში მატყლის შოვნა არ იყო, თუ იშოვნიდენ, სანახევროდ აკეთებდენ ქსოვილს, რო მოქსოვდნენ, იმისი ნახევარი მატყლის პატრონს მიჰქონდა, ნახევარი მომქსოვს რჩებოდა). ზალს რო ესეთი საჩუქრებით მიუვიდოდეს, ზალმაც იცოდ ქმრის ძმისად, ქმრის დედისად, ქმრეულისადაც საჩუქრების დახვედღებაი. ქმრის ძმას დაუკეთებდ საწვიეთ, ტყავის აპაურთ, სათამაქოეს, საფუხრებსააც დაუკერევდ ნაჭრელაით. იარაღთაზე სახვევ ჭელსაჭოც იცოდეს, ამასაც ნაპირებს ნაჭრელაით დაუკეთებდა-დ გამახფევსვევდ. ეს ჭელისაჭოცი ფარ-ჭმალზე ხქონდ შამბული-დ ოშკაცებს თან დახქონდ. როსაც დაიჭრებოდეს შუღლში, მაშინ მზას ხქონდა-დ წაიხვევდეს იმას ნაჭრევზე, მანამ აქიმსთან მივიდოდეს. ქმრისდასაც გაუკეთებდ თავის ჭელით რას, ან ტყავთზიკებს (ტყავთზიკები: ქურქს ბეჭებთან დააკერებდენ მოქარგულ, მძივით შემკულ ოთხკუთხედებს) ან ტყავის აპაურებს, ან თავსაცმელას, ან კიდევ სხვას რას.

ბედისკვერაობა ძალიან ჭშირად იციან აღებამდინ, პირიქიაქათ კი ზაფხულამდენაც გძელდებოდ, ახლო-მახლო სოფლებში კი აღებას ბევრად არ გადააცილებდეს. აღება იყვ მოძრავ დღეობა, წელწდიდგე ხან მალე მავიდოდა, ხან ნელად. აღებას აყოლებდეს დიდმარხვის მასვლას. ის იცოდეს დიდმარხვის შამასვლის წინას შაბათს, მანამდენ ხო სასმლოვა გამბულ იყვ ჭევსურეთ.

აღება

აღება იცოდეს სამს დღეს – შაბათი, კვირაეი-დ ორშაბათი. სააღებოდ დასტურები ჩვეულებრივად ადუღებდეს ლუდს. პარასკევ დაღამებას იქავ დღისითავ, მაიყრიდეს დასტურ-ხელოსნები-დ ხუცესი თავს (აღებას დროშან არ გამოდიანა-დ არც საწმიდროვა იცოდეს. როსაც დროშან არ გამოდიოდეს მაშინ საწმიდროვა არცროს არ იყვ). ჯერ მაშჭიჭვევდეს კოდს, მემრ გახჭსნიდ

კოდს ხუცობითა-დ ყველა თავის წესებით. მემრ მაუვიდოდ ღამისამთელოიცა-დ უთევდეს ღამეს. ღამისთევაში ხუცობა, კურთხევა, ზარის რეკა ყველა თავის წესზე სრულდებოდ. აღებას ღამეს სოფელჩიითაც იცოდეს წევა უფროსის ხალხისაი-დ მჭედლისა. თუ სოფელჩი ამანათ ვინ იყვ, იმას აწევდეს მუდამ (ღამისთევა-ჟამისწირვაზე არ გასწირევდეს. ერთს დიდს ჯვარის მამულს მისცემდეს ამანათს, იმისას არც ღალას ართვემდესა-დ ამუშავებდ თავისად. სხვაფრიეაც ამანათს ძალიან ჭელს უწყობდეს. საზიაროდ, ჯვარის მამულებს თუ სანახევროდ ვინ ხჭნევდ, იმას მესამედზე მეტს არ გამაართვემდესა-დ ყველანაირად ძალიან ჭელს უწყობდეს), ღამეს რო უთევდეს, სადიდებელში მღერაიც იცოდეს თავისავ წესზე. უფრო ამანათს შაღმღერნებდესა-დ აშურებდეს ლუდის შასმასაც. აისრავ მჭედელსა-დ სხვა უფროსებს. ღამისთევიდგე გაიმართებოდ სმაი, პირქუშში წესად ხქონიათ, რომ პირქუშს არაყის სადიდებელს არ დაუდგმენ, არაყზე იმას არ აჭსენებენ. მის სამაგიეროდ აჭსენებენ პირქუშის დობილთ. დასტურო არაყიც ექნებოდ გამაწურვილი-დ არაყსაც მაიტანდეს. მჭედლის სამწყალობნელოს თასს ცალკე ჩამაავლევდესა-დ ამანათისას ცალკე. ამანათი ჭევსურეთ აუცილებლად კაცის მამკლავ იქნებოდად ან იმის გვარისა სხვა ვინ. სხოდ ჭევსური ჭევსურეთ არ წავიდოდ. ამანათი რო მოვიდოდ, წინწინ ჯვარსა, კაცს მიებარებოდ სოფელში. მიიყვანდ ერთს საკლავსა-დ შააკლევდ ჯვარს. ამ დროს სოფლის ხალხიც აქ იქნებოდა-დ დაამწყალობნებდეს იმ კაცს, რომენიც ამანათს ჭელს შაუწყობდა-დ არ უღალატებდ. რა თქმა უნდ, მესისხლეები აქ მასაკლავად მაყოლას დაიწყებდესა-დ რო არვის ეღალატ, ყველას დღეობაში არისხებდეს იმას, ვინაც ამანათს არ შაინახევდა-დ უღალატებდ. ამანათის სადღეგძელოში იტყოდეს: "შამაღბარებიხარ, შამახვეწნიხარ, პირქუშსა-დ იმის ყმათა-დ მიწა-წყალს. გიშველას დალოცვილმ პირქუშმ, ნუ დაგამარცხას მტრის ჭელით. იმისად შამახვეწნილი ხარა-დ თავის კაბის კალთაით დაგიფარას. უშველას დალოცვილმ პირქუშმ თავის ყმათაში იმ კაცს, რომენიც შამაბარებულს კაცს შაინახავს, იმაზე თვალყურს დაიჭერს, იმას ხიფათს ააცდენს, ავს კაზე მაუქცევს. გაუწყრას დიდი პირქუში ამანათისად, სოფლისად შამაბარებულის კაცის მეღალატეს, მიზდივას შვილით-შვილამდინა-დ ქალის შვილამდინ". ასეთს სადღეგძელოს ჯერ ხუცეს იტყოდა-დ მემრ ყველას ჩამაურიგებდეს. ყველა იტყოდ ამანათისად დამჭმარის კაცისად წყალობასა, მეღალატისად რისხვას პირქუშისგან. ამ სადღეგძელოს დროს ამანათი სრუ ფეჭზე იდგა-დ ყველას მადლობას ეუბნებოდ. ბოლოს იმასაც თასს მისცემდესა-დ იტყოდ: "ბაცალიგველნო, მე მადლობელი ორ, რო მე ამთვენ ხანაც შამინახეთ თქვენი კაი კაცობით. მადლობელი ორ, რო მე ბეჩავ კაც მიმიბარეთად, ღირს გამჭადეთ თქვენ გვერდით დაჯდომისაი. მე ვერაით შავზძლებ, რო თქვენ სიკეთე გადავიჭად, ჯერ ერთ, რო მე ბეჩავ კაცი ორა-დ მეორე ის, რო მე დაღუპვის გზაზე ორ დამდგარი. მე მესისხლენ მადგან თავზედა-დ დღესა თუ ხვალ მაინც იმათ ზღვენი ორ, მაინც იმათ უნდა მამიღან ბოლო, თუმცა კი მე ღირსიც არ ორ იმათ მკვდრის საუნცროსოდ რო მამკლან იმათ, მაგრამ მე იმათთან დამნაშავე ორა-დ ეს დანაშაული ისეთ ვალ მაძეს კისერზე, რო ჩემი სისხლით უნდა მავიჭად. სხვა აღარა მამჭდის ამ ვალს, არც უნდა დავმალულიყავ, მაინც დღესა თუ ხვალ ვალს მაჭდა მინდ, მაგრამ სულ ტკბილ ყოფილ, გაგებით ძნელ ყოფილ, კაც ვერაჭლად

მაეკვლევის ყოფილამ. ამით მე თავ შამავაფარი თქვენთან, რო იმედი მქონდ თქვენი, შაგიძლავთ კაცის შანახეაი. მადლობელი ორ იმ კაცისა, რომენსაც ჩემზე თვალ-გული აქვ. წეღანაც ვთქვია-დ ვიმეორებ, რო მე სიკეთეს ვეღარცაით გადაგიჭდით. აგებ პირქუშმა-დ მაღალ ღმერთმ მაინც გადაგიჭადასთ სიკეთე. მე მაინც იმ კაცისაიც მადლობელ ვიქნები, რომენიც მე არ შამინახავსა-დ ჩემს მოკვლაში ჩემს მესისხლეთ ჭელს შეუწყობს. ერთი იმით ვიქნები მადლობელ, რო მე მამაშორებს არიარეთ სიარულსა-დ ამთვენ ხალხის შაწუხებას, მეორე იმით ვიქნებ მადლობელ, რო ჩემს მესისხლეს ჭელს შეუწყობს, მე დამნაშავეი ორ იმასთან, ახი ჩემ მაკვლა. კაც აკლავ იმას ჩემგანა, მიძევს ის მე ჯავრის ამასაყრელად, სისხლის ასაღებად, იმას ჩემი ჯავრით ძილ არ ზძინავა-დ მე ქვე ვემალები. ჩემში თუ სვინდის იყოსა-დ ვაშკაცობა, მე არ უნდა დავმალულიყავ, მაგრამ სულ ტკბილ ყოფილა-დ ძალაუნებურად დაემალების კაცი სიკვდილს. ღმერთმა ყველა გადღეგძელნასთ, გაცოცხლნასთ, ჩემის პატივისცემისად ღმერთმა კაით გცასთ პატივი, გიშველასთ.

დალოცვილმ პირქუშმაცა-დ მაღალმ ღმერთმაც. ბევრ აღება მარხო-შამაე მაგგვარასთ მშვიდობისა, კარგად ყოფისა. მიაც კიდე ღირს გამჭადას თქვენის პატივისცემის გადაჭდისა. თუ მეღირს დამშვიდებულ ცხოვრება კი, იქნება მიაც გცათ სამაგიერო პატივი, თუ არა თქვენაც დასთმობთ".

ასეთის სიტყვებით დაილოცებოდ ამანათი, შასვემდ თასს. მემრ ადღეგძელებდეს, დაამწყალობნებდეს მჭედელს, დაულოცავდეს იმ მარჯვენას, რომენიც სოფელს ეკმარებოდ. მჭედელიც შასვემდ სამადლობელსად, იტყოდ: "დაილოცოს პირქუში, მე მაგის ხათრის გულისად ვეცდები, რო ჩემ ჭელი არ დაუზოგ არც საჯვაროს საქმესა-დ, არც სახალხოს". ზოგ კიდე ხუმრობას დაუწყებდ მჭედელს,ზოგი კიდეც შაღმღერნებდ სახუმროდ ნათქვამს ლექსს, მაგალითად:

გიორგათაი ბადია, სრუ სამჭედლოში ზისაო,
მაგის ნაჭედებ ცულები, სრუ ხეში წირვენ პირსაო,
ორად იყრების საჭნისი, შიგ ნაჭშირ გამადისაო.

* * *

დაჭედე, ივანუერო, რკინის ტრიანებ დანები,
სრუამც შენ შაგენაცვლების ამღურ-ჭიმღურებ ქალები.

საუბრით, სმითა და ხუმრობით გააელევდეს აღების ღამეს. ღამისამთელოსაც დაშჭრიდეს, დაუდგამდეს ტაბლას ყველა იქ ნამყოფს ხალხს. ტაბლას კარახანა მაზდევს, მღერა და ყველა ის წესები, რაიც ნათქვამი ას სხვა დღეობებში. ზედამდეგებსაც რო პურს აჭმევდეს, იტყოდეს, რო ეეხლა კი დროი ასავ შინ წასელისაიცავ, სტუმრები, ჯერ დარბასის კართანით მასთხოვდეს მადლს, მემრ გარეთ რო გავიდოდეს, იქა-დ გაემართებოდეს. ჯვარიონნი თასებს გამააყოლებდესა-დ შაასმევდეს, აქაც იცოდეს კიდევ შამღერნება თავჭმელად. "მადლ ხთისა გეწეოდასთ, ნურას უკაცრავად, ვაუებო, ვერ მაგიარეთ, ვერც გეცით პატივ, როგორც თქვენ შაგფერდებისთ"; ამ სიტყვებით მიბრუნდებოდეს და შინ შაეიდოდეს ჯვარიონნიც, სტუმრებ ქვე წავიდეს შინისკე.

სოფელში ამ ღამეს ძალიან არაყიანობა იცოდეს. ერთუცს აწევდეს მეზობლები-დ სვემდეს არაყს (ამისი წესი მოთხრობილი არის უკან ხადუში

"აღება ღამეს" აღწერილობაში). ესივ იმის ლიშანი ასაე, რო დღესიდგეს აღარ ვარგაე ქრისტიანებშიავ ჭორცის ჭამაივ, მაგრამ ჭორცს მაინც ჭამდეს ჭევსურები, თუ აკძალულ არვის ექნებოდ ჭორცის ჭამა (აკძალვა იცოდეს, თუ საქონ ეჭოცებოდ, თუ მკითხავ უმკითხავებდ, რო დიდ მარხვაშიავ ჭორცს ნუ შჭამთაო-დ აღარ დაგეჭოცებისთავ საქონივ), უამისოდ კი ჭევსურ კაცი ჭორცის უჭმელად არ დადგებოდ.

აღება ღამე თავისებურად დიდი ამბით გაივლიდ ბაცალიგოს. მეორე დღე გათენდებოდ აღებაი. აღებას ჯვარშიაც ხო იყვ ლუდი-დ სოფელშიაც ბევრ არაყები ხქონდ. აღებას დღეს ლუდი დიაცებისადაც მიხქონდ ჭირისპატრონის სახლში. ჭირისპატრონი შინაც არაყს გამასწურევდა-დ გაუძღვებოდ დიაცებს. დიაცებ რო მივიდოდეს, გაშლიდეს ტალავართა-დ იტირებდეს (ტალავარში პერანგის საჭლები იქნებოდ ჩოხის საჭლებში გაყრილები-დ ზედ ხანჯარ-სარტყელ იქნებოდ შამახვეული, თითქოს კაცს ეხვიოს, ჩოჭაში მასრანიც იქნებოდეს. ტალავარ დაწყობილ იყვ გულაღმა-დ თავის ადგილზე ქუდ იქნებოდ დადებული.

ხანჯარ რაჭელაც კაცს წელზე აქვ შამბული, აისრ დაზდებდეს ჩოჭაზე, ცერად. შარვლის ჩადება ტალავარჩი არ იცოდეს, ჩასხემდეს ბაჭიჭებს ჩოხისა-დ პერანგის ბოლოში, ცალკ-ცალკე ფეჭთავით. სრუ ბოლოში თათებს დასხემდეს. ტალავარჩი არც ჯღანთ ჩასხმა იცოდეს (ჯღანნი, ძირდაბანდული ფეხსაცმელი) სხვა იარაღ რაიც იქნებოდ, თოფი, მასრა, საპირისწამლე, დობანჩა, ჭმალი, ზედ იქნებოდ დაწყობილი ტალავარზე, ტალავარჩი არც ფარის ჩადება იცოდეს, ჯაჭვსა-დ სამკლავ-საფუჭარს კი ზდებდეს წინავ ტალავარზე.

სოფელში ვისაც წელ არ ხქონდ სიკვდილისა გათაული-დ ტალავარ იქავ ისხ, იმის ტალავარშიითაც მაიტანდესა-დ ჩაზდებდეს რას, ან პერანგს, ან ხანჯარ-სარტყელსა, ან ბაჭიჭებს. ეს იმით იცოდეს, რო ყველა ჭირისპატრონს უნდოდ იმის მკვდარ მაღგონებიყვ დიაცებსა-დ შაეტირ. ამავ დროს იცოდეს ტალავარში არაყიანებ მინეები, მძივით დაკეთებულები-დ ყანწიც გვერდით ედგ მძივით გაკეთებული. მინას თითის სიმტყე ფართლის ნაწილები ხქონდ ნაჭრელაით დაკეთებულები შამახვეული, აისრავ ყანწს. ამას აკეთებდეს მკვდრის ნაცნობ ქალები ე.ი. სწორფრები, ზლები, სხვა ნათესავები. სიკვდილიდგე, საფუჭრებს, თათებს, საწვიეებსა-დ სხვა ასეთებს ბევრ ქალებ აკეთებდესა-დ მოხქონდ ტალავარში ჩასადებლად, მკვდრის პატივსაცემად. უფრო მაშინ, თუ ახალგაზდა იყვ მკვდარი, ნამეტნავად თუ კა ახალგაზრდა იყვ, სწორფრიანი-დ დღიანი.

დიაცებ ტალავართ მირგვლივ შამაუსხდებოდესა-დ ჯერ ახლოვლებ დაიწყებდეს ძახილით ტირილს, სხვებ უბრალო ქვითინით აძლევდეს ბანს. უფრო ძალიან ყველზე მეტად და-შინში ტიროდ, ზალიც ტიროდ, მამიდაიცა, სხვა მაკეთეებიც (ხევსურეთში ქმარზე, ცოლზე და შვილზე არ ტირიან, სხვაზე კი ყველაზე ტირიან უფრო ქალები, კაცები არ ტირიან სხვისგან მოკლულ ნათესავზე):

მიწა შენს დას, ძმაო,
შენებს თვალებსამც ვენაცვალები, ძმაო,
შენს კულასავით მჭარბეჭსა, ძმაო,

ნეტარ რაჴლად გიგონას დამ მიწაშია, ძმაო,
მე მზეზე რაჴელად ვიარა, ძმაო,
ვერცხლის იარაღ დაიჯანგების, ძმაო,
ცხენ – ოჴერიც გაგილუბდების, ძმაო და ა.შ.

დაი, შინში, სახლისკაც ქალები, სოფლელებიც ყველა ძმობით ტიროდ, ზალი იძახდ: "ვაჟავ ჩემო", ხნიერ ქალები იძახდეს: "მზეო". ისრავ ყველა ნათესავები იძახდეს, რაითაც ვის ნათესავი იყვ. რო ტირილითა-დ ძახილით გულს მახფქევდეს, მემრ ერთ ჴმით მოტირალს მისცემდეს ტალავარში ნადებს ჴმალს ან ხანჯარს. დაიყუდებდ მუჴლებსთანა-დ იტირებდ ჴმით:

გიტირებ, შენ ნუ მამიკვდებიო (აქ ქვითინი სხვა ქალებისა),
რა ქვე არ ღირხარ სატირლადაო.
ძმაო, ნანუკა შაგენაცვლაო,
ოქროს პერანგო, რკინის ჴმალოო,
ჯაჭვო, ორმაგად მოქსოვილოო,
ცოდო ას, მენადირის მზემაო,
რო გახჴდა დედათ სატირლადაო,
რო მთაწვერთ არ იარებოდაო,
ჯიჴვთ არ სთოფევდა სიმაგრესაო,
ქვიშათ რო არ გააწითლებდაო!

ჴმითმატირალი თვალდამწუხვილი ტიროდ, ძახილის დროს აიტანს თავსა-დ სიტყვას რო დააბოლობდ, დახრიდ თავსა-დ შუბლს ჴმლის, ან ხანჯრის ტარზედ დაზდებდ თვალდამწუხვილი.

ტირილი სულითაც იცოდეს, ვითამც მატირალი უგონთ გავიდოდა-დ თაოდ კი არ იცოდ, რას იძახდ, სულ ვითამ დაიჭერდა-დ რაიც სულს უნდოდ, ჴმითმატირლის ენით ვითამ იამბობდ ყველას (ჴმით ტირილს პირველად ვისიმე მიცვალებულზე აიტეხს, ვითომც სულმა ატირა და მერე იწყებს ყველა მიცვალებულზე ჴმით ტირილს). ახალუხალმ ხუმრობა-სიცილ იცოდიან ქალებისად – მე თუ მავკვდივ, ჴმით კი შენ გატირებავ. თუ ისით ვინ მაკვდ, რო ამა თუ იმ ქალს გული სტკივ, იმაზე აიტეხს ჴმითტირილს, წინწინ ტირილში ვითამ ქვე არა აჴსონდების, სულები იმის უნებურად აძახინებენ სიტყვისთავთ. თაოდ ვითამ უგონთ ასა-დ არა იცის ამ ხოყნისაი. ესრ ბევრჯელ ტირის, ბოლოს კი ჩვეულებრივ ჴმით მატირლად გადაიქცევის.

დამთავრდებოდ აღების დღეს ეს ტირილ-სატირლობაიც. სმა კი სოფელში ძალიან გაჴურებულ იყვ, სოფლის ჯარ ცალკე ისხდ. სოფლის ჯარზე ცეცხლის დაგზება თაოდ სოფლელებს ევალებოდ, ვინაც იქ იქნებოდ, ის მაიტანდ შეშასა-დ დააგზებდეს ცეცხლს (ჯარის წესი აწერილია უკანხადუში დაწერილებით). ლუდი ჯვარშიით მაუდიოდა-დ დღეს სრუ სმაში დააღამებდეს. მეორეს დღესაც ესეთივ დღეობა გათენდებოდ, მესამესაც. ჯვარში სრუ დილა-წუხრ იცოდეს ღამისამთელო-უამისაწირი ჩვეულებრივად. სოფლის ჯარსაც ლუდი ყველა დღეს მიხქონდ. აღება რო გათავდებოდ, იწყებოდ ყველივრის კვირაე.

ყველივრის კვირაეს სოფელში იცოდეს ხუმრობა, მასხარაობა, ერთუცის წევაი-დ სმაი. აქ ჯვარში აღარა იცოდეს. ყველივრის კვირაეს სრუ კაის ჭამა

იცოდეს, თუ ვის ხქონდ (სხვა დროს ხევსურებმა ყოველდღე სადილი არ იციან, მათი საჭმელია ციცი ხმიადი, პური უსაფუვრო და ყველი, თუ აქვთ დო და გააკეთებდენ ხინკალს, ან კეცეულს, დანარჩენ დროს სულ ციც პურს და უბრალო საჭმელებს ჭამდნენ).

ყველიერში არ იცოდეს დაზოგვა საჭმელისა მარხო შამასვლამდენ, ჭამდეს ხინკალს, ქადისკვერს, ყაურმასა-დ სხვა.

მარხოშამაე წუხრა იცოდეს კვირაე რო დაღამდებოდ, მაშინ. ამ წუხრას ღარიბიცა-დ მდიდარიც გააჩენდეს სასმელსაცა-დ საჭმელსაც. ზოგებმ ცალკე იცოდეს მარხოშამაეი, უფრო კი ქვეგვარები ერთ სახლში მაიყრიდეს თავს (ხევსურულად: მამ-მამად შაიყრებოდეს ერთს სახლში, იქ შამაიყვანდეს ვითამ მარხვას). სიმადვილეში კი ჴევსურებმ მარხვის დაჭერა არ იცოდეს, თითო-ოროლა თუ დაიჭერდ მარხვას, უფრო ხუცესი, ჯვარის-ჴელკაცი. ერთად მარხვის შამასაყვანად ყველას ოჯახშიით დიასახლისები მიიტანდეს ფქვილს, ჴორცსა, სატანს ოჴშმის საგულედ. მივიდოდეს ყველან ერთად დიდი, ცოტა, კაცი-დ დიაცი. დიასახლისები ყველა ერთად გაიჩენდ საქმეს, ზოგი კეცეულების ან ხინკლის გულს ამზადებდ, ზოგი ფქვილს ცრიდა-დ ცომს მაზელდ, ზოგ კიდეე ზედგანს დახკიდებდა-დ ცეცხლს უგზებდ. ცომ რო გაიზილებოდ, ერთი ცომს ათხელებდ, ზოგი გულს უდებდა-დ კეცეულებს ახვევდ, ან ხინკალს (ხევსურეთში ხინკალი იშვიათად იცოდენ. ხინკალი ფშავში იყო მიღებული, კეცეული კი ხევსურეთში. როგორც მეზობლებმა, ერთიმეორისაგან ისწავლეს ხინკალიც და კეცეულიც). ერთი ამ დიასახლისებშიაც იქნებოდ ყველაზე უფროსი (უფრო ხნოვანებით და ყოჩაღიც უნდა ყოფილიყო), კეცეულებ რო დაცხვებოდ, უფროსი დიასახლისი გაღბანდ წყალში, დააწყობდ ტაბლაზედ, გახპოხდა-დ გაადნობდ ერაწით ერბოს. ეს ყველა კეთდებოდა სადიაცოსკე (ხევსურულ სახლს აქვს ორი მხარე: სადიაცო და სამამაცო, სადიაცო მხარეს კეთდება სადიასახლისო საქმეები და ამ მხარეზე კაცები არ დასხდებიან, სამამაცოს სხედან გრძლად გაკეთებულ ხის სკამზე და სვამენ სასმელს, როცა სადიაცოს ვაჴშმის, ან სადილის სამზადისია). ტაბლას რო გაამზადებენ, დაზდგმენ სამამაცოსკე, კაცებსთან. ტაბლის გადადგმაში ყველა კაცები იტყვიან: "ღმერთო დალოცვილო, უშველი ჩვენს მამისშვილობას, ბევრ მარხოშამაე მშვიდობისა, კარგა ყოფისა მაღგვარი, ერთუცის სიცოცხლისა". ტაბლას არაყიანებს ჭურჭლებსაც გვერდი დაუდგემდეს. დაასხემდეს, უფროს ვინ იქნებოდ ან კაცი-დ ან დიაცი. სახელის დამდები ტაბლასთან ახლოს დადგებოდა-დ იტყოდ:

"ღმერთო, დიდება შენდა, ღმერთო, მადლი შენდა, ღმერთო, დალოცვილო, კაცთა რჯულ-ქრისტიანთ გამჩენო, ჴსნილ-მარხვათ გამჩენო, უშველი ჩვენს მამიშვილობას, ბევრნ ჴსნილ-მარხვან მშვიდობისანი-დ კარგა ყოფისან მაღგვარენ. ერთუცის სიცოცხლისანი. ღმერთო, შენი დიდებითა-დ ჩემი სიტყვის მაჴსენებით, სააქაოს ნათქვამ თუ საიქიოს მიდიოდას"... და ა.შ. რო დაამთავრებდ, ყველან ადგებოდესა-დ იყტოდეს: "შაუნდნას ღმერთმა, მააჴმარას. ეს ტაბლა ილოცებოდ ანდაბისად, ამათ გვარის წინათად (წინაპრები), იმათ ჩამამავლობისად. ტაბლა იდგ ერთი. ხალხი ფეჴზე ნადგომ შასვემდ თითოს არაყს. მემრ დასხდებოდეს, ერთს უფროს კაცს მაუტანდეს გამდნარ ერბოიანს ჯამს – აიღებდ კოხსა-დ

ჩაასხემდ ერბოს ცეცხლში სამჯერ. ერბოს ჩასხმაში ქუდმაჭდილ კაცი ღმერთს ეხვეწებოდ: "ღმერთო, ჩვენს გვარსაე ბევრ ჭსნილ-მარხო მაღგვარეე მშვიდობისაივ, კარგად ყოფისაივ". ამასაც რო მაშჩებოდ, კაცები დასხდებოდესა-დ დაიდგემდეს ტაბლას, დაშჭრიდეს ქადისკვრებსა-დ (ქადისკვერს უფრო პირიქითში ეძახიან, კეცეულს პირაქეთში), ტაბლებს ყველა ხალხს დაუდგემდეს. დიასახლისი გადაანაწილებდ ჯამებში ერბოსაცა-დ დაუდგემდეს ყველას. ზედამდეგად დადგებოდეს ახალგაზდაები, აიღებდეს თითო ნაწვრეთსა-დ ყველას ჩამაურიგებდეს ჭელჩი. ყველა დაილოცებდ: "ღმერთო, უშველ ჩვენს გვარს, ბევრ ჭსნილ-მარხვა მაღგვარი მშვიდობისა კარგა ყოფისა".

დიაცებს ფეჭზე არეინ დაუდგებოდ, შაიძლების ამ გვარში ახალზალ იყვა-დ ის კი დადგებოდ ფეჭზედ, თუ აქ უფროსებ დიაცებ იქნებოდესა-დ ისეები ჭამდეს პურს. იმათ ხათრით ახალზალი არ დაჯდებოდ. ამ გვარის ერთად მარხვის შამაყვანის დროს შაიძლების, რო სხვის გვარისასაც ვის აწევდეს, ან შორეულ სტუმარვინ იქნებოდ სოფელჩი მასული-დ იმას მაიყვანდეს. სიმთერალეს შუღლი-დ ჭრა-ჭრილობაიც ჭშირად მაზდევს, რაკი აქ სოფელში ას სმაი. აქ აღარცრა ჯვართ ხათრი-დ შიშ იყვ. ერთ ცოტა სიტყვის გამრუდებაი, მაშივ შუღლ იქნებოდ.

ურწყის ორშაბათი

მეორე დღეს თენდებოდ ურწყის ორშაბათი. ურწყის ორშაბათი ას ჭელუძრავი უქმი. ამ დღეს არც კაცი მუშაობდა-დ არც დიაცი ურწყთ შიშით (ურწყთ ამბავი დაწერილია არხოტში, არხოტის ჯვარის აღწერილობასთან დაკავშირებით; მათ შესახებ იქ ყველაფერი დაწვრილებით არის ნათქვამი).

მგელთ უქმი

მარხოშამაეს შემდეგ წინა შაბათს მგელთუქმი ას, მგელ უთქმი შამახყაე პარასკევს მზეგადენათაე. მზეებ რო გადაიხრების, იმ დროს ყველა დაიუქმებდ კაცი-დ დიაცი, საქმეს აღარავინ მახკიდებდ ჭელს, დააჭალებდეს ბიჭონსა-დ კვნეტდეს (სიმინდს მოხალავდნენ). მეორე დილასაც, ე.ი. შაბათს-დილას, ბიჭონს კვნეტდეს. ამ დღეს იცოდეს მგლისად პირის შაკვრაიც (საპარსველს დაახვევდეს ნაჭერს მაგრად, პირში "გალს" მისცემდეს – გალი: შეშის ნატეხი პატარა-მაუჭირებდეს ნაჭრითა-დ იტყოდეს: მგელო, პირი შაგიკარი ჩემის საქონისკე მამავალსა). მიიტანდეს საპარსველს შაკრულსა-დ მეორეს წუხრამდენ ყორეში შაუტევდეს აისეთას. მეორეს წუხრას ე.ი. შაბათს რო დააჭალებდეს კიდეე ბიჭონს, საპარსველსაც მაშინ გახჭსნიდეს – მგელსაე პირივ დაღებულ დაშჩებისაო-დ ვეღარ უკბენსაე იმის საქონსაე. ზოგმ კი ის იცოდის, მგელსაე მთვარის ახალშიაე პირივ სრუ დაღებული აქვავო-დ პირის შაკვრაივ, ტყუილიაე, მგელსაე პირს არ დაუღებსაე.

მგელთუქმის გატეხვა არვინ იცოდ, კაცი-დ დიაცი ყველა უქმობდ ჭელუძრავად. მგელთუქმის სწორ შაბათს მავიდოდ სულის დღეობა.

სულთაკრეფა

სულთაკრეფის დასტურები დაამზადებდეს სულთაკრეფისად ლუდს. ლუდს სვემდ სოფელში კაცი-დ დიაცი ყველაი. კაცებს ცალკე მახქონდა-დ ჯარი სხდებოდ, დიაცებს კი ჭირისპატრონსთან მაუტანდეს ლუდს (სულთაკრეფის ყველა წესები ნათქვამი არის სულთაკრეფის აღეწრილობაში როშკაში და უკანხადუში. ზოგიერთი განსაკუთრებული წესი იქნება აქ მოყვანილი). დიაცებ რო ტალავართ გასაშლელად მავლენ, ჯერ ლუდ-არაყს შაასმევს მასპინძელი. მემრ გაშლიან ჩვეულებრივად ტალავარს. თუ ქალის ტალავარნია, დობით ტირიან, თუ ახალგაზდა ქალი ას. ყველა, სოფლის ახალგაზრდა ქალებ ატირდებიან ძახილით. ამ ტირილს ქვითინით აძლევენს ბანს დიაცებიც (აწერილია ჭმით ტირილის ყველა კილო-წესები როშკისა წერილობაში). ერთ მატირალი რო დაიღალებოდ, მემრ მეორე იტირებდ, მესამეი-დ მთელ დღეს გძელდებოდ ტირილი. ტირილს რო მაშჩებოდეს, მემრ დაუდგემდეს დიაცებს სამარხო ტაბლას, დოხანს. ტაბლაზე იცოდეს საჭელსადები ჭმიადები, ლაოშები, მარტუღელეები-დ კაცები (ეს ყველაფერი დაწვრილებით არის აწერილი როშკის და უკავახადუს სულთაკრეფის აღწერის დროს).

ამ დროს კაცები სათოფეებს წაიღებდესა-დ დააყენებდეს (სათოფეები რა არის, რას ნიშნავს და როგორ დგამენ მათ, ესეც დაწვრილებით არის აწერილი უკანხადუს აღწერილობაში). სათოფეებს რო ყველას დააყენებდეს, მემრ თუ იქ სხვას სოფელშიით მისული სტუმარ-ვინ იქნებოდ, იმას უწილოდ ასრევიებდეს ერთს თოფს, რომენიც სათოფე ერჩიე, იმას. თუნდა ბევრ სტუმრებ ყოფილიყვ, თითოს თოფს ყველას ასრევიებდესა-დ მემრ სოფლელებ წილს ყრიდეს. სათოფეს ვინაც აიღებდ, რაიც ზედ იდგ, იმასაცა-დ იმ ფარჩა-გადაკრულას პურის კვერსაც (სათოფეს) იმას მისცემდეს.

სათოფის პატრონს არაყ ექნებოდ მატანილი. სათოფეს რო აიღებდეს, არაყსაც მაშინ დაღლოცევდეს იმისად, ვისაიც იყვ სათოფეი. წინწინ სათოფის ამღებს შაასმევდეს იმის შასანდობარს. ის იცოდიან რო, ვისადაც ექჩერებისავ, თავის სათოფესავ სულიე იმას ააღებიებსავ. იმით ამღებს წინას თასს შაასმევდეს სათოფის პატრონის მკვდრის შასანდობარს. ვისაც თოფიო-დ თოფის ჭლა უყვარდავ თავის სიცოცხლესავ, იმის სათოფეს ტყვია მარჯვეს არ მახვდებისავ-იცოდიან, ესახელებისავ თავის სათოფისად დიდხანს ჭლაივ. ყმაწვილებს ვაცები ხქონდ დაყენებულები-დ ვაცებს აჭლიდეს ისრებს. ამ დღისად მშვილდისარს ყველა ყმაწვილი ამზადებდ. ყმაწვილები აქ რო აიღებდეს ვაცებს, მემრ შინით კიდევ გამოიტანდესა-დ მთელს დღეს ვაცაობდეს სოფელში. კაცებიც როსაც სათოფეებს აიღებდეს, აქ სვემდეს, რაიც სასმელ აქნებოდა-დ მემრ სოფელში დასხდებოდ სოფლის ჯარი. ხუმრობით ლექსების გამოთქმაიც იცოდეს სათოფეებზე, იმათ თოფვაზე, თოფის სიმაროლეზედა-დ სხო:

გადმავიტანენ ფანდურნი, ჩავაჯღანჯღარენ ხისანი,
მადიან სულთაკრეფანი, ჯარნ დასხდებიან სმისანი,
მე აიქ არას წამაოლ, მშვილდ არ მებადებ, ისარი,
ვერცრას სათოფეს ავიღებ, ვნახე ისეთა სიზმარი – და ა.შ.

ესეთის ლექსებისა ბევრის თქმა იციან სულთაკრეფას. ხოლოთ ტოშ-ფანდურობაი-დ ლხინ არ იციან,რაკი სულის დღეობა იყვა-დ სამგლოვიარო სახეი ხქონდ.

მარხოშუობა

სულთაკრეფიდგე მადიოდ მარხოშუობაი, ოთხშაბათს დღეს. მარხოშუობა იცოდეს დიდმარხვის მოეთხე კვირაე რო დადგებოდ, იმ კვირაის ოთხშაბათს (მარხოშუობის წესები ნათქვამი არის უკანხადუში რელიგიურ ამბებთან დაკავშირებით). მარხოშუობას ჭამდეს ჭორცსაცა-დ ყველა საჭსნილოს. იტყოდიან რო მარხოშუობაივ აჭსნილებსავ. ამ დღეს იცოდეს ჭორციანის ხინკლის მზადებაი-დ ერთუცის წევაი. ჭირისპატრონები დიაცებსაც უძღვებოდეს საჭსნილო ტაბლით, სასმელის დამზადებაიც იცოდეს, უფრო არაყისაი, აწევდესა-დ ასმევდეს სოფლის უფროს ხალხს, მეზობლებსა-დ სახლისკაცებს.

მარხოშუობა აქაც უქმად ხქონდ, იცოდიან რო ამ დღეს ნაკეთებივ ორად სწორდებისავ, ნახევარივ პატრონს შჩებისაო-დ ნახევარივ ეშმათ მიაქვავ. თუ შვილებიანმ იმუშავავ, შვილნიც ორად უსწორდებიანავ. თუ ორი შვილი ხყავავ, ერთ ქვე მაუკვდებისაო-დ ერთ ქვე დაშჩებისავ. ამ დღესავ ფირჩხილ რო მაიჭრასავ, ფირჩხილიც კი ორად გაყრილ გამავავ. არც კაცი-დ არც დიაცი ამ დღეს სამუშაოდ ჭელს არ დაზძრევდ. მიდენმადენაი-დ სმა-ჭამა იცოდეს მარტო.

თაგვ-ჩიტთ უქმი

მარხვის მეექვსეს შაბათს იცოდეს თაგვ-ჩიტთ უქმი. ამას ეძახდეს ჩიჩაბათს. ჩიჩაბათიც ჭელუძრავ უქმად ხქონდ. თუ გატეხავ, იცოდიან, თაგვ-ჩიტნივ გაუნადგურებენავ ველზე ჭირნახულსავ. შინ თაგვები არას გაუშობენავ დაუჭრელსავ. ამ დღეს იცოდეს ჩვეულებრივ ბიჭვნის ჭალებაი-დ უსაქმურობის დროს ამას კვნეტდეს.

კუდიანწუხრა

დიდმარხვის უკენობის ხუთშაბათს ე.ი. მეშვიდეს ხაუთშაბათს მავიდოდ კუდიანწუხრა ("კუდიანწუხრის" ყველა წესები დაწერილებით ნათქვამი არის არხოტის და უკანჭადუს დღეობებთან დაკავშირებით). თუ სად ვის გვარიშვილობა ზარალში იყვ, იჭოცებოდ, მაგათ მამაშიავ კუდიან დიაც ვინამ ასავ, თესლად ილევიანავ – იცოდიან. ვისაც მამაშიავ კუდიან დიაციავ, ის მამაივ ძალიან

იზარალებსავ, დიაცივ არცვის არ დაინდობსავ თავისასა-დ სხვისასავ, ყველას ერთნაირად გამაღვიძლასავ. თუ მამაშიავ (გვარში) კაციავ კუდიანივ, ის კი კაიავ, წინავ გაიგებსავ მამაში რაიც მარცხ მადისაო-დ თავთ ააცილებსავ. არც გამაღვიძლავსაო-დ არცვის გამააღვიძლიებსავ თავისიანსავ. ციცაად იქცევიანაო-დ აისრ დადიანავ სამავნოედავ. მემრავ მაისმენავ რასამაო-დ იქავ კაცად იქცევიანავ. ერთის კაცის ნაუბარ იცოდიან: ერთხანავ კუდიანებმ დამიჭირესაო-დ მიმიყვანესავ კუდიანს წუხრასავ იმეებსათანავ. კაც-დიაცებ იყვავ ჩემებ ნაცნობებივ. მემრავ კოლოფა რაიანიმ ამაიღესავ, შიგით რაიმ ამაიღიანავ, მაისვიანაო-დ ციცადა იქცნინავ. აფრინდიანაო-დ საკომში გაეფარნიანავ. მიაც ამამაღებიესავ კოლოფშიითავ, მამასმიესავ რაიმაო, ციცადა ვიქეცივ. გავფრინდიო-დ კუდიანებსავ სოფლის ბოლოში ეცადაო-დ იმეებში გავერიევ მიაცავ (ეცადა: მოეცადა), იქით გავფრინდითაო-დ ერთს წამსავ აჩხოტის მინდორჩი მივედითავ. ყველა მჭარეზეით მაეყარავ თავივ კუდიანებსაო-დ სრუ ეჭირავ აი მინდორივ. იმღამესავ კუდიანებსავ დიდ საუბარი ხქონდავ. სრუ გაარიგესავ, ვის სად უნდა დახვდანავ, ვინ სად გამაღვიძლანავ. მისცესავ დავალებებივ ყველასავ, ვინ ვის უნდა გამაეღვიძლავ, ზოგს თავის ძმისაიო-დ დის გამაღვიძლა დაავალესავ, ზოგს დედა-მამისაივ, თავის მაკეთისაიო-დ სხოივ. მიაც დამავალესაივ ჩემის კაის ძმობილის გამაღვიძლაივ. მემრავ რო თენებამ მაატანავ, იქავ თავის სოფელსთან მავედითავ. მავისვითავ რაიმაო-დ იქავ კაცად ვიქცენითავ. მეორე დღეს გამასულ ის კაცი-დ ყველა უუბნავ, გატეხილ. კუდიან თუ გატყდავ, იცოდიან, მემრ აღარ იქნებისავ კუდიანივ. იმ კაცმ, თქვისავ – მე იქნება ჯერ არ გავტეხილიყავიო-დ ძმობილის გამაღვიძვლა რო დამავალესავ, იმით გავტყდივ. მე ძმობილ ძალიან მიყვარდაო-დ იმის გამაღვიძვლას ვერ გავლბედევდივ. ეეხლად ვიცივ ვინაც ასავ კუდიანიო-დ შამეხვეწნესავ – ნუ გაგვცემავ. ამის გულისად არც მე მინდავ, გავტეხავ ისეებივ.

აჭვსების შაბათი

აჭვსების შაბათს ცოტა ლუდ იცოდეს. სვემდეს მარტო კაცები. დიაცები ტალავარს გაშლიდესა-დ ჭირისპატრონ უძღვებოდ სასმლითა-დ სამარხო დოხნით. ამ დღეს იცოდეს პორნილაობა. შუადღემდე, ზოგი წუხრამდენაც არ ჭამდ პურს. ამ დღესავ ვინაც მალედ პურს არ ჭამსავ, იმის მკვდართ მადლად მიუვაო-დ ცხონდებიანავ. ვინაც მალე პურს ჭამსავ კი ცუდიავ ძალიანავ. ამაზე რაღაც ლექსის მაგვარ თქმულებაიც ყოფილ.

აჭვსებისა შაბათსაო, მკვდარნი ჩავლენ ტაბაკსაო.

ვინაც მალედ პური ჭამას, ვაი იმის ჯალაფთაო.

პორნილაობა მკვდართ გულისად იცოდეს. ხუთშაბათ დაღამებად წერის კვერაების შაჭამა იცოდეს. ამ დღეს პორნილაობდეს იმით, რო მარილიანების კვერების შაჭმა წყალს მააწყურებდა-დ თავის წერისას ღნახავდეს, ვისაც ვისთან ეწერ ცოლქმრობა (ამაზე აწერილი არის არხოტისა და უკანხადუს მასალებში. რწმენა და ჩვეულება ერთი და იგივე იყო ყველა სოფელში).

აკვსება-წუხრას ყველა ჩვეულებრივი წესით ემზადებოდ. თას-განძს და დროშას დაამზადებდეს. დასტურები მაიტანდეს ღამისამთელოს, ჯერ კოდს გახვსნიდესა-დ მემრ ღამეს უთევდეს. ყველა წესები ჩატარდების ჩვეულებრივი წესით. უმრავლესობა ამ ღამეს გუდან მიდიოდეს, როგორც მთავარ სალოცავში. ბაცალიგვლებიც, როგორც არაბულები, გუდანის ჯვარის ტახტის ყმად ითვლებოდესა-დ მიდიოდეს იმის დღეობაში.

გუდან იცოდეს აკვსება დიდ დღეობაი-დ ყველა ტახტის ყმები უმრვლესობა აქ მადიოდ. არაბული, ჭინჭარაული-დ გოგოჭური, ჴევსურეთის მთავარ გვარები. მასულ ხალხს ყმაწვილებიც მახყვებოდეს. ისენ კიდევ ცალკე დღეობობდეს, ერთ-ერთ ჭერხოში. ისენიც სახმთო გუდანის ჯვარს ილოცევდეს, ჭერხოში მიხქონდ ლუდიცა-დ ერთს საკლავსაც აძლევდეს დაკლულს ჯვარშიით. დასტურ-ჴელოსნობაზე წილს ყრიდესა-დ ვისაც ერგებოდ, ქვაბსაც ის მაიტანდ, ჴორცსაც ადუღებდა-დ ყველა ყმაწვილებს ტაბლა ედგმოდ. სოფელშიითავ მიხქონდ ყმაწვილებისად ხინკალ-კეცეული. მეორეს დილას გურჯინასაც გამააგორებდეს ყმაწვილები (გურჯინა არის აწერილი არხოტის, სოფელ ახიელის დღეობებში. გუდანშიც ისეთივე წესით იციან როგორც არხოტში). დიდებ კაცები გუდან გადაიჴდიდეს დღეობას ჯვარჩი. მეორეს დღეს ბაცალიგველნ შინ წავიდოდეს.

აკვსება

აკვსება პირქუშში სამ დღეს იცოდეს. დღეობაში ღამისთევები იცოდეს ჯვარშიაცა-დ დღეობიდგეს ბანებზედაც. დღეობაში ვინაც იქმოდ ღამის თევას, ის იქ ჩაატანდ ფქვილსაცა-დ სვესაც, როსაც ჯვარის სადღეობო ქვაბი დუღდ. დღეობაში ამაუტანდეს ლუდს იმ ვარაუდით,რამთვენიც იმას ეკუთვნოდ. მიიტანდ შინით არაყსაცა-დ ღამისამთელო – ჟამსაწირსაც. ერთს საკლავს დახკლევდ ჟამისწირვიდგეს, ღამისთევაზედაც გაუძღვებოდ, ჟამისწირვაზედაც ჯვარიონთაცა-დ სხვა დამსწროებსაც. ფეჴზედაც თაოდ დადგებოდ.

ღამისთევა-ჟამისწირვაშია-დ საკლავის დაკვლაში ხუცობა ისეთივ იყვ, რაჴელაც სხვას დღეობებჩი. ხოლოთ ღამისმთეველს ახვეწებდესა-დ ამწყალობნებდეს. ლუდი, ერთი ან ორ კოში ღამისმთეველის სახლშიაც იგზავნებოდ დიასახლისის წილად. ღამისმთეველი ერთერთს წუხრას მივიდოდ, რომენსაც ჯვარიონნი დაულიშნევდეს. საჯვარო ღამისთევას რო გადახყრიდეს, მაშინ უთევდეს ღამეს, საკლავ კი ჟამისწირვიდგეს იკლოდ. წუხრ დაწყობილ, მეორე დღეს საკლავის ჴორცის დუღებამდენა-დ ტაბლის დადგმამდენ, სრუ ღამისმთეველ უვლიდ ყველას. კარახანა იქნებოდა, თუ სადიდებულნი, უმღერდაც თავჴმელად ჯვარიონთ. შამღერნებაზე ისენიც მღერით უპასუხებდეს,სასმელსაც საჯვარო ლუდ-არაყშიით აძალებდეს. მეორე დღეს რო ყველა წესებს შაასრულებდ, წამავიდოდ შინ. ჯვარში რაიც მიხქონდ, ყველა იქ რჩებოდ, საკლავის ტყავი, რაიც დაშჩებოდ, ის ჴორცი, ნახორი, ლუდ თუ დაშჩებოდ,შინ არცრა არ მიდიოდ.

დღეობაში ახალი წესი აღარა იცოდეს. ზღვნების დაჴოცაი-დ მეზღვნეების გაძღოლაიც ჩვეულებრივი წესით იყვ. გათავდებოდ დღეობაი-დ ჯვარი სასტუმროს

გავიდოდ. აკვსებას ღამისთევები იცოდეს სახლში. ჯვარის დროშას ისტუმრებდეს (ჯვარის სტუმრების წესი დაწერილებით არის ნათქვამი არხოტის ჯვარის აღწერილობაში). ჯვარ რო სასტუმროს გავიდოდ, სოფელში დღეების განაწილება იცოდეს, ვის წინწინ ესტუმრებოდ ჯვარი, ვის მეორედა-დ ან მემრ. რაჭელაც ვის შახვდებოდ, ისრ მაემზადებოდეს, ლუდსაც აისრ ადუღებდეს მაყოლებით. ჯვარი სოფელში რო მივიდოდ, ჯვარში აღარ დაბრუნდებოდ, მანამ ღამისთევებ სრუ არ მათავდებოდ, ერთს ბანზეით მეორეზე გადადიოდ (მაღალბანზე დადებდნენ შეშის კონას და მოყვანილ დროშებს ტარებით დაარჭობდნენ კონაში. დროშები წასელამდინ იქ იქნებოდა. ამ ბანზე ქალები არ დადიოდნენ, წმიდად უნდა ჰქონოდათ დაცული ჯვარ-დროშის მოსაყვანად). ჯვარი და ჯვარიონნი თითო სახლში, თითო დილა-წუხრას რჩებოდეს. თუ ბევრი ღამისთევებ იქნებოდ კი, შაიძლების რო ორს ღამისთევასაც მაიშორებდეს ერთს დღე-ღამეში. ჯვარიონნი რო წინ-წინ ბანზე შაჭდებოდეს, ბანს დროშის წკარუნით სამჯერ მაუვლიდეს. მემრ მედროშაე დროშაის ტარებს მარჯვენას ფეჭზე დაიყუდებდა-დ აწკარუნებდ დროშაის ზარებს. ამ დროს მასპინძელი მაიყვანდ საკლავსა-დ ხუცესი იხუცებდ. ჩვეულებრივი ხუცობა-კურთხევითა-დ დახკლევდ. საკლავის დაკვლაზე ყველანი დაამწყალობნებდეს: "გწყალობდასთ ღამისმთეველნო პირქუშის დავლათი. ღამისთევა-ჟამსწირვა არ დაგიყრავისთა-დ თავის წყალობა ნუ დაგაკლასთ. სიხარულად გაგიჭადასთ, კლოვ უკეთი გულით გიმსახურნასთ. მანდილოსანთ გწყალობდასთ! მშვიდობით გამყოფნასთ, პირქუშის დავლათ გწყალობდასთ, რასაც წყალობას თქვენ გულ გამაელის, ის წყალობა გიბოძასთ. თქვენ მაგცასთ წყალობა ყურით მაყურებელს, პირქუშისად ჩოქის მამხრელს, მადლის მამთხოვს, ჯვარივნებს, პირქუშის დროშაისად მყოლთ, მაგცასთ წყალობა. დასტურს დასტურობა ნუ შაგანანასთ, ჭელოსან დიდხანს გაგიყოლას, ხუცესს ენა პირ გიკურთხას, შაუცოდვრად შაუწყენრად შაგინახას".

დამწყალობნება რო გათავდებოდ, საკლავს დასტური გაიტანდ ცალკესა-დ გააჭყავებდ. მეკოდე, რომენიც მასპინძელს წინავ ხყვანდ არჩეული, კოდშიით ერთს საწდეს ლუდს დაასხემდა-დ მაიტანდეს ჯვარიონთან. ამ საწდეშიით ააავსებდეს სახუცოს კოჭობს ლუდითა-დ მისცემდეს ხუცესს (სახუცო კოჭობი ჯვარივნებს თან დააქვს ღამისთევებზე). ხუცესი კიდევ აკსენებდ პირქუშსა-დ ამ სადიდებელზე შაახვეწებდ ღამისმთეველთ (კოჭობზე ანთებული სანთელიც იყო დაკრული). კიდევ დაამწყალობნებდესა-დ, ხუცესი ბოლოს იტყოდ: "პირქუშს დიდებაი-დ ღამისმთეველთ წყალობა", მაიყუდებდ თასსა-დ ცოტას შასვემდ. ამ დროს აუცილებლივ შაღმღერნებდეს თავჭმელად, ჯერ ხუცესს შაღმღერნებდესა-დ. მემრ ყველა ერთი მეორეს საქებითა-დ საგმირო სიმღერეებით ასმევდ ლუდს. შამღერნ-შამამრერნებით შაასმევდეს ერთუცს ლუდს,ბოლოს თითო თასს დიაცებსაც გაუტანდეს. სმა რო გათავდებოდ, ჩაჭდებოდეს ჭერხოში ყველანი. დანარჩენი წესი აქ სრულდებოდ. ღამესაც აქ უთევდეს, ჟამსაც აქ სწირევდეს, დასტურნი ტაბლასაც აქ დაუდგემდეს. ღამისთევა'ში სახლისკაცების წევაიც იცოდესა-დ ზოგ-ზოგის სოფლელისაიც. აქ ლხინი მხიარულებაიც იცოდეს. ჯვარიონნ ცალკე იყენესა-დ უფროს ხალხი ხყვანდ თან, ახალუხალი ქალ-ზალ კიდევ ცალკე ისხდ. ფანდურს მაიტანდესა-დ გაღმართევდეს ლხინს. ღამითაც ახალუხალი ბევრ არვინ წავიდოდ,იქ რჩებოდეს.

ჯვარიონნი უფრო დროშათ ახლოს დაწვებოდეს, თუ ყველა არ, ერთ კაც მაინც დროშასთან დაწვებოდ, თუნდა ავდარიც ყოფილიყე.

ესეთი წესებით შამაივლიდეს მთელს ღამისმთევლებს, საკლავების ჭორცი იქ იჭმოდა, ტყავი დასტურ-ჭელოსნებს მიხქონდ, როსაც ჯვარში დაბრუნდებოდეს.

გამოლოცვა ხჭდებოდ ჩვეულებრივი წესით, გახყოფდეს ნახორსა-დ ტყავ-ჭორცს, იხუცებდეს გამასამალო ქადასა-დ, წავიდოდეს შინ.

ამაღლება

პირქუშში ამაღლება სამს დღეს იცოდეს. ამ დღეობისადაც დასტურები ისრ მეემზადებოდეს, როგორც სხვა დღეობებში. დროშათ ამბა, ღამისთევა – ჟამის წირვა აქ სრუ ჩვეულებრივად ას, ახალ წესი აქ არაი. ხოლოთ ადგილის დედაში იციან განსაკუთრებულ წესები. ადგილის დედა სოფლის პირში ას. აქ სხვა დღეობა არა იციან, გარდა მასანთებებისა. ამაღლებას დღეს სოფელშიით ყველა დიასახლისი მიიტანს თითოს ხავიწიანს ქადას, ზისცვარს (რძე), კუკუშულას (ახალამოღებული უმარილო ყველი). ადგილის დედას არც საკუთარი ხუცესი ხყავა-დ არც დასტურები, არც სხვა რაი აქე მამული-დ სხვაი. როსაც მასანთებ რა ექნებოდ, მაშინ სოფელშიით წაიყვანდეს ერთ-ერთ ხუცესსა-დ იმას მაანთებიებდეს. სოფელშიით რო ყველა მივიდოდ დიაცები, ერთ-ერთს ხუცესს უძახებდეს. ის აანთებდ სანთლებსა-დ შაუსახელებდ ადგილის დედას რაიც იყე მატანილი. ყველაის მატანილს ცალკ-ცალკე მააჭსენებდა-დ შაახვეწებდ ადგილის დედას: ადგილის დედაო, შენ უშველევ შენის მეხვეწურის კაცსაო-დ საქონსავ, ღალიან-ბარაქიან წელ დაუყენევ, ნურას მარცხსა ბირკოლს მახკერძებაო-დ სხვაი. ხუცობიდგე ყველა მეხვეწურს ცალ-ცალკე დაამწყალობნებდეს. მემრ ყველა დასხდებოდ, დაშჭრიდეს ქადებსა დაიდგამდ ყველა ტაბლას, ვინაც იქ დიაც-ყმაწვილ იქნებოდა, ჭამდეს კუკუშულასაცა-დ ზისცვარსაც. ქადას ოთხად გაშჭრიდეს, ერთ მეოთხედი ხუცესს შჩებოდა-დ მიხქონდ შინ. ხანდიხან ჯვარშიით ლუდიც მახქონდ. კოზით კარაქის მატანა იცოდესა-დ. ადგილის დედისად აგებულს კოშკის ქვებს წაუსვამდეს კარაქს, დახპოხდეს. ყველა ამ წესიდგე წავიდოდეს შინიშინ.

ჯვარმიე

ათენგენამდენ ერთი კვირაით წინ ააბემდეს პირქუშის დროშას, გაიდებდ მჭარზე მედროშაე, გახყვებოდეს თან დასტურ-ხუცესებიცა-დ დადიოდეს სოფელ-სოფელ. ჯერ თავის სოფელს შამაივლიდეს, ზოგი დამზადებული იქნებოდ ღამისთევისად, ზოგ კი მარტო ბანზე მიიყვანდ ჯვარ-დროშას, დახკლევდ საკლავს. თუ სასმელ-რა ექნებოდ, შაასმევდა-დ გაისტუმრებდ. ზოგ კი კარგა დამზადებულ შახვდებოდ ლუდ-არაყითა-დ ღამისთევა-ჟამისწირვას მააწყობდ ჩვეულებრივად.

პირქუშის ჯვარიონნი სოფელს რო შამაივლიდეს, მემრ გავიდოდეს სხვა სოფლებ'ში, სადაც ვინ გააწვევდ, უფრო სადაც ვინ ბაცალიგეულთ ქალ-დისწული

იყვ. ქალ-დისწულმ იცოდ ღამისთევებისად მამზადებაი-დ პირქუშის სტუმრება. ერთის კვირაეს იდენდეს სოფლებში. სადაც-ვინ ჯვარ-დროშას საკლავს შააკლევდ, ჴორცს იქ ჭამდესა-დ ტყავები ჯვარიონთ მიხქონდ.

ათენგენა

ათენგენის წინას წუხრას სოფლებშიით ჯვარშიაო-დ მივიდოდეს ჯვარიონნი. ჯვარიონნი რო სოფლებში სიარულს დაიწყებდეს, მაშინ დაეყრბოდ საათენგენო ქვაბებს. დასტურთ ვინაც სახლში კიდევ ხყვანდ, ან ესეებ ადუღებდეს ქვაბებს, ან კიდევ თუ ჴელმარტოები იყვ, ჯვარს ერთ-ერთ დასტურ გახყვებოდა-დ დანარჩენები ქვაბების დუღილს დაუბრუნდებოდეს. შულტაის დაჴმარებაიც ასეთას დროს იცოდეს. ისი ქვაბების დუღილსაც უშველა-დ დღეობის გადაყრამდენ სრუ ჯვარში იქნებოდ, მსახურობდ, როგორც დასტურები. გამალოცვის დროს შულტასაც აძლევდეს ჴორცისა, ნახვრის ნაწილს. თუ ბევრ ტყავებ იქნებოდ, მაშინ შაიძლებოდ რო ერთ-ორს ტყავსაც მისცემდეს. ჴშირად იყვ, რო ზოგ დღეობაში თითო დასტურს ცხრა-ათ ცხვრის ტყავი ერგებოდ, როსაც ბევრ ღამისთევები-დ მეზღვნეები იყვ. სასტუმროთ (სტუმრობიდან) რო ჯვარ-დროშა პირდაპირ ჯვარში მივ, იქ ყველა მამზადებულ დახვდებოდ. სოფელშიით მასულნ ჯვარიონნი მანამ დარბასში შავიდოდეს, ყველა წყაროზე გაიბანებოდეს, მემრ მასთხოვდეს მადლსა-დ შავიდოდეს დარბასში. დროშას კი გარეთი, თავის საბძანისში დააბძანებდეს. ჯვარიონნი ცოტა ხნის დასვენების შემდეგ შაუდგებოდეს სამზადისსა-დ ყველას წესრიგში მაიყვანდეს. კოდის გაჴსნა, ღამისთევაი-დ ყველა ამის წესები ჩვეულებრივად სრულდებოდ. ათენგენას პირქუშში ბევრ ხალხ მადიოდ, ბარში წასულები, ქალ-დისწული, ზოგი სხვაკნურიც, ვისაც მკითხაეისაგან ექნებოდ დავალებული პირქუშში საკლავის მიყვანა. უფრო ათენგენას მადიოდ, რაკი მკითხავებს უფრო ის სიტყვა-ი ხქონდ გასარულ, რო ჩემს ვარდის დღეობას მემსახურევ საკლავითავ, ან ღამისთევითავ. მაშინ გზებიც ყველგან იყვა-დ საკლავიც უფრო იშოებოდ (ვარდის დღეობა ნიშნავდა ზაფხულის დღეობას, რადგან მა'შინ მთაში ყველაფერი ყვავის და ამიტომ ჰქვიან ვარდის (ყვავილის) დღეობა, ხევსურეთში მთავარ დღეობად ყველა სალოცავებში ითვლება ათენგენა).

ათენგენას მასულ მეზღვნეი ჯვარისკარ დაბინავდებოდ, დიაცები ცალკესა-დ კაცებ ჯვარში მივიდოდეს, ზღვნები წადგებოდა-დ თითოობით დაამწყალობნებდეს მეზღვნეებს, იხუცებდესა-დ დახჴოცდეს ჩვეულებრივად ყველა საკლავებს. დასტურები ყველა მეზღვნეებს ტაბლას დაუდგამდეს (ამ დღეობაში ჴელოსნებიც ინათლებიანა-დ ხუცესიც). განათლულ რო არ იყოს ჯვარის ჴელ-კაცი, ამ დღეობაში ვერას გააკეთებდ. ტაბლას რო დაუდგამდეს, მეზღვნეებიც მადლს მასთხოვდეს ჯვარსა-დ წავიდოდეს შინ. გამამართულებს ჯვარივნებიცა-დ სოფელიც ლუდ-არაყის სმეეით შორამდინ გამახყვებოდ, თან უმღერდეს, დაუჯდებოდეს მუჴლითა-დ დიდის ხვეწნით ასმევდეს. გამართულებს ლუდით დაუვსებდეს ქინთებსა-დ ჩაუსხემდეს ხურჯინში, გზაზე სადაც დადგებოდეს, ან

სადაც ნაცნობ ხალხ შახვდებოდ,იქ სვემდეს ამ ლუდს. ათენგენა გაივლიდ ყველა ჩვეულებრივი წესითა-დ მეოთხეს დღეს გამაილოცევდეს.

სამთიბლო

(არხოტში ამ დღეობას "თიბისთავი" ჰქვიან. ბუდესხევსურეთში ზოგიერთ სოფლებში - სამთიბლო). სამთიბლოს თავის საკუთარ დასტური ხყვანდ. დასტურები ფქვილსა-დ სვეს სოფელზე ახკრეფდეს თითოს ნასამალსა-დ იმის ლუდს ადუღებდეს. თიბისთავისად ხყვანდ ორი ან სამი საკლავი არჩეული ბეგარაშიით (ბეგარას იღებდნენ საბალახო მოებიდან. ხევსურეთში ყველა სოფლებს ჰქონდა საზაფხულო საბალახო მთები, სადაც მოდიოდნენ თუშები, ფშავლები, მთიულ-გულამაყრელები და მოხევე მეცხვარეები. აქ აყენებდნენ ცხვრებს და სოფლელებს უსწორდებოდენ საკლავებით. სალოცავს ჰქონდა საკუთრად შეწირული მთები და მისი ბეგარი მთლიანად იხოცებოდა ზოგიერთ დღეობაში, მაგალითად, სამამკლოში, თიბის-თავში, წელწადში და ზოგიერთ სხვა დღეობაში. თითო მთაზე სოფელი ღებულობდა ოცამდენ ცხვარს. თუ ჯვარის საკუთარი მთის საბალახოდან იყო ბეგარი, მაშინ ცხვრებს ინახავდნენ დასტურები. თუ ჯვარისა არ იყო და სასოფლო იყო, მაშინ კი აღებისთანავე იყოფდა სოფელი). ბეგარი ჯვარისა იქნებოდა თუ სასოფლო, აქით აარჩევდეს სათაოებს (საუკეთესოებს) თიბისთავში., სამამკლოშიად წელწადში დასაჭოცლად. ვინიცობა იყვ რო ცხვარ ვეღარ დამდგარიყვ, მაშინ სოფელი სოფლის ცხვარშიით აარჩევდა-დ იყიდდ. საჯვაროდ თუ შეეეაჭრებოდეს, უარს ვერვინ ეტყოდ. მისცემდეს ერბოს ან ქერს, დააყენებდეს კაცებს, იმეებს ააკრეფიებდესა-დ აისრ ჩააბარებდეს ცხვრის პატრონს ფასს, რასაც სოფელი გადაუწყვეტდ. მაგალითად, ერბოზე ცხვარი ან ჭედილა 5 კილო ერბო ღირდ, ქერზე ხუთ საწყავი ქერი. ქერი წონით ერთ საწყავი ერთ ფუთ გამადიოდ. თიბისთავისად ლუდს საკუთარნ დასტურნი ადუღებდეს (თიბის თავს განსაზღვრული დღე არ ჰქონდა. მხოლოდ თიბას დაასწრობდნენ), მიიტანდეს ღამისამთელოს დასტურნი-დ გადაიჭდიდეს ჩვეულებრივ დღეობას ღამისთევით. მეორე დილას დაიწყებდ სოფელი მადენას, ზოგს საწირ მახქონდ, ზოგს შათქმული ხქონდ შასაწირავი-დ ის მახქონდ, ზოგ კი ჭელცარიელიც მადიოდ. სოფელ რო მაგროვდებოდ, მაასხემდეს საკლაევებს, ჩააბარებდეს დასტურებს. დასტურები მისულს ხალხს ხუცესთან ერთად დაამწყალობნებდეს. მემრ წაუყენებდეს საკლავებს, იხუცებდა-დ დახჭოცდ ბაცალიგველთ სამწყალობნელოდ. ერთს დახკლევდ პირქუშისად, ერთს გუდანის ჯვარისად, ეროს კვირაისად. საკლავები გადაეცემოდ სოფლისაგან არჩეულ ახალგაზდაებს. ისენ გაატყავებდეს, დაზდგემდეს ჭარჩამავლით ქვაბით წყალს (ჭარჩამავალს ეძახდნენ ქისტებისაგან შეკერილ სპილენძის ქვაბს, იმოდენა იყო, რომ ერთი ხარი ძვალ-ლეშიანად მთლიანად უნდა მოხარშულიყო შიგ, მაგრამ იყო პატარა ქვაბებიც, შიგ რომ ნახევარი ხარიც არ ჩავიდოდა, მაგრამ მაინც "ჭარჩამავალს" ეძახდნენ. ასეთი ქვაბები იხმარებოდა სასოფლოდ და ხორცის მოსახარშავად). (აქ არ იწერება საკლავების დაკელა, დამწყალობნება,

კოდისგახსნა, ღამის თევა და ჟამისწირვის წესები, რადგან ეს სხვა დღეობებში ყველაფერი ნათქვამია. სრულდება ისეთისავე წესებით). ლუდს რო სმენ, ყველა ხალხი ჯარის წესით სხავ, უნცროსს-უფროსობის მიხედვით. ფერჭისასაც იმღერდეს ამ სმის დროს, ფანდურზესაც იმღერდეს, თავჭმელადაც შაღმღერნებდეს ერთუცს. მეჭორცენი დააწილებდეს ჭორცს წვრილად, დააგებდეს ტაბლას. სატაბლო პურები სოფელშიით მახქონდ კვამლზე თითოი, ამ პურებზედ ვარაუდით ჭორცს დააწყობდეს. ზოგს ჯვარიონთად აარჩევდეს, რაიც კა იყვა-დ იქ წაუტანდეს. ტაბლაზე ლუდიანებს თასებსაც დაზდგამდეს,ხუცესი დაიჭერდ თასს ჭელჩია-დ ეტყოდ ტაბლას შანდობას ანდაბისად: "ღმერთო და დიდო პირქუშო, ცეცხლის ალიანო! დიდება თქვენდა, ღმერთო და დიდო პირქუშო თქვენ უშველეთ ბაცალიგველთ, ბედ-დავლათ დააჭმარეთ, მშვიდობით ატანილ ცელ-ნამგალი მშვიდობით დაადებიეთ, ნამაშვრალ-ნამუშეელს ჯვარ დაუწერეთა-დ მშვიდობას მააჭმარეთ ნათიბ-ნამკალი. ღმერთო-დ პირქუშო, თქვენის დიდებითა ჩემის სიტყვის მაჭსენებით, სააქაოს ნათქვამი თუ საიქიოს მიდიოდას, წესი სამართალი იყვას, სულწმიდათ შანდობა ერგებოდას; ხთის წესითა, მღდლის წესით, იერუმსალეთის ნათლით, ქრისტეს გარიგებით, ზედამჩოების დღეგრძელობით, სადაც თქვენ ხართ საბაცალიგველოს მამ-პაპანო, თქვენ ანდაბი ას. თქვენი მანდაურის წესით ყოფა-ცხოვრებაი-დ თავისობაი ას, უფროს უნცროსობა-ი ას, თქვენსამც წინ ას ეს გარიგებულ ტაბლაიც, სადიდებელიც, თქვენსამც ნებას ას, ცოტაიმც დიდად მაგიდისთ, რიოშიმც წმიდად მაგიოსთ, ფერუქცეველად, წაუქცეველად. თუ ვინ მაგბრუნევდასთ, სიძე-ცოლეულ-იყოსა, დობილ-ძმობილ იყოსა, გვარისა-დ ადგილის მამყოლ ვინ იყოსა, უპატრონო ცოდვილ-საბრალო სულ-მკვდარი იყოსაე-დ ბაცალიგოს შანდობას გამაელოდას, ჩვენ ვერ ვგონობდათ, თქვენ მანდიურის წესითა-დ სამართლითამც დაიწევთ, ძალითამც ნუ ვინ გამაეკიდებისთ, თქვენითამც ნებით გახკვლევთ, თქვენიმც საგძალ-საჭმარი-დ საიაღოი ას, ჭელსამც გახკრავთ, კალთასამც გაიხვევთ, მსჯელსა-მჯავრესამც გარიდებსთ, სამძიმარსამც გიზუბუქებთ. შაგინდნასთ ღმერთმ, ქრისტიანობის გამჩინარმ, მაგაჭმარასთ თქვენს დიდსა წვრილს, თქვენს ანდაბას.

– შაუნდნას ღმერთმ! – იტყვიან ყველანი. ხუცესი თავის თასშიით გადაღვრიდ ტაბლაზე ცოტას ლუდს,მემრ ტაბლაზედ რაიც თასები იდგ,იმეებსაც დაარიგებდესა-დ ყველა დაილოცებოდ: 'ბაცალიგველნო, გწყალობდასთ პირქუშის დავლათი, მშვიდობით გამყოფნასთ, თიბად-გაე მშვიდობისა-ი გაქვთ, წელ მშვიდობისაი-დ ღალიან ბარაქიანი დაგიყენასთ. ერთუც გიცოცხლასთ, თქვენ ამჯობინას თქვენის მტრისას, დავლათ ნუ გაგიტეხასთ, თვალ-გულ ნუვისა მაგრივასთ, ნუ გამალივას თქვენს სოფელში ჭმლიანი, ჭმიანი, კაცთ კითხულ კაცი. ჯვარიონთ მაგცასთ წყალობა, ჭელოსან – გამძღობართ, დასტურს დასტურობა კლოვ უკეთით გულით მაგკერძასთ. 'შაუნდნას ბაცალიგველთ ანდაბს კი, ეს სასმელიცა-დ გარიგებულ ტაბლაიც, მააჭმარას, ზედამრჩოს, სოფელს ჯვარ დასწერას, სულის საგონებლად ნუ დალივნას, ახალი საგონებ-საჭსენებ სულ ნუღარ მისცას.

– "შაუნდნას ღმერთმ!" – კიდევ გაიმეორებდეს ყველანი. შანდობის ტაბლაზე შამღერნება არ იცოდეს, მარტო დაილოცებდესა-დ თასებს გამასცლიდეს. მემრ ზედამდეგები ყველა ხალხს მიიყვანდესა-დ მწკრივზედ დასხემდეს.

დაგებულს ტაბლას მიიტანდეს, დაზდგემდეს ხალხის წინა-დ იტყოდეს: "ღმერთო, გაუმარჯვი პირქუშსა-დ, პირქუშო, შენ სწყალობდი ბაცალიგველთ მოჯარეთ, ამ ფეკ'ზე მდგომებს ჭელფეკი შაარჩინი". ამ ტაბლას რო დაზდგემდეს, ყველანი იტყოდეს აქ თქმულს სიტყვებს, ფეკზე მდგომებიც, ტაბლაზე ნასხდომი ხალხიცა-დ შაუდგებოდეს ჭამას. მდგომებს კარახანაებსაც დაუდგემდეს, ხოლოთ შამღერნება არც კარახანაზე იცოდეს ამ ტაბლაზე. ბოლოს ყველა წესები მოთავდებოდა-დ წავიდოდ ხალხი შინ.

ამ დღეს სოფელში არცრა არ იცოდეს, მარტო ჯვარში სვემდ ხალხი. დიაცებს არცრა ჯვარშიით მაუდიოდა-დ არცრა სოფელში ხქონდ. ამ დღიდგეს შაუდგებოდ ყველა თიბისად მზადებას, ცელსაც ნამგალს გამახკვრევდესა-დ სამშაბათს ჭირის პატრონის კარში მივიდოდ ყველა.

თიბის შამშაბათი

ხევსურეთ სათიბლად ყველგან თიბის შამშაბათს იცოდეს გასვლაი. პირიქითაცად პირაქეთაც (ამ თიბის სამშაბათზე საუბარი სხვადასხვა თემ-სოფლების დღეობებშია. აქ მოკლედ მარტო განსაკუთრებულ წესებს შევეხები). თიბის სამშაბათს იცოდეს ყველამ სათიბზე წასვლა დილას მალედ, თუ სოფელში ჭირის პატრონ არვინ იქნებოდ. ჭირის პატრონ თუ იქნებოდ კი, იმის ხათრით დილას საქმეზედ, მტერიც რო ყოფილიყვ, ისიც არ წავიდოდ. დილას ჭირის პატრონი ყველას შინ აწევდ. დიასახლისი ან ხაეიწს ადუღებდა-დ ან ფაფას, ტაბლას მაუტანდეს სოფელსად ზედ ხაეიწიანებს, ან ერბოდასხმულ ფაფიანებს ჯამებს დაუდგემდეს, თაოდ მასპინძლები ფეკზე დადგებოდესა-დ ასმევდეს ხალხს არაყს. დიაცები ტალავართ გაშლიდესა-დ ტიროდეს. ძახილ'შიაცა-დ ჭმითტირილ'შიაც ყველა იძახდა რო ადეგივ, ხალხივ სათიბლად ემზადებისავ, ცხენი გყავაო-დ საქონივ დასაკვებავივ. შენავ არც ცელის იარაღი გაქვავ დამზადებულიო-დ არც ხფიქრობავ საქმეზე წასვლასავ.

შენი კაცობა რაჭელიაო,
ბებერს მამასა ათიბვიებო,
დაწირულ ცელი-დ საფარცხველიო,
მეორედ რად ააღებიეო,
გენაცვლოს შენი ნათულაიო,
შენ ხო დიდხანს ძილ არ იცოდიო,
გათენებამდინ ამაზდგიდიო,
მანამ მთიბლები მავიდოდესო,
ნამჭრევნ სათავეს შახყარნიდიო.
მასულებს მთიბლებს დახკივლიდიო!

ტირილს რო გაათავებდეს, დიაცებსაც მაუტანდეს ტაბლას. მემრ ან ჭირის პატრონის სათიბზე წავიდოდესა-დ ან თავ-თავის სათიბ'ზე. ჭირის პატრონის სათიბზე მაშინ წავიდოდეს, თუ ისეთ ვინ იყვ მკვდარ, რო იმ ოჯახში მთიბელ აღარვინ იყვ დამრჩალი.

ამ დღიდგეს იწყებოდ თიბაი. უქმებსაც იჭერდეს ამ დღიდგეს ოთხს დღეს – პარასკევს, შაბათს, კვირაესა-დ ორშაბათს, სამს დღეს მუშაობდეს მარტო. დანარჩენს დღეებში მდიდარ თუ ვინ შახყრიდ მუშას, თორემ ღარიბი ვერ, იმით რო ბევრ ხარჯ უნდოდ. ერთ საკლავ უნდოდ უქმის სანათლავა-დ, მემრ ხავიწი, ან თეთრა უნდოდ. დილას მუშეებს რო აწევდეს, ნაყრად ფაფას ჭამდეს ერბო დასხმულს. მემრ სათიბზე რო წავიდოდეს, ხავიწს, პურსა-დ სატანს წაიღებდეს. მესადილე უნდა წაელალა, წაეტანივ სადილი ან კეცეულები-დ ან თეთრა (თეთრა იცოდეს მარტო პირაქეთ ხევსურეთში. თეთრა ერქვა ერბოს, რძეს და ფქვილს ერთმანეთში მოხარშულს). მესადილე ფეჭზე დადგებოდა, მეწყლეიც (მთიბლებს ერთი ყმაწვილი წყლის მომტანად ყავდათ, რომელსაც მეწყლეს ეძახდნენ). მასპინძელიც ფეჭზე იდგა-დ არაყს ასმევდ მთიბლებს (არაყი უნდა ჰქონოდა აუცილებლივ დამზადებული). პურის გატეხაში დაილოცებოდეს: "ღმერთო, გაუმარჯვი მასპინძელს, მააჭმარი მშვიდობას მუშათ ნამუშაველიცა-დ თავისაიც. გაუმარჯვი ამ მუშაებსაც, შაურჩინი ჭელი, მჭარი". ყანწის დალოცვაშიაც ეესრ დაილოცებდეს: "მასპინძელო, აგაშენასთ ღმერთმ, ბარაქა მაგცასთ, მშვიდობით გამყოფნასთ, მუშათ ნამუშეელიცა-დ თავისაიც მშვიდობას მაგაჭმარასთ. მუშეებო, თქვენ თავიც დაულოცას, ჟჯილობა ნუ დაგიკარგასთ, ჭელ-მჭარ შაგარჩინასთ, მასპინძლის შველვისად, კაით გიშველასთ". სადილობას რო გაათავებენ, მუშები ადგებიანა-დ ერთუცის მემჯობიანე თიბენ. მუქარობა იცოდეს, ვინც მეტს გასთიბდ, ან ნამჭრევთ წინ შახყრიდ სათავეში, ან ღვერაის გატანაში ჯობდ სხვა მთიბლებს, იმას მასპინძელი წუხრ ნადუღარს საკლავის თავს მიუტანდ ცალკე: თუ თიკან იქნებოდ, თიკნის თავს მიუტანდ. ეს ძალიან დიდს პატივისცემას ლიშნავდ. იყე შამთხვევა, რო ამაზე შუღლიც მახჭდებოდ, რო მე მერგებოდავ თიკნის თავივ, ეგივ ჩემზე მეტს რას თიბდავ. მეორეს დღეს სოფელში იკითხევდეს-ვინ ჟჯობდავ მუშაშიავ, ვის დაშჩავ თიკნის თავივ (თიკნის თავ იმიტომ არის ხშირად სათქმელი, რომ მუშაში თიკნის დაკვლა უფრო ხშირად იცოდნენ და სხვა საკლავიც რო დაკლულიყო, მაინც თიკნის თავს ახსენებდნენ ასეთ შემთხვევაში). ხან შამღერნებაიც იცოდეს ერთუცისად:

მეთაურმა დაუძახა: "მეკუდურო ხარღაეო!

თიკნის კოსროს გარმაგიგდებ, გახვრა შაგიძლავღაეო"?

მთიბლებმ ძალიან ჯაბრობა იცოდეს ერთუცისად თიბაში. მღერაიც იცოდეს მთიბლურად. მთიბლურად მღერას მეორენაირად გვირინი ხქვიან, მესამენაირად ცელის ტარზე მღერაი. ეს მღერაი ას ძალიან ხმამაღალი, რაიც კი შაუძლავ კაცს. იძახს ერთ კაცი, თან თიბს. სიტყვებს ბოლოს ქვე გაუგძელებს. ცელის ტარზე უფრო ჭმითნატირლებს იმღერდეს. საკუთარ სიმღერეებიც კი იყვ ცელის ტარზე სამღერლები. ერთ მარტო კაციც იმღერდა-დ შაიძლებოდ რო ჯერ ერთ იმღერებდა-დ, მემრ სხო; მეორე გაიმეორებდ ამავ სიტყვებს, ესეთითავ კილოთ. ისრაც იცოდეს ეს სიმღერა რო, თუ ჭმას გაიგონებდ, თუნდა სიტყვისთავ ვერ გაერჩივ, წინა მამღერალ რო სიტყვისად ჭმის გაგრძელებას გაათავებდ, მეორე მთიბელი იმღერებდ შორს (სათიბ მთებში წყალი ახლო არ არის და ხმა ძალიან შორს ისმის ასეთი სიმღერისა). ჭმით ნატირლებს უფრო ჭშირად იმღერენ. შრომისა-დ დაღალულობის სიმღერე ცელის ტარზე ჭშირად არ იციანა-დ

თუ იმღერებენ, როსაც ძალიან დაღალულები იყვნეს მაშინ უფრო, საკუთარ სათიბშიაცა-დ მუშაშიაც:

ეხლა მავდა წუხრი-ხანიო,
დატკბა მუშაი, დაგემნივრდაო!
ზოგის ვაჟისა მადის გვრინიო,
ზოგისა მადის – რა ექნა დედაო,
ზოგი ცელს ლესავს დაღალულიო,
ზოგ ტკივილს ჩივის მჭრებისასაო.

* * *

მე გიგაი ორ გიგაურიო,
ბევრა ვაჟ შამიწუხებიაო,
დილას მყვირალი ჭარ-მაზვერიო,
წუხრისად გამიჩუმებიაო.

ასეთივე მთიბლურად სამღერალ სიმღერები ბევრნაირი იციან. მესადილე რო შინ დაბრუნდებოდ, მაღგვრიდეს ცხვარი იქნებოდ თუ თიკანი-დ დახკლევდ. სისხლს მიწაზე არ ჩაუშობდ, დაუდგემდეს ან ქვაბსა-დ ან ბაკანს. ჭორცს ახფელკევდეს, ჩაზდგემდეს. თიკნის ტყავ თუ იქნებოდ, ღვედებად დახევდეს, რამთვენიც მთიბელ იქნებოდ, იმთვნად გაანაწილებდეს. ჭარის ბეჭისგან საძვრენა იყვ გაკეთებული. იმაში ამააძვრენდეს ღვედს. ისრ იყვ მაჭერჭებულ, რო ბეწვს გაიტანდ თავის ძირიანადა-დ სუფთა ტყავ დარჩებოდ. იმას აჭმობდესა-დ ინახევდეს ჯღნების, ან სხო წვრილმანის რაის საკერავად. ეს ღვედი იმთვნად დაიხეოდ, რამთვენიც მთიბელ იქნებოდ. თიკნის ჭორც რო იდუღებდ, მესადილე ამაიღებდა-დ დააწყობდ ტაბლაზედ. სისხლს გასთქვეფდა-დ ჩაასხემდ მდუღარეს წვენში. ველის ქონდარას ჩააყრიდ ადუღებულს წვენში. წუხრ რო მუშან მავიდოდეს, მასპინძელი გაუმართევდ ოჭშამს, როგორც ვთქვით. ვინაც მეტს თიბდ. თიკნის თავს იმას მისცემდეს, სხვას ყველას ერთნაირად დაუდგემდეს ტაბლას. ამის გარდა, ზამთრის კიდევ იცოდეს მთიბელთ სადილი. მასპინძელს როსაც ექნებოდ, ზამთარში, მაშინ გამასწურეევდ არაესა-დ აწევდ ყველა მთიბლებს, რომნებიც იმას ეტანნეს ზაფხულის. გაუმართევდ დიდს სმას, სრუ ერთი იყვ ზამთრის როსაც უნდა ექნ მთიბელთ სადილი, ხოლოთ აუცილებლივ კი უნდა ყოფილიყვ. მთიბელთ სადილ რო არ ექნ, მეორეს წელს აღარვინ დაეტანებოდ მთიბელ'ში.

მუშაში არვინ დეეტანებოდ, თუ ცოტა ფასს მაინც არა მიეკ. უქმის მუშას ნახევარ ფასად ანგარიშობდეს. ან უნდა ჭელნაცვლად დასტანებიყვნეს ერთმანეთს – ჯერ ერთ შახერიდ მუშათა-დ მემრ სხოი, დეეტანებოდეს ჭელნაცვლად. მუშათ 'მაყრას ამთვენ ხარჯ უნდოდა-დ იმით უჭირდ ყველას მუშათ 'მაყრაი. – უქმ 'მაყინახათავ, მდიდარ ხალხი ობძოდ მუდამ. ჯვარიანებიც იმათ მჭარე'ხედ იყვნესა-დ, რასაც ჯვარის გამბლოლნი იტეოდეს, იმას ვინ გადაუხვევდ. ნამეტნავად უქმისა-დ ღლეობის საქმე'ში. თიბაში არა მარტო ეს უქმეები იცოდეს, ერთხან ისით გძელ უქმ მავ, რო ექეს ღლეს ინახევდესა-დ კვირაში მარტო ერთს ღლეს მუშაობდეს. თუ ვინ უქმს გასტეხდ, მაიკვეთდესა-დ ან დაარისხებდეს ჯვარში. მაკვეთა იცოდეს ისრ, რომ ხოფელი შაიერებოდ,

საჯვარო წესრიგის დამრღვევზე ისაუბრებდეს. მაიყვანდეს ერთს სასოფლო საკლავსა, დახკლევდეს. ვინაც მასაკვეთი იყვ, იმას არც დაარისხებდესა-დ არც დაამწყალობნებდეს. ხოლოთ სოფელს შაახვეწებდეს, ვინაც სოფლის პირს შაინახევდა-დ არ გასტეხდ. დაარისხებდეს იმას, ვინაც გასტეხდ სოფლის პირს. ხუცესი გამააცხადებდ სახალხოდ: "ესად ეს კაცი სოფლის პირის ჩაშლაზე მაკვეთილი ას სოფლისგან (დაასახელებს მისგან ჩადენილ დანაშაულს). ჯვარსაც მაგდიოდასთა-დ კაცსაც! დღესიდგეს მაგას ჩვენ მეზობლობა აღარ ეთქმის. ეგ მაშორებული ას, მაკვეთილი. მაგისა საქონი საქონში ნუ გაერევისა-დ კაცი კაცთაში ნუ მავ. ცეცხლ არ ექნების, ცეცხლ არვინ ჩაუდოს. ცეცხლ წაეკიდების, ცეცხლ არვინ გააქრას. მაკვდების ვინ, დასამარხავად არვინ მივიდას. დიაც დედათაში ნუ გავ მაგათაი-დ კაცი მამათაში. იყვნან, იცხოვრან თავისად. ეგენი სოფლის პირს არ ეპოვებიანა-დ სოფელს რადაღ უნდ მაგათ თავი. თუ ეგენი უსოფლოდ იქნებიან, სოფელიც იქნების უმაგათოდ, სოფლის პირის დამრღვევნი. სწყალობდას პირქუში იმ კაცს, ვინაც ამ პირს მტკიცედ შაინახავს, მაგათ არაად გაიკარებს, მაგათ არაში მიეშველების. ღრისხევდას პირქუ'შის ძალი იმ კაცს, რომენიც ჩუმად მაგათ არაში მიეშველების. ღრისხევდას პირქუშის ძალი იმ კაცს, რომენიც ჩუმად მაგათან სიარულს დაიწყებსა-დ სოფლის პირს ვერ შაინახავს. ხო გაიგონეთ ხალხნო, რა ამბავია, როგორ ტეხენ სოფლის პირს. გაუწყრას სოფლის პირს გამტეხსად, წყალობა მისცას სოფლის პირის გამმაგრებელს საკლავს დახკლევდესა-დ სისხლს ყველა იქ მყოფებს მასცხებედეს შუბლზე. დააგდებდეს საკლავს გვერდზედა, კიდევ დაამწყალობნებდეს სოფლის პირის გამმაგრებელს"! სოფელი შინ წავიდოდა-დ ტყავ-ჭორცი ჯვარიონთ შჩებოდ. ამ დღიდგეს იყვ მაკვეთილი. სოფელში არცვინ ზძრახევდ, არცვინ რაში დაეჭმარებოდ, ცხვარ-საქონსაც გამაურჩევდესა-დ იქნებოდ ცალკეს მანამდენ, მანამ სხვას სოფელშიით კაცებს არ მაიყვანდ, სოფელს არ შაახვეწებდა-დ საკლავს არ მიღგვრიდ ჯვარში. შაეხვეწებოდ სოფელს, სთხოვდ ძველის დანაშაულის პატიებასა-დ ახალზე პირობას დაზდებდ, რო აღარ ჩავიდენავ დანაშაულსავ. მემრ სოფელიც აპატიებდა-დ შაღრიგდებოდ. იმის მიყვანილი საკლავი დაიკლოდ მიმყვანისა-დ სოფლის სამწყალობნოდ. ხუცობა-კურთხევა საკლავისა ჩვეულებრივად იცოდეს, ხოლოთ ახვეწებდ ყველა სოფლელებს მაკვეთილსაცა-დ მამკვეთებსაც: "დალოცვილო, აპატიეე შენს კარზე ქოთიოდ ლოლოქარივ, რისხვის მაგიერ წყალობა მიეციო-დ შანაცოდვარი შაუნდევივ. დანაშაულიო-დ ლოლოქარ პირის-ქარივ,უამსაო-დ,უჟამოს შამაძახილივ". უქმის გატეხაზედ ესრ იცოდეს ჯვარში მაკვეთაი. სხო-რა დანაშაულზე ძაღლის მაკვლა იცოდეს, ან ციცაის ჩამარჩობა, ან ძაღლისად ცემაი. მაგალითად თუ ქალი დედ-მამაო უნებურად გათხოვდებოდ, იმის მშობლები მაიკვეთდეს, აიტანდ ჯოხს მამა, ან ძმა, მაიყვანდ ძაღლს, დახკრევდ ჯოხსად იტყოდ: "ყველას მაგდიოდასთ ქვასაც, ხესაც, კაცთაც, რო მე მამიშორებავ (სახელს იტყვის დამნაშავისას და დაასახელებს დანაშაულსაც). მე იმას არ ვიტყვი, რო ეგივ ჩემ რაიმ ასაო-დ ეგი იმას ვეღარ იტყვის, რო მე ვინამ მყავავ, ან მისვლა ვისთანამ შამიძლიავავ. ეგდას ძაღლ, ძაღლურად. ეს ძაღლი ჩემთ მკვდართად იყოს, თუ მე მაგას თავისობაიღ უთხრ. შამრცხვენელიდ მამთხრელ-მამბზარავი". ამ სიტყვებით

რამთვენჯერამ გაიმეორებს ძაღლისად ჯოხით ცემას. მემრ გაუშობს ძაღლს. მაკვლაიც იცოდეს თოფით ძაღლისაი. თუ დიდს დანაშაულზე ვის იკვეთდეს, თუ ქალ-ვაჟს რა დაეთქმოდ ერთად ცუდი, ან სხო ამის ფერ რა მახჭდებოდ, სახლისკაცების ნაყვანის (ნაცოლარის) მაყვანას თუ ვინ გაღბედავდ, იმას სამუდამოდ მაიკვეთდეს. გაიყვანდეს ძაღლს ველადა-დ თოფს დახკრევდეს, მაშინაც იმას იძახებდეს რო მამიკვეთავავ, ყველას მაგდიოდასთავ: ქვასავ, ხესავ, პირუტყვაესავ, კაცთავ, რო ჩემგან მაშორებული ასავ. მახკლავს ვინავ, არ ვიპატრონებავ, თუ მაგან ვინ მაკლავ, მე კარზე არა მამიდგასავ, ეგივ ჩემგან მაშორებულიავ.

თუ გვარი გვარს გადაეკიდებოდ, მაშინაც იცოდეს შათელა ერთუცისად, რო გაგვაგებივანავ ჩვენდ ბძოლაში ვინ უდგასაო-დ ვინ არავ (გვარებში კიდევ იყო ქვეგვარები და უნდა გაეგოთ რომ ჩვენთან საბძოლველად ყველა ქვეგვარები ერთი მეორეს ემხრობიან თუ არაო? ხევსურულად – ქვეგვარს: მამას უწოდებენ. ქვეგვარებად გაყოფას – მამ-მამად დაყოფას). თუ ყველა არ უდგასავ, მაშინ გააგონანავ კაცთავ მაკვეთაიო-დ ჩვენავ ყველას არ ვემტერებითავ.

ესეთ მაკვეთა სამნის ჩადგმით იცოდეს. ერთ მამა როსაც მეორეს ეყრებოდ, მაშინ იმ მამის კაცნი ყველანი მივიდოდეს ჯვარში, მიიყვანდეს ერთს საკლავსა-დ შაეხვეწებოდეს პირქუშს (თუ სხვა სოფელში ხჭდებოდა, იქაურ სალოცავს შეეხვეწებოდნენ), დალოცვილო პირქუშო, ნუ შაგვისაწინდებივ შამაძახილზედავ, ჩვენ არ გვინდოდავ მაგათგან გვარისა-დ ძმობის გაყრაივ, მაგრამ ჩვენად უნებურად ხჭდებისავო-დ ამისად შენს კარზე შამაჭდომასა-დ შამაძახილს ნუ შაგვანანებავ. მემრ მაიტანენ გძელს ქვას, ამასთხრიან ერთს ალაგში სად მიწასა-დ ჩაზდგმენ ქვას. მემრ დააყენებენ იმის გვერდი საკლავსა-დ იხუცებდ ხუცესი ჩვეულებრივ ხუცობას. ხოლოთ ჩაურთევდ შიგ იმას, რო შენ ნუ გაუწყრებივ პირქუშო, გვარისა-დ ძმობის გაყრაზედავ. იქამდინ მიუვიდავ მაგათავ საქმეივ, რომავ გვარის გაყრა იქნავ საჭიროივ. შენ შამაგძახანაო-დ გეხვეწებიანავ.

ხუცობა-კურთხევა რო მათავდებოდ, საკლავის სისხლს ზედ სამანზე ჩაადენდესა-დ ამ დროს ამ გვარის ერთ-ერთი უფროს კაცი ჭმამაღლად იძახებდ: "შამაგვიძახნებავ, დალოცვილო პირქუშო, ჩვენს გვარში ძმობის გაყრაი-დ შენ გაიგონი. ჩვენს შამაძახილზედა, ლილოქარზე ნუ შაგვისაწყინდები. ჯვარსაც მაზდიოდას, კაცთაც, დღესიდგეს ჩვენ ძმანი აღარ ორთ (ქვეგვარის სახელებს იტყოდა-ესა და ეს მამაო). დღესიდგე ჩვენს ძმობას სამანი აქე შუაზე ჩადგმული-დ ერთუცის სახელ-სირცხვილი ჩვენ აღარა მაგვეთხოვების. იმათ თავის სახელ-სირცხვილი თავისად დაშჩებისა-დ ჩვენ თავისად.

ამის შემდეგ მესისხლე მტერიც რო ყოფილიყვ, მამკვეთს მაკვეთილის სახლისკაცების დანაშაულზე პასუხს ველარ მასთხოვდეს. თუ წინავ მესისხლეს მონასავით იყენებდეს, ძმობის გაყრიდგე ჭმას ველარ გასცემდეს. ცუდის საქმის რაის ჩადენაზე შაიძლებოდ რო ძმა ღვიძლს ძმასაც მაიკვეთდ აქ ნათქმის წესითა-დ მემრ ძმის დანაშაულზე ძმას ჭმას ველარაივ გასცემდეს მაკვეთილიავ, ძმობა-ი აქვავ გაყრილივ. მაკვეთა მაძახურობითაც იცოდეს. ეს კი მზუბუქად მაკვეთა იყვ. იქავ შარიგებაი-დ გვარის შაყრაიც შაიძლებოდ. მაძახურობა იმას ექვნივ, რო გავიდოდ მაღალს ბანზე ერთ კაც-დ იძახებდ ჭმამაღლად:

“ყველას მაგდიოდასთავ რო მე ესა და ეს კაციე, ან მამიშვილობა ძმად აღარ მინდავ. დღესიდგეს მე ძმობა გამიყრავავ მაგათანაო-დ ჩემ სახელ-სირცხვილზე მაგას ნურა მაეკითხებისაო-დ მაგის სახელ-სირცხვილზე მე ნურა მამეკითხებისავ. ამასაც კაცთად გაგონება ექვივნა-დ, როგორც ვთქვით, მაკვეთილად ითვლებოდ. ეს კი უბრალო იყვ. შარიგებაიც მარჯვედ მახჭდებოდ. სამნის ჩაგდებას აღარა ეშველებოდ, ამას აღარცაით იქნებოდ, თუ ძმობა უნდოდ, სამან უნდა ამაეღა-დ გადაეგდ, თუარადა ძმობა აღარცაით იქნებოდ. სამნის გადმაგდება გვარის დაღუპვად ითვლებოდ, ამას არვინ იზმოდ. ძაღლმაკლული-დ ძაღლისად ნაცემიც შაიძლებოდ რო იქავ მამჭდარიყვ შარიგება. “ძაღლ დაიჭსენივ” იცოდესა-დ მემრავ იქავ ძმან ვიქნებითავ. მემრ ვინაც მაკვეთილი იყვ, იმან უნდა დაკლას ერთი საკლავი ძმობის შასაყრელი”.

იცოდეს კიდევ საწყევარაის აგება. ისიც ძაღლის მაკვლას უდრიდ. ერთს ცოტას კოშკს ააგებდეს ქვაკაცაის ოდენასა-დ ამის აგებაშიაც ამგები იძახებდ: მამიკვეთავ, მამიშორებავავ ესა-დ ეს გვარივ, ან კაციე. ამ ციხიაზედ რამთვენიც ქვა დავდევივ, ამთვენ ძაღლი-დ ციცა იყოსავ ჩემის მკვდრისადაცაო-დ იმისადაცავ, ვინაცავ ჩვენდ ძმობა-ი თქვასავ. საწყევარაის აგებით მაკვეთილი იქავ შაიძლებოდ შარიგებულიყვ, ამასაც ერთ საკლავ უნდოდ ძაღლ-ციცეების დასაჭსნელად, რაიც მაშინ აგების დროს თქვეს. თუ საკლავით არ დაიჭსნეს მკვდართად ნაწირი, არ შაიძლების, მკვდართად ას ცუდი. თუ საკლავი დაიკლა კი, მაშინ მკვდართ შორდებოდ ნაწირ-ნალანძღავი. ციცაის ჩამორჩობა იცოდეს კიდევ ქურდის მკვდართად. თუ მახპარევდ რას ვინა-დ პატრონი ვერ გაიგებდ, მაშინ დამკარგავი დაარჩობდ ერთს ციცას, თვალსაჩინო ადგილზე, სად დახკიდებდა-დ იძახებდ: “ეს ციცაი იმის მკვდართადამც იქნების, ვინაც მე ეს მამპარ, კიდევ იმის მკვდრისადამც იქნების, ვინაც რა იცის, დაღმალავსა-დ არ იტყვის”, ასეთას ამბავზე ჭშირად იყვ შემთხვევა რო ქურდ გამაჩინდებოდ. ის ციცა იქ ეკიდ, მანამ ან ქურდი არ გამაჩინდებოდა-დ ან თაოდ არ ჩამავარდებოდ: იმის ჩამამკიდები, ჩამაკიდების დროს იძახებდ, რო ვინაც ეს ციცა ჩამააგდასავ, იმის მკვდრისად იყოსავ. ამის შიშით იმას არცვინ არ ჩამააგდებდ.

(ასეთ შემთხვევას მე სოფ. ბარისახოში დავესწარი 1914 წელს ზაფხულში. სოფელ გველეთიდან დაიკარგა ხარი ბეწინა არაბულისა. ბევრი ძებნის შემდეგ ეჭვი მიიტანეს რომ ის ხარი ბარისახოელებმა დაკლეს, მხოლოდ არ იცოდნენ ვინ დაკლა. ბარისახოს სოფლის ბოლოში პატარა მოედანია, სახელად გუდელა ჰქვიან. მე და ორი სხვა ჩემი ამხანაგი თიანეთიდან მივდიოდით არხოტისაკენ და ამ ხსენებულ მოედანზე დავისვენეთ, ამ დროს მოვიდა ბეწინა და ჩვენთან დაჯდა, გუდა ეკიდა ზურგზე, მოიხადა გუდა და წინ დაიდო. შევნიშნეთ რომ გუდაში რაღაცა ფხაკუნობდა. შეეკითხეთ რა არისო. მან გვიპასუხა: “ამ ბარისახოელთ ჭარ მამპარეს, კვალიც აქ მავიდა-დ ეჭვიც აქ მაქვ, მაგრამ ერთუცს არ ტეხენ. ეეხლად ემ ციცას იმის მკვდრისად დავხკიდებ, ვინაც მამპარ, ან ვინაც იცისა-დ არ თქვას, მესამეს იმის მკვდართ ჩავატან, ვინაც ეს ციცა ჩამააგდას აქით”.

ცოტა ხანი დაისვენა, ადგა მივიდა იქვე ახლო მდგარ პანტის ხესთან. ავიდა ხეზე, ამოიყვანა გუდიდან კატა, გადაუდო ყელზე წნელი, წაუჭირა და დაჰკიდა ტოტზე. თან იძახდა “ეს ციცაიმც იქნების ჩემის ჭარის ქურდის

მკვდართად, ვინაც-რა იცოდასა არ თქვას, იმის მკვდართად, ვინაც აქით ჩამააგდებს, იმის მკვდართად". ამ სიტყვებით ბეწინა ხიდან ჩამოცოცდა და წავიდა გველეთისაკენ. ეს ბარისახოელებმა თურმე ძალიან იწყინეს, რად დაგვიკიდა სოფლის ბოლოში კატაო, მტერობა და ჩხუბიც ჰქონდათ, მაგრამ კატა კი იმის შიშით ვერავინ ჩამოაგდო, რადგან ბეწინას ისე ჰქონდა ნათქვამი, რომ ვინც ჩამოაგდებდა "კატა იმის კვდართ ჩაადნებოდა". მაგრამ ქურდი კი მაინც არ აღმოჩენილა. ბოლოს ამბობდნენ, რომ კატა ისევ ქურდებს ჩამოუგდიათ და უთქვამთ: ესლა ვინც დაჰკიდა, იმის მკვდრებისად იყოსო, გამოტეხით კი მაინც არ გამოტეხილან).

ეს ყველა იმაზედ მახყვ რო უქმის გამტეხისა, სხვა რო ვერას უზმოდეს, მაკვეთა იცოდეს. საკლავს დახკლევდეს ერთს ჯვარჩიად აისრ მაიკვეთდეს.

სახალხო უქმეებში ჯვარის-ყანებ კი იმკებოდ. ხოდაბურებს ხო მაინც უქმში მკიდესა-დ სხვა სადასტუროები-დ საზიაროდ მაჭნულებიც. ყველაისად ერთნაირად ნება მიცემული იყვ მკაი. ჯვარის ყანა ვისაც ხქონდ სამკალი, აქ დღიურ მუშაებსაც იშველიებდეს, რაკი უქმის მუშა იაფი ღირდ. ქირაობდესა-დ ამუშაებდეს ხალხს. არც თიკნის დაკვლა უნდოდ ჯვარის ყანის მკაშია-დ არც რა სხვა ბევრ ხარჯ იცოდეს. უქმები გრძელდებოდ სამკლის გათავებამდინ. ხანდახან კი ჯვარის ყანებ რო დაიმკებოდ, მემრ იცოდეს უქმის გატეხა, სხვა ხალხის სამკალს რამთვენიც უნდ ხკლებიყვ. ჯვარის სათიბეებს კი არ თიბდეს უქმში, აქ დასტურის გარდა სათიბლად ვერვინ მივიდოდ, ვერც მედღეულეი-დ ვერც სხო (მედღეულე: დღიური მუშა). უქმში პარასკეობით ნათიბის აკრეფა კი იცოდეს, თივის ზიდვა იცოდეს. საფეხენო ხო სრუ ხალხით იყვ სავსე. წნევდეს მუშის საბლებს, ლესევდეს ცელ-ნამგლებს,ამზადებდეს საქმის დღისად. ზოგ ხალხ, უფრო ახალუხალკი მუშაში იყვ, ვისაც რაის მუშან ექნებოდეს, ყველა ეტანებოდ ერთუცს ჭელნაცვლადა-დ ფასით.

მარიანობა

მარიანობა პირქუშში სამ დღეს იცოდეს. მარიანობას დასტურებიცა-დ ჯვარივნებიც სადღეობოდ მაემზადებოდეს. ყველა წესები ჩვეულებრივ სრულდებოდ. მესამეს დღეს გამაილოცევდეს.

სამამკლო

სამამკლო იცოდეს ხოდაბურზე. სამამკლო ლუდს ადუღებდეს დასტურნი მაშინ, როსაც ხოდაბური სამკალად მახპირდებოდ. ხუცესი წავიდოდა, გაშინჯევდ ყანას – იყვა გამასული სამკალად, თუ არ? როსაც შაატყობდ რო გამასულიავ, მაშინ დაავალებდ დასტურებს რო ამა-დ-ამ დღისადავ ქვაბ დააყარეთაო-დ სამამკლო ლუდ ადუღეთავ. სამამკლო უფრო შაბათს დღეს იცოდეს. სამამკლოს წინას წუხრას ჯვარის გამძღონ მივიდოდეს ჯვარში, დასტურები მიიტანდეს

ღამისამთელოსა, უთევდეს ღამეს. ამ ღამეს ყველა წესებს შაასრულებდეს, რაიც ღამისთევაში იცოდეს. აქ იყენეს მარტო ჯვარიონნი-დ ერთ-ორ კაც სოფელშიითაც შახვდებოდ. სამამკლო იცოდეს საქვაბეში, არც დროშან გამადიოდესა-დ არც დარბასის კარი იღებოდ. მეორე დილა რო გათენდებოდ, დაიწყებდ ხალხ ჯვარის ყანაზე მადენას. ხუცესი სოფელს წინას წუხრასავ უძახებდ ერთის მაღალს ბანზეით: "სოფელო, თუ გწყალობსთ პირქუშის დავლათი, ხვალ თავის საქმეზე არვინ წახვიდათ, სამამკლოი-ას, ჯვარის ყანა იმკების. არვინ დააკლდას. კაცი, დიაცი, ვისაც შაუძლავ მასვლაი-დ მაევალის. დილას რო თენებას დაიწყებს, მეედით ყველა თავის სამწყალობნელოდა-დ ჯვართ სადიდებლად. ვისაც მაგდისთ ხო გაიგონებთა-დ ვისაც არ მიჭდის, ერთმანეცს გააგებიეთ". დილას ხალხი ერთუცის მემჯობიას მალე დაიწყებდ მადენას. წინ ხუცესი გავიდოდ, მაიჭდიდ ქუდსა-დ შაზძახნებდ პირქუშს: "დალოცვილო პირქუშო, შენ დაეჭმარი შენთ ყმათ, წელ ღალიან-ბარაქიანი დაუყენი, ზაფხულობა მშვიდობით გადააყრი, ზამთარი მშვიდობისა ჩამაუყენი. დალოცვილო პირქუშო, შენ სწყალობდი ბაცალიგოს, ხათრიანს, ყამიანს, შენს საქმეში წინ მამავალს, უკენ წამავალს". ამ სიტყვებს რო დაამთავრებდ ხუცესი, ქუდმაჭდილი სამს ძნას მახმკიდ, ერთუცზე დააწყობდა-დ მასულს ხალხს კიდევ დაამწყალობნებდ: "გწყალობდასთ სოფლელებო, პირქუშის დავლათი, საწაღმართოდ მაგიარასთ, ნამეტნავად ხათრიან-ყამიანს, წინ მამავალს, უკენ წამავალს". "შენ იყოს მწყალობელი", - ეტყოდეს ყველანი. მემრ ხუცესი ჯვარჩი წამავიდოდა-დ ხალხი მუშაობას შაუდგებოდ. აქ ჭელით მკა იცოდეს ყანისა, ნამგლით არ იმკებოდ, რაკი მაღალი ყანა არ იცოდ.

ხუცესი დაუსხემდ საწდეში ლუდსა-დ წაატანიებდ მამკლებსთან. ერთ-ორ თასსაც მიიტანდეს, ერთს ახალგაზრდას ჩააბარებდესა-დ ასმევდ რიგ-რიგობით. ამ დროს მავიდოდ საკლავებიც სოფელშიით ბეგარაში მასხმულები. სამთო საბალახეებშიით მასხმული ბეგარი დანაწილებული ხყვანდ-რომენ დღეობაში რამოვენ უნდა დაკლულიყვ. ამას ყველას ინახევდეს დასტურები. საკლავებს ერთს პირქუშისად დახკლევდეს, მეორეს სახმთო გუდანის ჯვარისად, მესამეს კვირაისად. ხუცობა-კურთხევა ჩვეულებრივი იყვ. საკლავებს რო დახჭოცდეს, ჩააბარებდეს ახალგაზდაებს, რომნებიც ჭორცს ჭარჩამავალ ქვაბში ადუღებდეს. დანარჩენი ტაბლის წესი აისრავ სრულდების, რაჭელაც სამთიბლო დღეობებში ას ნათქვამი. დიაცებს ედგმოდ ტაბლა ცალკე, ჯვართ მაშორებით, სადამდენაც შაიძლებოდ დიაცების მისვლა. მკის დროს ქალ-ვაჟებმ ერთად იცოდეს მკაი-დ ერთუცისად მუქარობა – რომენ აჯობნებდ. ხუმრობა, სიცილი, გალექსებაიც იცოდეს ერთი-მეორესა ქალ-ვაჟებმ:

ქალო, ქმარს შაუპატივე, ჭმა ლაშქრობისა ვარდება,
გძელია მაისტის გორი, ვერ ივლის, დაგივარდება.
ერთი დავხკივლათ ყანასა, დაიწყებს ჩამადენასა,
იქი-აქათი ქალები. აქ დაიწყებენ დენასა.

ასეთ სიმღერეს ქალ-ვაჟები მოთქმის სახით ამბობენ გაჭურებულს მკის დროს; ჯერ ვაჟი ან ქალი იტყვის ერთს სიტყვას, მემრ სხო გაიმეორებს, - თან მკიან ძალზე, რაიც შაუძლავ, თან კიდევ ლუდს მიაყოლებდესა-დ ასმევდეს. ბოლოს, როგორც ვთქვით, ყველას ტაბლას დაუდგემდეს, ცალკე კაცებსა-დ, ცალკე

დიაცებს. კაცებსთან მღერაიც ას კარახანაზე. დიაცებსთან კი მღერა არ იცოდეს. სატაბლო პური დასტურებს მახქონდ ჯვარის ფქვილისაგან გამამცხვარი. ჭორცს ხო იქ ადუღებდეს. შამღერნებაიც იცოდეს კარახანაის სმის დროს:

ნეტავინ მარაიზძენო, საღმერთოდ დახკლავთ ჭარსაო,
შაახვეწებდით თოთელსა, აგებ არ აკლას თვალთაო,
თვალთ რო არ აკლას თოთელსა, ახლებს დაშჩვევდა ცდასაო,
ჩვენ ბერობაზე შავხედავთ ნისლაურთ იონასაო,
ეგ ბერი არა ყოფილა, არჩევდა ფალავანსაო.

ბოლოს, რო ყველა წესები შასრულებოდ, წავიდ-წამავიდოდეს შინი-შინ. ჯვარიენები, ხალხს რო გაისტუმრებდეს, ცოტა ხან კიდევ სვემდეს ლუდს, მემრ გახყოფდეს ხალხის ნარჩომს ნახორს, სხო ტყავ-ჭორც თუ-რა იქნებოდ, იმასაცა-დ თაოდაც წავიდოდეს შინიშინ. ხალხის მამკილს ძნას დასტურები ააგებდეს.

ქარის უქმი

ქარის უქმი მადიოდ ენკენიის თვის თოთხმეტი დღიდგეს. ეს მარტო უქმად იყვ, ამ დღეს სხვა დღეობა არა იცოდეს, ხოლოთ არ მუშაობდეს. ქარის უქმის წინას დღესავ დაიუქმიან ნახევარი დღით. ვინაცავ ამ უქმს გასტეხსავ, იცოდიან, იმის ძნა-თავისავ ქარივ შიგიშიგ მაახვედრებსავ. სადაც რა ვის დაშლილი ხქონდ ქარისგან, აბრალებდეს ქარის უქმის ტეხას. ქარის უქმს ახვედრებდეს ხუთშაბათს დღეს. ორშაბათს ხო უქმად ხქონდ, სამშაბათს მუშაობდეს, ოთხშაბათს შუადღიდგეს დაიუქმებდეს, ხუთშაბათი ქარის უქმი იყვ, პარასკევი-დ შაბათი ჩვეულებრივები უქმები, კვირაეიც უქმი-დ გამადიოდ რო ერთს კვირაეს მარტო დღე-ნახევართ მუშაობდესა-დ დანარჩენი დღეები უქმად იყვ ხალხი. ქარის უქმს სხო დანარჩენი წესები არა იცოდეს. ამ დღეს არც დღეობაი-დ სასმელ-რა იცოდეს. პირიქით ჭევსურეთ რაკი ჯიჭვები იცის, ჯიჭვებზე სანადიროდ იცოდეს მენადირეებმ წასვლაი. – თუ არ წავედივ, იტყოდეს პირიქითლები, ჭორც შამაგვაკლდაო-დ ამ მუშაობაშიავ უჭორცოდ ყოფაივ ცუდიავ. ეს უქმეებიც ასაო-დ ტყუილად არ ვიჯდავ, ჯიჭვის ჭორცს მაინც მაუტანავ ჯალაფთავ. პირაქეთლებმ კიდევ სამგზაყროს წასვლა იცოდეს – მაინც წასვლა მინდაო-დ წაოლავ, მარილს მაინც მავიტანავ, სამგზავროობას მავიჭდივ. ან მთაში წავიდოდეს შალშაეის საჭმელადა-დ ან ჭალაზე კალმახაების საჭერლად. ზოგი შაძლებულის ხალხის მუშაში დადიოდეს, ვისაც შაეძლიყვ მუშაში წასვლა. შახყრიდ ისეთებ მუშას, ვისაც საამისოდ ქონება-ი ხქონდ. ქარის უქმს - დღეს კი ჭელუძრავად ინახავდეს, ამ დღეს არცვინ მუშას შახყრიდა-დ არც თაოდ რას-ვინ მუშაობდ.

გიორგობა

ბაცალიგოსა-დ პირქუშის ჯვარში ენკენია არ იცოდეს. გიორგობა იცოდეს სამ დღესა. აქ არცრა ახალ წეს არ ას, სრუ ჩვეულებრივად სრულდების ყველაი. პირქუშში არაყის სადიდებელი არ შაიძლებოდა. არაყის სადიდებლს თუ ვინმე მიიტანდა, ამაზე პირქუშს კი არ ახსენებდნენ, არამედ პირქუშის მოლაშქრეებს. თუ პირქუშს ახსენებდნენ, მკითხავების თქმისთ, ის ძალიან გაჯავრდებოდა და გაუწყრებოდა, ვინც ამას გაბედავდა. პირქუშში სადიდებლად იცოდნენ მარტო ლუდი.

პირქუშის მამულები

პირქუშს, როგორც სხვა ჯვარებს, ხქონდ მამულები. ბაცალიგოს რაიც კეებ მამულები იყვ, უფრო ისეებ ეჭირ ჯვარს. ზოგ თაობითავ დაჭერილი ხქონდა-დ ზოგი მემრ იყვ ხალხისგან შაწირული. აქაც იცოდეს მამულის შაწირვა უფრო შანაცოდვარზე. თუ რას შასცოდეებდეს ჯვარსა-დ გაუწყრებოდ, მაშინ შასწირევდეს მამულს შანაცოდვარის პატივების გულისად. თუ ძალიან აოდ ვინ გაჭდებოდა, იმის გულისადაც სწირევდეს მამულს. თუ ვაჟ ვის გაუჩინდებოდ დიდის ხნის უშვილოს, სიხარულით ისიც შასწირავს მამულს. ყველაზე დიდ შასაწირავად ითვლებოდ მამული-დ. ჭარის დაკვლაი. მაგალითად, პირქუშს შანაცოდვარზე შაწირული ხქონდ მამული, უშუღლავ ჯვარში ორის მამის კაცთ – თინიბექთა-დ მარტიათ. გამწყრალ ჯვარი-დ ორნივ მაუმიზეზებიან, რაკი პირქუში შუღლს არ იჭდენს. მემრ, შუღლიდგეს აოდ დაჭდილან. სოფლის ბოლოზე ორსავ მამას ხქონივ მამული ერთს – სხვის მძღვარზე, მკითხავს უმკითხავებავ, რომ ერთსხვაზე რომ გიძესთავ, ის მამული უნდა შამაღმატათავ ჩემთ მამულთავ, თორემ თქვენს ოჯახებსავ სრუ საგებელჩი ჩაეხყრივ, - (აოდ დაეხჭდივ). მეტ გზა რო არ ხქონივ, შაუწირავ ე მამული. ბოლოს, ხალხს ხოდაბურად გადაუქცევავ იმათ შაწირულ მამული. მარტო მამულის შაწირვისადაც არ დაუჯერებავ, ძენგლ დაუდვავ კიდევ: ამაღლებას ერთ-ერთ წუხრას უნდა ექნ ღამისთევა-ჟამისწირვა. ერთ საკლავი უნდა დაეკლ ჟამის წირვაზე, სამის ჩხუტისა ლ'უდ უნდა ედუღ. იმათ შაწირულ მამული თოთხმეტის წერისა იყვა-დ ჭმარობდეს ხოდაბურად. კაი მოსავალ იცოდ.

სხვა მამულებიც ბევრი ხქონდ. ტყეიც ხქონდ ბაცალიგოს სოფლის პირდაპირ ერთი კილომეტრის დაშორებით. ამ ტყეშიით დასტურები მაიტანდეს ჯვარში საწვავ შეშას, სხოდ ერთს ჯოხსაც ვერცრად-ვინ გამაიტანდ. სხვაკანაც ეჭირ წვრილმან ტყეები, სადაც ეხლა ზოგან აღარც-კი ას, ამაუვარდ ძირი ზოგს ტყეებს. იმეების გადაჭმობას უფრო აწერდეს სამრელოს ნამყოფ დიაცის გაელას. პირქუშის ჯვარის ტყეშიავ თუ სამრელოს ნამყოფ დიაცმ გაიარავ, მაშივ გაჭმებისავ ის ტყეიო-დ იმ დიაცსაც სრუ ამაუწყდებისავ შვილ-ბოლოივ იცოდიან.

პირქუშის დობილნი

პირქუშის ლაშქარნი ყოფილან ყმაწვილების სახით. რო ჩამავლენ ცაშიით, ფრინველის სახით მავლენა-დ დაბლა რო იქნებოდეს, მაშინ ყმაწვილების სახით. მკითხავების თქმით, მავნენ ლაშქარნიც ხყვანდეს პირქუშსა-დ მარგენიც. შაიძლებოდ რო გაჭირებულს კაცს პირქუშისად შამაეძახნ,იმას თავის ლაშქარნი დაეჭმარნეს კაცისადა-დ დაეჭსნ. პირქუშის ლაშქარნი დასაშველებლად ფრინველივით ჩქარად მიფრინდებოდებოდესად გაანადგურებდეს პირქუშის ყმათ მტერს. დობილნი ჭსენდებოდეს იქავ ჯვართან ახლოს. უშლიდეს ტოშოლეებს ან თიკანს დაუკლევდეს. ტოშოლეები იყვ ძალიან თხელეები, ცო-ცოტეები პურები. დობილნი ამეებს სათამაშოდ ჭმარობდეს. ხუცესებმაც იმით იცოდეს ხუცობაში, "რომ თქვენს სამთავროდ, თქვენს გასამარჯოდ მაიჭმარეთ პირქუშის მოლაშქრენ ანგელოზნო ეს სათამაშო შამაწირული, თქვენის ძალისა-დ დიდების მასამატებლად ხთის კარზე შაიტანეთ, მეხვეწურს კი თქვენს წყალობას ნუ დააკლებთ, აგრემც გაემარჯვების თქვენს ბატონობას, თქვენის გამჩენის ხთის კარზე". ამ სიტყვებს სხვა ჩვეულებრივ ხუცობასაც მააყოლებდესა-დ დაუშლიდეს ყმაწვილებს (ამ ტოშოლებს არხოტში აშალას ეძახიან, პირაქეთს ანუ ბუდე ხევსურეთში ტოშოლებს. ხუცეს-მკითხავების ენით კი სათამაშოს სახელწოდებით იხსენიებოდა).

დობილნი სათამაშოდ გამადიოდეს მზის ამოსელის და მზის ჩასვლის დროს. როსაც დობილთ გამასელის დრო იყვ, მაშინ იმ არე-მარეზე ყმაწვილებს არ გაუშობდეს, - დობილნ გამაგლაჭვენაო-დ აოდ გახჭდებივ. მკითხავების თქმით ისიც იცოდეს, დობილნი რას ალაგზე გამადიოდეს სათამაშოდ, ან რაჭელ თამაშობდეს, უფრო ტოშოლებით იცოდეს თამაშობაი: ყველას ხქონდ ტოშოლეები აკრეფული, იმას აჭლიდეს ერთუცს, ნასრევს იქავ იტაცებდესა-დ კიდევ აჭლიდეს. დობილთ თუ ძალიან ვინ გააჯავრებდ, გამეემბოდეს კოჭ-ბაწრადა-დ ძალიან დააღონებდეს, ლოგინშიით აღარ აუშობდეს. დარისხების დროსაც სცოდნივ წინათ კაცთ - "გაგიწყრასთავ პირქუშიო-დ გამაგაბნასთავ კოჭ-ბაწრადავ თავის ლაშქარნივ" (კოჭ-ბაწრად გამობმა ნიშნავდა გადაკიდებას, როგორც ქუსლზე ქალამნის ბაწარი დაჭყვება თან, და ყოველ ნაბიჯზე მავნეობას იჩენდნენ, ცხოვრებაში ჭელს უშლიდნენო).

კაცი კაცს თურმე ეტყოდ: "მამშორდი, რა პირქუშის დობილთავით კოჭ-ბაწრად გამამებივ". ეს დობილნი დადიოდეს საყურიადოდაცა-დ ყურობდეს წუხრ-წუხრ რას ვინ ამბობდ ოჯახში ან ჯვართადად, ან კაცთად. თუ უყერს რას ვინ ამბობდა-დ ან ფიქრობდ, აუცილებლად ცუდს არ ააცილებდეს. თუ კას ვინ ამბობდა-დ, კას ვინ ფიქრობდ ჯვართაცადა-დ კაცთადაც კაცს არ მაშჩებოდ. მავიდოდეს დობილნი-დ პირქუშს უამბობდეს ყველას, რაიც ნახესა-დ გაიგეს. პირქუში კიდევ იმათავ დაავალებდ კაის მთქმელისად კა მიეცა-დ, ავისა მაქმედისად ავი.

ადგილის დედა და მისი ბოლოცეცხლიანი

ბაცალიგოს მთავარ სალოცავ იყვ პირქუში. იმას ხქონდ მარიგის ხთისაგან მალოცვილი ბაცალიგოს ხთის ნასახთად მეუფროსეობა. იმას ემორჩილებოდეს ყველანი. ადგილის დედაიც პირქუშს ემორჩილებოდა, რასაც პირქუშ ეტყოდ, იმას ასრულებდ. ადგილის დედას კიდევ თავის დამჭმარე ძალაი ხყვანდ გველის სახით. მკითხავებისა-დ ხუცესების თქმით, გველს ბოლო ცეცხლიანი ხქონდ. თუ ვინ პირქუშს შამაზძახნებდა-დ ლაშქარნ არ ექნებოდეს მზას დასაჭმარებლად, მაშინ ადგილის დედას ეტყოდა-დ. ადგილის დედა დასაშველებლად ბოლოცეცხლიანს გაუგზავნიდ მაშივ. ბოლოცეცხლიანი ისეთ სწრაფ იყვ, რო, ვინაც შამაზძახნებდ, იმ წამს იქ დაიბადებოდა-დ მიეშველებოდ გაჭირებულს პირქუშის ყმას. პირქუშის ყმას რაიც ებძოდ, მტერი იყვა თუ ეშმაკი, იმავ წამს შამახკრავდ თავის ცეცხლიანს ბოლოსა-დ, დასწვევ, ცეცლს გააჩენდ.

პირქუშს საზარავად ხყვანდ კიდევ დათვის აღით. ვინაც გააჯავრებდ, მიუსევდ იმას. ის სხვას კი ვერსა არგებდა, მარტო ვნებაი, სიზმარში მაჩვენებით შეეძლიყვ. პირქუში ვისაზედაც გაჯავრებულ იქნებოდ, იმას დათვი მეეჩვენებოდა-დ აშინებდ ძილში, მანამ პირქუშს საკლავს არ დაუკლავდეს.

დღეობები მოწმაოს თემში

(მოწმაოში სხვების თანდასწრებით მასალა ჩამაწერინა სულხანაურ არაბულმა, 55 წლისამ, თვითონ ყოფილმა ჭელოსანმა)

"მოწმაოს ორს ჯვარს ილოცევდეს, მთავარანგელოზსა-დ წმიდა გიორგის. მთავარანგელოზის სალოცავი ას იქავ სოფლის გვერდია-დ წმიდა გიორგის სადღეობო, სოფლის თავ, ზენ ას". ეს ორივ სალოცავი ცალკ-ცალკესაც ილოცებოდ, მაგრამ მაინც ერთობით იყვნესა-დ ერთადაც ილოცევდეს ორთავ. როსაც ზამთარ-იყვ, მაღლა არ მიდიოდეს. ორსავ ჯვარს ილოცევდეს მთავარანგელოზის დარბასში. წმინდა გიორგის სადღეობო სადაც ას, იქ მარტო მარიანობას მიდიოდეს. იქ არც დარბასი იყვა-დ არც საქვაბე. კოშკები იდგა-დ დროშაი ხქონდ თავისაი. დასტურებ თავ-თავისა იცოდეს, ხუცეს-მორიგეები კი ერთობით ხყვანდ. მთავარ-ანგელოზში დასტური დგებოდ ჯვარით, ან აოდ ვინ გაჭდებოდა, მა'შინ უმკითხავებდ მკითხავი, რო დასტურად უნდა დადგასავ, ან სხო რა იქნებოდ შემთხვევაი, ან სრუ უმიზეზოდ უმკითხაობდ ვისაც ატყობს რო დასტურად დიდხანი აღარ მდგარ. დასტურის დაყენება ხჭდებოდ კუმეტს დღეს. დღეობა ყველკან ერთნაირად იცოდეს. განსაკუთრებულ წესი მოწმაოს ის იყვ, რო კუმეტს დღეს ხუცესი გაინათლებოდა-დ დააკრევდ ანთებულ სანოლებს დარბასში, თან შა'ხძახნებდ: "დალოცვილო მთავარანგელოზო, შამაძახილზე

ნუ გამიწყრები, უტიდ-უმეცარი ორ, ჯორციელ ორ, შენ უშველი შენთ ყმათ, შენ ნუ მაიწყენ, მაიძულებ. შენად სამსახურად, თავის სამშვიდობოდ შენ გამაუცვალი ბედნიერ წელი-დ კვალი. შენით ძალაითა-დ შენის ნებით დაზემი დალოცვილო, შენის საკადრის დასტური, შენის ნაზემრისად ჩვენ მზას ორთ".

ამ შაძახილს რო გაათავებდ, გამავიდოდ-დ ხალხის სათავეში დაჯდებოდ. ცოტაი ხნიდგეს დაიწყებდ მთქნარებას. ხალხი გაჩუმებულ დასხდებოდა-დ ელოდდეს ქადაგობას. ამთქნარებდ მალ-მალედ. თან ცრემლი დაუწყებდ მადენასა-დ, ბოლოს, დაიკივლებდ: "ჰაი-ჰაი. მე ორ მთავარ-ანგელოზი. მე მაქვ ძალიდ შაძლებაი. ჩემთ ყმათ აღარაად გავაჩნიორ. მჯარი მჯარს გამისწორესა-დ კისერი კისერს. მათრევენ სიმურშიად რიოშიანში. აღარაად ვის გავაჩნიორ. მაგრამ მე აისივ მთავარ-ანგელოზი ორ, მე აისივ ძალი, შაძლებაი მაქვ. ჩემთ ყმათ ურჩევ, რო ჭკვით იყვნან, მე ნუ გადამაგდებენ, თორე ვანან. ჩემს წესს მე არ დავიყრი, რაიც ხთისაგან მაქვ მალოცვილი. ჩემ დასტურ-მსახურნი დაძველდეს, გათამამდეს, აღარცრაად მე მივაჩნიორ. მე მითქვამის ჩემის მეენის პირითა-დ გამიცხადებავის, ამირჩევიან ჩემდა სამსახურებლად ორნ დასტურნი ორი წლით" (დაასახელებს დასტურებს). იქადაგებდ კიდევ სხვა-სხვასაც, საჯვარო საქმეებზედა-დ სახალხოზედ, სოფლის საერთო საქმეებზედა-დ სხო. ბევრს რასამ მააყოლებდ. ამ დროს თვალნი დამწუხვილნი ხქონდეს. ბოლოს თვალთ აატყერებდა, დაიწერდ პირჯვარსა-დ იტყოდ: "დიდება ძალსა შენსა მთავარო ანგელოზო, ნურაით შამიცოდვებ". ადგებოდ ხუცესი-დ დაამწყალობნებდ ახალ დასახელებულ დასტურთ: "გწყალობდასთ მთავარანგელოზი ახალ უღელდებულთ დასტურთ, მშვიდობით გამყოფნასთ, სიხარულად გაგიჭადასთ, ნუ შაგანანასთ დასტურობა, უღლის დება. მშვიდობით დადებულ უღელი, მშვიდობით გადაგაჭდიოსთ, ხალიზ მაგცასთ, ბალინჯ გაშორასთ". ხუცესი წინ-წინ იტყვის ამ სიტყვებს (იგივე ქადაგი), მემრ ყველა იქ მყოფ ხალხი ახყვებოდ ესეთის სიტყვებითავ ქადაგსა-დ დაამწყალობნებდეს, დასტურთ. დასტურნიც მადლს იჭდიდესა-დ, ეუბნებოდეს: "თქვენ იყოს მწყალობელი, თქვენს თავს სწყალობდას". მემრ ერთმანეცს ეტყოდეს დასტურები წყალობას. დამწყალობნებას რომ გაათავებენ, ყმაწვილებ დაიქცევიანა-დ, ახარებენ ახალ დაყენებულ დასტურთ ჯალაფთ – დასტურად დაგაყენნესთავ. მახარობელს დასტურის ჯალაფნი ძალიან პატივს სცემდეს. დასტურთ დამწყალობნებიდგეს გამაიტანდეს ერთს საწდეს ლუდსა-დ ჩამაარიგებდეს ახალ დასტურთ სადღეგძელოს. ესიც რო ბოლოს გავიდოდ, ერთს ქვაბს კიდევ გაავსებდეს ლუდითა-დ,წაიღებდეს ერთ-ერთის დასტურის ბანზე,სოფელში. აქ წავიდოდეს ჯვარიონნიცა-დ სოფელშიითაც ქალი-დ კაცი, დიდი-დ ცოტა. ყველა აქ მაიყრიდ თავს. გაიმართებოდ სმაი-დ მხიარულებაი. მთელს დღეს მხიარულობაში დააღამებდეს. ამ დღიდგეს დასტური ორის წლის განმავლობაში ვეღარას მიეკარებოდ ვერც გზასა-დ ვერც სასმელ-საჭმელს, რაიც აკრძალული იყე ჯვართ წესით. მაგალითად, დასტური ვეღარ ჭამდა საქნარის პურსა-დ ვერც სხვას რას მკვდართად ნალოცს, ვერ მივიდოდ იმ სახლში, სადაც მკვდარი იყვ. ვერ გაივლიდ სოფლის შუა გზებზე, ჭერხოშიით არ ჩაჭდებოდ არც ერთს ბოსელში. ხალხ რო ბოსელში ყოფილიყვ, იმას ჭერხოში ცალკე მიუტანდეს სასმელსაცა-დ საჭმელსაც. თავის ჭერხოშიაც კიდევ საკუთარს კუთხეს გაიჩენდ,

რომენსაც კუთხეში იმის ლოგინი იქნებოდ,ქალი ამ მჭარეს ფეჭს არ დაზდგემდ. უბრალოდ ოფლიც რო გამასვლიყვ, უნდა გაბანილიყვ. წელში სამჯერ უნდა საკლავით განათლილიყვ.

კუმეტი დღიდგეს შაუდგებოდ წმიდობასთან ერთად, მამაკალის წლისად სამზადისს (გაზაფხულ სადასტუროების მაჭვნა, ხოდაბურების დაფარვა, მამკაი-დ გალეწვა). როგორც სხვა დასტურები სხვადასხვა სოფლებში, აქაც ისრ ემზადებოდეს (ასეთი სამზადისი აწერილია არხოტში, უკან ხადუსა და როშკაში). დასტურის დაყენება ხჭდებოდ კუმეტს, ხოლოთ დღეობას ახალნ დასტურნი იწყებდეს წინ-წინ გიორგობას. წინ-წინ მისულნ დასტურნი დახკლევდეს ერთს საკლავს საერთო დასტურთ სამხვეწროს. ღამის სამთელო იცოდეს ხავიწიანი-დ ჟამსაწირი ჭორცის ან სატნის გულიანი. ლუდი ხოდაბურისა დუღდ ათენგენას, მარიანობასად წელწადს. დანარჩენ დღეობებში ადუღებდეს სადასტუროების ლუდს. სადასტურო ხქვიან ისეთ მამულებს, რომნებზეც გაზაფხულ წილს ყრიანა-დ თავთავისად ერგების მასაჭნავად. ყველა მამული დალიშნული, რომენ მამულის ლუდი, რომენს დღეობაშიაც იდუღებდ. იცოდეს რომენს მამულს რამთვენ ღალა დაზდგებოდად რომენს დღეობაში რამთვენ ჩხუტი იყვ საჭირო. ამის მიხედვით იყვ მამული გაყოფილი-დ ლუდსაც იმის მიხედვით ადუღილებდეს.

დროშანი გამადიოდეს მარიანობასა-დ ათენგენას. ხუცესი-დ მეზარე მუდმივებ იყვნეს. მედროშაე მორიგეობით იყვ. მორიგეს აქ იმას ეძახდეს, ვინაც დროშას ატარებდ. სხვას ჯვარებში კი ზოკან მერიგეს ხუცესს ეძახდეს (მორიგე სინამდვილეში რიგ-რიგობით მოსამსახურეს ნიშნავს). ამ ჯვარში თითო დღეობაში თითო მორიგეი ასა-დ მეორეს დღეობაში მეორე მორიგე. ეს ატარებდ დროშას, სხვას არას აკეთებდ; მარტო მაშინ მივ, როსაც დროშა ექნებოდ ასამბელი.

გიორგობა

გიორგობა იცოდეს ერთ დღეს. როგორც ვთქვით, დასტურები ახალმისვლაზე დახკვლენ საკლავს, ღამისთეეა-ჟამისწირვა ჩვეულებრივი წესით იციან, ხუცობა-კურთხეევაც ჩვეულებრივი იყვ. ღამისთევაში სტუმრებიც ესწრობოდეს როგორც სხვა ჯვარებში, ისრავ აქ. ჭირის პატრონი მივიდოდ ფანდურის გასატეხლადა-დ ჯვარიონთად თავების დასაპარსავად. სმაი, მღერა, ტაბლას დადგმა, კარახანა, მეზღვნეები-დ იმათად პატივისცემა, ბოლოს გამასამალოთ გამალოცვა, ყველა ჩვეულებრივი წესით იყვ. ეს დღეობა იცოდეს მარტო მთავარანგელოზში, ხოლოთ წმიდა გიორგიიც ჭსენდებოდ აქ. ჯერ მთავარანგელოზს აჭსენებდესა-დ მეორედ წმიდას გიორგის სადიდებელთ დადგმაში. სხოდ გიორგობას ახალი წესი არა იყვ.

ქრისტე

ქრისტე მოწმაის მთავარგელოზში იცოდეს ერთ დღე. ეს დღეობაც ჩვეულებრივი იყვ. ღამისთევაში სოფელი არ მივიდოდ. მეორეს დღეს მივიდოდესა-დ სვამდეს ლუდს. მადლის მათხოვა, ჯარზე დაჯდომაი-დ ჯარის წესი ყველა ჩვეულებრივად იყვ. აქ ახალ წესი არაი ას.

წელწადი

ქრისტე წელწდამდენ შაეკიდებოდ საწელწდოები ქვაბები-დ ადუღილებდეს წელწდამდენ. საწელწდოდ დუღდ სრუ ოცდაათ ჩხუტ ლუდი. წელწდის წინას დღეს ყველა ჯვარივნები შაიყრებოდეს. მედროშაე დროშას ააბემდ, ხუცესს თავის ადგილი ეჭირ, დასტურებ თავის ვალდებულებას ასრულებდეს, მაგანძური განძს მაიტანდ, დასტურებ ღამისამთელოსა-დ სრულდებოდ ყველა წესი. მეკვლენი დახკლევდეს სამეკვლეოდ სამს საკლავს, ჩააბარებდეს დასტურებს. დასტურები გახჭდიდეს ტყავებსა-დ ადუღებდეს ჭორცს. ღამით რო მეკვლენი შაიყრებოდეს, ყველა მიიტანდ თითოს სეფესა-დ წულის სანთელს. სადიდებელნ რო დაიდგმიდეს, მაშინ ენთებოდ წულის სანთლებიც. თასებიც იდგმოდა-დ ზედ სანთლები დაეკროდ. ხუცესი მააჭსენებდა-დ იხუცებდ. დანარჩენი მეკვლეთ წესი აისითაი ას, რაჭელიც სხვადასხვა ჯვარებში. შინაც ყველას ოჯახში ას სამეკვლაოს გამოცხობა, იმის სიჭრელის დასწავლა, შამაგორების წესი, მეკვლისად კვალის შატანიება, ჭირის პატრონის კარზე არაყის მიტანაი-დ ყველაისაგან მაკითხვა. წელწადი აქ იცოდეს შვიდ დღეი-დ შვიდსავ დღეს სრუ ლხინი-დ მხიარულობა იყვ. წელწდის განმავლობაში შვიდ ქადაი სატნიან-ჭორციანი ცხვებოდა-დ შვიდი ხავიწიანი (ჟამსაწირი არხოტში სამი ქადა იცოდნენ. აქაც და ბუდე ხევსურეთის ზოგიერთ სალოცავებში ჟამსაწირი იცოდენ ერთი ქადა, ღამისამთელო კი ყველგან არის ერთი ქადა). შვიდ დღეი ას წელწადი და ღამისთევა – ჟამისწირვა სრუ დილა-წუხრ უნდოდ. ხავიწს, თითოს ქადას ჩაუდებდეს თითო ჩარექის ერბოსას. აქ დიასახლის არ იცოდეს, ცხვებოდ ყველა ერთ-ერთის დასტურის სახლში, უფრო წმიდად ნამყოფის ხნიერის დიაცისგან. თუ ესეთ ხნიერ დიაცი დასტურის სახლში არვინ იყვ, მაშინ შაიძლებოდ რო მეზობელ ხნიერ დიაციც ვინ მაეყვანა-დ იმისად ემუშავ ყველა საჯვაროები (საჯვაროებს ეძახიან ერთად ყველა რიტუალურ პურებს). დიასახლისს პატივს სცემდეს. ჯვარშიით უგზავნიდეს სრუ დილაწუხრის თაოდ თითო კოშს ლუდსა-დ თითოს ქადის ნაწვრეთს (მეოთხედს). ხუცობა-კურთხევა იცოდეს, როგორც სხვა სალოცავებში. საკლავის დაკვლაი-დ იმის წესებიც ჩვეულებრივი ას. წელწადში სხვა ლხინთან ერთად უფრო ჭშირად ფერჭისაის მღერა იციან. ფერჭისაით წავლენ ჯვარშია-დ ფერჭისაითავ წამავიდოდეს. წელწდის დღეების სახელებიც რაჭელც სხვა ჭევსურეთ, აქაც ისე-ას – წელწად დღე, კუმეტ დღე, წინაშუადღე, უკანა'შუადღე, გამაცხადება და წყალკურთხევა. მეშვიდეს დღეობობდეს წყალკურთხევის მეორე

დღეს. წელწდიდგეს იწყობოდ ბედისკვერაობაი. მიდენ-მადენა იყვ აღებამდინ. აღებიდგეს გაზაფხულამდინ გრძელდებოდ ბედისკვერაობა შორეულ სოფლებშიჲ-დ მთათ-იქიაქათ. წელწდიდგეს მავიდოდ აღება დიდმარხვის წინა შაბათს.

აღება

აღება იყვ ერთ დღეს. აღებას ხალხი შახვდებოდ სასმლითა-დ საჭმლით კარგად მამზადებული. ქიფობდეს რაიც ვის შაეძლიყვ. ჯვარშიაც ლუდი მზადდებოდ, ჩვეულებრივად სხდებოდ ჯარი. დიაცებს მიხქონდ სეფეები-დ სანთელი, თითო მინა არაყი.

ღამისთევაჲ-ჟამისწირვა ყველა ჩვეულებრივ იცოდესაჲ-დ ბოლოს გამაილოცევდეს. აღებიდგეს დგებოდ ყველივრის კვირაეი.

ყველივრის კვირაეს ჯვარში აღარ იყვ დღეობაი, სოფელში ხქონდ ყველას ბევრ სასმელი-დ აწევდეს ერთუცს. ყველივრის კვირაეს მახყვებოდ ყველივრის შაბათი.

ყველივრის შაბათს ტალავართ შლიდეს ჭირისპატრონები-დ უძღვებოდეს დიაცებს არაყითა-დ სადილით. სადილად უფრო დააცხობდეს ქონიან კეცეულებს. ტალავართ რო გაშლიდეს, ერთიანად სოფლის დედან მივიდოდეს. ტალავართ გაშლიდეს ბანზე. ჯერ ახლო ნათესავები ძახილით ტირილს დაიწყებდეს, მემრ მახყვებოდ ჭმით ტირილიც.

შვილო, ადეგიო დედილასაო,
დედას ცრემლადაღ ნუ ატირებო,
დედის ტირილი სირცხვილიაო,
რო თავის შვილი ატირებდასო.
გაიცინებენ ლაღნი კაცნიო,
ყმაწვილნი სიკვდილ-უნახავნიო,
- დედა, შვილს ტირის მზექალაიო!
სასირცხვილოდა ჩამითვლიანო.
ღმერთმ ნუვის მისცას ასეთ ჟამიო,
ერთი შვილით რო გავტიალდიო,
თორ ტირილ განა გამიცოცხლებსო
ჩემს გამიხარდის დაკარგულსაო.

ტირილს რო მაათავებდეს, აიღებდეს ტალავართა-დ დაუდგემდეს ტაბლას დიაცებს. კაცებს ცალკე დასხემდეს. ჭირის პატრონის გარდა, სხვაკანაც იცოდეს სიარული, წევა ერთუცისაი-დ სმა.

ყველივრის შაბათ რო დაღამდებოდ, მეორეს წუხრას მარხვას შამაიყვანდეს.

მარხო-შამაე

მარხო – შამაე იცოდეს მამ-მამად, თითო მამის ხალხი მივიდოდ ერთადა-დ გააკეთებდეს დიასახლისები ოჭშამს, არაყსაც ყველამიიტანდა, შააერთებდეს. თუ ვინ უნდოდ, სხვის მამისასაც აწევდესა-დ მაიყვანდეს. მარხო შამავიდოდ კვირაეს დაღამებად. დაჭერა კი არ იცოდეს მარხვისაი, მაინც კი ქეიფობითა-დ გამზადებულად შახვდებოდეს.

მარხოშამაეს მეორე დღეს თენდებოდ ურწყის ორშაბათი. ასეთ დღეებში აქ საუქმეობად დენა იცოდეს. საუქმეობას დადიოდეს მარხოშამასვლამდინ ერთს ჭსნილის ორშაბათს, მეორეს-მარხვა რო დადგების ამ ურწყის ორშაბათს, აჭვსების ორშაბათს, ათენგენის ორშაბათს. ამ დღეებში ბუდე – ჭევსურეთის მცხოვრებლები ყველკან დადიან საუქმეობად. ახალგაზდაებიც დადიან, როგორც ქალები წავლენ თავის ადგილშიითა-დ სხვის ადგილში მუშაობენ. ქალები წაიღებენ ჭელსაქმეს, საკერავს. ახალგაზდაები კიდევ წაიღებენ მუშს საბრუნებლადა-დ წვნენ საბელს (მუში: ცაცხვის ლაფანი,რომლისაგანაც გრეხენ თოკს). ზოგი ტყუილად წავ, რაკი ქალები არიან აქ, მაიგონებენ საქმესა, იმათთან მივლიენ. მთელ დღეს ხუმრობენ, იცინიანა-დ ერთობიან. ვაჟებმ ჭევსურეთის არაგვში კალმახაობა იციან, იჭერენ ნემსკავებით კალმახებსა-დ მააქვს, სადაც ქალები ჭელსაქმობენ.

ამ დღეობაში სხვის ადგილში იმით გადადიან, რო თავის ადგილს როსაც მოშორდებისავ, სხვის ადგილში მუშაობას არას უშლისავ. საუქმეობად წასული ქალ-ვაჟი უფრო წყლისა-დ გზის პირებზე დასხდებიან. წყლის პირებზე კალმახაების ჭერის გულისადა-დ გზის პირებზე მგზავრების ნახვის გულისად. არაგვის ჭევსურები სრუ გზისპირთ ისხდეს ამ დღეებში ჯგუფ-ჯგუფად. ამველელ-ჩამველელ მთის ჭევსურებს აწვალებდეს, დასცინოდეს, უჭდიდეს შუღლად. დაეცემოდეს ბევრნი-დ ან ჭრიდეს, ან სათითეებით სცემდეს. ეს ყველა ქალების გამჩვენეობას ხჭდებოდ. ქალებს ის ახალგაზდა მასწონდ, ვინაც უფრო მაშუღლარი იყე,ვინაც სხვას არაად ჩააგდებდ. ქალებმ ესეთზე ლექსის თქმაიც იცოდეს საქებისაი, ამის გახალიზებულ ახალგაზრდობა იყვ ერთს ბრძოლაშია-დ შუღლში. დამკლეებულ ჭევსურს ჩაეჭრებოდ ეს ამბავ გულშია-დ ვისაც მარტოს შახვდებოდ, ჭრიდეს ერთუცსა,იყვ დაუსრულებელ მტრობა. ქალებ თუ ლექსს ვის ეტყოდეს შუღლზე საქებს, ერთს აქებდეს სხვას ამარცხებდეს. ამ ჯავრზე ნაქებს ემტერებოდ წაგებული, სადაც შაიყრებოდეს, ხჭდებოდ დიდ შუღლი-დ ჭრა-ჭრილობა.

მგელთ უქმი

დიდმარხვის წინა კვირაე რო გაივლის, შაბათს ას მგელთუქმი. მგელთუქმი არის ჩვეულებრივი წესებით, როგორც აწერილია როშკაში, ბაცალიგოში და სხვა სოფლებში.

სულთაკრეფა

სულთაკრეფა აქაც იცოდნენ ჩვეულებრივი წესებით, ახალი არარაფერი იყო. ეს სულის დღეობად ითვლებოდა და მოდიოდა დიდმარხვის მეორე შაბათს. ჭირის პატრონები ემზადებოდნენ ამ დღისათვის და უმასპინძლდებოდნენ უფრო ქალებს. იშლებოდა ტალავარი და იყო ტირილი ჩვეულებრივად. "სახელი ედებოდა" სამარხო ჩვეუებრივ პურებს, ჴმიადებს, ვაცებს, ლაოშებს და მარტუღელაებს. აქაც იცოდნენ ბავშვებმა ვაცების დაყენება და ისრების სროლა, კაცებმა სათოფეების დაყენება და თოფების სროლა, როგორც ნათქვამი არის ისეთისავე ჩვეულებრივი წესებით.

მარხოშუობა

მარხოშუობა, როგორც სხვა სოფლებში, აქაც იმავე წესით იცოდნენ. მოდიოდა დიდმარხვის მეოთხე კვირის ოთხშაბათს. ამ დღეს მიცვალებულებისათვის ილოცებოდა სახსნილო საჭმელი, ჭამდნენ თუნდ ხევისბერი ყოფილიყო, ყველა. ამ დღეს ინახავდნენ ჴელუძრავ უქმად უფრო ცოლშვილიანი და ქმარშვილიანი ხალხი. თუ ასეთმა ხალხმა ამ დღეს იმუშავა, შვილები ორად გაეყოფაო, ნახევარი დაეხოცება, ნახევარი დარჩებაო. ნაჴელსაქმარიც ორად იყოფა, ნახევარი ეშმაკებს მიაქვს და ნახევარი პატრონს რჩებაო.

ჩიჩაბათი

ეს დღეებ რო გაიულის, შაბათს მოვა ჩიჩაბათი (ჩიტთშაბათი). პირიქეთში ეძახიან თაგუ-ჩიტთ უქმს. ეს დღეც ინახება უქმად ისეთივე წესებით როგორც აწერილი არის როშკაში და უკან-ხადუში.

კუდიანწუხრა

კუდიანწუხრა მოწმაოშიც ისეთის წესით იცოდნენ, როგორც სხვა სოფლებში. რწმენა ამ დღეზე ჩვეულებრივ ჰქონდათ, როგორც სხვა ხევსურეთში. მოდიოდა დიდმარხვის ხუთშაბათ დაღამებაზე, აღდგომის წინ. იცოდნენ ცეცხლის დანთება, ეკლების მოტანა და თავის კარმიდამოებზე გაკეთება. ამ დღეს თუ თოფი გატენილი ვისმე შერჩებოდა, უნდა დაეცალა. არ შეიძლებოდა გატენილი თოფის დარჩენა, იტყოდნენ: თუ თოფი გატენილი დარჩა, მაშინ ეშმაკები დაპატრონდებიან და სახიფათო გახდებაო. სმიანობაც იცოდნენ ჩვეულებრივ, როგორც სხვა სოფლებში. კუდიანებიც ისე სწამდათ ვითომც ამ ღამეს ყველანი

აჩხოტის მინდორში მიდიოდნენ და იქ იყრიდნენ თავს, იქვე არიგებდნენ ხალხის დაღუპვის საქმეებს. როგორც სხვაგან, მოწმაოშიც ისე იცოდნენ თოფების, ცეცხლ-წაკიდებული ისრების სროლა და სხვა. ბანის შემოწერა ცეცხლიანი ნიგუზით და მისი გასროლა შემდეგი სატყვებით: "კუდიანებო, დაგლახვრასთ წმიდამ გიორგიმ, თავისა შასვითა შაჭამეთ, თავისა მაიხუთშაბათეთ, ძმიანმ თავის ძმა გამაღვიძლეთ, დიანმ თავის და გამაღვიძლეთ. ჩემიმც ნურა მიგაქვთ, ჯვარიმც გეწერავ ოთხი კუთხით, მიაცა-დ ჩემს ხიზან-ჯალაფობასაც". ამ სახით ასრულებენ კუდიან წუხრას.

აკვსების შაბათი იცოდნენ ჭირის პატრონებმა, როგორც ნათქვამია მარხოშუობას და სულთაკრეფას, ასეთივე ტაბლა ილოცება მიცვალებულებისათვის. ჭირის პატრონი ამზადებსა არაყსაც და უმასპინძლდებოდა მარტო ქალებს. ქალები შლიდნენ ტალავარს და იმართებოდა ტირილი. ტირილი იყო ჩვეულებრივ, ძახილით და ჴმით. აქ სასმელს ჯერ ქალებს დაალევინებდნენ, მერე კაცებსაც მიიწვევდნენ, თუ ექნებოდათ საკმარისი სასმელი. ლუდი ამ დღეს არ იცოდნენ. ტაბლის დალოცვის წესები ჩვეულებრივი იყო. აკვსების შაბათი დაღამდებოდა და იწყებოდა აკვსების ღამისთევა.

აკვსება (აღდგომა)

აკვსება მთავარანგელოზში სამი დღე იციან. იწყება ღამისთევით. ღამისთევამდინ დასტურები და გამძღონი ყველა თავ-თავის საქმეს აკეთებენ. დასტურები ასუფთავებენ ჯვარ-ჯვარის კარს, რეცხავენ სპილენძის თასებ, ვერცხლის თას-განძს და აწყობენ თავის ადგილზე.

მედროშე აბამს დროშას და გამოაქვს გარეთ (დროშათ გამობძანების წესებზე ნათქვამის სხვადასხვა ჯვარების დღეობებში). ამის შემდეგ გახსნიდნენ კოდს ხუცობა-კურთხევით, უთევდნენ ღამეს ყველა წესებით.

დილას ჟამსაწირს აცხობენ ხორცის ან ყველის გულიანს. მოიტანდნენ დასტურები და იმართებოდა ჟამისწირვა. ჟამისწირვის შემდეგ მოყვებოდა ყველა ჩვეულებრივი წესები, სიმღერით და სადიდებელი თასებით, ერთურთისათვის დალევინებით მღერის დროს (მღეროდნენ ერთიმეორის სასიამოვნო საქებ ლექსებს):

არ ვიც მამათით გამახოლთ, არვიც, მაგიღნათ ქარმაო,
უნდა გაზარდას თქვენფერი დედამ ჴევსურის ქალმაო.

* * *

ასრი-მუსრი ხარ ამინარ, გვლანჭი ხარ ჩაბრუნებული,
ასნი რად უნდან დედასა, ერთ ეყვა შაღურბლებული!

ასეთ სიმღერებს უმღერდნენ, ვისაც ჟამისწირვის სადიდებელი ეჭირა. ჟამისწირვის შემდეგ მოვლენ მეზღვნეები. ხუცესი საკლავებს ცალკ-ცალკე ხუცობს და კლავს. საკლავები იხოცებოდა მკითხაველების დავალებით, ან ავადმყოფის დახმარებისათვის, ან მტერზე გამარჯვების გულისათვის და სხვა.

აქ ქალის მიბარება და დაკოჭვაც იცოდნენ. მაგალითად, ქალი თუ შეშინებულია რამისაგან, ძილში ელანდებოდა და შინდებოდა, ასეთს მოიყვანდნენ ჯვართან ახლოს, სადაც სხვა დროს დედაკაცი ვერ მივა. აქვე მიიყვანდნენ საკლავს. ხუცესი დაამწყალობნებდა ავადმყოფს. მასთან ერთად დასტურებიც ამწყალობნებდნენ. ავადმყოფი ქალი ორივე მუჭლზე იჯდა და თავი მიწამდენ დახრილი ჰქონდა. არც ხმას იღებდა და არც შეხედავდა ვისმეს. ხუცესი დანით ჭელში დადგებოდა აღმოსავლეთისაკენ, ქალის მარჯვენა მხარეზე. ერთ-ერთი დასტური დაიჭერდა ქალის სამხვეწრო საკლავს და ხუცესი იხუცებდა თავის მოხსენება-კურთხევით (ხუცობა კურთხევის ზოგიერთი ნაწილები): "ხთისაგანამც გაგემარჯვებისთ თქვენის გამჩენისაგან მოწმაოს გორის ყარაულნო, წმიდაო გიორგიო-დ მთავარანგელოზო, ერთუცის მოიმენო, შველა შაგიძლავთ გაჭირებულისად, შამაგძახსთ მანდილოსანი, გეხვეწებისთ. შაიხვეწეთ, მიწრიელ-ქვეცრიელ, მავნე-მაცილ დაულაგმეთა-დ მააშორეთ. სახელიან ზღვენი, სანთელი აიტანეთ, დაიკსენით მანდილოსანი სენისა-დ სარჯლისგან თქვენ ზღვენთა ულუფათ მაეკმარების თქვენის გამჩენის ხთის კარზე".

ხუცობა: "დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა, დიდება დღეს დღესინდელსა, ძალს ხთისას, ძალს კვირაისას. დიდებად გამარჯვება თქვენდა მოწმაოს გორის ყარაულნო. თქვენა სამთავრო, თქვენა გასამარჯოდ მაიკმარეთ ეს მაყენებულ-მაკსენებულ პირის საბანი, სამსახური, თქვენის მეხვეწურისად მანდილოსნისად" –ამის შემდეგ ხუცობა ჩვეულებრივ გრძელდება. მოაყოლებდნენ კურთხევასაც-ესეც რომ დამთავრდებოდა, ხუცესი საკლავს გარედან გამოუსვამდა ყელში ხანჯალს და ისე გაჩინჩრიდა ყელს (პირაქეთ ხევსურეთში ყველა საკლავის სისხლს "იბერდნენ". მოხარშავდნენ და ჭამდნენ, არხოტში კი მარტო შემოდგომაზე სახორცედ დაკლულ ხარის სისხლს "იჭერდნენ", მოხარშავდნენ. გადასწურავდნენ. შეკრულ სისხლს დაამარილებდნენ კასრში და ხმარობდნენ ხინკალსა და [illegible] [illegible] დაკლული საკლავის სისხლს კი პირაქეთ – ხევსურეთში იშვიათად [illegible] საკლავს რომ დაკლავდა, მიუშვერდა მარჯვენა ჭელს და [illegible] [illegible] ზე ჯვარს გაუკეთებდა ავადმყოფს. მერე დაამწყალობნებდნენ [illegible] ხუცესი [illegible] დასტურებიც. დაკოჭვის დროს ქალს ახალ ჭელსახოცს [illegible] [illegible] [illegible], რომელსაც დამწყალობნების შემდეგ რომელიმე დასტური [illegible] [illegible] ყელზე ან ხუცესი აიღებდა და მისცემდა დასტურს ([illegible] [illegible] ყელზე ან უბრალო ჭელსახოცის მოხვევა, ან [illegible] [illegible] [illegible] "ჭელისაჭოცისა", რომელიც ბოლოზე [illegible] [illegible] [illegible] [illegible]). ქალი ჯერ მუხლებით წავიდოდა [illegible] [illegible] [illegible]

გაცოცხლნასთ, მშვიდობით გამყოფნასთ, წყალობა მაგცასთ რაისაც სადიდებელი ას. ბევრ აჴვსება მშვიდობისა, კარგად ყოფისა მაგგვარასთ. გიშველას შენაც (სახელს ეტყოდნენ ავადმყოფს) მოწმაოს სალოცავებმ. შენის გულისა გიყვას, დუშმანთ გულისა ნურა მაგგვარას ავი-დ ბოროტი, მცველ ანგელოზ დაგიყენას, ნუ შაგანანას სამსახური-დ სადიდებელი. კლოვ უკეთ გულით მაგიყვანას თავის კარზე. დიაცებო, თქვენაც დაგლოცნასთ, გადღეგძელნასთ, მზის საფიცრები ყველას გიცოცხლასთ. ჭირს ესომ თქვენს, სატკივარს". ლუდის სმა რომ მოთავდებოდა, ჯვარიენებს დაუძახებდა ის დასტური, რომელსაც ქალებისათვის ლუდი ჰქონდა გატანილი: "გამეედით მანდილოსნებ დაამწყალობნეთ". ისინიც გამოვიდოდნენ და ხმამაღლა დაუძახებდნენ: "წყალობა წაიღით მთავარ ანგელოზისაი-დ წმიდის გიორგისა. წაღმ გამაგყვასთ იმათ დავლათ, კლოვ უკეთი გულით შამაგაჴდინნასთ თავის კარზე, თავის სადიდებლადა თქვენ სამწყალობნოდ". ქალები პირჯვარის წერით და პირუკუღმა სიარულით გაემართებოდნენ შინისაკენ.

მეზღვნეების მოსვლა და ზღვნების დახოცა ტარდებოდა ჩვეულებრივად, როგორც სხვა ხატებში, ისევე აქაც. ორი დღის განმავლობაში ხალხი მიდიოდ-მოდიოდა ჯვარში. სოფელი თავის კუთვნილ ლუდს მოითხოვდა და დასხდებოდა ჯარი. ჯარზე სრულდებოდა ყველა ჯარის წესები, როგორც იცოდნენ მაშინდელ ხევსურეთში (სმა, მუხლით დაჯდომა, საგმირო სიმღერების ფანდურზე მღერა და სხვ.). ასე მთავრდებოდა აჴვსება მოწმაოში და ბოლოს გამოილოცავდნენ ჩვეულებრივად.

ადგილის დედა

ამავე დღეობაში, ამავე სოფლის გვერდზე ქვის პატარა კოშკთან იცოდნენ დღეობა, ამ სალოცავს ეძახდნენ ადგილის დედას, ანუ ხთიშობელს. მიდიოდა კაცი და ქალი ყველა. მას არც დარბაზი ჰქონდა, არც საქვაბე და არც მამულები. ამიტომ არც ლუდი მზადდებოდა. ლუდი მიჰქონდათ სხვა სალოცავებიდან. დიაცებს მიჰქონდათ თითო ხავიწიანი სეფე და სანთელი. ვისაც ექნებოდა, თითო ბოთლს არაყსაც მიაყოლებდაენ. მიჰქონდათ აგრეთვე კუბატ-ქადისკვერები. ხავიწიან სეფეს აცხობდნენ ძროხის ნაწველის ნათავარიდან (კარაქს როცა ამოიღებდნენ, ყოველ ამოღებაზე ცოცოტას შეინახავდნენ. ბოლოს გადაადნობდნენ და იმის გულიან სეფეს გამოაცხობდნენ ხთიშობელში შესაწირავად და თავის ძროხების სამხვეწროდ).

სეფეები რომ ყველა მოქუჩდებოდა, დააწყობდნენ მწკრივზე ფიცარზე, დააკრავდნენ და აანთებდნენ სანთელს. მიდიოდა ჯვარშიით ხუცესი და იხუცებდა ამ სეფე-სანთლებზე და სადიდებელზე, ახსენებდა ადგილის დედას – ხთიშობელს და ახვეწებდა მთელს სოფელს, მაგათ კაცსა და საქონს. მერე ჯვარიანნი არბენდნენ ყმაწვილებს მუქარაზე და აძლევდნენ ჯილდოდ კუბატ-ქადისკვრებს. სეფეებს ჭრიდნენ ოროლად, ნახევარი უბრუნდებოდა პატრონს, ნახევარიდან კი ედგმოდა ტაბლა მოსულ ხალხს, ან ნაწვრეთებად დაჭრიდნენ და ხელზე ჩამოურიგებდნენ იქ მყოფთ. ამის შემდეგ იმართებოდა სმა. აქვე არის პატარა

მოედანი. იქ იმართებოდა ცეკვა-თამაში. ეს დღეობა იწყებოდა დილით და საღამომდინ გრძელდებოდა. როცა მოსაღამოვდებოდა, ყველანი მადლს მოსთხოვდნენ ადგილის დედას და წავიდ-წამოვიდოდნენ თაეთავიანთ სახლებში. ჯვარშიც გამოილოცავდნენ ჩვეულებრივი წესით. დანარჩენი ახალი წესი აქ არაფერი იყო.

ამის შემდეგ, მეორმოცე დღეს მოდიოდა ამაღლება.

ამაღლება

ამაღლებას აქ დღეობობდნენ სამს დღეს. შეხვდებოდნენ ამ დღეობას ჩვეულებრივი წესით. ლუდს ამზადებდნენ დასტურები განსაზღვრული რაოდენობით. ამაღლება იცოდნენ ხუთშაბათ დღეს. ღამისთევაზე მივიდოდნენ ხუცეს-მორიგეები და დასტურები. სოფლიდან კი აქ არავინ იქნებოდა. ხუცეს-მორიგენი ღამეს უთევდნენ და გამართავდნენ ჩვეულებრივ სმას. მეორე დილას მივიდოდა სოფელი ჯვარში, გაიტანდნენ გარეთ თავის კუთვნილ ლუდს და სვამდნენ. ჯვარში იყვნენ მარტო ჯვარივნები. აქ სასოფლო საკლავის დაკვლა არ იცოდნენ, სანათლავებს კლავდნენ მარტო ხელოსნები ყოველ დღეობაში და თუ მეზღვნე არავინ მივიდოდა, ჯვარივნები ამ სანთლავების ხორცს ჭამდნენ. ნახევარი რჩებოდა ჯვარში სანათლავისა, ნახევარი ხორცი და ტყავი კი ოჯახში იგზავნებოდა. დანარჩენი წესები ყველაფერი ჩვეულებრივი იყო. მესამე დღის დაღამებაზე გამოილოცავდნენ.

ათენგენა

ათენგენაც სამი დღე იცოდნენ (დღეობები, გარდა მარიანობისა, ყოველთვის ქვენ – ჯვარში ე.ი. მთავარანგელოზში სრულდებოდა ორივე ჯვარისა. მარიანობას კი ადიოდნენ და დღეობობდნენ მაღლა, წმიდა გიორგის საკუთარ ნიშთან). დასტურები ადუღებდნენ ლუდს, ხელოსნები და ჯვარის გამძღოები ყველა თავის საქმეს ასრულებდა. ღამისთევაზე გარდა ჯვარივნებისა და ჭირის პატრონისა, არავინ იქნებოდა. დილას კი სოფლის ჯარი დასხდებოდა ჯვართან ახლოს. გაიმართებოდა ჯარის წესი თავისი საგმირო სიმღერებით. როგორც ვთქვით, ორივე მოწმაოს სალოცავს ილოცავდნენ აქედან, რადგან წმინდა გიორგის საკუთარი დარბას-საქვაბე არ ჰქონდა და მაინც მოძმედ და ერთ ჯვარად თვლიდნენ ორივე სალოცავს. ათენგენას, როგორც სხვა ჯვარებში, აქაც უფრო მრავლად მოდიოდა მლოცავი კახეთიდან და სხვ. მოჰყავდათ საკლავები და ხოცავდნენ. ჯვარივნები მეზღვნეებს მათივე საკლავების ხორცით უმასპინძლდებოდნენ და ლუდით, როგორც ჩვეულება იყო. მკითხავები ხშირად უმკითხავებდნენ ამა თუ იმ პიროვნებას, რომ ჩემს ვარდის დღეობას შემომწირე ესა და ეს შასაწირავიო, ამ დღეობაში მოდი ჩემს კარზე, ჩემ სალოცავადო. და ხევსურებიც ემორჩილებოდნენ ასეთ ნამკითხავარს. ამ დროს გზები ყველგან იყო გასული და საკლავის

შოვნაც უფრო ადვილად შეეძლოთ, რადგან მაშინ მოდიოდა მეცხვარე ხალხის – მთიულ-გუდამაყრელების, მოხევეების და ფშაველების ცხვრები, ხევსურეთის საძოვარ მთებში დგებოდა და მათგან იაფ ფასებში ყიდულობდნენ ბატკნებს.

ათენგენაც ორივე ჯვარისა ერთად იცოდნენ, ერთად ილოცავდნენ ორივე ჯვარს. მხოლოდ საკლავების შეთქმა და მოყვანა ერთ-ერთის – მთავარანგელოზის ან წმიდა გიორგის, სახელზე იქნებოდა.

ღამისთევა-ჟამისწირვაში, სადიდებელთ დადგმაში კი ორივე სალოცავს ერთად ახსენებდნენ, როგორც მოძმეებს. ათენგენა რომ დამთავრდებოდა, გამასამალოს ანთებდნენ და გამოილოცავდნენ. ათენგენას ლუდს სვამდნენ მარტო კაცები, ქალები კი სოფელში თავთავიანთ სახლებში იყენენ.

ნამუშავლის სამხვეწრო

ამ დღეობას არხოტში ეძახოდნენ თიბისთავს. პირაქეთ ხევსურეთში კი ნამუშავლის სამხვეწროს. ეს დღეობა დაახლოებით იცოდნენ ათენგენის სწორზე, ან ერთი-ორი დღით ადრე, ან გვიან – ვიდრე თიბად გავიდოდნენ. თუ დაუგვიანდებოდათ, თიბვაც დაიგვიანებდა. თიბად გასვლა აქაც ერთ დღეს იცოდა მთელმა სოფელმა,სამშაბათ დღეს. ამ დღისათვის ლუდს ამზადებდნენ სოფლისაგან არჩეული საკუთარი დასტურები. ისინი მარტო ამ დღეობისათვის ამზადებდნენ ლუდს. ერთი საკლავი იკვლებოდა "ღირეული", ე.ი. დიდი ცხვარი ან ვერძი. ამ საკლავს იყიდდა სოფელი საერთოდ. შეკრეფავდნენ სოფელში ყველა კომლიდან ერბოს ან ქერს. ასეთი ცხვარი შეფასებული იყო ხუთ საწყავ ქერად (ხუთი ფუთი), ან ხუთ ჩარექ ერბოდ (თორმეტგირვანქა – ნახევარი). საშუალო ფასი იყო ოთხი საწყავი ქერი, ან ოთხი ჩარექი ერბო, რაგდან სასოფლო საკლავია და თან არჩეული, იმიტომ აძლევდენ მეტ ფასს. საკლავს აარჩევდნენ მთელი სოფლის ცხვრებში საუკეთესოს (აქ ცოტა ცხვარი ჰყავდათ, ათი, ხუთი და ა.შ. ცხვარი დადიოდა ერთ ფარად და არჩევდენ აქედან).

შაბათს ან კვირა დღეს, უფრო კვირას, იდღეობებენ. ნამდვილი განსაზღვრული დღე ამ დღეობისათვის არ იყო. დასტურები და ჯვარის გამძღონი გადასწყვეტდნენ დღეს. ისინი წინა საღამოსვე მივიდოდნენ ჯვარში და ღამისთევას ჩაატარებდნენ ჩვეულებრივად. ღამისამთელო იყო დასტურების ხარჯზე, ფქვილიც მათი იხარჯებოდა და საგულეც. ამ დღეობაში ღამისამთელო-ჟამსაწირის გული იცოდნენ ხორცისა, ყველი და კალტისა (კალტი-ხაჭო). სანთელიც მიჰქონდათ თიბის-თავის დასტურთ. ამ დღეობაში გარდა სპილენძის თასებისა, სხვა განძი არც მიჰქონდათ, არც დროშა გამოდიოდა. ღამისამთელო და ჟამსაწირი ცხვებოდა დასტურების სახლში. ვინც ჟამსაწირს გამოაცხობდა, უგზავნიდნენ "სადიასახლისოდ" ერთ კო'მ ლუდს,თანაც ჯვარში ამწყალობნებდნენ: "კეთილისმკაზმავს დიასახლისს სწყალობდესო".

ღამისთევას ჯვარივნების მეტი არავინ ესწრებოდა. შეიძლება ვინმეს კი დაპატიჟებდნენ, ან ჭირის პატრონს, ან სოფლის უფროსს (ამ დღეობაში ჭირის პატრონი ფანდურის გასატეხად არ მივიდოდა, როგორც სხვა დღეობებში

იცოდნენ). ღამისთევის დამთავრების და ყველა წესების შესრულების შემდეგ, დასტურებიც და ჯვარის გამძღონიც ყველანი წავიდოდნენ თავთავიანთ სახლებში. მეორე დილას ჯვარივნები ისევ ჯვარში მოიყრიდნენ თავს. ჯერ ლუდს დაასხამდა მეკოდე და ყველანი დალევდნენ, მერე მოიტანდნენ ჟამსაწირსაც და შეუდგებოდნენ ჟამისწირვას. ჟამისწირვაც ჩვეულებრივად ჩატარდებოდა. ჟამისწირვის შემდეგ მოვიდოდა სოფელიც, მოიყვანდნენ თავის ნაყიდ საკლავს. ხალხი მიდიოდა დარბასის-კარში, მოიხდიდნენ ქუდებს და მოსთხოვდნენ მადლს მუხლ-მოყრით შემდეგი სიტყვებით: "დიდება ძალსა თქვენსა მოწმაოს გორის ყარაულნო, დიდო მთავარო ანგელოზო-დ დიდო დევკერპთად მებრძოლო წმიდაო გიორგიო! თქვენ ყმაი-დ თქვენ ნაცარ-მტვერი ორ, დალოცვილნო, ნურაით შამისაწყინდებით, ნურაით შამიცოდვებთ, ნურაის ინაბარს ჩამიდებთ, თუ რას გაწყენთ დალოცვილნო ჩემის უცოდინრობით, ზღვნითა სანთლით გადამაჭდიეთ. კაცით ნურას გადამაჭდევთ. თავ ყმად არ მშურსა, საქონი ზღვნად, თქვენმა გამარჯვებამ". ამ სიტყვებს იტყოდნენ ყველანი თავთავისთვის ძლივს გასაგონარის ხმით და მოიყრიდნენ მუხლს, დაიხრებოდნენ და აკოცებდნენ მიწას. ამ დროს, ვისაც შეთქმული ჰქონდა, რომ ჯვარში ბევრს არ ილაპარაკებს და პირში ქვას ჩაიდებს, აიღებდა პატარა კენჭს და პირში ჩაიდებდა. შეიძლებოდა აეღო ქვა, კბილები ცოტათი მოეჭირა და ისევ გადაეგდო. ზოგს კი, მანამ ჯვარში იყო, ქვა სულ პირში ედო, როცა სახლისაკენ წავიდოდა და ჯვართ გაცდებოდა, მაშინ გადააგდებდა. ზოგს კი პატარა გახვრეტილი ქვა ძაფით ყელზე ეკიდა. ეს არა მარტო ამ სალოცავში, არამედ მთელ ხევსურეთში. ამას დაავალებდა მკითხავი. მკითხავს თუ ეცოდინებოდა, რომ მას როდესმე ჩხუბი მოუხდენია ამა თუ იმ ხატში, ან ხმამაღალი არაწესიერი საუბარი, მაშინვე ეტყოდა – ამის ავადმყოფობა იმ ქოთის ან ჩხუბის მიზეზიაო და დაავალებდა საკლავს, ან კურეტს დასაკლავად, პირში ქვის ჩადებას და შენანებას წარსული საქმისას. მკითხავის დავალებას შეასრულებდნენ და თუ ავადმყოფი არ მორჩებოდა და მოკვდებოდა, მაშინ მკითხავი იტყოდა: "ხთიშვილი ძალიან გაჯავრებული იყო და აღარ უშველაო, ეგ ნეტავ მაგით აპატიოს და სხვა აღარაფერი მოხდესო". ჭირის პატრონებიც იტყოდნენ: "ნეტავინ სხვა აღარაფერი დაგვემართოს და ეგ ერთი ხთის ზღვენი იყოსო". მადლს რომ მოსთხოვდნენ, მივიდოდა ხალხი და ჯვარივნებს ეტყოდნენ: "აშენდით ჯვარიცად – კაციც, წაღმამც წაგივასთ დღეი, დღეობა! – დაშვვენდით, მაგვიხვეით მშვიდობით, მშვიდობით თქვენ მასვლა" – იქნებოდა პასუხი. მივიდოდნენ და დასხდებოდნენ. ცოტახნის მუსაიფის შემდეგ, დასტური საკლავს დააყენებდა სასაკლაოსთან პირით აღმოსავლეთისკენ, ხუცესი დაუდგებოდა მათ მარცხენა გვერდზე, ამოიღებდა სახუცო გრძელ დანას, ან ხანჯალს, გაიწმენდდა ჩოხის კალთაზე და იტყოდა: "ხთისაგან გაგემარჯვასთ თქვენის გამჩენისაგან მოწმაოს გორის ყარაულნო, თქვენ უშველეთ თქვენთ ყმათ მოწმოელთ, ნურაით დაამარცხ-დააზიანებთ, სოფელს სოფლობით უშველეთ, თემს თქვენს წყალობას ნუ დააკლებთ. მაუმზადებავის ნამუშაევლის სამხვეწრო სადიდებელი-დ სეფე-სანთელი. შაიწირეთ, წელ-მშვიდობისა დაუყენეთ, მშვიდობით ატანილ ცელ-უღელი მშვიდობით დაადებიეთ, ნამაშვრალ-ნამუშეელს მადლი, ბარაქა დაუტანეთ. ღმერთი თქვენს ბატონობას გაუმარჯვებსა-დ თქვენთ ზღვენთა დიდებათ მაემატების.

ა-დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა, დიდება დღეს დღესინდელსა, დიდება მზესა,მზის მყოლთ ანგელოზთ, დიდება ძალს ხოისას, ძალას კვირაისას. დიდებად გამარჯვება თქვენდა მოწმაოს გორის ყარაულნო. თქვენა სამთავროდ, თქვენად გასამარჯოდ მაიჭმარეთ პირის საბანი სამსახური, მაყენებული მაჭსენებული. თქვენთ ყმათად'' ...დანარჩენი გაგრძელება ხუცობის და კურთევისა იქნებოდა ჩვეულებრივად. მარტო ახვეწებდნენ ჭირნახულს და თხოულობდნენ მადლიან-ბარაქიანობას.

ხუცობა-კურთხევა რომ დამთავრდებოდა, ხუცესი კიდევ შეუსახელებდა და გამოსჭრიდა ყელს. დასტური თავმოჭრილ საკლავს დააგდებდა სასაკლაო სიპზე. ხუცესი იტყოდა და სხვა ხალხიც ერთხმად აჰყვებოდა: "გწყალობდასთ მეხვეწურთ, საწალმართოდ მაგიარასთ, მშვიდობით შაგინახნასთ, წელ მშვიდობისაი-დ ღალიან, ბარაქიან დაგიყენასთ, მარცხი, ზიან გაშორასთ, სტუმარს მაგცასთ წყალობა ჩვენში დამწყვდეულს, ჯვარიონთ მაგცასთ წყალობა, დასტურთა ჯვარის გამძღოთ, თავის წყალობით შაგინახნასთ, ნუ შაგანანასთ დასტურობა-მსახურობა".

დამწყალობნებასაც რომ მოათავებდნენ, დასტური შეუდგებოდა საკლავის გატყავებას. ხალხი დასხდებოდა საჯარეში; აირჩევდნენ ორ ახალგაზრდას და გაგზავნიდნენ ჯვარიონთან მელუდედ ე.ი. ლუდის მომტანად.

მელუდენი ჩვეულებრივად დაალევინებდნენ თავის საწდიდან ლუდს ყველა იქ მყოფებს, ერთი თასით და ვინც დალევდა, ყველა ამწყალობნებდა თავის დალოცვით სოფელს.

აქ, საჯარეში რომ სმა იმართებოდა, დასტური საკლავს გაატყავებდა და ხორცს მოხარშავდა.დააგებდნენ ტაბლას, სატაბლო პურებზე. პურს აცხობდნენ დასტურები საჯვარო ქერის ფქვილისაგან, ზედამდეგები ხალხს დაუდგამდნენ ტაბლას. ტაბლის დადგმის დროს ყველანი იტყოდნენ: "ღმერთო გაუმარჯვი მოწმაოს გორის ყარაულთა-დ წმიდანო მოწმაოს გორის ყარაულნო, თქვენი წყალობა მიეცით თქვენ მეხვეწურთ მოწმოელთ. თქვენი წყალობით შაინახენით, წელ მშვიდობისა დაუყენეთ". ამასვე გაიმეორებდნენ როცა პურს გაატეხინებდა ზედამდეგი. პურის ჭამის დროს ზედამდეგები ჩვეულებრივად უვლიდნენ ხალხს (კარახანა, ხორცის შერჩევა-შეთავაზება უფროსი კაცებისათვის და სხვა, სიმღერა თაეხმელად კარახანების სმის დროს). ყველაფერი ჩვეულებრივად იცოდნენ. ქალები აქ არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდნენ. კაცები როცა ჯვარში ქეიფობდნენ, დედაკაცები მაშინ სახლში ისხდნენ და ოჯახურ საქმეებზე მუშაობდნენ.

ასე მოთავდებოდა თიბისთავის წესები. საღამოზე ხალხი წავიდ-წამოვიდოდა თავთავიანთ სახლებში. მეორე დღეს შეუდგებოდნენ თიბისათვის იარაღების მზადებას. კაცი გალესავდა ცელს, ქალებისათვის ნამგლებს.

თიბის სამშაბათი

სხვადასხვა სოფლებშიაც და აქაც მთელს ხევსურეთში "თიბად გასვლა" სამშაბათს დღეს იცოდნენ. ამ დღის გარდა, ცელს არავინ გამოკრავდა ბალახში. ამ დღეს თავის საკუთარ საქმეს იშვიათად გააკეთებდნენ. ჭირის პატრონებს თიბის სამშაბათისათვის ყველას ჰქონდა დამზადებული არაყი და პატიუობდნენ

მეზობლებს. მეზობლებიც ყველანი მივიდოდნენ, დალევდნენ არაყს მიცვალებულისათვის შენდობის თქმით, ჭამდნენ მოხარშულ ფაფას, ანდა ხავიწი იქნებოდა დამზადებული. მანამდინ ქალები ჭამას შეუდგებოდნენ, გაიშლებოდა ტალავარი და დაიწყებდნენ ტირილს. იცოდნენ ჩვეულებრივ ძახილით ტირილი, ჴმით ტირილი და ქვითინი. ძახილთ ტირილში ყველა თავთავისთვის მოსთქვამს სიტყვებს ხმამაღლა და, ბოლოს გაუგრძელებს მღერის კილოზე ხმას. ყველანი ტირიან ხმამაღლა ძახილით, ერთბაშად და ვერ გაირჩეოდა ვინ რას იძახდა. ძახილით ტირილის დროსვე, ჴმით მატირალი დაიძახებდა ხმამაღლა პირველ სიტყვას და მისი დაძახებისთანავე გაჩუმდებოდნენ, ვინც ძახილით ტიროდნენ, ჴმით მოტირალს უთმობდნენ.

ამ სოფელში არ იცოდნენ ჭირის-პატრონისათვის მიშველება, როგორც არხოტში და სხვადასხვა სოფლებში. სათიბში კაცი პირველად რომ მივიდოდა, მოიხდიდა ქუდს და შეეხვეწებოდა ღმერთს: "ღმერთო დალოცვილო, მიშველი, მამეც ხანი-ხანება, წლის ნამაშვრალ ნამუშეელ მშვიდობას მამაჴმარი, წელ მშვიდობისაი-დ ღალიან-ბარაქიანი დამიყენი" და მოუსვამდა სამჯერ ცელს. კიდევ დაიწერდა პირჯვარს და დაიწყებდა თიბვას. თიბვის დაწყებისა და გათავებისას, ყოველ დღე თხოვდა ღმერთს მშვიდობას მოხმარებოდა თავისი ამ ზაფხულანდელი ნაშრომი.

მარიანობა

ეს დღეობა იყო უცვლელი, ანუ უძრავი. ყოველთვის მოდიოდა მარიანობისთვის ხუთმეტ რიცხვში. მოწმაოში ის ორივე ჯვარში სრულდებოდა, როგორც მთავარანგელოზში, ისევე წმიდა გიორგიში. განსაკუთრებით იცოდნენ წმიდა გიორგიში, რომლის სალოცავი ადგილიც მაღლა მთაზე სოფლიდან ორი-სამი კილომეტრით დაშორებით არის. ქვისაგან აშენებული პატარა კოშკი ჰქონდათ და წელიწადში ერთხელ იცოდნენ დღეობა – მარიანობას. მთავარანგელოზი იყო იქვე სოფლის გვერდით, ჰქონდა სალუდე, დარბაზი და სხვა. დროშა თავ-თავისი ჰქონდათ, მედროშავეც თავ-თავისი ჰყავდათ, ხუცესი ერთი იყო. ამიტომ იყო რომ ლუდი მთავარანგელოზში იხარშებოდა, აქედან მიჰქონდათ წმიდა გიორგიში ქვაბებით და თულუხებით (წმიდა გიორგის სალოცავს კიდევ ეძახდენ: "ზენ ჯვართ", ხოლო მთავარანგელოზისას – ქვენ ჯვართ).

მარიანობას აქ ჰყავდათ განსაკუთრებული დასტურები – მემარიანობე დასტურნი. ლუდი მარიანობას წინას დღეს იხსნება. მთაში მიდიან ჯვარივნები და ღამისთევლები, თუ ვისმე ღამისთევა აქვს დანადები (ძენგლი) ან ისე აქვს ნაქადები (შეთქმული, შეპირებული) წმიდა გიორგისათვის. ჯვარივნებს მიაქვთ ლუდი, პური, ღამისამთელო – ჟამსაწირი, მიჰყავთ ერთი საკლავი. დანარჩენი ღამისმთევლებიც ღამისამთელოთი და სასმლით მიდიოდნენ. უმრავლესობას არაყი ჰქონდა,შეიძლებოდა ლუდიც ჰქონოდა ჩატანების წესით დამზადებული (როცა ჯვარის ლუდს ამზადებენ დასტურები,მაშინ ღამისმთეველი მიიტანდა ფქვილს, სვეს და აწყვით შეუერთებდა საჯვარო ფქვილსა და სვეს. მიიტანდა

განსაზღვრული რაოდენობით შეშასაც. იდუღებდა საჯვარო ლუდთან ერთად. ღამისთევის დროს საჯვარო კოდიდან ამოუღებდნენ იმდენ ლუდს,რამდენიც ერგებოდა). მედროშაე ააბამდა ჩვეულებრივ დიდის მადლის თხოვნით და მოწიწებით დროშას, გაიღებდა მხარზე და გაუძღვებოდა მთაში წამსვლელ ხალხს წინ (მედროშავე თუ საკლავით არ გაინათლებოდა, ისე დროშას ვერ ააბამდა). საკლავი უნდა დაეკლა თავის ანგელოზის სახელზე.

მედროშავე რომ მთისაკენ გაემართებოდა, მთელი სოფელი გააცილებდა მადლის თხოვნით და პირჯვარის წერით. მადლის თხოვა ნიშნავს შემდეგი სიტყვების წარმოთქმას: "დალოცვილო წმიდაო გიორგიო, მოწმაოს გორის ყარაულნო!თქვენ უშველეთ თქვენთ ყმათ მოწმოელთ, ნუ ვის თვალგულს მაღრეევთ, ნუ გამაღლევთ მოწმაოს ჴმლიანსა-ჴმიანს კაცს, წულსა-წულის აკავანს, ღმერთი თქვენს ბატონობასა თქვენს მგზავრობას გაუმარჯვებს". ამას სათითაოდ ყველა იტყოდა და პირჯვრის წერით ემთხვეოდა მიწას. გამართულ ჯვარ-კაცს (ე.ი. გამგზავრებულს) სოფელში თუ არაყი ჰქონდა ვინმეს, გააყოლებდნენ და ასმევდნენ ჯვარივნებს. ჯვარივნები სიმღერებს მღეროდნენ და მიუახლოვდებოდნენ ჯვართ. იქ იდგა პატარა კოშკი, რაზედაც მიაყუდებდნენ დროშას. ხალხი რომ ავიდოდა, კოშკისგან მოშორებით დადგებოდნენ (ამ ადგილს ეძახოდნენ: სათემო საჯარეს). მედროშაე დაჯდებოდა ორივე მუხლზე და მუხლით მიგოგდებოდა კოშკთან, თანაც დროშას აწკარუნებდა და მალ-მალე კოცნიდა მიწას. მივიდოდა კოშკთან და ადგებოდა ფეხზე. მის გვერდზე დადგებოდა ხუცესი,რომელსაც ლუდით სავსე სახუცო კოჭობი ეჭირა. მედროშავე ისევ დროშას აწკარუნებდა, ხუცესი კი შეუდგებოდა თასის მოხსენებას და ხუცობას. თასზე ერთი ღერი ანთებული სანთელიც იყო მიკრული. ხუცობა იყო ჩვეულებრივი, როგორც სხვა დღეობებში. ასახელებდა მოწმაოს გორის ყარაულთ და ახვეწებდა მათ ყმათ-მოწმოელთ, - თქვენ უშველეთ, დაეხმარენითო და სხვა.

ხუცობა რომ გათავდებოდა ყველანი პირჯვარს იწერდნენ და იტყოდნენ: "დიდება ძალსა თქვენსა მოწმაოს გორის ყარაულნო, თქვენ უშველეთ თქვენთ ყმათ". ხუცობის ბოლოს ჯერ ხუცესი და შემდეგ ყველანი დაამწყალობნებდნენ ჯერ სოფელს – მოწმაოს და მერე ჯვარივნებს და ღამის მთევლებს. ხუცესი ჩვეულებრივად შეუსახელებდა თასს და ცოტას დალევდა, სხვებსაც მისცემდა ამავე თასს, დაამწყალობნებდნენ სოფელს და ყველა ცოცოტას დალევდა. ბოლოს, დაუბრუნებდნენ ისევ ხუცესს და ის გადაიხდიდა ისევ მადლს. აქ ხანდახან მღერაც იცოდნენ, შემღერნებდნენ ერთმანეთს საგმირო სიმღერებს. ხანდახან რომ თავის ადგილზე დააბინავებდნენ, კიდევ დაამწყალობნებდნენ ჯვარიონთაც და სოფელსაც. აქ ერთ სასოფლო საკლავს კოშკთან დაკლავდნენ. ხუცესი ჩვეულებრივად ხუცობდა და ამწყალობნებდნენ ერთიმეორეს.

საკლავს გაატყავებდა დასტური და ხორცს მოხარშავდა, ტყავი დასტურთ რჩებოდათ, ხორცის ტაბლა ყველა იქ მყოფებს ედგმოდა. მისული ხალხი დაბინავდებოდა ერთგან და შეუდგებოდნენ ლუდის სმას. აქვე მიჰქონდა სოფელს კომლის ქადა ხავიწიანი. ვისაც არ შეეძლო, რომ მარტოს გამოეცხო, მაშინ ორნი აცხობდნენ ერთად. ადუღებდნენ ხავიწს სულ ცოტა ორი ჩარექი ერბოსას (ორი კილო) ფქვილი იქნებოდა თავისი მოსავლის საუკეთესო ნაწილიდან. თუ

წმიდა პური ჰქონდათ იმისი, თუ არა და სვილისა. ქადა ისეთი დიდი იყო, რომ ტანს არ დაიჭერდა და ტყდებოდა. ამიტომ ჯოხებს დააკრავდნენ ორივე მხარეზე რომ არ გატეხილიყო. რომ მიიტანდნენ, დააწყობდნენ ბორტევზე ყველა ქადებს, დააკრაკდნენ სანთლებს და ხუცესი ხუცობდა. ხუცობაში ამწყალობნებდა ქადის მიმტანებს,ნამეტნავად ვისი ქადაც მეტი იყო. ხუცობის დროს ლუდიანი თასებიც იდგა აქ და დამთავრებისას დასტურ-გამძღობრები იღებდნენ ხელში და ასრულებდნენ ყველა წესებს, რაც სადიდებლის დროს იციან და ბევრ ადგილას არის ნათქვამი. ყველაფერი ეს რომ მოთავდებოდა, დაიკვლებოდა სამი სასოფლო საკლავი. დასტურები ატყავებდნენ და ხარშავდნენ ხორცს. ტყავები მათ რჩებოდათ. ხუცესი ყველა ქადას ორად გაჭრიდა, დასტურები ზომავდნენ ქადის გულებს "წიწკით" (წკირით) და ვისი ქადის გულიც მეტი გამოდიოდა, ნამეტნავად ამწყალობნებდნენ. ნახევარ ქადას პატრონს უბრუნებდნენ, ნახევარი რჩებოდა ჯვარში. ხორცი რომ მოიხარშებოდა, დაუდგამდნენ ტაბლას მეზღვნესაც და ყველა იქ დამსწრეს. ხორცის ტაბლასთან ერთად ედგმოდა ხავიწიანი ქადის ნაწვრეოებიც წვრილ ნაწილებად დაჭრილი და იმართებოდა ტაბლის წესები კარახანით და სხვა.

მეზღვნეები ფელკ ხორცს (ფელკი: საკლავის ნახევარი) თვითონ იჭერდნენ, ფელკი ხორცი და ტყავი ჯვარში რჩებოდა ჯვარიენებს.

ტაბლა ედგმოდა ყველას, ქალს და კაცს, სატაბლო პურები მიჰქონდათ დასტურებს ჯვარის ფქვილისაგან გამომცხვარი და ამაზედ აგებდნენ ტაბლას. დასტურებს მოვალეობა განაწილებული ჰქონდათ: დღისით ხალხისათვის მოელა ევალებოდა მედიდჯვარე დასტურს, ღამით ჩამოუდგებოდა მეწვრილდასტურე და ის უვლიდა ხალხს. ხალხი ერთ ღამეს აქ გაათევდა დიდი ლხინით,თამაშობით და მღერით. მეორე დღეს დაიშლებოდნენ.

დღეობა ენკენია აქ არ იცოდნენ.

გიორგობა

გიორგობა იცოდნენ სამ დღეს. ამ დღეობაში დროშანიც გამოდიოდნენ და სრულდებოდა ყველაფერი, ჩვეულებრივი დღეობების წესით. ახალი არაფერი იყო.

მამულები

მამულების შეწირვა ხდებოდა ავადმყოფობის გამოც. მკითხავების საშუალებით, მაგრამ რაც კარგი მამული იყო, ეს ჯვარმა დაიჭირა თავისთავად. აქაც შუამდგომლობდნენ მკითხავები. მოწმაოში რაც კარგი მამულები იყო, გორზე გადაღმა და გადმოღმა თავიდან ბოლომდინ სულ ჯვარმა დაიჭირა. სათიბი მთებიც კი. ბოლოს, ზევით მოწმაო, ე.ი. კლდეთავის სოფელი სულ აჰყარა ჯვარმა. მკითხავი ურჩევდა ამა-თუ-იმ მცხოვრებს, რომ აყრილიყო იქიდან. მერე ი'შოვნიდა დროს და ახლა სხვას ურჩევდა და ასე მთელი სოფელი აიყარა,

ჩამოსახლდა ქვენ-მოწმაოს და ადგილი დარჩა ჯვარს. აყრა ხდებოდა ავადმყოფობის დროს. მკითხავი ეტყოდა – აიყრები, მორჩება შენი ავადმყოფი, თუ არა და არ მორჩებაო.

გუდანის ჯვარი და მისი დღეობები

როგორც სხვა ხევსურეთის სალოცავებში, გუდანის ჯვარშიც ჩვეულებრივი წესით ბევრი რამ სრულდებოდა და ბევრი განსაკუთრებული წესებიც ჰქონდა. გუდანის ჯვარს ჭევსურები ყველა სალოცავებზე მეტ პატივს ცემდნენ და მეტი ხალხიც მიდიოდა სალოცავად, უფრო საკუთარი ყმები. ხევსურეთში სამი უდიდესი გვარია – არაბული, ჭინჭარაული და გოგოჭური. საერთოდ ამ სამ გვარს ეწოდებოდა მაგანძური. როგორც ეს აწერილი არის, ამ სამი გვარის პაპა დასახლებულა გუდანში და მისი შვილების-არაბასა, გოგოჭასა და ჭინჭარასაგან წარმოშობილა ეს გვარები. როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ და აქაურმა ხევისბრებმა გადმომცეს, ამ გვარების წარმოშობის შემდეგ, გუდანის ჯვარი გერგეტიდან (მოხევეებიდან) მოსულა და დაარსებულა გუდანში. გერგეტიდან იმიტომ წამოსულა, რომ იქაურნი მორიგენი ვერ წმიდობდნენ, გუდანის ჯვარი კი წმიდობას თხოულობდაო. ამაზე გაწყრა, იქაობას თავი დაანება და წამოვიდაო. გუდანში რომ დაარსებულა, ერთი ხნიერი კაცი გაქადაგებულა და გუდანის ჯვარს ყველაფერი ამ კაცის პირით უთქვამს თუ რა იყო საჭირო ახალ დაარსებული ჯვარისათვის (კოშკი, ბეღელი, ჭერო და სხვა). აგრეთვე უთქვამს თავისი სახელი: მე წმიდა გიორგი ვარ, დევ-კერპთა და ვეშაპთან მეომარი და, რადგან ახლა ხანში შესული ვარ და თეთრი წვერი მაქვს, ამიტომ ბერი ბაადური მქვიანო. ამასთანავე სახმთოც უწოდეს მას, რადგან ყველაზე დიდად მიაჩნდათ და მორიგე ღმერთთან აყენებდნენ მის ძალას. გუდანის ჯვარს მაშინვე მოუთხოვია თავისი საარსო ადგილი, მის გარშემო კარგი მამულები, წლიური დღეობები და მისი მოსამსახურენი. ეს ყველაფერი ქადაგის პირით ხდებოდა. დღეობები პირველად ძალიან დიდი არ ყოფილა და არც ლუდი მზადდებოდა ბევრი. მაგრამ ხალხი რომ თანთან გამრავლებულა, დღეობაც ყველანაირად გაზვიადებულა და გაზრდილა. დღეობებში ცვლილებებიც მომხდარა მომატებით, დაკლებით კი არაფერი დაკლებია, რადგან "მაგანძური" ბევრი ხალხი ყოფილა და არაფერი გაუძნელდებოდა. აუშენებიათ ყველაფერი ისე, როგორც ქადაგს უქადაგნია. ბეღელი იყო აშენებული,თაღით მოყვანილი და სიპით დაფარებული. ბეღელში შესვლა შეეძლო მარტო გამძღოთ, ე.ი. ხუცესებს. ძილი კი არც მათ შეეძლოთ იქ. იძინებდნენ ჭელოსანთან ჭეროში. ჭეროს დაბლა იყო საბერო. საბეროში კი იყო ორი დიასახლისი და დასტურები. ხუცესი პირველად როცა დგებოდა, ხეცობას დაიწყებდა მძინარი, - "ჯვარისგან". გაერთოდა ანგელოზებთან და მათ ამბებზე დაიწყებდა საუბარს. მერე ქადაგიც უქადაგებდა-ხუცესად უნდა მიხვიდეო. ქადაგის დავალებით რამდენჯერმე გაინათლებოდა, გავიდოდა "საწმიდარ" ცალკე და, როცა ჩაითვლებოდა რომ იგი უკვე წმინდაა, მერე

დაიწყებდა ხუცობას. ხუცობას სწავლობდა მაშინ, როცა ანგელოზებთან იყო გართული, ისინი "ასწავლიდნენ". ხუცობა გადადიოდა მემკვიდღეობით, მხოლოდ ქადაგის და მკითხავის გარეშე – კი ეს მაინც არ ხდებოდა. შეიძლება მემკვიდრეები ბევრნი იყვნენ, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი ან "გაერთოდა" ხოიშვილთან, ან ავად გახდებოდა და ხუცესად მისვლას უმკითხავებდა მკითხავი. დანარჩენი მემკვიდრეები კი რჩებოდნენ ტყუილად, როგორც სხვა ხალხი და ასრულებდნენ დასტურობას და ხელოსნობას. ხუცესი ამ ორივე თანამდებობიდან თავისუფალი იყო.

ხელოსნად მიდიოდა გუდანის ჯვარის ყმები ყველა. ვინც ხელოსნად არ იყო მოსული და პატარად ავად გახდებოდა, მკითხავები მაშინვე უმკითხავებდნენ ხელოსნად მისვლას. ხელოსნად მიდიოდნენ ათენგენას. როგორც არხოტში, ასევე აქაც სახელოს "იზამდნენ", მხოლოდ ცოტა განსხვავებით. სახელოში დაკლავდნენ კურეტს და ცხვარს, გამოცხობდნენ სახელოს პურებს. სახელოს პურები ცხვებოდა ისეთივე, როგორც არხოტში, მხოლოდ არხოტში სოფელს ურიგებდნენ თითო სახელოს პურს, აქ კი არ არიგებდნენ. სახელოს პურებს რომ მოიტანდნენ, დააწყობდნენ მრგვლად, დაადებდნენ ზედ მოხარშულ ხორცს, დადგამდნენ შუა ადგილას ლუდიან ქვაბს,პურებზედვე დადგამდნენ ცარიელ თასებს და აზარფეშათი ჩაასხამდნენ ლუდს,დააკრავდნენ ზედ თითო ღერ სანთელს და მოუკიდებდნენ ცეცხლს. ხუცესი და ახალი ხელოსანი დადგებოდნენ სახელოს პურების წრის შიგნით პირ აღმოსავლეთისაკენ და ხუცესი იხუცებდა. ახვეწებდა ხელოსანს და მისი ოჯახის წევრებს. ხუცობა რომ გათავდებოდა, ყველა იქ მყოფი ხალხი დაამწყალობნებდა ახალ ხელოსანს, ე.ი. სახელოს პატრონს. დამწყალობნების შემდეგ აიღებდნენ თასებს და დაურიგებდნენ ყველა ხალხს. ხუცესს ეჭირა სახუცო კოჭობი და დაილოცებოდა. მერე ყველა დალოცავდა სახელოს პატრონს და დალევდნენ თითო თასს. ბოლოს ყველას ტაბლას დაუდგამდნენ. ქალებსაც გაუტანდნენ ტაბლას და ასე ჩვეულებრივ დამთავრდებოდა ყველაფერი. ნახორი რაც რჩებოდა, მიჰქონდა სახელოს პატრონს. თუ სახელო არ შეეძლო, მაშინ შეიძლებოდა განათვლა და ისე მისვლა ხელოსნად.

დასტური დგებოდა ქადაგით. წელწადში დასვამდნენ ქადაგს და ვისზედაც იქადაგებდა, ის უნდა დამდგარიყო მედიდჯვარედ. მედიდჯვარედ დგებოდა ოთხი დასტური. ეს ოთხი დასტური "იზამდა" შემდეგ დღეობებს: წელწადი, აჭვსება, ამაღლება და ათენგენა. ეს დღეობები მათ განაწილებული ჰქონდათ და თავის ხვედრ დღეობისათვის მოემზადებოდნენ.

ორი დასტური დგებოდა წილით, წილს "დააყრიდნენ" წელწდის დღეობაში და ვისაც ერგებოდა, ის დადგებოდა მეწვრილდასტურედ. მედროშაე გამოიყოფოდა ხელოსნებიდან, წილს ყრიდნენ. წილის ყრის დროს ხუცესი ამოიღებდა ქუდში ჩაყრილ წილებს, რომლებიც სხვადასხვანაირად იყო დანიშნული. ამოღების დროს შეეხვეწებოდა ქუდმოხდილი პირჯვრის წერით გუდანის ჯვარს: "დალოცვილო სახმთიო, შენ უშველი შენთ ჭელდებულთ ჭელოსანთა-დ ვინც უფრო შენის საკადრისი, ის აირჩი შენის დროშის მკადრედ შენის სახელის ჭირიმი". ამოიღებდა ორს წილს. პირველი წილით ერგება სალაშქრო დროშა, მეორით მგზავრი და მესამე დროშას სახუცო ერქვა. ხუცესი ამას არსად არ ატარებდა. ეს დროშა იყო

მუდამ ჯვარში "დაბძანებული", – სასაკლავესთან ახლო. სამაგიეროდ ხუცესი ყავარჯენს ატარებდა. ყავარჯენი იყო ვერცხლის ჯვარი და მხარზე გასადებად ჰქონდა ხისაგან გაკეთებული გრძელი ტარი. ამას ატარებდა ხუცესი მაგალითად, მთაში წასვლაში სანეს და სხვა. მგზავრ დროშას ატარებდა ის ხელოსანი, ვისაც წილით ერგებოდა, იქ სადაც გუდანის ჯვარის ღამისთევა იქნებოდა სოფელში. სალაშქრო დროშას და სახუცო დროშას გამოაბძანებდა და მოაბძანებდა ის, ვისაც სალაშქრო დროშა ერგებოდა. მხოლოდ თუ სადმე ლაშქრად წავიდოდნენ გუდანის ჯვარის დროშის ქვეშ, მაშინ სალაშქრო დროშით წინ გაუძღვებოდა მისი ხელოსანი, ხუცესიც წავიდოდა სახუცო დროშით და ორივენი ერთად ვალდებულნი იყვნენ ლაშქრისათვის ეხელმძღვანელათ და ხალხიც ისე ემორჩილებოდა მათ, როგორც სარდალს. ისინი სიტყვიერად თავისი აზრითა და სურვილით კი არ ხელმძღვანელობდნენ ლაშქარს, არამედ, ვითომც ჯვარი არიგებდა, აქადაგებდა და აუბნებდა ხალხისათვის თავის ნება-სურვილს. თუ გუდანის ჯვარი ათქმევინებდა ლაშქრისათვის რომ დაბრუნდითო,გაუგონებდნენ და დაბრუნდებოდნენ. თუ ეტყოდა, რომ წადით, იომეთ და გამარჯვება ჩვენი იქნებაო, ხალხს ეს ძალიან სწამდა და ხალისიანად მიდიოდნენ საბრძოლველად. საამისოდ ხუცესი და მედროშაე წმიდად უნდა ყოფილიყვნენ, რომ მოსულიყო გუდანის ჯვარი და პირად დალაპარაკებოდა მათ.

ერთხელ წასულა სამითხოოდ ხევსურთ ლაშქარი გუდანის ჯვარის დროშის ქვეშ. ამ ლაშქარს თან ახლდა სამი ქადაგი. სამივე დასვეს საქადაგოდ და ერთს, სახელად თოთიას, ვითომც "ახყოლია ჯვარი". მას უქადაგნია, რომ გამარჯვება არა მაქვს, დაბრუნდით, თორემ ვიზარალებთო. ხევსურებმა თურმე არ დაიჯერეს და უთხრეს: "შენ შიშით ქადაგობ, ჯვარი კი არ გაქადაგებსო". "აბა თუ შიშით ვქადაგობო", აუღია თოთიას დროშა და გაძღოლია ლაშქარს – რაც მოხდება ჩემი ბრალი ნუ იქნებაო. წასულან ხევსურნი და მითხოვლებს სულ ამოუწყვეტიათ ხევსურთ ლაშქარი. მას შემდეგ უფრო სარწმუნოდ მიაჩნდათ ქადაგის პირით მბძანებლობა გუდანის ჯვარისა. ამის შესახებ სიმღერაც არის მაშინდელი ამ ლექსის ვარიანტი შანიძისაც აქვს გამოქვეყნებული თავის წიგნში ქართული ხალხური პოეზია, I, (ხევსურული).

ბევრამ გაბანდა ჭევსურმა სამითხოოდა ჯღანიო,
ემზადნეს შვიდს დღე-ღამესა, ელვენ სიწმიდის ცანიო.
დათვის-ჯვარ გადადიოდეს ეგრ რო მარილზე ცხვარიო,
მარჯვნივ თოთიას ხყვებოდა ლაღი გუდანის ჯვარიო.
სალაშქროს ჭალას ჩაგროვდეს, დიდ უდგა საუბარიო.
სამი ეტანა ქადაგი გაუყარიან მჭარიო,
შაზძახნეს თავ-თავისადა, თოთიას ახყვა ჯვარიო.
"არ მაქვის გამარჯვებაი, ნუ მიზდით ჩემნი ყმანიო,
ეროის წლის ვადით შამეჭსნა, ფხა-სისხლიანი ჭმალიო".
არ დაიჯერეს ჭევსურთა, - "არ ყივის ჩვენი გვარიო,
აღარ მაგვისხამ ნელადა, მითხოს გაბევრდა ცხვარიო.
შიშით ხქადაგობ თოთიავ, არ გაქადაგებს ჯვარიო!
ამაშინ მაგჭრით კალთასა, დარბას რა დასხდას ჯარიო".

-"აბა თუ შიშით ვქადაგობ, გექნებით წინამძღვარიო,
თქვენ თუ მშვიდობით მახვიდათ, მე სრუ მამჭრიდით თავიო".
ჩადიან გიორწმიდასა, ჩანაყეს ნალ–უსმარიო.
ერთმანეთს ჩაეთამაშნეს, ქვეითი, ცხენოსანნიო.
ხუთშაბათს გათენებადა, შუ-მითხოს დასცეს ცანიო,
ჩაწვეს, ჩადაგეს შუ-მითხო, ცას გაადინეს ალიო,
გაწყვიტეს დიაც-ყმაწვილი, კალოდ გალეწეს მკვდარიო.
ამაიბრუნეს ჭარ-ცხენი, ტყვისა მაუდის ჯარიო.
ამაიშვილის ქვითკირთა, ვის გიქრის ბედის ქარიო,
აჭვაში კაცი წალალეს, აქაღ გვიჭირეთ მჭარიო!
დაგვეცა ჭევსურთ ლაშქარი,დიდ გვიდგას ცოდო-ბრალიო.
ჭანთით მავიდეს ჭანთელნი, მანაყეს ნალ-უსმარიო.
მძიმე აგვიდგა მდევარი, არ დაგვანებეს გზანიო,
ლოხაურიშვილ დაბრუნდა, ჭევსურნე, მიჭირეთ მ ჭარიო,
ფუნჩიათ აპარეკამა, სამეფო დასთმა თავიო,
თინიბექმ ბიჩინაგათამ დახარნა მშვილდის რქანიო,
ამაგის ნასრევს ისარსა არ უდგებოდა ფარიო.
გვერდს მიწევს აპარეკაი, მარტოს შავსწირენ ცხრანიო.
სახელ ნუ დაიმალების, წამავალ თუ ვინ ხარიო.
დაკითო, მარაიშვილო, რა ტურფა გიდგა ტანიო,
ეგრე გჭდებოდეს აბჯარნი, როგორც მანძილას რქანიო.
ეეგრ აღბრუნდი ტუტილა, როგორც კალოზე ჭარიო.
ეგრე გამაგდის ისარი, როგორც თბე-ბორბალს წყალიო.
აგხვიეს საგორავშია, დაგკარგავს არლოს წყალიო.
წამაგვიყანა ბაჩაყმა, ჭევსურნი შვიდი-რვანიო,
მაგვწკეპდა, მაგვაწუხებდა, მაგვჭყივის-ბაჩაყ ვარიო!
ნეეტავინ ჩამაგვიჩინნა ბაბურაულნი ძმანიო,
ანამც კი ლიქოკელები,ერთის დროშაის ყმანიო,
აგებაღ ბაჩაყს მახკლევდეს, მაგვშორდებოდა ღვარიო.
ამაგ ქართულის მათქვამი, მიაც იქ ნამყოფ ვარიო,
აიმათ გამამაქციეს, დავხიე არლოს წყალიო,
წამავედ ნაჭრევიანი, არგნად ვიჭმარე ჭმალიო.
მავკვდები, დაევმარხები, დამიტირებენ ქალნიო.
აიმათ შამავეყრები, არლოს ახყუდნეს ჭმალნიო.

ამ სიმღერეში ყველაფერი ნათქვამია: როგორ მიდიოდნენ ლაშქრად ხევსურნი გუდანის-ჯვარის დროშით, როგორ აქადაგებდნენ ქადაგებს და ისინი რიგორ უცხადებდნენ გუდანის ჯვარის სურვილს. როგორ ხევსურებმა გადმომცეს, ასეთივე წესით თურმე იქცეოდა მეფე ერეკლე II. ხევსურები ამბობენ: მეფე ერეკლე ყოფილა გუდანის ჯვარის მოძმე. ის რომ ხევსურეთში მოვიდოდა ხევსურთ ჯარში გასაყვანად, პირველად გუდანში ავიდოდა, შევიდოდა გუდანის ჯვარის ბელელში და იქიდან საუბარი ისმოდა ერეკლესა და გუდანის ჯვარისა ერთად. ისინი საუბრობდნენ ხევსურთ საჭირბოროტო და აგრეთვე საქართველოს

საკითხებზე. გუდანის ჯვარს ხევსურნი ვერ ხედავდნენ, ერეკლეს კი პირადად ეცხადებოდა და როგორც "მოძმეს" ესაუბრებოდა. საუბარს რომ გაათავებდნენ, ერეკლე გამოვიდოდა და გუდანის ჯვარის სურვილს ხევსურთ უამბობდა. ხშირად ყოფილა შემთხვევა, რომ გამოსული გამოაცხადებდა: გუდანის ჯვარი ბძანებს: ჩემნი ყმანი ხევსურნი მოემზადენით, ჩემი დროშა ააბით, საქართველოს მტერი შემოესევა, უნდა დაეხმაროთ. ხთისაგან გამარჯვება ვითხოვე და მიბოძა. მე ჩემს ფხა-სისხლიანს ხმალს შევირტყამ და თქვენთან ერთად ომში ვიქნებიო. როგორც დამბადებელმა მიბოძა, გამარჯვება და დავლა მე და ჩემთ ყმათ დაგვრჩებაო. თავის მხრივ ერეკლეც თურმე დაჰპირდებოდა ხევსურებს: მხოლოდ თქვენ დამეხმარეთ, მტერზე გავიმარჯვოთ და ვფიცავ ამ ჩემს მოძმე გუდანის ჯვარს, გამარჯვებაც ჩვენი იქნება. რაც დავლა დაგვრჩება, იმასაც მოგცემთ და რასაც მთხოვთ ყველა თხოვნას შეგისრულებთო. ხევსურები დაირაზმებოდნენ და ერთიც არ დარჩებოდა წაუსელელი. მიდიოდნენ სრულის გამარჯვების იმედით. ხევსურები ამბობენ: ისეთი დაფიცვა სდებოდა, რომ ხევსურნი სიკვდილამდინ იბრძოდნენო. თურმე თითოობით მივიდოდნენ გუდანის ჯვართის დროშასთან, ამოიღებდნენ ხანჯალს, დროშის ტარზე ჭდეს გააკეთებდნენ და დაიფიცავდნენ: 'როგორც ეს ჭდე ამოვარდა, ისე ამოვარდეს ჩემობა, თუ სამშობლოს გულისათვის სიკვდილამდინ არ ვიბრძოლო და მტერს ზურგი ვუჩვენოო... ასე მრკიცედ მიაჩნდათ გუდანის ჯვარი და მისი დროშა.

მედროშავენი ერთიმეორის დროშას ხელში არ აიღებდნენ; თავ-თავის დროშას უვლიდნენ. მედიდჯვარე დასტური უფროსობდა; მას ებარა სადასტურო საქმეები, რაც მთავარი იყო. იგივე თაობდა ჯვარის ყამირებს და ნაპირყურ სათიბეებს. დიასახლისის შოვნა-მოყვანაც მას ევალებოდა. ბევრის ცხვრების მოყვანა და მოვლაც მისი ვალდებულება იყო.

ბეგრის საკლავების გატყავებაც დიდ დასტურს ევალებოდა. მეწერილდასტურეს, გარდა საკუთარი, მისთვის მიკუთვნილი დღეობისა, არაფერი ეკითხებოდა. თავის დღეობაში კი ისინი განაგებდნენ ამ დღეობის სადასტურო საქმეებს.

ბეღელში, გარდა ხუცესებისა, ვერავინ შევიდოდა. ჭეროში – კი ყველას შეეძლო შესვლა, ჭელოსან-დასტურებსაც და ხუცესებსაც. დასტურები თუმცა დაბლა, საბეროში დიასახლისებთან იყვნენ, მაგრამ ჭეროშიც ჰქონდა მათ მონაწილეობა. ჭეროში გარშემო კედლის პირზე განლაგებული იყო კუთხიანი გრძელი ქვები სკამებად. ეს სკამები ყველა მიკუთვნებული იყო ცალ-ცალკე ჯვარიონთათვის. სათავეში იყო მორიგეთ სკამი, მერე ხელოსნების სკამები და ბოლოს დასტურებისა. სხვადასხვის სკამზე არავინ დაჯდებოდა. მაგალითად, დასტურის სკამზე ჭელოსანი და ხელოსნის სკამზე დასტური. ხელოსნები კი სახელოსნო სკამზე მორიგეობით დასხდებოდნენ ასაკით უფროსობის მიხედვით. მედროშაეს სკამი ჰქონდა ჭელოსანთ სკამთან, მხოლოდ, სათავეში. ის თუნდა ახალგაზრდა ყოფილიყო, მაინც თავის სკამზე დაჯდებოდა ხელოსნების სათავეში. სხვა ხელოსნები კი უფროსობით მოყვებოდნენ ხნოვანების მიხედვით.

როცა ბჭე-ხევისბერნი დასხდებოდნენ და ბჭობდნენ ხევსურეთის საერთო საკითხებზე, ლაპარაკობდნენ გამძღონი,ე.ი. ხუცესები. დანარჩენი ხალხი გაჩუმებული იყო და ყურს უგდებდა ბჭობას. ბჭობა იყო უფრო ხევსურეთის რჯულსა და მის ცვლილებებებზე. რჯულში თუ ზოგიერთი მუხლები არ მოსწონდათ, გუდანის

ჯვარის მბჭე-ხევისბერნი შესცვლიდნენ მას და, რასაც დაადგენდნენ, ის დარჩებოდა რჯულად. ამ რჯულს ყველარავინ გადაუხვევდა, ყველანი დაემორჩილებოდნენ. იტყოდნენ, რომ გუდანის ჯვარში დადებული რჯულია და ვის შეუძლიან მისი შეცვლაო. როცა ახალ რჯულს რამეს დადებდნენ, მაშინ არისხებდნენ: ვინც ეს რჯული დაარღვიოს, გაუწყრეს გუდანის ჯვარიო. მბჭე-ხევისბერთ დადგენილ რჯულს იქ გადასცემდნენ, სადაც სათემო სალოცავები იყო. უფრო ხშირად-კი დაბარებული იყო უფროსი ხალხი. ერთად ბჭობდნენ ყველანი და თვითონ მიჰქონდათ თავის თემში ეს რჯული აქაურ უფროსებს. რჯულის ზოგიერთ საკითხებს თუ ვერ გადაწყვეტდნენ სწორად, მაშინ ქადაგს გააქადაგებდა გუდანის ჯვარი და მისი პირით ეტყოდა ხალხს, თუ როგორ უნდა გადაეჭრათ ესა თუ ის საკითხი. ქადაგის ნათქვამს კი ყველა დაემორჩილებოდა, დაადგენდნენ რჯულს და ემორჩილებოდნენ ვითომც გუდანის ჯვარის სურვილს. რჯული იყო ჭრილობებზე, მოსისხლეობაზე და სხვადასხვა დანაშაულზე.

გუდანის ჯვარში დასტურს აყენებდნენ წელწადში, როგორც ვთქვით ქადაგის საშუალებით. ქადაგი რომ დაასახელებდა, ყველა იქ მყოფი დაამწყალობნებდა ახალ დამდგომ დასტურებს. მოიტანდნენ ერთ ჩხუტ ლუდს და ყველას დაალევინებდნენ დასტურთ სამწყალობნელს. ამ დღიდან დასტურნი შეუდგებოდნენ სიწმიდეს და სამზადისს სადასტურო ვალდებულების შასასრულებლად.

გუდანის ჯვარის მამულს ულაყით არ ხნავდნენ და არც ხოდაბურების სახით იყო მამულები. აქაური მამულები დაყოფილი იყო დასტურებზე. ესა თუ ის მამული დანიშნული იყო ამა თუ იმ დღეობისათვის და მას ამ დღეობის დასტური დაამუშავებდა. მამულებს სახელებიც თავისი ჰქონდათ; საათენგენო მამული, საამაღლებო, საახვსებო და სხვა. დასტურებსაც ხომ ასე ჰქონდა დღეობები დაყოფილი: მეათენგენე და მეწელიწდე ანუ მედიდ-დასტურე, მეამაღლებე დასტური და სხვა. ყველა თავის კუთვნილს მამულს მოხნავდა, მომკიდა, გალეწავდა და პურსაც თვითონ შეინახავდა ჭერხოში, წმიდა ადგილას. პური თუ დარჩებოდა ამ მამულის ნაღალურიდან, დასტური თავის სასარგებლოდ იყენებდა. თუ დააკლებოდა და არ ეყოფოდა დაწესებული ლუდის დასამზადებლად, მაშინ თავისი საკუთარი პურიდან უნდა დაემატებინა. ჩალა და ბზე კი დასტურს რჩებოდა. დასტური თიბდა ყამირებსა და ყანის ნაპირებსაც. დიდ დასტურს სხვა სარგებლობაც ბევრი ჰქონდა (ბეგრის ტყავ-ხორცი და სხვა). აქაური დასტურები გაზაფხულზე სასადუღრეს და შიგსაწვავ შეშას დაამზადებდნენ, სადასტუროებს მოხნავდნენ და პირველ დღეობას ათენგენას იზამდნენ.

ათენგენა

ათენგენას გაინათლებოდნენ და ადუღებდნენ ჩვეულებრივად ლუდს. ეს დღეობა იყო ოთხი დღე. აქ ახალი წესით არაფერი იყო. ღამისთევა, ჟამისწირვა ისეთივე წესით სრულდებოდა, როგორიც სხვა ხევსურეთის ჯვარებში. ათენგენა-დღეს მიდიოდა მთელი მლოცავი და მაგანძური სანეს. სანე არის გუდანის

სოფლის ზევით, მაღლა მთაზე. აქ აშენებული იყო ერთი კოშკი, სადაც ამ ერთს დღეს დღეობობდნენ მთელი წლის განმავლობაში. დროშა მოყავდათ და ხალხიც თან გაჰყვებოდა. მთაზე რომ ავიდოდნენ, მედროშაენი და ჯვარიონნი მივიდოდნენ კოშკთან, მედროშავენი დროშის ტარებს ფეჭზე დაიდგამდნენ და ისე აწკარუნებდნენ დროშის ზარებს. იდგნენ პირით ხალხისკენ და ხალხიც ქუდმოხდილი პირჯვარს იწერდა. ეხვეწებოდნენ გუდანის ჯვარს ცოდვების პატიებას, მტერთანაც და შინაურ ცხოვრებაშიაც დახმარებას და გამარჯვებას. ხუცესი კი ამ დროს ხანჯლით ჭელში იდგა (წინ საკლავი ეჭირა დასტურს) და ხუცობდა (საკლავი იყო ბეგარაში მოყვანილი, აქ სამს ან ოთხს კლავდნენ). როცა ბეგრის საკლავების დაკვლას მოათავებდნენ, სამაგანძუროს დაამწყალობნებდა ჯერ ხუცესი და მერე ყველანი: 'გწყალობდასთ მაგანძურს ბერის ბაადურის დავლათიცა-დ სამაგანძუროს დავლათიც. საწაღმართოდ მაგიარასთ, კაცსა კას დროს გიმატასთ, ბედ-ბოლოს, სარჩოს, სარგებელს. თვალი-დ გულ ნუვისა მაგრიოსთ". ამას ყველანი ლაპარაკობდნენ მაღლის ხმით. მერე მოიტანდნენ ლუდს და ახლა სადიდებელთ დადგამდნენ,ადიდებდნენ გუდანის ჯვარს და მერე ხევსურეთის ხთიშვილთ, ისე როგორც როშკის ერთ-ერთ დღეობაში არის აწერილი. სადიდებელთ დალევდნენ ჯვარივნები და მოკლე-მოკლე სიმღერებს უმღერდნენ სადიდებელთ სმის დროს:

დაბერდა გუდანის ჯვარი, ყმან შაიცვალა ვითანი,
იქავ შაჯდების ლურჯასა,ტყრაშნ იქნან მათრაჭისანი.
(მეორე ვარიანტი: 'თავის ნისლის-ფერ შახკაზმა, სხაპნ იქნეს მათრაჭისანი)
მარტუამ გუდანის ჯვარმა, დაანახევრა ჯარია,
ანადგურებდა ლაშქარსა ლურჯაის ნატოტარია,
მარტუამ ამაიბრუნა თერეთეგოელთ ცხვარია.
ბელელ-ბელლის კარს უჭდების მითხოელთ ჭარის რქანია.

ჯვარიონნი სადიდებელთ თასებს ჩვეულებრივად ჩამოიყრიდნენ, დროშებს კოშკზე მიაყუდებდნენ და დასხდებოდნენ თავის ადგილზე. ხალხს მოედან ადგილზე თავთავისთვის ჰქონდა ბინა, ზოგან ძმებს, ზოგან ქვეგვარეებს და ზოგს კი მარტოსაც. ისეთი ჩვეულება იყო, რომ სანეს უზღვნოდ არავინ წაყიდოდა, თითქოს ჯერ გუდანის ჯვარს ეწყინებოდა და მერე ხალხი გაიცხავდა-უზღვნოდ სანეს რა უნდოდაო. ამიტომ იყო, რომ ამ დღეს ძალიან ბევრი საკლავი იხოცებოდა. ის გარემოებაც უწყობდა ჭელს ბევრი ზღვენის მოსვლას, რომ ამ დროს ყველგან გზებიც იყო გასული და საქმიანობაც არ იყო ამ ხანებში. აგრეთვე მკითხავები ამბობდნენ, რომ ამ დღეობაში რაც მეტი ხალხი მოუვა, იმდენი კარგია და ესახელება გუდანის ჯვარს, თავის გამჩენის ხთის კარზეო. ვინც ავად გახდებოდა, ან სხვა რამე გაუჭირდებოდა, მაშინვე უმკითხავებდნენ: გუდანის ჯვარი ბძანებს, რომ ჩემს ვარდის დღეობა'ში მოდი და ესა და ეს სამსახური ე.ი. ზღვენი მოიყვანეო. ამ დროს ხევსურეთის მთებ'ში ცხვრები დგებოდა და საკლავის შოვნა ადვილი იყო. ყველა ამ გარემოების გამო აქ დიდძალი ხალხი მოდიოდა. იმდენი ცხვრები და თოხლები იხოცებოდა, რომ ხუცესი მთელ დღეს ფეჭზე იდგა. დაკლულ საკლავებს ატყავებდნენ პატრონები. მხარსა და ტყავს ჯვარივნებს აძლევდნენ. ყველას ჰქონდა თავისთვის პატარა ქვაბი, შეშა დამზადებული იყო

დასტურების მიერ. ხორცს მოხარშავდნენ, პატიჟებდნენ ერთი მეორეს თავ-თავიანთ ბინაზე, მართავდნენ სუფრას და იმართებოდა სმა-ჭამა და ლხინი. აქვე ეძლეოდა ლუდი ჯვარიდან. ჯვარიენებს ბეღლის კარით ჰქონდათ ამოტანილი. კოდი იდგა და ავსებდნენ. როცა კოდი აივსებოდა, გაადიდებდნენ ჩვეულებრივ და ეძლეოდა სოფელს.

სვამდნენ, ითვრებოდნენ, მაგრამ ჩხუბი აკძალული იყო და არავინ იჩხუბებდა ადვილად. ხანდახან კი ხდებოდა ორ გვარს შორის. ჯვარიონნი დროშას არ ააბძანებდნენ მანამ ჯურუმს არ მოიყვანდნენ – კურეტს ან ღირეულ საკლავს, ჭედილას და ცხვარს. დროშის არ აბძანება ძალიან ცუდად ითვლებოდა. ხალხის აზრით, გუდანის ჯვარი სულ ამოწყვეტდა ვინც დროზე არ მოიყვანდა ჯურუმს, იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავეს არ შეეძლო ჯურუმის მოყვანა, გვარს მოყავდა. თავის მოგვარეს სამრისხველოდ არ გახდიდნენ (უფრო ხშირად კი ისინი ჩხუბობდნენ, ვისაც ოჯახში არაფერი ჰქონდა და ღარიბი იყო).

დღეობა გასტანდა ერთს დღე-ღამეს, იმართებოდა მხიარულება, მღერა და თამაშობა ფანდურზე. აქ სათამაშოდ ფანდურის დაკვრა განსაკუთრებული კილოთ იცოდნენ. უკრავდნენ მოკლე-მოკლედ და თამაშობაც ასეთივე იყო. ფანდურის ასე დაკვრას ეძახდნენ: "ბეღლის კრულს") ბეღლის კარი არის გუდანის ჯვარის მთავარი სადღეობო ადგილი. იმღერდნენ ფანდურზე. დადგამდნენ ნიშანს და იმართებოდა შეჯიბრი სროლაში, აგრეთვე იმართებოდა შეჯიბრი ცხენების რბენაში. იქ არის ძალიან კარგი ადგილი ცხენების სარბენად, დახრილი ადგილია და რბილი დაბალ-ბალახიანი ბუსნო. რომ მივიდოდნენ მიჯნაზე, დამწკრივდებოდნენ. ხუცესი ან მეზარე ზარს დარეკდა და ზარის ხმას რომ გაიგონებდნენ მხედრები გამოუშვებდნენ ცხენებს, შუკაზმავ ცხენებზე ისხდნენ. მხოლოდ სარტყელი ეხვია ცხენს მუცელზე და მხედარი ამ სარტყელს იჭერდა ერთი ხელით, რომ წინ არ წამოქანებულიყო დაღმართში. ვისი ცხენიც წინ მოვიდოდა,ჯილდოდ ლუდი ან საკლავი ეძლეოდა,უფრო ლუდს ეშურებოდნენ. მხედრები ამით ხალხს პატივს სცემდნენ და ხალხიც მათ სადღეგრძელოში, მის და მისი ცხენის ქებას გამოთქვამდა, რაც მხედარს უხაროდა. აქვე შეიძლებოდა ახალგაზრდა ქალებს მისი საქებო ლექსი დაემღერათ ფანდურზე. ხევსურეთში ცხენი და თოფი ვაჟკაცის სასახელო იყო და ორივე კარგი უნდა ყოფილიყო:

ცხენისა მამწონს სიმაღლე, დაჭრეხილები ნალები,
დაკვართვილობა მჭედრისა, დატყვრეცილები თვალები.
ლაშქარ ზუბუქად დაჭრაი, კითხვად დიოდას ქალები.

ამ დღეს კაი დროს ატარებდნენ და ბოლოს დაიშლებოდნენ. მადლის მოთხოვა და გამომშვიდობება ჩვეულებრივის წესით იცოდნენ. სხვა ახალი არაფერი იყო. ხელოსნები ყოველ დღეობაში მიდიოდნენ ჩვეულებრივი სიწმიდით. თუ სანათლავი არ ექნებოდათ, ტანს მაინც ხშირად იბანდნენ ცივი წყლით. ხელოსნებს წილი არ ჰქონდათ ნახორში და ტყავ-ხორცში. მას დასტურები და ხუცესები ინაწილებდნენ. ერთ საკლავს ჩხანჩხს მისცემდნენ, ერთ არჩეულ საკლავს დიასახლისს და გამოიღოცავდნენ ჩვეულებრივად.

მარიამობა

ათენგენის შემდეგ მოდიოდა მარიანობა. მარიანობა იყო ერთ დღიანი დღეობა. ამ დღეობას ჰყავდა ორი საკუთარი დასტური და ისინი ამ დღეობის ყველა წესებს ჩვეულებრივად ასრულებდნენ, ახალი ამ დღეობაში არაფერი იყო. დროშა არ გამოდიოდა.

ენკენია

ენკენია მოდიოდა 14 ენკენიის თვეში. ქრისტიანული ეკლესია ამ დღეს დღესასწაულობდა ჯვართ ამაღლებას. ამ დღეს საკუთარი დასტურები ჰყავდა, რომლებიც ასრულებდნენ დღეობის ყველა წესებს. ამავე დღეობაში მიდიოდნენ ბეგრის ასაღებად ხახაბოში და არდოტში. წავიდოდნენ მგზავრი დროშით მედროშაე, მედიდდასტურე და ხუცესი. ბეგრის აღების წესები აღწერილი არის ხახაბოს და არხოტის დღეობებში. ეს ბეგარი მოუდიოდათ, ინახავდნენ მედიდდასტურენი და იხოცებოდა სხვადასხვა დღეობებში. განაწილდებოდა რაოდენობის მიხედვით. უფრო მეტი იხოცებოდა წელწადში. სხვა დღეობებში თითქმის სულ ერთნაირად იხოცებოდა. ხორცს ხარშავდნენ და ჭამდნენ ჭელოსნები და სხვა ხალხიც. ტყავები კი მედიდდასტურეს რჩებოდა. დარჩენილ ნახორსაც ისინი ინაწილებდნენ. ზოგი ხორცი კი იყიდებოდა გუდანის ჯვარის ყმებზე. ფული ჩაიდებოდა გუდანის ჯვარის ფულში. ყმათათვის საყიდად თითო გატყავებული ცხვარი ღირდა ძველად ათი შაური. თუ ბეგარი იმდენი არ დაიხოცებოდა და ხორცის ყიდვა ბევრს უნდოდა, მაშინ წილს ყრიდნენ და ვისაც ერგებოდა, ის იყიდდა. როგორც ამბობენ, საკლავები, ე.ი. ბეგრის ცხვრები, ხანდახან აღწევდა ოთხმოცდაათამდენ; ორმოცზე ქვეით არ დარჩებოდა, როცა ანდაქში და არჭილოში ცხვრები იდგა.

მოჰქონდათ ბეგარი ქმოსტიდანაც. სოფელი ქმოსტი არის როშკის სოფლის მახლობლად. აქ თურმე დასახლებულა ერთი მიგუდელი კაცი (მიგუდა არის მოხევეების პატარა სოფელი, სოფელ ახალციხის მახლობლად). ამ კაცს როგორღაც აქ ადგილ-მამული გაუჩენია, მაგრამ ქმოსტელებს ის არ გაუჩერებიათ და გამოუგდიათ იქიდან. წამოსულა და შეხიზნულა გუდანში. თავისი კუთვნილი ადგილი ე.ი. თავისი ნაწილი ქმოსტში, შეუწირავს გუდანის ჯვარისათვის. მაგანძურებს შემოხიზნული კაცი მიუღიათ და ქმოსტელებისათვის მოუთხოვიათ ამ კცის ადგილ-მამულში ბეგარი. ქმოსტელები არ დათანხმებულან, მაგრამ, მაგანძური რადგან ბევრი ხალხი იყო, ქმოსტელები კი ცოტა, ძალმომრეობით დაუკისრებიათ წელიწადში ორი ცხვარი. მაგანძურების წარმომადგენლები გაიგზავნებოდნენ გუდანის ჯვარიდან და ქმოსტელთ მთელი სოფლის ფარიდან ორ ცხვარს აარჩევდნენ (ხევსურეთში ყველა კომლს ჰყავდა ათი-ხუთმეტი ცხვარი და ერთი სოფლისა ფარა გროვდებოდა. ამ ფარიდან არჩევდნენ ბეგარს). ვისი ცხვარიც მოეწონებოდათ. სოფლის და გუდანის ჯვარის ხათრით, უარის თქმა

არ შეეძლოთ. ცხვარს წაიყვანდნენ და პატრონს მერე სოფელი გაუსწორდებოდა, ან ქერს შეკრებდნენ ან ერბოს; ერბოს მისცემდნენ ათ გირვანქას და თუ ქერს მისცემდნენ, ხუთ საწყავი უნდა მოეკრიფათ (ხუთი საწყავი უდრიდა ხუთ ფუთს). ეს ბეგარიც იხოცებოდა გუდანის ჯვარში მთასიქითიდან მოყვანილ ბეგრის ცხვრებთან ერთად.

ქმოსტელები არხოტში სოფელ ახიელის მამიძმები არიანო, იტყოდნენ ძველები. ე.ი. ეროი კაცის შთამომავლობიდან ვითომ ყოფილან განშტოებულნი. გვიანობამდე ერთიმეორეს ემხრობოდნენ ქმოსტელები და ახიელლები, როგორც საერთო დიდ ბრძოლებში ადგილებზე, აგრეთვე პატარა ჩხუბშიც კი. ერთხელ ქმოსტელებს ბეგრის მიცემაზე უარი ეთქვათ მაგანძურებისათვის. გაჯავრებული მაგანძურები ლაშქრად დამზადებულიყვნენ. ერთი ქმოსტელი კაცი მოვიდა სოფ.ახიელში. სოფელი შეიყარა. იმ ხევსურმა სოფელ ახიელლებს განუცხადა რომ ჩვენკენ ემზადება მაგანძური თავს დასასხმელად. ჩვენ ახლა დაგეჭირდა თქვენი თავი, როგორც მამიძმებისა, ისინი არიან სამი ძლიერი გვარის კაცმრავალი ხალხი, ჩვენ კი ერთი სოფელი ვართ. ისინი სამოცამდინ სოფელი მოიკრიფება, დიდი და პატარა. რომ წამოვლენ, დაგვამარცხებენ სიმრავლით და მაშინ თქვენც დაგნანდებით. ჩვენ სხვა მამიძმა არ გვყავს, თუ გვიშველით თქვენ და მოგვეხმარებით მათთან ბრძოლაში, თორემ ჩვენი საქმე ცუდად არისო. ახიელის მცხოვრებნი მაშინვე მოემზადნენ იარაღით და იმ ხევსურს კაცი გააყოლეს ბაიჭაური (მახსოვს იმ ხევსურს ბოიგარი ერქვა). ახიელლებმა ბაიჭაურს დაავალეს, თუ მაგანძური მართლა ემზადება, დღეც იარე, ღამეც და შეგვატყობინეო. ჩვენ მზად ვიქნებით და შევხვდებით მოძალე მტერს როგორც შეშვენისო. რომ გადახვალო, უთხრეს, გუდანის ჯვარის მორიგეთ კაცი გაუგზავნე, რომ ნუ წამოხვალთ ქმოსტზე, თორემ ჩვენ ძმა ვართ ძმისა, ე.ი. ქმოსტელების ძმა ვართ და მოვეშველებითო. ბაიჭაური რომ წავიდა, მახსოვს, ხალხი სულ მზადებაში იყო იარაღით. ბაიჭაურმა მოიტანა ამბავი,რომ მომზადებული მაგანძურის ლაშქარი დაიშალა და აღარ წამოვიდაო. ის კი არ ვიცი რატომ დაიშალა, ეს კი ვიცი, რომ მას შემდეგ ბეგარი აღარ მიუცია ქმოსტელებს.

ქმოსტელებმა, როგორც ვთქვით, უარი გაუცხადეს ბეგარაზე და აღარ აძლევდნენ. არდოტიდან და ხახაბოდან კი გასაბჭოებამდინ სულ ღებულობდნენ, როგორც მთის საბალახოს ბეგარს, ისე სოფლის ბეგარს.

ხახაბოში და არდოტში ბეგარი ყოფილა ორგვარი: მთის საბალახოსა, რომელშიც რამდენიმე ათეული ცხვარი ეძლეოდა. ეს საძოვარი მთები გუდანის ჯვარს ეკუთვნოდა და საბალახე ე.ი. საძოვრის ქირა აჰქონდა გუდანის ჯვარის სასარგებლოდ. სოფლის ბეგარი კიდევ იმიტომ ყოფილა, რომ ამ სოფელთაგანს თუ რომელიმეს რამე გაუჭირდებოდა, მაშინ მთელი მაგანძური გუდანის ჯვარის დროშის ქვეშ მოიყრიდა თავს და დაეხმარებოდა. მფარველობას უწევდნენ როგორც ქისტებთან, ისევე ხევსურეთშიც, შინაურ ძალმომრევ მტერთან. ამისათვის თითო სოფელი აძლევდა ხან ოროლ ცხვარს და ხან სამ-სამს. ეს ბეგარიც ორივე ერთად შეუერთდებოდა საბალახე ბეგარს და ერთნაირი წესით დაიხოცებოდა ყველა, ისე როგორც ზემოთ დაიწერა. განაწილდებოდა დღეობის მიხედვით; რამდენ დღიანი იყო ესა თუ ის დღეობა და რამდენი ხალხი

მოვიდოდა, რამდენ ხანს რჩებოდა ჭელოსანი ხალხი და მეზღვნე, ამის მიხედვით კლავდნენ.

აქ წვრილმანი დღეობებიც იცოდნენ ისე ჩვეულებრივ, როგორც სხვა ჯვარებში, ნამუშაევლის სამხვეწრო, სთვლის ნათაეარი, აგრეთვე იცოდნენ საზაფხულო უქმეები. ზაფხულის განმავლობაში გარდა ხვნისა, უქმობდნენ ოთხ დღეს. უქმე დღეებად ითვლებოდა: პარასკევი, შაბათი, კვირა და ორშაბათი. ამ დღეებში თიკნით და თხით ნათლავდნენ უქმს და ამუშავებდნენ მუშას. უქმის მუშას აძლევდნენ იმის ნახევარს, რასაც საქმეში მუშას აძლევდნენ. სულ-ერთია, უქმი არის, მაინც არაფერს გააკეთებ და ნახევარი ფასიც რომ აიღო, შენთვის კარგიაო, ეტყოდნენ უქმის მუშას. როგორც სხვა სოფლებში, ისე აქაც იცოდნენ ერთი მეორისათვის უქმის მიცემა და სხვა.

გიორგობა

ენკენის შემდეგ მოდიოდა გიორგობა. ეს დღეობა მუდამ ხვდებოდა გიორგობისთვის ათ რიცხვში. ამ დღეობასაც ჰყავდა ცალკე საკუთარი დასტურები,რომლებიც ამზადებდნენ ლუდს და უძღვებოდნენ სხვა დღეობების წესით ამ დღეობასაც. ამ დღეობაში განსაკუთრებული წესი არაფერი იყო. დასტურები ჯვარის გამძღოთ უამბობდნენ თაე-თავის სადასტუროების ამბავს. ჩემმა სადასტურო მამულმა ამდენი იღალაო. თუ მოცდა რამე მიზეზით ესა თუ ის მამული და კარგი მოსავალი არ იყო, ამის მიზეზსაც იტყვიან. თუ ან ვისიმე პირუტყვმა გაანადგურა. ან ცუდი თესლი იყო და მიტომ მოცდა მოსავალი და სხვა. ასეთი საუბარი აქვთ გიორგობის დღეობაში. აქ მორიგენი აძლევენ გაფრთხილებას შემდეგისათვის. დანარჩენი ღამისთევა, ჟამისწირვა მეზღვნების წესი და გამოლოცვა ყველაფერი ჩვეულებრივი წესით იყო.

ქრისტე

გიორგობის შემდეგ მოვიდოდა ქრისტე-მარხო: ქრისტე მოდიოდა აუცილებლივ ქრისტეშობისთვის ოცდახუთში. თუმცა ჭევსურები ვარსკვლავების და მზის საშუალებით იხსომებდნენ დღეობის მოსვლას, მაგრამ მაინც ისე სწორად, რომ არცერთ დღეს არ გადაცილებდნენ. ქრისტე-მარხვას ინახავდნენ ქრისტემდინ ერთი კვირით წინ. ამ პატარა მარხვას ბევრი ინახავდა. თუ შეეინახეთ მარხვა, მაშინ პირუტყვის ზარალი არ მოგვივაო, იტყოდა ბევრი მეკომური და თუ ეს მარხვა გაეტეხე, დიდი ზარალი იცისო. ამიტომ ამ ერთ კვირას უმეტესობა ინახავდა მარხვას. შეინახავდნენ ხელოსანნი და ჯვარის გამძღონი აუცილებლივ, ჯვარიონნი დასტურებიანად ხშირად ინახავდნენ და აუცილებლი იყო მათგან მარხვის შენახვა.

ქრისტე მარხვა რო გაივლიდა, მოვიდოდა ქრისტე – წუხრა. ამ საღამოს დასტურები, მედროშაე და სხვა მოხელეები თავიანავიანთ საქმეს გააკეთებდნენ.

ღამისთევა ჩატარდებოდა სამარხო ქადებით, ან მარილის გულიანი იქნებოდა, ან რაიმე მწნილი ბალახეულის გულიანი. ღამისთევა რო ჩატარდებოდა, სოფლიდან დასტურებს და გამძღოთ მოუვიდოდა ფაფა ზედ დასხმული გამდნარი ერბოთი. ხუცესი ერბოს კოვზით ამოიღებდა, ჩაასხამდა ცეცხლში და იტყოდა: "დიდება შენდა ღმერთო მაღალო, მაღალთაში მყოფელო, ცარეალის გამჩენო, ქვეყნის დამდგმელო! შენ გაუმარჯვი დიდ სახმთოს გუდანი ჯვარს. გუდანის ჯვარო შენ წყალობა მიეც შენს საყმოსა-დ საგლეხოს, სამაგანძუროს, ბევრ მარხოშამაეი-დ მარხო–გაე წელწად–ქრისტე მიეც მშვიდობისა, კარგა ყოფისა, ერთუცის სიცოცხლისა. სახმთო გუდანის ჯვარო, ნუ მაიწყენ, ნუ მაიძულებ შენთ გამძღოთაც, დასტურთ, ჭელოსანთად მორიგეთ, დიდხანს გაიყოლენი. სწყალობდი დიასახლისთაც კეთილის მკაზმავთ. ჩვენ გამკვლევთ მიეც წყალობა. ჩვენდ მარხვის გაჭსნევისად ბევრ მარხო გააყვანი მშვიდობისა, კარგად ყოფისა". ამ საუბრის დროს ცეცხლში სამჯერ ჩაასხამდა ერბოს კოვზით. როცა ასე დაილოცებოდა, ყველანი დასხდებოდნენ და ჭამდნენ ფაფას. თითო ბაკნიდან ბევრი ჭამდნენ. აქვე ამ ღამეს იმართებოდა ჩვეულებრივი ლუდის სმა,ხელოსნები იყვნენ მოსულნი და თავთავისი ჰქონდათ მოტანილი არაყი და ეპატიჟებოდნენ ერთმანეთს. მეორე დღეს ქრისტე გათენდებოდა. მიდიოდა მეზღვნე ნაკლებად, რადგან წელიწდი ახლო იყო და უფრო მაშინ იცოდნენზღვნობა, რადგან ის დიდი დღეობა იყო. წელშუის კვირაეს უწოდებდნენ წელწდისა და ქრისტე შუა რო ერთი კვირა რჩება. ამ კვირას დიდი დასტურები ამზადებდნენ ლუდს წელწდისთვის, ამზადნებდნენ შეშას, რაც მოტანილი არ ჰქონდათ. ჯვარიენები ემზადებოდნენ დღეობისათვის კარგად შესახვედრად. ხელოსნები და მორიგენი საწმიდრად იყვნენ. დასტურებიც სულ ჯვართ მიდამოს იყვნენ და სოფელში როცა მიდიოდნენ რამის მოსატანად, იქაც წმიდად იჭერდნენ თავს. სოფელშიც საწელწდოდ სამზადისი იყო; ამზადებდნენ არაყს. ქალები უმზადებდნენ მთელ ოჯახის წევრებს ახალ "ტალავარს", რო ახალწელს ძველი ტალავრით არავინ შეხვედროდა და სირცხვილი არ ეჭამათ ამ ოჯახი ქალებს. ახალი წელი რაკი დგებოდა, მიღებული იყო აუცილებლივ ახალი ტალავრით შეხვედრა დღეობისათვის. მამაკაცები ამზადებდნენ შეშას და ძროხებისათვის საკმარ საჭმელს, რომ წელიწადში საზრუნავი არაფერი ჰქონოდათ.

წელწადი

წელწდის წინა დღეს ქალები ჩამოწმენდნენ ჭერს (კერაში ანთებდნენ ცეცხლს და ჭერი ძალიან მჭვარტლიანი იყო). წინა დღითვე მოიგონებდნენ და მოიტანდნენ თუ მეზობელს რამე ჰქონდა ან ცული, მაკრატელი, ან შინაური ავეჯი და წვრილმანი რამ. ნემსიც რო ჰქონოდათ განათხოვრებული ისიც უნდა მოეკითხათ და მოეტანათ შინ, გასესხებულიც რო ჰქონოდა რამე, მაგალითად, ფქვილი, ერბო, ყველი, ესეც უნდა გამოერთმიათ. დიდი შეღავათი იყო თუ წელწადი მივიდოდა და მოვალე ვალს არ გადაახდევინებდა, კიდევ ადროვებდა. ეს ხდებოდა გამრინაკლის, უკიდურეს შემთხვევაში.

წელწად – საღამოს ძროხების ბაგასაც გამოასუფთავებდნენ და რაც საუკეთესო თივა ჰქონდათ, საქონელს აჭმევდნენ. აგრეთვე ქალები საურველით ყველა პირუტყვს დავარცხნიდნენ. აჭმევდნენ მარილს ცხრებსაც და ძროხებსაც. იარაღს გასინჯავდნენ და თუ რამე ოდნავ ჟანგიანი იყო, გაწმენდავდნენ. ამავე წელწად – შამაეს დღეს ყველანი ტანს დაიბანდნენ ახალ ტალავარს და ფეხსაცმელს ჩაიცვამდნენ.

ამ დროს ჯვარიონთ კიდევ თავისი საქმეები ჰქონდათ და ყველა თავისთვის დაკისრებულ მოვალეობას ასრულებდა. მაგანძური მოიტანდა განძს. აბარებდა დასტურთ. ისინი გარეცხავდნენ და დააწყობდნენ ადგილზე, სადაც განძისათვი თაროები იყო გაკეთებული ფიცრისა. მედროშაენი, გაინათლებოდნენ, ააბამდნენ ჩვეულებრივი წესით დროშას და დააბძანებდნენ თავის ადგილზე. ამ დროს მოჰყავდა დასტურს ბეგრის ცხვრებიც, რომლებსაც თვითონ ინახავდა. ამ ცხვრების "მოსხმაზე" ყველანი ფეხზე ადგებოდნენ, პირჯვარს დაიწერდნენ და იტყოდნენ: "დიდება ძალსა შენსა სახმთო გუდანის ჯვარო ბერო ბადურო, ნუ გააცუდებ შენ ყმათ ისრ რო ბეგრის ატანაი-დ შენ სამსახურად მასვლა აღარ შეეძლიყავს". ადგებიან ჯვარიონნიც და დაამწყალობნენ, საყმოსა-დ საგლეხოს, ბეგრის მომყვანთ. მოაყენებდნენ სასაკლაოზედ ოცამდინ ან მეტსაც. ხუცესი ჩვეულებრივ იხუცებდა, ახვეწებდა სამეგანძუროს და დახოცავდა ცხვრებს. საკლავებს გაატყავებდნენ ახალგაზრდები – ზოგს დასტურები, ხოგს კი ხელოსნებიც მიეხმარებოდნენ. ხორცის დასაკიდი ადგილი ჭერში ჰქონდათ, რკინის ჩანგლებზედ დაკიდებდნენ. ტყავებს დიდი დასტურები გაიყოფდნენ და მიჰქონდათ თავ-თავიანთ სახლებში (ბეგრის დახოცვის დროს ყველა ესწრებოდა გუდანში მცხოვრები და მოსული ხალხი, ხელოსნები და სხვა). ამ დროს მოვიდოდა მაგანძურის სოფლებიდან თითო სოფლის მეკვლე. მაგანძურების სოფლები ბევრი იყო და ბლომად მოიყრიდა ხალხი თავს. ყველა მოიტანდა არაყს, თითო ქადას და წულის სანთელს (სოფელში მეკვლეს ყველა მისცემგდა იმდენ სანთელს, რამდენიც ქუდიანი იყო ოჯახში. ამას ერქვა "წულის სანთელი"). სოფლიდან მეკვლე იგზავნებოდა გუდანში წილით. ყველა სოფელში შეიყრებოდა ხალხი. ყრიდნენ წილს და ვისაც ერგებოდა მეკვლედ წასვლა, ის წავიდოდა. საკლავებს რომ დაატყავებდნენ, დააყენებდენ თავზედ მეხორცეს. მოხარშავდნენ ხორცს. ამ საღამოს მეკვლენი დასხდებოდნენ ორად, საკუთარ გუდანის სოფლის მეკვლენი და სხვა სოფლებიდან მაგანძურების სამივე გვარის შერთებული მეკვლენი. ჯვარიონნი ორივე მეკვლეთ ლუდს მისცემდნენ და იმართებოდა სმა, თავ-თავის არაყიც მოჰქონდათ სახლებიდან და ერთიმეორეს ეპატიჟებოდნენ. ერთი მეკვლედან მეორე მეკვლეთანაც მივიდოდნენ დაპატიჟებით. მეკვლიდან მეკვლეში გასული კაცი, ან ერთ დიდი თასს ლუდს წაიღებდა ან არაყს მიიყოლებდა ერთ ბოთლს. მისული აშენებას ეტყოდა: "აშენდით მეკვლენო, წაღმაც წაგივათ დღეი-დ დღეობაი". ადგებოდნენ ყველანი და ეტყოდნენ: "დაშვენდი, მაგვიხვედი მშვიდობით. მშვიდობით შენ მასვლა". მისული თასს ან ყანწს მისცემდა უფრო უფროს კაცს, ისიც დაილოცებოდა, აღდეგრძელებდა მომტანს და დალევდა. თუ ლხინი გაიმართებოდა ერთ-ერთ მეკვლეში, მეორე მეკელეს ხალხიც მივიდოდა მოლხინე მეკვლეთან და მიიღებდა მონაწილეობას.

შუაღამის დრის ხორციც მოიხარშებოდა. დაიდგამდნენ ტაბლას ჩვეულებრივი წესით. ზედ დაადგამდნენ სანთელ-დაკრულს ლუდიან თასებს და ხუცესი იხუცებდა (სახუცო კოჭობი ხუცესს და სხვა თასები სხვა იქ მყოფ ხალხს დაურიგდებოდა). ყველანი მეკვლეთ დაამწყალობდნენ, დალევდნენ ცოცოტას. მერე ამავე თასებს აავსებდნენ და ხუცესი ტაბლასაც და თასებსაც მეკვლეთ მიცვალებულებისათვის დალოცავდა. ამ ღამეს ისე გაატარებდნენ, როგორც სხვა ჯვარებში არის აწერილი. ვარსკვლავებს გაჰყურებდნენ, როდის მოატანდა თენება და როდის იყო კვალის დაჭერის დრო. თენებაზე შემოვიდოდა მორიგე, მეკვლეთ თოვლს დააშლიდა თავზე და ეტყოდა: "ეეგრამც თეთრად დაღბერდებით". მერე მეკვლენი შეპატიუებდნენ მას ლუდ-არაყს. ცოტას დალევდა და წავიდოდა დასაძინებლად (დასაძინებელი ჰქონდა ჭეროში, ხოლო ისე ბეღელში იყვნენ მორიგენი). ამასობაში გაიძროდა ცისპირი. ჯვარივნები მივიდოდნენ კერივთან (კერივი ისეთი კოშკია, რომელიც მთლიანად ქვისაგან არის აშენებული და შასავალი არ არის შიგ) გააწყობდნენ ჟამსაწირს და დადგებოდნენ ჟამისწირვაზე. ჟამისწირვას რომ დაიწყებდნენ, მეზარე დარეკდა ზარს და ხუცობის დამთავრებამდინ რეკდა. პირველად რომ დარეკავდა, მეკვლენი წამოიშლებოდნენ და მივიდოდნენ პირჯვრის წერით იქ, სადაც ჟამისწირვა იყო გამართული. ხუცესი ხუცობის სამივე მუხლს ასრულებდა: მოხსენებას, ხუცობას და კურთხევას. ხუცობაში ამწყალობნებდა მეკვლეთ და სამაგანძუროს ერთად. ხუცობა რომ მოთავდებოდა, ყველანი დაამწყალობნებდნენ ბეგარაში მოყვანილს ჭედილას, რომელიც მთელს ბეგრის ცხვრებში იყო არჩეული და შენახული მეკვლე-დილისთვის. ხუცესი იხუცებდა და დაკლავდა მეკვლეთ სამწყალობნოდ (ამ დროს მაგანძურის მეკვლენი და ადგილობრივ გუდანელთა მეკვლენი ერთად იქნებოდნენ). საკლავი რომ დაიკვლებოდა, დაამწყალობნებდნენ და მოულოცავდნენ ერთმანეთს ახალწელს ისე ხმამაღლა,რომ არცკი ერჩეოდა ვინ რას ლაპარაკობდა. ბოლოს გადაკოცნიდნენ ერთმანეთს და იმართებოდა ცოტა ხანს ლუდ-არაყის სმა. ამის შემდეგ მეზარე მეორედ მივიდოდა ზართან და დარეკდა. ზარის ხმას რომ გაიგონებდნენ, გუდანის სოფლის მეკვლენი წამოცვივდებოდნენ და გაიქცეოდნენ დასწრობაზე სახლებისაკენ. მოსული მეკვლენი კი გამოემაროებოდნენ მადლის მოთხოვნით. ჯვარივნებიც გამოჰყვებოდნენ მათ ლუდით და არაყით და ისე გაისტუმრებდნენ თავთავიანთ სოფლებისაკენ. ადგილობრივი მეკვლენი, სახლებში რომ მივიდოდნენ, აქ ყველა ის წესი შესრულდებოდა, რაც სხვა სოფლებში. მეკვლე რომ შევიდოდა, დამალული "მეწყლე" გარეთ გავარდებოდა და წყალზე გარბოდა. მიიტანდა ჩვეულებრიკად ნიჭს. მეკვლეს მოაგებებდნენ სამეკვლეოს. იგი შეაგორებდა სამეკვლეოს და ოჯახის წევრებს ახალ წელს მიულოცავდა. სოფლები შორს იყო და წასული მეკვლეები გვიან მივიდოდნენ, მაგრამ ადგილობრივ ჯვარებში იქაური მეკვლენი იცდიდნენ, მანამ გუდანიდან მეკვლე არ მოვიდოდა.

ადგილობრივ მეკვლეებს ჰქონდათ ისეთივე წესი, როგორც აწერილია სხვაგან, მხოლოდ ელოდებოდნენ გუდანიდან მეკვლის მოსვლას. არც სოფელში ვინმე გამოდიოდა. მას დამხვედრი მეკვლენი მიეგებებოდნენ, ულოცავდნენ ერთიმეორეს ახალი წლის გამოცვლას,დაალევინებდნენ ლუდს. ამის შემდეგ აქ მყოფი მეკვლენი წავიდოდნენ თავთავიანთ სახლებში და აქ ასრულებდნენ მეკვლის წესებს.

ამ პატარ-პატარა სასოფლო სალოცავებშიც იცოდნენ ყველა დღეობები. ჰყავდათ ორიოლი წლიური დასტური, ხუცესი და მედროშაე. ეს ჯვარები ზოგი იყო გუდანის ჯვარის მოძმე, ზოგი მთავარანგელოზისა, იშვიათად კი სხვა სახელის ხთიშვილი იყო. უმრავლესობა ხევსურეთში იყო მთავარანგელოზი და წმიდა გიორგი. ზოგან ისინი მიაჩნდათ უფრო მძლავრად. გააჩნდა თუ სად როგორი და რამდენი ყმები ჰყავდა, ან რამდენი მლოცავი მიუდიოდა. რამდენადაც მეტი ჰყავდა ყმები და ბევრი ხალხი ლოცულობდა,იმდენად ძლიერად ეჩვენებოდათ ესა თუ ის სალოცავი. ზოგ ადგილებში მდიდარიც იყო ესა თუ ის ხთიშვილი, ვერცხლით, ჭურჭლეულით, დროშაც კარგად მორთული "ყავდათ". ასეთ ხვთიშვილსაც პატივს სცემდა ხალხი და მაღლა აყენებდნენ, ვიდრე ღარიბ ხთიშვილს. ზოგ ადგილებში მამულებიც ბლომად ჰქონდა ხთიშვილებს, ზოგან კი სულ არაფერი გააჩნდა. მამულების შემოსავალიდანაც მდიდრდებოდა ხთიშვილი და ხდებოდა ხალხის თვალში პატივსაცემი.

მეკვლის მოსვლის შემდეგაც სრულდებოდა წელწდის ყველა წესი, ჭირის პატრონის კარზე მისვლა, ლხინი და სხვა.

ერთხელ ამ დღეს აქ დიდი ჩხუბი მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ დროშებიც კი ააბძანეს და გასაშველებლად დროშით ჩაერივნენ, მთვრალი ხალხი მაინც თავისას არ იშლიდა და ჭრიდა ერთიმეორეს. ჩხუბი მოხდა არაბულებსა და ჭინჭარაულებს შორის. ამ გვარების ხალხი ვინც აქ იყო, იშვიათად თუ ვინმე დარჩებოდა, რომ ჩხუბში მონაწილეობა არ მიიღო. დაიჭრა სულ სამოცი კაცი და თითოს ათი-თორმეტი ჭრილობა ჰქონდა მიყენებული. ხელით და ფეხით ბევრი დასახიჩრდა,მოკვდა მხოლოდ ერთი,სოფელ ბაცალიგოში მცხოვრები ლაგაზა არაბული. ჭინჭარაულებს დაედოთ მისი თავსისხლი. რაკი ჩხუბი აქ სასტიკად აკრძალული იყო, სამოცამდინ კურეტი და ცხვარი დაიკლა მარტო ჯურუმი გუდანის ჯვარში. ჯურუმის გარდა, სამეშველო კიდევ რამდენი დაიკლა! (სამეშველოს ეძახდნენ: კაცი რომ ძალიან ავად იყო, ან მძიმე ჭრილობა ქონდა მიყენებული, მაშინ დამნაშავე, ე.ი. დამჭრელი და ავადმყოფის პატრონიც დახოცავდნენ საკლავებს "სამეშველოდ". ხთისშვილს დაუკლავდნენ საკლავს, რათა დახმარებოდა ავადმყოფს და მოერჩინა). ამის გარდა შეწირული იქნა მამულები, სამკაული, ვერცხლი. გამართეს ღამისთევები, დაიდვეს ძენგლი. ხთიშვილთ გარდა ერთიმეორისათვის დასჭირდათ დრამა, საკლავი, პატივი და სხვა აურაცხელი ხარჯები.

წელწადი დღე ჩატარდებოდა ყველგან, ძირითადად ერთნაირი წესით. აქ განსაკუთრებული არაფერი იყო. დასტურები დაიხმარებდნენ ქვაბების დუღილშიაც და საჯვარო სამსახურშიაც ჩხანჩხს. მას ნახორის ნაწილს აძლევდნენ. შულტა გუდანის ჯვარშიც იცოდნენ. მას აქ მარტო ქვაბ-საკიდელი ებარა. ყურადღებას აქცევდა ქვაბებს, ლუდის დუღილის დროს ძირზე არ დაელექა ფქვილი და არ მიმწვარიყო. არხოტის ჯვარში შულტა ასრულებდა ჩხანჩხის მოვალეობას. აქ კი დასტურნი ირჩევდნენ შულტას და ჩხანჩხს და, რომელ დღეობაშიც აირჩევდნენ, მარტო იმ დღეობაში ეხმარებოდნენ მათ ყველა სადასტურო საქმეების შესრულებაში.

არხოტში და ხახაბოში ხალხი ირჩევდა შულტას, მას ევალებოდა მომკილი ჭირნახულის გალეწვა და პურის ჩაყრა-შენახვა, ძნის მოტანა. ჩალა და ბზეც შულტას რჩებოდა. აქ თითო ჯვარში იცოდნენ ორი შულტა. გუდანის ჯვარშიც

შულტა ირჩეოდა ხალხისაგან წლობით. ებარა ქვაბ-საკიდელი, დიდი დღეობიდან ეძლეოდა ხორცისა და ნახორის ნაწილი. დასტურს თუ შინ არ ჰყავდა ხნიერი ქალი, შეეძლო მოკეთიდანაც მოეყვანა დიასახლისი. არხოტში კი დასტური ისეთი უნდა ყოფილიყო, რომ ხნიერი ქალი ჰყოლოდა ოჯახის წევრად და დიასახლისობა შესძლებოდა. მოკეთიდან მოყვანა არ შეიძლებოდა. არხოტში მეტი სიწმიდე იცოდნენ დიასახლისებმა, ვიდრე გუდანში, - სანათლავი და სხვა. გარდა არხოტისა და გუდანის ჯვარისა, დიასახლისი სხვა ჯვარებში არ იცოდნენ. დანარჩენი წესები, ლხინი,ქურდობა,ჭირის პატრონის კარზე მისვლა და სხვა, ისევე სრულდებოდა, როგორც არხოტში, სოფელ ახიელში.

კუმეტი

კუმეტ დღეს ოჯახში ყველა ადუღებდა ფაფას. კეცეულებს გამოაცხობდნენ და არხოტულის წესით ჯვარში მიუტანდნენ "საპატიოდ". ვინც მიუტანდა კეცეულებს, ჯვარივნები მას ვითომც აპატიებდნენ და მის ოჯახს აღარ გაქურდავდნენ (ქურდობის წესი აწერილი არის არხოტის ჯვარში და აქ ისეთივე წესით სრულდებოდა).

კუმეტ-დღეს ცხენის პატრონი ხორცს არ ჭამდა. ცხენები ბევრს ჰყავდა, მაგრამ ცხენის პატრონს ეძახოდნენ იმას, ვისაც ჰყავდა ძალიან კარგი მორბენალი ცხენი, რომელიც დოღში წინ მიდიოდა. პატრონად ოჯახიდან ითვლებოდა მარტო ის, ვინც ამ ცხენს დოღში არბენდა. დანარჩენი ოჯახის წევრები ცხენის პატრონად არ ითვლებოდნენ და ხორცსაც ჭამდნენ (უბრალო ცხენი ვისაც ჰყავდა და დოღში არ არბენდა, არც იმას ეძახოდენ ცხენის პატრონს). ხორცს იმიტომ არ ჭამდნენ კუმეტს, რომ ცხენი ან დამიზიანდება ან მომოკვდება, როცა დოღში წავიყვანო. ვინც კუმეტს ხორცს არ ჭამდა, სწამდათ, რომ მისი ცხენი ყოველთვის მარჯვე იქნებოდა და არსად არ დამარცხდებოდა. გარდა ხორცის არ ჭამისა, ცხენისა განათვლაც იცოდებდნენ საკლავით, რომ ცხენსა და პატრონს არაფერი დაშავებოდა. კუმეტს სხვა განსაკუთრებული წესი არაფერი ჰქონდა.

გუდანშიც იცოდნენ, როგორც არხოტში, წინა შუადღე და უკანა შუადღე. ამ დღეებსაც არ ჰქონდა სხვა ჯვარების დღეობებისაგან განსხვავებული წესი რამე რომ შესანიშნავი ყოფილიყო და აქ დაწერილიყო.

გამცხადება

გამცხადება, როგორც სხვა ჯვარებში, გუდანის ჯვარშიც მეხუთე დღეს იცოდნენ. გამცხადება – წუხრას აქ იცოდნენ "ბერაკაობა". ერთ კაცს მორთავდნენ "ბერაკად", ჩააცვამდნენ თხის ტყავს ბეწვით გარეთ, მოახვევდნენ ქამრის მაგიერ თოკის ნაწყვეტს, სახეზედაც გაუკეთებდნენ თხის თავ-რქას და წვერებს (თხის თავს გაატყავებდნენ, რქებსაც გააყოლებდნენ, წვერებსაც და სათვალურებიც ექნებოდა. ამას დაამზადებდნენ ბერაკობისათვის.მოაწყობდნენ ისე, რომ

პირისახეზე დაკრულს ადამიანი არ შეეწუხებინა. ამით მორთავდნენ უფრო მარჯვე და ხუმარა კაცს და გამცხადება რომ დაღამდებოდა, ბერაკას გაჰყვებოდა მთელი სოფლის ახალგაზრდობა).

ბერაკები ყველა ოჯახში მივიდოდნენ, ზოგან შინ შევიდოდნენ და გამართავდნენ ლხინს. ფანდური თან დაჰქონდათ. ერთ-ერთი დუკრავდა და პირველად ბერაკა გადმოხტებოდა სათამაშოდ. ხტებოდა სასაცილოდ, ხან თხასავით ბღაოდა, ხან რქებით დაუწყებდა ცემას ადამიანებს. მერე ოჯახში დაიწყებდა ძებნას და ვინც ახლო მიუვიდოდა, დაარტყამდა რქებს როგორც თხა,იპოვიდა არაყს,ჩასხმევინებდა ბერაკათ წამოღებულ საამისო ტიკში,ხორცს თუ იპოვიდა, ჩადებდა გუდაში, ერბოსაც მისცემდნენ, ფქვილსაც ჩაყრიდნენ გუდაში. ვისაც არაყი ჰქონდა, ბერაკათ წევრებს ყველას დაალევინებდა. არაყი თუნდა სხვისთვის არ ჰქონოდათ, ბერაკათ მოსვლისათვის მაინც ინახავდნენ. ზოგ ოჯახში სახლში არ შევიდოდნენ, საკომიდან ჩაუშვებდნენ კალათას. ოჯახის პატრონი ამ კალათაში ჩაუწყობდა რაც საშუალება ჰქონდა და ემეტებოდა ბერიკათათვის. ოჯახი შეიძლება რამეზე შეწუხებული ყოფილიყო, დაღონებული და ამიტომ ბევრიც რომ ეთხოვა მასპინძელს, ბერაკანი მაინც შინ არ შევიდოდნენ. ასე მოივლიდნენ მთელ სოფელს და საბოლოოდ ჯვარშიაც მივიდოდნენ. ჯვარში არ შევიდოდნენ, რადგან სოფელში იყვნენ ნასიარულევი უწმიდურ ადგილზე. მივიდოდნენ ბეღლის კარზე და იქ გამართავდნენ ლხინს. ჯვარიონნიც დაალევინებდნენ ლუდს,აჩუქებდნენ ერთ კარგ დაკლულ ცხვარს,ერთ ჩხუტ ლუდს და გაისტუმრებდნენ ისე. ბოლოს ბერიკანი მივიდოდნენ ამორჩეულ სახლში და მიიტანდნენ თავის ნადავლს. აქ მოიწვევდნენ სოფლის ახალგაზრდა ქალებსაც და იმართებოდა მხიარულობა, სმა და ჭამა. ტაბლას რომ გაამზადებდნენ, უფროსი ტაბლასაც და სასმელსაც შენდობას ეტყოდა იმათთვის, ვინც წასულ წელს ბერაკათ ესწრებოდა და ახლა ცოცხლები აღარ არიან. ამ დროს ბერაკასაც ჩამოხსნიდნენ სამოსელს. ერთობოდნენ ერთად ქალ-ვაჟნი თავისებური წეს-ჩვეულებებით. ამ ღამეს გაათევდნენ ბერიკანი და მეორე დღესაც შუადღემდე ამ ყოფაში და მხიარულებაში იყვნენ.

გამცხადება დღეს ერთერთ ბანზე მიიტანდა ყველა კომლი კეცეულებს. მოიყრიდა ყველა თავს – დიდი და პატარა, მოვიდოდნენ ჯვარიონთ წარმომადგენლებიც და მოიტანდნენ ლუდს. ავსებდნენ თასებს და ეს კეცეულებიც და ლუდიც ილოცებოდა კეცეულების მომტანთა მკვდრებისათვის. დალოცვის წესი ყველგან იყო ერთნაირი. ამ ნალოც თასებს გამოცლიდნენ სულუქცევრად. ეს ასე იმიტომ იყო მიღებული, რომ მკვდრებს უფრო კარგად და მალედ მიუვა საიქიოშიო. ჩამოარიგებდნენ და ყველას დაალევინებდნენ ლუდს შასანდობრად. მერე დაჭრიდნენ ქადებს და ყველას აჭმევდნენ, ვინც აქ იყო. საგამცხადებო დასტური,გარდა დიდი დასტურებისა,სხვა იყო. მისი დამზადებული ლუდიდან ბანზე მოჰქონდათ ლუდი. თუ ახალი მიცვალებული იყო,მაშინ ერთ საწდეს იმ მიცვალებულისთვის დალოცავდნენ. უამისოდ ლხინს არ გამართავდნენ ჭირის-პატრონის ხათრით. აქედან დააბამდნენ ფერხისას და მიდიოდნენ ფერხისით ჯვარში. ქალი და რძალი თან გაჰყვებოდა ამ ფერხისას. ქალები მათთვის დანიშნულ ადგილზე მივიდოდნენ და იქ დასხდებოდნენ, ვაჟები კი პირდაპირ

ჯვარში მივიდოდნენ. ჯვარნიონნი გაუმასპინძლდებოდნენ ლუდით ქალებსაც. ქალები ახალგაზრდა ვაჟებთან ერთად წამოიღებდნენ სოფელში ლუდს და მართავდნენ ლხინს. ამრიგად მთავრდებოდა გამცხადებაც. მეექვსე დღეს იყო წყალკურთხევა.

წყალკურთხევა

წყალკურთხევას განსაკუთრებული არაფერი იცოდნენ. თუ გზა იქნებოდა და ზვავები არ იყო, ამ დღეს ხანდახან იცოდნენ თემებიდან უფროსი კაცების მოწვევა. დასხდებოდნენ და ბჭობდნენ ჴევსურეთის საჭირბოროტო საკითხებზე. რჯულში თუ რომელიმე წესი არ მოსწონდათ, დასვამდნენ საკითხ მისი შეცვლის თაობაზე, ან თუ ვინმე რჯულს (ე.ი. ხევსურეთის კანონს) გადაუხვია და რჯულის გარეშე რამე ძალმომრეობა ჩაიდინა, ან მოსისხლე ვინმე ჩაგრა უსამართლოდ, როგორც ხელქვეითი, ან თუ დრამა აიღო მეტი რამეში. ამ საკითხებს საბჭოზე, ე.ი. ბჭე-ხევისბრებთან წამოაყენებდნენ და ისინიც ბჭობდნენე ამაზე. დამნაშავეს შეუთვლიდნენ, დანაშაულები გამოესწორებინა, თორემ ხევსურეთის სალოცავებიდანაც და ხალხიდანაც მოკვეთილი იქენებოდა. დადგენდნენ, სხვას ეს არ ჩაედინა. თუ ჩაიდენდა, ამოეგდო ის სამანი, რომელსაც ამ დადგენილების ნიშნად ჩააგდებდნენ ჯვარში. თუ ვინმე ამ დადგენილებას დაარღვევდა, რაზედაც ეს სამანი იყო ჩაგდებული, მაშინ დამნაშავეს სამანი თავის ხელით უნდა ამოეღო მიწიდან და გადაეგდო. ეს კი მთელი საგვარეულოს ამოწყვეტას მოასწავებდა; გაწყრებოდა გუდანის ჯვარი და იმის გვარს სულ გაანადგურებდა. სოფლებიდან მოსული უფროსი ხალხი უფრო 'ჯვარის ჴელკაცები" იქნებოდნენ. როცა ბჭობდნენ, ხანდახან ამოიღებდნენ ქვაბიდან თასით ლუდს და ძალიან მძიმედ შესთავაზებდნენ ერთიმეორეს. ჩუმად გამოართმევდნენ, ნელა დაილოცებოდნენ და დალევდნენ. დალოცვაში ასე იტყოდნენ: 'მბჭე-ჴევისბერნო, დაგლოცნასთ გუდანის ჯვარმ, კაის თქმადა-დ კაის გონებად ნუ დაგლიენასთ". დალევდნენ ცოცოტას და შეუდგებოდნენ ისევ თავის სასაუბროს. ხნიერ ხალხს ბევრი რამ ახსოვდა გადმოცემით, მოყვებოდნენ წარსულ ამბებს. იქ ის ამბავი მოხდა, ასე დამთავრდაო და სხვა. მსჯელობდნენ, ხანდახან ორ-სამს დღეს გასტანდა ეს საუბრები. როცა დააწესებდნენ ახალ რჯულს, მას ყველა ზეპირად იხსომებდა და გადასცემდა თავის თემის მორიგეთ და ხალხს.

როგორც ვთქვით, აქ უმრავლესობა, მორიგენი ყვნენ ყველა ჯვარებიდან თავმოყრილი. მორიგენიც უფრო ძველის მცოდნე და ხნიერი ხალხი. შემდეგ ეს რჯული გადადიოდა სათემო სალოცავებში და აქ გაეცნობოდა ყველა, აქედან სასოფლო და შემდეგ გვარების სალოცავებში. აქ კიდევ შეიძლებოდა ადგილობრივი მდგომარეობის მიხედვით ცოტა ცვლილების შეტანა. როგორც ვთქვით, ზოგს ძალდატანებითაც შეჰქონდა ცვლილებები რჯულში. მაგალითად, გვარ-მრავალ ხალხს შეეძლო ძალა დაეტანებინა ხალხ-ცოტა გვარისათვის და რჯულის გარეშე ძალით გაეტანა თავისი. ამას ეწოდებოდა 'ურჯულო რჯული". ამას ყველა რჯულის მცოდნე ხევსური ერიდებოდა. როცა სარჯულავად სადმე ისხდნენ, იტყოდნენ – მე

ურჯულო რჯულს აქ ვერ დავდებ და მერე თავის სოფელში ვერ წავიღებო. რჯულის წყალმა გაიაროს და რჯულის მოჭრილი ხელი არ მეტკინებაო. რომელიც ძალმომრეობას იჩენდა რჯულის დროს, იმასაც იქვე გაიცხავდნენ რჯულის კაცები და სხვა ხალხიც არ მოუწონებდა.

ასე დამთავრდებოდა წელწადი და იწყებოდა ბედის-კვერაობა (ბედისკვერაობის წესები აწერილია და აქ აღარ გავიმეორებთ).

აღება

აღებას ჰყავდა საკუთარი დასტურები. დუღდა ერთი ქვაბი ლუდი. დღეობა იყო პატარა. არც განსაკუთრებული წესი რამე ჰქონდა. აღებას ყველა ოჯახში მზადდებოდა არაყი და პატიჟობდნენ ერთი-მეორეს. აქაც ხორცი უნდა მოხარშულიყო აღება ღამეს. აღებას ლუდი მიუდიოდა ქალებსაც და ჭირის პატრონიც ქალებს უძღვებოდა. იგი ამზადებდა არაყს და ხორცის ტაბლას. ქალები აქ მოიყრიდნენ თავს, შლიდნენ ტალავარს და იმართებოდა ყველა ფორმებში ტირილი. აქვე მოიტანდნენ ჯვარიდან ლუდს და ტირილის შემდეგ იმართებოდა სმა-ჭამა. სხვა ახალი არაფერი იყო.

სულთაკრეფა

სულთაკრეფასაც ჭირის პატრონები დედაკაცებს მოიწვევდნენ და ტაბლას მართავდნენ. ტაბლა იყო სამარხო, დოხანი სიმინდისა და სვილისა, აგრეთვე ამზადებდნენ არაყს და ტირილის შემდეგ იმართებოდა სმა. ტირილი იცოდნენ ტალავარზე. ტირილის დროს ჭმით მოტირლებმა იცოდნენ შეჯიბრება და (სასენო) გასაჯავრებელი ტირილი. ტირილი რომ მოთავდებოდა, ტაბლას მაშინ დაიდგამდნენ. როცა დედაკაცები ტირილში იყვნენ, მამაკაცებს გაჰქონდათ სათოფეები და დგამდნენ თოვლის ნაქარში, იმიტომ რომ თოვლში ტყვიებს დასტურნი ოხრიდნენ ისევ ცოცხლად და თანაც, რომ სათოფეები თოვლში შორიდან კარგად მოსჩანდა. სათოფეების წესი, როგორც აწერილი არის სხვა სოფლებში, აქაც ისეთივე წესით სრულდებოდა. ბავშვები თოვლში დადგმულ ვაცებს ესროდნენ ისრებს. ისარი თუ პურში ჩაერჭობოდა, მაშინ ისრის პატრონს მიჰქონდა ვაცი და მასზე დაყენებული პატარა ჯილდო. მაგალითად სათამაშო კოჭები და სხვა. სოფელი ჯვარში არ მიდიოდა. იქ იყვნენ მარტო ჯვარიენები. სოფელს თავისი კუთვნილი ლუდი მიჰქონდა სოფელში,იქ დასხდებოდა ჯარი და იმართებოდა სმა. ამ დღეს მღერა არ იცოდნენ,მხოლოდ ლუდს სვამდნენ. ილოცებოდა მიცვალებულისათვის.

სულთაკრეფამდინ და სულთაკრეფის შემდეგ არის მგელთ-უქმი, თაგვ-ჩიტით-უქმი და სხვა ასეთი წვრილმანი უქმეები, რომლებიც არხოტის დღეობებში აიწერა და აქ ახალი არაფერი ხდებოდა.

ურწყნი

ურწყის ორშაბათი იცოდნენ ორი: ერთი ორშაბათი იყო დიდმარხვის პირველი ორშაბათი, მეორე კი ახვსების მეორე დღე ორშაბათი. ურწყნი აქაც წარმოდგენილი ჰყავდათ ისევე, როგორც არხოტში. მათ გარშემო აქ თქმულებები იყო სხვადასხვა. ურწყნი, როგორც ნათქვამი არის, ანგელოზები ყოფილან და მოუნდომებიათ ღმერთობა. ღმერთს დაუწყეველია, უქცევია ეშმაკებად და ჩაუყრიან ქვესკნელში. ბოლოს, მომხდარა მათი გასამართლება და ისევ ღმერთს მიუცია მათთვის ეს ორშაბათი დღეები, უფლება ადამიანების ბოროტმოქმედებაზე მოახსენონ მას. იგი მათ ვითომც დამნაშავის დასჯის უფლებას მისცემდა. მათ მიერ დასჯილი ადამიანი კი აღარ მორჩებოდა. ამიტომ იყო, რომ მათ უქმს "ჭელ-უძრავ" უქმს ეძახოდნენ და არც გაშორდებოდა სუსტი ანგელოზის პატრონი ადამიანი სოფელს (ე.ი. ქალები და ბავშვები). მათივე შიშით ამ დღეებში ოჯახში ცუდს ვერავისზე ილაპარაკებდნენ, რადგან ურწყნი "ყურიადობდნენ", გაიგონებდნენ ამ საუბარს, ღმერთს ამბავს მიუტანდნენ და ისიც ურწყთ ნებას მისცემდა დამნაშავის დასასჯელად. ურწყნი როცა არიან, მაშინ არც სანთელი ენთება და არც საკლავი იკვლება, ხალხის წარმოდგენით ანგელოზნი მაშინ ხთის კარზე არიან თურმე შეგროვილნი და ქვეყნად მარტო ურწყნი დაიარებიან.

(ეს ახალი ცნობა მომცა ბეწიკა ჭინჭარაულმა, 70 წლისამ).

კუდიანწუხრა

კუდიანწუხრა აქაც ჩვეულერბივად იცოდნენ; თავ-თავიანთ კარზე ანთებდნენ დიდ ცეცხლს და ზედ ხტებოდნენ, ვისაც გატენილი თოფი ჰქონდა, აუცილებლივ უნდა გაესროლა, არ შეიძლებოდა გატენილი თოფის დატოვება, რადგან ხალხი ამბობდა-ასეთს ეშმაკი დაეპატრონება და შემდეგ ხიფათს გამოიწვევსო. იყო ამ ღამეს თოფების სროლა. უკიდებდნენ ცეცხლს ისრის ძირებს და მშვილდებით ისროდნენ. აგრეთვე ნიგუზით შემოუვლიდნენ ბანს. ცეცხლიანი ნიგუზი მარცხენა ხელში ეჭირათ, შიშველი ხანჯალი მარჯვენაში და ასე შემოწერდნენ: "თავისა შასვით ეშმაკებო, თავისა შაჭამეთ, ჩემსამც ნუვის გამაღვიძლავთ, თავის და-ძმა გამაღვიძლეთ, - გრიაი-გრისკუდიანთა, ჩემიმც ნურა მიგაქვთ, თავისა შასვითა შაჭამეთ". როგორც არხოტშია აწერილი, აქაც ისეთივე წესებით იყო ყველაფერი და ისეთივე რწმენით.

კუდიანწუხრას დაძინება არ შეიძლებოდა, თუ ყველა ღილები დახსნილი არ ექნებოდათ ტანსაცმელისა. ხალხის რწმენით, კუდიანები დაუვლიდნენ მწოლარე ხალხს და ვისაც ღილი ექნებოდა შეკრული, გამოღვიძლავდნენ. ამავე დროს, დაწოლის დროს ჯვარი უნდა დაეწერათ, შეხვეწოდნენ ღმეროს, თავის ახლობელ სალოცავს და უნდა ეთხოვათ ყოველგვარი დახმარება. მაშინ კუდიანები ვეღარ მიეკარებოდნენ. მაგალითად, დაწოლაში ასე სთხოვდნენ ღმერთს და თავის სალოცავს:

“ღმერთო და ჩემო სალოცავებო, წმინდანო ანგელოზნო! გევედღებითა-დ გეხვეწებით, თქვენ გვიშველეთ, უშველეთ ჩემს ხიზანს, ავი, მავნე, მარცხი-ბირკოლი გვაშორეთ, ნურაით დაგვამარცხებთ, ნუ ვის თვალ-გულს მაგვრევთ. შანაცოდვარ გვაპატიეთა-დ ზღვნითა-დ სანთლით გადაგვაჭდიეთ, კაცით ნურას გადაგვაჭდევთ, თავ ყმად არ გვშურსა-დ სანთელი, საქონი ზღვნადა-დ სამსახურად”.

ქალები კიდევ ასეთ სიტყვებს წარმოსთქვამდნენ დაძინების წინ: “ღმერთო, დიდო ძლიერო, შენ გაუმარჯვი სამაგანძუროს სალოცავსა-დ დიდს მაგანძურის დავლათს. დიდო მაგანძურის სალოცავო, მაგანძურის დავლათო, მეკეზისწვრეო ანგელოზო, სახლის მამცაურო ანგელოზო, თქვენ უშველეთ ჩემთ ჯალაფთ, ჩვენს დიდსა-დ ცოტას, ნურაით ვის დაგვამარცხ-დაგვაზიანებთ, დუშმანთ გულისად ნუ დაგვჭდით, გვიჭსნენით ავისა-დ მწარის საქმისგან”.

ხალხის გადმოცემით და რწმენით: იყვნენ დედა და ქალიშვილი, ორივე კუდიანები. ეს ქალი გათხოვილი იყო და კუდიან ღამეს თავისი ქმრით მოსულა მამისახლში. იმ ღამეს სიძეს და ცოლისძმას არაყი დაულევიათ. დასაძინებლად რომ წასულან, სიძეს ღილებიც გაუხსნია და ჯვარიც დაუწერია. ცოლისძმა კი ნასვამი ყოფილა და ადავიწყნია ეს წესები. ცოლისძმას დაეძინა. სიძეს კი ისევ ეღვიძა, როცა ამ უკანასკნელის ცოლს და სიდედრს (კუდიანებს) კუდიანები მოუვიდნენ და მოსთხოვეს ადამიანის ღვიძლი (ამ ღამეს ყველა კუდიანები ვალდებული ყოფილან, რომ ვინმე გამოეღვიძლათ, უფრო თავისი ნათესავი და სხვა კუდიანებისათვის მეტანათ მისი ღვიძლი), მაშინ დედამ უთხრა თავის ქალს, ადი ჭერხოში, ან შენი ძმა გამოღვიძლე, ან შენი ქმარი და ღვიძლი მოიტანეო. ქალი დაემორჩილა, ავიდა ჭერხოში, ნახა რომ მის ქმარს ღილიც გახსნილი აქვს და ჯვარიც დაუწერია, მის ძმას არც ერთი წესი არ ჰქონდა შესრულებული, მაგრამ ქალს ძმა დაენანა და ვერ გაბედა მისი გამოღვიძლვა, ჩამოვიდა და დედას უთხრა: ჩემს ძმას არ დაუწერია ჯვარი და არც ღილი გაუხსნია, ქმარი რომ ყოფილიყო გამოვღვიძლავდი და ძმის გამოღვიძლვა ვერ გავბედეო. დედა გაუწყრა: “წადი და ჩქარა გამოღვიძლეო”. ქალი დაღონდა, მაგრამ დედამ საშველი არ მისცა და გამოაღვიძვლინა ძმა (თავისი შვილი). ამ დედა-შვილის მოქმედებას სიძე ყუელაფერს ყურს უგდებდა. ცოლისძმა რომ გამოღვიძლეს და კვდომა დაიწყო, ამოიღო ხანჯალი და ცოლს და სიდედრს თავზე დაადგა: ორივეს დაგხოცავთ თუ არ გატყდით და ცოლისძმა არ გამიცოცხლეთო. კუდიანი დედა-შვილი შეშინებულან. დედას უთქვამს შვილისათვის: მისი თხა გამოღვიძლე და შენს ძმას ის ღვიძლი ჩაუდეეიო. გამოუღვიძლავს თხა, ღვიძლი თავის ძმისათვის ჩაუდვია და მორჩენილა. მერე გატეხილან და ბევრი რამ უამბნიათ კუდიანების შესახებ. ხალხს ისეთი წარმოდგენა და რწმენა ჰქონია: კუდიანი თუ გატყდებოდა, ვითომც ჩვეულებრივ ადამიანად იქცეოდა და კუდიანობის წესებისა აღარფერი ეცოდინებოდა (გატეხა იყო რომ იტყოდა: “მე კუდიანი ვარ გაეტეხილვარ”-ო. ამის თქმის შემდეგ მოშორდებოდა კუდიანური სული და დარჩებოდა ადამიანი).

მეორე ამბავი: ერთ კუდიან ქალს ეყოლა ექვსჯერ ტყუპი ვაჟიშვილი. თერთმეტი გამოაღვიძვლინეს კუდიანებმა და მეთორმეტეც რომ დაავალეს, ვეღარ გაიმეტა. ჯერ დავალებაზე უარი უთქვამს: ერთი შვილი მაინც უნდა შევირჩინოო.

კუდიანებს მაინც დაუჟინებიათ და მოუთხოვიათ გამოღვიძვლა. მეტი საშველი რომ არ ჰქონია,ქალი გამოტეხილა და ლექსად უთქვამს შემდეგი:

მე ექვსის მუცლის მამგე ორ, თორმეტის შვილის დედაო,

უნცროსის ჟამურელისა ეხლა ძლივ მექნა ნებაო.

ეს რომ უთქვამს, მოშორებია კუდიანური სული და დამრჩალა ჩვეულებრივ ადამიანად. ასე შერჩენია უმცროსი შვილი.

მესამე ამბავი: ერთ კაცს ჰყოლია კუდიანი დედა. ჯერ ერთი ცოლ-შვილი დაუხოცია გამოღვიძლვიო თავისი შვილისათვის, მერე მეორე ცოლ-შვილი გაუჩენია და ისინიც დაუხოცია. მესამე ცოლ-შვილი რომ გაუჩენია, წასულა მკითხავთან. მკითხავს უთქვამს: "დედა გყავს კუდიანი, ის ან უნდა გასტეხო, თორემ ცოლ-შვილი არ შეგრჩება და კიდევ გამოღვიძლავსო. შვილს ყოველი ღონე უხმარია დედის გამოსატეხად და ბოლოს, რომ არ გამოტეხილა, შემოჰკვდომია. დედა რომ მოკვდარა აღარავინ მოჰკვდომია და შერჩენია ცოლშვილი.

მეოთხე ამბავი: ყოფილა ოთხი ძმა, მოუყვანიათ ყველას ცოლები. ერთს ძმას კუდიანი ცოლი შეხვედრია. ამ რძალს თურმე ერთ-ერთი მაზლი ძალიან უყვარდა, ეს კუდიანებმა იცოდნენ და თხოვდნენ მის ღვიძლს. კუდიანმა თურმე ვერ გაიმეტა, რომელიც უყვარდა და მის მაგიერ გამოღვიძლა მეორე მაზლი. კიდევ მოსთხოვეს მისივე გამოღვიძლვა და ისევ სხვა მაზლი გამოუღვიძლავს. მესამეზე მოსულან კუდიანები, მოუნდომებიათ კარგი მაზლის გადაგდება ბანიდან და ისე გამოღვიძლვა. ამის მნახველმა კუდიანმა ვერ გაიმეტა მაზლი და დაიძახა: 'არიქა მაზლო, კუდიანები ბანიდან გადაგაგდებენ, გავტეხილვარ კუდიანი ვარო", ეს რომ დაიძახა, მაზლი შეკრთა, მოშორდა ბანის წვერს და გადარჩა გადავარდნას. ამ კუდიანსაც მოშორდა კუდიანი სული. მერე გამოტეხილი კუდიანი ლაპარაკობდა: გატეხის ნება არ გვქონდა, კუდიანები თან მუქარით გვაშინებენ, თან კუდიანს უნდა, რომ კუდიანი იყოს და ყველაფერი იცოდეს რაც ქვეყანაზე ხდება. მაგრამ მე ეგ მაზლი ძალიან მიყვარდა, სასიკვდილოდ ვერ გავიმეტე და გამოვტყდიო.

აჭვსება

აჭვსებას ჰყავდა ორი საკუთარი დასტური. დღეობა სრულდებოდა ჩვეულებრივად. მარხვას ინახავდნენ ჯვარის გამძღონი (ხუცესები). ღამეს, რომ უთევდნენ, მაშინ გასტეხდენ მარხვას. დასტურები მოიტანდნენ მარხვის გასატეხად ერბოდასხმულ ფაფას, შიგ ჩადგმული რამდენიმე კოვზით (საფაფე კოვზს ეძახოდნენ, სწორი კოვზები იყო, ორივე მხარეზე ერთნაირი, ამოღრმავება არცერთ გვერდზე ეტყობოდა). ხუცესი ამ კოვზით ერბოს ამოიღებდა, ჩააწვეთებდა ცეცხლში და ეხვეწებოდა გუდანის ჯვარს: 'ღმერთო გაუმარჯვი გუდანის ჯვარს! გუდანის ჯვარო შენ უშველი შენთ ჯვარიონთა-დ ჩვენთ გამკელევთ დასტურთ, საყმოსა-დ საგლეხოს. სამაგანძუროს, მიეც მშვიდობა, ბევრ აჭვსება-მარხო-გაე მშვიდობისა მაღგვარი, ნუ ვის თვალ-გულს მაღრევ დალოცვილო!' ამის შემდეგ ფაფიან ქვაბს შემოუსხდებოდნენ და ჭამდნენ.

ამაღლება

ამაღლების დასტურიც ორი იყო საკუთრად ამ დღეობაში. ამაღლებას ხალხი ბევრი ინათლებოდა, რადგან ამ დღეობაში საკლავის შოვნა შეიძლებოდა. წლიურ სანათლავს უმრავლესობა ამაღლებას მოიყვანდა და გაინათლებოდა. წლიური სანათლავი ყველა მამაკაცისათვის სავალდებულო იყო. ზოგი კი ორსამჯერაც ინათლებოდა წელში. აუცილებელი იყო რომ თავის ანგელოზისათვის დაეკლა და სისხლი მოეცხო შუბლსა და გულზე.

დაკოჭვაც ამაღლებას იცოდნენ. დაკოჭვის წესები არხოტში კარგად არის აწერილი და აქაც იმავე წესით სრულდებოდა. სახლში გასტუმრების დროს ყველანი დაამწყალობნებდნენ: "წყალობა წაიღი გუდანის ჯვარისა, წყალობა! წაღმ გამაგყვას გუდანის ჯვარის დავლათი. გიშველას, გიმეშველას, თავის ბედი-დავლათი დაგაჭმარას, დაგიჭსნას ავისა, მავნისგან, მეწაღმართე ანგელოზ დაგაყოლას". ქალი პირჯვრის წერით უკან წავიდოდა. მედროშაე რამდენიმე ნაბიჯზე გაჰყვებოდა და დაკოჭვილის თავზე დროშას აწკრუნებდა. ხუცობას და დამწყალობნებას რომ მოათავებდნენ, მაშინ ქალის თავზე ნახვევ "ჭელისაჭოცს" აიტაცებდა ერთი ხელოსანი ან დასტური. დასტური თუ აიტაცებდა, ყელზე მოიხვევედა (ძველ დროს ყელზე იცოდნენ მოხვევა ახალგაზრდებმა ასეთი რამეებისა), თუ ხელოსანი აიტაცებდა, – შეაბამდა იმ დროშის ტარზე, რომელიც მას ებარა.

გუდანის ჯვარის ქონება

როგორც აღნიშნული არის, გუდანში რაც მამულები იყო, თითქმის სულ გუდანის ჯვარს ეკუთვნოდა. მაგანძურის გვარები რომ აქეთ-იქით გაფანტულან, აქაური მამულები გუდანის ჯვრისათვის დაუტოვებიათ. ზოგი შემდეგ შეუწირავთ ადგილობრივ მცხოვრებლებს. გუდანელები სულ სანახევროდ საღალედ ხნავდნენ ჯვარის მამულებს, საკუთარი სახნავ-სათესი მათ არ გააჩნდათ. ამიტომ გუდანის ჯვარში მუდამ ბევრი იყო ქერი. ხალხი კი ღარიბად ცხოვრობდა და პური სხვადასხვა სოფლებიდან მოჰქონდათ. ჯვარის პური ხმარდებოდა ლუდს და სხვადასხვა საჯვარო ხარჯებს. როცა საჭირო იქნებოდა, საჯვარო პურით საკლავებსაც იყიდდნენ და დაკლავდნენ რამე სასოფლო საქმეზე.

გუდანის ჯვარს სანეს ჰქონდა ადგილი, რომესლაც ეძახოდნენ "ბორტვის ნაკვეთს". ამ ადგილს არც ხნავდნენ და არც თიბავდნენ. დღეობის გარდა, ამ ადგილზე არც ქალი გაივლიდა და არც კაცი. თუ ძროხები ამ ადგილზე დაბინავდებოდნენ, კაცი არ მივიდოდა, თუნდაც ერთი კვირაც ყოფილიყვნენ. იქ. გაივლიდა მარტო ხუცესი, ან მიწმიდარი ხელოსანი. თუ ვინმე შემთხვევით ამ ადგილზე გაივლიდა და მერე ავად გახდებოდა, მკითხაველებიც გაიგებდნენ და უმკითხაველებდნენ ბორტვის ნაკვეთის დანათვლას და ჯურუმად სხვა ზღვნებსაც.

გუდანის ჯვარს სოფლის პირდაპირ სამხრეთკისაკენ ტყეც ჰქონდა. აქ ვერაკინ გაივლიდა, თუ წმიდა არ იქნებოდა. ვერც მოსჭრიდნენ რამეს შინ მოსახმარებლად. ჯვარში რაც სჭირდებოდათ კი ამზადებდნენ შიგ საწვავსაც და სასადურესაც განსაზღვრული რაოდენობით. ძველ დასტურს ჯვარის ტყეში დამზადებული შეშა თუ მორჩებოდა, გადასცემდა ახალ დასტურს უფასოდ. უფლება არ ჰქონდა იმდენი მოეჭრა, რომ ბევრი მორჩენოდა, არც გაყიდვის ნება ჰქონდა. აქ იზრდებოდა ვერხვი, რომელიც სახლის მასალად ვარგოდა. გამძღოთ ნებადართვით შეიძლებოდა გამოეტანათ ხე-ტყე. თითო ძირი ღირდა მაშინდელი ათი შაური.

კურეტები: გუდანის ჯვარს ჰყავდა კურეტები. ვისაც უმკითხავებდნენ, რომ მოეყვანა და ცოცხლად გაეშვა ორი ან სამი წლის მოზვერი, ის მიიყვანდა. ამრიგად გროვდებოდა კურეტები და იზრდებოდა ხარები. შესანახად ურიგდებოდა ყველა დასტურებს თითო და ისინი ინახავდნენ. გუდანის ჯვარის ხარებს არ ამუშავებდნენ და თუ ვინმე მოინდომებდა, იმასაც გაუგებდნენ მკითხავები და მოამიზეზებდა ჯვარი. თოთია ჭინჭარაულმა მიამბო: ერთხელ ჯვარის ხარი კალოში შევაბით და იმავე წამს თხა მოგვიკდა მურდლადო (ლიქოკის, ანუ კარატის ჯვარის ხარებს კი ამუშავებდნენ დასტურები). გუდანის ჯვარის ხარები, ან კურეტები დაიკვლებოდა გიორგობას. მორიგენი გადაწყვეტდნენ რამდენი ხარი და კურეტი უნდა დაკლულიყო. ხორცი იყიდებოდა ჯერ იმაზე, ვისგანაც იყო შემოწირული. თუ ის არ იყიდდა, მერე გაიყიდებოდა ჯვარის გამძღო-ხელოსნებზე. თუ ისინიც არ იყიდნენ, მაშინ გაიყიდებოდა ყმაზე. მსურველები წილს ყრიდნენ და ვისაც ერგებოდა, ისინი იყიდდნენ. ხორცი იყიდებოდა ხელმისაწვდომ ფასებში. ერთი მხარი, თავი და ტყავის ნახევარი ჯვარიენებს რჩებოდა. ნახევარი ტყავიც იყიდებოდა მსურველებზე.

გუდანის ჯვარის მოძმეები, ბევრგან ყოფილან. უფრო მახლობელი კი ჰყოლია ზეისტეჩოს სოფელში. ამ ჯვარსაც ილოცავდნენ სახმთოს სახელწოდებით და ასრულებდნენ ყველა იმ წესებს, რაც გუდანში იცოდნენ. ამბობდნენ, რომ ზეისტეჩოური ჯვარი ძალიან ძლიერი იყო, თავის მორიგეს და სხვა მსახურებს ძალიან სიწმიდეს ავალებდა. წელწად-დილასაც კი, ჯვარის ყველა მოსამსახურენი თოვლში და ყინულში იბანდნენ წყაროზე ტანს. მანამდინ ვერაფერ წესს ვერ ასრულებდნენ. სხვა ჯვარებისგან განსხვავებით ზეისტეჩოური ჯვარი თავის მოსამსახურე ახალგაზრდებს სწორფრობასაც კი უშლიდა. ამაზე გალექსებულიც კი არის ეს ჯვარი:

ჯვარო ზეისტეჩოურო, მე ძალიან მაშინება,
ქალსთან წოლას ნუ დამიშლი, თორემ შამაგაგინება.
გუდანის ჯვარის მოძმედ ითვლებოდა მეფე ერეკლეც.

ნახარელა ხთიშობელი

გუდანში მეორე სალოცავიც არის, რომელსაც ლოცულობენ მარტო ჭინჭარაულები. ამ ჯვარის საკუთარი სახელია ნახარელა – ხთიშობელი. მას ჰყავდა საკუთარი ხელოსნები, ხუცესი და დასტურები, ყველა ესენი ჭინჭარაულების გვარიდან. დასტურს აყენებდნენ მორიგეობით, თითო წლით. დგებოდა წელწადში და იდასტურებდა პირველად ათენგენას. ამ ჯვარის

დღეობებს განსაკუთრებული წესი არაფერი ჰქონია. სხვა დღეობების მსგავსად იყო ყველა წესები, მხოლოდ ერთი დღეობა იცოდნენ ამაღლების სწორზე, სამშაბათს; ამ დღეობას ეძახოდნენ ქალ-ქალიშვილობას. ამ დღეობას ასრულებდნენ ჭინჭარაულების ქვეგვარები აზუზნი და ბერღოჯანანი. ეს ორი ქვეგვარი (მამანი) ახლო განაყრებია ერთიმეორისათვის. აზუზთა და ბერღოჯანათ პაპას ვაჟიშვილი არ ჰყოლია და ამ ამბავზე ძალიან დაღონებული ყოფილა. ბევრი მსხვერპლი შეუწირავს ხევსურეთის ხთიშვილთათვის, მაგრამ არაფერი შვილებია. მის ცოლს კიდევ ეყოლა თურმე ქალი, ერთს მათ მეზობელს ამ დროს ვაჟი შესძენია. ქალის და ვაჟის დედები ერთ ღამეს ერთად ყოფილან რაღაცა ჭელსაქმისათვის. ღამე გაუხედიათ გარეთ და დაუნახავთ რომ ნახარელას მიდამო, სადაც ახლა ხთიშობელს ლოცულობენ - სულ განათებული ყოფილა. თურმე ხთიშობელს მოუვიდნენ ხთიშვილნი სტუმრად. ქალის დედას დაუწერია პირჯვარი და უთქვამს: 'დაილოცენით, ათასიმც მადლი გაქვთ, ნუმცარაით შამისაწყინდებით". ვაჟის დედას კი უთქვია: "აუ – დაგწყეველნასთ კაცთ გამჩენმ ღმერთმ, ქვე რეებიღ ანათებენ აი ნაჭარელას". დილას რომ ამდგარან, ქალის დედას ვაჟი აუყვანი თავის აკვნიდან და ვაჟის დედას – ქალი. ქალის დედის მადლის მათხოვაზე მისი ქალი ხთისშვილთ ვაჟად მოუქცევიათ. ვაჟის დედის დაწყევაზე კი მისი ვაჟი ქალად. ხევსურები ამბობენ, რომ ეს ვაჟი ყოფილა აზუზთა და ბერღოჯანათ პაპა. იმისი შთამომავლობა გამრავლებულაო და შექმნილა ორი მამა. სხვა გვარის კაცს არ ჰქონდა უფლება, რომ ამ დღეობაში მოსულიყო. ამ ორი ქვეგვარის შთამომავლობა კი დისწულები და დისწულისშვილებიც მოდიოდნენ, მოიყვანდნენ საკლავებს და საწირს. აზუზ-ბურღოჯანანი მთელი დღის განმავლობაში სვამდნენ ლუდს, კლავდნენ საკლავებს და ატარებდნენ დროს.

დობილნი

გუდანის ჯვარს დობილნიც ჰყავდნენ ისე, როგორც სხვა ჯვარებს. ადამიანებისათვის მათი რგება არაფერში გამოიხატებოდა. უფრო აწუხებდნენ ბავშვებს: გადაედებოდათ მუწუკი, ან მისცემდა სიცხეს და ეს ყველაფერი დაბრალდებოდა დობილთ. უკლავდნენ თიკანს, უშლიდნენ აშალას, გამოაცხობდნენ და მოანთებდნენ ხაციწიან ქადას სამი სანთლის ფეხით. დობილნი იყვნენ ვითომც ბავშვების სახით. მეორე მავნე დობილნი არიან ბებერი ქალის სახით. გუდანის ჯვარს ვითომც ნისლისფერი ცხენი ჰყავდა და თავისი ცხენით მიეშეველებოდა გაჭირვების დროს თავის ყმას, თუ შემოსძახნებდა გუდანის ჯვარს და სთხოვდა დახმარებას. გუდანის ჯვარის დროშებს ძველად ყველას შუბები ქონდა ჩამოცმული და მზად იყო საომრად. მერე ერთ-ერთი დროშისათვის შემოიღეს ჯვარი ვერცხლისა და ვერცხლისვე ბურთი. ამ სამკაულით ამკობდნენ დროშას.

გუდანის ჯვარი ზოგის თქმით არის ვითომც მოხუცი კაცის სახით. უმრავლესობა კი ამტკიცებდა, რომ ის იყო თეთრ-ცხენოსნიანი მეომარი, როგორც სურათში დახატული იყო წმიდა გიორგი.

ხმალა, ალვისხე და შურისციხე

როდესაც ბარისახოში სისაური მდგარა და გამრავლებულა, მაშინ იმათ სალოცავი ყოფილა ხმალა ანუ ხმალა-მთავარანგელოზი (სისაური გამრავლებულა ქისტეთიდან მოსისხლეობაზე გამოქცეული ქისტის შთამომავლობაზე (დაწვრილებით იხილე ხთისკრობის აღწერილობაში). ამ გვარის ხალხი თურმე ხელმძღვანელობდა ხევსურების გალაშქრებას მითხოში და სხვაგან, სადაც კი წავიდოდნენ ხევსურნი ხალხის დასაბეგრავად. ისინივე აბამდენ ხმალას დროშას და გაუმძღვარებდნენ ჯარს წინ, ვიდრე სისაურს აყრიდნენ აქედან და მაგანძური დაიწყებდა გუდანის ჯვარის დროშით წინამძღვრობას და ლაშქრობას. მაგნძურის გვარი რომ გამრავლებულა, სისაურები გაურეკიათ აქედან. ხმალას დროშა და განძი მათ თან წაუღიათ და დასახლებულან თიანეთის მარჯვეს. სალოცავიც იქ დაუარსებიათ, ეძახოდნენ ხმალას ანუ სისაურთ საჯორობოს. აქ დარჩენილი მაგანძურის გვარი ისევე განაგრძობდა ამავე ადგილზე ხმალას ლოცვას. მას ჰქონდა თავიდანვე მიკუთვნებული მამული-ხოდაბური გუდელას. ამ მამულს ამუშავებდნენ ულავით და მისი ნაღალურით იხდიდნენ დღეობის წესებს. მას ჰყავდა თავისი ხუცესი და წელიწადში ექვსი დასტური. ამ დასტურებს მოჰქონდათ მომკილი ძნა, ლეწავდნენ, ჩალას თვითონ იყენებდნენ, ქერს კი ინახავდნენ შემდეგი დღეობების ლუდისათვის. გუდელას ყოფილა სახნავად ძალიან მაგარი მიწა და მოსავალიც კარგი სცოდნია, ამიტომ არის ნათქვამი:

ჭარო გაზინე, მურადაო,
მაზვერმ არ მაჭნა გუდელაიო,
ქერი კა იცის გუდელამაო
ლუდ იცის დამ'შმაგიარეიო! (დამშმაგიარე - მათრობელი)

დასტურები გაინაწილებდნენ დღეობებს და თავ-თავის დღეობაში ადუღებდნენ ლუდს, ასრულებდნენ დასტურობის ყველა წესს. ხმალაში იყო დარბასი, სადაც დასტურ-ხელოსნები ასრულებდნენ წესებს. გარეშე კაცის იქ შესვლა არ შეიძლებოდა. ამავე დარბასში ჰქონდა დასტურს, მედროშაეს და ხუცესს თავ-თავისი კუთვნილი ქვის სკამი, რომელზედაც სხვა კაცს დაჯდომის უფლება არ ჰქონდა. დღეობების წესები არავის ახსოვს, მხოლოდ იციან, რომ აქაურ დასტურ-ხელოსნებს ძალიან წმიდობა სცოდნიათ. ხუცესი და ხელოსანი ორი კვირით ადრე საწმიდრად გავიდოდნენ, მივიდოდნენ ჯვარში და ცხოვრობდნენ იქ. დასტურები კი ლუდს რომ ადუღებდნენ, მერე იწყებდნენ აქ ცხოვრებას ე.ი. დღეობამდე ერთი კვირით ადრე. ხმალა სადაც არსებობდა, აქ იყო თურმე მდიდარი ტყე (ახლა აქ ტყე სულ არ არის). როცა იქ ძროხები შეევიდოდნენ, რამდენიმე დღე რჩებოდნენ რადგან გამორეკვა არავის შეეძლო, ვიდრე თვითონ არ გამოვიდოდნენ. ხმალას გვერდზე ჩამოუდიოდა დიდი ხევი. ქალებს არ შეეძლოთ ხევს გაღმა გასვლა.

ხმალას გვერდზე მდგარა მაღალი ციხე და ძალიან დიდი ალვის ხე. ციხეს შიგნით ჰქონია რკინის საფეხურები კედელში მოთავსებული (ეს საფეხურები აღმოჩნდა 1927-28 წლებში სასკოლო შენობის საძირკველის გაჭრის

დროს და ტეხნიკმა თოფაძემ წაიღო თბილისში). ალვის ხის ძირში ყოფილა დარანი. დარანში მდგარა სამი ქვევრი, სადაც ალვის ხიდან გადმონაწვეთი მირონი ჩადენილა. ქვევრები თუ აივსებოდა, მაშინ შეჩერდებოდა მირონის წვეთების ჩამოდენა. ამ ქვევრებიდან მიჰქონდათ თურმე მირონი და ნათლავდნენ ხალხს. პირდაპირ არაგვს გაღმა, აღმოსავლეთ მხარეს ერთ მაღალ გორზე იდგა ძალიან მაღალი ციხე, რომელსაც ეწოდებოდა შურისციხე. შურისციხეს და ალვის ხეს წვერებზე ანგელოზთაგან გაბმული ჰქონდა ოქროს შიბი, რაზედაც ანგელოზნი დადიოდნენ. ლაშქარმა ბევრჯელ სცადა შურის ციხის გატეხა, ალვის ხის მოჭრა და შიბის წაღება, მაგრამ ვერ ახერხებდნენ. ბოლოს მოსულ ლაშქარს ერთი ღულელი კაცი დაუჭერიათ და იმისგან გაუგიათ როგორ შეიძლებოდა ამ ხის მოჭრა, მანმადე ხეს ცულს რომ დაჰკრავდნენ, გაჭრიდა, მაგრამ ნაცულარი ისევ იკურნებოდა. არეშაულთათვის უჩუქებიათ ერთი ჯორი და ერთი ხმალზე შესაბმელი თემლაკი. სამაგიეროდ უსწავლებია ალვის ხის მოჭრის ხერხი: დაუკლიათ ერთი შავი ციცა (კატა) ხის ძირში და ხე მოუჭრიათ. წაქცეულ ხეს წვერი შურისციხისათვის დაუკრია და ციხეც დანგრეულა. მათზე გაბმული ოქროს შიბი გაწყვეტილა და მაღლა ცაში წასულა. როცა მიდიოდა შიბი, ისე ხმამაღლა წიოდა, რომ მთელმა ხევსურეთმა გაიგონაო. ამ ხმაზე ხევსურნი მიმხვდარან რომ რაღაცა ამბავი იყო, დასხმიან ლაშქარს თავს და ცუდი დღე დაუწევიათ. არეშაული გაუკიცხავთ და გაუძევებიათ ხევსურეთიდან. ხეს რომ სჭრიდნენ, ნაფოტი ჩავარდნილა წყალში და ქალაქში ჩაუტანია. ნაფოტი ერთ კაცს უპოვნია და მეფისათვის მიუტანია. მეფეს გამოუგზავნია ხალხი და ხე ძირიანფესვიანად ქალაქს ჩაუტანინებია. ორი სამირონე ქვევრიც წაუღიათ, ერთი კი იქვე დარჩენილა. შურისციხეს ჰქონია დარანი (გვირაბი), რომელიც ჩადიოდა წყალზე. როცა მტერი დიდი ხნით შემოერტყმოდა, გვირაბის საშუალებით მიჰქონებიათ წყალი. ხმალას ჰყოლია მოძმე საჩალისწვერ. იქ თურმე დღეობობდნენ ათენგენას. მიჰქონდათ კომლის ქადა ხავიწიანი და სანთელი, მიდიოდა ბევრი მეზღვნე და იმართებოდა ცხენების რბოლა (ჯირითი). ლუდი მიჰქონდათ ხმალადან თულუხებით. წინა დღეს ასული ხალხი მეორე დღეს ბრუნდებოდა. შუღლს ეს სალოცავი სასტიკად კრძალავდა. თუ ვინმე დაითვრებოდა და იშუღლებდა, მის სამრისხველოდ დარჩებოდა დროშა გარეთ, მანამ ორი წლის კურეტს არ მიიყვანდნენ და არ დაკლავდნენ ჯურუმად. მისი დახმარება თავის ყმებისათვის გამოიხატებოდა მტრებთან ბრძოლაში ხელშეწყობაში და უფერსაც აშორებდა. თუ ვინმე ჩავარდებოდა გაჭირვებულ მდგომარეობაში და დახმარებას სთხოვდა, ცეცხლის სახით მოვიდოდა და გაანადგურებდა მოპირდაპირეს. მონაწილეობას ღებულობდა ლაშქრობაშიც. იტყოდნენ,ერთი კაცი მიუძღვებოდა წინ ლაშქარს და მტერს ანადგურებდაო. მერე ვითომც გაიგებდნენ, რომ ეს მთავარანგელოზი იყო და დაეხმარა თავის ყმათ.

შატილის თემი

ანატორის ჯვარი

ანატორის ჯვარი საიდან მოსულა, არავინ იცის, რადგან მას თავისი ყმები ანატორლები დანაშაულისათვის სულ ამოუწყვეტია. ანატორის ჯვარს ყავდა კიდევ ორი მოძმე-არხოტის ჯვარი და ხონის ჯვარი. სამივე ესენი ხსენდებოდნენ მთავარანგელოზის სახელწოდებით. ამათში უფროსად ითვლებოდა არხოტის ჯვარი, მეორე ანატორის ჯვარი და მესამე-ხონის ჯვარი. ძალი და შეძლებაც მეტ-ნაკლები ჰქონდათ, როგორც უფროს-უნცროსებს. ყმათათვის დახმარება უფრო მტერთან ბრძოლაში, სამივე მოძმეს მოლოცვილი ჰქონდა ერთნაირად. მტერი ხევსურებისათვის იყო მეზობელი ქისტები და ლეკები,რომლებთანაც ხშირად უხდებოდათ შეტაკება. ხდებოდა ცხვრების და ჯოგების მოტაცება და სხვა. ანატორის ჯვარის ყმები ყოფილან სოფელ ანატორ'ში მცხოვრებნი. ბევრი ხალხიც ყოფილა. მათი ყოფილა მთელი შატილის მთა და ბარი. მერე შატილივნები, გვარად ჯინჭარაულები, მოსულან და ძალით ჩასახლებულან შატილის მახლობლად ქაჩუში (მათი ნასოფლარი კოშკების ნანგრევები ისევ დგას მაღალი კლდის თავზე). ანატორლებმა ანატორის ჯვარის დროშის ქვეშ მოიყარეს თავი და რამდენჯერმე დაესხნენ თავს ჯინჭარაულებს, მაგრამ მათ მოიგერიეს მტერი და განდევნეს. მათ თავისი სიმაგრეებიდან ჰქონდათ გაყვანილი გვირაბი წყაროსთან და იქიდან ამოჰქონდათ წყალი. ანატორლები რომ ვერაფერს გახდნენ და ვერ აყარეს შატილივნები, წავიდნენ და სთხოვეს დახმარება თუშებს. მათ მოაგროვეს ბლომად ლაშქარი, ანატორლებიც შეუერთდნენ მათ და ქაჩუში მცხოვრებ შატილივნებს დაესხნენ. შატილივნების ცხვარი და სხვა პირიტყვიც თუშთა და ანატორელთ დარჩათ. შატილივნები კი გამაგრდნენ თავის სიმაგრეებში.

თუშებს უნდოდათ გაეგოთ შატილივნებს წყალი საიდან მოჰქონდათ. ამის გასაგებად, ჯორს დიდხანს წყალი არ დაალევინეს და რომ გაუშვეს, მან მიაკვლია იმ ადგილს,სადაც ციხის გვირაბიდან ასატანი წყალი იყო ჩამალული. ლაშქარმა მოწყვიტა წყალი, მაგრამ შატილივნები მაინც არ დამორჩილდნენ. მათ ჰქონდათ დიდი თხორები (მატყლისაგან დამზადებული ძაფის გორგლები). ამ თხორებს ყრიდნენ მდინარე არღუნში, წურავდნენ და კოდებს წყლით ავსებდნენ.

ანატორის ჯვარს მაშინ ერთი ხუცესი ჰყავდა, იგივე მკადრე. ეს ხატი იყო მთავარანგელოზის სურათის სახით, რომელიც გაფრინდა ჰაერში და თავისი მკადრე თან დაჰყვებოდა. ხატი ფრინავდა ხევსურეთშიც, თუშეთშიც და ქისტეთშიც. მას არ ახასიათებდა ხალხისათვის ბეგრის დადება (ეს მარტო გუდანის ჯვარის საქმე იყო), დადიოდა იმიტომ, რომ ხალხი დაეყმო, თავისი სახელი აემაღლებინა და ბევრი მლოცველი ჰყოლოდა. როცა მიფრინავდა, თან დაჰყვებოდა მკადრე, ვისაც ის ხელზე მოუდიოდა. მკადრე მოხუცდა, დაკოჭლდა და ვეღარ ჰყვებოდა ხატს. ანატორის გაღმა მხარეს იყო ერთი სოფელი, რომელსაც ახლა უწოდებენ ძველ ნასოფლარს. იქ ცხოვრობდა ოქრომჭედელი. იმ მიზნით რომ ხატს ჩქარა არ ევლო, მკადრემ გააკეთებინა ოქროს ლურსმანი და დააღირა ხატს დასარტყმელად. ხატი

გაუწყრა მკადრეს, მჭედელს და მის გვარსაც, გააჩინა ჟამი და სულ გაწყვიტა ხალხი. ანატორის აკლდამებში მარტო ერთ დღეს სამოცი ხმლიანი შესულა (ხევსურები ხმლიანს იტყოდნენ მამაკაცზე). ეს ისეთი ჭირი ყოფილა, რომ გამოუვიდოდა მუწუკის სახით სხულზე და აღარ აცოცხლებდა დიდხანს. ჟამისაგან მოკლულს აღარავინ ეკარებოდა დასამარხად, ამიტომ, როცა მოწუკი გამოუვიდოდა, ავადმყოფი თავისი ფეხით შედიოდა აკლდამაში და იქ დალევდა სულს. მათი ჩონჩხები დღემდე აკლდამებშია. ეს ხალხი რომ გაუწყვეტია, ერთი საწყალი კაცი გადარჩენილა, რომელსაც თავი ჰქონია დაჭიანებული. ეს კაცი პირველად შეხიზნებია სოფელ მუცუში. შატილივნებს აქაც მოუნდომებიათ მისი მოკვლა და ანატორელთ გვარის სრული ამოწყვეტა, მაგრამ მუცუველებს იგი გადაუყვანიათ და მიუბარებიათ თუშეთში. დაცოლშვილებულა. შატილიენები კი დამდგარან ანატორლების ადგილებში. ანატორის ჯვარსაც მოუშლია მხრით ფრინვა და გადაქცეულა ჩვეულებრივ სალოცავად. შატილივნებმა როცა შატილი ააშენეს და ფეხი მოიმაგრეს, მოიყვანეს თუშეთიდან ის დარჩენილი ანატორელი კაცი და სოფლის ბოლოზე დაასახლეს.

დასტურ-ხელოსნობა ანატორის ჯვარში
ხუცესი

ხუცესი დგებოდა მუდმივად ქადაგით. ჯვარი როცა თხოულობდა ხუცესად, მაშინ ის კაცი ავად გახდებოდა. მკითხავს გამოეცხადებოდა ანატორის ჯვარი და ათქმევინებდა, რომ ეს ავადმყოფი მორჩება, თუ პირობას მომცემს ჩემთან ხუცესად მოვიდესო. ოჯახის წევრები და თვით ავადმყოფიც პატარა ჯოხს ჭდეს გაუკეთებდნენ, თან ლაპარაკობდნენ: "დიდო ანატორის ჯვარო,გვიშველე,ააყენი ავადმყოფი,აუშეი. აი,ეს ჭდე, ლიშანი იყოს იმისა,რომ თუ ღირსი იქნების,შენ გემსახუროს ბოლომდე. ზღვნითა, სანთლით გვაჭდიე, ჯურუმით გვაქნი შენ სამსახური, კაცით ნურას გადაგვაჭდევ შენის სახელის ჭირიმ" (ამას ჰქვიან გულის გამართვა).

ხუცესად მისასვლელი ავადმყოფი რომ მომჯობინდება, დაიწყებს წმიდობას: ხშირად იბანს ტანს, აღარ გაივლის იმ გზით, სადაც გარეთ მყოფი, დედათ წესიანი ქალები დადიან, სანათლავსა და სამეშვლოებსაც დახოცს და სხვა.

ხუცესს ებარა ხუცობა და მთელი საჯვარო საქმეებიც მას ევალებოდა. მაგ.: ხვნა-თესვის წესების დაცვა, დროულად მოხვნა-მომკა და გალეწვა, ჯვარის განძის და სხვა ქონებისათვის თვალ-ყურის დევნება. მაგ.: ხუცესს უნდა გაეცა განკარგულება გასაკეთებელ ქვაბებზე თუ კოდზე,ან ლათბაზე; დარბასში უწესრიგობა თუ რამე იყო, ამაზედაც მას უნდა გაეცა განკარგულება და ყველაფერი გაკეთებულიყო მისი ბრძანების თანახმად. მასვე უნდა გამოენახა საამისო საშუალებები. მაგალითად, თუ ჯვარის ფული საკმარი არ იქნებოდა ამა თუ იმ საქმისათვის, ხუცესი მოუყრიდა სოფელს თავს, ან თუ დღეობა შეხვდებოდა, იქვე ჯვარში და ეტყოდა: "სოფელო, ეს საქმე გასაკეთები გვაქვა-დ ჯვარს კიდევ იმთვენ შესაძლებლობა არ აქვ, რო ჯვარის ფულით გაკეთდას. ჩვენ ჯვარიონთაიცა-დ ჯვარის სურეილი ისი ას (ჯვარიონნი

წინასწარ შეთანხმდებოდენ ამ საქმეზე), რომ მაიკრიფას სოფელზე რაიც ამ საქმეს გაკეთებს. მე მგონავ რო შატილის სოფელი ისრ არ გაბეჩავდებისა-დ არც ჯვარს გაუდგების, რო ეს ვერ შასძლასა, ან არ მაიწონას. თუ გწყალობსთ ანატორის ჯვარი, თავს ნუ ვინ გაუხრით ჯვარის საქმეს თქვენი-დ და თქვენის ცოლშვილის სამწყალობნოდ". სოფელი დაიწყებდა მსჯელობას, რამდენი იყო ამა თუ იმ საქმის გასაკეთებლად საჭირო, ან რითი გადაეხადათ, ერბოთი თუ პურით (ხევსურეთში ძველად ფული ნაკლებად იყო. ვაჭრობა ხდებოდა გაცვლა-გამოცვლით). იცოდნენ ამა თუ იმ საქმის გაკეთებას რამდენი სჭირდებოდა პური ან ერბო. გადაწყვეტდნენ კომლზე რამდენი უნდა ყოფილიყო გადასახადი, აირჩევდნენ ამკრეფებს და ერთხმად კენჭის უყრელად იღებდნენ გადაწყვეტილებას. მსჯელობდნენ მარტო უფროსი ხალხი და ჯვარიანები. ახალგაზრდები აქ მონაწილეობას არ ღებულობდნენ.

დადგენილების გამოტანის შემდეგ, ფეხზე ადგებოდნენ და დაამწყალობნებდნენ სოფელს, ჯერ ხუცესი და მერე ყველანი ერთად: "გწყალობდასთ სოფელო, ანატორის ჯვარის დავლაოი, ჯვარისა და ხალხისად თავდადებულს, ჯვარის საქმეზე ღალის გადამჭდელს. ნუ შაგანანასთ, ის წყალობა გიბოძასთ, რასაც თქვენ გულ გამაელის. ამკრეფთ გწალობდასთ, ჟჯილობა (გარჯა) ნუ დაგიკარგასთ". ამკრეფნი აკრეფდნენ და მიეცემოდა ოსტატს. ოსტატიც ნაკლებ ფასად გააკეთებდა, როგორც საჯვარო საქმეს და იმასაც დაამწყალობნებდნენ. ხუცესი, როგორც საჯვარო საქმის, ისე სხვა სასოფლო საქმეების ხელმძღვანელი იყო და, როგორც ჯვარის ხელ-კაცს, ყველა პატივს სცემდა და ემორჩილებოდა. ქალები მის სახელს ვერ იტყოდნენ, როგორც უწმინდურნი. ისინი თუ ხეცესზე რამეს ლაპარაკობდნენ,მისი ცოლის სახელს ახსენებდნენ და დაურთვდნენ მისი ქმარიო, ან შვილის სახელს იტყოდნენ – მისი მამაო.

ხუცესი აუცილებლივ იწყებდა მკითხაობასაც. ავადმყოფის პატრონები ხშირად თხოვდნენ მას, გაეგო რის მიზეზით იყო მათი ავადმყოფი ავად. მისი მკითხაობა იყო ორგვარი: სიზმრით გაგება, ეი. სიზმარში ნახვა და ქადაგობა. ზოგ მათგანზე იტყოდნენ: სიზმრით კაცის დღე იცისო, ზოგზე კი იტყოდნენ – ქადაგობით იგებს კაცის დღესო. ქადაგობას მეორენაირად ჯვარის მოსვლასაც უწოდებდნენ. ჯვარი ვისაც მოუდიოდა, ავადმყოფის პატრონი მიუტანდა სამ ფეხ (სამი ღერი) სანთელს, შეეხვეწებოდა ხუცესს, იგივე ქადაგს, რომ მისი სანთელი აენთო, შეევედრებოდა ჯვარს, რომ მოსვლოდა და ეთქმევინებინა მიზეზი ავადობისა, გაეთხოვა (მოეთხოვა) სამსახური (ცხვარი, ან ხარი, ან მოზვერი დასაკლავად). ქადაგმა ხშირად იცოდა თავის გაზვიადება და არ უნთებდა სანთელს. ხან ეტყოდა ვერა ვარ წმინდად და ჯვარი არ მომივაო. დიდი ხვეწნის და თხოვნის შემდეგ თუ დათანხმდებოდა, წავიდოდა წყაროზე და ტანს დაიბანდა. ეს ნიშნავდა გაწმინდებას. იქიდან მოსული მოიხდიდა ქუდს, დაიწერდა პირჯვარს და ევედრებოდა თავის სალოცავს. მაგალითად, ანატორის ჯვარს; ანთებდა სამ ფეხ სანთელს, მიაკრავდა კედელზე ან რამე ხეზე და იტყოდა: "ღალოცვილო დიდო ანატორის ჯვარო, ნუ შამისაწყინდები შამაძახილზე, შამაგძახა, გეხვეწები – დაზემი შენის სახელის ჭირიმ (ავადმყოფის სახელს იტყვის მაგ. გიორგი), შამაგძახს გიორგი ავადმყოფი, აუშვი, მიეც ნება. თავი ყმად არ შურსა, საქონ ზღვნად". ამას რომ დაამთავრებდა, დაჯდებოდა და ცოტა ხნის შემდეგ დაიწყებდა მთქნარებას, თან ცრემლების გადმოყრას, თანაც ხელის თითებსაც უყრიდა ერთმანეთში. ბოლოს ადგებოდა ფეზხე და დაიწყებდა ქადაგობას. აქ დაასახელებდა იმ მიზეზს, რა მიზეზითაც

იყო ავადმყოფი ავად. თან ემუქრებოდა დანაშაულისათვის, თუ არ შეინანებდა და ზღვნითა და სანთლით არ გადაიხდიდა. ქადაგი როცა ქადაგობდა, მაშინ ისე იჭერდა თავს, ვითომც ამ ქვეყნიურს აღარაფერს ხედავდა. თვალებიც დახუჭული ჰქონდა და იცრემლებოდა. ფეხზე მდგომი თითებგადახლართულ ხელებს ხან განზე გასწევდა და ხან გულზე გაირტყამდა რაც ძალა და ღონე ჰქონდა. ბოლოს ვითომც ხატი გაითხოვდა, დაასახელებდა აქა თუ სხვაგან დასაკლავ საკლავს. ხანდახან იქადაგებდა ისე, ვითომც სხვა რომელიმე ჯვარი იყო გამწყრალი ავადმყოფზე და ანატორის ჯვარი შუამდგომლობდა, სთხოვდა პატიებას მისი ყმისათვის და პირდებოდა სამსახურს თავის ყმისაგან.

ქადაგობას რომ გაათავებდა, აახელდა თვალებს და დაჯდებოდა. ავადმყოფის პატრონიც იჯდა ქუდმოხდილი და თაედახრილი. კარგა ხანს ისხდნენ გაჩუმებულნი და, ბოლოს, ქადაგი დაიწყებდა საუბარს ნელი ხმით. მოყვებოდა ავადმყოფობის მიზეზს და ხელმეორედ განუმარტავდა ავადმყოფის პატრონს ქადაგობის შინაარს. ავადმყოფის პატრონი შიშით შეყრობილი იჯდა და ხმას არ იღებდა. ქადაგი როცა საუბარს გაათავებდა, ავადმყოფის პატრონი ადგებოდა, შესძახნებდა ანატორის ჯვარს მაღალის ხმით და ეხვეწებოდა დანაშაულის პატიებას, ან და თუ სხვა რომელიმე სალოცავის მიზეზი იყო, მასთან შუამდგომლობას. შეუთქვამდა სამსახურს – ცხვარს, ან ხარს, რომელიც ქადაგმა დაასახელა. ქადაგისათვის გასამრჯელოს მიცემა არ იცოდნენ. თუ ავადმყოფი კარგად გახდებოდა, იტყოდნენ: გაკითხვის შემდეგ ნება ექნაო. თუ ავადმყოფი არ მორჩებოდა, ახლა სხვა მკითხავთან წავიდოდნენ. ზოგი მკითხავი ქალი იყო. კაცი – კი, თუ ჯვარში არ იყო რამე თანამდებობაზე, იშვიათად დაიწყებდა მკითხაობას. თუ ავადმყოფი უკანასკნელ მდგომარეობაში იყო და მალე მოკვდებოდა, მაშინ იტყოდნენ, რომ ჯვარი ძალიან გამწყრალი იყო, მხოლოდ ზღვნობის შემდეგ დააჩქარა სასიკვდილოდ, რადგან მისი მორჩენა აღარ შეიძლებოდაო.

მკითხავის თქმით, ავად გახდებოდა შემდეგი მიზეზებით: თუ ჯვარში იშუღლებდა და ვისიმე სისხლით მოსვრიდა იქაურობას, ან თუ იქ ქოთსა და ხმა-მაღლა აყალ-მაყალს ასტეხდა, ან თუ მამული ექნებოდა ჯვარის მამულის გვერდზე და საზღვარს სწორად ვერ დაიცავდა. ამ შემთხვევაში ხდებოდა ამ მამულის შეწირვაც კი და მამულზე გადაბმა. ან სადმე ჯვარის ტყიდან შეშას, ხეს ან მასალას რამეს გამოიტანდა, ან უწმინდური მივიდოდა ჯვარში, ან ჯვართ შესახებ ცუდს რამეს იტყოდა. აკრძალულ ადგილას გაივლიდა, ან ცხენს ან სხვა პირუტყვს გადაიყვანდა. თუ ჯვარის ჭირნახულს გაანადგურებინებდა პირუტყვს და არ გადაიხდიდა დანალევს, შეთქმულ ზღვენს არ შეასრულებდა, ან უმკითხავებდნენ რამეს და ის არ დაიჯერებდა ურწმუნოობის გამო. თუ ხუცესს რამეს აწყენინებდა და სხვა ამისთანა წვრილმანი მიზეზებით.

ხუცესს ჰქონდა ერთი ხელი ტანსაცმელი და ლოგინი. ჯვარში რომ წავიდოდა, მაშინ მოსახმარი. მის ტანსაცმელს ორ ნაწილად ყოფდნენ –"საშინაო" და "საჯვარო ტანსაცმელი" სადაც ხუცესი ცხოვრობდა, იმ ჭერხოს ბანზე ქალი ფეხს ვერ დადგამდა. ხუცესი თუ ვისმე გაუწყრებოდა და შეარისხებდა, დაღუპვად მიაჩნდათ. მაგალითად: ის თუ ეტყოდა: "რისხვა მაგცას ჩემ სალოცავმ, ანატორის ჯვარმ. შენობა დალივას, გაგაძევას" (გაძევება– შვილების ამოწყვეტას ნიშნავდა). დარისხებული ამის შემდეგ სულ ელოდა უბედურებას. ამიტომ ყველა ცდილობდა,

რომ ესიამოვნებინა რამე ხუცესისათვის და დაემწყალობნა მას. ხუცესი დაამწყალობნებდა შემდეგი სიტყვებით: "წყალობა მაგცას ჩემ სალოცავმ ანატორის ჯვარმ, გაღელას, გამთავრას, გამარჯვებულ გამყოფას მტერზედაც", ეს დამწყალობნება კი მიაჩნდათ დიდ ბედნიერებად. ეძლეოდათ იმედი ბედნიერი მომავლისა.

ხელოსანი

ხელოსანიც მიდიოდა ჯვარში ასეთივე წესით: მას ჯვარი მოამიზეზებდა და მკითხავი ანუ ქადაგი ურჩევდა ანატორის ჯვარში ხელოსნად მისვლას. ხელოსანი პირველად იზამდა სახელოს შემდეგი წესით: ერთ-ერთ დღეობაში, ორი კვირით დღეობის წინ გაიდოდა საწმიდარ, ჯვარში. ამ ხნის განმავლობაში ის ტანს იბანდა ყოველ დღე, ცხოვრობდა ჯვარში და არ გაივლიდა იმ გზაზე, სადაც ქალები დადიოდნენ; უფრთხილდებოდა ისეთ მძიმე შრომას, რომელიც ოფლს მოგვრიდა, რადგან ოფლის მოყვანა უწმიდურად ითვლებოდა. დღეობისათვის ამზადებდა ლუდს. დღეობა რომ მოვიდოდა, მესახელოე მიიყვანდა ჯვარში ერთ ხარს, გამოაცხობინებდა იმდენ ხავიწიან ქადას, სოფელში რამდენიც ქუდიანი იყო. ხარს დაკლავდნენ ახალ ხელოსნის სამწყალობნელოდ და მის სისხლს უწევდნენ შუბლზე და გულზე. ხარს გაატყავებდნენ ახალგაზრდები. ტყავს წაიღებდნენ ხარის პატრონის სახლში, ხორცს დაჭრიდნენ ასო-ასოდ, ჩაყრიდნენ "ჭარჩამავალ" ქვაბში და მოხარშავდნენ. დააწყობდნენ ფიცრებზე და დაანაწილიბდნენ წვრილ-წვრილ ნაჭრებად ლურსებით (ლურსა ანუ ურსა დანას ჰქვია ხევსურულად). ხელოსანი ამ დროს მომზადებული იყო სახელოში ჩასადგომად. დილას ცხრა წყაროზე დაიბანდა ტანს და სულ ახალ ტანსაცმელს ჩაიცვამდა. ქადებს დააწყობდნენ წრედ. ერთ ადგილას ხელოსნის და ხუცესის შესავალ "კარებს" დაუტოვებდნენ. ხორცსაც განაწილების შემდეგ დააწყობდნენ ქადებზე,დადგამდნენ ზედ ლუდიან თასებს და დააკრავდნენ სანთლებს. ხუცესი დაიჭერდა ლუდიან სახუცო კოჭობს,ხელოსანი მასზე მომცრო ვერცხლის თასს, ზედ დააკრავდნენ სამ-სამ ღერ სანთელს. თითო ღერ სანთელს დააკრავდნენ ყველა ლუდიან თასზედ. ხუცესი და ყველა იქ მყოფი ხალხი დაამწყალობნებდნენ ხელოსანს: "გწყალობდას მესაჭელოეს ანატორის ჯვარი, მშვიდობიანად შაგინახას, მარცხი ბირკოლი გაშორას, ნუ შაგანანას სამსახური, თავის დადება ანატორის ჯვარისად. ის წყალობა გიბოძას, რასაც შენ გულ გამასთხოვსა-დ გამაელის. თქვენ მაგცასთ წყალობა სოფელს, ყურით მაყურებელს. ჯვარიონთ მაგცასთ წყალობა, ხუცესს ენა-პირ გიკურთხას, დასტურს დასტურობა ნუ შაგანანას". ჯვართან მოშორებით იქნებოდნენ სოფლის ქალები და იმათაც დაამწყალობნებდნენ. ხუცესი შეუდგებოდა ხუცობას. ხუცობა იცოდნენ ისეთივე, როგორც არხოტის ჯვარში. კურთხევა არც აქ იცოდნენ და არც არხოტში; ეს იცოდნენ მარტო ბუდე-ხევსურეთში. ხუცობაში ხუცესი ამწყალობნებდა ჯერ მესახელოეს, მერე მის ოჯახს და, ბოლოს, აქ მყოფთ ხალხსაც, ვისაც ესმოდა მისი ხუცობის ხმა. ხუცობას რომ დააბოლოებდა, კიდევ დაამწყალობნებდნენ მესახელოეს და მის ოჯახს. მერე მისცემდნენ ლუდით სავსე სახუცო კოჭობს ხუცესს, მიყოლებით აიღებდნენ ქადებზე დადგმულ თასებს და მიაწოდებდნენ იქ მდგომ ხალხს. ჯერ ხუცესი და შემდეგ ყველანი იტყოდნენ:

"გაემარჯვას ანატორის ჯვარსა-დ. ჯვარი გწყალობდას მესაჭელოეს. მშვიდობით გამყოფას, ნუ შაგანანას ‘ღვინობა, ყმობა, მსახურობა, დიდხანს გაგიყოლას, დადებულ უღელ მშვიდობით გატარებივას". ამის შემდეგ ხუცესი კიდევ შეუსახელებს თასებს: "ამ დადგმულ თასებზედა, სადიდებელზე გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა დიდო ანატორის ჯვარო, მთავარო ანგელოზო! შენა სამთავროდ, გასამარჯოდ მაიჭმარი ეს გარიგებულ ჭიქა-ბარძიმი-დ, სეფე-სანთელი, შენ ღამისმთევლისა (სახელი), მაგის თავისად, ჯალაფობისად, ‘ა‘შველოდ, სამწყალობნოდ ხთის კარზე მაიჭმარი, ღმერთი შენს ბატონობას გაუმარჯვებსა-დ ძალსა-დ სიდიდეს გემატების შენის სახელის სადიდებლად. მაგითამც დიდი ხარ, შენის გამჩენის ხთის კარზე". ამ სიტყვების თქმაზე ყველანი თასებს მაღლა ასწევდნენ და იტყოდნენ: "დიდება ძალსა შენსა, დიდო ანატორის ჯვარო! ისმინე, გაიგონი, ღმერთი შენს ბატონობას გაუმარჯვებსად ძალსა, სიდიდეს მაუმატებს". ამის შემდეგ ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდებოდა. მერე ხუცესი იტყოდა: "ჯვართ გაემარჯოსა-დ მეხვეწურს წყალობა მისცას". ყველა დალევდა ცო-ცოტა ლუდს. იქ უთასოდ არავინ რჩებოდა და ამიტომ ერთიმეორეს არ შემღერნებდნენ. თავის თასს ყველა გამოცლიდა და იტყოდა: "აი, ქვემც გწყალობსთ ანატორის ჯვარის დავლათი მეხვეწურსაცა-დ მაყურებალსაც". ჩამოიყრიდნენ თასებს და დადგამდნენ თავის ადგილზე. ჯვარიონნი თავის ადგილზე დარბასში წავიდოდნენ, ხალხი კი იქ დასხდებოდა და დაიწყებდნენ ლუდის სმას. ჯერ ადღეგრძელებდნენ მესახელოეს და მერე როგორც ვის სურდა. ქადებზე რაც ხორცი დააწყვეს, დაურიგებდნენ ხორციან ქადიანად სოფლელებს, იმის მიხედვით ოჯახში რამდენი ქუდიანიც იყო დიდი და პატარა. დარჩენილი ხორცითა და მესახელოეს მიერ მოტანილი პურით, ახალგაზრდები ტაბლას დააგებდნენ და დაუდგამდნენ ხალხს. ხალხს დასვამდნენ მწკრივზე. პურს და ხორცს დააკრავდნენ სანთლებს და მოიყვანდნენ ისევ ხუცესს. ხუცესი ამ სუფრაზე დადგმულ ლუდიან თასებზე ჯერ ჯვართ ადიდებდა და მერე მესახელოეს მკვდართ შენდობას ეტყოდა. პირველ თასებს გამოცლიდნენ ყველანი თვითონ და მეორეზე იმართებოდა შემღერნება. შემღერნებდნენ ჯერ ისინი, ვისაც თასები არ ჰქონდათ ხელში. შემღერნებდნენ ძველ საგმირო სიმღერებს იმათ წინაპრების გმირობის შესახებ, ვისაც თასები ჰქონდათ ხელში და ვისაც უმღეროდნენ. მღერის დროს ისინიც სვამდნენ ნელ-ნელა. ბოლოს თასიანებიც ასეთივე სიმღერით უპასუხებდნენ და დაალევინებდნენ თავის თასებიდან ლუდს. საგმირო სიმღერების მღერით დაცლიდნენ თასებს. ვისაც თასი ჰქონდა, ბოლოს, ის გადაიხდიდა მადლს: "აი შაესვი თქვენის გამარჯვებისა, გწყალობდასთ ანატორის ჯვარის დავლათი". ვისაც თასები არ ჰქონდა, ისინი ჩამოართმევდნენ დაცლილ თასებს და ეტყოდნენ: "გაამასთ ღმერთმ, ალალი ქნას. მტერს ჩამახყარეთ იარაღი, მტერ იყოს თქვენ ჭელ- მარეული" – "მტერიმც ნუ მაგერეკის", იქნებოდა პასუხი და თასიანები ეტყოდნენ: დაიხურეთ ქუდებიო. ჩვეულებრივ თასების ჩამომყრელები ქუდებს დაიხურავდნენ და ამით დამთავრდებოდა ამ თასების წესი. ჭამის დროს რამდენიმე ახალგაზრდა ფეხზე იდგა, ემსახურებოდნენ სუფრაზე. მოიტანდნენ თასებს და ყველას დაუდგამდნენ წინ კარახანას. პურის ჭამის დაწყებისას და გათავებისას ასე ილოცებოდნენ: "ღმერთო გაუმარჯვი დიდს ანტორის ჯვარს. ანატორის ჯვარო, შენ წყალობა მიეც მესაჭელოეს, დაადეგ წაღმ, შენი წყალობით შაინახი, გაუმარჯვი ფეჭზე

მდგომთაც, ჴელ-ფეჴი მტერზე მააჴმარი შორიელზე". ჭამას რომ მოჩებოდნენ, თავის კარახანას ყველა იღებდა ხელში და დაილოცებოდა: "გაემარჯვას დიდს ანატორის ჯვარსა-დ იმის წყალობა გქონდას მესაჴელოეს, ხალიზად მაგცას, სამსახურის სრულება სიხარულად გაგიჴადას, კაცსა კას დროს გიმატას, ღონე-ქონეს მაგიმატას, თვალ-გულ ნუ ვისა მაგრივას, შვილისასა-დ შვილის-შვილისას შაგასწვრას ასეთს ბედნიერ დღეს. თქვენ მაგცასთ წყალობა სოფელს ჩემის ჴმის გამგონეთ, ჩვენში დამწყვდეულს, სასტუმროდ სანახავად ნუ დაგლივნასთ". ამ დალოცვის შემდეგ დაიწყებდნენ ლუდის სმას და ზედამდეგები ფეხზე დგომით უმღერებდნენ ჩვეულებრივად. ბოლოს მოთავდებოდა ყველაფერი და აუმატებდნენ სუფრას. ყველა მათგანი ადგებოდა და ზედამდეგებს ეტყოდა: "ჴელ-ფეჴ შაგარჩინასთ ზედამდეგებო, მტერზე მაგაჴმარასთ შორიელზე". მერე დასვამდნენ ზედამდეგებსაც.

ასეთი ტაბლა ედგმის ქალებსაც (დიაცებს). ქალებში სმა და ჭამა ჩვეულებრივი არის. ხოლო აქ კარახანა და მღერა არ იცოდნენ. სუფრაზე რაც ნახორი რჩებოდა, სახელოს პატრონს მიჰქონდა.

ხელოსანი ჯვარში ბევრს მაინც არაფერს აკეთებდა. იყო აქ ტყუილად. მარტო ეხმარებოდა ხან დასტურებს და ხან ხუცესს რამე საჯვარო საქმეში. სხვა ხევსურეთის უმრავლეს სალოცავებში ხელოსანი მედროშაეც იყო, დროშას ის ატარებდა. ანატორის ჯვარში კი ასეთი არაფერი იყო. მედროშაეს ჯვარი მოითხოვდა ცალკე. ეს მედროშაეც დაყენებული იქნებოდა მკითხავის და ქადაგის დახმარებით და მსახურობდა ამ თანამდებობაზე მუდმივად, სიკვდილამდინ. პირველად მისვლისას მედროშაე სახელოს არ აკეთებდა, მხოლოდ კურეტს, ცხვარს და ერთ სანათლავს დაკლავდა. სანათლავის ტყავი და ხორცი თვითონ მიჰქონდა, კურეტის ტყავიც. დანარჩენი ჯვარში რჩებოდა. ხელოსანი "საწმიდარ" გადიოდა ერთი კვირით ადრე დღეობამდინ. არ დადიოდა უწმიდურ ადგილებში, არ ჭამდა ნალოც პურს, არ მიდიოდა მიცვალებულთან ახლო და სხვა.

დასტურები

დასტურს აყენებდა სოფელი კენჭის ყრით წელწადში. სოფელი ჯვარში რომ მოგროვდებოდა, სხვა წესების შესრულებასთან ერთად, მოსჭრიდნენ წილებს. ყველა იღებდა თითო წილს და ნიშნავდა. ზოგი ორ ჭდეს გაუკეთებდა თავის წილს, ზოგი სამს, ზოგი გულში ბეწვს გაუყრიდა, ზოგი ნახევარ ქერქს ჩამოაცლიდა. თვითონ დაისწავლიდნენ თავისი წილის ნიშანს. ჩაყრიდნენ ქუდში (წილს არ ჩაუდებდნენ იმას, ვანც მოკლედ წარსულ წლებში იყო დასტურად). ხუცესი მოიხდიდა ქუდს და იტყოდა: "დიდება ძალს შენსა დიდო ანატორის ჯვარო! შენ ნუ შამისაწყინდები შენს ჴსენებაზედ. შამაგძახ ჴორციელ, გამიგონი. გაუგონი შენთ ყმათ შამაძახილი. შენი სახელის ჭირიმი, არგინი დასტურობა იმას, ვინაც ამ წლებში ღირსად მიგაჩნავა-დ ღირსეულად შაასრულებს შენს უღელდებას. ჩვენ ჴორციელნი ორთ, უტნი, უმეცარნი. ჩვენს უცოდრობას ნუ შააფერებ, მაგვეც რჩევა-დარიგება". ამ სიტყვებს რომ დაამთავრებდა, ამოიღებდა ჯერ ერთ წილს და მერე მეორეს (ორი დასტური დგებოდა კენჭისყრით ორი წლით. უწოდებდნენ "მედიდჯვარე დასტურთ". დანარჩენი "მეწვრილდასტურედ" სახელწოდებული ოთხი დასტური კიდევ დგებოდა

მორიგეობით. მეწვრილდასტურე დასტურები აკეთებდნენ სადასტურო საქმეებს წვრილმან დღეობებში. მედიდჯვარე დასტურნი კი მთავარ დღეობებში მსახურობდნენ. ეს დღეობები მოდიოდა წელიწადში სამი: ახვსება, ათენგენა და წელწადი). ყველანი ფეხზე დგებოდნენ, ქუდებს მოიხდიდნენ და იტყოდნენ: "გწყალობდასთ ანატორის ჯვარი ახალ დამდგომ დასტურთ, სიხარულად გაგიჭადასთ უღლის დება. მშვიდობით დადებულ უღელი, მშვიდობით გადაგაჭდიასთ, ბედსა ბოლოს გიმატასთ, სარჩოსა-დ სარგებელს, მტერზედა, ნადირზე გამარჯვებულნი გავლივნასთ, ნურაით შაგიცოდვნასთ, კლოვ. უკეთით გულით მაგკერძასთ დასტურობა, უღლის დება. თქვენ მაგეცასთ წყალობა სოფელს, ყურით მაყურებელს. ჯვარიონთ გწყალობდასთ, დასტურსა-დ მსახურთ. ხუცესს ენა-პირი გიკურთხას, შაუცოდვრად, შაუწყინრად შაგინახნას, დიდხანს გაგიყოლას". დამწყალობნების შემდეგ ამოიღებდნენ კოდიდან ერთ საწდე ლუდს და ახალ დასტურთ სადღეგრძელო—სამწყალობნელს ჩამოურიგებდნენ ყველას ვერცხლის თასით. ამის შემდეგ დასტურნი დაიწყებდნენ წმიდად ცხოვრებას ჩვეულებრივი წესით. გარდა ამისა, დასტურებს ჰქონდა ჭერხოში ცალკე საცხოვრებელი და ორი წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ იქ. იმ საცხოვრებელ ადგილას ქალი ვერ შევიდოდა და არც შეიძლებოდა ქალის სიახლოვე მასთან, რაკი ის "წმიდად" ცხოვრობდა. ამიტომ ჯვარიც "უახლოვდებოდა" და ხშირი იყო შემთხვევა, რომ მკითხაობასაც ხელს მიჰყოფდა მედიდჯვარე დასტური.

როცა მოიხენებოდა და დაიფარებოდა ჯვარის ყანები, იმის შემდეგ დასტურნი იყვნენ მოვალე, რომ თვალყური ედევნებინათ და დაეცვათ საჯვარო ჭირნახული პირუტყვისაგან და სხვა. როგორც არხოტის ჯვარში იცოდნენ, რომ ხალხი მოხნავდა, ხუცესი თესლს თესავდა და დასტურნი ფარავდნენ, აქ ისე არ სრულდებოდა. ვინც მოხნავდა, იგივე ფარავდა, თესლი კი ჯვარის ქერიდან ითესებოდა. ვინც მოხნავდა, იგივე მომკიდა ოაეის მოხნულ მიწის ნაკვეთს და მერე დასტურთ მიჰქონდათ შინ. ისინი ლეწავდნენ (მარტო მამაკაცები). პური ინახებოდა საჯვარო კიდობანში. ჩალას და ბზეს კი დასტურები გაინაწილებდნენ. პური ებარა ერთ დასტურს და ამათუიმ დღეობისათვის ის უწყავდა ყველა მედიდჯვარე და მეწვრილდასტურესაც სალუდე ქერს განსაზღვრული რაოდენობით. დასტური აფორმებდა და ამზადებდა ლუდს. მეწვრილდასტურენი საჯვარო საქმეს არაფერს აკეთებდნენ. მხოლოდ დიდი დასტურისაგან ლუდისათვის ქერს წაიღებდნენ და ამზადებდნენ თავ-თავის ხვედრ დღეობისათვის. ამ ოთხ დასრტურს დღეობები დანაწილებული ჰქონდათ. თავ-თავის საკუთარ დღეობაში ამზადებდნენ ყველაფერს, რაც დასტურის მოვალეობას შეადგენდა.

მედროშაე

მედროშაეს, როგორც ხუცესს, ჯვარი ირჩევდა მკითხაეის და ქადაგის რჩევით მისი ავადმყოფობის შედეგად. პირველად ჯვარში მისვლისას იგი ორი კვირით ადრე გადიოდა "საწმიდარ" და ცხოვრობდა ჯვარში. დღეობა რომ მოვიდოდა, ის ინათლებოდა "წელგამაელილი" საკლავით (წელგამაელილს უწოდებენ ერთის ან

რამდენიმე წლის ცხვარს) და ბოლოს, თავისებური გაწმენდის წესების შესრულების შემდეგ, ჩაიბარებდა დროშის ტარებს და ტაგრუცს, რაშიაც ეწყო დროშების მორთულობა – ხელსახოცები, ვერცხლის ბურთები, ვერცხლის ჯვარები და რკინის შუბები. მას გადააბარებდა თუ ცოცხალი იყო ძველი, მოხუცი მედროშე, თუ არა ხუცესი. ამ სამკაულების მიღება და ხელის ხლება მას პირველად ძალიან უმძიმდა და დიდის მოხათრებით კიდებდა ხელს, თან ეეედრებოდა ანატორის ჯვარს: მაპატიე დალოცვილო შენი ღილ-ბორაყისთვის ხელის კადრება, რადგან მე ღირსი არ ვარ, როგორც უმეცარი ხორციელიო. მოიყრიდა მუხლს, იწერდა პირჯვარს და ემთხვეოდა ყველა ნაწილს. რაც შეეძლო გაასუფთაებდა და გადააწყობდა გვერდზე, იქვე მისთვის დამზადებულ სიპის სკამზე. მერე აიღებდა დროშის ტარს,მოახვევდა ერთ ხელსახოცს, ჩამოაცვამდა ზედ ვერცხლის ბურთს, შემდეგ ვერცხლის ჯვარს და შეაბამდა ხელსახოცებს. ხელსახოცები ზოგი იყო აბრეშუმის და ზოგი უბრალო ჭრელი მოსახვევი. ჯვრიან დროშას უფრო კარგად შეამკობდა ხელსახოცებით. დანარჩენ ორ დროშას წამოაცვამდნენ რკინის შუბებს და შედარებით უფრო ნაკლებად ამკობდნენ ხელსახოცებით. ჯვრიან დროშას "მგზავრი დროშა" ეწოდებოდა. მედროშაეს ის მიყავდა ღამისთევებზე სოფელში და, სხვა სოფლებშიც კი, სადაც ვინ მიიწვევდა ღამისთევაზე. შუბიანი დროშები კი მიჰქონდათ ლაშქარში,ჩხუბში და სხვა. ლაშქარში შეიძლება ეს შუბები გამოყენებული ყოფილიყო საომრადაც, თუ ეს საჭირო გახდებოდა. მედროშაე დროშის ტარების მეტს არაფერს აკეთებდა. იგი თავის სურვილით თუ ვისმე დაეხმარებოდა საჯვარო საქმეში, თორემ თვითონ არ იყო ვალდებული. საჯვარო საქმეების რჩევაში და გადაწყვეტაში კი ღებულობდა მონაწილეობას. თუ ჩხუბი მოხდებოდა, მაშინ ააბძანებდა დროშას და მოშულლარებს შუაზე გადაუდგებოდა დროშით ხელში. მოშულლარები მაშინვე დაიშლებოდნენ მისი ხათრითა და შერისხვის შიშით. მედროშე დროშის "აბმის" წინ ყოველ დღეობაში ინათლებოდა, როცა კი დროშა ებმოდა. ხუცესობა შეიძლებოდა მემკვიდრეობითაც გადასულიყო, მხოლოდ მოუმიზეზებლად და ავად გაუხდელად კი არც მემკვიდრე მივიდოდა ხუცესად, მედროშაეობა–კი მემკვიდრეზე სულ არ გადადიოდა.

აჭვსება

ახალი დასტურის პირველი დღეობა იყო აჭვსება. სააჭვსებოდ რამდენიმე კვირით ადრე ახალდამდგომ დასტურნი აიწყავდნენ პურს ძველი დასტურისაგან, დააფორებდნენ, დაფქვავდნენ და ადუღებდნენ დღეობამდინ ერთი კვირით ადრე ლუდს. საჯვარო ფორს ახალგაზრდა ქალი, "მრეცხელი" ვერ გააკეთებდა (მრეცხელი ჰქვია სამრელოში მოსიარულე ქალს). აჭვსების წინა დღეს ახალ დამდგომი დასტურნი გაინათლებოდნენ. ტანს ყოველდღე იბანდნენ, დაასუფთავებდნენ დარბასს, საქვაბეს და ჯვართმიდამოს სულ. მერე მოიტანდნენ განძს. ამ დროს ძველი დასტურნიც აქ ესწრებოდნენ, გარეცხავდნენ ცივ წყალში ვერცხლეულს და ხუცესის თანდასწრებით აბარებდნენ ახალ დასტურთ თელით. განძს ჰქონდა ფიცრის ან სიპისაგან გაკეთებული თაროები. ამ თაროებზე შესანიშნავ თასებს თავთავისი ადგილი ჰქონდა დანიშნული და ძველი დასტურნი ახალ დასტურთ ასწავლიდნენ ამ თასების

ადგილებს. მაგალითად, ჯერ დაიდგმებოდა სახუცო კოჭობი, მის გვერდზე ბარძიმის მსგავსად გაკეთებული ვერცხლის თასი. იმის გვერდზე ვერცხლის სურა და ასე შემდეგ სხვა წვრილმანი დაიდგმებოდა, როგორც შეხვდებოდა, მათ არ ჰქონდათ საკუთარი ადგილი. თასებს რომ დაალაგებდნენ, მედროშაე მოიტანდა დროშის ტაგრუცს, დროშის ტარებს და მადლის თხოვითა და პირჯვარის წერით ააბამდა დროშას. ამოაბძანებდა და დააბძანებდა მათთვის აგებულ კოშკთან. ამ დროს აქ მოიტანდნენ ერთ თას ლუდს და სამ ფეხ სანთელს (ლუდიანი კოდი წინასწარ იქნებოდა გახსნილი ჩვეულებრივ, როგორც არხოტის ჯვარში), ლუდიან თასს და სანთლებს დაიჭერდა მედროშაე და ხუცესი შეუდგებოდა ხუცობას თავისი მოხსენებით. ხუცობა იყო ჩვეულებრივი. ოღონდ ხუცესი ახვეწებდა ახალდამდგომ დასტურთ ანატორის ჯვარს: ანატორის ჯვარო, შენ უშველე შენ ახალ უღელდებულ დასტურთ და ნურაით შეიცოდვებ (ცუდს ნურაფერს ჩაადენინებ), ნაშრომ-ნაშვრალს მადლი და ბარაქა დაუტანე და გაჭირვებიდან დაიხსენიო. ამ დროს დასტურნი "მუხლისკვერზე" (მუხლმოყრილნი) ისხდნენ და პირჯვრის წერის წესით კოცნიდნენ მიწას. ხუცესს მედროშაე ედგა გვერდზე, ხშირად ამბობდა: "დიდება ძალსა შენსა, დიდო ანატორის ჯვარო, შენ უშველი შენთ მეხვეწურთ შენის სახელის ჭირიმ". ხუცესი რომ ხუცობას მოათავებდა, დაამწყალობნებდა ახალდამდგომ დასტურთ. მედროშაე და სხვა იქ მდგომი ხალხიც ამწყალობნებდნენ მათ. ისინიც ფეხზე ადგებოდნენ და ერთი-მეორეს ამწყალობნებდნენ. დამწყალობნებაში ყველანი ხმამაღლა ლაპარაკობდნენ.

დამწყალობნება იყო ჩვეულებრივი, როგორც ზემოთ არის მოყვანილი. დასტურნი თან ერთი-მეორეს ამწყალობნებდნენ, თან სხვა დამწყალობნებელს უპასუხებდნენ: "თქვენ იყოს მწყალობელი, თქვენს თავს სწყალობდას, ხუცეს დიდხანს გაგიყოლას, ენა-პირი გიკურთხას".

ამას შემდეგ მედროშაე ამ ლუდიან თასს ხუცესს გადასცემდა. იგი დაილოცებოდა და კიდევ შეუსახელებდა ჯვართ (ამისი წესები აქვე, ზემო თავშია აღწერილი). ბოლოს იტყოდა: "ანატორის ჯვარს დიდება, იმის უღელ-დებულ ახალ დამდგომ დასტურთა-დ აქ ყურით მაყურებლებს წყალობა". – "შენ იყოს მწყალობელი" უპასუხებდნენ ყველანი. ზოგი ცალ მუხლზე დაჯდებოდა, ზოგი ქუდმოხდილი ფეხზე იდგა. ხუცესი დალევდა ცოტა ლუდს და თასს გადაულოცავდა მედროშაეს. ისიც დაილოცებოდა ასეთივე წესით და სიტყვებით, როგორც ხუცესმა დაილოცა და დალევის შემდეგ გადაულოცავდა სხვა იქ მდგომს ჯვარიონთაგანს. ასე ყველანი მიაყოლებდნენ ამ თასის დალოცვას და ყველა ცო-ცოტას დალევდა. ამ დროს იმართებოდა ფეხზე მღერა. ჩვეულებრივად მღეროდნენ ისინი, ვისაც თასი არ ჰქონდა, უმღერდნენ მათ წინაპრების საგმირო სიმღერებს, ვინც თასს ილოცებოდა. ჯვარიონნიც ასეთივე სიმღერით უპასუხებდნენ და ცო-ცოტა ლუდს დაალევინებდნენ ამ თასიდან. ბოლოს თასი დაცლაზე რომ მიიწურებოდა, ხუცესსაკე გადაცემდნენ და იგი გამოცლიდა საბოლოოდ სიტყვებით: "აი დაგეცალასთ მტერი, ორგული. შავსვი თქვენის გამარჯვებისა. გწყალობდასთ ანატორის ჯვარის დავლათი". ამ დროს ფეხზე მომღერლები ყველანი ცალ მუხლზე დასხდებოდნენ, ხუცესი კი თასს დახრიდა და ეტყოდა: "აბძანდით, გამაიცვალეთ". ესენი ეტყოდნენ: "ჩამაიყარი თასი, მემრ ავდგებით". ასე გაიკიდებოდნენ. ბოლოს მაინც წესის მიხედვით თასს ჩამოართმევდნენ. თასის ჩამორთმევის დროს, ხუცესი იტყოდა: "მტერს ჩამახყარეთ იარაღი, თქვენ ჭელი-დ ძალ ერეოდას". "მტერიმც ნუ მაგერეე", ეტყოდნენ ყველანი,

ადგებოდნენ, დაიხურავდნენ ქუდებს და ეტყოდნენ: "ღმერთმა გაამასთ შამსმელებს ქუდითაც, მუჴლითაც, ალალი ქნას". ამის შემდეგ მობრუნდებოდნენ, მივიდოდნენ სასაკლავესთან და დაგებოდნენ. აქ წამოაყენებდნენ ახალ დასტურთაგან მოყვანილ "შასამავლო" საკლავს. მას დაიჭერდა ძველი დასტური. ახალი დასტურები მუხლზე დასხდებოდნენ თავდახრილნი და ხუცობის დროს იწერდნენ პირჯვარს. ხუცესი დაიჭერდა ხელში გრძელს სახუცო დანას და დაიწყებდა ხუცობას: "ღმერთმა ადიდას შენ ძალი-დ შენ სახელი, დიდო ანატორის მთავარო ანგელოზო! შენა სამთავროდ, გასამარჯოდ მაიჴმარი ეს სამსახურ პირის საბანი, მაყენებული, მაჴსენებული. შენ შენის მეხვეწურის ახალდამდგომ დასტურთ, შენ უღელდებულთ სამწყალობნოდ ხთის კარზე შაიტანი, აგრემც გაგემარჯვებისა, ძალსა, დიდებას მოგემატების შენის გამჩენის ხთის კარზე. უშველე, დაიცვენი, დაიფარენ ჟამსაც, უჟამოსაც, ველთაცა-დ შინაც". შემდეგი ხუცობის გაგრძელება იყო ისეთი სიტყვებით და წესით, როგორიც იყო არხოტის ჯვარში.

ხუცესი რომ ხუცობას დაამთავრებდა, საკლავს დაკლავდა და ახალ დამდგომ დასტურთ სისხლის ჯვრებს შუბლზე და გულზე გაუკეთებდა. მის შემდეგ დაამწყალობნებდა ახალ უღელდებულთ. გაჩუმებული ხალხი ხუცესისაგან დასტურთ დამწყალობნებას რომ გაიგონებდა თვითონაც აჰყვებოდნენ და ხმამაღლა დაამწყალობნებდნენ დასტურთ. დასტურნიც ჯერ ერთმანეთს ამწყალობნებდნენ, მერე ყურით მაყურებლებს და დასტურ-ხელოსნებს. ახალ დასტურთაგანი საკლავს გაატყავებდა და ხორცს მოხარშავდა. მეორე დასტური მიიტანდა ღამისამთელოს (შატილში ამას ჟამსაწირსაც უწოდებდნენ და ღამისამთელოსაც, არხოტში საღამოს ქადას ღამისამთელო ერქვა, დილით რომ მოჰქონდათ ქადა – ჟამსაწირი. შატილში დილითაც ერთი ქადა იცოდნენ და იმასაც ჟამსაწირს უწოდებდნენ) ღამისამთელო იყო ერთი ქადა ხავიწისგულიანი – ზედ ეწყო საწირი (არხოტში ამ საწირებს საკვირაო პურები ჰქვია) თხელი, უგულო, პატარა პურები. ღამისამთელოს დადებდნენ სპილენძისაგან გაკეთებულ მრგვალ ტაბლაზე, ზედ დადგამდნენ სახუცო კოჭობს და ორ სხვა ვერცხლის თასს. ვერცხლის თასითვე ამოიღებდნენ საწდიდან ლუდს და თითოობით აავსებდნენ ამ თასებს. სახუცო კოჭობს დააკრავდნენ ერთი-მეორეზე გაგრეხილ სამ ფეხ სანთელს, ორ დანარჩენ თასზე კი თითო ფეხ სანთელს. ხუცესი გადაიწერდა პირჯვარს, ჯერ ეხვეწებოდა ანატორის ჯვარს, შამაძახილზე ნუ გამიწყრებიო და მერე იხუცებდა ჩვეულებრივად. აქ დასტურთ მარტოდ აღარ ახვეწებდა. ახვეწებდა შატილს და მთლად სამყარიოს, ვინც ეყმობოდა ანატორის ჯვარს. იხუცებდა და დაამწყალობნებდნენ ყველანი მთლად ანატორის ჯვარის საყმოს: "გწყალობდასთ ანატორის ჯვარი თავის საყმო – საგლეხოს, კაცსა, კას დროს გიმატასთ, გიმრავლასთ ქუდიანი, ჴმიანი-დ ჴმლიანი. ჯვარიონთ მაგცასთ წყალობა, დასტურთ დასტურობა ნუ შაგანანასთ, კლოვ უკეთი გულით მაგკერძასთ. ხუცესს ენა-პირ გიკურთხას, დიდხანს გაგიყოლას შაუწყენრადა შაუცოდვრად. დიასახლისს სწყალიბდას კეთილის მკაზმავს, სიხარულად გაუჴადას დიასახლისობა".

დამწყალობნების შემდეგ აიღებდნენ თასებს, ჯერ ხუცესს მისცემდნენ მის კუთვნილ სახუცო კოჭობს, მერე ხელოსანს, მერე ან დასტურს და ან მედროშაეს (დიასახლისი აქ ისე არ იყო, როგორც არხოტისა და გუდანის ჯვარში, სადაც ხნიერი ქალები ჯვარში დიასახლისობდნენ). აქ დასტურის ოჯახში ცხვებოდა

საჯვარო პურები. თუ ამ ოჯახებში ხნიერი ქალი არ იყო, მაშინ შეიძლებოდა ვინმე მეზობელი ან ნათესავი ქალი მოეყვანათ "საჯვაროს" გამოსაცხობად (საჯვაროს უწოდებდნენ ღამისამთელო – ჟამსაწირს და სხვა რიტუალურ პურებს). ხუცესი და სხვა თასის დამჭერები ყველანი დაილოცებოდნენ ჩვეულებრივად. დალოცვა რომ დამთავრდებოდა, ყველანი გაჩუმდებოდნენ და ხუცესი შეუდგებოდა თასების შასახელებას. ჯერ თავის თასს ასწევდა და იტყოდა: "ამ ჭიქა-ბარზიმ-სადიდებელზე გადიდას, გაძრიელას ღმერთმა ანატორ მთავარ-ანგელოზო. შენა სამთავროდ, გასამარჯოდ მაიჴმარი ეს ჭიქა-ბარზიმ-სადიდებელი, ხთის კარზე შენთ მეხვეწართ შენთ ყმათ სამწყალობნოდ შაიტანი, ღმერთი შენს ბატონობას გაუმარჯვებს". მერე მეორე თასსზე დააღირებდა მარჯვენა ხელს და იტყოდა: "ამ ჭიქა-ბარზიმზე გაგიმარჯოს ღმერთმა ნაჴარელ ხთიშობელო. შენა სამთავრო-გასამარჯოდა-დ, ანატორის ჯვარის ყმათ სამწყალობნელოდ ხთის კარზე შაიტანი, ღმერთი შენს ბატონობას გაუმარჯვებს". მესამე თასსზე ახსენებდა: "კვირაევ ძალიან მადლიანო" და სხვა. რომელ თასსზედაც ხელს დააღირებდა ხუცესი, თასის პატრონი თასს მაღლა ასწევდა და ისე დაიჭერდა, სანამ ხუცესი არ დაამთავრებდა სათქმელს. ბოლოს ყველანი დაამწყალობნებდნენ მოკლე სიტყვით: "სწყალობდას ყმათ ანატორის ჯვარი, მშვიდობიანად შაინახნას". ცოტა ხანს გაჩერდებოდნენ, თითოობით იტყოდნენ და დალევდნენ: "ანატორის ჯვარს დიდებაი-დ მეხვეწურთ წყალობა". აქაც იმართებოდა ჩვეულებრივი ფეხზე მღერა, ვიდრე სადიდებელს (ასე ეწოდებოდა ამ თასებს) არ გამოცლიდნენ. თასებს თავის ადგილებზე დადგამდნენ და დასტურთ გარდა ყველანი დასხდებოდნენ. დასტურები კი ფეხზე იდგნენ და ემსახურებოდნენ დანარჩენ ჯვარივნებსა და სტუმრებს. ტაბლაზე იყო ღამისამთელო ქადა. ხუცესი ფეხზე აუდგომლად დაიჭერდა ხელში დანას და იტყოდა: "ღმერთო გაუმარჯვი ანატორ დიდს მთავარ ანგელოზს. მთავარო ანგელოზო! შენ სწყალობდი შენთ ყმათ, მშვიდობით შაინახენი, დალოცვილო, შენ წყალობა მიეცი ამ ჯვარიონთაც, დასტურ ჴელოსნებს, მედროშაეს, დიასახლისს მიეც წყალობა, ნუ შაანანებ კეთილის კაზმვას". ამ სიტყვებით ხუცესი დანას გადაუსვამდა ქადას ჯვარედინად, ბოლოს ქადაში დანას წვერით ჩაამაგრებდა და დაანებებდა თავს. დასტური ქადას წვრილ-წვრილ "ნაწვრეთებად" დაჭრიდა. ხორცსაც აქცევდა წვრილ-წვრილ ნაჭრებად. ხუცესს, ხელოსანს და მედროშაეს დასვამდნენ მათ კუთვნილ სკამებზე (ეს სკამები იყო ერთი მეორესთან მიყოლებით) და დაუდგამდნენ წინ სპილენძის მრგვალ ტაბლას (ეს ტაბლა მათის შეხედულებით ღირსეული იყო და ღირსეულ კაცებს დაედგმოდა). ამ ტაბლაზე ეწყო უფრო კარგი და ლამაზად დაჭრილი ნაწვრეთები, (სხვა ნაწვრეთები სხვებისათვის იყო დაწყობილი). ნაწვრეთებთან ერთ მხარეს ეწყო მწვადი და მეორე მხარეს ცივად მოხარშული ხორცი. მიიტანდნენ მარილს და ან ტაბლაზე დაუგროვებდნენ ან პურის ნატეხზე. აქვე იყო სამი ხმიადი, პატარა თხელი პურები და მასზედაც ეწყო მოხარშული ხორცი და მწვადი. ხუცესი კოდიდან ამოიღებდა საწდეში ახალ ლუდს და დაიდგამდა ტაბლის გვერდზე. აქედან ამოიღებდნენ ერთ თას ლუდს და დადგამდნენ ხმიადზე. (თასი იყო სახუცო კოჭობი ვერცხლისა, შემკობილი ვერცხლისავე სამკაულებით), დააკრავდნენ ზედ ერთ ფეხ სანთელს და ფეხზე მდგომი ხუცესი დალოცავდა დასტურთ მკედრებისათვის: "ღმერთო დიდება შენდა, ღმერთო მადლი შენდა, ღმერთო სულწმიდანი

შენ გაბარიანა, კაცნიც შენ გეხვეწებიან. ღმერთო დალოცვილო, გაუმარჯვი ანატორის ჯვარს, ანატორის ჯვარო, შენ სადიდებელი ასა, შენი დიდებითა ჩემის სიტყვის მაჴსენებით, ხთის წესით, მღდლის წესით, იერუმსალეთის ნათლით, ქრისტეს გარიგებით სადაც თქვენ ხართ (სახელები დასტურების პაპებისა და ბებიებისა) თქვენებ შვილები, შვილიშვილები ას, თქვენ ანდაბი ას, როგორც ჩვენთ ჴელთ ას ეს დადგმულ ტაბლაი ზედ დადგმულ სადიდებელი, ისრამც თქვენ ჴელთ ას, თქვენამც გეჴმარებისთ. ცოტაიმც დიდად გეჩვენებისთ, რიოში წმიდად, ფერუქცევლად, წაუქცევლად, თქვენამც მაგიდისთ, თქვენამც ხჴმარობთ. შაგინდნასთ, მაგაჴმარასთ ქრისტიანობის გამჩენმ ღმერთმ". "შაუნდნას ღმერთმა მააჴმარას" – იტყოდნენ ყველანი, ერთი დასტური იღებდა თასს ხელში და გადასცემდა ხუცესს. ხუცესი იტყოდა: "სულწმიდათ შანდობა, თქვენ დღეგძელობა" და დალევდა. მაგრამ არის ასეთი წესიც: ხუცესი რომ დაამთავრებს შენდობის თქმას, მაშინ ხალხიდან ვინმე წამოიძახებს: "შანდობა ხუცესს" და თასი მას ერგება. ხუცესს კი მეორეჯერ აუვსებენ ამავე თასს ლუდით.

მიცვალებულების შესანდობარს ყველანი ფეხზე დგომით დალევდნენ და ბოლოს დასხდებოდნენ და შეუდგებოდნენ ჭამას. თუ ხნიერი კაცი იქნებოდა, დასტურსაც დასვამდნენ თხოვნით; ახალგაზრდა დასტურები კი ფეხზე დგებოდნენ და ემსახურებოდნენ სუფრაზე. ამით დამთავრდებოდა ტაბლის წესი. შეიძლება ყოფილიყვნენ შემოსწრებული სტუმრებიც. სოფლიდან იცოდნენ უფროსი კაცების დაპატიჟება და პატივისცემა. თუ ახალი მიცვალებულის პატრონი ვინმე იყო, ისაც მოვიდოდა ამ საღამოს, მოიტანდა ფანდურს, დაუკრავდა და პირველი ის იმღერებდა. ამის შემდეგ შეიძლებოდა მღერა სოფელშიც და ჯვარშიაც. აქამდე ჭირის პატრონის ხათრით არავინ იმღერებდა. თუ ვინმე სხვა სოფლიდან მოსული კაცი შატილის მიდამოებში იმღერებდა. ამ ფანდურის გატეხამდე, მთელი სოფელი აღელდებოდა – აქ რა მღერის დროაო და ხანჯლები დატრიალდებოდა მომღერალის წინააღმდეგ. მომღერალი ჯარის ბოლოზე, კარებისაკენ ერთ მუხლზე დაჯდებოდა, მეორე მუხლზე ფანდურს დაიდებდა, დაუკრავდა ნელ-ნელა სამღერალ კილოზე და იმღერებდა. ჭირის პატრონი როცა იმღერებდა, სხვა ხალხს თასები ეჭირა, ხანდახან ეტყოდნენ: "დიდხანმც იმღერ, ღმერთმა ნუღარაით დაგაწუხრას". ამას იტყოდნენ ნელის ხმით, ფეხზე აუდგომლად და ცოტას დალევდნენ ლუდს. მერე ერთი თასიანი ვინმე ადგებოდა მომღერალთან მივიდოდა და შემღერნებდა, შეიძლებოდა ვრცელი სიმღერის შემღერნება და შეიძლებოდა ნაწყვეტის. მომღერალი ამღგარ კაცს რომ თავის წინ დაინახავდა, მღერას შეაჩერებდა, მხოლოდ ფანდურის დაკვრას განაგრძობდა ისევე ცალ მუხლზე მჯდომი,მომღერალთან მისულ კაცს ლუდიანი თასი ეჭირა ხელში და შემღერნებდა ამ ხასიათის სიმღერას:

თაფლია თვალთა ტკივილი, შვილთა დაჴოცა შაქარი;
მშვილდია ძმისა სიკვდილი, მასაზინებლად მაგარი.

ან

მეწყალი ჭირის პატრონო, ჭირის გონობა ძნელია,
ჭირი უჭიროდ არ წავა, თუ ჭირის დედა მთელია.

პირველი მომღერალი მეორე მომღერლის თასს ააესებდა ლუდით,მისცემდა მეორე მომღერალს, რომელიც ამ დროს თავის ადგილზე იჯდა და ეტყოდა: "ჯვარ დაგიწერას ღმერთმ". – "ჯვარის წყალობა გქონდას, მტერ მაიყვანი ნებას" ეტყოდა

და დაიჭერდა თასს. მომღერალი დაბრუნდებოდა თავის ადგილზე. დაჯდებოდა ცალ მუხლზე და გააგრძელებდა პირველსავე სიმღერას ბოლომდე. როცა მას შემღერნეს, მაშინ სიმღერა შუაზე წყდებოდა, მაგრამ არ უნდა დავიწყებოდა სად შეჩერდა და იმავე ადგილიდან უნდა გაეგრძელებია სიმღერა. თუ დაავიწყდებოდა, ეს სირცხვილად მიაჩნდათ. ეს რომ სიმღერას გაათავებდა, იტყოდა: "თქვენის გამარჯვებისა". ადგებოდა ფეხზე. "აი ღმერთმა ნუღარაით დაგაწუხას" ეტყოდნენ აქა-იქ და ჩამოართმევდნენ ხელიდან ფანდურს, მიიწვევდნენ და დასვამდნენ სკამზე, აუვსებდნენ და მისცემდნენ ლუდიან თასს. ასე პატივს სცემდნენ პატრონსაც და სხვა სტუმრებსაც, რითაც კი შეეძლოთ. ბოლოს სტუმრები გამოემშვიდობებოდნენ, მოსთხოვდნენ ჯვარს მადლს და გამოვიდოდნენ დარბასიდან. ჯვარიონნი გამოჰყვებოდნენ გარეთ, გამოაყოლებდნენ საწდით ლუდს და "გასამართაოს" დაალევინებდნენ. გაიმართებოდა ფეხზე მღერა საგმირო სიმღერებისა და თავ-თავის თასებიდან ერთი მეორისათვის ლუდის დალევინება. ბოლოს, ესეც რომ მოთავდებოდა, მაშინ სტუმრები პირ-დროშისაკენ მოიყრიდნენ მუხლს, ემთხვეოდნენ მიწას და მოსთხოვდნენ ჯვარს მადლს: "ხთისაგან გაგემარჯვას, შენის გამჩენისაგან, დიდო ანატორის ჯვარო! გევედრები, გეხვეწები, შანაცოდვარი შანაწყინარი შამინდევი, თუ-რა გაწყინე შაგცოდვი პირისქარითა, ფეჯის ნალითა, ჟამსა, უჟამოსა, რაც გცოდე გაწყინი შამინდევ, ყმა შაუწყენ არ იქნებისა-დ ბატონ შაუნდობარი, შენის სახელის ჭირიმ. მე ჯორციელი შენ მიწაი შენ მტვერი ორ, უკუღმ ნუ-რას გამამაყოლებ, მეწაღმართე ანგელოზი გამაყოლი, ზღვნითა სანთლით მაჯდი შანაცოდვარი. ჯურუმით მაქნი, კაცით ნუ-რას გადამაჯდევ. ამ სიტყვებით მიწას რამდენჯერმე აკოცებდნენ, ადგებოდნენ და კარგა შორ მანძილს პირ უკუღმა გაივლიდნენ, რომ დროშისთვის ზურგი არ შეექციათ, თან ჯვარივნებს ეუბნებოდნენ: "ჯვარ გეწერასთ ჯვარსაცა-დ კაცსაც, ორმავ შაგვინდევით რასაც გაწყენთ" – ჯვარის წყალობა გქონდასთ, ჭელ მაგიმართასთ ანატორის ჯვარმ, წყალობა წაიღით, მეწაღმართე ანგელოზი გამაგაყოლასთ". ასე წავიდოდნენ სტუმრები. ჯვარიონნი დასხდებოდნენ მარტო. დაიწყებდნენ მსჯელობას მეორე დღეს რა უნდა გამოეტანათ და ეთქვათ სოფლის ჯარზე. გადაწყდებოდა ყველაფერი, როგორ იყო წასულ წელს სასოფლო ხილების მოვლა და როგორი უნდა იყოს წელს, ვინ როგორ იქცევა სოფელში და ასრულებს ძველ წესებს, ან როგორ იქცევა თემთან, ვინ გატეხა ან ვინ გაამაგრა სოფლის პირი, ვინ იშუღლა ჯვარში და ჯურუმი არ მოუშორებია. აქ ქალებს ეკრძალებოდათ სასტიკად ჩხუბი და თუ ვინმე იჩხუბებდა, საკლავით აჯურუმებდნენ. თუ ვინმე იყო სოფელში ასეთი და ჯურუმი არ გადაუხდია, ყველა ასეთებზე მსჯელობდნენ და დაამზადებდნენ მეორე დღისათვის. ბოლოს დასტურები ხუცესს ლოგინს დაუგებდნენ და დააძინებდნენ, თვითონ კი ნაბადში გახვეულნი მედროშაესთან ერთად დროშათ ახლო იძინებდნენ.

მეორე დილას გათენდებოდა ახვსება. დასტურნი ადრე ადგებოდნენ, ჯერ ხუცესს და მერე ხელოსან – მედროშაეთ ლოგინში მიუტანდნენ და დაალევინებდნენ არაყს. დასტურნი დაალაგებდნენ თას-განძს თავ-თავის ადგილზე და დასწმედდნენ (დაგვიდნენ) დარბასს და მის კარმიდამოს. მერე სხვა ჯვარიონნიც ადგებოდნენ. ისაუზმებდნენ. ხუცესი ლუდს არ დალევდა ჟამისწირვამდინ,არაყს კი სვამდა. დილითვე მესარიგოე მოიყვანდა სარიგოს. ჯვარიონნი გამოვიდოდნენ და დაამწყალობნებდნენ მესარიგოეს.

დასტური სარიგოს სასაკლაოზე წამოაყენებდა. ხუცესი დაიჭერდა დანას ხელში და შეუდგებოდა ხუცობას. ეს საკლავი რადგან მორიგეობით მოუდიოდა, "სასოფლო საკლავსაც" უწოდებდნენ და ამიტომ ხუცობაში მთელ სოფელს ამწყალობნებდნენ. ხუცესი ხუცობის დროს ამბობდა: "დიდო ანატორის ჯვარო, შენ წყალობა მიეცი სოფელს, შენთ ყმათა-დ მესარიგოეს". საკლავს ხუცესი ჩვეულებრივად დაკლავდა და იტყოდა: "გწყალობდასთ ყმათ ანატორის ჯვარი" და გაგრძელება ჩვეულებრივ. ხუცესს სხვა ხალხიც აყვებოდა და ამწყალობნებდნენ სოფელს და ჯვარიონთაც. საკლავს, სადაც კლავდნენ, დაბლა პატარა სპილენძის თასი იდგა და საკლავის სისხლით აივსებოდა. დამწყალობნების შემდეგ ხუცესი სიხლიან თასს აიღებდა და დააქცევდა იქით მხარეს, სადაც დროშა იყო, ცოტაოდენ სისხლს დროშასაც უწვეცდა და "სასისხლეს" თავის ადგილზე დადგამდა (სასისხლეს უწოდებდნენ ხსენებულ თასს). სარიგოს დასტურები გაატყავებდნენ (ტყავ-ხორცი ჯვარში რჩებოდა, მესარიგოეს კი მარტო ხორცის ტაბლას დაუდგამდნენ), დასტურები ხორცს მოხარშავდნენ. მესარიგოეს ერთი საწდე ლუდი ერგებოდა. მოუტანდნენ და დაუდგამდნენ წინ. იგი ადგებოდა,აიღებდა ვერცხლის თასს და ყველანი მესარიგოეს სადღეგრძელოს და სამწყალობნოს დალევდნენ. ხორცი რომ მოიხარშებოდა, ჟამსაც სწირავდნენ ჩვეულებრივად თავისი ხუცობით, ფეხზე შემღერებით და სხვა. ამის შემდეგ შეიყვანდნენ დარბასში მესარიგოესაც და დაუდგამდნენ ტაბლას. ეს წესიც, როგორც სხვა ტაბლის დროს ითქვა, ისე შესრულდებოდა. ამ დროს სოფელიც დაიწყებდა მოსვლას. ვინც მოვიდოდა, ქუდს მოიხდიდა, ჯვარს დაუჩოქებდა (დაჩოქებას უწოდებდნენ მადლის მოთხოვას, ე. ი. თხოვას ჯვართათვის: ცოდვები მაპატიე, ხელი მომიმართეო) და მოგროვილ სოფლის ხალხს ეტყოდა: "აშენდით ჯარნო, აშენდით! წაღმამც წაგივათ დღეი-დღეობა". – დაშვენდი მაგვიხვე მშვიდობით (სახელი), მშვიდობით შენ მასვლაი, წყალობა ანატორის ჯვარსა, წყალობა! წაღმ მაგეგებას ანატორის ჯვარის დავლათი". ამ სიტყვებით ყველანი ფეხზე ადგებოდნენ და მოსულს მიიწვევდნენ სკამზე დასაჯდომად. კუთხიან ქვებს მიაგორებდნენ, მწკრივად დააწყობდნენ და ეს იყო სკამებად). დარბასში რომ მოიდროვებდნენ, ჯვარიონნი მოემზადებოდნენ სოფლის ჯარზე გამოსასვლელად. ავსებდნენ ლუდით სახუცო კოჭობს,ბარძიმს და ვერცხლის სურებს იმ რაოდენობით, ჯვარიონნი რამდენნიც იყვნენ, დაიჭერდნენ ხელში თითო თასს და თითო ღერ სანთელს ყველანი და გამოვიდოდნენ დარბასიდან. მივიდოდნენ სოფელთან და დადგებოდნენ რიგზე: მარჯვნივ მხარეს იდგა ხუცესი, მის მარცხნივ ხელოსანი, მერე მედროშაე, მერე დასტურნი და ჩხანჩხი თუ ჰყავდათ, ბოლოს ისიც იქნებოდა. მათ გამოსვლაზე ხალხი ფეხზე ადგებოდა და ქუდმოხდილები დადგებოდნენ. ჯერ ხუცესი და მერე ჯვარივნები დაამწყალობნებდნენ სოფელს: "წყალობა მაგიტანეთ სოფელო, ანატორის ჯვარსა. წაღმ მაგეგებასთ დალოცვილი, გიშველასთ, გიხოიშნასთ ("ხოიშნობა" – დანაშაულის პატიება), ბევრ ეს დრო გაზაფხული, სთველ მაგგვარასთ მშვიდობისა, კარგად ყოფისა. სტუმარს მაგცასთ შამამწყვდეულს წყალობა". ესენი რომ ამწყალობნებდნენ, სოფლის ხალხი პასუხობდა: "თქვენი იყოს მწყალობელი, თქვენის თავისა". შემდეგ ყველანი გაჩუმდებოდნენ და დასტური სანთლებს მოუკიდებდა ცეცხლს, რომლებიც ჯვარივნებს ეჭირათ თასებთან ერთად. სანთლების ანთებასთან ხუცესი მოახსენებდა ამ თასებზე ჩვეულებრივად და იხუცებდა (მოხსენება და ხუცობა ორივე ხუცობის ნაწილია, მხოლოდ მოხსენებას ხუცესი ხმის

გაუგრძელებლად ლაპარაკობს სიტყვიერად. და ხუცობას რომ იწყებს, ხმის გაგრძელებით და გადაბმული ლაპარაკით ლაპარაკობს). მოხსენება-ხუცობა რომ დამთავრდებოდა, ყველანი გაჩუმდებოდნენ და ხუცესი დაიწყებდა საუბარს: "სოფელო, შატილიენებო, თუ გწყალობსთ დიდებული ანატორის ჯვარი, იყურეთად ჩემ ნაუბარი. ჩემ საუბარ საყურებ-კი არ ას, მაგრამ უნდა იყურათ იმით, რომ მე ჯვარიონთ ნათქვამს გეტყვით. მე ვალდებული ორ, რომ რაიც ანატორის ჯვარს მაუდის, ის წესი დავიცვა-დ – არ დავხკარგ. ეს შატილსა-დ შატილის დიდს ბატონს ანატორის ჯვარს მადენილობაი აქვ, რომ გამავიდას მორიგეი-დ თქვას ყველა ის, რაიც სოფლისა, ჯვარ-ჯვარის კარის გასამაგრებად ჯვარიონთ თქვეს ამა თუ იმ დღეობაში. მე დალოცვილის ანატორის ჯვარის მორიგეობის ღირს არ ორ, მაგრამ დაილოცას იმის ძალი, დღეს იმის მორიგეი მქვიან, იმით გეტყვით. ხალხნო, შატილიენებო, ნუ წავეკდებით, ნუ ვიზამთ იმას, რაიც არც ჯვარს ეკადრებისა-დ არც ყმათ, ჭეშმაუდის. წინავ პირ ყოფილას შატილ. ერთი პირით უკეთებავის საჯვარო საქმეიც და სასოფლოიც. პირიქით-პირაქათ ჭევსურეთს შატილისად მაუნატრავის, სოფელჩიაც წესი რიგ ყოფილა-დ ჯვარჩიაც. დიდ-ცოტას, კაცსა-დიაცს თავ-თავის ადგილ, ალაგ შჭერივას, ეხლა კი ყველა გათავსწორდ, კაცს კაცის ალაგ აღარ უჭერავ, დიაცს დიაცის ალაგი, ყმაწვილს – ყმაწვილისა. თქვენი ჭირიმეთ, შატილიენებო, ნუ წავეკდებით, ერთმანეთს შაუგმით, ერთმანეთს ხალიზ მიეცით, დასაჯურუმებ დააჯურუმეთ, თას ჩამასაყრელს თას ჩამახყარეთ, კალთა მასაჭრელს კალთა მასჭერით, უფერ ყველამ გააუფრეთ. ნუც კაცს მისცემთ ნებასა, ნუც დიაცს უფრისა, მონის საქმის ჩადენისას, თორემ ჩვენს სოფელს სახელი, პატივ დაეკარგების ხოყანაში".

ხუცესი თავის სიტყვას ასეთ შესავალს გაუკეთებდა და, ბოლოს, დაასახელებდა სოფლის პირის დამშლელ და ურჩ პირებს, სოფელში ხმა-მაღლად მოლაპარაკე და მოჩხუბარ ქალებს და მათზე დადებულ ჯურუმს. მაგალითად, ორი ქალი წაიჩხუბა, ერთმა მეტი დანაშაული ჩაიდინა, რომ ხმამაღლადაც ჭყიოდა (ქალის ყვირილს ხევსურები ჭყივილს უწოდებდნენ, კაცის ყვირილს კი ყვირილს) და მეორე ქალს ხელიც გაარტყა საცემლად. ამ მეტ დამნაშავეს დაადებდნენ "წელ გამავლილ" საკლავს, ან ერთის წლის ცხვარს და ან მეტისას. მის მოპირდაპირე ნაკლებ დამნაშავეს დააკისრებდნენ ბატკანს, ან თუ კიდევ ნაკლები იქნებოდა, ერთ ორ აბაზ ფულს და სხვა. აგრეთვე მამაკაც მაშულლარების ჯურუმს. თუ სოფლის დადგენილი პირი, ან საიდუმლოება სხვაგან გაიტანა და სხვა მრავალი ასეთი. თუ რამე საოქმელი დააკიწყდებოდა, მის გვერდზე მყოფი ჯვარივნები ჩუმად ეტყოდნენ და მოაგონებდნენ. მის ლაპარაკში ხალხი ფეხზე იდგა ქუდმოხდილი და გულმოდგინედ უსმენდნენ, ბოლოს ეტყოდა ვადას – "ხვალ თუ ჯურუმებ არ შასრულდ, დროშა კარში დარჩების არ შამსრულეს სამრისხველოდ". ამის შემდეგ ეტყოდა მომავალ გეგმებს: სად იყო გზა ან ხიდი გასაკეთებელი, როდის უნდა ასულიყო მთაზე ჯოგი, ან ესა თუ ის გზა-ხიდი როდის უნდა გაკეთებულიყო, რომელი საჯვარო მამულები უნდა მოხნულიყო წელს, წასულ წელს თუ პირუტყვი ჭირნახულს ანადგურებდა, რა ზომები უნდა მიეღოთ, რომ ეს აღარ მომხდარიყო მომავალ'ში. შარშან თუ სასოფლო ხილებს[1]

[1] შატილის ტერიტორიაზე იდგა ჰანტის, მაჟალოს და ტყემლის ხეები. ეს იყო სასოფლო და უფლებას არავის აძლევდნენ, რომ ერთიც აეღო ვისმე. შემოდგომაზე ერთ დღეს დანიშნავდნენ, ყველანი წავიდოდნენ და ერთბაშად დაბერტყავდნენ ყველა ხეებს, მოიტანდნენ და სოფელ'ში კომლზე გაანაწილებდნენ

ვერ მოუარეს და უდროოდ განადგურდა, წელს ვის უნდა დაევალოს მათი მეთვალყურეობა და როგორ უნდა მოუაროს მათ. ან თუ სოფლის ტერიტორიაზე მეზობელი სოფლის პირუტყვი გადმოდიოდა, მის წინააღმდეგ რა ზომები უნდა ყოფილიყო მიღებული, ან სოფელს თუ მტერი ვინმე ჰყავდა საერთო, აქ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ და სხვა მრავალი ასეთი სასოფლო საჭირ-ბოროტო საკითხები. ბოლოს, ეს რომ დამთავრდებოდა, დაიწყებდნენ ფიცის კენჭის ჩაყრას. ერთი დიდი ლუდით სავსე ვერცხლის თასი ეჭირათ. თითოობით მივიდოდნენ, აიღებდნენ ქვის პატარა კენჭს, დაიწერდნენ პირჯვარს და ჩააგდებდნენ თასში. ეს იმის ნიშანი იყო, რომ საერთო სოფლის გასამაგრებ ფიცში და პირში მონაწილეობას ღებულობდნენ. კენჭის ჩაგდებაში თითოეული იტყოდა: "დალოცვილო ანატორის ჯვარო, ჭსენებაზე ნუ შამისაწყინდები შენის სახელ-სამართალის ჭირიმი. თუ სოფლის პირს გავამგრება-დ არ უღალატებ, მიშველი, ნუ მიღალატებ. თუ სოფელსად ჯვარ-ჯვარის კარს უღალატება-დ არ დავინდობ, მაშინ ნუ დამინდობა-დ მიღალატი". ამ სიტყვებით კენჭებს ყველა რომ ჩაყრიდა და დადგებოდნენ თავ-თავიანთ ადგილზე, მაშინ აქამდე ჩუმად მდგომნი ყველანი დაილოცავდნენ თასებს: "გაემარჯვას დიდს ანატორის ჯვარსა-დ იმის წყალობა გქონდასთ სოფელს, შატილივნებს. სოფელში მართალს, მაგარს, სოფლის პირის გამმაგრებელს, საჯვარო საქმეზე თავდადებულს. მშვიდობით შაგინახნასთ, ის წყალობა გიბოძასთ, რასაც თქვენ გულ გამაელის. სტუმარს გწყალობდასთ ჩვენში დამწყვდეულს, ანატორის ჯვარი. სასტუმროდ, სანახავად ნუ დაგლიკნასთ". ამ სიტყვების შემდეგ ყველანი გაჩუმდებოდნენ და ხუცესი დაიწყებდა კარგების დამწყალობნებას და ცუდების ე.ი. მოღალატეების დარისხებას: "გაუწყრას მეღალატეს, სოფლის პირის გამტეხს, სოფლის მრეველს, ცუდის მთქმელსა, ცუდის მგონეს. მიზდიოს შვილით-შვილამდე, ქალის შვილამდე. ნუ გამაიყვანას იმის სახლშიით ნუც ქუდიანი, ნუც მანდილიანი. ნუ გაემარჯვას ნუც მტერზე, ნუც ნადირზე. ახლოს მისულს ნადირიმც დაუმთხვების, მაწყურებულს წყაროიმც დაუშრების" და სხვა. მერე ცოტა ლუდს გადაღვრიდა კენჭიანი თასიდან. ამ სიტყვებს სხვებიც გაიმეორებდნენ. ამ თასს ყველას ჩამოურიგებდნენ და დაალევინებდნენ ცო-ცოტას. ბოლოს, კენჭები რომ დარჩებოდა, ხუცესი წაიღებდა და კოშკთან გადაყრიდა. ეს ყველაფერი მოთავდებოდა ამ გამოტანილი თასების და სურების გამოცლით და შემღერნება – შემომღერნებით ჩვეულებისამებრ. მემრე ჩამოჰყრიდნენ ერთი-მეორეს თასებს და მიაბძანებდნენ დარბასში თავის ადგილებზე. ჯვარიონნიც მიბრუნდებოდნენ და წავიდოდნენ დარბასში. ხალხი კი დასხდებოდა, სოფლის კუთვნილ ლუდს მოითხოვდა; მოიტანდნენ საწდით და გაიმართებოდა ჯარის წესი, დადგებოდა ფეხზე ორი ახალგაზრდა,ამოჰქონდათ ლუდი თასით და არიგებდნენ უფროსობის მიხედვით. სკამზედაც ასე რიგზე ისხდნენ. ყველა დაილოცებდა ისეთივე წესით, როგორც თასის დალოცვაზე ზემოთ არის ნათქვამი. თუ მესისხლე ვინმე შეხვდებოდა, ერთი-მეორეს პატივს აძლევდნენ (პატივის მიცემის და დალოცვის წესი და მნიშვნელობა ნათქვამია არხოტის ჯვარის აღწერილობაში). თუ სოფელში მტერი ვინმე იყო ერთი-მეორისა, უფროსი კაცები შუა ჩადგებოდნენ და შეარიგებდნენ მათ. მაგალითად, იშულლეს მინდიამ და ხთისომ და ახლა მტრები არიან. ხთისოს მინდიასაგან ჰქონდა მიყენებული ჭრილობა სახეში. "საკლავ-პატივი" კი მიცემული

ჰქონდა, მაგრამ პირად არ იყვნენ შეყრილნი. (საკლავი ამ შერიგებაში იცოდნენ ორგვარი: სისხლიანი და უსისხლო. ეს იყო იმის მიხედვით, თუ ჭრილობა რა ადგილზე იყო მიყენებული და წესის მიხედვით რომელი საკლავი ეკუთვნოდა. მეორე საკლავი იყო უსისხლო, ექვსი აბაზი თეთრი ფული. მესამე იყო "ჭმელი პატივი" ერთი აბაზი ფული ან მისი ნაფასური რკინეული რამე ან და სხვა ნივთი) შუაკაცები ჯერ ერთთან მაგ.: დაზარალებულთან მივიდოდნენ, დასხდებოდნენ და რამე სამტრო–სამოკეთეო საუბარს ჩამოაგდებდნენ. მერე ერთი ხნიერი შუაკაცი დაიწყებდა: "ხთისოვ, თუ გწყალობს ე ანატორის ჯვარი, კაის მამის შვილი ხარა, კაცნ კაობას გიხედვენ (გიხედვენ: მოელიან შენგან), კაი კაც კი არც შუღლისად ას ხამი, არც შარიგებისად, არც არა გაუკვირდების. შუღლის თავიც აქვა-დ შარიგებისაიც. ცუდს ყველა გაუკვირდებისა-დ არც ერთის თავი აქვა, არცა მეორისა. შენა მინდიას სამდურავი გაქვთ ჩამავარდნილი. ეს არას კა სოფელშია, მეზობლობაში. შენა მინდიას ძმათავით გაჩნიყოთ ერთუცი, რაითაცაღ ჩამაგივარდათ შუღლ-ჯავრებაი. სიმთვრალით იყვა, თუ სხვათ ენით, რაითაღაც კი იყვ. ეხლა ჩვენ იმის მთხოვარნი ორთ, ჩვენაც უნდა გვაპატივა-დ ანატორის ჯვარსაც. რაიც მინდიაის ჭელისა დაგემართ (მიყენებული ჭრილობა) მაგას თავის დროი აქვ, ჭევსურეთის რჯული, სამართალი ას. ეხლა დღეს გაღრიგდით, სადღეისოდ ერთად შაიყარენით. შატილსა-დ ანატორის ჯვარს ეს არ მაუდის, რომ მტრებად უმძრახები აქ ისხდათა-დ აქაურთ უფროსთ ჭმა არ ამავიღათა-დ ვერ შაგყარნათ ერთად". ხთისო პირველად იუარებდა შერიგებას და იტყოდა: "უფროსებო, თქვენ არ გეკადრებისთ ჩემსა მინდიაის შუღლზე ფეჭზე ადგომაიც, თორემ საუბარი-დ ხვეწნა კი არ. მე მადლობელი ორ, მაგრამ ჩემი მინდიაის შარიგება ცოტაად გაგძელდების. ახლა არც შუღლად უჭდი, არცა რას ვეტყვი, მაგრამ დრო იქნების მარტ-მარტუან შავიყრებითა-დ გამავსცდით ერთუცს. ის თუ ჩემზე მამაცი, ღონიერი ას, მაღალ-დაბალს იარაღ ასწორებს. მარტუან რო ვიშუღლებთ, მემრ მე თაოდ მიოლა შავღრიგდები მაგას. ეხლად კი მე ვერ გავიმეტი, ვერ გამავიქჩერი, თორე წინ-თავთით დასაკრავში მყვანდა, მეშველებ რო დაგვეც, მაგან სასიკვდილოდ გამამიქჩერა, მჭარჩიით მაბრუნებულ ხანჯარი მდვა თავრიელაჩი. მაგისგან მკვდარი ორა-დ ხთისაგან ცოცხალი". (მტრები ამ დროს ჯარზე ან ერთი არ იქნებოდა, ან მეორე და სახლში მიუვიდოდნენ შუაკაცები). შუაკაცები მოიხდიდნენ ქუდებს და გადაყრიდნენ მიწაზე ხთისოს წინ და დაუწყებდნენ ხვეწნას შერიგებაზე. ბოლოს დაიყოლიებდნენ. ადგებოდა ხთისო, ქუდებს აიღებდა ხელში, თითოობით გაბერტყდა და პარტონს დახურავდა თავზე. მერე ისევ უფროსი შუაკაცი ადგებოდა, მიყიდოდა ხთისოსთან, მოიხდიდა ქუდს, მარჯვენა ხელით ჩამოართმევდა ხელს, დაიჭერდა ხელში და ეტყოდა: "ხთისოვ, ანატორის ჯვარი ჩამიყენებავ შუ შენდა მინდიაისად. დაგინდვნასთ დალოცვილმ, როგორც დაინდობთ ერთუცს. რაც არ ჩამაგვარდნიეთ, ავ ნუღარა ჩამაგიგდასთ. წყალობა მაგცასთ ანატორის ჯვარმა რო ჩვენაც პატიე დაგვდეეი-დ თავის თავსაც". "თქვენ იყოს მწყალობელი, კაის თქმადა, კაის გონებად ნუ დაგლიევნასთ" – ეტყოდა ხთისო.

შუაკაცები წავიდოდნენ მინდიასთან და ეტყოდნენ თავის მოსვლის მიზეზს. ის პირველად ბრალის მოხდას დაიწყებდა: "ჩემ ბრალ არ იყვ. ხთისო ამაყ კაცი

ასა, ეეხლა მიაც ეემ ხათაბალაში გამხვიეა თავის თავიც. ნეტა ვინ სხო მაინც ვინ ყოფილიყვ, ძმას მერჩივ ხთისოი-დ მაგასთან მამიჭდ რაიც არ მეწად. მაგრამ უფროსებო, აი ქუდით მადლობელი ორ (ქუდს მოიხდიდა), რომ ხთისო კი კაი კაცი ასა-დ თაოდაც გულის დამღონეი, ჩემის გულისად, რომ ფეეჭზე ადგომაიც იკადრეო, აქ მასვლას ვინ იტყვის. თქვენ რასაც მეტყვით, მე ხთისოს წინ უდგეორ, თეთრი ოქროთ აულესავ რაიც ჩემის ჭელისა-ი შჭირს". ამ საუბრის შემდეგ, უფროსი შუაკაცი მინდიასთან მივიდოდა, ხელს ჩამოართმევდა და ისეთსავე სიტყვებს ეტყოდა, რა სიტყვებიც ხთისოს უთხრა. რომელიც ჯარზე არ იყო, მოიყვანდნენ და დასხდებოდნენ ჩვეულების წესით უფროსი საუფროსოში და უმცროსი საუმცროსოში. ერთი უფროსი აავსებდა თასს ლუდით, მისცემდა მინდიას და ეტყოდა: "შენ დამლევი ხარ (დამნაშავე), ადეგი, მიუტანი ე-თასი ხთისოს". მინდია ადგებოდა, დაიჭერდა თასს ხელში, მივიდოდა ხთისოსთან, დახრიდა თავს და ეტყოდა: "ხთისოვ, რაიც არ მინდოდა, ვისთანაც არ მინდოდა, ის მამიჭდ. ძმას მერჩიყავი, არ გონებულად მამივიდ, მაპატივი, წინ გიდგეორ, რაიც არავის უქნავ, იმას ვიქ, თეთრი ოქროთ აგილასავ. ეს თასი შენ პატივი იყოს". – "პატივი, კაი კაცობა ნუ მაგიშალას, არ მეგონ შენგან მინდიავ, თუ ეესრ გამამიქჩერებდი,ეესრ გამჭდიდი. ეხლა ქვე მიპატივებავ შენდაც,ჯვარისა და შუაკაცებისადაც. აწიდგე ქვე გამთხილდი, ნუღარ იქამ ესრ, თორე ის არ დაებარების კაცს ნუ მახკლავავ. მე კი რო ქვეც მავმკვდარიყავ რა მიწათ დავსწევდი, მაგრამ შენ დაღონდებოდი".

ხთისო თასს გამოართმევდა და დაიჭერდა. ამ შერიგებით გახარებული ხალხი ადგებოდა და ყოფილ მტრებს და აწ შერიგებულთ დაამწყალობნებდნენ. მერე ხთისო უფროს შუა კაცს ეტყოდა: "ეს თასი დალოცი, მინდიამ რო პატივად მამიტან". შუაკაცი ადგებოდა და იტყოდა: "ღმერთო, დიდება შენდა, ღმერთო უშველე ერთუცის მედავეთ, მინდიასა ხთისოს, შუ გაუარი, წაღმ მაუარი, რაც ავ ჩამაღვარდნი ნუღარას ავს ჩამაუგდებ, დალოცვილო ღმერთო. ანატორის ჯვარის სადიდებელი ასა-დ ანატორის ჯვარო, შენი დიდებითა, ჩემი სიტყვის მაჭსენებით, ზედამრჩოების დღეგძელობით, ხთის წესითა, მაღდლის წესით, იერუმსალეთის ნათლით, ქრისტეს გარიგებით, ეს თასი როგორც ჩვენს ჭელთა ას, ისრამც სულს მინდიაის მამისას მეეჭმარების". "შაუნდნას ღმერთმა, მააჭმარას", იტყოდნენ სხვებიც. ამ თასს ხთისო იმას მისცემდა, ვინც დალოცა, ხთისოს კიდევ სხვა თასს ამოუღებდა საწდიდან და მისცემდა ან მინდია ან სხვა ვინმე ახალგაზრდა. ხთისო ადღეგრძელებდა მინდიას და დალევდა. ამ დროს მინდია ფეხზე იდგა. შუაკაცი ხთისოსეული თასით ორივეს ადღეგრძელებდა, თან მადლობას გადაუხდიდა, რომ შუაკაცებს გაუგონეს, შერიგდნენ და გამოცლიდა. მერე ორი ახალგაზრდა ჩამოარიგებდა შუაკაცების სადრეგრძელოს. სადღეგრძელოში ეტყოდნენ: "გადღეგძელნასთ შუაკაცებო, გაცოცხლნასთ, კაის თქმადა კაის გონებად ნუ დაგლივნასთ. ნუ მააშორას სოფელს თქვენ თვალი, გული. მოდავეთაც თქვენ იღბალიც შასწიოსა-დ ანატორის ჯეარიც სწყალობდას. ნუღარა ავ ჩამოუგდას". ამ სადღეგრძელოს ყველა სათითაოდ დალევდა.

ამ დროს თუ ვინმე დასაჯარიმებელი იყო, აჯურუმებდნენ, რაც ვის დაკისრებული ჰქონდა, მოიყვანდნენ საკლავებს და დაკლავდნენ. ჯურუმის ტყავი

და ხორცი ჯვარში რჩებოდა. თუ კურეტი იყო ჯურუმად, შეიძლებოდა მოხარშულიყო ხორცი და სოფლისთვის ტაბლა დაედგათ. შემდეგ ჯარზე იმართებოდა ჯარის წესი. ჭირის პატრონმა თუ წუხელ დარბასში "გატეხა ფანდური" ჯვარიონთან, დღეს ჯარზედაც იგივე გასტეხდა ფანდურს, ე.ი. პირველად ის დაუკრავდა და იმღერებდა. (ფანდურის გატახას უწოდებდნენ იმას, რომ ჭირის პატრონის ხათრით სოფელში არაკინ მღეროდა, მანამ ჭირის პატრონი არ დაუკრავდა და იმღერებდა დღეობაში).

როცა სოფლის ჯარზე დღეობობდნენ, ამ დროს ჯვარისგან მოშორებით დანიშნულ ადგილზე ქალებიც მივიდოდნენ, მუხლს მოიყრიდნენ და თხოვდნენ ჯვარს ეპატიებია თუ რამე აწყენინეს აქ მოსვლით, სოფელში უხათრობითა და ხმა-მაღლობით და სხვა. ავედრებდნენ თავის ძმა-ძმისწულს, ქმარ-შვილს და თხოვდნენ ჯვარს: თუ ჩემიანს ცუდი რამე მოელის, მე შემახვედრე და ისინი გადაარჩინეო. ქალები ლაპარაკობდნენ ჩუმად,საუბრის დროს მუხლზე ნასხდომი ქალები ხშირად დაიხრებოდნენ და კოცნიდნენ მიწას ჯვართ პატივსაცემად, რაკი მიწაც ჯვართ ახლოს არის და უფრო წმიდა და პატივსაცემია. ლოცვას რომ გაათავებდნენ ქალები, ჯვარიონები გამოვიდოდნენ და დაამწყალობნებდნენ მათ. ჯვარიონთ გამოსვლაზე ხალხიც ფეხზე ადგებოდა და მონაწილეობას მიიღებდა სოფლის დიაცების დამწყალობნებაში. ამ დროს დიაცებიც ფეხზე იდგნენ, იწერდნენ პირჯვარს და ნელ-ნელა ამბობდნენ: "თქვენ იყოს მწყალობელი, თქვენს თავს სწყალობდას". დამწყალობნების შემდეგ ჯვარიონები ისევ დარბასში წავიდოდნენ და გაუგზავნიდნენ დიაცებს ერთ საწდე ლუდს. ორი ახალგაზრდა წაიღებდა ერთ ან ორ ვერცხლის თასსაც. ეროი სპილენძის თასიც უნდა წაეღოთ, რადგან ვერცხლის თასს ყველა ქალი არ ჰკიდებდა ხელს. ვერცხლის თასის დასაჭერად თავს უღირსად თვლიდნენ. სამრელოდან შემოსვლის მეოთხე დღემდე კი არც სპილენძის თასს მოჰკიდებდა ვინმე ხელს. მესამრელოე ქალებს ლუდსაც არავინ მიუტანდა, რადგან ჯვარის სადიდებელს ისინი ვერ დალევდნენ.

სპილენძის თასით იმას დაალევინებდნენ, ვინც განაცხადებდა: "მეხათრების, ვერცხლის თასს ვერ მივხვ]ელავ". გადაჭარბებული ხათრიანი ქალი თუ ვინმე იყო, არც სპილენძის თასს იღებდა ხელში და ზედამდეგი ახალგაზრდები თავის ხელით დაალევინებდნენ. საჭმელი არაფერი იყო. ლუდის სმას ქალები მალე გაათავებდნენ და შეუთვლიდნენ ჯვარიონებს: "დაგვამწყალობნეთ, ჩვენ შინ წაოლთ". იქიდანაც ჯვარიონნი და ხალხი დაამწყალობნებდნენ: "წყალობა წაიღით ანატორის ჯვარისა, წყალობა! წაღმ გამაგყვასთ ანატორის ჯვარის დავლათი". ისინი პირჯვრის წერით პირუკუღმა კარგა გზას გაივლიდნენ და დაიშლებოდნენ. ქალებს თასის დალოცვაც განსაკუთრებული ჰქონდათ: ჯვართ სახელს არ იტყოდნენ, არც საერთო ყველას სადღეგრძელო იცოდნენ. დალოცავდნენ მარტო იმას,ვინც ზედამდეგი იყო და ლუდს არიგებდა: "დაგლოცას ღმერთმა. 'მატილის სალოცავმ გადღეგრძელას, დედ-მამიანად, ძმიანად გადღეგძელას, წყალობა მაგცას, რაისაც სადიდებელ ას" და ა.შ.

სოფლის ჯარზეც დიდხანს სვამდნენ ლუდს,ვისაც სურდა ჯვარიონებიც გამოვიდოდნენ და დასხდებოდნენ. აქ გარდა საგმირო სიმღერების მღერისა, იყო ძველი ანდრეზების საუბარიც. ძველებ ამბებს მოყვებოდნენ უფროსი კაცები.

ახალგაზრდები დიდი ყურადღებით უსმენდნენ და იხსომებდნენ მას. ხანდახან უფროსებს კამათიც მოუვიდოდათ ძველ ანდრეზებზე – ეგრე კი არა, ასე ყოფილაო. ასეთი საუბრის მოსმენა და დახსომებას ავალებდნენ ყველა ახალგაზრდას და არც ფასდებოდა ის კაცი, ვინც ბევრი წარსული ამბები არ იცოდა.

ამასობაში დღე გაიელიდა და ჯარიც თანდათან იშლებოდა. წასვლის დროს ყველა მოიყრიდა მუხლს, ემთხვეოდა მიწას და მოსთხოვდა ჯვართ მადლს. მადლის მოთხოვის შემდეგ ეტყოდა: "ჯვარ გეწერასთ ჯარნო, ჯვარსაცა, კაცსაც". – "ჯვარის წყალობა გქონდას, ჭელ მაგიმართას, წყალობა წაიღი ანატორის ჯვარისა, წაღმ გამაგყვას ანატორის ჯვარი; მოწაღმართე ანგელოზ გამაგაყოლას". სოფლის ჯარი წამსველელს ასე გაისტუმრებდა. ბოლოს, ახალგაზრდები ერთ თას ლუდს გააყოლებდნენ და დაალევინებდნენ წასულს. ამ თასს ეწოდებოდა "გასამმართაო", ე.ი. გასასტუმრებელი. ჯურუმის მოხდა თუ ვინმეს გაუჭირდა და დროშა გარეთ რჩებოდა, მაშინ მისი გვარის მახლობელი ნათესავები დაეხმარებოდნენ და სამრისხველოდ არ გახდიდნენ. გადაიხდიდნენ ჯურუმს. ამ დღეობაში თუ ვისმე შუღლი მოუვიდოდა, იმათაც მტრად არ დაარჩენდნენ, ეცდებოდნენ, რომ ჯვარში შეერიგებინათ, რადგან ჯვარში შერიგება უფრო მტკიცეა, ვიდრე სოფელში შერიგება. ჯვარში შერიგებული შუღლის გამეორებას ვერ გაბედავდა ჯვარის ხათრით, რაც გინდა ძალიან გაჯავრებული და დამუქრებული ყოფილიყო. ხშირი იყო შემთხვევა, რომ დღეობის ბოლოს მტრები იყვნენ შესარიგები. ამისათვის ჯვარიონნი ზრუნავდნენ, მოუწოდებდნენ სოფლის უფროს კაცებს და ეტყოდნენ: "თქვენი ჭირიმეთ უფროსებო, თქვენ გაურიგებ არავინ ას სოფელში კი არად თემშიაც. ეეხლა აგებ გაისაჯნათ, ეგ ნაშუღლარები დაარიგნათ (შეარიგოთ), თორემ ეეგებ, რო მტრად მარჩან, შაიყრებიან სადა-დ უფერს რას იქმენ. ეეხლა ქვი არაჭირს იმთვენი. წინათ თქვიან: "ჩიტის სკუნტლზედავ ციხე აგებულავ. რახან უფრო მეტ დაილიოს, მაშინ თქვენაც გულ დაგიღონდებისათდ, მარჯე შესარიგებიც იქნების. თუ გწყალობსთ ანატორის ჯვარი, მაიყვანენითა-დ ამ ჯვარში ეროად შაყარენით. ლუდ ქვე დგას,თქვენც კარგა იცით,რო ჯვარის კარ ჯობ მტერთ შარიგებაი". უფროსები დათანხმდებოდნენ და შუაკაცებად დადგებოდნენ; ჯერ ერთ მაშუღლართან მივიდოდნენ, მერე მეორესთან და დაითანხმებდნენ შერიგებაზე. პატივ დასადებს – პატივს დასდებდნენ, საკლავ დასაკლავს – საკლავს დაუკლავდნენ, წამოიყვანდნენ ჯვარში და შეარიგებდნენ ისეთის წესით, როგორც ზემოთ არის ნათქვამი. პატივი იქნებოდა სისხლიანი საკლავი, თუ უსისხლო საკლავი ამას სოფელში და სახლშივე შეასრულებდნენ ჯვარში წამოყვანამდე. ეს ყვალაფერი, რომ გათავდებოდა და შერიგებულებს და შუაკაცებსაც გაისტუმრებდნენ, ჯვარიენებიც შეუდგებოდნენ გამოსალოცავად ყველა თავ-თავის საქმეს,დასტურები კოდების ძირში თხლეზე ზედ მოდგმულ ლუდს წამასწურავდნენ საწდეში ისე, რომ თხლე ძირს დარჩენილიყო, ლუდს არ გადმოყოლოდა და არ აემღვრია იგი. მედროშაე დროშას ააბძანებდა და მისი ზარის წკარუნით შემოუელიდა ჯვარის მიდამოს. ამ დროს ჯვარიენები ყველანი ფეხზე იდგნენ ქუდ მოხდილნი. როცა დარბასისსაკენ წამოვიდოდა, მაშინ ჯვარიენები მუხლზე დასხდებოდნენ, ვიდრე წკარუნის ხმა ისმოდა. ბოლოს მედროშაე დროშას დარბასში, თავის ადგილზე მიაბძანებდა და დაიწყებდა მის ჩამოხსნას. დროშის

აბმის და ჩამოხსნის დროს ჩუმად იყო, არ შეიძლებოდა ხმა ამოეღო და ვისმესთვის ან ეთქვა და ან თქმაზე პასუხი გაეცა. ბოლოს ყველაფერს ტაგრუცში ჩააწყობდა. დასტურები ვერცხლის თასებს გარეცხავდნენ და ჩაალაგებდნენ ამისათვის გაკეთებულ სპილენძის თავსახურიან ქვაბში. ერთი დასტური მოიტანდა "გამასამალო" ქადას. ქადა იყო ხავიწის გულიანი. ზედ იდო ხუთი საწირი უგულო, თხელი, პატარა პურები. დასტურები რომ დაგვიდნენ დარბასს, საქვაბეს და კარმიდამოს, მაშინ ჯვარიენები ყველანი დასხდებოდნენ, გადმოიტანდნენ საკუთარი დღეობისათვის საუკეთესო შენახულ ლუდს,აგრეთვე არაყს და დადგამდნენ იქ, თან მოხარშავდნენ ხორცს და მწვადსაც დაამზადებდნენ. ხუცესი გამასამალოს იხუცებდა. გამასამალოზე,როგორც ღამისამთელოზე,იდგა სამი ლუდიანი თასი და იმავე წესით სრულდებოდა ყველაფერი. ცოტა გარჩევა ხუცობაში იყო. ღამისამთელის დროს ახვეწებდნენ და ამწყალობნებდნენ ანატორის ჯვარის ყმათ. გამასამალოს ხუცობაში კი ხუცესი მარტო დასტურთ ახვეწებდა და დამწყალობნების დროსაც მათვე ამწყალობნებდა.

ამ წესებს რომ შეასრულებდნენ და თასებს ჩამოართმევდნენ, ყველანი ტაბლასთან დასხდებოდნენ და საკუთარ დღეობას იზამდნენ. ერთი ახალგაზრდა დადგებოდა ფეხზე, ხორცს დააწყობდა ტაბლაზე, აგრეთვე მწვადს, ხავიწიან ქადის ნაჭრებს და მიართმევდა ჯვარიენებს. ჭამას რომ დაიწყებდნენ, ახალგაზრდა დასტური ჯერ არაყს დაალევინებდა და მერე ლუდს აძალებდა. აქაც იცოდნენ ფეხზე მღერა, ფეხზე მდგომსაც შესთავაზებდნენ საუკეთესო ხორცის ნაჭრებს. ამის შემდეგ დასტურები ყველა ნახორს ერთად მოაგროვებდნენ, ტყავებს და ხორცსაც და გაანაწილებდნენ იმდენად, რამდენნიც იყვნენ ჯვარიონნი. გაუგზავნიდნენ დიასახლისსაც ნაწვრეთებს, ხორცს და ლუდს. გამასამალო დაიჭრებოდა იმდენ ნაწილად, აქ რამდენი კაციც იყო, სტუმარიც რომ შემოსწრებოდა, იმასაც წილი ერგებოდა. დანარჩენი ნახორი კი განაწილდებოდა იმდენად, რამდენი კომლიც შედიოდა ჯვარიონთ რიცხვში. ხუცესის წილ ნახორს ერთი ახალგაზრდა აიკიდებდა ზურგზე და წაიღებდა ხუცესის ოჯახში. ბოლოს, დასტურები ჯვარს მადლს მოსთხოვდნენ და გამოვიდოდნენ დარბასიდან, ხუცესი ეტყოდა: "წყალობა წაიღით ანატორის ჯვარისა, მეწაღმართე ანგელოზ გამაგაყოლასთ". "შენ იყოს მწყალობელი, ჯვარ გეწერასთ ჯვარსაცა-დ კაცსაც" – ეტყოდნენ დასტურნი. ბოლოს ხუცესიც მუხლ-მოყრით ეხვეწებოდა ანატორის ჯვარს ეპატია მისთვისაც და სხვა ჯვარიენებისონისაც, ამ დღეობაში რაც შესცოდეს მას, ცოდნით თუ უცოდინარობით. ლუდი თუ რამე დარჩებოდა,საქვაბეში გაიტანდნენ და მეორე დღეს დაპატიჟებდნენ სოფლელებს და დალევდნენ გათაკებამდინ. აქედან წამოსული ჯვარიენები მივიდოდნენ საფეხვნოში, სადაც ხალხი მუდამ გამოულევლად ისხდა და მსჯელობდნენ სასოფლო საქმეებზე, საუბრობდნენ წარსულ ამბებზე. ჯვარიონნიც მათთან ერთად მუსაიფობდნენ. ხუცესი მეორე დღემდინ ოჯახში ვერ მივიდოდა. დასტურები კი თავის დასტურობის ორი წლის მანძილზე ცალკე ცხოვრობდნენ და სადაც ოჯახი ჰქონდათ იქ არ შედიოდნენ.

ამაღლება

ამაღლება იცოდნენ ორ დღეს. აქ განსაკუთრებული წესი არაფერი იყო, ამ დღეობისათვის დღეობის ყველა წესებს ასრულებდა "მეწვრილდასტურე". ის აიწყავდა ქერს დიდი დასტურისაგან და მოამზადებდა ლუდს. დანარჩენი ჯვარიენები ჩვეულებრივად საწმიდარ იქნებოდნენ ჯვარში. მეწვრილდასტურეთაგანს, რომელსაც შეხვდებოდა ეს დღეობა, ლუდს ადუღებდა, მუშაობაში კი თავის ამხანაგი დასტურებიც მიეშველებოდნენ. ლუდს აფუვლებდა ხუცესი,"სისწვენს" კი დასტურნი მიუტანდნენ კოდთან.

"ამაღლების წუხრას" (ამაღლების წინა საღამოს) ჯვარიენები ყველანი თავ-თავის საქმეს აკეთებდნენ. მედროშაე გაინათლებოდა და დროშას აბამდა, დასტურნი ვერცხლის თას-განძს მოიტანდნენ (სპილენძის თასები და ქვაბები ადგილობრივად საქვაბეში იყო და ვერცხლი კი საიდუმლო ადგილას ინახებოდა). ხუცესი იჯდა და კარნახობდა ყველას. დასტურნი მოიტანდნენ კოდ-სამკურთხევლოს, ერთს პატარა უბრალო გულიან ქადას, ერთ ფეხ სანთელს, ხუცესი სახუცო კოჭობით, მოჭიჭვის შემდეგ კოდიდან ამოიღებდა ლუდს და დადგამდა კოდ-სამკურთხეველოზე, დააკრავდა სანთელს და იხუცებდა. ხუცობაში ახვეწებდა ისევ ანატორის ჯვარის ყმათ და მერე დასტურთაც. ხუცობა რომ დამთავრდებოდა კოდ-სამკურთხეველოდან ხუცესი სახუცო კოჭობს აიღებდა და დაილოცებდა: გაუმარჯოს დიდს ანატორის ჯვარს და ა. შ. მერე კიდევ შეუსახელებდა და თასს მაღლა ასწევდა ამ სიტყვებით: "შენა სამთავროდ, შენა გასამარჯოდ მაიჴმარი ანატორ მთავარო ანგელოზო ე გარიგებულ ჭიქაბარძიმი-დ სადიდებელი, ხთის კარზე შაიტანი შენთ ყმათ სახოიშნოდ, სამწყალობნელოდ". მერე ლუდს შეაფასებდა. შემდეგ ლუდს გადასცემდა ჯვარიენებსაც და გემოს გაუსინჯავდნენ. ბოლოს ხუცესსავე მიცესმდნენ და ის გადაიხდიდა მადლს. თასს ჩამოყრიდნენ და მიაბძანებდნენ თავის ადგილზე.

ამ დროისათვის ღამისამთელოც გაწყობილი იქნებოდა. ერთ საწდე ლუდს ხუცესი დაასხამდა და დასტურნი დადგამდნენ დარბასში. მერე ღამისამთელოზე სამს თასს დადგამდნენ, დააკრავდნენ სანთელს და ხუცესი იხუცებდა. ხუცობის შემდეგ სახუცო კოჭობს აძლევდნენ ხუცესს და ორ დანარჩენ თასს სხვები დაიჭერდნენ. ხუცესი კიდევ შეუსახელებდა ანატორის ჯვარს, მეორე თასს ხთიმიბელს და მესამე თასს კვირაეს. მერე ყველანი დაილოცებოდნენ და დალევდნენ ცო-ცოტას ლუდს,უთასო ხალხი უმღეროდა შატილიენების გმირობის სიმღერებს, ვისაც ეჭირა თასები, მადლს გადაიხდიდნენ, თასებს გამოცლიდნენ და დადგამდნენ თავის ადგილზე. მერე იმართებოდა სმა და ყველა წესი ჩვეულებრივ სრულდებოდა.

მეორე დილას მოიყვანდნენ სასოფლო საკლავს ანუ "სარიგოს" და პირველად ეს დაიკვლოდა, სხვა რაც უნდა საკლავი ყოფილიყო, სარიგოს დაკვლამდინ არ დაუკლავდნენ. სარიგოს დაკვლის შემდეგ მოვიდოდა სოფელიც და დასხდებოდა ჯარი. სოფლის ჯარს ლუდს აძლევდნენ განსაზღვრული რაოდენობით, ეს წინასწარ ჰქონდათ გამოანგარიშებული, თუ რომელ დღეობაში რამდენი ლუდი დასჭირდებოდათ,ანუ რამდენი იხარჯებოდა და ამის მიხედვით

ამზადებდნენ დასტურებიც თავიდანვე ფორს და სვეს. ჯარზე პირველ საწდეს ისე დალევდნენ სოფლის სადღეგძელო სამწყალობნელოს, მეორე საწდეს კი დაილოცავდნენ მიცვალებულებისათვის, ვინც შატილს ამ წელს დააკლდა. მესამე საწდე ილოცებოდა იმ ძველი მიცვალებულებისათვის, ვინც სოფლის გამაგრებისათვის, ან ქალ-ზლის დაცვის გულისათვის დაიხოცნენ. ასეთ შასანდობარს უფრო ხალისიანად სვამდნენ სულუქცევრად და ამ შესანდობარის სმაში ფანდურზე რიგ-რიგობით იმღეროდნენ ძველი გმირების სიმღერებს. ქალები სოფლიდან გამოვიდოდნენ და ჯვართ ახლო, მათთვის განკუთვნილ ადგილზე მოიყრიდნენ თავს. მოიტანდა უმრავლესობა ბოთლით არაყს, თითო სანთელს და ბავშვების ხელით გაუგზავნიდნენ ჯვარიონთ. ჯვარიონნი ამ ბოთლებზე სანთელს დააკრავდნენ და ჯვართ გაადიდებდნენ (ჯვართ გადიდების წესზე საუბარია როშკის დიდგირის ჯვარის აღწერილობაში), მერე ჯვარიონნი ზოგ ბოთლებს სოფლის ჯარს გამოუტანდნენ, ზოგს კი თვითონ დალევდნენ. ქალებს ლუდს გაუტანდნენ და ახალგაზრდები დაალევინებდნენ ჩვეულებისამებრ. ქალები ლუდს აქ ცოტას დალევდნენ, დანარჩენს წაიღებდნენ სოფელში იმ ოჯახში, სადაც მოყვანილი იყო "ახალზალი". სოფლის ჯარიდან ახალგაზრდა ვაჟებსაც იქ დაუძახებდნენ და ზალის პატივსაცემად მართავდნენ ლხინს.

ახალგაზრდები თითოობით ლუდიან თასს გაუგზავნიდნენ ზალს. ეს ნიშნავდა ზლის დაფასებას და პატივისცემას. ზალი დაილოცებოდა, ადღეგრძელებდა თასის გამგზავნ ახალგაზრდას და მერე ყველა ახალ-უხალს. ცოტას დალევდა და მერე სხვებს "აშველიებდა" (შველა ეწოდებოდა და მიღებულიც იყო, რომ თავის თასს სხვას მოაყუდებდნენ და დაალევინებდნენ. ეს პატივისცემად ითვლებოდა ვისაც ალევინებდა იმისათვის).

ზალი გასავალი კარებისაკენ ე.ი. ბოლოში, ფეხზე იდგა და არ დაჯდებოდა, ვიდრე სმა არ გათავდებოდა. სმის გათავების შემდეგაც გამვლელ-გამომვლელს ყველას ფეხზე აუდგებოდა. სადაც ახალ-უხალი ისხდა, იქ არ გაივლიდა. თასი რომ გამოიცლებოდა, ვინმეს თხოვდა, ამოაღებინებდა საწდიდან ლუდს და გაუგზავნიდა ისევ იმას, ვინც მას გამოუგზავნა თასი. ამას უწოდებდნენ "დედათ წესს". ეს ჩვეულება მუდამ იყო; ქალს ვინც თასს მისცემდა, ის რომ დალევდა ისევ ავსებდა და უბრუნებდა პატივისმცემელს. ახალგაზრდა თასს მიიღებდა, ადღეგრძელებდა ზალს და დალევდა. მოიტანდნენ ფანდურს და იმართებოდა ლექსობა და თამაშობა. ახალგაზრდობა აქ ატარებდა თავისებურ დროს და უფროსი ხალხი ჯარზე ისხდა.

ბოლოს, ჯარი დაიშლებოდა და მადლის მოთხოვის შემდეგ წამოვიდოდნენ შინ. ჯვარიონები ჩვეულებრივად გამოისტუმრებდნენ მათ. ახალ-უხალიც წავიდ-წამოვიდოდა.

ამაღლება ორ დღეს გრძელდებოდა ჩვეულებრივი წესით და ბოლოს, დასტურებიც და სხვა ჯვარიონებიც თავ-თავის საქმეს გააკეთებდნენ და გამოილოცავდნენ იმ წესით, როგორც ნათქვამი არის აჭესების გამოლოცვაში. ამაღლების შემდეგ მოვიდოდა დღეობა ათენგენა.

ათენგენისათვის ამზადებდა ფორსა და სვეს მედიდჯვარე დასტური. ეს დღეობა გრძელდებოდა სამს დღეს და ითვლებოდა მთავარ დღეობად. შატილიენები ქისტებს ბეგარას ართმევდნენ და იმ საკლავებსაც ამ დღეობისათვის ინახავდნენ. დღეობაში ლუდსაც საგანგებოდ კარგს აკეთებდნენ, სვეს წყედ აყრიდნენ და დიდხანს ადუღებდნენ. ხუცესი, მედროშაე და ხელოსანი სამი კვირით ადრე დაიწყებდნენ "წმიდობას" და ორი კვირით ჯვარში იწყებდნენ ცხოვრებას.

ათენგენას საწმიდარ მყოფებს სოფლელები მოსაკითხს უზიდავდნენ. დღეობის წინა საღამოს ჯვარიენები მიიყვანდნენ სანათლავ საკლავებს და გაინათლებოდნენ. ამის შემდეგ ყველა თავ-თავის საქმეს გააკეთებდა, როგორც წინა დღეობებზე ითქვა. აქ ახალი აღარაფერი ხდებოდა. სანათლავებს რომ გაატყავებდნენ, ფელკი (ნახევარი ცხვარი) ჯვარში რჩებოდა, ფელკი და ტყავი კი პატრონს მიჰქონდა.

დროშა რომ თავის ადგილზე იქნებოდა დაბძანებული, ვერცხლის თასგანძი თავის ადგილზე, აგრეთვე ღამისამთელოც მოტანილი და კოდი მოჭიჭული, მერე უთევდნენ ღამეს ჩვეულებრივის წესით. ჭირის პატრონს თუ ფანდური ჯერ არ ჰქონდა გატეხილი ღამის თევამდინ, მაშინ ღამისთევის სადიდებელთაზე კიდევ არ იმღერებენ ფეხზე შამღერნებით, შეიძლება ჭირის პატრონს შეემღერნა თასიანებისათვის, ხოლო ისინი არ უპასუხებდნენ, ისევე მისი ხათრით, ვიდრე ის ფანდურს არ დაუკრავდა და ისე არ იმღერებდა. ღამისთევის წესებზე ზემოთ იყო საუბარი. აქაც განსხვავება არ იყო. მეორე დღეს ათენგენა გათენდებოდა, დილიანად მოიყვანდნენ და დაკლავდნენ სარიგოს. მერე იწყებოდა ზღვნობა. ჯვარიენები გამოვიდოდნენ და ჩვეულებრივად გამოუცხადებდნენ საჯვარო და სასოფლო საჭირბოროტო საქმეებს და მათ მოსაგვარებლად ჯვარში შემუშავებულ გეგმას, ჯურუმებს და სხვა. ამის შემდეგ წავიდოდნენ ანატორს. ანატორი არის შატილიდან ორი კილომეტრით მოშორებით. აქ წინათ ცხოვრობდნენ ანატორლები და სალოცავიც აქ ჰყოლიათ. მერე ანატორლები ჟამს რომ გაუწყვეტია და მათი ადგილიც შატილიენებს დარჩენია, მაშინ შატილიენებს სახლები ახლანდელ შატილში აუშენებიათ და ანატორის ჯვარიც აქ გადმოუყვანიათ. მაგრამ ძველ სალოცავ ადგილზე ანატორშიც ზოგიერთ დღეობებში მიდიოდნენ და ასრულებდნენ იმ წესებს, რაც სრულდებოდა ძველად ანატორლების დროს. ანატორში წაიღებდნენ თულუხებით ლუდს, კომლზე თითო ქადას და თითო მინისას (ბოთლს შატილიონები "მინისას" უწოდებდნენ, არხოტიონები და ბუდის ხევსურები კი "მინას") არაყს სანთლით. აქვე მიჰყავდათ სოფლის სარიგო საკლავი. ხუცესი სარიგოს დაკლაყდა და დაიწყებოდა ზღვნების დახოცა. ზღვნობა რომ გათავდებოდა, მერე ქადებს და სადიდებელსაც იხუცებდა ხუცესი. სადიდებელს რომ დალევდნენ, მერე დაიწყებოდა თოფების სროლა ნიშანში. დადგამდნენ ქვას, ან ხეს მოათლიდნენ, მოხასავდნენ შავად და ესროდნენ თოფებს. ვინც უკეთესად ესროდა ან მოარტყამდა, ჯილდო ჰქონდა ერთი კოში ლუდი. ჯილდოს მიმღები კოშიდან თასით ამოიღებდა და ახალგაზრდებს დაალევინებდა. ისინი უსურვებდნენ

მტერზე და ნადირზე გამარჯვებას და უქებდნენ თოფის სიმართლეს. დასტურნი მოხარშავდნენ სარიგოსა და სხვა საკლავების ხორცს და დაუდგამდნენ ყველას ტაბლას, მამაკაცებს ცალკე და ქალებს ცალკე. ქალები ჯვართან ახლო ვერ მიდიოდნენ წესის მიხედვით. მამაკაცების ტაბლაზე კარახანა და მღერაც იყო. ქალების ტაბლაზე კი ზედამდეგი ფეხზე იდგა და ჭამის დროსვე აძალებდა ქალებს ლუდს. ამ წესების შესრულების შემდეგ, იმართებოდა ფერხისას მღერა. ფერხისაში შეიძლება ემღერათ ძველი მეფეების სიმღერები, მეფე ერეკლეს დროინდელი, ზურაბის სიმღერები, ან შატილიენების წინაპრების გმირობისა და სხვა. ფერხისულს მღეროდნენ ორ გუნდად. ერთი კაცი იყო სიმღერის თავი, რომელიც ამ სიმღერებს იმღერებდა და თავის მხარეზე მყოფი ხალხი ბანს ეტყოდა. ფერხისულის მღერაში ფეხზე იდგნენ ხელი-ხელ ჩაკიდებულნი, წრიულად. წრეში იყოფოდნენ ორ გუნდად. ერთ მხარეზე სიმღერის თავი იყო და მის მოპირდაპირედ მისი თანაშემწე. სიმღერის თავის ნამღერალ სიტყვებს გაიმეორებდა მეორე გუნდის თავიც და თავისი გუნდი ეტყოდა ბანს. მღერის დროს ვინმე ახალგაზრდა ან ჯვარიონი შევიდოდა წრეში და შუა ადგილას დადგებოდა. ხელში ლუდიანი სურა ეჭირა და ალევინებდა მომღერლებს რიგრიგობით. შეიძლება ერთი სიმღერით დამთავრებულიყო ფერხისა და შეიძლება მეორე სიმღერასაც მოაბამდნენ ზედ. სიმღერის დამთავრების შემდეგ, ეი. ბოლოს, სიმღერის თავი აუცილებლად იმღერებდა:

მცხეთა აივსო კირითა, თქვენი დუშმანი ჭირითა,
თუ გინდა კიდევ ვიმღეროთ, თუ გინდა გავათავოთა!

თუ სიმღერის გათავება უნდოდათ, სიმღერის თავის თანაშემწე იმღერებდა: "არალე გავათავოთო" და დაიშლებოდა ფერხისა. თუ გათავება არ უნდოდათ, ან თანაშემწე დაიწყებდა რომელიმე ახალ სიმღერას, ან ვინმე სხვა, ისე, რომ მღერა არ გაწყდებოდა, გრძელდებოდა ისევე. არც გუნდები შეიცვლებოდა. შეიძლება გამოცვლილიყო მარტო სიმღერის თავები. ლუდს ალევინებდნენ, ვისთანაც მივიდოდა ზედამდეგი დასალევინებლად, ის მარტო თავს დაუკრავდა და ისე დალევდა. როცა სიმღერის თავს შეხვდებოდა დალევა, მაშინ სიმღერის თავს შეეცვლებოდა მის გვერდზე მდგომი ვინმე; როცა დალევდა კი იგივე გააგრძელებდა მღერას.

სიმღერა, ანუ ფერხისა რომ დაიშლებოდა, ბევრს აღარ დაიგვიანებდნენ და მოემზადებოდნენ წამოსასვლელად. ახალგაზრდები მოეხმარებოდნენ დასტურებს საკლავების ტყავ-ხორცის და ნახორის წამოღებაში, მოიტანდნენ შატილის პირდაპირ მდებარე ანატორის ჯვარის დარბასში და დღეობის ბოლოს გაანაწილებდნენ სხვა ნახორთან ერთად.

ანატორში, სადაც ათენგენობა-დღესთან დაკავშირებით გვქონდა ლაპარაკი, იყო ანატორის ჯვარის კუთვნილი ტყიანი მთა. ამ მთაზე ბინადრობდა გარეული თხების ჯოგი (თხებს ხევსურები ვაცებს უწოდებენ). ამათი მოკვლა ხსენებულ მთაზე. არ შეიძლებოდა. მონადირეები ბევრჯერ ცდილობდნენ, რომ ამ ტერიტორიას გაცილებული ენახათ და დაეხოცათ, მაგრამ, ისეთი გაფრთხილებული იყვნენ, რომ ი'შვიათად გაცდებოდნენ იმ ადგილს, სადაც აკრძალული იყო მათი მოკვლა. სხვაგან თუ იყვნენ გადასულნი და შემოხვეცით სადმე თოფი გავარდებოდა, გამოიქცეოდნენ

და ამ ტყეში შემოიჭრებოდნენ. აქ კი კაცს სრულიად არ უფრთხოდნენ და არც თოფის ხმა აშინებდათ. ყოფილა შემთხვევა, შატილიენები აქ თოფოსნობდნენ, თხები მაღლიდან თავზე გადმოჰყურებდნენ და არ გარბოდნენ. ძველი შატილიენები გადმოგვცემდნენ: ერთმა ქისტმა აკრძალულ ადგილას ვაცი მოკლა, თოფის ბოლო ეცა თვალში და გამოსთხარაო. ერთმა შატილიონმა მოკლა ვაცი და მეორე დღეს შვილი მოუკვდაო და სხვა. ბევრი მონადირე იმ აზრისაც იყო, რომ სადაც უნდა შეხვედროდათ ეს ვაცები, თოფს არ ესროდნენ, რადგან სთვლიდნენ ანატორის ჯვარის საკუთარ პირუტყვად. თხები ზამთარ-ზაფხულ მუდმივად აქ ცხოვრობდნენ. იკვებებოდნენ აქაური ბალახითა და დიდ თოვლში ტყის წვერით. ბოლოს, თანდათანობით დაუწყეს დადევნა და უმრავლესობა დახოცეს. ცოტა გადარჩა და მონადირეებმაც თავი დაანებეს, რომ სულ არ გაწყვეტილიყვნენ და ისევ მომრავლებულიყვნენ.

მთობა

ათენგენის დღეობის ერთ-ერთ დღეს "მთობას" უწოდებდნენ. ამ დღეს ძალიან ბევრი ხალხი მიდიოდა კისტანში შატილიდანაც და სხვა სოფლებიდანაც. კისტანი შატილიდან დაშორებულია დაახლოებით ხუთმეტი კილომეტრით. აქ იყო ხალხის წარმოდგენით, ძალიან დიდი გავლენის პატრონი სალოცავი. მისი საკუთარი ყმები იყვნენ შატილის თემში შემავალი სამი სოფელი. ამ სალოცავს უწოდებდნენ ხთიშობელს, აგრეთვე ნაჭარელას. ეს ხთიშობელი სოფელ გუდანშიც არის და აქაც "ნაჭარელა ხთიშობელს" უწოდებენ. მისი სახელწოდება გადაუტანიათ კისტანშიც, როცა აქაც დაუარსებიათ სალოცავი. კისტანის ხთიშობელს ემსახურებიან ჭინჭარაულთ გვარის სოფლები: შატილი,კისტანი და ლებაისკარი. ამ სოფლებში სხვა გვარის კაცნი არ ცხოვრობდნენ. ქადაგის საშუალებით ჯვარი თვითონ ირჩევდა თითო სოფლიდან თითო დასტურს ე.ი. სამ დასტურს სამი წლის ვადით. მთელი ხევსურეთის სალოცავებში ყველა ჯვარის დასტურებზე მეტი სიწმინდე მათ მართებდათ. ამ სამი წლის განმავლობაში ისინი არც სახლში და არც სხვაგან "მრეცხელი" ქალის გამომცხვარ პურს არ ჭამდნენ, თუ ხნიერი ქალი არ გამოაცხობდა, მიცვალებულისათვის ნალოც პურს ხომ მაინც არ ჭამდნენ და მკვდრის ხარჯებისათვის დამზადებულ სასმელსაც არ დალევდნენ; სხვის ყანწით არც სასმელს დალევდნენ. ყველას ჰქონდა საკუთარი ყანწი ღვედით შებმული სარტყელზე. ამით მხოლოდ თვითონ სვამდნენ. ვერ გაივლიდნენ სოფლის ახლომახლო ქალების სასიარულო გზაზე. არ ჰქონდათ ნება მდინარეზე წყალი დაელიათ თუ წყარო არ იქნებოდა. მდინარეზე იმიტომ უკრძალავდნენ, რომ მასში ბევრი რამ უწმინდური ირეცხებაო. მათ ამ სამი წლის განმავლობაში დიდი გავლენა ჰქონდათ. მკითხაობასაც კი მიჰყოფდნენ ხელს.

როცა ჭინჭარაულები, გოგოჭურები და არაბულები გუდანიდან გაყრილან, მაშინ ჭინჭარაულები პირველად გუდანში დარჩენილან სამნი ძმანი. დანარჩენი ორი მათი თანამოძმე გვარი წასულან ხევსურეთის სხვადასხვა სოფლებში. ამ სამი გვარის "მაგანძურის" საერთო სალოცავი ყოფილა სახმთო გუდანის ჯვარი. ჭინჭარაულებს თავის საკუთარ სალოცავად დაუარსებიათ "ნაჭარელა ხთიშობელი".

ამ სამ ძმათაგან ორი აქვე დაცოლშვილებულა, მესამე კოჭლი ყოფილა, იგი თავის დასთან დაუჭორებიათ, გამოხიზნულა ჩაქოლვის შიშით და კისტანში დამდგარა. ერთი ძმა გუდანში დარჩენილა, ერთიც თავის შვილებით შატილში წასულა და ქაჩუში დასახლებულა. დამნაშავე კოჭლი ძმა თავის ძმებს ისევ შეუწყნარებიათ და მისულან კისტანში მის სანახავად. კოჭლ ძმას უთქვამს: "თქვენ კაი ადგილები აირჩიეთ და მე სად უნდა წავიდეო". ძმებს უთქვამთ: –შენს ადგილს იჯე ჰქვიაო. ამ ადგილს დღესაც იჯე ეწოდება. (იჯე ნიშნავს: იჯექი აქ და არსად არ წახვიდეო). რადგან ეს ძმა კოჭლი იყო და სიარული არ შეეძლო, ნაჭარელა ხთიშობელი კისტანში დაუარსებია. ამ სალოცავს სამივე ძმის შთამომავლობა ემსახურებოდა. გუდანში ხშირად აღარ გადმოდიოდნენ. სწორედ ამიტომ იყო, რომ სამი დასტური დგებოდა სამი სოფლიდან.

ათენგენისათვის კისტან-დასტურნი იქვე დაამზადებდნენ ლუდს. საწმიდარ აქაური ჯვარივნები ორი კვირით ადრე გადიოდნენ და დასტურნიც ქვაბის დუღებიდან აქ იყვნენ. ათენგენის მეორე დღისათვის, ჯვარიონნი ხალხის მოსვლას მომზადებულნი შეხვდებოდნენ. წინა საღამოსვე აბამდნენ დროშას, მიჰქონდათ ვერცხლი, ინათლებოდნენ ყველანი, უთევდნენ ღამეს და ჩატარდებოდა ყველაფერი იმ წესით, როგორც ნათქვამია ანატორის ჯვარის დღეობაში. მეორე დღეს ანატორის ჯვარის ჯვარიონნიც და ხალხიც წავიდოდნენ მთას, ანუ ნაჭარელ ხთიშობელში. წამსვლელებს ზოგს მიჰყავდა ცხვარი, ზოგს მიჰქონდა ვერცხლის რაიმე ნივთი შესაწირავად, ზოგს ქადა და სასმელი. ვისაც ღამისთევა ჰქონდა "ნაქადები" (შეთქმული, შეპირებული), ისინი წინა დღითვე მიდიოდნენ და იქ ათევდნენ ღამეს.-მისული ხალხი მადლს მოსთხოვდა ჯვარს, დაისვენებდნენ, მერე თითო-ოროლ თას ლუდს დაალევინებდნენ და შეუდგებოდნენ ზღვნობას. ზღვნებს ხუცესი ხუცობდა ცალ-ცალკე და დაკვლის შემდეგ ატყავებდნენ პატრონები. ნახევარი ხორცი პატრონს მიჰქონდა, ნახევარი ხორცი და ტყავი ჯვარში რჩებოდა. დასტურნი დიდ ქვაბში მოხარშავდნენ ხორცს და მეზღვნეს და მოსულ ხალხს ტაბლას დაუდგამდნენ.

ზღვნები მოდიოდა სხვადასხვა სახის: საკუთარი ოჯახის ზღვენი, ქვეგვარის ანუ სამამო ზღვენი, სასოფლო ზღვენი, თავისუფალი ზღვენი, სამხვეწრო, ჯურუმი და სხვა, გააჩნია რაზე იყო შეთქმული, მაგალითად, "თავისუფალი ზღვენი" ქალს უნდა ეყიდა თავისი საკუთარი სამკაულით, ან ნაშრომით და მიეყვანა ჯვარში.

"სამხვეწრო ზღვენი" ნიშნავს იმას, რომ აკდმყოფს განსაკუთრებით ახვეწებ ჯვარს მორჩენის მიზნით.

"სამანანულო ზღვენი" – რაიმე დანაშაული შეინანეს და დანაშაულის პატიების სათხოვრად მოიყვანეს საკლავი.

"ჯურუმი" – რაიმე დანაშაულისათვის დაიჯარიმა თავი ამ საკლავით და შესწირა ჯვარს.

"ძენგლი" – რაიმე დანაშაულისათვის აღთქმა დასდო, რომ ათენგენას ყოველწლიურად დაამზადებს გარკვეული რაოდენობის ლუდს და ერთ საკლავს. ეს ძენგლი გრძელდებოდა შვილიშვილამდე და შთამომავლობა რომ ქვეგვარად – მამად იქცევა, მათ ზედაც კი გადადიოდა მათი წინაპრების დანადები ძენგლი. (ბუდის ხევსურები დანადებსაც უწოდებდნენ).

ზღვნობა, საწირების შეწირვა რომ მოთავდებოდა, ამწყალობნებდნენ მეხვეწურებს. საწირი იყო ვერცხლის რაიმე ნივთი – თასი, ან სამკაულის ნაწილი რამე, ან ვერცხლის ფული. საწირს ზოგი მშრალად, უსაკლაოდ წირავდა, ზოგი კი საკლავს მიაყოლებდა თან. თუ სამკაული იყო, ცხვარს რქებზე მოახვევდნენ ბაწრით, თუ ცხვარი ჰყავდა, მაშინ ამ საკლავის სისხლში ამოსვრიდნენ საწირს, თუ არა, მშრალად შესწირავდნენ. საწირს ხუცესი ხელზე დაიდებდა და და ისე ხუცობდა. ხუცობა ჩვეულებრივი იცოდნენ. მხოლოდ ხუცობაში ურთავდა და დამწყალობნებაშიც ასე იტყოდა: "დიდო ნაჭარელა ხთიშობელო, შენ სწყალობდი თეთრეულის შამამწირაესა-დ შენს თეთრეულში გამრევს".

თუ თასი იყო შეწირული, ხუცესი იტყოდა: "შენ სწყალობდი თას-განძის შამამწირავს, შენს თას-განძში გამრევს".

შეიძლებოდა შეწირული ყოფილიყო სპილენძისა რამე – თასი, კოში, რვლის ჩხუტა და სხვა. ამ შემთხვევაში ხუცესი ამბობდა: "სწყალობდი უნჯის შემომწირავს და შენთ უნჯთაში გამრევს"–ო.

ეს ყველაფერი რომ მოთავდებოდა,გაიმართებოდა ჯარის წესი და ლუდის სმა. დალოცვის წესი ჩვეულებრივი იყო. ლოცავდნენ ხთიშობლის ყმათ – ჭინჭარაულებს. პირველ საწდეს დალევდნენ სამწყალობნოდ, მეორეს დალოცავდნენ ჯინჭარაულთ წინაპრებისათვის და გვარისათვის თავდადებულთათვის თითო თასს. ასეთ შასანდობარს სულუქცევრად ყველას დაალევინებდნენ. ამ დღეობაში იცოდნენ დიდი მხიარულობა, რაც კი შეიძლებოდა და იცოდნენ მაშინ ხევსურეთში. მართავდნენ შუშპრობას. (ცეკვას ხევსურები შუშპრობას უწოდებდნენ). შუშპრობა იცოდნენ ორ-ორმა კაცმა ერთად. შუა შუშპრობაში გაჩერდებოდნენ ორივენი და ერთ სტრიქონ სიმღერას ფერხისულად შემღერნებდნენ: ერთი იმღერებდა, მეორე ბანს ეტყოდა და ისევ გააგრძელებდნენ თამაშობას, ვიდრე შუშპარი ასეთის მღერით სულ არ დაბოლოვდებოდა.

ბოლოს ხორცი რომ მოიხარშებოდა და ტაბლას დააგდებდნენ, დასტურნი ხალხს სთხოვდნენ დამსხდარიყვნენ ბორტვზე. ხალხი მწკრივად დასხდებოდა და დასტურები ტაბლას დაუდგამდნენ. ისინი ოროლ-სამ-სამ კაცს მიათვლიდნენ ერთად და დაუდგამდნენ ტაბლას. სამ-სამი თხელი სატაბლო პური და დაწყობილი ხორცი ითვლებოდა ერთ ტაბლად. დასტურნი ყველა იქ მყოფს ეტყოდნენ: შენ ამ ტაბლაზე ითვლები და შენ ამაზეო. ვისაც სად მიათვლიდნენ, ყველანი ემორჩილებოდნენ და სხვა ტაბლაზე ხელს არაფერს ახლებდნენ. მარილიც დასტურებს მოჰქონდათ და ყველა ტაბლაზე პურის ნატეხზე დაუყრიდნენ. პური და ხორცი ეწყო ბორტვზე, ე.ი. ბალახიან მიწაზე. აქ სუფრის მსგავსი არაფერი იცოდნენ. ამის როლს ასრულებდა მდიდარი, აქამდენ კაცის ფეხმიუკარები ბალახი, წამოწვენილი სუფრის მაგიერად. სუფრაზე მსახურობდნენ ზედამდეგები. კარახანასაც ისინი მიართმევდნენ. ზედამდეგი კარახანას რომ მიუტანდა, ხანდახან მასვე "შააქცევდეს" (შესთავაზებდნენ) და დაალევინებდნენ. აქვე ჩვეულებრივად იცოდნენ კარახანაზე ფეხზე მღერა.

ტაბლა როცა მამაკაცებს ედგა, ქალებთანაც ტაბლა მიჰქონდათ, რომ პურის ჭამა ერთად მოთავებულიყო და წამოსულიყვნენ, რადგან შორი სოფლებიდან იყვნენ მოსული. ტაბლის წესები ყველაფერი რომ მოთავდებოდა, მოამზადებდნენ ცხენებს და ბარგს, ქალები ჯვართ მადლს მოსთხოვდნენ და გამოემგზავრებოდნენ,

ჯვარიენები და ხალხი მათ დაამწყალობნებდა. ისინი ცოტათი გამოიელიდნენ და მოუცდიდნენ მამაკაცებს. კაცები მადლს მოსთხოვდნენ, დაბამდნენ ფერხისას და ფერხისით გამოემართებოდნენ. ჯვარიონნი მოჰყვებოდნენ, მოაყოლებდნენ თან საწდით და სურებით ლუდ-არაყს და ასმევდნენ გამომართულ ფერხისას. ბოლოს კიდევ გამოემშვიდობებოდნენ ერთმანეთს და ხალხი წამოვიდოდა.

შატილის ჯვარიონნიც აღარ დაიგვიანებდნენ და წამოვიდოდნენ. ადგილობრიენები კი დარჩებოდნენ იქ და გამოილოცავდნენ ისე, როგორც ანატორის ჯვარში. ხალხს თან მიჰქონდა საგზაო ლუდი და არაყი,რომელსაც გზადაგზა დასვენების დროს სვამდნენ. შატილში ჯვარიონნი ჯვარში მივიდოდნენ. აქ დარჩენილი ჯვარიენები, მათ შეეგებებოდნენ და მოიკითხავდნენ ერთმანეთს. ცოტა დროს გაატარებდნენ და ჩვეულებრივად წვებოდნენ დასაძინებლად, ზოგები დარბასში, ზოგები კი დროშასთან.

ათენგენის ყველა დღეების წესები ერთნაირი იყო. დღეობა რომ გათავდებოდა, ჯვარიონნი გამოილოცავდნენ, ჯვარი გავიდოდა სასტუმროს. სასტუმროს გასვლა ეწოდებოდა იმას, რომ სახლებში ამზადებდნენ ღამისთევას და ისტუმრებდნენ ჯვარს. ჯვარის სტუმრება მაღალხარისხოვანი სამსახური იყო ჯვარისათვის. ეწოდებოდა "ღამის თევა" და "ჯვარის სტუმრებაც". ასეთს უქადებდა (შეუთქვამდა) ან ძალიან დიდი ავადმყოფის პატრინი, ან მეტის-მეტად გახარებული. ავდმყოფის პატრონი უქადებდა: ავადმყოფი თუ მომირჩება, ღამის თევას გადავიხდიო. მაგრამ იყო შემთხვევები, ავადმყოფი აღარ მორჩებოდა და გარდაიცვლებოდა. ნაქადებს მაინც არ გადაუთქვამდნენ "ვინც მოკვდა ხთისგან იყო გაცემული და ვინც დავრჩით, ისინი მაინც კარგად ვიყოთ და გვიშველოს ანატორის ჯვარმაო". ღამის თევა იცოდნენ გაჭირვებულ მდგომარეობიდან გამოხსნილებმაც. მაგ.: სადმე ბრძოლაში იყო და გადარჩა, ან სანადიროდ კლდეში გაუჭირდა რამე, ან ზვავს გადარჩა. ასეთ ამბავზე შეუთქვამდნენ და გადაიხდიდნენ კიდეც ღამისთევას. ღამისთევა შეიძლება იმ დღეობაში, რომელშიც "დროშანი ემბიან", ამას ეწოდება "დროშათ გამასვლა".

ღამისთევა აქ უფრო ათენგენას იცოდნენ, რადგან მაშინ დღეობაც დიდი იყო და სტუმრები მოვიდოდნენ, საკლავიც იშოვებოდა, რადგან მთებში ცხვარი იყო მოსული, სამუშაოც ამ დროს ხევსურეთში ნაკლები ჰქონდათ. ზოგიერთი ღამისმთეველები სხვა ჯვარებსაც ისტუმრებდნენ. შეიძლება ბუდე-ხევსურეთიდან ესტუმრათ. მაგ: გუდანის ჯვარი, ლიქოკის ჯვარი და სხვა. კავკასიონის მთაზე ეი. შატილის გადასავალზე გზა იქნებოდა გამოსული. ყველა ჯვარიენებს ერთგან მოუყრიდნენ თავს და ერთბაშად გადაიხდიდნენ ყველას ღამისთევას. რამდენი ჯვარის ღამისთევასაც გადაიხდიდნენ, იმდენი საკლავი უნდა ეშოვნათ და იმდენი ღამისამთელო – ჟამსაწირი იყო საჭირო. ყველა ჯვარების ჯვარიენები მოვიდოდნენ და მასპინძელი ყველას ერთნაირად გაუმასპინძლდებოდა. ღამისმთეველი დაამზადებდა ლუდს იმ ვარაუდით, რამდენ პირ ჯვარიონთა სტუმრობასაც აპირებდა. ლუდს ადუღებდა ჯვარში,საჯვარო ქვაბში და სისწვენს ახლგაზრდების დახმარებით მოიტანდა თავის ჭერხოში, სადაც ქალებისაგან წმიდად იყო დაცული. სისწვენი მიჰქონდათ ქვაბებით. ჭერხოში სისწვენს გააცივებდნენ ქვაბებში, კარგ მცოდნე მესაფუვრეს მოიყვანდნენ და შეაყრევინებდნენ სისწვენს (შეყრის და ფუების წესი აწერილი არის ლუდის დამზადების წესებში).

ღამისთევის წინა დღეს ლუდებს კარგად გასინჯავდნენ,კოდებს მოსჭიჭავდნენ და გაამზადებდნენ. მაღალ-ბანზე დადებდნენ იმდენ ფიჩხის კონას, რამდენ პირ ჯვარიონის სტუმრებასაც აპირებდნენ. მასპინძელს ოჯახში თუ იმდენი კაცი არ ჰყავდა, რამდენ ჯვარიონთაც ისტუმრებდა, მაშინ თავის ბიძაშვილ – მოგვარეებს ვინმეს დაავალებდა და ჯვარიონთან გაგზავნიდა თითო "მაწევარს" (მოპატიჟეს); მაწევარი რომ არ გაეგზავნა, ისე ჯვარიონნი არ მოვიდოდნენ, თუნდაც წინასწარ სცოდნოდათ, რომ ღამისთევა ჰქონდათ. მეღამისმთეველე დაუძახებდა თავის გვარის ხალხს და ისინი დაეხმარებოდნენ ღამისთევისათვის სამზადისში. ხუცესს დაუძახებდნენ და კოდსაც გახსნიდნენ, კოდზე დააკრავდნენ ერთ ღერ სანთელს, სახუცო კოჭობით ამოიღებდნენ ლუდს,დადგამდნენ იქვე კოდთან და მასზედაც სანთელს დააკრავდნენ. ხუცესი ჩვეულებრივი ხუცობით იხუცებდა, შეახვეწებდა ანატორის ჯვარს ღამისმთეველს და მისი ოჯახის წევრებს, სთხოვდა მათთვის დახმარების გაწევას და დახსნას ყოველგვარი გასაჭირიდან. ბოლოს, ყველანი ამწყალობნებდნენ ღამისმთეველის ოჯახს. ხუცესი ამ თასს რომ დალევდა, დაუსხამდა ლუდს საწდეში და ყველანი დალევდნენ. ქალები თავის სამზადისს შეუდგებოდნენ. თუ სახლში არ იყო ხნიერი ქალი, მაშინ დიასახლისად მეზობელს ან ნათესავს დაუძახებდნენ. ამზადებდნენ ღამისამთელოების და კეცეულების გულს. ცრიდნენ წმინდა პურის ფქვილს და მზად ჰქონდათ ვარცლში (შატილში წმიდა პური მოდიოდა, სხვა ხევსურეთში კი მარტო ქერი და სვილი, ოღონდ საჯვაროსათვის უნდა ყოფილიყო წმიდის ფქვილი, რომ საჯვაროც და სტუმრებისათვის დასახვედრი კეცეულებიც ცუდი არ გამოსულიყო. საჯვარო თუ წმინდა ფქვილისა არ იყო, თითქოს ჯვარს ასეთი უსაკადრეო არ მოსწონდა და შეწირულს კარგად არ მიიღებდა). დიასახლისები ღამისამთელო-უამსაწირს ადრევე დაამზადებდნენ ჩვეულებრივად, ოღონდ ხავიწიანი არ იყო, შერეული გული ჰქონდა. კეცეულებს ამზადებდნენ ვახშმად, რომ ჯვარიონთათვის ცხელი კეცეულები მიერთმიათ. კეცეულებს აკეთებდნენ შერეულ გულიანს (ხორცისა, ქონისა და ყველიანს). კეცეულები იმდენ ბაკანში იყო დამზადებული, რამდენი პირი ჯვარიონნიც იყვნენ. შეძლებული მასპინძლები სხვა სტუმრების და მეზობლებისთვისაც დაამზადებინებდნენ კეცეულებს. ვისაც არ შეეძლო კი, მარტო მოხარშული ხორცის ტაბლას დაუდგამდნენ სხვა სტუმარ-მეზობლებს. გარდა ჯვარივნებისა, კეცეულების მიტანა სავალდებულო არ იყო.

ჯვარივნებთან მაწევარი რომ მივიდოდა, დაჩოქილი ჯვართ მადლს მოსთხოვდა და ეხვეწებოდა: აქ მოსვლით თუ რამე გაწყენინე პირისქარით ან ფეხის ნალით, ეს ყველაფერი მაპატიე, რადგან მე ხორციელი ვარ, უმეცარიო. მერე მივიდოდა დარბასის კარებთან და ჯვარიონთ ჩვეულებრივი წესით მიესალმებოდა. ჯვარივნები დაამწყალობნებდნენ თავისი ჯვარის სახელით და მიიპატიჟებდნენ დარბასში. როგორც მაწევარს, მას შესვლის უფლება ჰქონდა. რაც შეეძლოთ პატივს სცემდნენ მაწევარს. სმის დროს უმღეროდნენ მის სასიამოვნებელ სიმღერებს. ჯვარივნების სახელი იყო, თუ მაწევარს დააორობდნენ. მოემზადებოდნენ ჯვარივნები და გაჰყვებოდნენ მას. წასვლამდე ხუცესი დარიგებას მისცემდა ჯვარში დამრჩომს. გაჰყვებოდნენ ხუცესი და მედროშაე. თუ ორი კაცი იყო დასტური და ჯვარში კიდევ დარჩებოდა ვინმე, მაშინ შეიძლებოდა ორი დასტურიც გაჰყოლოდა. მიდიოდნენ დროშის წკრიალით. სახუცო კოჭობს ლუდით ავსებდნენ და დასტურს ეჭირა.

მედროშეს დროშა ედო მხარზე, ხუცესი კი თავისუფლად მიდიოდა. მაწევარი თავს იმოვრალებდა, მიდიოდა გზის იქით-აქეთ და თან მღეროდა რამე ჯვარიონთ საქებ სიმღერებს, ხან საგმიროებსაც. თან ყვიროდა ხმამაღლა: "ჯვარიონთ დამათვრესო", ეს იმიტომ რომ მისი დათრობა ჯვარიონთათვის სახელი იყო და ნიშნავდა მათ სტუმართმოყვარეობას და პურმარილიანობას. ჯვარივნები სიმღერით მიუახლოვდებოდნენ სოფელს და მასპინძელი თავის სახლისკაცებით გამოეგებებოდა მათ, მოსულებს დამხვედრები ეტყოდნენ: "გამარჯვება ბატონ-ყმათ, ჭელიმც მაგემართებისთ". – "გაგიმარჯოსთ ღმერთმ, წყალობა მაგიტანეთ მგზავრის ანგელოზისა, გიშველას დალოცვილმ, სიხარულად გაგიჭადასთ ღამისთევა სამსახური, კლოვ უკეთი გულით მაგკერძასთ". ავიდოდნენ მაღალ ბანზე, მედროშაე დროშის ტარით სამჯერ ჯვარს გამოსახავდა ბანზე, მერე დაიჭერდა დროშას ორივე ხელით, დააწკარუნებდა დროშის ზარს და ბანს გარშემო ასე შემოუვლიდა. მასპინძელი ღრმად რწმუნდებოდა იმაში, რომ დროშების ბანის გარშემო შემოვლის შემდეგ, ამ სახლს ეშმაკი ველარ მიეკარებოდა და დაცულნი იქნებოდნენ ყოველგვარი განსაცდელისაგან. მედროშავე ერთ-ერთ კონაში გაამაგრებდა დროშის ტარს, გვერდზე კი დაუდგამდნენ ცარიელ სახუცო კოჭობს. (ამ კოჭობით ჯვარიონთ ლუდი რომ წამოიღეს, გზაში ვინაც შეხვდებოდათ იმას დაალევინებდნენ და ამ დროს ცარიელი იყო) ასე რიგზე მოაყოლებდნენ ყველა დროშებს, რამდენიც ჰყავდათ მოწვეული, მარჯვენა მხარეზე ადგილს უთმობდნენ უფრო მოსულ დროშებს. იმათაც, რომელ ჯვარსაც ხევსურეთში მეტი სახელი და პატივი ჰქონდა. ბოლოს მარცხნივ იქნებოდა ადგილობრივი დროშა. ამას შემხვედრი ხალხი ქუდ-მოხდილი და ხმა ამოუღებელი უყურებდა. ქალებიც მოვიდოდნენ და ბანის გარეთ იდგნენ. ეს მასპინძლის და მათი მოგვარე ნათესავების ქალები იყვნენ, ან თუ მეზობელი იქნებოდა ვინმე დაპატიჟებული.

ყველა ჯვარივნები ერთად მობრუნდებოდნენ და დაამწყალობნებდნენ ჯერ მასპინძელს, მერე მაყურებელს და ბოლოს მანდილოსნებსაც: გწყალობდასთ ღამისმთეველო, მგზავრთ ანგელოზთ დაგლათი, საწაღმართოდ მაგიარასთ, ხალიზ მაგცასთ, ბალინჯ მაგაშორასთ, ნუ შაგანანასთ ზღვნობა, ყმობა,მსახურობა. ყურით მაყურებლებს გწყალობდასთ, მშვიდობით გამყოფნასთ. ჯვარივნებს მაგცასთ წყალობა მგზავრთ ანგელოზთ დაგლათმ, დიდხანს გაგიყოლნასთ. მანდილოსნებო გწყალობდასთ, მშვიდობით გამყოფნასთ, ხალიზ მაგცასთ, წულითა საწულით შაგიხვეწნასთ დალოცვილმ ანგელოზთ დაგლათმ ხევსურები დამწყალობნების დროს "ხთიშვილთ" და "ანგელოზთ" ერთმანეთში ურევდნენ, ხან ხთიშვილთ ამბობდნენ და ხან ანგელოზი, ცალკე, რომ გამოკითხოთ კი გეტყვიან: "უმრავლესობა ხთიშვილნი არიან და ანგელოზის სახით გვეელინებიანო. ჩვენს სალოცავებში ნამდვილი ანგელოზები არიან მიქელი და გაბრიელიო, დამწყალობნებაში ქალების გარდა, ყველა იქ მყოფნი ღებულობდნენ მონაწილეობას, ქალები კი მარტო პასუხობდნენ: "თქვენ იყოს მწყალობელი, თქვენის თავისა".

დამწყალობნების შემდეგ ჯვარივნები დადგებოდნენ დროშასთან და მასპინძელი წარმოაყენებდა იმდენ საკლავს, რამდენი დროშაც იყო. საკლავებს დაიჭერდნენ დასტურები თავთავიანთ ჯვარის დროშის წინ. რომელიც კარგი საკლავი იყო, ხანდახან უფრო პატივსაცემ ხთიშვილს თვითონ მიაკუთვნებდნენ,

ხანდახან კი წილს უყრიდნენ ჯვარიენები და რომელი საკლაკი რომელ ჯვარსაც ერგებოდა, იმისათვის დაკლავდნენ. ხუცესები მოხსენებას იწყებდნენ მარჯვენა მხრიდან, რადგან მარჯვენა მხარეზე იყო უფრო პატივდებული ხთი'შვილის დროშა. ყველანი მოახსენებდნენ ცალ-ცალკე, ხუცობა კი ერთად იყო ყველასი. მოხსენება რომ მოთავდებოდა, ყველანი ერთბა'შად იხუცებდნენ. ისე რომ მათი ხმები და სიტყვები ერთმანეთ'ში იყო არეული. ზოგი ხმის გაგრძელებით ხუცობდა და გვიან ათავებდა ხუცობას, ზოგი უფრო მოკლე ხმით, ადრე ათავებდა და კლავდა საკლავს. საკლავები რომ დაიხოცებოდა, დასტ'ურები წაიღებდნენ და ბანზე ცალ-ცალკე დადებდნენ, მობრუნდებოდნენ და დადგებოდნენ თავთავის ჯვარიენებთან. ჯერ ხუცესები და მერე ყველანი დაამწყალობნებდნენ ღამისმთეველებს. დასტ'ურები საწდიდან ავსებდნენ სახუცო კოჭბებს, დააკრავდნენ ზედ თითო ღერ ანთებულ სანთელს და მისცემდნენ ხუცესებს, ისინი ჯვართ გაადიდებდნენ ამ სადიდებელზე და შეასრულებდნენ ყველა წესებს, როგორც უკვე აღწერილია სახუცო კოჭბებთან დაკავშირებით. ხუცესები ცო-ცოტას დალევდნენ და უქებდნენ მასპინძელს ლუდს, თუნდაც კარგი არ ყოფილიყო. მერე ამ თასს სხვებსაც მისცემდნენ. ბოლოს თასები ისევ ხუცესებს გადაეცემოდა და გაიმართებოდა ფეხზე მღერა. სიმღერებით გამოიცლებოდა ეს თასები და "დააბძანებდნენ" თავ-თავის ადგილზე. დასტ'ურები გაატყავებდნენ თავ-თავის საკლავებს, დანარჩენი ხალხი სვამდა ლუდს ამ საწდის გამოცლამდინ. საწდე რომ გამოიცლებოდა, მერე ყველანი ჩავიდოდნენ მაღალ-ბანიდან ჭერხოში. აქ გაიმართებოდა სმა. ჯვარიენებისათვის ცალკე იყო მომზადებული დასაჯდომი სკამები, მოსულ-მოწვეული ხალხი კი ცალკე ისხდა. სადაც ჯვარიონნი იყვნენ, იქ მისვლა ქალებს არ შეეძლოთ. ჭერხოს მეორე მხარეზე კი ქალებიც შემოდიოდნენ. ქალებთან ცალკე მიჰქონდათ ლუდი,სხვა ხალხათან ცალკე და ჯვარიენებთან ცალკე. აქ ყველგან ზედამდეგობდნენ მასპინძლის სახლისკაცები. იმართებოდა მხიარულება, სიმღერა და ცეკვა-თამაში.

იმ დროს როცა აქ ლხინი იყო, დასტ'ურები ხორცს ხარშავდნენ (ეს მათ ევალებოდათ). საკლავების ნახევარს საღამოს მოხარშავდნენ, ნახევარს კი დილისთვის შეინახავდნენ. როცა მოიხარშებოდა, დააგებდნენ ტაბლას. დასვამდნენ ხალხს სკამებზე, გაუშლიდნენ წინ ფარდაგებს, ტყავებს და ზედ დაგებულ ტაბლებს დააწყობდნენ. ჯვარიენებს ცალკე ტაბლას მიართმევდნენ, კაცებს ცალკე და ქალებს ცალკე. ყველას თავთავისი ზედამდეგი უელიდა. ჯვარიონთ ხორცის ტაბლასაც მიართმევდნენ და თითო ბაკანს კეცეულებსაც. მათ ხისაგან ან სპილენძისაგან გაკეთებულ ტაბლას დაუდგამდნენ და სუფრას ზედ მოათავსებდნენ. მამაკაცებს პურს ხელში გაუტეხდნენ ზედამდეგები, ქალები კი თვითონ გატეხდნენ. პურის გატეხა'ში კაცები იტყოდნენ: "ღმერთო გაუმარჯვი მგზავრთ ანგელოზთა, მგზავრო ანგელოზებო, თქვენ სწყალობდით ღამისმთეველთ, დაადეგით წაღმ, თქვენი წყალობით შაინახენით". ქალები კი იტყოდნენ: "ღმერთო უშველი ღამისმთეველთ, დალოცვილო, მშვიდობით ამყოფენი, ნუ შაანან სამსახურს". ჭამის დროს კაცებს დაუდგამდნენ კარახანებს, ქალებს კი ისე დაალეევინებდნენ. კაცების კარახანას ფეხზე მღერაც მოჰყვებოდა. ქალებთან თუ ვინმე პატივსაცემი ხნიერი ქალი იყო, იმას შეიძლება შემღერნებდნენ ერთად ერთ, ქალებისათვის შესამღერნებელ სიმღერას:

შაეაქათ დიასახლისი, ქუჯათ ნანაის ოდნადა,
ამაგის დამცხვარნ საგძალნი, შავწყალ დაფასნეს სამ ცხვრადა.

ჭამა რომ მოთავდებოდა, აიღებდნენ სუფრას და იტყოდნენ: "ღმერთო გაუმარჯვი მგზავრებს ანგელოზებსა, მგზავრო ანგელოზებო თქვენ სწყალობდით ღამისმთეველს. (თუ ვაჟიშვილები ჰყავდა ღამისმთეველს, მაშინ ასე დაუმატებდნენ: მამაშვილებს დაადეით წაღმ, თქვენი წყალობით შაინახენით. კარგად უმყოფეთ ეს მასულ-მაწეული-დ სტუმარ-სახლისკაცებიც. გაუმარჯვეთ ფეჭზე მდგომებსაც ჭელფეჭი მტერზე მააჭმარეთ, შორიელზე". მერე ზედამდეგებსაც პურს აჭმევდნენ და მოთავდებოდა ყველა ჩვეულებრივი წესით.

ჟამისწირვაც ისეთივე წესით სრულდებოდა და ღამისთევაც, როგორც ჯვარში. მხოლოდ აქ ხუცესი ხუცობისა და დამწყალობნების დროს ახვეწებდა ღამისმთეველს და მის ოჯახს. ტაბლის წესების მოთავების შემდეგ, ცოტა კიდევ იმხიარულებდნენ და დაიშლებოდნენ. ჯვარივნებს დროშებთან გაუშლიდნენ ფარდაგებს და იქ იძინებდნენ ყველანი. მეორე დილას მასპინძელი ადრე ადგებოდა, აიღებდა სადილაო არაყიან ჭურჭელს. მივიდოდა ჯვარიონთან და თითო-ოროლ ყანწს ყველას დაალევინებდა. (სადილაო არაყს უწოდებდნენ უფრო ცხარე "წინწანაქარ" არაყს. ამას ინახავდნენ სტუმრებისათვის დილით დასალევად). ჯვარივნები დილას წავიდოდნენ ისევ ჭერხოში, იქ მოგროვდებოდა სხვა ხალხიც, ვისაც მასპინძელი დაპატიჟებდა. სწირავდნენ ჟამს და იმართებოდა ლუდის და არყის სმა. მას მოჰყვებოდა ტაბლის დადგმა ჩვეულებრივად. ტაბლის შემდეგ კიდევ იმართებოდა ლუდის სმა. ზედამდეგებს მასპინძელი აქეზებდა, რომ ძალით დაელევინებინათ ლუდი სტუმრებისათვის და ისინიც საამისოდ ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რადგან სირცხვილი იყო თუ ჯვარივნები ფხიზლები წავიდოდნენ. ეს ნიშნავდა მასპინძლის სიხარბეს. მისი დამძრახველები ასე იტყოდნენ: "ჯვარიონნი ნამ-უნახავივით მიდიოდეს, რა კაცი ეგი, დედაჭუაი. კაცს იმთვენს სასმელს ვერ შაასმევს, რო გუნება შაუცვალოს". მოსაღამოვდებოდა და ჯვარიონთ მოუვიდოდა მეორე მაწევარიც (ღამისთევებისათვის ხალხი თუ ბევრი ემზადებოდა, მაშინ ყველანი მიდიოდნენ და ჯვარიონთან ერთად ერთი–მეორეს უთანხმდებოდნენ, რომელ საღამოს ვის უნდა ესტუმრა ჯვარი და გადაეხადა ღამისთევა). პირველი მასპინძელი მოიყვანდა ჯვარიდან ჯვარიონთ, შემდეგი ღამისმთეველები კი ღამისმთევლის ბინიდან თავის ბანზე პირდაპირ გადაიყვანდნენ ჯვარ-დროშას. შეიძლება ვინმე არ აპირებდა მაგალითად გუდანის ჯვარის სტუმრებას, მაგრამ პირველმა ისტუმრა, მაშინ მეორეც აღარ იზამს, რომ სხვა დროშები ისტუმროს პირველი ღამის-მთეველის ბანიდან და ეს ერთი დატოვოს. ის იტყვის: "ვერ გავყრი ერთმანეთს, მიაც ყველას ვისტუმრებო". ამ შემთხვევა'ში შემდეგი მასპინძლები ძალაუნებურად ემზადებიან ყველა ჯვარ-დროშის სასტუმრებლად. ასე რომ არ მოიქცნენ, ეშინიათ, რომ ის ჯვარი გაუწყრება და აკნებს რამეს. ამ უხერხულობას ერთი გამოსავალი ჰქონდა: ღამისმთეველები ისე თანხმდებოდნენ, რომ ვისაც არ უნდოდა ის ჯვარი ესტუმრა, რომელსაც მეორე ისტუმრებდა, პირველად ის ისტუმრებდა, ვისაც ნაკლები ჯვარ-დრო'შა უნდა ჰყოლოდა. მერე კი ვისაც კიდევ უნდოდა რომელიმე ჯვარ-დროშა დაემატებია პირველი ღამისმთეველისაგან ნასტუმრები ჯვარ-დრო'შისათვის. მოსული მაწევარი ჯვარივნებთან მივიდოდა და

განუცხადებდა თავის მოსვლის მიზეზს. ჯვარიონნი გაყოლაზე დათანხმდებოდნენ და მასპინძელი მოსულს კარგად გაუმასპინძლდებოდა. ჯვარიონნი ადგებოდნენ და იტყოდნენ: "ჯვარ გეწერასთ მასპინძელო, ნუ შაგანანასთ ანგელოზთ სტუმრიელობა".

"ჯვარის წყალობა გქონდასთ, ნურასუკაცრავად თქვენი ჭირიმეთ, ჩემს უკაცობას ნუ შააფერებთ-დ, ნურას აუგს გაიყოლებთ" –ეტყოდა მასპინძელი და ყველანი ავიდოდნენ მაღალ ბანზე. მასპინძელი აქ ამოიტანდა სასმელს, ფანდურს და გაიმართებოდა თამაშობა. აქ პირველად ითამაშებდნენ ჯვარიენები, მერე კი სხვა ხალხიც თამაშობდა. ქალები ბანზე ვერ ამოდიოდნენ და არც თამაშობაში ღებულობდნენ მონაწილეობას. მერე აავსებდნენ სახუცო კოჭბებს ლუდით და ხუცესები თითოობით შეუსახელებდნენ ჯვართ. ამ თასს მოჰყვებოდა ფეხზე მღერა, თასის ჩამორთმა და სხვა. თასები რომ გამოიცლებოდა, ხელმეორედ ლუდით აავსებდნენ და დასტური დაიჭერდა. მედროშავენი თავიანთ დროშებს ააბძანებდნენ და ბანს გარშემო შემოუვლიდნენ დროშის წკარუნით. ამ დროს იქ მყოფნი გაჩუმებული იწერდნენ პირჯვარს. ბოლოს ჯვარიენები "გადმოჴდებოდნენ" ბანიდან და ეტყოდნენ მასპინძელს: "წყალობა გაგიწირეთ მგზავრთ ანგელოზთა, მეწაღმართე ანგელოზ გაგიწირანთ დალოცვილთ". "ჴელ მაგიმართასთ ჯვართაც" ეტყოდა მას მასპინძელთან ერთად სხვა ხალხიც. გაჰყვებოდნენ კარგა გზას, გააყოლებდნენ ლუდ-არაყს და "გასამართაოს". მოპატიჟე ჯვარიონთან ერთად, პირველ ღამისმთეველსაც დაპატიჟებდა და აუცილებლად წაიყვანდა თან. სტუმარ-სახლისკაცები კი ისევ ჩავიდოდნენ ჭეროხში და გააგრძელებდნენ სმას. ჯვარიენები რომ მეორე ღამისმთევლებისაკენ წავიდოდნენ, შეიძლება ისეთი გზა შეხვედროდათ, სადაც პირუტყვი და ქალები დადიოდნენ ("სოფლის შარა" ანუ "სოფელთშუა"). ამ გზაზე გავლა კი ჯვარიენებისა არ შეიძლებოდა, ამ შემთხვევაში გადებდნენ ხეებს ან ფიცრებს, რომ ჯვარიენებს "უწმინდურ" ალაგას ფეხი არ დაედგათ. იყო ისეთი ადგილებიც, სადაც ფიცრები და ხეები არ ეყოფოდა; ამ შემთხვევაში ჯვარიენებს სხვა კაცები ზურგზე აიკიდებდნენ და ისე გადაყავდათ. ასე მივიდოდნენ მეორე ღამისმთეველთან.

ღამისთევები რომ მოთავდებოდა, ჯვარიონნი ბრუნდებოდნენ ჯვარში, მედროშაე ჩამოხსნიდა დროშას, გაიყოფდნენ ღამისთევაში დაკლული საკლავების ტყავებს და წავიდოდნენ სახლებში. ღამისთევაში ანატორის ჯვარისათვის რაც საკლავი დაიკვლებოდა, მისი ხორცი იქვე ღამისთევაში იხარჯებოდა, ხოლო ტყავებში ყველა ჯვარიენებს წილი ჰქონდა.

ამავე დღეობაში (ათენგენას) იყო ბავშვების საკუთარი დღეობა შიგლიბანდობა: ჯვარში რომ ბევრი საკლავები დაიხოცებოდა, მაშინ დასტურები ახალგაზრდებს სთხოვდნენ ამ საკლავების გატყავებას. ტყავის გამხდელს ეკუთვნოდა საკლავის გული, ფილტვი, ღვიძლი და თირკმელები; რაც მოუგროვდებოდათ, ახალგაზრდები მისცემდნენ თავისი სოფლის ბავშვებს. ისინი წაიღებდნენ და სოფელში ერთ-ერთის სახლში ყაურმას გააკეთებდნენ, სავალდებულო იყო რომ მშობლებს თითო ბოთლი არაყი ყველასათვის მიეცათ, რასაც ბავშვები მიიტანდნენ თავის დღეობაში. აქ მათ ჰყავდათ წილისყრით არჩეული დასტურ-ხელოსნები, რომლებიც ამ დღეობის წესრიგს იცავდნენ და ხელმძღვანელობდნენ. არყიან მინებს ჩაიბარებდნენ და

დახარჯავდნენ როცა საჭირო იყო. ჯვარიენები მისცემდნენ ერთ საწდე ლუდსაც და იმასაც მიიტანდნენ თავის დღეობაში. ყველას მიჰქონდა თითო თხელი პური, ჯამი, ქიტურა და მარილი.

ვინც გულღვიძლი მისცა, იმ ახალგაზრდებსაც დაპატიჟებდნენ. თვითონ მონაწილეობას ღებულობდნენ რვიდან თოთხმეტ წლამდე. ყაურმის მოხარშვამდე ცო-ცოტას ყველას დაალევინებდნენ. რომ მოიხარშებოდა, დასტურ-ხელოსნები დასვამდნენ ბავშვებს და თავ-თავის ჯამში ჩაუსხამდნენ. დაპატიჟებულ სტუმრებსაც მიართმევდნენ. დასტურები ფეხზე იდგნენ და ალევინებდნენ ყველას ლუდს და არაყს ძალდატანებითაც კი. დათვრებოდნენ და ხანდახან ჩხუბიც იცოდნენ. თუ ვინმე დაუპატიჟებელი სტუმარი მივიდოდა და მისი მოსვლა არ მოეწონებოდათ, მაშინვე დაიძახებდნენ – გავაგდოთ უწევი სტუმარიო, ეცემოდნენ ყველანი და გააგდებდნენ, თუ გაუძალიანდებოდა, ვაი იმის დღეს, თავპირს დაამტვრევდნენ და ისე გააგდებდნენ. ამ დღეობაში მონაწილეობდნენ მარტო ვაჟები. დღეობა რომ მოთავდებოდა, დამთვრალი ბავშვები დაიშლებოდნენ. რაც ნახორი დარჩებოდა, იმ ოჯახში რჩებოდა. ლოცვა და ასეთი წესი მათ არ იცოდნენ. როგორც არხოტში "მარიემ წმიდაობაში" და თეთრ გიორგობაში, სადაც ბავშვები დაამწყალობნებდნენ მათ პატივისმცემელს, დაარისხებდნენ და სხვა.

ათენგენაში სულ იკვლებოდა შვიდი სარიგო. ხორცს ხალხი ხარშავდა და ჭამდნენ. სარიგოს ტყავები ჯვარში რჩებოდა.

თიბისთავი და მარიანობა აქ არ იცოდნენ.

ენკენია

ენკენია იცოდნენ სამი დღე. მოდიოდა ძველი ენკენიის თვის თოთხმეტ რიცხვში. ამ დღეობასაც ისეთივე წესები ჰქონდა, როგორც სხვა დღეობებს. წინასწარი სამზადისი და ღამისთევა ჩვეულებრივ ჩატარდებოდა. მეორე დილას, ჟამისწირვის შემდეგ დაკლავდნენ სარიგოს და მოვიდოდა სოფელიც. სოფლელებს თან მოჰქონდათ საწირები. საწირი იყო თითო ქადა და "გორილები" – თხუთმეტი მრგვალი პატარა პური.

სოფელი ვიდრე სმას დაიწყებდა, ჯვარიონნი გამოვიდოდნენ თასებით და სურებით. მათ გამოსვლას ხალხი ფეხზე ადგომით და ქუდების მოხდით შეეგებებოდა. ჯვარიონნი დამწკრივდებოდნენ ხუცესის მარჯვენა მხარე'ზე და ეტყოდნენ ხალხს: "წყალობა მასულებო, წყალობა ანატორის ჯვარისა! წაღმ მაგეგებასთ ანატორის ჯვარის დავლათი, გიშველასთ, ბევრ სთველ-გაზაფხულ მშვიდობისა მაგგვარასთ". – "თქვენ იყოს მწყალობელი. მაგვიხვეით მშვიდობით თქვენაც, მშვიდობით თქვენ მოსელა". ხალხი გაჩუმდებოდა და ხუცესი დაიწყებდა ისეთსავე საუბარს, როგორიც ახესებას. ახლა ახალი სათქმელი მარტო წარსული ზაფხულის ამბები ჰქონდა, დანარჩენს კი ისევ ძველებურად მოუყვებოდა: "სოფელო, აგრემც გწყალობსთ ანატორის ჯვარი, იყურეთაღ ჩემი უკაცობის კაცის საუბარი. მე ანგელოზსთ სახელით გეუბნებით, რაიც იმასაც ეამებისა-დ – ჩვენს სოფლობასაც გაამაგრებს. წელს ხილებს ესხ კარგად. სოფელმ ბევრ არა ისარგებლ. თითო ოროლა კაც მიდიოდა

ქურდულად მახქონდ შინ სხალ-ვაშლიცა-დ ტყემალიც. ზოგ დიაც-ყმაწვილი იყვად, ზოგ დიდი. აი ამბობენ გიორგით ჩუაისად, რო ერთ თიკრუნ აავსვავ სხალ-ტკბილითაო-დ შინ მაიტანავ. აი ჩუა აქ ასა-დ მიზდის. ანატორის ჯვარის დარბასში გადასწყდ, ჩუამ მიიტანასა-დ ორ გვერდ ქერ ჩაყარას ანატორის ჯვარის ქერში. ჩუავ, თუ გწყალობს ანატორის ჯვარი, თავს სამრისხველოდ ნუ გახჭდი, შაასრული ეს ჯურუმი, კაი კაცი ხარ, სოფლის გამასადეგი, არ ხარ გასამეტები, რო ან ხალხ იყვას შენზე გულ-მრუდად ან ჯვარი."

– "მე ჯვარიონთგან ჩემად დადებულს ჯურუმს თავს არ გაუხრი" – იტყვის ჩუა. –სიხარულითაც შავასრულებ. მაგრამ თიკრუნით არა წამამიღავ (თიკრუნი – გუდა თხის ტყავისა). ყმაწვილებ იყვნეს საქონშია, ყმაწვილის ამბავ თქვენ იცით. ხილ თუ ნახ, არ დაინდობს. იმეებს ეჭალ ქვაი-დ ჩამაეყრივ სხლები. იმ დროს მიაც მივედი. გაუჯავრდი, მაგრამ რაღას ვიქმოდი, ჩამაყრეულებს სხლებს იქავ ხეზე ხო არ შავაბემდი. სასაგძლეში ჩავყარე, წამავიღი (სასაგძლე – ხბოს ტყავის გუდა, რაშიც დებენ პურს და ყველს და მიაქვთ საგძლად. საგძლისათვის იციან კიდევ თიკნის ტყავის გუდა, – მას ეწოდება ხასუნა), არც მალვით მამიტანავ. ყაწილ შამხვდ გზაშია, იმასაც შავშჩივლი ყმაწვილებსავ ეს ჩაუდენანავ. "თქვენი ჭირიმეთ სოფელო, ჯვარიონნო, მე ნუ გამჭდით სამრისხველოდ, დღესავ მივიტანად ჩავხყრი ორი გვერდის მაგივრად სამს გვერდს ქერს (გვერდი – ნახევარი ფუთი ქერი)". ხუცესი ისევ გააგრძელებდა: "სოფლელებო თქვენი ჭირიმეთ, კლოვ ნუღარ-ვინ აიღებთ ხილს. აღებულიც იქავ დაყარეთ. დალპას ხის ძირში. თუ წამაიღით, შინ ნუ ვინ მიიტანთ, საფეხვნოში ხალხ არ გამაილევისად იქ მიიტანეთ. ყმაწვილმაც რო მაიტანას, დედ-მამა გაუჯავრდითა-დ, მატანილ საფეხვნოში წაიღით". იგი დაასახელებდა პირებს, ვისმა საქონელმაც ანატორის ჯვრის ჭირნახული დააზიანა. ჯვარში მოშუღლარებს გამოუცხადებდა ჯურუმს, ქალების ჩხუბზე იტყოდა: "შატილს არ მაუდის დიაცის შუღლი-დ ჭყივილ-კივილი. ეს არც ხალხს ზდებს პატივს-დ არც ჯვარს. შატილ წინავ დიაცის ჭმა არ გაიგონებოდა-დ ეეხლა ზოგებ დიაცები კაცთ ხალხად არ ყრიანა, ჯვართ ჯვარად, რაიც სწადის იმას ჩადიან; ილანძღებიან, შუღლობენ, იწყევლებიან. იმათ ქმრებიც ცოლის ცოლებ დაჭდესა-დ დიაცები ჭელჩი ვეღარ დაიჭირეს. ესეთს დიაცს აი თვალს ტავრო უნდა შამახკრას, რო თვალმ ბრიალ გაიღას აიქ. მაშინ მავ გონთა, კლოვ აღარ იქამს უწესოს საქმეს. ესეთის დიაცების ქმრებს კალთა უნდა მავშჭრათ, თას უნდა ჩამავხყართა-დ, საკვლაოდ გამთხილდებიან დიაცებიცა-დ კაცებიც" და დაასახელებდა მოჩხუბარ ქალებს. გამოაცხადებდა მათზე დაკისრებულ ჯურუმს და იტყოდა დღეს და ხვალ ჯურუმის საკლავები მოყვანილი თუ არ იქნაბა, მაშინ დროშა გარეთ დარჩება დამნაშავეთა სამრისხველოდო. ხუცესი კიდევ იტყოდა: სოფლის კუთვნილ ადგილებში მეზობელი სოფლების ცხვარ-ძროხა გადმოდის და ამაზე კაცი უნდა გაუგზავნოთ, რომ ეს აეკრძალოსო. იტყოდა სოფლის პირის ე.ი. საიდუმლოების სხვაგან გამტანებზე და ბოლოს, ქალების თხოვა-გათხოვების საკითხზე: "თქვენი ჭირიმეთ შატილივნებო, ყველაზე მეტი სოფლის პირის გატეხაი ას მამჭდარი ჩვენს სოფელშია-დ ყველაზე მეტი სამარცხვინოი ას ჩადენილი. შატილივნებო, შატილს წინავ კაცნ მაღნატრიდეს იმით, რომ ერთ პირი ხქონდ, როგორც ერთს კაცს. დღეს კი გაგებული, რომ

სოფლის ჩუმად სოფლის პირის გარეთ გაკეთდ აი ეს უკუღმართ საქმე. ჩვენ წინავაც მაგუდენივას მიღმაჭეველთ ქალები, არ გვიძლევავის ურვათი. იმათც მიხდენიას ჩვენებურებ ქალები – ურვათ უძლევავის. შატილიონს კაცს მიღმაჭევლისად მანამდინ ქალ არ უძლევავის, მანამ საგორმეტოს ჭარს არ მაიყვანდა-დ ხუთის ძროხის რვალს. იქაურ კაც კი ამას ვერ მაგვოხოვდ. რაკი არ გვიწესობდა ესი. ალბათ შატილიენები ჯიშ-ჯილაგითაც მეტნ იყვნესა-დ კაცობითაც. ეხლად კი გაგებული ას, რო მიღმაჭევლისად ქალში ურვათი მიცემული. მიღმაჭ ეველს უთქვამის, რო ჩვენაც ეეგეთან კაცნ ორთავ, რაჭელნიც შატილიონნიაო-დ უურვათოდავ არც ჩვენ მაგცემთავ ქალსავ. თათურნ ამდგარანა, სოფლის უდუმლივ მიუცავ მიღმაჭევლისად ურვათი. მაგრამ გაუგო რა დარჩების, ეს ყველას გაგებული გაქვთა-დ ჭმას არავინ იღებთ. ესი ას სოფლის ღალატი, ესი ას სოფლის პირის გატეხაი-დ ჩვენზე უარესის ხალხის ჩვენს თავსთან გასწორება. ამაზე ანატორის ჯვარზე დარბასში გადასწყდ: ჯვარში უნდა მაიყვანან ჯურუმად სამის წლის კურეტი, მიცემულ ურვათ უნდა დაიბრუნან იქავ. თუ არ დაუბრუნებენა, ქალ წალალან. თუ არა და ეგენი სოფელმ უნდა მაიკვეთნას, საქონ საქონში არ გაურივან, ცეცხლ გაუქრების – ცეცხლ არვინ ჩაუდვას, მაგათას არვინ მივიდას არც მთელზედა, არც მკვდარზე. ვინაც მაგათ გვერდი დაუდგებისა, მჭარს დაუჭერს, ისიც მაკვეთილ-მაშორებელ იქნასად-ანატორის ჯვარის დროშა იმის სამრისხველოდ დარჩას კარში". შემდეგ ხალხს ჰკითხავდა: "რას იტყვით ხალხნო, შატილს რაიც არ მაუდიოდ, გადმავიღათა ის წეს, თუ გავამაგრათ სოფლის პირი?" – მავიკვეთათ, თუ ეგ მართალი, მავიშორათ მაგის ჩამდენი, სოფლის პირის გამტეხი, მეღალატეი" – იტყოდა ხალხი. ერთი ხნიერი კაცი წინ წამოდგებოდა და თხოვდა სოფელს დაწყნარებულიყვნენ და მეტი აღარ "ეხოხორათ". ("ხოხორას" უწოდებენ ჯვარში რომ ერთ-ერთ კაცზე საუბრობენ ჯვართ სახელით. ეს ნიშნავდა ჯვართ საწყინო რამეს და მათი წარმოდგენით, საბოლოოდ ცუდს მოასწავებდა). "თქვენი ჭირიმეთ სოფლელებო" – იტყოდა ბრალდებული, – ნუ მახოხორებთ, მე თავს არ გაუხრი თქვენს სიტყვას. რაიც თქვენ გადასწყვიტეთ, მე ყველას შავასრულებ. თუ თქვენ იტყვით, დავაბრუნებიებ, თუ იტყვით, კიდე ზლისადაც თავს დავანებებიებ. რა ვქნა, თავს არ ვამართლებ, მაგრამ ქალი მამწონდ საზლოდა-დ ამის გულისად შაცდომაში შავედი, სოფლის პირი გავტეხე-დ – დანაშაული ჩავიდინი". (აქ ლაპარაკი არის შატილის ხევსურების კილოზე. ხევსურებს ლაპარაკში სხვადასხვანაირი გამოთქმა აქვთ, არხოტის ხევსურებს თავისებური კილოკავი აქვთ საუბრისა, ბუდის ხევსურებს თავისებური და შატილის ხევსურებს უფრო განსაკუთრებული კილო აქვს. ხმის აწევდაწევა სიტყვის სხვადასხვა ადგილას აქვთ).

ეს საუბარი რომ მოთავდებოდა, გადადიოდნენ კენჭის ჩაგდებაზე. კენჭის ჩაგდების წესი და მისი მნიშვნელობა აღწერილია "ახვსებაში". კენჭის ჩაყრაც რომ მოთავდებოდა, დაამწყალობნებდნენ სოფლის გამმაგრებელს, მართალს, მაგარს, კაის მთქმელს, კაის მგონეს, სოფლისად თავდადებულს და სხვა. მერე დაარისხებდნენ სოფლის მოღალატეს, ცუდის ენისას და ცუდის ხელისას. შერისხება ანუ დარისხებაც რომ მოთავდებოდა,ხუცესი ლუდს ცოტას დაღვრიდა თასიდან,მერე ჩვეულებრივად კენჭიანი თასიდან დალევდნენ სამწყალობნოს და სამრისხველო

სიტყვებით ლუდს (ეს წესიც დაწერილია "ახვსების" დღეობაში). აქვე იმართებოდა ფეხზე მღერა საგმირო სიმღერებისა. შემდეგ ჯვარივნებს თასებს ჩამოყრიდნენ და მიაბძანებდნენ დარბასში.

ჯვარივნები დასხდებოდნენ სოფელთან ერთად და დალევდნენ ლუდს. მერე სოფლელები ამოიღებდნენ საწირებს და დააწყობდნენ თავ-თავის გუდაზე. დააკრავდნენ თითო ფეხ ანთებულ სანთელს და ხუცესი იხუცებდა. ამწყალობნებდა მეხვეწურებს ხუცობაშიც და ისე დამწყალობნების დროსაც. ხუცობის ბოლოს ყველანი ერთი-მეორეს დაამწყალობნებდნენ და პატრონები იღებდნენ გორილებს. ბავშვები გავიდოდნენ მოშორებით და კაცები ამ გორილებს მათ ესროდნენ. ბავშვები იტაცებდნენ და იყრიდნენ უბეში. ბოლოს დათვლიდნენ გორილებს და ვისაც მეტი ჰქონდა, იმას აქებდნენ.

ჯარზე მოჰქონდათ დარბასიდან ლუდი და მართავდნენ ჯარის წესს – ფანდურზე მღერა და სხვა. ასე გაივლიდა ენკენიის სამი დღე.

გიორგობა

გიორგობა სრულდებოდა ჩვეულებრივად, ახალი არაფერი ხდებოდა.

ქრისტე

ქრისტე მოდიოდა ოცდახუთ დეკემბერს. ახალი წესი არც აქ სრულდებოდა. ღამისთევა, ჟამისწირვა და სხვა ყველაფერი ისე სრულდებოდა, როგორც აღწერილია წინა დღეობებში. აქედან წელწდამდინ რჩება ერთი კვირა. აქაც მას "წელშუის კვირას" უწოდებდნენ. ამ კვირას ტარდებოდა საწელწდო სამზადისი. ამზადებდნენ არაყს, შეშას, ძროხების საჭმელს და სხვას, რაც ოჯახში აუცილებელი იყო. ქრისტიდანვე დასტურები შეუდგებოდნენ ლუდის სამზადისს,ქვაბების დუღილს. ლუდის რაოდენობა განსაზღვრული ჰქონდათ ყოველი დღისათვის, იმ რაოდენობით ამზადებდნენ, რამდენიც იყო საჭირო. ეს იცოდა ხუცესმა და ასწავლიდა დასტურებს. მოვიდოდა წელწად წინა დღე და ყველანი მზად იყვნენ წელწდისთვის.

წელწადი

„მეკვლე წუხრას" სოფლის ყველა მამაკაცი მოიყრიდა დარბასის კარში თაკს, მოიყვანდნენ ორ ან სამ სარიგოს და დაკლავდნენ მეკვლეთ სამწყალობნელოდ. საკლავებს გაატყავებდნენ დასტურები, ტყავი ჯვარში რჩებოდა, ხორცს მოხარშავდნენ მეკვლე ღამეს მეკვლეთათვის ტაბლის დასადგმელად. საკლავები რომ დაიხოცებოდა, მეკვლეთ და სხვა დანარჩენ ხალხსაც აქვე დაალევინებდნენ თითო-ორიოლ თას ლუდს (არხოტის ჯვარში მეკვლე-ღამეს მიდიოდნენ მარტო

მეკვლენი, თითო ოჯახიდან თითო კაცი. დანარჩენი ხალხი სოფელში, ერთ ჭერხოში იყრიდა თავს და იქ მიჰქონდათ ლუდი. ჭერხოს შოვნა ევალებოდა ახალ ჭირის პატრონს. დანარჩენ ხალხს ეწოდებოდა მეკვლეთ ნარჩომი ჯარი. შატილში კი მეკვლე და არა მეკვლე ყველა ერთად იყრიდა თავს. ჯვარში ერთად სვამდნენ და ათევდნენ ღამეს). ხნიერი ხალხი აქ დარჩებოდა. ახალგაზრდები კი წავიდოდნენ და შეშას და სანთლებს მოიტანდნენ. შეშა ყველას უნდა მიეტანა ერთი მხარი. აანთებდნენ დიდ ცეცხლს,მოიტანდნენ ლუდს და სვამდნენ ჯარის წესით. სოფლის ჯარზე გარდა ფანდურზე მღერისა, სხვა მხიარულება არ შეიძლებოდა, აქ კი მეკვლენი, რაც შეეძლოთ მხიარულობდნენ, მღეროდნენ, ლექსობდნენ, ფშაურ კილოზედაც მღეროდნენ, თამაშობდნენ და სხვა. ფეხზე დგომა აქ ბევრად არ იცოდნენ, დადგებოდა მარტო ზედამდეგები მარტო ერთი ორი კაცი. დანარჩენი ხალხი კი ისხდა და სვამდნენ.

ახალგაზრდები ლექსობდნენ მორიგეობით და ცდილობდნენ სხვაზე კარგი ლექსი ელექსათ. ფანდურზე სამღერალ საგმირო სიმღერებს არ ილექსებდნენ. თუ უფროსები მღერას მოითხოვდნენ, მაშინ მღერის მცოდნე საგმიროსაც იმღერებდა. მეკვლეში შუღლი აკრძალული იყო. ვერავინ ვერაფერს ვერ გაბედავდა, თუნდაც მოსისხლეები ყოფილიყვნენ ერთი-მეორისა.

ხორცი რომ მოიხარშებოდა, მოამზადებდნენ ტაბლას ჩვეულებრივად. ვიდრე ტაბლას დაუდგამდნენ, სასანთლეებს დააწყობდნენ და დააკრავდნენ სანთლებს. დარბასში შეატყობინებდნენ და გამოვიდოდნენ ჯვარიონნი. ხელში ეჭირათ ლუდით სავსე ვერცხლის თასები და სურები, ჯვარიონნი იტყოდნენ: "აშენდით მეკვლენო, აშენდით! წაღმამც წაგივათ დღეობა, გიშველასთ გიმეშვლასთ, მრავალ წელწად, ქრისტე მაგგვარასთ მშვიდობისა, კარგად ყოფისა, ერთუცის სიცოცხლისა". – "თქვენ იყოს მწყალობელი, მაგვიხვედით მშვიდობით, მშვიდობით თქვენ მასვლა", – ეტყოდნენ მეკვლენიც. ჯვარიონნი დადგებოდნენ მეკვლეთ მარჯვენა მხარესე. ხუცესი დაიწყებდა საუბარს: "თქვენი ჭირიმეთ შატილივნებო, ეს ბედნიერ დღე ხანდიხან მაგვიდისა-დ რიგზე ვიყვნათ ერთმანეცსთან, შაუწყენლად. ბედნიერ დღე ყველა დღეობას ხქვიან, მაგრამ ახლის წლის გამაცვლა სრუ სხვაი ას. ძველ წელ წავიდა, ჩვენ ის აღარ დაგვიბრუნდების, წასულ წელს რაიც მახჭდ ავი თუ კაი, ის წასულს ეკუთნისა, იმის გამაცდილება კლოვისად უნდა გამავიყენათ, თუ კა რაი მამჭდარი წასულ წელს, ის იქავ აისრაე ვქნათა, კაიე მაეაჭდინათ; წასულ წელს თუ ცუდ რა მახჭდ, იმას ნუღარ ვიქამთ, რო ცუდ იქავ არ გამეორდას. ჩვენს ჯვარსაც, ჩვენაც წესად მაგვიდის, რო დღეობით დღეობამდენ რაიც მახჭდების ავი თუ კა, ამას დღეობაში ვარჩევთ. კაის მაქმედს ხალიზს ვაძლევთ, ავის მაქმედს ავად მაევექცევით. წასულ დღეობა ქრისტე იყვა-დ მას აქეთ ბევრ ცვლილება აღარ მამჭდარ არც ცუდი, არც კაი. მაშ სასაუბრო არა-ი გვაქვ სხოი, რაკი მაშინ ყველა ითქვა, იქნ, რაიც საჭირო იყვ. მარტო მამავალ წელზე გოქვ სასაუბროიცა-დ საყიქრობელიც. ამით გილოცავთ ახალის წლის გამაცვლასა-დ, ვეხვეწები, ვევედრები ანატორის ჯვარს, რო ბედნიერ წელ დაგიყენასთ კაცისაიცა, საქონისაიც. შინ მშვიდობა მაგცასთ, ველთ გამარჯვება. ნუ გამალიოს თქვენს სოფელ'ში ჭმიანი, ჭმლიანი, სოფლის პირის გამმაგრეი, ადგილის დამჭერი". ხუცესი რომ დაამთავრებდა, ყველანი იტყოდნენ:

"გაგიგონას დალოცვილმ ანატორის ჯვარმ, ის წყალობა უბოძას სოფელს, რასაც წყალობას ეთხოებოდან". მერე ხუცესი გადავიდოდა მოხსენებაზე და ხუცობაზე. ხუცობაში ასვეწებდა მეკვლეთ, სოფელს და დამწყალობნების დროსაც მათვე ამწყალობნებდნენ ხუცესიც და თვით ხალხიც. დამწყალობნების შემდეგ ჯვარივნები კიდევ დაილოცებოდნენ თავ-თავის თასს და დალევდნენ ცო-ცოტას. მერე უმღერდნენ ფეხზე და ყველა თავისი წესებით გამოცლიდნენ თასებს. ჯვარივნები ფეხზე დალეკდნენ, გამოესალმებოდნენ ხალხს და წავიდოდნენ ისევ დარბასში, ხალხი დასხდებოდა და ორი ზედამდეგი მათ ტაბლას დაუდგამდა. პურს რომ გაატახინებდნენ, ყველა თითოობით დაილოცებოდა: "ღმერთო გაუმარჯვი დიდს ანატორის ჯვარსა, ანატორის ჯვარო შენ წყალობა მიეც სოფელს, მეკვლეთ დაადე წაღმ, შენი წყალობით შაინახენი. ჭელ-ფეჭიც მტერზე შორიელზე მააჭმარი". ზედამდეგებს ჯვარივნები დაუსხამდნენ საუკეთესო ლუდს კარახანების დასადგმელად. ტაბლის წესები ჩვეულებრივად სრულდებოდა. პურს რომ ჭამდნენ და კარახანებსაც დალევდნენ, მერე ზედამდეგები ტაბლას აუმატებდნენ, ხალხი ყველა ფეხზე ადგებოდა, ზედამდეგებს ეტყოდნენ: "ჭელ-ფეჭ მტერზე მაიჭმარეთ შორიელზე". "მტერიმც ნუ მაგერევისთ" – იქნებოდა პასუხი. მერე ზედამდეგებსაც პურს აჭმევდნენ.

არხოტის ჯვარში მეკვლე-ღამეს ეს ტაბლა გათენებამდინ იდგა. როცა მეკვლენი წავიდოდნენ, ტაბლა ისე რჩებოდა და მერე დასტურები აიგულებდნენ. შატილში, ანატორის ჯვარში კი პურს რომ ჭამდნენ, სუფრასაც მაშინვე აუმატებდნენ. არხოტის ჯვარში მეკვლეთ ნარჩომი ჯარი ცალკე ისხდა სოფელში, რომელიმე ჭერხოში და იქ სრულდებოდა ჯარის წესი. შატილში კი, რადგან ჯარი და მეკვლენი ერთად ისხდნენ, ორივე წესი ერთად იყო დაშვებული. მეკვლე-ღამეს უფროსები არ უშლიდნენ ჩვეულებრივი ლექსების ლექსობას ახალგაზრდებს, თვითონ კი მღეროდნენ საგმიროს უფრო იმ მიზნით, რომ ახალგაზრდებს სიმღერაც ესწავლა და ამ სიმღერის საშუალებით წინაპრების ყოფაცხოვრებაზე ძველი გადმოცემები – "ანდრეზები" დაესწავლა. ანდრეზების სწავლას უნცროსებს კიდეც ავალდებულებდნენ: "რასაც გეუბნებით, დაისწავლეთა-დ მემრ თქვენ სხვებს ასწავლეთო", – ეუბნებოდნენ ისინი უმცროსებს.

ასეთის ამბით გაიელიდა დრო და მოვიდოდა თენება. ცისპირი რომ შემოსინათლდებოდა, ხუცესი შემოვიდოდა მეკვლეებთან, "გადააშლიდა" ხელით თოვლს და მოულოცავდა ახალ წელს: "ბევრსამც ახალწელს ილოცავთ წულიან-პურიანს, სახელ-სარგებლიანს, გალოცვიებსთ ანატორის ჯვარი, ზეითი ღმერთიც". ხალხიც ფეხზე ადგომით შეხვდებოდა და მილოცვაზე უპასუხებდა: "აგრეე–შენ გალოცვიებს ანატორის ჯვარი რგებისას, გახარებისას, ცოლ-შვილის სიცოცხლისას, ერთს ამას, ათი ათას სხვას".

მილოცვის შემდეგ ხუცესს შესთავაზებდნენ ლუდს. ცოტას დალევდა და გამოუძღვებოდა მეკვლეთ და სხვა დანარჩენ ხალხს. ამოვიდოდნენ ყველანი დარბასის კარში. ქუდმოხდილნი მოიყრიდნენ მუხლს და სთხოვდნენ ჯვართ დანაშაულის პატიებას და გაჭირვების დროს დახმარებას. მერე ადგებოდნენ ზეზე და ჯვარიონი ეტყოდნენ აშენებას: "დაშვენდით, მაგვიხვეით მშვიდობით, მშვიდობით თქვენ მასვლა ჯვარიონნო". ახლა ჯვარივნები მიულოცავდნენ და

გადაკოცნიდნენ მეკვლენი და ჯვარიანები ერთმანეთს. მილოცვის დროს ყველანი ერთდროულად ამბობდნენ მისალოც სიტყვებს. ისეთი ხმაური იყო რომ, კაცი ვერ გამოარჩევდა ვერავის ხმას და სიტყვებს. მილოცვა რომ დამთავრდებოდა, წამოაყენებდნენ ზღვნებს სასაკლაოზე. მეკვლე-დილას დაკლული ზღვენი ხევსურების რწმენით, დიდი მნიშვნელობისა იყო: მეკვლენი დაამწყალობნებდნენ და მათ თხოვნას შეასრულებდა ანატორის ჯვარი. ამიტომ ამ დილას ბევრი ზღვნები მოდიოდა. ზღვნები ნაქადები (შეთქმული) იყო გაჭირვებისას ანატორის ჯვარისათვის დახმარების თხოვნის დროს: დალოცვილო ანატორის ჯვარო, ამ გაჭირვებიდან, ან ავადმყოფობიდან დამიხსენი და მეკვლე-დილას ერთს ზღვენს მოგგვრიო. ზღვნებს დაიჭერდნენ დასტურები, სხვა ხალხი ქუდმოხდილი იდგა. ხუცესი დანას ამოიღებდა ქარქაშიდან, საკლავის თავზე ჯვარედინად დააღირებდა და შეუდგებოდა ხუცობას. ხუცობაში ამწყალობნებდა მეხვეწურს ვისიც იყო საკლავი. ასე მორიგეობით დაკლავდა ყველა საკლავებს და ბოლოს ყველანი ერთბაშად დაამწყალობნებდნენ მეზღვნე-მეხვეწურებს. ამ საკლავების ტყავ-ხორცი ჯვარში რჩებოდა. ამის შემდეგ დასტურნი მოიტანდნენ არაყს და დაალევინებდნენ ყველას. რომელიმე დაუკრავდა ფანდურს სათამაშოდ და იმართებოდა თამაშობა. პირველად ითამაშებდა ხუცესი და მერე ყველანი. ტაშის მაგიერ ხანჯალს ურტყამდნენ ფიცარზე. აქ ყველანი ერთად იყვნენ, მეკვლენი და დანარჩენი სოფლის ჯარიც. ბოლოს მეკვლენი წავიდოდნენ სოფელში. დარჩენილი ხალხი სოფელში რჩებოდა მეკვლეთ სოფელში მოსვლამდე და სოფელში ხალხის გამასვლამდენ, რომელთაც ეკრძალებოდათ გარეთ გამოსვლა, ვიდრე მეკვლენი სახლებში არ მივიდოდნენ და მეწყლენი წყალზე არ წავიდოდნენ. წასვლის წინ მეკვლენი წილს უყრიდნენ, ვის ერგებოდა მეკვლეებისთვის წინ გაძღოლა. მომავალი წელი ვითომც მათთვის გამძღოლი კაცის იღბალზე იქნებოდა სოფელი, მისი კაცი და საქონი. ბოლოს დააბამდნენ ფერხისას, გამოუძღვებოდა წინ გამძღოლი მეკვლე. სოფელშიც წინ გამძღოლი შევიდოდა პირველად სახლში და მერე სხვებიც წავიდ-წამოვიდოდნენ თავთავიანთ სახლებში. ფერხისას რომ დააბამდნენ, ხელებით გადაებმებოდნენ ერთმანეთს, წრეს გააკეთებდნენ და დარბასის კარში გარშემო ტრიალს დაიწყებდნენ ჩვეულებრივად ფერხისას მღერით. აქ მათ დასტურები ასმევდნენ ძალადობით სასმელს. სამ-ოთხჯერ შემოტრიალდებოდნენ, ბოლოს წრე დაიშლებოდა, ყველანი მოიყრიდნენ მუხლს და ანატორის ჯვარს ეხვეწებოდნენ – დანაშაული გვაპატიე და მეწაღმართე ანგელოზი გამოგვაყოლეო. რომ გაათავებდნენ მადლის თხოვნას, ისევ ფერხისას დააბამდნენ და გაემართებოდნენ სოფლისაკენ. წინ, ცალკე მიდიოდა წინ გამძღოლი მეკვლე. მეკვლენი მიდიოდნენ და ჩვეულებრივად ორ გუნდად მღეროდნენ საგმირო სიმღერებს. თუ არ ეყოფოდათ ლექსი, მაშინ სხვა სიმღერას გამოცვლიდნენ. სოფელს რომ მიუახლოვდებოდნენ, ფერხისა მაშინ დაიშლებოდა. თაკის სახლში მისული მეკვლე კარებთან ქუდს მოიხდიდა და კარს დააკაკუნებდა. ამ დროს კარების უკან დამალული იყო ვინმე ოჯახის წევრი მეწყლე. ეს მეკვლემაც იცოდა. დამალული უფრო ქალი იყო, რადგან კაცის წასვლა ხევსურეთში წყლის მოსატანად, სირცხვილად ითვლებოდა. ფეხს გადადგამდა თუ არა, მაშინვე დაიწყებდა ლოცვას: "შამავდგი ფეჯი, გწყალობდასთ ღმერთი, ჩემიმც კვალ

კაზე დაგიჯდებისთ წულიან პურიანი, სახელ-სარგებლიანი. ბევრს ახალწელსამც გალოცვიებსთ ანატორის ჯვარიცა ზეით ღმერთიც, მშვიდობისას, კარგად ყოფისას, ერთს ამასა-დ ათი-ათასს სხვას. ღმერთო და დიდო ანატორის ჯვარო, უშველი ჩემთ ჯალაფთა-დ მრათალ ბედნიერ წელი კვალ გამოუცვალი". ასეთი საუბრით შევიდოდა ნაწვლის კართანამდე. როცა კარებს გასცდებოდა, მაშინ მეწყლე მეკვლის შეუმჩნევლად გავიდოდა გარეთ და გაიქცეოდა წყალზე, რომ სხვებს არ მიესწროთ. ვინც წინ მიასწრებდა, ის ბედნიერად ჩასთვლიდა თავს და მომავალი წელი ვითომც იმ ოჯახისათვის უფრო ნაყოფიერი იქნებოდა. მეწყლე მოიტანდა "ნიჭს" და ჩააგდებდა წყალში: წყალო ნიჭი მოგიტანე, ბედი გამომაყოლეო, კაცისაი, საქონისაი, ნაშვრალ-ნამუშავლისა. ("ნიჭი" იყო ერთად შეკრული ჩალა, ქერი, სვილი, ყველი, ერბო, ნახშირი და სხვა. რაც ოჯახში არის აქ ყველაფრის ნაწილს შეახვევდნენ, გარედან კი ჩალას გადაახვევდნენ. ამ დროს წყაროზე რომ კაცი მისულიყო, სავსე იყო ნიჭებით). მეწყლე ჭურჭელს წყლით აავსებდა და მიიტანდა შინ. მეკვლე ნაწვლის კართან რომ მივიდოდა, ოჯახის დიასახლისი მიუტანდა ხმაამოუღებლივ "სამეკვლაოს". ის იტყოდა: "ღმერთო-დ ჩემო სალოცავებო, დიდო ანატორის ჯვარო, თქვენ უშველეთ ჩემთ ჯალაფთ, ამათ კაცსა საქონს, როგორც ეს სამეკვლაოი, ისრავ ჩვენ ცხოვრება წაიყვანეთ წალმ". ამ სიტყვებით სამეკვლაოს სამყოფოზე სამჯერ გააგორებდა. ბედნიერებას მოასწავებდა თუ სამეკვლაო ორჯერ მაინც მოვიდოდა წალმა, ე.ი. დაჭრელებულით ზევით. თუ უკუღმა დაიდება, ეს უბედურების ნიშანი იყო. დიასახლისს დასწავლილი ჰქონდა სამეკვლაოზე გამოყვანილი ნიშნები, ცხვრებისა, ძროხებისა, პურისა, ადამიანებისა და სხვა, რომელიც ამოიბურცებოდა, ნიშანი იყო იმის გამრავლებისა. დაბლა დარჩენა კი ნიშნავდა ზარალსა და უბედურებას. სამეკვლაოს რომ შააგორებდა, მერე შევიდოდა სახლში და გადაკოცნიდა თავის მშობლებსა და და-ძმებს. ცოლ-შვილს არ აკოცებდა. ყველას ულოცავდა ახალი წლის გამოცვლას. დიასახლისი შემოდგამდა ტაბლას. ტაბლაზე პატარა ქვაბით იდგა გამდნარი ერბო აუცილებლივ. ოჯახის უფროსი კაცი ერბოს კოვზით სამჯერ ამოიღებდა და ცეცხლში ჩაასხამდა. ეხვეწებოდა ღმერთს და ანატორის ჯვარს, რომ მისი ოჯახის წევრებისათვის ყოველთვის გაეწია დახმარება. მრავალჯერ მშვიდობიანად შეხვედროდნენ ახალ წელს. შემდეგ ჯალაფნი შემოუსხდებოდნენ ტაბლას, მეწყლეც მოსული იქნებოდა და ყველანი დალევდნენ ახალწლის დილას პირველად მოტანილ წყალს. დიასახლისი მიცვალებულებისათვისაც ადრევე დასდებდა ტაბლას სახელს. თუ ვისმე სულის ცხენი ჰყავდა, იმასაც წყალზე წაიყვანდნენ, წყალს დაალევინებდნენ და სახელდადებულ ქერს აჭმევდნენ. მერე შეიძლება ვინმე შემჯდარიყო და თუ ყინულები არ იყო, ერბინა ცხენი, ვიდრე არ გაოფლიანდებოდა. არბენდნენ მარტო იმ ცხენს, რომელიც დაკურთხებული იყო.

ჯვარიდან სოფლის ნარჩენი ჯარიც მოვიდოდა. ყველა კომლიდან მიჰქონდათ თითო "მინის" არაყი ჭირისპატრონის კარზე. როგორც არხოტში, აქაც ისევე მიჰქონდათ ლუდი ჯვარიდან და იმართებოდა სმა. ჭირის პატრონის კარზე დაანთებდნენ დიდ ცეცხლს და მთელი სოფელი აქ მოიყრიდა თავს. ჭირის პატრონი ასმევდა ხალხს, მერე მოიტანდა ფანდურს. პირველი თითონ იმღერებდა და ითამაშებდა კიდეც. თამაშობის წინ იტყოდა: "ღმერთო გაუმარჯვი სოფელს შატილსა-დ შატილიენებს. ღმერთო დალოცვილო, საგვლევს ნუღარას მისცემ, ბევრ წელწად-ქრისტე

მხიარულობისა მაღგეარი". თამაშობას რომ გააოთავებდა, ვინმე აქ მყოფთაგანს თავის ქუდს მხარზე დაჰკრავდა, თვითონ კი დაჯდებოდა. ქუდს ისეთ კაცს დაჰკრავდა, ვისაც ატყობდა, რომ მისი ხათრით არ მხიარულობდა. ქუდის დაკვრის შემდეგ, ის უარს ვეღარ იტყოდა, ადგებოდა და ითამაშებდა.

ჭირის პატრონის კარზე საღამომდე იქნებოდნენ. არხოტის ჯვარში, ჭირის პატრონიდან ხალხი ჯვარში წავიდოდა, მეთამაშე კაცი და ქალი ყველანი. შატილში კი მეთამაშე არ იცოდნენ და სახლებში წავიდ-წამოვიდოდნენ. ოჯახებში ერთიმეორეს პატიუობდნენ ყველანი და მართავდნენ ლხინს. არხოტის ჯვარში ყოველ დღე მიდიოდა მეთამაშე და იმართებოდა ლხინი. აქ ასეთი არაფერი იყო, მარტო სოფელში ლხინობდნენ. ქალებისათვის ლუდი აქ ყოველ დღე ეძლეოდათ.

არხოტის სოფლის ჯარი ყოველდღე სოფელში სხდებოდა საღამოობით. შატილში კი მამაკაცები სოფელში არ სხდებოდნენ ჯარზე. დღისით ჯვარში მიდიოდნენ იქ სვამდნენ ლუდს და სოფელში ბრუნდებოდნენ,დროს ატარებდნენ ოჯახებში. ასე გრძელდებოდა წელწდის ოთხი დღე. მეხუთე იყო გამოლოცვა. გამოლოცვა დღეს სოფლის უფროსებს დაიბარებდნენ და ხევსურეთის ყველა ხთიშვილთათვის დაიდგმოდა სადიდებელი. ხუცესი ყველა ხთიშვილთ მოახსენებდა და ბოლოს ერთბაშად იხუცებდა. ნახსენებ ანგელოზთ სთხოვდა შატილიონთათვის წყალობას. დანარჩენი ყველა წესები ისე სრულდებოდა, როგორც ჩვეულებრივ სადიდებელზე (ფეხზე მღერა, თასის ჩამოყრა და სხ.).

ბოლოს ჯვარიონნი გამოილოცავდნენ ჩვეულებრივი წესით. არხოტის ჯვარში ბევრი რამ განსხვავებული წესი იყო (ქურდობა, თამაშობა და სხ.). აქ კი ასეთი არაფერი იცოდნენ. ერთფეროვანი დღეობა იყო.

აღება

წელწდის შემდეგ მოდიოდა დღეობა აღება. აღება იყო მოძრავი დღესასწაული. დამოკიდებული იყო დიდმარხვაზე. დღეობობდნენ დიდმარხვის წინა შაბათ დღეს სოფელში. ჯვარში ეს დღეობა არ იცოდნენ. სულ ძველად მზის მოძრაობაზე იცოდნენ ყველა დღეობა როდის მოდიოდა (ქრისტე, წელწადი, აღება, სულთაკრეფა და სხვა). აღმოსავლეთ მხარეს გორზე ჰქონდათ დასწავლილი რომელ დღეობაში სად ამოდიოდა მზე, ან რა ადგილიდან უნდა ეყურებინათ მისთვის. იტყოდნენ: მზე სააღებოში მივიდაო, საახვსებოშიო და ა. შ. უფრო გვიან კი დაიწყეს რელიგიური, ე. ი. ეკლესიის კალენდარის მიხედვით დღეობები. წინათაც უფრო ძველად თუმცა მზეს უყურებდნენ, მაგრამ ბევრად არ იყო საეკლესიო დღესასწაულებთან დაკავშირებული. ხანდახან მზის სათვალავი მოძრავ დღესასწაულებს საეკლესიოს აცდებოდა.

აღებას ჭირის პატრონები ამზადებდნენ ლუდს,არაყს და უძღვებოდნენ ხალხს. ღიაცები გაშლიდნენ მიცვალებულის "ტალავარს" და იმართებოდა ჩვეულებრივი ტირილი. ხმით მატირლები მოჰყვებოდნენ და კარგ კაცებს და ქალებს ყველას შეატირებდნენ, ე. ი. ახსენებდნენ ტირილში. მოიხსენიებდნენ მის ვაუკაცობას, იარაღს, ცხენს, ქალის სილამაზეს და სხვა. ტირილის მოთავების შემდეგ, ტალავართ აიღებდნენ და გაუმასპინძლდებოდნენ ქალებს ცალკე და კაცებს ცალკე.

შეიძლებოდა ამ ტაბლაზე ყოფილიყო ფაფაც ერბოთი, მაგრამ უმრავლესობა ხორცს მოხარშავდა და ხორცის ტაბლას დაუდგამდა კაცებს და დიაცებს ცალკე. თუ ჭირის პატრონები რამდენიმე იქნებოდნენ, მაშინ ისინი წილს ყრიდნენ და ვისაც პირველად ერგებოდა, პირველად ის გაუმასპინძლდებოდა ხალხს. ყველგან იმართებოდა ტირილი და ტირილის შემდეგ გამასპინძლება. სხვა ისეთი წესი არაფერი იყო.

აღების შემდეგი ერთი კვირა ითვლებოდა ყველიერის კვირად და ამ კვირის განმავლობაში ყოველდღე ქეიფობდნენ სოფელში. ასე მიდიოდა ყველიერის კვირა, ვიდრე დიდი მარხვა არ დადგებოდა. დიდი მარხვის დადგომას ეწოდებოდა მარხოშამაე. მიუხედავად იმისა, რომ აქ მარხვას არ ინახავდნენ, მაინც ამ საღამოს ვახშამი იცოდნენ. დაპატიჟებდნენ ერთმანეთს ნათესავები და მეზობლები. მარხოშამაე წუხრას ქვეგვარები – მამები ხშირად აწყობდნენ ერთად. ყველა ერთ ოჯახში მიიტანდა ფქვილს და ხინკალს ან კეცეულის გულს და დიასახლისები ერთად ამზადებდნენ. არაყსაც ყველანი აქ მოიტანდნენ და დალევდნენ. მარხვას შეინახავდა მარტო ჯვარის წამებული კაცი, ხუცესი. (ჯვარის წამებული – მორწმუნე, რომელიც ცხოვრობს წმინდანად, ჯვარიც მისი პატივისმცემელია და ცოტად თუ ბევრად კიდეც მკითხაობს). მიუხედავად იმისა, რომ იცოდნენ ნამცეცაობა. ნამცეცაობა ეწოდებოდა იმას, რომ რაც ამ საღამოს დარჩებოდა, მეორე დილით გათენებამდე გაათბობდნენ და ჭამდნენ. ხშირი იყო შემთხვევა, რომ ოჯახი დიდ-მარხვაში ხორცს არ ჭამდა, ეს უფრო საქონლის ზარალის გამო. თუ პირუტყვი უზარალდებოდათ, მაშინ მკითხავი ეტყოდა დიდმარხვაში ხორცს ნუ სჭამთ და საქონლის ზარალი მოგშორდებათო.

ურწყის ორშაბათი

მარხოშამაეს მეორე დღეს გათენდებოდა ურწყის ორშაბათი. ურწყის ორშაბათი ეკუთვნოდა ურწყთ. ხალხი მათი შიშით ხელგაუნძრეველად ინახავდა ამ დღეს. ურწყნი წარმოდგენილი ყავდათ ნახევრად ეშმაკად და ნახევრად ღმერთსა და ანგელოზებს აკუთვნებდნენ. ურწყნი აქაც ისე სწამდათ, როგორც არხოტში და იგივე წესებს ასრულებდნენ როგორც არხოტში, ურწყნი შატილშიც დიაცების სახით ჰყავდათ წარმოდგენილნი. ვითომც ურწყის ორშაბათიდან მეორე ორშაბათამდე მათ შეუძლიათ თვითონ დასაჯონ კაცი. დანარჩენ დღეებში ერთი წლის განმავლობაში ისინი დადიან სოფლებში, კრეფენ ცუდ ამბებს, მიაქო ხთიშვილთან და ისინი დასჯიან დამნაშავე ადამიანებს.

მგელთუქმი

დიდმარხვის პირველ შაბათს მოდიოდა. ამ უქმშიც ყველაფერი ისეთი წესით იყო, როგორც არის აღწერილი არხოტში. დიდმარხვის მეორე შაბათს იყო სულის დღეობა.

სულთაკრეფა

სულთაკრეფა მთელ ხევსურეთში ერთნაირი წესით იცოდნენ, მხოლოდ ცოტა განსხვავება იყო; შატილში სულთაკრეფა ჯვარში არ იცოდნენ, არხოტში კი ლუდს ხარშავდნენ და საქვაბეში აყენებდნენ. დარბასის კარი არ ეღებოდა. შატილში ლუდს ადუღებდნენ ჭირის პატრონები და შაბათ დღეს გაუძღვებოდნენ ხალხს. როგორც აღებას, ისევე ეხლაც ტალავარი იშლებოდა და ისეთივე წესით უმასპინძლდებოდნენ წვეულ სოფლელებს. მხოლოდ ახლა სამარხო პურს აჭმევდნენ. გამოაცხობდნენ სახელსადებად ვაცებს, ლაოშებს, მარტუღელებს და ჭრელ ხმიადებს. ადუღებდნენ თუ ჰქონდათ სიმინდის დოხანს, თუ არა წმინდა ხორბლისას (შატილში წმიდა პური მოყავდათ). სახელ-სადებებს დაყოფდნენ ცალ-ცალკე ტაბლებად, როგორც ჭირის პატრონის, ისე სხვა ოჯახებშიც. ცალ-ცალკე ტაბლებს სხვადასხვა მიცვალებულისათვის სახელს დასდებდნენ, ბოლოს დიასახლისი უპატრონო მკვდრებისათვისაც სდებდა სახელს ერთ ასეთ ტაბლას. დოხანი ამ დღეს ყველას ჰქონდა. სახელის დამდებს არაყიანი ყანწი ეჭირა ხელში, ყველა ტაბლაზე იდგა ლუდიანი თასი და ზედ სანთელი ენთო. ცალკე ოჯახების ტაბლაზე სანთელი არ იცოდნენ. ჭირის პატრონის სახლში ვინმე ხნიერი ქალი დაზდებდა სახელს ახალი მიცვალებულის ტაბლას. დანარჩენი ტაბლები ილოცებოდა ამ მიცვალებულის დედიძმათათვის, ცოლეულებისათვის, დობილ-ძმობილისათვის და მეგობართათვის. დალოცვის დროს ხალხი გაჩუმებული ფეხზე იდგა. დამლოცავი რომ დალოცავდა, ლუდიანი თასი ეჭირა ხელში. ამ თასს სხვას მისცემდა, თვითონ კი ახალი ტაბლიდან იღებდა თასს სხვა ტაბლის დასალოცავად. ლოცავდა ყველა ტაბლებს ერთი და იგივე. აქ სულის ხუცესი არ იცოდნენ, როგორც ბუდე ხევსურეთში და ვინც შეხვდებოდათ, უფრო ხნიერი ქალები, იმათ დაალოცვინებდნენ ტაბლებს.

ტაბლების დალოცვის შემდეგ, გაუმასპინძლდებოდნენ სასმელით, დოხანით, პურით და მარილით. სოფელში რომ ტირილი იყო, ამ დროს ახალგაზრდები სათოფეებს გაიტანდნენ. სათოფეები იდგმებოდა მიცვალებულისათვის იმ წესით, როგორც არხოტში არის სულთაკრეფის წესში აღწერილი. ახალგაზრდები წილისყრით ესროდნენ სათოფეებს. თუ ვინმე სხვა სოფლიდან იყო მოსული, მას როგორც სტუმარს, უწილოდ ასროლინებდნენ (სათოფე იყო ქსოვილ-გადაკრული თხელი მრგვალი პური). ჯილდო სხვადასხვანაირი "იდგა", ვინ რას გაიმეტებდა თავის მიცვალებულისათვის. ზოგზე იდგა ერთი ჯამი დაფქული, მარილი, ზოგზე ჯღნები (ხევსურული ფეხსაცმელები), ზოგზე წინდები, "საფუჭრები", თამბაქო და სხვა. რომელიც მოეწონებოდათ, იმას ესროდნენ და ვისი ტყვიაც მოხვდებოდა, პურიც მისი იყო და მასზე დადგმული ჯილდოც. თუ ვინმე ისეთ სათოფეს აიღებდა, რომელზედაც თამბაქო (წეკო) "იდგა", აღების შემდეგ დაურიგებდნენ თამბაქოს მწეველ ხალხს. აქ ბლომად იყო მოტანილი არაყი და ასმევდნენ ხალხს.

ვაცაობა

ვაცებს აცხობდნენ მიცვალებული ბავშვებისათვისაც და ცოცხლებისთვისაც. ცოცხლის ვაცს ეძახოდნენ "საზომის ვაცს". საზომის ვაცს იმიტომ, რომ ბავშვის ზომისას გამოაცხობდნენ. ცოცხალ ბავშვს უცხობდნენ სამ წლამდინ და მეტიც, თუ ბავშვი დედისერთა იყო და მშობლები უფრთხილდებოდნენ. საზომის ვაცზე იცოდნენ სათამაშო კოჭების შემოხვევა. კოჭები იყო ასხმული მუშზე. ეწოდებოდა "კოჭაის ღარადულანი". ერთმანეთში ერია ცხვრის კოჭებიც და ჯიხვისაც. სულის ვაცს მძივებითაც შეამკობდნენ, გადააკრავდნენ პატარა ქსოვილს და ზედ მძივებსა და ღილებს დააკერებდნენ. კოჭაის ღარადულათაც მოახვევდნენ, როგორც სულის ისე საზომის ვაცსაც. ბავშვები უფრო კოჭებს ეშურებოდნენ.

ვაცებს გაიტანდნენ ბავშვები და დადგამდნენ თოვლის ნაქარში, რომ ნასროლ ისრებს ძირები არ გაფუჭებოდათ. ვაცებს რომ დადგამდნენ, გადაკვეთდნენ თითო სროლაზე რამდენი ისარი უნდა ესროლათ, ორ-ორი ან სამ-სამი. მეტს არავის არ ასროლინებდნენ. მერე ვაცებს შეაფასებდნენ, ზოგი ვაცი შეფასდებოდა ორი ისრის დარტყმად და ზოგი ერთად. რომელ ვაცზედაც კარგი ჯილდო იდგა, ამაზე გადასწყვეტდნენ. პირველი ისრის დამრტყმელს ერგებოდა რაც მასზე ჯილდო იდგა, მეორეს თვით ვაცი, თუ ერთ სროლაზე მეტი ისარი მოხვდებოდა, გაიყოფდნენ იმდენად, რამდენი ისარიც ერჭო ვაცს. ისარი ვაცში უნდა დარჭობილიყო. თუ არა არ ჩაუთვლიდნენ. საამისოდ კი საჭირო იყო მაგარი და შორს მსროლელი მშვილდი. ასეთ მშვილდს პატარა ბავშვები ვერ მოსწევდნენ, ამიტომ ვინმე მოზრდილ ბავშვს ასროლინებდნენ თავის მაგიერ. ისრების სროლას პირველად იწყებდნენ შორი მანძილიდან, მერე თანდათან მიუახლოვდებოდნენ. მოათავებდნენ ვაცობასაც და წავიდოდნენ შინ. მერე სოფელშიც იცოდნენ ვაცობა. რამდენიმე ბავშვი დადგამდა ერთად ვაცებს და ესროდნენ ისრებს. ვინც რომელს მოარტყამდა მას რჩებოდა. ეს იყო შინაური პატარ-პატარა ვაცები, რომლებიც ყველა ოჯახს აუცილებლივ ჰქონდა ამ დღეს. სათოფეებიც როცა მოთავდებოდა, ხალხი მოვიდოდა სოფელში. რომელიმე ჭირის პატრონი კიდევ დაუძახებდა ხალხს და ასმევდა ლუდს. სხვა ახალი წესი სულთაკრეფაში არაფერი იყო.

მარხოშუობა

მარხოშუობის შესახებ არხოტის ჯვარის წესების აღწერილობაში ყველაფერი ნათქვამია. აქაურთან შედარებით ბევრი სხვაობა არ იყო.

მარხოშუობას ეძახოდნენ შუა მარხვის ორშაბათს. ამ დღეს ყველანი უქმობდნენ, უფრო მეტად შვილიანები. ამბობდნენ, რომ ამ დღეს ვინც იმუშავებს, შვილები ორად გაეყოფა, ნახევარი დაეხოცება და ნახევარი შერჩებაო, იმასაც ამბობდნენ – რასაც იმუშავებს იმის ნახევარიც ეშმაკებს მიაქვთო. ფრჩხილს თუ

მოიჭრიდნენ, ფრჩხილი ორად გაყრილი გაეზრდებოდა. ამ დღეს სახელსადები იცოდნენ სამარხო, როგორც სულთაკრეფას. ჭირის პატრონის სახლში ტალავარს გაშლიდნენ. თუ ძალიან კარგი მიცვალებული იყო ან დედისერთა, ან კარგი ცხოვრების პატრონი ვინმე უშვილო (უბედო) კაცი, მათთვის არაყსაც დაამზადებდნენ. პატივსაცემად და მათი სულის მოსაგონებლად. გაუმასპინძლდებოდნენ სატირლად მოსულ ქალებს სამარხო პურით ე.ი. დოხნით და პურ-მარილით. ამის შემდეგ მოვიდოდა თაგეჩიტთ უქმი. აქაც ისეთი წესით ასრულებდნენ ყველაფერს, როგორც არხოტში იყო აღწერილი.

კუდიანწუხრა

კუდიანწუხრა თითქმის ყველგან ერთნაირი წესით იცოდნენ და ერთნაირად ასრულებდნენ. წარმოდგენებიც მათზე ერთნაირი იყო. კუდიანწუხრისათვის ბავშვები მოიტანდნენ ეკალს და თავის სახლის კარების მაღლა და საკვამებში გაუკეთებდნენ. სადაც ეგროვა ძროხების ნაგავი (ნეხვი), იქაც კი დაარჭობდნენ დიდ ეკალს, რომ ეშმაკი არ დაპატრონებოდა და რომელ მამულზედაც გაიტანდნენ, იმ მამულის ღალა ეშმაკებს არ გაეუბარაქოვებინათ. კუდიანები წარმოდგენილი ჰყავდათ ეშმაკად ქცეულ ადამიანებად. ვითომც კუდიანები კაცებიც იყვნენ და ქალებიც. ვაი იმას, ვისაც დიაცი კუდიანი ყავთ, ნეტავინ იმ გვარს, ვისაც გვარში კაცი ას კუდიანიო, იტყოდნენ ძველი ხევსურები. კუდიან დიაცი სულყველას გამოღვიძლავს, ვისაც კი გაეწევა, უფრო თავისიანებსო. მას არაფერი არ სწამს გარდა ეშმაკებისა და მათი გულის მოსაგებლად არავის გამოღვიძლვას არ მოერიდებაო. კაცი კუდიანი კი პირიქით, იცავდა თავის გვარს და ნათესაობას. ის კუდიანი იყო, წინასწარ იცოდა ვის რა ხიფათი მოელოდა მის გვარ-ნათესაობაში და აფრთხილებდა მათ. მას იმდენი იღბალი კიდევ ჰქონდა, რომ ეშმაკებს არ უგონებდა, იცავდა თავის გვარს და ეშმაკებიც ვერაფერს აკლებდნენ.

კუდიანს გამოსატეხად წყალში სვამდნენ, სადაც ვითომ მას თითის სიგრძე გამჭვირვალე კუდი გამოუჩნდებოდა, რომელიც ისე არ ჩანდა. მეორე ხერხსაც მიმართავდნენ: ვისზედაც ეჭვი ჰქონდათ, თუ როდისმე მოითხოვდა მაგალითად დანას, ხანჯალს, დუქარდას და სხვა ასეთ მახვილს, მაშინ წვერით მიაწვდიდნენ. თუ ის კუდიანი იყო, არ შეეძლო წვერ-თავისაკენ იარაღის გამორთმა და გამოტყდებოდა. ამიტომ იყო რომ იარაღს წვერით არ მიაწვდიან. მაგალითად, ხანჯალი რომ მოთხოვონ ვინმეს, ის წვერს თავისკენ ან მაღლა დაიჭერს და ტარით მიაწვდის. თუ წვერით მიაწვდიდნენ, გაჯავრდებოდა – ეგ იარაღი რიგიანად მომეცი, კუდიანი ხომ არ გგონივარ, რომ წვერით მაწვდიო. კუდიანი ხთიშვილთ სახელსაც ვერ ახსენებდა და ამითაც შეეძლოთ მისი გამოტეხა. ჩააციყდებოდნენ ამა და ამ ხთიშვილი სახელი თქვი თუ არა, კუდიანი ხარ და გატყდიო. დიაცი კუდიანები ადვილად არ გატყდებოდნენ, მამაკაცი კუდიანები კი არ ზარობდნენ ამას და ადვილად გამოტყდებოდნენ. კუდიანთ ღამეს საეჭვო პირებს ჩუმად ყარაულობდნენ ლოგინში – როდის ადგებოდა, მოისვამდა წამალს და კატად იქცეოდა აჩხოტის მინდორში წასასვლელად. ამ დროს თუ მოასწრებდნენ,

იჭერდნენ და გამოტეხდნენ. ყველა მეკომური თავის სახლის წინ დიდ ცეცხლს ანთებდა. ეკლის ისრებს ბოლოებზე ცეცხლს უკიდებდნენ და ისროდნენ, თან ყვიროდნენ: გრაი გრის კუდიანთა, შაუნდნას მგლის კუდიანთა, თავისა შასვითა შაჭამეთ, თავისა გამაღვიძლეთ, ჩვენიმც ნურა მიგაქვთ. ამავე დროს ისმოდა თოფების გრიალი. ამ საღამოს თოფი ყველას უნდა გაესროლა ეშმაკებისა და კუდიანების შესაშინებლად. ამბობდნენ ძველი გატენილი თოფი რომ არ გაისროლო, კუდიანები და ეშმაკები დაპატრონდებიან და ამ თოფით რამე ხათაბალა მოხდებაო. ცეცხლიდან, რომელიც ეშმაკების საწინააღმდეგოდ ენთო ყველა მეკომური აიღებდა თითო ნიგვზურას (მუგუზალს), ავიდოდა ჯერ წინგარდზე, მერე მაღალ ბანზე და შემოსწერდა ბანის გარშემო. მერე ბანის პირზე დადგებოდნენ, შორს გაისროდნენ ცეცხლიან ნიგუზს და ხმამაღლა დაიძახებდნენ: "კუდიანებო მაგის მეტიმც ნურა მიგაქვთ ჩემის სახლისა, თავის და-ძმა გამაღვიძლეთა, სახლისკაცი". ამის შემდეგ ხანჯლის წვერით შემოხაზავდნენ ბანის გარშემო და წავიდოდნენ შინ. ამავე ღამეს იცოდნენ მესმინაედ დაჯდომა. ერთი შატილიონი მესმინაედ მჯდარა. მან თურმე შემოიწერა ხანჯლით გარშემო (არხოტის თემში ხანჯლით შემოწერა არ ყოფილა მიღებული, შემოხაზავდნენ ნახშირით და ყველა კუთხეზე გადაყრიდნენ ნახშირებს, აგრეთვე წვერით გარეთ დააწყობდნენ თითისტარებს თავის გარშემო. შატილის თემში ნახშირების გადაყრაც იცოდნენ). როგორც აღწერილია არხოტიში, ეშმაკებმა ყველა ღონე იხმარეს, რომ ის შეშინებულიყო, განძრეულიყო, ან გაქცეულიყო. ამ შემთხვევაში ისინი დასწყეველიდნენ მესმინაეს და მათი მსხვერპლი გახდებოდა. თუ არ შეშინდებოდა და გაუნძრევლად გაჩერდებოდა, მაშინ ეშმაკები დაიწყებდნენ საუბარს და მესმინაეს ყველა ნაცნობ მეზობლებზე იტყოდნენ ვის რა ხიფათი მოელოდა, ვინ როდის მოკვდებოდა და როგორი სიკვდილით. მესმინაე ამას ყველაფერს ისმენდა და იმახსოვრებდა. ბოლოს გააფრთხილებდნენ, რომ ეს მოსმენილი ამბები არსად არ ეთქვა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის "საეშმაოდ" მოკვდებოდა ზვავით ან წყლით.

ეს რომ ყველაფერი მოთავებულა, ეშმაკები წასულან და სიჩუმე ჩამოვარდნილა. მესმინაე თურმე ფიჭვის ხის ძირში იჯდა და ამ ხეს გარშემო შემოუწერა ხანჯლის წვერით. ეშმაკი დარჩენილა ხეზე. ის ვერსად ვეღარ წავიდოდა, რადგან შემოხაზულზე ვერ გადავიდოდა. ეშმაკი შეშინდა – მესმინაე წავა და ამ ხეზე შემოწერილს შიგნით დავრჩებიო. მეტი გზა არ ჰქონია, გამოეცხადა მესმინაეს და უთხრა: შენ რომ შემოსწერე, მე ამ ხეზე დავრჩი და გადასვლა არ შემიძლია, ნუ გამიმეტებ ამ ხეზე დასარჩენად, გთხოვ შენი შემოწერილი ისევ უკუღმა შემოსწერეო, რომ გზა გამეხსნას და წავიდეო. ჩემთვისაც მადლი იქნება და შენც ბედსა გწევო. მესმინაემ იფიქრა, თუნდა ბედი არ მწიოს, ეშმაკის ხეზე დარჩენა რად მინდაო, ადგა და უკუღმა შემოხაზა წრეხაზი. ეშმაკი ჩამოვიდა, მადლობა გადაუხადა და უთხრა: შენ აქამდე შვილი არ გყავდა. რაკი ასეთი სიკეთე მიყავი და გამანთავისუფლე, ვაჟიმც მოგეცემაო. ერთი წლის შემდეგ აქამდე უშვილოს მის ცოლს ვაჟიშვილი გასჩენია, ეშმაკის შელოცვით უბედური გაბედნიერებულა.

ღამე თუ ვინმე გარეთ გაათევდა ღამეს, აუცილებლივ შემოიხაზავდა გარშემო, სადაც გინდა ყოფილიყო სანადირო კლდეში თუ სამგზავროდ. დედაკაცებს ნახშირი ჰქონდათ ეშმაკის შესაშინებლად. კუდიან-ღამეს უფროსი დიაცი აიღებდა

ნახშირებს, ძროხებს გადააყრიდა თავზე და იტყოდა: "ჯვარი გეწერასთ წმიდის გიორგის დაწერილი". ამას ეწოდებოდა "საქონთ გადაბეჭდვა". აგრეთვე ნახშირით გადაბეჭდავდა ცხვრებს, პურიან გოდრებს, ბუნაგთ (ბუნაგთ უწოდებენ ერბოიან, ყველიან და ხორციან კასრებს). ბოლოს ყველა თავისი ოჯახის წევრის ლოგინთან მივიდოდა, გადააყრიდა ნახშირებს და იტყოდა: "ჯვარიმც გწერავთ წმიდის გიორგის დაწერილი". მარტო კუდიან ღამეს არ იცოდნენ ეშმაკების წინააღმდეგ ნახშირი. სამგზავროდ რომ წასულიყო ახალგაზრდა ქალი ან დედაბერი, იმასაც ნახშირებს უბეში ჩაუყრიდნენ, რომ ეშმაკს აღარაფერი ევნო მათთვის. უფროსი დიაცი ჩამოუვლიდა თავის ოჯახის წევრებს ყველას და ვისაც ღილები არ ჰქონდა გახსნილი ლოგინში,გაახსნევინებდა და ჯვარს დასწერდა.

კუდიანი ღამე იყო აღდგომის წინა ოთხშაბათს. მეორე დღეს ხუთშაბათი ითვლებოდა კუდიანთ დღედ. ამ დღეს დიაც-ყმაწვილი სოფელს ვერ გასცდებოდა შიშით. პარასკევ-დაღამებად და შაბათ გათენებად იცოდნენ "წერის კვერათ" გამოცხობა. პარასკევს დღისით პურს არ ჭამდნენ (ამას ეწოდებოდა "პორნილაობა"). საღამოზე გამოაცხობდნენ სამ პატარა მარილიან პურს (ნახევრად ფქვილი იყო და ნახევრად მარილი). წერის კვერათ უფრო გამოაცხობდნენ ქალები და თავის სწორფერ ვაუებსაც გამოუცხობდნენ. პარასკევს მშივრები იქნებოდნენ და დაღამებისას წერის კვერათ შეჭამდნენ. სიზმარში მოწყურებულს ვინც წყალს დაალევინებდა, ის იქნებოდა მისი წერის საცოლო, ან საქმრო.

მეორე დღეს იყო შაბათი და როგორც აღწერილია ახვსების წესები, ისე ემზადებოდნენ ჯვარივნები ამ დღეობისათვის.

ხთიშობელი

ანატორის ჯვარის გარდა მეორე სალოცავი შატილში იყო ხთიშობელი. მას ჰყავდა დასტურები თითო წლით, მორიგეობით. მას თავისი მამულებიც ჰქონდა და იმავე წესით ამუშავებდნენ, როგორც ანატორის ჯვარის მამულებს. დღეობებში და სათანადო წესებში ანატორის ჯვარში და აქ განსხვავება თითქმის არ იყო და როგორც ერთგან, მეორეგანაც ისე სრულდებოდა. დასტურნი წმიდობდნენ, მაგრამ იმდენად არა, როგორც ანატორის ჯვარში. ისინი ცხოვრობდნენ ოჯახში და მარტო დღეობებში წმიდობდნენ. ინათლებოდნენ წელიწადში ერთხელ. დღეობებისათვის პური ამ ჯვარს საკმარისი ჰქონდა თავის მამულებიდან. პურს დასტურები ინახავდნენ. ხთიშობელს დროშაც ჰყავდა ჩვეულებრივი. ქადაგ-მკითხავებს ის ევლინებოდა გველის სახით. მისი დახმარება ხალხისათვის გამოიხატებოდა იმაში, რომ თუ მას შემოსძახნებდა ნადირობად ნამყოფი, მიეშველებოდა და ნადირობაში ხელს მოუმართავდა. თუ ვინმე საქურდლად წავიდოდა და შემოუთქვამდა მაგ.: ეს ხარი მომაპარვიე და შენდ დავკლავო, ამის მოპარვაშიც დაეხმარებოდა და არავის დაამარცხებინებდა მას. აგრეთვე მტერთანაც მოეხმარებოდა და სხვა ხიფათსაც აშორებდა, ვინც მას საიდანმე გაჭირვებული კაცი შემოსძახებდა. მისი დღეობები არ იწერება ვინაიდან ანატორის ჯვარის დღეობების მსგავსად სრულდებოდა ყველაფერი.

ძენგლი ანუ დანადები

ძენგლი ანუ დანადები ყველა ჯვარებში იცოდნენ პირიქით ხევსურეთშიც და პირაქეთსაც. შატილშიც ედოთ ანატორის ჯვარის ძენგლი, სხვადასხვა დანაშაულისათვის. ვინც ძენგლს ასრულებდა, ხალხის თქმით, ის კარგად ცხოვრობდა და საქმე კარგად მიუდიოდა. ვინც ძენგლი აღარ შეასრულა, მისი საქმე კი საბოლოოდ ცუდად წავიდოდა. მაგ.: შატილში იყო ერთი ქვეგვარი გოგოთურანი. მათი მამის ერთ-ერთ კაცს ტყუილად დაუფიცია. ანატორის ჯვარი ამაზე გამწყრალა და დამფიცავი სასიკვდილოდ ავად გაუხდია. მკითხავს უთქვამს – ტყუილად დაგიფიცია და თუ ჯვართ არ დამადლე, აღარ მორჩებიო. ამ კაცს სამანანულო ზღვნებიც დაუხოცია, ძენგლიც დაუდვია საშვილიშვილოდ. ყოველწლიურად ათენგენას კლავდნენ თურმე თითო კურეტს, ადუღებდნენ სამი გვერდის ლუდს და იხდიდნენ ჯვარში ღამისთევა-ჟამისწირვას. ძენგლი გადავიდა მის ჩამომავლობაზე და პირველ ხანებში თურმე კარგად ასრულებდნენ. ბოლოს, უარი უთქვამთ და აღარ შეუსრულებიათ. მასზე გამწყრალა ანატორის ჯვარი და ეს გვარი ძირფესვიანად ამოუწყვეტია. თუ სადმე მათი ქალ-ქალიშვილი ყოფილა, ისინიც თურმე ბევრ ხეირს ვერ ხედავდნენ ცხოვრებაში.

გუროს სანება ანუ სახმთო

სანება იყო გურო-გიორგიწმიდის მთავარი სალოცავი. იგი პირველად დაარსებულა სოფლის მაღლა, მთაზე. რადგან ზამთარში აქ ხალხის მისვლა ძნელი იყო, ჩამოსულა და დაარსებულა სოფლის ახლოს, ოღონდ ათენგენას, სამშაბათ დღეს დღეობობდნენ ისევ იმ მთაზე, სადაც პირველად დაარსებულა. ამ დღეობას ეწოდებოდა მთავარი დღეობა. ამ ჯვარს ჰყავდა ბუდე-ხევსურეთში ორი მოძმე. ერთი გუდანის ჯვარი სახმთო და მეორე უკენ-ხადუს ცროლის მთაზე – სანება. ეს ორივე სალოცავი ხევსურეთში ითვლებოდა უდიდეს სალოცავებად. მათზე ნაკლები არც გუროს სანება ყოფილა (გუროში გადმომცეს, რომ სამივე სალოცავი სხვა სალოცავებზე დიდები არიანო. ცროლის სანება არის ღმერთი, გუროს სანებაც ღმერთია და გუდანის ჯვარი სახმთოც. ბუდე ხევსურეთში კი მითხრეს, რომ გუდანის ჯვარი – ბერი ბაადური მოხუცი კაცის სახით არისო. ზოგებმა კი როგორც წმიდა გიორგი, ისიც ისე თეთრ ცხენიანიაო. ეს ორი სალოცავი გუროსი და ცროლისა – კი ყველგან სამებად ჰყავთ წარმოდგენილი). ქისტებთან საბრძოლველად გუდანის ჯვარის დროშის ქვეშ უვლია ხევსურებს, რადგან ის უდიდესი სალოცავი ყოფილა. ცროლურისა და გუროს სანების დროშის ქვეშ კი ასეთი ამბავი არსად ყოფილა, მათი დროშებით ადგილობრივ ღამისთევაზე წავიდოდნენ.

სანება'ში ხუცესი იყო ქადაგით ჯვარისაგან არჩეული. მერე კი ხუცობა გადადიოდა მემკვიდრეობით. მემკვიდრესაც აუცილებლივ ქადაგით აყენებდა ჯვარი. მაგ: ძმები თუ იყვნენ მემკვიდრეები (ხუცესის შვილები), ერთი მათგანი ავად გახდებოდა, ან სხვა ხიფათს რამეს გადარჩებოდა და ქადაგ-მკითხავებიც უმკითხავებდნენ ხუცესად მოსვლას.

ხუცესად მიმსვლელი პირველად დაიწყებდა წმიდობას თავის სახლშიევ ჩვეულებრივი წესით. პირველად მოამზადებდა სახელოს. ჯვარში პირველად მისვლისას სახელოს ხუცესი და ხელოსანი ერთნაირად გადაიხდიდნენ. დაამზადებდნენ სამის საწყავის ლუდს. სახელოს ჩვეულებრივ ახვსებას მართავდნენ. დილას ახალ მიმსვლელი ხუცესი წავიდოდა და ცხრა ადგილას წყაროებზე დაიბანდა ტანს. რომ დაბრუნდებოდა, საკლავს დაკლავდა და გაინათლებოდა. სახელოსათვის დაკლავდნენ ხუთ საკლავს (ცხვრებს). ტყავები ჯვარში რჩებოდა, ხორცს იქვე მოხარშავდნენ ხალხისათვის ტაბლის დასადგმელად. რაც დარჩებოდა, ნახევარი პატრონს მიჰქონდა და ნახევარი კი ჯვარში რჩებოდა. დანარჩენი სახელოს წესები სრულდებოდა შედარებით განსხვავებით. მაგ.: არხოტის ჯვარში იცოდნენ სახელოს პურები დიდი მოცულობისა იმდენი, რამდენი კომლიც იყო სოფელში; ზედ დააწყობდნენ მოხარშულ ხორცს და ყველა მეკომურს დაურიგებდნენ. შატილში, ანატორის ჯვარში მესახელოე გამოაცხობდა იმდენ ხავიწიან ქადას, რამდენი ქუდიანიც იყო სოფელში და ხორცის წილობებიანად ქუდზე დაარიგებდნენ. ანატორის ჯვარში მესახელოე კლავდა დიდ ხარს, არხოტის ჯვარში კი კურეტს. გუროს სანების ჯვარის მესახელოე არც ხარს კლავდა და არც კურეტს. დაიკვლოდა მარტო ხუთი ცხვარი, იქ არც ქადა იცოდნენ და არც სახელოს პურები ხალხში დასარიგებლად. აცხობდნენ სატაბლო პურებს, ზედ დააწყობდნენ ხორცს, დადგამდნენ ლუდიან თასებს ზედ სანთლით და ხუცესი იხუცებდა ჩვეულებრივად. ხუცობის შემდეგ სადიდებელთ დალევდნენ ჩვეულებრივი წესით და ხალხს დაედგმებოდა ხორციანი ტაბლა. ქალები ჯვარიდან მოშორებით მიდიოდნენ და ტაბლას იქ უდგემდნენ. დანარჩენი წესები ისეთივე იყო, როგორც სხვა ჯვარებში. ხუცესად მიმსვლელი პირველად ამ დღეს იხუცებდა.

ზოგი ხუცესად მიმსვლელი თავისთავად "გაირყვნებოდა" ("გარყვნა"-ს უწოდებდნენ რომ ჩვეულებრივი ადამიანი გადავიდოდა ვითომც სხვა სამყაროში და ღვთიშვილთან დაიწყებდა ლაპარაკს), დაიწყებდა ქადაგ-მკითხაობას, ხან ხუცობდა ძილში, წმიდობდა და ამის შემდეგ მივიდოდა ხუცესად. ამ ჯვარ'ში მედროშაე და უბრალო ხელოსანიც ქადაგით დგებოდნენ.

ქადაგითვე დგებოდნენ მედიდჯვარე დასტურებიც, რომელთაც წელწადში ირჩევდნენ ორი წლის ვადით.

ქადაგი იგივე ხუცესი იყო აქ. წელწადში ჟამისწირვის შემდეგ, ერთ-ერთ დღეს ის დაჯდებოდა დარბასში, აანთებდა და დააკრავდა კედელზე სამ ფეხ სანთელს და შეეხვეწებოდა წმიდა სანებას: "წმიდაო სანებაო, შენ მიშველე. შამაძახილზე ნუ შამისაწყინდები. მათქმი შენი სახელით, დამასახელები ის დასტურ, რომენიც მომავალ ორ წელს უნდა გაჭდას შენ უღელდებულ დასტური". ამის შემდეგ ქადაგიც და ხალხიც გაჩუმდებოდნენ. ხალხი იქაურობას დაათვალიერებდა, რომ ძაღლი არსად ყოფილიყო, რადგან მათის წარმოდგენით, ჯვარი არ ჩამოვიდოდა, თუ აქ სადმე ძაღლი იყო. ქადაგი დაიწყებდა მთქნარებას და ცრემლების გადმოყრას, გაუყრიდა თითებს თითებში და დაიწყებდა ქადაგობას ხმამაღლა. დაასახელებდა დასტურებს. ხუცესი ანუ ქადაგიც და სხვა იქ დამსწრე ხალხიც დაამწყალობნებდნენ ახალ დამდგომ დასტურს. ამის შემდეგ ისინი შეუდგებოდნენ სადასტურო სამზადისს და ახვსებას პირველად მივიდოდნენ ჯვარში დასტურობის შესასრულებლად.

ხვნა-თესვა, ტყე

ჯვარის მამულების ხვნა-თესვა აქ სხვანაირი წესით იცოდნენ. მამულები განაწილებული ჰქონდათ და ყველა ცალ-ცალკე ამუშაებდა. ყველანი მოხნავდნენ თავ-თავის წილ მამულს და თესლს თავის ოჯახიდან დათესავდნენ. თითო კომლს უნდა დაეთესა თავისი პური საჯვარო მამულზე სამი გვერდი, მოეხნა, დაეფარცხა, მოემკო და მერე დასტურები მოიტანდნენ, გალეწავდნენ და ინახავდნენ პურს ჯვარში. ხმარობდნენ დღეობებში განსაზღვრულის რაოდენობით.

გარდა გუროს სანების ჯვარისა, სხვა სალოცავების მამულებზე თავისი საკუთარი ქერი არსად ითესებოდა. აქ კი, როგორც ვთქვით, სამ გვერდს, ე.ი. ფუთნახევარ ქერს თესავდა ყველა კომლი.

ტყე გუროს სანებას საკუთარი ჰქონდა, სოფელთან ახლო. ეს ტყე ჯვარს მაშინვე დაუჭერია, როცა დაარსებულა. იგი დაცული არის მას აქეთ ისე, რომ ერთი სახრის გამოტანაც არავის შეუძლია. დასტურებს გამოჰქონდათ მხოლოდ ხმელი ნამტვრევები და ხმარობდნენ ჯვარში. ნედლის მოჭრის უფლება არც დასტურებს ჰქონდათ.

სათიბები და ყამირები ბევრი არ იყო და რაც იყო, დასტურები ხმარობდნენ.

დღეობები

დღეობას ახალი დასტური პირველად იწყებდა ახვსებას. ისინი სალუდე ქერს აიწყავდნენ ჯვარის ქერიდან, დააფორებდნენ, დაფქვავდნენ და ადუღებდნენ ლუდს. მედიდჯვარე დასტურნი წელიწადში ოთხ მთავარ დღეობას ასრულებდნენ: ახვსება, ათენგენა, გიორგობა და წელწადს. დანარჩენი დღეობები სრულდებოდა მეწვრილდასტურე დასტურებისაგან.

აჭვსება

აჭვსებამდინ დასტურნი ერთი კვირით წინ ადუღებდნენ ლუდს,რომელსაც ხუცესი აფუვლებდა. აჭვსების წინა დღეს ყველა ჯვარიენები მივიდოდნენ ჯვარში და აკეთებდნენ თავ-თავის საქმეს. მედროშაე აბამდა დროშას ისეთსავე წესით, როგორც ნათქვამია ანატორის ჯვარში. ხუცესი მოსჭიჭავდა და გაამზადებდა ლუდიან კოდს. დასტურნი მოიყვანდნენ და დაკლავდნენ თავის სანათლავებს და ერთ საკლავს სისწვენთ სანათლავად. (სისწვენთ სანათლავს ეს დასტურნი ყველა დღეობაში კლავდნენ. ეს იმიტომ რომ ლუდი წმიდა ყოფილიყო და გაწმენდილი ყველა უწმიდურებისაგან. რადგან ფორი ქალებისაგან იყო გაკეთებული, საჭირო იყო მისი განათვლა-განწმენდა). დასტურთ სანათლავებს დაკლავდა ხუცესი ჩვეულებრივი ხუცობით. ბოლოს დასტურთ თავ-თავის სანათლავის სისხლს

წაუსვამდა შუბლზე და გულზე ჯვარედინად. სისწვენთ სანათლავზედაც დასტურთ ახვეწებდნენ და, როცა დაკლავდნენ, ამ საკლავის სისხლს უწევდნენ ლუდიან კოდს. მერე დასტურნი მოიტანდნენ ჯვარის თას-განძს, გარეცხავდნენ და მოათავსებდნენ სიპის თაროზე, მათთვის განკუთვნილ ადგილებზე. ამ საღამოს ყველა ჯვარივნები მოიყვანდნენ სანათლავებს და ინათლებოდნენ. მერე ხუცესი გახსნიდა კოდს, ამოიღებდა ერთ სახუცო კოჭობ ლუდს, დადგამდა კოდთან, დააკრავდა ზედ ანთებულ სანთელს და იხუცებდა. მერე ცოტას დალევდა და სხვა იქ მყოფელთაც დაალევინებდა. ბოლოს, დასტურნი მოიტანდნენ ღამისამთელოს ერთ ქადას და უთევდნენ ღამეს (ღამისამთელო იცოდნენ ერთი ქადა ხავიწიანი და ზედ ხუთი სადობილო, პატარ-პატარა თხელი ხმიადები. ჟამსაწირი კი ორი ქადა იყო უბრალო გულიანი, ზედ ისევ ხუთი სადობილო ხმიადები ეწყო). ღამისთევაზე და ჟამისწირვაზე აქაც სამ-სამი ლუდიანი თასი იცოდნენ ზედ ანთებული სანთლებით. ხუცობაში ხუცესი ახვეწებდა ჯვარს მთელ სოფელს გუროს და, ბოლოს, ახსენებდა უღელდებულ დასტურთაც. ბოლოს თასების ყველა წესი შესრულდებოდა. როცა თასებს ჩამოიყრიდნენ და თავის ადგილებზე მიაბძანებდნენ, მერე დასხდებოდნენ განკუთვნილ ადგილებზე და იმართებოდა სმა. ამოიტანდნენ ლუდს ხელის ჩხუტით და ყველას დაალევინებდნენ. ჭირის პატრონი ფანდურს გასტეხდა. იმასაც შემღერნებდნენ გულის გამამაგრებელ სიმღერებს, თან იმის მღერაში ამბობდნენ: "აი ღმერთმა ნუღარაით დაგამწუხრას, დიდხანამც იმღერ კაი გულით".

მღერის შემდეგ დასხდებოდნენ პურის საჭმელად. როცა დრო გავიდოდა, სტუმრები წავიდოდნენ. დარბასში ლოგინი მარტო ხუცესისთვის იყო გაშლილი. დანარჩენ ჯვარივნებს სპეციალურად მოწყობილი ლოგინი არ ჰქონდათ. ქაზდარზე გაიშლიდნენ ჩალას, ზედ ფარდაგს და თავ-თავის გუდანურს დაიხურავდნენ (ამ ჯვარში სკამებიც არავის ჰქონდა განკუთვნილი, როგორც მაგალითად ხახაბოს ჯვარში. სკამის მსგავსად, დარბასის გარშემო ქვები იყო შემოწყობილი. დასხდებოდნენ სათავის მხარეს ჯვარივნები და მერე სხვა ხალხი უფროსობის მიხედვით. მეორე დილას დასტურნი ადრე ადგებოდნენ, დაათვალიერებდნენ ჯვართ გარშემო დაკარგული ან გატეხილი ხომ არაფერი იყო. ჯვარივნები არაყს რომ დალევდნენ დასხდებოდნენ დარბასში. დასტურები ხორცს მოხარშავდნენ, ხუცესი ლუდს დაუსხამდა და გაიმართებოდა სმა. დასტურები მოიტანდნენ ჟამსაწირს. აქ ჟამსაწირი ორი ქადა იცოდნენ ზედ კი ხუთი საწირი. დააწყობდნენ ჩვეულებრივად და დაიწყებოდა ხუცობა, ხუცობის შემდეგ სადიდებელი წესები, თავ-ხმელად მღერა და სხვა. შემდეგ ტაბლას დადგამდნენ და ჯვარივნები პურს ჭამდნენ. ამის შემდეგ მოიყვანდნენ სოფლის სარიგოსაც, რომლის დაკვლის შემდეგ, მოვიდოდა სოფლის ჯარიც. აქ ჯვარიონთ იმ წესით გამოსვლა არ იცოდნენ, როგორც შატილში. მხოლოდ ხუცესი გამოვიდოდა და, თუ რამე აუცილებელი საჭირბოროტო საკითხი იქნებოდა ჯვართ ირგვლივ, ამას იტყოდა, ან დარბასი, საქვაბე და სხვა თუ რამე იყო შესაკეთებელი და სხვა. ხუცესის გამოსვლას როგორც ანატორის ჯვარში, აქაც ქუდმოხდილი შეხვდებოდა ხალხი. ბოლოს, მიიპატიუებდნენ, ჯარზე დასვამდნენ და დაალევინებდნენ. შატილის ჯვარიონნი მთლიანად გამოვიდოდნენ და მთლიან საჯვარო და სახალხო საქმეებზე ლაპარაკობდნენ. ხელში ეჭირათ

ლუდიანი ვერცხლის თასები. ერთ-ერთ თასში კენჭს ჩაყრიდნენ, თასების სმაში თავ-სმელად იმღერებდნენ, დაამწყალობნებდნენ კაის მთქმელსა და კაის მგონეს, სოფლის გამმაგრებელს. დაარისხებდნენ სოფლის გამტეხსა და მოღალატეს. გურაში კი, როგორც ითქვა, ასეთი არაფერი ხდებოდა. მარტო ხუცესი გამოვიდოდა, საჯვარო საქმეებზე იტყოდა და ამით თავდებოდა.

ხუცესის ყოფნის დროს ჯარზე დიდი სიწყნარე იყო. მის პატივსაცემად იწყებდნენ ფანდურზე მღერას; ხუცესსაც და სხვა უფროს ხალხსაც მისცემდნენ ლუდიან თასებს. ისინი ქუდებს მოიხდიდნენ და ისე ისხდნენ თასით ხელში. ერთ-ერთ მომღერალს შეუკვეთდნენ: ჩვენის ჯვარის გამძღოც აქ არის და კაი სიმღერე გვიმღერეო. სირცხვილად მიაჩნდათ თუ სიმღერეს შეუკვეთდნენ და ის უარს ეტყოდა – მე ეს სიმღერე არ ვიციო. ამიტომ ახალგაზრდებს ყოველთვის ავალდებულებდნენ, რომ ყველა თუ არა, ძალიან ბევრი საგმირო სიმღერები ესწავლათ.

ახვსება სამი დღე იცოდნენ. ყოველდღე მიდიოდნენ დიაცებიც და თავის დანიშნულ ადგილზე დასხდებოდნენ. ორი ახალგაზრდა გაიტანდა საწდით ლუდს და დაალევინებდა მათ. ჯვარში მოდიოდა მრავალნაირი მეზღვნე, ზოგი დასაკოჭავად, ზოგს თავისუფალი ზღვენი მოყავდა (თავისუფალს უწოდებდნენ ქალის მოყვანილ საკლავს. ის უნდა ყოფილიყო ქალის საკუთარი სამკაულით ან ტანსაცმლით ნაყიდი, თავისი რომელიმე ოჯახის წევრის სამხვეწროდ), ზოგს მისამბარეო (მისამბარეო ზღვენი – როცა ოჯახის რომელიმე წევრი ძილში შინდებოდა ან ელანდებოდა რამე, ან სულ პატარა ბავშვი იყო და ღამეს ბევრს ტიროდა. ეძახოდნენ "უფრის სულწამაყრილს". უფერი არის ეშმაკი და ვითომც იგი ხანდახან მიუახლოვდებოდა ავადმყოფს. მას ისეთი სუნი ჰქონდა, რომ ავადმყოფზე ცუდად მოქმედებდა. ასეთ ავადმყოფებს მიიყვანდნენ და ჯვართ მიაბარებდნენ საკლავით. შეიძლებოდა საწირსაც რამეს მიაყოლებდნენ და სთხოვდნენ ჯვარს, რომ ავადმყოფი დაეფარა ეშმაკისაგან), სამანანულო ზღვენი და სხვა. ჯვარიენები ყველას თავისებური წესითა და ანგარიშით დაკლავდნენ, ამწყალობნებდნენ მეზღვნეებს, თან ლუდს ასმევდნენ. ამ დღეს იმდენი საკლავი მიდიოდა, რომ დასტურები გატყავებას ვერ აუდიოდნენ. საღამო ხანზე კი ჯარიც დაიშლებოდა. მეზღვნეც მზის დასავლის შემდეგ აღარ მოვიდოდა, რადგან "უმზეურთ" ზღვენს არ კლავდნენ. ამ წესებითვე გაივლიდა ახვსების სამივე დღე. და, ბოლოს, გამოილოცავდნენ ისეთი წესით, როგორც ანატორის ჯვარში. ახვსების შემდეგ გამოლოცვაში ვინც ესწრებოდა, თითო სანთელს ყველა ანთებდა და დააკრავდა კედელზე დარბასში.

ამაღლება

ამაღლება მოდიოდა ახვსებიდან ექვსი კვირის შემდეგ. დღეობობდნენ ორ დღეს. სხვებისგან ეს დღეობა ბევრით არ გამოირჩეოდა. მხოლოდ მეწვრილდასტურე ასრულებდა დასტურობას და შედარებით დაბალხარისხოვანი დღეობაც იყო. ამ დღეობაში გურაში მცხოვრებლების უმრავლესობა სანათლავს კლავდა და ინათლებოდა. მიბარება ნაკლებად იცოდნენ. ამის შემდეგ მოდიოდა დღეობა ათენგენა.

ათენგენა

ათენგენა გრძელდებოდა ხუთი დღე. ეს ითვლებოდა მთავარ და დიდ დღეობად. დღეობისათვის ყველაფერს ამზადებდნენ მედიდჯვარე დასტურები. ხუცეს-ხელოსნებიც ჯვარში იყვნენ "საწმიდარ" და ქვაბების დულილში ხშირად ეხმარებოდნენ დასტურებს. ქვაბების დულილი მოთავდებოდა ათენგენის წინა დღეს. ხუცესი ლუდს "შახყრიდა" ასაფუებლად. საღამოს ხანზე დასტურები ჩვეულებრივ მოიყვანდნენ სისწვენთ სანათლავსაც და თავის სანათლავებსაც. სანათლავს კლავდა ხუცესიც და მედროშაე ხელოსანიც. ხუცესი კოდს მოამზადებდა, დასტურები საკლავებს გაატყავებდნენ, მოიტანდნენ ღამისამთელოს და უთევდნენ ჩვეულებრივად ღამეს. ღამის თევაშიც და ღამისთევის შემდეგაც სრულდებოდა ყველა ის წესი, რაც ახვსებას.

მთობა

მეორე დღეს მოდიოდა დღეობა მთობა. მთობა აქ ითვლებოდა მთავარ დღეობად. მთა ანუ წვერი არის სოფ. გუროს მაღლა, სადაც სანება პირველად დაარსებულა. ზაფხულის დღეობებში იქ ადიოდნენ. თვით ჯვარის ბრძანებით დღეობობა ამ მთაზე წელიწადში ერთხელ დაუნიშნავთ. მთაზე ყველა მიდიოდა – დიდი და პატარა. ქალებს მიჰქონდათ თითო ხავიწიანი ქადა და სანთელი. ჯორებს აჰკიდებდნენ ლუდიან თულუხებს და ისე აჰქონდათ. მიდიოდნენ ზღვნებითა და საწირით. ასვლაში ჯვარიონნი დროშით წინ გაუძღვებოდნენ ხალხს. დროშას მიაბძანებდნენ სადროშე კოშკზე. მითელ-მოთელაედნენ გამდიდრებულ ბალახს ხალხის მოსასვლელად და დასასხდომ ადგილზე. ხალხი მოიყრიდა მუხლს, ემთხვეოდნენ მიწას და მოსთხოვდნენ მადლს: "დალოცვილო წმიდაო სანებაო, ნუ შაგვისაწყინდები შენის კარისა, კამალაის დალაჭვისად. გეიშველე, ნუ რაით შაგვცოდვებ, ჩვენ ჭორციელნი ორთ, უტნი, უმეცარნი. ბევრს გაწყენთ ჩვენი უცოდრობითა, შენ გვაპატივი. მეწალმართე ანგელოზ დაგვაყოლი, შენის სახელის ჭირიმ (იმიტომ იტყოდნენ შენის კარის და კამალაის დალახვაზე ნუ შამისაწყინდებიო, რომ ამ ადგილზე, გარდა ამ დღისა, ფეხის დადგმა არავის შეეძლო. ამ "წმიდა" ადგილზე რომ დადიოდნენ ძალიან ეუცხოვებოდათ, წმინდა სანებას არაფერი სწყენოდა). მადლის მოთხოვის შემდეგ ადგებოდნენ და იქვე პირ–ხალხისაკე მდგომ ჯვარიონთ ეტყოდნენ: "აშენდით ჯვარიონნო, წაღმამც წაგივათ დღეი დღეობა. – წაღმამც იქნებით, მაგვიხვეით მშვიდობით, მშვიდობით თქვენ მასვლა, წყალობა წმიდის სანებისა, წაღმ დაგხვდასთ წმიდის სანების დავლათი. გიშველასთ,სიხარულა გაგიჭადასთ თავის კარისა,კამალაის ლოცვა, კლოვ უკეთი გულით შამაგაჭდინასთ." – ეტყოდნენ ჯვარიონნი. ამის შემდეგ ჯერ ჯვარიონნი მიბრუნდებოდნენ (მათ ხმას სხვა მოსული ხალხიც აჰყვებოდა), დიაცებს დაამწყალობნებდნენ. ამის შემდეგ ხალხი დაისვენებდა ბალახიან ბორტვზე. ჯვარიონნი ხალხს ერთ თულუხ ლუდს მისცემდნენ. ამას მოჰყვებოდა

ზღვნობა. პირველად დაიკვლოდა სოფლის სარიგო; დაამწყალობნებდნენ მთელ სოფელს. შემდეგ მეზღვნეები მიიყვანდნენ თავ-თავის ზღვენს და ეტყოდნენ ხუცესს რა სახის ზღვენი იყო და ვის სამწყალობნოდ უნდა დაკლულიყო. საწირი თუ ვინმეს ჰქონდა, ან საკლავს მოაყოლა ან ცალკე, იმასაც ჯვარიონთ მისცემდა. ზოგს მიჰყავდა ამ ბორტვის ნაკვეთის სანათლავი. იმიტომ რომ ოდესღაც აქ უწმიდური ფეხით გაუვლია, ეს მკითხავმა გაუგო მისი ავადმყოფობის დროს და ურჩია ბორტვის ნაკვეთის დანათვლა. ზოგს მოჰყავდა დროშათ სანათლავი, ესეც იმიტომ, რომ ან ქალს გაუვლია დროშათ სიახლოვეს, ან კაცს გაუვლია ახლო უწმინდურობის დროს. თუ ის ავად გახდებოდა, თვითონაც იმას დააბრალებდა და მკითხავიც ურჩევდა, რომ დროშა გაენათლა.

საკლავის დაკვლის დროს აქ იდგა პატარა თასი სასისხლე. საკლავის სისხლი მასში ჩადგებოდა და ბალახის პატარა კონით ასხურებდნენ თუ ბორტვის ნაკვეთის სანათლავი იყო ბორტვს, თუ დროშათ სანათლავი იყო დროშას და ა. შ. ზღვნობა კარგა ხანს გასტანდა. ზღვნების ტყავი და ნახევარი პატრონს რჩებოდა, ნახევარს კი აქ მოხარშავდნენ და ხალხს ტაბლას დაუდგამდნენ. ამ დღეობაში იცოდნენ ყოველგვარი გართობა-მხიარულობა: მღერა ფანდურზე, ლექსობა,თამაშობა,ფერხისის მღერა, თოფოსნობა, ჯილდოზე რბოლა და სხვა. დადგამდნენ "ჯილდას" (ნიშანს) და თოფებს ესროდნენ. ვინც მოარტყამდა ჯვარიონნი ჯილდოს აძლევდნენ საკლავის ფელკს (ნახევარ საკლავს) ანდა შეიძლება ვინმეს სხვა რამე დაედგა ჯილდაზე – ჯღნები, ცხვარი და სხვა. ჯილდოს ვინც აიღებდა, ის არაყს იშოვიდა და დალოცავდა იმ მიცვალებულისათვის, ვისთვისაც ჯილდა იდგა ("ჯილდის დაყენება" იცოდნენ მიცვალებულების პატრონებმა თავის მიცვალებულებისათვის. თუ ვინმეს რამე ემეტებოდა, იმას დალოცავდა, დააყენებდა მისთვის), იცოდნენ აგრეთვე სირბილში შეჯიბრი. ჯვარიონნი გამოუცხადებდნენ ახალგაზრდებს: ვინც დანიშნულ ადგილზე მიასწრობს, ერთ ცხვარს მივცემთო. ახალგაზრდები მწკრივად დადგებოდნენ და გაიქცეოდნენ,ვინც წინ მიასწრებდა,ხორცი იმისი იყო. ხან ლუდს დაუყენებდნენ, ხან თვითონ რამეს აყენებდა ხალხი და ამაზე არბოლებდნენ "ქვეითთ" (ქვეით რბოლას უწოდებდნენ ქვეითა ხალხის გაქცევას). აქვე იმართებოდა მღერა-ლექსობა და თამაშობა. ხორცი რომ მოიხარშებოდა, ტაბლისათვის წვრილად დასჭრიდნენ და დაანაწილებდნენ. დააწყობდნენ დიაცებისაგან მოტანილ ქადებს, დააკრავდნენ სანთლებს და იხუცებდა ხუცესი. ხუცესი ახვეწებდა მთელ სოფელს, ქადების მომტანს და ყველა იქ მყოფთ. ამ დროს ქუდმოხდილი კაცები და ქალები თავის ადგილზე ფეხზე იდგნენ. ხუცესი მოათავებდა ხუცობას და დაამწყალობნებდნენ ერთი-მეორეს ყველანი. ბოლოს ქადებს ოროლად გაჭრიდნენ. ნახევრები დიაცებს შინ მიჰქონდათ, ნახევარ ქადებს კი დასტურები დაჭრიდნენ წვრილ-წვრილ ნაწვრეთებად და დაგებულ ტაბლაზე დააწყობდნენ, ტაბლისათვის სატაბლო პურები დასტურებს ჰქონდათ მოტანილი. ზედ ხორცს დააწყობდნენ და დაუდგამდნენ ხალხს ტაბლას თავის კარახანებით. კარახანაზე თავხმელად მღეროდნენ საგმირო სიმღერებს.

ბოლოს სუფრას აუმატებდნენ და დასტურებსაც პურს აჭმევდნენ. ქალებსაც ხორციან ტაბლას და ლუდს გაუტანდნენ. ბოლოს ყველანი ერთბაშად მოიყრიდნენ მუხლს, მოსთხოვდნენ მადლს, აქვე დაბამდნენ ფერხისას და ფერხისის მღერით წამოვიდოდნენ. წამოსულ ხალხს ჯვარიონნი გამოაცილებდნენ

და წყალობის ოქმით გამოისტუმრებდნენ. ამნაირად შორ გზას გამოივლიდნენ და მერე დაიშლებოდა ფერხისა. ბოლოს ჯვარიონნიც აჰკიდებდნენ ჯორებს ნარჩენ ტყავ-ხორცს, ნახორს და წამოვიდოდნენ. მედროშაე ჩვეულებრივ ააბრძანებდა დროშას და ზარის წკარუნით ნელ-ნელა გამოჰყვებოდა ჯვარიონთ. სოფელში ჩამოსული ხალხი დაიშლებოდა, ჯვარიონნი კი ჯვარში გამოვიდოდნენ. ეს იყო მეორე დღე. დანარჩენი ათენგენის დღეებიც იმავე წესით წავიდოდა, როგორც პირველი და მეორე დღე. ამ დღეებში იცოდნენ ძენგლიც. აქ ისეთი გვარი არ იყო, რომ ძენგლი არ სდებოდა ჯვარში შუღლზე. ძენგლის წესები აქაც ისეთივე იყო, როგორც ანატორის ჯვარში. დანარჩენი წესებიც გამოლოცვიანად ჩვეულებრივ ტარდებოდა. ამის შემდეგ უნდა ყოფილიყო დღეობები ჯერ თიბის თავი, მერე მარიანობა და ბოლოს *ენკენია*. ეს დღეობები წმიდა სანებაში არც ერთი არ იცოდნენ.

გიორგობა

გიორგობა გრძელდებოდა ორი დღე. ამ დღეობას ასრულებდნენ მეწვრილდასტურენი. ეს დასტურნი ისე არ წმინდობდნენ, როგორც მედიდჯვარე დასტურნი. ეს უკანასკნელნი ყველა თავის კუთვნილ დღეობაში ინათლებოდნენ. მეწვრილდასტურენი კი წელიწადში მარტო ერთხელ გაინათლებოდნენ. არც ხუცესი ინათლებოდა ამ დღეობაში, მხოლოდ ერთხელ სანების ჯვარის დავალებით განათლულა სიგირგალ გოგოჭური, ხუცესი სანებისა. ის გაქადაგებულა, წასულა და ძალიან ცუდ მისასვლელ კლდიანში მისულა. იქ ერთი კლდის ძირიდან ამოუთხრია ვინ იცის როდის დამალული ვერცხლის ჯვარი. იმასთან ერთად სხვა რაღაც ნიეთი ყოფილა და ჯვარს ნება არ მიუცია იმის წამოღებისა.

ამ დღეობაში არც დროშა გამოდიოდა, არც სისწვენთ სანათლავი იცოდნენ. დანარჩენი წესები ღამისთევა-ჟამისწირვა, ჩვეულებრივ ტარდებოდა როგორც სხვა დღეობებში.

ქრისტე

ქრისტე მოდიოდა წელწდის წინ ერთი კვირით ადრე. ამ დღეობასაც ასრულებდნენ მეწვრილდასტურენი იმავე წესებით როგორც გიორგობას.

წელწადი

ეს დღეობა გრძელდებოდა ხუთ დღეს: წელწადი, კუმეტი, შუადღე, გამცხადება და გამოლოცვა. ამ დღეობისათვის ემზადებოდნენ მედიდჯვარე დასტურნი. როგორც ეიცით, დღეობისათვის საუკეთესო ლუდს ამზადებდნენ და არაყსაც ხდიდნენ. ჯვარიენები საწმიდრობდნენ ჯვარში.

დასტურები ხუთი დღით ადრე იწყებდნენ ლუდის დუღილს. უკანასკნელი ქვაბი "ჩამოუვიდოდა" წელწდის წინა დღეს. ამ დღეს ყველა ჯვარიენები ინათლებოდნენ (მანამდე ყოველ დილით იბანდნენ ტანს ციე წყაროზე) და შეუდგებოდნენ თავ-თავიანთ საქმეს. მოსაღამოვდებოდა და მოვიდოდნენ მეკვლენიც. მეკვლეში, აქაც ისე მოდიოდნენ სოფლიდან ყველანი, როგორც ანატორის ჯვარში. მეკვლენი თან მოიყვანდნენ ორ კარგ ცხვარს – სარიგოს და დაკლავდნენ. დასტურნი გაატყავებდნენ და მეკვლეთათვის ხორცს მოხარშავდნენ. ტყავები ჯვარიონთ სასარგებლოდ რჩებოდა. მეკვლენი რომ იზღვნობდნენ, წავიდოდნენ ისევ შინ (მეკვლეთ მოსვლა, ზღვნობა, ამ სარიგოებზე ხუცობა ისეთი იყო, როგორც ანატორის ჯვარში). სახლში ივახშმებდნენ და წამოვიდოდნენ ყველანი ისევ ჯვარში, მეკვლენიცა და არამეკვლენიც. თან მიჰქონდათ თითო ღერი სანთელი და შეშა. ხალხი ისევ ჯვარში მოიყრიდა თავს,გამოიტანდნენ დარბასიდან ლუდს და დაიწყებდნენ სმას. სმის დროს მხიარულობდნენ. როგორც შატილში, აქაურ მეკვლეშიც უფროსები ახალგაზრდებს არ უშლიდნენ ხუმრობას და ლექსობას. სხვა სოფლის ჯარზე კი უფროსებთან ეს ეკრძალებოდათ. მხიარულობით გაიელიდა ღამე. სხვა ჯვარებში იცოდნენ სასანთლეები და ტაბლაზეც ამის ნაჭრებს აგებდნენ. აქ სასანთლეები არ იცოდნენ, მიჰქონდათ მარტო სანთლები და სადიდებელ თასზე ანთებდნენ. ტაბლისათვის კი დასტურები აცხობდნენ ჯვარის პურიდან სატაბლო პურებს და მიჰქონდათ მეკვლეთ ტაბლისათვის. ჯვარიენებიც მოიტანდნენ ვერცხლის თასებს და დადგამდნენ სადიდებელთ ისეთი წესით, როგორც არხოტის ჯვარში. სადიდებელთ თასს რომ დაიჭერდა ხელში, ხუცესი მოჰყვებოდა სოფლის საჭირბოროტო და საჯვარო საქმეებზე საუბარს. ბოლოს დაამწყალობნებდა სოფლის სასარგებლო კაცს და დაარისხებდა მოღალატეს. სადიდებელთ სმაში იმართებოდა ფეხზე მღერა და სხვა. ბოლოს სადიდებელთ თასებს "ჩამოხყრიდნენ" და ჩაიბარებდა დასტური. ისეთი წესით სრულდებოდა ეს ღამე, როგორიც ანატორის ჯვარში.

თენებაზე მეზარე ანუ ხელოსანი ზარს დარეკდა და ხუცესი მეკვლეთთან მივიდოდა. შეიტანდა ჩოხის კალთით თოვლს, დააშლიდა მეკვლეთ თავზე და მიულოცავდა ახალ წელს. გასულ ხუცესს თან გაჰყვებოდნენ და მოსთხოვდნენ მადლს დარბასის კარში. აქ სხვა ჯვარიენებიც მიეგებებოდნენ და მიულოცავდნენ ერთიმეორეს ახალ წელს. მოლოცვა იყო ისეთივე, როგორც შატილში. მერე აქ დაიკვლოდა ერთი სარიგო კიდევ. მეკვლე-დილას შეთქმული ზღვნებიც მოდიოდა. დანარჩენი წესებიც ისე სრულდებოდა, როგორც იყო ანატორის ჯვარში. ბოლოს მეკვლენი ფერხისის მღერით წამოვიდოდნენ. სიმღერით იმ მანძილს გაიელიდნენ, მანამ სიმღერე გაჰყვებოდათ. გზადაგზა თოფებს ისროდნენ და ისე შემოვიდოდნენ სოფელში. დანარჩენი წესები იმ სახით სრულდებოდა, როგორც შატილში, მხოლოდ მეკვლენი რომ სახლებში მივიდოდნენ და სამეკვლეოს შეაგორებდნენ, ცოტა ხნის შემდეგ ისევ მოიყრიდნენ თავს, აიღებდნენ საარყე ტიკს, გავიდოდნენ სოფლის ნაპირში და იწყებდნენ სოფლის შემოვლას ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირამდე. შედიოდნენ ყველას სახლში და ულოცავდნენ ახალ წელს. ყველა მეკომურს ჰქონდა არაყი დამზადებული და მეკვლეთ კარგად გაუმასპინძლდებოდნენ.

ყველა ოჯახში იმართებოდა დიდი მხიარულება. მეკვლეთ თან დაჰყვებოდა სოფლის ქალ-ზალიც და ყველანი ერთად მხიარულობდნენ. ვისთანაც მივიდოდნენ ყველანი ტიკში არაყს ჩაუსხამდნენ. ბოლოს იქ დარჩებოდნენ, რომელ ოჯახშიაც დაუღამდებოდათ, აქ დაიწყებდნენ ამ არყის სმასაც და ჯვარიდანაც მოიტანდნენ ლუდს. აქვე ჯვარიდან მისცემდნენ ხორცს, მოხარშავდნენ და ხალხი ჭამდა. მთელი ღამე მხიარულობაში გაივლიდა, თეთრად გაათევდნენ ღამეს. გათენდებოდა და წავიდ-წამოვიდოდნენ თავთავის სახლებში.

სხვა სოფლებში ყველგან, მეკვლეთ მოსვლის შემდეგ, მეზობელი მეკვლის შეყვანა და კვალის შეტანინება იცოდნენ სახლში. გურეში კი როგორც ვთქვით, სოფელს მეკვლენი მთლიანად შემოივლიდნენ. თვითონ ულოცავდნენ ყველას და კვალიც მათვე შეჰქონდათ. ასეთი წესი მარტო გურეში იყო.

დანარჩენი წელწდის დღეების წესები არ განსხვავდებოდა შატილის წელწდის წესებისაგან. მეთამაშე აქაც არ იცოდნენ და არც ქურდობა. სხვა კი ყველაფერი სრულდებოდა ჩვეულებრივად. გაივლიდნენ წელწდის დღეები და გამოილოცავდნენ ჩვეულებრივი წესითვე.

აღება

აღება იცოდნენ ისეთისავე წესით, როგორც შატილში. დღეობა ჯვარშიაც იყო და სოფელშიც. ჭირის პატრონები უძღვებოდნენ ხალხს, გაშლიდნენ ტალავარს და დიაცები ტიროდნენ.

აღებას მოჰყვებოდა მარხოშამაე. მარხოშამაეც შატილის მარხოშამაის წესებისგან არ განსხვავდებოდა. მას მოსდევდა დიდმარხვის ყველა წესები ჩვეულებრივ და ამით მთავრდებოდა შატილის თემში რელიგიური ამბები.

მიღმახევი

გიორგი წყაროსგორისა ხახაბოში

ეს სალოცავი მოყვანილი არის მატნიდან[1]. ჩვენს სოფელში ამჟამადაც რამდენიმე კომლი არის, რომელთაც ბატარიათ ვეძახით. ისინი მოსულნი არიან კახეთიდან, სოფელ მატნიდან. მათი ჩამომავლობა აქაც ძალიან არ გამრავლებულა. მათ პაპას ბატარიას კახეთში კაცი შემოჰკვდომია და იქიდან გამოქცეულა წელწად დილას. მოუპარავს და თან წამოუღია გიორგი წყაროსგორულის ხატი. წყაროსგორულს მისთვის ნება არ მიუცია რომ ფეხსაცმლით ეელო, როცა ხატი მოჰყავდა. გაუხდია ფეხსაცმელი, გადაუყრია და ფეხშიშველი წამოსულა. მთაზე რომ ამოსულა, დიდი თოვლი ყოფილა და გასჭირვებია სიარული, ჩაწოლილა

[1] მიამბო ვაჟა მამიაურმა. 70 წლისა ყოფილა ხუცესი და ამჟამად ჩაყარდნილია ლოგინად. საუბრის დროს აქ იყვნენ და ეხმარებოდნენ: ლეკო და ხთისო მინდიკაურები, 60 წელს გადაცილებული ორივე და ამავე დროს სხვებიც ღებულობდნენ საუბარში მონაწილეობას.

ფეხშიშველი, პერანგიანი და გულზე გიორგის ჯვარი დაუდვია. ისე დამცხაო, იცოდის თურმე, რომ სულ არ ვგრძნობდი თუ ზამთარი იყოო. მერე ამდგარა, წამოსულა და თურმე თოვლზე ისე მოდიოდა, რომ ფეხი დაბლა არ უვარდებოდა. გადმოსულა მთაზე და სწორედ წელწად-დილას მოსულა ხახაბოში, წყაროსგორს. ჯვარი ხელიდან გაფრენია და იქ დაარსებულა. უნახავთ ხახაბოელებს, რომ წყაროთგორს ფეხშიშველ-თავშიშველი კაცი დგას და იმის ახლოს რაიცაღ მზესავით ანათებს. წასულან და გაუგიათ რაც იყო. იმავ დღეს მოუტანიათ ქვები და იმავ დღეს აუშენებიათ პატარა კოშკი. ის ჯვარი იმაში თავისთავად შებძანებულა და გამქრალა ხალხის თვალიდან. ხახაბოელებს მიუყვანიათ კომლზე თითო საკლავი და დაუკლავთ ამავე დღეს ამ კოშკთან. მიუტანიათ სასმელი და გადაუხდიათ დღეობა.

ეს ბატარიათ კაცი ცალკე დაბინავებულა. სოფელს მიუცია ერთი წმიდა ქვიტკირი, სადაც დიაცი ვერ გაივლიდა (არც თვითონ გაივლიდა იმ გზით, რა გზითაც დედაკაცები დადიოდნენ). ყოველ დღეობაში სოფელი მიიყვანდა ერთ საკლავს და განათლავდნენ მას. იგი გახდა წმინდა კაცი. დაიწყო მკითხაობა ისე, რომ კაცის დღეს იგებდა. სამ წლამდინ ასე იყო. მეოთხე წელს ჯვარმა მისცა ნება და შეირთო ცოლი, ისევე ხახაბოელების ქალი. ცოლი კი ჰყავდა, მაგრამ უწმინდურ ადგილას მაინც ვერ გაივლიდა.

ერთ ათენგენა დღეს ეს კაცი განათლეს სოფლელებმა და ჯვარს სთხოვეს მისთვის ეთქმევინებინა დღეობები, დასტურები, მედროშაე და დაეწესებინა დღეობის ყველა წესები. ბატარიამ იქადაგა და აირჩია ორი დასტური, რომელნიც გაუძღვებოდნენ ათენგენის და წელწდის დღეობებს. მან აგრეთვე ჩამოაყალიბა სხვა წვრილი დღეობები, აირჩია ყველა დღეობაზე ორ-ორი დასტური და ამ დღეობებს დაარქვა წვრილი სადასტურო. ამან უკვე იცოდა სად იყო რიგიანი მამულები, რომ ჯვარი მეტს ისარგებლებდა, დაასახალა ეს მამულები საჯვაროდ და დაანებებინა თავი მცხოვრებლებს. შემოიღო მათი ულავით მოხვნა, მომკა და დააწესა, დასტურთ გარდა, ერთი შულტა, რომელსაც ევალებოდა მოტანილი ძნის გალეწვა, განიავება და პურის ჩაყრა კიდობანში. ჩალა-ბზე რჩებოდა შულტას. დასტურები თიბდნენ მარტო ჯვარის სათიბებს, ყანის ნაპირ-ყურეებს, ყამირებს. მანვე ქადაგობით აირჩია მედროშე, შეიძინეს სადროშე მასალები და ააშენეს დროშა, ამავე დროს იგი მკითხაობდა და მოატანინებდა ზოგს ვერცხლის თასს, ზოგს სპილენძისას, ან თუ ჯვარში სხვა რამე სჭირდებოდათ (ქვაბი, საკიდელი და სხ). ააშენებინა დროშის საბძანისი, დარბასი, საქვაბე, საზარე, დაკიდეს ჯვარი და ერთი სიტყვით ჩამოაყალიბა ყველაფერი,რაც სჭირდებოდა მაშინდელ ლოცვას.

ათენგენას დასვამდნენ ქადაგს, რომელიც იქადაგებდა და აირჩევდა ორ დასტურს, რომლებიც ჩაატარაბდნენ ორ დიდ დღეობას: ათენგენას და წელწადს. ათენგენას დაყენებული დასტურები მოემზადებოდნენ საწელწდოდ და პირველ დღეობას შეასრულებდნენ წელწადში. ზაფხულის დამლევს მოიტანდნენ სვეს, მოიმარაგებდნენ შეშას (სვე მოჰქონდათ კახეთიდან, შეშა კი ჯვარის ტყიდან. ჯვარს ჰქონდა საკუთარი ტყეები). ზაფხულის განმავლობაში ახალ დასტურს სხვა არაფერი ევალებოდა. დანარჩენ ვალდებულებებს ასრულებდა ძველი დასტური, როგორიც არის მამულზე თესლის მიტანა, დაფარვა, მომკილი ძნის აგება და სხვა. გალეწვა ხომ შულტას ევალებოდა, რომელიც სოფელს რიგით მოუდიოდა.

წელწადი

წელწადი რომ მოახლოვდებოდა, მაგანძური, მედროშავეები და ხუცესი ორი კვირით ადრე გავიდოდნენ საწმინდრად. საწმიდროვა იცოდნენ ჯვარში. ყოველდღე მიუდიოდათ სოფლიდან გამოგზავნილი საკვლევი ე. ი. პატივისცემა. ყველა კომლისაგან მიუტანდნენ კეცეულებს ან ხინკლებს ერბოთი და ერთ ბოთლ არაყს. მიტანილს მიმტანის მკვდრებისათვის დალოცავდნენ, – დალოცვა იცოდნენ მიმტანის უახლოეს და სახელოვან მამაკაცისათვის. ქალებისათვის სულ არაფერს ლოცავდნენ. დალოცვა საკვლევისა ასეთი იყო: "დიდება შენდა ქვეყნის გამჩინარო, წყალთა და ჴმელთა დამდგმელო ღმერთო! დიდება შენდა გიორგიჲ წყაროსგორზე დაარსებულო (ამ დროს ხუცესს ან სხვა რომელიმე უფროსს უჭირავს ყანწი და ტაბლას დაკრული აქვს ერთი ღერი სანთელი. პირაქეთელი ხევსურები ღერს არ ამბობენ). გიორგიო, შენ უშველი შენთ პატიმართ, შენთ გამძღობართა-დ პატივისმცემელთ (მომტანის ოჯახის უფროსი კაცის სახელს იტყვიან), ჩვენდ პატივის დადებისად დაზდევ პატივი ხალხშია-დ ხოყანაში. გიორგიო, შენ სადიდებელი-დ შენ საძრიელოი ას. შენის დიდებითა-დ ჩემის სიტყვის მაჴსენებით, თუ ჴორციელისგან რა მაგეჴსენებოდას, სააქაოს ნათქვამ თუ საიქიოს მიდიოდას, წესიდ სამართალ იყოს, სულს შანდობა ერგებოდას, ხთის წესითა, მღდლის წესით, იერუმსალეთის ნათლით, ქრისტის გარიგებით, სულეთის ღმერთის მიცემით, როგორც ჩვენთ ჴელთ ას ეს ტაბლაიცა-დ სადიდებელიც, როგორც ჩვენს გამკვლევს (სახელი მაგ. იმედა) იმედას გაუქჩერებავ, ისრამც სულს (იმედას ძმა, ან მამა, ან უახლოესი ნათესავი სახელოვანი მკვდარი) იმედაის ძმისას (სახელი) მაეჴმარების, იმედას პატივ დაზდოსა-დ ნამაშვრალ-ნამუშაელს ჯვარი დაუწერას".

ყანწიდან ცოტა არაყს ტაბლაზე დაასხამდა და ამ დროს სხვებიც იტყოდნენ: "შაუნდნას – მააჴმარას ღმერთმა-დ იმედაის სახლს ბარაქა მისცას, ჩვენის დახენებისად, კაით დახენას". ამ სიტყვების შემდეგ, დამლოცავი დალევდა და შემდეგ სხვებიც ამავე ყანწით დალევდნენ. ამ დროს ყველანი ფეხზე იდგნენ და ისე სვამდნენ. ბოლოს კეცეულები თუ იყო, დაჭრიდნენ და შემოუსხდებოდნენ. მხოლოდ ჭამის დაწყებისას და დამთავრებისას დაიჭერდნენ ერთ ლუკმა პურს, დაილოცებოდნენ და მერე შეჭამდნენ. დალოცვა იცოდნენ მოკლედ: "გიორგიჲ წყაროსგორულო, შენ უშველე ჩვენს პატივისმცემელს იმედას, დაადეგ წაღმა-დ შენის წყალობით შაინახი".

პურის ჭამას რომ გაათავებდნენ, ნარჩენებს დაუბრუნებდნენ მიმტანს. სირცხვილი იყო სულ ისე გათავება, რომ ბაკანში აღარაფერი დარჩენილიყო. ეს ნიშნავდა გაუმაძღრობას, რაც ხევსურეთში სირცხვილად მიაჩნდათ. ესენი რო საწმიდარ იყვნენ, დღეობის ერთი კვირის წინ მიიტანდნენ დასტურები შეშას, სვეს და ფქვილს (ფორი და მისი ფქვილი კეთდებოდა საჯუარო ქერიდან, რომელიც შენახული იყო შულტას მიერ ან კიდობანში, ან გოდორში, რომელიმე წმინდა ჭეროხში, სადაც ქალის ფეხი არ დაიდგმებოდა. აქედან აიწყავდნენ განსაზღვრულ ქერს და აკეთებდნენ ფორს. საწყავად ჰქონდათ გვერდი. (გვერდი ნიშნავს საწყავის ნახევარს. საწყავში ჩადიოდა ერთი ფუთი ქერი, გვერდში კი

მისი ნახევარი ე.ი. ნახევარი ფუთი). ჩაასხამდნენ ქვაბში ორ წყე წყალს და ჩააყრიდნენ მესამედ ფქვილს და ადუღებდნენ ლუდს იმ წესით, როგორც ნათქვამია სხვა დღეობებთან დაკავშირებით. აქვე იყო მესაფუვრე, რომელიც სისწვენს აფუვლებდა ლუდის ფუების წესით. მედროშაე,მაგანძური და გამძღონი ლუდის დუღების დროს აქ იყვნენ,მაგრამ ბევრს არაფერს ეხმარაბოდნენ ლუდის დუღებაში. ერთი იმიტომ, რომ თავს მაღლა აყენებდნენ და მეორეც, საწმიდრობის დროს ოფლის მოყვანა არ შეიძლებოდა, იმიტომ, რომ ოფლი ითვლება უწმიდურად, რომელიც საწმიდარ ნამყოფ წმინდა კაცს აუწმინდურებდა. საწმიდარ მყოფებს ლოგინები ცალ-ცალკე ჰქონდათ. ახალ მოთიბულ ბალახზე ახალ ფარდაგს გაშლიდნენ და ზედ გუდანურს დაიხურავდნენ. როცა დღეობის წინა დღე მოვიდოდა ყველანი ჩვეულებრივად ტანს დაიბანდნენ (გაიბანებოდნენ) და საღამო ხანს ყველას მოუვიდოდა სანათლავები სახლიდან, როგორც ხუცესს, ისევე მედროშაეს და მაგანძურს. ყველანი თითოობით გაინათლებოდნენ, მოიცხებდნენ საკლავის სისხლს ხელებზე, გულზე და ერთ დღეს ამ სისხლს აღარ დაიბანდნენ. მოსაღამოვდებოდა და მედროშავეები ააბამდნენ დროშებს. აქ დროშა სამი იყო. თითო ებარა თითო კაცს, სხვის დროშას სხვა ვერ ახლებდა ხელს. დროშის მასალა დამალული ჰქონდათ სხვა ადგილას. მედროშავეები წავიდოდნენ და იქ ააბამდნენ დროშებს. დროშების კლდე იყო გამოჭრილი და ისევ კლდეებით შეკრული შეუმჩნევლად. მისასვლელადაც ძნელი იყო, რადგან კლდე იყო ცუდი სასიარულო და თუნდაც ადვილი ყოფილიყო, დროშათ ასაბმელად მისვლის გარდა, აქ მისვლა არ შეიძლებოდა. ამ დროსაც ფეხშიშველა და ქუდმოხდილი მიდიოდნენ დიდის მოწიწებით და ხვეწნით: "დალოცვილო გიორგიე წყაროსგორისაო, შენის დროშაის საბძანისის კარისა-დ კამალაის დალაჭვისად ნუ გაგვიწყრებიო". აგრეთვე ეხვეწებიან დროშათ მცავს ანგელოზს, რომელიც დროშების ყარაულად ჰყავდათ წარმოდგენილი, თითქოს თითო დროშას თითო საკუთარი მცველი ანგელოზი ჰყავდა. შორიდანვე მიდიოდნენ მუხლზე დამსხდრები მადლის თხოვნით და პირჯვრის წერით. მედროშავეები როცა დროშას ამზადებდნენ, აქ იყო ერთი ხუცესი, რომელსაც ერქვა მეხატე. აქ ორი ჯვარი იყო. ესენი ქადაგის დავალებით ჯვარისაგან ჰქონდა ჩაბარებული ერთ-ერთ ხუცესს. ამ ორ ხატს ის გამოაბძანებდა; ერთს მარჯვენა ხელში დაიჭერდა, ერთს მარცხენაში. დროშებს რომ ააბამდნენ და მოემზადებოდნენ, სამივეს აიღებდნენ და იტყოდნენ: "დალოცვილო გიორგიე წყაროსგორ დაარსებულო, შენ გვიშველი. შენთ გამძღოთ ნუ შაგვისაწყინდები შამაძახილზედ, შენ სწყალობდი შენთ ყმათც. იმათ სამწყალობნელოდა შენა გასამარჯოდ იყოს შენის დროშაის აბძანებაი". ამ სიტყვებზე ყველანი დააყღარუნებდნენ თავ-თავის დროშას ხმამაღლა, რომ ჯვარში მყოფ სოფელს გაეგონა. მამაკაცები დარბასის კარში ისხდნენ და დროშის ზარების ხმას რომ გაიგონებდნენ, ყველანი ფეხზე ადგებოდნენ, მოიხდიდნენ ქუდებს და პირჯვრის წერით იტყოდნენ: "დიდება ძალსა შენსა გიორგიე წყაროსგორისაო, დიდება ძალსა თქვენსა ხატისა-დ ღილ-ბორაყის მცავნო ანგელოზნო. თქვენ უშველეთ თქვენ ყმათ, ნურაით დაამარცხებთ. "დროშიანები წინ მოუძღვებოდნენ და უკან ხატებით მოჰყვებოდა ხუცესი. ხალხს რომ მიუახლოვდებოდნენ, მუხლზე მსხდომი ხალხი ფეხზე ადგებოდა, დროშებს წინ მიეგებებოდა და ეტყოდა ერთხმად: "გამარჯვება ბატონ-ყმათ, ჭელიმც

მაგემართებისთ". – "გაგიმარჯოსთ ღმერთმ, წყალობა მაგიტანეთ გიორგი წყაროსგორულისა". – იქნებოდა ჯვარიონთ პასუხი. მერე ხალხი გზიდან ჩამოშორდებოდა, ისინი მოიტანდნენ დროშებს და "დააბძანებდნენ" კოშკსე თავ-თავის დანიშნულ ადგილებზე. აქვე დააყუდებდნენ ჯვრებს ანუ ხატებს. ამ დროს აქ მიიტანდნენ სახუცო კოჭობს და იმდენ სხვა ვერცხლის თასებს, რამდენიც მედროშაე და მეხატე იქნებოდა (შეიძლება რომელიმე მედროშაე ავად იყო, ან მკვდარი და ჯვარს ახალი არ ჰყავდა არჩეული. მაშინ მისი დროშა რჩებოდა ადგილზე, მანამ ჯვარი ასეთ მოხელეს არ აირჩევდა. არჩევა ხდებოდა ქადაგის პირით). აქვე მოიტანდნენ ერთ "საწდე" ლუდს,რომელსაც კოდიდან დაასხამდა მესაფუვრე, საწდეს დადგამდნენ,აზარფეშით ამოიღებდნენ ლუდს და ჩაასხამდნენ სიპზე დადგმულ ცარიელ თასებში. თასებს მიაკრავდნენ თითო ფეხ სანთელს. ხუცესი წამოდგებოდა წინ და ახსენებდა ჩვეულებრივ ჯერ გიორგი წყაროსგორისას, მერე ვაკის მეორე გიორგი-თავადი ანგელოზი, მესამე კვირაე, მერე ხთიშობელი, ვაკის ანგელოზი და ასე გრძელდებოდა რამდენი თასიც იყო. მოხსენება იყო ჩვეულებრივი, როგორც აწერილი არის ბუდე ხევსურეთის სალოცავებში.

აქვე იყო დასტურების მიტანილი სამი ქადა, რომელსაც ეწოდებოდა "შასამავლო". ამ ქადებზედაც სანთელი იყო მიკრული და ზედ ლუდიანი თასი იდგა. ამითაც ახვეწებდნენ ჯვარს, სოფელს და ჯვარის გამძღოთაც. ეს რომ ყველაფერი მოთავდებოდა, აიღებდნენ თასებს და დალევდნენ. ლუდის ანუ სადიდებლის დალევა იცოდნენ ჩვეულებრივი ხევსურეთის წესით (თავხმელად შამღერნება საგმირო სიმღერებისა, მუხლით დაჯდომა, თასის ჩამოყრა და ყველა წესი, რაც სხვა სალოცავებში არის აღწერილი). ბუდე ხევსურეთში ასეთ თასების გამოცლის დროს იმღერებდნენ ასეთ სიმღერებს:

რამ მოგაგონათ სტუმარნო, აქ მასვლა ჩვენთან დადგომა,
ჩვენ ეგრე გაგვხარდომივა, როგორც დაკოცილთ ადგომა.

თასებს რომ გამოცლიან,კიდევ მოიტანდნენ ლუდს და დაალევინებდნენ ყველას. საწდე რომ გამოიცლებოდა, კიდევ დაამწყალობნებდნენ ერთი-მეორეს და წამოვიდოდნენ დარბასში. დარბასში დახვდებოდათ მაგანძურისაგან მოტანილი, გარეცხილი და თავის ადგილზე დალაგებული თას-განძი. აქვე იყო გახსნილი კოდი იმ წესებით როგორც არის ნათქვამი კოდის გახსნაზე არხოტისა და ბუდე ხევსურეთის დღეობებში. აქ კიდევ დაასხამდნენ ლუდს და დალევდნენ. ამასობაში მოსაღამოვდებოდა და მოვიდოდნენ ჯვარში მთელი სოფლის მამაკაცები მეკვლეებთან ერთად. მიიტანდნენ კომლზე თითო ქადას (ქადა იქნებოდა ხავიწიანი ან ხორცის და მხლის გულიანი. გააჩნდა ოჯახს, ვის როგორი შეძლება ჰქონდა); ქადაზე დაწყობილი იყო იმდენი ღერი სანთელი, რამდენიც ვაჟი და მამაკაცი იყო ოჯახში. ამას ეწოდებოდა წულადის სანთელი. ხალხი რომ მოგროვდებოდა, დასტურები შეიტანდნენ ქადებს და სანთელს დარბასში, სადაც საამისოდ გამზადებული არის ფიცრები და დააწყობდნენ. ზედ დაიდგმებოდა ლუდიანი თასები. თასებს დააკრავდნენ სანთელს და რაც დარჩებოდა მიაკრავდნენ დარბასის ყორეებზე (ყორე-ქვის კედელი, გაულესავი), მოუკიდებდნენ სანთლებს ცეცხლს და ხუცესი შეუდგებოდა ხუცობას.

ჯერ იტყოდა მოხსენებას: "შენა სამთავრო გასამარჯოდ მაიჴმარი ეს გარიგებულ ჭიქაბარზიმ-სადიდებელი, სეფე-სანთელი, დიდო გიორგიე წყაროთგორს დაარსებულო, შენდ გარიგებული, მაჴსენებული სეფე-სანთელი, სადიდებელი, საშველოდ მაიჴმარი, მათხოილი მადლი შაიწირი, ღმერთმა გაუმარჯვას შენს ძალსა დიდებას. შენ შენს მეხვეწურთ ხახაბოელთ თემსა სოფელს ნუ მაიძულებ, შენ გამჩენი მორიგე ღმერთი არ მაგიწყენს, არ მაგიძულებს. რასაც მჴარ-გულზე გეხვეწებოდან, იმ მჴარ, იმ გულზე გაუგონიდი, გეხვეწებიან, შაიხვეწნიდი შენ მეხვეწურნი. მაგათ ყუდროჩი ველთ ვინ გავიდოდას, შენს ბედსა დავლათს აჴსენებდას, შენ ბედი დავლათი დააჴმარიდი. მეველე, მენადირე ველთ ვინ გავიდოდას, მეველე მენადირეს გახყვიდი, შორს მყოფი ახლოს დაუხვდი, შენ კაბის კალთა ჩაუფარიდი. მეველეს გაუმარჯვიდი, სახელ-სარგებელს მიაგნიდი, სავნებელ მააშორიდი. სხო ხთის ნაბადებნი თუ რას უჩიოდან, მადლი ხოიშან დაუთხოიდი, თაოდ პრიწაღმა-გულწაღმ დაუბრუნდიდი. ნურას მახკერძებ მაგათ ყუდროს, სავნოსა-დ საზიანოს საქმეს. მაგათ ოფლ აიტანიდი, მარიგეს ღმერთს მიუჩვენიდი. დიდება ღმერთს, მადლი ღმერთს შენ უშველი შენთ მეხვეწურთ".

ეს მოხსენება რომ დამთავრდება, მაშინვე მოჰყვებოდა ხუცობა. ხუცობა იყო ისეთივე, როგორც სხვა სალოცავებშია აწერილი. ხუცობას მოჰყვებოდა ყველა წესები. აქ თასები არის უფროსი და უმცროსი. უფროს თასს მისცემენ მორიგეს, მერე ასე მოყოლებით და სხვა.

პირიქით ხევსურეთში კურთხევა არ იციან. თასებს რომ დაარიგებენ, უფროს თასზე ხუცესი კიდევ ახსენებს გიორგი წყაროსგორულს და შემდეგ მოაყოლებს სხვა ღვთიშვილებს. თასებს რომ შაუსახელებდა, დალევდნენ თავხმელად შემღვრნებით და ყველა წესების შესრულებით. ამ დროს სოფლის ხალხი გარეთ იდგა ყველა ქუდ-მოხდილი და პირჯვარს იწერდა. ბოლოს ყველას დაამწყალობნებდნენ ჯერ ჯვარიონნი და შემდეგ სოფელიც ერთი მეორეს ამწყალობნებდა. ბოლოს გამოუტანდნენ სოფელსაც და დაუდგამდნენ ერთ ჩხუტ ლუდს. ამოიღებდნენ თასებით და ჩამოარიგებდნენ. ყველანი ერთი-მეორეს ამწყალობნებდნენ. ამ დროს შიგნით ქადებს დასჭრიდნენ (დააქეზიკებდნენ იქაური ტერმინით) ორ ქადას აარჩევდნენ და დასაქეზიკებლად მეორე დილისთვის შეინახავდნენ. აქ დაქეზიკებულ ქადებს გამოუტანდნენ და დაურიგებდნენ ყველას (ამას ეწოდებოდა ქეზიკის წილი. ამ დღეს დარიგებულს აქვე შეჭამდნენ, მეორე დილას დარიგებულ ქეზიკებს კი ლუდში ამოავლებდნენ,შინ წაიღებდნენ და ძროხებს შეაჭმევდნენ). აქ სვამდნენ ლუდს,მერე გააწევდნენ (დაპატიჟებდნენ) ერთიმეორეს და წავიდოდნენ სახლებში (ჯვარიდან გარეთ გამოტანილ ქეზიკს და ლუდს ლოცავდნენ მკვდრებისათვის,ვინც ამ სოფლიდან გმირი,მოჩხუბარი და მტრებისათვის მებრძოლი კაცი იყო). სოფელში იქეიფებდნენ და ქეიფის მოთავების შემდეგ წავიდოდნენ მეკვლეში თითო ოჯახიდან თითო კაცი, უფრო ახალგაზრდები. მეკვლეში მიმსვლელები ყველანი მიიტანდნენ არაყს ზოგი ბოთლით, ზოგი სხვა ჭურჭლით. მეკვლენი დასხდებოდნენ ცალკე საქვაბეში და დაიწყებდნენ სმას. მეკვლეში არც დასაგები რამე ექნებოდათ და არც დასახური. შეშა მიჰქონდათ თვითონ მეკვლეებს, იმით ანთებდნენ ცეცხლს და შემოუსხდებოდნენ გარშემო,თან ლუდს სვამდნენ,მღეროდნენ და მხიარულად

ატარებდნენ ღამეს. აქვე ჯვარიდან ეძლეოდათ სამი საქუ ლუდი (არხოტში და ბუდე ხევსურეთში ლუდით სავსე ქვაბს ან ჩხუტს საწდე ჰქვია, შატილის თემის ხევსურეთში ანუ მთასიქით, საწდეს საქუ ეწოდებოდა). ეს ლუდიც დაილოცებოდა მიცვალებულებისათვის და დალოცვის შემდეგ იმართებოდა სმა. საჭმელი არაფერი ჰქონდათ და სვამდნენ ცარიელ ლუდს და არაყს. ჯვარში იარაღის მიტანა და ჩხუბი სასტიკად აკრძალული იყო. მოჩხუბარზე დაწესებული იყო ჯურუმი, ცხვრიდან – კურეტამდე. ჯვარის გამძღონი გამოიძიებდნენ და ვისაც რა დანაშაული ექნებოდათ, იმდენ ჯურუმს გადაუწყვეტდნენ (ჯურუმი: – ჯარიმა). გადაწყვეტილ ჯურუმს თუ ვინმე არ დათანხმდებოდა, მაშინ ჯვარის გამძღონი არავის წესს არ შეასრულებდნენ ჯვარში და ყველაფერი რჩებოდა ურჩი კაცის სამრისხველოდ. ეს კი მათი რწმენით ნიშნავდა გვარის და ოჯახის ძირიან-ფესვიანად ამოწყვეტას. ამიტომაც იყო, რომ თავისივე გვარი არავის მისცემდა ურჩობის ნებას და თუ ეს მოხდებოდა და გაჯიუტდებოდა ვინმე, მაშინ გვარი თვითონ აგებდა პასუხს. მიიყვანდა ჯვარში საჯურუმო საკლავს ან კურეტს და თავის მოგვარე ურჩ კაცზე მიიღებდნენ ზომებს; ჯერ გვარს შეკრებდნენ და დაარიგებდნენ რომ გადაეხადა ჯურუმი. ბოლოს მოკვეთამდინაც შეიძლებოდა მისულიყო საქმე. (მოკვეთის წესები აწერილი არის არხოტის თემის მასალებში). ეს ნიშნავს გვარიდან ან სოფლიდან გაძევებას. ის იქნებოდა სოფელს ჩამოშორებული, აღარაფერში მიიკარებდნენ და არც მოეხმარებოდნენ. არც მის პირუტყვს მიუშვებდნენ თავის პირუტყვის ახლოს, არც ცეცხლს ჩაუდებდნენ. ცეცხლის ჩადება ნიშნავს შემდეგს: წინათ ხევსურეთში ასანთი არ იყო. ცეცხლს აკვესებდნენ ფოლადი რკინით კაჟზე და უკიდებდნენ წიფლის ან სხვა ხის სოკოსაგან დამზადებულ აბედს. სოკოს მოხარშავდნენ ნაცართვალში (ნაცრის ნახარში), გააშრობდნენ და მერე ამითი აჩენდნენ ცეცხლს. ტალ-კვესიც ყველას არ ჰქონდა, აბედზე ცეცხლს დაანთებდნენ ჩალით, ნაღვერდლებს კი მარხავდნენ ნაცარში და ცეცხლს ისე ინახავდნენ. ცეცხლის დანთება როცა დასჭირდებოდათ, ნაღვერდლებს ამოიღებდნენ, ჩადებდნენ ჩალაში და ასე ანთებდნენ ცეცხლს. მეზობლებსაც მიჰქონდათ ცეცხლი იქიდან, სადაც ეგულებოდათ. ხშირად წავიდოდა რომელიმე სოფელში ცეცხლის საშოვნელად, ჩალას დაიჭერდა ხელში და შემოუვლიდა სოფელს, იშოვიდა ნაღვერდლებს, ჩაალაგებდა ჩალაში და წაიღებდა შინ. ხანდახან გზაში აენთებოდა ჩალაში ცეცხლი და გზაშივე დაეწვებოდა. იყვნენ ერთს უბედურებაში. კარგ ქალად ჩაითვლებოდა ის, ვისაც ცეცხლი მუდამ ექნებოდა შენახული. თუ ცეცხლისათვის ხშირად დაიარებოდა მეზობლებში, ასეთს დასცინოდნენ, ჯავრობდნენ და ხშირად იტყოდნენ: "ეგ რა დიაცი ას, ცეცხლს ვერ შაინახავს, ცეცხლთ ვერ შახვევსა-დ ცეცხლობად დღისთაოდ სოფელს შამაიელის". ცეცხლს არ ჩაუდებდნენ ისეთი ოჯახები, რომლებსაც პატარა ბავშვები ჰყავდათ ჯერ უკბილო. აგრეთვე ისეთი ოჯახები, ვისაც ტუტა ჰქონდა ახალი მოწურული (ტუტა იყო ლილისაგან, ნაცრისაგან დ ძროხის შარდისაგან დამზადებული საღებავი. ლურჯად ღებავდა. აყენებდნენ ან ქვაბში, ან კასრში). მაშინ არ შეიძლებოდა ცეცხლის გაცემა, იტყოდნენ: "ტუტან დამელევიან, ცეცხლს ვერ ჩაგიდებო".

ასეთი მნიშვნელობისა იყო მაშინ ცეცხლის მიცემა და მოკვეთილი ამის საშუალებასაც მოკლებული იქნებოდა. მოკვეთილის სახლს რომ ცეცხლი წაჰკიდებოდა, არავინ მიეშველებოდა ჩასაქრობად. ამგვარი ამბების თავიდან ასაცილებლად, ჯვარის წესებს და სოფლის პირს ყველა ემორჩილებოდა და ჯვარის გამძღონი, რასაც ვის აკისრებდნენ, ყველაფერი სრულდებოდა.

ამასობაში გაივლედა ღამე და მოატანდა ცისპირძერა ე.ი. თენება. თენების დროზე მეკვლენი დაიჭერდნენ კვალს და გარეთ აღარავინ გამოვიდოდა. სმა კი ისევ გრძელდებოდა. ოდნავ რომ შემოთენდებოდა, მოვიდოდნენ ჯვარიონნი მეკვლეებთან, მხოლოდ არ მოულოცავდნენ, მარტო ეტყოდნენ: "აშენდით მეკვლენო, აშენდით, წაღმამც წაგივასთ დღეი-დ დღეობა." "დაშვენდით ჯვარიონნო, მაგვიხვეით მშვიდობით, მშვიდობით თქვენ მასვლა", ასე მიეგეგებოდნენ ერთიმეორეს. ჯვარიონნი დადგამდნენ შვიდ ან რვა თასს, ჩაასხამდნენ თავისივე ახლად მოტანილ ლუდს და ადიდებდნენ ამ თასებზე ჩვეულებრივად, ჯერ გიორგი წყაროთგორულს და მერე მის ახლო-მახლო ხთიშვილებს. მხოლოდ როგორც არხოტში და ბუდე ხევსურეთში, აქაც ისეთივე წესით მესამე ადგილზე ყოველთვის კვირაეს ახსენებდნენ. "კვირაევ მადლიანო, კვირაევ კარავიანო, ძალიან-მადლიანო, ხთის მაღლის მოკარვეო" და სხვა. ცისკრის თასს რომ ახსენებდნენ, ერთ-ერთი დასტური იღებდა თასებს ხელში და დაურიგებდა ვისაც რომელი თასი ეკუთვნოდა. თასები იყო დანიშნული ერთი მეორეზე უკეთესობის მიხედვით; ზოგს მეტი ჰქონდა მიბმული ვერცხლის შეწირულებანი, ზოგს სულაც არ ჰქონდა. ასეთი ეკუთვნოდა უფრო დაბალ-ხარისხოვან მოსამსახურეს ჯვარში.

ცისკრის თასებით ახვეწებდნენ ჯვარის გამძღოთ, თემსა და სოფელს. ესეც რომ მოთავდება, დაირეკება მეზარისაგან ცისკრის ზარი და გამოვლენ მეკვლენი. მეკვლეთ დაალევინებდნენ საუკეთესო არაყს სამ-სამს გუროულას ("გურიოულა" იყო სოფელ გუროდან შემოწირული საარაყე ვერცხლის თასი, საკმაოდ მოზრდილი) და დაალევინებდნენ ლუდსაც. ამავე დროს იმართებოდა ლხინი. კარგად რომ დალევდნენ, დასვამდნენ ქადაგს. ის იქადაგებდა მომავალი წლის ბედ-იღბალზე, მტრებზე გამარჯვებაზე (მტრებად ქისტები იგულისხმებოდა), მოსავლიანობაზე და სხვა. გამოიტანდნენ ღამე შენახულ ქადას, დააქეზიკებდნენ და დაურიგებდნენ ხალხს. მეკვლენი ქეზიკის წილს ამოაწებდნენ ლუდში, წაიღებდნენ სახლში და შეაჭმევდნენ ხარს ან ძროხას. აირჩევდნენ ორს სოფლის მეკვლეს. სოფლის მეკვლეებს წაიყვანდნენ ჯვარივნები და დიდ პატივს სცემდნენ. ბოლოს გამოისტუმრებდნენ. სოფლის მეკვლენი მეკვლეებთან მივიდოდნენ და მოულოცავდნენ ახალ წელს: "მაგილოცავთ მეკვლენო ახალს წელს. ბევრი ბედნიერ წელი კვალ გამაგიცვალასთ გიორგი წყაროს გორულმაცა-დ ღმერთმაც, მუდამ უჭიროი-დ ლხინიან მეკვლენი გქნასთ. მტერსთანაც გაგიმარჯოსთა, ნადირსთანაც, ველთაცა-დ, ‘ბინაც. წულიან-პურიან წელი-კვალ გამაგიცვალასთ, სახელ-სარგებლიანი. გილოცავთ ჩვენა-დ დაგლოცნასთ ღმერთმაცა-დ გიორგი წყაროსგორისამაც". მეკვლეებიც პასუხობდნენ: "აგრევ თქვენ წულიანს, პურიანს" და სხვა. ამ ლოცვაში სოფლის მეკვლედ არჩეულები ლუდს პირში იგუბებდნენ და აფხუკებენ მეკვლეებს თავზე (აფხუკებდნენ: აპკურებენ). აქ რო მოთავდება ლუდის დაფხუკება და მილოცვა, სოფლის მეკვლენი ხალხს გასცდებოდნენ,

პირსოფლისაკენ დადგებოდნენ, იყენებდნენ პირში ლუდს, აპკურებდნენ პირსოფლისაკენ და ულოცავდნენ სოფელს. აქ მანამდე აპკურებდნენ ლუდს, სანამ კოში არ დაიცლებოდა, მერე კოშს გადმოაპირქვავებდნენ, დადგამდნენ პირქვე და იტყოდნენ: "დაპირქვავდას ხახაბოელთ მტერი". ამას რო მოათავებდნენ, ყველა ულოცავდა ერთი-მეორეს ახალ წელს. ბოლოს წამოვიდოდნენ სოფელში. სოფელში მოსვლა და სამეკვლეოს შეგორება ყველაფერი ჩვეულებრივია.

მეკვლენი ჯერ სიმღერით წამოვიდოდნენ და ბოლოს დაიშლებოდნენ. სამეკვლეო ცხვებოდა ჩვეულებრივი წესით. დაჭრელებული იყო და დიასახლისი იხსომებდა ამ ნიშნებს. ნიშანი იყო მაგალითად ძროხების, ოჯახის წევრების, მოსავლის, ყველის და ერბოსი. გარდა ამისა ჯვარიონთა და მეკვლეთა ნიშანიც ჰქონდათ. გამოცხობის დროს რომელი ნიშნის ადგილიც უფრო მაღლა წავიდოდა, ის ითვლებოდა კარგის მომასწავებლად. ე.ი. ბედნიერება ან გამრავლება მოუწევდა იმას, ვის სახელზეც იქნებოდა ნიშანი (სამეკვლეოს ერთ გვერდზე ჰქონდა ეს ჭრელებიც და გაპოხილიც იყო ამ გვერდზე ერბოთი. ამავე გვერდზე ჰქონდა ჯვრად გავლებული ღარები. შუა გულში იყო ამოღრმავებული და შიგ იდო ბამბა, ან თუ ბამბას ვერ იშოვნიდნენ, მაშინ მატყლი. სამეკვლაოს რომ შეაგორებდნენ, აქედან ამოიღებდნენ ბამბას, დაგრეხდნენ თითისტარზე და ოჯახის წევრებს ყველას შეაბამდნენ ტანისამოსზე პატარა ნაწილს ამ ბაწრისას. მას უწოდებდნენ ბედს. ეს ბედი ბავშვებს უფრო უხაროდათ და დიდხანს ატარაბდნენ პერანგის ღილზე მიბმულს.

მეკვლე რომ ჯვარიდან შინ მივიდოდა, ერთ-ერთი ოჯახის წევრი კარების უკან დამალული დახვდებოდა, ამას ეწოდებოდა მეწყლე.

მეწყლეს ჰქონდა ხელში წყლის ჭურჭელი, რაც უფრო სუფთა და ლამაზი ექნებოდა. მასვე ეჭირა ხელში ნიჭი. ნიჭს დაამზადებდა სახლის უფროსი ქალი ანუ ამ ოჯახის დიასახლისი. ნიჭი იყო ჩალის პატარა შეკრული, ასანთის კოლოფის ოდენა. მასში იყო გამოხვეული ოჯახის შემოსავლიდან ყველაფრის ნაწილი: პური, ერბო, ყველი, ხორცი. თან ნახშირს დაატანებდნენ, რომ ეშმაკი არ დაპატრონებოდა და იგი ანგელოზებს დარჩენოდათ[1]. მეკვლე რომ კარებს გააღებდა და შემოვიდოდა, მეწყლე გარეთ ისე უნდა გამოსულიყო, რომ მეკვლეს არ დაენახა, გაქცეულიყო წყალზე, რომ სხვებისათვის დაესწრო წყლისათვის ნიჭის მიტანა და წყლის ამოკრეფა. წყალზე რომ მივიდოდა, მიულოცავდა წყალს: "წყალო, ნიჭი მაგიტანე, ბედი გამიმაყოლეო, წულიან-პურიანი, ღალიან-ბარაქიანი. წელ მშვიდობისა დაგვიყენი, მარცხი მაცილობელი ააშორი ჩვენს ყუდროს, ნუ მახკერძებ ცუდსა მავნეს ნუც კაცსა-დ ნუც ნაქონ-საქონს ჩვენს. ბევრ ბედნიერი წელი, კვალი გვალოცვიე-დ მუდამ მშვიდობიან ნიჭ გვაზიდვი". ამას რომ დაამთავრებდა, ჩააგდებდა ნიჭს წყალში, ამოიღებდა წყალს და წამოვიდოდა შინ (ლოცვას ასწავლიდნენ ბებერი ქალები).

მეკვლე რომ მივიდოდა სახლში, ნაწვლის კარებთან დახვდებოდა ერთი ოჯახის წევრი ხელში სამეკვლეოთი, მეკვლე თან ილოცებოდა და ითხოულობდა

---

[1] ხევსურები ავი სულისაგან თავდაცვის მიზნით ყველაფერში ნახშირს ხმარობდნენ. უფრო ქალები. მათი წარმოდგენით, ნახშირისა ეშინოდა ეშმაკებს. დაწოლის დროს ბებერი დედაკაცები ბავშვებს და ქალებს ნახშირებს გადააყრიდნენ თავზე და ეტყოდნენ: "ჯვარი გეწერასთ წმიდის გიორგის დაწერილი". სამგზავროდ წასულ ქალსა და ბავშვსაც ნახშირს უდებდნენ უბეში, ძროხებსაც ღამით ნახშირს გადააშლიდნენ. ერთი სიტყვით, საიდანაც უნდოდათ ეშმაკები განედევნათ, ყველგან ნახშირს ხმარობდნენ.

ჯვარ-ღმერთთაგან ყოველგვარ დახმარებას და თან შეაგორებდა სამეკვლეოს. სამეკვლეოს გააგორებდა სამჯერ. ყურადღება ექცეოდა პირქვე ჯდებოდა თუ არა. თუ დაჭრელებული და გაპოხილი გვერდი ორჯელ მაინც დაჯდებოდა ზევით, ნიშნავდა ბედნიერებას და თუ პირქვე მოვიდოდა ორჯელ ან სამჯერვე, ეს ნიშნავდა რომ მომავალი წელი მათთვის უხეირო და მარცხიანი დადგებოდა. თუ სამეკვლეო უკუღმა მოვიდოდა, ქალები ხშირ შემთხვევაში ტიროდნენ კიდეც და თავის სამწუხრო ამბავს მეზობელ ქალებს უზიარებდნენ. თუ რამე ამ წელს ცუდი დაემართებოდათ, მაშინვე იტყოდნენ: "ეჰ, მე მაშინავ ვიცოდ რო ჩვენ კა არა დაგვემართებოდ, რო სამეკვლეო უკუღმ მადიოდ". სამეკვლეოს აქ რომ შეაგორებდა, ასეთივე სამეკვლეო ჰქონდათ ცხვარში შესაგორებლად[1].

სამეკვლაოს მიმწოდებელი აანთებდა რამე სინათლეს (ჩრაქვი, არყის ხის ქერქი, ჩირახი ან სხვა რამე), შევიდოდა ცხვარში და ასეთივე ლოცვით სამჯერ გააგორებდა სამეკვლეოს, აქაც ასეთივე მკითხაობა იყო სამეკვლეოზე. ამას რო მორჩებოდნენ, გამოვიდოდნენ სახლში, ამ დროს მეწყლეც მოსული იქნებოდა, მოულოცავდნენ და გადაკოცნიდნენ ყველანი ერთი მეორეს. მერე დასხდებოდნენ, დიასახლისს საუზმე ექნებოდა დამზადებული და შეუდგებოდნენ ჭამას და სმას, მერე საჭიროდ მიაჩნდათ სოფლიდან მეკვლის მოყვანა, დაუძახებდნენ უფრო ყმაწვილებს და შეატანინებდნენ კვალს, ვიდრე კვალს არ შეატანინებდნენ, მანამდინ სხვის ოჯახში ფეხს არავინ შედგამდა.

მეკვლე ზოგიერთს კი არა და უმრავლესობას ჰყავდა ერთი და იგივე. იტყოდნენ: მაგისი კვალი კარგად გვაქვს დაცდილიო. მაგალითად თუ რომელიმე წელს საქმე კარგად წაუვიდოდათ და ცუდი არაფერი დაემართებოდათ, ამას აბრალებდნენ მეკვლეს. ამადა ამ მეკვლემ რომ კვალი შემოგვიტანა, ის კვალი კარგად დაგვიჯდა და წლევანდელ წელს ჩვენი საქმე სულ კარგად მიდისო. ვისაც კვალის შესატანად დაუძახებდნენ, ის ოჯახიდან წაიღებდა ერო ბოთლ არაყს, ერთ ხმიადს. ზედ დადებული ერბოთი და ყველის პატარა ნაჭრით. სახლში რომ პირველად ფეხს შესდგამდა, ქუდმოხდილი იტყოდა: "შამავდგ ფეკი, გწყალობდასთ ღმერთი, ჩემიმც კვალ კაზე დაგიჯდებისთ, წულიან, პურიანი, სახელ-სარგებლიან, ღალიან ბარაქიანი, მშვიდობისა, კარგად ყოფისა, ერთუცის სიცოცხლისა. გალოცვივასთ მრავალი წელწად, ქრისტე ღმერთმაცა-დ გიორგი წყაროთგორულმაც. კვალ ჩემი, კვალ ანგელოზისა, დალოცვილო გიორგი წყაროთგორულო წაღმ მაუჭდინი ჩემი კვალი". ამ ლოცვით შევიდოდა, მოეგეგებოდნენ ოჯახიდანაც და ულოცავდნენ ერთი-მეორეს ახალწელს. მეკვლეს პატივს სცემდნენ რითაც კი შეეძლოთ. მერე ოჯახიდანაც გაატანდნენ საუკეთესო არაყს ერთ ბოთლს, პატარა ხმიადს ერბოთი, თხილს თუ ექნებოდათ და გაისტუმრებდნენ. მერე იმართებოდა ჩვეულებრივი წელწადი დღე, ერთიმეორის დაპატიჟება, ჭირის პატრონის კარზე არაყით მისვლა, სადაც კაცები იწყებდნენ სმას, ხოლო ქალები "ტალავართ გაშლიდნენ" და ტიროდნენ ახალ მიცვალებულებს. იმართებოდა ჯერ ძახილით ტირილი ნათესავებისაგან (უნათესაო ძახილით არ იტირებდა, თუ იტირებდა, გაიცხავდნენ: ეგ რომ ტიროდა რა იყო მაგისი, რატომ

[1] ხევსურებს ცოტა ცხვარი ჰყავდათ და ზამთარში თივით ინახავდნენ სახლში. აყენებდნენ თბილად სახლ'ხდაგეში. სახლ'ხდაგე ჰქვიან სახლის სულ შიგნითა ნაწილს, სადაც არც სინათლე შედის არსაიდან და დღე და ღამე სულ ბნელა.

იძახდა და ისე ტიროდაო), მერე სახალხო ხმითმატირლები იტირებდნენ: ვაუკაცობას, ნადირობას, ცხენოსნობას, ჩხუბს, მტერთან გამარჯვებას და მის ქონებასაც შეეხებოდნენ, ცხენს, თოფს და სხვ. ამ სიტყვებზე მთელი იქ მყოფი ქალები მატირალს ქვითინით აძლევდნენ ბანს.

ძახილით ასე ტიროდნენ ვაუკაცზე:

მიწა შენს დასა ძმაო,
რაჭელ წელწად-ქრისტენ მოგვგვარენ, ძმაო,
გაოჭრებულ შენთ სახლთ რა უყოთ, ძმაო,
ცხენ-ოჭერ გაგილუბდების, ძმაო,
შენ მაგიერ ჭელს ვინ მახყრის, ძმაო. და ა.შ.

ხმით კი ასე ტიროდნენ:

გორგიე გენაცვალას მამიდაიო,
თორპილს თოფისაგან გატუსვილსაო,
თვალთა გენაცვალას მამიდაიო,
თოფის ლიშანში გამხედვართაო,
მკლავთა გენაცვალოს მამიდაიო.
გაუტეხელსა ბასრისასაო,
ლაშქართად მარტოს გზის შამკრავსაო,
გაუტეხელსა უშიშარასაო. და სხვა.

ამ დროს მამაკეცები ღრეობაში და მხიარულებაში იყვნენ. ქალები რომ ტირილს მოათავებდნენ, აიღებდნენ ტალავარს. ჭირის პატრონი არაყით გაუმასპინძლდებოდა მოსულ ხალხს,მხოლოდ აქ ლუდის მოტანა არ იცოდნენ (სხვა ხევსურეთის სოფლებში ამ დღეს ლუდი მიჰქონდათ ჭირის პატრონის კარზე ჯვარებიდან). ქალები რომ არაყს დალევდნენ, წავიდოდნენ სახლებში. კაცები და ბავშვებიც კი ხატში წავიდოდნენ და იქ კიდევ სვამდნენ ლუდს. ამ სოფელ'ში ქურდობა არ იცოდნენ, როგორც სხვა სოფლებში არის ნათქვამი. აქ იცოდნენ ჯვარიონთ დაჭერა და დატყვევება, მანამ სახსარ ლუდს არ მოატანინებდნენ ჯვარიდან. ჯვარიონნიც დაიჭერდნენ სოფლის კაცს, წაიყვანდნენ ჯვარ'ში და ასმევდნენ ძალდატანებით ლუდს, არ გაუშვებდნენ,მანამ სოფლიდან არაყი არ მოუვიდოდათ სახსრად. ქალის მოტაცებაც იცოდნენ ჯვარიონებმა სახუმროდ. დაედევნებოდა მდევარი, მოუხდებოდათ ბრძოლა. ამ ბრძოლაში ვითომც იხოცებოდა ხალხი. აცოცხლებდნენ ლუდ-არაყით. როგორც სხვაგან არის აღწერილი,აქაც ექიმებს დაუნიშნავდნენ. ავადმყოფებს დაუნიშნავდნენ წამლებს მაგ. ლუდს,არაყს და ა. 'შ.

მოსაღამოვდებოდა, სოფლის მამაკაცები ყველანი მივიდოდნენ ჯვარ'ში და დასხდებოდა ჯარი. იმართებოდა ჩვეულებრივი ჯარის წესის მიხედვით ფანდურ'ზე მღერა საგმირო სიმღერებისა. ჯვარიონნი ცალკე დარბასში ქეიფობდნენ და თუ ვინმეს მიიწვევდნენ, იმასაც განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ.

კუმეტი

მეორე დღე თენდებოდა კუმეტი. ამ დღეს იცოდნენ ჩვეულებრივი ქეიფი. ამავე დღეს ყველა კომლი გამოაცხობდა სამ-სამ კეცეულს, გაბანდა, ჩააწყობდა ბაკანში და დაადებდნენ ზედ ერბოს. ამას მიაყოლებდნენ თითო ბოთლ წინწანაქარ არაყს. კეცეულები შეიძლებოდა ხორცის, ყველის, ხაჭოს, მხლის გულითაც. ჯვარში რომ მიიტანდნენ, დადგამდნენ ბაკნებს, დააკრავდნენ ზედ თითო ფეხ სანთელს, დაასხამდნენ და ჩამოარიგებდნენ არაყს. უფროსი ხუცესი დალოცავდა ამ კეცეულებს მომტანების მიცვალებულებისათვის. ამ დროს დარბასის კარში ხალხი ისხდა და კეცეულების და არაყის ნაწილს აქაც გამოუტანდნენ. ჯვარიონნიც სვამდნენ და ჭამდნენ. აქვე გამოჰქონდათ ლუდიც და ჩვეულებრივი წესით სვამდნენ. ოჯახებში კი ამ დროს ყველა ფაფას ადუღებდა, ერთმანეთსაც ეპატიუებოდნენ ფაფის საჭმელად და არაყის დასალევინებლად. ეს დღეც ისევე ძველი ჩვეულებრივი წესებით ჩატარდებოდა, საღამოს ჯარის დასხდომით და სხვა.

წელწდის მესამე დღე

ამ დღეს არხოტშიც და ბუდე-ხევსურეთშიც, ყველგან "წინაშუადღეს" უწოდებდნენ, მაგრამ ხახაბოში ამას წინაშუადღე და არც სხვარამე განსაკუთრებული სახელი არ ჰქონდა, მხოლოდ ეძახოდნენ წელწდის მესამე დღეს. ამ დღეს იცოდნენ განსაკუთრებული წესის დღეობა, რომელსაც ერქვა მართვიანიშოთ დღეობა.

მართვიანიშონი იყვნენ ორი ქალი – დედა და ქალიშვილი. მართვიანიშო მათი ქვეგვარი ყოფილა. ამ გვარის ხალხი თურმე ამაყი იყო და არაფერს არ ჰკითხავდნენ არავის, არც ჯვარს და არც ხალხს. ბოლოს, ღმერთიც და ჯვარიც გაუწყრათ და აღარ ეხმარებოდნენ არც მტერთან და არც ავადმყოფს არჩენდნენ. ყველგან დამარცხდა მათი გვარი. ბოლოს სულ გათავდნენ. მარტო ორი სული დარჩა, – დედა და ქალი. მათ ჰქონდათ მთელი გვარის მამული დარჩენილი და ცხოვრობდნენ ძალიან კარგად. ერთხელ მოვიდა ქისტის ლაშქარი. ეს დედა-ქალნი სამუშაოდან მოდიოდნენ და ისეთ ადგილას მოვიდნენ, რომ დაჭერას ვერ ასცდებოდნენ. მაგრამ "შამაზძახნეს" ჯვარს და შეუთქვეს მთელი თავისი მამულის 'შეწირვა, თუ გადარჩებოდნენ. შემოძახნებაზე უცბად გაჩნდა ამ ადგილზე აუარებელი ფრინველი – ყვავი, ჭკა, მტრედი და დააბნელა დედამიწა. დედა და ქალი ჯაგში ჩასხდნენ და საფარველი დაედოთ. ლაშქარს უნდოდა მათი ტყეედ წაყვანა, მაგრამ თან ფრინველის სიმრავლე გაუკვირდათ, თან საფარველი ედო დედა-შვილს და ლაშქრის ხალხმა ისინი ვეღარ დაინახა. ბევრი იწვალეს და ბოლოს დაბრუნდა ლაშქარი უკან. დედა-შვილიც გადარჩა უვნებლად. მათი მამული რაც იყო, ყველა შესწირეს ჯვარს. ეს მამული ბევრი და კარგი ადგილისაა. სოფელმა დაუყენა ორი პატრონი მორიგეობით ამათ მამულს. ისინი ჰყრიდნენ ხელს და უდუღებდნენ ლუდს მათ შასანდობრად. ეს ორი კაცი ამზადებდა

ლუდს წელწდის მესამე დღისათვის. ამ დღეს მათი საკუთარი დღეობა იყო და ილოცებოდა მათთვის ჯვარში ლუდი ერთი კოდი. სოფელში იცოდნენ ყველა კომლმა სახელსადები (ან კეცეული, ან ხინკალი) არაყი, სხვა თუ რამე ჰქონდა ოჯახს სალაღებელი (თხილი, ნიგოზი და სხვა). ამის სუფრას გააწყობდნენ, ერთმანეთს დაპატიუებდნენ და ეტყოდნენ შენდობას მართვიანიშოთათვის. ამ დღეს თუ სხვისთვის დალოცავდნენ რამეს, თან დაატანდნენ: "შაუნდნას ღმერთმ მართვიანიშოთ მასპინძლობით". თუ ამას არ იტყოდნენ და ან მათთვის არაფერს დალოცავდნენ, მაშინ მოხდებოდა დიდი ჩხუბი და ბევრი დაიჭრებოდა. ისეთი წარმოდგენა ჰქონდათ, ვითომც საიქიოდან მართვიანიშონი ჩხუბს შეუწყობდნენ ხელს და წააჩხუბებდნენ ხალხს, თუ მათზე გამწყრალები იქნებოდნენ. ისინი შანდობის თქმას ელოდებოდნენ ყველა ამ სოფლის მცხოვრებთაგან და ვინც ამ წესს არ შეასრულებდა, იმაზე გაწყრებოდნენ, ავნებდნენ იმით რომ ვინმესთან წააჩხუბებდნენ და დაამარცხებდნენ. ამას ყველა ერიდებოდა და მტკიცედ იცავდნენ წესს. იმ დღეს ე.ი. წელწდის მასამე დღეს,წყალსაც კი მართვიანიშოთათვის ლოცავდნენ,მათი გული რომ მოეგოთ და ცუდი არაფერი მისვლოდათ. ხატში იცოდნენ შემდეგი: სოფელს რომ ჰყავდა მათი მამულის მომვლელები და ამ მამულის ღალიდან ლუდის დამამზადებლები,ისინი წესისამებრ ამზადებდნენ ლუდს. ამავე დღეს როცა ეს ლუდი გაიხსნებოდა,სოფელი ჯვარში სამ საკლავს კლავდა მართვიანიშოთ სულებისათვის. საკლავების ხორცი ერთად იხარშებოდა,ტყავები კი ლუდის მდუღებლებს რჩებოდა. სოფლის ხარჯზე იხოცებოდა სარიგო საკლავები – ორი თოხლი და ერთი ჭედილა. ამ საკლავების ხორცი რომ მოიხარშებოდა და დაანაწილებდნენ სოფლის მიერ არჩეული მეხორცენი, აქვე მოტანილი იქნებოდა ოცი მოჭრეხილი პური. ათ პურს აცხობდა ერთი დასტური და ათს მეორე. ეს პური უეჭველად უნდა ყოფილიყო გამომცხვარი მართვიანიშოთ მამულების ნაღალურიდან. "დაწილებულ" ხორცს აწყობდნენ სატაბლო პურებზე. სატაბლო პურები კი დაწყობილი იყო ფიცრებზე მწკრივად. ტაბლას რომ გაარიგებდნენ, დახვეული ჰქონდათ ჯვარის სანთლიდან ოცი "ფეჯი" სანთელი (ჯვარს ჰქონდა შეწირული სანთელი ხალხისაგან და იხმარებოდა ამისთანა შემთხვევებში), დააკრავდნენ ამ პურებზე და დადგამდნენ ლუდიან თასებსაც. ადგებოდა ხუცესი და მიცვალებულებისათვის შენდობის თქმის წესით დალოცავდა მართვიანეშოთათვის: "ღმერთო დიდება 'შენდა, ღმერთო, მადლი შენდა, დიდო გიორგივ წყაროთგორისაო, დიდება ძალსა შენსა. შენ სადიდებლი ასა, შენ უშველი შენთ ყმათა-დ ნურაით დაამარცხებ. ხთის წესითა, მღდლის წესით, იერუმსალეთის ნათლით–" და ყველაფერი გრძელდება ისე, როგორც არხოტის აწერილობაშია. ბოლოს აიღებენ ყველანი თასებს და იტყვიან: "'შაუნდნას, მააჯმარას მართვიანიშოთ". დალოცვა რომ მოთავდებოდა, ხალხს დასვამდნენ მწკრივად და დაუდგამდნენ ტაბლას. 'ხედამდეგები აიღებდნენ თითოობით პურს და ტაბლაზე დამსხდარ ხალხს გაუტეხდნენ ხელში. პურის გამტეხი თითოობით იტყოდა: "ღმერთო, გაუმარჯვი გიორგის წყაროთგორულსა. გიორგივ წყაროთგორულო, შენ მიეც შანდობა მართვიანიშოთა-დ წყალობა შენით ყმათ, შენის წყალობით შაინახენი".

აქვე მოაქვთ ლუდი და იმართება პურობა. მარილი,ჯამები და ქიტურები მოჰქონდათ სახლიდან (ქიტურა – ღრმა კოვზი). ჯამებში ჩაუსხამდნენ წვენს და ორ-ორ, სამ-სამნი ერთი ჯამიდან ხვრეპავდნენ. ამ სუფრაზე ერთი დიდი თასით

ჩამოარიგებდნენ და დალევდნენ სულუქცევრად მართვიანიშოთათვის შასანდობარ ლუდს. სმა-ჭამაში მონაწილეობას ღებულობდნენ მარტო მამაკაცები. ქალები დასხდებოდნენ ხატიდან მოშორებით მათთვის დანიშნულ ადგილზე. აქ გამოუტანდნენ ლუდს, ხორცს და პურს. ისინიც ჩვეულებრივად შენდობას ეუბნეოდნენ სასმელ-საჭმელს და შეექცეოდნენ. სოფელი თუ ჭირიანი არ იქნებოდა ("ჭირიანი სოფელია" თუ ახალი მიცვალებული ვინმეა და ისიც პატივსაცემი, ახალგაზრდა. მოხუცზე ბევრი გლოვა არ იცოდნენ), მოიტანდნენ სოფლიდან ფანდურს და იმართებოდა ლხინი,თამაშობა და საგმირო ლექსების დამღერება.

ამ დღეების მოთავების შემდეგ მიდის ჩვეულებრივად წელწდის წესები. საღამოს დასხდებოდა ჯარი. მეოთხე დღეც ჩვეულებრივია, მხოლოდ ჯვარში მიდის სეფე, თან მიჰყვება თითო ფეხი სანთელი. ამ სეფე-სანთელსაც ჩვეულებრივად ანთებდნენ და ახსენებდნენ ხევსურეთის ხთიშვილთ. ბოლოს, მეხუთე დღეს ხდება გამოლოცვა. გამოლოცვაში ყვალა ჯვარის მოხელეები მიიტანდნენ თითო ქადას, რომელსაც ჰქვია გამასამალო ქადა. გამასამალო ქადებს ყველას ერთად აწყობდნენ,აქვე დაიდგმოდა ჩხუტით ლუდი, დაეკვრებოდა სანთელი და ხუცესი იხუცებდა. განსაკუთრებით შეახვეწებდა დასტურ-გამძღობართ და მათ ოჯახის წევრებს, მათ კაც-საქონთ. მერე ხელში იღებდნენ თასებს და გამოცლიდნენ ჩვეულებრივი სიმღერებით, თავხმელად ანუ ფეხზე შემღერებით:

ამირან ჩამავიდოდა ცხენ-ოჭრის ჩამაგდებული,
წამაეგება დედაი: – შვილვ, რად ხარ გაჯავრებული?
– განა ღმერთი ორ დედაო, სრუ მუდამ გამარჯვებული,
ცხენი წამექცა ოჭერი, დამგლიჯა გაჭირებული.

ასეთი სიმღერების შემღერნებით და ერთი მეორისათვის ლუდის ძალადობით მოათავებდნენ გამასამალოს წესებს და მთავრდებოდა წელწადი.

წელწდის გამასამალოს და ყველა ამ წესების მოთავების შემდეგ გაგზავნიან თავ-თავიან ადგილზე განძს, დროშის მასალას და სხვა. ეს ყველაფერი მიჰქონდათ ღამით და მალაედნენ. იცოდნენ მარტო ჯვარის გამძღოთ. ამის შემდეგ ჯერ დასტურები მოსთხოვდნენ მადლს და გამოემშვიდობებოდნენ, მერე კი ყველა.

ამის შემდეგ იწყებოდა ბედის კვერაობა, ბედის კვერას უზიდავდა ყველა მოკეთე ერთი-მეორეს ისე, როგორც აღწერილია არხოტის ბედისკვერაობის წესში. აქ გამოგვრჩა გამცხადების წესი.

გამცხადება არის წელწდის მეოთხე დღეს. ამ დღეს, პირიქით და პირაქეთ ხევსურეთ'ში ყვალგან გამცხადებას უწოდებდნენ. გამცხადებას ყველაფერი ჩვეულებრივ ხდებოდა, მხოლოდ ერთი იყო განსაკუთრებული წესი: ერთი კოდი ლუდი ცალკე იდგა და ილოცებოდა მათთვის ვინც ლაშარის ჯვარის ლაშქარში დაიხოცნენ. (ფშაველები ეძახიან: "ლაშარის ჯვარის პიროფლიანთ"). ეტყობა ლაშარის დროშის წინამძღოლობით ფშაველ-ხევსურნი სადღაცა ლაშქარში ყოფილან და უზარალნიათ. მაშინ დახოცილებს იგონებს ფშავ-ხევსურეთის რელიგია, შანდობას ეუბნებიან და ქებით იხსენიებიენ მათ. შენდობის სათქმელად ხახაბოში დანიშნული ჰქონდათ გამცხადება დღე. განსაკუთრებით მზადდებოდა ერთი კოდი ლუდი. ლუდს გახსნიდდნენ ჩვეულებრივად,მხოლოდ შენდობას

ეუბნებოდნენ: "შაუნდნას, მააჭმარას ღმერთმ ლაშარის ჯვარის ლაშქარში დაჭოცილთ, მუჭლით მაშვრალთ (მაშვრალი: დაღალული), პირით მწყურვალთ". ლაშარის ჯვარის ლაშქარში დაზარალებულთა შასანდობარს პირველად ერთი დიდი თასით ჩამოარიგებდნენ და ყველას სულუქცევრად დაალევინებდნენ. ვინც არ დალევდა, დასჯიდნენ და სხვა თასით ზედ უსხამდნენ ლუდს. მერე დასხდებოდა ჯარი და მთელ დღეს ატარებდნენ მათ შასანდობრის სმაში, თან საუბრობდნენ მათ გმირობაზე.

დიდი პატივისცემით იხსენიებდნენ ლაშქარში და ხალხის გულისათვის დახოცილებს. აგრეთვე სოფლის პირის გამაგრებისა და "ქალ-ზლის" დაცვისათვის დახოცილ მეომრებს.

ხახაბოში სტუმრებს რომ გააცილებდნენ ("გამართებენ") მაშინ გააყოლებენ გასამმართაო გასასტუმრებ ლუდს და ეს ლუდი აუცილებლივ დაილოცებოდა სოფლის ქალ-ზლის გულისათვის დახოცილებისათვის. ასმევდნენ სტუმრებს ძალდატანებით, თან მღეროდნენ ასეთ ხალხზე თქმულ საგმირო ლექსებს. თუ სტუმრების მიცვალებული ვინმე ყოფილა გმირი და მასპინძლებმა იციან მასზე გამოთქმული სიმღერები, მაშინ "შამღერნებენ" მასპინძლები და თუ მასპინძლებზე არის ისეთი სიმღერები, რომლითაც მთელი გვარი ამაყობს, მაშინ სტუმრებიც უმღერებდნენ მასპინძლების საგმირო სიმღერებს.

ასეთი წესები ჰქონდათ ძველად ხევსურებს: ცოცხალ მეომრებს ლექსებს ეუბნებოდნენ და აქებდნენ, მკვდრებს შენდობით იგონებდნენ და სცემდნენ პატივს. ამით ახალისებდნენ ახალგაზრდებს, რომლებიც თამამდებოდნენ და იცავდნენ თავიანთ წესებს. ასეთი გახალისებული ახალგაზრდების ომის ამბავი ჩამაწერინა გიგია მამიაურმა.

ერთ კაცს ერქვა თალა, ჰყავდა ორი ვაჟი და ერთი ქალი. ჰქონდათ სიმაგრით სახელგანთქმული ციხე და ბევრი მტერიც მოჰქადდა (ემუქრებოდა) მას. შიგ მაგარი ვაჟკაცებიც იყვნენ დამცველად – თალას შვილები. თალა თვითონ ხატის მორწმუნე კაცი იყო და ხალხის წარმოდგენით, იმიტომ ჰყავდა მას კარგი შვილები, რომ გიორგი წყაროთგორული იცავდა მათ. თალა ხშირად ზღვნობდა ჯვარს, სანათლავებს ხიცდა წელში ორჯელ-სამჯერ. მისი შვილები, როცა სახელს რამეს "იზამდნენ", გიორგი წყაროთ გორულს კურეტს მიუყვანდა და "საკარგყმოდ" დაუკლავდა (საკარგყმო: ქისტის მოკვლის შემდეგ თავის ახლო სალოცავს მიუყვანდნენ და დაუკლავდნენ კურეტს. სახელის ჩადენაში ხელის შეწყობისა და გამარჯვებისათვის). ხალხს თალას შვილები ისე მიაჩნდა, როგორც ღვთიური ძალები და იმედი ჰქონდათ, რომ ისინი მტერს ყოველთვის დაამარცხებდნენ.

ერთ მათგანს ქალი უყვარდა მთის გადაღმა, სოფელ ლებაისკარში და თურმე იქ დაიარებოდა. საღამო ჟამს წავიდოდა და დილით თავის სახლშიეე იყო. იმ დროს იქ მეტად სამტრო გზა იყო, მაგრამ როგორც ვთქვით, ყველას ჰქონდა წყაროთგორულის იმედი. ერთხელ თალას ვაჟიშვილები სათიბ'ზედ იყვნენ. იმ ღამეს უმცროსი ძმა ლებაისკრიდან მოსულიყო. უფროს ძმას მოშიეჯდა და უთხრა უმცროსს: პური ეჭამოთო. უმცროსი ლებაისკრიდან უჭმელი არ ყოფილიყო წამოსული და ჭამასე უარი თქვა. გაჯავრებულმა უფროსმა აიღო ცელი და თიბვა დაიწყო. ამ დროს დაეცა ქისტის ლაშქარი მათ ციხეს. ამ დროს ციხეში იყო მარტო მათი და. მან აიღო

თოფი და დაუწყო სროლა ქისტის ლაშქარს. დაუწყო ხალხს ხოცვა. ის იყო ლაშქარი უნდა დაბრუნებულიყო, რომ ციხის ჩარდახში ქალის თმას მოჰკრეს თვალი. მაშინ თქვეს: რადა ჩვენი კაცობა არის, ქალი ყოფილა, ხალხიც დაგვიხოცა და უკან გაბრუნებასაც გვიპირებდა ამოდენა ლაშქარსო. ქალსაც ტყვია-წამალი შემოაკლდა. მივიდნენ, ციხეს შემოერტყნენ გარშემო, გამოშალეს კედელი და თალას ქალი ტყვედ წაიყვანეს მრავალ სხვა ნადავლთან ერთად. ეს ამბავი თალას შვილებმაც გაიგეს მთაში. უმცროსმა ძმამ უთხრა უფროსს: პური ეჭამოთ თორემ ომი რომ გაგვიგრძელდეს, მოგვშივდებაო. უფროსმა უთხრა: წეღან გითხარი და არ გამიგონე, ახლა შენ ჭამე პურიო და გამოიქცა ლაშქრისაკენ. უმცროსიც გაჰყვა თან. მოვიდნენ სოფელში, მაგრამ იქ აღარავინ იყო. დაედევნენ და წამოეწივნენ ეკალდამასთან. ისინი რომ ეკალდამასთან მივიდნენ, ლაშქარი პირდაპირ იყო. სახელდობრ "შუქიაის წყალთ". უფროსმა ძმამ ქისტურად დაუძახა: "სამი კაცი დაჯექით წინისუკან, წინ ფარი დაიყუდეთ და თუ ფარიცა და სამივე კაციც ისრით გავხვრიტე, ხომ კარგი, თუ არა ნუ დამემდურებით, სამის წლის ნაციეარი ვარ და შეიძლება ისარს ძალი ვერ მივატანოო. სამი კაცი დამწკრივდა და ფარი დაიყუდეს წინ. ესროლა თალას უფროსმა შვილმა ისარი, ფარიც გაახვრეტინა და სამი კაციც. ლაშქარმა ეს რომ დაინახა,შეშინებული ხალხი გაიქცა, ძმები დაედევნენ. თალას ქალი ამავე სოფელში იყო გათხოვილი. საქმრომაც გაიგო და მოეშველა ცოლისძმებს. წამოეწივნენ ბერუათ ბოსელთან, ჯერ აუტეხეს სროლა და ბოლოს ხმლით იომეს. ძმებს რკინის იარაღი ეცვა ტანზე და ხმლები ვერაფერს აკლებდნენ. მათ კი ბევრი ხალხი დააზარალეს, ჯარი გაფანტეს, თავისი დაც გაანთავისუფლეს, წაღებული ნადავლიც დააყრევინეს და დაიბრუნეს უკან.

მათ ყველგან გაუვარდათ სახელი, მთელი პირიქით ხევსურეთის მოსახლეობა აქებდა. ეუბნებოდნენ საქებ ლექსებს. ზოგი კი გიორგი წყაროთ გორულს აწერდა მათ გამარჯვებას: ეგენი მაგდენ სახელს ვერ იზამდნენ, მაგათი მამა რომ წყაროთ გორულთან დაახლოებული არ იყოს და არ ზღვნობდესო. ამ დროს თალა ცოცხალი იყო,მაგრამ ღრმად მოხუცებული და ლაშქარსაც ამიტომ ხელი არ შეეხო მისთვის. თავისი შვილების გამარჯვების შემდეგ, თალამ საკარგყმო მიაყვანინა კურეტი და დააკვლევინა გიორგიწყაროთგორულში.

სწორედ ასეთ გმირებზე იყო ზემოთ ლაპარაკი და გამცხადება დღეს ამათთვის ილოცებოდა ჯვარშიც და სტუმრის გამართების დროს ხომ სულ მათთვის ეუბნებოდნენ შენდობას სტუმრებისათვის გაყოლებულ ლუდს. ასე მთავრდებოდა წელწდის წესები ხახაბოში.

ბედისკვერაობა ისევ გრძელდებოდა, რომ მოვიდოდა დღეობა აღება. აღების დასტურნი იყვნენ ორი კაცი და ადუღებდნენ ერთ ქვაბ ლუდს.

აღება

როგორც ზემოთ არის ნათქვამი, ათენგენას და წელწადს ეწოდებოდა დიდი დღეობები, რომელთაც ჰყავდათ ორი მუდმივი დასტური (დიდი დასტური). დანარჩენ ყველა წლიურ დღეობებს ეწოდებოდა წვრილი დღეობები. თითო დღეობას ცალ-ცალკე ოროლი დასტური ჰყავდა არჩეული. აღების დასტური ადუღებდა ლუდს

და მეკოდე ანუ მესაფუვრე აფუვლებდა. თას-განძს რომ გამოაბრძანებდნენ, დასტურნიც შასამავლო ქადებს მიიტანდნენ (აღებას დროშა არ გამოჰყავდათ). ქადებს დააწყობდნენ კოდთან და დაანთებდნენ სანთლებსაც. ხუცესი ჩვეულებრივად ხუცობდა და ხსნიდა კოდს. (კოდის გახსნა და მისი წესები აღწერილია სხვა დღეობებში). მას მოჰყვებოდა ყველა წესები. ბოლოს აქედან გავიდოდნენ და დასტურთაგან მოყვანილ საკლავს კლავდნენ ამავე დასტურთ სამწყალობნოდ. საკლავს რომ დაკლავდნენ, იმის სისხლს ყველა დასტურებს ჯვარედინად თითით შუბლზე წაუსვამდა ხუცესი. ერთ-ერთი დასტური გაატყავებდა, სხვები კი შეუდგებოდნენ სმას.

ამ საღამოს, როგორც აღწერილი არის არხოტის აღწერილობაში, ისე ყველა ოჯახებში იხარშებოდა ხორცი. ასეთივე წესი ჰქონდათ ჯვარშიაც. აუცილებელი იყო აქ ხორცის მოხარშვა და სხვა წესების შესრულება (სატაბლო პურების მიტანა, ტაბლის დაგება, კარახანა, მღერა). ამ ღამეს ჯვარიენები სმაში გაატარებდნენ, შეიძლება სტუმრად ეყოლებოდათ ჭირის პატრონი ფანდურის გასატეხად, ან აწევდნენ სოფლის უფროსს ვისმეს და მათ სცემდნენ პატივს.

მეორე დილას ჟამის წირვა რომ ჩატარდებოდა, მოვიდოდა სოფელიც საჯარეში (აქ საჯარე ჰქონდათ ცალკე აშენებული),მოიკითხავდნენ თავის კუთვნილ ლუდს და იმართებოდა სმა. ქალებიც მოვიდოდნენ, დასხდებოდნენ ჯვართან ახლო დანიშნულ ადგილზე. გამოუტანდნენ ლუდს და გაიმართებოდა სმა. ჯვარში რომ სმა მოთავდებოდა, სოფელში პატიჟობდნენ ერთმანათს. ჯვარიონნი ყველა წესებს შეასრულებდნენ, თუ ვინმე მეზღვნე მიუვიდოდათ, ზღვნებს ჩვეულებრივი ხუცობით და დამწყალობნებით დახოცავდნენ. მერე ხორცს მოუხარშავდნენ და ერთ ჩხუტ სამეზღვნეო ლუდსაც გამოუტანდნენ. მეზღვნეები თვითონაც დალევდნენ და სხვებსაც პატიჟებდნენ თავის სამეზღვნეო ლუდზე და ტაბლაზე. მეზღვნე ქალებს კი მარტო ლუდს დაალევინებდნენ,ტაბლას მათ არ მოუტანდნენ.

დასტურ-გამძღონი მეზღვნეებს რომ გაისტუმრებდნენ, მოვიდოდა გამოლოცვის დროც. თავის ადგილზე მაგანძურს მიჰქონდა განძი. დასტურები მოიტანდნენ გამასამალო ქადებს. ჩვეულებრივ იდგმოდა გამასამალოზე ლუდიანი თასები, ენთებოდა სანთლები და ხუცესი ხუცობდა; ახვეწებდა დასტურებს და მერე სხვა ჯვარის გამძღოთაც. ხუცობის დამთავრების შემდეგ იღებდნენ თასებს ხელში და ილოცებოდნენ ყველანი: "გამარჯვება გიორგი წყაროთგორულს და იმის წყალობა გქონდასთ ჯვარიონთ, დასტურს ნუ შაგანანასთ დასტურობა, ჭელოსანნი დიდხანს გაგიყოლნასთ, მაგანძურს მაგცას წყალობა, ნურაით შაგიცოდვას. სოფელს მისცას წყალობა, სოფლობა, უფროს უნცროსობა, სამსახურ ნუ მაუშალას, ნუ დალიეას ჩვენს სოფელში ჭმლიანი-დ ჭმიანი, მტრისად ძალის შამქცეეი-დ სოფლის გამმაგრებელი. სოფლის ორგულსა-დ მოღალატეს კი უორგულას, სოფლის გამტეხი გატეხას გიორგის დაელათმ. (თასის მიმცემს მიუბრუნდებოდა და ეტყოდა სახელს) გოგიავ, შენეული მქონდ ეს თასი, შენობა გააკეთას ემ გიორგის დაელათმ, შენ კა მაიყვანას, შენ მოავე წააჭდინას". ამ დალოცვას რომ მოათავებდნენ, ცოცოტას ყველა დალევდა თასებიდან. მერე დაიწყებდნენ მღერას თავხმელად. უთასო ხალხიდან ვინმე დაუკრავდა ფანდურს და შემღერნებდა თასიანებს საგმირო სიმღერებს. შემღერნებით გამოცლიდნენ თასებს და მერე ჩვეულებრივი წესით ჩამოართმევდნენ, როგორც არხოტის აღწერილობაშია მოცემული. ბოლოს

დასხდებოდნენ, კიდეც გააგრძელებდნენ სმას და ამავე დროს მოისმენდნენ ხუცესისაგან საუბარსა და დარიგებას მომავალი საჯვარო სადასტურო მუშაობის შესახებ. ბოლოს დასტურნი მოიყრიდნენ მუხლს, დაიწერდნენ პირჯვარს და მადლის თხოვით გამოვიდოდნენ დარბასიდან მუხლით უკან სიარულით. ბოლოს აკოცებდნენ მიწას, ადგებოდნენ და ეტყოდნენ გამოსულ გამძღოთ – "ჯვარ გეწერასთ ბატონსაცა-დ მაგის გამძღობართაც". "ჭელ მაგიმართასთ, წყალობა წაიღით გიორგისა", უპასუხებდნენ და წავიდოდნენ დასტურნი.

ბოლოს ხუცეს-ხელოსნები დაათვალიერებდნენ და დაალაგებდნენ დარბასს, რომ უწესრიგოდ არაფერი დარჩენილიყო. მოსთხოვდნენ ჯვარს მადლს და წავიდოდნენ ისინიც თავ-თავის სახლებში.

აღებას სოფელში ჭირის პატრონები უმასპინძლდებოდნენ ქალებს. ქალები გაშლიდნენ ტალავარს, ტიროდნენ, როგორც არის აღწერილი ქალების ტირილის წესი. ტირილს რომ მოათავებდნენ, აიღებდნენ "ტალავართ" და დასხდებოდნენ. ქალებს დაუდგამდნენ ტაბლას შინაური ქალები, შეიძლებოდა ხორცი ექნებოდათ მოხარშული ან ფაფა, ან კეცეულები და ერბო. ტაბლას რომ დაუდგამდნენ, მოაყოლებდნენ სასმელსაც და რაც შეიძლებოდა ძალდატანებით დაალევინებდნენ. ამ დღეს ჭირის პატრონებმა არაყი იცოდნენ, ლუდს კი არავინ ადულებდა. კაცებს ჭირის პატრონი კაცები ასმევდნენ არაყს. ლოცავდნენ მკვდრებისათვის და ატანდნენ ძალას. აქედან სოფელში დაპატიჟებდნენ ჭირის პატრონებსაც და სხვა ხალხსაც. აღებას მიღებული იყო ბევრი ხალხის დათრობა. ეს თითქმის გრძელდებოდა დიდ მარხვამდინ. დამარხვების შემდეგ სულთაკრეფამდე შენელდებოდა სასმლიანობა. სასმელი იცოდნენ აგრეთვე მარხო-შამაეთ და მარხვის წინა შაბათს, ტალავრის გაშლაც და ტირილიც. ტირილს მოსდევდა ქალებისათვის გაძღოლა, ე. ი. პატივისცემა და სხვა. მარხვა შემოყავდათ ჩვეულებრივ, მხოლოდ ინახავდნენ მარტო ჯვარივნები, უფრო ხუცესი და სხვა ჯვარის კაცები, მაგ. მკითხავი. ზოგს კი მარჩიელი ურჩევდა მარხვის შენახვას იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მეკომურს ძროხები ეხოცებოდა. ზოგს დაავალებდნენ მარხვაში ხორცის არ ჭამას, ზოგს კი მთლიანად მარხვის შენახვას, მხოლოდ ეს უკანასკნელი იშვიათად ხდებოდა.

ურწყის ორშაბათი

მარხო-შემოსვლის მეორე დღეს აქაც (ხახაბოში) იცოდნენ ურწყის ორშაბათი და უქმად იყვნენ. ამ ორშაბათიდან მეორე ორშაბათამდე ქალები და ბავშვები სოფელს ადვილად არ გასცდებოდნენ. თუ გასცდებოდნენ, შორს არ წავიდოდნენ და თუ წავიდოდნენ, ბევრნი ერთად, ან მამაკაცი ეყოლებოდათ ამხანაგად. ისეთი წარმოდგენისა იყვნენ, თითქოს ბავშვს და ქალს პატრონობდა პატარა ანგელოზი, რომელსაც ურწყნი ადვილად მოერეოდნენ და მისი პატრონობის ქვეშ მყოფ ქალსა და ბავშვს ავნებდნენ, ეშმაკების სახით მოეჩვენებოდნენ, გააგიჟებდნენ, ან ავად გახდიდნენ. მამაკაცს კი პატრონობდა დიდი და მძლავრი ანგელოზი. მას ურწყნი და ეშმაკები სიახლოვეს ვერ მიეკარებოდნენ და მის პატრონობის ქვეშ მყოფ კაცსაც ვერაფერს დააკლებდნენ.

ამიტომ იყო კაცი თავისუფლად დადიოდა ყველგან და მის მფარველობის ქვეშ თუ წავიდოდნენ ბავშვები და ქალებიც, თუ არა ისე ეშინოდათ ურწყთაგან. ურწყნი რა სახითაც არხოტში ჰყავდათ წარმოდგენილი, აქაც იმავე სახით წარმოედგინათ: ქალის სახისა იყვნენ, ნახევრად შიშვლები და ნახევრად ანგელოზები. ისინი ადამიანთათვის უფრო ვნებას ცდილობდნენ და ეძებდნენ დროს, რომ ადამიანებს დაეშავებინათ რამე ღმერთისა და ადამიანებისათვის. ეს დანაშაული ურწყთ უნდა გაეგოთ, მიეტანათ ამბავი ან ღმერთისათვის, ან ანგელოზებისათვის და აეღოთ ნებართვა დამნაშავის დასჯისა. ესა თუ ის ხთიშვილი, ან თვით ღმერთი თუ გაჯავრდებოდნენ (გაწყრებოდნენ) ვისმეზე, მაშინ ურწყთ მისცემდნენ ნებას ადამიანი დაესაჯათ. ურწყნი მუდამ ადამიანის მტერნი იყვნენ, მაგრამ ღმერთისა ან ხთიშვილის უნებართვოდ ვერავის დასჯიდნენ – ღმერთისა და ღვთიშვილებისა ეშინოდათ. როცა ისინი ნებას მისცემდნენ, მაშინ ურწყნი დამნაშავეს ან ავად გაუხდიდნენ ოჯახის წევრს, ან მოკლავდნენ, ან ჭკუაზე შეშლიდნენ, ან სიზმარში დაუწყებდნენ საშინელის სახით მოჩვენებას, შეაშინებდნენ და სხვა. ეს რომ ხევსურს დაემართებოდა, უნდა საკლავები დაეკლა ხვთიშვილთათვის. უკანასკნელნი მის თხოვნას შეიწყნარებდნენ, ავადმყოფისაგან ურწყთ ან ეშმაკებს განდევნიდნენ და მოარჩენდნენ. ხევსურეთში ასეთი სულები ქალის სახით ჰყავდათ წარმოდგენილი. იტყოდნენ: "დიაცს ეშმაკის მეტ არა-ი ხპატრონობს, დიაცს ნახევარ გვერდ ეშმაკისაი აქვ". ამიტომ დიაცს ნაკლებ პატივს სცემდნენ. ზოგიერთები ნახევრად ეშმაკად თვლიდნენ მას და ისეთი წარმოდგენისანი იყვნენ, თითქოს თუ სამგზავროდ დიაცი იყო სხვა მგზავრებთან ერთად, მაშინ მგზავრები დაინავსებოდნენ, დიაცის ეშმაკის გავლენით ხიფათი რამე მოუვიდოდათ. ამიტომ ამბობდნენ ხოლმე: "საფერჭედ ვირიმც კრულია, საამხანიგოდ დიაცი"-ო. ზოგს ძილში მოეჩვენებოდა რაღაც, ქალის სახით საშინელი და აშიკნებდა. შეშინებული წამოვარდებოდა მძინარა და ყვირილით – მიშველეთო, გარეთ გამოვარდებოდა. ზოგჯერ სიზმარში ნახავდა ქალს, რომელსაც ისეთი გრძელი კბილები ჰქონდა, რომ მიწაზე მიაბჯენდა, აგრეთვე გრძელი გაშლილი თმა ჰქონდა და საშინელი დაღმეჭილი სახისა იყო. პირში ვითომც ცეცხლი ამოსდიოდა და შეჭმას უპირებდა მას, ვინც ეს მოჩვენება ნახა. ზოგს ურწყნი ესიზმრებოდნენ ჩვეულებრივი ქალების სახით, რომლებიც სცემდნენ ან მოკვლას უპირებდნენ მნახველს და სხვა. დევი კი ეჩვენებოდათ დიდი, უზარმაზარი ნაბდიანი კაცის სახით. ვითომც ეს იყო ბეწვიანი, როგორც პირუტყვი. შეხვდებოდა ადამიანს და მაშინვე დაეჭიდებოდა. დევს უფლება არ ჰქონდა რომ ადამიანს თავისი სრული ძალღონით დაჭიდებოდა. მას ღვთისაგან ჰქონდა ნაბრძანები: რა ძალის ადამიანიც შეხვდებოდა, იმ ძალით უნდა შებმოდა მას, ე. ი. დევს უნდა ეხმარა მოპირდაპირე ადამიანის ძალა, მეტ ღონეს ვერ გამოიჩენდა. ხანდახან ვითომც დევი ადამიანს სილას გაარტყამდა და მისი განარტყამი დალურჯდებოდა. როცა ის ადამიანს ეჭიდებოდა,სადაც დევი ხელს მოავლებდა,ნათითარები დაეტყობოდა და ლირჯად მოიქცეოდა. დევს ეშინოდა ადამიანის იარაღისა. მაგალითად, კაცი თუ მას ხანჯალს ორჯერ დაჰკრავდა, მოკვდებოდა. როცა ორი ხანჯალი მოხვდებოდა, დევი ეტყოდა ადამიანს – დამისამეო. და თუ ადამიანი მას მესამედაც დაჰკრავდა, მაშინ დევის ყველა ჭრილობა გაიკურნებოდა, დევი განთავისუფლდებოდა და მოშორდებოდა

ადამიანს. როცა დევი ეტყოდა დამისამეო, მაშინ ადამიანს უნდა ეთქვა: "სამება დაგისამებსო" და დევი დიდხანს აღარ იცოცხლებდა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ადამიანს დაემაროებოდა (დაედებოდა) დევების სისხლი. დევები დაეძებდნენ თავის მოსისხლე ადამიანს მოსაკლავად. ამიერიდან იგი ყოველთვის ფრთხილად უნდა ყოფილიყო, ღამე არ უნდა ევლო და არც ისეთ ადგილზე, სადაც დევებიანი ან ეშმაკებიანი ადგილები ეგულებოდა. თანაც უნდა დაეკლა ღირებული საკლავები ყველა ჯვარებში, რომელნიც დევებთან მებრძოლებად ითვლებოდნენ და შეხვეწნოდა, პატრონობა გაეწიათ და დაეფარათ დევებისაგან. ასეთი სალოცავები იყვნენ: იახსარი, კოპალა, წმიდა გიორგი და სხვა. წმიდა გიორგის ხევსურები ბევრ ადგილას ილოცავდნენ. ზოგ ადგილას იგი უფრო მძლავრად და დევების დამსჯელად იყო მიჩნეული, ზოგ ადგილას კი იმდენად არა. სხვა სალოცავებთან შედარებით, მას ზოგან დაბლა აყენებდნენ და ზოგან ყველაზე მაღლა. ზოგი იმ შეხედულებისა იყო, თითქოს წმიდა გიორგი, კოპალა და იახსარი ერთი და იგივე არისო. ზოგი კი ამბობდა, რომ ყველა ესენი ძმები არიანო.

ურწყის ორშაბათი ხელუძრავი უქმი იყო და არაფერს არავინ აკეთებდა. მხოლოდ საშიშროება კი გრძელდებოდა მეორე ორშაბათამდინ.

სულთაკრეფა

სულთაკრეფა მოდის მარხვის მეორე ორშაბათს. სულთაკრეფა, როგორც ყველგან ხევსურეთში, აქაც თითქმის ისეთივე წესით ტარდებოდა, მხოლოდ ცოტა გარჩევით. სხვა სოფლებში სულის დღეობა, ე.ი. სულთაკრეფა ჯვარში არ სრულდებოდა, აქ კი ერთი კოდი ლუდი მზადდებოდა,დაიდგმებოდა ჯვარში და ილოცებოდა მიცვალებულებისათვის. ასევე სრულდებოდა არხოტშიც. დანარჩენი წესები ყველაფერი იყო ჩვეულებრივი. სათოფეების დადგმა ისევე იცოდნენ, როგორც სხვა სოფლებში, ვაცების დაყენებაც და მშვილდისრით სროლა ბავშვებისაგან. მისცემდნენ ვაცს მარტო იმას, ვისი ისარიც ვაცს დაესობოდა ისე მაგრა, რომ ისრით აიღებდნენ მას და არ დავარდებოდა. ეს იმიტომ იყო რომ სროლა ისრისა უნდა ყოფილიყო ძალოვანი და ასე უნდა მიჩვეულიყვნენ ბავშვები. სათოფეებს კი თოფებით ესროდნენ ტყვიას, მხოლოდ წილის ყრით და მორიგეობით. სტუმარს კი ასროლინებდნენ უწილოდ, რამდენიც უნდოდა, ოღონდ სტუმარი ხალხის ხათრის გამო, ერთის მეტს არ ესროდა.

სათოფეზე ჩვეულებრივად აქაც დგებოდა: თათები, ჯღნები (ხევსურული ფეხსაცმელი, რომელსაც ფშაურად ჭლუჩა ჰქვიან, მოხეურად ბანდული, ხევსურულად კი – ჯღანი) საფუხრები, ერთი ჩარექი მარილი, თამბაქო და სხვა ამაოგან ერთ-ერთი იქნებოდა. სათოფის პატრონს არაყი ექნებოდა მოტანილი და როცა სათოფეს ვინმე აიღებდა, მაშინ არაყსაც შენდობას ეტყოდნენ და ვისი სათოფეც იყო, იმის შესანდობარს ჩამოარიგებდნენ. სათოფე კვერს და რაც მასზე იყო დაყენაბული, იმას კი სათოფის ამღებს მისცემდნენ. (ეს წესები კარგად არის აწერილი არხოტის სულთაკრეფაში და თითქმის აქაც იგივე მეორდება). აქედან მამაკაცები რა თქმა უნდა,პირდაპირ ჯვარში წავიდოდნენ,იქ ლუდი გახსნილი

დახვდებოდათ და სვამდნენ. სულთაკრეფას ღამისთევა-ჟამისწირვა არ იყო. სულთაკრეფის დასტურნი და ხუცესი დილას მივიდოდნენ, მოსჭიჭავდნენ კოდს და დალოცავდნენ პირდაპირ ხახაბოელ ძველ და ახალ მიცვალებულისათვის. სამი პატარა ქადა იქნებოდა, მარილიანი სამარხო, ან რამე მხლის გულიანი. ადრე ხევსურეთში კარტოფილი არ ყოფილა, მერე კი შემოიღეს კარტოფილის გულიანი კოდ-სამკურთხეველო. სმას დაიწყებდნენ დიდი სპილენძის თასებით, მოიგონებდნენ თითო ძველ გმირ ხევსურს, ავსებდნენ ამ თასებს და აძალებდნენ ერთმანათს. ეტყოდნენ ერთიმეორეს ლუდის დაძალების დროს: ცოდო გქონდას (დაუსახელებდნენ იმ ხევსურს, ვისაც დალოცავდნენ) ამ კაცისა თუ თას არ დასცალეო. ისეთი კაცებისათვის ილოცებოდა უფრო,ვისაც ბევრი ლეკები და ქისტები ჰყავდა დახოცილი და ამიტომ მათ ცოდვიანს ეძახოდნენ, რადგან კაცები ჰყავდა მოკლული.

ქალები გაშლიდნენ ტალავარს და იყო ჩვეულებრივი ტირილი. მათ მიუტანდნენ საწდით ლუდს და დადგამდნენ ტალავართან. ერთი უფროსი დიაცი ამოიღებდა თასით ლუდს,დალოცავდა ახალი მკვდრებისათვის და დალევდა. ამ დროს ტირილი არ წყდებოდა. ერთი ვინმე არიგებდა ლუდს ტირილში. ძახილით მოტირლებს ძალით შეაჩერებდა და დაალევინებდა.

"ჴმით მოტირალის" გაჩერება კი არ შეიძლებოდა. ხმით მოტირალი სულით ტიროდა და იმას ვინ შეუშლიდა ხელს, ის ხომ სულებში იქნებოდა გართული. ტირილს რომ მოათავებდნენ, ორნი ასწევდნენ ფარდაგზე დაწყობილ ტალავართ და წაიღებდნენ შინ თავის ადგილზე. დააწყობდნენ იქ, სადაც სპეციალურად ტალავართათვის ტახტი იყო დადგმული. მერე ქალებს დაუდგამდნენ სამარხო ტაბლას, ხმიადებს, მარილს და ჯამებით დოხანს. მოთავდებოდა ტაბლა და წავიდოდნენ ყველანი. დანარჩენი დღეობები დიდ მარხვაში ყველა ჩვეულებრივად იცოდნენ თაგვჩიტთ უქმი, მგელთ უქმი, მარხოშუობა და სხვა (ეს ყველაფერი აწერილი არის არხოტიდ დღეობებში. აქაც ისეთივე წესებით სრულდებოდა).

ახვსებაც ჩვეულებრივი წესით დგებოდა პირველი საღამო, ხოლო ახვსება დღე იყო სხვა წესებთან შედარებით განსაკუთრებული.

ახვსების შაბათსაც ჰქონდა ცოცოტა თავისებური წესები.

აკვსება (ალდგომა)

ახვსების შაბათს იცოდნენ პორნილაობა, ყველა, დიდი და პატარა მ'შიერი იყო, არაფერს არ ჭამდნენ შუადღის გადასვლამდინ. ვინც ამ დღეს ადრე პურს ჭამდა, ის თითქმის დაიღუპებოდა ოჯახით და ამიტომ იტყოდნენ:

აკსოების შაბათსაო, მკვდარნი ჩავლენ ტაბაკსაო.
ვინაც მალე პური ჭამოს, ვაი იმის ჯალაფსაო.

პორნილას ახალგაზრდები ღამემდინ ინახავდნენ. მერე გამოაცხობდნენ მარილიან კვერებს და თითო სამ-სამს შეჭამდა. კვერი იყო ორი წილი მარილი და მესამედი ფქვილისაგან გამომცხვარი. რომ შეჭამდნენ დაიძინებდნენ და სიზმარში ვინც წყალს დაალევინებდა, ის იქნებოდა მისი წერისა. ე.ი. მისი

საცოლო ან საქმრო. ახალგაზრდები თავთავიანთ სიზმრებს ერთიმეორეს გაუზიარებდნენ და დასცინოდნენ ერთმანეთს ხუმრობით. სხვაფრივ პორნილას შუადღის შემდეგ იხსნიდნენ. პორნილა რომ გაიხსნებოდა, მაშინ ყველაფრის ჭამა შეიძლებოდა. ე.ი. მარხვა იხსნებოდა. ვინც უნდა ჯვარის ხელ-კაცი ყოფილიყო, აქედანვე ხორცსაც შეჭამდა. პორნილას გახსნისათვის ამზადებდნენ საუკეთესო საჭმელს რაც კი ჰქონდათ ოჯახში. პორნილაობა დღისთვის ლუდიც კი იყო მოხარშული,მაგრამ გახსნამდინ არ სვამდნენ,არაყს კი სვამდნენ. ლუდი ნაკურთხია და არ შეიძლება მარხვეულმა კაცმა დალიოს, არაყი კი უკურთხია და არაუშავს იმის დალევასო. არაყი ეშმაკის მოგონილია და როცა უნდა დალიოს, არაუშავსო. ასევე იქცეოდნენ ხუცეს-ხელოსნებიც; დილას ჟამის წირვამდე არაყს სვამდნენ, საჭმელს კი არ ჭამდნენ. პორნილას რომ გაიხსნიდნენ, ქალი და კაცი, ყველა მიდიოდა ჯვარში. ქალები დასხდებოდნენ მათთვის განკუთვნილ ადგილზე. მამაკაცები კი მიდიოდნენ ჯვარში და საჯარეში დასხდებოდნენ. ქალებს გაუტანდნენ ლუდს ერთ "საქუს" (საწდეს). ერთი კაცი დადგებოდა ზედამდეგად და დაალევინებდა ერთი თასით ყველას. ქალები როცა დალევდნენ, წავიდოდნენ სახლებში, ხოლო კაცები აგრძელებდნენ სმას. მეორე დღეს დასტურ-ხელოსნები რომ ჟამს სწირავდნენ, მივიდოდა სოფელიც ჯვარში (ღამისთევა – ჟამის წირვა აქ არ იწერება იმიტომ, რომ არხოტული წესებისაგან არ განსხვავდება). სოფლიდან ზოგს ქალი ჰყავდა ახალ გაჩენილი ჯვარში მისაყვანი (ამას ეძახდნენ "ჯვარში გაყვანას"), ზოგს ვაჟი და ახალზალი, ე.ი. რძალი. ამათ გაყვანას თაე-თავისებური წესი ჰქონდა. ვაჟს რომ გაიყვანდნენ (გაყვანა, როგორც ვთქვით, იცოდნენ ახალდაბადებულებისა და ახალ მოყვანილი რძლისა), თან მიაყოლებდნენ ერთ დიდ ვერძს და ერთ დიდ ქადას. ვაჟს დედა ტანს დაბანდა, გამოუცვლიდა და ისე მიიყვანდა ჯვარში, რომ ღირსი გამხდარიყო ჯვარში მისვლისა და მიბარებისა, რადგან ხალხის წარმოდგენით, ყმაწვილს აქამდე ანგელოზი არ პატრონობდა, ამ დღიდან კი ის ღირსი ხდებოდა. წყაროთგორული ღმერთს სთხოვდა და უკანასკნელი დააპატრონებდა ბავშვს საკუთარ ანგელოზს. მისი დაპატრონების შემდეგ, ბავშვი ეშმაკებისაგან საშიში აღარ იქნებოდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ბავშვი რაც შეიძლებოდა სუფთად უნდა ყოფილიყო. აიყვანდნენ ახალ ჩასაცმელებში გამოწყობილ ბავშვს და საკლავთან ერთად მიყავდათ ჯვარში. საკლავი იქნებოდა დიდი ვერძი,ქადა კი ერთი ლიტრა,ე.ი. ათი გირვანქა ერბოსი. ამ ქადას საქერქედ ჰქონდა ორი ლიტრა ფქვილი. მას განსაკუთრებულ პირობებში აცხობდნენ; საჭირო იყო თიხის დიდი კეცი, რომელსაც მიაყუდებდნენ დანთებულ ცეცხლზე და ახურებდნენ გავარვარებამდე. ჩადებდნენ ქადას, ზედ დააყრიდნენ ნაღვერდლიან ცხელ ნაცარს და ასე გამოაცხობდნენ, რადგან მისთვის გვერდის მოქცევა არ შეიძლებოდა სიდიდის გამო. გამოსაცხობი შეშა უნდა ყოფილიყო მაგარი, რომ ნაღვერდალი და ნაცარი დიდხანს ყოფილიყო ცხელი. მურყანი, ცაცხვი და სხვა ასეთი რბილი შეშა, მას ვერ გამოაცხობდა. როცა ქადა გამოცხვებოდა, ნაცრისაგან გასწმენდნენ, ჩადებდნენ ვარცლში და წყალში გაბანდნენ. მერე იმ მხარეზე ერბოთი გაპოხდნენ, რომელიც დაჭვრეთილი იყო და ზემოთა გვერდად დამზადებული. ეს ქადა ისეთი დიდი იყო, რომ ტომარაში არ ჩავიდოდა და ვერც ერთი კაცი წაიღებდა. გააკეთებდნენ მრგვალ ჯარჯს,

მასზე ჯვარედინად დააკრავდნენ თხელ გათლილ ჯოხებს და ორივე მხრიდან შემოახვევდნენ ქადას. ზედ დაახვევდნენ საბელს, საბელში თოკს გაუყრიდნენ, ასწევდა ორი კაცი და წაიღებდა ჯვარში. ჯვარში ამ ქადების დასალაგებლად სიპები იყო დაწყობილი. (ქადის ქერქი უნდა ყოფილიყო ან წმიდა პურისა და ან სვილისა, ისიც კარგი, რომ ქადა მაგარი გამოსულიყო და სიდიდის გამო არ გატახილიყო). თუ ვისიმე ქადა გატყდებოდა, ეს ნიშნავდა უბედურებას და სირცხვილიც იყო "იმდენი შეძლება არ ჰქონდაო, იტყოდნენ, რომ ქადა არ გასტეხოდაო"). ქადას თან მიჰყვებოდა თითო კელეპტარი (დიდი სანთელი) და საუკეთესო წინწანაქარი არაყი ხელადით, ან უფრო მოზრდილი ჭურჭლით. ბოთლით არაყის მიტანა და ისიც ცუდისა, სირცხვილი იყო. ამიტომ ყველა ცდილობდა, რაც შეიძლებოდა ბევრი და კარგი არაყი მიეტანათ. ვერძებს ვინც მიაყოლებდა, ყველა ცდილობდა, რომ სხვაზე უკეთესი მიეყვანა. საკლავებს დაბამდნენ იქვე, დარბასის კარში, მათთვის გამზადებულ ბოძზე. ამ სამსახურებს ცალ-ცალკე არ დაკლავდნენ. ვინც მოსასვლელი იყო სოფლიდან ყველანი რომ მოვიდოდნენ, მაშინ გამოვიდოდნენ ჯვარიენები. იმათ გამოსვლაზე ხალხი ფეხზე ადგებოდა, ქუდებს მოიხდიდნენ და დაიწერდნენ პირჯვარს (რაღაც სახე ჰქონდათ პიჯვრის წერისა, თორემ ხევსურეთში ნამდვილი (წესიერი) პირჯვრის-წერა არ იცოდნენ). ჯვარიონნი, ჯერ ხუცესი და მერე ყველანი ერთხმად აჰყვებოდნენ ერთმანეთს და დაამწყალობებდნენ მეზღვნე-მესადიდებულოებს: "გწყალობდასთ მასულო მეზღვნეო – მესადიდებულოევ, გიორგი წყაროსგორულის დავლათი. საწაღმართოდ მაგიარასთ, მშვიდობით შაგინახნასთ, კლოვ უკეთი გულით, წულით და წულის აკავნით შამაგიხვეწნასთ ("წული" – ვაჟიშვილი ახალშემომატაბული). წულის პატრონს კლოვ სხო მაგცასთ ასეთ გასაზდო-გასახაროი. ქალის აკავნისა-დ ახალზლის პატრონს კლოვ ამ დროს წულითა, წულის აკავნით მაგიყვანასთ გიორგის კარზე. ნუ რა შაგანანასთ, სისარულა გაგიჭადასთ ნაზღვნობ, ნაყმობ, ნამსახურები. თქვენ მაგცასთ წყალობა ჩვენში დამწყედეულ-მაწეულ სტუმარს. ყურით მაყურებლებს მაგცასთ წყალობა. ახლა თქვენებს წულების აკავნებისად მაყოლებულ სამსახურებს შაგვასწვრნასთ. ჯვარიენებო, თქვენ გწყალობდასთ დასტურ-გამძღობართა-დ ჭელოსან-მორიგეთ". ამ დამწყალობნებას რომ მოათავებდნენ, ყველანი მიბრუნდებოდნენ იქით მხარეს, სადაც ქალები იყვნენ. ისინი ფეხზე იდგნენ და ელოდებოდნენ წყალობის თქმას. ჯვარიონნი და ხალხი ქალებსაც ამავე სიტყვებით დაამწყალობნებდნენ ყველანი ერთხმად: "მანდილოსნებო, გწყალობდასთ გიორგის დავლათი. სოფელში ხათრიან-ნამუსიანს გწყალობდასთ. წულის აკვანით შამაგიხვეწნასთ მუდამ" (აქ გაგრძელება მთელი დამწყალობნებისა). ვაჟის გასაყვანად აუცილებელი იყო დიდი ვერძი, ქალის და რძლის გასაყვანად, თუ შესაძლებლობა არ ჰქონდა ოჯახს, შეიძლებოდა მარტო ქადის და არყის მიტანაც, მაგრამ უმრავლესობას – კი მიჰყავდა საკლავიც. დამწყალობნებას რომ მორჩებოდნენ, ხუცესს წაუყენებდნენ ყველა საკლავებს. ისიც ამოიღებდა სახუცო გრძელ დანას ქარქაშიდან, ან ხანჯალს, დაიჭერდა ხელში შიშველად და იტყოდა "მიჭსენაბას". საკლავებს ცალ-ცალკე მოახსენებდა და ახვეწებდა იმას, ვისიც საკლავი იყო; ხუცობით კი ყველას ერთად იხუცებდა და ხუცობაში ჩაურთავდა "სწყალობდი მეხვეწურთო". ("მეხვეწურნი" ნიშნავდა ყვალას, ვინც საკლავები

მიიყვანა). ხუცობა იყო ჩვეულებრივი, ხოლო მოხსენება იყო შემდეგი სიტყვებით: "დიდება ღმერთსა, დიდება ძალსა შენსა, გიორგივ წყაროსგორისაო. ნუ შამისაწყინდები ჴორციელს შამაძახილზედ და ჴსენებაზე. შენად სამთავროდ – გასამარჯოდ მაიჴმარი სამსახურ მაყენებულ – მაჴსენებული, მათხოილ მადლი გიორგივ წყაროს გორისაო. შენ შენ გამჩენ ღმერთი გადიდებს, გაძრივლებს, შენ გამჩენი არ მაგიწყენს, არ მაგიძულებს. შენ მეხვეწურთ შამახვეწილ-შამაბარებულთ წულისა-დ ქალის აკავანს, ამ სოფელში მასულსა-დ შენის კალთაისად შამაბარებულ ახალზალს, მეზღვნე-მესადიდებულოეთ შენ დავლათი დააჴმარი. დალოცვილო გიორგივ წყაროთგორისაო, საკუთრეულად შამაგძახს (სახელი, დაუშვათ აპარეკა) აპარეკა, წულის მამა, თავის წულ შენდ შამაუგორებავა-დ შამაუბარებაე. შენ კაბის კალთაში გაიხვიე, დაიცი, დაიფარი, მავნე ზიანისაგან დაიჴსენი (ბავშვის სახელი, დაუშვათ ხთისო) ხთისო. გაზარდი შენს კალთაშია, გაჴადი ღირსი შენის ყმობისა, ღმერთი შენს ბატონობას გაუმარჯვებს. მამა-შვილებ რასაც მჴარზედა-დ გულზე გიძახებდან, – იმ მჴარ, იმ გულზე დაუბრუნდიდი. რასაც წყალობას გეთხოებოდან, – ის წყალობა უბოძიდი. გეხვეწებიან, – შაიხვეწნიდი. ველთ ვინ გაივიდოდას მაგათ ყუდროში, ბედსა, დავლათს შენს აჴსენებდან, – შენ ბედი, დავლათ დააჴმარიდი. მეველე-მენადირეს გახყვიდი, ჴელ მაუმართიდი, მტერზედა, ნადირზე გაუმარჯვიდი, სახელ-სარგებელს მააგანიდი, სავნებელ მააშორიდი. სხო ხთის-ნაბადებნ თუ რას უჩიოდან, – მადლი, ხოიშან დაუთხიდი, თაოდ პირწალმა, გულწალმ დაუბრუნდიდი, სახელიან ზღვენი, სანოელ აიტანიდი, ნურას მახკერძებ მაგათ ყუდროს სავნოს, საზიანოს. მაგათ ოფლსა, ნამაშვრალს ბარაქა დაუტანიდი, ჯვარ დაუწერიდი. მაგათ ოფლ აიტანიდი, მარიგეს ღმერთს მიუჩვენიდი. დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა, შენ უშველი შენთ მეხვეწურთ"!

ასე მოახსენებდა ხუცესი თითო საკლავზე და იხუცებდა ყველა საკლავებს ერთად. ხუცობა იყო ჩვეულებრივი როგორც არხოტში, ისევე აქ. მხოლოდ ამ ხუცობაში რაკი ბევრს საკლავებს ერთად ხუცობდა, სახელებს არ ჩაურთავდა. მარტო იტყოდა: "მეხვეწურებს სწყალობდიო" და მათ ერთხმად ახვეწებდა ყველას. აქ იგულისხმებოდა ყველა საკლავების პატრონები. ხუცობის დროს ხალხი ფეხზე იდგა ქუდმოხდილი, იწერდნენ პირჯვარს და თან ამბობდნენ: "დიდება ძალსა შენსა, გიორგვ წყაროთგორისაო. შენ უშველ შენთ მეხვეწურთ, შენის ძალით შაინახენი". ხუცობის დროს ქალებიც თავის დანიშნულ ადგილზე იდგნენ; ზოგი მუხლ-მოყრილი იყო და ეხვეწებოდნენ თავისებურად ჯვართ. ხუცობა რომ დამთავრდებოდა, დაამწყალობნებდნენ მეხვეწურებს: "გწყალ;ობდასთ მეხვეწურთ, სიხარულად გაგიჴადასთ, ნუ შაგანანასთ მსახურობა, კლოვ უკეთი გულით გიმსახურნასთ, მუდამ წულის პატრონი გქნასთ" და შემდეგ მიდის ჩვეულებრივი დამწყალობნება. მერე ქალებსაც დაამწყალობნებდნენ. დამწყალობნებამდე ჯერ საკლავებს მოსჭრიდნენ თავებს ჩვეულებრივი წესით. საკლავებს დაპატრონდებოდნენ დასტურები გასატყავებლად. საკლავების გატყავება აქ გუდად არ იცოდნენ. გაატყავებდნენ თავისებურის წესით და გაფელკავდნენ ორად. საკლავის ფელკს მისცემდნენ პატრონს, ფელკს კი მოხარშავდნენ ჯვარში. ნაწილი ხორცი – კი რჩებოდა დასტურებისათვის. ხორცს დაუყენებდნენ მეხორცეებს, რომლებიც მოხარშავდნენ და გაანაწილებდნენ

ტაბლაზე დასაგებად. ამ დროს ხუცესი ჭრიდა ქადებს ორად და ნახევარი უბრუნდებოდა პატრონებს, ნახევარი – კი ეწყობოდა იქ. მერე ხუცესივე სინჯავდა არაყებს. ვისი ქადა და არაყი უკეთესი გამოვიდოდა, იმას ისევე ზედმეტად ამწყალობნებდნენ. ვისი ქადა და არაყი მეტი იყო, იმას ხუცესი ფეხზე ადგომით დაუძახებდა: "წყალობა მაგცას გიორგი წყაროსგორისამ სანამეტნაოდ, იმით რომ მეტი ას შენის ოფლისა მატანილი (ქადა იყო თუ არაყი იმას დაასახელებდა), მეტი გქნას, სწორთ გამჯობინას, შენის მტრის თოფსა, ჭმალს შენ ამჯობინას". მას ჰყვებოდნენ სხვებიც. ხუცესი გაჭრაშიც ამწყალობნებდა ქადის მომტანს. მერე დაასხამდნენ არაყს, აანთებდნენ სანთლებს და ხუცესი ხუცობდა ჩვეულებრივად სადიდებელთაზე. მას მოყვებოდა ყველა სადიდებელი წესები, ფეხზე შემღერნება და სხვა.

სადიდებელთ დალევას რომ მორჩებოდნენ, ამ დროისათვის მოიხარშებოდა ხორცი. დააგებდნენ ტაბლას დასტურებისაგან მოტანილ სატაბლო პურებზე. დასხამდნენ ხალხს. ხუცესი ამ ტაბლაზე მიცვალებულებისათვის ეტყოდა შენდობას ჩვეულებრივი წესით და დაუდგამდნენ ტაბლას მეზღვნეებსა და სხვა ხალხს ერთად. მხოლოდ მეზღვნეებს სამეზღვნეოდ ერთ ჩხუტ ლუდს გამოუტანდნენ ცალკე. ისინი ამ ლუდს ჩამოურიგებდნენ ყველა იქ მყოფ ხალხს და დაალევინებდნენ მეზღვნეების სამწყალობნელს. ტაბლაზე ურიგებდნენ ხავიწიანი ქადების ნაწვრეთებსაც. ამავე ტაბლაზე იდგმოდა ზედამდეგებისაგან კარახანა. კარახანას მოსდევდა შემღერნება და სხვა ჩვეულებრივი ამბები. ამას რომ მორჩებოდნენ, ადგებოდნენ ტაბლასთან მსხდომნი და ზედამდეგებს ეტყოდნენ: ჭელ-ფეჭ მტერზე მაგაჭმარასთ შორიელზე, მადლობელი ორთ". – "მტერიმც ნუ მოგერევის" – უპასუხებდნენ ისინი. გათავდებოდა ეს ტაბლა და ხალხი წავიდ-წამოვიდოდა შინ. ახალგაზრდები საერთოდ უფროსების ხათრით ძალიან ცოტას დალევდნენ და იმასაც უფროსების თვალხედვ ვერა. დალევდნენ ჩუმად, რომ უფროსებს ვერ დაენახათ. ახალგაზრდას თუ უფროსი კაცი მთვრალს დაინახავდა, ეს მისთვის დიდი სირცხვილი იყო. მას საქვეყნოდ შეარცხვენდა უფროსი კაცი, სახალხოდ ეტყოდნენ ისეთ სიტყვებს, რომ მეორეჯერ აღარ გაბედავდა სასმელის დალევას და დათრობას. ამრიგად მთავრდებოდა ახესების წესები. ახესების ორშაბათიც ითვლებოდა ურწყის ორშაბათად და ამ დღესაც არ მუშაობდა არავინ ურწყთ შიშით. ხალარჯვება არ იცოდნენ.

ამაღლება

ამაღლება იყო ჩვეულებრივად მოძრავი დღეობა. "აჭსოების" შემდეგ ექვსი კვირა რომ გავიდოდა, მოვიდოდა ამაღლება. ამაღლების დასტურნი ადუღებდნენ ერთ ქვაბ ლუდს (კოდი იდგა ჯვარში). მესაფუვრე აფუვლებდა ლუდს ამაღლების წინა დღეს, მაგანძური მოიტანდა განძს და შეუდგებოდა ჩვეულებრივად დღეობის ღამისთევის წესებს. ღამისამთელოს მოიტანდნენ დასტურები. იგი ცხვებოდა ჯვარის ფქვილისაგან, ხავიწი ან სხვა გული კი დასტურის ხარჯი იყო. დანარჩენი წესები ყველა ისე ტარდებოდა როგორც სხვა დღეობების ღამისთევაში არის ნათქვამი.

მეორე დილას ჟამისწირვაც ჩატარდებოდა ჩვეულებრივად, ყველა იმ წესებით, რაც სხვა დროს არის აღწერილი: სადიდებელი, მღერა და სხვა. ამ დღეობაში განსაკუთრებული წესი იყო ძენგლი. ეს ძენგლი ედო ხახიაურებსა და მამიაურებს. ძენგლი ედო იმიტომ რომ ხახიაურმა კაცმა ჩხუბის დროს მოკლა მამიაური, სოფელში სულ უბრალო შელაპარაკებაზე. ხსენებული გვარის კაცები წაიჩხუბნენ (ორნი). ერთი მეორეს ხანჯლები დაჰკრეს და ერთმანეთი მსუბუქად დაჭრეს. ამაზე მოხდა გვართა ჩხუბი და ორი გვარი ერთმანეთს გადაეკიდა. ამასობაში კიდევ მრავალი დაიჭრა, ერთი კაცი კი იქვე მოკვდა მამიაური. მას არ მოკლავდნენ, მაგრამ ჩხუბში გამშველებლები და მაჩხუბრები კლდეზე გადაცვივდნენ. გადავარდნის დროს დაგორვილი მამიაური შემთხვევით დაეცა ხახიაურის ხანჯლის წვერს გულით და იქვე მოკვდა. მკვლელი გაიქცა, დაედევნენ მოსისხლეები და მოკვლას უპირებდნენ. იგი წყაროთგორულის კოშკზე შეხტა და იქ დაჯდა: შეეხიზნა ჯვარს. ხელს ხომ ვეღარ შეუბრუნებდა, რადგან დამნაშავე იყო და თავის გადასარჩენად, რა თქმა უნდა, ჯვართ მიმართავდა. მამიაურაბი თან მიჰყვებოდნენ და ჯვარში შევარდნა მოინდომეს. მოკლულის ძმა პირველი მივარდა და აღებული ხმლიანი ხელი გაუშეშდა, იმ დროს, როცა უნდა მოექნია და დაეკრა მკვლელისათვის. ამის მნახველი სხვა მამიაურებიც გაჩერდნენ და უთხრეს: დღეს პატივი იყოს წყაროთგორულისა შენი სიცოცხლე, რადგან შეხიზნული ხარ და ამას იქით მაინც ჩვენი ზღვენი ხარ, უნდა დაგკლათო. ის კოშკზე ქუდმოხდილი, თავდახრილი მუხლით იჯდა და ხმას არ იღებდა, მათი ხათრის გამო. მამიაურები დაბრუნდნენ სოფელში. (წყაროთგორის სალოცავის კოშკი სოფლიდან დაშორებით არის, დაახლოებით ხუთასი მეტრის მანძილით, სოფლის აღმოსავლეთ მხარეს). აქ კიდევ ფიქრობდნენ დანარჩენ ხახიაურებთან სასიკვდილო ჩხუბს, მაგრამ მათი გვარის ხალხი იქ აღარავინ დახვდა, კაცის სიკვდილზე ყვალანი გაქცეულიყვნენ და დამალულიყვნენ. იცოდნენ რაც მოხდებოდა და ვალდებულნი იყვნენ დამალვისა, როგორც მკვლელის მოგვარეები. ესენიც რომ დამალულნი დახვდნენ, გამწარდნენ მამიაურები და შეკრეს გზები, რომელზედაც მკვლელი გაიქცეოდა ღამე. ეს მკვლელმაც კარგად იცოდა, რომ ასე მოხდებოდა. მან "შაზძახნა" წყაროთგორულს და სთხოვა დახმარება. წყაროთგორულმა ისეთი ავდარი და ჭექა-ქუხილი მოიყვანა, რომ მოსისხლეებმა ვეღარ გაუძლეს და წავიდნენ შინ. მკვლელი გადარჩა და გადიხიზნა ქისტეთში. მან კოშკზე შეხტომისა და შეხიზვნისათვის გიორგი წყაროთგორულს შემოუთქვა და დაიდო ძენგლი ერთი ჩხუტი ლუდი და ერთი საკლავი. ამის შესრულებას შეპირდა იმ დღიდან, რა დღიდანაც მამიაურები "თოფს აიღებდნენ" (ასე ეწოდებოდა ხევსურეთში, როცა შურის მაძიებლები იტყოდნენ ე.ი. ჯვარს და ხალხს შეპირდებოდნენ, რომ ჩვენ იმათ თოფს აღარ ვესვრით და აღარ მოვკლავთ, მხოლოდ გზაში თუ შეგვხვდა, მხარი აგვიქციოს და პირდაპირ უხეშად ნუ შეგვხვდება, რომ იმ დროს მოთმინება არ დავკარგოთ და არ შემოგვაკვდესო). ეს რომ ქისტეთში გადაიხიზნა, მამიაურები ცდილობდნენ მისი გვარისა მაინც ვინმე მოეკლათ, მაგრამ მათი გვარიდან ავად გამხდარა რამდენიმე შურისმაძიებელი ახალგაზრდა და სიკვდილზე მიწურულან. მკითხავმა ვიდრე მესამედ არ ურჩია ხახიაურების მტრობაზე ხელის აღება, ამღვრეული გულის გაწმენდა და ამორეცხა, მანამდე კინაღამ დაიხოცნენ

ყველანი. პირველად უარზე მდგარან, მაგრამ როცა გაუჭირდათ, თურმე მიდიოდნენ და ეხვეწებოდნენ ჯვართ: ოღონდ ჩვენ აგვიშვი და საბოლოოდ ხელს ავიღებთ მაგის მტერობაზეო. ამ დაპირებაზე ყველანი გამოკეთებულან და ამდგარან, მაგრამ ჯვარს ამ მხარისათვისაც მოუთხოვია ძენგლის დადება, ე.ი. დაზარალებული გვარისათვის. ეს იმიტომ, რომ ჩემს პატიმარს თქვენ მოსაკლავად ყარაულობდითო. ამ დღიდან იწყეს შერიგება. ყველა რიგის წესები დაუყენეს, – საკლავებით, კურეტებით და სპილენძით. "პირშასამყრელო",ჯერ სახლისკაცებთან ქნეს. ადუღებდნენ ლუდს, მიიყვანდნენ საკლავს, მივიდოდნენ შუაკაცები და ხუცეს-ხელოსნები. საკლავს დაკლავდნენ ჯვარში, ერთმანათის მოდავეთ დაამწყალობდნენ – მერე სვამდნენ ლუდს ჩვეულებრივად (ეს წესები ცალკე არის მოყვანილი ხევსურეთის რჯულის აღწერილობაში). სახლისკაცების პირშასამყრელოს შემდეგ ჩვეულებრივზე ადრე თვით "მოხელეს", ე.ი. მკვლელსაც აქნევინებდნენ პირშასამყრელოს. მათი "პირშეყრის" წესიც აღწერილია არხოტის დღეობებში. მისი პირს შეყრა აჩქარებული იყო იმიტომ, რომ ჯვარმა მოამიზეზა.

აქედან დაიწყეს ძენგლი ორივემ ერთად წყაროთგორულის ჯვარში. როგორც ვთქვით,ამაღლება დღისათვის ადუღებდნენ ერთ ჩხუტ ლუდს ერთები და ერთს მეორეები. ორივე ჩხუტზე ერთად იცოდნენ ღამისამთელო – ჟამსაწირიც. საკლავს ერთ წელს ერთები მოიყვანდნენ, მეორე წელს მეორეები. ამ საკლავით ეხვეწებოდა ორივე მხარე. ხუცესი რომ ძენგლის საკლავს კლავდა, იტყოდა: "გიორგი წყაროთგორულო, უშველი მეძენგლეთ. შენ შემაგძახან, შენ გაუგონი შამაძახილი. რაც ავ ჩამაუვარდ გიორგი წყაროთგორულო, სხვას ნუღარას ჩამაუგდებ, აგრემც გაემარჯვების შენს ბატონობას".

ძენგლის საკლავი რომ დაიკვლოდა, გაატყავებდნენ თვითონ მეძენგლეები და ხორცსაც ისინი მოხარშავდნენ. მეძენგლეებს თვითონ მიჰქონდათ პური, მარილი და ამ ხორცის ტაბლას უდგამდნენ ჯვარიენებს და სხვა იქ შემომწყვდეულ ხალხს. თვითონ მეძენგლეები ფეხზე დადგებოდნენ და ჭამის დროს ლუდს ურიგებდნენ და ასმევდნენ ხალხს. ძენგლის დროს მღერა არ იცოდნენ, რადგანაც ძენგლი მოსისხლეობაზე იყო და ორივე მხარე – დამნაშავე და დაზარალებულიც აქ იყვნენ. ტაბლის დალოცვის დროსაც ასე ილოცებოდნენ: "ღმერთო გაუმარჯვი გიორგის წყაროთგორულსა, გიორგიე წყაროთგორულო შენ წყალობა მიეც მეძენგლეთ. რაც ავ ჩამაღვარდნივ, ნუღარას ავს ჩამოუგდებ დალოცვილო, გაუმარჯვი ფეჭ-ზე მდგომებსაც, ჭელ-ფეჭ მტერზე მააჭმარი შორიელზე, ნუ მაღრეე მტრის თვალგულს". ჭამას რომ გაათავებდნენ, ადგებოდნენ და ჩვეულებისამებრ ფეხზე მდგომებსაც აჭმევდნენ პურს. ასე დამთავრდებოდა ძენგლის წესი. ძენგლის დროს აქ მთელი სოფელი არ ესწრებოდა, თუ ვინმე სურდათ, თვითონ დაპატიუებდნენ და პატივს ცემდნენ.

ძენგლი რომ მოთავდებოდა, მივიდოდა სოფელიც და დასხდებოდნენ საჯარეში, მოითხოვდნენ ჯვარიდან თავის წილ ლუდს და იმართებოდა ჩვეულებრივი სმა. დღეობის დაბოლოვება და გამოლოცვა ჩვეულებრივი იყო. ამის შემდეგ მოვიდოდა ათენგენა.

ათენგენა

ათენგენისათვის ორი დასტური ადუღებდა ორ ქვაბ საგანგებოდ კარგ ლუდს. კარგი ლუდი ათენგენას იმიტომ იცოდნენ,რომ ბევრი სტუმრები მოდიოდა ამ დღეობაში და კარგად გამასპინძლება უნდოდა. ლუდის გარდა სოფელში იცოდნენ კომლზე თითო ქვაბი არაყის გამოხდა (გამოწურვა). არაყით სტუმრებსაც სცემდნენ პატივს და წინწანაქარი თითო ბოთლი ჯვარშიც მიჰქონდათ ჯვარიონთათვის პატივსაცემად. ეს არაყი გამოხდილი იყო თავისი წლის მოსავლის ნათავარისაგან. ხევსურეთში, პირიქითსაც და პირაქეთ ბუდეხევსურეთშიც ათენგენა ყველაზე დიდი დღეობა იყო მთელი წლის დღეობებთან შედარებით, ამიტომ იყო, რომ მკითხავ-ქადაგები ავადმყოფის პატრონს რომ უმკითხავებდნენ, ვარდის დღეობაში გაითხოვდნენ სამსახურს. ათენგენას ვარდის დღეობას უწოდებდნენ მკითხავები იმიტომ, რომ მაშინ ვარდის და ყვავილების დროა ხევსურეთში. სამსახური გაითხოვაო – ეს ტერმინიც მკითხავებისა იყო, ვითომც საკლავის დაკვლა მოითხოვა ამა თუ იმ სალოცავმა. ხევსური მკითხავები განსაკუთრებული,გაზვიადებული ენით ლაპარაკობდნენ. ყველა სალოცავებს სასახელოდ მიაჩნდათ ამ დღეობაში მეზღვნის მისვლა და ყველა მკითხავი ასე ეტყოდა: ჩემს ვარდის დღეობას ესა და ეს სამსახური უნდა მომიყვანოო. სწორედ ამიტომ იყო ამ დღეობისათვის განსაკუთრებული მზადება და მეზღვნეების სიმრავლე. ამას გზებიც და დროც უწყობდა ხელს. გზები მშრალი იყო, საქმიანობაც ნაკლები – არც ხვნა იყო, არც თიბვა, არც მკა, უფრო ამზადებდნენ შეშას და უმეტეს დროს კი ფეხვნობაში ატარებდნენ.

დასტურების მიერ ლუდის დუღებამდე ხუცეს-ხელოსნები ერთი კვირით ადრე გავიდოდნენ "საწმიდარ". ქვაბების დუღების შემდეგ დღეობამდინ ერთი კვირა კიდევ იყვნენ ჯვარში. დასტური კი მუდამ ცალკე იყო, ის ოჯახთან ვერ იცხოვრებდა, ვერც გაივლიდა ქალების სასიარულო გზაზე, ვერც მიცვალებულისათვის დალოცვილ პურს ჭამდა.

დღეობის დასაწყისს ე.ი. ათენგენის წინა დღეს ჯვარში ყველა მოხელე შეუდგებოდა თავის საქმეს. მეგანძურს მოჰქონდა განძი, რეცხდა და აწყობდა თავის ადგილზე, მედროშავე ინათლებოდა და აბემდა დროშას. ყველაფერს კი ხელმძღვანელობდა ხუცესი, ძველი მოსამსახურე. იგი აძლევდა დარიგებას ყველაფერში. დასტურები არაყს ხდიდნენ და ამზადებდნენ დღეობისათვის, ერთ-ერთი დასტურის სახლში ხნიერი ქალები აცხობდნენ ღამისამთელოს. დასტურები ღამისამთელოს გაარიგებდნენ ლუდიანი თასებით,სანთლით და უთევდნენ ღამეს. ამ დროს სოფლიდან ჰყავდათ მოყვანილი თოფ-იარაღით შეიარაღებული ორი ახალგაზრდა. ამათ ავალებდნენ ჯვარ-დროშის ყარაულობას ღამით. იმ დროს დღეობაში ხშირად ეცემოდნენ ლაშქრად ქისტები და ლეკები. ერთი იმიტომ, რომ ხალხი მთვრალი იქნებოდა და მტერს კარგად ვერ დახვდებოდა და მეორეც – თას-განძი იმ დროს სამალავებიდან გამოტანილი ექნებოდათ და მტერი ხელთ იგდებდა. სწორედ ამიტომ აყენებდნენ ყარაულებს. მათ არ ჰქონდათ დაორობის ნება. ლუდი კი ედგათ საწდით და როცა სურდათ დალევდნენ. დასტურები

ყარაულებს პატივს სცემდნენ რითაც კი შეეძლოთ; უწვავდნენ მწვადებს, უხარშავდნენ ხორცს და ლუდსაც საუკეთესოს ურჩევდნენ. ყარაულები ჯვართ გარშემო უვლიდნენ, თავისუფლად და უშიშრად შეუდგებოდნენ სმას. იმ ღამეს ასე გაატარებდნენ ჯვარში, ხოლო სოფელში არაყზე პატიჟობდნენ ერთმანეთს.

გათენდებოდა ათენგენა დღე, დილის ჟამს სწირავდნენ დასტურ-გამძღობარნი (ჟამის წირვის წესები აწერილია, არხოტის ჯვარში წელწდის აღწერილობაში და აქ იმიტომ აღარ იწერება), ჟამს რომ სწირავდნენ, მოვიდოდა სოფელიც, ქალი და კაცი ბავშვებიანად. აქედან წავიდოდნენ ვაკის დღეობაში. ვაკეს ეძახოდნენ სოფლის ბოლოზე საკმარისად დიდ მინდორს, რომელიც ჯვარისაგან იყო დაჭერილი. აქვე იდგა პატარა სადღეობო კოშკი, სადაც ათენგენა-დღეს დღეობობდნენ. ამ დღეობას ეწოდებოდა ვაკეობა. ყველა კომლი მოიტანდა თითო ქადას და ზედ სამი ან აშალი იდო და ან გორილა. გორილა იყო დაახლოებით ასი გრამის ოდენობის ცომისაგან გამომცხვარი მრგვალი პური. (ხევსურულად ორას გრამს ჰქვია ერთი სტილი, ას გრამს ნახევარი სტილი). ამას მიაყოლებდნენ თითო ბოთლ არაყს და თითო ფეკ სანთელს, ამოიღებდნენ გუდებიდან და დააწყობდნენ ბორტვზე. აანთებდნენ სანთლებს და დააკრავდნენ ქადებზე. მერე ხუცესი და დასტურ-ხელოსნები დადგებოდნენ მწკრივზე, დაიჭერდნენ ხელში ლუდით სავსე ვერცხლის თასებს,ზედ მიკრული სანთლით და ხუცესი იხუცებდა. იგი ახვევწებდა მთელ სოფელს, სთხოვდა თავის სოფლისათვის ყველაფერს კარგს. ხუცობა რომ მოთავდებოდა, კიდევ დაამწყალობნებდნენ სოფელს, ერთიმეორეს. მერე ხალხი იღებდა აშალს, გორილაებს და მოშორებით მდგომ ბავშვებს და მათთან ერთად ქალებს ესროდნენ. ქალები და ბავშვები აშალ-გორილაებს იტაცებდნენ ვინც რას მოასწრებდა. ბოლოს იმართებოდა სმა. თუ ჭირიანი სოფელი არ იყო,მოჰყვებოდა ლხინი – თამაშობა და მღერა. (ჭირიანი სოფელი ჰქვია თუ ამ სოფელში მოკლე ხანში ვინმე პატივსაცემი ახალგაზრდა გარდაიცვალა და გლოვობდნენ მას. ამ დროს ამ სოფლის ტერიტორიაზე თუ სხვა სოფლელმა ვინმემ იმღერა ხმამაღლა, სოფლის მამაკაცი ამ სიმღერას თუ შეესწრება, არ აპატიებს და ხანჯლით დასჭრის მომღერალს: "ჩვენ ჭირიანი სოფელი გვაქვს, ქალ-ზალი შავად ჩაცმული და თვალცრემლიანი დადის და შენ აქ მღერა როგორ გაბედეო. თუ ჩხუბი არ აუტეხა, ესეც სირცხვილია ვერ მოჩხუბარისათვის).

სვამენ ლუდს ქალი და კაცი ყველა, კაცები ცალკე და ქალები ცალკე. ახალგაზრდა ვაჟებს შეუძლიათ ქალებთან წასვლა და მათთან მონაწილეობის მიღება თამაშობაში. აქვე იმართებოდა დოღი.

ჯვარიკნები დაუდგამდნენ ლუდს წინ მომსვლელს და ახალგაზრდები არბენდნენ შიშველა ცხენებს. წინ მომსვლელს ეძლეოდა ლუდი და იგი დაალევინებდა ყველა იქ მყოფს. ხალხი მის სადღეგრძელოს დალევდა და უსურვებდნენ ყველაფერში ასეთ გამარჯვებას. ასეთ დროს ატარებდნენ მთელი დღე და ბოლოს სახლებში დაპატიჟებდნენ ერთი-მეორეს.

მეორე დღეს სოფლის ჯარი რომ დასხდებოდა, ჯერ იმართებოდა სმა და მერე ჯვარიონნი გამოიტანდნენ ერთ ჩხუტ ლუდს,დადგამდნენ სადიდებელს და ხუცესი ადიდებდა ლაშარის ჯვარს (აქ ლაშარის ჯვარისათვის იყო შეწირული ერთი მამული და იმისი ნაღალური ლუდიდან სრულდებოდა ეს წესი. შეწირული იყო

იმიტომ,რომ ლაშარის ჯვარის დროშის ქვეშ თავმოყრილ ფშავ-ხევსურთ ლაშქარს სადღაცა გაუმარჯვნია. ამ დროს ლაშქარში ყოფილა ვინმე ხახაბოელი კაცი,რომლის სიცოცხლეც საფრთხეში ჩავარდნილა და შემოუძახნებია ე.ი. შეხვეწნია ლაშარის ჯვარს და უთხოვია დახმარება. გადარჩენისათვის შემოუთქვამს ერთ-ერთი მამული. სწორედ ეს მამული იყო,რომლის ნაღალურიდანაც ადიდებდნენ ლაშარის ჯვარს. ლაშარის ჯვარის სადიდებელს რომ სვამდნენ – ხმამაღლა ყვიროდნენ: "გაუმარჯოს ლაშარის ჯვარსო". მის სადიდებელ დიდ თასს ყველას დაალევინებდნენ სულუქცევრად. თუ სულს უქცევდა, ე.ი. დაისვენებდა მის გამოცლაში, მაშინ ხელმეორედ უვსებდნენ და ხელმეორედ გამოაცლევინებდნენ. ლაშარის ჯვარის სადიდებელს რომ მოათავებდნენ, დასხდებოდნენ, გაიყოფოდნენ ორ გუნდად და მღეროდნენ ფერხისულად ლაშარის ჯვარის საგმირო სიმღერებს (ფერხისა იცოდნენ აქაც ორ გუნდად.) ჯერ სიმღერის თავი იტყოდა სიმღერას და პირველი გუნდი ეტყოდა ბანს, მერე ამავე სიმღერას გაიმეორებდა მეორე გუნდის სიმღერის თავი და მეორე გუნდის წევრები ყველანი ბანს ეტყოდნენ მას. სიმღერები იყო შემდეგი შინაარსისა:

ლაშარის ჯვარი ბრძანებდა, ცას ვები ოქროს შიბითა,
ჭმელთ გორზე ერთ მუხა მედგა, ზედ ავდიოდი კიბითა.
ჩემთ ყმათგან შემონაზღვენი ღმერთსთან მიმქონდა იქითა,
სულკრულმა აფციაურმა მუხა მომიჭრა ძირითა.
შამაჭდა გალავანზედა, გაცინებულის პირითა.
ჯერ შვილისშვილით გავწყვიტე, მემრე ქალ-ქალიშვილითა.
ხთის კარზე შევიყარენით, ხთის ნაბადებნი დილითა.
ბძანება გამაგვივიდა დამბადებელის პირითა,
გვიბძანა დამბადებელმა: "მე დავდგი მიწა მყარია.
სულ თავის მორთულობითა, შამჭდარი მთა და ბარია.
მურგვლივ სამი ზღვა მოვაელი, თეთრი, წითელი, შავია,
ზედ გადავხურე ზეცაისინა, ჭიქა და რვალია.
შიგ გავაჩინე მზე, მთვარე, მრავალი დღე და ღამია.
დუნია გამიჩენია, რჯული ათასი გვარია".
სამოც-სამ წმიდა გიორგი ოთხსავ კუთხეზე ბძანია,
ქრისტიანთ საწამებლადა გამოსახული ჯვარია.
ხთისშვილნი, ხთისნაბადებნი რჯულიანთ სალოცავნია.
ხთსშვილთა ჰყავის წმიდაი თამარი დედოფალია.
ხთისაგან იქნა ბძანება, რო შამეერტყა ჭმალია,
მამის სანეფო დაიგდო, თვითონ დაბძანდა ქალია.
შუა ზღვას ჩადგა სამანი, სამანი რკინის კარია.
ჭმელეთ თავისკე მოიგდო, იმთვენი ხქონდა ძალია,
სატახტო საბძანებელი, თვითონ კი გორზე ბძანია.
პირდაპირ უდგა გორზედა ლაღი ლაშარის ჯვარია,
გვერდს უდგა ნისლისფერაი, მტრედისფერნი ხქონ მჭარნია.
ზედ ოქროს უნაგირ უდგა,ოქროს წყლის ლაგმის ტარია.
წელში ეტანა მათრაჭი, შვიდკეცი, შვიდი მჭარია.
შეძლებულ-გამარჯვებულსა გაფანტულნი ხყონ ყმანია.

შამაუარა საყმოსა, მძიმე შაყარა ჯარია.
ვისაიც ნათქვამ ეწყინა, მაგის დაკრული მწარეა.
ერთგულს – კი მიეშველება, არ იყოს მოსვლის ხანია,
ბატონის გამარჯვებასა, ყველას გეწერასთ ჯვარია."

სწორედ ამ სიმღერას და სხვა ამისთანებს მღეროდნენ ლაშარის ჯვარის დიდების შემდეგ, როცა მისი სადიდებლის კივილითა და ძალდატანებით სმა მოთავდებოდა. ამ სიმღერის დროს ორი კაცი იდგა ფეხზე და თითო თასით მოაყოლებდნენ ლუდს. ვისაც მიუტანდნენ, თვითონ ეტყოდნენ: "გაუმარჯოს ლაშარის ჯვარს". ის თავს დაუკრავდა, ზოგი კი ეტყოდა გაუმარჯოსო – გამოცლიდა თასს და მერე აგრძელებდა ბანს. დალევა როცა სიმღერის თავთან მიაღწევდა, მაშინ მის გვერდზე მჯდომი შეცვლიდა და იძახოდა მის მაგიერ სიმღერას. თუ არ იცოდა ზეპირად, მაშინ სიტყვებს სიმღერის თავი ეტყოდა და ის კი მღეროდა. სიმღერას რომ დაამთავრებდნენ, ადგებოდნენ და ყველანი ერთხმად იტყოდნენ; "გაუმარჯოს დიდს ლაშარის ჯვარს".

ასეთი წესით დამთავრდებოდა ლაშარის ჯვარის სადიდებელი. ათენგენის მესამე დღეს იცოდნენ საელიაოდ თიკნის დაკვლა. ხევსურების წარმოდგენით, ელია იყო დაბალხარისხოვანი ხთიშვილი და, გარდა თიკნისა, საჭირო არ იყო იმისთვის სხვა ღირებულების საკლავის შეწირვა. ხევსურებს საერთოდ ასეთი წესი ჰქონდათ: თხას და თიკანს უკლავდნენ დაბალი ხარისხის ხთისშვილებს, გარდა კვირიასი. კვირია კი მიაჩნდათ დიდ ხთიშვილად და მაინც მისთვის თხას კლავდნენ; უფრო კი მოზრდილ თხას. კვირიასთვის ცხვარსაც კლავდნენ, სხვა დობილებისთვის კი თიკანს და აშალას შლიდნენ.

თიკნის დაკვლა საელიაოდ სოფელს მოუდიოდა მორიგეობით. ელიას პატარა ნიში იყო ხახაბოს ჯვართან ახლოს. ათენგენის მეოთხე დღეს, სხვა წესების გარდა, დაკლავდნენ საელიაოდ ერთს თიკანს, გაატყავებდნენ გუდად. ხუცესი ხუცობდა ჩვეულებრივად. ელიას თხოვდა ჭირნახულის დაცვას სეტყვისა და ბუნების ავი მოვლენებისაგან. ხორცს ძვლის დაუჭრელად სახსრებიდან დაჭრიდნენ და ისე მოხარშავდნენ. პურსაც მიიტანდა ის, ვისი ჯერიც იყო თიკნის დაკვლა და დაუდგამდა ტაბლას ჯვარივნებს. ძვალს არც ახლა გატეხავდნენ. ხორცს რომ სულ შეჭამდნენ, ძვლებს ჩაყრიდნენ ამავე თიკნის გუდაში, წაიღებდნენ მაღალ გორზე, ერთ ჭერს (გრძელი ხე) მიიტანდნენ, დაასობდნენ მიწაში და ზედ ძვლიან გუდას დაკიდებდნენ. გუდას დანით (ურსაით) ბევრ ადგილას დაჭრიდნენ, რომ გამოსადეგი აღარაფრად ყოფილიყო და არავის წაეღო. ეს ნიშნავდა იმას, რომ თუ სეტყვა წამოვიდოდა, მისი მმართველი დაინახავდა ამ გუდას და გაახსენდებოდა, რომ თიკანი ელიასთვის იყო დაკლული და ელია ნებას არ მისცემდა ჭირნახულის განადგურებისას, რადგან ის იყო ცა-ღურბელთ უფროსი მმართველი. სეტყვა სხვაგან მიბრუნდებოდა და ხახაბოელების ჭირნახული გადარჩებოდა. გუდა რჩებოდა ამ გორზე დალპობამდე. ყოველწლიურად ემატებოდა ახალ-ახალი გუდა. თიკნის ხორცის ჭამაში ერთი ჩხუტი ლუდიც ჰქონდათ და სვამდნენ იქ დამსწრენი და ჯვარიონნი. თასის და პურის დალოცვაში ელიას სახელს ახსენებდნენ. პურის დალოცვაში ასე იტყოდნენ: "ღმერთო გაუმარჯვი ცა-ღურბელთ უფროსს ელიასა-დ ელიაო, შენ სწყალობდი ხახაბოს, ხახაბოს

მიწა-წყალს, ნურას უბედურებას მასწევ ხახაბოელთ ნამაშვრალ-ნაამაგარს". ასევე ილოცებოდნენ თასის დალოცვაშიაც: "გამარჯვება დიდს ელიასა-დ – იმის წყალობა გქონდასთ სოფელს, საწადმართოდ მაგიარასთ". და შემდეგი ჩვეულებრივი დალოცვის წესით. ასე მოთავდებოდა ელიაობა დღე. ამავე ათენგენის მეოთხე დღეს იცოდნენ ადგილის დედაში წასვლა.

ადგილის დედა

ადგილის დედის პატარა ნიში იდგა სოფლის ბოლოში, ვაკეში. ათენგენის მეოთხე დღეს აქ მიდიოდა მთელი სოფელი – ქალი და კაცი. მიჰქონდათ ლუდი და ერთი სასოფლო საკლავი, რომელიც მორიგეობით მოუდიოდათ. მიდიოდა მარტო ამ სოფლის ხალხი. სხვა სოფლიდან მოსული კაცის იქ მისვლა რატომღაც აკრძალული იყო. ვინც უნდა პატივსაცემი სტუმარი მისულიყო, ამ დღეობაში მაინც არ მიიყვანდნენ. და თუ ვინმე უცოდინარობით მივიდოდა, იმასაც მოხერხებულად სხვაგან წაიყვანდნენ, რომ არ მიხვედრილიყო და შეურაცყოფად არ მიელო. მას სოფლის ერთ-ერთი კაცი დაპატიჟებდა და წაიყვანდა თავის სახლში, ან და გიორგი წყაროთგორულ ჯვარში. ადგილის დედას განსაკუთრებულ სახელს უწოდებდნენ – მარიემ წმიდას. ამ დღეს აქ მიიყვანდნენ ერთ სასოფლო საკლავს და დაკლავდნენ. არც გაატყავებდნენ აქ ისე მიჰქონდათ დასტურებს და გიორგი წყაროთგორულში გაატყავებდნენ, ტყავსაც და ხორცსაც დასტურ-ხელოსნები ხმარობდნენ, ლუდს კი სვამდნენ ყველანი.

ადგილის დედაში დღეობა ახვსების დილასაც იცოდნენ. იქ ამ დღეს ყველა მიდიოდა, ქალიც და კაციც. მათ მიჰქონდათ ხავიწიანი ქადა, სანთელი და სადიდებელი. არაყი უნდა ყოფილიყო საუკეთესო ჰურის ან სვილის ფქვილიდან, ხავიწი კი გაზაფხულზე პირველად შედღვებილი კარაქისაგან. მას ეწოდებოდა ნათავრის ქადა. ქადებს რომ მიიტანდნენ, დააწყობდნენ, დადგამდნენ ლუდიან თასებს ანთებული სანთლებით და ჩვეულებრივად გაადიდებდნენ ჯვართ. პირველად ადგილის დედას, მარიემ წმიდას და მერე მოჰყვებოდა სხვა მძლავრი ხთიშვილების ხსენება სადიდებელზე (ხევსურეთში, სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა ხთიშვილი იყო უფრო მძლავრად მიჩნეული. ერთი სოფლის ხთიშვილს ხშირად მეორე სოფლელები დასცინებდნენ კიდეც უძალობაზე). სადიდებელთ წესი ჩატარდებოდა ჩვეულებრივად. მერე დასხდებოდა ხალხი. ჯვარივნები დასხდებოდნენ სათავის მხარეს და მერე სხვა ხალხი. მოიტანდნენ ლუდს და სვამდნენ. საკლავის დაკვლა ამ დღეობაში არ იცოდნენ. ხავიწიანი ქადებიც შინ მიჰქონდათ მთლიანად.

ადგილის დედაში კლავდნენ დეკეულის ხბოს. პირველად მოგებული ხბო აუცილებლად უნდა დაკლულიყო. ხბოს კლავდა ხუცესი და თავიც მას რჩებოდა. ხუცესის გარდა, აქ საკლავის დაკვლის უფლება ჰქონდა ყველა უცოლო კაცს. ხუცესს ჰქონდა ნება, რომ ცოლშვილიანი ყოფილიყო. სხვა კაცს კი ნება არ ჰქონდა საკლავის დაკვლისა, თუ მას ცოლშვილი ეყოლებოდა. ხუცესი როცა შინ არ იყო, მოიძებნიდნენ სოფელში უცოლოს და დაუძახებდნენ საკლავის დასაკლავად. ის ითვლებოდა წმიდა კაცად. სხვა ყველანი კი უწმიდურები და

ულირსნი იყვნენ ადგილის დედაში საკლავი დაეკლათ. ადგილის დედა მიაჩნდათ ეკონომიკურად გამაძლიერებლად. ის ვითომც მოსახლეობას უწყობდა ხელს უფრო მესაქონლეობის დარგში. ეს მაშინ, თუ გამწყრალი არ იქნებოდა ვინმეზე. ესა თუ ის მეკომური თუ თავის წესებს კარგად უსრულებდა, ხალხის წარმოდგენით, მას არც ძროხა მოუკვდებოდა, არც ხბო, მისი ძროხები მოიწველებოდნენ ბევრს და შედღვებილი რძისაგან ამოვიდოდა ბევრი კარაქი; ხოლო ვინც მას არ უსრულებდა წესებს, მის ოჯახში წველადობის საქმე სულ ცუდად მიდიოდა. ადგილის დედა გაწყრებოდა ასეთ ურჩ მეკომურზე და ყველანაირად ზარალს მიაყენებდა მას. ის ხელს უწყობდა აგრეთვე პურის მოსავლიანობას და ურჩ კაცს ბარაქასაც გამოულევდა. ამიტომ იტყოდნენ წყეველაში: "გამაგსივნას მეუბარაქოენი ადგილის დედამ". თითქო ადგილის დედას კიდევ ჰყავს სხვა პირები, დამხმარე ძალები და ვისზეც გაჯავრებული იქნებოდა, ამ დამხმარე ძალებს გადაჰკიდებდა და ბარაქას გამოულევდა. ამათ ეწოდებოდა მეუბარაქოენი.

ადგილის დედაში სხვა წვრილმანი შესაწირავებიც იცოდნენ – სალოცავები, ოიკანი და სხვა. ადგილის დედა თავდაპირველად არ ყოფილა ხახაბოში. მერე ფშავიდან, სოფელ ცაბაურთიდან მოსულა ერათი კაცი, იმას მოუყვანია ხთიშობელი და დაუარსებია ეაკეში. მას შემდეგ გაძლიერდა იგი და გახდა ადგილის დედად. ცაბააურთიდან მოსული კაციც გამრავლებულა და ახლა იმისი ჩამომავლობიდან არიან მამიაურები ანუ ცაბაურაშვილები. მათგან ზოგნი მოსახლეობენ ხახაბოში, ნაწილი კი გადასულა ფშავში, სოფ. კაწალხევში. ათენგენის შემდეგ მოდიოდა მარიანობა.

მარიანობა

მარიანობა გრძელდებოდა ერთი დღე. ამ დღეობაში დროშანი არ გამოდიოდნენ. დანარჩენი წესები კი სრულდებოდა ჩვეულებრივი წესით: ღამისთევა-ჟამისწირვა, საკლავი სასოფლო, მეზღვნეები.

მემარიანობე დასტური ითვლებოდა მეწვრილდასტურედ. პური ჯვარში იყო კიდობანში ჩაყრილი, განსაზღვრული რაოდენობით ამოჰქონდათ დასტურებს და აფორებდნენ სალუდედ, სახავიწედ და საქადისქერქედ. პური დახარისხებული ჰქონდათ. უფრო კაი პურს ხარჯავდნენ საქადედ. ლუდის და არაყისათვის ისე ძალიან არ არჩევდნენ. ახალი წესი მარიანობას არაფერი იყო, რომ ხევსურეთის სხვა სალოცავებში არ სრულდებოდეს და უცხო იყოს.

სამამკლო

მარიანობის ხანებშივე იცოდნენ ხოდაბურის სამამკლო. ამ წესსაც ჰყავდა საკუთარი დასტურები, რომლებიც ჩვეულებრივ დასტურის მოვალეობას ასრულებდნენ – ლუდის დუღებას,ღამის თევას,ჟამის წირვას და სხვა. სამამკლოში ხოდაბურის სამკალად მიდიოდა ყველა, როცა ხუცესი მათ შეატყობინებდა, რომ

ყანა სამკალია და უნდა მოიმკასო. ხუცესი ერთი მაღალი ბანიდან დაიძახებდა ამას. ყველანი გაიგონებდნენ და სხვა საქმეზედ აღარავინ წავიდოდა. სამკალად რომ მივიდოდნენ, მოიხდიდნენ ქუდს და ჯვარის ყანას პირველად ისე მომკიდნენ. ყანის მკაში იცოდნენ შეჯიბრება ქალმა და კაცმა. ყანას ყოველთვის მკიდნენ კარგად შემოსულს, რომ კარგი ლუდი გამოსულიყო. მკას რომ დაიწყებდნენ, ჯვარიდან ლუდს მოიტანდნენ, ორ ახალგაზრდას დააყენებდნენ და ასმევდნენ ჩამორიგებით ლუდს. მკაში მოვიდოდნენ დასტურ-ხელოსნები და დაამწყალობნებდნენ: "გწყალობდასთ გიორგის დავლათი. ხათრიანს, გიორგის საქმეში თავდადებულს, ხალიზიანს. ხალიზი-დ მხნეობა მაგცასთ, თავის საქმეშიაც ჟჯილობა ნუ დაგიკარგასთ". ამ სიტყვებს რომ იტყოდნენ, ყველა უპასუხებდა: "თქვენ იყოს მწყალობელი". მერე ყველანი ცოტა ხანს დასხდებოდნენ, შეაჩერებდნენ მუშაობასაც და სმასაც. ხუცესი ადგებოდა და გამოუცხადებდა სოფელს საჯვარო სამუშაოებს: თუ როგორ ვის უნდა დაეცვა ჯვარის ჭირნახული, "დამლევი" რითი დაჯარიმებულიყო ("დამლევი" – ჭირნახულის წამხდენი) ძნა როგორ უნდა აგებულიყო, ან კიდევ სოფელში რამე იქნებოდა ერთი-მეორესთან დანაშაული, ან ქალი ვინმე იქნებოდა დედამთილ-მამამთილთან და ქმარ-შვილთან ანჩხლი და არაწესიერი, ან ვაჟი იქნებოდა მშობლებთან და ცოლ-შვილთან უწესო მოჩხუბარი. ამას ხუცესი ყველას პირში ეტყოდა და გააფრთხილებდა – თუ წესზე არ მოიქცევი, ვეტყვი და სოფელი მოგიკვეთსო. ამაზე ჩამოვარდებოდა საუბარი. თუ ვინმე ქალი სოფელში მეზობლებთან ანჩხლობდა, იმასაც უფროსი კაცები შეარცხვენდნენ და შემდეგისათვის გააფრთხილებდნენ. ამისთანებზე, სოფლის საჭირბოროტო საკითხებზე ისაუბრებდნენ მარტო მამაკაცები. ქალებს კი ხმის ამოღების უფლება არ ჰქონდათ იქ სადაც მამაკაცები მსჯელობდნენ და საუბრობდნენ. ქალები მარტო უსმენდნენ და იდგნენ თავდახრილნი. რომ მოისაუბრებდნენ, ამოიღებდნენ ლუდს და მიუტანდნენ სუცესს. ის კიდევ დაამწყალობნებდა, მერე ყველანი დაამწყალობნებდნენ დასტურ-ხელოსნებიც და დალევდნენ ლუდს. დასტურ-ხელოსნები ისევ ჯვარში წავიდოდნენ. ხალხი კი შეუდგებოდა მუშაობას. ჯვარში დაიკლოდა სასოფლო სამი საკლავი, მოიხარშებოდა ხორცი და დაიდგმოდა ტაბლა (ეს ყველაფერი ისეთივე ჩვეულებით მიმდინარეობს, როგორც არხოტში არის აწერილი სამამკლოს წესებში).

ხალხი რომ მკიდა, დასტურები აქუჩებდნენ და დგამდნენ ძნას. ძნა იდგმოდა ოთკუთხედად, ეწოდებოდა წერილა. ერთი წერილა შედგებოდა ოცდაერთი ძნისაგან (ძნის მიტანა, გალეწვა, დასტურის საქმე იყო და ცალკე არის აწერილი). ტაბლაზე იცოდნენ კარახანა და სხვა. ასე დამთავრდებოდა სამამკლო წესი.

ენკენია

ენკენია მოდიოდა სექტემბრის ნახევარში. ენკენიას ჰყავდა საკუთარი ორი დასტური. ისინი ადუღებდნენ ერთ ქვაბ ლუდს. დღეობა მიმდინარეობდა ჩვეულებრივად. ენკენია დღეს მოვიდოდნენ გუდანის ჯვარის ჯვარიონნი – მედროშაე და ერთი დასტური, მოიტანდნენ თან ერთ სახუცო კოჭობს (ვერცხლის

(დიდი თასი); მედროშაე მოვიდოდა მხარზე გადებული დროშით და, სოფელს რომ მიუახლოვდებოდნენ დროშის ზარს ძალზე აუღარუნებდა. დროშის ზარის ულარუნს გაიგონებდნენ და მთელი სოფელი მიეგებებოდა. ჯვარიონნი დროშის ულარუნთან ერთად, მღეროდნენ საგმირო სიმღერებს, მაშინ, როცა სოფელს მიუახლოვდებოდნენ. სიმღერა უნდა ყოფილიყო აუცილებლივ ჯვარის ძლიერებაზე. ხალხი რომ უფრო ხალისიანად შეხვედროდა გუდანის ჯვარის ჯვარ-დროშას.

მოსული ხალხი მიაგეგებდა ლუდს და ეტყოდნენ: "გამარჯვება ბატონ-ყმათ, ჭელიმც მაგემართებისთ. გაგიმარჯოსთ ღმერთმ, წყალობა მაგიტანეთ ჯვარისა, წყალობა! წაღმ მაგეგებასთ გუდანის ჯვარის დაელათი", ეტყოდნენ მოსულები. ხახაბოელები თავისი საწდიდან ლუდს კოშით ამოიღებდნენ,აუვსებდნენ ხუცესს ხელში ნაჭერ ცარიელ სახუცო კოჭობს და კოშს ჩადგამდნენ ისევ საწდეში. ხუცესი ადიდებდა გუდანის ჯვარს და გიორგი წყაროთგორულს ერთად და დაამწყალობნებდა ხახაბოელებსა და გუდანის ჯვარის ჯვარიონთ. (კოჭობზე სამი ღერი სანთელიც იყო დაკრული). ხუცესი ხუცობას რომ გაათავებდა, ცოტას დალევდა და თავის თანამგზავრებს გუდანის ჯვარისად მომყოლ დასტურ-მედროშაეებს შისცემდა. ისინიც დაამწყალობებდნენ ხახაბოელებს და მერე ერთი-მეორესაც და ყველა თითოობით დალევდა ცო-ცოტას სახუცო კოჭობიდან. ხახაბოელები ამოიღებდნენ საწდიდან ლუდს თავის ვერცხლის თასებით, მისცემდნენ სათითაოდ გუდანის ჯვარის დროშისათვის მომყოლებს და შემღერნებდნენ სათანადო სიმღერებს:

გუდან აგებენ ბეღელსა, ქერ-ბეღელაის ქვისასა,
ძირში უდებენ ლიბუდა ვადას ხახონის ჭმლისასა,
ხკითხევდეს გელდიაურსა ძველსა ანდრეზსა წინასა,
ურჩევდა, გამაურჩევდა ჯერ ჭკვასა, მემრე რკინასა.

ისინიც კიდევ შემომღერნებდნენ და თავის თასებიდან თავის ხელით დაალევინებდნენ ხახაბოელებს ლუდს. ამ დროს ყველანი ფეხზე იდგნენ ქუდმოხდილები. მედროშავეს დროშის ტარი მარჯვენა ფეხზე ედგა და დროშას განუწყვეტლივ აწკარუნებდა. ქალები კარგა მოშორებით იდგნენ და ყველას შიტანილი ჰქონდა არყიანი ბოთლი, რომლებსაც შორიდან გზავნიდნენ მოსული ჯვარიენების პატივსაცემად.

გაგზავნილ არაყს სათითაოდ დაუსხამდნენ გუდანის ჯვარის ხუცესს ყანწში, მისცემდნენ. ის დაილოცებოდა, არაყის მომტანებს სათითაოდ დაამწყალობნებდა, ცოტას დალევდა და მერე გადაულოცავდა სხვებს. ამ შეხვედრას რომ მოათავებდნენ, გუდანის ჯვარის ჯვარიონნი კიდევ დაამწყალობნებდნენ ჯვარისა და ჯვარიონთათვის პატივისმცემელს. მედროშავე დროშას რაც ძალი და ღონე ჰქონდა ააუღარუნებდა და ასე წამოვიდოდნენ ჯვარში. იქ გუდანის ჯვარის საბძანი ცალკე კოშკი იდგა და დროშას ამ კოშკზე "მიაბძანებდნენ", ე.ი. მიაყუდებდნენ. მედროშაე, დროშას რომ მიაყუდებდა, მოიყრიდა მუხლს, ემთხვეოდა მიწას და სთხოვდა გუდანის ჯვარს: ""რასაც ჩემის უცოდინარობით და უმეცრობით უწესოს ჩაეიდენ, მე ხორციელი ვარ და შენ ხვოის ნასახი, მე ყმა ვარ და შენ კი ბატონი, ყმა შეუწყენელი არ იქნების, ბატონ შეუნდობელი, მაპატივი შენაც შენაწყინარი უტსა-დ უმეცარს, ჭორციელს. დიდება ძალსა-დ შაძლებას შენს". ამ სიტყვებით მუხლით უკან წამოვიდოდა, კარგა

შორს მანძილს გამოივლიდა, კიდევ ემთხვეოდა მიწას, ადგებოდა, მერე მობრუნდებოდა პირხალხისაკენ და ეტყოდა: "წყალობა გუდანის ჯვარისა, მგზავრის ანგელოზისა, წყალობა! წაღმ მაგეგებასთ დალოცვილი მგზავრის ანგელოზის დაცლათი". "შენ იყოს მწყალობელი, შენის თაეისა", ეტყოდნენ ყვალა იქ მყოფნი. მერე დასხდებოდნენ. გუდანის ჯვარის ჯვარიონთ, აქ საკუთარი ქვის სკამი ჰქონდათ და ამ სკამზე უფროსობით დასხდებოდნენ ჯერ ხუცესი, მერე ხელოსანი ანუ მედროშაეე და მერე დასტური. ამ სკამს ეწოდებოდა გუდანის ჯვარის სკამი. როცა ენკენია მოვიდოდა, მაშინ მარტო ეს ჯვარიონნი სხდებოდნენ ამ გრძელ, სკამად გაკეთებულ ქვაზე. ხახაბოს ჯვარივნებს ამ სკამის მოპირდაპირე მხარზე ჰქონდათ სხვა სკამი და აქ სხდებოდნენ. ეს ყველაფერი იყო წყاროთგორულის დარბასში. ცოტა ხნის შემდეგ სოფელი მოიყვანდა ერთ დიდ ვერძს და შეაკლავდნენ გუდანის ჯვარის დროშას. მას იხუცებდა გუდანის ჯვარის ხუცესი კურთხევის თანდართვით (კურთხევა იცოდნენ მარტო ბუდე-ხევსურეთში. პირიქით ხევსურეთში კურთხევა არ ყოფილა, არც არხოტში და არც შატილის თემში. არხოტში შემოუღიათ გვიან და ისიც სხვანაირად. აქაც ერთ კაცს სცოდნია. არხოტში იტყოდნენ: ნისლაურს (ნისლაური ერქვა ამ კაცს), კურთხევა ჯვარმა ასწავლა ძილშიო. ხუცესის ხუცობის დროს საკლავი ეჭირა გუდანის ჯვარის დასტურს. სხვა ხალხი ყველა ფეხზე იდგა ქუდმოხდილი და პირჯვარს იწერდნენ. საკლავს რომ ყელს გამოჭრიდა, ჯერ ხუცესი და მერე ყვალანი დაამწყალობნებდნენ ხახაბოში მცხოვრებლებს. მერე საკლავს გაატყავებდა წესის მიხედვით გუდანის ჯვარის დასტური. შეიძლებოდა ვინმე ადგილობრივ ახალგაზრდასაც გაეტყავებინა, დასტურის ნამგზავრობის და დაღლილობის გამო. ტყავს შეინახავდნენ გუდანის ჯვარის ჯვარიონნი, ხორცს კი რამდენიც საჭირო იყო, ხარშავდნენ. ჭამდნენ გუდანის ჯვარიონნიცა და წყاროთგორულნიც. ამ საღამოსვე მოუტანდნენ ღამის სამთელოსაც, რომელსაც გუდანის ჯვარის ჯვარიონნი თავის წესით ღამეს უთევდნენ. ღამის სამთელო ცხვებოდა სოფელში შეკრებილი ფქვილისაგან. ლუდიც სოფლიდან შეკრებილი სვიისა და ფორისაგან მზადდებოდა. ენკენიის დასტურთ ევალებოდათ გუდანის ჯვარისათვის დასახვედრი ლუდისა და ღამის სამთელო-ჟამსაწირის გამოცხობაც. მათი საჭმელი პურიც დასტურის სახლში ცხვებოდა სოფელში შეკრებილი ფქვილისაგანვე. ღამისთევა, სადიდებელთ დალევა, მღერა თავეჭმელად, ჩატარდებოდა ისე, როგორც სხვა დღეობებში. ღამეს რომ უთევდნენ, იმ დროიდინ ხორციც მოიხარშებოდა და დაუდგემდნენ ტაბლას გუდანის ჯვარიონთ (სუფრა ილოცებოდა ძველი ჯვარივნებისთვის). წყاროთგორულის დასტურნი ფეხზე იდგნენ და უვლიდნენ მოსულებს. მიჰქონდათ ტაბლაზე არჩეული საუკეთესო ხორცი, აძალებდნენ ლუდს და თანაც ფეხზე დგომით უმღერდნენ.

სიმღერების მღერით და სმა-ჭამით მოთავდებოდა სუფრა. ზედამდეგებსაც ასეთივე წესით აჭმევდნენ პურს. ბოლოს, სოფლიდან მოიტანდნენ სულ ახალ ფარდაგებს, გუდანურებს და დააძინებდნენ გუდანის ჯვარის ჯვარივნებს დარბასში. ორი ახალგაზრდა ხახაბოელი კი გარეთ შეიარაღებული ყარაულობდა გუდანის ჯვარის ჯვარ-დროშას. ლუდიანი კოდი გუდანის ჯვარიონთათვის იყო დამზადებული. ისინი ხარჯავდნენ თავისი წესით და სურვილით. ჯვარში იმ ღამეს იყვნენ ორივე ჯვარის ჯვარივნები. მეორე დილას რომ ადგებოდნენ და ჟამს სწირავდნენ, სოფლიდანაც დაიწყებოდა მეზღვნეების მოსვლა. მოყავდათ საკლავები და კლავდნენ

გუდანის ჯვარისათვის მის დროშასთან, ვისაც როგორ და როდის ჰქონდა შეთქმული. ზოგი ავადმყოფობის დროს შეუთქვამდა საკლავს, კურეტს ავადმყოფის დახმარებისათვის, ზოგს რომ სანადირო კლდეში რამე გაუჭირდებოდა, მაშინ შეუთქვამდა, ზოგს მტერთან გაუჭირდებოდა და ამიტომ მოჰყავდა დასაკლავად. ხევსურეთში გუდანის ჯვარი დიდ სალოცავად იყო მიღებული და მისი იმედი ყველას ჰქონდა. გაჭირვების დროს მას სთხოვდნენ დახმარებას, სამაგიეროდ საკლავს აღუთქვამდნენ. საკლავებს ხუცესი ჩვეულებრივ კლავდა თითოობით. საკლავის პატრონს ამწყალობნებდნენ განსაკუთრებით დასტურიც და ხელოსანიც. მერე ერთი-მეორესაც დაამწყალობნებდნენ და კლავდნენ ისე. ხორცის ფელკს აქ მოხარშავდნენ, ფელკი კი გუდანის ჯვარის ჯვარიონთ რჩებოდათ, თუ წაიღებდნენ, მაგრამ იმდენი ტყავები უგროვდებოდათ, რომ მათ საფერხე ცხენებს ისიც ძლივ მიჰქონდა. ხორცს ცოტას თუ გაიყოლებდნენ, რაც რჩებოდა, ინაწილებდნენ ხახაბოს ჯვარიონნი.

იყო კიდევ ერთი წესი: მეორე დილას გუდანის ჯვარიონთ პატივსაცემად ადუღებდნენ ხავიწს და მოუტანდნენ ტაბლაზე ყოველ პურის ჭამაზე. ხავიწისათვის ერბოს კრეფდნენ სოფელში. ნახევარი სოფელი ერთ წელს მოკრეფდა სახავიწე ერბოს, ნახევარი მეორე წელს. ფქვილი ხომ მოკრეფილი ჰქონდათ. სახავიწედაც აქედან დახარჯავდნენ. ხავიწს ადუღებდნენ ხუცესის სახლში ხნიერი ქალები და აქედან უგზავნიდნენ ჯვარში. ხავიწთან ერთად უგზავნიდნენ ხის ჯამებსაც. ერბოს მოსკრეფად განიხრული ჰქონდათ ერთი პატარა სპილენძის თასი. იცოდნენ რომ ამით მოკრეფილი ერბოს ხავიწი საკმაო იქნებოდა სტუმრებისათვისაც და აქაურ ჯვარიონთაც ეყოფოდა. ხევსურეთში ერბოზე ძვირფასი არაფერი იყო და ამაზე ძვირფასი საჭმლის გაკეთება არც იცოდნენ. ამიტომ ასეთ სტუმრებს ხორცთან ერთად ხავიწსაც მიართმევდნენ. მკვდრის სამარხშიაც ხავიწი იცოდნენ. მიცვალებულისათვის უფრო კარგს და ძვირფასს ყერაფერს ახერხებდნენ, რომ ჭირის პატრონს გაემეტა და დაელოცა მისთვის. ქორწილშიც იკითხავდნენ: რითი გიმასპინძლესთ, ხავიწი ჰქონდა თუ არაო. "მექორწილეთ", ე.ი. მოსულ მაყრებს ბაკნით ლუდს შეახვედრებდნენ, რომელშიაც ერბო იყო "ჩაყრილი". მკვდრის ხარჯში იცოდნენ: ბაკნით ლუდს ჩამოარიგებდნენ და შიგ ერბო იყო ჩაყრილი; ბაკანი ქალს ეჭირა და ვისაც დაალევინებდა, თითებით ერბოს მიუახლოვებდა პირთან, ლუდის დალევაში რომ ლუდთან ერთად ერბოც გადაეყლაპა. ეს იმიტომ ითქვა აქ, რომ ერბო და ხავიწი ყველაზე მეტი პატივსაცემი იყო გუდანის ჯვარიონთანაც; ამიტომ უმზადებდნენ ხავიწს. ცხვარი, რომელიც მათ მოსვლაზე გუდანის ჯვარს სოფელმა დაუკლა, აუცილებლივ უნდა ყოფილიყო მატყლიანი, გაპარსული არ შეიძლებოდა. სამი ცხვარი უნდა მიეცათ გუდანის ჯვარისთვის ადგილის ბეგარი. ეს ცხვრებიც კარგი უნდა ყოფილიყო, გაუპარსავი. ცხვრები სოფელს ეძლეოდა მთის საბალახედ, თუ ვინმე ცხვარს დააყენებდა თუში ან ფშაველი მეცხვარე. თუ ასეთი არ იქნებოდა, მაშინ სოფელი იყიდდა სოფელშივე ერთი მეორისაგან პურით, ერბოთი და მიართმევდა გუდანის ჯვარს (ხევსურეთში ფულზე ვაჭრობა არ იყო. აქ იყო გაცვლა-გამოცვლა და ყველას ფასი ცალ-ცალკე დაწესებული იყო. იცოდნენ რა ღირდა პური, ან ცხვარი, ან ერბო ან სპილენძი და სხვა. მამულიც კი იცოდნენ დღიურობის და მოსავლის მიხედვით რა ღირდა ან როგორი ადგილის მამული იყო და როგორ მოსავალს იძლეოდა; ამის მიხედვით ხდებოდა ყველაფრის გაცვლა-გამოცვლა).

როგორც ვთქვით, მეორე დღეს კიდევ გრძელდებოდა გუდანის ჯვარის დროშასთან საკლავების მიყვანა და ზღვნობა. ზღვნებთან ერთად მიჰქონდათ შესაწირავი ვერცხლეული, ყაწიმი, სარტყლის ბალთა, ყელსადების შიბი, ჩაფურასტის ნაწილი და სხვა (ჩაფურასტი იყო ქალის სამკაული სადიაცოს ფარდაგზე დასაკერებელი). თან არაყსაც მიაყოლებდნენ და სანთელს სადიდებლად. ამ დღეს გუდანის ჯვარის ჯვარიონთ საქმეც ბევრი ჰქონდათ აქ და პატივისცემაც. თუ თავს ძალიან არ მოუფრთხილდებოდნენ, შეიძლება დამთვრალიყვნენ კიდეც და წესი ვერ შეესრულებინათ, რაზედაც მათ გუდანის ჯვარი თურმე ძალიან გაუწყრებოდა. ამიტომ ძალიან მაგრობდნენ და სასმელს ცოტას სვამდნენ.

ხახაბოში ხანდახან მეზღვნეების მიზეზით და სხვა საქმიანობის გამო მესამე დღემდე რჩებოდნენ. აქ როცა ყველაფერი მოთავდებოდა, მერე წავიდოდნენ სოფელ არდოტში. როგორი შეხვედრაც აქ იყო, იქაური ჯვარიონნიც მოუწყობდნენ ეგეთსავე შეხვედრას. დაუკლავდნენ საკლავს, მოუხარშავდნენ ხავიწს და სხვა. თუ რომელიმე წესი დააკლდებოდა, გუდანის ჯვარის ჯვარიონნი მაშინვე იძულებით მოსთხოვდნენ შესრულებას, თუ არა დაემუქრებოდნენ დარისხებით. ეტყოდნენ: ვალდებულნი ხართ, რაც წესი არის, უნდა შეგვისრულოთო. ხავიწი იქნებოდა თუ სხვა რამე, სულ ერთი იყო, ისინი მაინც მოითხოვდნენ. არდოტს ჰქონდა ორი ძალიან კარგი საძოვარი მთა, ანდაგი და არჭილო. აქ ნადგომი ცხვარი ორჯერ მეტად სუქდებოდა შედარებით სხვა მთებში ნადგომ ცხვართან. აი ამ მთებს სდებდა ხელს გუდანის ჯვარი და მისი ყმანი – მაგანძურები. მაგანძურად ითვლებოდა ხევსურეთში სამი მთავარი გვარი: არაბული, ჭინჭარაული და გოგოჭური. ეს გვარები ერთი კაცის შვილებიდან არიან წარმოშობილი. ყველანი ემორჩილებოდნენ გუდანის ჯვარს და ერთის ძალით ებრძოდნენ ახლოურ თუ შორიელ მტერს,იპყრობდნენ ადგილებს ხევსურეთშიც კი და იღებდნენ ბეგარას. ასეთი დაპყრობა მოინდომეს არხოტშიც და წავიდნენ ლაშქრად. არხოტივნებმა წინააღმდეგობა გაუწიეს, გუდანის ჯვარიც დააავიწყეს და დავლის მაგიერ, საკაცეები წამოაღებინეს. მაშინდელი ლექსები არის:

შავხენე კვირიწმიდასა, ყროლანი გადმადიანა. ("ყროლანი" – ბუდის ხევსურები)

–აქა ნუ მაზდით ყროლანო, გულს სისხლნი გადამდიანა.

არ დაიჯერეს ყროლათა, სოფლადავ შამადიანა.

ციხით დასჭეხნა ბურამა,ყაწიმნი ლამში ხყრიანა.

–ამადეგ თამარიზძეო, ლულუან გელევიანა ("ლულუანი" – ყაწიმები)

ჩამაჭედ ივანეურო, ყმაწვილას გაქებდიანა.

თამარიზძე იყო მაგანძურის ლაშქრის წინამძღვარი. ციხიდან, გრძელი საციხევე თოფის ბურას ტყვიით ის პატარა ყმაწვილმა მოკლა. დაიბნა მაგანძურის ლაშქარი და გაიქცა უკან.

ქადაგობს გაიდაური, ბძანებს გუდანის ჯვარიო.

–ჩემს კარზე შაიყარენით სამის ბატონის ყმანიო,

სამი ააბით დროშაი, სამსავ შავაბათ ზარიო,

ახიელის ძირ ჩავიდათ, ვატირათ ქალი, ზალიო.

გაიგა არხოტის ჯვარმა, წელთ შამაირტყა ჭმალიო,

–სხვაკნით ამიღავ ბეგარი, დამპალო სად მიხვალიო.

არხოტივნები და არდოტ-ხახაბოვლები ბუდის ხევსურებს "დამპალს" უწოდებდნენ, რადგან ასეთი რაღაცა ავადმყოფობა იყო აქ გავრცელებული. ამიტომ მათ ჯვარებსაც ასე მიმართავდნენ. მაშინდელი ხმით ნატირალი თამარიზძესე მისი რძლისაგან:

თამარიზძეო მახვედაეო,
მაკლულო უსაფერიოთაო,
ღილღველთა ყარწიკაიანთაო, და სხვა.

"ყარწიკაიან ღილღველთ" ბუდის ხევსურები პირიქითელებს ეძახოდნენ, რადგან ღილღვლებს და მათ ყარწიკა იცოდნენ, – მოქსოვილი იყო შალისაგან, ორად მოკეცილს იხვევდნენ ნაბდის მაგიერ წვიმაში; იგი იყო ფერად უფრო ნაცრისფერი. ბუდის ხევსურებს ამის მოხვევა (მოხურვა) სირცხვილად მიაჩნდათ, იქ კი კარგად იყო მიღებული.

ამ ნატირალის საპასუხოდ ნატირალია არხოტიონთ ქალისაგან თამარიზძეზე შემდეგი:

თამარიზძეო მახვედაეო,
არხოტივნები შინ დაგხვდაეო,
ტყვიის სკამები ესხაღაეო,
წამლიანნ კოდნი ედგესაეო,
თოფის სრევაი სცოდნიყვაეო,
ბურაი გამადიოდაეო.

წინათ ხმით მოტირალებმა ერთმანეთთან შებმა-შეკამათება ტირილით იცოდნენ. არხოტიანთ ქალი იყო გუდანში გათხოვილი და, გუდანში რომ არხოტიონთ მოკლული თამარიზძე მიუტანიათ, იქაურმა ქალმა არხოტივნების საწინააღმდეგოდ იტირა. ამის პასუხად არხოტიონთ ქალმაც იტირა ზემოთ მოყვანილი ნატირალი. ამაზედვეა ნათქვამი ლექსები:

თოფ-კი აეგეთა უნდა, ახიელ რო ბურაია,
თამარიზძე ჩაუქცევავ, ჯინჭარაულთ კულაია,
თითოობით გააცილებს, ქალი აგუნდურაია.
გადადის არაბულები, აგუნდის დანერბულები, და ა.შ.

***

სწორედ ასეთი ბრძოლის შედეგად ჰქონდა ბოლო დროს გუდანის ჯვარს დაჭერილი ანდაგ-არჭილო. ხახაბოვლები კი იმიტომ აძლევდნენ ამ ბეგარას, რომ გუდანის ჯვარსა და მის ყმა მაგანძურებს მფარველობა უნდა გაეწიათ ხახაბოში მცხოვრებლებისათვის. თუ ხევსურეთში რამე საჩხუბარი და საბრძოლო საქმე გაუხდებოდათ, აქაც დაეხმარებოდნენ. პირობა ჰქონდათ, თუ ქისტეთში რამე ექნებოდათ საბრძოლო საქმე, იქაც უნდა დახმარებოდნენ მაგანძურები გუდანის დროშის ქვეშ ხახაბოვლებს. ამათაგან კი ბეგარი მიჰქონდათ ამ პირობით. არდოტელებთან კი დაცა ჰქონიათ – ძალით იჭერდნენ ადგილებს მაგანძურები, როგორც მრავალი ხალხი. ჯერ სამი გვარი ერთად და მერე სამივე ძლიერი გვარები, დროშით მიდიოდნენ და საქმეს გუდანის ჯვარზე აგდებდნენ. ამიტომაც არდოტელებს ხათრი ჰქონდათ ჯვარისა და აძლევდნენ ბეგარას. ხშირად კი იყო, რომ უარს ეტყოდნენ და იყო ჩხუბი და ბრძოლა. სულ ოცდაათი ცხვარი ყოველწლიურად, ისიც არჩეული და გაუპარსავი. თუ ვინმე მეცხვარეები ანდაქში

ან არჭილოში იდგნენ და საბალახე ჰქონდათ აღებული, არდოტელები უარს არ ეუბნეოდნენ გუდანის ჯვარის ბეგრის გადახდაზე. მაგრამ როცა მტრიანობის შიშით მთებში ცხვრები ველარ გადმოდიოდა და საბალახე ვერ აჰქონდათ, მაშინ უჭირდათ არდოტელებს ამდენი ცხვრების გადახდა და ეუბნეოდნენ უარს: ჩვენ ხომ თქვენი ჯვარის ადგილის საბალახე არ აგვიღია, არაფერი გვისარგებლია და ჩვენ რატომ უნდა მოგცეთ ბეგარიო. გუდანის ჯვარის ჯვარიონთ აქედან რაც ბეგარი მიუდიოდა, იხოცებოდა წელწადში და სხვა დღეობებში (ამაზე საუბარი იქნება გუდანის ჯვარის აღწერილობაში). აქ რაც იკვლოდა იმისი და გარეკილი ბეგარის ტყავ-ხორცი გუდანის ჯვარიონთ სასარგებლოდ იყო.

ანდაქზე და არჭილოზე მრავალჯერ ყოფილა ბრძოლა. ერთხელ ბეგარის მიცემაზე არდოტელებს უარი განუცხადებიათ. მაგანძური წასულა ძალით წასართმევად გუდანის ჯვარის დროშით. უნდა გაევლო ვიწრო არდოტის ჭალაზე არდოტის დასაბეგრავად. არდოტელებს გაუგიათ და ისეთ ადგილას ჩასაფრებულან, რომ ძალიან აზარალებდნენ მოსულებს, რომ არ გაეგო ხახაბოვლებს და მუცუვლებს და არ დაშველებოდნენ. ისინი შეხვდნენ მაგანძურებს და უთხრეს: ნუ მიდიხართ, გირჩევთ და მშვიდობიანად შინ დაბრუნდით, თორემ ისეთ ადგილას გაქვთ გზა შეკრული, რომ ცოცხალს ერთს არ გაგიშვებენო. მაგანძურნი თავის სიმრავლით და ისედაც მამაცი ხალხი, გაანჩხლდნენ და წასვლა მოინდომეს პირდაპირ. მაგრამ ხახაბოელებმა საკლავი მოიყვანეს და ამითი სთხოვეს უკან დაბრუნება (საკლავით თხოვნა, ხევსურეთის წესით, არის უმაღლესი თხოვნა. არ შეიძლება ამ თხოვნის არ გაგონება). მაგანძურმა ამდენი ხალხის შეწუხება და თხოვნა მიიღო და დაბრუნდნენ უკან. მაშინდელი ლექსიც არის ნათქვამი ერთ-ერთი მაგანძურისაგან, რომლის ნაწილს აქ მოვიყვანთ:

ქვე რაჭელ დაჯავრებულან გუდანის ჯვარის ყმანია:
—აღარ გვაძლევენ ბეგარსა, მტერმა შაგვიკრა კარია.
გაჯავრდა გუდანის ჯვარი, წელზე შაირტყა ჭმალია,
შახკაზმა თავის ლურჯაი,დააკრა ოქროს ნალია.
ზედ შაჯედ ყმათაღ გაუძვეღ, აიღი დელამფარია,
პირიქით გადაიარე, არდოტ ჩაყარენ ჭმანია;
ზოგთ ააჩინე ავ ჭირი, ზოგთ წამასთხარე თვალია,
გამაუწყვიტენ ჯალაფნი, ცეცხლზე დაუსხი წყალია,
დაბრუნდი ნასახელარი, შამაიხვიენ ყმანია, და სხვ.

ამის შემდეგ შუაკაცების და ჯვარის ძალით ისევ მოითხოვეს ბეგარი მაგანძურებმა. ზოგს არდოტელს ცოლი გაუხდა ავად, ზოგს შვილი და მკითხავები ყველა ამას გუდანის ჯვარს აბრალებდნენ. ზოგებს კიდეც მოუკვდა ოჯახის წევრი, იმათ ვინც აჯანყებდნენ ხალხს, ბეგარის მიცემის წინააღმდეგ საბრძოლველად. მკითხავებსაც ეს უნდოდათ და არწმუნებდნენ ხალხს გუდანის ჯვარის სიძლიერეში და იმაშიც, რომ გუდანის ჯვარი ვითომც გამწყრალია და ეს ზარალი იმიტომ მოსდისო. ხალხი თანდათანობით გატყდა და დაიშალა სოფლის პირი ბეგრის არ მიცემაზე. ბოლოს დაიწყეს ისევ ძლევა ბეგარისა, მხოლოდ იმდენს აღარ აძლევდნენ. პირველად დაუწყეს ყოველწლიურად ხუთმეტის ძლევა, მერე ათის, მერე ხუთის და, ბოლოს, გასაბჭოების შემდეგ სულ მოუსპეს ბეგარის მიცემა.

გუდანელები და მაგანძურები ჯერ კი ნაწყენი დარჩნენ, მაგრამ რომ გაიგეს ბეგრის და ლაშქრობის დროს ბოლო მოეღო, გაჩერდნენ ჭკვიანად. როგორც ვთქვით, მანამდე მატყლიანს და კარგს თუ არა, ცუდს და უმატყლო ცხვარს აღარ ღებულობდნენ. ყველა წესების შესრულებას ისე თხოულობდნენ მოსული ჯვარიენები, როგორც ბატონები ყმებს სთხოვდნენ სამსახურის შესრულებას.

გიორგობა

ენკენიას შემდეგ გიორგობა მოდიოდა. გიორგობა ისეთივე წესით მიმდინარეობდა, როგორც სხვა ჩვეულებრივი დღეობები. მას განსაკუთრებული წესი არაფერი არ ჰქონდა. ღამის თევა, ჟამის წირვა, სასოფლო საკლავი, ე.ი. სარიგო, სოფლის ჯარის დასხდომა – ეს ყველაფერი ისეთი წესით მიმდინარეობდა როგორც მაგალითად არხოტის ჯვარში.

აქ განსაკუთრებული წესი ის იყო, რომ გიორგობას და სხვა ასეთ წერილ დღეობებს საკუთარი დასტურები ცალ-ცალკე ჰყავდა. მაგ.: ქრისტეს ჰყავდა ორი დასტური, ახვსებას – ორი, გიორგობას – ორი და ა. შ. არხოტში კი გიორგობას სცვლიდნენ ახალი დასტურები ძველებს და წლის ბოლომდე ერთი და იგივე დასტურნი რჩებოდნენ. ხარჯები კი ჯვარისა იყო ფქვილით და ლუდით. დასტური მხოლოდ ვალდებული იყო დაემზადებინა თავის ხარჯზე ქადებისთვის ხავიწი ან სხვა რამის გული.

სიწმიდეც ხახაბოში დასტურებმა მეტი იცოდნენ (ცალკე ცხოვრება, სადაც ქალები დადიან იმ გზით არ სიარული, მიცვალებულთან არ მისვლა, მიცვალებულისათვის ნალოცი პურის არ ჭამა და სასმელის არ დალევა მკვდრის ხარჯში. ჭერხოდან ბოსელში არ ჩამოსვლა, სსვის სახლში არ შესვლა და სხვა).

გიორგობის დასტურნი მიიტანდნენ გიორგი წყაროთგორულში შესამაველო ქადებს, რომელზედაც ხუცესი კოდს გახსნიდა, კოდის გახსნის დროს შასამაველო ქადაზე დადგამდნენ სახუცო კოჭობს და აკრავდნენ სამ ფეხ სანთელს ერთმანეთზე გადაგრეხილს,დადგამდნენ სანთელდაკრულს ლუდიან თასს და იხუცებდა ხუცესი. ხუცობა იყო ჩვეულებრივი (მოხსენება და ხუცობა). კურთხევა არ იცოდნენ. ღამის თევაში მარტო ჯვარიონნი იყვნენ და ხანდახან სტუმრებიც შეიძლებოდა ჰყოლოდათ. გიორგობას იცოდნენ სასუქის ხარების, ვერძების და ცხერების დახოცვა (სასუქი იყო ის ცხოველი, რომელსაც ასუქებდნენ დასაკლავად საზამთრო სახორცედ. ხორცს ამარილებდნენ კასრებში და ინახებოდა ცივ ადგილას). ჩვეულებრივ ხატში დახოცავდნენ და აქვე დაატყავებდნენ. ზოგნი კი მიიტანდნენ და შინ გაატყავებდნენ ჯვარში დაკლულს. ამ საკლავის თავი მიჰქონდა ხუცესს, დანარჩენი პატრონს რჩებოდა. ხარსაც დაკლავდა ხუცესი ჯვარში. მიიყვანდნენ, დააკრავდნენ რქებზე სანთლებს და ხუცესი იხუცებდა. შეახვეწებდა ხარის პატრონს, დაამწყალობებდნენ ხარის პატრონს და ყველა იქ მყოფებს. ხარის პატრონს სადიდებლად არაყიც ექნებოდა მოტანილი, იმასაც გაადიდებდნენ და ჯვარიონნი სვამდნენ. ხუცესი ხუცობას რომ გაათავებდა, ხარს ყურს მოჭრიდა და გადააგდებდა იქვე ჯვარში. ყურიდან რომ სისხლი გამოუვიდოდა ამ სისხლს ხუცესი ხარის პატრონს წაუსვამდა

შუბლზე ჯვარედინად. ხარის პატრონი ხარს შინ წაიყვანდა, აქ მას შეკრავდნენ და მოსჭრიდნენ თავს. ტყავი და ხორცი შინ რჩებოდა. ხუცესს უგზავნიდნენ ერთ ბეჭს მთლიანად თავის ლეშით. ზოგი კი თავსაც გაუგზავნიდა. გიორგობის დღეობა გრძელდებოდა ერთ დღეს, წესების მხრივ არაფერი ახალი არ არის.

ქრისტე

ქრისტესაც ორი დასტური ჰყავდა. ამ დღეობაში ახალი არაფერი იყო, ოღონდ ღამისამთელო იცოდნენ სამარხო და ჟამსაწირი სახსნილო. დანარჩენი წესები ისეთივე იყო როგორც გიორგობას.

თანამოძმე-დამხმარეები

გიორგი წყაროთგორისას, ხალხის წარმოდგენით, დამხმარეები ჰყავდა. ერთი იყო ბელლის მთავარი ანგელოზი, რომელიც მარტო ბელელს პატრონობდა და დასჯიდა თუ ბელელში ვინმე რამე უწესობას ჩაიდენდა. მეორე იყო ვაკის ანგელოზი. ამას მეტ სახელად კვინტილას ეძახოდნენ, რადგან ის ადვილად წყრებოდა და ცდილობდა ადამიანისთვის ვნებას; მაგრამ მას ბევრი არაფერი შეეძლო. მესამე ჰყავდა დობილნი. დობილნი კი ჩვეულებრივად ბავშვებს ემტერებოდნენ. თვითონაც იყვნენ ბავშვების სახით და მტრობითაც სხვას არავის უმტრობდნენ. ხალხის წარმოდგენით ბავშვებს და ქალებს დაბალხარისხოვანი ანგელოზი პატრონობდა და დობილნი მას მოერეოდნენ, ბავშვებს "დოყვს" – მუწუკებს გაუჩენდნენ, თვალებს აატკივებდნენ, სიცხეს მისცემდნენ და სხვა. ქალებს კი ქალურ ავადმყოფობაში გადაეკიდებოდნენ და ბუნებრივზე მეტად ტოვებდნენ სამრელოში. მკითხავის თქმით, მათ უკლავდნენ თიკანს, უშლიდნენ აშალას და უნთებდნენ სადობილოებს.

კაცის ანგელოზს ისინი ვერაფერს გაუბედავდნენ და კაცი მათგან თავისუფალი იყო. მას ვერც ვეარაფერს აკნებდნენ და ვერც არგებდნენ. კაცის პატრონი ანგელოზი იქამდინ არ დაწვრილმანდებოდა და არ დაიმცირებდა თავს, რომ დობილთ დასახმარებლად გაეხადა თავის საპატრონო კაცის საქმე.

თვითონ გიორგი წყაროთგორისა ეხმარებოდა მტერთანაც თავის ყმათ. მონადირესაც ხელს უმართავდა, თუ ის "შამაზძახნებდა". ეშმაკთან და დევებთანაც მებრძოლი იყო და იცავდა თავის ყმებს. გიორგის დახმარებით ხახაბოს ჟამიანობაც არ მოუდის. ხევსურეთ'ში ჟამიანობა რომ ყოფილა, მაშინ მოსულან ჟამნი ხახაბოში და გიორგი წყაროთგორულს "ვაკეს" არ გადმოუჩენინებია თავი ჟამთათვის. ერთი ხახაბოელი კაცი დაჰყვებოდა ჟამთ და როგორც ჟამთ, იმასაც ისე საფარველი ედო. იმ კაცმა ჟამიანობის შემდეგ ილაპარაკა: ჟამთ ერთი თეთრი ჯორი ჰყავდათ და მასზე ხან ერთი შეჯდებოდა, ხან მეორე და ხან კიდევ სხვა. ერთხელ ამ ხახაბოელ კაცს თურმე წააყვანინეს ეს ჯორი გორის იქით დასაბმელად და უთხრეს: არ გაბედო და ზედ არ შეჯდე, თორემ გავნებსო. ეს კაცი ძალიან ეშმაკი იყო და იფიქრა: რაც გინდა

მომიყიდეს, შევჯდები და გავიგებ ამ ჯორზე შეჯდომას ეგ ჟამნი რატომ მიშლიან და თეითონ კი სხდებიანო. გორს გადაღმა რომ გადავიდა, შეჯდა ჯორზე და დედამიწის ზურგზე რაც კი რამე იყო და სადაც რა ხდებოდა, ყველაფერი დაინახა. ის კაცი რომ დაბრუნდა და ჟამთან მოვიდა, მათ ყველაფერი იცოდნენ, მაგრამ არ უთხრეს ეს რად ჩაიდინეო, მხოლოდ ჰკითხეს: რომელი შვილი უფრო კარგი გყავს და რომელი უფრო გირჩევნიაო. ეს კაცი მიუხვდა რატომ ჰკითხავდნენ და თავის შვილებიდან უარეს შვილზე უთხრა: ეს მირჩევნიაო. ეს შვილი კოჭლიც იყო და ისედაც ვერ იყო კარგი და სხვა შვილებთან შედარებით, მამას ეს უფრო გამეტებული ჰყავდა. ჟამთ გიორგისაგან უთხოვნია ნება, რომ ერთ ყმას მოკლავდნენ, რადგან ამ კაცმა უღალატა (ეს კაციც, ხალხის თქმით და წარმოდგენით, გიორგი წყაროთგორულისაგან ჰყავდა ჟამთ დასახმარებლად მიცემული). გიორგიმ ნება მისცა. მხოლოდ კარგი და მეომარი ყმა არ მომიკლათ, რომელიც თავისთვისაც ეარგა და ხალხსაც გამოადგებაო. ჟამნი გიორგის ნებართვით ამდგარან და დაუკრავთ ისარი თავის გამყოლი კაცის შვილისათვის. გამობმია ნაისრალში მუწუკი ზედ გულზე და მაშინვე მომკვდარა. სხვას აქ არავის უზარალნია. გიორგის ხთისაგან ჰქონია მოლოცვილი რომ მის საყმოში ასეთ მავნებელ ხთის იასაულთ ნებას არ მისცემდა ხალხის ხოცვით დაებეგრათ მცხოვრებლები. რომელიც ჟამთ ჰყვებოდა, ის კაცი თურმე იტყოდა: "ჟამნი რომ ისარს ისროდნენ, ეს ფარული იყო და ჩვენს გარდა, მას ვერავინ დაინახავდა. ხედავდნენ მარტო ჟამნი და მეო. სადაც ისარი მოხვდებოდა ადამიანს, იქ მუწუკი გამოუვიდოდა და ერთი საათის განმავლობაში მოკვდებოდაო".

გიორგი წყაროთგორული რომ პირველად აქ მოსულა, ერთი სახლი შეუთვალიერებია, სადაც უნდა დაარსებულიყო. მკითხავის პირით შეუთვლია რომ ეს სახლი დაეთმოთ. მეკომურს ეს არ შეუსრულებია და გიორგი გამწყრალა. ჯერ "ტყენი" (ხე) ამოსულან ყვერფში (კერაში) საცეცხლურთან. წუხრ რო დაწოლილან არაფერი ყოფილა და რო გათენებულა, უნახავთ 'შიგ საცეცხლურში დიდი ტყე დგას. ამ სახლის პატრონს მოუჭრია ეს ხე და გადაუგდია. კიდევ გამეორებულა "ტყეთ" ამოსვლა და მოჭრა. ბოლოს, ხორცი დაუკიდებიათ მოსახარშად და ჯალაფნი სამუშაოდ წასულან; მარტო ყმაწვილები ყოფილან შინ. გველი ჩამოსულა "ჭერშიით" საკიდელზე, ჩასულა ქვაბში და შიგ მოხარშულა. მოწამლულა ქვაბი და ყველანი ამოწყვეტილან, ვინც ხორცი ჭამა. დარჩენილა ერთი ბავშვი, რომელიც მარტო ძუძუს წოვდა და მამიდას გაუზრდია ქმართას. რაღა თქმა უნდა, გიორგი აქ დაარსებულა. ხალხს ეს სახლი გიორგის დავალებით, ე.ი. მკითხავის რჩევით, გადაუკეთებიათ საქვაბედ და დარბასად. შეუძენიათ ყველაფერი, რაც ჯვარში იყო საჭირო – ქვაბი სალუდე, განძი და სხვა. მკითხავის პირით აურჩევიათ დასტურები. ჯვარს ადგილები თვითონ დაუჭერია, სადაც კარგი მამულები იყო და დაუწესებია დღეობებიც, როგორც შემდეგში არის აწერილი. აქვე ჯვარში გაჩენილა წყაროც.

ამ ჯვარში კლდენი არიან ისე, რომ მას მისასვლელი მარტო ერთი ადგილიდან ჰქონდა. იქ წყალიც არ იყო. მერე თავისთავად გაჩენილა წყარო. წყაროსთვის კლდე იყო ამოჭრილი და წყალი იდგა ერთ დონეზე. სიგრძე იქნებოდა ამ ამოჭრილი კლდისა დაახლოებით სამი არშინი და სიგანე ორი. წყალი იყო ძალიან ცივი ისე, რომ დალევაში კბილებს ყინავდა. ამ წყაროს ვერ შეამჩნევდა კაცი ვერც გამოდენას ვერც გადადენას, – იდგა ისე, თავისთავად. ქვაბს რომ "ადუღილებდნენ" ლუდისათვის,

მაშინ ამოჰქონდათ წყალი, ასხამდნენ ქვაბში და ამ წყაროს კი არაფერი აკლდებოდა, – იდგა თავის დონეზე. როცა წვიმა იყო და წვიმის წყალი ჩავიდოდა შიგ, იმას არ გაირევდა. ამ წყაროს ინახავდნენ წმინდად. ვერ მივიდოდა იმის ახლო ისეთი კაცი, რომ გაბანილი და განათლული არ ყოფილიყო. თუ რამე ჩაიყრებოდა წყალში, მაშინ უნდა მისულიყო ძალიან წმინდა კაცი, ჩასულიყო შიგ და ამოეხვეტა. მისულ-მოსული ხალხი შიგ ყრიდნენ ხურდა ფულს. ამოხვეტის დროს ამოჰქონდათ და რჩებოდა ეს ფული ჯვარში საჯვაროდ. ეს წყალი თურმე მიჰქონდათ ავადმყოფის ტანის დასაბანადაც და დასალევადაც. ხალხში ისეთი რწმენა იყო, რომ ეს წყალი სამკურნალოდაც ვარგოდა. წყალი იყო ჯვარისა და ამ ჯვარის ძალით განიკურნებოდა მისი დამლევი.

მამულები

მამულები და ტყე, როგორც ვთქვით, პირველ დაარსებაში მკითხავების საშუალებით თვითონ დაუჭერია. შემდეგში, მკითხავს რომელი მამულიც მოეწონებოდა, იმას უმკითხავებდა ავადმყოფის პატრონს და სხვა გაჭირვებაში მყოფს და შეაწირვინებდა ჯვარისათვის. ეს მამულები, როგორც ხევსურეთის სხვა ჯვარებში, აქაც ზოგი ხოდაბურად რჩებოდა და სოფელი ულავით ამუშავებდა, ზოგს დასტურები ხნავდნენ საღალედ და ზოგს სოფელი. პური კი სულ ჯვარში კიდობნებში ინახებოდა, რაც ერგებოდა ჯვარს. პური ჩაყრაში არ იწყოდა. მარტო ამოღების დროს "გვერდით" ("გვერდი" – იყო ნახევარი საწყავი, ე.ი. ნახევარი ფუთი ქერი) აწყავდნენ საჭირო რაოდენობას.

ტყე კი იყო შეწირული ისეთივე წესით, როგორც მამულები. მას ხმარობდნენ დასტურები ისეთივე წესით, როგორც მამულებს, მარტო საჯვაროდ. დანარჩენი ხალხი იქიდან ვერაფერს გამოიტანდა. ჯვარის ტყეში უწმიდური ქალი ვერ გაივლიდა.

ხოლიგის წვერი

(მიამბო ლეკო მინდიკაურმა)

ხოლიგის წვერი ჰქვია არჭილოს და ხახაბოს შუაზე ნადგომ მთას. ეს მთა არის ძალიან მაღალი. აქ წინათ სალოცავი ყოფილა მდიდარი. მას ჰქონია დროშა და განძი ოქრო-ვერცხლისა. იმ სალოცავის სახელი აღარ იციან. ეძახიან ხოლიგის წვერის ანგელოზს. იქ ახლაც არის ნადარბასალი, სადაც წინათ დარბასი ყოფილა. იქვე არის ორი ჟანგიანი ძველი ლითონის ჯვარი,ხელსაფქავა. ხელსაფქავა იყო პატარა წისქვილი, რომალსაც, გულთ გარდა, ერთი ამოჭრილი ნაპირზე აქვს წვრილად. აქ პატარა ჯოხს ჩაამაგრებდნენ და ხელით ატრიალებდნენ ერთი მეორეზე ამ ქვებს, ხელითვე ჩაყრიდნენ ცოცოტას საფქვავს და ისე ფქვავდნენ,

ასეთ მიუვალ ადგილებში ძველად. როგორც გადმოცემით იციან, ხოლიგის წვერზე მძლავრი სალოცავი უნდა ყოფილიყო თავის დროზე. ახლა კი მომსწრალიც ადარავინ არის, რომ აქ სალოცავად ვინმე წასულიყოს და ან ახსოვდეს რა სახელწოდებით იყო ეს ხთიშვილი. ამ სალოცავს ჰყოლია ძალიან ბევრი ნადირი, ე.ი. ჯიხვები (ამ მთებში ჯიხვების გარდა სხვა ნადირი არაფერია და არც იტყვიან სხვაზე ნადირიო, ნადირს აქ იტყვიან მარტო ჯიხვებზე). ჯიხვები აქ ისე გამრავლებული ყოფილა, რომ ცხვრის ფარასავით დადიოდნენ თურმე და არც კაცს ერიდებოდნენ, ვინაიდან მათზე ნადირობის უფლება არავის ჰქონდა ხოლიგის წვერის ჯვარისაგან.

ლეკეთშიაც სცოდნიათ, რომ აქ მდიდარი სალოცავი იყო და წამოსულან ლაშქრად. დაეცნენ თურმე პირდაპირ ამ სალოცავს. დალეწეს კარები და გაიტანეს ყველაფერი, რაც იქ იყო. ერთი ოქროს ჯვარი იყო და "თვალთ არ იყრიდა", ისეთი მბრჭყვინავი რამეებით იყო მორთულიო. ისიც წაუღიათ და მას ხთიშვილიც თან გაჰყოლია. სოფელში რომ მიუტანიათ, დაუბძანებიათ სეფეთა ადგილას, მაგრამ ლეკები რაკი ურჯულოები ყოფილან ("ურჯულო" – მაჰმადიანი), ჯვარს არ უნდოდა ქრისტიანთ სალოცავი ლეკეთში ყოფილიყო და ლეკებზე გამწარალი ყოფილა. გაჩენილა ლეკეთში ავადმყოფობა და ბევრ ხალხს უზარალნია. მერე მკითხავს უთქვამს: ეგ ქრისტიანთ სალოცავი ჯვარი თუ არ მოიშორეთ, თქვენ ამ ხალხის ხოცვას ვერ გადარჩებითო. ლეკებს დაუბარებიათ ხახაბოელებისათვის, რომ წამოდით და თქვენი ხატი წაიღეთო. მაგრამ ხახაბოდან ადარავინ წასულა და დარჩენილა იქ. მერე წაუღიათ ლეკებს და კახეთშიც სულ მაღლა მთაზე კლდეში დაუბძანებიათ და იქ დარჩენილა. მის დაბძანების ადგილზე ერთი ვერძიც დაუკლავთ,მაშინ მოშორებიათ ლეკებს ეს ხოცილობა.

ლეკებს რომ ხატი წაუღიათ და ხთიშვილიც თან გაჰყოლია, მაშინ წასულა ნადირიც და ლეკეთის მთაში გადაყრილა: "ნადირიე რო აიყარაო, წავიდავ, როგორც ცხვრის ფარაივ, ეგრ დაიძრავი-დ მიწა გაჭნავ. სრე ბოლოსავ ერთიე თოვლივით თეორ ჯიჭვ გადაეფარავ. ეს ჯიჭვიე არც მანამდენ ვის ესახაო-დ არც მემრ ნახულავ ლეკეთშიავ".

თასების მოპარვა წყაროთგორულის ჯვარიდან

წყაროთგორსაც ყოფილა ძალიან დიდი სიმდიდრე, ვერცხლი და ოქრო. ეს ქისტებმა გაიგეს თურმე და დაეცნენ ლაშქრად. თას-გასმი ისე გაიტანეს, რომ შინ არავინ ყოფილა და ვერაფერი გაუგიათ აქ მცხოვრებლების. ქისტები რომ მშვიდობიანად დაბრუნებულან, სიმღერა დაუწყიათ და მღერით თურმე მიდიან. ამ დროს ცხვარში ყოფილა მარგოშვილი ლაგაზი. ის "ეცოლშვილი" ყოფილა და ჯვარი თურმე ახლო იყო მასთან, ხანდახან მეითხოვდა და ქადაგობდა კიდეც. აქ რომ ჯვარი გატეხილა და თას-გასმი ქისტებს წაუღიათ, მთაში ცხვარში გაქადაგებულა ლაგაზი, ცხვრისთვის თავი დაუნებებია და ქადაგობით გაქცეულა ხახაბოელთა სამთოებისაკენ. მისულა და ხალხს გაუგია

რაშიც იყო საქმე. მოკლე გზით წასულან და ქისტის ლაშქრისათვის ვიწრო გასავალი გზა შეუკრავთ. დაუყრევინებია თას-განძი და ქისტებიც დაუხოციათ. წამოუღიათ თას-განძი და მოუტანიათ აქვე, მხოლოდ სხვა სამალავი გაუჩენიათ მტრიანობისათვის.

თოფის მოპარვა

ჯვარისათვის შეწირული ყოფილა თოფი, რომელიც მოუპარავს ქისტ ტურას (ტურა სახელი იყო). მინდიკაურს საოცარი დასდგომია: ქისტმა რაღაცა წაიღო მოპარულიო (საოცარის დადგომა: სალოცავის საშუალებით გაგება მომხდარი ამბისა). სათიბიდან გამოქცეულა და წამოწევია, თოფიც ზედ ჰკიდებია ქისტს. ღამე იყო და კარგად ვერ არჩევდა, შემოსძახნა: გიორგი წყაროთგორულო მიშველე, ამ ქისტის ჯავრს ნუ მაჭმეო. ამ დროს გამოჩნდა თურმე ანთებული ყარტის ქუჩის ოდნად ცეცხლი და იქაობა გაანათა, ტურამ ქისტი დაინახა, ესროლა და დაჭრა. ქისტი დაეცა. ტურა მაშინვე თოფზე მივარდა, ქისტმა იხმარა ხანჯალი და თოფზე მოხვეული თითი მოსჭრა ტურას. ტურამ თოფი წაართვა და რადგან დაჭრილი იყო, იარაღი აღარ იხმარა მასზე. თოფი წამოიღო და ქისტი ცოცხალი გაუშვა მკლავში დაჭრილი, რადგან ნაცნობი აღმოჩნდა. ტურა რომ დაბრუნდა, დახმარებისათვის წყაროთგორულს ერთი დიდი ვერძი შეაკლა.

ვეშაპის გამოვლა

ხახაბოელები გიორგის ისე ვერ ემსახურებოდნენ, როგორც საჭირო იყო და ამიტომ ძალიან გამწყრალა გიორგი წყაროთგორული. უთხოვია დამბადებლისათვის თავის ძალა მიეხმარა მათაზე, რომ ერწმუნათ იგი. დამბადებელს მიუცია ნება და გიორგის მოუყვანია ვეშაპი. წამოსულა მთიდან ვეშაპი და მთა-კლდე სულ თან წამოუღია. ხალხს ჭექა-ქუხილი გაუგონია და მაღლა ახიზნულან. მაშინ ხახაბო გლუკი ყოფილა ე.ი. სწორი უკლდეო ადგილი. გამოუვლია ვეშაპს და იმის ნაკალზე სულ გამოქანებულა ადგილები და კლდე-ღრედ ქცეულა: გიორგის თავისი ყმანი დასახოცად კიდევ არ გაუმეტებია და ყველანი ცოცხლები გადაურჩენია. მხოლოდ ადგილი და ჭირნახული გაუფუჭებია. მაგრამ ხახაბოში კაი მოსავალი იცოდა და რაც დარჩა, იმ მოსავლით გაუტანიათ თავი. მას აქეთ სახლები ჩამოღვარულ კლდეზე აუშენებიათ, ასეთი რომ გამეორდეს, სახლები მაგარ ადგილას იდგესო, ამიტომ ხახაბოში სახლები მერცხლის ბუდეებივით არის კლდეში მიკრული. ახალი სახლები კი აგებულია სხვადასხვა ადგილებში მამულების პირებზე (აქ იყვნენ ხახმატის ჯვარის ყანანი და ამ მამულის ნაღალურზე დიდდებოდა ხახმატის ჯვარი).

არდოტის სალოცავები

არდოტში ჰყავდათ სალოცავი ხთიშვილები და მათში უფრო მძლავრად სომხოს გიორგი ითვლებოდა. არდოტს ჩამოუდის ორ მხარეზე ხევები და სოფლის ბოლოში უერთდებიან ერთმანეთს. სოფლის ბოლოშივე შეერთებამდე შუა ადგილას, ნახევარკუნძულივით წაგრძელებული არის პატარა გორა და აქ არის სომხოს გიორგის საქვაბე და დარბასი. სომხოს გიორგი მოსულა სომხეთიდან. მაშინ ეს ადგილი აურჩევია, რადგან აქ უფრო წმინდად იქნებოდა მისი საბძანებელი. აქ ქალებს არაფრად დასჭირდებოდათ გავლა, რაც ხევსურების წარმოდგენით "აუწმინდურებს" ხატს.

სომხოს გიორგი ჰქვია იმიტომ, რომ ის მოსულა სომხეთიდან. იმის დაარსების შემდეგ, ამ პატარა ადგილსაც დაარქვეს "სომხოსი". ეს ხატი გამოფრენილა სომხეთიდან და წამოსულა აქეთ. მას ჰყოლია მორიგე სომეხი და გამოჰყოლია თან. მოდის გზაზე სომხოს გიორგი ტრედის სახით და მიჰყვება ეს კოჭლი სომეხი. როცა კაცი დაიღლება ან დაეძინება, მტრედიც მოუცდის და როცა ადგება, გამოუძღვება თავისი მორიგეც ანუ ხუცესი. ბოლოს მოვიდნენ არდოტში და კოჭლს ჯვარი გაუქრა თვალიდან. არდოტელთ წინაპრებმა სომეხს ჰკითხეს ვინაობა და ან რაზე გარჯილა. მან ქართული თურმე არ იცოდა და არც ხმა გასცა. მხოლოდ ხელით ანიშნა იმ ადგილზე, სადაც ტრედი დაეკარგა და ტირილი დაიწყო. საჭმელი მიუტანეს. არაფერს ხელი არ ახლო. მერე მივიდა იმ გორზე, დაჯდა. იყო იქ სამი დღე და სამი ღამე. მეოთხე დღეს არდოტელები მისულან მასთან და ერთი საკლავი მიუყვანიათ – მიხვდნენ თურმე რაში იყო საქმე. ერთი არდოტელი გაქადაგებულა, დაუკლავს ეს საკლავი და ძალაუნებურად უხუცებია. ბოლოს გიორგის ამ სომხისათვის აუმოძრაევებია ენა ქართულად სალაპარაკოდ. მას ყველაფერი უთქვამს: "ამ ხატს ჰქვია გიორგი. მას მთელი სომხეთი ემორჩილებოდა და ბევრ დახმარებასაც უწევდა ხალხსო. ერთ დღეობაში გააწყრეს იმიტომ, რომ წესი თავის დროზე ვერ შეასრულეს. გამწყრალი გამოფრინდა, მეც თან გამოვყევი, აქ დაარსდა და სომხეთში აღარ აპირებს წამოსვლასო, მე კი ვბრუნდები გულნაკლულადაო" და დაიწყო ტირილი. არდოტელებმა ანუგეშეს: რას იზამ, ხთიშვილთ ნება არის, თუ კი მოიწადინებს, აქედანაც ხვალვე წავა, თუ ჩვენ ვერ შეუფერებთო. ამის შემდეგ სომეხი წავიდა და სომხოს გიორგი დარჩა აქ. ერთი კაცი მას მაშინვე აუყვანია მეენედ, ე.ი. მკითხავად, და რაც საჭირო ყოფილა ახალ დაარსებული ჯვარისათვის, ყველაფერი ულაპარაკნია. თურმე გიორგი მკითხავ-ჯვარის ხელ-კაცებს ეჩვენებოდა თეთრ ტანსაცმელში ქისტურად გამოწყობილი (ქისტურ ჩოხა და ახალუხში). ბოლოს ამ სალოცავს ჭალაური დაუსახეს ("ჭალაური" – ჭალაში მოსახლე ან მცხოვრებელი სადაურიც არის კაცი). მთავარანგელოზი ხონის გორაზე დაარსებულა და იქაც გაჩენილა მისი სამლოცველო და ამ სალოცავს ეძახოდნენ სომხოს გიორგის მოძმეს. ამ მთავარანგელოზს ილოცავდნენ მუცუელი ხალხი. იტყოდნენ: ხონის გორიდან წამოვა ცეცხლი და სომხოს გორზე ჯვარში ჩავაო. ვითომც მუცუს სალოცავი, თავის მოძმეს, სომხოს გიორგის ესტუმრებოდა და როცა სასტუმროდ მიდიოდა, ცეცხლის სახით იყო. მან ვითომც ღამით იცოდა

სასტუმროდ სიარული. სომხოს გიორგიში ხუცობა და მედროშეობა გადადიოდა მემკვიდრეობით; ვისი მამაც ხუცესი იყო ან მედროშავე, შვილიც ამ თანამდებობაზე რჩებოდა ამ ჯვარში. ოღონდ თავის ნებით არ შეეძლო მამას მემკვიდრისათვის გადაბარება და არც თავის ნებით შვილი დადგებოდა მამის თანამდებობაზე. ეს ხდებოდა ქადაგის საშუალებით. შეიძლება ბევრი ძმები ყოფილიყვნენ, ისინი ყველანი ხუცესებად ხომ ვერ მივიდოდნენ ჯვარში, ვერც მედროშის შვილები მედროშედ მივიდოდნენ ყველანი. მათ შორის რომელიმე ავად გახდებოდა, ან ხიფათს რამეს გადარჩებოდა, მაშინ მკითხავიც უმკითხავებდა: აკადმყოფი მორჩება, მხოლოდ ხუცესად უნდა მივიდეს ჯვარშიო, ხიფათს გადამრჩალსაც ეტყოდა: გიორგიმ გადაგარჩინა იმ პირობით, რომ ხუცესად უნდა მიხვიდეო. ამავე წესით დგებოდა მედროშაე და მესაფუვრეც. მესაფუვრეც მემკვიდრეობით იყო. იმასაც ქადაგი და მკითხავი ნიშნავდა (ქადაგი და მკითხავი ერთი და იგივეა, მხოლოდ ქადაგი სახალხოდ ყვირის,ვითომც ჯვარი,ხვთისშვილი მისი ენით ლაპარაკობს. ამ დროს ქადაგის ორგანიზმში შესულია ხთისშვილის ძალა. ამ დროს ქადაგს ამქვეყნიური არაფერი ესმის და ვერც ხედავს. ის გადაქცეულია ღვთიურ ძალად და ჯვართ რაც უნდათ, იმას გამოსთქვამენ. ყვირის ხმამაღლა და იცემს გულში ორივე ხელს. მკითხავი კი იჯდა, სანთელს უყურებდა და ისე ელაპარაკებოდა, ვისაც უმკითხავებდა. შეიძლებოდა სიზმარში ნახავდა და ამას ეტყოდა მკითხაობის სახით).

დასტურ-მეზარეც მემკვიდრეობით იყო. დასტურებიც ქადაგობით დგებოდნენ, ორი კაცი. მათ ერქვათ მედიდდღეობე. ისინი გაუძღვებოდნენ მარტო ორ დღეობას: წელწადს და დატიობას (არდოტში ათენგენის მაგიერ ამბობდნენ: დატიობას. მათ სიტყვა ათენგენა არ იცოდნენ ამ დღეობისათვის).

ორი მედიდდასტურის გარდა, როგორც ხახაბოში, ეგრეევე აქ, თითო დღეობას ჰყავდა ორი დასტური. ისინი ასრულებდნენ მათთვის დავალებული დღეობის ყველა სადასტურო წესებს. მათ ერქვათ მეწვრილდასტურები. ეს დასტურობა მოუდიოდა რიგით, სოფელს. დიდი დასტურები თავის დღეობებში ადუღებდნენ სამ-სამს ქვაბს, ხოლო მეწვრილ-დასტურები კი თითო დღეობაში თითო ქვაბ ლუდს. პური საჯვარო იყო. სვეს დასტურები ამზადებდნენ; ჰქონდათ თავისი ხარჯი. ქვაბები აქ ცალ-ცალკე ჰქონდათ საწვრილ-დასტურო და სამსხვილდასტურო. საწვრილდასტურო ქვაბს ეყრებოდა თოთხმეტი გვერდი ფორის ფქვილი სალუდედ (გვერდი არის ნახევარი ფუთი ფქვილი, საწყავში ჩადის ერთი ფუთი ფქვილი) ე.ი. შვიდი ფუთი ფქვილი. აწყვით სჭირდებოდა ორი იმდენი წყალი. სადიდდასტურო ქვაბს ეყრებოდა ოცდაათი გვერდი ე.ი. ხუთმეტი საწყავი ანუ ხუთმეტი ფუთი ფქვილი. დასტურს აყენებდნენ მეხუთე დღეს ანუ გამცხადება დღეს. ამ დღეს ქადაგი რაც შეიძლება წმინდად იქნებოდა. არც სვამდა ბევრს და არც ჭამდა. აანთებდნენ სანთელს და ხუცესი ან თვითონ ქადაგი "მასლახნებდნენ" ჯვართ: "დალოცვილო სომხოს გიორგიო, ჩამეედ შენს მეენეზედა-დ დააზემი შენი სურვილი, ვინაც გესაკადრისების შენთ დღეობათ დიდდასტურად". ქადაგი ცოტა ხანს იჯდა და მერე დაიწყებდა მოქნარებას და ბოლოს ხმამაღლა ყვირილს. შეიძლებოდა ჯერ სულ სხვა რამეზე ექადაგა, მაგ: თავის ყმათ ურჩობაზე – აღარ მაფასებენ ჩემნი ყმანი, ქედი ქედს გამისწორეს და კისერი კისერსო და დაემუქრებოდა. ბოლოს გადავიდოდა დასტურის არჩევაზე და

გიორგის სახელით დაიძახებდა ჩემად დასტურად წელს ვასახელებ ამა. და ამ კაცებს. ამ დროს ხალხი ისხდა და უსმენდა ქადაგობას ქუდმოხდილები. ქადაგი რომ ქადაგობას მორჩებოდა, ყველანი ადგებოდნენ, დაიწერდნენ პირჯვარს და იტყოდნენ: "დიდება ძალსა შენსა, გიორგიე სომხოს დაარსებულო, შენ უშველი შენთ ყმათა-დ, შენ ახალდასტურთ მიეც წყალობა".

ქადაგს (უფრო ხშირად ქადაგი თვითონ ხუცესი იყო) ქადაგობის დროს თვალები ჰქონდა დახუჭული და ისე ლაპარაკობდა. რომ გაათავებდა, თვალებს აახილებდა და ხალხს შემოავლებდა, ვითომც ღვთიური ძალებიდან ახლა დაბრუნდა და ახლა დაინახა ხალხი. მერე იტყოდა: "გწყალობდასთ სომხოს გიორგი დღეს იმის დასახელებულ დასტურთ (ჩაურთავდა სახელებს), წაღმ მაგიარასთ, მშვიდობით შაგინახნასთ, ნუ შაგანანასთ მსახურობა, დასტურობა, მშვიდობით დადებულ უღელი, მშვიდობით გადაგაჴდიოსთ; ნურაით შაგიწყინნასთ, ნურაით შაგიცოდვნასთ, ნურაის ინაბარ ჩაგიდვასთ. თქვენ მაგცასთ წყალობა სოფელს, ყურით მაყურებელს, ჯვარიონთ – დასტურ – ჴელოსნებს, ხუცეს დიდხან გაგიყოლას, ენა-პირ გიკურთხას, დასტურს დასტურობა ნუ შაგანანასთ".

პირველად ხუცესი იტყვის ამ სიტყვებს და მერე ყველანი იმეორებენ. ყველა თავთავისთვის დაიწყებდა რაც ძალი და ღონე ჰქონდა ხმამაღლა ლაპარაკს ამ სიტყვებისას და უფრო ამწყალობნებდნენ ახალ დასტურს. ბოლოს მიუტანდნენ ქადაგს და დაალევინებდნენ ლუდს: "ყელი ამოგშრებოდაო" – ეტყვიან – ამდენ ქადაგობაშიო. ამ თასს ქადაგი კიდევ დაილოცებოდა და დაამწყალობნებდა ახალ დასტურთ. ასეთი იყო ქადაგით დასტურების დაყენების წესი. ბოლოს ყველას ჩამოურიგებდნენ თასით ლუდს და დაალევინებდნენ ახალ დამდგომ დასტურთ სამწყალობნელოდ.

აქვე, არდოტის (სომხოზ გიორგის) ჯვარში დგებოდნენ მეკვირაე დასტურნი. მეკვირაე დასტურნი წელწადში და დატიობაში მეოთხე ქვაბს ადუღებდნენ და მათი ნადუღარი ლუდით დიდდებოდა კვირა. კვირაეს აქ ცალკე ნიში ჰქონდა და წელწდის მეოთხე დღეს მის ნიშთან სრულდებოდა სადღეობო წესები, რაზედაც შემდეგ იქნება საუბარი.

დატიობა

დიდი დასტურები ქვაბს პირველად დატიობაში ადუღებდნენ და პირველ დღეობას მაშინ ჩაატარებდნენ. ლუდის დუღების წესი ყველგან ერთნაირად იცოდნენ. ლუდს ადუღებდნენ ახალ დასტურნი საქვაბეში და დიდი ქვაბით დარბასში მიიტანდნნ, სადაც მესაფუვრე მიიღებდა მას. გააცივებდა, საფუარს გაუმზადებდა და "შახყრიდა" ლუდს, ისეთივე წესით,როგორც არხოტის ჯვარში არის ნათქვამი. ამ დროს ხუცესი, მედროშაე, მესაფუვრე, მაგანიური და მეხარე ყველა ჯვარში იყვნენ, საწმიდარ ერთი კვირით წინ გასული. ისინი ყოველ დღე ციე წყაროზე იბანდნენ ტანს. სასმელ-საჭმელი სახლიდან მისდიოდათ და სოფლიდანაც იცოდნენ საკვლევის მიტანა. ვისაც სურდა ის მიუტანდა ხინკალს, კეცეულს, ფაფას ან სხვა რამეს; შეიძლება არაყიც მიეტანათ. მიტანა

სავალდებულო არ იყო. ამ ორ კვირას ასე გაატარებდნენ ჯვარში, სადაც ქალის ფეხი გაივლის, იმ გზაზე ფეხს არ დადგამდნენ. ამასობაში მოვიდოდა დღეობის წინა დღე. დატიობა აქ სხვა დღეობებთან შედარებით, უფრო მომზადებულად იცოდნენ. როგორც სხვა სოფლებში ათენგენისათვის ემზადებოდნენ საგანგებოდ სტუმრების მოსვლისათვის, აქაც ამ ხალისით უფრო ჰქონდათ სამზადისი: სტუმრები მოგვივლენ და კარგად უნდა შევხვდეთო. დატიობის წინა დღეს ჯვარის ყველა მოსამსახურე, თავის საქმეს კიდებდა ხელს, გარდა ორი უსაქმური ხელოსნისა. ამ ჯვარში ჩვეულება იყო, რომ ორი ხელოსანი მუდმივი იყო, რომლებსაც არაფრის გაკეთება ევალებოდათ; მარტო თვალყურს ადევნებდნენ საჯვარო წესებს და აქაურსავე ქონებას. მაგანძური განძს მოიტანდა და გარეცხდა. მესაფუვრე კოდებს გაამზადებდა, მოსჭიჭავდა და სხვა. მეზარე ზარს გასინჯავდა – ენა ან სხვა რამე არ აკლდესო. დასტურები ამ დღეს არაყს "გამასწურავდნენ" და მაგანძურს უშველიდნენ თასების დარეცხვაში. ხუცესი მესაფუვრეს ეხმარებოდა. მედროშაე ხმაამოუღებლად იჯდა და დროშას აბამდა. აქ დროშას აბამდა სამი მედროშაე, თითოეული თავ-თავის დროშას და ისე გამოყავდათ. დროშის ამბის წესები დაწვრილებით არის აღწერილი არხოტის მასალებში. ყველაფერი რომ მომზადდებოდა, მოიყვანდნენ სანათლავებს და ამ დღეობაში ინათლებოდა დასტურები და ყველა მოხელე ამ ჯვარისა. სანათლავებს წააყენებდნენ სასაკლავესთან და დაიჭერდნენ უფრო დასტურები, თუ ვინმე სხვა მოხელე იყო ჯვარისა, ისინიც დაიჭერდნენ თუ ბევრი სანათლავები იყო. ხუცესი ყველა სანათლავს ცალ-ცალკე მოახსენებდა, მხოლოდ იხუცებდა ყვალას ერთად. მოხსენება და ხუცობა ისეთი იცოდნენ აქაც, როგორც ხახაბოში. ხუცობის შემდეგ კიდევ შეუსახელებდა თითოობით და დახოცდა სანათლავებს. მისი წესიც ჩვეილებრივ იცოდნენ – შუბლზე და გულზე ჯვარედინად სისხლის წაცხება. სისხლიან ხელებს ისეთ ადგილას დაიბანდნენ, სადაც კაცის ფეხი არ გაივლიდა. შუბლზე და გულზე კი სისხლი მანამდე ჰქონდათ, სანამ თვითონ არ გადაცვდებოდა. სანათლავების დაკვლის შემდეგ ყველა შეასრულებდა თავის მოვალეობას; მედროშაე "უმძრახად" ააბამდა დროშას, ფეხებს გაიხდიდა და დარბასიდან ფეხშიშველა "გამოაბძანებდა" ზარების წკარუნით. დროშის ზარის წკარუნზე აქაც და სოფელშიც ყველანი ფეხზე ადგებოდნენ კაცი და ქალი, ქუდებს მოიხდიდნენ კაცები, ყველა პირჯვარს იწერდა და იტყოდა: "სომხოს გიორგიო, შენ უშველი შენთ ყმათ, დალოცვილო! სამტროს ალაგში არიან და შენი ძალით დაიცვენ მტრისაგანაცა-დ ცუდის მარცხ-ზიანისგანაც. მედროშაე დარბასიდან რომ გამოვიდოდა, დადგებოდა პირით სოფლისაკენ და იტყოდა: "დალოცვილო დროშათად მყოლო ანგელოზო, შენ წყალობა მიეც სოფელ არდოტს, ნუვის თვალ-გულს მაღრევ". მერე გაივლიდა, დაჯდებოდა მუხლზე და მუხლით სიარულით მივიდოდა სადროშაე კოშკთან, მიიტანდა დროშას და თავის ადგილზე დააბძანებდა. მერე დაიწერდა პირჯვარს, ჯერ დროშას აკოცებდა ტარზე, მერე მიწას აკოცებდა და მუხლით წამოვიდოდა ისევ უკან. მივიდოდა ხალხთან, სადაც ისინი ქუდმოხდილები ელოდებოდნენ მის მისვლას და ეტყოდა: "წყალობა მაგიტანეთ დროშათად მყოლთ ანგელოზთა, წაღმ დაგყვასთ დალოცვილთ დავლათი". – "შენ იყოს მწყალობელი", ეტყოდნენ ერთხმად.

ამ დროს დასტურებს ჰქონდათ მოტანილი შასამავლო ქადები. მიიტანდნენ კოდთან,ხუცესი ამოიღებდა ლუდიან სახუცო კოჭობს კოდიდან და დადგამდა დაწყობილ საშამავლო ქადებზე, დააკრავდნენ ზედ დასტურებისგანვე მოტანილ სანთელს და ხუცესი კოდს გახსნიდა, ხუცობდა ჩვეულებრივი ხუცობით. ხუცობის შემდეგ ხუცესს მისცემდნენ სახუცო კოჭობს, ის კიდევ შეუსახელებდა: "შენა გასამარჯო სამთავროდ ხთის კარზე გამაიყენი, გიორგივ სომხოს დაარსებულო, ეს ჭიქა-ბარზიმი, კოდ-საფუარი. შენ არდოტელთად, შენთ ყმათად, საშველოდ სახოიშნოდ, სამწყალობნელოდ მაიჴმარი. მაგით დიდ იყავ შენის გამჩენის ხთის კარზე". თასს ორი ხელით მაღლა ასწევდა, შეისვენებდა ცოტას და მერე იტყოდა: "ჯვართ დიდებაი-დ მეხვეწურთ წყალობაი" და ამ სიტყვებით დალევდა ცოტას. მერე სხვებს მისცემდა თასს და იმათაც დაალევინებდა. ყველა დაილოცებოდა ჩვეულებრივად და თასიდან ოდნავ გემოს გაუსინჯავდნენ ლუდს. ბოლოს მისცემდნენ ისევ ხუცესს და იტყოდნენ: დაცალე თასი და მადლი გადაიხადეო. ისიც დაცლიდა თასს და იტყოდა: "აი, შავსვ თქვენის გამარჯვებისა: ქვემც გწყალობსთ გიორგის დავლათი". ამ დროს ზოგები მუხლზე ისხდნენ და ხუცესი ეუბნეოდა: "ადექით გამაიცვალეთ, მტერიმც ას თქვენ ჴელმარეული". ასე ჩამოართმევდნენ თასს ჩვეულებრივი სიტყვებით, როგორც წესია არხოტის აწერილობაში და ყველანი დასხდებოდნენ. კოდი რომ გაიხსნებოდა, მესაფუვრეს ბარდებოდა – ხუცესს უკვე უფლება აღარ ჰქონდა ლუდის ამოღებისა. მესაფუვრე საწდეში ჩაასხამდა ლუდს,დასტურები მიიტანდნენ და დადგამდნენ იქ მყოფი ხალხის წინ. მოიტანდნენ არაყსაც და ყველას დაალევინებდნენ. დაღამდებოდა და მოიტანდნენ ღამისამთელოსაც და ჩვეულებრივის წესით უთევდნენ ღამეს. ღამისამთელოს ფქვილის მიტანა ევალებოდა მეკვირაე დასტურთ საკუთარი ოჯახიდან. უნდა ყოფილიყო აუცილებლივ იფქლის ფქვილი, სხვა ფქვილისა არ შეიძლებოდა. ერთ ღამისამთელოს უნდოდა ერთი ნასამალი ფქვილი (ნასამალი უდრიდა ათ გირვანქას). ღამისამთელოს გული კი მედიდდასტურეთ ვალდებულება იყო. ისინი აკეთებდნენ რისი შესაძლებლობაც ჰქონდათ, იმის გულს (ხორცი, ყველი და სხვა. ხავიწი არ იცოდნენ). აქ იყო სამი მედროშაე და თითოეულს ჰყავდა თავისი დროშა: მგზავრი დროშა, რომელსაც ატარებდნენ ღამისთევებზე, სალაშქრო დროშა,რომელიც უნდა წაეღოთ თუ სადმე ლაშქრად წავიდოდნენ და ადგილობრივი სამწყალობნ – სამრისხველო დროშა, რომელსაც "აბძანებდნენ" იმ დროს, დამწყალობნება თუ ვინმესი სურდათ, ან დარისხება. მგზავრ დროშას ზარი ჰქონდა, თავზე ჯვარი ვერცხლისა, ტარზე კი შებმული ბაღდადები. სალაშქროს და სამწყალობნ-სამრისხველო დროშას ჰქონდა ჩამოცმული შუბები, ტარზე მათაც ბაღდადები ჰქონდათ შებმული. ჯვარის და შუბების ძირში ყველას ჰქონდა ვერცხლის ბუროები, რომელიც ჩამოცმული იყო დროშის ტარზე.

ეს დროშები თითო კაცს ებარა ცალცალკე და მეორე მედროშეს უფლება არ ჰქონდა სხვის დროშა აეღო ხელში. ხარისხითაც ირჩეოდნენ ისინი და ამის მიხედვით დარბასში მედროშავეებს სკამებიც საკუთარი ჰქონდათ. სკამები იყო კუთხიანი ქვებისაგან დაწყობილი. სხვა მედროშის სკამზე სხვას არ შეეძლო დაჯდომა. მეტ პატივს სცემდნენ სალაშქრო დროშას და პირველი სკამი მისი მედროშავის კუთვნილი იყო. მეორე ხარისხის იყო მგზავრი დროშა და მეორე

სკამი მის მედროშავეს ეკუთვნოდა. მესამე ხარისხისა იყო სამწყალობნ-სამრისხველო დროშა და მესამე სკამზე ე.ი. მესამე რიგში იმისი მედროშავე დაჯდებოდა. მერე დაჯდებოდა მეზარე. დასტურებსაც ჰქონდათ მიჩენილი თავისი სკამები. ხუცესს კიდევ ცალკე. სულ განსაკუთრებულ მხარეს ჰქონდა სკამი და იმ მხარეს არც გადიოდა ვინმე. მაგანძურს ჰქონდა სკამი განძის მხარეს და არც იქ დაჯდებოდა სხვა კაცი. მესაფუვრეს კოდებისაკენ ქონდა საკუთარი სკამი და იქ დაჯდებოდა. სკამები აქ ხისა მოძრავი კი არ იყო, არამედ გრძელი კუთხიანი ქვები იყო მიტანილი და დარბასში კედლის პირებზე მიწაში ჩაყრილი, გარშემო. ჯვარივნების სკამები ასე იყო განლაგებული. აქ ხნოვანებას არ ექცეოდა ყურადღება, როგორც სხვა დროს. ზემო თავში დაჯდომა და ბოლოსაკენ დაჯდომა აქ თანამდებობის მიხედვით იყო. მიუხედავად ხნოვანებისა. ჯვარივნებისთვის განკუთვნილის გარდა, აქ სკამები იყო დაწყობილი აგრეთვე სასტუმრო, სასოფლო და სხვა, სადაც ხალხი დასხდებოდა უფროს-უნცროსობის მიხედვით, როგორც საერთოდ არის ხევსურეთში მიღებული.

მეგანძე, რომელმაც იცოდა განძის საიდუმლო ადგილი, სადაც დამალული იყო, ღამე "გამოაბძანებდა" განძს და თავისუფალ ადგილას დადგამდა. როცა ჯვარში მიტანის დრო იქნებოდა, მიიტანდა და დასტურთ ჩააბარებდა თვლით. როცა დღეობა მოთავდებოდა, ისევ მიითვლიდა დასტურთაგან, ღამე წაიღებდა და შეინახავდა სამალავში. წაიღებდა ისეთი გზით, სადაც არავინ შეხვდებოდა და არავინ გაიგებდა სად იყო განძი დამალული.

ჯვარში ლოგინებიც,ე.ი. საწოლი ადგილები,განლაგებული იყო სკამების და ხარისხის მიხედვით. ღამეს შეიტანდნენ ან ჩალას ან ბალახს, გაიშლიდნენ თავის საწოლ ადგილზე, ზედ ფარდაგს გაიშლიდნენ, თავ ქვეშ ან ჩოხას დაიდებდნენ და ან ტყავს ჩასაცმელს, ზედ დაიხურავდნენ გუდანურს და ისე იძინებდნენ. ლოგინების გაშლა კი იცოდნენ უფროს-უმცროსობის მიხედვით. უნცროსები ხნოვანებით უფროს კაცებს დასაწოლ ლოგინებს გაუშლიდნენ, ცდილობდნენ, რაც შეიძლებოდა მეტი ჩალა გაეშალათ და რბილი ლოგინი დაეგოთ მათთვის. დაწოლის დროსაც უფროსებს თავს დასტრიალებდნენ და დახურავდნენ გუდანურს თუ სხვა რამეს.

ღამის თევის შემდეგ ასეთი წესით იძინებდნენ. ღამის თევაზე განსაკუთრებული წესი არაფერი იყო. მხოლოდ სმა, მღერა და თავისებური დროს ტარება გვიანობამდე. შეიძლება სტუმარიც ვინმე ეყოლებოდათ და რითაც შეეძლოთ სცემდნენ პატივს. მეორე დილას სწირავდნენ ჟამს და მიდიოდა ჩვეულებრივად მეზღვნე ხალხი. ზღვნების დახოცა და მეზღვნისათვის დახვედრა ისეთივე წესით იყო როგორც ხახაბოში. მხოლოდ დაკლული ზღვნისა დატიობაში ჯვარიონთ რჩებოდათ "ფეშხო" ხორცი და ტყავი ("ფეშხო" ნიშნავს საკლავის ნახევარ გვერდს ზურგზე გაჭრილს). სხვა დღეობებში კი ჯვარივნებს ტყავი და მხარი ეძლეოდათ. დანარჩენი პატრონს მიჰქონდა, მაგრამ მიცემული ხორციდან ჯვარივნები ჯვარში მაინც მოხარშავდნენ ხორცს. დაუდგამდნენ ტაბლას ჯვარივნებსაც და მეზღვნეებსაც ერთად, დარბასში. სხვა ჩვეულებრივად მიდის დილა-საღამო და მისი ყველა წესები.

დატიობის მეორე დღეს, სხვა წესების გარდა, იცოდნენ საწულეობა. საწულეობას იხდიდა წულის პატრონი (წული-ვაჟიშვილი). მას ჩატანებული ექნებოდა სვე და

ფქვილი ჯვარის სალუდე სვე-ფქვილში ერთი ან ორი ჩხუტი ლუდის ვარაუდით (ვისაც როგორ უნდოდა, ან შეეძლო). დატიობის მეორე დღეს მიიყვანდნენ იმ წელს შემომატებული ბავშვს, მიჰყვებოდნენ თან სოფლის ყველა მამაკაცები, ქალებიც თავის დანიშნულ ადგილზე მივიდოდნენ და იქ დასხდებოდნენ. ამ ხალხს ყველას დაპატიჟებდნენ მესაწულეები: საწულე გვაქვს, ყველანი წამოდით და წყალობა გვითხარითო. თითო თასი ლუდიც მოგერგებათო. ყველა მესაწულე თავის წულს თითო კარგ ჭედილას მიაყოლებდა. თითოეული ცდილობდა მისი ჭედილა უკეთესი ყოფილიყო (მესაწულეები შეიძლება ბევრნი ყოფილიყვნენ, შეიძლება ცოტანი – გააჩნდა იმ წელს რანდენი ვაჟი იყო ახალდაბადებული). მიაყოლებდნენ თან კიდევ ჭურჭლით კარგ არაყს და სანთელს. როცა ყველანი მოგროვდებოდნენ დარბასის კარში, მაშინ ჯვარიონთ ეტყოდნენ, რომ აღარავინ აკლიაო. გამოვიდოდნენ ჯვარიონნი და დაამწყალობნებდნენ მესაწულეებს: "გწყალობდასთ მესაწულეებო სომხოს გიორგი, საწალმართო მაგიარასთ, მშვიდობით შაგინახნასთ, მუდამ წულითა საწულით გიმსახურნასთ, წულებ გაგიზარდასთ, კაის ბედის კაცებ მააჭდინასა-დ კიდევ მონდავებ სხვებ მაგცასთ. თქვენ გწყალობდასთ სომხოს გიორგი ყურით მაყურებელს, წეულს, მწყვდეულსა-დ თავის კარის მლოცავს. ჯვარის გამძღოთ გწყალობდასთ, დიდხანს გაგიყოლნასთ, შაუცოდვრად, შაუწყინრად შაგინახნასთ". ჯვარიენები რომ ასე ამწყალობნებდნენ მესაწულეებს, ამავე სიტყვებით ისინიც ერთი-მეორეს ამწყალობნებდნენ და სხვა ხალხიც ამავე სიტყვებს იმეორებდა ჩვეულებრივად. მერე ჯვარიენები წინ წადგებოდნენ და ქალებს დაამწყალობნებდნენ: "შანდილოსნებო გწყალობდასთ, საწალმართოდ მაგიარასთ, სიხარულად გაგიჭადასთ ზღვნობაიდ სამსახური. მუდამ წულითა, საწულით შამაგიხვეწნასთ, ნუ გამალივას თქვენს სახლშია-დ უბე-კალთაში წული-დ წულის აკავანი. გიორგიმ გაგიზარდასთ ახალ შამაბარებულ, შამაგორებული წული-დ მონდავეები სხვებ მაგცასთ". იქ ქალებიც ფეხზე იდგნენ პირჯვართაკე, იწერდნენ პირჯვარს და ჩუმად ამბობდნენ: "თქვენ იყოს მწყალობელი, თქვენს თავს სწყალობდას, დალოცვილი". უფროსი ქალები მუხლზე ისხდნენ და ეხვეწებოდნენ გიორგის: "დალოცვილო არდოტის სალოცავო (ქალი ჯვართ სახელს არ იტყვის, რადგან უწმინდურად ითვლება. არ შეიძლებოდა უწმინდურს ხთიშვილთ სახელი ეხსენებინა, გიორგის მაგიერ ქალები იტყოდნენ "არდოტის სალოცავიო". კაცს თუ ერქვა გიორგი, იმასაც სახელს არ ეტყოდნენ, და თუ სხვას რამეს ელაპარაკებოდნენ გიორგის შესახებ, მაშინაც ერთი-მეორეს ასე ეტყოდნენ: "აი, ჯვარის სახელი რო ჰქვიან, იმაზე გეუბნებიო, ან იმან თქვაო და სხვა), შენ უშველი კალთაში შამაგორებული, შამაბარებულებს არდოტელთ წულებს, დაზარდი, კაის ბედის კაცები გამაიყვანი, შაგიძლავ, დალოცვილო, ნუ ვის თვალ-გულს მაღრეე." ჯვარიენები რო ქალებსაც დაამწყალობნებდნენ, მობრუნდებოდნენ; დადგებოდა ხუცესი სასაკლაოსთან, დასტურები და, თუ ბევრი იყო საკლავები, მაშინ ხელოსნებიც დასტურებთან ერთად წააყენებდნენ საკლავებს, დასხდებოდნენ თითო მუხლზე პირაღმოსავლეთისაკენ, დაიჭერდნენ ჭედილებსაც ასე პირწალმა და ხუცესი შეუდგებოდა საკლავების ცალ-ცალკე მოხსენებას. მოხსენების დროს ახსენებდა კერძოდ იმ წულს და მის მშობლებს, ვისიც იყო ჭედილა. ყველას მოახსენებდა ცალ-ცალკე და, ბოლოს, ყველას ერთად იხუცებდა. ხუცობის დროს ამწყალობნებდა საერთოდ ყველას, ვისიც იყო საკლავები და იტყოდა: "მეხვეწურებს სწყალობდიო"

(მეხვეწური იყო საკლავის მიმყვანი). ბოლოს თითოობით შეუსახელებდა და გამოსჭრიდა ყელს. ბავშვებს ხელებზე, შუბლზე და გულზე სისხლს წაუსვამდნენ. ყველას რომ დაკლავდნენ, კიდევ დაამწყალობნებდნენ მესაწულეეს დასტურები, ხუცესი და ყველა ხალხი ერთად. მანდილოსნებსაც კიდევ დაამწყალობნებდნენ და ყველანი დასხდებოდნენ. მესაწულეები მოითხოვდნენ ლუდს. ჯვარიენები დაუსხამდნენ და გამოუტანდნენ ჩხუტით. ორი ახალგაზრდა დადგებოდა ზედამდეგად და ჩამოარიგებდნენ ლუდს. ჩამოარიგებდნენ ცალცალკე წულების სადღეგრძელოს და სამწყალობნელს. ყველა დალევდა და ადღეგრძელებდა წულს ცალცალკე. ქალებთანაც გაიტანდნენ ლუდს და იმათაც დაალევინებდნენ. ისინიც ამწყალობნებდნენ ამ სიტყვებით: "გაზარდას დალოცვილმ არდოტის სალოცავმ ახალ-კაცი. უშველას დალოცვილმ, აუშვას ერთიასად და ასის თავად გაჭადას. უდღეგრძელას დედა-მამაიცა-დ და-ძმებიც (თუ ყავდა), გაზარდასა-დ, მაგის მონდავ სხვა მისცას. ჭირს ვსომ ახალ კაცისას". ასეთი ქალური საუბრით და ჭირიმ-ჭურუმით ილოცებოდნენ ქალები და ისე სვამდნენ ლუდს.

საკლავებს გაატყავებდნენ ახალგაზრდები, ზურგზე გაუელიდნენ და ხანჯლით გაჭრიდნენ ზედ ზურგის ტვინზე თავიდან ბოლომდე. ნახევარ გვერდს მისცემდნენ ჯვარში და ნახევარს სახლში გაგზავნიდნენ (ფელკს ანუ ფეშხოს). ჯვარიენები ამ ფელკიდანაც მოხარშავდნენ ხორცს. პური მოჰქონდათ მესაწულეებს (ოხელი სატაბლო პურები) და დააგებდნენ ტაბლას. ტაბლას დაუდგამდნენ ყველა მესაწულეებს და ჯვარიონთ. შეიძლება სხვა დამსწრე კაცებიც ვინმე მოჰყოლოდათ ტაბლის დადგმაში და მათაც ამ ხალხთან ერთად აჭმევდნენ. ფეხზე დადგებოდნენ თვითონ მესაწულეები და პურის ჭამის დროს ხალხს ლუდს ასმევდნენ. კარახანას არ დადგამდნენ,ისე პირდაპირ ასმევდნენ. ჭამის დროს უმღერებდნენ კიდეც "თავჭმელად", ქალებთანაც გაჰქონდათ ხორცი და პური და დაუდგემდნენ ტაბლას. ჭამის დამთავრების დროს, კაცები რომ პურს მოიტეხდნენ, იტყოდნენ: "ღმერთო, გაუმარჯვი დიდს გიორგისა-დ გიორგიო, შენ სწყალობდი შენს მესაწულეებს, შენით წყალობით, შაინახენი. ღმერთო, გაუმარჯვი ფეჭზე მდგომებსაც, ჭელფეჭ მტერზე მააჭმარი, ნუ მაღრეე მტერს". ქალები ასე დაილოცებოდნენ პურის ჭამის დაწყებისას და დამთავრებისას: "დალოცვილო არდოტის სალოცაო, შენ უშველი არდოტელთ მესაწულეებს, ამყოფენ მშვიდობით, დაუწერი ჯვარი წულსაცა-დ წულის აკავანსაც – კლოვ მონდავი სხვა მიეცი". ბოლოს გამოესალმებოდნენ ჯვარს ჩოქის მოხრით და წავიდოდნენ შინ. ჯვარიენები ქალებსაც დაამწყალობნებდნენ. სულ ბოლოს მესაწულეე კაცები მოსთხოვდნენ მადლს და წავიდოდნენ.

ასე მთავრდებოდა საწულეობა. მესაწულეებს ერთ ჩხუტ ლუდს თან გაატანდნენ. ისინი წაიღებდნენ სოფელში და თან ახალუხალიც გაჰყვებოდათ. ერთ-ერთ მესაწულეეს სახლში მიიტანდნენ და იქ სვამდნენ, მხიარულობდნენ ახალგაზრდები.

სომხოს გიორგიში, დატიობის დღეობაში მეზღვნეები თავის ლიშნით ყოველ დღე მიდიოდნენ და სვამდნენ ლუდს. მეზღვნეები ცალკე მიდიოდნენ დილით. არამეზღვნე ხალხი კი მეზღვნეების შემდეგ მივიდოდა, ლუდიც ცალკე მიჰქონდათ. ზღვნების დახოცვა უფრო ათენგენის წინა დღეს იცოდნენ. ამ დროს აქ მეზღვნეები ბევრი მოდიოდა. მეზღვნეს ხუცესი შუბლზე თავისი

საკლავის სისხლის ჯვარს გაუკეთებდა. დატიობა გრძელდებოდა ოთხი დღე. ამ ხნის განმავლობაში ის პირს აღარ დაიბანდა. ფრთხილდებოდა, რომ სისხლი არ გასცლოდა შუბლიდან და ჯვარი არ შერეულიყო. ამ ჯვარით მას უფლება ჰქონდა ყოველ დილით მისულიყო ჯვარში, დაელია და ეჭამა. თუ შუბლზე სისხლის ჯვარი არ ექნებოდა, ისე ჯვარში მისვლა აკრძალული იყო. სისხლის ჯვარი ჰქონდა მარტო მეზღვნეს. სისხლის ჯვრიანები ისე თავისუფლად მიდიოდნენ და იქცეოდნენ ამ დღეობაში, ჯვარში, როგორც ჯვარის გამძღონი – დასტურ-ხელოსნები. მეზღვნეებს ხორცი ჯვარში ჰქონდათ თავისი ზღვნისა, პურიც თვითონ მიჰქონდათ. ჯვარივნებსაც ტაბლას დაუდგამდნენ და თვითონაც ჭამდნენ. ერთ დღეს ერთი ან ორი მეზღვნე მოიქცეოდა ასე, მეორე დღეს მეორე და ასე მიდიოდა მთელ დღეობაში მათი სამეზღვნეო წესი. არაყი სოფლიდან მიჰქონდათ, ლუდი კი აქ ეძლეოდა ყოველ მისვლაზე თითო ჩხუტი და თუ არ ეყოფოდათ, იმ შემთხვევაში მეტ ლუდს გამოუტანდნენ. მეზღვნეები რომ წავიდოდნენ, მოვიდოდა სხვა ხალხი ე.ი. სოფელი. ზოგი ჯვარში მივიდოდა და მიიტანდა საწირს: გუდით შვიდ თხელ პურს, ერთ ბოთლ არაყს (ბოთლს მაშინ აქ "მინისა"-ს ეძახოდნენ) და სანთელს. მასაც ხუცესი მოანთებდა ყველაფერს და მიმტანს ლუდით გაუმასპინძლდებოდნენ. სოფლის ჯარი რომ დასხდებოდა, მოიტანდნენ ფანდურს და სმასთან ერთად იმღერდნენ საგმირო სიმღერებს.

ხალხი ისხდა ჯარის წესზე. ხელში ლუდიანი თასები ეჭირათ და ხანდახან იტყოდნენ: "აი დიდხანამც იმღერ კაი გულით, შაუნდნას იმათ კია, შენ კი გადღეგძელას". ამას იტყოდნენ და დალევდნენ ცოცოტა ლუდს. ამ დღეობაში ყველა კომლმა იცოდა: ამოიღებდნენ სუფთად ახალ ყველს, ჩადებდნენ ბაკანში და მიუტანდნენ ჯვარში ჯვარივნებს. ისინი მიმტანს დალოცავდნენ და ჭამდნენ უმარილოდ და უპუროდ. ყველის მიტანა სავალდებულოდ მიაჩნდათ. თუ არ მიუტანდნენ, ვითომც საქონლის ზარალი მოუვიდოდათ, მიტანა კი ამრავლებდა და ხელს უწყობდა პირუტყვს ღალიანობაში და გამრავლებაშიც. ამ დღეობაში კიდევ იცოდნენ გაერთიანებული ზღვნობა. ვისაც სურდა, სამი კაცი გაერთიანდებოდა, თუნდა ერთიმეორის ნათესავიც არ ყოფილიყო და სამგან იზღვნობდნენ სამივენი ერთობით. არდოტში სამი სალოცავი იყო: ერთი სომხოს გიორგი, მეორე ღვთიშობელი და მესამე ქვაბ-საკიდლის ანგელოზი. სამი შეერთებული მეზღვნე მოიყვანდა თითო საკლავს. ერთად დააყენებდნენ და წილს ყრიდნენ. ერთ წილს დანიშნავდნენ (წილი: კენჭი. წილის ყრა – კენჭის ყრა) სომხოს გიორგის სახელზე, მეორე ხთიშობლის სახელზე და მესამეს ქვაბ-საკიდელის ანგელოზის სახელზე. წილებს ქუდში ჩაყრიდნენ, დაადებდნენ ხელს უფრო კარგ საკლავს, წილს ამოიღებდნენ და რომელი ხვთიშვილის სახელზეც ამოვიდოდა, პირველი საკლავი იმ ხთიშვილს ერგებოდა. მერე ამოიღებდნენ მეორე წილს და რომელი ხთიშვილის წილიც ამოვიდოდა, იმას ერგებოდა მეორე საკლავი, რომელზედაც ხელი იქნებოდა დადებული, მესამე საკლავი კი რჩებოდა თავისთავად მესამე ხთიშვილს. სომხოს გიორგი არ იკადრებსო, იტყოდნენ, რომ პირველად თავის წილი ამოიყვანოს და სხვები ისე დატოვოსო. ამიტომ ხშირია შემთხვევა, რომ გიორგის წილი ბოლომდინ დარჩებაო. თუ გიორგის საკლავი წილით ბოლომდინ არ ერგებოდა, მაშინ იტყოდნენ: "ღმერთმა ნუ წაართვას გიორგის ძალი შაძლება, მაინც დიდ შაუძლავ, თუნდა სრუაც არვინ დაუკლას საკლავი".

ამ საკლავებს ჯერ გიორგიში მიიყვანდნენ და დაკლავდნენ, მერე ხთიშობელში და მერე ქვაბ-საკიდელის ანგელოზში. სამივე მეზღვნე მიჰყვებოდა თითო ზღვენს თავის ოჯახის წევრებით. მიიყვანდნენ საკლავს და ხუცესი ყველას ერთად ამწყალობნებდა. ხუცობაშიაც საერთოდ დაასახელებდა მეხვეწურებს. საკლავებს ჯვარში ატყავებდნენ, ნახევარ ხორცს იქ მოხარშავდნენ და მეზღვნეებს ტაბლა ედგმოდა, ნახევარი კი შინ მიჰქონდათ და ინაწილებდნენ. სამეზღვნეო ლუდიც ერთად ეძლეოდათ. სვამდნენ ერთად და ხალხსაც ასმევდნენ. ვინც დალევდა მეზღვნეებს ამწყალობნებდა ერთად. ქალებსაც გამოუტანდნენ ლუდს. დალევის დროს ისინიც ერთი მეორეს ამწყალობნებდნენ.

მარიანობა

ათენგენის შემდეგ მოდიოდა უძრავი დღეობა მარიანობა. მარიანობას მემარიანობე დასტურნი ამზადებდნენ ერთ ქვაბ ლუდს და მთელი მარიანობა ჩატარდებოდა ჩვეულებრივი წესით. აქ ახალი წესი არაფერი იყო.

სამამკლო

მკაში იცოდნენ ხოდაბურზე სამამკლო. სამამკლოს ჰყავდა ორი თავისი დასტური. ისინიც ამზადებდნენ ლუდს განსაზღვრული რაოდენობით. ღამის თევა და ღამით მკა იცოდნენ არხოტის წესით. მეორე დღეს სოფელი მოიყვანდა სამ საკლავს. საკლავები სოფელს მოუდიოდა მორიგეობით და როგორც არხოტში, აქაც სარიგოს ეძახდნენ. კარგი საკლავები უნდა ყოფილიყო. ხუცესი საკლავებს დახოცდა არდოტელთ სამსვეწრო-სამწყალობნოდ. ახალგაზრდა კაცებს დააყენებდნენ და მოხარშავდნენ ხორცს. ხალხი მკას რომ მორჩებოდა, მოვიდოდნენ და დასხდებოდნენ ჯვარში. აქ დაიწყებდნენ ლუდის სმას. ზედამდეგები მოიტანდნენ ტაბლასაც. პური და წვნისათვის ჯამები თვითონ მიჰქონდათ ხალხს თავ-თავისთვის. ხუცესი ამ ტაბლას დალოცავდა ძველი არდოტელებისათვის. მკვდრებისათვის დალოცვა აქ ისე იცოდნენ, როგორც არხოტში. დალოცვის შემდეგ დაიწყებდნენ ჭამას. აქვე იცოდნენ კარახანა და მღერა არხოტულივე წესით:

ის არ ეგონა სისკარას თუ მტერი მაერეოდა,
თავის თათხელი, მზისპირი, შიგიში აერეოდა,
წინითი ნადგომ სუფრაი, თუ სისხლში გაერეოდა.

კარახანების გამოცლის შემდეგ ზედამდეგებსაც აჭმევდნენ პურს. ახლა სხვები დაუდგებოდნენ ფეხზე და ისინი შემღერნებდნენ. ქალებსაც, როგორც არხოტში, ისე გაუტანდნენ პურს, ხორცს და დაუდგამდნენ ტაბლას.

ძნას აგებდნენ,მიჰქონდათ და ლეწავდნენ დასტურები. ასე ბოლოვდებოდა სამამკლო. საკლავების ტყავები, ნარჩენი პური და ხორცი მიჰქონდათ დასტურებს. საკლავები იკვლოდა: ერთი საღმერთოდ, მეორე ხთიშობელში და მესამე შაბათის უქმისად.

ენკენია

ენკენია, ქარის უქმი და სხვა ასეთები იცოდნენ ჩვეულებრივად. მხოლოდ ენკენიას მოუვლენ ბეგრისათვის გუდანის ჯვარის ჯვარიონნი.

როგორც ხახაბოში იყო აწერილი მათი მოსვლის და შეხვდრის წესები, აქაც ისევე მეორდება. მიაგებებდნენ ლუდს, ერთს საკლავს ჯვარივნები და შეხვდებოდნენ მომავლებს. აგრეთვე შეხვდებოდა მთელი სოფელი – ქალი და კაცი და მიაგეგებდნენ იქ არაყს ქალებიც. როგორც ხახაბოში, ისე აქაც მედროშაე მარჯვენა ფეხზე დაიდგამდა დროშას ტარით და აწკრიალებდა ზარს. სვამდნენ და ამწყალობნებდნენ მოსულები დამხვდურებს. დამხვდურები მერე მიიპატიჟებდნენ ჯვარში და აქ დაკლავდნენ გუდანის ჯვარისათვის საკლავს სარიგოს, მოხარშავდნენ და გაუმასპინძლდებოდნენ სტუმრებს. მეორე დილას აქაც ხავიწს მოართმევდნენ სოფლიდან. მეორე დღესვე იმართებოდა ზღვნობა, ე.ი. საკლავების მიყვანა და დაკვლა გუდანის ჯვარის დროშასთან. ზღვნების ფელკი რჩებოდა გუდანის ჯვარიონთ, ფელკი კი პატრონს მიჰქონდა. ტყავიც გუდანის ჯვარის ჯვარიონთ რჩებოდა. მერე შეთანხმდებოდნენ ბეგრის აღებაზე. გუდანის ჯვარს არდოტელები აძლევდნენ წელიწადში ოცდაათ ცხვარს ბეგარას. ცხვრები გაუპარსავი, მატყლიანი უნდა ყოფილიყო. თუ მთის საბალახე ექნებოდათ აღებული, იქიდან მისცემდნენ, მაგრამ თუ მთებში ცხვარი არ იყო დამდგარი, მაშინ ოჯახებიდან შეკრებდნენ და მისცემდნენ კომლზე რამდენიც შეხვდებოდათ, იმდენს. გუდანის ჯვარის ჯვარიონნი ბრუნდებოდნენ და მიუდიოდათ ამდენი ცხვარი, მიჰქონდათ მრავალი ცხვრის ტყავები და ხორცი. აღებული ბეგარის ცხვრები იხოცებოდა წელწადში და სხვა დღეობებში.

ქარის უქმი

ქარის უქმი და ასეთი წვრილმანი უქმეები იცოდნენ ჩვეულებრივ, როგორც არხოტში. პარასკევი, შაბათი და ორშაბათი როგორც უქმეები, იცოდნენ არხოტული და სხვა ხევსურეთის წესით. ყველაფერი იქ არის აწერილი. უქმის მიცემა ერთი-მეორისათვის, უქმის მუშას ეძლეოდა ნაკლები ფასი, საქმეში მუშას კი უფრო მეტი. უქმის მუშა ხარ, იმდენს ხომ არ მოგცემ, რასაც საქმის მუშას აძლევენო – ეტყოდნენ, როცა უქმში შველას ვინმეს თხოვდნენ და ის თავის შრომის ფასს მოითხოვდა. იცოდნენ ქარის უქმისა "ხელუძრავ" უქმად შენახვა. ამ დღეს არაფერს აკეთებდნენ და თუ ვინმე რამეს წაიმუშავებდა, მას სოფელი აუჯანყდებოდა: რომ მუშაობ, მოვა ქარი და შენს ჭირნახულს ცალკე ხომ არ გამოარჩევს, ჩვენიც მოჰყვება, მთელი სოფლის თივას და ძნას დაშლის და მთელი ჭირნახული განადგურდებაო. ამიტომ ეძახოდნენ ქარის უქმს ხელ უძრავ უქმს.

გიორგობა

გიორგობაც უძრავი დღესასწაულია. ძველად მის დადგომას იხსომებდნენ ვარსკვლავების მოძრაობაზე. დასწავლილი ჰქონდათ, რომელი ვარსკვლავი რა დროს, რა ადგილზე იქნიბოდა და ამითი იგებდნენ დღეობის მოსვლას. დღეობა ზუსტად ხვდებოდა თვის ათს. ვარსკვლავების სათვალავით და დაკვირვებით ისე ზუსტად ანგარიშობდნენ დროს, რომ ერთი დღე არც მეტი მოუვიდოდათ და არც ნაკლები. აგრეთვე იხსომებდნენ მზეს, თითო სოფელში თითო ადგილი ჰქონდათ დაჩემებული და ამ ადგილიდან გაჰყურებდნენ მზეს, ამა თუ იმ დღეობაში მთის პირზე აღმოსავლეთში რომელი ადგილიდან ამოვიდოდა მზე და დასავლეთში რომელ ადგილზე ჩავიდოდა. ესენი ძალიან ზუსტად ჰქონდათ შესწავლილი. ამ ადგილების მიხედვით ადუღებდნენ ლუდს და ემზადებოდნენ სადღეობოდ. გორის პირებზე მზის ამოსასვლელ და ჩასასვლელ ადგილებს ყველგან ჰქონდა იმ დღეობების სახელები, რომელ დღეობაში სადაც ამოდიოდა მზე. მაგალითად: საგიორგობოს ეძახდნენ იმ ადგილს, სადაც გიორგობისას მზე ამოვიდოდა, საქრისტოს იმ ადგილს, სადაც ქრისტეს ამოვიდოდა მზე და სხვა.

გიორგობას თავის დროზე დასტურნი ადუღებდნენ ერთ ქვაბ ლუდს. ამ დღეობასაც, როგორც სხვა წერილ დღეობას, ჰყავდა ორი საკუთარი დასტური – ეძახოდნენ: "მეწერილ-დასტურე დასტურთ". ამ დღეობაში განსაკუთრებული წესი არაფერი ჰქონდათ. საუბარი ჰქონდათ საჯვარო საქმეებზე, როგორ მოიმკო საჯვარო მამულები, როგორ მოიტანეს იგი დასტურებმა, როგორ გალეწეს, პურით რამდენი კიდობანი აივსო, წასულ ზაფხულში ვინ "დაალევივა" (წახდენინა, გაანადგურებინა) საჯვარო ჭირნახული, ამას ყველაფერს საუბრობდნენ, ან დაფასებული ვისზე იყო დანალევი, ვინ აანაზღაურა და ვინ არა, ვისაც ანაზღაურებული არ ჰქონდა, იმას აფრთხილებდნენ, რომ შემოდგომა არის, პური ყველას მოუვიდა და ნურავინ აგვიანებს. ყველამ გადაიხადოს დანაფასებიო.

ამ საუბარში იყო ქოთი და აყალ-მაყალი: ჩემი ძროხები არ ყოფილა იქ, ჩემი ცხენი არ ყოფილა, სხვისი დანალევი მე რად დამბრალდესო და სხვა. ხანდახან ამ ლაპარაკში ჩხუბიც მოხდებოდა,მაგრამ ხანჯლებით ჩხუბი აკრძალული იყო და ამ დროს ერთმანეთს არავინ დასჭრიდა. ამრიგად დამთავრდებოდა გიორგობა დღეობა.

ქრისტე

გიორგობის შემდეგ მოვიდოდა დღეობა ქრისტე. ქრისტეც უძრავი დღეობა იყო. როცა მიეახლოვდებოდა მზე საქრისტო ადგილს და ამასვე უპირდაპირებდნენ ვარსკვლავებიც, მაშინ ქრისტეს დღეობის განსაკუთრებული დასტურნი დააყრიდნენ და ადუღებდნენ საქრისტოდ ერთ ქვაბ ლუდს. ქრისტეს ქვაბი რომ დაეყრებოდა, აქედანვე გავიდოდნენ საწმიდარ ჯვარის გამძღონიც და წელწდის გადაყრამდინ სულ ჯვარში იქნებოდნენ. რაც ვის ებარა იმას აკეთებდა ყველა მოხელე. მესაფუვრე

– აფუელებდა, ხუცესი ხუცობდა თუ რამე სახუცარი გაჩნდებოდა, მედროშაე კი ტყუილად იყო წელწდის დღეობამდინ. ქრისტეს აქ დროშა არ გამოდიოდა და ხელოსანს აბა სხვა რა ებარა. ისინი თავისი სურვილით დასტურებს თუ უშველიდნენ ქვაბის დუღებაში, როცა საქრისტო ქვაბები დაეყრებოდა ქრისტეს მეორე ან მესამე დღეს. ქრისტე-წუხრას მაგანძური (მეგანძე) განძს მიიტანდა, გარეცხდა და მიუთვლიდა დასტურთ. დასტურები წაიღებდნენ და დაალაგებდნენ განძის დასადგმელად გაკეთებულ თაროებზე. ახალმა დასტურებმა არ იცოდნენ, რომელ ადგილზე რომელი თასი უნდა დაედგათ და ამიტომ ხნიერი, დამსახურებული კაცი, უფრო ხუცესი ასწავლიდა და ისე დააწყობდნენ, როგორც უფროსი დაალაგებდა. მას მოჰყვებოდა კოდის გახსნა დასტურების მიტანილ შასამავლოზე, მერე ღამისთევა და მისი წესები ყველაფერი ისე როგორც ნათქვამია სხვა დღეობებთან დაკავშირებით.

მეორე დღეს ჟამისწირვის შემდეგ მოვიდოდა სოფლის ჯარი და მოითხოვდნენ თავის წილ ლუდს. ლუდი მიეცემოდა განკუთვნილი რაოდენობით და იმართებოდა ჯარი თავისი წესებით. ზღვნობა ამ დღეობაში ძალიან ცოტა იცოდნენ, რადგან საკლავების შოვნა ძნელი იყო. თუ იშოვნიდნენ, წელწადში იზღვნობდნენ, რადგან ქრისტე პატარა დღეობად ითვლებოდა.

წელწადი

ქრისტეს და წელწადს შორის იყო ერთი კვირა და ამ კვირას წელშუის კვირაეს უწოდებდნენ. ამ კვირას იყო სამზადისი წელწდისათვის, როგორც ჯვარში, ისე სოფელშიაც. ამზადებდნენ შეშას, ძროხების საჭმელს, რომ დღეობაში არაფერი დაკლებოდათ და საზრუნავი არაფერი ჰქონოდათ. ამზადებდნენ ფქვილს, ხდიდნენ საწელწდო საარაყეს.

ჯვარიკნები თავის სამზადისს შეუდგებოდნენ. დასტურები ადუღებდნენ ოთხ ქვაბ ლუდს. ყველა დასტურ-ხელოსნებს და ხუცესს ამ დღეობაში უნდა ეშოვათ სანათლავები და განათლულიყვნენ. დასტურებს კოდებისათვის ჩალა უნდა მიეტანათ დასახურავად,მესაფუვრე ლუდიან კოდებს გარშემო შემოახვევდა ჩალას,რომ არ გაცივებულიყო ფუილის დროს და ლუდი არ გაფუჭებულიყო. ამასობაში დადგებოდა მეკვლე-წუხრაც. მეკვლე-წუხრისათვის ყველა მამაკაცი და ნამეტნავად მეკვლეში წამსვლელები, თავისებური სიწმიდით წმიდად შეხვდებოდნენ დღეობას; "წელშუის კვირაეს" ორჯელ სამჯერ იბანდნენ მაინც ტანს (იბანდნენ ცივ წყალში). უკანასკნელად "მეკვლე-წუხრას" დაიბანდნენ, ახალ ტანსაცმელს ჩაიცვამდნენ და ასე ხვდებოდნენ დღეობას (დღეობისათვის ქალები უმზადებდნენ თავის ოჯახის წევრ კაცებს ახალ ტანსაცმელს. თუ ოჯახში ქალები არიან და იმ ოჯახის წევრი კაცი წელწადში ძველი ტანსაცმლით გამოვიდოდა – სირცხვილი იყო ქალებისათვის, ასეთ ქალებს დასცინოდნენ). დღეობა რომ მოახლოვდებოდა, ახალგაზრდა ქალებს არაფერს აკეთებინებდნენ გარდა კერვისა და ქარგვისა. დანარჩენ შინაურ საქმეს ხნიერი ქალები აკეთებდნენ, როგორიც არის ძროხების მოვლა და სხვა. ზოგი მათგანი კიდეც ინათლებოდა, თუ დავალებული ჰქონდა მკითხავისაგან.

მეკვლე-წუხრა აქ ისე არ იცოდნენ, როგორც ხევსურეთის სხვა სოფლებში, აგრეთვე წელწადსაც აქ სულ სხვანაირი წესები ჰქონდა. მეკვლენი აქ ღამეს მეკვლეში არ ათევდნენ. რომ მოსაღამოვდებოდა, მაშინ მივიდოდნენ ყველა მამაკაცები ჯვარში. საჯარე ცალკე იყო და მეკვლეთ სასხდომი ადგილი ცალკე. მისული ხალხი მიიტანდა შეშას ბლომად, რომ ოთხ დღეს საკმარისი შეშა მოგროვილიყო ჯარისათვის. მეკვლეები მიიტანდნენ სანთელს ოითო ღერს. ამ საღამოს აქ გარდა ჯვარიონთ სანათლავებისა, სხვა საკლავი არ იკვლებოდა. ხევსურეთის დანარჩენ ჯვარებში მეკვლე-წუხრას იხოცებოდა საუკეთესო საკლავები. სანთლებს რომ მიიტანდნენ, დარბასის კარში დასხდებოდნენ, გამოვიდოდნენ ჯვარივნები და მეკვლეთ დაამწყალობნებდნენ: "გწყალობდასთ მეკვლენო გიორგის დავლათი. მშვიდობით გამყოფნასთ, ბედნიერ წელი-კვალ დაგიყენასთ, წელ-მშვიდობისა გამაგიცვალასთ. ნუ მაგრივასთ მეთემის თვალ-გული". დამწყალობნებაზე მეკვლენიც შეუქცევდნენ: "თქვენ იყოს მწყალობელი" და სხვა. მეკვლეებიც ამწყალობნებდნენ ერთი მეორეს. დამწყალობნების შემდეგ, გამოიტანდნენ ერთ ჩხუტ ლუდს და დაუდგამდნენ მეკვლეებს. აქ დააყენებდნენ ერთ-ორ ახალგაზრდას ფეხზე,ის ამოიღებდა ლუდს და მისცემდა ლუდიან თასს ხუცესს. ხუცესი ამ თასზე ჯერ ჯვართ ახსენებდა, ცოტას დალევდა და მეორედ რომ გაუვსებდნენ, მაშინ წინა მეკვლეებისათვის ილოცებდა, რომლებიც იყვნენ და აღარ არიან. ან მტრის ხელით დახარჯულან, ან თავის დღით დახოცილან. ამ შესანდობარს ყველას დაალევინებდნენ სულუქცევრად. დალევდნენ ამ ერთ ჩხუტ ლუდს და მეკვლენიც საჯარეში მსხდომ სოფლის ჯარს შეუერთდებოდნენ. ამ დროს დროშანი გამოყვანილნი არიან გარეთ და ორი ახალგაზრდა, ხალხის დავალებით, თვალ-ყურს ადევნებს მათ.

ამ ღამეს ერთგან იყვნენ ჯვარიონნი, მეორე ადგილას სოფლის ჯარი და მეკვლენი ერთად. სამ ადგილას გარეთ ენთო ცეცხლი. ერთ ადგილზე ცეცხლი ენთო და აქ მოდიოდნენ და დასხდებოდნენ ხნიერი და გათხოვილი ქალები. მეორე ადგილას დასხდებოდნენ ახალგაზრდა გაუთხოვარი ქალები და თავისთვის ენთოთ ცეცხლი, მესამე ადგილას ენთო ცეცხლი, სადაც დასხდებოდნენ ბავშვები. სოფლის ჯარს ჰქონდა ერთი დიდი ქვაბი, იმას ავსებდნენ ჯვარიდან გამოტანილი ლუდით, ერთი დიდი ქვაბი იდგა გათხოვილ და ხნიერ ქალებთან, რომელშიაც სამი ჩხუტი ჩადიოდა. ამ ქვაბს დიაცები ავსებდნენ ლუდით. სოფლის ჯარზე ილოცებოდა მოელი ლუდი იმ ხალხისათვის,ვინც შარშან იყვნენ ამ ჯარზე და დახოცილან, ახლა აღარ არიან. დალოცავდა ვინმე ხნიერი კაცი. დალოცვა ჩვეულებრივი იყო: "ღმერთო, დიდება შენდა, ღმერთო მადლი შენდა, ღმერთო გაუმარჯვი დიდს გიორგის სომხოს დაარსებულსა-დ გიორგიო, შენ წყალობა მიეც შენთ ყმათ არდოტელთ, შენი წყალობით შაინახენ, ბევრ ეს დრო წელწად-ქრისტე მაღგვარი მშვიდობისა, რგებისა, გახარებისა. ნუვის თვალსა გულს მაღრევ შენთ ყმათ, შენ შამაგძახან ველთაცა-დ, შინაც, შენ უშველი. გიორგი, შენ სადიდებელი ასა, შენის დიდებითა-დ ჩემის სიტყვის მაჭსენებით, სააქაოს ნათქვამ თუ საიქიოს მიდიოდას, წესი სამართალი ხთის დაწესებული იყოს, სულს შანდობა მიუდიოდას. ხთის წესითა, ღდლის წესითა იერუმსალეთის ნათლით, სულეთის ღმერთით, ეს თასებიცა-დ ეს საწდეიც (თასები ამ დროს ხალხს ეჭირა ხელში ლუდით სავსე), სანთელი, კელაპტარიც, ვინაც შარშან

ამ სოფლის ჯარზე იყვნეს, ამ სოფლელნი, ბერი იყვა თუ ახალი, წელს აღარ დაესწორნეს, დაიხარჯნეს წლეულს წელს, მტრის ჭელითა თუ თავის დღით. სულთამც იმათას მეეჭმარების ეემ სინათლით. ზედამრჩოებ კარგად იყვნან, მარჭეს ნუღარას მახკერძებ ნუც სოფელსა-დ ნუც აქ ჩემის ხმის გამგონეთ", "შაუნდნას ღმერთმ", იტყოდნენ ყველანი. მერე ვისაც თასები ეჭირა, ყველა დაილოცებოდა თითოობით და ეტყოდნენ შანდობას. აქვე ახალგაზრდები ფეხზე იდგნენ და ვინც შასანობარს ერთის დალევეით არ გამოცლიდა, უვსებდნენ თასს ხელმეორედ. ასე გამოვიდოდა შასანდობარი ბოლოს და მერე იმართებოდა სმა ჯარის წესით.

ასეთივე წესი მეორდებოდა ქალებშიც. როგორც ვთქვით, ქალები ორგან იყვნენ,გათხოვილნი და გასათხოვარნი. სამჩხუტიანი ქვაბი ლუდით იდგა გათხოვილ ქალებთან და გასათხოვრებიც აქედან გაიტანდნენ თავის წილ ლუდს საქუთი (საწდით). ბავშვებს მესამე ადგილას ენთო ცეცხლი და ამათ კი ლუდს ცალკე არ აძლევდნნ, მათ ხანდახან სოფლის ჯარზე დაუძახებდნენ, ფეხზე მდგომელებს დაალევინებდნენ და მერე დაითხოვდნენ აქედან. ერთ-ერთი ჯვარიონთაგანი გამოვიოდა და მივიდოდა ჯერ უფროს ქალებთან. აქაც ჩვეულებრივად თასებს აავსებდნენ და ჩამოურიგებდნენ ქალებს. შეუთვლიდნენ ვინმე ხნიერ ქალს, რომელსაც შეეძლო დალოცვა მიცვალებულებისათვის. ისაც დადგებოდა საწდესთან და დაიწყებდა: "დალოცვილო არდოტის სალოცაო, შენ უშველი შენთ ყმათ არდოტელთა, ნურას მარცხასა ზიანს მახკერძებ. ახალი წლის გამაცვლაზე ბედნიერ წელი-კვალი გამაუცვალი. არდოტის სალოცაო, შენ სადიდებელია-დ, შენის დიდებითა ჩემის სიტყვის თქმით, სადაც თქვენ ხართ არდოტელთ დედანო, რომენნიც შარშ დღევანდელ დღეს აქ იყვნესა-დ ეხლა ცოცხლები აღარ არიან, წლეულს წელს ველარ დაესწორნეს, შანდობას კი გამაგველოდანა-დ ჩვენ ცალკე ვერ ვგონობდათ, ხთის წესითა" და ა.შ. "შაგინდნასთ ღმერთმ ქრისტიანობის გამჩინარმ. ნარჩომს სოფელს, მამათაცა-დ დედათაც ჯვარ დასწერას, წელ მშვიდობისა დაუყენას, აკმაოს ზარალი დალოცვილმ არდოტის სალოცავმ". დაასრულებდა ლოცვას და ეტყოდა შანდობას თასებს და საწდეს არდოტელთ დახოცილი ქალებისათვის. მერე დედაკაცებს დაულოცავდა თავის თასებს: "დიაცებო დაგლოცნასთ, გადღეგძელნასთ, გწყალობდასთ რაისაც სადიდებელ ასა-დ, რასაც ეხვეწებით. ბევრა ეს დრო მაგგვარასთ მშვიდობისა, კარგად ყოფისა. მზის საფიცრებ გიდღეგძელნასთ, ავს ნურას ვინ შაგასწორნასთ კაის მეტს. შაუნდნას ვისადაც ილოცების კი, მააჭმარას ეს თასებიცა-დ ეს საწდეიც". ამ სიტყვების შემდეგ ქალი გამოცლიდა თასს და ყველა ქალებს დაალევინებდნენ შასანდობარს "სულუქცევრად". ახლა გასათხოვარ ქალებს სადაც ენთოთ ცეცხლი, აქაც საქუ (საწდე) უნდა დალოცვილიყო, რაც ახალგაზრდა ქალებს არ ეხერხებოდათ. ისინი მიიწვევდნენ რომალიმე ხნიერ ქალს და იმას დაალოცვინებდნენ თავის საწდეს იმაეე წესით. დაილოცებოდა იმ გასათხოვარი ქალებისათვის, ვინც ამ წელს არდოტს დააკლდნენ. ხნიერი ქალი, რომ შენდობას ეტყოდა და დალევდა, მერე ამავე თასით ჩამოარიგებდნენ და თითოობით ყველას დაალევინებდნენ შესანდობარს. გასათხოვრები სვამდნენ გასათხოვარი თუ ვინმე იყო მკვდარი,იმათთვის დალოცვილს ლუდს,ხნიერები ხნიერებისათვის. ყველა ქალს ჰქონდა მიტანილი თითო ხავიწიანი ქადა და

თითო "ფეკი" სანთელი. ისევ ასეთი წესით მოჰყვებოდა ხნიერი ქალი და დასდებდა სახელს. ჯერ ხნიერი ქალებისაგან მოტანილ ქადებს დააწყობდნენ ამაო ჯარზე და დასდებდნენ იმავე ხნიერ ქალებისათვის სახელს. მერე ამავე წესით გასათხოვარ ქალებთან მოიყვანდნენ ხნიერ ქალს და აქ დასდებდა სახელს მათ მიერ მოტანილ ქადებს. წარსულ წელს ახალგაზრდა ქალი თუ ვინმე მოკვდა, იმათთვის. მერე დაჭრიდნენ ქადებს და დაურიგებდნენ ხელზე ყველას. დასჭრიდა ისევ უფროსი ქალი წვრილ ნაჭრებად და სხვადასხვა ქადის ნაჭრებს შეახვედრებდნენ ყველას. ბავშვებს მოიყვანდნენ, იმათაც მისცემდნენ ქადის ნაჭრებს და მერე დაითხოვდნენ აქედან. ისინი თავის ბინაზე წავიდოდნენ. დასაჭრელ ქადებს უგზავნიდნენ აგრეთვე მამაკაცებს ჯარზე. ისინიც დაჭრიდნენ და ნაჭრებს ხელზე დაარიგებდნენ.

ქადას რომ პირველ ლუკმას მოტეხდნენ ყველა დაილოცებოდა შემდეგი სიტყვებით: "ღმერთო გაუმარჯვი სომხოს გიორგისა-დ გიორგიო შენ სწყალობდი სოფელს, არდოტელთ, ნუ დაღლევ შენა სადიდებლადა სულის საგონებლად". ასე კაცები დაილოცებოდნენ და დაიწყებდნენ ჭამას. ქალები დაილოცებოდნენ შემდეგი სიტყვებით: "ღმერთო დალოცვილო, დიდო არდოტის სალოცაო, თქვენ უშველეთ ჩვენთ სოფელთ, თქვენი წყალობით შაინახენითა-დ გაანათლეთ ის სულებ მართალი საიქიოთ, ვისადაც დღესწუხრ დაილოც ეს სადიდებელი-დ სახელსადები" და დაიწყებდნენ ჭამას. მერე ყმაწვილ-კაცებს ჰქონდათ უფლება რომ მისულიყვნენ ახალგაზრდა ქალებთან და გაემართათ ლხინი-თამაშობა, მღერა და სხვა. მხოლოდ უფროსების და ჯვარივნების ნებადაურთველად ლხინის გამართვა არ შეეძლოთ, თუნდაც სოფელი "ჭირიანი" არ ყოფილიყო. თუ ახალგაზრდა ვინმე იყო ამ წელს გარდაცვლილი, მაშინ ვერ სთხოვდნენ ლხინის ნებართვას და თუ ხნიერი კაცი და ან ქალი იქნებოდა, მაშინ სთხოვდნენ, რომ ჯვარში ლუდი დაელოცათ იმ მიცვალებულისათვის და მერე ნება მიეცათ ლხინის გამაროვისა. გაგზავნილი ჯვარივნებთან რომ მივიდოდა, მოხათრებით ეტყოდა: "ახალუხლები ორთ შაყრილები, ძალიან კი მეხათრებოდ თქვენდ დაწონაი-დ აღარც სხო ვინ წამავიდ აგებავ ნება მაგვცანავ უფროსებმავ რო ვილხინებდითავ. მკვდართად ქვე აგებ დალოცანაო-დ ჩვენ ლხინის ნება მაგვცანავ. მე ამის სათხოვლად ორ მოსული". ჯვარივნები დადგამდნენ ერთ საქუ ლუდს, აავსებდნენ თასს და მისცემდნენ ხუცესს. ხუცესი იტყოდა: "ღმერთო დიდება შენდა, ღმერთო მადლი შენდა, ღმერთო გაუმარჯვი დიდს გიორგისა-დ გიორგიო შენ სადიდებლი ასა, შენ სწყალობდი არდოტელთ, სოფელსაცა-დ ჯვარის გამძღოთაც შენი წყალობით შაინახენი. ბევრ წელწად-ქრისტე მაღგვარი მშვიდობისა, კარგა ყოფისა. გიორგიო შენის დიდებით და ა. შ. ბოლოს რომ იტყოდა: "შაუნდნას ღმერთმ" – მაშინ ამ სავსე თასს ისევ საქუში ჩაასხამდა. იქ მყოფნი ისევ გამოართმევდნენ თასს, აუვსებდნენ და მისცემდნენ მასვე. გამოართმევდა და იტყოდა: "სულს შანდობაი, თქვენ დღეგრძელობა", და ამ სიტყვების შემდეგ დალევდა (შენდობას იტყოდა ახალი მიცვალებულის სახელის თქმით) მერე სხვა ჯვარივნებიც დალევდნენ შესანდობარს სულუქცვრად. ლხინის სათხოვრად მისულ ახალგაზრდასაც დაალევინებდნენ ლუდს. ბოლოს ეტყოდნენ: "ადი, ლხინი ახსნილი არის და რამდენიც გინდათ იმხიარულეთო. ამის შემდეგ გამართავდა ახალ-უხალი თავისებურ ლხინს. თამაშობის დროს,მოთამაშეს დაალევინებდნენ ლუდს,

როცა ის თამაშობას თავს დაანებებდა. ამ დალევინებას ეძახოდნნ შაბაშს ე.ი. შაბაშის დალევას. თამაშობა იცოდნენ ორთაც ერთად. ორი მოთამაშე შუა თამაშობის დროს გაჩერდებოდა, ერთი შამღერნებდა ფერეჩისას კილოზე, მეორე ბანს ეტყოდა,იმღერებდნენ ერთი სტრიქონის რაოდენობით მაგ.: ასეთი ტიპის და უფრო ხშირად ამ სიმღერას:

თუ მკითხავთ ამბავს გიამბობთ,
ჩემსა და ხირჩლაისასა –

ასე მოკლე-მოკლედ ამ ორს სიტყვას იმღერებდნენ და ისევ იცეკვებდნენ. კიდევ გაჩერდებოდნენ და მოაყოლებდნენ ამავე ლექსის მომდევნო სიტყვებს და ასე აგრძელებდნენ მთელ ამ ლექსს,შუა და შუა ცეკვით და შუა და შუა მღერით. ფანდურს და ტაშს კი გამუდმებით უკრავდნენ,ეს ლექსი ცეკვით და შესვენების დროს მღერით კარგა ხანს გრძელდებოდა. უფრო კარგ მელექსეებს შესთავაზებდნენ ფანდურს და სთხოვდნენ ლექსობას სატრფიალო,საგმირო, სიკვდილის და სხვა. ასეთი ლექსები ილექსებოდა ახალ-უხალში. მას ჰქონდა უფრო ლამაზი და მოკლე კილო,"მღერას" კი ეძახოდნენ მარტო საგმირო სიმღერების მღერას. მას კილოც ხმამაღალი და გრძელი ჰქონდა და ფანდურის დაკვრაც. ასე არ მღეროდნენ ახალ-უხალში. მღეროდნენ მარტო ჯარზე, სადაც უფროსი ხალხი იყო. ლექსობა კი უფროსებთან არ შეიძლებოდა გარდა ახალ-უხლისა. ლექსები იყო მაგალითად ამგვარი:

ლექსობა მამაწადინა, ფანდურს დავხკარ თითბერასა,
მე ლექსობით კიდევ ვეჯობორ, აბაიზძეს ჭიმღელასა.
დამთვრალ ვერას მავაჭერჭებ, ლექსებ მკითხეთ ფხიზელასა.
აეხლად კი ზამთარია, ცივ ნიავიც გვიბერავსა.
გაზაფხულზე ველად გაოლ, დავიძახებ სიმღერასა.
როსაც წაოლ ქურდობადა, ჩემ სალოცავმ მიშველასა.
ბნელს ღამეში ვერ მხედავენ, ქისტსა ეღგვიორ ტიტველასა.
მე ჭევსურას არას გავხკვლევ, თქვენ თუ გახკვლევთ ჯინჭველსა.
ჭევსურის სისხლს ეგრე შავსომ, როგორც ჭბოი ტკბისველათა.
ჩაჩაურთა გიორგისა, ჭარს მავხპარავ გიშელასა.
აყნელ ნეხვათ ცხენს მავხპარავ, მაგაზედაც მიზმენ რასა?
თოფს მესრევენ, თოფსავ ვესრევ, ჭმალს მაუქნევ შიშველასა.
ჯღნიან ფეჭ რო შიგ ჯდებოდას, დაკრულმ მაშივ მისტენასა.
ჭადუს ტარიელს უთხრიდით: შენაც ღმერთმა გიშველასა.
შენმ ფურმ მე რომ ჭორცი მამცა, სხო ვინ მამცემს იმთვენასა.
ძალიანაც მსუქან იყვა, ქონ ეხვივა თირკმელათა.

ამ დროს ჯვარივნები აირჩევდნენ და გაგზავნიდნენ თავის წარმომადგენლებს ყველა ჯარზე – ქალებთანაც და მამაკაცების ჯარზეც. ჯვარიონთ წარმომადგენელი მიიყოლებდა ცხარე არაყს და ვერცხლის ჭიქას. რომ შეკიდოდა, ქალების ჯარზე იქნებოდა თუ კაცების ჯარზე, ყველგან ულოცავდნენ ახალ წელს: "ახალი წლის გამაცვლაზე წელ კაისა გამაგიცვალასთ გიორგიმ. ბევრ გალოცვიოსთ წელწად-ქრისტე მშვიდობისა, კარგა ყოფისა, რგება-გახარებისა, წულ-ჰურიანი, სახელ-სარგებლიანი. გალოცვიასთ ერთ ახალწელ ესი-დ ათი–ათას სხოი".

ჯვარიონი რომ ასე ულოცავდა, დამხვედრებიც ამავე კილოთი პასუხობდნენ: "აგრევ შენ" და სხვა მოლოცვის გაგრძელება ისეთივე იყო, როგორც ნათქვამია ხახაბოს ახალი წლის დღეობაში. ჯვარიონთ წარმომადგენელი დაასხამდა თავისი მოტანილი სურიდან არაყს თავისსავე მოტანილ ჭიქაში და დაილოცებოდა. ამ დალოცვაში ჩაურთავდა ახალი წლის მილოცვას და ბოლოს გადავიდოდა დარისხებაზე. იქ მყოფ ხალხს ეტყოდა: "შარშ რო ამ დროს აქ საუბარი-დ დარისხებაი გვქონდ, მაშინ რო ვთქვით: გადმაყარეთავ ნაქურდალივ, გამააცხადეთავ, თორემ დაგარისხებთავ, გადმაიყარა ისი? ან ახალ ხო არავის გაქვთ საოქმელი, ხო არავინ დახკარგეთა-დ ვეღარ მახჭელეთ? ეხლა ჯვარის კარ ორთ ყველაი. თქვით: ან გზაზე ხო არავინ მასჭელეთ დაკარგული-დ პატრონი არ გამაუჩინდ – აქ გამააცხადეთ ყველაი. თუ არ გამააცხადებთა-დ აი დავარისხებ. ამ სადიდებელს სამრისხველოდ დავღვრი". ცოტა ხანს ადროვებს, იქნება ნაპოვნი ვისმე რამე აქვს, მაგ. თოკი, ცული, ნიჩაბი და სხვა ავეჯი. ზოგი რას იტყვის და ზოგი რას. ბოლოს ჯვარიონთ წარმომადგენელი ან დასტური, ან ხუცესი, ან ჭელოსანი დადგება ანთებულ ცაცხლთან ახლო და იტყვის: "სწყალობდას გიორგის დავლათი არდოტში კაის მთქმელსა-დ კაის მგონეს კაცს! აახეივლას შვილ-შვილ-შვილითად ქალ-ქალიშვილთ მართლის მთქმელი, კაის მგონეი-დ სოფლის გამმაგრებელი! გაუწყრას გიორგის დავლათი ავ-ენა-ავ-კაცს, სოფლის მეღალატესა, გამტეხს, სიტყვისა-დ სოფლის ვერ შამნახავს, ქალ-ზალში თავდაუჭერს, ქალისად ან ზლისად გულის მცვლელს, (გულის მცვლელი იგულისხმებოდა ის კაცი, რომელიც ქალს ან რძალს მის ქმარზე ცუდს ეუბნებოდა, ან ეუბნებოდა – შენ ცუდი ქმარი გყავს, მაგას როგორმე გაეყარე და ამადა ამ კაცს გაჰყევიო). თავის სოფლისა და სოფლელის გამამბრუნავსა-დ სხვათ სოფლისად მიმდგარს; გაუწყრას გიორგიიც, ხთიშობელიცა-დ ჭევსურეთის სალოცავებიც; მიზდიოს შვილით შვილამდინ, ქალის შვილამდინ, ამააგდას იმისობა, როგორც ერთ სხო ვინ ამავარდნილ; კეზ გაუტეხასა-დ კერას გაერეკას; დაწვას, მაუკიდას ცეცხლი; ნუ გამაიყვანას იმის სახლშიით, ნუც ქუდიანი, ნუც მანდილიანი; დაღვარას ეესრ. იმის სისხლი მტრის ჭელითა-დ წაუკიდას ცეცხლი". ამ რისხებას რომ იტყოდა, დაასხემდა ცეცხლზე თავის ჭიქაში ნადგომ არაყს და ცეცხლი აპრიალდებოდა. "ეესრ დაიწვასა, აპრიალდას არდოტის ორგული". დაასხამდა მეორე ჭიქას, დაილოცებოდა ხელმეორედ და დალევდა. დარისხებაში მონაწილეობას ყველა ღებულობდა. როცა იგი არაყს დაღვრიდა, ყველანი ამბობდნენ ჩუმად: "გაუწყრას სოფლის მეღალატეს, ქალ-ზლის დაუნდობელს, მიზდიოს, ნუ რა კა უყოს" და სხვა. მერე ამ სურიდან ყველას ჩამოურიგებდა და დაალევინებდა სამრისხველოდ თითო არაყს. ყველანი დალოცვის მაგიერ, რისხვას იტყოდნენ მავნე კაცზე და სოფლისათვის მოღალატეზე. წყალობას ამბობდნენ სოფლის სასარგებლო, მართალ და მაგარ კაცზე, რომელიც სოფელს გაამაგრებდა. ასე ყველანი დალევდნენ. ზოგი ქალი ჯვარის განძს, ამ შემთხვევაში ვერცხლის ჭიქას, ხელს არ ახლებდა (როგორც უწმინდური), ქალებს ჯვარიონთ წარმომადგენელი თავის ხელით დაალევინებდა არაყს.

დასტურები ლუდს გამოიტანდნენ ორივე ჯარზე ქალებთან და დადგამდნენ საქუს. ამოიღებდნენ და დაამწყალობნებდნენ ყველა აქ მყოფებს და დაალევინებდნენ. მემრე აქ ვინც იქნებოდა ჯვარიონთ ოჯახის წევრი, იმას მისცემდნენ, რადგან მათ უპირატესობას ანიჭებდა აქაური წესი. დასტურის ცოლი, ან შვილი, ან და, ვინც უნდა

ყოფილიყო, პირველად მას დაალევინებდნენ და ამის შემდეგ ყველას. ცოტა ხანს იქნებოდა აქ ჯვარიონთ წარმომადგენელი,დატოვებდა ლუდს და ისევ ჯვარივნებთან წავიდოდა. ქალები თვითონ დააყენებდნენ თავის ზედამდეგს და სვამდნენ. შუაღამე რომ გადავიდოდა და თენება მოატანდა, ქალები მოითხოვდნენ წასვლას და ბავშვების შინ წაყვანას. შეუთვლიდნენ ჯვარივნებს: მივდიეართ და წყალობა გვითხარითო, ჯვარივნები გამოვიდოდნენ და დაამწყალობნებდნენ: "წყალობა წაიღით მანდილოსნებო, გიორგისა, წყალობა! წაღმ გამოგყვასთ გიორგის დავლათი, ბევრ ეს დრო გალოცვიოსთ მშვიდობისა, კარგად ყოფისა, წულითა საწულით მაგიყვანნასთ თავის კარზე დალოცვილმ გიორგიმ". დამწყალობნებაში ქალები ფეხზე იდგნენ თავდახრილნი, პირჯვარს იწერდნენ ნელა ამბობდნენ: "თქვენ იყოს მწყალობელი, თქვენს თავსა, თქვენს ჯალაფობას სწყალობდას". დასტურნი საქუს წამოიღებდნენ და ქალები წავიდოდნენ შინ. თენებაზე დაიშლებოდა სოფლის ჯარიც. წასვლის დროს თითო თასს ძალდატანებით დაალევინებდა კარებთან ჩამდგარი ერთ-ერთი მათგანი. ხალხთან ერთად მეკვლეებიც შინ წავიდოდნენ, წაიღებდნენ თითო ბოთლ არაყს, წინწანაქარს და ისევ ჯვარში წავიდოდნენ. აქ მათ თავისი საკუთარი საჯარე ჰქონდათ და იქ მივიდოდნენ. ამ დროს ჯვარიონნიც ფეხზე იყვნენ, გამოვიდოდნენ და მეკვლეთ დაამწყალობნებდნენ. მერე გაადიდებდნენ ერთ ჩხუტ ლუდს და გამოუტანდნენ მეკვლეთ, აქაც გაადიდებდნენ მეკვლეთ მოტანილ არაყს (მეკვლეთ სანთელიც თავისი მოჰქონდათ ჯვართ გასადიდებლად). არაყს რომ გაადიდებდნენ, დასტური ყველა ბოთლებს გასინჯავდა და რომელი არაყიც უფრო კარგი იყო, იმას წაიღებდნენ ჯვარში. იმის პატრონსაც წაიყვანდნენ და დარბასში პატივს სცემდნენ. ახლა ეს არის საკუთარი მეკვლეთ წესები. წასულ ღამეს რაც შესრულდა: ქალების და ბავშვების ცალ-ცალკე ცეცხლის დანთება, ღამის გათევა, ლხინი და მხიარულება. ეს წესები ერთნაირად სრულდებოდა წელწდის სამ ღამეს: წელწად წუხრას, კუმეტს და გამცხადებას.

ამ დროს იწყებდა თენებას და დაირეკებოდა ეამისწირვის ზარიც. გავიდოდნენ მეკვლენი დარბასის კარში (მანამდე ცოტა ხნით კვალი ჰქონდათ დაჭერილი), ხუცესი ხუცობდა ისე რომ არც ხელში რაიმე ეჭირა და არც სანთლიანი რამე ედგა წინ. მხოლოდ დასტურს ედგა ქვაბი წინ, ცალს მუხლზე იჯდა, მეორე მუხლზე ლუდით სავსე ჩხუტი ეჭირა და ნელ-ნელა ასხამდა ლუდს ქვაბში. ლუდი ისე უნდა გადაესხა,რომ ხუცობა და ლუდის გადასხმა ერთად მოთავებულიყო. ჩხუტი და ქვაბი სწორედ ამ დილისათვის იყვნენ განკუთვნილნი. სხვა დროს იმათ არ ხმარობდნენ. რამდენი ლუდიც ჩხუტში ჩადიოდა, იმდენი ჩადიოდა ქვაბშიც. ხუცობის შემდეგ ჯერ ხუცესი იტყოდა მეკვლეთ დამწყალობნებას და მერე ყველანი დაამწყალობნებდნენ ერთმანეთს: "გწყალობდასთ მეკვლენო სომხოს გიორგიიცა-დ დედა ხთიშობელიც, წელ კაისა დაგიყენასთ, წულიან-პურიანი, სახელ-სარგებლიანი. ნუ დალიას თქვენ სოფელში ჭმიანი, ჭმლიანი, ადგილის გამმაგრებელი. ერთ პირ მაგცასთ რო სხვან მაგნატროდანთ, სხვისად მისანატრად ნურა გაგიჭდასთ, მეთემის თვალ-გულ ნუ მაგრივასთ". დამწყალობნების შემდეგ ამოიღებდა ეერცხლის თასით დასტური და მისცემდა ხუცესს ლუდიან თასს.

ხუცესი კიდევ დაილოცებოდა, მოულოცავდა ახალ წელს და დალევდა, მერე ჩამოურიგებდა იგივე დასტური იმავე თასს და ყველას დაალევინებდა

ლუდს. ეს ლუდი ითვლებოდა უფრო წმინდა და ნაკურთხ ლუდად. ამიტომ დალევდა ყველა და ამითი დაამწყალობნებდა მეკვლეთ. ლუდს მოჰყვებოდა საუკეთესო სადილაო არაყი, რომელსაც დასტურნი ძალდატანებით დაალევინებდნენ მეკვლეთ. აქვე იმართებოდა თამაშობა, შემდეგ მღერა ფერხისასი ჩვეულებრივად.

გლეხ-აზნაურთა იგვლიეთ,
დათუნი ჩემი ქმარიო
საქრისტიანოს გულისად,
ამაამღერა ჭმალიო.

თუ ვინმემ სიმღერის თავმა მეფე ერეკლეს ან ზურაბის დროინდელი ლექსები იცოდა, მაშინ იმას უფრო მღეროდნენ ფერხისაში. თუ ეს არა, მაშინ მღეროდნენ თუშების, ლეკების და თათრების ბრძოლის სიმღერებს. ფერხისა,თამაშობა,სმა ლუდ-არაყისა დამთავრდებოდა. ახლა საჭირო იყო სოფელში ერთი მეკვლის გაგზავნა. სხვაგან ისე იყო ჩვეულება, რომ მეკვლენი ერთად წავიდოდნენ, აქ კი ჯერ ერთ კაცს გაგზავნიდნენ სოფელში, ის რომ დაბრუნდებოდა, მაშინ წავიდოდნენ ყველა მეკვლენი. სოფელში კაცის გასაგზავნად საჭირო იყო მისი არჩევა. ამისათვის ყველას ქუდებს ჩაყრიდნენ ერთი კაცის ჩოხის კალთაში. ის ქუდებს აურ-დაურევდა ერთმანეთში. მეორე კაცი თვალდახუჭული ამოიღებდა ქუდს. ვისიც ამოვიდოდა, ის იქნებოდა პირველი სოფელში გასაგზავნი მეკვლე.

მეკვლე რომ სოფელში წავიდოდა, დანარჩენი მეკვლეები აქვე განაგრძობდნენ იმის დაბრუნებამდინ ლხინს და სმას. მეკვლე სოფელში რომ შევიდოდა, ჯერ იქ მოიხდიდა ქუდს და იტყოდა: "დალოცვილო ღმერთოე-დ გიორგივ სომხოს დაარსებულო, დედაო ხთიშობელო, უშველეთ არდოტელთ. ბედნიერ წელ-კვალი ჩამაუყენეთ, ნურაით დააზარალებთ, წელ მშვიდობით გაავლევიეთ. ეს ჩემ კვალი სოფელს კაზე მაუჭდინეთა-დ კვალად მეწაღმართის ანგელოზისად უქციეთ. "მერე მივიდოდა თავის ოჯახში, შეაღებდა კარებს (აქ მას მეწყლე არ დახვდებოდა, რადგან ვიდრე ყველა მეკვლე არ მოვიდოდა, მანამდინ გარეთ გამოსვლა არ შეიძლებოდა. მეწყლე მაშინ წავიდოდა წყალზე, როცა ეს მეკვლე, სხვა მეკვლეებთან ერთად მოვიდოდა სოფელში და კერძოდ თავის სახლში) აქაც დაიწყებდა საუბარს: "კვალ ჩემ-დ კვალ ხთისაი-დ ანგელოზებისა, შამავდგ ფეჯი, გწყალობდასთ ღმერთი, ჩემიმც კვალ კაზე დაგიჯდებისთ, წულიან-პურიანი, სახელ-სარგებლიანი. რგებისა, გახარებისა, ერომენეთის სიცოცხლისა, ბევრსამც ახალწელს ილოცავთ, გალოცვიებსთ სომხოს გიორგიი-დ ზეითა ღმერთი. ამ სიტყვებს შეისაუბრებდა სახლში შესული. ნაწვლის კართან მოაგებებდნენ სამეკვლაოსაც (სამეკვლაოს გამოცხობა და მისი დაჭრელება დანიშვნა, მისი აფუების დასწავლა, ეს ყველა წესები ჩვეულებრივად ისე არის, როგორც ხახაბოშია აწერილი). სამეკვლაოს სამჯერ გააგორებდა. სამეკვლაოს გაგორებაში იწერდა პირჯვარს და ეხვეწებოდა ჯვარ-ღმეროს თავის ოჯახისათვის მშვიდობიანი წლის დადგომას. მერე საცხვრეში ცხვართანაც შეაგორებდა სამეკვლაოს.

იქედან რომ მობრუნდებოდა, მოულოცავდა თავის ოჯახის წევრებს. აკოცებდა მშობლებს და და-ძმებს. ცოლ-შვილს არ აკოცებდა. ამ დროს სოფელში ყველას ჰქონდა დამზადებული სადილი (საუზმეს ხევსურეთში სადილს ეძახიან და სადილს

კი სამხარს) ეს იმის მოლოდინში უყურო, რომ სოფლის მეკვლეობა თუ შეხვდებოდა მათ მეკვლეს, მაშინ ჯვარივნებისათვის უნდა გაეგზავნა სადილი. დაგვიანება სოფლის მეკვლისა კი არ შეიძლებოდა, რადგან მას ელოდებოდნენ სოფლის მეკვლენი. მეკვლე ცოტა ხანს დაჯდებოდა, დალევდა და პურსაც ჭამდა. მერე დიასახლისი ჩაუწყობდა ბაკანში კეცეულებს, მისცემდა ერთ ხელადა არაყს. კეცეულებზე ერბო იქნებოდა დადებული ისე, რომ ისინი ერბოში არ გამოჩენილიყო. მეკვლე წამოვიდოდა და მოვიდოდა ისევ ჯვარში. ჯერ მეკვლეთ მოულოცავდა ახალ წელს და მერე მივიდოდა ჯვარიოსთან, მიუტანდა სადილს და არაყს. მერე მოულოცავდნენ ახალ წელს მეკვლე და ჯვარივნები ერთმანეთს. ეს მოლოცვა იმიტომ იყო, რომ სოფლიდან ჯვარში ახალი კვალი იყო მოტანილი.

მეკვლის მოტანილ ტაბლას დააკრავდნენ სანთელს და ერთ თას ლუდს დადგამდნენ ზედ. ხუცესი დალოცავდა ტაბლის მიმტანის მიცვალებულებისათვის. ჯვარივნები პურს ჭამდნენ, მეკვლის არაყს დალევდნენ, მას კი თავისი ლუდ-არაყით გაუმასპინძლდებოდნენ. ამ დროს მეკვლენი ადგებოდნენ, მოსთხოვდნენ ჯვარს მადლს, დააბამდნენ ფერჭისას და წამოვიდოდნენ სოფლისაკენ. დასტურები კიდევ გამოჰყვებოდნენ ლუდით და არაყით. ბოლოს ჯვარივნები დაამწყალობნებდნენ მეკვლეთ: "წყალობა წაიღით სომხოს გიორგისა, მეკვლენო, წყალობა წადმ გამაგვანეთ დალოცვილი, მეწალმართე ანგელოზი დაგაყოლასთ". მეკვლენი დამწყალობნებაზე ქუდებს მოიხდიდნენ და მღერას კი განაგრძობდნენ. სიმღერას ვიდრე ფერხისაით ორ გუნდად მღერით არ მოათავებდნენ, ტრიალებდნენ და მღეროდნენ. მერე დაიშლებოდა ფერხისა, გამოემშვიდობებოდნენ ერთმანეთს და შევიდოდნენ ოჯახებში, აქ ასრულებდნენ ყველა იმ წესებს, რაც აღწერილია ხახაბოში. აქ განსაკუთრებული არაფერი იყო, წელწადი დღე გაივლიდა ყველა წესებით – ჯვარში ღამისთევა, ჟამის წირვა, სოფელში ჭირის–პატრონის კარზე მისვლა. არყის მიტანა ყველა კომლიდან და ჯვარივნებისაგან აქ ლუდის მიტანა. დაღამდებოდა და გამეორდებოდა ყველა ის წესები, რაც მეკვლე ღამეს. მეორე დღეს თენდებოდა წელწდის მეორე დღე.

კუმეტი

წელწადის მეორე დღეს ხევსურეთში ყველგან კუმეტი ეწოდებოდა. კუმეტს დღეს აქ განსაკუთრებული წესი არაფერი ჰქონდა, მხოლოდ ამ დღეს მთელმა სოფელმა იცოდა შასანდობარის მიტანა (სხვა ჯვარებში კეცეულების მიტანას ეწოდებოდა საპატიოდ-მოტანა და აქ კი შასანდობარი). ამ დღეს ჯვარში ვერავინ მივიდოდა, თუ შასანდობარს არ მიიტანდა. მისვლა და შასანდობრის მიტანა სავალდებულო იყო და ვინც ისე მივიდოდა, რომ არ მიიტანდა – სირცხვილიც იყო. როცა შასანდობრებს ყველა მიიტანდა, ჯვარივნები ბაკნებს დადგამდნენ, თითო ფეხ სანთელს დააკრავდნენ თითო ბაკანს (ბაკანში იყო საჩხამი კეცეული ხორცის ან ყველის გულით და ზედ დასხმული ჰქონდა ერბო; ამასთანავე იყო ბოთლით არაყიც) ამოიღებდნენ ჩხუტში კოდიდან ლუდს და თითო სპილენძის თასს დაუდგემდნენ თითო ბაკანს გვერდზე. თასი ლუდით სავსე იყო. ხუცესი

ადგებოდა. დაუსხამდნენ ერთ ყანწ არაყს და მისცემდნენ ხელში. იგი ჯერ დაილოცებოდა ჩვეულებრივად: "შასანდობრის მომტანებო, გწყალობდასთ სომხოს გიორგი, მშვიდობიანად შაგინახნასთ. წესი-დ-რიგ არ დაგიყრავისთა-დ თავის წყალობა ნუ დაგაკლასთ. ბევრ წელწად-ქრისტე მშვიდობისა მაგგვარასთ. კარგად ყოფისა, ერთუცის სიცოცხლისა. მარცხი ზიან გაშორასთ, ლხინიან წელწად მაგგვარასთ მუდამ". ამ დალოცვის შემდეგ მოაყოლებდა მკვდრის შასანდობარს და დალოცვასაც ჩვეულებრივად: "ღმერთო დიდება შენდა, ღმერთო მადლი შენდა" და.შ. ბოლოს იტყოდა: "შაუნდნას ეს შასანდობარი ყველა იმ მკვდართ, ვისაც ვისად ხქონდას გაქჩერებული, გამეტებული. ზედამრჩოები კი მშვიდობით ამყოფნას, ნუ დალივნას სულის საგონებლადა თავისის პატრონად". "შაუნდნას ღმერთმა, მააჯმარას", იტოდნენ ყველანი და დალევდნენ შასანდობარს, ვისადაც დაილოცა შასანდობრად მოტანილი კეცეულები. ჯვარიენები მოსულ ხალხს დაუსხამდნენ და გამოუტანდნენ ლუდს რამდენი შასანდობარიც იყო,იმდენ კოშს. იკითხავდნენ: შასანდობარი ხო არავის აკლავავ მასატანიო-დ მასულ ქვე ასავ აქავ. ასეთ შემთხვევას ყველა ერიდებოდა და თუ მოხდებოდა, ჯვარიენები დააკლებდნენ იმის წილ ლუდს. გამოტანილ ლუდსაც ყველანი დალევდნენ შასანდობრად. დანარჩენი წესები ყველა იყო ჩვეულებრივი.

დილას სოფელში იცოდნენ ფაფა. ერთი-მეორის დაპატიჟება, ჯვარში ლხინით წასვლა. იქ ლუდის დალევა და მერე ახალ-უხალშიც ლუდის მოტანა ისე სრულდება, როგორც არხოტის ჯვარში.

კუმეტს, დაღამების ხანს ჯვარში მივიდოდნენ ყვალანი – ქალი და კაცი, დიდი და პატარა. აქ იცოდნენ ახალდაბადებული ქალისა და ვაჟის გაყვანა და მიბარება ჯვარში. ამავე დროს იცოდნენ აგრეთვე ახალმოყვანილი ზლის (რძლის) გაყვანაც.

რძალს მიჰყვებოდა დედამთილი და მიაყოლებდა ცხრა ხავიწიან ქადას. ქადებიდან ექვსი მიდიოდა ჯვარში და სამი სოფელში. ეს ცხრა ქადა სულ ახალ ზალს არ მიჰყვებოდა. სამი ქადა ყველას მიჰქონდა და მათ საკომლო ქადებს ეძახდნენ. ექვსი – ზლის გასაყვანი იყო და ამგვარად, სულ ცხრა ქადა შედგებოდა. ამას გარდა, ახალ ზალს მიაყოლებდნენ არაყს ტიკით და ხელადით. რძალს დედამთილი დაუჯდებოდა გვერდზე და არაყსაც იქ დაიდგამდა. მას თან ერთი ყანწიც ჰქონდა. ამ დროს თითოობით იცოდნენ ახალგაზრდებმა მოსვლა; აუცილებელი იყო რომ ამ სოფლის ახალგაზრდებს ყველას უნდა მოეკითხა ახალზალი თითო თასი ლუდით. ვინც ამას არ შეასულებდა, ის პატივუცემ ახალგაზრდად ითვლებოდა სოფელში. რძალი დაილოცავდა, ცოტას დალევდა და უფლება ჰქონდა თავისი თასი სხვებისათვის გადაეცა. ვინც ამ თასით დალევდა, მომტანსა და ზალს ორივეს ადღეგრძელებდა.

ხევსურეთში ჩვეულება იყო, რომ ზალი ოდნავ უფროს კაცებს ხმას არ სცემდა და არც მის სახელს იტყოდა. ზოგჯერ ასეთი კაცი თასს მიუტანდა და თხოვდა დამლოცე და ისე დალიე, მე ხნიერი არ ვარ და ტყუილად ნუ მაუფროსებო. თუ ზალი მაინც ხმას არ გასცემდა, თასი ეჭირა და თავდახრილი, ხმაამოუღებლივ ფეხზე იდგა, დედამთილი ადგებოდა და ზალის მაგიერ დაულოცავდა თასს: "გილოცავს ჩემ ზალი (სახელს ეტყოდა იმისას, ვისი მოტანილიც იყო თასი), გაღღეგძელასავ, ამბობს, გაცოცხლასავ, მშვიდობით გამყოფასავ. ბევრ წელწად-

ქრისტე ცალოცვიესაკ მშვიდობისა, კარგა ყოფისა, ცოლ-შვილის სიცოცხლისაკ. მადლობელი ორავ. ამბობს, რო ჩემის გულისად გასწალდიო-დ თას მამიტანევ". დედამთილი ამ სიტყვების შემდეგ კვლავ დაჯდებოდა. ზალი შემდეგი სიტყვებით დაულოცავდა თასებს იქ მყოფ ახალუხლებს და ყველას, ვისაც ხმას სცემდა (ხევსურულად რომ ვთქვათ, ვისაც ზძრახევდა): "ახალუხლებო, იქვენ დაგლოცნასი, ვადღეგძელნასთ, მშვიდობით გამყოფნასთ, მუდამ ლხინის წელწადი მაგგვარასთ: ჭირს ვსომ თქვენს". ამ სიტყვების შემდეგ რძალი სულ ცოტას დალევდა და თავის თასს გადაულოცავდა ვისმეს. დედამთილი ზალს სულ გვერდზე ეჯდა. ამ დროს ის ადგებოდა, თავის ჭურჭლიდან არაყს დაასხამდა, მისცემდა თასის მომტანს და ზალის მაგიერ დაალევინებდა. ვისაც უნდა მოეტანა ლუდიანი თასი ზლის მოსაკითხად, დედამთილი ყველას არაყს დაალევინებდა. ზოგი თასის მომტანი დედამთილს არ მისცემდა თასის დალოცვის ნებას. თუ იმას ზალი აუფროსებდა და ხმას არ სცემდა; ეტყოდა: – "მე უფროსი არა ვარ და ზალმა თვითონ დამილოცოს ჩემი მოტანილი თასიო". ზალი ჯერ არ გაბედავდა პირდაპირ დალაპარაკებოდა და მისთვის თასი დაელოცა. მაგრამ ხმის ამოღებას ხანდახან დედამთილი აიძულებდა და მაშინ ის ძალიან ხათრით და მოკრძალებით ადღეგრძელებდა თასის მომტანს. მაგრამ თუ უფროსი ცოტა წახნიერებული იყო, მაშინ მას არც ზალი გასცემდა ხმას და არც დედამთილი დათანხმდებოდა თხოვნაზე. დედამთილი ეტყოდა: "ზალს რო თაოდაც ეწადას, მე არ მივსცემ შენდ აძრახდომის ნებას, იმით, რო შენ უფროსი ხარა-დ შენაც რო აგძრახდას, რაიღ გამავ. ცას სირცხვილი იჭერს, თორე ჩამავარდებოდ. სვინდის უნდა, სახელ-სირცხვილი, ავ-კარგი. უფროს-უნცროსობის გაგებაი" ("აძრახდომას" ხმის გაცემას ეძახოდნენ).

ზლების გასაყვან ქადებს ხუცესი ერთად იხუცებს და მეხვეწურებს ერთხმად შეახვეწებს. ხუცობას რომ დაამთავრებს, დაამწყალობნებენ ყველანი, ვინც იქ არიან. იტყვიან: – "წულით და საწულით შამაგიხვეწნასთო" და სხვა. მერე ჯვარიონნი სადიდებელ თასებს დალევენ და ყველანი ამ თასებით დაამწყალობნებენ ახლად გაყვანილ ზლებს. ბოლოს, ჯვარის გარეთ მიტანილი საკვამლო ქადები დაიჭრება და დაურიგებენ ხალხს მის ნაწვრეთებს ხელზე. ხოლო ჯვარიონთან მიტანილი ექვსი ქადა ისე რჩება.

ამავე სომხოს გიორგის ჯვარში გაიყვანდნენ ერთ წელგათავებამდე ბავშვებს, ქალსაც და ვაუსაც. მათი გაყვანაც ქადებით ხდება. ვაჟის გასაყვანად ისევ სამი ქადა სასოფლოა და ექვსი გასაყვანი ქადები რჩება ჯვარში, სასოფლოები იჭრება შუაზე: ნახევარი ხალხს უნაწილდება და ნახევარი რჩება პატრონს. აგრეთვე გაიყვანდნენ იმ წელს შემომატებულ პატარა ქალებსაც. ქალის გასაყვანი ქადები იცოდნენ სამი და სასოფლო ქადაც სამი. გასაყვანი ქადები იქ რჩებოდა, ხოლო სასოფლო ქადები აქაც ორად იჭრება: ნახევარი ქადა პატრონს მიჰქონდა, ნახევარს ხალხს ურიგებდნენ. ხუცესი ქალ-ვაჟების გასაყვან ქადებს ერთად ხუცობდა ჩვეულებისამებრ, ოღონდ ამ ხუცობაში ჩაურთავდა: წულების და ქალების პატრონებს სწყალობდიო (წული არის ვაჟიშვილი). ხუცობას რომ შეასრულებდა, მაშინ ყველა ეტყოდა წყალობას წულისა და ქალების პატრონებს. მერე თითო თასს კიდევ დაალევინებდნენ ყვალას მათ სამწყალობნოდ და სადღეგრძელოდ. ამის შემდეგ ჯვარიენები გამოიტანდნენ სამ საქუ ლუდს – ერთი იქნებოდა ახალ შემობარებული

ქალების სამწყალობნო, მეორე – ვაჟებისა, ხოლო მესამე იმ ზლებისა, რომლებიც ახლად გაიყვანეს ჯვარში. დადგებოდნენ ზედამდეგები და ჯერ ვაჟების სადღეგრძელო–სამწყალობნოს დაალევინებდნენ ყველას, მერე ზლების სადღეგრძელო–სამწყალობნოს და, ბოლოს, ახალგაყვანილი ქალების სადღეგრძელო–სამწყალობნოს. ლუდს არიგებდნენ ვერცხლის თასით. სადღეგრძელო აუცილებლად უნდა დაეცალათ. აქ რომ მოთავდებოდა სადღეგრძელოები, მერე დაუსხამდნენ ლუდს და ახალუხალი მას სოფელში წაიღებდა, სადაც ქალ-ვაჟნი ერთ-ერთ სახლში შეიყრებოდნენ და გამართავდნენ ლხინს. სვამდნენ ლუდს და ყველა მხიარულობდა. ბოლოს, ვისაც სურდა აქ დაიძინებდა ქალიც და ვაჟიც.

ზლისა, ვაჟისა და ქალის ჯვარში გაუყვანლობა და მიუბარებლობა ნიშნავდა მომავალში მთლად ცუდ რამეს. ამ წესის შეუსრულებლობას ჯვარი არ აპატიებდა ოჯახს და ხიფათს რამეს მოგვრიდა – დასჯიდა ოჯახის წევრის ავადმყოფობით, ან სიკვდილით. ამიტომ იყო, რომ შეეძლო თუ არა, მაინც ყოველ ღონეს ხმარობდნენ და შოულობდნენ ჯვარში გასაყვანი წესებისათვის საჭირო მასალას – სახავიწე ერბოს და სალუდედ სვეს და ფორს.

მესამე დღე წელწდისა ჩვეულებრივად მიდიოდა და განსაკუთრებული წესი არაფერი იყო, მეოთხე დღე რომ გათენდებოდა, მაშინ იყო განსაკუთრებით ახალი წესები: ჟამისწირვაზე დაიდგმებოდა თორმეტი ლუდიანი თასი და ამ თასებს ეწოდებოდა ჟამის თასები ანუ განძნი. ჯერ ცარიელა თასებს გაარიგებდნენ ფიცარზე. თასები იყო დახარისხებული: უფროსი თასი – ყველაზე დიდი იყო, ფშაველი ხახასაგან შეწირული და მას ხახას უწოდებდნენ. ეს თასი ეკუთვნოდა დასტურს. სხვა თასები კიდევ იყო ჯვარში სხვა მოხელეებისათვის. ხუცესს კი მუდამ თავისი სახუცო კოჭობი ჰქონდა სამკაულებით შემკული. თასებს რომ ხარისხობრივად დასდგამდნენ, ვერცხლის აზარფეშით ჩხუტიდან ამოიღებდნენ ლუდს და აავსებდნენ. თასებსაც და ჩხუტსაც სანთლებს დააკრავდნენ და ხუცესი ყველას ერთბაშად იხუცებდა. ხევსურეთის სხვა სალოცავებში ასე გარიგებულ თასებზე ცალცალკე ხთიშვილს ახსენებდნენ. აქ კი ხუცესი ასე არ იქცეოდა. რაც მოაგონდებოდა იმ ხთიშვილების სახელს ახსენებდა საერთოდ ყველა თასებზე. მაგალითად: – "სადიდოდ, გასამარჯოდ, გიორგიო, სთიშობელო" და ასე შემდეგ ჩამოთვლიდა ყველას და ბოლოს იტყოდა: "მახრილ ჩოქი, მათხოილ მადლი, თქვენა სამთავრო-გასამარჯოდ მაიჭმარეთ, ნაჭსენებნო ანგელოზნო! თქვენ სადიდებელი ჭიქა-ბარძიმი, შენთ მეხვეწურთად საშველოდ, სახოიშნოდ მაიჭმარი" და გაუყვებოდა შემდეგ მთლიან ხუცობას (როგორც მაგალითად როშკის აღწერილობაში არის მოტანილი ხუცობა) ხუცობა რომ დამთავრდებოდა, ყველანი დაამწყალობნებდნენ ერთი–მეორეს: "გწყალობდასთ არდოტელთ, საწაღმართოდ მაგიარასთ" და სხვა. მერე ხარისხის მიხედვით აიღებდნენ თასებს – დასტური თავის თასს, ხუცესი თავისას და ხუცესი იტყოდა შანდობას: "ჩემის თქმითა, ხთის მიცემით, სააქაოს ნათქვამ თუ საიქიოს მიდიოდას, სულ-წმიდათ შანდობა ერგებოდას, ეს ავსებულნი თასნი შაუნდნას იმ სულწმიდათ, რომენნიც არდოტის გამაგრებისა და ქალ-ზლის დაცვის გულისად დაიხარჯნესა-დ დაიჭოცნეს. იაღიამც ჭსენდების იმათ სულ-საიქიო. იმათ სოფლის გულისად თავ გაწირესა-დ სოფელი

იმათ ჭსენებასა-დ შანდობას არ მააკლებს. იმათ სულმაცა-დ ჯვარმა, ღმერთმაც. არდოტს კი "უშველას, ნუ დალიენას ნუც სულის მასაგონებლად, ნუც თავისის პატრონად". ხუცესი ამას რომ იტყოდა, ყველანი დალევდნენ სულუქცევრად, მხოლოდ იტყოდნენ: "შაუნდნას ღმერთმ, იმათამც საიაღოი ას ეს თასები". ვისაც თასი არ შესვდებოდა ამ თორმეტი თასიდან, რომ დალევდნენ, მერე იმათაც დაალევინებდნენ დიდი თასით ყველას. ეს შასანდობარი რომ გამოვიდოდა ბოლოს, გაუშობდნენ მეორე შასანდობარს, მეორედ აავსებდნენ ამ განძთ, ე. ი. თორმეტ თასს და ხუცესი კიდევ დადებდა სახელს ("განძთ იმიტომ ეძახოდნენ ამ თორმეტ თასს, რომ ისინი ყველა ერთად იდგმებოდა ამისთანა შასანდობარზე, მათი დაკლება არ შეიძლებოდა. არც მათ მაგიერ სხვა თასის ჩადგმა შეიძლებოდა ამ შასანდობარის დროს. "განძთ" თასებს სხვა დროს იშვიათად ხმარობდნენ). მერე სახელის დადება იყო უპატრონო მკვდრებისათვის, ვინც არდოტში სულ ამოწყვეტილან და აღარავინ დარჩენიათ სახელის დამდებნი. სახელის დადების დროს თასები იდგა ისევ გარიგებით. სახელისდება რომ დამთავრებაზე მიაღწევდა, ყვალანი აიღებდნენ თავთავის კუთვნილ თასს და ხუცესი რომ ხუცობას მორჩებოდა, იტყოდნენ: "შაუნდნას, მააჭმარას ღმერთმ უპატრონო მკვდრებს, ვინაც შანდობას გამაელოდას ჩვენგანა-დ ჩვენ ვერ ვგონობდათ. ეს თასები იმათამც ნებას იქნების, იმათამც საიაღოი ას", და ყველანი გამოცლიდნენ სულუქცევრად. ამ შასანდობარზე სულისქცევა არ შეიძლებოდა. თუ ვინმე სულს უქცევდა,იქ ფეხზე იდგნენ ლუდიანი აზარფეშათი და მაშინვე ხელმეორედ უვსებდნენ თასს (სულუქცევრად დალევა ნიშნავდა შეუსვენებლად, ამოუსუნთქავად დალევას). თასები ძალიან დიდი იყო, მაგრამ დაცლა მიღებული იყო, რადგან თუ თავგამეტებით დალევდი, შასანდობარი მკვდრებს მიუვიდოდა და მოხმარდებოდა საიქიოში.

მესამე შასანდობრად ამ თორმეტი თასიდან დაიდგმოდა შვიდი მთავარი თასი. ამ თასებს ავსებდნენ, მაგრამ მათზე ამ დროს სანთელს არ აკრავდნენ. შემდეგ ხუცესი დაღებდა სახელს. მესამე სახელის დადება ეკუთვნოდა იმათ, ვინც ამას წინათ ჯვარს აჯვარებდნენ და სოფელს ასოფლებდნენ, ე. ი. ვინც აქ ჯვარის გამძღონი იყვნენ და ახლა აღარ არიან. იმათი შასანდობარიც ამავე წესით სულუქცევრად დაილეოდა. ვისაც თასი არ შეხვდებოდა, იმათაც დაურიგებდნენ და დაალევინებდნენ მაშინ, როცა პირველი თასები დაიცლებოდა.

მეოთხე შასანდობრად დაიდგმებოდა და აივსებოდა სამი თასი. თასები დაილოცებოდა იმ მიცვალებულებისათვის, თუ ვინმე სხვაგნიური კაცი მომკვდარა არდოტში, ან აქ დამარხულა და ან წაუღია პატრონს. მათ შესანდობრად დაილევა მარტო ეს სამი თასი. სხვები ასე იტყოდნენ ყველანი: "შაუნდნას, მააჭმარას ღმერთმ იმათ, ვისაც ენატრებოდ შინ მისვლაი-დ იქ მაკდომა, მაგრამ აქ დარჩეს, ეეღარ მიახწიეს 'შინამდინ, არდოტა-დ არდოტელის ჭელში ამოუვიდ სული. იმის საიაღო იყოს ეგ თასები, იქნება თავის სულ-ამანავალ ადგილს შაღბრუნევდან იქავა-დ, ჩვენ-კი ვერ ვგონობდათ".

ამ დროს ქალებიც მოგროვდებოდნენ ჯვარის კარ, გაიტანდნენ ქალებთან ლუდს და ყველას მაგიერ თითო თასით ყველასათვის ათქმევინებდნენ შენდობას. ისინი ასე იტყოდნენ: "შაუნდნას იმ სულწმიდათ, რომენნი სულწმიდანიც დღეს არდოტის სალოცავ'ში ჯვარის გამძღოთა-დ სოფლის უფროსთ მაიგონნესა-ღ შანდობა უთხრეს. იმათ შანდობა ხქონდასა-დ სოფელს მ'მეიდობაი-დ კარგად ყოფაი. ჭირს

ვსომ თქვენს ყველაისას". ამისთანა მოკლე დალოცვით ქალები ერთი თასით იშორებდნენ ყველა იმ შესანდობრებს, რაც ხალხმა დღეს წარმოთქვა.

გამოლოცვა დღე

გამოლოცვა-დღეს ჯვარიონნი სოფელს დაუძახებდნენ: "მეედით, ჯვარიონნ გამალოცვას აპირობენ, საქმე აქვ თქვენთან". სოფელი მოგროვდება ჯვარში (ყველა მამაკაცი). მოსულ სოფელს გამოუტანდნენ ერთ ჩხუტ ლუდს. ხუცესს აუვსებდნენ თასს ლუდით, ე.ი. სახუცო კოჭობს. ხუცესი ამ თასს რომ დაიჭერდა, იტყოდა: "თქვენ გამარჯვებას არდოტელნო, ხო გაჭსონსთ შარშ ამ დროს გვქონდ საუბარი-დ გამაცხადება, რომ ქურდობა, ღალატ აღარა მახჭდასავ სოფელშიავ. ხო აღარავინ დახკარგეთ მაშიდგეს ან საბელი, ან კარტოხა, ან შეშა, ან თამაქო, ან სხო წვრილმან რაი? ეეხლა თქვით რა ვის გაკლავისთ; მემრ თუ რა ვინ იცის, იმანაც თქოს, თორემ ეხლა ყველას დავარისხებთ ქურდსაცა-დ ქურდის არ გამტეხის დამმალავსაც. თუ ეხლა არ ითქვა, არ გამაჩინდ, აწიდგე სოფელი როსაც გაიგებს ეხლა დამალულს, მაშინ ქურდსაც მაიკვეთსა-დ ქურდის ჭელის დამფარესა-დ არ მთქმელსაც, არ მივ ცეცხლ რო გაუვიდას, არ მივ სოფელი მაშინ, რო მაკვეთილს მკვდარ ეწვას, არ გაუთხრიან საფლავს, საქნარ-ხარჯი ან სხო ხალხოვა-სმულოვა რო ხქონდას რაი, სოფელ არც მაშინ მივ. არც ლუდს შასომს (ლუდის არ დალევა და ამაზე არ დამწყალობნება სოფლისაგან, ძალიან ცუდად მიაჩნდათ ხევსურებს), საქონს საქონში არ გაურევს სოფელი-დ, ცეცხლი რო გაუქრას, არც ცეცხლს ჩაუდებს".

ამ სიტყვების შემდეგ, ხუცესი ცოტა ხანს შეჩერდებოდა და ხალხი დაიწყებდა ლაპარაკს, შეიძლება იცოდა ვინმემ რამე და ეთქვა. თუ ვინმე ნაქურდალებს იტყოდა – ესა და ეს მაკლიაო, მაშინ ხუცესი დაარისხებდა: "ღმერთო, დალოცვილო, შენ გაუმარჯვი ჩვენს სალოცავ გიორგის! გიორგიო, შენ წყალობა მიეც კაის მთქმელსა, კაის მგონეს. სოფლის გამმაგრებელს შენ ბედი, დავლათ დააჭმარი, ნუ მაიწყენ, ნუ მაიძულებ! დიდო გიორგიო, შამაძახილზე ნუ გამიწყრები. გაუწყერ, მიეც რისხვა სოფელში ავის ენისას, ავის ჭელისას, ენითა-დ ჭელით მეღალატეს, ქალ-ზლის დაუნდობელსა-დ გულის მცველს. მიზდი შვილით-შვილამდინ, ქალის შვილამდინ. გააძე, ნუ გამაიყონ მოღალატისად ავ-ენა, ავ-ჭელ კაცის სახლშიით ნუცა ქუდიანსა-დ, ნუც მანდილიანს. კაცის მაგიერ იმის ნასახლარში შალან-ჯინჭარნი ამაიყვანენი". ამის თქმაზე ლუდს ნახევრამდინ დაღვრიდა თასიდან. ამ თასს ისევ აუვსებდნენ და ყველანი იტყოდნენ ერთხმად: "სწყალობდას სოფლის გამმაგრებელსა-დ ჭელ-ენა დაჭერილს კაცს გიორგის დავლათი! ავის ენისა-დ ავის ჭელისას კი გაუწყრას, სოფლის დაუნდობარსა-დ მეღალატეს უღალატას, ნურა კა უყოს! ჯვარიონთ მაგცასთ წყალობა, ხუცესს ენა-პირ გიკურთხას, შაძახილისად ნუ გაგიწყრას, ნუ შაგიცოდვას". ამის შემდეგ ჯერ ხუცესი და მერე ყველანი დალევდნენ ასეთს სამრისხველოს და სამწყალობნო თასს. მერე ამავე თემაზე ისაუბრებდნენ. შეიძლებოდა მოსაკვეთი ვინმე გაჩნდებოდა, იყო ვინმე ისეთი, რომ რამდენიმეჯერ ჰქონდა გაფრთხილება მიცემული სოფლის და ჯვარიონთაგან, მაგრამ სოფლის მიერ მიცემული წინადადება მას არ

შეესრულებია. აქ დაისმებოდა საკითხი მისი მოკვეთია შესახებ (მოკვეთის წესზე დაწვრილებით არის საუბარი არხოტის აღწერილობაში).

ამ დღეს იცოდნენ თასის ჩამოყრა, ან კალთაის მაჭრაც. თასის ჩამაყრაც და კალთაის მაჭრაც უფრო იცოდნენ იმისთვის, ვინც დედ-მამას ცუდად ეპყრობოდა. ზოგები მისცემდნენ მას ლუდიან თასს. სხვა მივიდოდა,გამოართმევდა ხელში ნაჭერ თასს და ეტყოდა: "შენ სოფლის ჯარზე საჯდომ კაც არ ხარ, შენ დედ-მამათ რიგზე არ ხყვიხარ, შენ აღონება-დ ეს თასი-დ ჯარზე ჯდომა არ გეკუთვნის. გასწი, მოგვშორდი აქით, დაიკარგი. ჯვარ-ჯვარის კარიც გაწირე და ხალხიც". თას-ჩამოყრილი ჯერ კი გაწყრებოდა, მაგრამ სოფელსთან რა გაუვიდოდა. ჯერ კი იჯდა ხალხში, ადგებოდა და გაიპარებოდა.

იცოდნენ კალთის მოჭრაც. შეიძლება ან ქალებთან შეამჩნევდნენ რამეს ცუდს საქციელს, ოღონდ იმდენად არა, რომ მოკვლის ან დაჭრის ღირსი ყოფილიყო, ან ცოლ-შვილს ან დედ-მამას ექცეოდა ცუდად. ასეთ შემთხვევაში კალთას მოჭრიდნენ, როცა ის ჯარზედ იჯდა. სოფელს წინასწარ ჰქონდა მოლაპარაკებული და ერთ-ერთი კაცისათვის დავალებული, რომ ჯვარზე ამა და ამ კაცისათვის კალთა მოეჭრა. ის მივიდოდა, როცა კალთა-მოსაჭრელი ბრიყვად იჯდა, ამოიღებდა ხანჯალს და ჩოხის კალთას წააჭრიდა, თან ეტყოდა: შენ ამა და ამ საქმის ჩამდენი ხარ და ღირსი ხარ კალთა მოჭრილმა იაროვ. ისიც, რა თქმა უნდა, გაჯავრდებოდა, შერცხვებოდა, მაგრამ ეს სოფლის პირით ხდებოდა და მას ხომ არ შეეძლო სოფლის პირი დაეშალა. ზოგს გააფრთხილებდნენ, სოფლისაგან ჰქონდა გაფრთხილება გამოტანილი. თუ გაიმეორებდა საქციელს, რომელიც ხევსურეთის წესებს ეწინააღმდეგებოდა, იმ შემთხვევაში თასსაც ჩამოყრიდნენ, კალთას მოსჭრიდნენ და ბოლოს, მოიკვეთდნენ კიდეც. წვრილმანი დანაკარგები თუ რამე იყო სოფელში ამაზე ეტყოდნენ: "მიიტანეთ თუ ვის გაქვთ ესა და ეს დანაკარგი წაღებული, ან მაჭელული, ღმალავთ (მაჭელული: ნაპოვნი) მიიტანეთა-დ გადააგდით ღამით რო არ ვინ გაიგას ვინ მიიტან" – დაუნიშნავდნენ ადგილს სად უნდა გადაეგდო, თუ არ გადააგდებდა დანაკარგს, აფრთხილებდნენ, რომ ყოველ ღღეობაში დაარისხებდნენ, ეტყოდნენ, რომ არც კარგად წაგივა საქმეო. ვინც არ შეასრულებს, სოფლის პირით ხუცესის ნათქვამს, ვინც დალახავს, ის დალახავს ხთიშვილთ სიტყვას და მათ რისხვას ვერ აცდებაო. ამ საუბარს, რომ დააბოლოვებდნენ, ყველანი ადგებოდნენ, მოიყრიდნენ მუხლს, აკოცებდნენ მიწას და თხოვდნენ სომსოს გიორგის: თუ აწყენინეს რამე, აპატიოს და სახლში გააყოლოს მოწალმართე ანგელოზი (მოწალმართე - ის ანგელოზი, რომელიც ყველა უკეღმართ საქმეს მოუწალმართებს და კარგად შეუწყობს ცხოვრებაში ხელს). ადგებოდნენ და წავიდოდნენ შინ. დასტურები და ხუცეს-ხელოსნებიც ეტყოდნენ: "ჭელ–მაგიმართასთ ღმერთმ, წყალობა წაიღით სომსოს გიორგისა, წალმ გამაჯყვასთ სომხოს გიორგის დავლათი". მერე დასტურები მოიტანდნენ გამასამალო ქადას, დადგამდნენ ზედ თასებს, დააკრაყდნენ სანთელს და ხუცესი იხუცებდა. ხუცობა'შიც და ხუცობის შემდგაც ამწყალობნებდნენ მარტო ჯვარიკნებს. შემდეგ დალევდნენ ლუდს, გაანაწილებდნენ ნახორს და მადლის მოთხოვით წავიდოდნენ თავ-თავიანთ სახლებ'ში. განძს და სხვა შესანახავებს შეინახავდა ის, ვისაც ებარა; განძს შეინახავდა მაგანძური, დასტურები დაალაგებდნენ და შეინახავდნენ სპილენძის

ქვაბებს; ლუდის დამზადებისათვის საჭირო ხელსაწყოებს და სხვა. თუ სოფელი ძალიან ჭირიანი იყო ამ დღეობაში და ამის გამო ვერ იმღერეს, მაშინ ერთი კაცი ლუდით აავსებდა თასს და შემღერნებდა ხუცესს:

დიდის ბატონის გამძღონო, ჭკვა დიდი მაგეჭელებაო,
ას დიდი თქვენი ბატონი, ცის გიდელ-გიდელ დადგება,
ვისაც შამცოდვეს გაიგდებს, ნაბდებურ გამასთელევდა.

ამ სიტყვებს შემღერნებდა სულ დღეობის ბოლოს, გამოლოცვის დროს, იმიტომ რომ რაც გინდა ჭირიანი სოფელი ყოფილიყო, არ შეიძლებოდა დარბასში ერთხელ მაინც სიმღერა არ ყოფილიყო. ბოლო დროს მაინც შემღერნებდნენ წესის შესასრულებლად. მანამდინ შეიძლებოდა მიცვალებულის ხათრით ხმა არავის ამოეღო. თუ ერთხელ მაინც არ იმღერებდნენ, ძალიან ცუდად ჰქონდათ დაცდილი. თითქოს ჯვარი გაწყრებოდა და უარესი ამბავი დაემართებოდა სოფელს. უკანასკნელი საწდე, რომელიც გასამალოსთან ერთად იდგა, ილოცებოდა დასტურის, ძველი და ახალი მიცვალებულებისათვის.

ღამისთევა

ღამისთევა იყო ორგვარი – ოჯახში ჯვარის მიყვანა და ჯვარში ღამისთევა. აქ იცოდნენ ღამისთევა უფრო ჯვარში. დღეობაში რომელი საღამოც უნდა ყოფილიყო, ღამისმთეველი მივიდოდა, მიიტანდა თორმეტ თხელ პურს და ცამეტ ფეხ (ღერს) სანთელს.

პურები იყო თხელი,როგორც სატაბლო პური. ლუდი, როგორც ნათქვამია, ჩატანების წესით იყო დამზადებული. ე.ი. ღამისმთეველი სვეს და ფორს მიიტანდა და გაურეკდა დასტურების სვე-ფორში, "იფუვლებდა" ერთ კოდში საჯვარო და ჩატანებული. მერე ღამისმთეველს მისცემდნენ თავის წილ ლუდს, როცა მოითხოვდა იმ რაოდენობით, რამდენისაც მისიეე სვე და ფორი იყო. პურებს და სანთელს რომ მიიტანდა, პურებს დააწყობდნენ, გვერდით ლუდინ ჩხუტს დაუდგამდნენ, მიაკრავდნენ პურებს თითო ღერ სანთელს და მეცამეტე ღერი სანთელი დაეკვრებოდა ჩხუტზე. ტაბლაზე სამი ლუდიანი თასი იდგა. ხუცესი იხუცებდა ჩვეულებრივად. ახვეწებდა ღამისმთეველს და მის ოჯახს. ხუცობის შემდეგ ამწყალობნებდნენ ყველანი ვინც იქ იყვნენ (ღამისთევაში სოფლის ხალხიც ესწრებოდა, რადგან ღამისმთეველი თითქმის ვალდებული იყო ყველა დაეპატიჟა), გამოცლიდნენ თასებს და იმართებოდა სმა.

მეორე დილას ამავე წესით სრულდებოდა ჟამსაწირი. ჟამის-წირვის შემდეგ მოიყვანდნენ და დაკლავდნენ დიდ ჭედილას. გაატყავებდნენ დასტურები და მოხარშავდნენ ხორცს. ხორცის ტაბლა ჯერ ჯვარიონი დაედგმოდა. მერე სოფელს და ღამისმთეველებს ერთად. პურს ჭამდნენ ჩვეულებრივი წესით: კარახანა, მღერა და სხვა. ხორცი ამ ტაბლას რაც გადარჩებოდა, ღამისმთეველს მიჰქონდა შინ. ლუდსაც აქ სვამდნენ. ერთი ჩხუტი ლუდი სოფელში მიჰქონდათ ღამისმთეველის ოჯახის წევრ ქალებს და მეზობელ ქალებს ასმევდნენ. ღამისთევას ავადმყოფის პატრონები შეუთქვამდნენ ან თავისი სურვილით, ან კიდევ მკითხავი ეტყოდა.

ღამისთევა იცოდნენ სოფლის ნათავარზედაც. რაც წლის მოსავალი ექნებოდათ, იქიდან გამოიღებდა ყველა ნაწილ პურს. დაგროვილი პურიდან ფორს დაამზადებდნენ და ადუღებდნენ ლუდს. სოფლის ნათავარზე ჩვეულებრივ ღამისთევას მოაწყობდნენ.

სომხოს გიორგი თავის ყმებს უმართავდა ხელს მტერთან ბრძოლაში და თვითონაც ებრძოდა ეშმაკებს. ის აგრეთვე უმართავდა ხელს მგზავრებს. თუ ისინი "შამასძახნებდნენ" გვიშველეო, არაფრით არ დაზიანდებოდნენ მგზავრობაში. ამას გარდა, სომხოს გიორგი უშვილოებს ბედს აძლევდა. თუ უბედური კაცი მიუყვანდა და სომხოს გიორგის საკლავს დაუკლავდა, მაშინ მას ბედი მიეცემოდა, ე.ი. ვაჟიშვილი ეყოლებოდა. ერთი უბედო ქისტი ყოფილა – სახელად ძორა. მას არ ჰყავდა თურმე ვაჟიშვილი. ამის გამო ბევრს წუხდა. ეხვეწებოდა ხატებს, ღმერთს, რომ მისთვის ბედი მიეცათ, მაგრამ არ ეშველა. ბოლოს ერთმა მკითხავმა ურჩია: სომხოს გიორგის ერთი საკლავი მიუყვანე და ბედი შეგეძინებაო. ქისტი ძორა ასე მოქცეულა, მიუყვანია დიდი ჭედილა და დაუკლავს სომხოს გიორგის ჯვარში, თან შეეხვეწა ბედის შეძანაზე. ამის შემდეგ მის ცოლს შეეძინა ვაჟიშვილი, რომელსაც დაარქვეს ძუბეირი. სანამ ძუბეირი გაიზრდებოდა და დაცოლშვილდებოდა, მშობლებს ყოველწლიურად მოყავდათ თურმე სომხოს გიორგის ჯვარში და მოაყოლებდნენ დასაკლავად ერთ ჭედილას. როცა წამოიზარდა და დაცოლშვილდა, თავისი ცოლ-შვილით მაინც ყოველთვის მოდიოდა თურმე ამ სალოცავში და მოჰყავდა საკლავები. მისი ჩამომავლობა ისე გამრავლებულან, რომ ერთი დიდი გვარი გამხდარა. ისინი თურმე ძორაშვილებად იწერებოდნენ. მთელი ეს გვარი პატივს სცემდა და ემორჩილებოდა სომხოს გიორგის. იტყოდნენ – "ჩვენ სომხოს გიორგისაგან ვართ გამრავლებულიო". ასეთი მაგალითები სხვაც ბევრი ყოფილა. ქადაგობის დროს ქადაგები იტყოდნენ გიორგის სიტყვებს: "გიორგი ორ მე ჭმიან-ჭმლიანი, მე მაქვ ძალაი-დ შაძლებაი, მე რჯულიანსაცა-დ ურჯულოსაც ბედს ვაძლევ, უბედურს ვაბედიანებ".

მამულები

პირველად რომ დაარსებულა გიორგი, ზოგი მამული მაშინ დაუჭერია. ზოგი მამული კი მკითხავების საშუალებით მერე აქვს შეწირული. ჯვარი აქ რომ პირველად დასახლებულა, მაშინ დაუჭერია თავისთვის საუკეთესო მამულები ბისოს. ამას ხნავდნენ ხოდაბურად. ბისო იქვე სოფლის გვერდზე, სამხრეთით მდებარეობს. ხოდაბურების მომკის წესი უკვე დაწერილია, ხვნის წესი კი არ დაგვიწერია, რადგან დღეობები პირველად მკას შეხვდა. ხოდაბურების სახნავად მთელი სოფელი გავიდოდა. ყველა მიიტანდა თითო ხავიწიან ქადას. ქადებს დააწყობდნენ ერთად. ხუცესი მოვიდოდა და დაამწყალობნებდა: "გწყალობდასთ სოფელს გიორგის დაველათი, ხათრიანს, ყამიანს, წინ მამავალს, უკან წამავალს, გულით მუშას". ყელანი ფეხზე ადგომით შეხვდებოდნენ და უპასუხებდნენ: "თქვენი თავისა იყოს მწყალობელი, თქვენ მაგცასთ წყალობა". მერე ხუცესი იხუცებდა მიტანილ "უღელზე გასაჭრელებზე". "უღელზე გასაჭრელს" ყველა

პატრონი მიიტანდა თავის ხარებთან, დადებდა უღელზე ხატად, ე. ი. ჯვარედინად გასჭრიდა და თან ილოცებდა. სთხოვდა ხატს და ღმერთს: "შეიწირას ეს უღელზე გასაჭრელი და მრავალი დღესასწაული მშვიდობით გადააჭდევიოს; მარცხი-დ ბირკოლ მააშოროს, მრავალი ჭვნა-თესვა მოღგვარას მშვიდობით, ღალიან-ბარაქიანი" და სხვა. მერე ყველანი დაკავებულ ადგილზე დადებდნენ თავ-თავის გუდებს, ზედ დააწყობდნენ დაჭრილ ქადის ნაწვრთებს, დასხდებოდნენ და გადაანაწილებდნენ სხვადასხვა ქადის ნაწილებს გუდებზე. პირველად ისევ ხუცესი მოტეხდა ლუკმას,დაიჭერდა ხელში და დაილოცებოდა,მერე ყველანი: "ღმეროო ჭარისად მაჭნავის გამჩენო, გაუმარჯვი სომხოს გიორგისა-დ გიორგიო, შენ სწყალობდი არდოტელთ ჭარსაცა-დ მაჭნავსც, მიეც მშვიდობა, ხანი-დ ხანება". ამ სიტყვებით ყველა შეუდგებოდა ჭამას. რომ გაათავებდნენ, ხუცესი კიდევ გამოუცხადებდა მუშაობის შესახებ, ჭირნახულის მოვლაზე და სხვა.

არხოტში და სხვა ხევსურეთში ხუცესი თესავდა თესლს, დასტურები კი ფარავდნენ. აქ საამისოდ კაცი ჰყავდათ არჩეული, რომელსაც ერქვა შულტა. სოფელში მორიგეობით ორი შულტა იყო. ისინი დათესავდნენ თესლს, მოიტანდნენ და გალეწავდნენ მომკილ ძნას და ჩაყრიდნენ საპურეში პურს. ჩალა მათ რჩებოდთ, ღალა სადასტურო საქმეებისათვის ინახებოდა ჯვარში (ლუდისათვის და პურისათვის ხმარობდნენ დანიშნულებისამებრ). შულტა რომ თესლს დათესავდა, ქუდი მოხდილი ჰქონდა, რაც უნდა ძალიან სიცივე ყოფილიყო. თესვას რომ გაათავებდნენ და დაფარავდნენ, მაშინ ის სამჯერ გააკეთებდა ჯვარს მარჯვენა ხელით მამულზე და იტყოდა: "ჯვარი გეწერას ყანაო, დარით მაჭნულო, დარითამც მაიმკები, ცითამც ნურა მაგეწევის, ღალიან-ბარაქიანიმც მახოლ. ჯვარსამც დაგწერს ცისა-დ ხოყნის გამჩინარ ღმერთი-დ სომხოს გიორგი, დედა ხოიშობელი".

მამულების შეწირვა

მამულები, როგორც სხვა ჯვრებში, აქაც იმ სახით ეწირებოდა – ქადაგით, მკითხავით და სხვა. კერძო მამული თუ ჯვარის მამულთან იყო მოსაზღვრედ, მაშინაც ჩამოარომევდა ვითომც ჯვარი ამ კერძო საკუთრებას და მიუმატებდა თავის მამულს. ამოწყვეტილი ხალხის მამულიც რჩებოდა საჯვაროდ. მაგალითად, ბაჩინი ყოფილან ამაყი ხალხი, ჯვარისაგანაც გამდგარი და ხალხისაგანაც. გასწყრომიათ სომხოს გიორგი, ამოწყვეტილან და მათი მამული დარჩენილა სულ მოლიანად საჯვაროდ. წელწადში მარტო ერთ ჩხუტ ლუდს და ერთ ტაბლას ედებოდა სახელი მათთვის. ამ ტაბლას ამზადებდნენ დასტურები ჯვარის პურისაგან. მხოლოდ აუცილებლივ მათი მამულის ღალა უნდა ყოფილიყო (ბაჩით მამულის ღალა),რასაც ამ ტაბლის პურისათვის დაფქვავდნენ. ლუდიც აუცილებლივ იმათ მამულის ნადალურიდან უნდა ყოფილიყო, თუ არა სხვა მამულის ნადალურიდან ვითომც ისე წმიდად ვერ მოხმარდებოდა ბაჩით ტაბლა და ლუდი.

ამოწყდა აგრეთვე ერთი მამაშვილობა მუზანი და იმათი მამულიც ჯვარს დარჩა. სოფელმა ზოგი მათი მამული ხოდაბურად დაინიშნა, ზოგი გაანაწილეს

და დასტურები ხნავდნენ. როგორც ბაჩითათვის, ისე მუ'ხათათვისაც წელწად'ში ილოცებოდა ერთი ჩხუტი ლუდი.

ტყე

სომხოს გიორგის ტყე დაცული იყო. მისთვის იყო შეწირული უფრო ფიჭვიანი ადგილები და აქედან კერძოდ სარგებლობა არავის არ შეეძლო. ეს ადგილი, სადაც სომხოს გიორგის ტყე იყო, ფიჭვთ გორად იწოდებოდა. იქ იდგა ძალიან ბევრი და მაღალი ფიჭვები. აქედან დასტურს ჰქონდა უფლება საჯვარო ლუდის სადუღებლად გამოეტანა "სასადუღრე" და აგრეთვე ჯვარში საწვავი შეშაც. ეს ტყე მდებარეობს სოფლის პირდაპირ, ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეზე, ორი კილომეტრის დაშორებით. ამ ტყით სარგებლობის უფლება ჰქონდა კიდევ მესახლ-კარე კაცს, ე.ი. ახლად ვინც სახლს აშენებდა; ის მოსჭრიდა სახლის ხეებს და თითოზე იხდიდა ათ შაურ ფულს. ეს ტყე ვისგან არის შეწირული, არავის ახსოვს. თუ აქედან ვინმე რამეს გამოიტანდა ფასგადაუხდელად, ვაი იმის დღეს თუ მკითხავები გაუგებდნენ. გახდებოდა ვინმე ავად თუ არა, მაშინვე ამ დანაშაულს უმკითხავებდნენ და დააკისრებდნენ ბლომად ჯურუმს – ხარს, ცხვარს, ან კურეტს და სხვა. სომხოს გიორგის ტყეები სხვა ადგილებზედაც ჰქონდა, მაგრამ უმნიშვნელო.

სათიბე

ამავე ადგილზე, სადაც ეს დიდი ტყე "ფიჭვთ გორა" მდებარეობს, სათიბი მთაც იყო ჯვარისათვის შეწირული. იმ სათიბეს ეძახოდნენ დავითთ შაწირულ სათიბეს. დავითს სახლი აუშენებია ჯვარის ადგილში. ერთი მხარე კი ამ ადგილის გვერდზე საკუთარი მისი ყოფილა. დიდი სათიბი მთა იყო, მაგრამ რაკი სასახლე ადგილი მის მთაში არ ყოფილა საზვაოს შიშით, ამიტომ აუშენებია ჯვარის ადგილში. გამხდარა ავად მისი ერთადერთი შვილი, დასცემია დამბლა. მკითხავებს უთქვამს: "ეგ მთა (სათიბე) სულ ჯვარს დაუთმე, მაგ სახლსაც თავი დაანებე და შვილი თუ სულ არ განიკურნება, სიკვდილს მაინც გადარჩებაო". დავითსაც დაუჯერებია მკითხავებისათვის და 'შეუწირავს ეს მთა სომხოს გიორგისათვის. მის 'შვილს კი მაინც არაფერი შეელებია. მკითხავებს უთქვამს: "გიორგი ძალიან გაჯავრებული იყო, გული აღარ მოიბრუნაო". ამის შემდეგ ეს სათიბე დარჩა საჯვაროდ და თიბდა დიდი დასტური. სხვა კაცს – არც დასტურს და არც სოფლის კაცს აქ არ 'შეეძლო მისვლა და გათიბვა. სხვა სათიბებს, ყამირებსა და ხოდაბურის ნაპირებსაც დიდი დასტური თიბდა. წვრილი დასტურები თიბდნენ წვრილ სადასტურო მამულების ნაპირეურებს, მხოლოდ ჩალა არც ერთ დასტურს არა რჩებოდა. აქ ისე არ იყო, როგორც სხვაგან ხევსურეთ'ში. როგორც უკვე ვთქვეთ, 'შულტები თესავდნენ, ფარავდნენ, ინახავდნენ და მიჰქონდათ ძნა, გალეწავდნენ და ჩალა-ბზე 'შულტათ რჩებოდათ.

ძენგლი

ძენგლი ანუ დანადები, როგორც სხვა ჯარებში, ისე აქაც იცოდნენ. ძენგლს იდებდნენ ჯვარში დანაშაულზე და იშვიათ შემთხვევაში კი ძალიან ავადმყოფის პატრონიც დაიდებდა ძენგლს. ყველა ღონეს იხმარდა – საკლავის დაკვლა, ხარის დაკვლა, ღამის თევა, მაგრამ როცა მის ავადმყოფს არაფერი ეშველებოდა, მაშინ მიმართავდა უდიდეს ღონისძიებას. უდიდესი საპატიო შესაწირავი იყო ძენგლის დადება. ძენგლი იყო ისეთის აღთქმა ხვთიშვილისათვის, რომელიც ყოველწლიურად უნდა შეესრულებინა აღმთქმელს წელიწადში ერთ-ერთ დღეობას, დანიშნულ დღეს. ასეთი ძენგლი არდოტში იყო ბაჩითა. ბაჩი ყიფილა ძალიან ამაყი კაცი. ის არ ემორჩილებოდა არც ხალხს და არც ხატს, არც ღმერთს. აქ დასტურისათვის ხმა-მაღალი დალაპარაკებაც კი აკრძალული იყო, მაგრამ ბაჩიმ დასტურს ხანჯალი დაჰკრა ჯვარში და დაჭრა. მასზე თურმე გაწყრა სომხოს გიორგი და ბევრი საკლავებით, დიდი თხოვნით გიორგიმ ცოტა მოიბრუნა გული. მაშინ იმ ოჯახისათვის სასიკვდილო ზიანი არ მიუყენებია. მხოლოდ მათ ძენგლი კი დაიდვეს: დატიობაში ერთ ჩხუტ ლუდს ამზადებდნენ, ერთ საკლავს მიიყვანდნენ და დაკლავდნენ გიორგის სახელზე. ლუდს ხალხს დაალევინებდნენ, ხორცის ტაბლას დადგამდნენ და აჭმევდნენ პურს დასტურ-ხელოსნებს და მერე ხალხსაც. ძენგლის შეუსრულებლობის გამო მეძენგლეს ხალხში გასავალი არ ექნებოდა. დაუწყებდნენ დაცინვას: "შენ რა კაცი ხარ, ძენგლის შესრულების თავი არა გაქვსო".

ძენგლი იყო "ჭარ-ქვაბითაც". ეს მძიმე ძენგლი იყო; ორი ან სამი წლის კურეტი და ან ერთი ქვაბი ლუდის დაღება. მას ეძახოდნენ ჭარ-ქვაბით ძენგლს. ძენგლი გადადიოდა შვილზე, შვილიშვილზე და უფრო მეტი, ბოლოს გრძელდებოდა გვარამდინ. ვერ შემსრულებელი პასუხს აგებდა გიორგის წინაშე და სასტიკად დაისჯებოდა ან სიკვდილით, ან სხვა რამე მარცხი მოუვიდოდა. ყველაფერი ეს მიეწერებოდა ძენგლის შეუსრულებლობას.

დობილნი

დობილნი, როგორც არხოტში, აქაც ბავშვების სახით იყენენ წარმოდგენილნი. ისინი ბავშვებს დოყვს (მუწუკებს) გაუჩენდნენ, სიცხეს მისცემდნენ და მოარჩენდნენ კიდეც სადობილოს ქნის შემდეგ. არდოტში ბავშვი რომ დაიბადებოდა, სადობილოდ ოიკანს კლავდნენ იმისათვის, რომ დობილთ ამ ბავშვისათვის მფარველობა გაეწიათ და არაფერი ევნოთ. ამის გარდა, აქ ორჯერ იცოდნენ წლის განმავლობაში დღეობა – წელწადში და დატიობაში. ამ დღეებში მიდიოდნენ ქალები (დობილნი იყენენ იქვე სოფლის ახლოს), მიჰქონდათ სადობილო ყველას. სადობილოში შედიოდა სამი დიდი ქადა გულიანი და თორმეტი უგულო თხელი პატარა პური აშალი. ზოგს ეს სამპირად აქვს შეთქმული და სამ-თორმეტს მიიტანდა. ამ გულიან პურებს ეძახოდნენ დობილთ უფროსანი. ვითომც დობილთ ჰყავდა უფროსები და

ეს პურები იმათ ეკუთვნოდა. დანარჩენი აშალი კი დობილთ უმცროს წევრებს. მიტანილ სადობილოებს დადგამდნენ ბაკნებით. მიიტანდნენ დობილთ თასებს, ააესებდნენ ლუდით და მათაც ბაკნებთან დადებულ ფიცარზე დადგამდნენ. დობილთ ჰქონდა საკუთარი, თიხისაგან გაკეთებული და დაჭრელებული თასები. თორმეტი ცალი, გარდა ამ ორი დღეობისა, ისინი არ გამოჰქონდათ და არ იხმარებოდა. მარტო ამ ორ საკუთარ დღეობაში ხმარობდნენ როგორც სადიდებელთ დასადგმელად, ისე ლუდის დასალევად. აქ სხვა თასი არც მოჰქონდათ. დააკრავდნენ ყველა სადობილოზე თითო ფეხ სანთელს და ხუცესი შეუდგებოდა ხუცობას. სადობილოს ხუცობაში ქალები ფეხზე არ ადგებოდნენ. ხუცობა რომ გათავდებოდა, დიაცები მაშინ ადგებოდნენ და დაიწერდნენ პირჯვარს. ხუცესი და სხვა ჯვარიანებიც, ვინც აქ იყო, დაამწყალობნებდნენ სადობილოს მომტანებს. დასტური აიღებდა და ხუცესს მისცემდა მათში უფროსს თასს, მერე დასტურებს და, ბოლოს, დაურიგებდნენ უფროს ქალებს. ყველანი დაილოცებოდნენ: "გწყალობდასთ ის დობილნი, რათაიც სადიდებელი ას, ამ სადობილოს მამტანებსა-დ შამსრულებლებს, მშვიდობით გამყოფნასთ, თვალ-გულ ნუვისა მაგრივასთ. ბევრ დღეობა მშვიდობისა, კარგად ყოფისა მაგგვარასთ. ჭირს ესომ თქვენს ყველაისას ქუდიანისასაცა-დ, მანდილიანისასაც". ეს ქალების დალოცვა არის და ამის შემდეგ დალევდნენ თასებს. თასში ლუდის დარჩენა არ შეიძლებოდა. სულ უნდა დაეცალათ თასს რომ ხელში აიღებდნენ. თასებს რომ გამოსცლიდნენ, ამოუღებდნენ და სხვებსაც დაალევინებდნენ ლუდს. აქვე ყველა ქალს ჰქონდა მოტანილი ლუდის წასაღები ჭურჭელი. რაც ლუდი გადარჩებოდა,დასტურის დიაცი (ცოლი) გაანაწილებდა და თავის ხვედრ ლუდს შინ წაიღებდნენ.

სადობილოების მეოთხედი მიჰქონდა დასტურ-ხელოსნებს, სამი წილი კი პატრონს რჩებოდა. ქალები გამოემართებოდნენ შინისაკენ და ეხვეწებოდნენ დობილთ: "გვაპატივეთ რასაც გაწყენთა-დ ზღვნითა, სანთლით გადაგვაჭდიეთ". დასტურ-ხელოსნებისაგანაც მოითხოვდნენ დამწყალობნებას და ისინიც დაამწყალობნებდნენ; "წყალობა წაიღით გიორგის დობილთა, წყალობა! მოწალმართენ ანგელოზნ დაგაყოლნასთ დალოცვილმ". "თქვენი იყოს მწყალობელი". ჩუმად ლაპარაკობდნენ ქალები და წამოვიდოდნენ შინ. დობილში წელწადში და დატიობაში იკვლებოდა თითო საკლავი სარიგო, სოფლისაგან. ხორცი აქ არ იხარშებოდა, მისი ტყავ-ხორცი რჩებოდა დასტურ-ხელოსნებს. აქვე იცოდნენ სადობილო თიკანი, აშალ – თიკანი, როგორც არხოტის ჯვარის დობილში. დობილნი ავნებდნენ უფრო ბავშვებს, კაცის მფარველ ანგელოზს კი დობილნი ვითომც ვერაფერს გაუბედავდნენ, რადგან ის მძლავრი იყო. დიაც-ყმაწვილის ანგელოზი რადგან სუსტი იყო, მას ყველაფერს გაუბედავდნენ, ბავშვებს ავად გახდიდნენ და ქალებს "სამრელოში დააგეიანებდნენ". შეიძლება ქალიც გაეხადათ ავად, მაგრამ ისე ადვილად ვერა, როგორც ბავშვები.

ხთიშობელი

არდოტელი ხევსურების წარმოდგენით ხთიშობელი, სომხოს გიორგის და ანუ, დადგაფიცული ყოფილა და მკითხავები ამიტომ უწოდებდნენ მას "გიორგის მოდეს". როცა გიორგი აქ დამკვიდრდა, მაშინ ერთ მკითხავს უქადაგნია, რომ მე ქალაქში ერთი მოდე მყავს, ჩემნი ყმანი უნდა წახვიდეთ და ის აქ უნდა მოიყვანოთ. იმ ჩემს მოდეს ხთიშობელი ჰქვიანო. არდოტელებს წილი უყრიათ და წასვლა რგებია ორ კაცს. წავიდნენ თურმე და ქალაქში შეხვდნენ ხთიშობელს ერთ საყდარში. ხთიშობელი იყო დიაცის სახით და დიაცის ოდენი (ტოლი). იმდენი თვალ-მარგალიტი სამკაული ჰქონია, რომ სულ ბრჭყვიალებდა, ღამითაც კიო, იტყოდნენ არდოტელთ წინაპარნი. წამოუყვანიათ იქიდან ღამით და აქ სულ ღამი-ღამ მოუყვანიათ. დაუარსებიათ სოფლის პირდაპირ, ერთ დავაკება ადგილზე. შეუწირავთ მამულები, აუგიათ კოშკი, გაუჩენიათ დასტურ-ხელოსნები და მას აქეთ დაუწყიათ მისი ლოცვა. ლოცვა იცოდნენ ჩვეულებრივ. ხუცობაში კი აყოლებდნენ: "დედაო ხთიშობელო, მოდეო სომხოს გიორგისაო". მერე დასცემიათ არდოტელებს ქისტის ლაშქარი და წაუღიათ ხთიშობელი. ლაშქარი თურმე სულ დაბრმავდა და არევია გზა. ბოლოს მოლას უთქვამს: ეგ რომ მოგაქვთ რა არის, გადააგდეთ, თორემ ვიღუპებითო. რაც სამკაული ჰქონია ხატს, შემოუცლიათ და ის კი იქ დაუგდიათ, მაშინ მოტეხია ხთიშობელს ერთი ხელი. დანარჩენი კი დღესაც ისე არის შენახული. გამოაბძანებენ მარტო წელწადში და დატიობაში. სხვა დროს ინახება საიდუმლოდ. მას მოტეხილი ხელი ზედვე აქვს მიბმული; სახით ძალიან ლამაზი არის და მძიმეც არის,ფერად რაღაც თეთრ ლითონს წააგავს. გარდა ერთი კაცისა, მას ხელს ვერავინ ახლებს; აბარია ერთ კაცს და იგიც, თუ საკლავით არ გაინათლებოდა, ვერ გამოაბძანებდა მას.

ხთიშობელში დატიობა დიდი დღესასწაული იყო. მაშინ აქ მიდიოდნენ მეზღვნეებიც და სხვა ხალხიც,სვამდნენ ლუდს და დროს ატარებდნენ. დატიობაში აქაც ისევე, როგორც სომხოს გიორგის ჯვარში, ბავშვების მიბარება იცოდნენ. ახლადდაბადებული,წელგაუთავებელი ბავშვის პატრონი დაამზადებდა ლუდს ჩატანების წესით. დასტურები ლუდს ამზადებდნენ სომხოს გიორგის ჯვარში. ჩატანებული ლუდიც იქ მზადდებოდა,რადგან ხთიშობელში საქვაბე და ლუდის დასამზადებელი ხელსაწყოები არ გააჩნდათ. ლუდი მიჰქონდათ თულუხებით, კოდი დაიდგმებოდა, შიგ ასხამდნენ. დღეობაში ლუდი იქ ჰქონდათ. დროშაც სომხოს გიორგიდან მიჰქონდათ. ჯვარიონნი დროშით დატიობის წინა დღეს მიდიოდნენ და ამ დროს ხთიშობლის ჯვარიონნიც იქ ხვდებოდნენ. როგორც ხთიშობელს, ისევე სომხოს გიორგის ხუცეს-ხელოსნები ამ დღეს თითო საკლავით დაინათლებოდნენ და ისე მივიდოდნენ ჯვარში. ჯვარში ღამისთევა, ჟამისწირვა, ხთიშობლის სახის გამოტანა და სხვა წესები, დატიობა დღეს სრულდებოდა. ხთიშობელს რომ გამოაბძანებდნენ, ერთ სასოფლო საკლავს იმასთან დაკლავდნენ და ამ ხატს სისხლს უწევდნენ. ლუდიან თასთ დადგამდნენ,ხუცესი იხუცებდა და ხთიშობელს თავის ყმათ ახვეწებდა. ხუცობის შემდეგ თასებით ლუდის შესმას დადგენილი წესი მიყვებოდა. მუხლით დაჯდომა, თავხმელად მღერა და სხვა. მერე მიიყვანდნენ სოფლიდან მიმდინარე წელს შემომატებულ ბავშვებს – ვაჟსაც

და ქალსაც, მოაყოლებდნენ თითო კარგ ჭედილას და თითო სათამაქოე ქისას, რაც შეიძლებოდა კარგად შეკერილს. ჯერ "მააჭსენებდა" ხუცესი ვაჟებისათვის მიყოლილ ჭედილებს ცალ-ცალკე, ამავე ჭედილებზე ყველაზე ერთად იხუცებდა, დაკლავდა ყველას ერთად და დაამწყალობნებდა წულის პატრონებს. მერე ყველა ერთად ამწყალობნებდა მეხვეწურებს: "წულის პატრონნი ხართ და მუდამ წულის პატრონნი გქნასთო" და სხვა. შემდეგ ხუცესი "მააჭსენებდა" ქალებისათვის მოყოლილ ჭედილებზე და ახვეწებდა ქალების პატრონებს ხთიშობელს თხოვნით, რომ "კლოე ვაჟის ანუ წულის პატრონები გქნასთ ხთიშობელმაო". იმას სხვებიც დაამწყალობნებდნენ ასეთივე სიტყვებით და ამის შემდეგ დაკლავდნენ საკლავებს. დაკლულ საკლავებს თვითონ პატრონები დაატყავებდნენ და ნახევარი ანუ ფეხშო ხორცი მათ რჩებოდაო, ტყავი კი დასტურ-ხელოსნებს. მეორე ნახევარს და სხვა საკლავების ხორცს დასტურები მოხარშავდნენ და დაედგმოდა ტაბლა ჯერ მეზღვნეთ და მერე ყველა იქ მყოფ ხალხს. აქ სრულდებოდა სუფრის ყველა წესი, მღერა თავხმელად საგმირო სიმღერისა და სხვა. ვაჟებს მოუსვამდნენ თავისი ჭედილას სისხლს შუბლსა და გულზე ჯვარედინად. ვაჟი სამ დღემდე ჰყავდათ ასე შუბლსა და გულზე სისხლმოსმული. მესამე დღეს დედა გაათბობდა წყალს და დაბანდა სუფთა ბაკანში. შემდეგ ნაბან წყალს წაიღებდა და დააქცევდა ისეთ ადგილას (სადმე ყორეზე ან სხვაგან), სადაც კაცის ფეხი არ დადიოდა. ქალებს კი ამავე დღეს მობანდნენ შუბლიდანაც და გულიდანაც. ვაჟს რომ პირველად სისხლს წაუსვამდა ხუცესი, აიყვანდა ხელში, მიიყვანდა დროშათ საბძანებელთან ახლო (ქუდმოხდილი და ფეხშიშველიც იყო ხუცესიც და ბავშვიც) და შეუგორებდა ხთიშობელს. სამჯერ აიყვანდა ხელში და სამჯერ გადააგორებდა ნელ-ნელა დროშებისკენ და იტყოდა: "დედაო, ხთიშობელო, შენ შამაგხვეწნივა-დ შამაგბარებივ (ბავშვის სახელი), შაიხვეწე-დ მიიბარი შენს კაბის კალთაში. შენ დაიცვი დაიფარი დღესაც, ღამესაც, ველთაცა-დ შინაც, ჟამსაცა-დ, უჟამოსაც. გაზარდი, კაის ბედის კაც მააჭდინი, ნურას ავს დააღირებ, თუ რა სხო ნაბადებ უკუღმართობდას – მადლ დაუთხოი, შენ უშუი, ზღვნითა, სანთლით გადააჭდი. თუ რას გაწყენენ ამ ყმაწვილის მამა-მზდელი-დ დედა-მზირდული, პირის ქარითა, ფეჭის ნალითა, იამან-მახვილითა – შანაცოდვარ შაუნდვიდი. ნურას ავს მახკერძებ. ყმა შაუწყენ არ იქნებისა-დ ბატონ შაუნდობარი. უტნი ორთ ჭორციელნი, უმეცარნი ორთ, ბევრს რასამ შაგაწყენთა-დ გცოდვებთ, შენის სახელის ჭირიმ, ნუ შაუფერებ ჩვენს უცოდრობას". ასეთი სიტყვების წარმოთქმის და შეგორების შემდეგ, აიყვანდა ბავშვს ხელში, მოიყვანდა და გადასცემდა იქ მყოფებს. ყველა წულებს რომ შეაგორებდნენ, მერე კიდევ ყველას ერთად დაამწყალობნებდა ჩვეულებრივი დამწყალობნებით. შემდეგ მანდილოსნებსაც წყალობას ეტყოდნენ და გაუყვანდნენ თავ-თავიანთ ბავშვებს. გაუტანდნენ ლუდსაც, ყველა ახალ მიბარებულის სადღეგრძელოებს დაარიგებდნენ და ყველას დაალევინებდნენ სულუქცევრად.

სათამაქოები რომ ჰქონდათ მოყოლებული მიბარებულებზე, იმათ ხუცესი იღებდა. ზოგს დაურიგებდა უფროს კაცებს და ზოგს თავის ამხანიგებს, ე.ი. ჯვარიენებს მისცემდა. ამ დროს ტაბლა ედგმებოდა ყველა ხალხს ქალსაც და კაცსაც; ამასთანავე პური სულ ჯვარის ქერიდან იყო დასტურთაგან გამოცხობილი და მოტანილი (სატაბლო პურები). აქვე იცოდნენ ლხინი და მხიარულობა.

ხთიშობელში იცოდნენ ყვალა წლიური დღეობები, მაგრამ განსაკუთრებული წესი არაფერი იყო. დღეობები იყო ისეთივე წესით, როგორც სომხოს გიორგიში.

მუცუს მთავარანგელოზი

მუცუში იყო სალოცავი მთავარანგელოზი. მუცუელი ხალხის გადმოცემით, არხოტის ჯვარი ყოფილა დედა და მუცუს მთავარანგელოზი მისი შვილი. იქ არხოტში ორივეს ყოფნა საჭირო არ ყოფილა, შვილი წამოსულა იქიდან და დაარსებულა ყვალაზე მაღალ მთაზე დაქუეხში. ეს მთა ზამთარ-ზაფხულ თოვლ-ყინულით არის დაფარული და ვერ ადენილან სალოცავად, გარდა ათენგენა დღეობისა. თითქმის მაშინაც ყველა ვერ მიდიოდა. ამიტომ დაკლეს ერთი ხარი და სოხოვეს დაბლა დაარსებულიყო, რომ სალოცავად ადვილი მისასვლელი ყოფილიყო. ამის შემდეგ ჩამოსულა და დაარსებულა წმიდა ადგილზე ხონეს. მას შემდეგ დაუწყიათ აქ ლოცვა,ზოგნი ამბობენ,რომ არხოტიდან ქისტეთში წასულა, იქიდან დაქუეხში მოსულა და იქიდან ხონეში ჩამოიყვანა ხონის მთავარანგელოზიო.

დღეობები იცოდნენ ყველა ისე, როგორც არხოტში დასტურ-ხელოსნები და სხვა. დასტურები იცოდნენ ორ-ოლი ერთი წლით. ირჩევდნენ წელწადში წილით და მიდიოდნენ პირველად ათენგენას. მას არ ჰქონდა მამულები და პური. იკრიფებოდა სოფელზე. ეძლეოდა დასტურს და ამით დღეობობდნენ, ამზადებდნენ ლუდს და სხვა. აქ ჯვარივნები ძალიან ნაკლებად ინათლებოდნენ. მთავარანგელოზი არ უშვებდა თავის სოფელში ჟამთ. მისი შიშით თავს ვერ გადმოაჩენდნენო. ერთი კაცი სხვა სოფლიდან გამოქცევია ჟამთ, გატიტვლებულა, წყალში გადავარდნილა, ხონის მთავარანგელოზში მისულა და გადარჩენილა მათი ისრების სროლისაგან. მუცუდან გაქცეულა ხონესაკენ ხალხი და უკან ჟამნი ოურმე დაედევნენ. მისულან ხონეში და ჟამნი ვეღარ გადაჩნდნენ. ასე გადარჩენილა ხალხი. დანარჩენი განსაკუთრებული წესი აქ არაფერი ყოფილა. დასტურს აქ არაფერი ეხარჯებოდა, სოფელზე იკრიფებოდა ლუდისთვისაც ქერი,ღამისსამთელო-ჟამსაწიერისთვისაც ფქვილი და გული. გული იცოდნენ უბრალო. დასტურისა იხარჯებოდა მარტო სვე და შრომა. არც რჩებოდა რამე დასტურს. ჯვარს ტყე და სათიბე არ ჰქონია.

საძიებელი

გეოგრაფიული სახელები

ა

აკუშო – 155
ამღა – 128
ანატორი (სოფ.) – 236
ანდაქი – 217
არაგვი – 159, 197, 235
არდოტი – 217, 218, 332, 333, 341, 342, 343, 344, 345, 347-349, 351, 354, 365, 372.
არლო – 75
არლოს წყალი – 212
არღუნი (მდ.) – 236
არჭილო – 217, 332, 334
არხოტი – 83, 85, 96, 106, 116, 121, 122, 124, 130, 136, 148, 171, 179, 186, 191, 194, 195, 200, 203, 206, 210, 218, 227, 271, 273, 287, 231, 332
არხოტის მთა – 67
არხოტის ჭალა – 77
არხოტის ხეობა – 82
ატაბე – 63, 67, 83
აჩხოტი – 59, 98, 174, 199, 283
აჩხოტის მინდორი – 59
ახადი – 139, 140, 141
ახალციხე – 217
ახიელი – 175, 218, 224, 232
ახმეტა – 139

ბ

ბარისახო – 186, 234
ბაცალიგო – 138, 140, 142, 143, 157, 158, 161, 180, 188, 190, 192, 197, 223
ბისო – 392
ბუდე-ხევსურეთი – 7, 30, 85, 164, 179, 191, 195, 197, 240, 286, 299, 301, 302, 306, 322, 330, 333

გ

გერგეტი – 209
გველეთი (სოფ.) – 186
გიორწმიდა – 212, 286
გუდანი – 158, 159, 175, 209, 214, 217, 221, 231, 262, 263, 265, 286, 328, 329, 330, 331, 332
გუდელა – 239
გურო – 67, 141, 286-291, 295, 302

დ

დათვის ჯვარი – 211
დიდგორი – 90, 109, 110, 111
დიდოეთი – 136

ე

ერწო – 106, 128

ზ

ზაი – 75
ზეისტეჩო – 232
ზენუბანი – 46

თ

თიანეთი – 186
თუშეთი – 236, 237

ი

იორი – 139, 140

კ

კავკასიონი – 265
კავკასიონის ქედი – 76
კალოთანა – 78
კაწალხევი – 327
კახეთი – 202, 295, 296
კისტანი – 263

ლ

ლებაის კარი – 262, 309
ლეკურთა – 140, 144
ლიქოკი – 155, 212, 265

მ

მაისტის გორი – 188
მატანი – 295
მითხო – 74, 157, 211, 212, 215, 234
მიღმა ხევი – 295
მოწმაო – 192, 195, 198, 199, 200-202, 206-209
მუცუ – 237, 334, 341, 376

ნ

ნეთხის კარი – 78

ო

ოკერკევის გორა 127

პ

პირაქეთ ხევსურეთი – 106, 113, 124, 171, 181, 189, 191, 200, 203, 251, 322
პირიქით ხევსურეთი – 113, 116, 148, 164, 171, 181, 186, 189, 198, 251, 286, 300, 322, 332

რ

როშკა - 83, 89, 91, 94, 95, 112, 113, 114-117, 122, 127, 128, 134, 137, 147, 163, 172, 194, 197, 198, 215, 217, 364

ს

საჩალისწვერი – 235

ტ

ტანიე – 24, 67, 72, 77
ტუტილი – 46

უ

უკანხადუ – 92, 98, 122, 123, 157, 160, 164, 167, 169, 172-174, 194, 198, 286

ფ

ფაფარენა – 89, 127, 128
ფიჭვეთ გორა – 371

ქ

ქაჩუ – 236
ქისტეთი – 157, 179, 218, 234, 236, 376
ქმოსტი – 83, 88, 89, 217, 218

ღ

ღილღო – 76, 77, 78

შ

შავწყალი – 130
შარვანი – 127
შატილი – 162, 235, 236-238, 276, 253, 255, 259, 260, 261, 263, 272, 273, 275, 278-281, 285-287, 289, 294, 295, 301
შიტუ – 78
შირაქი – 141

ჩ

ჩარგალი – 7

ცხ

ცაბაურთა – 327
ცროლი – 7, 70, 76, 77, 78, 79, 80, 286
ცროლის წვერი 81

ძ

ძაუგი – 83, 147

წ

წინახადუ – 63, 64, 78, 124
წყაროთ გორი – 296, 307, 320, 339

ჭ

ჭანჭახი – 128

ხ

ხადუ (ჭადუ) – 15, 47, 61, 64, 68, 74, 80, 90
ხამხა – 72, 77, 78
ხახაბო – 295, 296, 303, 306, 308, 324, 325, 327, 329, 331, 332, 334, 336, 338-340, 342, 344, 346, 351, 361
ხახმატი – 340
ხევი – 109
ხოლიგის წვერი – 338, 339
ხორნაულთა – 138

ჯ

ჯიჯეთი – 140
ჯუთა – 116, 127

ა

ადგილის დედა – 82, 117, 137, 192, 201, 202, 326, 327
ათენგენა (ათენგენობა) – 69, 70, 76, 79, 102, 103, 106, 109, 111, 112, 116, 133, 141, 177, 178, 179, 194, 197, 202, 203, 210, 214, 217, 232, 235, 243, 259, 260-263, 265, 271, 272, 286, 288, 290, 291, 293, 296, 310, 321, 322, 323, 325, 326, 327, 342, 344, 348, 376
ალვისტნის მყოლი ანგელოზი – 72, 87
ამღლება – 11, 21, 37, 66, 68, 102, 103, 104, 105, 133, 177, 190, 202, 210, 214, 231, 232, 258, 259, 290, 319
ამაღლების ღამე – 37
ანატორის აკლდამები – 237
ანატორის ჯვარი – 236, 237, 238, 239, 240, 241, 242, 244, 245, 246, 247, 248, 249, 250, 251, 252, 253, 254, 256, 257, 258, 260, 261, 262, 263, 265, 266, 270, 271, 272, 273, 275, 276, 277, 278, 285, 286, 287, 288, 289, 290, 293, 294
ანგელოზი – 8, 11, 14, 22, 53, 54, 93, 107, 164, 191, 200, 207, 209, 210, 228, 229, 231, 235, 267, 270, 271, 280, 298,303
ანდაბი – 43, 56, 158, 161, 162, 170, 180, 248
ანდრეზი – 92, 110, 163, 255, 256, 276, 329
არხოტის ჯვარი – 41, 51, 151, 171, 223, 224, 236, 243, 246, 376
აღდგომა – 285
აღება, აღების ღამე – 50, 51, 53, 84, 86, 90, 92, 101, 165, 166, 167, 168, 169, 179, 196, 227, 279, 280, 281, 295
აშალი – 81, 191, 223, 225, 233, 336
ახალი დასტურები – 84
ახალი წელი – 25, 29, 32, 122, 222, 275, 276, 278, 294, 302, 303, 304
ახვსება (აჴვსება) – 8, 21, 30, 49, 50, 61, 63, 64, 65, 94, 97, 100, 102, 103, 133, 175, 176, 197, 198, 199, 201, 210, 214, 230, 243, 244, 249, 259, 271, 273, 274, 285, 287, 288, 290, 291, 315, 319, 326, 335
ახვსება წუხრა – 63, 99, 175
ახვსების ორშაბათი – 64, 94, 228
ახვსების სამშაბათი – 65
ახვსების შაბათი – 98, 174, 199
ახვსების ხუთშაბათი – 97

ბ

ბალინჯი – 87, 101, 152
ბეგარი – 24, 77, 78, 351
ბედი – 19, 62, 71
ბედისკვერაობა – 49, 127, 164, 165, 195, 227, 308, 310
ბედის მთხოვარნი – 70, 71, 72
ბერაკა – 45, 224, 225
ბერაკაობა – 224
ბერი-ბაადური – 209, 215, 221
ბეღელი – 12, 72, 121, 209, 212-215, 222
ბეღლის ჯვარი – 159, 215, 216, 225
ბეღლისკრობა – 158
ბორაყი – 28, 107, 108
ბურთვი – 107
ბუჯირი – 105
ბჭე-ხეეისბერნი – 213, 214, 225, 226

გ

გაბრიელი (მთავარანგელოზი) – 14
გადიდება – 259, 268
გამასამალო – 20, 48-49, 53, 68, 111, 118,

132, 155, 164, 203, 257, 308
გამაღვიძელა – 58, 59, 60, 98, 174, 199, 228, 229, 230
გამოლოცვა – 54, 55, 133, 163, 164, 178, 201, 202, 219, 259, 265, 290, 293, 342, 359
გამძღო (გამძღობარი) – 10, 11, 13, 22, 23, 106, 164, 180, 199, 200, 208, 209, 220, 232, 277, 298, 301
გამძღო-მორიგე – 120
გამძღო ჭელოსანი – 12, 23
განათვლა – 61, 100, 120, 192, 194, 207, 209, 214, 221, 244, 258, 260, 263, 287, 288, 289, 293, 294, 295, 298
განძი – 23, 353, 365, 367
გაქადაგება – 293
გველი – 14, 81, 192
გვრინი – 47, 182, 183
გიორგის ლაშქარნი – 87
გიორგი ნაღორმშვენიერი – 7, 27, 41, 87, 136
გიორგის მოდე – 374
გიორგი წყაროსგორისა (გიორგი წყაროსგორული) – 295, 297, 298, 299, 300, 302, 304, 335, 336, 337, 340
გიორგი ჯუთა ვაკეს მშვენიერი – 71, 86, 232-233
გიორგობა – 8, 20, 116, 132, 136, 190, 194, 208, 219, 232-233, 271, 274, 288, 293, 335, 352
გრდემი – 139
გუდანის ჯვარი – 28, 41, 158, 159, 175, 176, 179, 188, 209-221, 223, 224, 226, 230-236, 246, 262, 269, 328, 351
გუდანის ჯვარის დროშა – 351
გუდანის ჯვარის ჯვარიონნი – 351
გურჯინა – 175

დ

დაველათი – 8, 11, 29, 107, 129
დათვი (პირქუშის) – 192
დაკოჭვა – 120, 128, 138, 200, 231, 290
დაკურთხეული (ცხენი) – 34, 123, 124, 125, 126, 127
დალახვა, დალაჭვა – 103, 153
დალოცვა – 258, 259, 297, 301, 306
დამწყალობნება – 10, 20, 23, 33, 47, 72, 84, 129, 135, 146, 155, 156, 167, 176, 178, 179, 184, 193, 200, 201, 208, 221, 222, 231, 238, 240, 243, 245, 247, 249, 250, 255, 264, 265, 265, 266, 267, 271, 274, 276, 277, 287, 290-292, 294, 248, 300, 354, 359, 361, 373
დანადები (ძენგლი) – 206
დარბაზი (დარბასი) – 7, 13, 16, 48, 69, 76, 77, 78, 153, 155, 160, 173, 178, 192, 201, 202, 206, 211, 234, 241, 244, 249, 250, 252, 255-257, 260, 261, 265, 273-276, 281, 287, 289, 298, 299, 305, 306
დარბასის კარი – 32, 38, 160, 167, 188, 204
დარისხება – 47, 114, 184, 214, 216, 235, 271, 272, 273, 290, 294
დასტურ-ბუჯირი – 8, 10, 11, 12, 14, 16, 22, 25, 29, 87, 89, 90, 99, 101, 104, 116, 118, 129,
დასტურ-გამძღობარი – 21, 22, 23, 105, 106, 111, 112, 118, 140, 308, 323
დასტურ-მეზარე – 342
დასტური – 7, 8, 10, 12, 13, 16, 19, 20, 21-26, 29, 32, 33, 42, 43, 50, 51, 58, 62-66, 73-75, 83-86, 90, 103, 105, 106, 108, 111-113, 118-122, 127-130, 132, 134, 145, 147, 149, 150, 152, 155-157, 160-166, 172, 175-180, 187-190, 192-195, 199-225, 227, 230-234, 237, 242-256, 253, 257-259, 261-264, 268, 270, 271, 274, 277, 285, 288, 289, 292, 294, 296, 298, 299, 307, 318, 322, 327, 350, 353, 359, 364, 368, 370, 371-373, 376
დატიობა – 340, 342-344, 346, 347, 349, 372, 374
დაშანთვა – 57, 98
დახელთვა (დაჭელთვა) – 63, 94, 128, 137
დაჯურუმება – 91
დევთ დედა – 137, 138

დევთ-დედაბერი – 137, 138
დევი – 138, 140, 141
დევ-კერპები – 80, 127, 140
დიასახლისი – 8, 20, 21, 30, 120, 209, 213, 216, 220, 224, 246, 247
დიდგორ ვეშაგი გიორგი – 27, 4, 71, 84, 86, 87, 90, 92, 99, 102, 105, 107, 112, 116, 117, 129, 135
დიდგორის ჯვარი – 83, 86, 88, 90, 91, 100, 104, 107, 109, 111-113, 116, 118, 121, 122, 127, 128, 132, 133, 138, 259
დიდი ანგელოზი – 82, 98
დიდი მარხვა – 50, 51, 54, 65, 94, 168, 173, 196, 198, 279, 280, 295
დიდი ხუთშაბათი – 58, 98
დიდმარხვის მეორე შაბათი – 228
დიდმარხვის უკენობის ხუთშაბათი – 173
დიდმარხვის წინა კვირა – 197
დიდმარხვის წინა ორშაბათი – 54
დობილები (დობილნი) – 16, 81, 132, 166, 191, 233, 272, 336
დობილთ უფროსები – 372
დოღვი – 110, 125, 135
დოხანი – 92, 94, 96, 172, 227, 281, 283, 315
დროშა – 21, 48, 61, 63, 66, 67, 69, 81, 84, 91, 163, 165, 175-178, 188, 192, 194, 195, 199, 203, 206-208, 210-213, 215-218, 221, 223, 231, 233-236, 242-245, 249, 250, 256, 258, 260, 263, 265-270, 272, 273, 285, 286, 288, 291-293, 299, 351, 353,
დროშა-ბორაყი – 62, 107
დროშათ საბძანებელი – 375

ე

ეკალდამა – 310
ელიაობა (ელია წმიდა) – 137, 325,
ენკენია – 8, 116, 130, 137, 190, 208, 217, 219, 271, 274, 293, 328, 330, 335, 351
ეშმა (ეშმაკი) – 14, 58, 60, 63, 80, 98, 137, 148, 173, 192, 198, 228

ვ

ვაკის ანგელოზი – 336
ვაკეობა – 322
ვარდის დღეობა – 79, 106, 178, 202, 215
ვაცაობა – 57, 172, 198, 282,
ვერძი ოთხრქაი – 77
ვერცხლის ბურთვი – 81, 107, 244
ვერცხლის თასი – 81
ვერცხლის ჯვრები – 244

ზ

ზარის მცავ-მფარავი ანგელოზი – 13
ზარ-საზარე – 13
ზარ-სარეკელი – 147
ზარ-სარეკელზე მდგომი ანგელოზი – 28, 71, 87
ზედამდეგი – 16, 22, 29, 56, 73, 102, 108, 113, 121, 129, 130, 135, 155, 162, 167, 171, 205, 242, 255, 261, 264, 268, 269, 275, 276, 307, 330, 248, 359, 364
ზედამრჩო – 131, 161, 180
ზედაშე – 25, 34
ზღუბლის დალახვა – 103, 153
ზღვენი – 9, 23, 48, 62, 63, 69, 78, 83, 84, 103, 109, 112, 117, 121, 133, 142, 143, 145, 151, 155, 201, 204, 215, 220, 262, 277, 286, 290-292, 350
ზღვნობა – 72, 119, 132, 260-264, 292, 294, 332, 346, 349, 351

თ

თაგვ-ჩიტთ უქმი – 54, 57, 97, 173, 198, 227, 283, 315
თავის მოპარსვა (თმა-წვერის დაყრა) – 66, 100

თასი – 8, 10-12, 17, 18, 155-157, 161, 162, 164
თას-განძი – 66, 163, 175, 195, 199, 221, 234, 237, 244, 249, 258, 260, 263, 289, 299
თეთრი გიორგი მინდორის ჯვარი – 28
თეთრი სანება ცროლის წვერისა – 10, 22, 81
თიბისთავი – 73, 112, 179, 203, 205,
თიბის შამშაბათი – 73, 113, 181, 205

ი

იასაულნი – 84
იაღში დგომა – 44
იახსარი (იავსარი) – 7, 87, 136, 314
ივანე ნათლისმცემელი – 14, 48

კ

კალთის მოჭრა – 251, 367
კარატის ანუ ლიქოკის ჯვარი – 41, 232
კარახანა – 12, 29, 73, 102, 103, 104, 109, 113, 117, 121, 129, 162, 167, 175, 181, 194, 205, 208, 241, 242, 261, 264, 268, 276, 292, 311, 319, 328, 348, 350, 368
კაცის მფარველი ანგელოზი – 82, 336
კეზი – 148
კეთილის მკაზმავი – 12
კელეპტარი – 315, 354
კენჭის ჩაგდება (ჩაყრა) – 273, 290
კვალის დაჭერა – 31, 222, 302
კვალის შატანიება (შეტანა) – 122, 157, 195, 295, 304
კვერი – 314
კვერაობა – 308
კვინტილა – 336
კვირა (კვირაე) – 8, 9, 19, 23, 31, 34, 35, 41, 56, 64, 67, 68, 69, 71, 84, 86, 87, 112, 113, 136, 150, 179, 188, 200, 247, 343
კვირაე დაღამების მარხვა – 53
კვირაე კარავიანი – 26, 71
კვირაე კარავიანი ანგელოზთ მეუფროსე – 86
კვირაე ძალიან-მადლიანი – 247
კვრიეი – 222
კოდის გახსნა – 31, 62, 353
კოდის კურთხება – 55
კოდ-სამკურთხევლო – 258, 315
კომლის ქადა – 207, 235
კოპალა – 27, 80, 137, 138, 140, 141, 314
კოპალაის დროშა – 80
კოშკი – 7, 78, 177, 186, 192, 201, 206, 207, 209, 214, 222, 236, 245, 252
კოჭ-ბაწრად გამობმა – 191
კოჭობი – 8, 96, 129, 152, 258, 266, 267, 268, 278, 289, 299, 328, 329, 335, 345, 364
კუბატი – 133, 134, 135
კუბატ-ქადისკვრები – 201
კუდიანი – 58, 59, 60, 97, 98, 173, 174, 198, 199, 228, 229, 230
კუდიანური სული – 229, 230
კუდიან ღამე – 60
კუდიანწუხრა – 58, 59, 60, 97, 148, 173, 174, 198, 199, 228, 283
კულუხი – 72, 73
კუმეტი – 38, 42, 48, 116, 120, 123, 158, 159, 160, 192, 194, 195, 224, 293, 300, 359, 361
კურეტი – 72, 74, 90, 91, 106, 109, 142, 143, 204, 210, 216, 232, 255, 273, 280, 287, 301, 309, 331, 372
კურთხევა – 9, 10, 13, 15, 20, 25, 85, 88, 101, 164, 209, 222, 240

ლ

ლახტი – 138, 141

მ

მაგანძური – 83, 84, 104, 118, 120, 130, 195,

209, 214, 215, 217, 218, 221, 231, 234, 262, 297, 298, 299, 311, 319, 332, 334, 335, 353, 367
მადლი – 73, 257, 258, 263, 264, 265,266, 277, 284, 291, 292, 294, 298, 300, 302
მადლის მოთხოვა – 69, 73
მავნე – 81, 87, 200
მათრახი – 77, 139
მაკვეთა – 185, 187
მამკლავ-მამკვდრობა – 110, 131
მამიზეზება – 65, 164, 190, 232
მარიამ წმიდობა – 271
მარიანობა – 74, 116, 134, 187, 192, 194, 202, 206, 217, 293, 327, 350
მარიგე (მორიგე) ღმერთი – 19, 25, 68, 104, 116, 132, 133, 138, 192, 202, 209, 213, 218, 219, 220, 222, 226, 232, 251, 341
მარიემწმიდა – 134, 136, 151, 326
მართვიანიშოთ დღეობა – 306, 307
მარხვა – 93, 219, 280, 282
მარხვის გახსნა – 220
მარხვის გატეხვა – 219, 230
მარხვის დაჭერა – 170, 219, 230
მარხო-შამაე – 53, 84, 92, 93, 167, 170, 171, 196, 197, 220, 280, 295, 312
მარხოშუობა – 57, 58, 96, 97, 173, 198, 199, 282, 315
მასანთებები – 177
მაწეარი – 95, 266, 267, 269
მახსენება (მაჴსენება) – 8, 10, 40, 68, 71, 1644, 200, 222, 245, 250, 251, 317, 375
მგელთ უქმი – 58, 59, 94, 171, 172, 197, 227, 280, 315
მგზავრი ანგელოზი – 67, 267, 268, 269, 270,
მგზავრი დროშა – 30, 91
მგლის პირის შაკვრა– 171
მეათენგენე დასტური 106
მებალინჯე – 8, 31, 84, 87
მებირაყე ანგელოზი – 28, 72, 87, 107, 108
მედიდდასტურე – 342
მედროშაე – 13, 48, 108, 109, 147, 149, 150, 154, 177, 194, 195, 199, 206, 207, 210, 211, 213, 215, 217, 219, 221, 223,231, 234, 242, 243, 244, 245, 246, 247, 249, 250, 256, 258, 260, 266, 267, 270, 287, 291, 293, 296, 297, 298, 299, 342, 351
მეენე – 145, 193, 341
მეზარე – 13, 26, 99, 147, 150, 154, 194, 216, 222, 302
მეზღვნე – 19, 20, 23, 42, 63, 72, 73, 106, 111, 119, 133, 155, 178, 194, 199, 201, 202, 208, 219, 220, 235, 263, 277, 290, 292, 311, 317, 318, 319, 322, 327, 332, 348, 349, 350, 374
მეთამაშე – 48, 157, 159, 163
მეკეზისწვრე ანგელოზი – 148, 229
მეკვირაე – 345
მეკვლე – 8, 24, 25, 26, 27, 29, 30-32, 33, 35, 76, 122, 156, 157, 195, 221, 222, 223, 275, 276, 277, 278, 294, 295, 299, 300, 302, 303, 359, 360, 361
მეკვლე-დილა – 222
მეკვლე-ღამე – 274, 276
მეკვლეთ დამწყალობნება – 32
მეკვლე-პატიმარი – 25, 27
მეკვლე-წუხრა – 274, 353, 354
მეკოდე – 176, 204, 311
მელუდე – 16, 17, 155, 205
მელუდეთ სინაი – 16
მემუხლე – 154
მესადიდებულოე – 63, 64, 69
მესარიგოე – 249, 250
მესაფუვრე – 23, 24, 66, 84, 86, 89, 99, 106, 118, 120, 265, 298, 299, 311, 319, 342, 353
მესაწულე – 348
მესახელოე – 37, 287
მესმინაე – 60, 98, 284
მესუფრეთ ანგელოზი – 101, 102, 103, 113
მეძენგლე – 321
მეწალმართე –8, 118, 149
მეწალმართე ანგელოზი – 8, 13, 20, 21, 22, 69, 73, 149, 164, 231, 249, 361

მეწელწდე – 25, 132, 145
მეწელწდე დასტურები – 23, 145
მეწვრილდასტურე – 327, 342, 352
მეწყლე – 222, 277, 278, 303, 304, 360
მეხვეწური – 8, 10, 11, 19, 20, 25-27, 29, 31-33, 41, 61-63, 64, 87, 88, 101, 102, 105, 108, 109, 113, 119, 132, 133, 135, 136, 149, 150, 152, 264, 317, 348, 350, 375
მზე – 8, 19, 31, 84, 87, 88, 205, 219
მზის მყოლი ანგელოზი – 8, 19, 31, 84, 87, 205
მთავარანგელოზი – 112, 128, 129, 130, 131, 132, 133, 135, 136, 194, 199, 200, 201, 202, 203, 204, 206, 223, 235, 236, 247, 376
მთიბელთ სადილი – 183
მთობა – 262, 291
მიბარება ჯვარში – 63
მირონი – 235
მისამბარეო – 63, 102, 109, 290
მიქელ მთავარანგელოზი – 28
მიქიელისკარი – 104
მიწრიელ-ქვეცრიელი – 67, 151, 200
მკადრე – 13, 21, 22, 31, 32, 48, 61, 62, 64, 66, 67, 69, 73, 75, 76, 77, 78, 79, 83, 210, 236, 237
მკითხავი – 65, 74, 75, 82, 83, 108, 136, 143, 144, 164, 168, 178, 190, 191, 192, 199, 202, 204, 208, 209, 210, 215, 230, 231, 237, 238, 239, 240, 242, 243, 262, 280, 285, 286, 287, 292, 304
მოკარვე – 101, 107, 112, 150
მოკვეთა – 304, 367
მოკვეთილი – 302
მოწაღმართე (მეწაღმაროე) ანგელოზი – 31, 36, 40, 53, 62, 84, 87, 256, 257, 270, 277, 291
მოწმაოს გორის ყარაულნი – 200, 204, 205, 207
მოწმაოს მთავარანგელოზი – 195, 204, 206
მუჭაი-სანაოლავი – 119
მუხლით დაჯდომა – 130, 154, 201, 374
მუცუს მთავარანგელოზი – 7, 8, 15,81, 376
მფრინავი ანგელოზი – 7, 8, 15, 81
მცავ-მფარავი ანგელოზი – 23, 63, 120, 201, 373
მჭედელი – 138, 139, 153, 166, 167, 237

ნ

ნათავარი – 93, 322, 326, 369
ნამუშევლის სამხვეწრო – 203, 204, 219
ნამცეცობა – 280
ნატირლები – 47
ნაღალური – 83, 307, 323, 327, 340
ნახორი – 20, 68, 105, 118, 134, 257, 259, 261, 270, 271, 361
ნახარელა ხთიშობელი – (ნაჭარელა ხვთიშობილი) – 232, 233, 247, 263, 264
ნიჭი – 34, 222, 278, 303

ო

ოთხრქა ჭედილა – 141
ოქროს შიბი – 240

პ

პატარა მარხვა – 219
პატივი – 17, 40, 130
პატიმარი – 24, 25, 26, 27, 29, 76
პირისაბანი – 19, 24, 25, 119, 149, 200, 205, 246
პირის ქარი – 8, 13, 69, 113, 150, 151, 164, 249
პირქუში – 27, 137, 138, 139, 140, 141, 142, 143, 144, 145-150, 151, 152-156, 161, 162, 164, 166, 167, 175-181, 184-188, 190-192
პირქუშის დობილნი – 191
პირქუშის მოლაშქრე ანგელოზი – 190-192
პორნილაობა – 98, 99, 174, 315

ჟ

ჟამნი – 80, 81, 237, 322, 336, 337, 376
ჟამისწირვა – 13, 20, 22, 45, 69, 74, 88, 89, 106, 110, 117, 123, 129, 132-134, 154, 166, 169, 180, 204, 219, 222, 249, 250, 269, 271, 274, 286, 287, 289, 293, 315, 316, 320, 327, 335, 353, 361, 364, 375
ჟამსაწირი (ჟამთსაწირი – 13, 50, 58, 62, 83, 100, 150, 154, 246, 265, 266,289, 321, 330, 336, 368, 376

რ

როშკის მთავარანგელოზი – 128, 130

ს

საბერო – 209, 213
სადიასახლისო – 20, 203
სადიდებელი – 20, 21, 46, 47, 55, 63, 64, 69, 71, 86, 87, 161, 163, 164, 166, 175, 176, 180, 190, 201-204, 208, 215, 241, 248, 255, 258, 260, 279, 287, 294, 297, 299, 300, 373
სადობილო – 81, 132, 133, 289, 336, 372, 373
საკლაკი – 16, 24, 65, 70, 73, 81, 83, 86, 155, 161, 182, 185, 190, 192, 194, 195, 199-203, 205, 207, 208, 216, 221, 233, 243, 246, 250-253, 258, 260, 261, 263-265, 267, 268, 289, 290, 292, 296, 372, 361, 373, 375
სამაგანძურო – 220, 222, 229
სამამკლო – 24, 64, 83, 128, 129, 130, 147, 179, 187, 188, 327, 328, 350
სამანანულო – 64, 74
სამარხვო ტაბლა – 55, 95
სამეკვლაო (სამეკვლეო) – 8, 23, 81, 33, 34, 157, 222, 278, 294, 303, 304, 360
სამეშვლო – 223, 237
სამთიბლო – 73, 179, 188
სამნის გადადგმა – 186
სამრისხველო – 273, 360
სამწყალობნო – 129, 259, 273, 292, 360, 363
სამძიმარი (სამძიმარ ხელი) – 27, 41, 95
სამხვეწრო – 32, 263
სამხსნელო (სამჴსნელო) – 160, 161
სანათლავი – 61, 63, 65, 86, 100, 121, 148, 202, 231, 237, 288-293, 353
სანაწყევარო – 7
სანება (სამება) – 7, 9, 14, 17, 19, 20-28, 29-34, 36-43, 53, 55, 62-65, 67, 72, 74-83, 157
სანების ტყე – 64
საოცრის მყენე – 84
საპატიო – 17, 42, 161, 162, 224
სარიგო – 13, 23, 51, 62, 71, 249, 250, 258, 260, 261, 271, 289, 292, 294, 335, 350
სასისხლე – 292
სასოფლო საკლავი – 13, 14, 23, 62, 63, 69, 70, 71
საქვაბე (საქობე) – 7, 76-78, 86, 88, 192, 201, 202, 244, 257, 281, 289, 296, 300
საქმის მუშა – 351
საყმო – 8, 10, 53, 81, 91, 99
საშამავლო – 90, 100, 118
საწდე – 29, 40, 90, 95, 99, 106, 111, 129, 134, 153, 155, 158, 205, 247, 250, 255, 258, 259, 264, 265, 268, 271, 299, 301, 315, 317, 222, 329, 345, 354, 255
საწირი – 133, 257, 264, 271, 274, 290, 291-291
საწმიდარი (საწმინდარი) – 147, 258, 260, 263, 297, 298, 322
საწულე – 341, 346
საწყევარი – 186
სახელის დადება – 34, 43, 44, 50, 54, 55, 57, 365
სახელო – 210, 240, 241, 242, 287
სახელსადები – 43, 44, 50, 53, 111, 119, 163, 172, 281, 283, 307
სახუცო თასი – 13, 68

სახუცო კოჭობი – 8, 90, 128, 176, 207, 210, 222, 240, 245, 246, 247, 250
საკელოსნო ლუდი – 100
საკსნილო – 97
საჯანგეს უნჯის ანგელოზი – 26, 65, 81
საჯარე – 163, 205, 207, 311, 321, 354, 359
საჯურუმო – 91
საჯურუმო დროშა – 91
სეფე-სადიდებელი – 69
სეფე-სანთელი – 26,27, 28, 64, 74, 82, 150, 164, 195, 196, 201, 204, 241, 300
სმინაობა – 60, 98, 198
სთვლის ნათავარი – 219
სომხოს გიორგი – 341, 343, 347, 349, 363,367, 372, 374, 376
სოფლის მეთამაშე – 47
სოფლის ჯარი – 46, 84, 132, 133, 169, 353
სულეთი – 127, 297
სულეთის ღმერთი – 45, 55
სულთაკრეფა – 54, 57, 91, 96, 172, 173, 198, 199, 227, 297, 281, 283, 312, 314
სულის დღე – 54
სულის დღეობა – 172, 173
სულის კურთხევა – 55, 126
სულის ხუცესი – 56, 95, 126
სულიწმიდა, სულწმიდანი – 55, 180, 247, 247

ტ

ტაბლის დადგმა – 255, 261, 263, 264, 266, 268, 269, 275, 278, 280, 281, 287, 289, 292
ტალავართ (ტალაკარის) გაშლა – 51, 57, 96, 97, 98, 168, 172, 174, 181, 196, 198, 199, 206, 227
ტირილი სულით – 169
ტირილი ძახილით – 169, 172, 181, 196, 199, 206, 227
ტოშოლი – 8, 13, 97, 150, 154, 191
ტრედი – 88

უ

უკანა შუადღე – 43, 45, 46, 160, 162, 163, 195, 224
უნჯის ანგელოზი – 65
ურწყის ორშაბათი – 53, 54, 93, 171, 197, 228, 280, 312
ურწყი – 54, 93, 94, 171, 228, 280, 312, 313, 319
უფერი (უფრის სულწამაყრილი) – 63
უქმი – 173, 182, 183, 187, 189, 190, 227
უქმის გატეხა – 115, 187
უქმის მიცემა – 351
უქმის მუშა – 115, 219, 351
უქმის ნათვლა – 115

ფ

ფანდურის გატეხა – 18, 50, 66, 100, 134
ფაფობა დღე – 158
ფერხისა – 33, 38, 45, 46, 64, 91, 157, 158, 180, 195, 225, 261, 264, 265, 277,292-294,
ფიცის კენჭის ჩაყრა – 252

ქ

ქადაგი – 79, 102, 107, 139-141, 1 43-145, 193, 209-212, 214, 237-240, 242, 243, 262, 285-287, 296, 298, 299, 302
ქადაგობა – 193, 209, 211, 212, 214, 238, 239, 287, 296, 302, 309
ქალის მიბარება – 200
ქარის უქმი – 189, 351
ქაჯავეთი – 136
ქვაბ-საკიდელის ანგელოზი – 349, 350
ქრისტე – 21, 22, 35, 43, 55, 118, 119, 132, 147, 148, 149, 161, 195, 219, 220, 254, 274, 275, 278, 293, 297, 304, 305, 336
ქრისტე დილა – 21, 154
ქრისტე მარხვა – 21, 22, 154

ქრისტე წუხრა – 22, 118, 154, 219, 229
ქურდობა (ქურდი) – 42, 46, 160, 161, 224

ღ

ღალანგურ წმიდა გიორგი – 28, 41
ღამისამთელო – 8, 12, 13, 20, 21, 50, 58, 62, 71, 83, 86, 99, 105, 112, 117, 118, 130, 150, 167, 169, 175, 179, 180, 194, 195, 207, 246, 257-258, 260, 265-266, 291, 376
ღამისამთელო-ჟამსაწირი – 43, 50, 73, 83, 169, 175, 176, 194, 199, 203, 204, 206, 246, 247, 376
ღამისთევა – 58, 62, 69, 73, 74, 106, 155, 156, 166, 175-178, 180, 194, 195, 199, 202-204, 206, 207, 211, 214, 219, 220, 223, 260-263, 265-267, 269-271, 274, 286, 289, 291, 293, 353
ღამისთევა – ჟამისწირვა – 13, 14, 20, 23, 70, 74, 117, 180, 190, 194-196, 199, 203, 204, 214, 219
ღამისმთეველი – 265, 267-270, 289
ღილ-ბორაყი – 244, 298
ღუბისთავ სვეტის ანგელოზი – 28, 136

ყ

ყველიერი – 169, 170, 280,
ყველიერის კვირაე – 169, 196
ყურიადობა – 228

შ

შანდობა (შენდობა) – 34, 38, 41, 162, 180, 225, 245, 248, 254, 297, 365
შასამავლო – 104, 132, 353, 345
შასანდობარი – 43, 56, 259, 306, 355, 361,
შასახელება – 15, 25, 157, 241, 245, 247, 258, 300
შიბი – 90, 105, 324, 332
შიგლიბანდობა – 270
შულტა – 147, 156, 163, 178, 223, 224, 296, 297, 370, 371

ჩ

ჩიჩაბათი (ჩიტშაბათი) – 173, 198
ჩხანჩხი – 20, 147, 223, 256
ჩხუტის დალოცვა – 26

ც

ცეცხლის გირკალი – 80, 81
ციცაის ჩამოხრჩობა – 184, 186

ძ

ძაღლის მაკვლა (ცემა) – 184, 185, 186
ძახილით ტირილი – 64, 65, 68, 74, 263, 286, 293, 321, 372
ძენგლი – 286, 372

წ

წელშუის კვირაე – 23, 24, 156, 220, 274, 357
წელწადი – 8, 23, 24, 34, 35, 83, 119, 120, 132, 133, 156, 157, 158, 160, 163, 164, 165, 179, 194, 195, 196, 210, 214, 217, 220, 221, 223, 227, 232, 242, 243, 274, 275, 279, 287, 288, 293, 294-297, 304, 306, 342, 353, 375
წელწდის წინა დღე – 156, 195
წელწდის ღამე – 23
წელწადშამაე – 221
წილის ყრა – 65, 210, 242, 268, 277
წინაშუადღე – 42, 45, 159, 195, 224
წმიდობა – 209, 214, 216, 220, 234, 237, 238, 242, 243, 244, 260, 287, 293
წმინდა გიორგი – 192, 194, 199, 200, 201, 202, 203, 204, 206, 207, 209, 223
წული – 122, 317, 318, 346, 375
წულის პატრონნი – 375

წულის სანთელი – 25, 195, 221
წყალკურთხევა – 48, 122, 127, 133, 156, 163, 195, 226
წყاروთგორული – 309, 316, 330
წყاروსთაე წმიდა გიორგი – 140

ჭ

ჭერო-ბელელზე მდგომი ანგელოზი – 28, 72, 87
ჭერო-ბელელი – 78
ჭირის პატრონი – 11, 18, 22, 35, 36, 38, 50, 51, 56, 57, 62, 66, 73, 92, 94, 96, 98, 100, 112-115, 123, 125-127, 130, 132, 134, 153, 157, 168, 172-174, 181, 194-196, 198, 199, 202-206, 223-225, 227, 248, 255, 260, 275, 278-281, 283, 289, 295, 304-305, 361
ჭირის სიმღერა – 62
ჭიქა-ბარზიმი (ჭიქა-ბარძიმი) – 8, 10, 26-28, 31, 68, 71, 72, 241, 247, 258, 300

ხ

ხალარჯვება – 319
ხარჯი – 262
ხევისბერი – 198, 209, 213
ხელდებული – 103, 107
ხელთუძრავი (ჭელუძრავ) უქმი – 54, 93, 94, 97, 172-173, 189, 198, 228, 351
ხელოსანი (ჭელოსანი) – 8, 13, 16, 22, 25, 100, 101, 156, 163, 176, 178, 180, 192, 202, 209, 210-213, 216, 217, 219-221, 231, 232, 234, 237, 240-242, 246, 247, 249, 260, 270, 271, 287, 291, 294
ხელსახოცები (ჭელისახოცი) – 48, 149, 244
ხელოსან (ჭელოსან) გამძღობარი – 8, 11, 12, 14, 16, 22, 25, 29, 89, 104, 105
ხელოსნად მიბარება – 102, 103
ხელოსან (ჭელოსან) ხუცესი – 66
ხთის იასაული – 8, 84, 119
ხთის კარი – 8, 25, 26-28, 31, 65, 71, 191, 200, 215, 228, 241, 246, 247
ხთისკრობა – 234
ხთის ნაბადები – 54
ხთის ნასახი – 29, 54, 139
ხთიშობელი – 201, 258, 262, 264, 285, 299, 350, 376
ხმით (ჭმით) მატირალი – 52, 56, 96, 114, 125, 315
ხმით ნატირალი – 182
ხმით ტირილი – 50, 52, 56, 92, 96, 169
ხონის მთავარანგელოზი – 376
ხონის ჯვარი – 236
ხუცესი – 8, 13-20, 22, 29, 31, 40, 43, 46, 48, 50, 53, 55, 62, 63, 65, 69, 70, 72, 75, 78, 82-84, 90, 99, 100-103, 105, 107, 108, 109, 111, 112, 116-118, 121, 122, 126, 127, 129, 130, 132-135, 145-150, 152, 153, 155-157, 161-166, 170, 176-180, 184, 185, 187, 188, 191-195, 199, 200, 202, 204, 205-213, 215-217, 220-223, 230-234, 236-251, 257, 258, 260, 263, 264, 266-277, 279-281, 286-292, 294, 295, 297-299, 306, 353, 365, 370, 373
ხუცეს-ხელოსანი – 68, 153, 163
ხუცობა – 8, 10, 14, 15, 19, 20, 22, 25, 29, 31, 43, 64, 68, 69, 70, 71, 82, 84, 99, 100-103, 105, 111, 113, 116-118, 120, 121, 129, 132, 133, 134-136, 148-150, 154, 164, 166, 175-178, 191, 195, 199, 200, 205-208, 210, 215, 221, 222, 231, 237, 245, 246, 250-251, 257, 260, 263, 264, 266, 268, 269, 274, 276, 279, 286, 287, 289, 292, 294, 299, 300, 318, 350, 363, 367, 373, 374
ხუცობა–კურთხევა- 23, 63, 155, 156, 176, 184, 185, 188, 194, 195, 199, 200, 205, 222, 240
ხუცობა-მაგსენება – 133

ჯ

ჯელებზე ასასხმელი – 120
ჯმალა, ჯმალას მთავარანგელოზი – 234, 235

ჯ

ჯარი (სოფლის ჯარი) – 16, 23, 36, 46, 47, 155, 158, 160, 161, 162, 163, 169, 172, 173, 180, 195, 196, 201, 202, 211,227, 250, 252, 253, 254, 255, 256, 258, 259, 264, 274, 275, 276, 277, 278, 279, 289, 290, 294, 305, 306, 353
ჯაჭველი ხმელის გორისა – 28
ჯვართ ამაღლება – 217
ჯვართ გადიდება – 259
ჯვარი – 7, 8, 9, 11, 12, 15, 19, 20, 23, 38, 42, 43, 45, 46, 48, 50, 53, 55, 57, 58, 62, 64, 67, 68, 70, 75, 76, 77, 79, 83, 84, 120, 130, 155, 157, 158, 159, 160, 161, 162, 163, 164, 166, 168, 169, 171, 175, 176, 177, 178, 179, 181, 183, 184, 185, 187, 188, 189, 190, 191, 192, 193, 194, 195, 196, 199, 200, 201, 202, 203, 204, 206, 207, 208, 209, 211, 214, 216, 217, 218, 222, 223, 224, 225, 226, 227, 232, 233, 237, 238, 239, 240, 241, 242, 243, 245, 246, 247, 248, 249, 250, 251, 252, 254, 255, 256, 259, 260, 261, 262, 263, 264, 265, 266, 267, 268, 269, 270, 272, 273, 275, 279, 280, 281, 285, 286, 287, 288, 291, 293, 294, 295, 296, 299, 301, 302, 303, 304, 305, 306, 338, 347, 351, 354, 359, 361, 362, 365, 366, 368, 372, 376
ჯვარიონთა საკუთარი დღეობა – 163, 164
ჯვარიონი – 8, 11, 13, 20-24, 31, 32, 38, 39, 40, 45, 46, 48, 50, 55, 62, 64, 67, 68, 69, 70, 72, 73, 77, 78, 84, 89, 90, 91, 99, 100, 105, 110, 111, 112, 115, 119, 120, 121, 122, 123, 127, 128, 129, 130, 133, 134, 146, 149, 153, 154, 155, 156, 157, 158, 161, 162, 163, 164, 167, 175, 176, 177, 178, 180, 183, 184, 187, 188, 189, 193, 194, 195, 201, 202, 203, 204, 205, 206, 207, 208, 213, 215, 216, 219, 220, 221, 222, 224, 225, 226, 227, 230, 232, 237, 238, 241, 243, 246, 247, 249, 250, 251, 255, 256, 257, 258, 259, 260, 261, 263, 265, 268-270, 271, 274-276, 277, 279, 288-294, 299, 300, 302, 305, 306, 311, 317, 322, 323, 325, 346, 347, 348, 349, 351, 353, 357, 358, 359, 361, 363, 374, 376
ჯვარის გამძღონი – 13, 16, 22, 61, 183, 187, 200, 202, 203, 204, 205, 219, 230, 232
ჯვარის განძი – 358
ჯვარის კარი – 178, 199, 251, 252
ჯვარისკაცი – 109
ჯვარის მამულები – 64, 166, 239, 251
ჯვარის მოსვლა – 238
ჯვარის პური – 83, 231
ჯვარის სათიბე – 376
ჯვარის სტუმრობა – 265
ჯვარის ტყე – 64, 376
ჯვარის ქერი – 375
ჯვარის ყანები – 23, 83, 146
ჯვარის ხელკაცი – 62, 76, 94, 138, 170, 226, 238, 316
ჯვარმიე – 177
ჯვარში მაკვეთა – 183, 184, 185
ჯვარში მიბარება – 63
ჯურუმი – 16, 43, 91, 159, 216, 223, 231, 235, 237, 249, 251, 254, 255, 260, 263, 271, 273, 371

სარჩევი

რედაქტორისგან	6
ბუდე-ხევსურეთი	7
სანების ჯვარი და მისი დღეობები	7
აჭვსება	8
კურთხევა	9
ქრისტე	21
წელწადი	23
კუმეტი დღე	38
წინა შუადღე	42
უკანა შუადღე	43
გამცხადება	46
წყალთკურთხევა	49
აღება	50
მარხო-შამაე	53
ურწყის ორშაბათი	54
თაგვ-ჩიტო უქმი	54
სულთაკრეფა	54
კოდის კურთხევა სულისად	55
მარხოშუობა	57

მგელთ უქმი 58

კუდიანწუხრა 58

სმინაობა კუდიანწუხრას. 60

აკვსება 61

ამაღლება 66

აოენგენა 69

სამთიბლო 73

მარიანობა 74

თქმულებები სანების ჯვარზე 76

ჟამიანობა 80

ადგილის დედა 82

დიდგორის ჯვარი და მისი დღეობები 83

აღება 83

მარხო-შამაე 92

ურწყის ორშაბათი 93

მგელთ უქმი 94

სულთაკრეფა 94

მარხოშუობა 97

თაგვ-ჩიტთ უქმი 97

კუდიანწუხრა 97

აკვსების შაბათი 98

ამაღლება 103

ათენგენა 106

თიბისთავი 112

თიბის სამშაბათი 113

გიორგობა 116

ქრისტე 118

წელწადი 119

როშკის მთავარანგელოზის დღეობები 128

გიორგობა 130

ქრისტე, წელწადი 132

აჭვსება, ამაღლება, ათენგენა 133

მარიანობა 134

ხსენება სადიდებელთა და ღამისთევაზე მთავარანგელოზში 135

მთავარანგელოზის მამულები 136

ელია წმიდა 137

დევო დედა 137

ბაცალიგოს თემის დღეობები 138

გადმოცემები პირქუშზე 138

პირქუშის დღეობები 145

ქრისტე 149

წელწადი 156

კუმეტი 158

უკანა შუადღე 160

გამცხადება 162

წყალკურთხევა 163

ბედისკვერაობა 164

აღება 165

ურწყის ორშაბათი 171

მგელთ უქმი 171

სულთაკრეფა 173

მარხოშუობა 173

თაგვ-ჩიტთ უქმი 173

კუდიანწუხრა 173

აჭვსების შაბათი 174

აჭვსება 175

ამაღლება 177

ჯვარმიე 177

ათენგენა 178

სამთიბლო 179

თიბის შამშაბათი 181

მარიანობა 187

სამამკლო 187

ქარის უქმი 189

გიორგობა 190

პირქუშის მამულები 190

პირქუშის დობილნი 191

ადგილის დედა და მისი ბოლოცეცხლიანი 192

დღეობები მოწმაოს თემში 192

გიორგობა 194

წელწადი 195

აღება 196

მარხო-შამაე 197

სულთაკრეფა, მარხოშუობა, ჩიჩაბათი, კუდიანწუხრა 198

აჭვსება (აღდგომა) 199

ადგილის დედა 201

ამაღლება, ათენგენა 202

ნამუშავლის სამხვეწრო 203

ოიბის სამშაბათი 205

მარიანობა 206

გიორგობა, მამულები 208

გუდანის ჯვარი და მისი დღეობები 209

ათენგენა 214

მარიანობა, ენკენია 217

გიორგობა, ქრისტე 219

წელწადი 220

კუმეტი, გამცხადება 224

წყალკურთხევა 226

აღება, სულთაკრეფა 227

ურწყნი, კუდიანწუხრა 228

აჭვსება 230

ამაღლება 231

გუდანის ჯვარის ქონება 231

ნაჭარელა ხთი'შობელი 232

დობილნი 233

ჭმალა, ალვის ხე და შურის ციხე 234

შატილის თემი 236

ანატორის ჯვარი 236

დასტურ-ხელოსნობა ანატორის ჯვარში, ხუცესი 237

ხელოსანი 240

დასტურები 242

მედროშაე 243

აჭვსება 244

ამაღლება 258

ათენგენა 260

ენკენია 271

გიორგობა, ქრისტე, წელწადი 274

აღება 279

ურწყის ორშაბათი, მგელთ უქმი 280

სულთაკრეფა 281

ვაცაობა 282

მარხოშუობა 282

კუდიანწუხრა 283

ხთიშობელი 285

ძენგლი ანუ დანადები 286

გუროს სანება ანუ სახმთო 286

ხვნა-თესვა, ტყე, დღეობები 288

აჭვსება 288

ამაღლება 290

ათენგენა, მთობა 291

გიორგობა, ქრისტე, წელწადი 293

აღება 295

მიღმახევი 295

გიორგი წყაროსგორისა ხახაბოში 295

წელწადი 297

კუმეტი 306

წელწდის მესამე დღე 306

აღება 310

ურწყის ორშაბათი 312

სულთაკრეფა 314

აჭვსება (აღდგომა) 315

ამაღლება 319

ათენგენა 322

ადგილის დედა 326

მარიანობა, სამამკლო 327

ენკენია 328

გიორგობა 335

ქრისტე. თანამოძმე დამხმარეები 336

მამელები, ხოლიგის წვერი 338

თასების მოპარვა წყაროთგორულის ჯვარიდან 339

თოფის მოპარვა, ვეშაპის გამოვლა 340

არდოტის სალოცავები 340

დატიობა 343

მარიანობა, სამამკლო 350

ენკენია, ქარის უქმი 351

გიორგობა, ქრისტე 352

წელწადი 353

კუმეტი 361

გამოლოცვა დღე 366

ღამისთევა 368

მამულები 369

მამულების შეწირვა 370

ტყე, სათიბე 372

ძენგლი, დობილნი 372

ხთიშობელი 374

მუცუს მთავარაგნელოზი 376